დასავლურქართული კოლხა-დიაოხის პერიოდის სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი ფიქსირდება ჩერქეზებში, რომლის სახელიც შემორჩენილია ბერძნულ წერილობით წყაროებში. აქ არსებულ სახელმწიფოს ბერძნები ელინიზაციის საწყისი პერიოდიდან, ქრისტეს წინ მეშვიდე საუკუნიდან მოიხსენიებენ როგორც **სინდიკა**’ს, სადაც უკვე არსებობდა ქალაქები: ტირამბა, კეფუ, ფატრეი და გორგოფია. ეს უკანასკნელი ქვეყნის დედაქალაქი უნდა ყოფილიყო და თანამედროვე ქ. ანაპის მიდამოებში ლოკალიზდებოდა შავი ზღვის სანაპიროზე. სინდიკაში იჭრებოდა ადგილობრივი ვერცხლის მონეტაც წარწერით „სინდონი“. სინდურ არისტოკრატias მჭიდრო დიპლომატიური და საქორწინო კავშირები ჰქონდა მეზობელ ბოსფორის სამეფოსთან. სინდმა წარჩინებულმა სოპეი’მ, რომლის სახელი ჩერქეზული ტომის სობაი’სგან მომდინარეობს, ქალიშვილი ბოსფორის მეფე სატირ პირველის ვაჟზე გაათხოვა. ხოლო ამ უკანასკნელის ქალიშვილი კი სინდიკის მეფე ჰეკათე’ს ჰყავდა ცოლად, როგორც ამას ბერძენი მწერალი პოლიენი მოგვითხრობს. საბოლოოდ კი სინდიკის სამეფო ბოსფორისას შეუერთდა. მოგვიანებით ჩერქეზული სახელმწიფო სხვა ფორმატში განაგრძობდა არსებობას. კერძოდ, შუა საუკუნეებში, ადრეფეოდალური პერიოდიდან, ჩერქეზებში პოლიტიკურად დაწინაურდნენ ყაზარდოელები, რომლებმაც გააერთიანეს ყველა ჩერქეზული ხალხი და შექმნეს უძლიერესი ფეოდალური სახელმწიფო, რომლის ტრაგიკული მომავალიც დიდად განაპირობა მომდევნო პერიოდის რუსეთის იმპერიის აგრესიულმა ქმედებებმა კავკასიაში. რამდენად კატასტროფული იყო რუსეთ-ჩერქეზეთის ომი ჩერქეზებისთვის მეჩვიდმეტე-მეცხრამეტე საუკუნეებში კარგად ჩანს შედეგებში. წარმოვიდგინოთ, რომ მეცხრამეტე საუკუნემდე კავკასიაში არსებობდა საქართველოსნაირი ჩერქეზული სახელმწიფო შავი ზღვიდან ინგუშეთამდის დაახლოებით მილიონახევრიანი მოსახლეობით და რა დარჩა მისგან რუსული აგრესიებისა და გენოციდის შემდგომ ათას რვაას სამოცდაათხი წლისათვის. მოსახლეობაში დანაკარგის მასშტაბებს უეჭველს ხდის თვით რუსეთ-კავკასიის ომში იმპერიის სახელმწიფო წარმომადგენლის, ისტორიკოს ადოლფ ბერჟეს (1828–1886 წწ) მონაცემები, რომელიც მიუთითებდა, რომ დასახლებულ ომში მილიონზე მეტი ჩერქეზული მოსახლეობიდან ბრძოლებში დაიღუპა 400 ათასზე მეტი ადამიანი, ქვეყნიდან გასახლდა 497 ათასი და ისტორიულ სამშობლოში დარჩა მხოლოდ 80 ათასამდე ჩერქეზი. ე. ი. რუსეთის იმპერიის ოფიციალური მონაცემებით, მშვიდობიან მოსახლეობაში დაღუპულთა რაოდენობამ ჩერქეზი (ადიღელი) ხალხის მთლიანი შემადგენლობის 40% შეადგინა.

§2. კავკასიის ხალხთა პრეისტორიის გასარკვევად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება **დნმ** მაჩვენებლის მიხედვით კლასიფიკაციას. კავკასიელ ხალხთა ზოგადი სურათის დასადგენად, ანუ იმისათვის, რომ მოვახდინოთ მათი განხილვა არსებული ჰაპლოჯგუფების კუთხით, ვსარგებლობთ საერთაშორისო მონაცემთა ბაზებით. ეს კვლევები აჩვენებს, რომ ძირითადად 45 ჰაპლოჯგუფია კაცობრიობისთვის დამახასიათებელი, რომელთაგან ყველაზე ძველი (A00, ე. ი. A

ნული ნული პოპულაცია) მოსახლეობა აფრიკაში ცხოვრობს. A0, A1, A2, A3 და დანარჩენი კაცობრიობის გენეტიკა ერთმანეთს დასცილდა, სულ მცირე 160 ათასი წლის წინ. საყურადღებოა, რომ ეს აფრიკული პოპულაცია არ გასულა აფრიკის კონტინენტიდან, პირიქით, B და სხვა ჰაპლოჯგუფები აგრძელებენ უკანასკნელი 40 ათასი წლის წინ დაწყებულ მიგრაციას აფრიკაში თითქმის ჩვენს (ისტორიულ) ეპოქამდე. **დნმ** ფაქტოლოგია თითქოს იმის მტკიცების შესაძლებლობასაც იძლევა, რომ ევროპული და სხვა პოპულაციები (Homo sapiens (?)) არ გამოსულა აფრიკიდან, მათი წინაპარი არააფრიკული მოდგმისა (გენეტიკისა) იყო.

რაც შეეხება კავკასიას, აქ დომინანტია სამი ძირითადი ჰაპლოჯგუფი G2a, J2 და J1. აქიდან პირველი, G2a შეადგენს დასავლეთ- და ცენტრალური კავკასიის მოსახლეობის მესამედს, ხოლო სხვა დანარჩენი 25-25%-ს, რაც კავკასიის საერთო მოსახლეობის 80%-ია, რა თქმა უნდა, იგულისხმება მხოლოდ მამრობითი სქესის მოსახლეობა. მთლიანად კავკასიის მოსახლეობა იყოფა ორ ძირითად სტრუქტურულ ტიპად. უფრო ზუსტად, დასავლეთ და ცენტრალურ კავკასიაში მამრობითი სქესის მოსახლეობა განეკუთვნება G ჰაპლოჯგუფს, მაშინ, როდესაც აღმოსავლეთ კავკასიაში გავრცელებულია J ჰაპლოჯგუფი თავისი ორი ქვევარიანტით J1 და J2. კავკასიაში G ჰაპლოჯგუფი რეალიზებულია როგორც G2a, კერძოდ, მისი ორი ქვესახეობით G2a1a1 და G2a3b1. ზოგადად, G2-ის გამოყოფა საკუთრივ G წინაპრისაგან განხორციელდა დაახლოებით 20 ათასი წლის წინ. G2a ფიქსირდება წინააზიაში (მესოპოტამია), კავკასიაში, ანატოლიასა და, რაც ძალიან საყურადღებოა, ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში, სადაც ის სამარხებში შემორჩენილი ადამიანების ნაშთებისათვის აღმოჩნდა დამახასიათებელი. უფრო ზუსტად, G2a უძველესი ევროპული სამარხებისთვის დამახასიათებელი გენეტიკაა, კერძოდ, ჩრდილო-აღმოსავლეთ ესპანეთში აღმოჩენილია 7 ათასი წლის წინანდელი სამარხი G2a გენეტიკით საფრანგეთში, მის სამხრეთ ნაწილში ხუთი ათასი წლის წინანდელი სამარხი [lacan e 2011a al] ასევე G2a ჰაპლოჯგუფს წარმოგვიდგენს, იგივე სურათი იკვეთება გერმანიის, დერენბურგის [haak et al 2010] ექვსი ათას ორასი წლის წინანდელი კულტურის (სამარხის) ადამიანის გენეტიკაში.

ავსტრია-იტალიის საზღვარზე, ალპებში მოკლული (თუ გაყინული) ადამიანის ოტცის ჰაპლოჯგუფიც G2a აღმოჩნდა. ოტცის მკვლელობა არის გარკვეული ნივთმტკიცება იმისა, რომ მის მსგავსად ევროპის კონტინენტზე ძველი მოსახლეობის მამაკაცთა განადგურება მასობრივ ხასიათს ატარებდა, ანუ მას შემდგომ, რაც ევროპაში გამოჩნდნენ ქრისტეს წინ მესამე ათასწლეულში „ერბინები“ ჰაპლოჯგუფით R1b, ევროპაში იკარგება, თანდათანობით ქრება G2a ჰაპლოჯგუფის მამრობითი მოსახლეობა სხვა ჰაპლოჯგუფებთან R1a, I2 (ბრიტანეთის კუნძულებზე) ერთად, რაც იმას ნიშნავს, რომ დაახლოებით ოთხი-ხუთი ათასი წლის წინ განხორციელდა ძველი ევროპის მამრობითი ჰაპლოჯგუფების რადიკალური ცვლა, რაც საბოლოოდ R1b ჰაპლოჯგუფების გამარჯვებით დასრულდა, ხოლო ძველი ევროპის G2a შემოგვრჩა მხოლოდ უძველეს სამარხებსა და მთიანეთში. – რატომ? – მიწაში, ანუ ძველ სამარხებში ადგილობრივი გენეტიკა ფიქსირდება როგორც ნაშთი ცოცხალი მოსახლეობის განადგურებამდე არსებული პოპულაციისა, ხოლო მთაში შემორჩენილია ის მცირედი ნაწილი, რომელმაც თავს უშველა და ომების გამო ავიდა მიუვალ მთებში, რითაც გადარჩა კიდევ.

ამრიგად, G2a ჰაპლოჯგუფის გავრცელების (დისტრიბუციის) რეკონსტრუირებული სურათი ასე წარმოგვიდგება, რომ თავდაპირველად G2a პოპულაცია გავრცელებული იყო მესოპოტამიაში, წინა და მცირე აზიაში, კავკასიაში, ანატოლიასა და ევროპაში. ევროპაში არსებული მიწათმოქმედების კულტურა მათ სახელთან არის უცილობლად დაკავშირებული.

როგორც აღვნიშნეთ, კავკასიის მოსახლეობის დასავლეთი და ცენტრალური ნაწილი უმთავრესად G2a ჰაპლოჯგუფით არის წარმოდგენილი, რომელსაც ორი ქვესახეობა ახასიათებს,

ესენია: G2a1a1 და G2a3b1. აქიდან G2a1a1 გავრცელებულია ქართველებში და ოსებში, კერძოდ, ქართველებში ის 36%-ს შეადგენს, ხოლო ოსებში დიგორელებთან - 55%-ს, ირონელებთან - 72%. რაც შეეხება G2a3b1 ჰაპლოჯგუფს, ის გვხვდება აფხაზებში (24%), ჩერქეზებში (38%), აქიდან შაფსურებში (86%), ქართველებში (12%). რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ხალხებს ერთი საერთო წინაპარი ჰყავდა, ყველა ისინი წარმომავლობით მოძმეები არიან. საჭიროა აღინიშნოს, რომ G2a1a1 და G2a3b1 ჰაპლოჯგუფებად დაყოფა (მუტაცია) საკუთრივ G2a წინაპრისაგან განხორციელდა შვიდი ათასი წლის წინ, უფრო ადრე, 20 ათასი წლის წინ, გაჩნდა G2, ხოლო ორმოცდაათი ათასი წლის წინ გაჩნდა ყველა მათგანის საერთო წინაპარი G ჰაპლოჯგუფი [კლიოსოვი 2013].

კიდევ ერთი საყურადღებო დეტალი, რომელიც კავკასიაში აქტუალური ალანების საკითხს მოჰყვანს შუქს, ის გახლავთ, რომ თანამედროვე ოსებს არა აქვთ არანაირი გენეტიკური კავშირი სკვით-ალანებთან, ვინაიდან ირკვევა, რომ G2a ჰაპლოჯგუფის სწორედ ყველაზე ახალი შვილობილი ტოტი (რუს. *субклад*) დასტურდება ოსებში, რომელიც 1700-2000 წლის წინ გამოეყო თავის წინაპარ ტოტს G2a-ის ფარგლებში. ამ უკანასკნელის ასაკი 4-5 ათასი წლით არის დასათარიღებელი და, თავის მხრივ, იმავე წინაპარი G2a-სგან მომდინარეობს, რომლის კვალიც 7 ათასი წლის წინანდელი ევროპული (ესპანეთი, საფრანგეთი, გერმანია) G2a-ში ჩანს აშკარად. როგორც სავსებით სამართლიანად აღნიშნავს ანატოლი კლიოსოვი [klyosov 2013], სკვით-ალანთა ჰაპლოჯგუფი უნდა ყოფილიყო R1a, რომელიც დადასტურდა კიდევ მინუსინსკის სამარხში (3800-3400 წლის წინ), რაც იმას ნიშნავს, რომ ოსების გენეტიკა კავკასიურია და არა სკვით-ალანური. ამიტომაც ლეგენდებს იმის შესახებ, რომ მხოლოდ ოსები არიან ძველი ალანების შთამომავლები, არ გააჩნია არანაირი საფუძველი. პირიქით, ოსები ადგილობრივი კავკასიური ავტოქთონი მოსახლეობაა, რომელმაც ირანული ჯგუფის ენა შეითვისა, და რომლის ენა, თავის მხრივ, სავსეა კავკასიური სუბსტრატით (ჩერქეზულ, ქართველურ, ნახური ელემენტებით), რაც იმაზე მიუთითებს, რომ ოსების წინაპრები, რომლებიც ადრე ადგილობრივ იბერიულ-კავკასიურ ენებზე მეტყველებენ, მხოლოდ ენობრივად გახდნენ ინდოევროპელები, გენეტიკა და ანთროპოლოგია მათი ენდემურია, ანუ კავკასიური, მაშინ, როდესაც სკვითების გენეტიკა ირანულ-ბაქტრიული ტიპის R1a ნაწილობრივ, ნაშთის სახით, როგორც არაპირდაპირი გენეტიკა, შემორჩენილია ყარაჩაელებში და არა ოსებში [klyosov 2013].

ძირითადია J2a ჰაპლოჯგუფის მაჩვენებელი ცენტრალურ და დასავლეთ კავკასიაში: ფიქსირდება მისი ორი განშტოება (ქვეტიპი) J2a და J2a1b. აქ შემოდინა: ოსები, შაფსუდი ჩერქეზები, აფხაზები, ქართველები (20% მამრობითი სქესის მოსახლეობა). სხვადასხვა ერის (ეროვნების) წარმომადგენლებში ამ ჰაპლოჯგუფის ფიქსირება იმის მომასწავებელია, რომ ეს ჰაპლოჯგუფები ბევრად უფრო ადრინდელი წარმონაქმნია, ვიდრე ცალკეული ერის წარმოშობა. ცხადია, 7 ათასი წლის წინ კავკასიის მოსახლეობა ჯერ კიდევ არ იყო ერებად დიფერენცირებული, მაგრამ ძირითად ჰაპლოჯგუფებად G2a და J2a სახეობების პოვნირება (არსებობა) იმაზე მიუთითებს, რომ კავკასიის აბორიგენი ხალხების **ეროვნული სხეულები** იქმნებოდა სწორედ ამ ორი უძველესი ჰაპლოჯგუფის მატარებელი პოპულაციებისაგან. ასეთივე ვითარებაა სომხეთშიც, რომლის ნაწილიც აჩვენებს როგორც G2, ისე J2a ჰაპლოჯგუფებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსულ ინდოევროპულ სომხებში გაითქვიფა ადგილობრივი კავკასიური მოსახლეობა: ურარტუელები, ჰურიტები და ქართველები, რომლებიც G2a და J2a გენეტიკის მატარებლები იყვნენ. რა თქმა უნდა, სომხებში, როგორც ინდოევროპული მოდემის ხალხში, ფიქსირდება R1a ჰაპლოჯგუფიც, განსხვავებით ოსებისაგან. ამ უკანასკნელში თითქმის მთლიანად ადგილობრივ/ენდემური ჰაპლოჯგუფი იჩენს თავს - G2a და J2a, ისევე, როგორც ყარაჩაელებსა და ბალყარელებში. ამიტომაც სწორია ის თვალსაზრისი, რომელიც ამტკიცებს, რომ ისტორიულად ყარაჩაელებსა და ბალყარელებში, ისევე, როგორც

დადესტნის ყუმიკებში თურქული ენის ათვისება განხორციელდა მხოლოდ, საკუთრივ კავკასიური ენების დავიწყების ხარჯზე, ხოლო მოსახლეობაში გენოტიპი (ჰაპლოტიპი) უცვლელი დარჩა, ვინაიდან მისი (მოსახლეობის) შედგენილობის მნიშვნელოვანი ცვლილება არც მომხდარა.

აღმოსავლეთ კავკასიის მოსახლეობაში ძირითადია J2a (ინგუშებში 80%-ზე მეტი, ჩეჩნებში 56%), თუმცა G2a აქაც (ინგუშებში ნაკლებად, ჩეჩნებში მეტად) ფიქსირდება: დადესტანში G2a ჰაპლოჯგუფი 18-20%-ში მერყეობს, ხოლო J1 ძირითადი ჩანს, ეს უკანასკნელი ასევე ახასიათებს ებრაელებს, არაბებს, ბედუინებს და მესოპოტამიელ, ახლოაღმოსავლეთის უძველეს ხალხებს, თანაც ებრაელებში J1-ის ყველაზე ახალი სახეობაა ძირითადი. ცხადია, აქაც იგივე უნდა გავიმეოროთ, რაც ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ამ ჰაპლოჯგუფების არსებობა განსხვავებული წარმომავლობის ხალხებში ბუნებრივია, ვინაიდან გენეტიკა წინ უსწრებს ერთა წარმოშობას, მაგრამ ამავდროულად ადგილობრივ/ენდემური პოპულაცია/ჰაპლოჯგუფების გამოყენებით ხდება ამა თუ იმ ხალხის სხეულის შენება, რაც გამორიცხავს მიგრაციებს, ანუ ხალხთა მიგრაციებით კი არ ვხსნით კავკასიაში და ახლო აღმოსავლეთში ერთნაირი გენეტიკის არსებობას, არამედ იმით, რომ ადგილობრივი გენეტიკა იქნა გამოყენებული რეგიონის ხალხთა სხვადასხვა ეროვნული სხეულების ჩამოსაყალიბებლად, ვინაიდან ვიმეორებთ, გენეტიკა ბევრად უფრო ძველია, ვიდრე ისტორიულად ფიქსირებული ნებისმიერი ერი დედამიწის ზურგზე. თუმცა მიგრაციის არსებობას სავსებით, რა თქმა უნდა, ვერ გამოვრიცხავთ. ასე მაგალითად, ინდოეთის უმაღლეს კასტებში (ძირითადად ბრაჰმანებში) ფიქსირდება როგორც G2a, ისე J2a, რაც უსათუოდ მიგრაციის შედეგია. მეტად დოზირებული (მცირე) მიგრაციის შედეგად აღმოჩნდა R1a ჰაპლოჯგუფი საქართველოში, რომლის (ქართულ-ოსური) წინაპარი 5 ათას წელს ითვლის (5000 წლის წინანდელია).

ასე რომ, თუ შევადარებთ ერთმანეთს კავკასიის ხალხთა ენობრივ და გენეტიკურ მონაცემებს, აღმოჩნდება, რომ უძველესი პერიოდის კავკასიის მოსახლეობა ყალიბდებოდა ადგილობრივი ჰაპლოჯგუფების ბაზაზე (G, J სხვადასხვა ქვეჯგუფებით). ეს ჰაპლოჯგუფები ასევე თავს იჩენენ ევროპის უძველეს სამარხებსა და ნაწილობრივ მთიანეთში, როგორც უძველესი მოსახლეობის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი. იმავე ჰაპლოჯგუფს ჩვენ ვხედავთ ეტრუსკებში (იტალია), ანატოლიასა და ახლო აღმოსავლეთში (შუამდინარეთი, მესოპოტამია). კითხვა ისმის – რატომ? პასუხი ერთი შეიძლება იყოს: უძველეს პერიოდში, ქრისტეს წინ მეექვსე-მეხუთე ათასწლეულებში არსებობდა იბერიულ-კავკასიური ენობრივ-ეთნიკური ერთობა G და J გენეტიკით, რომელიც გადაჭიმული იყო იმ პერიოდის ესპანეთ-საფრანგეთიდან ცენტრალური და სამხრეთ ევროპისა და ანატოლიის გავლით კავკასია-შუამდინარეთამდის. სწორედ აქ, ერთმანეთს გენეტიკურად და ენობრივად დაკავშირებულმა ხალხებმა შექმნეს (ჩინურსა და ეგვიპტურთან ერთად) დედამიწის პირველი ცივილიზაციები. ესენია: შუმერი, მითანი/ჰური/ურარტუ, ხათი/ხათუსა, ეტრურია/იბერიის ჩათვლით. რაზეც ნათლად მიუთითებს უძველესი ენობრივი მონაცემები. უკვე დღეს დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ამ უძველესი ცივილიზაციის ცოცხალი გადმონაშთები (წევრები) არიან: ქართველები, რომელთა ისტორიულ-გენეტიკური კავშირი შუმერებთან გაზიარებულია [ფენრიხი 1981]. ქართველების მსგავსად, ჩერქეზთა წინაპრები ქმნიან უძველეს სახელმწიფოებს ანატოლიაში, ესენია **ხათი/ხათუსა**, რომელიც თანამედროვე ჩერქეზთა სუბეთნიკური ჯგუფის სახელწოდება **ხათუ**-ქა-ში მეორდება, **ფახუვა** (მეორდება თანამედროვე **ფახუა** „უბიხი“ ეთნონიმში) და **აბეშლა** (მეორდება თანამედროვე აფხაზურ სუბეთნიკურ სახელში **აბაზა**). ცნობილი მეცნიერები იან ბრაუნი და ვიარესლავ ივანოვი, რომელთაც ჩერქეზების ნათესაობა ხათებთან დაამტკიცეს, გამოთქვამდნენ თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ ხათების ენა, რომელიც გენეტიკურად უკავშირდება სინდურ-ქართველურ ენობრივ

სამყაროს, შეასრულებს ისეთსავე როლს კავკასიოლოგიაში, როგორც თავის დროზე სანსკრიტს ჰქონდა ინდოევროპული ენებისა და კულტურის შესწავლისათვის [ივანოვი 1985; ბრაუნი 2002].

ამავდროულად დამტკიცებული და საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ხალხთა შორის ნათესაობის დასადასტურებლად ყველაზე უფრო რეალური ჩანს ენობრივი მასალის ურთიერთშედარება. მეტიც, ხალხთა გენეტიკა შეიძლება შეიცვალოს (როგორც ბასკებში მამრობითი მოსახლეობის განადგურება/ინდოევროპულით ჩანაცვლების გამო), მაგრამ ენობრივი ფაქტები, რეგულარულ-კანონზომიერ და სისტემურ შესატყვისობებს დაფუძნებული, უცვლელია დროსა და სივრცეში.

აქვე მოგვიწევს ზოგი განმარტების გაკეთება ჩვენ მიერ გამოყენებულ ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით. კერძოდ, ივანე ჯავახიშვილის კვალდაკვალ, აფხაზურ-ადილური ენების აღსანიშნავად მოვიხმართ სინონიმურ ტერმინს **სინდური** ენები, საერთოსინდური ენა (ფუძე-ენა) და სხვ. ასევე, ჩვენ ერთმანეთისაგან გავარჩევთ საერთოსინდურსა და წინარესინდურს, ამ უკანასკნელს საერთოხათურ-სინდური ენობრივი ერთობის წინაპარ ფუძე-ენად მივიჩნევთ, რომელიც უშუალოდ მომდინარეობს პალეოკავკასიური (იბერიულ-კავკასიური) ფუძე-ენისაგან. იგივე მიმართებაა საერთოქართველურ და წინარექართველურფუძე-ენებს შორისაც.

ახლა კი, განვიხილოთ თითოეული ლოკალური რიგის სინდურ-ქართველური კორესპონდენციები ცალ-ცალკე. ყოველი ბგერათშესატყვისობის საილუსტრაციოდ, ადგილის სიმცირის გამო, მხოლოდ სამ-ოთხ ნიმუშს წარმოვადგენთ, თუმცა მაგალითები გაცილებით მეტია.

§3. წყვილბაგისმიერები. საერთოკავკასიური ფუძე-ენიდან მომდინარე ბილაბიალური თანხმოვნები ძირითადად სრულად არის შემონახული ორივე ჯგუფის ენებში. იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის დასახელებულ ჯგუფებს გამოარჩევს ბილაბიალური **პ** მკვეთრის პოვნირება ფუძე-ენათა დონეზე; საერთოდ, ამ ენებისთვის უცხოა **ბ** → **ფ**, **ფ** → **პ/პ**. ბილაბიალურ ხშულთა რიგის მოშლის მომასწავებელი ფონეტიკური გარდაქმნები, რომელიც დამახასიათებელი, დღემდე მოქმედი, ფონეტიკური პროცესებია ნახურ და დაღესტნურ ენებში. თუმცა ანგარიშგასაწევია **ბ** → **დჟ**, **ფ** → **თჟ**, **პ** → **ტჟ** ტრანსფორმაციები უბიხურ ენაში, რომელიც ფაკულტატიურ ხასიათს ატარებს. როგორც მოსალოდნელი იყო, აქ რეგულარულ-კანონზომიერ ბგერათშესატყვისობათა ჩვენება იდენტურია. გამოვლინდა შემდეგი ფონემური მიმართებები: ს.-ქართვ. **ბ** ~ ს.-სინდ. **ბ** (I); ს.-ქართვ. **ფ** ~ ს.-სინდ. **ფ** თანამედროვე ქართველურ და სინდურ (აფხაზურ-ადილურ) ენათა ფონოლოგიური სისტემები ერთმანეთისაგან სიბილანტ-თანხმოვანთა შედგენილობის თვალსაზრისითაც სხვაობენ. როგორც ცნობილია, ქართველურ ენებში გვაკლია შუანუნისმიერი (resp. სისინ-შიშინა) სიბილანტები, რომლებიც სინდურ ენებს დღემდე შემოუნახავს. მითითებულ ფონოლოგიურ ინვენტარში ფიქსირებული განსხვავება აისახება ბგერით მიმართებებშიც, რომელიც ქართველურ-სინდურ ძირეულ ლექსიკაში ვლინდება. კერძოდ, აქ თავს იჩენს რეგულარულ და კანონზომიერ ბგერათშესატყვისობათა სამი ტიპი: პირველ სახეობაში გაერთიანდება ს.-ქართვ. სისინა (ძ ც წ ზ ს) ~ ს.-სინდ. სისინ-შიშინა (ძ ც წ ზ ს), მეორე ტიპში – ს.-ქართვ. სისინა (ძ ც წ ზ ს) ~ ს.-სინდ. სისინა (ძ ც წ ზ ს) მიმართებები მიმართებები (იხ. ქვემოთ I და II); ხოლო მესამეში – ს.-ქართვ. სისინა (ძ ც წ ზ ს) ~ ს.-სინდ. შიშინა (ჯ ჩ ჭ ქ შ) (III); ს.-ქართვ. **ბ** ~ ს.-სინდ. **ბ** (I); ს.-ქართვ. **ფ** ~ ს.-სინდ. **ფ** (II); ს.-ქართვ. **პ/ბ** ~ ს.-სინდ. **პ/ფ/ბ** (III); ს.-ქართვ. **ბ/მ** ~ ს.-სინდ. **ბ/მ** (IV); ს.-ქართვ. **მ**-ს.-სინდ. **მ** (V); ს.-ქართვ. **ჟ** ~ ს.-სინდ. **ჟ** (VI); იხ. ქვემოთ:

I. ს.-ქართვ. ბ ~ ს.-სინდ. ბ

(1) ს.-ქართვ. *ბოგ-(ურ-) „მუწუკი; გამონაყარი“ (ქართ. ბუგ-რ-ი, ბუგ-რ-ებრ-ი, ზან. (ლაზ.) ფუქ-ურ-ი) ← *ბუგ-ურ-ი „ყვავილი“, სვან. ბოგ-ირ // ბუგ(უ)-ირ „ყვავილი (დაავადება)“ : ს.-სინდ. *ბაგუ- „კანის გამონაყარი“ (ადილ. ბაგუტ, ყაბ. ბაგუ, უბიხ. ბაგუ „გამონაყარი კანზე“)

(2) ს.-ქართვ. *ბიბილ- „ბიბილო“ (ქართ. ბიბილ-ო, ზან. (ლაზ.) ბიბილ-ი, მეგრ. ბირბილ-ი „ბიბილო“) : ს.-სინდ. *ბებე „დინდლიანი; ბუმბული“ (უბიხ. დტებდტს ← *ბებს „დინდლი, ბუმბული“, აფხაზ. ა-ბაბა, აბაზ. ბაბა „დინდლიანი; ბუმბული“, შდრ. დალ.: ჰინუხ. ბაბ, ბეჟიტ. ბაბ „დიდი წვერი“)

(3) ს.-ქართვ. *ბყუ-ილ-/*ბიყუ- „უსინათლო, დაბრმავება; ბრიყვი“ (ქართ. ბრყვლ-ი // ბრყვ-ილ-ი „უსინათლო“, და-ბრყვ-ილ-ებ-ა „თვალთ სინათლის დაკლება“, ბრიყვ-ი, ზან. (მეგრ.) ბიყვ-ალ-ი „ბრიყვი, ჭკუასუსტი“) : ს.-სინდ. *ბლ-ა „ცუდი მხედველობა“, (ადილ. ნა-ბლა, ყაბ. ნა-ბლნ „ცუდი მხედველობა“).

II. ს.-ქართვ. ფ ~ ს.-სინდ. ფ

(1) ს.-ქართვ. *ფათ-ა „თმა, ფრთა“ (ქართ. ფთა // ფრთა, ზან. ფუთა // ბუთა „მატყლის სახეობა“, ფურთ-ინ- „ფრენა“, სვან. ფათუ(-არ) „თმა“) : ს.-სინდ. *ფთუ-ა „ცხვრის ნაკრეჭი თმა“ (აფხაზ. ა-ფთუა, აბაზ. ბჰუა ← *ფთუა „ცხვრის ნაკრეჭი“, შდრ. ს.-ნახ. *ფათ-არ- „თხის მატყლი/თმა“)

(2) ს.-ქართვ. *ფის-ე „კუპრი, ფისი“ (ქართ. ფის-ი, ზან. (ლაზ.) ფის-ა, მეგრ. ფირს-ა „ნამდვისებრ მცენარეთა წებოვანი წვენი“, სვან. ფისე „ფისი, კუპრი“) : ს.-სინდ. *ფეს „ნამძვი; სოჭი“ (ადილ. ფს-ეგ, ყაბ. ფსე-ე, უბიხ. ფსგ-ლტუნგ „ნამძვის ხე“, აფხაზ. ა-ფსა „სოჭი“, აბაზ. ფსა-ჯუა „ტირიფი“)

(3) ს.-ქართვ. *ფარ-ენ-/*ფარ-ინ- „ფრენა“ (ქართ. ფრ-ენ-ა, ი-ფრ-ინ-ა, (მ)ფრ-ინ-ვ-ელ-ი, ზან. ფურ-ინ-ი „ფრენა“, მა-ფურ-ინ-ალ-ი „ფრინველი“, მა-ფურ-ინ-ჯ-ე // ფურ-ინ-ჯ-ა „ფრინველი“) : ს.-სინდ. *ფარ- „ფრენა“ (უბიხ. ფერ-, სგ-ფერ-ენ, აფხაზ. ა-ფერ-რა, აბაზ. (აშხარ.) ფერ-რა „ფრენა“).

III. ს.-ქართვ. პ/ბ ~ ს.-სინდ. პ/ფ/ბ

(1) ს.-ქართვ. *წოპ- „ჭიპი“ (ქართ. წოპ-ი (საბა), ზან. (ლაზ.) წიპ-ა, მეგრ. ჭიპ-ე // ჭიპ-ი „ჭიპი“) : ს.-სინდ. *ნა-ჭაპ- „ჭიპი“ (აფხაზ. ა-ჭაპან ← *ა-ნაჭაპ, ადილ. ნებგჰ, ყაბ. ბენჟა „ჭიპი“)

(2) ს.-ქართვ. *პეუ „გაპობა, გაყოფა“ (ძვ. ქართ. გან-პ-ებ-ა, ახ. ქართ. ა-პ-ობ-ს, გა-ა-პ-ო, სვან. ნნ-პუ „ნაჭერი; ლუკმა“, შდრ. ხ-ე-პ-ენ-ი „სკდება“) : ს.-სინდ. *პნ- „გაკვეთა“ (ადილ. (ჭემგ.) -პნ-სიტყვაში უტ-პნ-ნ „გაკვეთა“, აფხაზ. ა-პ-რან „დაკეპა“)

(3) ს.-ქართვ. *ბჰენ- „ტყვია“ (ქართ. ბრჰენ-ი → // პრჰენ-ი „ტყვია“) : ს.-სინდ. *მჰნ- „ტყვია“ (უბიხ. მჰა „ტყვია“)

(4) ს.-ქართვ. *პეწ- „პეწი, ბრწყინვალეობა, სუფთა; ლაზათი“ (ქართ. პეწ-ი, პეწ-ენ-იკ-ი „პეწიანი, კოხტა, ლამაზი“, ზან. (ლაზ.) პანჰ-, შდრ. ტოპ. პანჰ-ოლ-ი // პანჰ-ოლ-ა, სვან. პიჰ „პეწი, სილამაზე“) : ს.-სინდ. *პწნ „სუფთა“ (უბიხ. პწა „სუფთა“, შდრ. დალ.: ლაკ. მარწ „სუფთა“, უდ. მაწი // მაცაი „სუფთა, თეთრი“)

IV. ს.-ქართვ. ბ/მ ~ ს.-სინდ. ბ/მ

(1) ს.-ქართვ. *ბოქუ-ენ- „ბოქვენი, მუცელი“ (ქართ. ბოქვენ-ი, ზან. (ლაზ.) ქორბა ← *ბორქუა „მუცელი“) : ს.-სინდ. *მგუ-ა „მუცელი“ (უბიხ. ნგუტა ← *მგუტა, აფხაზ. ა-მგუტა, აბაზ. მგუტა „მუცელი“)

(2) ს.-ქართვ. *მთ-ელ- „მრთელი“ (ქართ. მთელ-ი // მრთელ-ი, ჯან-მრთელ-ი, ზან. მთინ-ი → // თინ-ი „სწორი“, თარ-ი ← *მთარ-ი „მრთელი, ჯანმრთელი“) : ს.-სინდ. *ბეთა- „ძლიერი, მდგრადი“ (ადილ. ფეთა ← *ბეთა, ყაბ. ბედა ← *ბეთა „ძლიერი, მკვრივი, მდგრადი“)

(3) ს.-ქართვ. *ვემ-ალ- „ხმალი, დანა“ (ქართ. ვმალ-ი → // ვრმალ-ი // ხმალ-ი, ზან. ხამე → // ხამ-ი „დანა“, შდრ. მრავლ. რ. ხამუ-ეფ-ი // ხამუ-ეფ-ე) : ს.-სინდ. *ვაბ-ა „სახნისი“ (აბაზ. ვაბა „სახნისი“, შდრ. დალ.: ანდ. ენ. ყებ., დარგ. ლაბ „სახნისი“, ს.-ნახ. *მაჯ- „id“)

V. ს.-ქართვ. მ ~ ს.-სინდ. მ

1) ს.-ქართვ. *მაჩუ- „მაჩვი“ (ქართ. მაჩუ // მაჩუ-ი // მაჩვი-ი, ზან. მუნჩქე-ი, სვან. მინჩქუ „მაჩვი“) : ს.-სინდ. *მეცუ-ა „დათვი“ (ჩერქ. მესა ← *მესუა, უბიხ. მეშუა, ა-მშუა აფხაზ. ა-მშუ, აბაზ. მშუგ „დათვი“)

(2) ს.-ქართვ. *მეველ- „მკლავი, ხელი“ (ქართ. მეველ-ნ-ი „მკლავი“ (საბა), სვან. მევერ // მევერ // მევერ „ხელი (იდაყვამდე)“) : ს.-სინდ. *მაჯა- „მკლავი, უბე“ (უბიხ. მეჯა „უბე“, აბაზ. მაჯა „ხელი, მკლავი“)

(3) ს.-ქართვ. *მა- „ჩვენ. ნაცვ.“ (ქართ. მა-ნ, ა-მა-ნ, მა-ს, ი-მა-ნ, ი-მა-ს, ზან. მუ „ის, თვითონ“, მუ-ქ „მან“, მუ-ნ-ეფ-ი „ისინი“, ე-მუ-ქ „ის, იმან“, სვან. ა-მა-ს „ამას“, ა-მა-უ „აქამდე“) : ს.-სინდ. *მე- „ჩვენ. ნაცვ.“ (ადილ. მე, ყაბ. მე „ჩვენ. ნაცვ.“)

VI. ს.-ქართვ. უ ~ ს.-სინდ. უ

(1) ს.-ქართვ. *ლუით- „ხვითო, ჯადოქარი“ (ქართ. ღვთა-ება, ზან. ხვით-ო, ნა-ხუთ-ა ← *ნა-ხვით-ა „ჯადო, ხვითო“) : ს.-სინდ. *ლუედ- „ჯადოქარი“ (ადილ. უდედ, ყაბ. უდ, უბიხ. უდედ „ჯადოქარი“; ამ ძირის ანლაუტური სახეობისათვის შდრ. ლაკ. ხურთა-მა „ჯადოქარი“)

(2) ს.-ქართვ. *შუელ- „შველი, ირემი“ (ქართ. შუელ-ი // შველ-ი, ზან. სქვერ-ი // ლაზ. მსკვერ-ი // მსქვერ-ი ← *შქარ-ი „შველი, ირემი“) : ს.-სინდ. *შუა- „ირემი; ნადირი“ (აფხაზ. ა-შუა-რა-ხ, აბაზ. შუა-რა-ხ „გარეული ცხოველი, ნადირი“, აბაზ. შუტ-რ „ირემი“, უბიხ. ლა-შუა „ნადირობა“, შდრ. უბიხ. სუა-კა ← *შუა-კა „მონადირე“)

(3) ს.-ქართვ. *ხუირ-(ა) „ხვადი“ (ქართ. ხვირ-ა „ხვადი კატა“, ზან. ხვანჯ-ა ← *ხვინჯ-ა „მამალი ღორი, დაუკოდავი“, სვან. ხუირ „ხვადი“) : ს.-სინდ. *ხუა- „მამრი, ბოჩოლა“ (აფხაზ. ა-ჰუტ-ს (მრავლ. რ. ა-ჰუა-რა), აბაზ. ჰუტ-ს (მრავლ. რ. ჰუა-რა) „ბოჩოლა“, ადილ. ხუტ, ყაბ. ხუტ, უბიხ. ხუტ „მამრი“)

§4. **დენტალური რიგი.** საერთოიბერიულ-კავკასიური ფუძე-ენის დენტალური რიგის ხშულთა სპეციფიკურ თვისებად უნდა ჩაითვალოს მათი ოთხწევროვანი შედგენილობა. კერძოდ, თანხმოვანთა ამ რიგში, ისევე, როგორც სიბილანტ-აფრიკატებში (სისინა, შიშინა), წინარე-ენათა ქრონოლოგიურ დონეზე ფუნქციონირებდა არამჟღერ კონსონანტთა ფონოლოგიური ღირებულების კორელაცია – სადა ~ გრძელი, ანუ არაინტენსიური ~ ინტენსიური: *თ ~ *თა, შდრ. სიბილანტური რიგის *ც ~ *ცა, *წ ~ *წა და *ჩ ~ *ჩა, *ჭ ~ *ჭა კორელაცია. ამგვარი დაშვების საფუძველი თითქოს ჩანს ბერათმესატყვისობათა დენტალური რიგის მაჩვენებლებში. აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ამოსავალ ფონემათა (resp. არქიფონემათა) განსხვავებული რეფლექსაცია; ირკვევა, რომ ფუძეენური წარმომავლობის ყრუ ფშვინვიერი *თ განსახილველ ენებში ისტორიულად არ შეცვლილა (იხ. ქვემოთ, II: ს.-ქართვ. თ ~ ს.-სინდ. თ ფონემური ოპოზიციის

ყველა ნიმუში), მაშინ, როდესაც ამოსავალი ინტენსიური *თა არქიფონემის რეფლექსაცია განსხვავებულია როგორც ქართველურ, ისე აფხაზურ-ადიღურ ენებში; უფრო ზუსტად, წინარექართველური *თა გვიანსაერთოქართველურში უკვე გადასული ჩანს სთ ბგერათკომპლექსში, რომელმაც სვანურში შდ-/შტ- (← *შთ) ალოფონები განივითარა, ხოლო აფხაზურ-ადიღურ ენებში წინარესინდური *თა ფონემა რეალიზებულია აფხაზურ-ადიღურ ენათა ნებისმიერ პოზიციებში დამახასიათებელი ძ/ძ (← *თა) ტრანსფორმაციით; აფრიკატიზაციის ფონეტიკური პროცესისთვის იხ. ქვემოთ: ს.-ქართვ. სთ ~ ს.-სინდ. ძ/ძ შესატყვისობათა ნიმუშები.

ისტორიულად აფხაზურ-ადიღურ ენა-კილოთა სიტყვის თავკიდური პოზიციისათვის სპეციფიკურ ფონეტიკურ გარდაქმნად უნდა ჩაითვალოს *დ → რ ვიბრანტიზაციის პროცესი – როტაციზმი, რაც ტიპოლოგიურად ეპარალელეზა დადესტნურ ენათა სათანადო მონაცემებს (იხ. ქვემოთ: ს.-ქართვ. დ ~ ს.-სინდ. დ შესატყვისობის ნიმუშები).

ამრიგად, ქვემოთ აღწერილ ფუძეეწურ მონაცემთა მიმართებების საფუძველზე წინარექართველური და წინარესინდური ქრონოლოგიური დონისათვის შესაძლებელი ჩანს დენტალური რიგის ხშულ თანხმოვანთა ოთხეულებრივი სისტემის *დ *თ *თა *ტ რეკონსტრუქცია:

I.ს.-ქართვ. დ ~ ს.-სინდ. დ (→ აფხაზ.-აბაზ. რ)

(1) ს.-ქართვ. *დღე- „დღე“ (ქართ. დღე, ზან. დღალ-(ეფ-ე/ი) „id“, სვან. ლა-დღელ „id“, შდრ. ზან. გო-ღა ← *გო-ღლა „გუმინ“, ზედმიწ. „გასული დღე“) ~ ს.-სინდ. *დღღ-ა „მზე“ (ადიღ. თგღა, ყაბ. დგღა, უბიხ. ნღღა „მზე“, შდრ. ადიღ. თგღჟას, ყაბ. დგღ-ჟასჟ „გუმინ“)

(2) ს.-ქართვ. *დაბ-ა „სახნავი მიწა; ყანა“ (ქართ. დაბა, უ-დაბ-ნ-ო, უ-დაბ-ურ-ი „სოფლელი“, ზან. (მეგრ.) დობ-ერ-ა // დობ-ირ-ა „სახნავი მიწა“, ლაზ. დობა „მიწა“, შდრ. დობა-წიწი „ჭიკაყელა“, სვან. დაბ „ყანა“) : ს.-სინდ. *დჟ-გ „მინდორი“ (აფხაზ. ა-დჟგ „მინდორი“, უბიხ. დჟგ „ველი“)

(3) ს.-ქართვ. *დაჯ-ალ- „თხა“ (ქართ. თხა, ზან. თხალ-(ეფ-ი/ე) „id“, სვან. დაჯგლ „id“) ~ ს.-სინდ. *დახჟ- „პირუტყვი, საქონელი“ (აფხაზ. ა-რახჟ ← *ა-დახჟ, აბაზ. რახჟ ← *დახჟ „საქონელი“)

(4) ს.-ქართვ. *დემა „შემა“ (ქართ. შემა, შდრ. ძვ. ქართ. მ-რემჟ-ელ-ი „მემჟემჟ“, ზან. დიშქა // დიშკა „შემა“) : ს.-სინდ. *რამ- ← *ღამ- „ხის სახეობა“ (აფხაზ. ა-რამ „თელის სახეობა“, შდრ. დაღ.: ანდ. ენები რემა/როშა/რუმა „ტყე, შემა“, დარგ. დეხ „ძელი, მორი“, ს.-ნახ. *ღოს „შემა“)

II. ს.-ქართვ. თ ~ ს.-სინდ. თ

(1)ს.-ქართვ. *ქართ-ა „შემოღობვა, ღობე; დასახლებული ადგილი“ (ქართ. ქართა „შემოღობილი ადგილი“, ზან. ქერთა // ქეთა „მჭიდროდ დასახლებული ადგილი“, შდრ. ქუთა-ია, ქუთა-იშ-ი, სვან. ქერთ- „ღობვა“, ლგ-ქერთ-ე „შემოღობილი“) ~ ს.-სინდ. *ქათ-ა „სოფელი; ბაკი“ (ადიღ. ჩათ, ყაბ. ჩათ ← *ქათ „ბაკი, ცხვრის სადგომი“, აფხაზ. ა-ქეთა, აბაზ. ქეთ „სოფელი“)

(2) ს.-ქართვ. *რთჟ- „შერთვა“ (ქართ. ე-რთვ-ი-ს, ზან. ა-რთ-უ-(ნ) „ერთვის“) ~ ს.-სინდ. *თჟ- „მიცემა“ (ადიღ. თ-გნ, ყაბ. თ-გნ, უბიხ. თჟ-ა „მიცემა“, აფხაზ. ა-თა-რა, აბაზ. თა-რა)

(3) ს.-ქართვ. *თეთჟ- „თეთრი; ვერცხლის ფული“ (ქართ. თეთ-რ-ი „სპეტაკი“ (საბა), შდრ. თუშ. თეთ-რ-ი „ყველი, ხაჭო“, ზან. (მეგრ.) თანთ-ე „თეთრი, ფითქინა“, ო-თანთ-ალ-აია „გაქათქათებული“, სვან. თეთჟ-ნე // თჟეთჟ-ნე „თეთრი“, თეთჟ-რა „თეთრი ძროხა“) : ს.-სინდ. *თათჟ-ა „ვერცხლი, ოქრო“ (უბიხ. თჟათჟა „ვერცხლი, ოქრო“, შდრ. ს.-ნახ. *დათეჟ „ვერცხლი“)

III. ს.-ქართვ. ტ ~ ს.-სინდ. ტ

(1) ს.-ქართვ. *ტახტ-იჲ- „ტყვია“ (ქართ. ტყუივ-ა // ტყვი-ა, ზან. ტყვირ-ი, შდრ. ტოპ. ტყვირი (აბაშა), სვან. ტყუიჲ // ტყუი „ტყვია“) ~ ს.-სინდ. *ტგა „ტყვია“ (აფხაზ. ა-ტსა → // ა-წსა, აბაზ. ტსა „ტყვია“)

(2) ს.-ქართვ. *მატ-ალ- „მატლი“ (ქართ. მატლ-ი, ზან. მუნტურ-ი „მატლი“, სვან. მგტ ← *მატჲ "id") ~ ს.-სინდ. *მატ- „გველი“ (უბიხ. ანტა ← *ამტა ← *მატა „გველი“)

(3) ს.-ქართვ. *ლატ-ე „მიწა; ტალახი“ (ზან. (ლაზ.) ლეტა „მიწა“, მეგრ. ლეტა „ტალახი“) : ს.-სინდ. *ლტ-ჲ „თიხა; ტალახი“ (ადილ. დატ-ჲ „თიხა; ჭუჭყი“, დატ-ა-ლტა „თიხა“, აფხაზ. ა-ლემტ „ჭუჭყი“, შდრ. დალ.: დარგ. ლუტი „ნიადაგი, მიწა“)

IV. ს.-ქართვ. ნ ~ ს.-სინდ. ნ → // დ

(1) ს.-ქართვ. *ნესჲ- „ნესვი“ (ქართ. ნესვ-ი / ნესვ, სვან. ნესგ, კუახ-ნესგ „გოგრა, კვახი“) : ს.-სინდ. *ნას-ა „ნესვი, კიტრი“ (ადილ. ნაშ „ნესვი“, ყაბ. ნასა „კიტრი“, უბიხ. ნაშჲ, აფხაზ. ა-ნაშა, აბაზ. ნაშა „კიტრი“)

(2) ს.-ქართვ. *შინ-დ- „შინდი“ (ქართ. შინდ-ი // შუინდ-ი, ტოპ. შინდ-ის-ი, ზან. {სქინდ-}, სქინდ-ონ-ა (ტოპ.), ზედმიწ. შინდნარი) : ს.-სინდ. *სტან-ა „ყურძენი“ (ადილ. სანა „ყურძენი“, ყაბ. სანჲ „მოცხარი“)

(3) ს.-ქართვ. *ღონ- „დღესასწაული“ (ძვ. ქართ. ღონ-ი „კერპი“, ზან. ხუ ← *ღუნ, დღა-ხუ „დღესასწაული“, სვან. ღგნ „დღესასწაული“, ღგნ-ჲრუ „დღესასწაულების პერიოდი“) : ს.-სინდ. *ღან- „სეზონი, დრო“ (აფხაზ. ან ← *ა-ჲან, აბაზ. ჲან, ჩერქ., უბიხ ღა ← *ღან „დრო, სეზონი“)

(4) ს.-ქართვ. *ნირჲ- „შრატი“ (ქართ. ნერლ-ი // ნირლ-ი, ხევს. ნირჲ-ი) : ს.-სინდ. *დგხჲ- „დამდნარი კარაქი; ქონი“ (ადილ. თხტჲ, ყაბ. თხტჲ „კარაქი“, უბიხ. თხტჲ „ქონი“).

§ 5. სისინა სიბილანტები. თანამედროვე ქართველურ და აფხაზურ-ადილურ (სინდურ) ენათა ფონოლოგიური სისტემები ერთმანეთისაგან სიბილანტ-თანხმოვანთა შედგენილობის თვალსაზრისითაც სხვაობენ. როგორც ცნობილია, ქართველურ ენებში გვაკლია შუანუნისმიერი სისინ-შიშინა სიბილანტები, რომლებიც სინდურ ენებს დღემდე შემოუნახავს. მითითებულ ფონოლოგიურ ინვენტარში ფიქსირებული განსხვავება აისახება ბგერით მიმართებებშიც, რომელიც ქართველურ-სინდურ ძირეულ ლექსიკაში ვლინდება. კერძოდ, აქ თავს იჩენს რეგულარულ და კანონზომიერ ბგერათშესატყვისობათა სამი ტიპი: პირველ სახეობაში გაერთიანდება ს.-ქართვ. სისინა (ძ ც წ ზ ს) : ს.-სინდ. სისინ-შიშინა (ძ ც წ ზ ს), მეორე ტიპში – ს.-ქართვ. სისინა (ძ ც წ ზ ს) : ს.-სინდ. სისინა (ძ ც წ ზ ს) მიმართებები, ხოლო მესამეში – ს.-ქართვ. სისინა (ძ ც წ ზ ს) : ს.-სინდ. შიშინა (ჯ ჩ ჭ ქ შ) (იხ. ქვემოთ I, II და III).

სიბილანტურ ბგერათშესატყვისობათა ფორმულები:

I. ს.-ქართვ. სისინა : ს.-სინდ. სისინ-შიშინა

ს.-ქართვ. ძ ~ ს.-სინდ. ძ

(1) ს.-ქართვ. *ძამ-ალ- „ციყვი“ (ძვ. ქართ. ძამლ-ი „ვირთაგვა“, ზან. (ლაზ.) ძემურ-ი „ვირთაგვა (მთის)“, ძენურ-ი „ციყვი“, სვან. ჯინირ „ციყვი“) : ს.-სინდ. *ძჲა „მელია; ტურა“ (ადილ. -ს „ტურა“,

სიტყვაში ბაჯა-ს „მელია“, უბიხ. -შუ „ტურა“, სიტყვაში ბაჯა-შუ „ტურა“, აფხაზ. (ბზიფ.) -შუა- „მელა“, სიტყვაში ა-შუა-ბა „წითელი მელია“)

(2) ს.-ქართვ. *ძუელ- „ძველი“ (ქართ. ძუელ-ი, და-ძველ-ებ-ა, ზან. (ლაზ.) მჯვე, მჯვე-ში-ი, მეგრ. ჯვე-ში-ი „ძველი“, სვან. ჯტინელ ← *ჯტელ-ინ „ძველი“): ს.-სინდ. *ძუგ- „ძველი“ (ადილ. ზუგ, ყაბ. ზუგ „ძველი“, უბიხ. ჟტე „ძველი“, აფხაზ. ა-ჟტაბაზ. ჟტე „ძველი“, შდრ. ჩეჩნ. ჯრ-ა-ბაბა, ინგუშ. ჟერ-ნანა // ჟერ-ბაბი „მოხუცი ქალი, დედაბერი“)

(3) ს.-ქართვ. *ძალტ- „შეჯავრება, ჯავრი“ (ძვ. ქართ. გ-ძალტ-ს „გეჯავრება“): ს.-სინდ. *ძალტ-ს „სიძულვილი“ (ადილ. (აბმახ.) ჟალტ-ნ „სიძულვილი“)

ს.-ქართვ. ც ~ ს.-სინდ. ც

(1) ს.-ქართვ. *ცუხ- „მცუხი; ფიჭის ნაწური“ (ქართ. (იმერ., გურ.) ცუხ-ი „ფიჭის დაწურვის შემდეგ დარჩენილი წვენი, რომლისგანაც თაფლის სანთელს ამზადებენ“, ზან. (მეგრ.) ცუხ-ი „ცვილის ნარჩენი გადადნობის შემდეგ“): ს.-სინდ. ცახტე „ცვილი“; „თაფლის ფიტა“ (ადილ. შაჰ-ე ← შახ-ტე, ყაბ. შახტე „ცვილი“, უბიხ. ცტამლ-ს „თაფლიანი ფიჭა“, აფხაზ. ა-ცხა, აბაზ. ცხა, „თაფლი“)

(2) ს.-ქართვ. *ციქ- „პატარა; ცოტა“ (ზან. (ლაზ.) მ-ციქ-ა // ციქ-ა „ცოტა“, მ-ციქ-ა-მ-ციქ-ა „ცოტ-ცოტა“): ს.-სინდ. ციქ-ე „დაბალი“ (აბაზ. (ტაპანთ.) ჩ-ეჟ „დაბალი“ (მცენარეზე), შდრ. რუთულ. ჯგქა „დაბლა“, ჰურიტული ზუგე „პატარა, დაბალი; მოკლე“)

(3) ს.-ქართვ. *ცუნ- „ცოდნა“ (სვან. ცეხ-, ხ-ო-ცეხ „იცის“, ხ-პ-ცხ-ენ-ა-ხ „სცოდნით“): ს.-სინდ. ცუნ-ე „შენახვა“ (აბაზ. ჯა-ჩტახ-რა, აფხაზ. ა-ცტახ-რა „შენახვა“, შდრ. ლეზგ. ჩირ-უნ „ცოდნა“)

ს.-ქართვ. წ ~ ს.-სინდ. წ

(1) ს.-ქართვ. *წენწ- „ნაწლავი“ (ქართ. (აქარ.) წენწ-ულ-ი „ნაწლავი“, ზან. ჭინჭ-ა // ჭიმჭ-ა „ასფურცელა“, სვან. ჭინჭ-ილ „ნაწლავი“): ს.-სინდ. *წანწ-ა „თირკმელი“ (ადილ. ზაზუგ-ე, ყაბ. ზაზა-ე „თირკმელი“, ს.-ადილ. *წანწ, უბიხ. ჭაჭა „თირკმელი“, აფხაზ. ა-ჭაჭა, აბაზ. ჭაჭა „თირკმელი“, შდრ. დალ.: ხინალ. წიწინ „თირკმელი“)

(2) ს.-ქართვ. *წემ- „წამალი; ბალახი“ (ქართ. წამ-, წამ-ალ-ი, ზან. (ლაზ.) ჭამ-ი „წამალი“, მანჭამ-ურ-ე „მეწამლე“): ს.-სინდ. *წუამ-ე „სურო“ (ადილ. (შაფს.) სტამ-ე-ე „სურო“, შდრ. ახვას. ჭამე „პიტნა“, ჭამალ. ჭამარა „ოროვანდი“)

(3) ს.-ქართვ. *წუედ- „წოდება, მოწოდება; კითხვა“ (ქართ. წოდ-, წოდ-ებ-ა, მო-წოდ-ებ-ა, ხ-უ-წოდ-ა, სვან. ჭოდ- // ჭუედ- // ჭუედ-, ხ-ე-ჭუედ-ელ-ნალ // ხ-ე-ჭუედ-იელ „ეკითხება“, ლე-ხ-ჭოდ-ნი (ლშხ.) „შევეკითხები“): ს.-სინდ. *წადა- „დაძახება, შეძახილი“ (აფხაზ. ა-ჭეთ-რა „დაძახება“; „თქმა, გამოთქმა“, აბაზ. (ტაპანთ.) ჭთა-რა „დაძახება“, ჭეთ-რა „შეძახილი“, შდრ.: ჩეჩნ., ინგუშ. წეთა „სახელი“, წ-თუშ. წეთა „სახელი, დიდება“)

ს.-ქართვ. ზ ~ ს.-სინდ. ზ

(1) ს.-ქართვ. *ზუ- „შობა“ (ქართ. ზუ- „დაბადება, შობა“, მე-ზუ-ებ-ი „მშობელი საქონელი“, ი-ზუ-ა „დაიბადა“, უ-ზვი-ი, ზვი-ევ-ა, სვან. ზუ- „ლი-ზუ-ელ „საქონლის შობა“, ი-ზ-ნალ ← *ი-ზუ-ალ „შობა“): ს.-სინდ. *ზუ- „შობა, ნაშიერი“ (ადილ. ზუ- „შობა“, ჰან-ზუ „ძაღლის შვილი, ლეკვი“, ყაბ. გ- ← *ზუ- „შობა“, ჰან-გ-შერ „ლეკვი“)

(2) ს.-ქართვ. *ზალ- „გასწორება; ხაზვა; გამართვა“ (ქართ. ზალ-, ზალ-ა „სამართი კალატობ-თა“, ზან. {ჟორ-}, ო-ჟორ-ა „სახაზავი; გასასწორებელი“): ს.-სინდ. *ზჷ- „ვარცხნა“ (ადილ. ჟ᷑-ნ, აბძახ. ზე-ნ, ყაბ. ზე-ნ „ვარცხნა“, უბიხ. ზა- „დავარცხნა“)

(3) ს.-ქართვ. *ზარდ- „ჭოტი“ (ქართ. ზარდ-იონ-ი „ჭოტი“, „ცხრამუცელა“): ს.-სინდ. *ზჷჷნდ- „ჭოტი“ (აბაზ. ჟჷჷნდ-უ „ჭოტი“)

ს.-ქართვ. ს ~ ს.-სინდ. ს

(1) ს.-ქართვ. *ლეს- „გალესვა; ელვარება, კაშკაში“ (ქართ. ლეს-ვ-ა, ლეს-ავ-ს, ლეს-ულ-ი „ელ-ვარე, კაშკაში“, ზან. (ლაზ.) ლას-ირ-ერ-ი „გალესილი“, ო-ლას-ირ-უ „ლესვა“, მეგრ. ლას-ირ-უ-ა „id“, ლას-ირ-ელ-ი „id“, სვან. ლჷს- „ლესვა“, ლჷს-იჷრ „სალესი ქვა“): ს.-სინდ. *ლას- „შუქი, ნათელი, კაშ-კაში“ (უბიხ. ṽას-ე „შუქი, კაშკაში“, აფხაზ. ṽ-ლაშ-ა, აბაზ. ლაშ-ე, „შუქი, ნათელი, კაშკაში“)

(2) ს.-ქართვ. *ას-ირ- „ასი“ (ქართ. ას-ი, ას-ეულ-ი, ზან. ოშ-ი „ასი“, ვით-ოშ-ი „ათასი“, სვან. ṽშირ / აშირ „ასი“): ს.-სინდ. *სჷჷჷ „ასი“ (ადილ. სჷ, ყაბ. სჷ „ასი“, უბიხ. შჷჷ „ასი“, აბაზ. შჷჷ-კე, აფხაზ. შჷჷ-კე „ასი“, შდრ.: რუთულ. ṽჷშ, ლეზგ. ṽიშ, წახ. ṽჷშ „ასი“)

(3) ს.-ქართვ. *სჷელ-ა „ხვლიკი; გველხოკერა“ (ქართ. მ-სვლ-იკ-ი „ხვლიკი“, ზან. (მეგრ.) შველა „გველხოკერა“, სვან. შჷჷლ (ნათ. ბრ. შჷჷლჷ-შ): ს.-სინდ. *სჷჷ „გველხოკერა“ (აბაზ. -შჷჷ, სიტყვაში ძე-რ-ლა-შჷჷ, აფხაზ. -შჷჷ, სიტყვაში ა-ძე-რ-ლა-შჷჷ, ბზიფ. -სჷჷ, ა-ძე-რ-ლა-სჷჷ „გველხო-კერა“, შდრ. ჩეჩნ. შჷრ-ოლგ „ყურბელა, მრავალფეხიანი ჭია“, შდრ. ინგუშ. შჷრ-იჷ „თევზის სახეობა; კალმახი“)

II. ს.-ქართვ. სისინა : ს.-სინდ. სისინა

ს.-ქართვ. ძ ~ ს.-სინდ. ძ

(1) ს.-ქართვ. *ძალტა „ზღვა“ (ქართ. ზღა-ე, ზღვა, ზან. (მეგრ.) {ზორლა-}, ჰიდრ. ზორლა-თ-ი, ლაზ. ზოლა // ზულა, მზოლა // მზულა „ზღვა“, სვან. ძულტა, ზულტა (ბქ.) „ზღვა“): ს.-სინდ. *ძეჷჷჷ „ჭაობი; დიდი მდინარე“ (აფხაზ. ა-ძეჷჷჷ „ჭაობი“, აბაზ. ძეჷჷჷ „დიდი მდინარე“, შდრ. ს.-ნახ. *ჟაღა „ქვიშა, ღორღი“)

(2) ს.-ქართვ. *ძახ- „შეკვრა; შერთვა“ (ქართ. ძახ-ვ-ა „მეორე ძაფის შერთვა“, და-ძახ-ულ-ი „შერთული“, სვან. ჯგრხ- „შეკვრა“, ლე-ჯგრხ-ან „შეკრული“): ს.-სინდ. *ძახ- „კერვა“ (აფხაზ. ა-ძახ-რა, აბაზ. ძახ-რა „კერვა“)

(3) ს.-ქართვ. *ძჷალ- „ძვალი“ (ქართ. ძჷალ-ი/ძვალ-ი, ძჷალ-ედ-ი, პილოძს-ძჷალ-ედ-ი): ს.-სინდ. *ძჷა- „ნეკნი“ (აფხაზ. ა-ვა-რა, აბაზ. (აშხარ.) ვა-რჷ, ტაპანთ. ძა „ნეკნი“, შდრ. დაღ.: კარატ. ჟჷჷალ-ა, ბოთლიხ. ჟოლ-ა, ტინდ. ჟჷჷალ-ა „ნეკნი, ძვალი“)

ს.-ქართვ. ც ~ ს.-სინდ. ც

(1) ს.-ქართვ. *ცა „ცა“ (ქართ. ცა „ცა“, ზან. ცა // ჩა „ცა“, შდრ. ლაზ. ჩა-ჩხა „ხუთშაბათი“, ანუ ცის დღე, მეგრ. ცა-შხა // ჩა-შხა „id“, სვან. ცა // ცჷ „ცა“, სიტყვაში ცჷ-შ „ცისა, ანუ ხუთშაბათი“): ს.-სინდ. *ცჷ „გუშინ; დღესღამ“ (უბიხ. -ცა, სიტყვაში ṽა-ცა „დღესღამ“, აფხაზ. მა-ცე „გუშინ“)

(2) ს.-ქართვ. *ცალ- „ცალი“ (ქართ. ცალ-ი „ერთი“, ზან. (ლაზ.) ცორ-ი „ერთი“): ს.-სინდ. *-ცე- „ერთეულობის გამოძნატველი სუფიქსი“ (აფხაზ. -ცე, აბაზ. -ცე „ერთეულობის სუფიქსი“, შდრ. ს.-ნახ. *ცაჷ „ერთი“, დაღ.: ხუნძ. ცო, ლაკ., დარგ. ცა)

(3) ს.-ქართვ. *ცალ-ა „ველური ვაზის სახეობა“ (ზან. (ლაზ.) მცელ-ა // ცელ-ა „უსურვაზის სახეობა“) : ს.-სინდ. *ცა- „ბალი, ალუბალი“ (აფხაზ. ა-ცა, აბაზ. ცა „ბალი; ალუბალი“)

ს.-ქართვ. წ ~ ს.-სინდ. წ

(1) ს.-ქართვ. *წეკ-(ულ-) „ლამპარი“ (ზან. (მეგრ.) ჭაკ-ულ-ა, ლაზ. ჭაკ-ლ-ა „ლამპარი, ჩირაღდანი“) : ს.-სინდ. *წაკ-ნ „მუგუზალი; მნათობი“ (ადილ. *წაკ-ნ → წაქ-ნ, სიტყვაში ფხა-წაქ-ნ „მუგუზალი“, ყაბ. *მაკ-ნ → მაქ-ნ, სიტყვაში ფხა-მაქ-ნ „მუგუზალი“, უბიხ. წტანკ-ნ „მნათობი“, შდრ. ჭამალ. წაქა „ვარსკვლავი“)

(2) ს.-ქართვ. *მწ-ერ- „მწერი; ბუზი“ (ქართ. მწერ-ი, ზან. ჭანდ-ი // ჭანჯ-ი // ← მჭაჯ-ი „ბუზი, მწერი“, სვან. მწერ ← *მჭერ ← *მჭერ „ბუზი“) : ს.-სინდ. *მაწ-ა „კალია“ (ადილ. მწწ ← *მაწა, ყაბ. მაწა, უბიხ. მწწა „კალია“, აფხაზ. ა-მაწა, აბაზ. მაწა)

(2) ს.-ქართვ. *წბ-ერ- „პრესა; გმანვა“ (ქართ. წბერ-ვ-ა „პრესით გამოწურვა“, წბერ-ი „ჭაჭის ნაწური“, სვან. ა-ჭებერ-ი „გმანავს~, ლვ-ჭებერ-ე „დაგმანული“) : ს.-სინდ. *ბწ- „დაპრესა, მოჭერა, ჭყლეტა“ (უბიხ. ბგწ- „მოჭერა, დაპრესა“, აფხაზ. ა-რ-ბგწ-რა, აბაზ. რ-ბწ-რა „სრესა, ჭყლეტა“)

ს.-ქართვ. ზ ~ ს.-სინდ. ზ

(1) ს.-ქართვ. *მ(ა)ზე „მზე“ (ქართ. მზე, ზან. მჟა // ბჟა „მზე“, (ბ)ჟა-შხა „კვირადღე“, სვან. მგჟ // მიჟ „მზე“, მიჟ-ლაღელ „კვირადღე“) : ს.-სინდ. *მ(გ)ზა „მუქი, სხივი; ნათელი“ (ჩერქ. ბზე „სხივი, მუქი“, აფხაზ. (ბზიფ.) ა-მზა „ჩირაღდანი, მამხალა“, ა-ჩტ-მზა „ნათელი“, აბაზ. მზა „ნათურა“)

(2) ს.-ქართვ. *ზირ-ა „კვლიავი“ (ქართ. ზირა „კვლიავი“) : ს.-სინდ. *ზერ-გ „შინდი“ (ადილ. ზზ-ღ, ყაბ. ზზ „შინდი“, აბაზ. ზარგ „შინდი“)

(3) ს.-ქართვ. *ზტირთ- „ზვირთი“ (ქართ. ზვირთ-ი, ა-ზვირთ-ებ-ა, ზან. (მეგრ.) ჟვირთ-ი „ზვირთი; შვავი“, ე-ჟვირთ-აფ-ა „აზვირთება“) : ს.-სინდ. *ზტანდ- „ქარიშხალი; ბუქი“ (უბიხ. ზტანდ-ა „ქარიშხალი, ბუქი“)

ს.-ქართვ. ს ~ ს.-სინდ. ს

(1) ს.-ქართვ. *სტ- „სული; სვენება; სუნთქვა“ (ქართ. სულ-ი, სუნ-ი, სვენ-ებ-ა, ზან. (მეგრ.) შურ-ი „სული“, სვ-ანჯ-ი / მო-შვ-ან-დ-ა // მო-სვ-ან-ჯ-ა „მოსვენება“, ლაზ. შურ-ა „სუნი“, დო-ბ-ი-შვ-ან-ა-შა „ამოსუნთქვამდე“, მო-ბ-ი-შვ-აჯ-ი „მოვისვენე“) : ს.-სინდ. *ფს-ა „სული“ (ადილ. ფს, ყაბ. ფს „სული“, აფხაზ. ა-ფსგ, აბაზ. ფსგ „სული“)

(2) ს.-ქართვ. *სტარ- „ჭრა/კვეთა“ (ქართ. სვრ-ე // სვრ-ელ-ი „კვალი... მკის თუ თიბვის დროს“, სვან. შტარ „ჭრილობა, იარა“) : ს.-სინდ. *სტა- „ჭრა; პარსვა“ (უბიხ. სტა- „ჭრა; პარსვა“, ა-ს-სტა-ნ „id“, აფხაზ. ა-სა-რა, აბაზ. სა-რა „პარსვა“)

(3) ს.-ქართვ. *პარს- „პარსვა“ (ქართ. პარს-, პარს-ავ-ს, სა-პარს-ი, ზან. (მეგრ.) გო-პუსქორ-უ-ა „გატიტვლება“, გო-პუსქორ-ილ-ი „გატიტვლებული, განძარცვული“) : ს.-სინდ. *ფსა- „პარსვა; რანდვა, თლა“ (ყაბ. ფსგ-, უტ-ფსგ-ნ „პარსვა“, ფხა-ფს „შალაშინი“, შდრ. ფხა „ხე, შეშა“, აბაზ. ფსა-, ფსა-რა „რანდვა, თლა“, ფსა-რთ „მაკრატელი“)

III. ს.-ქართვ. სისინა ~ ს.-სინდ. შიშინა

ს.-ქართვ. ძ ~ ს.-სინდ. ჯ

(1) ს.-ქართვ. *ძამ- „მარილი“ (ქართ. ძმ-, ძმ-არ-ი, ზან. (ლაზ.) ჯუმ-უ // ნჯუმ-უ „მარილი“, მეგრ. ჯგმ-უ // ჯიმ-უ „მარილი“, სვან. ჯგმ // ჯიმ „მარილი“) : ს.-სინდ. *ჯგ- „მარილი“ (უბიხ. ჯგ „მარილი“, შდრ. დარგ. (ურახ.) ძე // ძენ, კუბაჩ. ცე (← *ძენ „მარილი“)

(2) ს.-ქართვ. *ძა-ე „თვითონ“ (სვან. ჯი, ჯა-ე, ჯე-ე „თვითონ, თვით“) : ს.-სინდ. *აჯ- „თვითონ“ (ადილ. ააჟ, ყაბ. ააზ-ე „თვითონ“, შდრ. ნახ. შა/ჟა, შარ-ინ, ჟარ-შ; დალ.: კრიწ., რუთულ., წახ. -იჯ, არჩიბ. ინჟ, ხუნძ., ახვახ., ანდ. ჟი-, კარატ. ჟე-)

(3) ს.-ქართვ. *ძალტ- „მწკლარტე, მომჟავო-მომწარო“ (ქართ. მ-ძალ-ე, ზან. (მეგრ.) ძულ-ე „მძალე“, სვან. ძილ-, მგ-ძილ „მძალე“) : ს.-სინდ. *ჯალტ-ე „მარილი“ (ადილ. (შაფს.) ჩგლტე, ჭემგ., ბჟედ. შგლტე, აბმახ. შგლტე, ყაბ. შგლტე „მარილი“)

ს.-ქართვ. ც ~ ს.-სინდ. ჩ

(1) ს.-ქართვ. *ცირთ- „ქვების გროვა (ყანის მიჯნაზე)“ (სვან. ჩირთ „ქვების გროვა (ყანის მიჯნაზე)“) : ს.-სინდ. *ჩგთ- „კედელი; ღობე“ (უბიხ. ჩგთ „კედელი; ღობე“ შდრ. ჩეჩნ., ინგუშ. ჩურთ „სტელა“)

(2) ს.-ქართვ. *ცოფ- „ცოფი, გაცოფება; დუჟი“ (ქართ. ცოფ-ი, გა-ცოფ-ებ-ა, ცოფ-მორეული) : ს.-სინდ. *ჩაფა- „მიწებება, ჭედვა / კვერვა“ (აბაზ. ჩფა-რა, აფხაზ. ა-ჩაფა-რა „შელესვა, მიწებება; ჭედვა / კვერვა“, შდრ. ჩეჩნ. ჩჟოფა, ინგუშ. ჩოფ „ქაფი“)

(3) ს.-ქართვ. *ცურ- „ცური“ (ქართ. ცურ-ი, ზან. (ლაზ.) ჩურ-ი // ჩუ-ი მეგრ. ჩურ-ი, „vulva“) : ს.-სინდ. *ჩგრ- „ცური; რძე“ (უბიხ. ჩა „რძე“, აფხაზ. ა-ჩრ-გ-გუტ, აბაზ. ჩგ „ცური“)

ს.-ქართვ. წ ~ ს.-სინდ. ჭ

(1) ს.-ქართვ. *წარბ- „წარბი“ (ქართ. წარბ-ი, ზან. (მეგრ.) ჭობ-ი „წარბი“) : ს.-სინდ. *ჭაფ- „შუბლზე შეჭრილი თმა“ (ადილ. (ჭემგ.) -ჭაფ, სიტყვაში ნა-ჭაფ „შუბლზე შეჭრილი თმა“, შდრ. ჩეჩნ. ჭაბა „დალალი, ნაწნავი“)

(2) ს.-ქართვ. *წედ- „თეფში; ჭურჭელი“ (ძვ. ქართ. წედ-ი „თეფში“) : ს.-სინდ. *ჭად-ა „ხის მომცრო კასრი“ (ადილ. (შაფს.) ჭად „ხის მომცრო კასრი“, შდრ.: ტინდ. ჭეთ-უ „თეფში“, ჭამალ. ჭეთ-უ ← *ჭეთ-უ „id“, არჩიბ. ჭუთ ← *ჭათ-უ „თუნგი“)

(3) ს.-ქართვ. *წუტე- „წვეთი; დვრიტა, კვეთი“ (ქართ. წუტე-ი // წვეთ-ი, ნა-წუტე-ი, წვეთ-ს, ზან. (ლაზ.) ჭვათ- → ჭოთ-, ო-ჭოთ-ურ-ა „საწვეთური“, მეგრ. ჭვათ-ი // წვათ-ი „წვეთი“, მო-ჭვათ-ან-ს → მო-წვათ-ან-ს „წვეთავს“, სვან. უტიდ, ლშხ. უტე ← *ჭუტე ← *ჭუტე „ცვარი, წვეთი; დვრიტა, კვეთი“) : ს.-სინდ. *ჭათ-ა „ნაღები“ (ადილ. შათან, ყაბ. შათან „ნაღები“, უბიხ. ჩათან „ნაღები“, აფხაზ. ა-ხ-ჭათ „ნაღები“, შდრ.: ხუნძ. წად, ახვახ. წარი „წვიმა“)

ს.-ქართვ. ზ ~ ს.-სინდ. ჟ

(1) ს.-ქართვ. *ზუტ- „ქარის ხმიანობა“ (ქართ. ზუვ-ი-ს / ზუ-ი-ს, ზუვ-ილ-ი / ზუ-ილ-ი, ზან. (მეგრ.) ჟუმ-ინ-ი „ქარის ქოლა, ზულილი, შხულილი“, სვან. ჟულ „ქარის ზულილი“) : ს.-სინდ. *ჟგუ- „ქარიშხალი, ბუქი“ (ადილ. ჟგუ-ად, ყაბ. უა-დგ ← *ჟგუ-დგ „ქარიშხალი, ბუქი“)

(2) ს.-ქართვ. *ზემ- „დრო, ახლო“ (ქართ. ზმ-, ხან-და-ზემ-ა, ხან-და-ზემ-ულ-ი, ზან. (მეგრ.) ჟამ-ი „ხანი“, მითა-ჟამ-ი „ძველი დრო“, ჟამ-ო „ახლოხანებში“) : ს.-სინდ. *ჟუან- „ახლა“ (აფხაზ. უა-ჟუტ, აბაზ. უ-ჟუტ, „ახლა“, შდრ. დალ.: ბეჟიტ. ჟენ-სა „დღეს“, ჰუნზიბ. ჟე „ახლა“, ანდ. ჟე „დღეს“)

(3) ს.-ქართვ. *ზეკ- „აბზეკა; წვერი“ (ქართ. ბზეკ-, ა-ბზეკ-ა, ა-ბზეკ-ილ-ი, ზან. (მეგრ.) ბჟაკ-ე „წვერი“) : ს.-სინდ. *ჟაკ-ა „წვერი“ (ადილ. ჟაკჰ, ყაბ. ზაკჰ „წვერი“, უბიხ. ჟაკჰ „წვერი“, აფხაზ. ა-ჟაკჰ, აბაზ. ჟაკჰ, „წვერი“, შდრ. დალ.: ხუნძ. მეგეჟ, ჰინუხ. ბოშოლკა „წვერი, ულვაში“)

ს.-ქართვ. ს ~ ს.-სინდ. შ

(1) ს.-ქართვ. *სარ- „ამოწყვეტა, ხოცვა, კვლა“ (ძვ. ქართ. სრ-, მუ-სრ-ი, ზან. (მეგრ.) სირ-, აკო-სირ-უა „ამოწყვეტა“) : ს.-სინდ. *შან- „კვლა“ (აფხაზ. ა-შ-რა, აბაზ. შ-რა „კვლა“)

(2) ს.-ქართვ. *სერ- „ფართო; გრძელი“ (ქართ. სერ-ი „მოგრძე გორი“ (საბა), სვან. შნრ-, მა-შნრ-ი / მა-შრ-ი „ფართო“) : ს.-სინდ. *შარ- „გლუვი“ (აფხაზ. ა-შარ-ა „გლუვი“, შდრ. წ.-თუმ. შარ-ენ „გლუვი, ბრტყელი“)

(3) ს.-ქართვ. *სეს- „მსუყედ ყოფნა; გაძლომა“ (ქართ. (აჭარ.) სეს-, გა-სეს-ვ-ა „ძალიან გაძლომა“, ზან. (მეგრ.) შამ-, გინო-შამ-უ-ა „მსუყედ ყოფნა; ზომარე მეტად გაძლომა“) : ს.-სინდ. *შან-გ „ცხიმი, ქონი“ (აფხაზ. ა-შან // ა-შემგ, აბაზ. (აშხარ.) შემშ, ტაპანთ. შშა „ცხიმი, ქონი“, შდრ. დალ.: ანდ. სოსი „ცხიმი; ქონი“)

სიღრმისეული რეკონსტრუქციის თვალსაზრისით, ქართველურ-სინდური სიბილანტ-თანხმოვანთა ბგერათშესატყვისობების ზემოთ აღწერილი ეს სამი ტიპი პროტობერიულ-კავკასიურ ფუძე-ენაში განსხვავებულ არქიფონემათა პოსტულაციას არ ვარაუდობს. სამივე სახეობა მიიჩნევა ამოსავალი სისინა სიბილანტების შემდგომ ტრანსფორმაციად საერთოქართველურსა და საერთოსინდურში; უფრო სწორად, საერთოსინდურში, ქართველურ სისინა სიბილანტთა შესატყვისად, სისინ-შიშინა თანხმოვანთა გამოჩენა (ისევე, როგორც შიშინა სიბილანტებისა) ავტომატურად არ სვამს საკითხს მათი სისინ-შიშინა არქიფონემათა (ძ ც წ ზ ს) პოსტულაციის შესახებ საერთოკავკასიურ ფუძე-ენაში. ვინაიდან პროტობერიულ-კავკასიური ენობრივი ერთობის დროინდელი სისინ-შიშინა სიბილანტები საერთოქართველურში მხოლოდ შიშინა რეფლექსების სახითაა წარმოდგენილი – ს.-იბ.-კ. *ძ *ც *წ *ზ *ს → ს.-ქართვ. *ჯ *ჩ *ჭ *ჟ *შ (ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

§6. შიშინა სიბილანტები. ფონოლოგიური ინვენტარი აქ განსხვავებულია. თუ ქართველურში ფიქსირდება ჯ ჩ ჭ ჟ შ, სინდურ ენებში მას ემატება ჩ პრერუპტივი. ფუძე-ენიდან მომდინარე (და არა მეორეული) აფრიკატული ბუნების ჩ პრერუპტივი განსხვავებულ შესატყვისობას იძლევა საერთოქართველურში, ამ უკანასკნელში მკვეთრი აბრუპტივი (შიშინა სიბილანტი) ჭ დაჩნდება:

(1) ს.-ქართვ. *ბჭე (ძვ. ქართ. ბჭე-დ, ბჭე-ნ-ი) : ს.-სინდ. *ბჩან „კარი“ (ადილ. (შაფს., ბჟედ.) ფჩან, ყაბ. ბჟან „კარი“)

(2) ს.-ქართვ. *ბრჭ- „გასინჯვა, სამართალი“ (ძვ. ქართ. ბრჭ-ე „მოსამართლე, გამსინჯავი“ (საბა), ბრჭ-ობ-ა-ე „გასინჯვა“) : ს.-სინდ. *ბჩა „დათვლა“ (ადილ. (შაფს., ბჟედ.) ფჩა-ნ, ქემგ. ფჩა-ნ, ყაბ. ბჟე-ნ „დათვლა“)

სხვა შემთხვევებში ბგერათმესატყვისობა იდენტური ხასიათისაა.

ს.-ქართვ. შიშინა ~ ს.-სინდ. შიშინა

I. ს.-ქართვ. ჯ ~ ს.-სინდ. ჯ

(1) ს.-ქართვ. *ბარჯ „ბარჯი“ (ძვ. ქართ. ბარჯ-ი, ზან. ბორჯგ-ი // ბოჯგ-ი, სვან. ბაჯგ // ბეჯგ „მარგილი, სარი“) : ს.-სინდ. *ბჯა „სარი, მარგილი“ (ადილ. ფჩგ, ყაბ. ბჟე // ბჯგ „ლახვარი“, ადილ. ფჩა-ლტ, ყაბ. ბჯა-ლტ // ბჟა-ლტ „სარი, მარგილი“)

(2) ს.-ქართვ. *რჯ- „შრომა, ჯაფა“ (ქართ. რჯ-, გა-რჯ-ა „მოუსვენრობით შრომა“ (საბა), გა-მ-რჯ-ე „მშრომელი“) : ს.-სინდ. *ჯა- „შრომა, დაღლილობა“ (აფხაზ. ა-ჯა „შრომა“, აბაზ. (ტაპანთ.) ჯა „დაღლილობა“)

(3) ს.-ქართვ. *ჯტ- „caccare“ (ქართ. ჯვ-ამ-ს, ამო-ა-ჯვ-ამ-ს, ზან. ნძგვ-, სვან. სგ- (← *ძგტ-) „id“) : ს.-სინდ. *ჯტა- „რწყევ“ (ადილ. ჯა-ჟგ-, ჟა-ტა-, უბიხ. ჯგ- „რწყევ“, აბაზ. ჯტა-რა „რწყევ“)

II. ს.-ქართვ. ჩ ~ ს.-სინდ. ჩ

(1) ს.-ქართვ. *ჩტენ „ჩვენ, ჩვენი“ (ქართ. ჩვენ, ჩვენ-ი, ზან. ჩეტუ- // ჩეტუნ // ჩეტ „ჩვენ“, სვან. -შგტე, გუ-შგტე-ე „ჩვენი (ექსკლ.)“, ნი-შგტე-ე „ჩვენი (ინკლ.)“) : ს.-სინდ. *ჩტე „ჩვენ“ (უბიხ. შგ-ლტა ← *შტე-ლტა „ჩვენ“, შდრ. დაღ.: ლეზგ. ჩუნ, თაბას., უ-ჩუ, ალულ. ჩინ „ჩვენ“)

(2) ს.-ქართვ. *ჩირ- „ჩიტის სახეობა“ (ქართ. ჩირ-ი, ჩირ-ინაშვილი, ზან. (ლაზ.) მჩქირ-ი „დიდი ზომის გრძელკუდა ჩიტი“) : ს.-სინდ. *ჩგრ- „ბარტყი, ნაშიერი“ (ადილ. (შაფს.) ჩგრ, ქემგ., ბჟედ. შგრ, ყაბ. შგრ, უბიხ. შგ „ბარტყი, ნაშიერი“)

(3) ს.-ქართვ. *ჩათ- „რკინის რგოლიანი თასმა“ (ქართ. ჩათ-ო „თასმა, რომელსაც ბოლოში რკინის რგოლი აქვს“, ფშ. ჩათ-უა „id“) : ს.-სინდ. *ჩთა- „რკინის კილო, ანჯამა“ (აბაზ. ჩთა-, აფხაზ. ა-ჩთა „რკინის კილო, ანჯამა“, შდრ. დიდ., ჰინუხ. ცეტა, ინხოყვ. ცეტო „ლილი, ღუმეა“)

III. ს.-ქართვ. ჭ ~ ს.-სინდ. ჭ

(1) ს.-ქართვ. *ჭრეთ- „ჭრა“ (ქართ. ჭრეთ-ა, სა-ჭრეთ-ელ-ი „ხის ამოსაჭრელი სადურგლო ხელსაწყო“) : ს.-სინდ. *ჭათა- „ჭრა, დასერვა“ (ადილ. ტგ-პჭათა-ნ, ყაბ. ტგ-პჭათა-ნ „ჭრა, დასერვა“)

(2) ს.-ქართვ. *მუჭტ „მუჭი, ერთი მუჭა“ (ქართ. მუჭ-ი, მუჭ-ა, ზან. (ლაზ.) მუნჯ-ა „მუჭი“, მუნჯა-მუნჯა „მუჭა-მუჭა“) : ს.-სინდ. *მჯტ-გ „ცოტა“ (ადილ. მჯტ-გტ, ყაბ. მასტ, უბიხ. მაჭ-გ ← მჯტ „ცოტა“)

(3) ს.-ქართვ. *მეჭტ-ედ- „ბეჭედი“ (ზან. მა(რ)წვ-ინდ-ი, სვან. მგსკ-ად „ბეჭედი“) : ს.-სინდ. *მჯტ-გ „მვირფასი ქვა“ (ადილ. მჯტ, ყაბ. მგსა „მვირფასი ქვა“)

(4) ს.-ქართვ. *მჭელ- „პეშვი“ (ძვ. ქართ. მჭელ-ი „პეშვი (საბა), მჭელ-ეულ-ი) : ს.-სინდ. *მაჭ-ნ „ხელის გული“ (აფხაზ. ა-მაჭს, აბაზ. მაჭა „ხელის გული“)

IV. ს.-ქართვ. შ ~ ს.-სინდ. შ

- (1) ს.-ქართვ. *შტელ- „შველი“ (ქართ. შველ-ი, ზან. მსქვერ-ი // სქვერ-ი „შველი, ირემი“) : ს.-სინდ. *შტჷ-რ „ირემი; ნადირი“ (უბიხ. -შტა, ლა-შტა „ნადირობა“, სტა-კა „მონადირე“, აფხაზ. ა-შტა-რა-ხ „ნადირი“, აბაზ. შტე-რ „ირემი“, შტა-რა-ხ „ნადირი“)
- (2) ს.-ქართვ. *შ- „წველა“ (სვან. შგ- / შკ- (ლნტ.), ლი-შგ-ი, ლიშკ-ი, ლი-შგ-წლ-ი „წველა“) : ს.-სინდ. *შგ- „წველა“ (ადილ. შგ-ნ, ყაბ. ყე-შგ-ნ, უბიხ. შწ- „წველა“)
- (3) ს.-ქართვ. *ფშტენ- „ფშენა“ (ქართ. ფშენ-ის, ნა-ფშენ-ი, სვან. ფურშგტინ-, ა-ფურშგტინ-ე „ფშენის“) : ს.-სინდ. *ფშტან- „ჭყლეტა“ (ადილ. ფშან, ყაბ. ფსენ „ჭყლეტა“)
- (4) ს.-ქართვ. *ფუმ- „ბურცი“ (ქართ. ფუმ-ი „თიაქარი“, ზან. ფუმქ-ი „ბურცი, ბებერა“) : ს.-სინდ. ფგშ- „მსხვილი“ (ადილ. ფშ-არ, ყაბ. ფშ-არ „მსხვილი, მსუქანი“, შდრ. დალ.: ჰუნზიბ. ბოშერუ „მსუქანი“)

როგორ ზემოთ დავინახეთ, ს.-ქართვ. ჟ : ს.-სინდ. ჟ ბგერათშესატყვისობისათვის მასალა არ აღმოჩნდა, რატომ? – პასუხი ერთია მხოლოდ, ნებისმიერი ჟ ქართულ-ქართველურში ასახავს საერთოქართველურ ჟ-ს, რომელიც წინარექართველური სისინ-შიშინა ზ არქიფონემის რეფლექსაციას წარმოადგენს. ამიტომაც არის ფიქსირებული ჩვენ მიერ საერთოსინდურ-ქართველურ მასალაში დამოწმებული სიბილანტური ბგერათშესატყვისობის კიდევ ერთი მოდელი – ს.-ქართვ. შიშინა ~ ს.-სინდ. სისინ-შიშინა, რაც წინარექართველური (და არა საერთოქართველური) ენობრივი მდგომარეობისათვის აღგვადგენინებს განსაკუთრებულ ლოკალურ რიგს – შუანუნისმიერ ძ ც წ ზ ს სისინ-შიშინა სიბილანტებს, რომლებიც, გაშიშინების ფონეტიკური პროცესის გამო, შიშინა სიბილანტებს შეერწყნენ, ანუ პრეისტორიულ ხანაში საერთოქართველური ფუმე-ენის დონეზე მოიშალა ფონოლოგიური კორელაცია სისინ-შიშინა ~ შიშინა მომდევნო ეტაპზე შიშინა სიბილანტთა სასარგებლოდ, რითაც საერთოქართველური ენა ემსგავსება აბაზურს, სადაც ადვილია სისინ-შიშინა სიბილანტთა გაშიშინების (ძირითადად) ან გასისინების (ნაკლებად) ფონეტიკურ პროცესებს თვალი მივადევნოთ.

ს. ქართვ. ჟ ~ ს.-სინდ. ზ (წ.-ქართვ. *ზ)

- (1) ს.-ქართვ. *ბიჟინ „ხმა“ (ქართ. ბიჟინ-ა „ნუკრის ხადილი“ (საბა)) : ს.-სინდ. *ზზე „ხმა“ (აფხაზ. ა-ბჟე, ბზიფ. ა-ბზე, აბაზ. ბჟე „ხმა“)
- (2) ს.-ქართვ. *ჟარ- „ნელი ხარშვა“ (ქართ. (გურ.) ჟრ-ობ-ა „ნელი ხარშვა“) : ს.-სინდ. *ზჷა- „ხარშვა, წვა“ (ადილ. ზჷა-ნ, უბიხ. ზჷა-, აბაზ. ჟჷ-რა „ხარშვა, წვა“)
- (3) ს.-ქართვ. *მაჟალ „პანტა ვაშლი“ (ქართ. მაჟალ-ო) : ს.-სინდ. *მაზჷა „პანტა ვაშლი“ (უბიხ. მჷშტე ← მაზჷ „მაჟალო, პანტა ვაშლი“)
- (4) ს.-ქართვ. *ჟან „შრობა; ჭკნობა“ (ქართ. ჟნ-ობ-ა „შრობა, ჭკნობა“) : ს.-სინდ. *ზა „მშრალი, ხმელი“ (აბაზ. ზა-რა ← ზა-რა „მშრალი, ხმელი“)

ს.-ქართვ. შ ~ ს.-სინდ. ს (წ.-ქართვ. *ს)

- (1) ს.-ქართვ. *ნუშ- „ხაჭო, ყველი“ (ძვ. ქართ. ნუშ-ი „ყველი, გაწურული მაწონი“): ს.-სინდ. *ნესჷ-გ „ყველი“ (აფხაზ. აშტე // ასჷტე, აბაზ. აშტე „ყველი“, შდრ. დალ.: ხუნძ. ნისჷ, დარგ. ნუსი, ლეზგ. ნასჷ, ბუდუხ. ნუსჷ „ყველი“)

(2) ს.-ქართვ. *შტინ-დ- „შინდი“ (ქართ. შვინდ-ი // შინდ-ი, ზან. (ლაზ.) სქინდ-, სქინდ-ონ-ა „შინდნარი“): ს.-სინდ. *სტან-ა „მოცხარი, ყურძენი“ (ადილ. სანზ „ყურძენი“, ყაბ. სანზ „მოცხარი“)

(3) ს.-ქართვ. *შტენ- „მშვენება; ლამაზი“ (ძვ. ქართ. შტენ-იერ-ი, შტენ-ი-ს, ზან. სქტან-ა „სილამაზე“, ო-სქტან-ს „უხდება, შვენის“, სვან. სგტან „მნო“, მუ-სგტენ „მშვენიერი“): ს.-სინდ. *ნგსტა „ლამაზი“ (უბიხ. ნგსტა // ნგსტა „ლამაზი“)

(4) ს.-ქართვ. *შეუ-ილ- „შვილი, ვაჟი/ძე“ (ქართ. შტილ-ი, პირმშო ← პირმშუე, ზან. სქირ-ი / სქუა „შვილი“, სვან. სგე-დ „შვილი“, გმ-სგე-დ „ძე“): ს.-სინდ. *საუ-ზ „შვილი; ვაჟი“ (ადილ. საუზ „ვაჟი, შვილი“, ყაბ. საუზ „ახალგაზრდა ბიჭი“)

ს.-ქართვ. ჯ ~ ს.-სინდ. ძ (წ.-ქართვ. *ძ)

(1) ს.-ქართვ. *მარჯუ- „მარჯვენა“ (ქართ. მარჯვ-ენ-ა, ზან. მარძგვ-ან-ი, სვან. მურსგუ-ენ „მარჯვენა“): ს.-სინდ. *ა-ძე „მარჯვენა“ (ადილ. დ-გზუ-რა-ბლუ „მარჯვენა მხარე“, ყაბ. დ-გზუ „მარჯვენა“, უბიხ. ა-ზუ-ყ „მარჯვენა ხელი“, შდრ. დალ.: არჩიბ. ორჭ, ლეზგ. ერჭი „მარჯვენა“)

ს.-ქართვ. ჩ ~ ს.-სინდ. ც (წ.-ქართვ. *ც)

(1) ს.-ქართვ. *მაჩუ- „მაჩვი“ (ქართ. მაჩვ-ი, ზან. მუნჩქი // მუნჩქვი, სვან. მინჩქუ „მაჩვი“): ს.-სინდ. *მანცუ „დათვი“ (ადილ. მესა, ყაბ. მესა, უბიხ. მეშტა, აფხაზ. ა-მშტე, აბაზ. მშტე „დათვი“, შდრ. დალ.: ხუნძ. ცინ, ს.-ნახ *მჩარ „დათვი“)

(2) ს.-ქართვ. *ეჩუ- „ეჩო“ (ქართ. ეჩვა-დ, ეჩო, სვან. აცქუ „ეჩო“): ს.-სინდ. *ცუა „სახნისი“ (ადილ. ცუა-ბზა, უბიხ. ცუა-ბზა „სახნისი“ შდრ. ცუგ-ნთა „გუთნის კვალი“, აფხაზ. ა-ჩუ-ეხა „სახნისი“, აბაზ. ჩუა-ლუარა „ხენა“)

(3) ს.-ქართვ. *ჩირ- „გამხმარი ხილი“ (ქართ. ჩირ-ი „ხმელი ხილი“, ზან. {შქიჯ-ი} „ჩამიჩი“ (საბა): ს.-სინდ. *ცურ „ხილი“ (აფხაზ. ა-შტერ, ბზიფ. ასურერ, აბაზ. შტერ „ხილი“, შდრ. დალ.: ალულ. სურ-არ „გამხმარი ენა“)

ს.-ქართვ. ჭ ~ ს.-სინდ. წ (წ.-ქართვ. *წ)

(1) ს.-ქართვ. *მჭახ-ე „მყავე“ (ქართ. მჭახე „ღვინო მოძმარებულივით“ (საბა), ზან. (ლაზ.) მჭოხა „მყავე“): ს.-სინდ. *წაჰ-ა „მარილი, მლაშე“ (ჩერქ. წაზ „მარილი“, აფხაზ. ა-წა ← *ა-წა, აბაზ. წა „მლაშე“)

(2) ს.-ქართვ. *კუჭ- „კუჭი“ (ქართ. კუჭ-ი „ფრინველთ ფაშვი (საბა)“, ზან. კუჭ-ი, სვან. კუჭი „კუჭი“): ს.-სინდ. *კუჭწ „შიგნეული, ნაწლავები“ (ადილ. კუჭწ-ა, ყაბ. კუჭწ „შიგნეული, ნაწლავები“, შდრ. დალ.: ჭამალ. წიყუა „შიგნეული, ნაწლავები“)

(3) ს.-ქართვ. *ლტაჭუ „ჭია“ (ზან. (მეგრ.) ღვენწკ-ი // ღვერწკ-ი „ჭია“, სვან. ღტასკ „მუცლის ჭია“): ს.-სინდ. *ჭტენწუ- „ხვლიკი“ (აფხაზ. (ბზიფ.) ა-ჭტენწუ-გმ „ხვლიკი“)

იბერიულ-კავკასიურ ენებს შორის დადასტურებულ ბგერათმესატყვისობებში მნიშვნელოვანია თანხვედნილი რეფლექსაციების დროს ამოსავალი ფონემის სწორად (ზუსტად) განსაზღვრა. ასე მაგალითად, როგორც ვნახეთ, ს.-ქართვ. სთ კომპლექსი ერთდროულად ასახავს როგორც პალეოკავკასიური წარმომავლობის *სთ ბიფონემურ ბგერათკომპლექსს, ისე ამოსავალი *თ ინტენსიური დენტალური ხშულის რეფლექსს, მაშინ, როდესაც აფხაზურ-ადილურ ენებში

პალეოკავკასიურმა *სთ კომპლექსმა რეფლექსად შიშინა შ სპირანტი მოგვცა, ხოლო ინტენსიური თა დენტალის რეფლექსი შეერწყო მჟღერ სისინ-შიშინა ძ სიბილანტ აფრიკატს.

ს.-ქართვ. *სთ ~ ს.-სინდ. შ (პ.-კავკ. *სთ)

(1) ს.-ქართვ. *სთქუნ- „თქვენ“ (ქართ. თქვენ, თქვენ-ი, ზან. თქვა, თქვან-ი, სვან. სგაღ ← *შგტად) : ს.-სინდ. *შტა „თქვენ“ (ადილ. სტა, უბიხ. შტგ-ღტს, აფხაზ.-აბაზ. შტა-რა „თქვენ“, შდრ. ს.-ნახ. *შუ, მაგრამ დაღ.: ახვახ. უშთი, ღოდ. ბ-იშთ-ე, კარატ. ბ-იშთ-ი, ჭამალ. ბ-ით-ი „თქვენ“)

(2) ს.-ქართვ. *სთიხა- „ჭიპი“ (სვან. შდიხუ // შდტუხუ „ჭიპი“) : ს.-სინდ. *შხზ „ბოქვენი“ (ადილ. შახ, ყაბ. სხზნ „ბოქვენი“)

(3) ს.-ქართვ. *სთოტ- „თოვა“ (ქართ. თოვ-ს, ზან. თუ-ა-ს, სვან. შდუტ-ე „თოვს“) : ს.-სინდ. *შტგ- „თოვლი, ყინვა“ (უბიხ. შტგ- „თოვლის გროვა“, აფხაზ. ა-შტგ-რს, აბაზ. შტგ-რა „გაყინვა, აციება“)

ს.-ქართვ. *სთ ~ ს.-სინდ. *ძ (პ.-კავკ. *თა)

(1) ს.-ქართვ. *სთამ- „სმა, თრობა“ (ზან. (მეგრ.) ო-რთომ-ელ-ი, სვან. შთგმ-, აშდმ-ე „ასმევს“, ლგ-შდმ-ე „მთვრალი“) : ს.-სინდ. *ძტა „სმა, დაღევა“ (უბიხ. ძტა-, აფხაზ. ა-ჟტ-რა, ზიფიფ. ა-ზტ-რა, აბაზ. ჟტ-რა „დაღევა, სმა“, შდრ. ს.-ნახ. *ეთა- „წველა“)

(2) ს.-ქართვ. *ასთ- „ათი“ (ქართ. ათ-ი, ზან. ვით-ი, სვან. ეშდ // დეშდ „ათი“) : ს.-სინდ. *ძტა „ათი“ (ჩერქ. პსუგ, უბიხ. ჟტგ, აფხაზ. ჟტა-ბა „ათი“, შდრ. ს.-ნახ. *ითა „ათი“)

(3) ს.-ქართვ. *დ-უსთ-ე- „მთვარე; თვე“ (ძვ. ქართ. თვთე // თთუე, ზან. თუთა, სვან. დოშდ-ულ „მთვარე, თვე“) : ს.-სინდ. *მ-გძ „მთვარე, თვე“ (ადილ. მაზნ, ყაბ. მაზნ, უბიხ. მგძა „მთვარე, თვე“, აფხაზ. ა-მზა, აბაზ. მგზგ „მთვარე“, შდრ. ს.-ნახ. *ბ-უთა „მთვარე; თვე“)

(4) ს.-ქართვ. *სთებ- „ხარშვა, აფუება“ (ქართ. თბ-ე, სვან. ი-შდებ-ი, ნა-შდნბ „ხარშვაში მონამატები“) : ს.-სინდ. *ძტა „ცხოზა, შეწვა“ (ჩერქ. ზან, უბიხ. ა-ჟ-ჟტან, აფხაზ. ა-ძ-რა, ზიფიფ. ა-ძ-რა, აბაზ. ძ-რა „ცხოზა, წვა“, შდრ. ს.-ნახ. *ბ-ათა- „ცხოზა, წვა“)

§7. ველარიზებული სიბილანტები. იბერიულ-კავკასიურ ენებში შემონახული სიბილანტ თანხმოდანთა განსაკუთრებული მრავალფეროვნება ასახავს მოზაიკურად პალეოკავკასიური ფუძე-ენის რთულ ფონოლოგიურ სისტემას. ამ ტიპის თანხმოდანებში ისტორიულად დასაშვები ჩანს რელევანტური კორელაცია თანხმოდანთა ველარიზაციის მიხედვით როგორც სისინა ძ ც წ ზ ს ~ ძ ც წ ზ ს, ისე შიშინა ჯ ჩ ჭ (ჟ) შ ~ ჯ ჩ ჭ (ჟ) შ სიბილანტებში. სისინ-შიშინა სიბილანტებში ველარიზაციის არსებობას ვერ დავუშვებთ, სათანადო ენობრივი მასალის უქონლობის გამო. ხოლო ფუძეენური წარმომავლობის ველარიზებულ თანხმოდანთა რეფლექსები აფხაზურ-ადიღურ ენებშია კანტიკუნტად შემორჩენილი, უფრო შიშინა სიბილანტებში. აქვე შეინიშნება მეორეული ველარიზაციის შემთხვევებიც, ბიფონემურ ჯგ ჩქ ჭკ კომპლექსთა ერთ ფონემად შერწყმის ხარჯზე, შდრ. ს.-სინდ *ჩარ „სწრაფი“ (ადილ. ჩარ, ყაბ. ჩარ „სწრაფი“), მაგრამ შდრ. ს.-ქართვ. *ჩქერ- „სწრაფი“ (ქართ. ჩქერ-ი, ზან. ჩქარ-ი, ე-ჩქარ-ებ-ა / ო-ჩქარ-უნ), ს.-ნახ. *ჩახქ-ინ „სწრაფი“, დაღ., თაბას. ჩიქ-ი „ჩქარი“, ანუ ამ ნიმუშების ფონზე ადვილად გამოჩნდება ჩქ → ჩ (შესაბამისად, ჯგ → ჯ და ჭკ → ჭ) ველარიზაციის მეორეულ პროცესთა რეალურობა ფუძესინდურში.

საერთოქართველურში ძ ც წ ზ ს / ჯ ჩ ჭ (ჟ) შ ველარიზებულ ფონემათა მოშლის ტენდენციის შედეგად გაჩნდა ბიფონემური ჯგუფები (კომპლექსები) – ძგ ცქ წკ ზგ სქ / ჯგ ჩქ ჭკ

(ჟგ) შქ. აქ დასახელებულ კომპლექსთა სიხშირული კოეფიციენტი, როგორც ჩანს, პირდაპირპროპორციულია წინაპარ ფონემათა (არქიფონემათა) დისტრიბუციისა ფუძე-ენაში.

საყურადღებოა, რომ ქვემოთ მოცემულ ნიმუშებში სინდურ ენათა ველარიზებულ შიშინა სიბილანტებს ქართველურში შეესაბამება როგორც სისინა (მგ ცქ...), ისე შიშინა (ჯგ ჩქ...) სიბილანტიანი კომპლექსები, რაც რელევანტურია აღწერილ თანხმოვანთა გენეზისის თვალსაზრისითაც:

(1) ს.-სინდ. *ჯ^ჲგ- „თრთვილი, ჭირხლი“ (ადილ. ჩ^ჲგ, ყაბ. ჟ^ჲგ, ბასლ. ჯ^ჲგ „თრთვილი, ჭირხლი“) : ს.-ქართვ. *ძგ-იფ „გაყინვა“ (ქართ. ძგიფი, გა-ძგიფ-ვა, ზან. (ლაზ.) ო-ძგიფ-უ „მოყინვა“)

(2) ს.-სინდ. *ბ^ჲჯა- „ჭადარი, მუხა“ (ადილ. (ქემგ.) ფჩ^ჲაფ, ყაბ. ბჟედ // ბჯედ „ჭადარი“. შდრ. შაფს. ფჩაფ „წიფელი“, აფხაზ. ა-ჯ^ჲგ, აბაზ. ჯ^ჲ-ჭტუ „მუხა“) : ს.-ქართვ. *ბაძგ- „წყავისებრი ხე“ (ქართ. ბაძგ-არ-ი, ზან. (მეგრ.) ფენჯგ-ირ-ე „სორგო“, სვან. ბოჯგ // ბოჯგ-ერ „ქუჩი“)

(3) ს.-სინდ. *ჩა-ნ „ძილი“ (ადილ. ჩგ-მა-ნ, შაფს. ჩგ-მა-ნ, ყაბ. ჟედ-ნ, ბალს. ჯედ-ნ „ძილი“) : ს.-ქართვ. *ცქან- „განაზვა“ (ქართ. ცქნ-აფ-ა „ჩბუნვა“ (საბა))

(4) ს.-ქართვ. *სქ-ელ- „სქელი“ (ქართ. სქ-ელ-ი, უ-სქელ-ეს-ი, სვან. სგელ, სკელ (ლნტ.), ხ-ონსგლ-ა, სგელ-ნრა „უსქესი“) : ს.-სინდ. *შა-ნ „ქონი, ცხიმი“ (ადილ. შა, ყაბ. სა „ქონი, ცხიმი“, აბაზ. შა, აფხაზ. ა-შა „ქონი, ცხიმი“)

§8. ჰარმონიულ-დეცესიური კომპლექსები. სინდურ-ქართველურ ბგერათშესატყვისობათა სისტემაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს კანონზომიერი ფონემური მიმართებანი უკვე თანხმოვანკომპლექსთა დონეზე. ძირითადად, ასეთი თანხმოვანური ჯგუფები შემდგომ სეგმენტაციას არ ექვემდებარება და ფუძეენური წარმომავლობისა ჩანს, მაგრამ აქვე, ზოგან, ნათლად წარმოჩნდება ამა თუ იმ ფუძე-ენაში ჰარმონიულ-დეცესიურ კომპლექსთა მეორეული ხასიათი, უფრო ხშირად რედუქციის მომდევნო საფეხურზე; რაც ძირითადად A ტიპის ჯგუფებში დასტურდება.

ს.-ქართვ. ბღ ~ ს.-სინდ. ბღ

(1) ს.-ქართვ. *ბღორ- „გამოქვაბული, ხვრელი“ (ქართ. (გურ) ბღორ-ო, ზან. (ლაზ.) ბღოჯ-ი „მღვიმე, გამოქვაბული“, სვან. ბღერ „დიდი ხვრელი“) : ს.-სინდ. *ბღა „ბუნაგი“ (ადილ. ბღა, ყაბ. ბღა „ბუნაგი“).

(2) ს.-ქართვ. *ბღალ- „შებლალვა, შეურაცხყოფა“ (ქართ. ბღალ-, შე-ბღალ-ულ-ი, შდრ. მთიულ. ბღალ-ა „ჭუჭყი“) : ს.-სინდ. *ბღა- „საყვედური, სირცხვილი“ (ადილ. ბღა, ყაბ. გტგ-ბღა-ნ „ყვედრება, შერცხვენა“)

(3) ს.-ქართვ. *ბღაჟ- „ბუდე, ორმო, ნაპრალი“ (ქართ. (ქსნ.) ბღავან-ი „ნატამალი, ძირი“, ზან. (ლაზ.) ო-ბღე „ბუდე“, სვან. ბღეჰ // ბღე // ბღე ← *ბღეჟ „ნაპრალი“) : ს.-სინდ. *ბღაჟ „ბუდე“ (ადილ. ნა-ბღაჟ, ყაბ. ა-ბღაჟ-ნ, უბიხ. ა-ბღა „ბუდე“)

(4) ს.-ქართვ. *ბღ- „თავდასხმა, აგრესია“ (ქართ. (მობ.) ბღ-ეტ-ა „ავი გულით გამოხედვა“, ზან. (ლაზ.) ბღ-, გო-ბღ-უ „თავდასხმა“) : ს.-სინდ. *ბღ-აჟ- „თავდასხმა“ (უბიხ. ბღ-აჟ-ი)

ს.-ქართვ. ფხ ~ ს.-სინდ. ფხ

(1) ს.-ქართვ. *ფხალ- „ცხრილი/ცხავის ძირი“ (ქართ. (ხევს.) ფხალ-ა „ცხრილის ან ცხავის არამტკიცედ დაწნული ძირი“) : ს.-სინდ. *ფხა „ძირი, ქვედა ნაწილი“ (ადილ. (ჭემგ.) ფხ^ა-ჩ „ფსკერი“, უბიხ. ხა- ← *ფხა „ძირი, ქვედა ნაწილი“)

(2) ს.-ქართვ. *წიფხ- „წვრილი წნელი“ (ქართ. წიფხ-ი „წვრილი წნელი“, ზან. (ლაზ.) წეფხ-ე „წნელი“) : ს.-სინდ. *წფხ-ა „გასაღები“ (აფხაზ. ა-წაფხ-ა, აბაზ. წა-ფხ-ა „გასაღები“)

(3) ს.-ქართვ. *ფხალ- „ფხალი“ (ქართ. ფხალ-ი // მხალ-ი, ზან. (მეგრ.) ხულ-ი ← *ფხულ-ი „კეჭერა ფხალი; მიწაფხალი“) : ს.-სინდ. *ფხზ „სტაფილო“ (ჩერქ. ფხგ „სტაფილო“)

ს.-ქართვ. დღ ~ ს.-სინდ. დღ

(1) ს.-ქართვ. *დღენ- „ვით თანდებული“ (ზან. (ლაზ.) დღენ „ვით თანდებული“. მეგრ. დღან, ი-დღან-ო „იმასავით“) : ს.-სინდ. *დღზ „როგორ“ (ადილ. თჰა-ფშ „რამდენი“, უბიხ. დღზ- „როგორ“)

(2) ს.-ქართვ. *დღე- „დღე“ (ქართ. დღე, ზან. დღა // ნდღა, სვან. ლა-დღელ „დღე“) : ს.-სინდ. *დღლა „მზე“ (ადილ. თგლა, ყაბ. დგლა, უბიხ. ნდღა „მზე“)

(3) ს.-ქართვ. *დღილ- „სიმსუქნე“ (ზან. (მეგრ.) ნდღილ-ინ-ი „უშნო სიმსუქნე“, სვან. დღილ-ჰა „მსუქანი (ქალი“) : ს.-სინდ. *დღლზ „(ადილ. დღლზ, ყაბ. დღლზ „ქონი“)

ს.-ქართვ. თხ ~ ს.-სინდ. თხ

(1) ს.-ქართვ. *თხამ- „თხმელა“ (ქართ. თხემლა // თხმელა, ზან. თხომუ // ნთხომუ // თხუმუ „თხმელა“) : ს.-სინდ. *თხტა „ჭადარი“ (ადილ. თჰა-ფგ (← *თხ^ა-ფგ), ყაბ. თხტეფ, „ჭადარი“)

(2) ს.-ქართვ. *დითხ-ელ- „თხელი“ (ქართ. თხ-ელ-ი, ზან. (ლაზ.) თითხუ, მეგრ. თხითხუ, სვან. დგთხელ „თხელი“) : ს.-სინდ. *თხზ „თხელი“ (უბიხ. თხა „თხელი“, შდრ. ს.-ნახ. *ნეთხ-ინ „თხელი“)

(3) ს.-ქართვ. *თხეჟ- „სითხის დენა, თხენა“ (ქართ. თხევ-ა, ზან. (მეგრ.) ნთხ-აფ-ა „რწყევა“, სვან. თხუ-ნ (← *თხეჟ-ნ) „პირღებინება“) : ს.-სინდ. *თხტზ „თხევა, ღვრა“ (ადილ. ფსგ-თხტგ, ყაბ. ფსგ-თხტ „ნიაღვარი“, შდრ. წი-თუმ. თხ- „ტირილი“, თხ-უმ „მტირალი“)

ს.-ქართვ. ტყ ~ ს.-სინდ. ტყ

(1) ს.-ქართვ. *ტყუ-ბ- „ტყუბი, ორი ცალი“ (ქართ. ტყუბ-ი // ტყუპ-ი, ზან. (ლაზ.) ტკუბ-ი // ტუბ-ი, მეგრ. ტყუბ-ი, სვან. ტყუბ- // ტყუბ-ი „ორი ცალი, ტყუპი“) : ს.-სინდ. *ტყუტ „ორი“ (ადილ. (ჰაკურ.) ტყუტ, ყაბ. ტტუტ, უბიხ. ტყუტა „ორი“)

(2) ს.-ქართვ. *ტყუალ- „ტლაპო“ (ზან. (მეგრ.) ო-ნტყოლ-ემ-ი „ტლაპო“, სვან. ტყუტლ „ლაფი, შლამი“) : ს.-სინდ. *ტყუტა „გუბე“ (აფხაზ. -ტყუტა სიტყვაში ა-ძგ-ტყუტა „გუბე“)

(3) ს.-ქართვ. *ტყებ- „ველური, ტყიანი ადგილი“ (ზან. (მეგრ.) ტყაბ-ი „ტყიური, ველური“, სვან. ტყუტეფ „ყამირი ადგილები“) : ს.-სინდ. *ტყუტა „მთა“ (ადილ. (ჭემგ.) ტუტა-ჭ ← *ტყუტა-კ „მთათაშორისი ხეობა“, შდრ. -კ „ხეობა“)

ს.-ქართვ. ძღ ~ ს.-სინდ. ძღ

(1) ს.-ქართვ. *ბედღ- „გაბრაზება, ყვირილი“ (ქართ. ბეზღ-ებ-ა, ბეზღ-ი, ზან. (ლაზ.) ო-ბეჯღ-უ, „გაბრაზება, ყვირილი“ მეგრ. ბერჯღ-ელ-ი „გულმოსული ყვირილი“) : ს.-სინდ. *პადღ- „ნერვიულობა“ (ადილ. (აბძახ.) პაზღ-ა-ნ „ნერვიულობა“)

(2) ს.-ქართვ. *ძღამღ- „ველური ვაზი“ (ქართ. ძღვამღ-ი // რძღვამღ-ი „კრიკინა უსურვაზი“) : ს.-სინდ. *ძღგრბგ- „უსურვაზი; ხურტკმელი“ (ადილ. (ჭემგ.) ზღგრბგ „უსურვაზი“, ყაბ. ზღგრბგ // სზგრბგ „ხურტკმელი“)

ს.-ქართვ. ცხ ~ ს.-სინდ. ცხ / ცხ

(1) ს.-ქართვ. *ცხოტ- „გადარჩენა, ხსნა“ (ქართ. ცხოვ-ნ-ებ-ა, ზან. (ლაზ.) ო-ჩხუნ-ი „იცოცხლე“, მეგრ. ჩხონ-აფ-ა „ცხოვნება“) : ს.-სინდ. *ცხტა- „გადარჩენა“ (აბაზ. ცხა-რა „გადარჩენა“)

(2) ს.-ქართვ. *ცხრ- „დაცხრომა, დაკლება“ (ქართ. და-ცხრ-ომ-ა, მ-ცხრ-ალ-ი, ზან. მა-რჩხ-ა // მა-ჩხ-ა „დამცხრალი“) : ს.-სინდ. *ცხ- „დაკლება, კლება“ (აფხაზ. (ბზიფ.) ა-ცხ-რა „გამოკლება, კლება“)

(3) ს.-ქართვ. *მცხტ-ილ- „მსხვილი, მსუქანი“ (ძვ. ქართ. სხტ-ილ-ი, გან-სხტ-ნ-ა, ზან. (ლაზ.) მჩხუ „მსუქანი, მსხვილი“, მეგრ. შხუ „მსხვილი“) : ს.-სინდ. *მცხტა- „ჭარბი, მსხვილი, დიდი“ (ადილ. -შხტა, ყაბ. -შხტა „დიდი“, უბიხ. შხტა „ძლიერი“, აფხაზ. ა-მცხტ „ჭარბი“)

(4) ს.-ქართვ. *ცხიმ- „ცხიმი“ (ქართ. ცხიმ-ი, ზან. (მეგრ.) ჩხომ- „ცხიმი“, ჩხომ-ჭაბუ = „ცხიმ-წებო“, სვან. მგ-ჩხიმ „ცხიმი, ქონი“) : ს.-სინდ. *ცხგტ- „ნაღები“ (ადილ. შხგტ-გ, ყაბ. შხტ-გ „ნაღები“, შდრ. ს.-ნახ. *ნეჩხ- „ყველი“)

ს.-ქართვ. წყ ~ ს.-სინდ. წყ / წყ

(1) ს.-ქართვ. *წყ- „გახსენება, ხსოვნა“ (სვან. შყ-ედ (← *ჭყ-ედ) „გახსენება“, მ-ა-შყ-იდ „მახსოვს“) : ს.-სინდ. *წყა- „ცოდნა“ (ადილ. (შაფს.) სყა-ნ „ცოდნა“)

(2) ს.-ქართვ. *წყენ- / წყინ- „მოწყენა, დაღლა“ (ქართ. წყენ-ა, მო-ი-წყინ-ა, ზან. (ლაზ.) ჭკინ- (← *ჭყინ), დი-ჭკინ-დ-ინ-უ „დაიღალა“) : ს.-სინდ. *წყა- „დაღლა“ (აფხაზ. ა-წყა-რა „გადაღლა“)

(3) ს.-ქართვ. *წყტ- „წყდომა“ (ქართ. გა-წყვ-ა, ზან. (მეგრ.) დო-/მო-ნწყვ-ი „მოსპე, ჩაძირე, მოშალე“, სვან. ლი-ნწყტ-ე „განადგურება, მოსპობა“) : ს.-სინდ. *წყა- „მოშლა“ (აფხაზ. ა-წყა-რა, აბაზ. წყა-რა „მუცლის მოშლა“)

ს.-ქართვ. ზღ ~ ს.-სინდ. ზღ

(1) ს.-ქართვ. *მ-ზღილ- „პატარა; ტილი“ (ქართ. ბზღილ-ი „მწერის კვერცხი; ტილი“, სვან. ბჟღერ „ცვილი, ყრმა“) : ს.-სინდ. *ზღ- „მცირე, პატარა“ (ადილ. (ჭემგ.) ზღა-მ „მცირე, პატარა“)

ს.-ქართვ. სხ ~ ს.-სინდ. სხ / შხ

(1) ს.-ქართვ. *სხამ- „შხამი“ (ძვ. ქართ. სხამ-ი, სხამ-ეან-ი „შხამიანი“, სვან. ცხამ „ღვარძლი“) : ს.-სინდ. *სხტა- „შხამი“ (ყაბ. სხტა „შხამი“)

(2) ს.-ქართვ. *სხრ- „ჟივილ-ხივილი“ (ქართ. სხრ-იალ-ი, ზან. (მეგრ.) რშხ-იოლ-ი „ჯივილ-ხივილი“): ს.-სინდ. *სხგ- „სიცილი“ (ადიდ. შხგ-ნ, ყაბ. დჰჰ-შხგ-ნ „სიცილი“, შდრ. უდ. ახმ-უმ-„სიცილი“)

(3) ს.-ქართვ. *ოსხ- „ერთ-ერთი ღვთაება“ (ქართ. (თუმ.) ოსხ-ი „ერთ-ერთი ღვთაება“, სა-ოსხ-ე „ამ ღვთაებისათვის განკუთვნილი“): ს.-სინდ. *ტა-შხ „ღმერთი“ (ადიდ. ტაშხ-ტა „ცის კამარა“, ყაბ. ტაშხ-ო // ტაშხ-ტა „ცის ლაჟვარდი“, უბიხ. ტაშხ-ტა „ღმერთი“)

(4) ს.-ქართვ. *მ-სხილ- „წილი, ტილის ნაშიერი“ (ქართ. (რაჭ.) ფსხილ-ი „წილი, ტილის ნაშიერი“): ს.-სინდ. *სხგ- „მცირე“ (ადიდ. (შაფს.) სხჰ, ჭემგ. სხჰ-ჲ „მცირე“)

აქვე შეიძლება, უფრო დაწვრილებით გვესაუბრა ასევე ს.-ქართვ. *ზხ : ს.-სინდ. ზხ, ს.-ქართვ. *ფს : ს.-სინდ. ფს, ს.-ქართვ. *სთ : ს.-სინდ. სთ... ჰარმონიულ, მაგრამ არადეცესიურ ჯგუფებზეც, თუმცა მათთვის საინტერესო საილუსტრაციო მასალას მკითხველი (სპეციალისტი) გზადაგზა ეტიმოლოგიური ლექსიკონის კითხვისას თვითონაც ადვილად შენიშნავს.

უფრო ძნელად საპოვნელი (იშვიათი) გამოდის **A** ტიპის ჰარმონიულ-დეცესიური კომპლექსებისათვის საჭირო მასალა, შდრ.: ფჟ – ს.-ქართვ. *აფჟ- (აფჟ-იო „იალქანი“): ს.-სინდ. *ფჟგ- „შუბი“ (ადიდ. ფჟგ „შუბი, შუბის წვერი“); ტკ – ს.-ქართვ. *ტკჟარ-ე „მტკვარი“ (ქართ. მ-ტკვარ-ი, ზან. (ლაზ.) ტკურ-ა „მტკვარი“) ს.-სინდ. *ტკჟჰ- „დინება“ (ადიდ. ძაღა-ტკჟა-ნ, ყაბ. ფგ-ტკჟგ-ნ „დინება“); ძგ – ს.-ქართვ. *ძგიბ- „დაცობა, გავსება“ (ქართ. ძგიბ-ვ-ა, ზან. ძგიბ-, სვან. ძგუბ- „დაცობა, გავსება“): ს.-სინდ. *ჯგჟგ- „დაცობა“ (აფხაზ. ა-ჯგჟა-რა „თავის დაცობა“); ცქ – ს.-ქართვ. *ცქრ- „ცქრიალა“ (ქართ. ცქრ-იალ-ა, ზან. (მეგრ.) ცქგ „ცქრიალა“): ს.-სინდ. *ცქა- „სუფთა“ (აბაზ. ცქა-, აფხაზ. ა-ცქა- „სისუფთავე, სუფთა“), რაც უდავოდ ადასტურებს და ამყარებს დებულებას იმის შესახებ, რომ **A** ტიპის ჰარმონიულ-დეცესიური კომპლექსები არ იყო პოვნეირი (დამახასიათებელი) პალეოკავკასიური ფუძე-ენისათვის.

§9. ლატერალური თანხმოვნები. იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ყველა ჯგუფში მეტ-ნაკლებად დასტურდება ლატერალურ თანხმოვანთა სერია (წყება), თუმცა არც საერთოქართველურში და, მითუმეტეს, ისტორიულად დადასტურებულ ქართველურ ენაკილოებში სინდურ-დადესტნური სახეობის ლატერალები არ არის დამოწმებული. მიუხედავად ამისა, ზოგი მკვლევარი საერთოქართველურ ფუძე-ენაშიც აფიქსირებს ორი ლატერალის – **ლ** აფრიკატი და **ლ'** სპირანტი – არსებობას. ამგვარი რეკონსტრუქციის საფუძველი აღმოჩნდა ბგერათშესატყვისობათა ორი ფორმულა დადასტურებული ქართულსა და სვანურს შორის. **ლ** აფრიკატ-ლატერალისათვის ესაა ქართ. **წ** : სვან. **ჰ**, ხოლო **ლ'** სპირანტისათვის – ქართ. **ს** : სვან. **ლ** [ფენრიხი 2007]. ზემოთ დასახელებული ფონემური ოპოზიცია, ვფიქრობთ, ვერ გამოდგება საერთოქართველურ ფუძე-ენაში ლატერალურ თანხმოვანთა სერიის აღსადგენად.

ჩვენი დაკვირვებით, საერთოქართველურ ფუძე-ენაში იბერიულ-კავკასიურ ენათათვის სპეციფიკური ლატერალური თანხმოვნები უკვე აღარ იყო დამახასიათებელი, მაგრამ მეტად საგულისხმო ჩანს მათი რეფლექსაცია საერთოქართველურში, რაც თვალნათლივ გამოჩნდება მხოლოდ და მხოლოდ შედარებითი შესწავლის (შეპირისპირებითი ანალიზის) საფუძველზე. ასე მაგალითად, ს.-ქართვ. *რ არაერთ ძირ-ფუძეში ამჟღავნებს ლატერალურ წარმომავლობას, მაშინ, როდესაც საერთოსინდურში ქართველურ რ-ს შესატყვისება მჟღერი ლატერალური სპირანტი **ლ'**, ხოლო ხუნძურ-არჩიბულში გამოჩნდება გლოტალიზებული ინტენსიური აფრიკატ-ლატერალი

ლ, ვინაიდან ამ ორ ენაში ლატერალთა სისტემა შედარებით სრულადაა შემონახული, რომელიც ჩვენს შემთხვევაში საკონტროლო საშუალებად გამოდგება:

ს.-ქართვ. რ ~ ს.-სინდ. ლ ~ ხუნძ.-არჩიბ. ლ

(1) ს.-ქართვ. *მარ- „ღრუბელი“ (ძვ. ქართ. მარ-აგ-ი, ზან. (ლაზ.) მურ-ეჟ-ი „ღრუბლიანი“, სვან. მერ-ე // მერი „ღრუბელი“) : ს.-სინდ. *მალ-გ „ყინული“ (ადილ. მგლ-გ, ყაბ. მგლ- „ყინული“) : ხუნძ. მარტ ← *მარლ „ყინული“, შდრ. წ.-თუშ. მილ-დარ „შეციება“

(2) ს.-ქართვ. *ბურუ- „ბურვავი“ (ქართ. ბურვ-ავ-ი) : ს.-სინდ. *ბლ-გ „ნეზვი“ (უბიხ. ბლ-გ „დედალი ღორი“) : არჩიბ. ბოლ „ღორი“

(3) ს.-ქართვ. *ბარ- „ფილტვი; კუჭი“ (ქართ. (ინგილ.) ბარ „ფილტვის ნაჭერი“, სვან. ბალ-ე „გამხმარი კუჭი, რომელსაც იყენებენ კვეთის დასამზადებლად“) : ს.-სინდ. *ბალ- „ფილტვი“ (ადილ. თჰა-მ-ბგლ, ყაბ. თჰა-მ-ბგლ „ფილტვი“) : ხუნძ. ბალ „ნაწლავი“

ამოსავალი ვიბრანტი რ სინდური ენებიდან შედარებით უკეთ აფხაზურ-აბაზურშია შემონახული, ამავდროულად მას ქართველურ მასალაშიც იდენტური რ შეესაბამება; განსხვავებულია ვითარება ჩერქეზულ ენებში, სადაც ხშირად მეორეული რ → ლ ლატერალიზაციის ფონეტიკური პროცესი შეინიშნება. შდრ. ს.-ქართვ. *ჰერ- „ხალხი, ჯარი“ (ქართ. ერ-ი) : უბიხ. ლა „ჯარი“, მაგრამ აფხაზ. ა-რე, აბაზ. რე „ჯარი“; ს.-ქართვ. *ყორ- „ყორანი“ (ქართ. ყორ-ან-ი) : ადილ. ყვალ-ნ „ყვავი, ჭკა“; ს.-ქართვ. *ღირ- „სითხის უხვი დენა“ (ქართ. ღვირ-ღვილ-ი) : ს.-სინდ. *ღალ-ა „ტალღა“, ადილ. ჟალ-ა „ტალღა“, შდრ. აღულ. ჰალ, კრიწ. შილ „ზღვა“, არჩიბ. ჰლო-თუ „თხევადი, სითხე“; ს.-ქართვ. *მორ- „რბილობი, უძვლო ხორცი“ (ქართ. მ-მორ-ი, სვან. ძურ / ძერ „რბილობი“) : ს.-სინდ. *მალ-გ „ღრძილი“ (ადილ. ცალ-გ, ყაბ. ძალ „ღრძილი“) შდრ. ბუდუხ. შილ ← *ჯილ „ხორცი“...

ამოსავალი ლატერალი ლ (მჟღერი) და ლ (ყრუ) სპირანტების ევოლუცია ერთგვაროვნად წარიმართა ქართველურ-აფხაზურ-აბაზურ ენებში, ოღონდ საერთოქართველურისთვის დამახასიათებელი აღმოჩნდა ლატერალთა სისინა რეფლექსაცია – ლ → ზ, ლ → ს, მაშინ, როდესაც აფხაზურ-აბაზურში შესაბამისად ჟ/შ შიშინა ალომორფები გამოჩნდება.

ს.-ქართვ. ზ ~ ს.-ჩერქ. ლ ~ აფხაზ.-აბაზ. ჟ

(1) ს.-ქართვ. ზარ-ელ- „სულელი“ (ზან. (მეგრ.) ჟურუ „სულელი, ჰკუასუსტი“) : ს.-ჩერქ. *ლა- „მოტყუება, გასულელება“ (ადილ. ღა-სურ-ლა-ნ „გასულელება“, სურ-ლა „სულელი“, უბიხ. ლა- „მოტყუება“) : აფხაზ. ა-ჟა-რა, აბაზ. ჟა-რა „მოტყუება“

(2) ს.-ქართვ. ბზინ- „შუაში გაყოფა“ (ზან. (ლაზ.) ო-ბჟინ-უ „ფუტკრის შუაში გაყოფა“) : ს.-ჩერქ. *ბლა- „შუა, შიდა“ (უბიხ. ბლა- „შუა“, ადილ. ბლა-ლა „ახლოს“) : ადილ. ბლა-ლა, ყაბ. ბლა-ლა, უბიხ. ბლა „ახლოს“) : აფხაზ. ა-ბჟა-რა, აბაზ. ბჟა-რა „შორის, შუა, შიდა“

ს.-ქართვ. ს ~ ს.-ჩერქ. ლ ~ აფხაზ.-აბაზ. შ

(1) ს.-ქართვ. ფსინ- „ყურება“ (ზან. (მეგრ.) ო-ფსინ-უ-ნ „უყურებს, ხედავს“) : ს.-ჩერქ. *ფლა- „ყურება“ (ჩერქ. ფლა-ნ, უბიხ. ფლა „ყურება“) : აფხაზ. ა-ფშა-რა, აბაზ. ფშა-რა „ყურება“

(2) ს.-ქართვ. სალ- „ქაჩაჩის ქვედა ნაწილი“ (ქართ. (ხევს.) სალ-ია „ცხენის ქაჩაჩის ქვედა ნაწილი“): ს.-ჩერქ. *ლ^ა- „ფეხი“ (ადიდ. (აბძახ.) ლ^გ „ფეხი“, ყაბ. ლ^ა-ყ^ა „ფეხი“, უბიხ. ლ^ა-პ^ა „ფეხი“): აფხაზ. ა-შა-პ^გ, აბაზ. შა-პ^გ „ფეხი“...

§10. გარდა ზემოთქმულისა, ირკვევა, რომ სინდურ-ქართველურ ბგერათშესატყვისობათა მრავალი სხვა სახეობა მხოლოდ მას შემდგომ ჩამოყალიბდა, რაც აფხაზურ-აბაზურ ენებში (ხშირად ფუძე-ენის დონეზეც) ამოქმედდა მრავალფეროვანი ფონეტიკური პროცესები, ასეთია ხმოვნებში **ო** → **უა**, **უ** → **უგ**, **ე** → **ჰ**, **ი** → **გ** ტრანსფორმაციები, რამაც, ერთი მხრივ, ხმოვანთა რიცხვი შეკვეცა, ხოლო, მეორე მხრივ, ლაბიალიზებულ ხმოვანთა ახალი სახეობები შექმნა [როგავა 1984ა]; ასევე მნიშვნელოვანია დეგლოტალიზაციის **კ** → **ქ** ან, პირიქით, გლოტალიზაციის **ქ** → **კ**... სპორადული პროცესები, რომელსაც თან ერთვის **ცზ/ფშ** ამოსავალ კომპლექსთა ლაბიალიზებულ თანხმოვნებად გარდაქმნის საინტერესო პროცესი, რომელიც **მ/ზ** → **ჭ** გასონანტების ზოგადი პროცესის ერთ-ერთი სახეობაა და მრავალი სხვა, რომლის შესახებაც წიგნში უხვად იქნება მინიშნება, მაგრამ ამის შესახებ სხვაგან და ვრცლად სპეციალურ ნაშრომში გვექნება საუბარი.

ს.-ქართვ. *ა- „დეიქსური ხმოვანი“

ქართ. ა-გი, ა-გერ, ა-მიერ, ა-ქ

ზან. (ლაზ.) ა-ია „ეს“, ა-ქ-ონ-ი „აქაური“, მეგრ. ა-მარ-გ „აგერ“, ა-თაქ-გ „აგერ“

სვან. ა-ლა „ეს“, ა-მაჟ „აქამდე“, ა-მეჩჟ „აქ“

არაფერია უცნაური იმაში, რომ ა- დეიქსურმა ხმოვანმა ზანურში არ განიცადა ა → ო ტრანს-ფორმაცია, ეს, უპირველეს ყოვლისა, მისი ფუნქციით არის შეპირობებული.

ს.-სინდ. *ა- „დეიქსური ხმოვანი; ჩვენებ. ნაცვალ.“

ადიდ. ა-, ყაბ. ა- „ნაცვალსახ. ძირი“

უბიხ. ა-, ა-ე-და „ის“, ა- „განსაზღვრულობის აფიქსი“

აბაზ., აფხაზ. ა-რი „ეს“, ა-ნი „ის“, ა- „განსაზღვრულობის აფიქსი“

თითქოს უცნაური ჩანს ის ფაქტი, რომ ა- დეიქსურ ხმოვანს სინდურ ენებში ერთდროულად შეუძლია ქართ. ა-, ი- დეიქსურ ხმოვანთა ფუნქცია შეითავსოს, თუმცა ამგვარ ფაქტს სხვა იბ.-კავკ. ენებშიც ვაფიქსირებთ, შდრ.: ინგუშ. ო-ჯუზ „აქ“ ~ ბაცბ. ო „ის“.

ს.-ქართვ. *აბ- „იერი; ელფერი“

ზან. (მეგრ.) ერბ-ი // ებრ-ი „იერი; ეში“

სვან. ჰაბ // ჰაბ „ელფერი; იერი“

გვაკლია ქართული შესატყვისი. ზანურში (resp. მეგრულში) რ ფონეტიკური დანართი ჩანს, რომელიც შემდგომ, ფონოტაქტიკური შეზღუდულობის გამო, ადგილმონაცვლეობს.

ს.-სინდ. *ბა- „ხედვა, ყურება“

უბიხ. ბე-ა- „ყურება“

აბაზ. ბა-რა, აფხაზ. ა-ბა-რა „ნახვა; ხედვა“

ადილური მონაცემები არ ფიქსირდება. უბიხურში -აა- ზმნური აფიქსი ჩანს; ყოველ შემთხვევაში, აფხაზურ-აბაზურთან შედარებით, ის „ზედმეტია“ [შდრ. კვახაძე 2014 : 278].

ს.-ქართვ. *აბ- : ს.-სინდ. *ბა- არქექტიპები სტრუქტურულად სხვაობენ ერთმანეთისაგან, შეზღუდული წყობა გვაქვს. ამავე ძირებს ენათესავება ხათური -ბ- „ხედვა, ნახვა“, სადაც ხმოვანი არც არის წარმოდგენილი.

სემანტიკური კორელაცია ხედვა / ყურება / ნახვა ~ იერი / ელფერი ბუნებრივად გვეჩვენება, შდრ. რუს. вид „იერი“ და видеть „ხედვა, ნახვა“.

ს.-ქართვ. *აბედ- „აბედი“

ქართ. აბედ-ი „აბედი; დაკორმებული კანი“, „ხეზე გამოსული სოკო“

ზან. (მეგრ.) ობედ-ი „აბედი“, ლაზ. ობედ-ი „სიმსივნე“

სვან. ჰაბედ (ბზ.), აბედ (ბქ., ლშხ.), აბედ (ლნტ.) „აბედი“

ქართველურ ძირთა ეტიმოლოგიური ერთიანობა ცნობილია [კლიმოვი 1964 : 43]. დავამატეთ ლაზური ობედ-ი „სიმსივნე“, რაც მიგვაჩნია, რომ ასახავს ქართული დაკორმებული კანის შემდგომ სემანტიკურ ევოლუციას.

ს.-სინდ. *ბად- „ხის ფისი“

ყაბ. ბად „ხის ფისი (სურნელოვანი)“

საერთოსინდური არქექტიპი აღდგება ყაბარდოულის მიხედვით, რაც სტრუქტურულ სხვაობას ავლენს ქართველურთან მიმართებით; ქართველურში ა- „ზედმეტია“. სხვათა შორის, დალესტურ ენებშიც შეინიშნება ანლაუტური სხვაობები, შდრ.: ჰუნზიბ. ბოდ-ოლ „პატრუქი, აბედი“, თაბას. ბით (← *ბიდ) „id“, მაგრამ ლაკ. აფიტ-ა „სოკო“.

ყოველივე ზემოთ თქმული იმაზე მიუთითებს, რომ თავკიდური ა- პრეფიქსი გამოსაყოფია ქართველურსა და ლაკურში.

ს.-ქართვ. *ადა „მამა; მშობელი“

ქართ. (ფერეიდნ.) ადა „მამა“

ზან. (მეგრ.) ოდო-, ოდო-ია „წარმართული ღვთაება ნაყოფიერებისა“

შემთხვევითი არ არის, რომ მეგრულში ღვთაების სახელი კნინობით-მოფერებითი მორფემით წარმოჩნდა. ეს ერთგვარი ნორმა ჩანს მეგრულისთვის, შდრ. კაკ-უნ-ია „წარმართული ღვთაება“; „ცეცხლისა და სინათლის მზრძანებელი“. ქართ. ადა / ზან. ოდო ზუსტად ასახავს ქართველურ ენათა ბგერათმესატყვისობათა ჩვენებას.

ს.-სინდ. *ადა „მამა“

ყაბ. ადჷ, ბასლ. ადჷ „მამა“

ქართველური *ადა ძირის სინდური შესატყვისი მხოლოდ ყაბარდოულმა შემოგვინახა; ადიღ. თაგ / თგ : უბიხ. თჷგ „მამა“ სხვა წარმომავლობის ალომორფებია. ყოვლად დაუშვებელია ყაბარდოული ადჷ-ს გენეტიკური კავშირი აბაზურ აბა, აფხაზ. აბ „მამა“ ძირებთან [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 217]. ასეთ (ბ : დ) შესატყვისობას სინდურ ენათა შედარებითი ფონეტიკა არ იცნობს.

ცხადია, რომ მეგრულში ოდო- (ოდო-ია) ქალღმერთი იყო, მაგრამ ამან ხელი არ უნდა შეუშალოს ადა-/ოდო- ძირთა ერთიანობის მტკიცებას, ვინაიდან დედა ~ მამა სემანტიკური სუბსტიტუცია საერთო წარმომავლობის ძირებში ხშირია. ამოსავალია მშობლის ეტიმოლოგიური გაგება – მშობელი → დედა/მამა.

ქართულ-ყაბარდოულ იზოგლოსებს ეხმიანება დადესტნური ინფორმაცია, შდრ.: ბუდუხ. ადა „მამა“, თაბას. ედე-ა „ბაბუა“; აქვე შემოდის ჰურიტ. ათაა, ურარტ. ათუ „მამა“, რომელთა ყრუ ვარიანტით ჩაწერილი თ გახმოვანება მხოლოდ გრაფიკული შეუსაბამობის შედეგი ჩანს.

ს.-ქართვ. *ალ- „ლაპარაკი, საუბარი“

ძვ. ქართ. ალ-ა „მრავალთა ლაპარაკი; საუბარი“

ზმნური ძირი დასტურდება მხოლოდ ძველ ქართულში. სვანური *ალ- ან ზანურში მოსალოდნელი *ოლ- დამოწმებული არ არის. მიუხედავად ამისა, ქართული ალ- ზმნა ფუძე-ენიდან მომდინარედ მიიჩნევა, რასაც იბ.-კავკ. ენათა შესატყვისები გვაფიქრებინებს.

წ.-სინდ. *ალ- „სიტყვა; ენა“

ხათ. al- „სიტყვა; ენა“, al-ip „თქმა“, говорить

ქართული ალ- ერთადერთი არ უნდა იყოს; აქვე შემოვა ვაინახური ზლ-/ალ- „თქმა“ [შავხელიშვილი 1998 : 62], დადესტნური – ახვახ. ელჷ-, დიდ. ელ- „თქმა“ და სხვ. ზმნური ფორმები ამავე სტრუქტურისა და შინაარსისა [ნახურ-დადესტნური შესატყვისებისათვის იხ. ტრუბეცკოი 1922 : 241].

ნახურ-დადესტნურ ალომორფებს შესატყვისს უძებნიან ხურიტული xill- „ლაპარაკი“ ზმნის სახით [დიაკონოვი, სტაროსტინი 1986 : 51].

ს.-ქართვ. ანწილ- „ანწლი“

ქართ. ანწლ-ი

ზან. (ლაზ.) ინჭირ-ი, მეგრ. ინჭერ-ია // ინჭირ-ია „ანწლი“

სვან. განჭუ, განჭუ (ლშხ.) „ანწლი“

ზანური დიალექტები მხარს უჭერენ ფუძის ორმარცვლიანობას – ამოსავალი ი დაკარგულია ქართულ-სვანურში.

ს.-სინდ. *ა-მწერ „ანწლი“

აფხაზ. ა-მწერ-, სიტყვაში ა-მწერ-ბლ-რა „ანწლნარი, ანწლიანი“

სინდური ენებიდან მხოლოდ აფხაზურ დერივატში შემოგვრჩა ან წლი ს აღმნიშვნელი ა-მწერ ფორმა. ანლაუტში ა-ს რეკონსტრუქცია პირობითია, ვინაიდან ნებისმიერი თავკიდური ა აფხაზურში შესაძლებელია, რომ გადააზრიანდეს ზოგადობის ა- პრეფიქსად. აფხაზურში სათანადო ძირის არსებობაზე გ. კლიმოვიძე მიუთითა [კლიმოვი 1969 : 290, კრ. ეტიმოლოგია, 1967/1969]. ვარაუდობენ აფხაზ. ა-მწერ-ბლ-რა სხვაგვარ შედგენილობასაც (ნ. მაჭავარიანი).

ს.-ქართვ. *აპან- „იანვარი“

ძვ. ქართ. აპან-ი, აპნ-ის-ი „იანვარი ქართულად“

ჯერჯერობით ძვ. ქართ. აპან- ძირის ქართველური შესატყვისები არ არის გამოვლენილი, რაც დამაბრკოლებელ ფაქტორად ვერ იქცევა საერთოქართველური არქეტიპის რეკონსტრუქციის გზაზე, ვინაიდან მეტად სანდო სინდური პარალელები იჩენს თავს.

ს.-სინდ. *აფენ- „გაზაფხული“

აბაზ. ზაფენგ, აფხაზ. ა-ფენ „გაზაფხული“

აფხაზურ-აბაზური ფორმები რთული შედგენილობისაა. ორივეგან ზა „დრო“ + აფენ „გაზაფხული“ გამოიყოფა. შეიძლება, იგივე შედგენილობის სიტყვა დაიმუშაოს უბიხურ ენაშიც, სადაც უა-ჭადა დაიშალა ღუა და ჭადა ელემენტებად, ანუ ფადა (← *აფადა) აფხაზ.-აბაზ. აფენ-ის შესატყვისი გამოდის (შდრ. ბეჟიტ., ჰუნზიბ. ემედა „გაზაფხული“).

ს.-ქართვ. *აპარ- „ძველები, წინაპრები“

ქართ. აპარ-ი, წინ-აპარ-ი „წინაპირველი“ (საბა)

ცხადია, აპარ-ი წინ ა თ ა ო ბ ის წარმომადგენელს ნიშნავდა უძველეს ქართულში, რომელიც მხოლოდ კომპოზიტშია შემოგვრჩა.

ს.-სინდ. *აბა „მამა“

აბაზ. აბა, აფხაზ. აბ „მამა“, მრ. რ. აბა-ცუა

ჩერქეზულ ენებში ამ ძირის შესატყვისი ჯერჯერობით არ არის მიკვლეული [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 217]. ქართველური მონაცემის სტრუქტურის გასააზრებლად ძვირფასია უდიური ენის ჩვენება, შდრ. უდ. აფერ (← *აპერ) „მამა“.

ს.-ქართვ. *აპე-, „თითი“

ქართ. აპე-, სიტყვაში აპე-ურ-ი, აპა-ურ-ი (საბა)

თითის აღმნიშვნელი ერთ-ერთი უძველესი ძირი მხოლოდ ქართულ დერივატში შემოგვრჩა. სწორედ სხვა ქართველურ ენებში დაკარგვის შედეგია ის ფაქტი, რომ საერთოქართველური თითი არქეტიპი აქამდე არ არის რეკონსტრუირებული.

ს.-სინდ. *აპა „თითის საზოგადო სახელი“

უბიხ. ლ'აპა ფეხი“, ყაპა „ხელი“

აბაზ. ნა-პე „ხელი“, აფხაზ. ა-ნა-პე „ხელი“, ამა-პე „ფეხი“. თავკიდური ა-ს (*აპა) აღდგენა აუცილებელი ჩანს უბიხური მონაცემებიდან გამომდინარე, რასაც ორსავე კომპოზიტში მორფემათა საზღვარზე ა-ს სიგრძე ამტკიცებს, ე.ი. ამოსავალი სახე იყო: *ლ'ა-აპა, *ყა-აპა. დადესტნური მონაცემებიც ამ მოსაზრებას ამყარებენ, შდრ. ჰინუხ., ბეჟიტ., ჰუნზიბ. აპა „თათი“.

ს.-ქართვ. *აჟუან- „ეჟვანი; ჟღერა/საჟღერი“

ქართ. ეჟვან-ი „საჟღერი“ (საბა)

ზან. (მეგრ.) ორჟონ-ი // ორჟვენ-ი, სამურზ. ორჟვენდ-ი „ეჟვანი“

ანლაუტში ქართველური ე/ო ოპოზიცია საერთოქართველურ ა გახმოვანებას ვარაუდობს. ზანურისათვის ამოსავალი ფორმა ***ორჟონ-ი** უნდა ყოფილიყო. სამურზაყანოულში კი აუსლაუტური **დ ნ**-სთან მეზობლობით განვითარებული ფონეტიკური დანართი ჩანს – ნ → ნდ. შუალედურ სახეობად მეგრულისათვის **ორჟონ-ი** მიიჩნევა, შდრ. **ორჟონ**-ია „ზანზალაკი“, რაც ქართული ე-ს მეორეულობას ამტკიცებს. ქართული **ჟ** : ზან. **ჟ** წინარექართველურ **ზ** სისინ-შიშინა არქიფონემის არსებობაზე მიუთითებს, შესაბამისად, აღდგება წ.-ქართვ. ***აზუან**- „ეჟვანი“.

ს.-სინდ. ***აჟუა** „ხმა“

აზაზ. **ჟუა**, აფხაზ. **აჟუა** „ხმა; სიტყვა“

ჯერ კიდევ ი. მესაროში ვარაუდობდა ამავე ძირებთან ყაბ. **ჟგ-ცა**- „თქმა, საუბარი“ ზმნური ფუძის ერთიანობას [მესაროში 1934 : 308], რომელსაც, სტაროსტინ-ნიკოლაევის აზრით, უბიხ. **ჩგ-ყა** „ფიცი, დაფიცება“ უკავშირდება [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 488]. ვფიქრობთ, სხვადასხვა მონაცემთან გვაქვს საქმე. სემანტიკურად კორელაცია **ეჟვანი** ~ **მეტყველება** გულისხმობს **ხმის** ეტიმონურ გაგებას, რაც რეალურად დასტურდება კიდევ ნახურ იზოგლოსებში, შდრ. ჩეჩნ. **ჰზ**, ინგუშ. **ოაზ** „ხმა“, ს.-ნახ. ***აზუ**-.

ს.-ქართვ. ***არ**- „არის“

ქართ. **არ**-ი-ს

ზან. **ორ-ე(ნ)** „არის“

სვან. **პრ-ი/არ-ი** „არის, იმყოფება“

ქართველურ ძირთა შეპირისპირებით ადვილად გამოიყოფა არქაული **არ**- ზმნა, რომელიც ს.-ქართვ. ***არ**- „არის“ ზმნის რეკონსტრუქციის შესაძლებლობას იძლევა [ჩიქობავა 1938 : 307].

ს.-სინდ. ***არ**- „კი, ჰო“

ადილ. **არ-გ** „კი, ჰო“

სიტყვა მხოლოდ ადიღეურში დასტურდება, მაგრამ, სავარაუდოდ, იგი ფუძეენური წარმონაქმნი უნდა იყოს. სემანტიკურადაც **არის** ~ **კი/ჰო** კანონზომიერ მიმართებას აჩვენებს.

საკითხი ისმის ქართ. **არ-ა** : ზან. (მეგრ.) **ორ-ე** „არა“ ფუძეთა ქართველური **არ**- ძირის შეპირისპირების შესაძლებლობის შესახების თაობაზე [მაჭავარიანი 2015 : 138].

ს.-ქართვ. ***-არ** „მრავლ. რ. სუფიქსი“

ქართ. **-არ** : გომ-**არ-ეთ-ი**, ბუჩქ-**ნ-არ-ი**

ზან. (ლაზ.) **-ერ-ე**: ენთ-**ერ-ე** „ისინი“

სვან. **-პრ** : ჯან-**პრ** „ხარები“, კოჯ-**პრ**- „კლდეები“

ფუძეენური მდგომარეობისათვის ამოსავალი ჩანს **-არ** სახეობა, რომლის **-ორ** შესატყვისმა ზანურში (ლაზურში) უმლაუტით **-ერ** მოგვცა. ქართულ-სვანურ აფიქსთა ერთიანობა ცნობილი იყო [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 83].

ს.-სინდ. ***-არ** „მრავლ. რ. სუფიქსი“

აფხაზ. **-არ** : ამ-**არ-ქუა** „თიკნები“, ას-**არ-ქუა** „ბატკნები“

ზოგიერთი მრავლობითის ფორმა აფხაზურში ორმაგ გაფორმებად არის მიჩნეული, ხოლო გამოყოფილი **-არ** მრავლობითის არქაულ სუფიქსად კვალიფიცირდება. იქვე მოიხმობენ სვანურ **-პრ** და ბასკურ **-არ** მრავლ. რ. სუფიქსებსაც [ჩირიქა 1985 : 95].

გასაზიარებელი მსჯელობა ჩანს, მით უფრო, მაშინ, როდესაც დაღესტნური და ნახური მასალაც წარმოაჩენს ერთიანი წარმომავლობის **-არ/-ორ** მრავლობითობის სუფიქსებს.

ს.-ქართვ. *არგ-ან- „ნაჯახი“

ძვ. ქართ. არგან-ი „კვერთხი“, ა რ გ ა ნ - ი არს კვერთხის უსხოსი (საბა)

ზან. (ლაზ.) არგუნ-ი „ნაჯახი, ცული“, მეგრ. არგუნ-ი „ნაჯახი“

ქართველურ ენებს შორის თავჩენილი ხმოვნური შეფარდება ანლაუტში ქართ. ა : ზან. ა ასა-ხავს მეორეულ ვითარებას, ანუ ზანურში არქაული ო ისევ ა-ში გადავიდა, რისი არაერთი მაგალითი ვიცით მეგრულ-ლაზურებიდან: ოგაფა / აგაფა, ოლაგე / ალაგე... [იხ. ჩუხუა 2000-2003 : 51]. აქაც ივარაუდება *ორგუნ-ი → არგუნ-ი.

ს.-სინდ. *გუგ „ნაჯახი“

ყაბ. -გუგ „ნაჯახი“, სიტყვაში ტგ-გუგ „ნაჯახის ყუა“

სინდური ენებიდან ერთადერთია ყაბარდოული, რომელშიც რთული სიტყვის ერთ-ერთ კომპონენტად უძველესი გუგ „ნაჯახი“ ძირი შემოგვენახა. ისტორიულად არ გამოირიცხება ანლაუტის გამარტივებაც ყაბარდოულში.

ს.-ქართვ. *არგ-ან- „ნაჯახი“ : ს.-სინდ. *გუგ „ნაჯახი“ არქეტიპების კანონზომიერი შესატყვისები თავჩენილია დიდოურ ენებშიც: ბეჟიტ. ონგ, ხვარშ. ოგ, ჰინუხ. ოგ, ჰუნზიბ. ონგ, ინხოყვ. ოგ, ს.-დიდ. *ონგ „ნაჯახი“.

ს.-ქართვ. *არეკ- „არაკი; ზღაპარი“

ქართ. არაკ-ი, იგავ-არაკ-ი

ზან. (მეგრ.) არიკ-ი „ზღაპარი“

სვან. ჰარაკ, არაკ (ლნტ.) „საარაკო“

გაუგებარია ა გახმოვანება მეგრულში, მაგრამ, ვფიქრობთ, იგი ისტორიული ო-სგან მომდინარეობს, რაც ო →//ა სუბსტიტუციით აიხსნება სიტყვის ანლაუტში.

ქართველოლოგიაში კი დამკვიდრებულია აზრი ქართ. არაკ- ფუძის სომხურობის შესახებ, რაზეც ჯერ კიდევ საბა მიუთითებდა: არაკი სომხურად ი გ ა ვ ს ჰქვიან.

ს.-სინდ. *ლაკუტ- „ზღაპარი“

აბაზ. (აშხარ.) ლაკუტ-გ, ტაპანთ. ლაკუტ // ლოკ // ლოკუტ, აფხაზ. ა-ლაკუტ // ა-ლაკუტ „ზღაპარი“

ფონეტიკური სუბსტიტუცია ა ~ გ აფხაზურში ს.-სინდ. ჰ მოკლე ხმოვანზე მიუთითებს.

ქართველურ-აფხაზურ-აბაზურ ძირ-ფუძეთა ერთიანი წარმომავლობა გამოირიცხავს ქართველურ ალომორფთა სომხურ წარმომავლობას, მით უფრო, მაშინ, როდესაც დადესტნურ ენებში ლაპარაკის აღმნიშვნელი მონათესავე ზმნები ფიქსირდება, შდრ.: ბოთლიხ., დოდობ. ჰიყი, ბაგვალ. ჰიყი-ლა, ჰამალ. ჰიყი-ლა „თქმა, ლაპარაკი“; სემანტიკისათვის შდრ. რუს. сказать ~ сказка.

ს.-ქართვ. *არსაჲ- „თითბერი“

სვან. (უშგულ.) ჲორშაჲ „თითბერი“

ფუძე დასტურდება მხოლოდ სვანურში. ვფიქრობთ, მას საერთოქართველური ეტიმოლოგია აქვს, ვინაიდან მეტად საყურადღებო გარეენობრივი იზოგლოსები გააჩნია. ფუძეენურ არქეტიპზე ფიქრისას გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ა → ჲა → ჲო დამახასიათებელი პროცესი სვანური სიტყვის ანლაუტში, შდრ. სვან. ჲოყალ : ქართ. აყალო.

ს. -სინდ. *არხჲგ „თითბერი; ოქრო“

ჩერქ. {არხჲგ} „თითბერი“

აბაზ. ხა-აფშ, აფხაზ. ა-ხჲგ „ოქრო“

ჩერქეზული შესატყვისები შემონახული ჩანს ოსურ ჰრხჲგ „თითბერი“ ნასესხებ სიტყვაში, რაც ადიღურ წყაროს გულისხმობს [შდრ. აბაევი 1958, I : 186]. უბიხურში მოსალოდნელი იყო {არხჲგ} ალომორფი, რომელიც გამოქვეყნებულ მასალებში არ იძებნება. აფხაზურ-აბაზურ ენებში

ამოსავალ ფუძეს დიდი ცვლილებები განუცდია როგორც ფონეტიკურ-სტრუქტურულად, ისე სემანტიკურად – თითბერი → ოქრო.

საყურადღებოა დაღესტნურ ენათაგან წახ. **ფუხუტა** და თაბას. (კანდ.) **მირტ** ← ***მირხ**უტ „თითბერი; სპილენძი“.

ს.-ქართვ. ***არჩა**უ-

ქართ. **არჩვ**-ი, **არჩვ** „ოთხფერხი“ (საბა)

ზან. (მეგრ.) **ერცქემ**-ი → // **ერსქემ**-ი „არჩვი“

სიტყვა, რა თქმა უნდა, საერთოქართველური ფუძე-ენიდან მომდინარეობს, მაგრამ არ ფიქსირდება ძველქართულ ტექსტებში. მეგრულში ანლაუტი ე ასახავს ს.-ქართვ. *ა-ს შესატყვის ო-ს, ანუ ო → ე ზანურში, როგორც ამას კ. შმიდტი ვარაუდობდა, უმლაუტის გზით [შმიდტი 1962 : 48; ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 85].

ს.-სინდ. ***არჩა** „ირემი, გარეთხა“

უბიხ. **ჩუტა** „ირემი; გარეთხა; შველი“

აფხაზ. ა-**ჩა** „ფურ-ირემი“

თავკიდური ა უბიხურსა და აფხაზურში დაიკარგა, ვინაიდან გაიგივებულ იქნა ზოგადობის ა-პრეფიქსთან ამ ენებში. საყურადღებო ჩანს ნახური (ა)-ათა „ძროხა“, სადაც, მართალია, **ჩ** → **თა** განხორციელდა, მაგრამ ანლაუტური ა არანომინატივში უცვლელად არის შემორჩენილი.

ს.-ქართვ. ***არძ**-ან- „დიდი თოვლი; ნალექი“

ქართ. (ქართლ., ქიზიყ., მთიულ., ფშ.) **არჯან**-ი „ცუდი ამინდი, დიდი წვიმა ელ-ჭექით“, „ხეზე დაბარდნული თოვლი; ნალექი; დიდი თოვლი“

საძიებელი ფორმა მხოლოდ ქართული ენის აღმოსავლურ დიალექტებშია პოვნიერი, ისიც სპირანტიზებული სახით – **არჯან**-ი ← ***არძან**-ი.

ს.-სინდ. ***არძ** „თოვლი; თრთვილი“

უბიხ. **მ-არძ** „თრთვილი“, **ზუ-არძ** (← ***ზუტა-არძ**) „თოვლი“, **ძგ** „თოვა“

აფხაზ. **არძ** „თრთვილი; ცვარი“

სპეციალურ ლიტერატურაში ამ სიტყვებს ამატებენ აფხაზურ ა-**ძაძა** „თრთვილი“, ადიღ. **ჯასა**-ფს „იდ“ ფორმებს, რაც ან უნდა იყოს მთლად მიზანშეწონილი [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 675].

უფრო სარწმუნო ჩანს დაღესტნურ **ანზი/ანჟი** „თოვლი“ სიტყვასთან ეტიმოლოგიური კავშირი, შდრ. უდ. **იჟ** „იდ“.

ს.-ქართვ. ***ა**-ს- „I პირის ჩვ. ნაცვ.“

ქართ. **ას**-რე, **ას**-ეთ-ი

ზან. **აშ**-ი/აშ-ო „ასე“

სვან. ე-შ-ი „ისეც“

ჩვენს ენებში, რა თქმა უნდა, ძირად ს- გამოიყოფა, მაგრამ მის პირველ პირთან მიმართებას, ალბათ, ა-ს ფორმა გამოხატავდა, შდრ. გურ. **აგ**-ი (იგი/ეგი-ს საპირისპირო). სვანურში მოსალოდნელი ***ა**-შ-ი არც ფიქსირდება, რაც მეორეული მოვლენაა [ლიტერატურისათვის იხ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 415].

ს.-სინდ. ***სა**- „მე“

ადიღ., ყაბ. **სა** „მე“

უბიხ. **სგ**-ლუა „მე“

აფხაზ. **სა**-რა, აფხაზ. **სა**-რა „მე“

ფორმოზრივად ს.-ქართვ. *ა-ს- ს.-ნახ. *ას „მე“ ერგატიულ ბრუნვაში ფიქსირებულ საპირისპირო წყობას მიჰყვება (შდრ. ნახ. სო/სა „მე“ არაერგატივში), რასაც ეხმიანება ურარტული **აეშე** „მე“. ასე რომ, ს.-სინდ. *სა- „მე“ : ს.-ქართვ. *ა-ს- ნორმალური შესიტყვებაა, რამდენადაც პ. ნაცვ. ძირებში წყობა დღესაც არ არის ფიქსირებული, შდრ. ნახურ ენებში – სო „მე“, ას „ერგატ.“.

ს.-ქართვ. *ა-ს-ე „ასე“

ქართ. ა-ს-ე

ზან. (ლაზ.) ა-შ-ო/ჰა-შ-ო, მეგრ. ა-შ-ი „ასე“

სვან. ა-შ-ი-ა-შ „ასე და ასე“

ქართველური ენები ერთგვაროვან სურათს გვიჩვენებენ; სხვადასხვა აფიქსებთან ერთად ძირად -ს-/-შ- გამოიყოფა, რაზეც ადრევე მიუთითებდნენ [ჩიქობავა 1938 : 226].

ს.-სინდ. *ა-ს-ჰ „ასე“

აფხაზ. ა-ს-გ „ასე“, ა-ს იყაწა „ასე გააკეთე“!

სიტყვა განმარტოებით დგას აფხაზურში, მაგრამ, სავარაუდოდ, ფუძეენური წარმომავლობისაა. ამას ქართველური იზოგლოსები თვალნათლივ აჩვენებენ.

წარმოდგენილი აფხაზურ-ქართველური ძირ-ფუძეები ჯერ კიდევ პ. ჭარაიამ შეაპირისპირა [ჭარაია 1912 : 38].

ს.-ქართვ. *ასჷ-ელ- „პერანგი; ნიფხავი“

ქართ. ასალ-ი „ცხენის ზურგზე გადაფარებული“

ზან. ოსარე „პერანგი, სალამური“

სვან. არშჷილ „ნიფხავი“

ჩვენთვის ადვილი დანასახია ამ შეპირისპირების სუსტი მხარეები, მაგრამ ამავდროულად მეტად გვიძნელდება დასახელებულ ძირ-ფუძეთა განმხოლოებითი განხილვა, შემდგომი კვლევები ცალკეულ დეტალებს დააზუსტებს.

ს.-სინდ. *ასე „პერანგი“

ადილ. სადე „პერანგი“

უბიხ. აშე „პერანგი“

აბაზ. ასე „პერანგი“

მეგრულ ოსარე ფუძის ნათესაურ დამოკიდებულებაზე ჩერქეზულ ძირებთან გ. როგავამ მიუთითა [როგავა 1956 : 90], რასაც აბაზური ალომორფიც ემატება.

სიტყვათა ამავე რიგში შემოგვაქვს ნახურ ენათა მასალაც, შდრ. წ.-თუშ. ასრ „თასმა“.

ს.-ქართვ. *ასთ- „ათი“

ქართ. ათ-ი, ათ-იან-ი, ათ-ეულ-ი

ზან. ვით-ი „ათი“, ვით-ოშ-ი „ათასი“

სვან. ეშდ // აეშდ // აეშტ „ათი“

მისაღებლად მიგვაჩნია გ. კლიმოვის რეკონსტრუქცია, რომელიც ყველაზე ადეკვატურად ასახავს ქართველურ ენათა ფაქტოლოგიას.

მეგრულ-ლაზური ვით-ი მიღებულია უფრო ძველი ოთ-ისგან, ო → ვი შესაძლებლობისათვის შდრ. მეგრ.-ლაზ. ხოლარ-ი // ხვილარ-ი „ხვლიკის სახეობა“.

ქართული ათი ცნობილია უძველესი წერილობითი ძეგლებიდან [საკითხის ისტორია იხ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 80-81].

ს.-სინდ. *შჷა „ათი“

ადილ. პსე, ყაბ. პსე- „ათი“

უბიხ. **ჟუგ** „ათი“

აბაზ. **ჟუა-ბა**, აფხაზ. **ჟუა-ბა** „ათი“

ერთი შეხედვით, შეიძლება გვეფიქრა, რომ **პ** ადიღურ ენებში პრეფიქსია, მაგრამ ამგვარი დაშვება უმართებულო იქნებოდა. ჩვენთვის **პ** ამ შემთხვევაში ფუძის ისტორიული ლაბიალიზაციის თავისებური (მეტათეზირებული) ნაშთია. ზუსტად ასეთივე სურათი დაჩნდება **სულ**-ის აღმნიშვნელ ადიღურ ძირებშიც, მაშინ როდესაც **სუ**- კომპლექსი *სულის* შესატყვის ფუძეებში ლაბიალიზაციას ინარჩუნებს ჩერქეზულ ენებში მხოლოდ **ფსე** / **ფსა** არის პოზიტივი, როგორც შედეგი **სუ** → **ფს** პროცესისა; ამავდროულად ს.-ქართვ. **სთ** : ს.-სინდ. **ძ** რეგულარულ-კანონზომიერი მიმართებაა, შდრ. ს.-ნახ. ***თ**.

ს.-ქართვ. ***ას-ირ**- „ასი“

ქართ. **ას-ი**, **ას-ეულ-ი**

ზან. **ომ-ი** „ასი“, ვით-**ომ-ი** „ათასი“

სვან. **ჰშირ** / **აშირ** „ასი“

ფუძეენურ მდგომარეობას, შედგენილობის თვალსაზრისით, სვანური უკეთ ასახავს. აქ არქაული **-ირ** სუფიქსი შენარჩუნდა, სხვაგან კი დაიკარგა.

ქართველურ ფუძეთა ერთიანობა ცნობილია გ. როზენის პერიოდიდან [ისტორია იხ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 87-88].

ს.-სინდ. ***სუტა** „ასი“

ადიღ. **სა**, ყაბ. **სა** „ასი“

უბიხ. **შუა** „ასი“

აბაზ. **შუ-კვ**, აფხაზ. **შუ-კვ** „ასი“

ძირის ლაბიალიზაცია საკუთრივ-სინდური მონაცემია, რომელიც გაუჩინარდა ადიღურ ენებში. ს.-სინდ. ***სუტა** შებრუნებული წყობის არქეტიპია, შდრ.: რუთულ. **ტუშ**, ლეზგ. **ტიშ**, წახ. **ტუშ** „ასი“ და სხვ. მრავალი. იხ.-კავკ. ძირთა ნათესაობა ცნობილია ივ. ჯავახიშვილის პერიოდიდან [ივ. ჯავახიშვილი 1992 : 414-423].

ს.-ქართვ. ***ასკილ**- „ასკილი“

ქართ. **ასკილ-ი** „ტყის ვარდი“ (საბა) *Roza Canina*

ზან. **ომკ-ი** (ტოპ.)

ქართული **ასკილ**-ის კანონზომიერი ზანური შესატყვისი უნდა იკითხებოდეს ტოპონიმ **ომკ**-ში, რომელიც ლაზთა ძველ სამოსახლობაში მდებარეობს. დენდრონიმის დასახლებული პუნქტის სახელად ქვევის პრაქტიკა ინტენსიურია როგორც ქართული, ისე ზანური ენა-კილოების გავრცელების არეალში: **წნორ-ი**, **ცაცხვ-ი**, **ბია**, **ძეგვ-ი...**, **ჭყონ-ი**, **ბულ-ეფ-ი**, **ანტამა**, **უშქურ-ღალ-ი...** ასე რომ, **ასკილ**-ის შესატყვისი **ომკილ-ი** (ან **ომკირ-ი**) ლაზურში **ომკ**-ად ქცეულად დროთა განმავლობაში.

ს.-სინდ. ***საკვრ** „ღანძილი“

აფხაზ. ა-**საკვრ**, ბზიფ. ა-**სკვრ** „ღანძილი“

სამწუხაროდ, ჩერქეზულ შესატყვისებს ვერ ვპოულობთ, არადა, აფხაზურ-ქართული იზოგლოსები ურთიერთნასესხობას არ გულისხმობენ, ვინაიდან შესატყვისებს ვხედავთ აღმოსავლეთ კავკასიაშიც, შდრ. თაბას. **შკი**, ლეზგ. **ჟიკი** // **შიკი** „ასკილი“. ქართულ-ბასკური ჰიპოთეზის ფარგლებში ი. ბრაუნი მოიხმობდა შეპირისპირებას ქართ. **ასკილ-ი** : ბასკ. *aspil* (← **askwil*) „ასკილი“ [ბრაუნი 1998 : 34].

ასე რომ, ს.-ქართვ. ***ასკილ**- : ს.-სინდ. ***საკვრ** კანონზომიერ ოპოზიციად გვესახება, შდრ. აფხაზ. **აჰასკვრენ** „ბალახი“ (ქ. ლომთათიძე).

ს.-ქართვ. *ა-ღტირ- „აღვირი; ლაგამი“

ქართ. აღვირი-ი / აღტირ-ი, ახ. ქართ. აღვირი-ი

სვან. ჰაღტირ / ჰაღტირ / აღტირ „აღვირი“

გვაკლია ზანური ალომორფები. სიტყვა კარგად არის ცნობილი ძველქართული სამწერლობო ენიდან: „ცხენსა აღ ჯ რ ნ ი აღუსხნით დამორჩილებად ჩუენდა“; „არა აღ ჯ რ -ასხნეს ენასა თჳსსა“; „ბრძანა აღ ჯ რ -სხმად პირთა მათთაჲ“ [აბულაძე 1973 : 22]. არ გამოირიცხება თავკიდური ა-ს პრეფიქსულობა. ანლაუტური ჰ სვანურში ფშვინვიერ შემართვას ასახავს, მეორეული ჩანს.

ს.-სინდ. *ღტირ-ა „აღვირი“

აბაზ. ღტირა, აფხაზ. ო-ღტირა „აღვირი“

ჩერქეზული მონაცემები ვერ მოვიძიეთ, თუმცა აფხაზურ-აბაზურზე დაყრდნობითაც საკმაო სიზუსტით აღდგება საერთოსინდური არქექტიპი.

სემანტიკურ-ფონეტიკური იდენტურობის პირობებში ლოგიკურად ისმის საკითხი ქართველური ა-ს პრეფიქსისა და აფხაზურ-აბაზური -ა სუფიქსის ფუნქციურ-მატერიალური ერთიანობის შესახებაც.

ს.-ქართვ. *ა-ჩუ- „ცხენი; შემახილი ცხენისადმი“

ქართ. აჩუ „ცხენთ შერისხვა“ (საბა), აჩუ-ა, ცხენი ბავშვის ენაზე“, ქიზიყ. ჩუ-ა ცხენი“

ზან. (მეგრ.) ჩუ „შემახილი ცხენისადმი“, აჩუ „id“

სვან. აჩუ „აჩუ“

ქართველურ ენა-კილოებში სათანადო ძირების არსებობაზე ჯერ კიდევ პ. ჭარაია მიუთითებდა [ჭარაია 1912 : 48-49].

ონომატოპოეტური შინაარსის ძირია, ამიტომაც არაადეკვატურია ბგერათმესატყვისობათა ჩვენებაც.

ს.-სინდ. *ჩუ „ცხენი“

ადილ. (შაფს.) ჩგ, ჭემგ., ბჟედ. შგ, აბძახ. სგ, ყაბ. შგ, ბასლ. სგ „ცხენი“

უბიხ. ჩგ „ცხენი“

აბაზ. ჩგ, აფხაზ. ა-ჩგ „ცხენი“

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ძირია იბ.-კავკ. ენებში, თუმცა ნახურ ენათა ეკვივალენტი დღემდე გვაკლია.

ს.-ქართვ. *ა-ჩუ- : ს.-სინდ. *ჩუ კანონზომიერი შესატყვისობა ჩანს, მიუხედავად ძირთა ექსპრესიული ხასიათისა. თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ქართველური ძირ-ფუძეები ნასესხებია ჩრდილოკავკასიური ენებიდან, არ ასახავს სინამდვილეს [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 520-521].

გარდა ამისა, ლეზგ. შიჟ, არჩიბ. ნღშ, ხინ. ფში განსხვავებული ეტიმოლოგიის ძირებია დამოწმებული, რომლებიც, ალბათ, ქართულ სინიბ-ი „ცხენი ფეკ-მაგარი და გამძლე“ (საბა) ფუძეს შეესატყვისება.

ს.-ქართვ. *აფქ- „იალქანი“

ძვ. ქართ. აფქ-იო „ნავის აფრა“ (საბა)

სიტყვა განმარტოებით დგას ქართველურ ენებში, იგი მხოლოდ ძველქართულს (საბას ლექსიკონს) შემოუნახავს. ამავდროულად შესაძლოა ფუძეენური წარმომავლობისა იყოს, ვინაიდან სარწმუნო გარეენობრივი პარალელებია თავჩენილი.

ს.-სინდ. *ფქგ „შუბი“

ადიდ. (ჭემგ.) ფქგ „შუბის წვერი, შუბი“

როგორც მიუთითებენ, საერთოჩერქეზული წარმომავლობის ფქგ- ძირი პოვნეირია მხოლოდ ჭემგურში [კვახაძე 2014 : 183]. ჩვენი მხრიდან დავამატებდით, თუ გავიზიარებთ აღწერილ ძირ-ფუძეთა ეტიმოლოგიურ ერთიანობას, მაშინ ერთ-ერთი უიშვიათესი ბგერათშესატყვისობა ვლინდება უკვე A ტიპის ჰარმონიულ-დეცესიური კომპლექსების დონეზე – ფქ : ფქ, რაც მეტად ღირებულია ამ ტიპის კომპლექსთა გენეზისის კვლევის კუთხით.

ს.-ქართვ. *ა-ძმან- „ორი წლის ცხვარი“

ქართ. აზმან-ი „ორი წლის ცხვარი“ (საბა)

სიტყვა მხოლოდ ძველ ქართულში გვხვდება და, სავარაუდოდ, უკვე იმ პერიოდის ქართულ სამწერლობო ენაში მომხდარა ძ → ზ სპირანტიზაციის პროცესი – აძმან-ი → აზმან-ი, შდრ.: ძროხა → ზროხა, ძახილ-ი → ზახილ-ი...

ს.-სინდ. *ჯმან- „თხა“

ადიდ. ფჩან-გ, შაფს. ფჩან-გ, ჭემგ. ფჩან-გ, აბძახ. ფშან-გ, ყაბ. ბჟან „თხა“

აბაზ. ჯმა, აფხაზ. ა-ჯმა „თხა“

სინდურ ენათა მასალის ეტიმოლოგიური ერთიანობა დადგენილია და გაზიარებულიც [როგავა 1956 : 75; სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 334]. საერთოსინდური არქეტიპის ჩერქეზულ ალომორფებში განხორციელებული ჩანს ჯმ → მჯ → ბჯ მეტათეზისი, რასაც ფონეტიკური შეზღუდვა (კონსონანტი + სონორი აკრძალულია) დაედო საფუძვლად. აფხაზურ-აბაზურში, პირიქით, ბოლოკიდური ნ დაიკარგა სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში.

ს.-ქართვ. *ა-ძმან- : ს.-სინდ. *ჯმან- არქეტიპების კანონზომიერი შესატყვისი შემორჩენილია ხუნძური ენის დიალექტებში ჩამძ (← *ჯამძ) → არჩიბ. ჩამა „თხა ორ-სამ წლამდე“ სახით, რაც კიდევ უფრო ამყარებს დასახელებულ ძირ-ფუძეთა პალეოკავკასიურ წარმომავლობის იდეას.

ს.-ქართვ. *ახორ- „მრავალი, ბევრი“

ქართ. (მოხ.) ახორ-ი „მრავალი, ბევრი“, ახორ-ად „მრავლად, ბევრად“

ჯერ-ჯერობით მხოლოდ მოხეურ დიალექტში ფიქსირდება ახორ- ძირი, რომელსაც მდიდარი იზოგლოსები უვლინდება მონათესავე იბ.-კავკ. ენებში.

სხვა ქართველურ ენა-კილოებში ქართ. ახორ-ის შესატყვისების დაძებნა მომავლის საქმეა.

ს.-სინდ. *აჰა-რა „უფრო; მეტი“

ადიდ. ნ-აჰ, ყაბ. ნ-ახ „უფრო, მეტი“

აბაზ. აჰა // აჰჰა, აფხაზ. აჰჰა „უფრო“, აჰარა „უმრავლესობა“

ადილურ ენებში ნ „ზედმეტია“; მისი მსგავსი აფიქსი არ ჩანს არც აფხაზურ-აბაზურში და არც სხვა რომელიმე მონათესავე ენაში, შდრ.: ბეჟიტ. ახო „საკმარისად“..., თაბას. ახუ „დიდი“..., ხინალ. იხერ „ბევრი“ [დამატებითი დად. მასალა იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 511-512].

ს.-ქართვ. *აჯ- „ზვინი“

სვან. აჯ „ზვინი“, ლი-აჯ-ალ-ი „დაზვინვა“, ლგ-აჯ-ე „დაზვინული“

საერთოქართველური ძირი მხოლოდ სვანურს შემორჩა. შეიძლება, იბ.-კავკ. მონაცემთა მიხედვით, ლაზურ ოხინ-ი „შინაური“ სიტყვაზე ფიქრი, მაგრამ სიტყვის აუსლაუტი ამას გამორიცხავს, თუ -ინ არ ჩაითვლება ნათესაობითი ბრუნვის უძველეს ფორმანტად.

ს.-სინდ. *აჯ-ა „ჯიხური“

უბიხ. ხა „ჯიხური“

აქაც მხოლოდ უბიხური მონაცემია ხელმისაწვდომი. ადილურ და აფხაზურ-აბაზურ ნიმუშ-

თა უქონლობა ართულებს რეკონსტრუქციის პროცედურას. ერთადერთ საკონტროლო საშუალებად გამოდგება დალესტნურ ენათა მასალა, სადაც უბიხური ხ^ა-ს შესატყვისად გამოვლინდება: ჭამალ. ეხილა, ტინდ. ეხალ, დიდ. ჰილუ, ჰინუხ. ჰელუ „სათივე“, сеновал, hayloft ფორმები. სემანტიკური ოპოზიციას ს.-ქართვ. ზვინი ~ ს.-სინდ. გიბური მისაღები ჩანს.

ბ

ს.-ქართვ. *ბ- „ბმა; კიდება“
ქართ. ბ-, ა-ბ-ია, ვ-ა-ბ-ამ, სა-ბ-ელ-ი
ზან. (ლაზ.) ბ-, ნ-ო-ბ-უ „მიაბა“, ნ-ო-ბ-უ-ნ „ჰკიდია“, ნ-ა-ბ-ე-ნ „აბია, მიება“, მეგრ. გი-მ-ო-ბ-უ-ნ „მკიდია“, ბ-უმ-აფ-ა „ბმა“
სვან. ლი-ბ-ემ „ბმა“, ხუ-ა-ბ-ემ „ვაბამ“, ლგ-ბ-ე „დაბმული“
აქ გამოყოფილი ბ- ძირი საერთოქართველური წარმომავლობისაა, რომელიც წერილობით არის ფიქსირებული ქართულ ძეგლებში [შმიდტი 1962 : 95; ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 89].
ს.-სინდ. *ბა- „კერვა“
უბიხ. დუა „ნემსი“
აფხაზ. ა-ბა „ქსოვილი“
სხვა სინდურ ენებში შესაბამისი ძირები დაკარგული ჩანს. უბიხურში დამახასიათებელი ბ → დუ ტრანფორმაცია განხორციელდა, რასაც რეგულარული ხასიათი აქვს და სისტემურია: ბ → დუ, ფ → თუ, კ → ტუ. ასე რომ, უბიხურში კერვის მნიშვნელობით პოვნიერი დუ- ძირი საერთოსინდურ ბ-ს ასახავს. სახელური დუა „ნემსი“ განვითარდა საკერავის გაგებიდან და აქვე შემოდის. იგივე მიმართება ჩანს დარგულ მასალაშიც, სადაც იბ- „კერვა“ ზმნური ფუძე დაედო საფუძვლად ბურება „ნემსი“ სახელს, შდრ. ასევე წ.-თუმ. აბ- „კერვა“.

ს.-ქართვ. *ბ- „სითხის დაქცევა, სხმა“
ზან. (მეგრ.) ო-ბ-უ „დააქცია სითხე“, ო-ბ-უნ-ს „ასხამს“, ლაზ. ქო-გ-ო-ბ-უ „დაასხა“
სვან. ბ- „დაქცევა, დასხმა“, მ-ა-ბ-ა „მასხია“
შესაბამისი ძირი ქართულში არ ჩანს. სამეცნიერო ლიტერატურაში საკითხი ისმის სხვა სვანური ბიბ-/ბბ- „დასხმა“ ზმნასთან კავშირის თაობაზე, თუ რამდენად უკავშირდება იგი ცალმორფემიან ქართველურ ძირებს [კლიმოვი 1964 : 47].
ს.-სინდ. *ბ-არ- „წაქცევა“
უბიხ. ბარ- „წაქცევა“
სავარაუდოდ, საერთოსინდური წარმომავლობის ზმნა მხოლოდ უბიხურ ენაში შემოგვრჩა. სემანტიკურ დონეზე არსებულ კორელაციას დასხმა ~ წაქცევა კარგად უდგება ერთი ქართული ზმნის ჩვენება, იგულისხმება ქცევ- ძირი, რომელიც შეითავსებს ერთდროულად როგორც წაქცევის, ისე დაქცევის სემანტიკას, შდრ. ასევე სვან. ბიდ-ე „ღვრის, აქცევს“.

ს.-ქართვ. *ბაგუ- „ბაგე; შუბლი“
ქართ. ბაგ-ე, ნა-ბაგ-ევ-ი „ტუჩი“ (საბა)
სვან. ბგუ-, ნე-ბგუ-ა „შუბლი“
აგებულების მხრივ, არაერთი პარალელი არსებობს სვანურში, როდესაც სომატურ სახელებში ნე-/ნი- პრეფიქსი გამოიყოფა: ნე-კპ-ა „ნიკაპი“, ნე-ფხუ-ნ-ა „ცხვირი“, ნე-ქჟ-ა „წარბი“...
ს.-სინდ. *ბგუ- „ბაგე“
აზაზ. ფგუ- „ბაგე“

სიტყვა განმარტოებით დგას აბაზურში, მაგრამ, სავარაუდოდ, სწორედ იგი ასახავს ფუძესინდურ მდგომარეობას. **ბ** → **ფ** დაყრუების ფონეტიკური პროცესი ანლაუტში საკუთრივ აბაზური ინოვაციაა, რასაც გადაჭრით ვერ ვიტყვით ბოლოკიდურა **ქ** გუტურალზე, ვინაიდან ნახურ შესატყვისებშიც **ქ/გ** მონაცვლეობს, შდრ. ვაინახ. **ბაგე** : წ.-თუმ. **ბაქ** „პირი“. გარდა ამისა, დაღესტნურშიც ყრუ **ქ** გუტურალი გამოჩნდება, შდრ. დოდობ. **ბაქა** „ნაპირი“.

ს.-ქართვ. ***ბად-** „ქსოვა“, ***ბად-ე** „ბადე, ქსელი“

ქართ. **ბად-**, **ბად-ე** „ბადე; ობობის ქსელი“

ზან. (ლაზ.) **ბოდ-ა** „ბადე ხილის საკრეფად“, **ო-ბად-ალ-ე** „ბადისებური ტომარა“, მეგრ. **ბოდ-**, ტოპონიმში **ნო-ბოდ-ენ-ი** (= **ნა-ბად-ევ-ი**) სოფ. საჯიჯაოში

სვან. **ბად**, **ბად** „ბადე; ობობის ქსელი“

ცნობილ ქართველურ მასალას [შმიდტი 1962 : 95; კლიმოვი 1964 : 48] ემატება მეგრული ფორმაც, რომელიც მიკროტოპონიმში დავაფიქსირეთ.

ს.-სინდ. ***ბდგ-** „კერვა“

ადილ. **ბდგ-ნ**, ყაბ. **დგ-ნ** (←***ბდგ-ნ**) „კერვა“

გვაკლია უბიხური და აფხაზურ-აბაზური მონაცემები, თუმცა უამფორმებოდაც ადიღური მაჩვენებელი თითქმის ამომწურავ ინფორმაციას იძლევა ფუძესინდური მდგომარეობის სრულად აღსადგენად.

ს.-ქართვ. ***ბად-** „ქსოვა; ბადე“ : ს.-სინდ. ***ბდგ-** „კერვა“ მეტად სარწმუნო სტრუქტურულ-სემანტიკურ მიმართებად მიიჩნევა, ვინაიდან **ქსოვა** ~ **კერვა** ერთი რიგის სემანტემებია.

ს.-ქართვ. ***ბაჟ-** „საჩრდილობელი თავშესაფარი“

ქართ. **ბაო** „მცირე ჩრდილი; ჩრდილი“ (საბა)

სვან. **ბაჟ**, ლა-**ბაჟ** (ბზ.), ლა-**ბაჟ** (ლშხ.) „თავშესაფარი ადგილი“

ცალკე პრეფიქსად გამოყოფილი **ლა-** სვანურში ფუნქციურად ქართულ **სა-**ს შეესატყვისება, ამდენად, ***ლა-ბაჟ** ეტიმოლოგიურად ნიშნავს *საჩრდილობელს*. სხვაგვარად უნდა აიხსნას, როგორც ჩანს, ამ ქართველურ ძირთა აუსლაუტის პრობლემა. ვფიქრობთ, **Vჟ** პოზიციებში ამოსავალი **ჟ** სონანტი ქართულში სრულად გახმოვანდა და **ო-**ში გადავიდა; ამის დასტური უნდა იყოს სვან. **ჩეჟ** → ქართ. **ჩეო** მიმართებაც, სადაც სვანური სიტყვა, ქართ. **ქავ-**ის შესატყვისი, ქართულში სესხების შემდგომ ორმარცვლიანი ხდება [შდრ. ჩუხუა 2000-2003 : 63].

ს.-სინდ. ***ბაჟ-** „საქონლის ფარდული“

ყაბ. **ბოჟ** საქონლის ფარდული“

აფხაზ. **ა-ბოჟ-**რა „ბოსელი“

სინდურ ენათა **ო** პოზიციურია, ასიმილაციით მიღებული – **ბაჟ** → **ბოჟ** (ა-ს ლაბიალიზაცია). უფრო თვალსაჩინო ის გახლავთ, რომ, მაგალითად, აფხაზ. **ა-ბოჟ-**რა და **ა-ბორა** სხვადასხვაგვარი წარმომავლობისაა, კერძოდ, პირველი საერთოსინდურია, ხოლო მეორე ზანიზმად შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან მეგრ. **ბორა** სიტყვა ქართ. **ბარა** „კარ-მიდამო“ ფორმის კანონზომიერი შესატყვისი ჩანს.

ს.-ქართვ. ***ბაზ-** „გონება; მაცნე, შეტყობინება“

ქართ. **ბზ-ნ-ა**, **ბზ-ნ-ილ-ობ-ა**

ზან. (მეგრ.) **ბჟ-ოუ** „უაზრო, უგნური“

სვან. **ბაჟ** „გონი, გონება, ჭკუა“, **ბაჟ-ინ** „ამბის შეტყობინებელი“; „შეტყობინება, ცნობა“

მეგრულ-სვანური ფორმები ერთმანეთთან ჰ. ფენრიხმა დააკავშირა [ფენრიხი 2007 : 45]. ვიზიარებთ რა ამ შეპირისპირებას, აქვე შემოგვაქვს ქართ. **ბზ-** ძირის დერივატებიც, რომლისთვისაც

მეტყობინების შინაარსი ასევე ძირითადი ჩანს.

ს.-სინდ. *ბზა- „ენა (სასაუბრო)“

ადმლ. ბზა, ყაბ. ბზა „ენა (სასაუბრო)“

უბიხ. ბზა „ენა“

აბაზ. ბზგ „ენა“, აფხაზ. ა-ბზ „ენა“

სინდურ ენებში ისტორიულად ენა ორგანო და ენა სამეტყველო / სააზროვნო გარჩეული უნდა ყოფილიყო. მეტყველება / შემეცნების მომენტი ასევე ძირითადი ჩანს ქართველური ფორმებისთვისაც. სხვა მხრივ, შესატყვისობა არქეტიპების დონეზე ს.-ქართვ. *ბაზ- : ს.-სინდ. *ბზა- ნორმალურ (კანონზომიერ) მიმართებას აჩვენებს.

ს.-ქართვ. *ბაზ- „სიმწიფე; სიმწიფეში შესვლა; ნაყოფიერი“

ქართ. ბაზ-ი // ბაზ-ე „სიმწიფეში შესული, მოწიფული“, ბაზ- „სიმწიფეში შესვლა“

ზან. (მეგრ.) ბოზ-გ „ნაყოფიერი, ნაყოფის მომცემი“, ბოზ-გ დიხა „ნაყოფიერი ნიადაგი“

შესაბამისი სვანური ეკვივალენტი ვერ გამოვავლინეთ. ქართ. ბაზ- : ზან. ბოზ- კანონზომიერ სტრუქტურულ-სემანტიკურ მიმართულებას ავლენს. ბოლოკიდური -ე ქართულში (ბაზ-ე) და -გ (← -უ) ზანურში სხვადასხვა წარმომავლობის სადერივაციო აფიქსებია, რომლებიც ერთმანეთზე ფონეტიკურად არ დაიყვანება.

ს.-სინდ. *ბზ-ა „ცოცხალი; სიცოცხლე“

აბაზ. ბზა „ცოცხალი“, ბზა-რა „სიცოცხლე“, აფხაზ. ა-ბზა „ცოცხალი“, ა-ბზა-რა „სიცოცხლე“, ა-ბზა-ტურა / ა-ბზა-ხა-რა „გაცოცხლება“

საერთოსინდურ ძირად ბზ-ა გამოიყოფა, რომელიც მხოლოდ აფხაზურ-აბაზურში დასტურდება. ს.-სინდ. *ბზ-ა „ცოცხალი; სიცოცხლე“ : ს.-ქართვ. *ბაზ- „სიმწიფე; სიმწიფეში შესვლა; ნაყოფიერი“ არქეტიპების კანონზომიერი შესატყვისი უნდა ჩანდეს ბასკურ bizi „სიცოცხლე, ცოცხალი; ცხოვრება“ ფუძეში.

სხვა იბ.-კავკ. ენებში გენეტიკურად საერთო მასალას ჯერჯერობით ვერ ვპოულობთ.

ს.-ქართვ. *ბაზო „შემალღებული ადგილი“

ქართ. (ქართლ.) ბაზო „ბოსტანში კვლებს შორის შემალღებული ზურგი, ამალღებული ნაპირი“ (რაზიკაშვილი)

საერთოქართველური ძირისაგან მომდინარე ბაზ-ო დერივატი მხოლოდ ქართულში არის შემონახული. ამავდროულად, იგი იშვიათი ხმარების სიტყვაა, მაგრამ შეიცავს უძველეს შესატყვის მასალას, რომელიც მეორდება სხვა იბ.-კავკ. ენებში.

ს.-სინდ. *ბზა- „ხრამი; კლდე, ფრიალო“

ადილ. ბზა-ფა „კლდე, ფრიალო“, „ხრამი“

ფუძე-ენიდან მომდინარე ბზა- ფორმა ყაბარდოულმა შემოინახა. ყველა მცდელობა მისი ბზა- „ბორცვი“ ან ბზა „რქა“ ფუძეებთან დაკავშირებისა ეწინააღმდეგება რეალურ ვითარებას, რაზეც მიუთითებენ კიდევაც სპეციალურ ლიტერატურაში [კვახაძე 2014 : 23]. ბზა-ფა-ში ფა, ალბათ, ცხვირს/წვერს აღნიშნავს, ან სულაც სადერივაციო აფიქსია. წარმოდგენილი სიტყვები ორსავე ჯგუფში შეზღუდული დისტრიბუციით ხასიათდება, თუმცა პალეოკავკასიური ეტიმოლოგია თვალნათლივ ცხადდება.

უფრო ადრე სპეციალისტები ჩერქეზულ ძირებს დაღესტნურ მასალასთან აპირისპირებდნენ, შდრ. ლაკ. ბიზანუ „სადოვარი მთაში“, ჭამალ. მიზუტ „დიდი ქვა“, დარგ. მუზა „მთა/გორაკი“ [აბდოკოვი 1983 : 91].

ს.-ქართვ. ***ბაზალ-** „კაჟი“

ქართ. {**ბაზალ-**} „კაჟი“, **ბაზალ-**ეთ-ი „კაჟიანი ადგილი“ (ტოპ.), ფშ. **ბაზალ-**ა „ერთგვარი თოფი“, „ხანჯლის ერთ-ერთი სახე“, თუშ. **ბაზალ-**აჟ-ი „თოფია ერთგვარი“,

რა თქმა უნდა, *თოფისა* და *ხანჯლის* გაგება გვიანდელია. განსაკუთრებით, *თოფის* გაგებით ამ სიტყვის გამოყენება მხოლოდ მაშინ უნდა მომხდარიყო, როცა კაჟიანი თოფები შემოვიდა ხმარებაში.

ს.-სინდ. ***მეწა** „კაჟი, ტალი“

აბაზ. (აშხარ.) შა-**მწა**, აფხაზ. შა-**ნწა**, ბზიფ. შა-**ნწა** „კაჟი, ტალი“

სპეციალურ ლიტერატურაში ეს აფხაზურ-აბაზური კომპოზიტი სწორადაა სეგმენტირებული, როცა შა- „ლესვა“ და მწა → // ნწა „კაჟი, ტალი“ დამოუკიდებელ ძირებად გამოიყო [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 818].

სიტყვათა ამ რიგში უნდა შემოვიდეს ს.-ნახ. ***მაჟარ-** (ჩეჩნ. **მჟარ**, ინგუშ. **მჟარ** „კაჟიანი თოფი“), სადაც მნიშვნელობის განვითარება ქართულისებური ჩანს, ე. ი. კაჟის აღმნიშვნელი სიტყვა ხდება ჯერ სინონიმი *კაჟიანი თოფისა*, ხოლო შემდგომ თავად *თოფის სახეობას* ეკედლება; შდრ. ასევე ხუნძ. **მაჟუ** „კაჟი, ტალი“ [მეტი დალ. მასალა იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 818].

ს.-ქართვ. ***ბაკ-** „საქონლის დასამწყვდევნი ადგილი“

ქართ. **ბაკ-**ი „მონაზღუდი“ (საბა), ძვ. ქართ. ნა-**ბაკ-**ევ-ი

მიუხედავად იმისა, რომ **ბაკ-** ძირი უხვად არის ილუსტრირებული ძველქართულ სამწერლობო ტექსტებში, მისი შესატყვისები სხვა ქართველურ ენა-კილოებში არ იძებნება: „აღაშენა ბ ა კ ი, რადთა შეკრიბნეს ცხოვარნი თუისნი“; „პოვა ნ ა ბ ა კ ე ვ ი ო ჯერი მრავლით ჟამით...“ [აბულაძე 1973 : 28; 316].

ს.-სინდ. ***ბაყ-** „ფარები; გომური“

ყაბ. ბჰჰ- „ფარები; გომური; ბოსელი“

აბაზ. **ბაყ** „ფარები; გომური“

თუ გავითვალისწინებთ ყ → ჯ დეგლოტალიზაციის პროცესს ადიღურში, ამოსავალ სახეობად ***ბაყ-** უნდა მივიჩნიოთ, რომელსაც კანონზომიერად შესატყვისება ს.-ქართვ. ***ბაკ-** არქეტიპი [კუიპერსი 1960 : 83]. აქვე სამართლიანად მოიხმობენ სომხურ **ბაკ-** „ეზო“ სიტყვას, რომელსაც ქართულიდან მომდინარედ თვლიან, როცა ხუნძ. **ბაკ** „ადგილი“ კანონზომიერი შესატყვისია ქართ. **ბაკ-** სახელისა [აჭარიანი 1926, I : 907].

ს.-ქართვ. ***ბაკან-** „ბაკანი; ქვაბი; სკამი“

ქართ. **ბაკან-**ი „კუს ზურგის ფარი; ქვაბი“, ხევს. „ხის ან სპილენძის დიდი ჭურჭელი ჯამის ფორმისა“

ზან. (მეგრ.) **ბოკონ-**ი „სკამი ბავშვებისათვის“; „ხის ჭურჭელი მოსაწველად“

სვან. **ფაკან** // **ფაკან** (ლშხ.) // **ფაკნ-**ი (ბქ.) „ჯამი“

გაუგებარია ბ-ს დაყრუების მექანიზმი სვანურში, თუმცა პროცესი სხვაგანაც გამოჩნდება, შდრ. ქართ. **ბაყვ-**ი : სვან. **ფეყუ** / **ფოყ** „გვერდი, თეძო“ [ჩუხუა 2000-2003 : 240-241].

ს.-სინდ. ***პყუა** „ბუდე, ქარქაში; საწოლი/ადგილი“

ადიღ. პა // პუა // პყა (ჰაკურ.), ყაბ. პა ← ***პყა** „ადგილი; საწოლი“

უბიხ. **პყა** „ქარქაში; ბუდე“

ფარინგალური ყუ კომპლექსის ლაბიალიზაციის მოშლით აიხსნება პალატალიზებული ყ-ს პოვნიერება უბიხურში.

მეტად საყურადღებო ჩანს სემანტიკური ნაირსახეობა სინდურ-ქართველურში: *სკამი/ადგილი/საწოლი/ბუდე/ქარქაში/ბაკანი*, რასაც საინტერესოდ ეხმიანება დალესტური შესატყვისებიც,

შდრ.: ხუნძ. **ბაკ** // **ბაკუ** „ადგილი; სკამი; სავარძელი“, დარგ. **ფუყა** „ბუდე“, რუთულ. **მუყ** „ზედად-გარი“, არჩიბ. **ბიყუ** „ადგილი“. აქვე ადგილი დასაწახია **ბ/ფ, კ/ყ** ფონეტიკური სუბსტიტუცია ენათა ჯგუფებისა და ქვეჯგუფების მიხედვით.

ს.-ქართვ. ***ბალ**- „ჰამაკივით საწოლი; გრძელი მორი“

ქართ. (მესხ.) **ბალ-ულ-ა** „ბავშვის საწოლი ჰამაკივით“, ქიზიყ. **ბალ-ალ-ა** „ლოგინი“

ზან. (ლაზ.) **ბოლ-ონა** „ხის გრძელი მორი“

ქართული ენის თუშურ დიალექტში პოვნური **ბალ-ო-ფ** „მახე“ მესხურ-ქიზიყურში გამოწარმოებული **ბალ-** ძირს უკავშირდება, ხოლო ქართ. **ბალ-** : ზან. **ბოლ-** რეგულარულ-კანონზომიერი შესატყვისობით გამოირჩევა.

ს.-სინდ. ***ბლა**- „საკაცე კიბე“

ადიდ. -**ბლ’ა**, სიტყვაში ფხა-**ბლ’ა**, ყაბ. -**ბლ’ა**, სიტყვაში ფხა-**ბლ’ა** „სამგლოვიარო საკაცე კიბე“

სინდურ-ქართველურ ძირებს შორის მიმართება მისაღები ჩანს როგორც ფორმოზომიერი, ისე სემანტიკური თვალსაზრისით. არქეტიპთა მნიშვნელობა კიდევ უფრო დამაჯერებელი ხდება ნა-ხურ-დაღესტნური მონაცემების მოხმობისას, შდრ.: ჩეჩნ. **ბარ**-ამ „სამგლოვიარო გასაწევი კიბე“, ლაკ. **ბურ-ნა** „შენობის სვეტი, ბოძი“ (შდრ. ლაზ. **ბოლ-ონა** „ხის გრძელი მორი“).

ს.-ქართვ. ***ბალ-ე** „ფოთოლი; ტოტი“

სვან. **ბალე, ბალე** (ლხმ., ლნტ.) „ფოთოლი“

ქართული ენის გურულ და იმერულ დიალექტებში შემორჩენილი **ბოლ-ი** „ტოტი, შტო, ყლორტი“ სახელი შეიძლება, ინახავდეს სვანური **ბალე** // **ბალე** სიტყვის ზანურ შესატყვისს.

ს.-სინდ. ***ბალ’-ვ** „ბუჩქი“

ყაბ. **ბალ’ვ** „ბუჩქი“

სიტყვა ეულად დგას ყაბარდოულში, თუმცა, მიუხედავად ამისა, არ გამოირიცხება მისი ფუძეური წარმომავლობა.

ს.-ქართვ. ***ბალ-ე** „ფოთოლი; ტოტი“ ~ ს.-სინდ. ***ბალ’-ვ** „ბუჩქი“ წარმოადგენს კანონზომიერ სტრუქტურულ-სემანტიკურ და ფონეტიკურ შესატყვისობას.

იზოგლოსებს ნახური ან დაღესტნური ენებიდან ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვ. ***ბან**- „თქმა; ფიცი“

ქართ. **ბან-**, უ-**ბნ-ობ-ს**, ე-უ-**ბნ-ებ-ა**

სვან. **ბან-**, ნა-**ბან-**, ნა-**ბან** „ფიცი“, ი-მ-**ბან-ა**ლ, ი-მ-**ბან-ა**ლ (ბქ.) „ფიცება“

ზანური შესატყვისები გვაკლია. სვანურში **ნა-** ზედმეტია“, იგი პრეფიქსად გამოიყოფა, შდრ. **ნა-ბურ** „შეღამება“, **ნა-ბოზ** „საღამო“, ლი-**ბზ-ე** „საღამოება“; ხოლო **თქმა ~ ფიცი** ბუნებრივ სემანტიკურ კორელაციად გვესახება.

ს.-სინდ. ***ბა-** „ენის მიტანა, ცუდის თქმა“

ადიდ. (ჭემგ.) უ-**ბან-ნ** „ენის მიტანა, ცუდის თქმა“

ჭემგურშიც უ-**ბან-ნ** სემანტიკურად გამოიყოფა [კვანაძე 2014 : 281], შდრ. ქართ. უ-**ბნ-**. სვანური **ნა-** შეიძლება, ჩერქეზულ უ-**ბან-** და ქართ. უ-**ბან-** მორფემათა ფუნქციური შესატყვისის იყოს.

ბოლოკიდური **ნ**, რომელიც ქართველურში უცვლელად შემოგვრჩა, ჯერ კიდევ ფუძეური ერთიანობის დროს ჩანს სინდურში დაკარგული.

ს.-ქართვ. ***ბანგ-** „ბეწვი, ბანჯგვლი“

ქართ. (ინგილ.) **ბანგ-ლ** „ბანჯგვლი, წვრილი ბეწვი“, **ბანგ-ურა** „ბანჯგვლიანი“

სხვა ქართველურ ენა-კილოებში სათანადო ძირ-ფუძეები არ ჩანს. ამიტომაც ***ბანგ-** სახეობის

არქექტივის რეკონსტრუქცია პირობითი ხასიათისაა.

ს.-სინდ. ***ბაგ-გ** „ობობა“

ადილ. **ბეჯ**, ყაბ. **ბეჯ** „ობობა“

უბიხ. **ბაგგ**-ხა „ობობა“

გარდა ჩერქეზული ენებისა, მსგავსი ფუძე დასტურდება აბაზურშიც **ბაგ** ფორმით. ჩვენ თავს ვიკავებთ მის საკუთრივ აბაზურად კვალიფიკაციისაგან, ვინაიდან ადრეული პერიოდის ადილური ნასესხობა გვეგონია.

ს.-სინდ. * **ბაგ-გ** „ობობა“ : ს.-ქართვ. ***ბანგ**- „ბეწვი, ბანჯგვლი“ ნორმალურ სემანტიკურ-სტრუქტურულ შესატყვისობად მიიჩნევა.

ს.-ქართვ. ***ბანძჷ**- „ბანჯგვლი“

ქართ. **ბანძვერა-ე**

ზან. (მეგრ.) **ბონძორ-ა** „ბანჯგვლიანი“

სვან. **ბანძ-ჸ** „ბალნიანი, ბანჯგვლიანი“

აქ დასახელებულ ფორმათა კონტამინაციის შედეგი ჩანს გურულ დიალექტში ფიქსირებული **ბონძვერა-ე** ფორმა იმავე მნიშვნელობით.

ს.-სინდ. ***ბეძ-ა** „თმა“

ადილ. -**ფც**, სიტყვაში ნა-**ფც** „წარბი“, ყაბ. -**ბძ**, სიტყვაში ნა-**ბძ** „წარბი“

წარბის გაგება ადილურ ენებში შეიქმნა აღწერითად და მიიღწევა ნა „თვალი“ + **ბძ** „თმა“ სემანტემათა შედარებით: უბიხ. ბლ’ა-მსა სიტყვაც მსგავსი შედგენილობისაა, მაგრამ მისი -**მსა** სემანტი სხვა წარმომავლობისად მიგვაჩნია, შდრ. ქართ. **ბუს-უს-ი**, შე-**ბუს-ვ-ა**. უბიხურთან უთუო კავშირშია აფხაზურ-აბაზური კომპოზიტებიც, შდრ. აფხაზ. **ს-ჯგ-მშ**, აბაზ. **ჯგ-მსა** „წარბი“, თუმცა **ჯგ**-ს საკითხი აქ გარკვევას მოითხოვს, შდრ. ასევე აფხაზ. აქა-**მსგ** „წარბი“.

ს.-ქართვ. ***ბარ**- „ბარი, ბარვა“

ქართ. **ბარ-ი**, **ბარ-ვ-ა**

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია საყურადღებო თვალსაზრისი ქართული **ბარ**-„ნიჩაბი“ სიტყვის წარმომავლობის თაობაზე. მიიჩნევა, რომ იგი ზანური ფორმაა, ხოლო უძველესი ქართულში მოსალოდნელი {**ბელ-ი**} ნასესხობის სახით შემორჩენილია სპარსული **bēl** „ბარი“ სიტყვაში. ქართული წყარო ივარაუდება ხუნძ.-ანდ. **ბელ** „ნიჩაბი“, ჩეჩნური **ბეღელ**, ინგუშ. **ბიელ** „რკინის ნიჩაბი“ ფორმირებისთვისაც [გიგინეიშვილი 2016 : 42]. ვფიქრობთ, საკითხი დამატებით შესწავლას საჭიროებს.

წ.-სინდ. ***მარ**- „დაბარვა“

ხათ. **mar** „დაბარვა, გაჭრა“

აფხაზურ-ადილურ ენა-კილო-თქმებში სათანადო ალომორფები დაკარგული ჩანს, შეიძლება, იგი საერთოსინდური ენობრივ-ეთნიკური ერთობის პერიოდში გაუჩინარდა. სამაგიეროდ, წინარესინდურიდან მომდინარე სიტყვა ხათურმა შემოინახა. ყურადღებას მიიპყრობს ხათ. **მ** : ქართ. **ბ** ბგერათშესატყვისობა, როცა ამ უკანასკნელის პრიმარობას დალესტნური მასალა უჭერს მხარს, შდრ. ბუდუხ. **ბარ**, ლეზგ. **ფერ**, ხინალ. **ბერ** „ბარი“.

ს.-ქართვ. ***ბარ**- „ფილტვი; კუჭი“

ქართ. (ინგილ.) **ბარ** „ფილტვის ნაჭერი“

სვან. **ბალ-ე**, **ბაღ-ე** (ლნტ.) „გამხმარი **კუჭი**, რომელსაც იყენებენ კვეთის დასამზადებლად“

ბოლოკიდური -**ე** სვანურში ფუძეს შეხორცებული სახელობითი ბრუნვის ფუნქციადაკარგული ფორმანტი ჩანს, რაც სხვაგანაც მეორდება, შდრ. მარ-**ე** „კაცი“, კანარ-**ე**-მ

„ხარების“... რაც შეეხება **რ** → **ლ** ლატერალიზაციის პროცესს, მისი მექანიზმი ახსნილია, იგი ბაგისმიერთა (**ბ**) ზეგავლენით აიხსნება [მაჭავარიანი 1965 : 14].

ს.-სინდ. ***ბაღ**- „ფილტვი“

ადიდ. **ბეღ**- // **ბე**-, ქემგ. თჰ.ნ-მ-**ბეღ**, აბძახ. თჰ.ნ-მ-**ბეღ**, შაფს. თჰ.ნ-**ბე** // თჰ.გ-**ბე**, ყაბ. თჰ.ნ-მ-**ბეღ** „ფილტვი“

ჩერქეზულში სიტყვა რთული შედგენილობისა ჩანს. გამოყოფილი თჰ.ნ- *სუნთქვასთან* დაკავშირებული ზმნური ძირია, ხოლო **მ** - ერგატივის ნიშანი, მხოლოდ ამ შემთხვევაში ნათესაობითი ბრუნვის ფუნქციით [კვახაძე 2014 : 124].

მნიშვნელოვანია ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **რ** : ჩერქ. **ღ**, რაც მეორდება სხვაგანაც, შდრ. ქართ. **ერ**-ი „ჯარი, ხალხი“ : უბიხ. **ღ** „ჯარი“, ქართ. **ბურგ**-აკ-ი : უბიხ. **ბღ** „ნეზი, დედალი ღორი“...

ს.-ქართვ. ***ბარ**- : ს.-სინდ. ***ბაღ**- არქეტიპებს ეხმიანება ხუნძ. **ბაღ** „ნაწლავი“ და მისი დადესტნური შესატყვისები.

ს.-ქართვ. ***ბარ**-ა „კარ-მიდამო“

ქართ. (გურ.) **ბარა** „მიდამო; საცხოვრებელი ადგილი“

სიტყვა დასტურდება მხოლოდ ქართულში, მაგრამ, სავარაუდოდ, ფუძემდებელი წარმომავლობისაა. ამას სინდურ ენათა გენეტიკურად საერთო მასალა ადასტურებს. შეიძლება, გვეფიქრა, რომ ზანური შესატყვისი შემოინახა რაჭულმა დიალექტმა, სადაც **ბორო დიდ მთას** აღნიშნავს.

ს.-სინდ. ***ბღ**-**გნ** „კედელი; კუთხე“

ადიდ. **ბღ**-**გნ**-გ, ყაბ. **ბღ**-**გნ** კედელი“

უბიხ. **ბღ**-**გნ** „კუთხე“

ფონეტიკურად, ისევე, როგორც შინაარსობრივად, ქართულ-ჩერქეზული შეპირისპირება არ ჩანს პრობლემური. ამის დასტურია **რ** : **ღ** რეგულარულ-კანონზომიერი ბგერათშესატყვისობაც, თუმცა ვერ იკვეთება **-გნ** სეგმენტის ფუნქცია, ეს უკანასკნელი არ მეორდება არც დადესტნურ მასალაში და, ალბათ, საკუთრივ ჩერქეზული მონაცემია, შდრ.: ჭამალ., ტინდ. **ბელა**, ბეჟიტ. **ბულ**, ახვახ. **ბაღ** „წვერი, წვეტი, კიდე“.

როგორც ვხედავთ, ახვახურის მნიშვნელობები *წვერი, წვეტი, კიდე* კვლავ გაგვახსენებს რაჭ. (← ზან. (?)) **ბორო** „დიდი მთა“ სიტყვის აქვე განხილვის აუცილებლობას.

ს.-ქართვ. ***ბარდ**- „ნაქსოვი, ქსოვილი“

ქართ. **ბად**-ენ-ი „სამოსელი“

ზან. (მეგრ.) **ბედ**-ან-ი „ჩოხის ნაწილი“

სვან. **ბარდ**-ან „ფართალი“

ჯერ კიდევ გ. კლიმოვმა შეაჯერა ერთმანეთს ყველა ქართველური მონაცემი [კლიმოვი 1964 : 48], მაგრამ ავტორი **ბად**- „ბადე“ ძირს თვლიდა ამოსავლად. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ქართ. **ბად**-ენ-ი, მეგრ. **ბედ**-ან-ი და სვან. **ბარდ**-ან ერთიანი წარმომავლობის სხვა ალომორფებია და ამიტომაც რეკონსტრუირდება ***ბარდ**- „ნაქსოვი, ქსოვილი“.

ს.-სინდ. ***ფად**- „წინდა“

ადიდ. -**ფად**-, სიტყვაში **ღა-ფად**, ყაბ. -**ფად**-, სიტყვაში **ღა-ფად** „წინდა“

უბიხ. -**ფად**-, სიტყვაში **ღა-ფად** „მატყლის წინდა“

აფხაზური **ა-ქლა-ფად** სამართლიანად არის ჩერქეზულ ნასესხობად მიჩნეული [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 601]. ამ შემთხვევაში ყრუ ლატერალი სპირანტის რეფლექსაცია არის მეტად მნიშვნელოვანი - **ღ** → **ქლ**.

ს.-ქართვ. *ზარდ- : ს.-სინდ. *ფად- არქეტიპთა შედარებითი შესწავლა სინდური ანლაუტის მეორეულობას ამტკიცებს – ზ → ფ. ამგვარი დასკვნა დაღესტნური მასალის მოხმობით კიდევ უფრო მყარდება, შდრ.: რუთულ. ბად-უ, წახ. ბად-ა „შარვალი“. იმავეს იმეორებს ნახური მასალაც, შდრ. ჩეჩნ. ბედარ, ჭებ. ბადირ, ინგუშ. ბედარ- „სამოსი“...

ს.-ქართვ. *ზარკ- „შეკვრა, დაბრკოლება“

ძვ. ქართ. ბრკ-ომა, ბრკ-ოლ-ა, ბრკ-უ „ბლუ, ენაგაუმართავი“

ზან. (მეგრ.) ბორკ-უ-ა „შეკვრა; შებორკვა“, ბორკ-ილ-ი „შებორკილი“, ლაზ. ო-ბორკ-უ // ო-ბროკ-უ „დატორვა, წიხვლა“

სწორი ჩანს თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ძველქართული ბორკილ-ი ზანური წარმოშობისაა [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 97], თუმცა ყოველად მიუღებელია სიტყვა-ფორმათა ამავე რიგში ქართული ბარკ-ალ- // ზან. ბორკ- // სვან. ბარკ-ა „მრუდეფხა“ სახელთა შემოტანა.

ს.-სინდ. *ზაკ- „დაჭერა“

უბიხ. ზაკ- „დაჭერა“

არსებობს განსხვავებული მიდგომა უბიხური ზმნის წარმომავლობის შესახებ, კერძოდ, მის წინარე ფორმად ზაკუ- ლაბიალიზებულ სახეობას ვარაუდობენ [კვახაძე 2014 : 247], რაც არ გამოირიცხება, მაგრამ არ მივიჩნევთ საჭიროდ ყოველი სახის პალატალიზაცია უბიხურში ლაბიალიზაციის მოშლის კვალად ვაღიაროთ.

ს.-ქართვ. *ზარკ- : ს.-სინდ. *ზაკ- შეპირისპირება ავლენს კანონზომიერ სტრუქტურულ-სემანტიკურ ერთიანობას.

ს.-ქართვ. *ზარყუ-ენ- „ტყემალი, ქლიავი“

ქართ. ბერყენ-ა „ტყის მსხალი“

სვან. ბარყუენ-დ // ბარყუენ // ბარყუენ (ლშხ.) „ტყემალი“, „ტყის ქლიავი“

ზანურ დიალექტებში შესაბამისი სახელები გვაკლია. სავარაუდო ჩანს უ/ვ სონანტის დისიმილაციური გაუჩინარება ქართულში – *ბერყუენ-ა → ბერყენ-ა [კლიმოვი 1964 : 54].

ს.-სინდ. *ბეკუ-ა „გარეული ქლიავი; ხილი“

ადიდ. (შაფს.) ფხუ-გ, სიტყვაში ფხუ-სუ-თა „ქლიავი“, ფხუ-ცა „ატამი“, ყაბ. ფხა-გუ-გლ „გარეული ქლიავი“

უბიხ. ფკე „დიდი ქლიავის სახეობა; ხილი“

აფხაზ. ა-ბჰუ-ტა // ა-ფჰუ-ტა „ქლიავი“

სინდურ-ქართველურ ძირთა ერთიანი წარმომავლობა ექვს არ იწვევს. საყურადღებო ჩანს ს.-ქართვ. ყუ : ს.-სინდ. ჳუ ლაბიალიზებულ კომპლექსთა შესატყვისობა, რაც კანონზომიერებას ექვემდებარება. ამავე რიგისა ჩანს ჩეჩნ. ღამ-მალა „ატამი“, ინგუშ. ღა-მალა „გარგარი“, ისინი კომპოზიტური *ღამ-ზალა არქეტიპისაგან მომდინარეობს [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 873].

გასარკვევია ქართ. ხიზა-ხუზა (საზა) რთული შედგენილობის ძირთან მიმართების საკითხი.

ს.-ქართვ. *ზარძ- „ვარსკვლავი, გვიანი დრო“

ქართ. -ზარძ- სიტყვაში აგე-ზარძ-ი = აგე „კული“ (სომხ.) + ზარძ-ი „ვარსკვლავი“ [მაჭავარიანი 2007, IV : 427-430].

ზან. (მეგრ.) ბორჯ-ი „დრო“, ბორჯ-ალ-ი „დათქმული ვადა“

დამოუკიდებელ ფორმად გამოწვევებული ქართ. -ზარძ- ბუნებრივია დაუკავშირდეს მეგრულში დღემდის ცალკე მდგომ ბორჯ-ი (→ გურ. ბორჯ-ი „id“) სიტყვას. კორელაცია ვარსკვლავი ~ დრო უნდა მიუთითებდეს ვარსკვლავიერ (მისი გამოსვლის) დროს.

ს.-სინდ. *ბეჯ-გ „სალამო, ბინდი“

ადილ. ფრ^გ-ჰა „სალამო“

ამჯერად ამოსავალი ვითარება ადილურს შემოუნახავს. მხედველობაშია ის იშვიათი შემთხვევები, როდესაც ადილურში თავს იჩენს მჟღერ ხშულთა და აფრიკატთა დაყრუების ტენდენცია. იმავე მნიშვნელობის ყაბარდოული ფს^გ-ჰა = სჰა „სალამო“ ახალს ვერაფერს გვეტყვის, ვინაიდან სხვა ძირს შეიცავს (იხ. აქვე ს.-ქართვ. *ფორს-).

ს.-ქართვ. *ზარცხ-/*ფარცხ- „ფოცხი“

ქართ. ფორცხ-ი // ფოცხ-ი

ზან. (მეგრ.) ბუცხ-ი „ფოცხი“, ბუცხ-ან-ს „ფოცხავს“, დო-ბუცხ-ეს „დაფოცხეს“, ლაზ. ბუცხ-ა „ფოცხი“, ბუცხ-უფ-ს „ფოცხავს“, ო-ფუცხ-უ „ჩაფარცხვა“

მეტად რთულია ფ/ზ სუბსტიტუციის მექანიზმის დადგენა, ვინაიდან ფ-იანი ყრუ ალომორფებია ქართულთან ერთად ლაზურშიც პოვნიერი. ასევე ართულებს ვითარებას ფარცხ- ძირის არსებობა ქართულ-სვანურში [ჩუბუა 2000-2003 : 233].

ს.-სინდ. *ბგძ-ა / *ფგძ-ა „სახნისი“

ადილ. ცტა-ბზჰ, ყაბ. ვა-ბძჰ „სახნისი“

აბაზ. ფგზა, აფხაზ. ა-ფგზა „სახნისი“

სინდურ ენებში, ისევე, როგორც ქართველურში, შეინიშნება ზ/ფ სუბსტიტუცია, რაც გვამლევს შესაძლებლობას, აქაც დუბლეტური ფორმები აღვადგინოთ.

საყურადღებო ჩანს აუსლაუტური ს.-ქართვ. ცხ : ს.-სინდ. *ძ შესატყვისობა, რაც პალეოკავკასიური ც^ი ინტენსიური თანხმობის რეფლექსაციად მიიჩნევა, შდრ.: ხუნძ. ფურუცა-, ბავვალ. ფერცა, ტინდ. ბეცი „კავი, სახნისი“...

ს.-ქართვ. *ბარჯ- „ბარჯი; რკინის კაუჭიანი ჯობი“

ძვ. ქართ. ბარჯ-ი „კაპიანი ჯობი, გინა სათევზე ხოჭი“

ზან. (ლაზ.) ბოჯგ-ი „დატოტვილი ხე“, მეგრ. ბორჯგ-ი // ბოჯგ-ი „ბარჯი; რკინის კაუჭიანი ჯობი“

სვან. ბაჯგ // ბეჯგ „ხის საყრდენი; მარგილი, სარი“

სპეციალურ ლიტერატურაში სვანურ შესატყვისად მოიხმობენ ლი-ბაჯგ-ე „დაბჯენა“ ზმნურ ფუძეს, რაც არ ჩანს მართებული. სვან. ბაჯგ- ზმნა ქართ. ბჯ-ენ- // ბჯინ- ზმნის შესატყვისია [შდრ. კლიმოვი 1998 : 9; ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 98].

ს.-სინდ. *ბჯჰ- „სარი, მარგილი; შუბი“

ადილ. ფჩგ, ყაბ. ბჯგ // ბჟგ „ლახვარი, შუბი“, შდრ. ფჩჰ-ლტგ, ბჟჰ-ლტ „სარი, მარგილი“

ჩერქეზოლოგიაში გამოთქმული თვალსაზრისი ლტგ სეგმენტის ცალკე გამონაწევრების შესახებ საქმის რეალურ ვითარებას ასახავს [ბალოვი 1968 : 57; შაგიროვი 1977, I : 85].

ს.-სინდ. *ბჯჰ- : ს.-ქართვ. *ბარჯ- არქეტიპები კანონზომიერად შეეფარდებიან ერთმანეთს, რასაც მხარს უჭერს როგორც სიტყვათა შინაარსი, ისე სტრუქტურა.

ს.-ქართვ. *ზასრ- „შეფერვა, შეღებვა“

ქართ. (ფშ.) ზასრ-, გა-ზასრ-ავ-ს „შეღებავს, შეფერავს“

ფუძე განმარტობით დგას ქართულში, მაგრამ, სავარაუდოდ, ფუძეენური წარმომავლობა ახასიათებს. ამას გარეუბრები მოგაცემები (იზოგლოსები) ამტკიცებენ. შეიძლება, ამავე ძირს შეიცავდეს აჭარული გა-ზასრ-ვა „გასვრა“ ზმნაც.

ს.-სინდ. *ზსტა- „ფერი“

აფხაზ. ა-ფშტგ- „ფერი“, შდრ. ა-ფშტტგ

თუ მოვიხილავთ სინდურ ენათა ლაზიურული უ^ი სეგმენტის წარმომავლობის დადგენას,

ამისათვის მეტად ღირებული ჩანს ქართულ რ-სთან შეპირისპირება, რომლის სინდურ შესატყვი-სადაც უ მიიჩნევა. სხვანაირად ძირის ლაბიალიზაციის ახსნა ვერ ხერხდება, იგი არ ფიქსირდება დალესტნურ და არც ნახურ ეკვივალენტებში, შდრ. ანდ. **ბოსო** „ფერი“, წ.-თუმ. **ბოს** „ფერი“...

ს.-ქართვ. ***ბასრ**- „ფოლადი“

ქართ. **ბასრ**-ი „ფოლადი რკინა“ (საბა)

ფუძე ცნობილია ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლებიდან, სულ მცირე, ამირანდარეჯანიანში ფიქსირდება: „წმალნი ბ ა ს რ ი ს ა მკვეთელნი“ [ამირანდარეჯანიანი : 475/8]. ასევე ჩანს სულხან-საბას ლექსიკონში, სადაც მოხმობილი *რკინის* განმარტება გვიანდელია; ფუძე-ენისთვის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო მხოლოდ *ფოლადის* გაგება.

ჩვენი შეპირისპირება გამორიცხავს ქართული **ბასრ**-ი ფორმის რაიმენაირ კავშირს არაბულ ბასრა-სთან (ქალაქია).

ს.-სინდ. ***უპსუ**- „სპილენძი“

უბიხ. **უგსუ-გ** „სპილენძი“

სიტყვის შემდგომი სეგმენტაცია არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად, მით უფრო, აქ **სუპ** „ნათელი“ ფორმის გამოყოფა [შდრ. მესაროში 1934 : 204]. უბიხური ფორმა ერთიანია და გარკვეული ფონეტიკური გარდაქმნებით ასახავს ფუძეენურ რეფლექსაციას -- **უპსუ-გ** → **უგსუ-გ** რეგრესული ასიმილაციის ნიმუშია.

სიტყვის ანლაუტში თავჩენილი ს.-ქართვ. **ბ** : ს.-სინდ. **უ** ბილაბიალური რიგის ბგერათშესატყვისობა კანონზომიერ-რეგულარულია.

ამ ეტაპზე დალესტნური ან ნახური შესატყვისები ვერ მოვიძიეთ.

ს.-ქართვ. ***ბატკ**- „შინაური საქონლის ნაშიერი“

ქართ. **ბატკ**-ი „ჩვილი თიკანი“ (საბა), გურ. **ბატკ**-ი „შემოდგომაზე ნაშობი შინაური საქონელი: ხბო, ბატკანი / თიკანი“

სვან. **ბატკ** / **ბატკ** (ლშხ.) „მრგვალად შემწვარი თხა, ცხვარი, ხარი, მოზვერი“

მეგრული **ბატკ**-ი „ბატკანი“, ალბათ, ნასესხებია, ვინაიდან ***ბოტკ**-ი ან ***ბუტკ**-ი იყო ზანურში მოსალოდნელი.

ს.-სინდ. ***ბატ**- „ზაქი“

უბიხ. **ბატ** „ზაქი“

აფხაზ. ა-**ბატ** „ზაქი“, აჟუ-**ბატ** „მდ. სქ. ზაქი“

სინდურ ნიმუშებს მეგრულიდან შესულად მიიჩნევენ [ლომთათიძე 1974 : 98; ბუკია 2016 : 32]. თუ სესხებაზე ვისაუბრებთ, მეგრული **ბატ**-ი // **ბატ**-ია „ზაქი“ უფრო გამოდის აფხაზურ-ადილურიდან ნასესხები, ვინაიდან მას შესატყვისები არ მოეპოვება მონათესავე ქართველურ ენებში. ამიტომაც მივიჩნევთ, რომ ს.-ქართვ. ***ბატკ**- : ს.-სინდ. ***ბატ**- გენეტიკურად საერთო მასალას გვიჩვენებს, ხოლო მეგრ. **ბატ**- ნასესხებია.

ს.-ქართვ. ***ბაღ**- „პარსვა; ხოკვა“

ქართ. **ბაღ**-ვ-ა „ღაწვთ ხოკა“ (საბა), ნა-**ბაღ**-ვ-ი „ნაგლეჯი“ (საბა)

ზან. (ლაზ.) **ბღ**-, ო-**ბღ**-უ „პარსვა“, ბ-ი-**ბღ**-ი „გავიპარსე“, **ბღ**-ერ-ი „გაპარსული“, უ-**ბღ**-უ „გაუპარსავი“

სვანური შესატყვისი გვაკლია. ისტორიულად რედუქცია ლაზურში განხორციელდა, ვინაიდან კუმშვის მომდევნო ეტაპზე **ბღ** B ტიპის ჰარმონიულ-დეცესიური კომპლექსი იქმნებოდა. სემანტიკურად *ხოკვა* ~ *პარსვა* ადვილად აიხსნება, შდრ. ქართ. **ხოკ**- „ხოკვა“ ~ მეგრ. **ხოკ**- „პარსვა“, ამიტომაც მნიშვნელობის გადაწევაზე საუბარი ლაზურში არ არის მთლად ზუსტი [შდრ. ფენრიხი,

სარჯველაძე 2000 : 99].

ს.-სინდ. *ბზლ- „ფხაჭნა, კაწვრა; ფხანა“

აბაზ. ბლ-რა, ბგლ-რა, აფხაზ. ა-ბგლ-რა „ფხაჭნა, კაწვრა; ფხანა“

ჩერქეზულ ენა-კილოებში შესაბამისი ზმნები დაკარგული ჩანს, თუმცა აფხაზურ-აბაზურად საკმაო სიზუსტით იძლევა ს.-სინდ. არქექტივის რეკონსტრუქციის შესაძლებლობას.

ს.-ქართვ. *ბალ- „პარსვა; ხოკვა“ ~ ს.-სინდ. *ბზლ- „ფხაჭნა, კაწვრა“ კანონზომიერ სტრუქტურულ-სემანტიკურ და ფონეტიკურ შესატყვისობებს წარმოგვიდგენს.

ნახური ან დაღესტნური პარალელები ჯერჯერობით არ ჩანს.

ს.-ქართვ. *ბალ- „წყევლა, შეჩვენება“

ქართ. ბალ-, ბალ-ვ-ა „დაწყევლა, შეჩვენება“ (ჩუბინაშვილი)

სიტყვა დასტურდება მხოლოდ ქართულში, მაგრამ, როგორც ეტყობა, მას ფუძეენური წარმომავლობა ახასიათებს. იქნებ, მეგრ. ბურღ-ინ-ი // ბულ-ინ-ი „ტრაბახი, უსაფუძვლო საუბარი“ ფორმები იყოს ქართ. ბალ- ზმნის შესატყვისი.

ს.-სინდ. *ბლა- „წყევლა; შეჩვენება“

ყაბ. ბლზ-ნ „წყევლა, შეჩვენება“, ბლზ-ბზზ „წყევლა“

აფხაზ. ა-ბლა-რა „წყევლა, ხატზე გადაცემა“

სპეციალურ ლიტერატურაში ადრე გამოთქმული მოსაზრება ქართულ-სინდური ზმნების ერთიანი წარმომავლობის შესახებ გასაზიარებელი ჩანს [შაგირივი 1977, I : 77-78].

ს.-ქართვ. *ბალ- : ს.-სინდ. *ბლა- კანონზომიერ სტრუქტურულ-ფონეტიკურ მიმართებას ამჟღავნებს, რასაც სემანტიკური იდენტურობაც მხარს უჭერს.

ს.-ქართვ. *ბალალ- „დიდი, გოლიათი; ახმახი“

ქართ. ბელელ-ა, დევ-ბელელ-ა

ზან. {ბულურ-}

სვან. (ლხმ.) ბელელ „ახმახი, ვეებერთელა“

ზანური (resp. მეგრული) შესატყვისი შესაძლოა შემორჩენილი იყოს სვანურში ნასესხობის სახით, შდრ. სვან. ბულურ „შემზარავი; უშნო“. ქართველური ალომორფები მკაცრად უნდა იყოს გარჩეული (ქართულში) ომონიმური სიტყვისაგან ბელელ-ი ან ქორ-ბელელ-ა.

ს.-სინდ. *ბალა „მაგარი“

უბიხ. ღაბგ „მაგარი, მყარი“

აბაზ. ბალა, აფხაზ. ა-ბალა „მაგარი, ძლიერი“

ქართველურ-აბაზური ძირების ჩვენება უბიხურის საპირისპიროა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საურთიერთო მეტათეზისი უბიხურში განხორციელდა – ღაბგ ← *ბალგ. ბოლოკიდური ლ-ს გაუჩინარება (თანაც უკვალოდ) ჯერ კიდევ ფუძესინდურში განხორციელდა.

სემანტიკური კორელაცია გოლიათი ~ მაგარი ბუნებრივად გვესახება. სიტყვათა ამავე რიგში შემოვა ხუნძური ბოჭოლო „შემზარავი, ბუა“ ლექსემაც. ოსური ბოლოლო „ბუა“, быка ვაინახურ შესატყვისის ინახავს.

ს.-ქართვ. *ბალარ- „მცირე ტყე“

ქართ. ბალარ-ა „მცირე ტყე“ (კირიონი)

სიტყვა განმარტოებით დგას ქართულში, თუმცა, სავარაუდოდ, საერთოქართველური ეტიმოლოგია აქვს. ამას ბალარ- ფუძის სინდური (და არამხოლოდ) შესატყვისები ამტკიცებს.

ს.-სინდ. *ბლა- „მთა“

ადილ. ბლგ „ბორცვი“, ყაბ. ბლგ „მთა“

აფხაზ. {ზლა} (კომპოზიტებში) „მთა“, სიტყვებში: ა-ზღა-ზ „მთის ვაცი“, ა-ზღა-ჯმა „მთის თხა“ მნელი სათქმელია, ჰქონდა თუ არა ისტორიულად რ ვარიანტიანი ფუძე სინდურ ენებს. დღეს წარმოდგენილი მასალა მისი რეკონსტრუქციის შესაძლებლობას არ იძლევა, მაგრამ ეგევე რ ქართველურში მკვიდრად ზის და თავჩენილია ნახურ მასალაშიც, შდრ. ბაცბ. ბორლ' „ხევი“ [ნახური და სინდურისათვის იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 291]. აქვე იკვეთება საყურადღებო შესატყვისობა სემანტიკის დონეზე – ს.-ქართვ. ტყე ~ ს.-სინდ. მთა, რაც კანონზომიერად გვეჩვენება და შესაძლებელია ერთი სიტყვის ფარგლებშიც წარმოჩნდეს, შდრ. ლაზ. (<- თურქ.) დალ-ი „მთა, ტყე“.

სინდურ ფუძეთა დაღესტნურ შესატყვისად მიიჩნევენ ასევე ლაკურ მურლუ „კლდე“ სიტყვას [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1997 : 291].

ს.-ქართვ. *ზალუ- „ბავშვი“

ქართ. (აჭარ.) ბაღვ-ი, რაჭ. ბაღვ-ინ-ა „ბავშვი“

სვან. ბალუ „ბავშვი“

ზანურ დიალექტებში ბულ- სახეობის სიტყვა ჯერჯერობით არ ჩანს. გურული ბაყვი-ი „ბავშვი“ ამავე რიგისა შეიძლება იყოს, ხოლო ქართველური ბაღანა, ბაღლ-ი სხვაგვარ ეტიმოლოგიას გულისხმობს.

ს.-სინდ. *ზალუ-გ „ხბო“

ადიდ. ბგლუგ „ხბო“

სპეციალურ ლიტერატურაში სწორად არის ერთმანეთისაგან გამიჯნული თურქული buğa „ბულა“ ფორმისგან მომდინარე ადიღური ბგლუგ „ბულა“ და საკუთრივ ადიღ. ბგლუგ „ხბო“. აქ უბრალო ომონიმისთან გვაქვს შეხება [კვახაძე 2014 : 78].

ქართული ენის თუშურ დიალექტში თავჩენილი მოღვერ-ა „მოზვერი; 7-8 წლის ბიჭი“ სემანტიკურად მარჯვედ უდგება სინდურ-ქართველურ ბავშვი ~ ხბო სემანტიკურ კორელაციას, მაგრამ ძირეულად განსხვავებული წარმომავლობისა ჩანს; იქნებ, ქართველურშიც სავარაუდოა მოზვერ- → მოღვერ- (ზ → ლ (?)).

ს.-ქართვ. *ბაყუ- „ბარძაყი, ბაყვი“

ქართ. ბაყვი-ი „ბარძაყი“, ხევს. „სადაც ბარკალი ეკვრის მუცელს“, ბაყვ „მუცელს ზეითი“ (საბა), მო-ბაყუ-ა (საბა)

სვან. ფეყუ „გვერდი, გავა“

აუცილებელი ჩანს სვანურ ფოყ და ფეყუ ფუძეთა გარჩევა, ვინაიდან მათ სხვადასხვა შესატყვისები აღმოაჩნდათ ქართულში [შდრ. ჩუხუა 2000-2003 : 240-241].

ს.-სინდ. *ბაყუ-გ „ძვალი; ჩონჩხი“

ადიდ. ფაგ, ყაბ. ფაგ „ჩონჩხი“

უზბიხ. პყ (პ-პყ) „ჩონჩხი“

აბაზ. ბჟუგ, აფხ. ა-ბაჟუ „ძვალი“

აბაზურში ასევე დადასტურდა პყგ, რაც ჩერქეზული ენებიდან უნდა იყოს ნასესხები.

სტრუქტურული და სემანტიკური თვალსაზრისით, ამ შეფარდებებს პრობლემები არ უჩნდებათ. ხოლო ქართულ-სინდურ არქეტიპებს საგულისხმო იზოგლოსები ეძებნებათ როგორც ნახურ, ისე დაღესტნურ ენებში, შდრ. მაგალითად, წაზ. ბარყუ / ბარკუ „ძვალი“ და სხვ.

ს.-ქართვ. *ბაყუ-ე „იხვის სახეობა“

ქართ. (თუშ.) ბაყვი-ი „ერთგვარი ფრინველი“

ზან. (მეგრ.) ბაყვი-ა/ბაყვი-ა „გარეული იხვის სახეობა“

ს.-სინდ. *ნა-ბლტა მწყერი“
ადიდ. ნგბლტ, ყაბ. ნგბლტა „მწყერი“
უბიხ. ნაბლტა „მწყერი“

სინდურ ენებში ნამდვილად გამოიყოფა ნა-/ნგ- პრეფიქსი, რომელიც ადიდ. ნგ-ბგჯ : აფხაზ. ა-ჭაპ-ან „ჭიპი“ ფორმათა შეპირისპირებაშიც შეგვახსენებს თავს. არის მცდელობა სინდური ძირე-ბი თაბას. ყუმყურ „მწყერი“ სიტყვასთან დაკავშირებისა [სტაროსტაინი, ნიკოლაევი 1994 : 841], რასაც ს.-ქართვ. *ზაყტ-ე „იხვის სახეობა“ არქექტიპიც ეხმიანება, შდრ. ხუნძ. მოყრყ „კაკაბი“.

ს.-ქართვ. *ზაყლ- „ჩირქოვანი სიმსივნე“
ქართ. ზაყლ-ი „მწიკვლი, ჩირქი“
სვან. ფუყუ (ზს.) „ჩირქოვანი სიმსივნე; ძირმაგარა“

ბგერათშესატყვისობას ქართ. ლ : სვან. უ (ძალღ- : ჟელუ...) თუ მივყვებით, თავდაპირველად ზაყუ უნდა მიგველო სვანურში. ამ უკანასკნელმა ა'ს ლაბილიზაციითა და ამ პოზიციამი სპონტანურად ენისთვის დამახასიათებელი ზ → ფ ანლაუტური დაყრუების პროცესით ფუყუ მოგვცა (ჩუ-ხუა 2000-2003 : 243).

ს.-სინდ. *ზჟა- „დამპალი“

აბაზ. ზჟა „დამპალი“, ზჟა-რა „ლპობა“, აფხაზ. ა-ზჟ ← ა-ზჟა „დამპალი“, ა-ზჟ-რა „ლპობა“.

ჩერქეზულ ენებში სათანადო ძირი დაკარგული ჩანს, მიუხედავად ამისა, სიტყვა საერთოსინდური მდგომარეობისთვის აღდგება, რასაც, ქართველურთან ერთად, დაღესტნური მასალაც მხარს უჭერს; შდრ.: ანდ. ბილტა-ნ-ებ, ახვახ. ბილტა-დ-ე, კარატ. ბილტა-მ-ქუა, ბოთლიხ. ბილტა-ბ, ლოდობ. ბილტა-ნ „ჩირქი, მუწუკი“...

არსებობს უსაფუძვლო ვარაუდი იმის შესახებ, რომ აფხაზურ-აბაზურ ზჟა უკავშირდება ადიდურ ნა-ბლა „ცუდი მხედველობა“ სიტყვას, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს [შდრ. სტაროსტაინი, ნიკოლაევი 1994 : 871]. აქვე ვიტყვით, ჩერქეზული ნა-ბლა სხვა ქართველურ ძირს შეესატყვისება, შდრ. ბრყვილ-ი „უსინათლო“, ამავდროულად წარმოდგენილი ალომორფები პარალელურად დაღესტნურ ენებშიც და სიტყვათა დამოუკიდებელ ჯგუფს ქმნიან, შდრ. *ზაყლ-/ზჟა : ლაკ. ფურყუ, თაბას. ზარყ, ალულ. პარ ← ზყტარ „თვალის სეკრეცია, წირპლი“.

ს.-ქართვ. *ზაჩ-ა „ფეტვი; ცერცვი“

ქართ. მაშა „ცერცვი“

ზან. {ფაჩქა} „ფეტვი“

სვანური შესატყვისის დაკარგული ჩანს. თვით ზანური ეკვივალენტიც მხოლოდ საბას ლექსიკონს შემორჩა. მაშა / ფაჩქა შეპირისპირება ისტორიული ზოჩქა სახეობის სასარგებლოდ მეტყველებს, მაგრამ აქ (ზანურში) მომდევნო ა-ს ზეგავლენით ჯერ ზეაჩქა, ხოლო შემდგომ გამარტივებული ბაჩქა / ფაჩქა მივიღეთ.

ახსნას ითხოვს ანლაუტური მ/ზ (→ ფ) მიმართებაც, შდრ. ქართ. მარგ- : ზან. ბერგ- / ბარგ- „თოხი, თოხნა“.

ს.-სინდ. *მარ-ა „ფეტვი; პური“

ადიდ. მარ-ე, აბმახ. მარ, ყაბ. მარ „ფეტვი“

აბაზ. რა-რა „პურობა, ჭამა“, აფხაზ. ა-რარ „პური“, ა-რარ „პურობა, ჭამა“, შდრ. ა-რარ-მ // ა-რარ-მ „ხორბალი“

ადიდური ენა-კილოებისათვის გ. როგავა აფიქსირებს მარ // მარ არქაულ სახეობას, რომლებიც დღევანდელ მეტყველებაში უკვე აღარ ისმის [როგავა 1956 : 34].

აფხაზურ-აბაზურში მოსალოდნელი მარ- სტრუქტურის ძირი გამარტივებული ჩანს ფონეტიკურ ნიადაგზე – მარ → რა-. საერთო ძირები დამოწმებულია მონათესავე იბ.-კავკ. ენებში, შდრ.:

ნახ. **ბორც** // **ბუორც** „ფეტვი“, ხუნძ. **მუჩ**, ტინდ. **ბოჩა**, ბოთლიხ. **ბუჩა**, ახვახ. **მიჩა** „ფეტვი“ [უფრო მეტი დად. იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 309]. ანგარიშგასაწევი მ/ზ სუბსტიტუცია დადესტნურ მასალაშიც გამოჩნდება.

ს.-ქართვ. ***ბაც**- „საქონლის მფარველი ღვთაება“

ქართ. (თუმ.) **ბაც**-, **ბაც**-უკა „ფიგურული რიტუალური ნამცხვარი“

ზან. (მეგრ.) [**ბოჩ**-ი] „საქონლის მფარველი ღვთაება“

სვანურში ფიქსირებული ბაციკ-ი//ბაციკუკუ [ანთელავა 2017 : 141] იმაზე მიუთითებს, რომ **ბაც**- ქართული ღვთაება ქრისტიანობის წინა პერიოდში გავრცელების მეტ არეალს მოიცავდა. ამავედროულად ძველქართული **ბოჩ**-ი ს.-ქართვ. ***ბაც**- არქეტიპის ზანურ შესატყვისს ინახავს და **ვაც**-ისაგან განსხვავებული, დამოუკიდებელი ძირი ჩანს, რომელიც, სავარაუდოდ, *ხარის* აღმნიშვნელ არქაულ ფორმას წარმოგვიდგენს.

ს.-სინდ. ***ცუტ** „ხარი“

ადილ. **ცუტ**, ყაბ. **ვვ** ← ***ცუტ** „ხარი“

უბიხ. **ცუტ** / ა-**ცუ** „ხარი“

აბაზ. **ჩუტ**, აფხაზ. ა-**ცუ** „ხარი“

სინდურ ენებში შებრუნებული წყობის ძირები გვაქვს – ს.-სინდ. ***ცუტ**, შდრ. დადესტნ.: ხუნძ. **ოც**, დარგ. **უნც** ხარი“; ს.-ნახ. ***ფსთუ** „ხარი“, აღულ. **ბეც** „ხარი“. საპირისპიროდ, ქართველური ***ბაც**- სტრუქტურისაა, რასაც ნახურ-აღულური სახეობები მიჰყვება.

ს.-ქართვ. ***ბამ**- „ჭკუა, გონება; სიბრძნე“

ძვ. ქართ. **ბრძ**-ენ-ი „გონიერი, ჭკვიანი, მეცნიერი“, **ბრძ**-ნ-ობ-ა „გონიერად თქმა“, **ბრძ**-ე-ულ-ებ-ა-ე „მეცნიერება, ფილოსოფოსობა“

სვა. **ბაჟ** „ჭკუა, გონება, გონი“, **ბაჟ**-ურ „უჭკუო, უგონო“

გამოკვეთილად ჩანს სვანურის ფონზე **-ენ**-/**-ნ**- სეგმენტთა სუფიქსურობა ქართულისათვის. **-ენ** → **-ნ** მაზედსართავებელი აფიქსი ჩანს, რომლის სვანური **-ინ** შესატყვისი მარკერის სახით დღემდე მოქმედია, შდრ.: სვან. ნეც-**ინ** „წვრილი“, ბაჟ-**ინ** „მაცნე“ / ბაჟ „ცნობა; შეტყობინება“...

ს.-სინდ. ***ბაჯ**- „სიმართლე; მართალი“

ყაბ. **ფაჟ**, ბასლ. **ფაჯ** „სიმართლე“

უბიხ. **ფაჯ** „მართალი“

ქართველურ მონაცემებთან შედარებით შეიძლება მხოლოდ იმის მტკიცება, რომ საერთო-ჩერქეზულში განხორციელდა სიტყვის ანლაუტის დისიმილაციური დაყრუება – ***ბაჯ** → **ფაჯ**.

ბამ**/ბაჯ**- არქეტიპთა სტრუქტურულ-ფონეტიკური ერთიანობა წარმოაჩენს სემანტიკურ კორელაციას *სიბრძნე* ~ *სიმართლე*, რაც კანონზომიერებას ექვემდებარება. ასევე შეიძლება, ღირებული იყოს ხუნძურ-ანდიურ ენათა მასალის მოხმობა *რწმენის* (*вера*) მნიშვნელობით, შდრ.: ხუნძ. **ბოჟ**-, ანდ. **ბუჟ**-, ტინდ. **ბოჟ**-, ახვახ. **ბუჟ**-, ჭამალ. **ბოზ**- „რწმენა“ (ანუ რუს. *вера* ~ *верный* ტიპის სემანტიკური კორელაცია გვაქვს).

ს.-ქართვ. ***ბამ**-ა „ზღარბი; ეკალ-ბარდი“

ქართ. (იმერ.) **ბამა**-ძგ-ნარ-ი „ეკალ-ბარდი; ეკალ-ბარდით დაფარული ადგილი“

ზან. (მეგრ.) **ბუძგა** „პატარა ზღარბი“, **ბუძგა** „ეკლები წაბლის ქერქზე“, ლაზ. **ბუძგა** „ზღარბი“

სვანური შესატყვისი ვერ გამოვავლინეთ; მოსალოდნელი კი იყო **ბამძ** / **ბამძ** / **ბემძ** სახეობის ძირი, ვინაიდან ქართ. ძ : ზან. ძგ : სვან. ძგ ხშირად იჩენს თავს საერთო მასალაში [ჩუხუა 2000-2003 : 31]. გურულ დიალექტში ფიქსირებული **ბუძგ**-ი „ეკალი“ ზანიზმად მიიჩნევა.

ს.-სინდ. ***ფამ**-გ „ზღარბი; ეკალ-ბარდი“

ადიდ. (ჭემგ.) ფგზუ „ზღარბი“, ყაბ. ფგზუ „ეკალ-ბარდი“

გვაკლია უბიხურ-აფხაზურ-აბაზური ალომორფები, რაც აძნელებს რეკონსტრუქციის პროცედურას. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ მსგავს პოზიციებში ძ ც წ → ზ ს ს სპირანტიზაციის ზოგად ტენდენციას ადილურ ენებში, მაშინ გასაგები ხდება ადილურ ენა-კილოთა ალომორფების მეორეულობა.

მეტად საყურადღებოდ გვეჩვენება ზღარბი ~ კვალი სუბსტიტუციის ერთგვაროვანი მოვლენა სინდურ-ქართველურ ენებში.

ს.-ქართვ. *ზაძგ- „წყავის მსგავსი ხე“

ქართ. ზაძგ-არ-ი „ეკლიანი ჭყორნალი“ (საბა); აჭარ. „წყავის მსგავსი ეკლიანი ხე“; ლეჩხ. „შქერის მსგავსი ეკლის ფოთლებიანი ხე“, გურ. „ეკლიანი ხე“

ზან. (მეგრ.) ფენჯგ-ირ-ე „ცოცხი, სორგო, მჭადა“ (მცენ.)

სვან. ზოჯგ-ერ (ზზ.), ზოჯგ (ზქ.) „ქუჩი“ (მცენ.)

ჩვენთვის მთლად ნათელი არ არის ო გახმოვანება სვანურში, მაშინ, როდესაც ქართულში ა გვაქვს. ამგვარი მიმართება უფრო ზანურს ახასიათებს, თუმცა გასათვალისწინებელია ბ წყვილბაგისმიერთან მეზობლობაც – ბა → ბო. ამავდროულად მეგრულს ე ვოკალიზმი სწორედ რომ არქაული ო-საგან გამოიყვანება.

ს.-სინდ. *ზჯა- „ჭადარი; მუხა“

ადიდ. (ჭემგ.) ფჩა-დგ, ყაბ. ზჟე-დ „ჭადარი“, შდრ. შაფს. ფჩა-დგ „წიფელი“

აბაზ. ჯჟ-ჭჟგ, აფხაზ. ა-ჯჟ „მუხა“

ამოსავალი ზჯჟ კომპლექსი აფხაზურ-აბაზურში გამარტივდა, სამაგიეროდ შენარჩუნდა ფუძეენური წარმომავლობის ჯჟ ველარიზებული მჟღერი სიბილანტ-აფრიკატი. სწორედ ამ უკანასკნელის შესატყვისად მოვიაზრებთ პროტოქართველურ ძგ ბიფონემურ რეფლექსაციას – წ-ქართ. *ძ → ს.-ქართვ. ძგ.

პრობლემური არ უნდა იყოს წყავი ~ ჭადარი / მუხა დენდრონიმული კორელაცია.

ს.-ქართვ. *ზაძჟ- „ტერფი“

სვან. ზაჯჟ, ზაჯჟ (ლშხ.) „ტერფი“

ადრე ვფიქრობდით ქართულ ზომ-ი (ზან. ბურჯ-ი(?)) ძირების კავშირზე სვანურ ალომორფებთან [ჩუხუა 2000-2003 : 62-63], რასაც დღემდე საფუძვლიანად ვერ ვასაბუთებთ, თუმცა, ამავდროულად, ჩვენთვის სვანური სიტყვა ფუძეენურ წარმომავლობას გულისხმობს, ვინაიდან სანდო შესატყვისები გამოუჩნდა ჩერქეზულ ენებში.

ს.-სინდ. *ზძჟ- „ძირი, საფუძველი“

ადიდ. -ზზჟ-, სიტყვაში ლა-ზზჟ „ძირი, საფუძველი“

ლა- სეგმენტი ფეხის აღმნიშვნელი ჩერქეზული ფუძე ჩანს, ხოლო -ზზჟ ადილურში საერთო-სინდური *ზძჟ- „ძირი, საფუძველი“ სიტყვის რეფლექსი გვგონია.

ს.-სინდ. *ზძჟ- „ძირი, საფუძველი“ ~ ს.-ქართვ. *ზაძჟ- „ტერფი“ კანონზომიერ მიმართებას აჩვენებს როგორც სემანტიკური, ისე სტრუქტურულ-ფონეტიკური თვალსაზრისით.

ს.-ქართვ. *ზაძჟ-ილ- „ჩიყვი; კეთროვანება“

ძგ. ქართ. ბრძვლ-ი // ბრძვილ-ი „ესე სახელი არს კეთროვანებისა“ (საბა)

სვან. ზაჯჟ, ზაჯჟ (ლშხ.) „ჩიყვი; ხორცმეტი“

როგორც მოსალოდნელი იყო, სვანურში ფუძე გამარტივდა; მაგრამ არ ჩანს ქართული -ილ სუფიქსის შესატყვისი სათანადო აფიქსი.

ს.-სინდ. *ზძა-ნ-ჟ „ძირმაგარა“

ყაბ. **ბძანწ** „ძირმაგარა“

სიტყვა განმარტოებით დგას ყაბარდოულში. უფრო ადრე მას შესატყვისები დაეძებნა დაღესტნურ ენებში, შდრ.: ლაკ. **ფიწუ**, ხვარშ. **ჰანწუ** „ძირმაგარა“... [აბდოკოვი 1983 : 135]. ვფიქრობთ, მეტი სიახლოვე ჩანს ქართველურ ალომორფებთან, რაც, უპირველეს ყოვლისა, ძირის სტრუქტურითა და **ძ** : **ძ** სიბილანტური შესატყვისობით არის გამყარებული. ასევე საყურადღებოდ გვესახება -**ნ-ა** : -**ილ** შეფარდება სუფიქსთა დონეზე.

ს.-ქართვ. ***ბახ-** „ნიჩაბი, კეხი“

ქართ. (იმერ.) **ბახ-ურ-ი** „მთლიანი ხისგან გამოთლილი კეხი“

ზან. (მეგრ.) **ბეხ-ა** // **ბეჰ-ა** „ნიჩაბი“

შესაბამისი ძირი სვანურში არ იძებნება. მეგრულში ძირითადია **ჰ**-ალოფონიანი სახეობა, რომელიც მონაცვლეობს **ხ**-სთან. აქ ისეთივე სუბსტიტუცია ფიქსირდება, რაც მეგრ. **ბახე** // **ბაჰე** „ფეხის საცეხველი“ სიტყვაში. ცხადია, **ჰ**-იანი ალომორფები გვიანდელია, ვინაიდან ძირ-ფუძის ინლაუტში **ჰ** სპირანტის პოვნირება არ არის ბუნებრივი ქართველური ენა-კილოებისათვის; საერთოდ, **ჰ** ლარინგალური სპირანტი ძირეულ მასალაში, როგორც წესი, არ გვხვდება.

ს.-სინდ. ***ბაჰ-ა** „ნიჩაბი“

აფხაზ. **ა-ბაჰა** „ნიჩაბი“

შეიძლება ფიქრი აფხაზური სიტყვის მეგრულიდან სესხების თაობაზე, მაგრამ ამის დაშვება სავალდებულოდ არ მიიჩნევა, ვინაიდან აფხაზურ-ქართველურ მონათესავე ძირებს სანდო იზოგლოსები ეძებნება დაღესტნურ ენებშიც, შდრ.: წახ. **ბიხ** „თოხი“, ხინალ. **ფეხ-უ** „ხის ნიჩაბი“, რომ არაფერი ვთქვათ ს.-ნახ. ***ბაჰ-ე** „ხის ნიჩაბი“ არქტიპზე, შდრ. ჩეჩნ. **ბჰჰა** „id“.

ს.-ქართვ. ***ბაჰ-** „ჩქარი სიარული“

ქართ. (მოხ.) **ბაჰ-ბაჰ-ი** (რედუპლ.) „ჩქარი სიარული“

სიტყვა განმარტოებით დგას მოხეურ დიალექტში, მაგრამ, სავარაუდოდ, ფუძეენური წარმომავლობისაა, ვინაიდან შესატყვისები ეძებნება სინდურ (და არამხოლოდ) ენებში.

ს.-სინდ. ***ჰუა-** „რბენა, სირბილი“

უბიხ. **ჰუ** „რბენა“

აბაზ. **ჰუ-რა**, აფხაზ. **ა-ჰუ-რა** „სირბილი“

ძირეული **ჰ** თანხმოვნის ლაბიალიზაციაში, საერთოსინდურ დონეზე რომ **ბ** იღებდა მონაწილეობას, ჩანს **ჰ** → **ჰ** გამჟღერების პროცესში, ანუ: ***ჰა** → **ჰუა** → **ჰუ** (უბიხ.) // → **ჰუა** (აფხაზ.-აბაზ.). ყველა შემთხვევაში საერთოსინდური ძირი შებრუნებული წყობისა უნდა ყოფილიყო, შდრ. დარგ. (უბიხ.) **ბ-უჰVნ-**, რუთულ. **ბ-ახა-** „გაქცევა, რბენა“...

ს.-ქართვ. ***ბებერ-** „ბებერა, აბებრება“

ქართ. **ბებერ-ა** „ამობურცული წყალჩამდგარი კანი“, **ა-ბებერ-ებ-ა** „კანის აბურცება“ (საბა).

ბებერ- ძირის ქართველური შესატყვისები ვერ გამოვლინდა, რაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს სახელი ნასესხებია; არა, იგი ფუძე-ენის კუთვნილებათა და მრავალ საყურადღებო პარალელს ავლენს სხვა იბ.-კავკ. ენებში.

ს.-სინდ. ***ბაბ-** „ბუმტი“

ადილ. ფგს-**ბებ** „ბუმტი“, ყაბ. ფსგ-**ბებ** „წყლის ბუმტი“

აფხაზ. **ა-ბებ** „ბუმტი“

როგორც ვხედავთ, **ბუმტი** / **წყლის ჩადგომა** ის სემანტემებია, რაც აახლოვებს ქართულ-სინდურ ფუძეებს. იგივეობრივი შინაარსის ძირები თავს იჩენს დაღესტნურ ენებში, შდრ.: ჰუნზიბ. **ფობ**, **ფოლოფ** „ქაფი“, დარგ. **ჰარჰა** „საპნის ქაფი“.

ს.-ქართვ. *ზეზრ- „ერთგვარი მხალი“

ქართ. (ქართლ.) ზეზრ-ი-კონა „ერთგვარი მხალი“

ძირად ზეზრ- უნდა გამოიყოს, რომელიც მხალის მნიშვნელობის მატარებელი ჩანს. -კონა კი სუფიქსია, ლაზურ დიალექტში საკმაოდ ხშირად ფიქსირებული -კინა-ს ტოლფარდი – ქართ. -კონა : ზან. -კინა ← * -კუნა.

ს.-სინდ. *ზზ- „გოგრა“

უზიხ. ზეზ „გოგრა“

მკვლევრები ბილაბიალურ ხშულთა ფარინგალიზაციას გვიანდელ მოვლენად მიიჩნევენ – უზიხ. ზეზ ← *ზეზ, ხოლო საერთოჩერქეზულ არქტიპად ზეზ- „გოგრა“ ფორმას სამართლიანად აღადგენენ [კვახაძე 2014 : 65].

ჩვენი დაკვირვებით, ს.-სინდ. *ზეზ- კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. *ზეზრ- ძირს. სემანტიკურად ოპოზიცია მხალი ~ გოგრა არ ჩანს წინააღმდეგობრივი.

ს.-ქართვ. *ზეგ- „ცემა“

ქართ. ზეგ-ვ-ა

ზან. (მეგრ.) ზაგ-უ-ა „ცემა“

სვან. ზგ-, ლი-ზეგ-უნ-ე „ცემა“

გვაკლია ლაზური ალომორფი, რომელიც, ცხადია, მეგრული ზაგ- გახმოვანებისა უნდა ყოფილიყო. სვანურში ძირეული ხმოვანი დაკარგული ჩანს მომდევნო -უნ სუფიქსაციის ზეგავლენით [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 101].

ს.-სინდ. *ფზგ- „რქენა“

ადიდ. (შაფს.) ფფგ-ზნ, აბძახ. ფფგ-ზნ, ჭემგ. ფფგ-ზნ, ყაბ. ფფგ-ზნ, ზასლ. ფფგ-ზნ „რქენა“

ზ → გ აბლაუტი საერთოადილური ინოვაცია ჩანს. ამავდროულად ჩვენთვის აუხსნელია ან-ლაუტური ზ → ფ დაყრუების მიზეზი სინდურ ენა-კილოებში, რომელიც ფუმე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე განხორციელდა. სხვა მხრივ, ს.-ქართვ. *ზეგ- : ს.-სინდ. *ფფგ- ნორმალურ მიმართებას აჩვენებს; კანონზომიერი ჩანს, ასევე, ცემა ~ რქენა სემანტიკური კორელაცია.

ს.-ქართვ. *ზეგ-არ- „გადასახადი, ბეგარა“

ქართ. ბეგარ-ი „ყალანი“, „დედულის გამოსაღები“, „გლეხთ გამოსაღები“, მე-ზეგრ-ე, სა-ზეგრო (საბა), და-ზეგრ-ავ-ს, ბეგარ-ა (ქეგლ), ძვ. ქართ. ბეგარ-ი „ხარკი“

სიტყვა ცნობილია ძველქართული ტექსტებიდან: „ყოვლად იკადრებთა მოხდად ბ ე გ რ ი -ს ა ?“; „რომელნი აწ არიან მ ე ბ ე გ რ ე ნ ი სპარსთანი“ [აბულაძე 1973 : 30; 228]. თუმცა ამავდროულად უცნობია მისი შესატყვისები სხვა ქართველურ ენა-კილოებში.

ს.-სინდ. *ზზგ-ან- „არენდა“

ადიდ. ზზგ-ან-დ, ყაბ. ზზგ-ან-დ „არენდა“

უფრო ძველი სახეობის ადილური ფუმე ნასესხობის სახით დასტურდება აბაზურ ენაში, შდრ. ზაგან-და „არენდა“ [შაყრილი 1972 : 114].

ს.-ქართვ. *ზეგ-არ- „ხარკი, გადასახადი“ : ს.-სინდ. *ზზგ-ან- „არენდა“ ნორმალური სტრუქტურულ-სემანტიკური შესატყვისობა ჩანს. ვფიქრობთ, ამავ რიგისაა ხუნძ. მუკურ-, ბოთლიხ. მუკურ-ი „დამორჩილება“... სოციალური ტერმინიც.

ს.-ქართვ. *ზედ- „ცუდი“

ქართ. ზედ-, ზედ-ით-ი „ცუდი“

ზან. (ლაზ.) ზად-ი „ცუდი; ბოროტი“, ზად-ობ-ა „ბოროტება“

შესაბამისი ძირი სვანურში არ ფიქსირდება. ქართული **ბედ** - : ზან. **ბად**- კანონზომიერ მიმართებას აჩვენებს – ე : ა.

ს.-სინდ. ***ბად-გ** „რთული“

ყაბ. **ბედგ** „რთული“

საერთოსინდური ეტიმოლოგიის ძირი მხოლოდ ყაბარდოულში შემოგვრჩა. **ვ** → **გ** აბლაუტი ყაბარდოული ინოვაცია ჩანს. როგორც ვხედავთ, სინდურ-ქართველურ ძირებს გამოარჩევს ფორმობრივი და სემანტიკური იგივეობა.

ს.-ქართვ. ***ბეზ**- „ბზიკი; კრაზანა“

ზან. (მეგრ.) **ბაზ-ი** „ბუზანკალი; ბზიკი; კრაზანა“

ლაზურში არ ჩანს მეგრული **ბაზ-ი** სახელის შესაბამისი ფუძე, მაგრამ, ვფიქრობთ, აჭარული **ბაზ-ი** „შხამიანი მწერი, ბზიკს ჩამოჰგავს“ სიტყვა სწორედ ლაზურ წყაროზე უნდა მიუთითებდეს. თუ ზანურად **ბაზ**- ფორმას დავსახავთ, გამომდინარე ქართ. ე : ზან. ა ხმოვნური ბგერათმესატყვისობიდან, ქართულისათვის **ბეზ**- სახეობის ფუძის არსებობა უნდა დავუშვათ, რომელიც საერთო-ქართველურ ***ბეზ**- არქეტიპს ემთხვევა.

ს.-სინდ. ***ბზა**- „ფუტკარი; კრაზანა“

ადილ. **ბზა**, ყაბ. **ბჟა** „ფუტკარი“

უბიხ. **ბჟა**-მჟ „კრაზანა“

აფხაზურ-აბაზურში სათანადო ფორმებს ვერ ვპოულობთ, არ ჩანს მართებული ჩერქეზულ ალომორფებთან აფხაზური ა-**ბეჟ**, აბაზ. **ბეჟ** „ხოჭო“ ფუძეების დაკავშირება [მაგიროვი 1977, I : 89]. ახსნას ითხოვს უბიხური -**მჟ** სეგმენტი ბჟა-**მჟ**-ში; ალბათ, სუფიქსურია. სხვა მხრივ ს.-სინდ. ***ბზა** : ს.-ქართვ. ***ბეზ**- არქეტიპის ერთიანობის მტკიცებას წინააღმდეგობები არ ახლავს.

ანგარიშგასაწევი პარალელები ვლინდება დაღესტნურ ენებშიც, შდრ.: ბეჟიტ. **ბირზ**-ოლა, კარატ. (ანჩ.) **მიჟო** „ბუზანკალი“.

ს.-ქართვ. ***ბეზ**- „მსხვილი, მსუქანი“

ქართ. (ლექს.) **ბეზ**-ან-ი „მსხვილი“, მესხ. **ბეზ**-იერ-ებ-ა „განებივრება“

ზან. (მეგრ.) **ბაზ**-ირ-ი „მსხვილი“

ფონეტიკური შეფარდება **ბეზ**-/**ბაზ**- ნორმალური ჩანს. რაც შეეხება ქართველურ ძირთა სემანტიკას, ამკარად იკვეთება *სიცოცხლის უნარიანობის / სუქების* შინაარსი.

ლაზურ-სვანურში შესატყვისობას ვერ ვხედავთ.

ს.-სინდ. ***ბზა** „ცოცხალი, მხნე“

აბაზ. **ბზი** „ცოცხალი“, აფხაზ. **ბზი** „ცოცხალი“

სხვა სინდურ ენებში სათანადო ძირები არ იძებნება, თუმცა ქართველურ-სინდური მასალა სრულიად საკმარისი ჩანს იმისათვის, რომ იბ.-კავკ. ფუძე-ენისათვის აღვადგინოთ წარმოდგენილ ფუძეთა არქეტიპი. აქვე გვახსენდება დარგ. (წუდახ.) **ზარა**-ზე „სრული; ჯანმრთელი“, რომელიც ანლაუტის გამარტივებით არის, ალბათ, მიღებული – ***ზარა**-ზე → **ზარა**-ზე.

ს.-ქართვ. ***ბეკ**- „ტკეპნა, ბეკნა“

ქართ. **ბეკ**-, **ბეკ**-ნ-ა, და-**ბეკ**-ნ-ილ-ი

ზან. (მეგრ.) **ბაკ**-, **ბაკ**-უნ-ს „ტკეპნის“, **ბაკ**-ირ-ი „ტკეპნილი“, **ბაკ**-ილ-იმ-ი „ტკეპნილი გზა“

მეგრულ-ქართულ ზმნათა ერთიანი წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს [ვენრიხი, სარჯველაძე 2000 : 102]. და მაინც, ქართულში **ნ** „ზედმეტია“. კითხვა ისმის, ხომ არ ინახავს ლაზური **ბანიკ**- „ტკეპნა“ ზმნა ქართულისათვის უფრო სრულ შესატყვის ზანურ ფორმას. რა თქმა უნდა, იმის დაშვებით, რომ ლაზური **ბანიკ**- ← ***ბაკინ**-.

ს.-სინდ. *პკვ- „ტკეპნა“

ყაბ. პკგ-ნ „დატკეპნა“

ვარაუდობენ ყაბარდოული ზმნის საერთოჩერქეზულ წარმომავლობას. იქვე მიუთითებენ იმის შესახებაც, რომ, ალბათ, ფუძე ისტორიულად გახმოვანებული იყო [კვახაძე 2014 : 289]. ჩვენ კი მივიჩნევთ, რომ გახმოვანების კვალი ჩანს სწორედ მეტათეზირებულ გ-ში, ანუ წ.-სინდ. *პკვ- → ს.-სინდ. *პკვ- → ყაბ. პკგ-. ამიტომაც ს.-ქართვ. *ბეკ- : ს.-სინდ. *პკვ- პალეოკავკასიური ეტიმოლოგიის პროტოტიპებად მიიჩნევა; მიუხედავად ფუძეთა ბგერწერითი ხასიათისა, ბგერათმესატყვისობათა ჩვენება დაცულია.

ს.-ქართვ. *ბერ- „ბერვა“

ქართ. ბერ-, ბერ-ვ-ა, გა-ბერ-ილ-ი

ზან. (მეგრ.) ნზარ-უ-ა // მზარ-უ-ა // ბარ-უ-ა (სენაკ.) „ბერვა“, ლაზ. ო-ბარ-უ „ბერვა“, დი-ბარ-უ „გაიბერა“

სვან. ლი-ბელ-ე // ლი-ბელ-ე „ბერვა“, ი-ბელ-ი „იბერება“

სონორული სუბსტიტუცია რ → // ლ სვანურში მიეწერება ბილაბიალურ ხმულთა პოვნირებას ამა თუ იმ ძირ-ფუძეში [მაჭავარიანი 1965 : 14].

ს.-სინდ. *ბზ- „გაბერილი“

ყაბ. ბგ-რგბ, ბასლ. ბგ-რგბ „გაბერილი“

როგორც სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, ზოგან -რგბ დერივატი სუფიქსად გამოიყოფა სინდურ (resp. ჩერქეზულ) ენებში [კვახაძე 2014 : 194]. ცხადია, აქ ბგ-იანი ზმნური ფორმებიც უნდა გვქონოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ისინი გაუჩინარდა.

ს.-ქართვ. *ბერ- : ს.-სინდ. *ბზ- კანონზომიერი სტრუქტურულ-სემანტიკური შესატყვისობა ჩანს. აქვე კიდევ ერთხელ დასტურდება რ → Ø ფონეტიკური პროცესის ფუძეენურობა.

ს.-ქართვ. *ბერ- „ბუნაგი“

ქართ. (აჭარ.) ბერ-ილ-ი „დათვის ბუნაგი“, გურ. ბერ-ეთ-ი „ხვრელი, ბუნაგი“

გამონაწევრებული -ილ, -ეთ სადერივაციო აფიქსებია ქართულში, ხოლო ბერ- – ბუნაგის აღმნიშვნელი ძირი. ბერ- საერთოქართველური წარმომავლობისა ჩანს, გამომდინარე გარეენობრივი მონაცემებიდან.

ს.-სინდ. *ბზ- „სორო“

ადილ. ბგ „სორო“

სიტყვა დასტურდება მხოლოდ ადიღურში. ქართულ ბერ- ძირთან ერთად იგი საერთო წარმომავლობას ამჟღავნებს. ქართულ-ადიღური იზოგლოსები საკმაოდ ახლოს დგანან როგორც ფორმობრივად, ისე მნიშვნელობის მხრივაც – სორო ~ ბუნაგი ერთ სემანტიკურ ველს წარმოადგენენ. აქვე იკვეთება ბოლოკიდური რ-ს გაუჩინარების კიდევ ერთი შემთხვევა, რასაც ამოწმებს ქართულ ბერ- ფორმასთან შედარება.

ს.-ქართვ. *ბერ- „დიდი; მრავალი“

ქართ. ბერ-, ბერ-ი „დიდი“, შდრ. ბერ-ა თითი „ცერა დიდი თითი“, ბერ-ა-ძარღვ-ა „მრავალძარღვა“

ფუძე განმარტოებით დგას ქართულში და ცხადად უდასტურდება როგორც დიდის, ისე ბევრის/მრავლის მნიშვნელობები.

ს.-სინდ. *ბზ- „ბევრი; დიდი“

ადილ. ბზ-, ყაბ. ბზ „ბევრი, სიმრავლე“

აფხაზ. -ბგ „დიდი“, სიტყვებში ა-ნაცუხგ-ბგ „დიდი, ცერა თითი“, ა-შაცუხგ-ბგ „ფეხის დიდი

თითი“

ვთვლით, რომ აფხაზურ-ადიღურ ენათა მასალა წარმატებით არის ერთმანეთს შეპირისპირებული [შაგიროვი 1977, I : 70-71].

ს.-ქართვ. *ბერ- : ს.-სინდ. *ბზ- კიდევ ერთხელ აჩვენებს რ-ს დაკარგვის ქრონოლოგიას, რ → Ø ჯერ კიდევ საერთოსინდურ ფუძე-ენაში მოქმედებდა.

ს.-ქართვ. *ბერ- „უხუცესი; მოხუცებული“

ძვ. ქართ. ბერ-ი „მოხუცებული“, ბერ-ობ-ა „უხუცესნი“

დანარჩენ ქართველურ ენა-კილოებში ბერ- სახელის შესაბამისი ძირები ვერ მოვიძიეთ. არა-და, ბერ- დამოწმებულია უძველეს ქართულ ხელნაწერებში: „ვითარ ჳელეწიფების შობად კაცსა ბერსა?“, „მოუწოდა ბერობასა ისრაელისასა“ [აბულაძე 1973 : 31].

მეტად მნიშვნელოვანი ჩანს ბერ- სიტყვის სემანტიკა ქართულ კომპოზიტში ხევის-ბერ-ი, სა-დაც იგი უფროსის შინაარს უფრო იგუებს.

წ.-სინდ. *ბზრ- „ხუცესი, უხუცესი“

ხათ. parai / warai „ხუცესი, უხუცესი“

p/w სუბსტიტუცია ხათურში არქაულ ხ-ზე უნდა მიუთითებდეს. ხათურ-ქართულ იზოგლო-სებს აერთიანებთ სტრუქტურულ-სემანტიკური იგივეობა.

სიტყვათა ამავე რიგში ერთიანდება და, ასევე, პალეოკავკასიური ეტიმოლოგიისა ჩანს კრიწ. ბუ „დიდი“ ფორმაც, შდრ. ასევე აღულ. შაბან-ირ „დიდი“.

საკითხი ისმის ქართ. ბერ-ა „დიდი“ და მის შესატყვის სინდურ ძირებთან ურთიერთობის თაობაზე [იხ. აქვე].

ს.-ქართვ. *ბერ-ა „ბაკი; მიდამო“

ქართ. ბერა „ბაკი; შემოღობილი ადგილი ცხვრის ფარის მოსაწველად“

ზან. (მეგრ.) ბარა „მიდამო“, ბარ-ამ-ი „ვრცელშემოგარენიანი საცხოვრისი“

ყველა თვალსაზრისით, ქართ. ბერა / ზან. ბარა კანონზომიერ მიმართებად უნდა ჩაითვალოს. სიტყვის ბოლოში ფიქსირებული ა : ა შეფარდება ასევე ბუნებრივად უნდა მოვიაზროთ, ვინაიდან სიტყვათა უმრავლესობაში მეორდება, ამავდროულად ისინი ფუძექართველურ წარმომავლობას გულისხმობენ: ქართ. ბაგა : ზან. ბოგა, ქართ. დედა : ზან. დიდა, ქართ. ძმა : ზან. ჯუმა/ჯიმა, ქართ. ზღვა : ზან. მზოლა / ზორლა...

ს.-სინდ. *ბორ-ა „ბოსელი“

აბაზ. ბორა, აფხაზ. ა-ბორა „ბოსელი“

ჩვენი დაკვირვებით, აფხაზ. ა-ბორა უნდა განვასხვავოთ აფხაზური ა-ბოტ-რა სიტყვისაგან, ვინაიდან მეორეში -რა სუფიქსად გამოიყოფა და გამონაწევრებული -ბოტ- ყაბარდოულ ბოტ „ბოსელი“ ლექსემის შესატყვისია.

ს.-ქართვ. *ბერ-ა : ს.-სინდ. *ბორ-ა არქეტიპების კანონზომიერი შესატყვისი ჩანს ჩეჩნ. ბარტოლ, ინგუშ. ბოარალ „ღობე, ქვის ზღუდე“.

ს.-ქართვ. *ბერყ- „ტყებუჩქიანი ადგილი“

ზან. (მეგრ.) ფარყ-ი „ტყებუჩქიანი ადგილი; ბუჩქნარი“

სახელური ძირი განმარტოებით დგას მეგრულში, თუმცა მეტად საინტერესო შესატყვისები ვლინდება სინდურ ენებში.

ს.-სინდ. *ბღ- „ფურცელი; ყვავილობა“

აბაზ. ბღ, აფხაზ. ა-ბღ „ფოთოლი, ფურცელი“

ს.-სინდ. *ზღ- „ფურცელი; ყვავილობა“ : ს.-ქართვ. *ზერყ- „ტყე-ბუჩქიანი ადგილი“ კანონზომიერ სტრუქტურულ-სემანტიკურ ოპოზიციას წარმოგვიდგენს. სემანტიკურ ნაწილში მარჯვე ნიმუშს წარმოადგენს ბუჩქ- სიტყვის შინაარსი, რომელიც უთუოდ შეიცავს იმავე ძირს, რასაც ქართული გა-ფურჩქენ-ა ზმნა ეყრდნობა.

სინდურ ფორმებს შეაპირისპირებენ ლეზგ. ფენყუ, თაბ., ადიღ. ფარყუ, წახ. ფანყალე, ბუდუხ. ფეყ „ოროვანი“ ძირ-ფუძეებთან, რომელიც მატერიალურად უფრო მეტადაა თანხვედნილი მეგრულთან [უფრო მეტი იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 236].

ს.-ქართვ. *ბეს-ა „სარდაფი; ზღუდერი“

ქართ. (იმერ., ოკრიბ.) ბესა „კარტოფილის შესანახი მშრალი ადგილი“

ზან. (მეგრ.) ბარს-ელ-ი „ზღუდერი“

მეგრულ სიტყვაში რ ფონეტიკური ჩანართი უნდა იყოს, რაც მსგავს პოზიციებში ნასესხებ მასალაშიც გამოჩნდება, შდრ. ქართ. ქოსა → მეგრ. ქორსა „id“.

სვანური შესატყვისი ვერ გამოვავლინეთ.

ს.-სინდ. *ფშ-გ „ოთახი“

ადიღ. (ბჟედ.) ფაშ-გ, ყაბ. ფაშ „ოთახი“

უადგილოდ გვეჩვენება ადიღურ ძირ-ფუძეთა შედარება დაღესტნურ ფაჯ (თაბას.), ფაჩ (არჩიბ.) „ქოხი“ ..., მით უფრო, რუსულ печь სიტყვებთან [იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 867].

ს.-ქართვ. *ბეს-ა : ს.-სინდ. *ფაშ-გ კანონზომიერ მიმართებას აჩვენებენ. დასაძებნია მათი დაღესტნური და ნახური შესატყვისები.

ს.-ქართვ. *ბექ-ა „ცოლი“

ქართ. ბექა „ერისთავის ცოლი“ (საბა)

ფუძე განმარტოებით დგას ქართულში, მაგრამ, სავარაუდოდ, გააჩნია ფუძეენური წარმომავლობა, ვინაიდან სანდო შესატყვისები ფიქსირდება აფხაზურ-ადიღურ ენებში.

ს.-სინდ. *ბჰჰ-ა „ცოლი“

უბიხ. ფნ-ა- „ქალი, ცოლი“, სიტყვებში ფნ-ა-შუ „ცოლი“, ფნ-ა-მა „ქალი, ცოლი“

აბაზ. ფჰჰ-ს „ცოლი“, აფხაზ. ა-ფჰჰ-ს, ბზიფ. ა-ფჰჰ-ს „ცოლი“

გვაკლია ადიღური ფორმები. უბიხურში ძირად ფნ-ა- გამოიყოფა, ხოლო -შუ აფხაზურ-აბაზური -ს/-ს- სეგმენტის შესატყვისი ჩანს, შდრ. თაბას. შიუ „ქალი“.

ყურადღებას მიიქცევს ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. ქ : ს.-სინდ. ჰ, რომელიც რეგულარულ ხასიათს ატარებს. ცხადია, მსგავს შემთხვევებში ჰ → ქ ფონეტიკური გარდაქმნა საერთოქართველურ ფუძე-ენაში არის საგულვებელი.

ს.-ქართვ. *ბელ- „ყოფნა, საკმარისობა“

ზან. (ლაზ.) ო-ბალ-ინ-უ „კმარება, მყოფინება“, დო-ბალ-ინ-ე „საკმარისი“, მეგრ. ო-ბალ-უ-ნ „ეყოფა, საკმარისია“, ი-ბალ-ინ-უ „იკმარა“

ზმნური ბალ- ძირი განმარტოებით დგას კოლხურ დიალექტებში, მაგრამ, როგორც ეტყობა, ფუძეენური წარმომავლობისაა. ამავეზე მეტყველებენ სინდური პარალელები.

ს.-სინდ. *ბალ- „საკმარისობა“

ადიღ. ბალ-ჰ „საკმარისობა“

ძირი არ უნდა აირიოს ბალჰა- „გამრავლება“ ზმნასთან, ვინაიდან მათ განსხვავებული ეტიმოლოგია ახასიათებთ. სპეციალურ ლიტერატურაში დაისვა საკითხი ზანური ფორმის ადიღურიდან სესხების თაობაზე, მაგრამ საბოლოოდ გ. როგავა საერთო კუთვნილების ადიღურ-ქართველურ ძირზე საუბარს არჩევს [როგავა 1943 : 593].

თეორიულად, რა თქმა უნდა, ვერ გამოვრიცხავთ ქართულ **ბელელ**-სახელთან შეპირისპირების შესაძლებლობასაც.

ს.-ქართვ. ***ბელ-ო** „სამნე სახლი; ბელელი“

ქართ. **ბელო** „სამნე სახლი“ (საბა)

ზან. (მეგრ.) **ბალუ** „ბელელი“, ლაზ. **ბალუ** „ბელელი“, **ბალ**-უნა „პატარა ბელელი“

სვან. **ბელ/ბწლ** „პურეულის შესანახი დიდი კიდობანი“

ვფიქრობთ, ქართული **ბელელ-ი** სხვა წარმომავლობის ძირია და ზანურ **ბალილ-ი** (ო-**ბალილ-ე**) ალომორფს შეესატყვისება. სწორედ ქართული **ბელო**-ს სტრუქტურა ეთანადება სვანურ-ზანურ **ბალუ/ბწლ** ალომორფებს, ვინაიდან **-ო/უ-**ს შესატყვისი სვანურში ისტორიულად პოვნიერ და შემდგომ დაკარგულ **ჟ-**ს მიეწერება **ე** → **ჰ** უკუუმლაუტის პროცესი – ***ბელჟ** → **ბწლჟ** → **ბწლ** – სვანურ ენაში [მდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 107].

ს.-სინდ. ***ბწჟ-ა** „ციხე-სიმაგრე“

აფხაზ. **ა-ბწ** „ციხე-სიმაგრე“

საერთოსინდური არქექტიპის რეკონსტრუქციას აძნელებს ჩერქეზული და აბაზური შესატყვისების არარსებობა; ყაბ. **ბაჯ**, აბაზ. **ბაყ** „ფარდული“ სხვა ძირებია, აქ ვერ შემოვა [მდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 311], თუმცა აფხაზური (საერთოსინდური) სიტყვის თავდაპირველ სახეზე ზუსტ წარმოდგენას (ქართველურთან ერთად) გვიქმნის ნახური **ბჟოლჟ** „საბრძოლო კოშკი“ და დაღესტნური (ბოთლიხ. **ბელუჟ** „ფარდული“, ხვარშ., ინხოყვ. **ბელ** „საჯინიბო...“) სახელების შედარებითი ანალიზი.

ს.-ქართვ. ***ბელურ-** „ბელურა“

ქართ. **ბელურ-ა**

ზან. (მეგრ.) **ბალგრ-ე** // **ბალირ-ე** „ბელურა“

არსებობს თვალსაზრისი ქართულ-ზანური ალომორფების გენეტიკური კავშირის შესახებ **ბელ-ელ**-სახელთან [კლიმოვი 1964 : 51], რაც მეტ საბუთიანობას საჭიროებს. მეგრული ფორმა, თავის მხრივ, გახდა წყარო აფხაზური **ა-ბელრეი** // **ა-ბალგრ-** ფორმებისათვის. სესხების მიმართულე-ბაზე ე. ლომთათიძემ მიუთითა [ლომთათიძე 1974 : 94; ბუკია 2016 : 32].

ს.-სინდ. ***ბწლჟე** „ბელურა“

უბიხ. **ბალ-გ-რ** „ბელურა“

ჩვენი ვარაუდით, უბიხური ინახავს ადიღურ შესატყვისს, ანუ ბოლოკიდური **რ** აქ ადიღური აფიქსია და არა ძირის კუთვნილება [მდრ. ლომთათიძე 1974 : 94]. ს.-ქართვ. ***ბელურ-** „ბელურა“ : ს.-სინდ. ***ბწლჟე** „ბელურა“ აჩვენებს კანონზომიერ მიმართებას როგორც ფორმობრივი, ისე სემანტიკური თვალსაზრისთაც.

გენეტიკურად საერთო მასალას სხვა იბ.-კავკ. ენებში ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვ. ***ბეყ-** „ცემა, ბერტყვა“

ქართ. **ბეყ-ვ-ა** „ლონივრად რტყმევა, გალახვა“

ზან. (მეგრ.) **ბაყ-უ-ა** „ცემა, ბერტყვა; ცეხვა“

ლაზური ალომორფი დაკარგული ჩანს, ხოლო შესაბამისი ძირი სვანურში დღემდე არ არის გამოვლენილი [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 108].

ს.-სინდ. ***ბყწ-** „ცემა“

აბაზ. **ბყა-რა**, აფხაზ. **ა-ჰყა-რა** „ცემა“

ჩერქეზულ ენებში სათანადო ძირები არ ჩანს. მიუხედავად ძირთა ონომატოპოეტური ბუნებისა, ბგერათშესატყვისობათა ჩვენება კანონზომიერია. **ბ** → **ჰ** კომბინატორული ფონეტიკური

პროცესი აფხაზურში განხორციელდა, რაზეც თვალნათლივ მიგვითითებს აზაზური ფორმა.

ნახურ-დალესტნურ შესატყვისებს ამ ეტაპზე ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვ. *ბედლ- „გაბრაზება; ყვირილი“

ქართ. ბეზლ-, და-ბეზლ-ებ-ა, მა-ბეზლ-არ-ი

ზან. (ლაზ.) ბეჯლ-, ო-ბეჯლ-ინ-უ / ო-ბეჯლ-უ „გაბრაზება; ყვირილი“, მეგრ. ბერჯლ-ელ-ი „გულმოსული ყვირილი“

ქართველური ძირების ეტიმოლოგიური ურთიერთკავშირი ცნობილია [კლიმოვი 1964 : 51]. გარკვეულ კითხვებს აჩენს ქართ. ბეზლ- როგორც სემანტიკის, ისე სპირანტიზაციის თვალსაზრისით, თუმცა ძ → ზ ქართულში სპორადულად სხვაგანაც პოვნიერია.

ს.-სინდ. *პჰძღ- „ნერვიულობა“

ადიდ. (აბძახ.) პჰზღ-და-ნ „ნერვიულობა“

როგორც მიუთითებენ, -ძ- ინფიქსი ზმნური აფიქსი ჩანს [კვახაძე 2014 : 278]. უფრო მნიშვნელოვანია ძღ → ზღ ჰარმონიულ-დეცესიური კომპლექსის პოვნიერება ფუძეენურ დონეზე, რასაც ქართველურში ძღ შეესაბამება.

გენეტიკურად საერთო მასალა სხვა იბ.-კავკ. ენებში ამ ეტაპზე ვერ გამოვლინდა.

ს.-ქართვ. *ბეწუ- „ბეწვი“

ძვ. ქართ. ბეწუ-ი, ბეწვ-ი

ზან. (მეგრ.) ფაჭვ-, დო-ფაჭვ-აფ-ა „დახამხამება“, ფიჭვ-ი „ბეწვი“

უძველესი ქართული ტექსტებიდან ცნობილ ბეწუ- სახელს კანონზომიერად შეეფარდება ზმნური ფაჭვ- ალომორფი მეგრულში, შდრ. სახელური ფიჭვ-, სადაც ი გახმოვანება დასტურდება ა → ი ბოლოკიდური -ი ნიშნის ზეგავლენით (გ. როგავა).

ს.-სინდ. *ფაწა- „წვერი; ულვაში“

ადიდ. ფაწა, ყაბ. ფაწა „წვერი“

აფხაზ. ა-ფაწა „ულვაში“

სინდურ ენებში შეინიშნება მეგრულისებური ბ → ფ დაყრუების ფონეტიკური პროცესი, რომელიც ფუძესინდურიდან მომდინარეობს. ქართველურში პოვნიერი წუ ლაბიალიზებული კომპლექსი აქ არსად ჩანს, თუმცა ლაბიალიზაცია უძველესად მიიჩნევა, ვინაიდან ნახურ ენებში მას მოსალოდნელი რწ (შდრ. ნესვ-ი : ნარს „კიტრი“) თანხმოვნური ჯგუფი შეესაბამება, შდრ. ს.-ნახ. *მერწ- „ძუის თმა“.

ს.-ქართვ. *ბეჭე- „ტკიპა; ობობა“

ქართ. (ზ.-იმერ.) ბეჭე-ჭო // ბაჭა-ჭუა „ობობა“

ზან. ბაჭკა „ტკიპა“

ქართული ენის დასავლურ დიალექტებში შემორჩენილი ბაჭკა ფორმა ზანიზმად გვესახება. გამომდინარე ქართველურ ენა-კილოებს შორის ფიქსირებული ქართ. ე : ზან. ა (ს.-ქართვ. *ე), ქართ. ჭ : ზან. ჭკ (ს.-ქართვ. *ჭ) ბგერათმესატყვისობათა ჩვენებიდან, ფუძეენური მდგომარეობისათვის აღდგება *ბეჭ- არქეტიპი, ხოლო ზემოიძვერულ ალომორფებში სუფიქსად გამოყოფილი -ჭო // -ჭუა მეორდება სხვაგანაც, შდრ. ქართ. ბაბა-ჭუა (საბა). იმერული ფორმები ზანურ ბაჭკა „ტკიპა“ სახელთან ლ. კოჭლამაზაშვილმა დააკავშირა (ზეპირი ცნობა).

ს.-სინდ. *ბჰჭ-ჰ „ტკიპა“

აბაზ. (აშხარ.) ბაჭ, ტაპ. ბაჯ-ა, აფხაზ. ა-პაჭა, ბზიფ. ა-პაჭ „ტკიპა“

ფონეტიკური მონაცვლეობა ბ/პ, ჭ/ჯ იმაზე მიუთითებს, რომ ერთი ძირის ფარგლებში ასიმილაციის პროცესი ორივე მიმართულებით იყო მოქმედი.

ს.-ქართვ. ***ზექ** - ს.-სინდ. ***ზჰჰ**-წ ნორმალურ შესატყვისობას წარმოაჩენს. მეგრული **ზაჭა** „ტკიპა“ აშხარულიდან ჩანს შეთვისებული.

ს.-ქართვ. ***ზეხ**- „მშრალი“

ზან. (მეგრ.) **ფახ**-, **ფახ**-ულ-ა „მშრალი, ფხვიერი, ფაშარი“

მეგრულის ა-გახმოვანება ავტომატურად სვამს საკითხს ამოსავალი ე-ვოკალიზმის შესახებ საერთოქართველურ ფუძე-ენაში.

ს.-სინდ. ***ზხ**- „მშრალი; ორთქლი“

ადიდ. **ფახ**, ყაბ. **ზახ**-წ „ორთქლი“

აბაზ. **ზახ** „მშრალი; ორთქლი“

სწორია მსჯელობა *მშრალი ~ ორთქლი* სემანტემათა ოპოზიციის შესაძლებლობაზე, რაც აბაზურ ენაში ერთი სიტყვის ფარგლებშიც პოვნაირია [შაგიროვი 1977, I : 69]. ამასთან, ისიც თვალნათლივ გამოჩნდება, რომ **ზ** → **ფ** დაყრუების პროცესი ადიღეურში მოქმედებდა ყაბარდოულის საპირისპირო **ფ** → **ზ** პრერეპტივთა გამჟღერებასთან ერთად.

ს.-ქართვ. ***ზეხ** - ს.-სინდ. **ზხ**- არქეტიპთა ერთიანობა სტრუქტურულ-სემანტიკურ დონეზე ეჭვს არ იწვევს. ამავდროულად სიტყვის ეტიმოლოგიური გაგება უფრო *მშრალთან* არის ასოცირებული.

ს.-ქართვ. ***ზეჭტ**- / ***ზიჭტ**- „პობა; ხლეჩა“

სვან. **ზეჭტ**-ენ-ი → // **ზეჭტ**-ნ-ი „პობა, იხლიჩება“, **ზიჭტ**-ე „პობს, შუაზე კვეთს“

ფუძის აბლაუტით [ი/ე] გამორჩეული ზმნური ძირი მხოლოდ სვანურშია პოვნაირი. სავარაუდოდ, ფუძეენური წარმომავლობისაა, ვინაიდან სარწმუნო შესატყვისები ვლინდება სინდურ (და არა მხოლოდ) ენებში.

ს.-სინდ. ***ზეჯ**- „დაჩეხვა მცირე ნაწილებად“

აბაზ. **ფჯ**-რა // **ფჯ**-რა „დაჩეხვა მცირე ნაწილებად“

სვანურ-აბაზური იზოგლოსის შესატყვისები დამახასიათებელი ჩანს დადესტნური ენები-სათვისაც, შდრ.: ანდ. **ზიჭუ**, ბოთლიხ., ლოდ. **ბუჭუ**-..., ახვახ. **ზიჭტ**-არი „დაჭრა, დაჩეხვა (მან ის)“.

ცხადია, **ზ** → **ფ** დაყრუების ფონეტიკური პროცესი, რომელიც კომბინატორული ხასიათისაა, საკუთრივ აბაზური ინოვაცია ჩანს, რაც ისტორიული **ჯ** ხმოვნის რედუქციის მომდევნო საფეხურზე განხორციელდა – ***ზეჯ** → ***ზე** → **ფჯ**-//**ფჯ**-.

ს.-ქართვ. ***ზხალ**- „ზხა“

ქართ. **ზხა** (ზხე?)

ზან. **ზჟოლ**-ი // **ზჟოლ**-ა „თუთა, თუთის ხე“

სემანტიკური კორელაცია *ზხა ~ თუთა* ახსნადია, მით უმეტეს, როცა *ზხისგან* ნაწარმოებ სიტყვაში აბრეშუმის გაგება დაჩნდება: **ზიზ**-ოვან-ი „თივა აბრეშუმის მსგავსი“ (საბა). ქართულ **ზხა**-ში ბოლოკიდური **ლ** მოკვეცილია – **ზხა** ← **ზხალ**-, შდრ. ქართ. ქტა, მაგრამ ჩა-ქოლ-ვ-ა, ზან. ქტალ-ეფ-ე „ქვები“...

ს.-სინდ. ***მაზა** „ფიჭვი; ტყე“

ადიდ. **მაზე**, ყაბ. **მაზ** „ტყე“

აბაზ. **მაზ**-ჭჷ, აფხაზ. ა-**მაზ** „ფიჭვი“

უბიხური **მაძ**-გ „ეკალი“ შეიძლება, სხვა სიტყვა იყოს. ამას გვაფიქრებინებს დიდი სემანტიკური სხვაობა და სისინ-შიშინა მჟღერი აფრიკატის პოვნაირება ფუძეში.

ს.-ქართვ. ***ზხალ** - ს.-სინდ. ***მაზა** არქეტიპების ზუსტი შესატყვისი იკითხება ს.-ნახ. ***ზაზა** „ნაძვი“ სიტყვაშიც.

ს.-ქართვ. ***ზზარ-** / ***ზზრ-** „ზზრიალა, ტრიალა“

ქართ. **ზზრ-**იალ-ი „სწრაფად ბრუნვა, ტრიალი“, **ზზრ-**იალ-ა

სხვა ქართველურ ენებში შესატყვისი მასალა ჯერჯერობით არ ჩანს. სავარაუდოდ, ქართული ალომორფი შეიცავს ისტორიულად რედუცირებულ ძირს – ***ზზარ** → ***ზზრ-**.

ს.-სინდ. ***ზზაჟ-** „ტრიალი“

ადიდ. **ზზა-ზზაჟ** (← ***ზზაჟ-ზზაჟ**) „ტრიალი“

სამეცნიერო ლიტერატურაში დასმულია საკითხი ქართულ-ადიდურ ფორმების ურთიერთმიმართების შესახებ [ბუკია 2016 : 78]. ვფიქრობთ, რომ საერთო წარმომავლობის ძირებთან გვაქვს შეხება, როცა ბგერათშესატყვისობა თავჩენილია ჰარმონიულ კომპლექსთა დონეზე. გვიძნელდება საუბარი ძირთა აუსლაუტზე, ალბათ, ს.-ქართვ. **რ** : ს.-სინ. **ჟ** არაიშვიათ შესატყვისობათა რიგში უნდა განვიხილოთ. პრობლემა დამატებით შესწავლას საჭიროებს.

ს.-ქართვ. ***ზზარ-** „ყინვა, ყინული“

ქართ. **ზზარ-ი** „ეწოდება, თუმცა შემბალი თოვლი შეყინა (საბა)“

ზან. (მეგრ.) **ზზერ-** // **ზზირ-**აფ-ა „დაზრობა“, **ზზერ-** // **ზზირ-**აფ-ილ-ი „დამზრალი“

სვან. {**ზზენ-**}

სვანური შესატყვისი არ ჩანს [შდრ. ჩუხუა 2000-2003 : 153]; ყურადღებას იქცევს გურულსა და ლეჩხუმურში დადასტურებული **ზზინ-**, გა-**ზზინ-**ებ-ა „გაყინვა სიცივისაგან (კაცისა)“, რომელშიც, ადვილი შესაძლებელია, სვანური შესატყვისი იყოს ნასესხობის სახით შემონახული, ვინაიდან რ → ნ ნაზალიზაციის პროცესი სვანურში მოქმედი ფონეტიკური პროცესია, შდრ. ძვ. ქართ. **ჯარ-** : სვან. **ჯან** „ხარი“...

ს.-სინდ. ***ზზჳ** „ზამთარი“

ადიდ. **ზზე-ჰა**, ყაბ. **ზზი-ჰა** „ზამთარი“

უზბიხ. **ზზჳ** „ზამთარი“

სწორი უნდა იყოს მსჯელობა მისი შესახებ, რომ აფხაზ. **ჰ-ძენ** „ზამთარი“, აზაზ. **ძნე** „შემოდგომა“ არ უკავშირდება ჩერქეზულ ძირებს [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 327]. ს.-სინდ. ***ზზჳ** „ზამთარი“ ნათლად აჩვენებს, რომ ბოლოკიდური **რ** დაკარგულია, ისევე, როგორც ს.-ნახ. ***ფჳა** „ყინული“ სიტყვაში, რომელიც ქართულ-ჩერქეზულ არქეტიპებს უკავშირდება გენეტიკურად. რაც შეეხება ს.-ქართვ. ***ზზარ-** : ს.-სინდ. ***ზზჳ-** ოპოზიციას, სტრუქტურულ-მატერიალური სიახლოვე მყარდება სემანტიკური შესატყვისობით *ყინვა ~ ზამთარი*, რაც ერთი სიტყვის ფარგლებშიც არის შესაძლებელი, შდრ. ლაზ. ცინვა „ყინვა, ზამთარი“.

ს.-ქართვ. ***ზზე** „ზზე“

ქართ. **ზზე** „პურეულის ნამჯის ნალეწი“

სიტყვა განმარტობით დგას ქართულში. მაგრამ არ არის ნასესხები სხვა ენებიდან. ძირი ცნობილია უძველესი ქართული წერილობითი ძეგლებიდან [გიგინეიშვილი 2016 : 51].

ს.-სინდ. ***ზზჳ** „სიმინდის / ჩალის ღერო“

ყაბ. **ზზი-ჲ** „სიმინდის ჩალის ღერო“

ქართულ-ყაბარდოული იზოგლოსა აჩვენებს ორივე ფორმის ფუძემდებურ წარმომავლობას. საყურადღებო ჩანს ჰარმონიულ-დეცესიური კომპლექსის პოზიტივობა საერთო მასალაში, რაც საკმაოდ ხშირად დაჩნდება სინდურ-ქართველურ ლექსიკურ შესატყვისებში.

ქართული **ზზე** სიტყვის განსხვავებული შესატყვისებისათვის ადილურ ენა-კილოებში იხ. ბოლუდა 1950 : 292; როგავა, კერაშევა 1966 : 56.

ს.-ქართვ. ***ზზეკ**- „აბზეკა; წვერი“

ქართ. **ზზეკ**-, ა-**ზზეკ**-ა, ა-**ზზეკ**-ილ-ი

ზან. (მეგრ.) **ზჟაკ**-ე „წვერი“

მეგრული **ზჟაკ**- ძირი კანონზომიერად შეეფარდება ქართ. **ზზეკ**- ზმნურ ძირს – **ზზ** : **ზჟ**, ე : ა. ეტიმოლოგიურად *წვერის* გაგება *წამოწვერილისაგან* განვითარდა (შდრ. ქართ. კუდის, ულვაშის... აბზეკა), ანუ *წვერი* ← ეტიმ. *აბზეკილი*.

ს.-სინდ. ***ჟჟკ**-ა „წვერი“

ადილ. **ჟჟჟ**, ყაბ. **ზაჟჟ** „წვერი“

უბიხ. **ჟაკჟ** „წვერი“

აბაზ. **ჟაკჟ**, აფხაზ. ა-**ჟაკჟ** „წვერი“

არ გამოირიცხება უბიხური **ჟაკჟ** ფორმის ადიდეურიდან სესხება, ისევე, როგორც ოსური **ზაკჟ** // **ზეკჟ** შეიძლება ნახურიდან იყოს შეთვისებული.

ქართველურში **ზ** შენარჩუნდა, სინდურში კი იგი დაკარგული ჩანს. ამას დადესტნური ინ-ფორმაცია აზუსტებს, შდრ. ხუნდ. მეგჟჟ, ჰინუხ. ბოშოლკა „წვერი, ულვაში“...

ს.-ქართვ. ***ზზელ**- „რძე“

ზან. (ლაზ.) **ზჟა** // **მჟა**, მეგრ. **ზჟა** „რძე“, გე-**ზჟალ**-ია „რძეში პიტნით გადაზელებილი ჭყინტი ყვე-ლი, კერძი“

ლაზურში ასევე დასტურდება აფრიკატული ალომორფები: **მჯა**, **ბჯა** „რძე“, რომლებიც სხვა მონაცემებთან ერთად იმას ამტკიცებენ, რომ მეგრულ-ლაზური ვარიანტები უფრო კონტამინირე-ბული ალომორფებია და ერთდროულად ორ სხვადასხვა ძირს წარმოადგენენ. ერთი მხრივ, ეს არის ქართ. **რძე**, სვან. **ლგჯე** ფუძეთა შესატყვისი და, მეორე მხრივ, საკუთრივ ზანური **ზჟა** ძირი, რომე-ლიც ასევე *რძის პროდუქტის* აღმნიშვნელია, მაგრამ სხვაგვარი ეტიმოლოგიის სიტყვა უნდა ყოფი-ლიყო ზანურში.

ს.-სინდ. ***ზზგ** „რძე“

უბიხ. **ბეზგ** „რძე“

ზ → გ უბიხურში პროგრესული ასიმილაციით აიხსნება. ამავდროულად განმარტოებით მდგომი ეს უბიხური სიტყვა მყარი საფუძველია საერთოსინდური არქექტიპის აღსადგენად. და ამის არგუმენტაცია არამხოლოდ ქართველური იზოგლოსებით არის შესაძლებელი. აქვე გაგვახსენდება ნახურ ენათა **მაშა** „რძის პროდუქტი“, რომელსაც კანონზომიერი შესატყვისი უდას-ტურდება დადესტნურ ენებში, შდრ. ლაკ. **მას** // **მაზ** „ადუღებული, ფერმენტირებული რძე“.

სინდ.-ქართვ. **ზ** : ნახ.-დალ. **მ** შესატყვისობას, იქნებ, ეხმიანებოდეს ხევს. ნა-**მზველ**-ი „რძე“.

ს.-ქართვ. ***ზზენ**- „ბრწყინვა“

ქართ. (ფშ.) **ზზენ**-ა „ბრწყინვა, ციმციმი“

ზმნური ფუძე მხოლოდ ქართულშია პოვნიერი, თუმცა საერთოქართველური წარმომავლო-ბისად მიიჩნევა. ამას **ზზენ**- ძირის სინდური პარალელები გვაფიქრებინებს.

ს.-სინდ. ***ზზჟ**- „წვა“

ადილ. და-**ბჟჟ**-ან, ყაბ. და-**ბზჟ**-ან „წვა“

უბიხურსა და აფხაზურ-აბაზურში სხვა ეტიმოლოგიის ძირებია წარმოდგენილი. აფხაზურ-აბაზური **ჯჟ**- „შეწვა“ ცალმორფმიანი ძირის აქ შემოტანა უსაფუძვლო ჩანს. მას ქართველურში სხვა ძირი შეეფარდება (იხ. აქვე).

საყურადღებოდ გვეჩვენება შესატყვისობა ბგერათკომპლექსთა დონეზე ს.-ქართვ. **ზზ** : ს.-სინდ. **ზზ**, რაც რეგულარულ ხასიათს ატარებს.

ს.-ქართვ. ***ზუტირ**- „შხეფი; წვეთი“

ქართ. (ქართლ.) **ზუვირ**-ი „შხეფი“

ზან. (მეგრ.) **ჟურ**-ი / **ჟურ**-უ „ნადნობი; წვეთი“

როგორც მოსალოდნელი იყო, მეგრულში სიტყვის ანლაუტი გამარტივდა – **ბჟ** → **ჟ**, შდრ. ქართ. **ზზარ**- : მეგრ. **ზიორ**... მოულოდნელი არც **ვი** → **უ** გარდაქმნაა ზანურში, თუმცა პირიქით პროცესიც დასაშვებია ქართულისათვის, შდრ. ზან. შქვიდ- : ძვ. ქართ. შუდ- „ხრჩობა“.

ს.-სინდ. ***ზუტე**- „დნობა“

უბიხ. **ბჟე**- „დნობა“, სგ-**ბჟე**-ნ „id“

როგორც წესი, ისტორიული თანხმობის ლაბიალიზაციის მოშლით უბიხურში წინამავალი კონსონანტის პალატალიზაცია ხდება – ადილ. **გტე** : უბიხ. **გე** „გული“. ასე მოხდა აქაც – ს.-სინდ. ***ზუტე**- → უბიხ. **ბჟე**-.

სხვა სინდურ ენებში შესაბამის ძირებს ვერ ვხედავთ; არ იძებნება ისინი არც მონათესავე იბ.-კავკ. ენებში. საკითხი დამატებით კვლევას მოითხოვს.

ს.-ქართვ. ***ზზი**-არ- „გაბზარვა“

ქართ. **ზზარ**-ვ-ა, **ზზარ**-ი

ზან. (მეგრ.) **ზიორ**-უ-ა „გაბზარვა“, **ზიორ**-ი „ზზარი“

სხვა ქართველურ ენობრივ ქვესისტემებში შესატყვისები არ ჩანს. ხოლო ქართულ-მეგრული მონაცემები ერთმანეთს ავსებენ, კერძოდ, მეგრულში თავკიდური **ზზ** კომპლექსი გამარტივდა – **ზზ** → **ზ**, მაშინ, როდესაც ქართულში ია თანმიმდევრობა, მეგრული იო-ს შესატყვისი, ასევე გამარტივდა – ***ზზიარ**- → **ზზარ**- [ფენრიხი 2007 : 66]. ქართველურში -არ ცალკე აფიქსად უნდა გამოიყოს, ვინაიდან ხმოვანი + ხმოვანი თანმიმდევრობა აქ აკრძალულია (თ. უთურგაიძე).

ს.-სინდ. ***ზზე**- „ჭრა, კვეთა“

ადილ. **ზზე**-ნ, ყაბ. **ზზე**-ნ „ჭრა, კვეთა“

უბიხ. **ზზე**- „ჭრა, გამოჭრა, კვეთა“

ჩერქეზულ ზმნას აკავშირებენ აფხაზურ-აბაზურ -სა-რა „ჭრა“ ზმნასთან [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 619], რაც არ ასახავს სინამდვილეს [იხ. აბდოკოვი 1983 : 166].

ს.-ქართვ. ***ზზი**-არ- : ს.-სინდ. ***ზზე**- კანონზომიერად შესატყვისება ერთმანეთს. საყურადღებო ჩანს ფონემური მიმართება კომპლექსთა დონეზე – ს.-ქართვ. **ზზ** : ს.-სინდ. **ზზ**.

ს.-ქართვ. ***ზზიკ**- „ზზიკი“

ქართ. **ზზიკ**-ი

სახელური **ზზიკ**- ძირი ეულად დგას ქართულში, სიტყვა უძველესი პერიოდიდან დღემდის აქტიურია: „არა შჰამოთ... ბ ზ ი კ ი და მსგავსი მისი“; „წარვავლინოთ ბ ზ ი კ ი უწინარეს შენსა“ [აბულაძე 1973 : 31]. სავარაუდოდ, სანდო შესატყვისები იძებნება სინდურ ენებში.

ს.-სინდ. ***ზუნგუტე**- „ჭიანჭველა“

ადილ. (შაფს.) ჯამ-**ზაგუტე**, ჭემგ. ჯამ-**ზაგუტე** „ჭიანჭველა“

უბიხ. **ზუნგუტა** „ჭიანჭველა“

ჯერაც გაურკვეველია ძირის ლაბიალიზაცია ჩერქეზულ ენებში ასახავს თუ არა ქართველური **ზ**-ს კანონზომიერ შესატყვისობას. სინდურ-ქართველურ არქეტიპთა იზოგლოსი ჩანს ჩერქურ **ზინგ**-ათ // **ზმონგ**-ათ, ინგუშ. **ზუნგ**-ათ „ჭიანჭველა“, სადაც ბოლოკიდური -ათ ისევე გაურკვეველია, როგორც ჯამ-სეგმენტის რაობა ადილეურში, შდრ. უდ. **იზაქ** „ჭიანჭველა“.

ს.-ქართვ. ***ზინ**- „შუაში გაყოფა“

ზან. (ლაზ.) **ბჟინ**-, ო-**ბჟინ**-უ „ფუტკრის გაყოფა“

როგორც ეტყობა, საერთოქართველურ ფუძე-ენაში არსებობდა ***ზინ**- „შუაში გაყოფა“ ფორმა, რომლის საფუძველიც სახელური **ზინ**- „შუა“ უნდა ყოფილიყო.

სხვა ქართველურ ენა-კილოებში შესაბამისი ფუძეები დაიკარგა.

ს.-სინდ. ***ზღ**’-გ- „შუა, შიდა“

ადილ. **ზღ**’-ა-ღ-ღ, ყაბ. **ზღ**’-ა-ღ-ღ „ახლოს“

უბიხ. **ზღ**’-ა „შუა, შორის, შიდა“

აბაზ. **ბჟ**’-ა-რა, აფხაზ. ა-**ბჟ**’-ა-რა „შორის, შუა, შიდა“

სინდურ ენათა მასალის ერთიანი წარმომავლობა ცნობილია სპეციალური ლიტერატურიდან [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 412], მაგრამ ქართველური მონაცემების მოხმობა პირველად ხდება. ამავდროულად მეტად მნიშვნელოვნად (პერსპექტიულად) გვესახება ერთგვაროვანი რეფლექსაციის დაჩენა როგორც აფხაზურ-აბაზურ, ისე ქართველურ ენებში ჩერქეზული **ღ**’ მჟღერი სპირანტ-ლატერალის შესატყვისად, რასაც კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის შესატყვისობა ბგერათკომპლექსთა დონეზე – **ზღ**’ : **ბჟ** : **ბზ**.

ს.-ქართვ. ***ზინ**- „ზინვა, ელვარება“

ქართ. **ზინ**-გ-ა „მცირედ ელვარება“, „მცირე ბრჭყვიალი“ (საბა)

ზან. (მეგრ.) **ბჟინ**-აფ-ა „გამომზვევება, გამომზეურება“

შეიძლება გვეფიქრა ქართ. მზე / ზან. ბჟა „მზე“ ფუძეებთან გენეტიკურ კავშირზე, რაც, პრინციპში, შეიძლება არც გამოირიცხოს, მაგრამ ამ ეტაპზე, ვფიქრობთ, ქართ. **ზინ**- : ზან. **ბჟინ**- ცალკე ერთეულად წარმოვადგინოთ.

ს.-სინდ. ***ზგ**- „ნათება, ელვარება“

ადილ. ჯა-**ფსგ**, ყაბ. თე-**ფსგ**-ნ „ნათება, ელვარება, კაშკაში“

სინდური **ფსგ**- ყრუ ვარიანტი ჩანს წინარესინდური ***ზგენ**- პროტოტიპისა. საზოგადოდ, **ბზგ/ფსგ** მონაცვლეობა სინდურ ენებს შორისაც შეიმჩნევა, შდრ. უბიხ. **ბზგ** „წყალი“ : ადილ., ყაბ. **ფსგ** „წყალი“; უბიხ. **ბზა** : აფხაზ. ა-**ფს** „დედალი“..., რაც ამყარებს ჩვენს თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ **ბზ** → **ფს** ისტორიულ ჩერქეზულ ენებში განხორციელდა.

ს.-ქართვ. ***ზუ**- „ზუილი“

ქართ. **ზუ**-ილ-ი, **ბზუ**- „ზუილი“

სვან. **ბჟელ**-, **ბჟელ**-მა-**ბჟელ** (ბზ.), **ბჟელ**-მა-**ბჟელ** (ბქ., ლნტ.) „ზუილი“

აღწერილი ფუძეები ბგერწერითი შედგენილობისაა, ამიტომაც გასაგებია სირთულეები განმოვანებაში. ლაზური **ბზუ**-ალ-ა „ზუილი“ სხვა ძირი ჩანს, ქართ. **ბზუ**-ი, სვან. **ბზუ**-ულ „ბზუი“ ალომორფების შესატყვისი.

ს.-სინდ. ***ზუ**- „ხოჭო“

აბაზ. **ბჟუ**, სიტყვაში **ბჟუ-ბჟუ** „ხოჭო“

ონომატოპოეტური შედგენილობის ძირი ჩანს, ისევე, როგორც ქართველურ ენებში. მიუხედავად ამისა, ბგერათშესატყვისობათა ჩვენება დაცულია, თანაც კომპლექსთა დონეზე, რაც გამორიცხავს შემთხვევითობას თანხედენაში.

ს.-ქართვ. ***ბზუ**- : ს.-სინდ. ***ბზუ** არქეტიპების შესატყვისი ძირი შეიძლება ჩანდეს ჰუნზიბ. **ბუჟილო** „ბუზანკალი“, слепень, gadfly ფორმებში.

ს.-ქართვ. *ზიბილ- „ზიბილო“

ქართ. **ზიბილ-ო**

ზან. (მეგრ.) **ზირზილ-ი**, ლაზ. **ზიბილ-ი** „ზიბილო“

როგორც სჩვევია ხოლმე ზანურს, აქაც ქართულის -ო-ფუძიან სახელებს ნულოვან დაბოლოებას შეუფარდებს, შდრ. ქართ. ღვინ-ო : ზან. ღ(ვ)ინ-ი და ა.შ. მეგრულ ვარიანტში რ ფონეტიკურ ნიადაგზე განვითარდა. ვერ გავიზიარებთ თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ საძიებო ძირეზი ფუძეგაორკეცებით არის მიღებული. მაშინ ქართულში **ზილზილ-ო** გვექნება, რაც არ ფიქსირდება ძველი ქართულიდან დღემდე [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 110-111].

ს.-სინდ. *ზგზგ- „ღინღლიანი; ბუმბული“

უზიხ. **ღუგღუტ** ← *ზგზგ „ღინღლი, ბუმბული“

აზაზ. **ზაზა**, აფხაზ. ა-**ზაზა** „ღინღლიანი / ბუმბული“

ადილურ ენებში შესაბამისი ფუძეები არ ჩანან. ხოლო უზიხურში ძირეული ბილაბიალები **ბ** → **ღუ** ენისათვის დამახასიათებელ ფონეტიკურ პროცესს დაექვემდებარა.

ს.-სინდ. *ზაზა : ს.-ქართვ. *ზიბილ- ფონეტიკურ-სემანტიკური თვალსაზრისით ნორმალური შესატყვისობაა; შეიძლება ქართველურიდან ასევე მოგვეხმო ქართ. **ზიბინ-ებ-ს** ზმნა, თუმცა უფრო მნიშვნელოვანია დაღესტნური პარალელები: ჰინუხ. **ზაზ** „წვერი“, ბეჟიტ. **ზაზ** „დიდი წვერი“, შდრ. ლეზგ. **ბუბ-უხ**, თაბას. **ფურფუ** „მამლის ბიბილო“...

ს.-ქართვ. *ზილ- „თვალი“

სვან. **ზელ-** „თვალი“, სიტყვაში **ზელ-ა** „ელამი; ბრმა“, შდრ. **ზელ-ა** (ზზ.), **ზელ-ა** (ლზ.), **ზელ-ა** (ბქ., ლნტ.) „ლიბრი, ბისტი“

ვფიქრობთ, სვანური სემანტემები *ელამი / ბრმა / ლიბრი* თვალის, უფრო ზუსტად, თვალის დეფექტის ან არქონის ნიუანსზეა დაფუძნებული. ასევე იწარმოება, მაგალითად, ქართულში **კუდ-ისგან კუდ-ა**, რომელიც ერთდროულად უკუდოსაც ნიშნავს (კუდ-ა ხარი) და კუდიანსაც, ისევე როგორც **თავ-ა**.

აქვე შესაძლებლად მივიჩნევთ სვანურში გამოყოფილ **ზელ-** ძირს დავუკავშიროთ ფშაური **ბილ-ან-ი** „გულუბრყვილო, მიაშიტი“. ეს უკანასკნელიც *უთვალოს* შემდგომ ტრანსფორმაციად მიიჩნევა.

ს.-სინდ. *ზლზ- „თვალი“

უზიხ. **ზლზ** „თვალი“

აზაზ. **ლა**, აფხაზ. **ა-ზლა** // **ა-ლა** „თვალი“

ზოგ ავტორთან [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 250] ძირ-ფუძეთა ამავე რიგში განიხილება ადილური **ნა** „თვალი“ ფორმაც. ამგვარი კვალიფიკაცია მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ დამტკიცდება **ზლა** → **ლა** → **ნა** პროცესის რეალურობა ადილურში. **ლ** → **ლ'** ლატერალიზაციის ტენდენცია უზიხურში მეორეული ხასიათისა ჩანს.

სინდურ-ქართველურ არქეტიპთა საყურადღებო იზოგლოსები პოვნიერია დაღესტნურ ენებში: ხუნძ. **ბერ**, ლეზგ. **ჟილ**, უდ. **ფულ**, ხინალ. **ფილ** „თვალი“.

ს.-ქართვ. *ზინ- „წყარო; მდინარე“

ქართ. **ზინ-ულ-ი** „წყარო; წყარო მიწიდან ამონაქუხი“

ზან. (მეგრ.) **ზინ-ურ-ი** „ზინული; კლდიდან გამომდინარე წყალი“, **ზინ-ურ-წყარ-ი** „ნაჟური“;

ზინ-ურ-ი „მდინ. სოფ. ხუნწში“

სვან. **ზინ-ულ** // **ზინ-ილ** „წყარო“

ყველა ქართველურ ენობრივ ქვესისტემაში **ზინ-** ძირად გამოიყოფა, მაგრამ აქვე მეორდება -**ულ/-ილ** სუფიქსები, რომელთა ფუნქცია ჩვენთვის გაურკვეველია.

ს.-სინდ. *ზენ- „არხი; დელე“

უბიხ. ბენ-ი „არხი, დელე“

საერთოსინდური გ კანონზომიერი შესატყვისი ჩანს ს.-ქართვ. ი ხმოვნისა. ქართველური ულ/-ილ სუფიქსები ფუნქციურად (და არა ფონეტიკურად) შეეფარდება უბიხურის -ი სემენტს. სხვა იბ.-კავკ. ენებში შესაბამისი ძირი ჯერ-ჯერობით არ იძებნება (ვერ მივაკვლიეთ).

ს.-ქართვ. *ბიჟინ- „ხმა (შვლის ნუკრის ძახილი)“

ქართ. ბიჟინ-ა „ნუკრის ხადილი“ (საბა)

სიტყვა დასტურდება მხოლოდ ქართულში, მაგრამ ამავდროულად სარწმუნო პარალელები მოიპოვება სინდურ ენებში. აქვე თავისთავად დგება საკითხი შიშინა ჟ მჟღერი სიბილანტ-სპინანტის გენეზისის თაობაზე. ვფიქრობთ, საერთოქართველური ჟ არქიფონემა მომდინარეობს სისინ-შიშინა ზ წინარე სახეობისაგან, რომელიც ბუნებრივი ჩანს წინარექართველური ფუძე-ენისათვის.

ს.-სინდ. *ზზუ „ხმა“

აბაზ. ბჟუ, აფხაზ. ა-ბჟუ „ხმა“

ქართულ-აფხაზურ-აბაზური იზოგლოსია, რომლის ერთიანი წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს, თუნდაც იმიტომ, რომ სახეზეა როგორც ფონემური, ისე სემანტიკური იგივეობა.

სხვა იბ.-კავკ. ენებში სამიეზო ძირ-ფუძეებს ვერ მივაკვლიეთ.

ქართულ-აფხაზური სიტყვები ერთმანეთს შეუპირისპირა ხ. ბლაჟამ [ბლაჟამ 1948 : 40].

ს.-ქართვ. *ბის-ინ „წინათ“

ზან. (ლაზ.) ბიშ-ინ „გუშინწინ“

სიტყვა პოვნიერია მხოლოდ ლაზურში. ეს უკანასკნელი, ს → შ გადაბგერების გათვალისწინებით, საერთოქართველურ *ბის-ინ არქეტიპს ასახავს, რომელსაც სანდო შესატყვისები უდასტურდება სინდურ ენებში.

ს.-სინდ. *ფას-ა „ადრე“

ადილ. ფას, ყაბ. ფას „ადრე“

აბაზ. ფასა, აფხაზ. ა-ფასა „ადრე“

უბიხური ეკვივალენტი აქაც გვაკლია, თუმცა დანარჩენი ენების მონაცემები სავსებით საკმარისია იმის სამტკიცებლად, რომ საერთოსინდურ ფუძე-ენაში *ფას-ა „ადრე“ არქეტიპი იყო პოვნიერი.

ს.-ქართვ. *ბის-ინ : ს.-სინდ. *ფას-ა პროტოტიპების შედარებითი შესწავლით შეიძლება დავუშვათ, რომ ბ → ფ ანლაუტური დაყრუება ჯერ კიდევ საერთოსინდურში განხორციელდა.

ს.-ქართვ. *ბიწ- „წითელი (ხილზე)“

სვან. ბიჭ-ჰა / ბიჭ-აი (ჩოლურ.) „მთლად წითელი ვაშლის ჯიში“

-ჰა სუფიქსით სვანურში საკმაოდ მოზრდილი ჯგუფი სახელებისა აწარმოებს მქონებლობას : ფისრ-ჰა „წყელი“, ბურღუ-ჰა „მუქი ფერის ხარი“... ბიჭ-ჰა ფორმაშიც ფერის მქონებლობა არის რეალიზებული, რაც გვარწმუნებს იმაში, რომ ბიჭ- ძირი სვანურში წითელ ფერს აღნიშნავდა, შდრ. ბიჭ (ბზ.) „ჭიპი“.

ს.-სინდ. *ბეჭ-გ „მეწამული, წითელი“

უბიხ. ბეჭე „მეწამული, სიცხით გაწითლებული (წითელა)“

აბაზ. ბეჭ, აფხაზ. ა-ბეჭ „წითელა“

სტრუქტურულ-სემანტიკური თვალსაზრისით, ს.-ქართვ. *ბიწ- : ს.-სინდ. *ბეჭ-გ უნაკლო ჩანს. შეიძლება სანდო პარალელს ინახავდეს ასევე რუთულ. ბეჭ-ბირ „ყვავილი (ავადმყ.)“ რთული შედგენილობის სიტყვა, შდრ. რუთულ. ბიჭ „ყვავილი“.

ს.-ქართვ. *ბიჭუ- „დანამცვეცება; სკდომა“

ძვ. ქართ. ბიჭ-, ნა-ბიჭ-ი // ნა-ბიჭ-ევ-ი „ნამცვეცი“

სვან. ბიჭკუ-ე „ხეთქავს“, ბეჭკუ-ენ-ი „სკდება“, ლი-ბიჭკუ-ე // ლი-ბეჭკუ-ე „გასკდომა“

გ. კლიმოვი აღადგენდა *ბიჭ- არქექტიპს, რაც არ უნდა იყოს ზუსტი, სვანური მონაცემი *ბიჭუ- ს უჭერს მხარს [შდრ. კლიმოვი 1964 : 52].

ს.-სინდ. *ფგჳ- „სკდომა“

ადილ. ფგჳ- // ფგჳ-ჳ-ე, ყაბ. ფგჳ-ჳ-ე „სკდომა, ტყდომა, ჳყლეტა“

უბიხ. ჳა-ჳა- „ტყდომა, სკდომა, ჳყლეტა“

ადილურ ენებში ფუძე რთულდება ბოლო თანხმოვნის გაორკეცვის გზით, რასაც ცხადად აჩვენებს ადილური ფგჳ- // ფგჳ-ჳ-ე მონაცვლეობა. უბიხური სწორედ ამ უკანასკნელის გამარტივებით არის მიღებული, ანუ *ფგჳჳა-ჳა- → ჳა-ჳა.

საყურადღებო ჩანს დაღესტნური ინფორმაცია, სადაც კლასისნიშნისანი ზმნები ფუნქციონირებს: ხუნძ. ჳტა- „კვლა“, ბ-იჳ- „კვდომა“, ანდ. ბ-იჳ-/ბ-ეჳ- „კვდომა, ჳკნობა“, შდრ. ლაკ. ბ-აჳი- „გაყოფა, დაყოფა“ [წყარო - სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 281].

ს.-ქართვ. *ბლაგუ- „ბლაგვი“

ქართ. ბლაგვი-ი // ბლაგვ „უმახვილო“ (საბა)

ზან. (მეგრ.) ლუგ-ა „ჩლუნგი“

ბოლოკიდური -ა ზანურში ქართულისათვის -ე გახმოვანებას ვარაუდობს, შდრ. ქართ. კვართ-ი : ზან. კურთ-ა... მეგრულში ბ-ს დაკარგვა შეპირობებულია ფონოტაქტიკური შეზღუდვით. კოლხურში სუპერაციის ეს სახეობა სხვა ნიმუშებშიც ვლინდება; შდრ. ქართ. ბლიკვი-ი : ზან. (მეგრ.) ლიკვი-ი.

ბლაგუ- ძირი საერთოქართველური მონაცემი ჩანს [შდრ. კლიმოვი 1998 : 16].

ს.-სინდ. *ფაგუ-ე „ბლაგვი“

ადილ. ფაჳუ-ე, ყაბ. ფაგუ-ე „ბლაგვი“

თავკიდური ბლ ან ფლ კომპლექსი ისევე გამარტივდა ფუძესინდურში, როგორც – მეგრულში, თუმცა ამ უკანასკნელში წყვილბაგისმიერი ბ გაუჩინარდა, ნაცვლად ლ სონორისა.

ს.-სინდ. *ფაგუ-ე : ს.-ქართვ. *ბლაგუ- კანონზომიერ მიმართებას ასახავს როგორც ფორმობრივი, ისე სემანტიკური თვალსაზრისით.

ს.-ქართვ. *ბლანც- „ჩადუნა; გვიმრა“

ქართ. ბლენც-ნარა „ჩადუნასა ჳგავს“ (საბა)

ზან. (ლაზ.) ბილონც-ა „ტყის გვიმრა“

არ გამოვრიცხავთ ინლაუტური ნ სონორის მეორეულობას ქართველურ ძირ-ფუძეებში. საკითხი ლაზურ-ქართული დენდრონიმთა ერთიანობის შესახებ სწორად არის დასმული (ა. თანდილავა). ამავდროულად გასაზიარებელი ჩანს არსებული რეკონსტრუქციაც [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 113].

ს.-სინდ. *ბეცალ- „ტირიფი; ისლი“

ადილ. ფცალ-ე „ტირიფი“, ყაბ. ძალ-ე „ტირიფი, ბზა“

ლ → ლ' საკუთრივ ადილური ფონეტიკური პროცესი ჩანს (მეორეულ ლატერალთა წარმოშობა). სიტყვა ენდემურია და ფუძეენურ წარმომავლობას გულისხმობს, ამიტომაც არანაირი საფუძველი არ არსებობს მათი თურქულიდან სესხების დასაშვებად [შდრ. შაგიროვი 1977, I : 166]. ოსური ძალა „ისლი“ ყაზარდულიდან არის გასესხებული [ბალყაროვი 1965 : 19-20].

სემანტიკური თვალსაზრისით, კორელაცია ჩადუნა / გვიმრა ~ ტირიფი / ბზა / ისლი უპრობლემოდ გვესახება.

ს.-ქართვ. *ზ-ლის- „დროის ერთეული“

ქართ. ბლის-ი „დროის ერთეული“ (საბა), „ვაწეს ნახევარი“, ½ секунды (ჩუბინაშვილი)

მეგრულ-ლაზურში მოსალოდნელი ლიმ-ი სახეობის ფუძე ვერ დავადასტურეთ. ანლაუტის განვითარებისთვის, შდრ. ქართ. ბლიკვ-ი : ზან. (მეგრ.) ლიკვი.

წ.-სინდ. *ლის- „წელიწადი“

ხათ. liš „წელიწადი“

აფხაზურ-ადიღურ ენებში მოსალოდნელი ლის ან ლიმ ალომორფები დროის მნიშვნელობით არ დასტურდება. ს.-ქართვ. *ზ-ლის- არქეტიპში თავკიდური ზ-, შეიძლება, ძირს შეხორცებული გრამატიკული კლასის ნიშანი იყოს.

ხათურ-ქართული იზოგლოსების სარწმუნო შესატყვისი დასტურდება დალესტნურ ენებშიც, შდრ. თაბას. ლის-ინ „შუადღე“.

ს.-ქართვ. *ზნ-ე „სინათლე; შუქი (თვალის)“

ქართ. (მესხ.) ზნე „შუქი; თვალის ჩინი“

სიტყვა განმარტოებით დგას ქართულში. არ გამოვრიცხავთ ბოლოკიდური -ე სადერივაციო აფიქსის ზეგავლენით ძირეული ხმოვნის რედუქციასაც. ამავდროულად ძნელია, საკონტროლო ქართველური მასალის უქონლობის გამო, დაზუსტებით ი ხმოვნის რეკონსტრუქცია.

ს.-სინდ. *ფგნ- „ანთება“

ყაბ. ფგნ-ნ „ანთება“

ქართულ-ყაბარდოული იზოგლოსა ჩანს. თუ ყაბარდოული გახმოვანების მიხედვით ვიმსჯელებთ, ქართველურისთვის შესაძლებელი ხდება *ზინ-ე სახეობის გახმოვანებული არქეტიპის რეკონსტრუქცია. ამას რეგულარულ-კანონზომიერი ს.-ქართვ. ი : ს.-სინდ. გ ბგერათშესატყვისობა გვაფიქრებინებს.

ნახურ ან დალესტნურ ენებში შესაბამისი მასალა ვერ მოვიძიეთ.

ს.-ქართვ. *ბოკელ- „ნამცხვარი“

ქართ. ბოკელ-ი „ნამცხვარი“, ბოკელს უკმობენ პურსა, მობოკლვით გამომცხვარსა (საბა)

ზან. {ბოკერ-}, ბოკერ-ია (ანთროპ.)

გვარ-სახელი ბოკერი ა შეიძლება, ინახავდეს ქართ. ბოკელ- ფუძის შესატყვისს.

ს.-სინდ. *მგაღლ- „პურის სახეობა; მჭადი“

აბაზ. მგაღლ „პურის სახეობა“, აფხაზ. ა-მგაღლ „მჭადი“

სინდურ ენებში რედუცირებული ალომორფებია მხოლოდ პოვნიერი. აქვე თავჩენილია თავკიდური ს.-ქართვ. ზ : ს.-სინდ. მ ფონემური ოპოზიცია, რაც უფრო ახლომონათესავე ენათა ფარგლებშიც შეინიშნება, შდრ. დიდ. მაგალუ : ბეჟიტ. ბოგოლ „პური; შეჭამანდი“ .., ხუნძ. მაქარი : ლაკ. ბურქი „ნამცხვარი“ და სხვ.

ს.-ქართვ. *ბოლ- „აბოლება; ბოლი“

ქართ. ბოლ-ი, ბოლ-ავ-ს, ინგილ. ბოლ-ებ-ა „ძლიერი ციებ-ცხელება“

ზან. (მეგრ.) ნბულ-ავ-ი // მბულ-ავ-ი „ბოლება“

სვან. ბილჷ-ა // ბირჷ-ა „ცეცხლის ალი“

ძნელია გლოტალიზებული პულ-ა სახელის სიტყვათა ამავე რიგში შემოტანა, რომელიც ლაზურში დრუბელს, ხოლო მეგრულში ორთქლი, კვამლი, ბოლი სემანტემებს მოიცავს, არ ჩანს ზ

→ **პ** ტრანსფორმაციის საფუძველი ზანურში [შდრ. ჩუხუა 2000-2003 : 69].

ს.-სინდ. ***ბელ-** „ნათება, წვა“

ადიდ. **ბლ**‘წ-ნ, ყაბ. **ბლ**‘წ-ნ „ნათება, წვა“

აბაზ. **ბელ**-რა, აფხაზ. ა-**ბელ**-რა „ნათება, წვა“

ერთ-ერთი იმ ნიმუშთაგანია, სადაც აშკარად იკვეთება მეორეული **ლ**‘ მჟღერი სპირანტ-ლატერალის ევოლუცია. ამ სიტყვა-ფორმებში როგორც გახმოვანება-სტრუქტურის, ისე ფონემათა თანმიმდევრობის მხრივ მეტ სიძველეს აფხაზურ-აბაზური აჩვენებს.

ს.-ქართვ. ***ბოლ-** „ბოლება, ბოლი“ ~ ს.-სინდ. ***ბელ-** „ნათება, წვა“ [ჭარაია 1912 : 20-21] არქეტიპები ნორმალურ შესატყვისობებს წარმოაჩენენ როგორც სემანტიკურ, ისე ფონემურ დონეზე.

ს.-ქართვ. ***ბონ-** „ბუნება; ტყე“

ქართ. **ბუნ**-ებ-ა

სვან. **ბენ** ← ***ბონ** „ტყის ღია ადგილი, რომელიც ითიბება“

ზანურ დიალექტებში შესაბამისი ძირი არ ჩანს. აქ კი სვანური აჩვენებს, რომ ქართული **ბუნ**-ებ-ა „თვისება“ და **ბუნ**-ებ-ა „природа“ სიტყვას შორის დამთხვევა ისტორიულად მეორეულია, ვინაიდან **ბუნ**-ება „природа“ წინაპარ ფორმად **ბონ**- სახეობას ვარაუდობს, შდრ. სვან. **ბენ** ← ***ბონ**. **ტე** → ე სვანურში **ბტ** თანმიმდევრობის არაბუნებრიობით (აკრძალვით) აიხსნება.

ს.-სინდ. ***ბენ**-ა „ტყე“

აბაზ. **ბნა**, აფხაზ. ა-**ბნა** „ტყე“

ჩერქეზულ ენებში შესაბამისი ძირი დაკარგული ჩანს. მხოლოდ აფხაზურ-აბაზური მონაცემის საფუძველზე რეკონსტრუირებული საერთოსინდური ***ბენ**-ა არქეტიპი კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. ***ბონ**- სახელს.

სხვა იბ.-კავკ. ენებში სათანადო სახელები არ არის გამოვლენილი, თუ არ ჩავთვლით ჩეჩნ. **ფანა**, ინგუშ. **ფანა** „ველური, უდაბური მინდორი“, дикое поле, სადაც **ბ** → **ფ** დაყრუების ფონეტიკური პროცესი ანლაუტში ახსნას ითხოვს.

ს.-ქართვ. ***ბორხუნ-** „ბალახი (სახეობა)“

ქართ. **ბორხვენ**-ა „ბალახი: ოროვანდი, მსხვილი ძირი და დიდი ბრტყელი ფოთლები აქვს“

ქართული **ბორხვენ**- ძირის ზანურ-სვანურ შესატყვისებს ვერ მივაკვლიეთ, თუმცა გარე-ენობრივი პარალელები საგულისხმო ჩანს.

ს.-სინდ. ***ხუნ** „ბალახი, მინდვრის ბალახი“

ყაბ. **ხუნ** „მდელო, მინდვრის ბალახი“

აბაზ. **ჰურა** „ბალახი“

ს.-ქართვ. ***ბორხუნ-** : ს.-სინდ. ***ხუნ** შესატყვისობა სერიოზულ ფორმალურ წინააღმდეგობებს აწყდება, მაგრამ თუ მოვიხმობთ მონათესავე დაღესტნურ ენათა ჩვენებას, აღმოჩნდება, რომ ფუძის ანლაუტი ს.-სინდ.-ში გამარტივდა - ***ხუნ** ← წ.-სინდ. ***ბეხუნ**, შდრ. დაღესტნური: ბეჟიტ. **ბოხ**, ჰუნზიბ. **ბეხ**, დიდ. **ბოხ** „ბალახი“...

ს.-ქართვ. ***ბოქუნ-** „მუცელი, ბოქვენი“

ქართ. **ბოქვენ**-ი „მუცელს ქვეით(ი) სასირცხომდე“ (საბა)

ზან. (ლაზ.) **ქორბა** ← ***ბორქა** „მუცელი“

მიუხედავად სემანტიკური იდენტურობისა, მეგრ. **ქორა** // **ქვარა** ~ ლაზ. **ქორბა** „მუცელი“ ერთმანეთამდე ვერ დაიყვანება, ზედმეტია **ბ** ლაზურში, რაც ფონეტიკურად ვერ განვითარდებოდა,

მით უმეტეს, ამ პოზიციაში (რ'ს შემდეგ). უფრო სავარაუდოა ბ'ს დისიმილაციური დაკარგვა მეგრულში, რაც მსგავს პოზიციაში უცილობელი წესია, შდრ. ქართ. რბოლა : მეგრ. რულა ← *რბულა „რბენა“

ს.-სინდ. *მგაჲჲ „მუცელი“

უბიხ. ნგაჲჲ ← *მგაჲჲ „მუცელი“

აბაზ. მგაჲჲ, აფხაზ. ა-მგაჲჲ „მუცელი“

საყურადღებოა გჲჲ ~ კჲჲ სუბსტიტუცია სინდურ ენებში, რასაც ქართველური ქჲჲ ემატება. ნა-ხურ ენებში ქართველურისებრი ვითარება გვაქვს – ჩეჩნ. ბუქარ-ან, ინგ. ბუქარ-ან „კუზიანი“, რაც სემანტიკურად ლიპიანის გაგებიდან განვითარდა. დაღესტნურ შესატყვისებში უბიხურივით ძირეული თანხმოვნის გლოტალიზაცია ფიქსირდება, ამით დაღესტნური ინფორმაცია უბიხურს უჭერს მხარს, შდრ. ხუნძ.-ანდ. ენათა ბაკჲჲლ(ი) „მუცელი, კუჭი, სტომაქი“. დამინც, საერთოსინდური ამოსავალი ვითარება აფხაზურ-აბაზურს უკეთ შემოუნახავს. და კიდევ, ცხადია, ბ → მ → ნ საკუთრივ-სინდური ფონეტიკური პროცესია.

ს.-ქართვე. *ბოდ- „მსუქანი“

ქართ. (ინგილ.) ბოდ-ოდ-ა-დ ← *ბოდ-ბოდ-ა-დ „მსუქანა (ქათამზე იტყვიან)“

რედუპლიცირებული სახით ბოდ- ძირი მხოლოდ ქართული ენის ინგილოურ დიალექტში დასტურდება. თუ გავიზიარებთ მის შესაძლო კავშირს სათანადო სინდურ ძირებთან, მისი ფუძენურობა ეჭვგარეშეა.

ს.-სინდ. *ბაღჲჲ „გასივება“

ადილ. ბაღჲჲ-ნ, ყაბ. ბაღჲჲ-ნ „გასივება; შემუშება“

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს ცდა, ადილური ძირები დააკავშირონ დაღესტნურ მასალასთან, შდრ. ანდ. აბახ- / აბაჲჲ- „id“ [ბალყაროვი 1964 : 100].

ს.-ქართვე. *ბოდ- : ს.-სინდ. *ბაღჲჲ- მეტ სიახლოვეს აჩვენებს, დაღესტნურთან შედარებით. აფხაზურ-ადილურ ენებში მოსალოდნელი იყო ბჲჲაღჲჲ- სახეობის ფუძე, მაგრამ ბჲჲ თანმიმდევრობის არაკანონიკურობის გამო კომპლექსი გამარტივდა: ბჲჲ → ბ.

სემანტიკური კორელაცია მსუქანი ~ გასივება ბუნებრივად გვესახება.

ს.-ქართვე. *ბოყ- „მსხვილი“

ქართ. (ჯავახ.) ბოყ-ო „დიდრონი“, ბოყ-ო კაკალ-ი „დიდრონი კაკალი“

ზან. (მეგრ.) ბოყო-რ-ია „მსხვილი“, ბიყვ-ალ-ი „უმნოდ მსხვილი“

მეგრულში -რ- ზედმეტია, რაც მის აფიქსურ (არამძირეულ) წარმომავლობას უჭერს მხარს. სვანურ შესატყვისს, ვფიქრობთ, მეგრულისებური ბოყო-რ-ა „მსუქანი დედალი“ სიტყვა შეიცავს.

ს.-სინდ. *ბეყჲჲ „მსხვილი“

უბიხ. ბეყჲჲ „მსხვილი“

საერთოსინდური არქეტიპის რეკონსტრუქცია მხოლოდ უბიხურის ჩვენებას ეყრდნობა. თუმცა მისი ქართველურ მასალასთან თანხვედენა არ ატარებს შემთხვევით ხასიათს; აქ სტრუქტურულ-სემანტიკური ჩვენების საფუძველზე იკვეთება სინდურ-ქართველურ ძირ-ფუძეთა ერთიანი წარმომავლობა.

ს.-ქართვე. *ბოყჲჲ- „ზურგის ძვალი, თემო“

ქართ. ბოყვ-ი „საჯდომი ძვალი“

ზან. (მეგრ.) ბოყვ-ი // ბოყვ-ი „ზურგის ძვალი“

სვან. ფოყ „თემო“, ფოყ-რა „თემომოვარდნილი“

როგორც ეტყობა, სვანურში ისტორიულად ორი სხვადასხვა ეტიმოლოგიის სახელური ძირი

ერთმანეთში აირია: ფეყტ „ძვალი, ნეკნი“ და ფოყ (← *ფოყტ) „თეძო“, რაც ვერ გავითვალისწინეთ ჩვენს წიგნში [იხ. ჩუხუა 2000-2003 : 240-241].

ს.-სინდ. *ბაყტ- „ბარძაყებს შორის ადგილი“

ადილ. ბაჭტ, ყაბ. ბაჭტ „ბარძაყებს შუა ადგილი (ინტერვალი)“

მართალია, აქაც გვაკლია აფხაზურ-აბაზური შესატყვისები, მაგრამ უამისოდაც ნათლად ვლინდება ყტ → ჳტ დეგლოტალიზაციის ცნობილი პროცესი ჩერქეზულ ენებში. ნახური ენების სათანადო მასალაც ამას მოწმობს, შდრ. ს.-ქართვ. *ბოყტ : ს.-სინდ. *ბაყტ- : ს.-ნახ. *ბუყ „წელი“.

ს.-ქართვ. *ბოყტ- „ხის ჭურჭელი“

ქართ. (ზ.-იმერ.) ბოყვ-ი „კრამიტის ყალიბი, კეთდება ხისგან“

ზან. (მეგრ.) ბუყუნ- // ბუყუნ-ი // ბუყინ-ი // ბუყინ-ი „ხის ჭურჭელი მაწვნისათვის“, „რძის ჩასაწური“, „ყველის შესანახი ჭურჭელი“

სვან. ბეყტ/ბიყტ, ბეყტ-ილ (ლშხ.) „ხის ქერქისაგან გაკეთებული ჭურჭელი ხორბლისთვის“

სავარაუდოდ, მეგრულში -უნ/-ინ სუფიქსად გამოიყოფა, ძირეული ბუყ-/ბუყ- კანონზომიერად ასახავს ს.-ქართვ. *ბოყტ- არქეტიპის შესატყვის ფუძეს.

ს.-სინდ. *ბაყტ- „ხის ჭურჭელი“

უბიხ. ბაყტ-გრ „ყველის დასამარილებელი და შესანახი ხის ჭურჭელი“

აბაზ. ბყტ-გლ „კასრი“, აფხაზ. ა-ბყტ-გლ „ხის ჭურჭელი რძის შესადეღებლად“

სინდური ალომორფები ძალიან ახლოს დგას ქართველურ მასალასთან, განსაკუთრებით, ლაშხური და აფხაზურ-აბაზური, რამაც ზოგი ავტორის დაეჭვება გამოიწვია ქართველურიდან სესხების თაობაზე [ბუკია 2016 : 34].

ვფიქრობთ, თუ მოვევლება -გრ/-გლ სუფიქსაციის პრობლემას სინდურ ენებში, შეიძლება ვიმსჯელოთ სინდურ-ქართველურ იზოგლოსებზე. ვფიქრობთ, საკითხი დამატებით კვლევა-ძიებას საჭიროებს.

ს.-ქართვ. *ბოყტ- „ბოძი“

ქართ. ბოყვ-ი „ბოძი“, ბოყვ-იან-ი „სახლი, ბოძებზე შემდგარი სახლი“

ზან. (ლაზ.) ბუყ-ი „ბოძი“

საზოგადოდ, CVCტ სტრუქტურის ძირებში ბუნებრივი ჩანს ბოლოვიდური ტ-ს შერწყმის ტენდენცია ინტერკონსონანტურ ხმოვანთან, რის მომდევნო ეტაპზე ზანურ დიალექტებში Cტ ტიპის ფუძეები ყალიბდება : ბოყტ- → ბუყ-, დოყტ- → დუყ...

ს.-სინდ. *ბეყ(ა)ტ- „მორი, ანძა“

ადილ. ფაჭატ, ყაბ. ფაჭოტ // ბეჭოტ „მორი, ანძა“

აფხაზ. ა-ბეყტ „მორი, ანძა“, ბზიფ. ა-ბაყტ „სვეტი“

ფუძეენურ მდგომარეობასთან ყველაზე ახლოს აფხაზური დგას. ბ → ფ, ყ → ჳ ტრანსფორმაციები ადილური ენებისათვის ბუნებრივია. ვერ დავუშვებთ უბიხური ბეყტ „მსხვილი“ სიტყვის ამავე ძირებიდან წარმომავლობის შესაძლებლობას [მაგიროვი 1977, II : 47]. სტრუქტურულ-სემანტიკური სიახლოვე სინდურ-ქართველურ არქეტიპებში ადვილი დასანახია, რასაც ამყარებს ნახური საიმედო შესატყვისიც, შდრ. ინგ. ბიყყ // ფიყყ „ჭოკი; ძელი, ანძა“.

ს.-ქართვ. *ბოც- „დიდი ბოთლი; წნული“

ქართ. ბოც-ა „დიდი ბოთლი, ხშირად წნულით გარშემორტყმული“ (ქეგლ).

ძირი პოვნეირია მხოლოდ ქართულში, მაგრამ გააჩნია მეტად საგულისხმო სემანტიკა -, როცა ლექსიკური ერთეული ერთდროულად ჭურჭლის (დიდი ბოთლის) გაგებასთან ერთად წნულით გარშემორტყმულის შინაარსსაც იტევს. აფხაზურ-ადილური ენებიც ამასვე ადასტურებენ.

ს.-სინდ. ***ბეც**- „კალათა; წვნა“

უბიხ. **ბეც**-გ „ერთგვარი კალათა“

აბაზ. **ბაცა**-ა „წნული“, აფხაზ. (აბჟ.) ა-**ბეც**-ა, ბზიფ. ა-**ბეც** „წნული“

სინდურ ენებში სახეზეა როგორც ზმნური, ისე სახელური ფუძეები. უბიხური **ბეც**-გ, ისევე როგორც ქართული **ბოც**-ა, სახელს აღნიშნავს, ალბათ, ნაზმნარს. *წვნი* სემანტიკა ყველგან ხელშე-სახეობია. ამასვე ეხმიანება ნახურ ენათა **ბ-ეფც** / **ბ-უტც**- „წვნა“ ზმნა (შდრ. ს.-ნახ. ***ბ-ოცტ**- „წვნა“), სადაც **ბ**-გრამატიკული კლასის ნიშნად გამოიყოფა.

ს.-ქართვ. ***ბოცხ**- „ფოცხი“

ქართ. **ფოცხ**-ი „ესე არს ვნულთ ასაოშავი თითებიანი კაბდოსავით“ (საბა), **ფოცხა**-ავ-ს

ზან. (ლახ.) **ბუცხ**-ი „ფოცხი“, **ბუცხ**-უფ-ს „ფოცხავს“; მეგრ. **ბუცხ**-ი „id“, ო-**ბუცხ**-ან-ს // ი-**ბუცხ**-ან-ს „ფოცხავს; დამარხავს“

სვანურში შესაბამისი ძირი არ ჩანს, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისტორიულად იქაც არ იყო პოვნური [შდრ. კლიმოვი 1964 : 189-190].

ს.-სინდ. ***ბეც**- „კბილი; სატეხი“, долото

ადიდ. **ფეც**, ყაბ. **ბძე** „სატეხი“, долото

აბაზ. **ფეც** „კბილი“, აფხაზ. -**ფეც**, ა-ხა-**ფეც** „კბილი“

კბილის შინაარსი, რომელიც დღესაც ძირითადია აფხაზურ-აბაზურში, უძველესი ჩანს სინდურ-ქართველური ენებისათვის. შრომის იარაღში *კბილის* გამოყენება რელევანტურია, შდრ. სვან. **შდიქ** „კბილი“ → ნა-**შდექ** // ნა-**შდექ** „ნამგალი“ (ეტიმ. „ნაკბილარი // კბილიანი“).

ნახურ ან დალესტურ ენებში შესაბამისი მასალა ვერ მოვიძიეთ.

ს.-ქართვ. ***ბომ**- „სალამო“

სვან. ნე-**ბოზ**, ნა-**ბოზ** (ბზ.) „სალამო“, **ბაზ**-ი, **ბაზ**-ი (ბქ.), **ბაზ**-ი (ლნტ.) „ამალამ“

ს.-ქართვ. ***ბომ**- ძირმა სვანურში განიცადა ტრანსფორმაცია, რაც გამოიხატა **ბ** → **ზ** დეზაფრი-კატიზაცია-სპირანტიზაციის ისტორიულ პროცესში.

ს.-სინდ. ***ბეძ**-გ „სალამო, ბინდი“

აბაზ. -**ბეჯ**-, სიტყვაში ალა-**ბეჯ** „ბინდი“

ამოსავალი მჟღერი სახეობის სიბილანტი აბაზურმა გამოგვინახა. უბიხ. ზუა-**ფსგ**- „სალამო“ სხვა ძირს შეიცავს.

ს.-ქართვ. ***ბომ-ალ**- „ისარი; შუბი“

ქართ. **ბოძალ**-ი „ისარი ორპირი“ (საბა), გუდაამაყ., გურ. „ლახვარი

ზან. ქი-**ბორჯ**-იც „ისარი“, თუ სეგმენტაცია სწორია, აქვე განიხილება; **ბოძალ**- სახელი ნასესხობის სახით მეგრულშიც დასტურდება - **ბორჯალ**-ი „დიდი ისარი, შუბი“. ეს ნასესხობა საყურადღებოა მნიშვნელობის მხრივ, ვინაიდან ს.-ქართვ. ფუძის ერთ-ერთ ძირითად სემანტიკას იწინავეს.

ს.-სინდ. ***ბჯ**-გ „შუბი“

ადიდ. **ფჩგ**, ყაბ. **ბჟგ**, ბასლ. **ბჯგ** „შუბი“

არქაულ ვითარებას ამ შემთხვევაში ბასლენური დიალექტი იწინავეს - **ბჯგ**-. ს.-ქართვ. ***ბომ-ალ** - : ს.-სინდ. ***ბჯ**-გ არქეტიპთა შეპირისპირება აჩვენებს, რომ -**ალ** ქართველურში და -**გ** სინდურში არაპირული (ავიქსური) სეგმენტებია. მათი ერთმანეთზე დაყვანა არ ჩანს მართებული.

სხვა იბ.-კავკ. ენებში შესატყვისები ვერ გამოვავლინეთ.

ს.-ქართვ. *ზრატ-ალ- „ბევრი, მრავალი“

ქართ. მრავალ-ი, გა-მრავლ-ებ-ა

ზან. (ლაზ.) ბრეულ-ი, მეგრ. ბრელ-ი „მრავალი; ბევრი“

გურულ დიალექტში პოვნიერი ბრეტლ-ი „ბევრი“ აშკარა ზანიზმია (უფრო ლაზური) და არაფერი აქვს საერთო ირანულიდან ნასესხებ ქართულ ბევრ-თან, ისევე, როგორც ზანურ ალომორფებს. ქართულში სავარაუდო ჩანს ბრ → მრ ფონეტიკური გარდაქმნა.

ს.-სინდ. *ბაჰტა- „გამრავლება“

ყაბ. ბაჰტა-ნ „მრავლად მოწევა მოსავლისა; გამრავლება“

აბაზ. ბაჰტა-რა „გამრავლება“

სინდური ზმნების ერთმანეთთან გენეტიკური კავშირი ცნობილია [შაგიროვი 1977, I : 71]. საყურადღებოა ფარინგალური რიგის მჟღერი სპირანტთა ტრანსფორმაცია ყაბარდოულსა (ჰ → ლ) და ქართველურში (ჰ → რ).

ს.-ქართვ. *ზრატ-ალ- : ს.-სინდ. *ბაჰტა- არქეტიპთა კანონზომიერი შესატყვისი უნდა იყოს ს.-ნახ. *ბჰო- „ჯარი; მრავალი“.

ს.-ქართვ. *ზრანგტ- „დათვი“

ძვ. ქართ. ზრანგვ-ი // ზრანგვვ „დათვი“

ძველი ქართული სამწერლობო ენიდან კარგად ცნობილი სიტყვაა, რომლის ბნარგვ ვარიანტსაც უთითებს საბა თავის ლექსიკონში.

ქართველურ ენებში შესატყვისი არ ჩანს, თუ არ გავითვალისწინებთ მეგრული მარგვ-ი „დათვის ბელი“ სიტყვას, რომელიც შეიძლება ქართ. ბრანგვ-ის შესატყვისი არც იყოს.

ს.-სინდ. *ბაგტ- „ტურა“

ადილ. ბაჯა, ყაბ. ბაჟა „ტურა“

უბიხ. ბაგ-შუ „ტურა“

აბაზ. ბაგა „მელია“, აფხაზ. ა-ბაგა „ტურა“

საერთაფხაზურ-ადილური არქეტიპის რეკონსტრუქციის დროს გადაწყვეტი როლი უბიხურის ჩვენებამ იქონია, სადაც პალატალიზებული გ სწორედ რომ პრეისტორიულ გტ-ზე მიგვანიშნებს ფუძე-ენაში.

მეტად საყურადღებო ჩანს ს.-ნახ. *ბერგ „მგელი“, რომელიც წყყ „ჭრელი“ ფორმასთან კომბინაციით (წყყ-ბერგ) თოვლის ავაზას, ზედმიწ. ჭრელ-მგელს უდრის [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 2004 : 302].

ფორმალურად შუმერული ფირიგ „ლომი“ ქართულ ბრანგტ-ს უახლოვდება უფრო.

ს.-ქართვ. *ბრან- „წითელი“

ქართ. ბრან-ი „წითელივით“ (საბა), და-ბრან-ებ-ა „დაწითლებასავით“, შდრ. ახ. ქართ. შე-ბრან-ვ-ა „შეწვით ან გამოცხობით გაწითლება“ (ქეგლ)

ზანურ-სვანურში მოსალოდნელი *ბროჰ- / ბრაჰ- ალომორფები არ იძებნება. მიუხედავად ამისა, ბრან- ფუძეენური წარმომავლობისა ჩანს, ვინაიდან მას სარწმუნო შესატყვისები უდასტურდება მონათესავე იბ.-კავკ. ენებში.

ს.-სინდ. *ბან-ნ „შავი“

ყაბ. პან „შავი; მუქი“

ქართულივით პან ძირი ყაბარდოულშიც განმარტოებით დგას, მაგრამ სპეციალურ ლიტერატურაში სამართლიანად მიუთითებენ მის დაღესტნურ შესატყვისებზე, შდრ. ხუნძ. ბენ- „მუქი“... [აბდოკოვი 1983 : 142].

ვფიქრობთ, აქვე შემოდის ქართული ბრან- „წითელი“ სახელიც, რამდენადაც სემანტიკური

სუბსტიტუცია წითელი // შავი თვით ქართულის მასალაშია პოვნური, შდრ. ქართ. წითელი ღვინო // შავი ღვინო.

ს.-ქართვ. *ზრგ-ე „ზრგე, მაგარი“

ქართ. **ზრგე**

სვან. **ზგგი** „მაგარი“, ლი-**ზგ-ი** „გამაგრება“

მეგრულ-ლაზურში სათანადო ძირი არ არის გამოვლენილი. ქართული **ზრგე** ცნობილია საბა ორბელიანის ლექსიკონიდან: **ზრგე** „კაცი შუენიერად მოსრული“. სვანური შესატყვისი გამარტივებული ვარიანტი ჩანს – ***ზრგი** → **ზგგი**. რაც შეეხება ბოლოკიდურ -ი-ს, იგი ხშირად დაჩნდება ქართულ -ე-სთან საზიარო მასალაში, ამდენად ძირეულად ითვლება [იხ. გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965 : 99].

ს.-სინდ. ***ზერგ-** „ნამდვილი; სრული“

აზაზ. **ზერგ** – „ნამდვილი“, აფხაზ. ა-**ზერგ** „მოხუცი“

აფხაზურის სემანტიკა მეორეული ჩანს, *სრული / მოწიფულისაგან* განვითარებული. სხვა მხრივ, ს.-სინდ. ***ზერგ-** : ს.-ქართვ. ***ზრგ-ე** კანონზომიერ მიმართებას აჩვენებს.

დადესტურული იზოგლოსი შეიძლება ჩანდეს ხინალ. **ზგ** „ახალგაზრდა“ სიტყვაში.

ს.-ქართვ. ***ზრეგ-** „დარტყმა, დაცემა“

ქართ. **ზრეგ-ა** „დარტყმა“, და-ე-**ზრეგ-ა** „დაეცა“

სვან. **ზრეგ-**, ლა-ხ-**ზრეგ-ე** „დარტყმა“

სპეციალურ ლიტერატურაში აქვე შემოაქვთ ლაზური ო-**ზრაგვალ**-უ „ბოდვა, ხმაური“, რაც ქართ. **ზრეგვ-ა**, ა-**ზრეგვ-**ებს ზმნის კანონზომიერი შესატყვისი ჩანს და აქ არაფერი ესაქმება [შდრ. კლიმოვი 1998 : 19].

ს.-სინდ. ***ზგა-** „დაცემა; დამსხვრევა“

აზაზ. **ზგა-რა**, აფხაზ. ა-**ზგა-რა** „დაცემა, დამსხვრევა“

ჩერქეზული მონაცემები გვაკლია, რაც ნაკლებსარწმუნოს ხდის რეკონსტრუქციის პროცედურას. მიუხედავად ამისა, ს.-ქართვ. ***ზრეგ-** : ს.-სინდ. ***ზგა-** კანონზომიერი ჩანს, ბგერათმესატყვისობათა ჩვენება დაცულია. **რ** შეიძლება მხოლოდ ქართველური დანართი იყოს, რამდენადაც დადესტურ ენათა შებრუნებული სტრუქტურის ძირებშიც არ ფიქსირდება, შდრ. ანდ. **ჯაბი-** ← ***გაბი-** „დარტყმა“... [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 1018].

ს.-ქართვ. ***ზრეტ-** „ფუტკრის ველური სახეობა“

ქართ. **ზრეტ-ი** „ბუზი, თაფლსა იქმს კეთილსა ველზედ“ (საბა)

ძირი მხოლოდ ქართულში დასტურდება, თუმცა ფუძემეურნი წარმომავლობისა ჩანს, რაზეც აფხაზური შესატყვისი მიუთითებს.

ს.-სინდ. ***ზტ-გ** „ბალლინჯო“

აფხაზ. ა-**ზტგ** „მერქნის, კენკრის ბალლინჯო“

სემანტიკური კორელაცია ს.-ქართვ. *ფუტკარი* ~ ს.-სინდ. *ბალლინჯო* ბუნებრივი ჩანს, მით უფრო მაშინ, როდესაც საუბარია *ველურ ფუტკარზე*.

სხვა იბ.-კავკ. ენებში კანონზომიერ შესატყვისებს ჯერჯერობით ვერ ვპოულობთ.

ს.-ქართვ. ***ზროწ-** „მუქი წითელი“

ქართ. **ზროწ-ი** „მუქი წითელი“

ადვილი შესაძლებელია, ქართული **ზროწ-ელ-ი** დერივატიც **ზროწ-** ძირს შეიცავდეს.

სხვა ქართველურ ენებში შესატყვისები ჯერჯერობით არ ვლინდება.

ს.-სინდ. *წუა „შავი“

ადიდ. სუ-წა, ყაბ. ჭე-წა „შავი“

უბიხ. გან-წუა „ქვანახშირი“

აბაზ. ქუა-ჭუა, აფხაზ. აქუა-ჭუა „შავი“

ქართულ-სინდური ძირ-ფუძეების შედარებისას ცალსახად გამოჩნდება ამ ერთეულთა შებრუნებული წყობის პრობლემა, რაც არ უნდა გახდეს დამაბრკოლებელი ფაქტორი, ვინაიდან მონათესავე ძირები დაღესტნური ენებიდან ზუსტად იმავე მიმართებას გვიჩვენებენ, შდრ. დარგ. (ურახ.) წაბ „ბნელი“

სემანტიკური ოპოზიცია მუქი წითელი ~ შავი ~ ბნელი ადვილი ასახსნელია (შდრ. ქართულში - შავი // წითელი ღვინო).

ს.-ქართვ. *ბრპ-ენ- „ტყვია“

ძვ. ქართ. ბრპენ-ი „ტყვია“, ბრპენ-ი // პრპენ-ი „ტყვია და კალა“ (საბა)

ქართველური ქვესისტემებიდან მხოლოდ ძველი ქართული და საბას ლექსიკონი იცნობს ბრპენ- → პრპენ- ალომორფებს.

ამოსავალი ბრპენ- ფუძე გამოტოვებულია ყველა ეტიმოლოგიურ თუ შედარებით ლექსიკონში. რატომღაც ის ვერ მოხვდა ბ. გიგინეიშვილის ისტორიულ-ეტიმოლოგიურ ლექსიკონში [იხ. გიგინეიშვილი 2016 : 63].

ს.-სინდ. *მპ-ვ „ტყვია“

უბიხ. მპა „ტყვია“

ქართულ-უბიხური იზოგლოსია, რომელსაც ჯერ-ჯერობით შესატყვისები არ უჩანს არცერთ სხვა იბ.-კავკ. ენებში.

უბიხურის ჩვენება ღირებულია ქართული ძირის სტრუქტურისათვის, აქ, ალბათ, ისტორიული ბპ → ბრპ პროცესი უნდა იყოს საგულვებელი ფუძე-ენის დონეზე.

საყურადღებოდ გვესახება ლათინური plumb-um „id“ სიტყვა-ფორმათა ამავე რიგში განხილვა (ზანურ შესატყვისს ინახავს?).

ს.-ქართვ. *ბრყილ- „უსინათლო“

ქართ. ბრყვილ-ი // ბრყვლ-ი „უსინათლო“, ბრყვილ-, და-ბრყვილ-ებ-ა „თვალთ სინათლის დაკლება“

უძველესი ქართული ტექსტებიდან ცნობილი ბრყვლ- ძირის კავშირს ვარაუდობენ ბრიყვ-ი სახელთანაც (ა. არაბული). ადრე ჩვენც ვფიქრობდით ქართულ ფუძეთა კავშირს მეგრ. ცვერე „ბრმა“ და სვან. ყუირ-ჰა „ცალთვალა“ სიტყვებთან, რასაც დღეს უკვე აღარ ვიზიარებთ [შდრ. ჩუხუა 2000-2003 : 286].

ს.-სინდ. *ბლვ- „ცუდი მხედველობა“

ადიდ. ნა-ბლა, ყაბ. ნა-ბლა „ცუდი მხედველობა“

წარმოდგენილ კომპოზიტებში ნა- სეგმენტი „თვალის“ აღმნიშვნელი ძირია, ხოლო დელაბი-ალიზებული ბლა- ქართველური ბრყილ- სიტყვის შესატყვისად მიიჩნევა.

სინდურ-ქართველურ ძირებს გენეტიკურად უკავშირდება ლეზგიურ ენათა შემდეგი სიტყვები: ლეზგ. ბურყუ, წახ. ბერყე-ნა, რუთ. ბერყე-დ „ბრმა“...

ს.-ქართვ. *ბრჭ- „გასინჯვა; გამსინჯავი“

ქართ. ბრჭ-ე „მოსამართლე; გამსინჯავი“ (საბა), ბრჭ-ობ-ა-ე „გასინჯვა“

სხვა ქართველურ ენებში შესატყვისებს ვერ ვპოულობთ. მიუხედავად ამისა, ბრჭ- ძირი საერთოქართველური ფუძე-ენისათვის აღდგება. მის რეკონსტრუქციას მხარს უჭერენ სინდურ ენათა

სათანადო მონაცემები.

ს.-სინდ. ***ზჩა**- „დათვლა“

ადიდ. (ჭემგ.) **ფჩა**-ნ, შაფს., ბჟედ. **ფჩა**-ნ „დათვლა“, ყაბ. **ბჟე**-ნ „დათვლა“

ამ მაგალითში მეორდება შესატყვისობა ს.-ქართვ. **ჭ** : ს.-სინდ. ჩ, ანუ მკვეთრი ~ პრერუპტივი, რაც ჯერ კიდევ გ. როგავამ შენიშნა ქართ. **ბჭე** : ჩერქ. **ბჩა** „კარი“ ფორმებში [როგავა 1956 : 18].

ამოსავალი ფონემა **ჭ** უნდა იყოს, ვინაიდან სწორედ **ჭ** მეორდება დადესტნურ შესატყვისებშიც, შდრ. ჭამალ. **ბიჭრ**-ლა, ბეჟიტ. **ბიჭი** ავ „მიხვედრა“.

სემანტიკური კორელაცია *გასინჯვა ~ დათვლა ~ მიხვედრა* ლოგიკურად გვესახება.

ს.-ქართვ. ***ზრჭალ**- „თათი, ტერფი, ქუსლი“

ძვ. ქართ. **ზრჭალ**-ი „თათი, ტერფი, ქუსლი“

ძვ. ქართ მონაცემის მიხედვით ვახდენთ ს.-ქართვ. არქეტიპის რეკონსტრუქციას: „ადილო ჩემ ზედა ბ რ ჭ ა ლ ი მისი“; „რომელსა უპყრიეს ყოველი ქუეყანაი ბ რ ჭ ლ ი თ ა“ [აბულაძე 1976 : 37]. ვინაიდან **ჭ** მრავალ შემთხვევაში წინარექართველური **წ**, სისინ-შიშინა სიბილანტის რეფლექსია, წინარე-ენისთვის ****ზრწალ**- არის მოსალოდნელი.

ს.-სინდ. ***მაწუ**- „ფეხის ნაწილი“

აბაზ. ფგ-**მაჭუ**-ა, აფხაზ. (ბზიფ.) ა-ფგ-**მაწუ**- „წინა ფეხის ნაწილი“

სინდურ ენათა მონაცემებს ასევე უდარებენ დადესტნურ შესატყვისებს, შდრ. თაბას. **მუწუ**, დიდ. **მეცუ** „თათი“. ჩვენი თვალსაზრისით, ს.-ქართვ. **ჭ** : დად. **წ** ყოველთვის უდრის საერთოკავკასიურ სისინ-შიშინა **წ** გლოტალს, რომელიც ბზიფურში რეალურად დასტურდება [მეტი დად. იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 307].

ს.-ქართვ. ***ბუგუ**-ირ- „ბუგრი, ყვავილი (დაავადება)“

ქართ. **ბუგრ**-ი, **ბუგრ**-იან-ი

სვან. **ბუგუ**ირ „ყვავილი (დაავადება)“

ამოსავალ სახეობას აქ სვანური უფრო ინახავს, ვინაიდან ქართულში მხოლოდ რედუცირებული (გვიანდელი) ვარიანტია პოვნირი. ყოვლად დაუშვებელია იმაზე ფიქრი, რომ სვანურში წინამავალი ხმოვნის ზეგავლენით ახალი (იდენტური) უ ხმოვანი გაჩნდა, თანაც, ალოგიკურია ამის პარალელად სვანური შუკ → შუკუ ნიმუშის მოხმობა, ვინაიდან სვანურ შუკუ ფუძეში უ ფონეტიკური დანართი კი არ არის, იგი ა → უ ნაწილობრივი კუმშვის შედეგია ენაში, შდრ. ქართ. ციცა : სვან. ციცუ... [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 122].

ს.-სინდ. ***ზაგუ**-გ „კანის გამონაყარი“

ადიდ. **ზაგუ**, ყაბ. **ზაგუ**-გ „კანის გამონაყარი“

უზბიხ. **ზაგუ** „კანის გამონაყარი“

თავისთავად დგება საკითხი უზბიხური ფუძის ავთენტურობის შესახებ, ვინაიდან **ზაგ** სახეობის ალომორფი იყო მოსალოდნელი, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ყოველთვის არ რეალიზდება.

საყურადღებოა ვაინახ. **ზარგ**-ალ „ჭუჭყი საქონლის ბეწვზე“, სადაც ს.-კავკ. კომპლექსი **გუ** წარმოდგენილია **რგ** კანონზომიერ-რეგულარული შესატყვისით, შდრ. ქართ. ნესტ- : ნახ. ნარს...

ს.-ქართვ. ***ბუზ**- „მუშტი“

ქართ. (თუშ.) **ბუზ**-ვან-ი „მუშტი“

შეიძლება თუშური სიტყვა შეიცავდეს -**ოვ**-ან სუფიქსს. თუ ვარაუდი მართებულია, მაშინ სავარაუდოა **ბუზ**-ოვან- → **ბუზ**-ვან- ტრანსფორმაცია ქართულში. სხვა ქართველურ ენა-კილოებში მოსალოდნელი **ბუჟ**- ალომორფი არ დასტურდება. ყველა შემთხვევაში თუშური სიტყვა საერთოქართველური ***ბუზ**- ძირს შეიცავს.

ს.-სინდ. ***ბჟჟ-გ** „მუშტი“

ადიდ. **ბჟჟ-მგ**, აბძახ. **ბზუგ-მ**, ყაბ. **ბზუგ**, ბასლ. **ბზუგ** „მუშტი“

უცნობია ადიღეური ფორმების -**მგ** სეგმენტის ფუნქცია, ისევე, როგორც ქართულში -**ოვან** სუფიქსისა (ფუნქციური შესატყვისობა (?)). სპეციალისტები ასევე ვერ აზუსტებენ ადიღეურ ფორმებში -**მგ** წარმომავლობას [კვახაძე 2014 : 123].

სხვა მხრივ, ქართულ-ჩერქეზული იზოგლოსების ერთიანობა უპრობლემო ჩანს. სახეზეა სტრუქტურულ-სემანტიკური იგივეობა, რაც ერთიანი წარმომავლობით აიხსნება.

ს.-ქართვ. ***ბუზ**- „ბუზი; მწერი“

ქართ. **ბუზ-ი**, ძვ. ქართ. **ბუზუ-ად**

ზან. (ლაზ.) **ბუზ-ულ-ა** „ძალიან პატარა მწერი“

სვან. **ბუზ-ულ** „ბუზი“

გვაკლია მეგრული შესატყვისი. უსაფუძვლოდ გვესახება ლაზ. **ბუზ-ალ-ა** „ბზუილი“ ფორმის შეპირისპირება მეგრ. **ბუზ-ინ-** ზმნასთან [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 123]. უპრობლემო ჩანს ლაზური **ბუზ-ულ-ა** „ძალიან პატარა მწერი“ სიტყვის აქ შემოტანა, რაც არ გამორიცხავს ლაზ. **ბუზ-ალ-ა** „ბზუილი“ ზმნასთან კავშირსაც.

ს.-სინდ. ***ბენზ-ზ** „მწერი“

ადიდ. **ბამზ**, ყაბ. **ბამზ** „მწერი“

უბიხ. **ბანძე** // **ბამძე** „მწერი“

გვაკლია აფხაზურ-აბაზური შესატყვისები [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 304]. თავად ჩერქეზული ალომორფებიც საკმაოდ პრობლემურია, ვინაიდან წარმოაჩენენ აფრიკატული ბუნების სისინა სიბილანტურ კორესპონდენციას, განსხვავებით სხვა იბ.-კავკ. იზოგლოსებისაგან, შდრ.: ს.-ნახ. ***მოზ**- „მწერი“, დაღ., აღულ. **მგზ-მგზ**, წახ. **ბგზ-ბგზა**, თაბას. **მიზ-მიზ** „მწერი, ბუზი“ [აბდოკოვი 1983 : 113]. თუმცა, **ზ** → **ძ**, ალბათ, პოზიციურად არის შეპირობებული ჩერქეზულ ენა-კილოებში, **ნ**-ს ზეგავლენით.

ს.-ქართვ. ***ბუზ**- „ბუზანკალი“

ქართ. **ბუზ-**, **ბუზ-ან-კალ-ი**, **ბუზ-ა-ლაკ-ი** слепень, gadfly, **ბუზ-ა-მკალ-ი** // **ბუზჳ**, **ბუზ-ვ-ი** „овод“ (ჩუბინაშვილი)

დასახელებული ვარიანტებიდან **ბუზჳ** ჯერ კიდევ ძველქართულ ტექსტებშია დამოწმებული: „არა შჳამნეთ ბ უ ჳ ჳ და მისნი“ [აბულაძე 1973 : 37]. მიუხედავად ამისა, ქართველური შესატყვისები გამოქვეყნებულ ტექსტებში ჯერ-ჯერობით არ ჩანს.

ს.-სინდ. ***ბზუგ**- „ხოჭო“

ადიდ. **ბჟჟ-მა**, ყაბ. **ბზუგ-მა** „რწყილი“

აბაზ. **ბჟჟ**, აფხაზ. ა-**ბჟჟ** „ხოჭო“

გვაკლია უბიხური შესატყვისი, რომელიც {**ბზ**} სახეობისა უნდა ყოფილიყო. ადიღურ ენებში -**მა** ცალკე გამოიყოფა, შდრ. აფხაზ. ა-**ძ** „რწყილი“, ანუ **ბჟჟ-ბზუგ**- ალომორფები თავდაპირველად **ხოჭოს** აღნიშნავდნენ (ისევე, როგორც აფხაზურ-აბაზურში).

ს.-ქართვ. ***ბუზ**- „ბუზანკალი“ : ს.-სინდ. ***ბზუგ**- „ხოჭო“ კანონზომიერი ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისობა უნდა იყოს.

ს.-ქართვ. ***ბუზუკ**- „მუწუკი“

ქართ. **ბუზუკ-ი** „მუწუკი“

ზან. (მეგრ.) **ბუზუკ-ი** „მუწუკი“

არ არის გამორიცხული, მეგრული ქართულიდან იყოს ნასესხები. ყველა შემთხვევაში **ბუ-ზუკ**-სახელი ქართველური ეტიმოლოგიის სიტყვად მიიჩნევა.

ს.-სინდ. ***მზგვ**-ზ „მეჭეჭი“

ყაბ. -**მზგვ**-ზ, სიტყვაში ხა-**მზგვ**-ზ „მეჭეჭი“

ჩერქეზული -**მზგვ**-ზ სემენტის გამოყოფა ხერხდება შედარებითი ანალიზის გზით. საყურადღებო ჩანს ოსურ ენაში შემონახული **ზგვგვ** „მეჭეჭი“, რასაც სპეციალისტები ჩერქეზულთან ერთად განიხილავენ [აბაევი 1958, I : 284].

ს.-ქართვ. ***ზუკუ**- „ვაცი“

სვან. **ფიკუ** // **ფუკუ** -(ზს., ლნტ.), **ფუკუ** (ლშხ.) „ვაცი“

მსგავს პოზიციამი **ზ** → **ფ** დაყრუების ფონეტიკური პროცესი სვანურისთვის დამახასიათებელი ჩანს, შდრ. ქართ. **ზაკან**-ი : სვან. **ფაკან** „ჯამი“, ქართ. **ზაყ**-ი : სვან. **ფეყუ** // **ფოყუ** „თემო“...

თუ სვანური **ფეკუნა** „ლეკვი, ბოკვერი“ კავშირშია სვან. **ფუკუ** „ვაცი“ ფუძესთან, მაშინ ქართული **ბოკვერი**-ი (→ ლაზ. **ბონკვერი**-ი „id“) სიტყვაც არ იქნებოდა ნასესხები ჩერქეზულიდან [შდრ. შენგელია 2006 : 154].

ს.-სინდ. ***ზგუ**-გ „ხბო“

ადილ. **ზგუ**-გ „ხბო“

ადილურში ფუძედ **ზგუ**-გ უნდა გამოვყოთ, ვინაიდან **ზგუ**-გ-ში -**რ** სახელობითი ბრ. ნიშანია, შდრ. ერგ. ბრ. **ზგუ**-მ.

გარდა ქართველურისა, ადილურ **ზგუ**-გ-ს უნდა უკავშირდებოდეს ს.-ნახ. ***ზოკ** არქეტიპიც, შდრ. წ.-თუმ. **ზოკ** „ვაცი“. დაღესტნურ შესატყვისებს ამ ეტაპზე ვერ ვხედავთ.

ს.-ქართვ. ***ზულა**-ა „დიდი არსება (ტყიური); მამალი ცხვარი“

ქართ. **ზულა**, მთიულ. „საშინელი არსება, მისი სახელით ბავშვებს აშინებენ.

ზან. (მეგრ.) **ზილა** „უშნოდ მსხვილი“

სვან. **ზილ** „ასე მიმართავენ მამალ ცხვარს“ (ჩოლურ.: **ზილ** ბიცქუ)

მიუხედავად იმისა, რომ დიდია სემანტიკური სხვაობა ქართველურ ენა-კილოებს შორის, ერთი რამ ცხადია, **ზულა** / **ზილა** ალომორფებში რაღაც დიდი ცხოველი (მამალი ცხვარი (?)) სახელი იმალემა, შდრ. ნახური (ჩეჩნური) **ზულა** „დომბა“.

ს.-სინდ. ***ზელ**-გ „ვერძი; მსხვილფეხა საქონელი“

ადილ. **ზელ**-გმ, ყაბ. **ზელ**-გმ „მსხვილფეხა საქონელი“

უბიხ. **ზეღ** „ვერძი, ყოჩი“

ადილურ ენათა -**გმ** დამოუკიდებელი სუფიქსია, ხოლო ბგერათფარდობა **ლ** : უბიხ. **ღ** ამოსავალ **ლ**-ზე მიუთითებს.

საყურადღებოა დაღესტნური ინფორმაცია: ხუნძ. **ბელ** „მთის ანტილოპა“, უდ. **ბელე** „მსხვილფეხა რქოსანი ცხოველი“ [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 314].

ს.-ქართვ. ***ზუნ**- „შთამომავლობა“

ქართ. (ზ.-იმერ.) **ზუნ**-ი „ერთი პაპის შთამომავალნი“

განმარტოებით მდგომი ქართული **ზუნ**-სახელი ფუძეენურ წარმომავლობას ავლენს. ამაში მეტი დამაჯერებლობა შემოაქვს სინდურ პარალელებს, სადაც *შთამომავლობის* მნიშვნელობა ხელშესახებია.

ს.-სინდ. ***ზუნ**-გ „ბავშვი; შთამომავლობა“

ადილ. (ჭემგ.) **ზუნგ**, ყაბ. **ზუნ** „ბავშვი; შთამომავლობა“

ჩერქეზოლოგიაში დამკვიდრებული იყო აზრი დასახელებულ ფორმათა არაბული წარმომავლობის შესახებ [შაგიროვი 1977, I : 107]. ამის უსაფუძვლობა დამაჯერებლად დამტკიცდა [კვახაძე 2014 : 105]. უფრო მეტიც, იმავე ძირის მონათესავე სიტყვა უნდა იკითხებოდეს არქაიზმებით გამორჩეულ ხათურ ენაში, შდრ. ხათ. **pinu** „ბავშვი“.

ს.-ქართვ. ***ბუნ**-ა „ბუდე, ორმო, საძირკველი“

ქართ. **ბუნ**-ი „ფუძე, საძირკველი, ორმო“, ჯავახ. **ბუნ**-ე „ბუდე“, **ბუნ**-აგ-ი „დათვის ბინა, თავშესაფარი“; **ბუნა**-ურ-ი „საბუდარი“, гнездо, жилище, (ჩუბინაშვილი), „კაცთ ბუნაგი“ (საბა)

ფუძემეურნი წარმომავლობის ძირი მხოლოდ ქართულმა შემოინახა. აქვე საცნაურია -ე და -აგ სეგმენტთა აფიქსურობა, შდრ. წახნ-აგ-ი.

ს.-სინდ. ***ბენ**- „საფლავი, ორმო“

ადილ. **ბან**-გ, ყაბ. **ბან** „საფლავი“

უბიხ. **ბენ**-გ „საფლავის ორმო“

სპეციალურ ლიტერატურაში მართებულად არის უარყოფილი bina „შენობა“ ან ოსურ **ბენ/ბუნ** „ფუძე, საძირკველი“ ალომორფებთან რამენაირი კავშირი ჩერქეზული სიტყვებისა [კვახაძე 2014 : 23].

ფუძემსინდური არქეტიპი ძირეულ ხმოვნად **გ** ნეიტრალურ ალოფონს წარმოაჩენს, რაც უფრო ძველი **ტგ** (←***უ**) დიფთონგის გამარტივება უნდა იყოს, ვინაიდან წყვილბაგისმიერი **ბ**-ს შემდგომ **ტ**-ს რეალიზება შეიზღუდებოდა ფონეტიკური შეუსაბამობის გამო, **ბტ** არაკანონიკური ჩანს საერთოსინდურში.

ქართულ-ჩერქეზულ მიებას ეხმიანება ნახური მონაცემებიც, შდრ. ჩეჩნ. **ბენ** „ბუდე“.

ს.-ქართვ. ***ბურბ**- „ბრბუნვა; დამურა“

ქართ. **ბრბ**-უნ-ვ-ა „უსინათლოს ბეცება“ (საბა)

ზან. **ბურბ**-უ „დამურა“

ამოსავალი *უსინათლო ფრინველის ფრენა* უნდა ყოფილიყო. რთულია, ქართულში ძირეული ხმოვნის რედუქციის გამო, არქაული ხმოვნის რეკონსტრუქცია. ზანური **უ** საკონტროლოდ ნაკლებად გამოდგება, ვინაიდან პოტენციურად ამ პოზიციაში იგი შეიძლება **ა-ო-უ** ხმოვნიდან ნებისმიერს შეეფარდოს [შდრ. ჩუხუა 2000-2003 : 71-72].

ს.-სინდ. ***ბებგ**- „ფრენა“

ადილ. **ბებგ**-ნ „ფრენა“

სიტყვა პოვნირი არის მხოლოდ ადილეურში, მაგრამ, სავარაუდოდ, საერთოსინდური წარმომავლობისა ჩანს. ამას გენეტიკურად საერთო წარმომავლობის ქართველური ფორმები ამტკიცებენ. ადილეურში **გ** ხმოვნის არსებობა, თითქოს, კიდევ ერთი არგუმენტია იმის სამტკიცებლად, რომ ქართველურში უძველესია **უ** (ან **ო**) გახმოვანება.

ს.-ქართვ. ***ბურტ**- „ბურვაკი“

ქართ. **ბურტ**-აკ-ი „დიდი გოჭი, ქუბი“ (საბა) „გოჭი სამი თვიდან წლამდე“ (ქეგლ)

დასტურდება მხოლოდ ქართულში, საიდანაც **ბურტუ** ფორმით შევიდა წოვათუშურ (ბაც-ბურ) ენაში. ვა → უ ბაცბურის ნიადაგზე განხორციელდა, **ტტ/ტვ** ტიპის ლაბიალიზებულ კომპლექსთა არაბუნებრიობის გამო, შდრ. ქართ. **სტვირ**-ი → წ.-თუშ. **სტიურ** „სალამური“...

ს.-სინდ. ***ბლ**-გ „ნეზვი, დედალი ღორი“

უბიხ. **ბლ**-გ „დედალი ღორი“

სინდური ენებიდან ფუძე ცნობილია მხოლოდ უბიხურ ენაში, მაგრამ რეკონსტრუირდება საერთოსინდურ დონეზე, ვინაიდან გააჩნია საყურადღებო იზოგლოსები როგორც ქართველურ,

ისე დადესტნურ ენებში, შდრ. ს.-სინდ. *ბლ'-გ : ს.-ქართვე. *ბურტ- : ს.-დად. *ბოლ'- „ლორი“ (ხუნძ. ბოლ'-ონ, ბეჟიტ. ბულ'-ო, ჰუნზიბ. ბულ'-უ, არჩიბ. ბოლ' „ლორი“...). ს.-ქართვე. რტ- : ს.-დად. ლ' : ს.-სინდ. ლ' : ს.-ნახ. რლ' რეგულარულ-კანონზომიერი მიმართება ჩანს (ამაზე სხვა დროს).

ს.-ქართვე. *ბურს- „ბრძოლა; ჭიდაობა“

ქართ. ბურს-ალ-ი „ბლარძუნი; უწესოდ ჭიდაობა“

ზან. (მეგრ.) ბურს-აფ-ი „ბრძოლა; ჯახება; ორომტრიალი“

მართალია, ვიზიარებთ ქართული ენის დასავლურ დიალექტებში (იმერული, გურული, რა-ჭული) თავჩენილ ბურს- ძირისა და მეგრული ბურს- ზმნის ერთიანობას, თუმცა აქვე გვიჩნდება სურვილი, ყურადღება მივაქციოთ ერთგვაროვან უ : უ გახმოვანების პრობლემას და დავსვათ საკითხი ბურს- ძირის ზანურობის შესახებ, რაც ავტომატურად გულისხმობს *ბარს- ტიპის ფუძის არსებობას ფუძე-ენაში [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 124].

ს.-სინდ. *ბაშ- „ბრძოლა“

აბაზ. აფ-ბაშ-რა, აფხაზ. აფ-ბაშ-რა „ბრძოლა“

ჩერქეზული მონაცემები გვაკლია, ამიტომაც ჭირს ამოსავალი სიბილანტის ბუნების გარკვევა – შ თუ ს (?). აქვე მთლად ნათელი არ არის შ → შ პალატალიზაციის საფუძველი აფხაზურში.

ს.-სინდ. *ბაშ- : ს.-ქართვე. *ბურს- (ან *ბარს-) კანონზომიერ სტრუქტურულ-სემანტიკურ შესატყვისობას წარმოადგენს.

დადესტნური ენებიდან საყურადღებოდ გვეჩვენება უდ. ბეს-ბესუნ „კვლა“ ზმნა.

ს.-ქართვე. *ბურს-ა „ნისლი (თოვლიანი)“

ქართ. (ქართლ.) ბურსა „თოვლიანი ნისლი“

ზან. (მეგრ.) ბურს-ი „ჯანღი, ნისლი“

მეგრულში ამოსავალ ფორმად ბურსო არის საგულვებელი, რომელიც (-ო-) რეგულარულად ი-ში გადადის, შდრ. ქართ. ღვინ-ო : ზან. ღვინ-ი, სურ-ო : სუჯ-ი // სიჯ-ი...

შესაბამის სვანურ სახელს ვერ მივაკვლიეთ.

ს.-სინდ. *ბეშ-ა „ღრუბელი“

ადილ. (შაფს.) ფშა, აბძახ. ფშა, ყაბ. ფშა „ღრუბელი“

ფუძეენური ბ ჩერქეზულ ენებში, რედუქციის მომდევნო საფეხურზე, შ-სთან კონტაქტური ასიმილაციით დაყრუვდა – *ბეშა → *ბშა → ფშა. ქართველური უ ხმოვნის შესატყვისად გ ნეიტრალური ხმოვნის წარმოჩენა, უდავოდ, უგ ალოფონის (დიფთონგის) არსებობას გულისხმობს, მაგრამ ბ ბილაბიალის მომდევნოდ უ დისიმილაციურად გაუჩინარდა – *ბტეშა → *ბეშა.

ყურადღებას იქცევს საკვლევ ძირთა სემანტიკური ოპოზიციაც ნისლი ~ ღრუბელი, რაც კანონზომიერებას ექვემდებარება.

ს.-ქართვე. *ბუს- „ამაღლებული ბეჭობი“

ქართ. ბუს-ნ-ო, ბუს-ნარ-ი „ამაღლებული ბეჭობი მინდორზე, დაფარული ახალი ბალახით“, ბუს-ნარ-ი (საბა)

ძირად ბუს- გამოიყოფა ქართულისავე ნიადაგზე, რომელსაც შესატყვისები არ უჩანს სხვა ქართველურ ენა-კილოებში. ამავდროულად სარწმუნო იზოგლოსები იძებნება მონათესავე იბ.-კავკ. ენებში.

ს.-სინდ. *ბეს-ა „გორაკი, ქედი“

უბიხ. ბეშა „გორაკი, ქედი“

სიტყვა განმარტოებით დგას უბიხურში, მაგრამ, სავარაუდოდ, მას ფუძეენური წარმომავლობა ახასიათებს.

ცხადია, ქართული უ ხმოვნის შესაბამისად უ ღიფთონგი იყო საერთოსინდურში მოსალოდნელი, მაგრამ ბ-ს მომდევნო პოზიციასში, ბუ თანმიმდევრობის არაკანონიკურობის გამო, უ დაიკარგა, – *ბუეს-ა → *ბეს-ა.

ს.-ქართვ. *ბუს- : ს.-სინდ. *ბეს-ა არქეტიპების შესატყვისი ჩანს ინგუშური ბოს-დე „მთის ფერდობი, დაქანება“ ფორმა.

ს.-ქართვ. *ბუს- „რბილი ბეწვი; რბილად შებუსვა“

ქართ. შე-ბუს-ვ-ა, შე-ბუს-ულ-ი, ბუს-უს-ი

გამოყოფილ ბუს- ძირს ჯერ-ჯერობით არ უჩანს შესატყვისები ახლომონათესავე ქართველურ ენებში, თუმცა გარეენობრივი მონაცემები დამაჯერებლად აჩვენებენ ბუს- ძირის პროტოქართველურობას.

ს.-სინდ. *მეს-ა „თმა“

უბიხ. -მს „თმა“, სიტყვაში ბლ-ა-მს „წარბი“

აბაზ. -მსა „თმა“, სიტყვაში ჯგ-მსა „წარბი“, აფხაზ. -მშ „თმა“, სიტყვაში ა-ჯგ-მშ „წარბი“

სინდურ ენათა მასალა ერთგვაროვანია შედგენილობის თვალსაზრისით. განსხვავებას მხოლოდ იმაში ვხედავთ, რომ უბიხური ერთეული ბლ-ა „თვალი“ ფორმას შეიცავს, მაშინ, როდესაც გაურკვეველი ჩანს აფხაზურ-აბაზური -ჯგ- სემენტის წარმომავლობა.

ს.-ქართვ. *ბუს- : ს.-სინდ. *მეს-ა არქეტიპთან სამართლიანად აკავშირებენ დიდოურ ენათა მუს „თმა, წარბი“ ფორმას, შდრ. ასევე ინგუშ. მოს „თმა“ [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 805].

ს.-ქართვ. *ბუქ- „ბუქი, ქარი“

ქართ. ბუქ-ი „ქარიანი თოვლი“ (საბა)

სვან. ბუქუ/ბიქუ, ბუქუ (ლშხ.) „ქარი“

გვაკლია მეგრულ-ლაზური ალომორფები. სვანური ბუქუ (ლშხ.) სახეობის ფუძე პოვნირია ხევსურულ დიალექტშიც, შდრ. ბუქვი-ი „ბუქი, ნამქერი“. ორივეგან ბოლოკიდური ვ/უ ფონეტიკური დანართი ჩანს.

ს.-სინდ. *ქუგ- „ქარიშხალი“

ყაბ. -ქუგ-, სიტყვაში ლუზ-ქუგ-ე „ქარიშხალი“

რთული შედგენილობის ყაბარდოულ სიტყვაში -ქუგ- სწორად არის გამონაწევრებული, მაგრამ ამ უკანასკნელის უბიხურ ქუგ „წვიმა“ ლექსემასთან დაკავშირება სინამდვილეს არ შეესაბამება [შდრ. ჩირიქბა 1996a : 200]. ვფიქრობთ, *ქუგ- იმთავითვე ქარიშხლის აღმნიშვნელი დამოუკიდებელი ძირი იყო, რომელიც წყობის შებრუნების წყალობით გახდა ქუგ „წვიმა“ სიტყვასთან ასოცირებული (ომონიმური). ამას ამტკიცებს ს.-ქართვ. *ბუქ- არქეტიპი და მასთან ერთად მისი მონათესავე დაღესტნური (ლაკური) ბარქ „ღრუბელი“ სიტყვაც.

ს.-ქართვ. *ბულ- „ობი; დაობება“

ზან. (ლაზ.) ბულ-ი „ობი“, დო-ბულ-ერენ „დაობებულა“

სვან. ბიჰუ → // ბიუ (ლშხ.) // ბიუ (ლნტ.) „ობი“

ქართული შესატყვისი ვერ გამოვლინდა. სვანური ალომორფის ლაზურთან შედარება არკვევს, რომ ბიჰუ ნაუმლაუტარი ფუძეა და ბულ არქაული სახეობიდან მომდინარეობს. გასარკვევია ქართ. (ხევს.) ბოყვი-ი „ობი“ სახელთან გენეტიკური მიმართების პრობლემა [შდრ. კელაურაძე 2016 : 32].

ს.-სინდ. *ბლუგ- „ობი; დაობება“

ადიდ. (ჭემგ.) ბლუგ-თა „ობი“

ჭემგურის სახელის საფუძველზე აღადგენენ ზმნურ ბლუგ- „დაობება“ ფორმასაც [კვახაძე

2014 : 249]. ამგვარი მიდგომა გამართლებული ჩანს, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ადიღური -თა სუფიქსად არის კვალიფიცირებული, შდრ. ადიღ. მას-თჷ, ყაბ. მას-თჷ „ნემსი“ : ქართ. ნე-მს-ი...

ს.-სინდ. *ბღჷგ- : ს.-ქართვ. *ბუღ- კანონზომიერ სტრუქტურულ-სემანტიკურ მიმართებას ავლენს. აქვე თავჩენილია ქართვ. უ : სინდ. უგ ხმოვნური ბგერათმესატყვისობა.

ს.-ქართვ. *ბუღა- „ბოძი; სვეტის თავი“

ქართ. ბუღა-ურ-ი „სვეტის თავი; ბოძის თავი“ (საბა), „სამერხული“ (ჩუბინაშვილი), ქართული „დედაბოძი“

ცხადია, ბუღა- ძირად გამოიყოფა ქართულში და არაფერი აქვს საერთო თურქული წარმომავლობის ბუღა „კურო“ სიტყვასთან.

ს.-სინდ. *ბღგ- „კოჭი“

ადიღ. ბღგ-, სიტყვაში ბღგ-ჳჷ, ყაბ. ბღგ-, სიტყვაში ბღგ-ჳჷ „კოჭი; კადონი; ღერბი“

გვაკლია უბიხურ-აბაზური შესატყვისები. რეკონსტრუირებული *ბღგ- არქექტიპის კანონზომიერი ეკვივალენტი ჩანს ს.-ქართვ. *ბუღა-ა. შეიძლება სინდურ-ქართველურ ძირებს ენათესავებოდეს ინგუშ. ბუოღა „ბოძი, სვეტი“, წ.-თუშ. ბოღურ „პალო“...

სემანტიკურად ბოძი ~ კოჭი ~ პალო კანონზომიერ კორელაციად გვესახება.

ს.-ქართვ. *ბუმ- „ნაბიჭვარი“

ქართ. ბუმ-ი „ნაბიჭვარი“ (საბა), გურ. ბუმ-ალ-იე „ნაბიჭვარი“

მეგრულში პოვნიერი ნა-ბურმ-ელ-ა „ნაბიჭვარი“ იმაზე მიუთითებს, რომ ქართულში ბუმ-ზმნური ძირიც უნდა გვექონოდა ისტორიულად.

ზანურ-სვანურში მოსალოდნელი *ბუმქ- სახეობის ძირი ჯერ-ჯერობით არ იძებნება.

ს.-სინდ. *ბგსჷჷჷ „არამკვიდრი“

ყაბ. ბგჷჷჷჷ „არამკვიდრი“, периодноჷ, ბგჷჷჷჷჷ „გერი (ვაჟი)“, ბგჷჷჷჷჷ „გერი (ასული)“

აბაზ. ფსა, აფხაზ. ა-ფსა „არამკვიდრი“, ან-ფსა „დედინაცვალი“

ამჯერად უბიხური შესატყვისი გვაკლია. დალებიალიზაციის მომდევნო საფეხურზე, რედუქციის შედეგად, აფხაზურ-აბაზურში თავკიდური ბ დაყრუვდა. ამოსავალ ფორმად ყაბარდო-ულისტვის ნავარაუდევია *ბგსჷჷჷ არქექფორმა [აბდოკოვი 1983 : 141].

წინარექართველურისთვის სავარაუდო ჩანს *ბუს- სისინ-შიშინა სიბილანტიანი ძირი, საიდანაც საერთოქართველურში, ს → შ ტრანსფორმაციით, ბუმ- დამკვიდრდა.

სემანტიკური კორელაცია ნაბიჭვარი ~ არამკვიდრი კანონზომიერებას ექვემდებარება.

ს.-ქართვ. *ბუმით- „ბუმტი; დაბუმტება“

ქართ. ბუმტი-ი „ფსლის პარკი“ (საბა), და-ბუმტი-ებ-ა „აბებრება, დაბურცება“

ზან. (ლაზ.) ბუსთ-ი // ბუსტ-ი „მარდის ბუმტი“; „ცხვრის ყვერი“ (ათინ.)

ლაზური მონაცემი შედეგია შთ/შტ → სთ/სტ გასისინების ზოგადი ტენდენციისა, მაგრამ აქ მნიშვნელოვანი ჩანს, ამავდროულად, ლაზური სიტყვის სემანტიკაც.

ს.-სინდ. *ბსთგ- „ფული, ღვივილი; გასიება“

ადიღ. ფშთჷჷჷ-ნ „ფული, ღვივილი, დულილი“, ყაბ. ფსთგ-ნ „დულილი, ადუღება (რძისა)“

უბიხ. ფსთა „გასიება, ადიღება“

გვაკლია აფხაზურ-აბაზური შესატყვისები. ამოსავალი უ ხმოვნის დიფთონგიზაცია (უ → უგ) ფუძესინდურში განხორციელებულა, რასაც რედუქციის მომდევნო საფეხურზე ბ-ს კომბინატორული დაყრუება მოჰყვა – *ბუსთ- → *ბუსთგ- → *ფსთგ-.

ს.-ქართვ. *ბუმით- „ბუმტი, დაბუმტება“ ~ ს.-სინდ. *ბსთგ- „ფული, გასიება; დულილი“ კანონზომიერ სტრუქტურულ-სემანტიკურ შესატყვისობას აჩვენებს. დასაშვებად გვესახება წ.-

ქართვ. ***ბუსთ**- → ს.-ქართვ. ***ბუშთ**- სისინ-შიშინა სიბილანტთა გაშიშინების ფონეტიკური პროცესი ფუძე-ენათა დონეზე.

საყურადღებოა ს.-ნახ. ***ბ-არსთ**- „გასიებული, მსუქანი“ არქეტიპთან გენეტიკური მიმართების პრობლემა.

ს.-ქართვ. ***ბუც**-/***ბუც-ო** „გაბეცება; ბეცი, შტერი“

ქართ. (ქიზიყ.) **ბუც-ო** „ბეცი“

ზან. (მეგრ.) **ფოჩ-ო** „შტერი, ბოთე“, ქრმგშა-**ფოჩ**-უ „სიშტერე ჩაიდინა“

სვანური შესატყვისი გვაკვლია [შდრ. ჩუხუა 2000-2003 : 325]. **ბ** → **ფ** და **უ** → **ო** საკუთრივ ზანური ინოვაცია უნდა იყოს. ქართულში გვაკვლია ზმნური ფორმები, რაც მეორეულ მოვლენას წარმოადგენს.

ს.-სინდ. ***ბგც-გ** „ყალბი; მცდარი“

აფხაზ. **ფგვ** „მცდარი; ყალბი“

საერთოსინდური არქეტიპის რეკონსტრუქცია გვიხდება მხოლოდ აფხაზური მონაცემის საფუძველზე, რაც ართულებს აღდგენის პროცედურას.

როგორც სემანტიკური, ისე სტრუქტურული თვალსაზრისით, სინდურ-ქართველური არქეტიპები გენეტიკურ სიახლოვეს (იგივეობას) გვიჩვენებენ. მათი ზუსტი შესატყვისი ჩანს ბოთლიხ. **ბოცუ** „ბრმა, ბეცი“ და მისი შესაბამისი ფუძეები დალესტნურში [ჩუხუა 2000-2003 : 325-326].

ს.-ქართვ. ***ბუძ-ულ**- „ძუძუ“

ქართ. (მესხ.) **ბუძულ**-ად „ძუძუ“

ზან. (ლაზ.) **ბუძუ** // **ბუძი** „ძუძუ“, **ბუძულ-ონ-ი** „ძუძუიანი“

როცა ლაზური ალომორფების შესატყვისად მესხური ვარიანტი დავაფიქსირეთ, მეტი გაბედულებით შეიძლება ითქვას, რომ **ბუძ-ულ** სიტყვა ფუძეენური წარმომავლობისაა. გამოირიცხება ნ. მარის თვალსაზრისი ბერძნულიდან სესხების შესახებ [მარი 1910 : 133].

ს.-სინდ. ***ბგძგ** „ქალის მკერდი, დვრილი“

ადილ. **ბგძგ**, ყაბ. **ბგძ** „ქალის მკერდი, დვრილი“

უბიხ. **ბგძ** „ქალის მკერდი“

გვაკვლია აფხაზურ-აბაზური შესატყვისები. სწორი ჩანს მსჯელობა იმის შესახებ, რომ უბიხური სახეობა ადილურიდან სესხებას გამოირიცხავს. მკვიდრი სიტყვაა, ფუძეენური ეტიმოლოგიისა [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 305]

სინდურ-ქართველურ ერთობაზე ადრევე მიუთითებდნენ [როგავა 1956 : 14]. აქვე შემოვა დალესტნური მასალაც, შდრ. ალულ. **ბიზი** „ქალის მკერდი“, შდრ. ასევე ლაკ. **მაზუ** „id“. ნ. ტრუბეცკოი ანდიურისთვისაც **ბიზი** ალომორფს უთითებდა [ტრუბეცკოი 1930 : 277], რაც მომდევნო კვლევებით არ დადასტურდა [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 306].

ს.-ქართვ. ***ბუხუ**- „მსუქანი, მსხვილი“

ქართ. (გურ.) **ბუხუ**-ა „მსუქანი“, **ბუხულ**-ა, შდრ. გურ. **ბუხუნხულა**-ი „მსხვილი, მეტისმეტად მსუქანი“

ზან. (მეგრ.) **ბუხუ** „მსხვილი“, **ბუხ-ირ-ია** „მსხვილ-მსხვილი“

გვაკვლია სვანური შესატყვისი. გურულ-მეგრული ალომორფები ცალსახად გამოკვეთენ *მსუქანი / მსხვილი* მნიშვნელობის ერთიან **ბუხუ**- ძირს.

ს.-სინდ. ***ბგხუ**-გ „მსხვილი, ფართო, დიდი“

ადილ. **ბგხუ** „მსხვილი“, ყაბ. **ბგხუ** „ვრცელი, დიდი (პიჯაკზე)“

უბიხ. **ბახუ** „ფართო, ვრცელი, განიერი“

გვაკვლია აფხაზურ-აბაზური შესატყვისები, თუმცა სპეციალურ ლიტერატურაში აქამდე შეპირისპირებული საერთოჩერქეზული ალომორფები [შაგიროვი 1977, I : 104] საკმაო სიზუსტით აღვადგენინებს ფუძესინდურ არქექტიპს.

ს.-ქართვ. ***ბუხტ**- : ს.-სინდ. ***ბეხტ-გ** არქექტიპთა ერთიან წარმომავლობას მხარს უჭერს მათი როგორც ფორმოზოვი, ისე სემანტიკური იგივეობა.

ს.-ქართვ. ***ბლ**- „თავდასხმა“

ქართ. (მოხ.) **ბლ-ეტ-ა** „ავი გულით გამოხედვა“

ზან. (ლაზ.) **ბლ-**, **გო-ბლ-უ** „თავდასხმა“

ჯერჯერობით მხოლოდ ლაზურში ჩანს *თავდასხმის* აღმნიშვნელი **ბლ-** ზმნა. ქართული ენის მოხეურ დიალექტში პოვნის **ბლ-ეტ-ა** „ავი გულით გამოხედვა“ გარკვეულ ინტერესს აღძრავს, მაგრამ კითხვებიც ჩნდება.

ს.-სინდ. ***ბლჷ**- „თავდასხმა“

უბიხ. **ბლჷ**-ი „თავდასხმა“

ფუძეენური წარმომავლობის ზმნა მხოლოდ უბიხურს შემორჩა. ქართველურთან შედარებით -**აჷ-** „ზედმეტა“ სინდურ ენებში, რაც მისი აფიქსურობის საკითხს აყენებს. ***ბლჷ**- → უბიხ. **ბლჷ**, ანუ **ლ-**ს პალატალიზაცია მომდევნო **ვ** ვიწრო ხმოვნის ზემოქმედების შედეგია.

სხვა იბ.-კავკ. ენებში შესაბამისი მასალა ვერ მოვიძიეთ.

ს.-ქართვ. ***ბლ**- „შეგროვება, შეყრა“

ზან. (ლაზ.) **ბლ-**, **ო-ბლ-უ** „შეგროვება, შეყრა“, **ო-ბლ-უ** „შეაგროვა“, **ოკო-ბლ-ალ-ა** „შეკრება“, **ოკო-ბლ-ერ-ი** „შეგროვებული“, **ოკო-ბლ-ინ-უ** „შეკრება, შეყრა“

სპეციალურ ლიტერატურაში ლაზური **ბლ-** ზმნა განიხილება ქართ. **ბელ-ელ-ი**, **ბელ-ო**, მეგრ. **ბალ-უ** „ბელელი“ და **ო-ბალ-ე(ნ)** „ყოფნის“ ფორმების გვერდით, რაც ყოვლად დაუშვებელია. ლაზური **ბლ-** აბსოლუტურად სხვა ძირია. იგი განსხვავებული ეტიმოლოგიის ზმნაა [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 107].

ს.-სინდ. ***ბჷ**- „შეკრება“

უბიხ. **ბჷ** „შეკრება“

წყვილბაგისმიერი **ბ-**ს ფარინგალიზაცია ისტორიული **ჰ** ფარინგალური მჟღერი სპირანტის კვალად მიიჩნევა – **ბჷ** → **ბ**. სინდურ-ქართველური არქექტიპები მხოლოდ ლაზურ-უბიხური იზოგლოსების საფუძველზე აღდგება.

სხვა იბ.-კავკ. ენებში შესაბამისი ძირები ვერ მოვიძიეთ.

ს.-ქართვ. ***ბლაჷ**- „ბუდე, ორმო, ნაპრალი“

ქართ. (ქსნ.) **ბლავ-ან-ი** „ნატამალი, ძირი“

ზან. (ლაზ.) **ო-ბლე** „ბუდე“

სვან. **ბლეჰ** (ბზ.), **ბლეი** (ლშხ.), **ბლე** (ბქ., ლნტ.) „ნაპრალი“

ფუძის ბოლოში ფიქსირებული **ჰ/ღ** ალტერნაცია სვანურში ამოსავალი **ჷ**-ს სასარგებლოდ მეტყველებს, რომელიც ცხადად ჩანს ქართულ **ბლავ-ან-**ში. ლაზური **ე**, ალბათ, **ევ-**ის შემდგომი ტრანზფორმაციაა, **ო – ე** მეტაანალიზის შედეგი – ***ო-ბლევ** → **ო-ბლ-ე**.

ს.-სინდ. ***ბლჷ-ა/ბჷჷ-ა** „ბუდე“

ადილ. ნა-**ბლჷგ**, ყაბ. ა-**ბლჷჷ** „ბუდე“

უბიხ. ა-**ბლჷ** „ბუდე“

აბაზ. **ჰჷა-რა** „ბუდე“

ამოსავალი ფუძე მეტ ცვლილებას დაექვემდებარა აბაზურში, დაიკარგა **ბ** ბილაბიალი – **ბჟ** → **ჭ** (ან შეიძლება, სულაც სხვა ძირია). თავკიდური **ნა-** / **ა-** ჩერქეზულ ენებში ლაზურ **ო-**-ს, ეხმიანება მაგრამ ძირის კუთვნილება აქაც არ უნდა ყოფილიყო, რასაც აბაზური ფორმა ამტკიცებს. მოსაზრებას უჭერს მხარს ინგუშ. **ბჟი**, ჩეჩნ. (ახ.) **ბჟე**, ს.-ნახ. ***ბჟინ** „ბუდე“, შდრ. ასევე დად. (ლოდ.) **ბაღან** // **ბაგან** „ბუდე“.

ს.-ქართვ. ***ბლაჟ-** „ბლავილი, ყვირილი“

ქართ. **ბლავ-ილ-ი**, **ბლავ-ი-ს**

ზან. (ლაზ.) **ბლორ-ინ-ი** „ბლავილი“, მეგრ. **ლორ-ავ-ი** → // **ღვარ-ავ-ი** „ბლავილი“, **ლორ-ან-ს** „ბლავის, ყვირის“

სვან. **ბღელ-ი**, **ბღელ-ი** (ლნტ.) „ბლავის“

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია სვანურ-ქართული ალომორფების ერთიანი წარმომავლობის შესახებ [ქერქაძე 1974 : 127]. ზანური **ბლორ-** ძირიც აქვე შემოდის, ვინაიდან ს.-ქართვ. **ჟ** → ზან. **რ** რეგულარულ-კანონზომიერია, იგი ნასესხებ მასალაშიც დაჩნდება: **ჭვავ-ი** → ლაზ. **ჭვარ-ი**, **ამბავ-ი** → ლაზ. **ამბარ-ი**.

ს.-სინდ. ***-ბლა-** „გაბრაზება“

ადიდ. **მა-ბლა-ნ**, **ყაბ. მა-ბლა-ნ** „გაბრაზება, გულის მოსვლა“

უბიხური **ბახა-** და აბაზ. **ბაჰა-**რა „გულის მოსვლა“ აქ ვერ შემოვა, მათ სხვაგვარი წარმომავლობა აქვთ [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 273].

ს.-ქართვ. ***ბლაჟ-** : ს.-სინდ. ***-ბლა-** კანონზომიერი სტრუქტურული მიმართებაა, რასაც ზურგს უმაგრებს სემანტიკური კორელაცია **გაბრაზება ~ ყვირილი**.

ს.-ქართვ. ***ბლალ-** „შებლალვა, შეურაცხყოფა“

ქართ. **ბლალ-ვ-ა**, **შე-ბლალ-ვ-ა**, **შე-ბლალ-ულ-ი**

ზმნური **ბლალ-** ძირი კარგად არის ცნობილი ძველი ქართულიდან დღემდე: „ვითარცა გასწმიდე კეთროვანი იგი სიტყვითა, განწმიდე შე ბ ღ ა ლ უ ლ ე ბ ა ე ც ა ესე ჩემი“ [აბულაძე 1973 : 472]. მიუხედავად ამისა, შესატყვისები ქართველური ენა-კილოებიდან ჯერაც არ ჩანს.

ს.-სინდ. ***ბლჷ-** „საყვედური; სირცხვილი“

ადიდ. **-ბლჷ**, სიტყვაში **გჷგ-ბლჷ-ნ** „ყვედრება; შერცხვენა, სირცხვილი“, **ყაბ. გჷგ-ბლჷ-ნ** „ყვედრება; საყვედური“

ჩერქეზულში წარმოდგენილი სიტყვა-ფორმები ზუსტად არის სეგმენტირებული და **გჷგ** „გული“ სახელი ცალკე გამოყოფილი [შაგიროვი 1977, I, : 114]. ზმნური **ბლჷ-** კანონზომიერად შეესატყვისება ქართულ **ბლალ-** ძირს როგორც სემანტიკურად, ისე ფორმოზრივი თვალსაზრისით.

ალბათ, ნახური **ბჟალ** „გამხმარი ჭუჭყის კომტი“ სიტყვაც ამავე რიგისაა, შდრ. მთიულ. **ბლალ-** ა „წყალში გახსნილი, ნაკელი; ჭუჭყი“ [ჩუხუა 2008 : 297].

ს.-ქართვ. ***ბლორ-** „გამოქვაბული; ხვრელი“

ქართ. (გურ.) **ბლორ-ო** „გამოქვაბული“

ზან. (ლაზ.) **ბლოჯ-ი** „მღვიმე, გამოქვაბული“ → გურ. **ბლოჭ-ი** „id“

სვან. **ბღერ** „დიდი ხვრელი“

ცნობილია ქართულ-სვანური ძირ-ფუძეთა საერთო წარმომავლობა, თანაც სვანურისთვის სავსებით სამართლიანად დაშვებულია ***ბღრ** უმლაუტიანი ვარიანტი [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 129]. ჩვენი დაკვირვებით, ლაზური **ბლოჯ-ი** (→ გურ. **ბლოჭ-ი**) ალომორფიც აქვე შემოდის. ქართული -ო სუფიქსის ფარდი მასალა ლაზურ-სვანურში გაუჩინარდა.

ს.-სინდ. ***ბლჷჷ-** „ბუნაგი“

ადიდ. **ბღუჭ**, ყაბ. **ბღუჭ** „ბუნაგი“

აბაზური **ჭუარა** „სორო“, ადიდ. **ღუჭ**, ყაბ. **ღუჭ** „id“ და ადიდ. **ღუან** „ხვრელი“ ალომორფების ამავე რიგში შემოტანა უადგილო ჩანს [აბდოკოვი 1983 : 186], ვინაიდან აუხსნელი რჩება **ბღ** → **ღ** გამარტივების ფონეტიკური (თუ ფონოტაქტიკური) საფუძველი.

ს.-ქართვ. ***ბღორ-** : ს.-სინდ. ***ბღუჭ-** არქეტიპთა შედარება კიდევ ერთხელ წარმოაჩენს როგორც **ო** → **უ**, ისე **რ** → **ღ** ფონეტიკურ პროცესთა რეალურობას ჯერ კიდევ ფუძესინდურში.

ს.-ქართვ. ***ბღუჭ-** „ბუ“

ქართ. **ბუ/ბუფ-**ი

ზან. (ლაზ.) **ბღუ/მღუ**, მეგრ. ***ბღუ** → **ღუ** „ბუ“

სვან. **ღუჭ** „ბუ“

აუსლაუტური **ჭ** სვანურში კანონზომიერად ასახავს ფემეენური **უ** სონანტის რეფლექსს – **უ** → **ჭ**, რაც საკმაოდ ხშირია: სვან. **კუჭ** : ქართ. **რკუჭ**, **ჭაჭ** : **ზვავ**... საინტერესოდ ვითარდება **ბღ** კომპლექსის რეფლექსაცია ქართველური ენა-კილოების მიხედვით; როცა ამოსავალი **ბღ** სრულად მხოლოდ ლაზურში შემოგვრჩა, მაგრამ ამავდროულად გამარტივების ტენდენცია ორი მიმართულებით წარიმართა: 1. **ბღ** → **ბ** ქართულში, 2. **ბღ** → **ღ** სვანურსა და მეგრულში [ჩუხუა 2000-2003 : 270; კლიმოვი 1964 : 56].

ს.-სინდ. ***ბღ-** „არწივი; ძერა“

ადიდ. **ბღ** „ძერა; ქორი“, **ბღ-ზ** „არწივი“, ყაბ. **ბღ** „არწივი“

უბიხ. **ბღ-ჯ** „არწივი“

ჰარმონიულ-დეცესიური B სისტემის **ბღ** კომპლექსის ფარინგალიზაცია უბიხურში შეიძლება ასახავდეს არქაულ **ბჭ** ფარინგალურ თანხმონურ ჯგუფს [შდრ. კვახაძე 2014 : 90], რომელიც ინგუშურშიც მეორდება **ბჭოუ** „ბუ“. ჩერქეზულ ენათა **-აზ**, **-ჯ** სუფიქსები, ალბათ, **შავის** აღმნიშვნელი დამოუკიდებელი ძირის ნაშთია [შაგიროვი 1977, I : 79].

ს.-სინდ. ***ბღ** : ს.-ქართვ. ***ბღუჭ-** კანონზომიერი სტრუქტურულ-სემანტიკური მიმართება ჩანს, როცა თანხვდენა უკვე კომპლექსთა დონეზე გვაქვს.

ს.-ქართვ. ***ბძან-/*ბძამ-** „მცენარეა, ბრძამი/ა“

ქართ. (ფშ.) **ბრძამ-ი** „მცენარეა კლდისა“, ქართლ. **ბრძან-ი** „ბრძამი“, **ბრძამ-ა** (ა. მაცაშვილი), სალიტ. **ბრძამ-ი** [Calamagrostis arundinacea]

ზან. {**ბჟინ-**}, **ბჟინ-ევ-ი** (ტოპ.)

იმერული ტოპონიმი **ბჟინ-ევ-ი** შეიცავს **ბჟინ-** (← ***ბჯინ-**) ზანურ ძირს, რომელიც უნდა შეესატყვისებოდეს ქართულ **ბრძან- / ბრძამ-** ალომორფებს [შდრ. ვაშლ-ევ-ი]. სავარაუდოდ ზანური ი ხმოვანი ისტორიულ **ო-ს** ასახავს - **ო** → **ე** → **ი** [როგავა 1962].

ს.-სინდ. ***ბძან** „ხახვი, ნიორი“

ადიდ. **ბჟენ-გ**, ყაბ. **ბჟენ** „ხახვი“

უბიხ. **ჟუამ-ლ’გ** „ხახვი“

აბაზ. **ჯ’გმ-შ’გ**, აფხაზ. **ა-ჯ’გმ-შ’გ** „ხახვი“

აფხაზურ-ადილურ ენათა მასალის ერთიანობაზე მსჯელობდა სხვა კონტექსტში გ. როგავა [როგავა 1956 : 16-17]. ცხადია, აფხაზურ-აბაზურში ისტორიული **ბჯ** კომპლექსი გამარტივდა – **ბჯ** → **ჯ’**. თავკიდური **ბ-ს** კვალი უნდა ჩანდეს უბიხურ **ჟუამ-** ძირში: ***ბჟამ-** → **ჟუამ**. სუფიქსებში უბიხური **-ლ’გ** : აფხ.-აბაზ. **-შ’გ** ასევე ერთიან წარმომავლობას აჩვენებენ.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ **მ/ნ** სუბსტიტუტია შეინიშნება როგორც ქართველურ, ისე აფხაზურ-ადილურ ენებში.

ხუნძური **რაჟრ**, ჭამალ. **ლაზი...**, ჰუნზიბ. **ნიჟი**, ბეჟიტ. **ნიჟი** // **ნეზი** „ნიორი“ შეიძლება, სხვა

ძირი იყოს [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 745].

ს.-ქართვ. ***ზწან**- „მარგვლა; გლეჯა, მოწიწვანა“

სვან. **წწან**- ← ***ზწან**-, ლი-**წწან**-ე „მარგვლა; ამოგლეჯა, მოწიწვანა“

სხვა ქართველურ ქვესისტემებში სათანადო ძირი არ ჩანს. სვანურშიც ფუძის ისტორიული ანლაუტი გამარტივებულია. თავკიდურა პოზიციაში **ბ** (ან **პ**) თანხმოვნის დაკარგვის საკომპენსაციოდ ძირეული **ა** ხმოვანი დაგრძელდა (საკომპენსაციო სიგრძე). სვანური ზმნის საერთოქართველურ ეტიმოლოგიას ეხმიანება სინდურ ენათა მონაცემები.

ს.-სინდ. ***ზწა**- „მარგვლა; თიბვა“

ადილ. **პჭა**-ნ, ყაბ. **პსა**-ნ „მარგვლა“

აფხაზ. **ზწა**-რა „თიბვა“

სინდურ ენათათვის ძირეული სიბილანტი სისინ-შიშინა მკვეთრი უნდა იყოს, რომელიც ადილურში გაშიშინდა (ყაბარდოულში სპირანტიზაცია და სისინ-შიშინა მეორეული, უფრო ზუსტად მესამეული მოვლენა ჩანს – **წ** → **ჭ** → **ს**). აფხაზურში, პირიქით, განხორციელდა გასისინების პროცესი, რაც ერთობ ხშირია – ***ზწა**-რა → **ბწა**-რა.

სვანურ-ადილურ ფუძეთა ერთიანობაზე ადრეც იყო მითითება მ. სალიანის მიერ [იხ. ბუკია 2016 : 133].

ბ

ს.-ქართვ. ***გ**- „ეგ, იგი“

ქართ. **ა-გ-ი**, **ე-გ-ე**, **ი-გ-ი**, **ა-გ-ერ**, **ე-გ-რე**, **ი-გ-ი-ნი**

სვან. **ა-გ-ა** // **ე-გ-ა** // **ე-გ-ი** „იგი“, **ე-გ-ი-პრ** „იგინი“

ზანურ კილოებში შესატყვისები არ ჩანს. ქართულ-სვანურში **-გ-** ცალკე ძირად გამოიყოფა, მას აშკარა ფუძეენური წარმომავლობა ახასიათებს. **გ** → **ჯ** სვანური ინოვაცია ჩანს. ზოგჯერ ***გ**- და ***ე-გ-** არქეტიპებს დამოუკიდებლად აღადგენენ [კლიმოვი 1964 : 57; 78].

ს.-სინდ. ***გ**-ა „ის“

ადილ. (შაფს.) **გ**-ა, ჭემგ., ბჟედ. **ჯ**-ა, აბძახ. **ჯ**ა „ის“

როგორც ვხედავთ, არქაული ვითარება დაცული ჩანს შაფსულურ დიალექტში. ყაბარდოულში შესაბამისი ძირი, თითქოს, დაკარგულია, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ზმნიზედური ფორმები *ახლას* მნიშვნელობით (შდრ. ქართ. **ა-გ-ერ**) იმავე ***გ**-ა ძირს შეიცავს: შაფს. **გუგ**, ჭემგ., ბჟედ. **ჯგ**, აბძახ. **ჯგ**, ყაბ. **ეგ-ჯგ**, ბასლ. **ეგ-გგ** „ახლა“.

სინდურ-ქართველურ ნაცვალსახელებს შესატყვისები ეძებნებათ დაღესტნურ ენებში, შდრ. ლაკ. **გა/გე** „ის“, **გა-ე** „ისინი“, ბოთლიხ. **გო-ვ** / **გო-ე** / **გო-ბ** „ის“, **გო-ლ** „ისინი“...

ს.-ქართვ. ***გა** „-ცა ნაწილაკი“

ქართ. **-ღა-**, ვი-**ღა-ცა**, რა-**ღა-ცა**

ზან. (ლაზ.) ***გა** → **-ხა**, მი-**თ-ხა** ← ***მი-თ-ღა** ← ***მი-თ-გა** „ვინც“, მუ-**თ-ხა** ← ***მუ-თ-ღა** ← ***მუ-თ-ღა** „რადაც“, მეგრ. მი-**ღა** ← ***მი-თ-ღა** „ვინც, ვიღაც“, მუ-**ღა** ← ***მუ-თ-ღა** „რაც, რადაც“

ყველაზე სრულად **-ცა** ნაწილაკის შინაარსითა და ფუნქციით გამოხატული ამოსავალი **-გა** ვარიანტი მეგრულში ჩანს შემორჩენილი. ქართულსა და ლაზურში (პოზიციაურად) მან სპირანტიზაცია განიცადა – **გა** → **-ღა** → **-ხა**.

ს.-სინდ. ***გ**-ა „და კავშირი“; „-ცა ნაწილაკი“

ადილ. (შაფს.) **გ-გ** „და კავშირი“

უბიხ. **-გ**-ა „და კავშირი“

აბაზ. -გა, აფხაზ. -გა „ცა ნაწილაკი“

სინდურ ენებში *გ-ს სეგმენტს მეტი დისტრიბუცია და ფუნქციური მრავალფეროვნება ახასიათებს, მაშინ, როდესაც ქართველურში მისი შესატყვისი *გა მხოლოდ ეტიმოლოგიის დონეზე თუ გამოიყოფა, ისიც -ცა ნაწილაკის ფუნქციით.

მეტად საყურადღებო შესატყვისები ვლინდება დადესტნურ ენებში, სადაც ერთადერთია და კავშირის ფუნქცია, შდრ. ხუნდ. -გი, ლაკ. -გუ, აღულ. -ქა (← *გა) „და კავშირი“.

ს.-ქართვ. *გაბ- „გბობა; ძაფის ხარშვა“

ქართ. გბ-ობ-ა, მ-გბ-არ-ი, უ-მ-გბ-არ-ი

ზან. (ლაზ.) ო-გუბ-უ / ო-გიბ-უ „ხარშვა“, მეგრ. გიბ-უ-ა „აბრეშუმის ძაფის ხარშვა“

სვან. ლი-ჯაბ „ხარშვა“, მგ-ჯაბ „მოხარშული“

ზანურ ალომორფებში თვალნათლივ დასტურდება გ. როგავას წესის მოქმედება – ა → ო/უ → გ/ი [როგავა 1962]. ყველა ქართველური ენის მასალა ჯერ კიდევ ვ. თოფურიამ შეაპირისპირა [თოფურია 1926 : 203].

ს.-სინდ. *გაბ- „ძაფის ამოხვევა; ხარშვა“

აფხაზ. ა-გებ-რა „ძაფის ამოხვევა; გბობა“

თუ გავითვალისწინებთ ა → გ გადასვლის შესაძლებლობას, ადვილად შევნიშნავთ, რომ აფხაზური ალომორფი საკმაო სიზუსტით წარმოადგენს ფუძესინდურ მდგომარეობას.

აფხაზურ-ქართველურ ძირ-ფუძეთა შედარებითი ანალიზი ქ. ლომთათიძემ წარმოადგინა, მაგრამ ავტორი ქართულიდან სესხების თვალსაზრისს ავითარებდა [ლომთათიძე 1999 : 25], რისი დაშვებაც, ჩვენი დაკვირვებით, არ ჩანს აუცილებელი.

ს.-ქართვ. *გაგალ- „საბავშვო თამაში“

ქართ. განგალ-, ა-განგალ-ა-ობ-ა „საბავშვო თამაში“, შდრ. რეფრენი: ა-განგალ-ა-განგალ-ა

სპეციალურ ლიტერატურაში არის მცდელობა, ქართულ ძირს დაუკავშირონ სვანური განგალ „ცოდნა“ [ფენრიხი 2007 : 95], რაც უსაფუძვლოდ გვეჩვენება, დაუძლეველი სემანტიკური წინააღმდეგობის გამო.

ს.-სინდ. *გაგუტ- „თამაში“

ადიდ. (შაფს.) გაგუტ-ნ, ჭემგ. ჯაგუტ-ნ, აბძახ. ჯაგუტ-ნ, ბჟედ. ჯაგუტ-ნ, ყაბ. ჯაგუტ-ნ, ბასლ. გაგუტ-ნ „თამაში“

მიუთითებენ სახელურ ჯაგუტ // გაგუტ „თამაში; ქორწილი“ ფუძეზეც, საიდანაც, თითქოს, მომდინარეობს ჯაგუტ-ნ // გაგუტ-ნ ზმნური ფორმები [მაგიროვი 1977, I : 159].

ს.-ქართვ. *გაგალ- : ს.-სინდ. *გაგუტ- არქეტიპთა შეპირისპირებით ირკვევა, რომ ლაბიალიზებული გუტ-ს წყარო სინდურში ქართველური ლ სონორის შესატყვისი უტ გამხდარა. ეს უკანასკნელი სვანურისებური ლ → უტ დელატერალიზაციის ფონეტიკური პროცესის საფუძველზე წარმოიქმნა ფუძესინდურში.

ს.-ქართვ. *გად-/*გდ- „გდება; ძილი“

ქართ. გდ-ებ-ა, გდ-ია, ა-გდ-ებ-ს, და-ე-გდ-ებ-ა, ჩა-ი-გდ-ო

ზან. (მეგრ.) რდ- ← *გდ-, ი-რდ-ენ-ს „იგდება“

სვან. გედ-/გადა-/გდ-, ხ-ო-გდ-ურ „ხელში აქვს ჩაგდებული, ხელი უკიდია“, ხ-ა-გდ-ი, ხ-ა-გდ-ურ (ლნტ.) „სძინავს; ეძინება“

სტრუქტურულ-ფონეტიკური ერთიანობა ქართველურ ალომორფებს შორის ადვილი დასანახია. მნიშვნელობათა მსგავსი ცვალებისა და განვითარების ფაქტები ცნობილია დადესტნური ენებიდან (ტ. გუდავა).

ს.-სინდ. *განდგ- „დავარდნა“

ადილ. (აბძახ.) ჯანდგ-ნ „დავარდნა“

სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ ნ ნაზალის ფონეტიკურად განვითარების შესაძლებლობაზე და აღადგენენ *გად- სახეობის ძირს [კვახაძე 2014 : 250], რაც შეიძლება სადაო იყოს, ვინაიდან ს.-ქართვ. *გად-/*გდ- : ს.-სინდ. *განდგ- არქეტიპთა დადესტნურ შესატყვისებში ადილური ნ-ს ფარდად რ სონორიანი ზმნები დაჩნდება, შდრ.: ანდ. გირდ- „წოლა“, ტინდ. გორდ- „ძილი“...

ს.-ქართვ. *გაჟ- „ტეხა; მტვრევა“

სვან. გაჟ- „ტეხა“, გაჟ „ნატეხი“, გაჟ-ალ „ნატეხი“

სავარაუდოდ, საერთოქართველური წარმომავლობის ძირი მხოლოდ სვანურმა შემოინახა.

ს.-სინდ. *გჟ- „ფშენა, ნგრევა“

უბიხ. გჟ- „ნგრევა, ფშენა“

გვაკლია აფხაზურ-აზაზური ალომორფები. ჩერქეზულ ფორმათა ერთიანობა ეჭვს არ იწვევს [დიუმეზილი 1965 : 229]. მიუთითებენ გჟ → გ ფონეტიკური გარდაქმნის აუცილებლობაზე უბიხურში, რომელიც ამ მაგალითში რატომღაც არ განხორციელდა, არადა, სათანადო პოზიცია აქ ნამდვილად არსებობდა [კვახაძე 2014 : 251].

ს.-ქართვ. *გაჟ- : ს.-სინდ. *გჟ- კანონზომიერ სტრუქტურულ-ფონეტიკურ მიმართებას აჩვენებს, რასაც სიტყვათა შინაარსის იგივეობა ამყარებს.

ს.-ქართვ. *გალ- „გალობა“

ქართ. გალ-, გალ-ობ-ა, მ-გალ-ობ-ელ-ი

ზან. {გოლ-}, მეგრ. გოლ-უბ-იან-ი (ანთროპ.)

ვფიქრობთ, ქართ. გალ-ობ- ფუძე ზანურში გოლ-უბ-ს მოგვცემდა, რაც შემონახულია კიდევ გვარ-სახელ გოლ-უბ-იან-ში, შდრ. მ-გალ-ობ-ელ-ი, მ-გალ-ობ-ლ-ი-შვილ-ი, მეგრ. გალ-ობ-ერ-ი = მ-გალ-ობ-ელ-ი.

ჯერჯერობით ქართ. გალ- ზმნური ძირის შესატყვისად უკეთესი ალომორფის შეთავაზება ჭირს. ქართ. გალ- : ზან. გორ- „გინება“ (ვ. შენგელია) შეკავშირება პრობლემურია, ვინაიდან ახლავს ლ : რ ქართულ-ზანური ოპოზიცია, რაც ფონეტიკურად ზმნურ მასალაში თითქმის გამორიცხულია. თუმცა გალობა ~ გინება სემანტიკურად ლაპარაკის ძირითად სემას მოიცავს.

ს.-სინდ. *გა- „დამახება, მოსმენა (ხმის)“

ადილ. ჯა-ნ, ყაბ. ჯა-ნ „ხმის გაგონება“

აზაზ. გა-რა, აფხაზ. ა-გა-რა „დამახება, ძახილი“

როგორც მოსალოდნელი იყო სინდურ ენებში, უკვე ფუძე-ენის დონეზე, ლ → ჟ დაიკარგა. სხვა მხრივ ს.-სინდ. *გა- : ს.-ქართვ. *გალ- არქეტიპების ურთიერთკავშირ პრობლემები არ უჩანს.

ქართულ-სინდურ ძირებს ანგარიშგასაწევი პარალელები ეძებნება სხვა იბ.-კავკ. ენებში, შდრ, ხუნძ., კარატ. გალ- „თქმა, ლაპარაკი“, არჩიბ. ლაგ-უმ „სიმღერა“. ასევე გამოთქმულია თვალსაზრისი დადესტნური ძირების ჰურიტულ ქულ- „თქმა, წარმოთქმა“ ზმნასთან გენეტიკური კავშირის შესახებ [დიაკონოვი, სტაროსტინი 1996 : 54].

ს.-ქართვ. *-გამო „უქონლობის სუფიქსი“

ქართ. -გამო, წვერ-გამო „უწვერული, წვერის არმქონე“

ზან. (მეგრ.) -გა „უარყოფის სუფიქსი“, ტვინ-გა- „უტვინო“, ცუნ-გა „ყრუ“ (ეტიმ. „უყურო“), ხორ-გა „დაუსახლებელი ადგილი“ (ეტიმ. უსახლო), შდრ. ხორ-ი „სახლი“, ქვამ-ხორ-ი „ქვის სახლი“...

არ გამოვრიცხავთ ფუძის გამარტივებას მეგრულში – გამო → გა ან, იქნებ, -გამ- → -გა. ყველა შემთხვევაში -გამ-/გა აფიქსთა ძირითადი ფუნქცია მაინც უარყოფითობის/უქონლობის აღნიშვნაა, რაც მხოლოდ მეგრულ-ქართულს შემორჩა, ისიც ნაშთების სახით.

ს.-სინდ. *გტჷ „უქონლობის სუფიქსი“

ადიდ. (შაფს., ბჟედ.) -ქტჷ, ჭემგ. -ქტჷ, ყაბ. -გტა „დეფექტის აღმნიშვნელი სუფიქსი“

უბიხ. {გა} „უქონლობის სუფიქსი“

ვერაუდობთ -გტჷ → -გჷ დამახასიათებელ ფონეტიკურ პროცესს უბიხურში და ამ გზით მიღებული სუფიქსის სესხებას შაფსულურში და შემდგომ სხვა ჩერქეზულ ენა-კილოებში.

ს.-ქართვ. *გამ-ო : ს.-სინდ. *გტა შესატყვისობას სუფიქსთა სტრუქტურულ-სემანტიკურ-ფუნქციური ერთიანობა. ამ შემთხვევაშიც სინდური გტ ლაბიალიზებული კომპლექსის წყარო გამთავრება გამხდარა.

ს.-ქართვ. *გამურ- „შუბი“

ქართ. გმურ-ი „ხელშუბი, ჯელშუბა“ (საბა) გმურ-ი „არს ლახვარი პირ-ბრტყელი და ბუნ-გრძელი“ (საბა)

ზან. (მეგრ.) გუმურ-ი „ერთგვარი შუბი“, შდრ. გუმურ-ი „მკვრივი“.

სათანადო სიტყვა ისტორიულ ლაზურშიც უნდა გვექონოდა, ამაზე გურული გუმურ-ი „შუბი, საომარი იარაღი“ მიუთითებს.

ქართულში (საბა) ძირეული ა ხმოვანი დაკარგული ჩანს, როცა მისი შესატყვისი უ (← ო) ზანურში შენარჩუნებულია.

ს.-სინდ. *გტერ-გ „ნემსი; ტაბიკი“

ადიდ. გტერ-ლ, ყაბ. გტერ-ლ „ტაბიკი“, шкворень

აბაზ. გტერ, აფხაზ. ა-გტერ „ნემსი“

სინდურ-ქართველურ დონეზე შემდგომი სეგმანტაცია შეუძლებელი ჩანს, თუმცა ნახური ინფორმაცია ძვირფასია იმ თვალსაზრისით, რომ აქ V რ არ იძებნება, შდრ. ჩეჩნ. გემეა, ინგ. გემეზ „სასროლი შუბი“. ფუნქციური ჩანს ს.-ქართვ. -ურ : ჩერქ. -ღგ აფიქსაცია, რაც დაღესტნურ ენებშიც გამოჩნდება, შდრ. ლეზგ. განურ „ხმალი“.

ს.-ქართვ. *განძ-ა „წვივი, მუხლი“

ქართ. გაზა, გაზ-ებ-ი „წვივები, წვივის ძვლები“

ზან. {გოჯ-ი} „მუხლი“

სვან. განზ ← *განჯ „წვივი; წვივის ძარღვი“

ზანურ დიალექტებში შესატყვისი ფუძე დაკარგული ჩანს, მაგრამ არა უკვალოდ; როგორც ეტყობა, ძვ. ქართ. გოჯ-ი „მუხლი“ ზანიზმია.

ს.-სინდ. *გტაც-ა „წვივი“

უბიხ. -გტაცა, სიტყვაში ლა-გტაცა „ნაკუთალი“

აფხაზ. -გტაცუ, სიტყვაში ა-შარ-გტაცუ „წვივი“

ს.-სინდ. *გტაც-ა „წვივი“ : ს.-ქართვ. *გამ-ა „წვივი; მუხლი“ ერთ შეუსაბამობას გამოავლენს – ც : ძ, როგორც წესი, მსგავს შემთხვევაებში, იდენტური ოპოზიცია გვაქვს სიმყლერის მიხედვით. დაყრუება ფუძესინდურში განხორციელდა (ძ → ც), რასაც ნახური (ინგუშ. გოამ // გოაზ „ფეხის ნაწილი“) და დაღესტნური (ხვარშ. გუზ „იდაყვი“) შესატყვისები ამტკიცებენ [მეტი დალ. იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 450].

ს.-ქართვ. *გარა „გეჯა; როფო, ქვაბის ყელ-პირი“

ქართ. გარა „ქვაბის ყელ-პირი; კოფო“

სვან. გარჷ ← *გარა „გეჯა, როფი“

იმერული (ოკრიბ.) გარა უფრო ძველი სახეობა ჩანს, ვინაიდან სვანურში ფიქსირებული უნა სიტყვის ბოლოში მიღებულია ა → უ რედუქციის შედეგად: გარჷ ← გარა, შდრ. სვან. ციცჷ : ქართ. ციცა-... *გარა არქეტიპის ზანური რეფლექსები ჩვენთვის უცნობია.

ს.-სინდ. *გარა „ბუდე, აკვანი“

აზაზ. გარა, აფხაზ. ა-გარა „აკვანი, ბუდე“

ჩერქეზულ ენათა მასალა ჯერაც არ გამოვლენილა. ს.-სინდ. *გარა : ს.-ქართვ. *გარა „იდენტური შესატყვისობის“ ნიმუშია, რაც დამახასიათებელი ჩანს ამ ტიპის ძირ-ფუძეებში.

სემანტიკურ დონეზე ქართვ. გეჯა-დან სინდ. ბუდე / აკვან-ამდე კარგი შუალედი ქართ. კოფო სემანტემა.

აფხაზურ-აზაზური ძირები დაკავშირებულია დადესტნურ (რუთულ. გგრ, ლეზგ. ქჷურ ← *გურ „თასი; ტაშტი“) ფორმებთან, რასაც ეხმიანება ურარტული ქერგ „თასი“ [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 440].

ს.-ქართვ. *გარგალ- „ლაპარაკი“

ქართ. (გურ.) გარგალ-, გარგალ-ობ-ს „ავადმყოფი ნელა ლაპარაკობს“

სვან. გარგალ-ა (ზზ.), გარგალ-ა (ლზზ.), გარგალ-ა (ლნტ.) „ლაპარაკი“

სრული სახით ზმნური ფუძე შემორჩენილი ჩანს ლენტეხურ დიალექტში, სადაც რედუქციის ძალა მეტად სუსტია. სარწმუნო პარალელები ქართველური ენა-კილოებიდან მხოლოდ გურულ დიალექტშია გამოვლენილი. გურულშივე იმავე ზმნას [გარგალ-] დაზეპირების შინაარსი ახასიათებს [ტულუმი 1998 : 32].

ს.-სინდ. *გალგალ- „ბევრი ლაპარაკი“

აფხაზ. ა-გალგალ-ა-რა „ბევრი ლაპარაკი, ყბედობა“

ქართველურ-აფხაზური იზოგლოსია, რომელსაც ახასიათებს ორსავე ენობრივ ქვესისტემაში როგორც ბგერის გაორკეცება, ისე ერთგვაროვანი სემანტიკა.

სინდურ-ქართველურ ზმნებს ეხმიანება ხუნძური გარგა-დ-იზე, კარატ. გარგალ-ედუ „ლაპარაკი, საუბარი“, სადაც ძირის რედუპლიკაცია ასევე პოვნირი ჩანს.

ს.-ქართვ. *გარძ-ელ- „გრძელი, დაგრძელება“

ქართ. გრძ-ელ-ი, სი-გრძ-ე // სი-გრძ-ო, გან-გრძ-ობ-ა

ზან. (ლაზ.) გუნძ-ე / გინძ-ე „გრძელი“, ო-გინძ-ან-უ „და-/გა-გრძელება“, მეგრ. გგრძ-ე / გუნძ-ე / გირძ-ე / გინძ-ე, ტოპ. გურძ-ემ-ი

სვან. გძ- / გზ-, ლი-გძ-გნ-ე / ლი-გზ-გნ-ე „გაჭიმვა; გაწელვა“

მეგრულ-ლაზურ კილო-თქმებში დამოწმებულ ძირთა უ გახმოვანება უწინარესია და საერთოქართველურისთვის ა ვოკალიზმს ითვალისწინებს. სვანური ჯოდ-ია „გრძელი“ სიტყვის აქ შემოტანა უსაფუძვლოა [შდრ. შმიდტი 1962 : 102].

ს.-სინდ. *გგძ-ა „დიდი“

უბიხ. გგძ-ა „დიდი“, სგ-გგძ-ა-შგ-ნ „ვიზრდები, დიდი ვხდები“

გასარკვევია პალატალიზებული გ ფონემის წარმომავლობა უბიხურში. თუ იგი გჷ ლაბიალიზებული კომპლექსის რეფლექსია, მაშინ საკითხი დგება ს.-ქართვ. რ : ს.-სინდ. უ შეფარდების შესახებ, რაც რ → უ ფონეტიკურ ტრანსფორმაციაზე მიუთითებს საერთოსინდურ ფუძე-ენაში.

უბიხურ-ქართველურ ძირ-ფუძეთა გენეტიკური ერთიანობა ადრინდანვე ცნობილია [ჭარაია

1912 : 22], მაგრამ პარალელები ნახური ან დაღესტნური ენებიდან დღემდე არ გამოვლენილა.

ს.-ქართვ. *გერსალ- „გინგლი, თმა; კანი“

ქართ. გერსლ-ი „გინგლი, თმა, ბალანი“

ზან. [ქარშ-] „მომსხო ძაფისაგან მოქსოვილი ბრტყელი სარტყელი“

სვან. გარტაშ-ა // გარტაშ-ა „გველის პერანგი“

ზანური შესატყვისი თითქოს ქართულშია შემონახული ქარშ-იკ-ი სიტყვის სახით ე : ა, გ →

ქ, ს : შ მიმართებები ამაზე უნდა მეტყველებდეს.

სვანურში *გარშა იყო მოსალოდნელი. სინამდვილეში კი მეტათეზირებული ფუძე გვაქვს.

ს.-სინდ. *ქსტ- „ფაფარი; გვირგვინი თავზე“

ადილ. საქტ, ყაბ. სოქტ „ფაფარი“

აფხაზ. ა-ქტშტ „გვირგვინი თავზე“

წყობაში სუბსტიტუცია სინდური ენებისა აფხაზური ბგერათათანმიმდევრობის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. ამაზე ქართველურთან ერთად დაღესტნური (ხუნძ. ქტას „მატყელი“, თაბას. ქუმ „დალალი“...) და ნახური (წ.-თუმ. ქარს-ან „თხის მატყლის თოკი/ბაწარი“) ინფორმაცია ცხადად მეტყველებს [უფრო მეტი იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 709).

ს.-ქართვ. *გემ- „დაგეშვა; დაჩვევა“

ქართ. გემ-, და-გემ-ვ-ა, და-გემ-ილ-ი

სხვა ქართველურ ენა-კილოებში მოსალოდნელი *გამქ- ან *გემგ-/კ სახეობის ძირ-ფუძეები არ ჩანს. მეგრული გრემ-უ-ა „დაგეშვა, დაჩვევა“ სამწერლობო ქართულიდან უნდა იყოს შესული, რ ფონეტიკური (ან ბგერწერითი) ჩანართია.

ს.-სინდ. *ღსს „აღზრდა; გაწვრთნა; დაგეშვა“

ადილ. ღსს-ნ, ყაბ. ღსს-ნ „აღზრდა, გაწვრთნა, დაგეშვა, დაჩვევა“

იმავე მნიშვნელობის უბიხ. ცვ- „დაჩვევა, მიჩვევა“ სხვა ეტიმოლოგიას გულისხმობს და აქ ვერ შემოვა [შდრ. შაგიროვი 1977, I : 127].

სიბილანტთა შესატყვისობა ს.-ქართვ. შ : ს.-სინდ. ს მიუთითებს წინარექართველურში სისინ-შიშინა ს სიბილანტის არსებობაზე.

ერთი შეხედვით, უჩვეულო თავკიდურა ფონემური ოპოზიცია გ : ღ, ალბათ, აიხსნება ძირის სიმბოლიკური აგებულებით (ფონოსემანტიკა) ან შ არქეფონემის პოსტულაციით ორსავე წინარე-ენაში.

შესაბამისი მასალა მონათესავე იბ.-კავკ. ენებში ვერ მოვიძიეთ.

ს.-ქართვ. *გემ- „პატარა, მოზარდი“

ზან. (მეგრ.) გამ-ი „მოზარდი“ (ა. ქობალია), შდრ. მეგრ. გამ-იგ-ია

სხვა ქართველური მონაცემის უქონლობის პირობებში ვიხელმძღვანელებთ ქართველურ ბგერათშესატყვისობათა ჩვენებით ხმოვნურ ნაწილში – ქართ. ე : ზან. ა, რაც აღვადგენინებს ს.-ქართვ. *ე არქეფონემას.

ს.-სინდ. *გამ- „წიწილა“

ყაბ. გამ-აჲ „წიწილა“

სიტყვა განმარტოებით დგას ყაბარდოულში, მაგრამ საერთოსინდური ფუძე-ენის კუთვნილება ჩანს. ზუსტია ვ. აბაევის მსჯელობა იმის შესახებ, რომ ამ რიგის სიტყვებს ახასიათებთ ბგერწერით-სიმბოლიკური აგებულება, შდრ. უდ. ქიწი „წიწილა“ [აბაევი 1989, IV : 528].

სემანტიკური კორელაცია პატარა ~ წიწილა „ბუნებრივად გვესახება, შდრ. ქართ. წიწილ- „წიწილა“ ~ ზან. ჭიჭ-ე/ა „პატარა“ ~ სვან. ჭიჭტ // ჭიჭუ „წიწილა“.

ს.-ქართვ. *გუალ- „ბოსელი“
სვან. (ზს., ქს.) გუალ „ბოსელი“

უფრო ადრე ვფიქრობდით, რომ სვან. გუალ „ბოსელი“ გენეტიკურად ქართ. გომ-ი სიტყვას უკავშირდებოდა [ჩუხუა 2000-2003 : 86], რაც შემდგომი კვლევებით არ დადასტურდა. არგუმენტად მაშინ ქართ. მ : სვან. ლ შესატყვისობას მოვიხმობდით (შდრ. ქართ. ქათამ- : სვან. ქათალ „id“), თუმცა აუხსნელი გვრჩებოდა თავად გუმ // გემ „გომური“ ალომორფის პოვნიერება სვანურშივე.

ს.-სინდ. *გუარ- „შემოკავებული ადგილი“
ყაბ. გუარ-ან „შემოკავებული ადგილი“
უბიხ. გუალ-ჰ „შემოკავებული ადგილი“
აფხაზ. ა-გუარ-ფ „კარ-მიდამო“

ფუძეენურ მდგომარეობასთან მეტ სიახლოვეს ყაბარდოული ფორმა ამჟღავნებს. რ → ლ გვიანდელი, საკუთრივ უბიხური, მოვლენა ჩანს. წარმოდგენილ ნიმუშებში უბიხ. -ჰ, ყაბ. -ან სადერივაციო აფიქსები უნდა იყოს.

ყურადღებას იქცევს ს.-ქართვ. ლ : ს.-სინდ. რ, რაც რეგულარულ-კანონზომიერი მოვლენაა. ოსური გორენ „ღობე“ ნახურ ენათაგან შეთვისებულ სახეობად გვესახება, შდრ. დაღ. : წახ. გორ, თაბას. გურ „ღობე“..., ხუნდ. გორენ „შემოკავებული ადგილი საქონლისათვის“ [შდრ. აბაევ 1958, I : 524-525].

ს.-ქართვ. *გუალ- „გაჩერება“

სვან. გუაჷ- / გუაჷ- / გუაჷ- , ლი-გუაჷ-ი (ბზ.), ლი-გუაჷ-ი (ბქ., ლნტ.), ლი-გუაჷ-ე/ი (ლშხ.) „გაჩერება, დაყენება“

ბოლოკიდური უ სვანურში დამახასიათებელი ლ → უ ლაბიალიზაციის ცნობილი ფონეტიკური პროცესის შედეგი ჩანს, რაც სპორადულადაა თავჩენილი. სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ ქართულ შესატყვისზეც – გუ-ი-ან- [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 138-139], რაც საეჭვო ჩანს, შდრ. ქართ. ა-გვ-ი-ან-ებ-ს : სვან. ხ-ა-რნ-გუ-ნ-ე „ავგვიანებს“ [ჩუხუა 2000-2003 : 189].

წ.-სინდ. *გულ- „დგომა, გაჩერება“
ხათ. гул „დადგომა, გაჩერება“

სვანურ-ხათურ გუალ- / გულ- ზმნებს, შეიძლება, კანონზომიერად შეესატყვისებოდეს დაღესტნური მასალაც, შდრ.: დარგ. (ჩირგ.) ელგ-ი, რუთულ. არგ-ენ / არგ-ას „დარჩანა“. ამავდროულად ადვილი დასანახია მეტი სხვაობა დაღესტნური მონაცემებისა როგორც სემანტიკაში, ისე სიტყვის სტრუქტურაში.

ს.-ქართვ. *გუანც- „ჭინჭარი“

სვან. {გუანც-} „ჭინჭარი“, გუანც-უ „ჭინჭრაქა“

ისევე როგორც ქართულში, სვანურშიც ჭინჭრაქა კავშირშია ჭინჭარ- დენდრონიმთან, ანუ ეს ფრინველი მეჭინჭრედ ხასიათდება, შდრ. მეგრ.-ლაზ. ჭინჭა/ჭურჭა და ჭუჭყელე „ჭინჭარი [თოფურია 1979 : 90]. მსგავსი სურათი იკვეთება ინდო-ევროპულ ენებშიც, შდრ. რუს. крапива „ჭინჭარი“ ~ крапивник „ჭინჭრაქა“

ს.-სინდ. *ჭუაც-ა „ჭინჭარი“

აბაზ. (ტაპანთ.) ჭუაცა, აფხაზ. (ზზიფ.) ა-ხუაც, აბჟ. ა-ხუაც, ახჭ. ა-ხუაცა „ჭინჭარი“

სიტყვის თავში ვლინდება საყურადღებო ფონემური ოპოზიცია ს.-ქართვ. გ : ს.-სინდ. ჭ, რაც იმეორებს ს.-ქართვ. უარგ- „თავადი, აზნაური“ ~ ს.-სინდ. უარჭ „თავადი“ არქეტიპებში დამოწმებულ ბგერათშესატყვისობას. ორივე შემთხვევა გამოდგებოდა ი ფარინგალური მჟღერი აფრიკატის სარეკონსტრუქციოდ.

სხვა იბ.-კავკ. ენებში შესაბამის ძირ-ფუძეებს ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვ. ***გუას**- „შიმშილი“

ქართ. **გუას**-ინ-, **გუას**-ინ-ებ-ა-დ „შიმშილი“

ზან. (მეგრ.) **გოს**-, **გოს**-ია „გასივსივება, სიკვდილი, სულის გაფრთხობა“

ფუძეთა მიმართება **გუას**-/**გოს**- ფორმოზოგიკური დონეზე კანონზომიერი ჩანს. ასევე ბუნებრივად გვესახება სემანტიკური კორელაცია *შიმშილი ~ გასივსივება*, რაც შიმშილისგან გამოწვეულ ულონობას უნდა გამოეწვია.

ს.-სინდ. ***შგა**- „მარხვა“

აბაზ. **ჩგა**-რა, აფხაზ. ა-**ჩგა**-რა „მარხვა“

ს.-სინდ. ***შგა**- აფხაზურ-აბაზურში აფრიკატიზაციას განიცდის: **შ** → **ჩ**. ამგვარი დაშვების მართებულობას მხარს უჭერს დადესტურ ენათა ონფორმაცია, შდრ.: დარგ. **გაშ**-ი, ლეზგ. **ქაშ**, თაბას., ადულ., რუთულ. **გაშ**, წახ. **გაშ** „შიმშილი“.

გარდა ამისა, სინდური არქეტიპი შებრუნებული წყობისა ჩანს, ანუ ქართულ-დადესტურ ერთგვაროვან ბგერით თანმიმდევრობას აჩვენებენ, მაშინ, როდესაც, მაგალითად, შუმერული **შაგარ** (šagar) „შიმშილი“ აფხაზურ-აბაზური **ჩგა**- ზმნის დარად ასევე შებრუნებული წყობისაა [იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 431].

ს.-ქათრვ. ***გუაწ**-ა „ხორბლის ჯიში“

ქართ. (დიალ.) **გვაწა** „ხორბლის ჯიში“

ზან. {**გოწ**-}

სვან. {**გუაწ**-} „ერთგვარი მცენარე“, **გუაწ**-ინ-ა (ბზ.), **გუაწ**-ა (ლშხ.), **გუაწ** (ლნტ.) „ჭინჭრაქა“

ზანურ დიალექტებში კანონზომიერი შესატყვისი არ ჩანს, თუმცა მეგრულის ჩვენება უფრო სრულია ვიდრე საკუთრივ ქართული ინფორმაცია. აქ **გვაწა** ნასესხობის სახითაა პოვნიერი და აღნიშნავს *ხორბლის ჯიშს, რომელსაც მრგვალი მარცვლები აქვს* (ა. ქობალია). საკუთრივ მეგრული ფორმა შეიძლება ჩანდეს სვანურ **გოწ** „ფეტვისნაირი ბალახი“ სიტყვაში.

მნიშვნელოვანია სვანური ვითარებაც, სადაც **გუაწ**-, ალბათ, რაღაც მცენარეა, რომელსაც ფრინველი (ჭინჭრაქა) ეტანება. სწორედ აქედან განვითარდა ზოონიმის შინაარსი.

ს.-სინდ. ***გუაც**-გ „ხორბალი“

ადიდ. (შაფს.) **ქუაწც**, ჭემგ. **ქუაწც** „ხორბალი“, ყაბ. **გუაწ** „ხორბალი“

უბიხ. **ქუაწც** „ხორბალი“

აფხაზურ-აბაზურ ენებში კანონზომიერი შესატყვისები ჯერაც არ არის გამოვლენილი. როგორც ეტყობა, შაფსულურში რეგრესული ასიმილაცია გვაქვს, ხოლო ყაბარდოულში – პროგრესული. შეიძლება, დაისვას საკითხი უბიხური სახეობის ადიღურიდან მომდინარეობის შესახებ [შდრ. მესაროში 1934 : 335; კვახაძე 2014 : 70].

დარგულ **ჯუჩა** „პური“ ლექსემასთან ჩერქეზული ვარიანტების შეპირისპირება საფუძვლიანობას არის მოკლებული [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 895], ვინაიდან დარგულის **ჯუჩა**-ს ჩერქეზულ ენათა (შაფსულური) **ღჩე** „ფეტვის სახეობა“ შეესატყვისება.

ს.-ქართვ. ***გუედ**- „ჯოხი; კუნძი“

ქართ. **გვედ**-ო, ო-**გვედ**-ა-დ

ზან. (მეგრ.) ო-**გვად**-ო „ოგვედა; ორპოტიკა ჯოხი“

ქართული ენის გურულ დიალექტში **ოგვადო** ფუძეც პოვნიერია, მაგრამ იგი მეგრულიდან უნდა იყოს შეთვისებული, ვინაიდან ქართ. ო-**გვედ**-ა : ზან. ო-**გვად**-ო კანონზომიერებას ექვემდებარება, შდრ. ე : ა და ა : ო.

ს.-სინდ. *ქდ-გ „მორი, დირე, ჯირკვი“

აბაზ. ქდგ, აფხაზ. ა-ქდგ „მორი, დირე, ჯირკვი“

ჩერქეზული შესატყვისები აქაც გვაკლია, თუმცა მის ადგილს წარმატებით ავსებენ გარე-ენობრივი ფაქტები, შდრ. ს.-სინდ. *ქდ-გ : ს.-ქართვ. *გუედ- და ლეზგ. გურდ „ნამორი“, ალულ. გურდ-არ „მორი“, ნახ. (წ.-თუმ. გუდურ „ხის საბეჭავი“) და სხვ. [მეტი იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 699].

სტრუქტურულად ს.-სინდ. *ქდ-გ არქეტიპს ქართ. გვედ-ო უფრო მარჯვედ უდგება.

ს.-ქართვ. *გუეუ- „დაფქვა“

სვან. გუეუ- → // გუეჰ- → // გუეი- „ფქვა“, ი-გუეჰ (ზს.), ი-გუეი (ლშხ.), ი-გუეუ (ლნტ.) „იფ-ქვავს“

ერთ-ერთი იმ ძირთაგანია სვანურში, სადაც სრულად შეგვიძლია უ → ჰ//მ ფონეტიკური პროცესის ევოლუციას დავაკვირდეთ სვანური დიალექტების მიხედვით. ცხადია, ლენტეხურის ვითარება უფრო არქაულია.

ს.-სინდ. *გუჰ- „ნაყვა“

ადილ. გუჰ-ნ „ნაყვა, ნგრევა“

უბიხ. გუჰ- „დარტყმა/ნაყვა მარცვლის გამოსაბერტყად“

ჰ. ფოგტი უბიხურ ზმნას განმარტავს აგრეთვე, როგორც წვრილად დაფქვას [ფოგტი 1967: 129], რაც ანგარიშგასაწევია სვანურ ალომორფებთან შეპირისპირების გასამყარებლად [ბოუდა 1950 : 293; შაგიროვი 1977, I : 117]. საერთოდ, უამისოდაც დაფქვა ~ ნაყვა კანონზომიერ სემანტიკურ ოპოზიციად წარმოგვიდგება.

ს.-ქართვ. *გუელ- „გველი“

ქართ. გველ-ი, გველ-თევზ-ი

ზან. (ლაზ.) მგვერ-ი // გვერ-ი „გველი“, მეგრ. ნგვერ-ი // გვერ-ი „გველი“

სვანურ შესატყვისად უიჯ-ის მოხმობა დამაჯერებლად ვერ ჩაითვლება (ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 143), მისი შესატყვისი უნდა ჩანდეს ქართულ ოძ-ში (ოძ-ის-ი, ოძ-ელ-ი), რომელიც ნა-სესხობის სახით სომხურშიც დასტურდება [ჩუხუა 2000-2003 : 224].

ს.-სინდ. *გუჰ- „ვეშაპი“

ადილ. ჯაჰ-გ, ყაბ. ჯაჰ „ვეშაპი“

ჩერქეზულიათვის უფრო ძველი ვარიანტი აბაზურში შემოგვრჩა ნასესხობის სახით, შდრ. აბაზ. გაჰ „ვეშაპი“. იმასვე ადასტურებს ოსური გაჰ-ა ფორმაც, სადაც უფრო სრული (ადილეური-სებური) სახეობა შენარჩუნდა.

ს.-ქართვ. *გუემს- „ველური პრასა“

ქართ. გვემს-ი „გარეული პრასა“ (ჩუბინაშვილი)

სიტყვა მხოლოდ ქართულში დასტურდება, მაგრამ, სავარაუდოდ, ფუძემდებელი წარმომავლობისაა. ამას ცხადყოფს ჩერქეზული (და არამხოლოდ) იზოგლოსები.

ს.-სინდ. *განს- „ლობიო; ბარდა“

ადილ. განშ, ყაბ. განშ „ლობიო; ბარდა“

უბიხური და აფხაზურ-აბაზური მონაცემები გვაკლია. მიუხედავად ამისა, საკმაო სიზუსტით შესაძლებელი ხდება საერთოსინდური არქეტიპის რეკონსტრუქცია.

ს.-ქართვ. *გუემს- : ს.-სინდ. *განს- არქეტიპთა შედარებითი ანალიზი არკვევს, რომ ძირეული მჭლერი გუტურალის ლაბიალიზაცია საკუთრივ ქართველური მოვლენაა, რაზეც დალესტური მა-

სალაც მიუთითებს. შდრ. თაბას. **გაშ** „კანაფი“. აქვე იკვეთება ბგერათშესატყვისობა აქცესურ კომპლექსთა დონეზე – ს.-ქართვ. **მს** : ს.-სინდ. **ნს**, რაც კიდევ უფრო სანდოს ხდის ამ სინდურ-ქართველურ შეპირისპირებას.

ს.-ქართვ. ***გუნენ**- „მსუქანი, სუქება“

ზან. **გვან**-, ლაზ. **გვან**-ერ-ი „გასუქებული“, „მსუქანი“, შდრ. **მგვან**-ა „სუქება; სასუქი“, მეგრ. **გვან**-ილ-ი „გასუქებული, მსუქანი“, **გვან**-აფ-ა „სუქება“

სვან. **გუარ**-, **გუარ**-ა „სუქება“, **ლუ-გუარ** „მსუქანი“

ქართული შესატყვისი დაკარგული ჩანს. ისტორიული **ნ** → **რ** სვანურში დამახასიათებელი პროცესია, შდრ. ქართ. ზეგან-ი : სვან. ზაგარ, თუმცა ზანურში **რ**-იანი ვარიანტებიც დაიმუშავებია იმავე მნიშვნელობით – მეგრ. **გორ**-ო „მსხვილი“, **გორო-გორო** „მსხვილ-მსხვილად“.

ს.-სინდ. ***გუნენ**- „მძიმე“

უბიხ. **გუნენ**- სიტყვაში **გუნენ**-ტყუა „მძიმე“

გუნენ-ტყუა კომპოზიტი და ითარგმნება როგორც მძიმე-მძიმე (შდრ. ქართ. მსხვილ-მსხვილი). ვინაიდან ნებისმიერი **გუნენ** უბიხურში დელაბიალიზაციით პარალელურ **გ**-ს იძლევა, ფუძე-ენისათვის აღვადგენთ ***გუნენ**- ლაბიალიზებულ პროტოტიპს.

სხვა იბ.-კავკ. ენებში შესაბამის ძირ-ფუძეებს ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვ. ***გუერ**- „გვერდი“

ქართ. **გვერდ**-ი, **გვერდ**-ით, იმერ. **გვერდ**-ი „ნახევარი“, გამოთქმაში: ჩხირი **გვერდად** არ აქცევს (მ. მაჭავარიანი)

ზან. (ლაზ.) **გვარ**-დ-ა „გვერდი“

იგივე **გვერ**- ძირი ზანურში იხმარება *ნახევრის* მნიშვნელობითაც, ამიტომაც **-დ**- სადერივაციო აფიქსად გამოიყოფა, შდრ. ლაზ. **გვერ**-დ-ი, მეგრ. **გვერ**-დ-ი, მაგრამ ლაზ. **გვერ**-ი „ნახევარი“.

სვანური შესატყვისი ვერ გამოვლინდა.

ს.-სინდ. ***გუნ**- „გვერდით; მახლობლად“

ადილ. **გუნ**, ყაბ. **გუნ** (ზმნისწ.) „გვერდით; მახლობლად“

აფხაზ. ააფ-**გუნ**-რა

ჩერქეზული რეკონსტრუქციის შემთხვევაში უნდა ამოვიდეთ იმ რეალობიდან, რომ ისტორიულად ლოკალური პრევერბები დამოუკიდებელი სიტყვა-ფორმებიდან მომდინარეობენ, რასაც დადესტნური, გენეტიკურად საერთო, მასალაც ამოწმებს, შდრ. ლეზგ. **გუნ** „მახლობლად, გვერდით“ [აბდოკოვი 1983 : 75].

ს.-ქართვ. ***გუნერ**- : ს.-სინდ. ***გუნ**- არქეტიპთა ჩვენეული შეპირისპირება აჩვენებს, რომ ბოლო-კიდური ვიზრანტი **რ** ფუძესინდურში დაკარგულა, თანაც უკვალოდ.

ს.-ქართვ. ***გუერთ**- „გროვა; ბლუჯა“

ზან. (მეგრ.) **გვერთ**-ი „გროვა, ბლუჯა (ბალახისა)“, **გვერთ-გვერთ**-ო „გროვა-გროვა, ბლუჯა-ბლუჯა (გლეჯა ბალახისა)“

საინტერესო სურათი იკვეთება მეგრულში, სადაც, ერთი მხრივ, პოვნიერი ჩანს აფხაზურიდან ნასესხები **ავგართა** „ჯგრო; გროვა“ და, მეორე მხრივ, შენარჩუნებულია ფუძეენური წარმომავლობის **გვერთ**-ი სიტყვაც.

ს.-სინდ. ***გუნართ**-ჲ „ჯგუფი; ცხვრის ფარა“

ადილ. **ქუართ**, ყაბ. **გუნართ** „ჯგუფი; ცხვრის ფარა“

აზაზ. **გუნართა**, აფხაზ. ა-**გუნართა** „ჯგუფი; ცხვრის ფარა“

ამჯერად მხოლოდ უბიხურში გვაკლია შესატყვისი, რომლის უქონლობა ვერ ცვლის საქმის

ვითარებას. ს.-სინდ. ***გუართ**-ა : ს.-ქართვ. ***გუერთ**- არქეტიპის შესატყვისი ჩანს ლაკური **ჰურთუ**-**კოლექტივი**“. რაც შეეხება ოსურ **კორდ** // **კუარდ** „ჯგუფი“ სიტყვას, იგი ქართული **კოლტ**-ის ვაინახური შესატყვისი უნდა იყოს, რაზეც არაანლაუტური გამჟღერების **ტ** → **დ** პროცესიც მიუთითებს [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 476].

ს.-ქართვ. ***გუეს**- „მზაკვარი“

ქართ. **გუეს**-ი „მზაკვარი“ (საბა), სი-**გუეს**-ე „მზაკვრობა დიდი“ (საბა)

ძირი განმარტოებით დგას ქართულში, მაგრამ, ვინაიდან გააჩნია სანდო იზოგლოსები, საერთოქართველურიდან მომდინარე გვგონია.

ს.-სინდ. ***გუაშ**-გ „ჯადოქარი“

ადილ. (ჭემგ.) **გუაშ** „ჯადოქარი“

ფუძის შემდგომი სეგმენტაციის საფუძველი ჩერქეზულში არ არსებობს, ამიტომაც სიტყვას ერთიან ლექსემად მიიჩნევენ [კვახაძე 2014 : 116].

თავკიდურა **გ** „ხედმეტია“ ქართულში, რაც შეიძლება, ფონეტიკურად განვითარდა **გ**-ს წინ ან, პირიქით, ამოსავალი **გ** ფარინგალური მჟღერი ფრიკატივი დაიკარგა ადიღეურში. წ.-ქართვ. ***გ** → ს.-ქართვ. ***გ** არ ჩანს მოულოდნელი, ამიტომაც ჩვენ ამ შესაძლებლობას ვუჭერთ მხარს.

სინდურ-ქართველურ ძირებს ენათესავება დაღესტნურიდან უდ. **გუსრ** „ჯადოქარი“ და, იქნებ, ჭამალ. **გომე** „დედაბერი“...

ს.-ქართვ. ***გუეს**- „საქმე“

სვან. **გუემ** „საქმე“, **გუემ**-ურ „უსაქმო“

ძირი პოვნიერია მხოლოდ სვანურ დიალექტებში, მაგრამ ვინაიდან მოეპოვება სანდო პარალელები სინდურ ენებში, ფუძეური წარმომავლობისა გვგონია. ძველ ქართულში სი-**გუეს**-ე ნიშნავს *სიმძაფრე / სიმწვავეს*, რაც სემანტიკურად სვანურ **გუემ**-თან კავშირს გამორიცხავს.

ს.-სინდ. ***გუანს**- „საქმე“

აბაზ. **გუგს**, აფხაზ. ა-**გუგს** „საქმე“, ა-**გუგს**-და-რ „უსაქმურობა“

სინდურ ენებში თავკიდურა პოზიცია გამარტივებული ჩანს, დაიკარგა არქიფონემა **გ**, რაც სხვა შემთხვევაშიც დადასტურდა (იხ. აქვე ს.-ქართვ. ***გუეს**- „მზაკვარი“). შეიძლებოდა გვეფიქრა **გ**-ს წინა პოზიციაში **გ** გუტურალის ფონეტიკურად განვითარების თაობაზე სვანურში, რაც საკმაოდ ხშირია, მაგრამ აქაც, როგორც ***გუეს**- „მზაკვარი“ არქეტიპის შემთხვევაში, უფრო რეალურად **გ** → **ღ** პროცესს მივიჩნევთ აფხაზურ-აბაზურში.

ს.-ქართვ. ***გული**- „გული“

ქართ. **გულ**-ი

ზან. (ლაზ.) **გურ**-ი → // **გუ**-ი, მეგრ. **გურ**-ი „გული“

სვან. **გუი**, **გუ** (მრავლ. რ. **გუტ**-არ) ლშხ. „გული“

ქართული **გულ**- ძირის კანონზომიერი ფონემური შესატყვისია ზანური **გურ**-, ხოლო ყველაზე სრული სვანური ალომორფი ლაშხურ **გუტ**-არ მრავლ. რ. ფორმაში ჩანს შემონახული, ანუ სვან. ***გულ**- → **გუტ**- → **გუ** // **გუი** [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 155-156].

ს.-სინდ. ***გუგ**- „გული“

ადილ. **გუგ**, ყაბ. **გუგ** „გული“

უზბიხ. **გუგ** „გული“

აბაზ. **გუგ**, აფხაზ. ა-**გუგ** „გული“

საინტერესო ფაქტია, რომ სწორედ *გულის* აღმნიშვნელი ძირების ურთიერთშედარების საფუძველზე გაკეთდა დასკვნა იბ.-კავკ. ენათა საერთო გენეტიკური წარმომავლობის შესახებ

[ჭარაია 1912 : 22], მაგრამ ამ მასალაში ყველაზე ახლოს სინდურ-ქართველური ძირები დგანან. სინდური პირდაპირ იმეორებს სვანური ალომორფის გზას უ (← *ლ) ფონემის დაკარგვითა და ა.შ.

ს.-ქართვ. *გ(ი)- „დგომა, ყოფნა, არსებობა“

ძვ. ქართ. ჰ-გი-ეს „არის, არსებობს“, ე-გ-ო-ს „დგეს“

სვან. ლ-გ-გ „დგას; არის“

უნდა გამოირიცხოს შესაძლებლობა ქართ.-ზან. დგ- „დგმა“ ზმნასთან კავშირისა; ზუსტი ჩანს ჰ-გი-ეს / ლ-გ-გ შეპირისპირება [მაჭავარიანი 1965 : 86]. ასევე გამოსარიცხია ა-გ-ებ-ს / ო-გ-ამ-/აფ-ს ზმნაში გამოყოფილ გ- ზმნურ ძირთან ეტიმოლოგიური კავშირი [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 130].

ს.-სინდ. *გგ- „დგომა“

აბაზ. გგ-ლ-რა „დგომა“, გგ-ლა-რთა „სადგომი“, აფხაზ. ა-გგ-ლა-რა „დადგომა; დგომა“

სვანურ-აფხაზურ ფორმათა შეპირისპირება ადრეც იყო ცნობილი, მაგრამ ამავე კონტექსტში მოიხმობდნენ ქართვ. დგგ-/დგ- და ჩერქ. თგგ-/თგჯ „ადგომა“ ზმნებსაც [ჭარაია 1912: 22; როგავა 1956 : 39-40], რასაც ვერ მივიჩნევთ მიზანშეწონილად.

ს.-ქართვ. *გ(ი) : ს.-სინდ. *გგ- დამოუკიდებელი არქექტიპებია, რომლებსაც, ჩვენი აზრით, კანონზომიერად შეესატყვისება ბასკური ე-გო-ნ „ყოფნა, არსებობა“ და ხუნძური -გო (ვ-უ-გო „ვარ, ხარ, არის მამაკაცი“)...

ს.-ქართვ. *გინ- „ვითომ“

სვან. გინ „ვითომ“

ქართველური ენა-კილოებიდან სიტყვა დამოუკიდებლად მხოლოდ სვანურში დასტურდება. გარეენობრივი მასალა კი თვალნათლივმიუთითებს იმაზე, რომ სვანური გან საერთოქართველური ეტიმოლოგისაა.

ს.-სინდ. *გგ- „და- კავშირი“

უბიხ. გნ „და- კავშირი“

აფხაზ. გგ „და- კავშირი“

სინდურ ენათაგან სიტყვა მხოლოდ უბიხურშია შემორჩენილი. პალატალიზებული გ შედეგი ჩანს ფუძეენური ი ვიწრო ხმოვნის შემდგომი ტრანსფორმაციის ზეგავლენისა – *გგ → *გგ → გნ. ამოსავალში ი ხმოვნის პოვნირებას მხარს უჭერს სვანური მონაცემი.

ს.-ქართვ. *გირ- „უნაგირი“

ქართ. უნა-გირ-ი

ზან. (მეგრ.) ონა-ნგერ-ი // ონა-ნგირ-ი // უნა-ნგირ-ი // ონა-გირ-უ „უნაგირი“

სვან. ჰგნ-გირ // ჰგნ-გრ-ილ „უნაგირი“

ქართველური სიტყვები რთული შედგენილობისად მიიჩნევა. აქ აშკარად გამოიყოფა უნა / ონა / ჰგნ სეგმენტები, რაც ნაშთი ჩანს ძველქართული ჰუნე „ცხენი“ სახელისა, რომელსაც უტყუარი შესატყვისები ეძებნება დაღესტნურ ენებში, შდრ.: ხუნძ. ხუნ-ი, ახვაზ. ხვან-ი, კარატ. ხვანე // ხონი, ლოდ. ხვანი „ცხენი“. დარჩენილი გირ-ი აღნიშნავს საკუთრივ უნაგირს.

ს.-სინდ. *-გგუ „უნაგირი“

უბიხ. უანა-გუ „უნაგირი“

სიტყვა განმარტოებით დგას უბიხურში, მაგრამ მას საერთოსინდური წარმომავლობა ახასიათებს – უბიხ. -გუ : ს.-ქართვ. *-გირ-. საკითხის გარკვევაში გვეხმარება დაღესტნური მონაცემები. ამ უკანასკნელში პოვნირია მარტივი შედგენილობის ფუძეები მსგავსი მნიშვნელობით, შდრ.:

დარგ. გილ-ი, ლაკ. კილ-ი..., ხუნძ. ლილ-რ, ანდ. ლირ-ი „უნაგირი“. ვფიქრობთ, პალეოკავკასიურმა ლ სონორმა საერთოსინდურში უ მოგვცა – *გგუ „უნაგირი“, ხოლო ანდიურსა და ქართველურში იგი რ-ში გადავიდა.

ს.-ქართვე. *გი(რ)წყ- „რწყილი“
ქართ. გრწყ-ილ-ი, ხევს. გირწყ-ილ-ი „რწყილი“
ზან. (მეგრ.) წყ-ირ-ი, ლაზ. მწკ-ირ-ი „რწყილი“
სვან. ზგსყ / ზისყ ← *გიწყ- „რწყილი“

ჯერ კიდევ მ. ჯანაშვილის დროიდან ცნობილი ეს ქართველური შეკავშირება დღემდის საკამათოდ ხდის რეკონსტრუირებული ძირის შედგენილობისა და სტრუქტურის საკითხებს [კლიმოვი 1964 : 65; კლიმოვი 1998 : 33; ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 152]. ქართული და სვანური მეტნაკლებად ძველი მონაცემების საფუძველზე, ჩვენი აზრით, აღდგება *გი(რ)წყ- არქეტიპი.

ს.-სინდ. *კვწ-ა „წილი, ბაღლინჯო“
ადილ. წაჭა, ყაბ. წაჭა ← *წაკა „წილი“
აბაზ. კაწა, აფხაზ. ა-კაწა „ბაღლინჯო“

საყურადღებო ჩანს *წაკა / *კაწა შიდა აფხაზურ-ადილური სუბსტიტუცია, რაც კიდევ ერთხელ ნათლად აჩვენებს, თუ რაოდენ გავრცელებული იყო იბ.-კავკ. ენებში საურთიერთო მეტათეზისის პროცესი; რისი გათვალისწინების გარეშე მრავალი ძირის ეტიმოლოგია ჩვენს ენებში ვერც გაირკვეოდა.

გარე ნათესაობიდან საინტერესოა ს.-ნაზ. *გირწ- „მუნი“ და ლაკ. კაჩა „რწყილი“ ფორმები.

ს.-ქართვე. *გობ- „დიდი თევში, გობი“
ქართ. გობ-ი „დიდი თევში“ (საბა), „თევშის მსგავსი ამოთლილი ან შეკრული ხის ჭურჭელი“ (ქეგლ)

სვან. გუბ, გობ (ლშხ.) „გობი“

ამ საერთოქართველური ფუძის შესატყვისებს არ იცნობს ზანური დიალექტები. ქართულ-სვანური ფუძეები ერთმანეთს დაუკავშირა ჰ. ფენრიხმა [ფენრიხი 2007 : 109].

ს.-სინდ. *ბზგუ „ვედრო“
ყაბ. ფზგუ „ვედრო“

ვედროს გაგება გვიანდელი ჩანს. ეტიმონური შინაარსი უფრო ქართველურშია დაცული, რასაც ეხმიანება ნახურ ენათა ჩვენება – ჩეჩნ. ბუოგა, ინგუშ. ბოგ „დიდი ჯამი, ტაშტი“.

ქართველური ალომორფები შებრუნებული წყობით არის წარმოდგენილი, ამას ნახურ-ჩერქეზული ფუძეები თვალნათლივ აჩვენებენ.

ასახსნელია ბ → ფ ანლაუტური დაყრუების საფუძველი ყაბარდოულში.

ს.-ქართვე. *გოგ- „ნარნარით სიარული; კობტად ჭენება“

ქართ. გოგ-მან-ი „ნარნარი სიარული“, გოგ-ვა „ფრინველთ კეთილი სლვა“ (საბა), გოგ-ავ-ს „მოხდენილად დადის“, მ-გოგ-ავ-ი, მო-გოგ-მან-ე.

ზან. (მეგრ.) გვანგვ-ალ-ი „გოგმანი“

წესით მეგრულში გუგ- ვარიანტს მოველოდით, მაგრამ, როგორც ირკვევა, ძირის განვითარებაზე უფრო ადრე სიმბოლიკურმა აგებულებამ იმოქმედა და გონგ- → გუანგუ- გარდაქმნა განხორციელდა.

ს.-სინდ. *გაგუ- „ცეკვა“
ადილ. ჯაგუ-ზნ, ყაბ. ჯაგუ-ზნ „ცეკვა“

ჩერქეზულ დიალექტებში დასტურდება უფრო ძველი განხმავანების ძირებიც: შაფს. გზგუ-

გნ. ბასლენ. გ^{აგტ}-გნ „ცეკვა-თამაში“ [კვახაძე 2014 : 298].

ქართურ-სინდურ შესატყვისებში ბგერათშესატყვისობითი ჩვენება დაცულია, როგორც მოსალოდნელი იყო **CoC** → **CaC^ტ** ფუძე-სინდურში, შდრ. ს.-ქართვ. *გოგ- : ს.-სინდ. *გაგტ-.

ს.-ქართვ. *გოგ- „ფეხი“

ქართ. გოგ-ი, გოგ-ვ-ა „მფრინველთ ხლტომა ფეხითა მოსაწონად“ (ჩუბინაშვილი); „ფრინველთ კეთილი სლვა“ (საბა), გოგ-ა / გოგ-ი „ფეხი; ბოძი“

სვან. გოგ-/გტეგ- „უსაქმოდ სიარული“

ზანურ დიალექტებში შესაბამისი ნიმუშები არ ჩანს. სიტყვა ქართულში მეტი დისტრიბუციით ხასიათდება და ფეხის მნიშვნელობა ცალსახად იკვეთება ისეთ დერივატებში, როგორცაა მოხ., მთიულ. სა-გოგ-ავ-ი „აკვნის ფეხი“, ქიზიყ. სა-გოგ-ავ-ი „ბარის საფერხული“, ხევს. სა-გოგ-ან-ი „აკვნის ფეხი“.

ს.-სინდ. *ქტაკ- „მუხლი“

ადილ. (ჭემგ.) ქტაკ- „მუხლი“

სპეციალურ ლიტერატურაში ქტაკ- ფორმას ერთიან ძირად მიიჩნევენ და აღნიშნავენ, რომ ძირის შემდგომი დანაწევრების საფუძველი არ არსებობს [კვახაძე 2014 : 133]. რეკონსტრუირებული *ქტაკ- სინდური არქეტიპი ფორმალურად უფრო ახლოს დგას წოვა-თუშურ ქოკ „ფეხი“ სიტყვასთან, მაშინ, როდესაც ქართველური გოგ- ვაინახურ ქუოგ // ქოგ ალომორფებს ეკედლება. ყველა შემთხვევაში აღწერილ ძირებს ერთიანი წარმომავლობა ახასიათებთ.

ს.-ქართვ. *გოგოლ- „ბორბალი, მრგვალი“

ქართ. გორგოლ-ა, გორგოლ-აჟ-ი, გოგორ-ა „ერქვანთ თვალი საბურავი“ (საბა)

ზან. (მეგრ.) გორგოლ-ია „პატარა ბორბალი; რგოლი“

სვან. გოგტერ – მრავლ. რ. გოგორ-ალ „ურმის თვალი“

ფუძის რედუქციკაციაზე საუბარი არ ჩანს არგუმენტირებული, ვინაიდან თითქმის ყველა იბ.-კავკ. ენაში წარმოდგენილი მონათესავე ძირები მაშინ ფუძეგაორკეცებული გამოდის და თუ ეს მოხდა, კითხვა ისმის როდის? [შდრ. ჩუხუა 2000-2003 : 83].

ს.-სინდ. *გტარგტალ- „მრგვალი, წრე“

აბაზ. გ^{აგა}, აფხაზ. ა-გტარგტალ-ქე „მრგვალი, წრე (ბეჭედი)“

ამ შემთხვევაში აფხაზური აჩვენებს მეტ სიძველეს, თუნდაც ფუძის ლაბიალიზაციის თვალსაზრისით, რომლის მოშლითაც უნდა აიხსნას გ-ს პალატალიზაცია აბაზურში გ^ტ → გ^ა, შდრ. ნა-ხური (წ.-თუშ. გოგო „რგოლი“), დადესტნური (არჩიბ. გურგი „მრგვალი“) და სხვა.

ს.-ქართვ. *გოდნა „უკანა ტანი“

ქართ. (ინგილ.) გოდნა-ე „დევთა და მისთანათა უკანა ტანი“

ინგილოურმა დიალექტმა შემოინახა საერთოქართველური ძირი, რომელიც მარტივი (არასეგმენტირებადი) შედგენილობისა ჩანს და ერთი მორფემის ფარგლებში გამოხატავს „უკანა ტანის“ შინაარსს, შდრ. მეგრ. ოფარე „id“.

ს.-სინდ. *გტედგ „vulva“

ადილ. გტედგ, ყაბ. გტედ „vulva“

უფრო ძველი სახეობის ფუძე ადილურს შემორჩა, მაგრამ ძირის ნაზალური ელემენტი აქაც დაიკარგა. ნ-ს ოდინდელ არსებობაზე, ქართველური მასალის გარდა, დადესტნური მონაცემები მეტყველებენ, შდრ. ხუნძ. გტენდ, ახვაზ. გტანდი „ორმო“...

ს.-ქართვ. *გომ- „ბოსელი“

ქართ. გომ-ი „ბოსელი, საქონლის საზამთრო ბინა“

სვან. გუმ, გემ (ბქ.) „გომური; სარდაფი; ოთახი“

გვაკვლია მეგრულ-ლაზური ალომორფები, სადაც გუმ-ი იყო მოსალოდნელი [ფენრიხი, სარ-ჯველაძე 2000 : 147].

საერთოქართველური *გომ- ასახავს ერთ-ერთ შინაურ საქონელს ან სულაც ძროხის აღმნიშვნელი იყო, ისევე, როგორც ბოს-ელ-ი შეიცავს დაღესტნური (ხუნძური) ბასრ „მოზვერი“ (შდრ. ახ-ვახ. ბუშა „id“ ...) სახელის ქართველურ შესატყვისს.

ს.-სინდ. *გუმ-ა „ძროხა“

უზბიხ. გუმბა „ძროხა“

სიტყვა განმარტოებით დგას უზბიხურ ენაში, მაგრამ, სავარაუდოდ, ასახავს ფუძეენურ მდგომარეობას.

ს.-ქართვ. *გომ- : ს.-სინდ. *გუმ-ა არქექტიპების კანონზომიერი შესატყვისი შეიძლება, იყოს დაღესტნური (ხინალუღური) გემა „ღორი“ ფუძე, თუმცა ანგარიშგასაწევია საკმაოდ დიდი სემანტიკური სხვაობა – ძროხა ~ ღორი.

ს.-ქართვ. *გორ- „გორვა, გორება“

ქართ. გორ-ავ-ს, ძვ. ქართ. გორ-ვ-ებ-ა-დ

ზან. (ლაზ.) ვ-ო-ნგორ-ავ „ვაგორებ“, ო-ნგორ-უ „გაგორება“

სვან. გურ-ან „გორება“, მუ-გურ-ან-ე „გაგორებული“

კანონზომიერია ქართულ-ლაზურ გორ-/ნგორ- (ეს უკანასკნელი ძვ. ქართულშიც პოვნიერია) შესატყვისობა [ჩიქობავა 1938 : 263-264]. გარკვეულ პრობლემებს ქმნის სვანურის უ გახმოვანება, რასაც -ან „ზედმეტი“ სემანტი ემატება. ეს შეიძლება გახდეს საფუძველი იმისა, რომ სვან. გურ-ან-სხვა ეტიმოლოგიის ძირად ჩაითვალოს.

ს.-სინდ. *გურ-ა-

ადიდ. (შაფს.) ქარზ-ზ-ნე, ჭემგ. ჩარზ-ზ-ნე, ყაბ. ჯარა-ზ-გნ, ბასლ. გარა-ზ-გნ „გორვა; ბრუნვა; გორება“

სხვა სინდურ ქვესისტემებში შესატყვისებს ვერ ვხედავთ, ამის გამო ძნელდება გურ ლაზიალიზებული ფონემის პოსტულაცია. თუმცა ქართველურ მასალასთან შედარება ამის შესაძლებლობას იძლევა, შდრ. ს.-ქართვ. *გორ-. დაღესტნურთან შედარებაც გურ ლაზიალიზებული არქიფონემის სასარგებლოდ მეტყველებს, შდრ. კარატ. გურ-ილ „გორვა“.

ს.-ქართვ. *გორგორ- „რგოლი; ბორბალი“

ქართ. გოგორ-ა „ერქვანთ თვალი საბრუნავი“ (საბა), გურ. გოგორ-ა-ი „ბორბალი“

ზან. (მეგრ.) გორგოლ-ია „რგოლი; პატარა ბორბალი“

სვან. გოგურ (მრავლ. რ. გოგორ-ალ) „ურმის თვალი“

არ გამოირიცხება ქართველური ფუძეების რთული (რედუპლიცირებული) წარმომავლობა, შდრ. ქართ. გორ-ავ-ს.

ს.-სინდ. *გურგურ- „რგოლი“

აბაზ. გურგურ „რგოლი“

სინდური ჯგუფის სხვა ენებში შესაბამისი ფუძე დაკარგული ჩანს, თუმცა აბაზური ენის ინფორმაცია საკმარისად ტევადია ფუძეენური მდგომარეობის რეკონსტრუქციისათვის. მით უმეტეს, მაშინ, როდესაც მოგვეპოვება სარწმუნო ქართველური შესატყვისები. აქვე უნდა ვახსენოთ მსგავსი აგებულების ზმნები დაღესტნური ჯგუფიდანაც, შდრ. ლაკ. ქურქურ ტუნ „გორება, გორვა“.

შაფსულური გურგ-ან „ბრუნვა, გორვა“ არ არის გამორიცხული, რომ უზბიხურ შესატყვისს

წარმოაჩენდეს, შდრ. ს.-სინდ. *გუ → უბიხ. გ.

ს.-ქართვ. *გოფ- „ბევრი, ბლომად“
ზან. (მეგრ.) გუფ-უ-ა „ბლომად, ბევრის სმა“
სვან. ქუფ- „ბევრი, ბლომად“, ქუფ-დ „ბლომად“

ქართულში შესაბამისი ძირი დაკარგული ჩანს. სვანურ-მეგრული შესატყვისობის საფუძველზე ს.-ქართვ. *გოფ- არქეტიპის აღდგენა რეალობად გვესახება. ივარაუდება გ → ქ ასიმილაციური დაყრუება სვანურში.

ს.-სინდ. *გუაფ- „ჯგუფი, გროვა“
ადილ. ქუგფ, ყაბ. გუგფ „ჯგუფი, გროვა“
უბიხ. ქუგფ „ჯგუფი, გროვა“
აბაზ. გუგფ, აფხაზ. ა-გუგფ „ჯგუფი, გროვა“

არ გამოვრიცხავთ უბიხური მონაცემის ადილურ წარმომავლობას. გარდა ამისა, კიდევ ერთხელ ცხადი ხდება, რომ ყრუ ~ მჟღერი ფონემური მიმართების დროს ყაბარდოული ყოველთვის არ აჩვენებს მეორეულ ვითარებას. ამაზე აფხაზურ-აბაზური თვალნათლივ მიუთითებს, ანუ ადილ. ქუგფ ← *გუგფ.

სინდურ ძირებთან აკავშირებენ მეტად საყურადღებო დალესტნურ სიტყვებს: დიდ. გუპ, ხვარშ. გუბ, ბეჟიტ. კუპი-მო „გროვა, ბორცვი“ [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 448-449].

ს.-ქართვ. *გუდ- „გუდა; გიდელი“
ძვ. ქართ. გუდ-ა-მ, ახ. ქართ. გუდა

ზან. (მეგრ.) გგდ-ელ-ი // გიდ-ელ-ი „გრძელი, მრგვალი და ბოლო ვიწრო კალათი“, ლაზ. გიდ-ელი „ყურძნის საკრეფი კალათი“
სვან. გუდ-რა // გუიდ-რა „გუდა“

წარმოდგენილი საერთოქართველური ძირის სუფიქსაცია განსხვავებულია -ა/-ელ/-რა. ადრე ზანურ შესატყვისადაც გუდა მიიჩნეოდა [კლიმოვი 1964 : 66], რაც არ უნდა იყოს მართებული. ვფიქრობთ, ზანური გუდა ქართულიდან არის შეთვისებული; საკუთრივ ზანური შესატყვისი კი შენარჩუნებულია გგდ-ელ-ი // გიდ-ელ-ი ალომორფებში, შდრ. უ // ო → გ/ი ზანურში [როგავა 1962].

ს.-სინდ. *გუგენ-გ „კალათი“
ადილ. ქუგენგ, ყაბ. გუგენგ „კალათი“
აფხაზ. ა-ქუგენ „დიდი კალათი“

მჟღერი გუტურალის რეკონსტრუქცია ფუძემდებური მდგომარეობისათვის ყაბარდოულის ჩვენებას ეყრდნობა და სავსებით პირობით ხასიათს ატარებს. გ არქიფონემის აღდგენას მხარს უჭერს ქართველურ ენათა მასალა, თუმცა დალესტნურ ენებში უკლებლივ ყველგან ანლაუტური ქ სტაბილურია, აქვე პოვნირია დ გახმოვანება, ნაცვლად სინდური ნ-სი, შდრ.: ხუნძ. ქოდე-ხელ „თივის კალათა“, დიდ. ქუდ, ჰინუხ. ქუიდ, ქიდ, ბუდუხ. ქუდ „კალათა თივის საზიდად“.

ლეზგიური ენის გაორკეცებულ ფუძეებში სინდურისებური ნ დაბოლოებაც გამოჩნდა – ქუთ-ქუნ // ქუთ-ქუნ „კალათი“.

ს.-ქართვ. *გუზ- „ცეცხლი; ცეცხლის დანთება“, „წვა“

ძვ. ქართ. მუ-გუზ-ი // ნი-გუზ-ალ-ი „მუგუზალი“, ახ. ქართ. მუ-გუზ-ალ-ი, გუზ-გუზ-ი „გიზ-გიზი“, აღ-გუზ-ებ-ა, და-გუზ-ებ-ა

ზან. (ლაზ.) დო-გუზ-აფ-ა „ცეცხლის დანთება“, ვ-ი-გუზ-ერ „ვიწვი“, მეგრ. დო-რზ-ამ-ა „ცე-

ცხლის დანთება, წაკიდება“, ვ-ო-რზ-ან-ქ „ცეცხლს ვუკიდებ/, ვანთებ“, დო-რზ-ამ-ალ-ი „დანთებუ-ლი (ცეცხლი)“

სვანური შესატყვისი გვაკლია. ზანურში რედუქციის მომდევნო საფეხურის ალომორფები მხოლოდ პოვნირი. ამ გზით მიღებული გზ კომპლექსი მეგრულში კიდევ უფრო შეიცვალა – გზ → რზ, რასაც ფონოტაქტიკური შეზღუდვა დაედო საფუძვლად.

ს.-სინდ. *გუზ- „კერა (ცეცხლის), ქურა“

ხათ. kuz-an „კერა“, tete-kuzz-an „დიდი ქურა“

აფხაზურ-ადიღურ ენებში შესაბამისი ძირ-ფუძეები დაკარგული ჩანს. სამაგიეროდ ს.-ქართვ. *გუზ- არქეტიპის კანონზომიერი შესატყვისი შემონახულია ხათურ ენაში, რომელიც წინა-რესინდური ფუძე-ენის ვითარებას ასახავს. თავკიდური k ხათურში უდრის g-ს, ანუ აქ ისეთივე g/k სუბსტიტუცია მოწმდება, როგორც d/t და სხვა შემთხვევებში ჩანს ხათურისთვის ბუნებრივი. წვა / ცეცხლი სემანტემათა პოვნირება ხელშესახებია როგორც ქართველურ, ისე ხათურ დერივა-ტებში.

არ არის გამორიცხული, ამავე ძირს შეიცავდეს ნახური კურზ სიტყვაც, შდრ. ვაინახ. კურზ „ჭვარტლი, მური“.

ს.-ქართვ. *გულ- / *გოლ- „ვირი“

ზან. (ლაზ.) გურ-უნ-ი, მეგრ. გერ-ინ-ი // გირ-ინ-ი „ვირი“

ზანური გურ- ძირი არ უნდა უკავშირდებოდეს ქართულ ვირ-ი სიტყვას [შდრ. თოფურია 1979 : 58]. ქართულში მოსალოდნელი იყო გულ- ან გოლ-ტიპის ლექსემა ვირის ან ცხენის მნიშვნე-ლობით, რომლის შესატყვისსაც ზანური გურ- წარმოადგენს. აქ -უნ → -გნ // -ინ საკუთრივ ზანური აფიქსებია. ამ მიმართულებით, იქნებ, საინტერესო იყოს ჯავახ. გოლ-უგ-ი „ვირი“.

ს.-სინდ. *გუგუ- „ბულა; ვირი“

ყაბ. გუგუ „ბულა“

სხვა ჩერქეზულ ენა-კილოებში ჩვენთვის საინტერესო სიტყვა-ფორმა არ იძებნება. სიტყვის აუსლაუტში გამოჩნდება ლ → უ სვანურისებური პროცესი ჩერქეზულში. ლ-ს პირველადობას მხარს უჭერს დადესტნური მასალა, შდრ. დიდ. გულ-უ „ცხენი“, ჰინუხ. გულ-უ „ულაყი“. ჩერქე-ზული სიტყვა, რომელიც დაიკარგა, ნასესხები გგლ-გუ „ვირი“ სახით ბალყარულს შემორჩა. ჩერქე-ზულ წყაროს გულისხმობს ასევე ოსური (დიგორ.) გლ-აუ „ვირთხა“.

საერთოკავკასიური სიტყვის ეტიმოლოგიური შინაარსი ულაყისა უნდა ყოფილიყო.

ს.-ქართვ. *გურ- „ყმა; გლეხი“

სვან. გურ, გურ „ყმა, გლეხი“, ლი-გურ / ლი-გურ „ყმოზა“, ლი-ფუსდ-ლი-გურ „ბატონყმოზა“

საერთოქართველური წარმომავლობის გურ- სახელი მხოლოდ სვანურ ენაში შემოგვრჩა. გურ- ფუძე მკაფიოდ მიაწინებს სოციალური დიფერენციაციის არსებობის შესახებ უკვე საერთო-ქართველურ ფუძე-ენის დონეზე.

ს.-სინდ. *გურ- „მონა / ყმა“

უბიხ. გარ-გ „მონა“

აფხაზ. ა-გურ-გ „მონა, ყმა“

გვაკლია ადიღური მონაცემები, თუმცა უბიხურ ალომორფში პალატალიზებული გ ფონემის არსებობა ნამდვილად მყარი არგუმენტია ძირეული თანხმობის ოდინდელი ლაბიალიზებული ბუნების სამტკიცებლად.

ს.-სინდ. *გურ- „მონა / ყმა“ : ს.-ქართვ. *გურ- „ყმა; გლეხი“ კანონზომიერ მიმართებას აჩვენებს როგორც სტრუქტურულ-ფონეტიკური, ისე სემანტიკური თვალსაზრისით.

ს.-ქართვ. *გურდემ-ალ- „გრდემლი“

ქართ. გრდემლ-ი // ქვრდემლ-ი // ქვირდემლ-ი

ზან. (მეგრ.) ქულამურ-ი ← *გურდამურ-ი „გრდემლი“

სვან. ქურმილ // ქურილ „გრდემლი“

ქართველური ძირის ამოსავალი სახეობა მეტ-ნაკლებად ქართულში არის სრულად შემონახული, თუმცა აქვე შეიმჩნევა გ/ქ „სუბსტიტუცია, ამიტომაც, იქნებ, დუბლეტური *გურდემალ- / *ქურდემალ- არქეტიპები აღგვედგინა ფუძეენური მდგომარეობისათვის.

ს.-სინდ. *გꞑდჷ-ა „ცული/შუბი“

ყაბ. ჯგდა „ცული“

უზბიხ. გꞑტჷგ „შუბი, ხელშუბი“

მეტად დიდი ჩანს სხვაობა მნიშვნელობებში, თუმცა შუალედურ რგოლად შეიძლება მოვიშველიოთ დაღესტნურ ენათა სემანტიკები ჩაქუჩი - ცული, რაც გასაგებს ხდის სემანტიკურ ტრანსფორმაციას, შდრ.: ტინდ. ქოტა „ჩაქუჩი / ცული“, ხუნდ. ქჷართა „ცული“ ~ ჰინუხ. ქჷედინ // ქოდინ „მჭედლის დიდი ჩაქუჩი / კვერი“ [სხვა დალ. ძირ. იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 713].

დ

ს.-ქართვ. *და „და მაერთებელი კავშირი“

ქართ. და (კავშირი)

ზან. დო „და კავშირი“

სვან. დი „და კავშირი“

განსხვავებას ქმნის დი გახმოვანება სვანურში, რომელიც მონაცვლეობს (იშვიათად) ი „და კავშირი“ ალომორფთან (ი. ჩანტლაძე). აქვე განიხილავენ მეგრ.-ლაზ. -და ნაწილაკსაც [კლიმოვი 1964 : 68], რომელიც სხვა ეტიმოლოგიას გულისხმობს, შდრ. აჭარ. და.

ს.-სინდ. *-და- „ერთობლიობის აფიქსი“

ადილ. დჷ-, ყაბ. დჷ- „ერთობლიობის აფიქსი“

უზბიხ. -და „ერთობლიობის აფიქსი“

საერთოსინდური *-და- კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. *და არქეტიპს. სემანტიკური თვალსაზრისით, ერთობლიობა ბუნებრივად შეეფარდება და კავშირის ფუნქციას, რაც განმტკიცებულია მატერიალური იდენტურობით.

ს.-ქართვ. *დაბ-ა „მიწა, სოფელი, ყანა“

ქართ. დაბა „სოფელი, დასახლებული ადგილი“, უ-დაბ-ნ-ო, უ-დაბ-ურ-ი, მ-დაბ-ურ-ი „სოფელი“

ზან. (ლაზ.) დობა „მიწა“, შდრ. დობა-წიწი „მიწის ჭია, ჭიაყელა“, მეგრ. დობ-ირა // დობ-ერა „სახნავი მიწა“

სვან. დჷბ // დაბ „ყანა“

შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგივე დაბ- ძირი ჩანს ქართ. დაბ-ალ- // მ-დაბ-ალ- სიტყვაშიც, მაშინ აქვე შემოვიდოდა ლაზური დობარ-ჩალა „დაბალი“.

ს.-სინდ. *დჷჷ „მინდორი“

ადილ. დჷ-, ყაბ. დჷ- „ლოკატიური პრევერბი (რალაცის ზედაპირზე ყოფნისა)“

უზბიხ. დჷგ „მინდორი“

აბაზ. დჷგ, აფხაზ. ა-დჷგ „მინდორი, ველი“

სინდურ ძირ-ფუძეთა შეპირისპირება ეკუთვნის ვ. ჩირიქბას [ჩირიქბა 1996a : 185, იხ. აგრეთ-

ვე კვახაძე 2014 : 24]. ქართველურ არქეტიპთან შედარება კი არკვევს, რომ **დ**-ს ლაბიალიზაცია ისტორიულად **დბ** → **დუ** სპირანტიზაციის გზით განხორციელებულა; შდრ. ასევე ნახური (ჩეჩნური) **თუფ** „მიწის ნაკვეთი, კვარტალი“.

ს.-ქართვ. ***დად**- „ლამაზი“

სვან. **დად**-რლ (ბზ.), **დად**-ილ (ბქ.), **დად**-რლ (ლზხ.) „ლამაზი, მშვენიერი“

ალბათ, იმავე **დად**- ძირს შეიცავს შემდეგი სვანური თხზული ფორმები: **დად**-იხა (ბზ.), **დად**-იხა (ბქ.), **დად**-იფხ (ლზხ.) „წარმოსადეგი“. შეიძლება გვეფიქრა მეგრულ **დოდ**-უ „პატარა, დაბალი“ სიტყვასთან კავშირზეც. კორელაცია *ლამაზი ~ პატარა* არ ჩანს პრობლემური.

ს.-სინდ. ***დად**- „ლამაზი“

ყაბ. **დად**-გმ „ლამაზი“

სიტყვა განმარტოებით დგას ყაბარდოულ ქვესიტემაში, მაგრამ მას ფუძეენური ეტიმოლოგია ახასიათებს. რასაც ცხადყოფს, ქართველურს გარდა, დადესტნური მასალა, შდრ. არჩიბ. **ტიდ**-უთ „პატარა“. აქვე შემოვა ოსური **დიდი** „სამკაული; მშვენება“ ლექსემაც, ეს უკანასკნელი ნახურ წყაროს გულისხმობს.

ს.-ქართვ. ***დალ**- „და“

ძვ. ქართ. **და**-მ, ახ. ქართ. **და**, მამი-**და**, დეი-**და**

ზან. **და** „და“, **დალ**-ეფ-ე // **დალ**-ეფ-ი „დები“

სვან. **და**-მ „მული“, **და**-ჩურ / **და**-ჩურ „და ძმისთვის“

მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა ცნობილია უძველესი ქართული სამწერლობო ენიდან, მეტი სიძველე მაინც მეგრულ-ლაზურს შემოუნახავს, ისიც მხოლოდ მრავლობითის ფორმებში. სწორედ ზანური მონაცემებით ხერხდება ***დალ**- სახეობის ძირის აღდგენა [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 159-160].

ს.-სინდ. ***დაჟ**-ა „ძიძა“

ადიდ. (ჭემგ.) **დაჟ** „ძიძა“

ქართველური ***დალ**- ძირის კანონზომიერი სინდური შესატყვისი მხოლოდ ჭემგურში ჩანს შემორჩენილი. აქ ფიქსირებული **ჟ** მეორეულ ვითარებას ასახავს. ივარაუდება, რომ ამოსავალში **ჟ** იყო პოვნირი, რომელიც ხშირად დაჩნდება ქართველური **ლ**-ს შესატყვისად სინდურ ენებში, ანუ პირველ ეტაპზე სავარაუდოა **ლ** → **ჟ** (ფუძესინდურში), ხოლო შემდგომ **ჟ** → **ჟ** (ჭემგურში). ბოლოკიდური **-ა** საკუთრივ სინდური ინოვაცია უნდა იყოს.

ს.-ქართვ. ***დალ**- „ნაწნავი, დალალი“

ქართ. **დალ**-ალ-ი „ნაწნავი“

დალ-ალ- ფუძე, რომელიც ცნობილია რუსთველის ეპოქიდან, განმარტოებით დგას ქართულში. მისი შედგენილობა (სტრუქტურა) ქართველურია და, ალბათ, მომდინარეობს საერთო-ქართველური ფუძე-ენიდან. თანაც ძირად აქ **დალ**- ჩანს გამოსაყოფი, **-ალ** სუფიქსია.

ს.-სინდ. ***და**- „ძარღვი“

აბაზ. **და**, აფხაზ. **ა-და** „ძარღვი“

ჩერქეზული შესატყვისები ჩვენთვის უცნობია; სამაგიეროდ მიუთითებენ აფხაზურის დადესტნურ პარალელებზე, შდრ.: ლავ. **თუნ**-ნუ // **თუნ**-დუ, დარგ. **თუმ**, თაბას. **თაბ** „ძარღვი“ [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 990]. ცხადია, აფხაზურ-აბაზურში სიტყვის აუსლაუტი გამარტივდა, სავარაუდოდ, დაიკარგა აუსლაუტური **ლ**, ან **ჟ**, მისი რეფლექსი; თუმცა იგივე შეიძლება, მომხდარიყო ფუძესინდურშიც.

ს.-სინდ. ***და**- „ძარღვი“ ~ ს.-ქართვ. ***დალ**- „ნაწნავი“ კანონზომიერ ფონეტიკურ-სემანტიკურ

შესატყვისობას წარმოგვიდგენს.

ს.-ქართვ. *დარ- „ცუდი“

ძვ. ქართ. დარ-ე-მ „ცუდი; უვარგისი“, უ-დარ-ეს-ი „უვარგისი“, ახ. ქართ. მ-დარ-ე

სვან. ხ-ო-დრ-ა „ცუდი“, მა-დრ-ენ-ე „უარესი“, ხ-ო-დრ-ამ-დ „უარესად“

გვაკვლია ზანური შესატყვისები. სვანურშიც წარმოშობით შედარებითი ხარისხის ფორმებია პოვნირი, ისიც რედუცირებული სახით – *დარ → დრ- [თოფურია 1926 : 200]. გასარკვევია ლ-ს ფუნქცია ლენტეხურ ხო-ლ-დარ-ა ალომორფში (ხოლა „ცუდი“ ფორმასთან კონსტამინაცია (?)).

ს.-სინდ. *და(ჟ)-გ „ცუდი“

ადილ. დამ „ცუდი“, ყაზ. დამ „ცუდი“

აფხაზურ-აბაზური და-რა // და-არა „ძალიან“ სხვა ძირი ჩანს; უბიხური შესატყვისიც, რო-გორც ეტყობა, დაიკარგა. ადილურ ფორმათა განხილვისას ჩნდება ეჭვი იმის შესახებ, რომ ფუძეში პოვნირი მ სონანტი ისტორიული ჟ-ს ალოფონია – ჟ → მ. ვინაიდან ბგერათფარდობა ს.-ქართვ. რ : ს.-სინდ. ჟ რეგულარულ-კანონზომიერია.

შეპირისპირებული არქეტიპების სტრუქტურული იგივეობა მყარდება აღწერილ ძირ-ფუძე-თა სემანტიკური იდენტურობით.

ს.-ქართვ. *დაყ- „ქათამი“

ზან. (მეგრ.) დოყ-ია // დუყ-ია „ქათამი ორიდან ხუთ თვემდე“

სიტყვა ეულად დგას ქართველურ ენობრივ სამყაროში, იგი მხოლოდ მეგრულმა შემოინახა. მაგრამ, სავარაუდოდ, ფუძეენური წარმომავლობისაა. ზანური ო/უ გახმოვანება ფუძის შიგნით საერთოქართველური ა-ს რეფლექსს წარმოადგენს.

ს.-სინდ. *დაყ-ზ „მამალი“

ადილ. ა-თაყზ, ყაზ. ა-დაყზ „მამალი“

უბიხ. თაყ-ზ „მამალი“

ჩერქეზული ენებიდან ყაბარდოული წარმოგვიდგენს მესამეულ საფეხურს, რომელიც ამავდროულად ამოსავალ მდგომარეობას ემთხვევა.

ს.-ქართვ. *დაყ- „ქათამი“ : ს.-სინდ. *დაყ-ა „მამალი“ ნორმალური სტრუქტურულ-ფონეტიკური შესატყვისობა ჩანს, რომელსაც ზურგს უმაგრებს კანონზომიერი სემანტიკური კორელაცია მამალი ~ ქათამი.

ჩერქეზულ მასალასთან გენეტიკურად აკავშირებდნენ დარგულ ალომორფებს დადა // დაღუა „მამალი“ [მესაროში 1934 : 271; აბდოკოვი 1983 : 117].

ს.-ქართვ. *დაყჟ- „იდაყვი“

ძვ. ქართ. ი-დაყჟ, ახ. ქართ. ი-დაყვი-ი, ნი-დაყვი-ი

ზან. (მეგრ.) დუყ-ი „იდაყვი“, ლაზ. დუყ-ი, დუყუ „იდაყვი“, ართაშ. ხენ-დუღ-ი „იდაყვი“

პრეფიქსაცია ქართულში გვიანდელი ჩანს [თოფურია 1947 : 456]. ლაზურში არეულია ერთმანეთში დლაყვი-ი (დურყუ/დუყუ) და დაყვი-ი მორფმათა შესატყვისები, ხოლო დუღ-ი (ხენ-დუღ-ი) ყ → ღ გამჟღერების ტენდენციით აიხსნება [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 165].

ს.-სინდ. *დაკჟ- „იდაყვი“

აფხაზ. ა-რაკ „იდაყვი“

რეკონსტრუქციის თვალსაზრისით, გარკვეულ სირთულეს ქმნის ჩერქეზულ მონაცემთა არ-ქონა, თუმცა აფხაზურ-აბაზურში ცნობილი დ → რ როტაციზმის დამახასიათებელი პროცესის გა-თვალისწინებით შესაძლებელი ჩანს ფუძეენური არქეტიპის რეკონსტრუქცია, შდრ. ბგერათშესატყვისობა ჩერქ. დ : აფხაზ.-აბაზ. რ – აფხაზ. (ზუიფ.) ა-რემნე „ვერცხლი“ : ყაზ. დეზუ „ვერცხლი“ და

მრავალი სხვ.

თავკიდურა **დ**-ს რეკონსტრუქცია რეალური ჩანს დადესტნური ენების მონაცემთა მოხმობი-
თაც, შდრ. დარგ. დეჰუ „იდაყვი“, რასაც მხარს დაუჭერდა ს.-ნახ. *დოლ (← წ.-ნახ. *დაჰუ) „იდაყვი“
არქეტიპიც.

ს.-ქართვ. *დაჯალ- „თხა“

ქართ. თხა-დ, თხა

ზან. თხა, მრავლ. რ. თხალ-ეფ-ე/ი „თხები“

სვან. დაჯელ „თხა“

ეჭვგარეშეა, რომ სწორედ სვანურშია შემონახული საერთოქართველურ არქეტიპთან ახლოს
მდგომი ფორმა, თუმცა განსხვავებულია ამ ძირის რეკონსტრუქცია [იხ. ფენრიხი, სარჯველამე 2000
: 166]. ყველაზე რეალურად არნ. ჩიქობავასეული *და-ჯ-ალ- გვეჩვენება [ჩიქობავა 1942 : 16], ოღონდ
სეგმენტაცია არ უნდა იყოს ზუსტი.

ს.-სინდ. *რახჷგ „საქონელი, პირუტყვი“

აბაზ. რახჷგ, აფხაზ. ა- რახჷ „საქონელი, პირუტყვი“

არ არის გამორიცხული, ჩერქეზულ ენებში **დ**- თავსართიანი ფორმა გვექნოდა (ჩერქ. **დ** :
აფხ.-აბაზ. **რ** სიტყვის თავში ხშირია), მაგრამ საკონტროლო ფაქტის არქონის გამო რეკონსტრუქცია
მხოლოდ აფხაზურ-აბაზური ჩვენების მიხედვით განხორციელდა.

სემანტიკურად ქართველური გამოირჩევა მნიშვნელობის დავიწროებით, რასაც ხუნძური
რეხედ „ნახირი, საქონელი“ და ნახურ ენათა (ჩერქ. **დჷხნი**, ინგუშ. **დოახან**, წ.-თუშ. **დახნე** „საქო-
ნელი“) მასალაც ამტკიცებს.

ს.-ქართვ. *დგ- „აყენება, დადგენა“

ქართ. ვ-ა-დგ-ენ, აღ-ვ-ა-დგ-ინ-ე, ვ-ა-დგ-ინ-ებ

ზან. (ლახ.) დო-დგ-ინ-უ „დადგომა“, დი-დგ-ინ-ე-ნ „დაიდგმება“, მეგრ. ო-დგ-ინ-ან-ს „ად-
გენს, აყენებს“, ე-დგ-ინ-ა „ადგომა“

სწორია მითითება იმის შესახებ, რომ აქ **დგ**- დგომა ზმნის აღმნიშვნელი ძირია, ხოლო **დგ**-
ინ- – მისი კაუზატიური სახეობა [კლიმოვი 1964 : 71]. ჩვენთვის ამ კონტექსტში უფრო მნიშვნელო-
ვანია *ადგომის* მნიშვნელობის პოვნის უზმნისწინო ფორმებშიც.

ს.-სინდ. *თჷგ-გ- „ადგომა“

ადილ. (შაფს.) თგ-გ-ნ, ჭემგ. თგ-გ-ნ, ყაბ. თგ-გ-ნ, ბასლ. თგ-გ-ნ „ადგომა“

გვაკლია უბიხურ-აფხაზურ-აბაზური შესატყვისები, თუმცა ადილური მონაცემებიც საკმაო
სიზუსტით აღგვადგენინებს საერთოსინდურ არქეტიპს.

ს.-ქართვ. *დგ- „აყენება, დადგენა“ : ს.-სინდ. *თჷგ-გ- „ადგომა“ კანონზომიერ სტრუქტურულ-
სემანტიკურ შესატყვისობას წარმოადგენს. **დ** → **თ** სავარაუდო პროცესი ფუძესინდურში გამოხმა-
ურებას პოვებს ნახურ ენებშიც, სადაც წ.-თუშ. თეგ-/თაგ- ფორმებია პოვნის მნიშვნე-
ლობით.

ს.-ქართვ. *დე- „უარყოფითობის პრეფიქსი“

სვან. დე- „არ“ (პრეფიქსული ნაწილაკი) : დე-თაჲ, დე-თაჲ (ლნტ.) „არც“, დე-მ-შუ „არაფრით“,
დე-რ „არ; არა“, დე-მა, დე-მა (ლნტ.) „არა, არ“

უარყოფითობის პრეფიქსად **დე**- მხოლოდ სვანურშია პოვნის, რომელსაც ფუძეენური
წარმომავლობა ახასიათებს. ამაზე აფხაზურ-ადილური შესატყვისები თვალნათლივ მეტყველებენ.

ს.-სინდ. *-დაჷ „უქონლობის სუფიქსი“

აბაზ. -და „უქონლობის სუფიქსი“, ჯა-და „უთავო“, აფხაზ. -და „უქონლობის სუფიქსი“, ხგ-და

„უთავო“

სავარაუდოდ, საერთოსინდურ ფუძე-ენაში ფუნქციონირებდა ***დ-** უქონლობის სუფიქსი“, რომელიც სვანური **დე-** უარყოფითობის პრეფიქსის კანონზომიერ სტრუქტურულ-ფონეტიკური შესატყვისი ჩანს.

აღწერილ აფიქსთა (ნაწილაკთა) ამავე რიგში განიხილება დადესტნური მასალაც, მხედველობაშია უარყოფითობის ნაწილაკები: ალულ. **და-/და-ვა**, ხინალ. **დი-მ**, წახ. **დი** „არა“, შდრ. უდ. **თ**, არჩიბ. **ტო** „id“.

ს.-ქართვ. ***დედ-** „ყვავილი“

ზან. (ლაზ.) **დად-ა** // **დად-ალ-ი** (ვიწ.) „ყვავილი მიწაზე და არა ხეზე“ (ნ. მარი)

სვან. (ლშხ.) **დად-რლ** „ყვავილი“

მოულოდნელი ჩანს ზან. **ა** : სვან. **ა** ხმოვნური შესატყვისობა; აშკარად მეორეული უნდა იყოს სვანური **ა – ე → ა (?)**. ცხადია, საქმეს ქართული ეკვივალენტის უქონლობა ართულებს.

ს.-სინდ. ***დ**დ- „ყვავილი“

ყაბ. **დ**დ-გმ „ყვავილი“

საძიებელი ფორმა მხოლოდ ყაბარდოულში არის შემონახული. ქართული შესატყვისის მიუხედავად, იქნებ, ღირებული იყოს ოსური **დედენ-**ზგ „ყვავილი“ ალომორფის მოხმობა [სხვა მასალა იხ. აბაევი 1958, I : 362].

მონათესავე იბ.-კავკ. ენებიდან ღირებული ჩანს წახ. **ტეტ** „ყვავილი“ სახელის ჩვენება, თუ, რა თქმა უნდა, დამტკიცდება **დ → ტ** გლოტალიზაციის რეალურობა ამ ძირში.

ს.-ქართვ. ***დედ-ა** „დედა, ბებია“

ძვ. ქართ. **დედა-მ**, **მ-დედ-რ-ი**, ახ. ქართ. **დედა**, **დედა-კაც-ი**, **დედა-მთილ-ი**

ზან. (მეგრ.) **დიდა** „მოხუცი ქალი; ბებია“, მეგრ. **დიდა** „დედა“

სვან. **დედე** „დედა; ბებია“ (მიმართვისას)

არსებობს მცდელობა, სიტყვათა ამავე რიგში განიხილონ ქართ. **დედალ-** / ზან. **დადულ-** / სვან. **დ**დლუ [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 169], რაც არ ჩანს მართებული.

ს.-სინდ. ***დ**დ-ა „მამა; ბაბუა“

ადილ. **თათ** „მამა“ (მიმართვისას), ყაბ. **დად** „ბაბუა“

უბიხ. **დად** „მამა“ (მიმართვისას)

ყველაზე რთულია **დ → თ** დაყრუების მექანიზმის დადგენა ადილეურში. რაც შეეხება სემანტიკურ კორელაციას **დედა / ბებია ~ მამა / ბაბუა**, იგი ნორმალური ჩანს. მსგავსი სურათია დადესტნურ ენებშიც, მაგალითად, ისეთ ახლომონათესავე ენებში, როგორცაა ლეზგიური შტო, ოპოზიცია **დედა ~ მამა ~ ბაბუა** ადვილი დასანახია, შდრ. ლეზგ. **დიდე** „დედა“ ~ რუთულ. **დიდ** „მამა“ ~ წახ. **დიდი** „ბაბუა“.

ს.-ქართვ. ***დედ-ე** „პაპა, ბაბუა; უფროსი“

ქართ. (აჭარ.) **დედე** „პაპა, ბაბუა“

ზან. (მეგრ.) **დად-ი** „ერთ-ერთი ღვთაება“, **დად-ია** „ბატონი, უფროსი“, სამურზ. (← აფხაზ.) **დად-რა** „უფროსის მიმართვა უმცროსისადმი“

გვაკლია სვანური შესატყვისი, თუმცა უამისოდაც ქართულ-ზანური ნიმუშები საკმაოდ სრულ ინფორმაციას გვაწვდიან ფუძემდური არქეტიპის შესახებ. ქართ. **დედ-ე** : ზან. **დად-** კანონზომიერი შესატყვისობაა, შდრ. ქართ. **ე** : ზან. **ა**.

ს.-სინდ. ***დ**დ-ა „ბაბუა“

აბაზ. **დადა**, აფხაზ. **დად** „ბაბუა“

ჩერქეზული შესატყვისები არ ჩანს. ს.-ქართვ. *დედ-ე : ს.-სინდ. *დად-ა პალეოკავკასიურ რეფლექსაციას ასახავს. სინდურ-ქართველურ არქექტიპებს ეხმიანება დადესტნური ინფორმაცია, სადაც მსგავსი სტრუქტურის შესატყვისები ვლინდება: დიდ. დადა, დარგ. (მეჭებ.) დადა..., რუთულ. დიდ, წახ. დიდეა „ბაბუა, პაპა“...

ს.-ქართვ. *დედ-ე „პაპა, ბაბუა; უფროსი“ ~ ს.-სინდ. *დდ-ა „ბაბუა“ და ს.-ქართვ. *დედ-ა „დე-და, ბებია“ ~ ს.-სინდ. *დად-ა „მამა; ბაბუა“, რათქმა უნდა, საერთო *დედ-/*დად- ძირებს შეიცავს, მაგრამ აღწერის სრულყოფისათვის ცალ-ცალკე სტატიებად აღიწერა.

ს.-ქართვ. *დეჟ- „დევი; გოლიათი“

ძვ. ქართ. დევ-ი „ვეშაპი; დევი“, ვირ-დევ-ი „onocentaureus“, ბაყბაყ-დევ-ი

სვან. დჷჷ (ზხ.), დჷჷ (ბქ., ლნტ.) დჷ (ლშხ.) „დევი“

ვფიქრობთ, მეგრული დემ-ი // ნდემ-ი // დეი // დერ-ი ალომორფები ქართული დევ- ფორმის შემდგომ მოდიფიკაციას წარმოადგენენ, ვ → მ, ვ → ღ და ვ → რ ფონეტიკური გარდაქმნებით. რაც შეეხება ე → ზ / ზ / ნ ტრანსფორმაციას, იგი მ. ქალდანის წესს ემორჩილება. ძირის არქაულობის თვალსაზრისით, საყურადღებო ჩანს სვან. ნა-დჷჷ-რა, ნა-დაჷ-რა (ბქ., ლნტ.), ნა-დჷჷ-რა „დევი“ დერივატები.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიცნობთ თვალსაზრისს დევ- სიტყვის სპარსული წარმომავლობის შე-სახებ, მაგრამ, ამავდროულად, ვფიქრობთ, რომ დევ- სიტყვაში აღრეულია ენდემური დევი რო-გორც დიდი / გოლიათი და ნასესხები დევი, ანუ დემონი ერთმანეთში.

ს.-სინდ. *დჷჷ- „დიდი; გოლიათი“

აბაზ. დჷჷ // დჷ „დიდი“, აფხაზ. ა-დჷჷ // ა-დჷ „დიდი, გოლიათი“

ს.-ქართვ. *დეჟ- და ს.-სინდ. *დჷჷ არქექტიპის პალეოკავკასიურობას ამტკიცებს დადესტნური მასალაც, შდრ. რუთულ. დჷჷ „ლომი“. გარდა ამისა, ხათური tauwaa „დიდი; საშინელება“ სიტყვაც, რომელიც ქართველურის მონათესავედ მიიჩნევა [ლ. კოჭლამაზაშვილი 2015 : 171], და ფონოლო-გიურად, ალბათ, dauwa იყო, იმაზე მიუთითებს, რომ აქ ენდემურ ძირთან გვაქვს შეხება, რომლის ამოსავალი მნიშვნელობა „დიდისა“ უნდა ყოფილიყო.

ს.-ქართვ. *დეღმა „ძლიერი წვიმა“

ქართ. დეღმა „დიდი წვიმა და გვიან მომდარებელი“ (საბა), „კოკისპირული წვიმა“ (ქეგლ)

სიტყვა განმარტობით დგას ქართულში; სხვა ქართველურ ენა-კილოებში მისი შესატყვისები არ იძებნება. მიუხედავად ამისა, დეღმა მიიჩნევა საერთოქართველურ ფუძედ, რომელსაც პალეოკავკასიური ეტიმოლოგია ახასიათებს.

ს.-სინდ. *დჷჷჷ „ღრუბელი“

აბაზ. თჷჷჷ, სიტყვაში ფს-თჷჷჷ „ღრუბელი“

ამოსავალი მჟღერი დჷჷ კომპლექსის დაყრუება გვიანდელი ფაქტი ჩანს. იგი (დჷჷ → თჷჷ) მხოლოდ მას შემდეგ განხორციელდა, რაც ძირი გართულდა, სავარაუდოდ, ფს- წყლის აღმნიშვნელი სეგმენტით – ფს + დჷჷჷ → ფს-თჷჷჷ-, რედუქციის მომდევნო საფეხურზე. მოულოდნელი არც ჷ : გ შესატყვისობა ჩანს, ვინაიდან ჷ - ჰ ფარინგალურ სპირანტთა მოშლას საერთოქართველურში მოჰყვა ჷ → გ, ჰ → ქ ტრანსფორმაცია [ჩუხუა 2000-2003 : 13].

სხვა კონტექსტში აბაზური თჷჷჷ ფორმას აახლოვებდნენ ნახურ დოხქ / დოხკ / დორქ „ღრუბელი“ სიტყვასთან [აბდოკოვი 1983 : 99], რასაც ვამატებთ დარგული ეერგჷა „ბოლი“ სიტყვას. სემანტიკური კორელაცია წვიმა ~ ღრუბელი ~ ბოლი ნორმალური ჩანს.

ს.-ქართვ. *დერგ-ა „ერთი წლის თხა“

ზან. (მეგრ.) დარგა „დედალი თხა დაბადებიდან მეორე წელს“

სვან. დარგ „წალი თხა, რომელსაც ჯერ თიკანი არ მოუგია“

შესაბამისი ქართული ძირი ჯერ-ჯერობით არ ჩანს. ზანურ-ქართული ბგერათშესატყვისობის ჩვენების გათვალისწინებით შესაძლებელია *დერგ-ა არქეტიპის აღდგენა. ბოლოკიდური ა, რომელიც მეგრულს შემორჩა, სვანურში დაკარგული ჩანს, მაგრამ არა უკვალოდ; სწორედ მას უნდა მოვაწეროთ უკუუმლაუტის მოქმედება სვანურ ძირში; ა → ა̄ → ა ბოლოკიდური ა'ს ხარჯზე განხორციელდა: დერგა → დარგ // დარგ (მ. ქალდანის კანონი).

ს.-სინდ. *დაგ-ა „ვაცი ერთ წლამდის“

ადიდ. თაჩა-ხუ, შაფს. თაქა-ხუ „მამალი თხა“, ყაბ. დაჯა-ხუ „ერთ წლამდე ვაცი“, დაჯაჟა (← დაჯა + აჟა) „ერთი წლის ვაცი“

ფუძეენური არქეტიპის შედარებით ზუსტი რეკონსტრუქცია მხოლოდ ყაბარდოული მასალის საფუძველზე ხდება. ამ მასალაშიც ცხადად გამოჩნდა, რომ თ/დ, ქ/გ... ოპოზიციებში ყაბარდოულის ვითარება ხანდახან არქაულ ვითარებას ასახავს.

ს.-სინდ. *დაგ-ა : ს.-ქართვ. *დერგ-ა შეპირისპირების რეალურობას მხარს უჭერს დაღესტნური მონაცემიც, როცა სინდური ენებისათვის დამახასიათებელი სემანტიკა „მამალი თხა“ მეორდება დაღესტნურ არაერთ ენაში, შდრ.: არჩიბ. დოგო „ვაცი“, ბჟეიტ. ტიგა, ჰუნზიბ. ტიგა „მამალი თხა“...

ს.-ქართვ. *დერგ- „ბატონი“

ზან. (მეგრ.) თარხ-უნ-ია „ხელის ბიჭი; მოახლე“ თარხ-ონ-ი „მამაკაცის საკ. სახ.“ (ანთროპ.)

ზანური ფორმის უძველესი (არქაული) სახეობა თარგ-უჯ-ი ატენის სიონის 835 წ. ცნობილი წარწერაში არის დამოწმებული [ჯავახიშვილი 1979, I : 176]. აქ შემორჩენილი ჩანს -უჯ-სუფიქსიანი (შდრ. ქართ. -ურ) ვარიანტი. ფუნქციურად -ონ/-უნ ქართული -ან სუფიქსის (ქონების აღმნიშვნელი) ტოლფასია, ამდენად თარხ-ონ- გამოდის ბატონისა / ბატონისეული.

ს.-სინდ. *დახგ „პატრონი, მასპინძელი“

უბიხ. დგხგ „პატრონი, მასპინძელი“, хозяин

ფორმა განკერძოებით დგას უბიხურში, თუმცა ამ უკანასკნელს ხათურ watuḥ-kante „მეფის-წული“ სიტყვაში გამოყოფილ -tuḥ- ძირს უკავშირებენ [ივანოვი 1981 : 141-151], რაც მისაღები ჩანს, შდრ. დარგ. თალჯან „აზნაური“, ხუნდ. თარგ-ან-აბ „თავისუფალი“

დაღესტნურ სიტყვათა ზემოხსენებულ რიგში მოიხმობენ ქართ. თარხნ-ობ-ა „განთავისუფლება“, თარხან-ი „განთავისუფლებული“ ფორმებს [აბდულაევი 2015 : 242]. ეს უკანასკნელი სხვაგვარ ეტიმოლოგიას გულისხმობს, ამიტომაც აქ ვერ განვიხილავთ.

ს.-ქართვ. *დეს- „არ; არა“

სვან. დეს-ა (ბზ., ლშხ.), დეს-ა (ლნტ.) „არა; არ“

ქართველურ სამყაროში განმარტოებით დგას სვანური ალომორფები, რომელებსაც მეტად არქაული (ფუძეენური) წარმომავლობა ახასიათებს. ამას ცხადყოფს როგორც ხათური, ისე დაღესტნური იზოგლოსები.

წ.-სინდ. *დაშ- „არა“

ხათ. taš (=daš) „არა“

და რომ ხათურში მჟღერი გახმოვანების ანლაუტი იყო რეალურად, სვანურს გარდა დაღესტნური მასალაც ამტკიცებს, შდრ. წახ. დეშ „არა“. საყურადღებო ჩანს აქვე სვანურ-წახური ე/წ გახმოვანება ხათური ა ხმოვნის საპირისპიროდ.

აფხაზურ-ადილურ, ნახურ და დაღესტნის ენათა უმრავლესობაში კანონზომიერი შესატყვისები ისტორიულად დაიკარგა.

ს.-ქართვ. *დეღ-ე „დეღ“

ქართ. დღე, დღე-ნ-დეღ-ი, მ-დღე-ვ-რ-ი

ზან. (მეგრ.) დღა „დეღ“, ო-ნდღ-ე „შუადღე“, დღა-ურ-ი „დღიური“, ლაზ. დღა // ნდღა „დეღ“, ო-ნდღ-ერ-ი „შუადღე, შუადღისა“, გე-ნდღა-ნ-ი „ზეგ“

სვან. ლა-დეღ „დეღ“, მგ-ლ-დეღ „მწყემსი“

მეტად საყურადღებო ჩანს სვანური მონაცემი, რომელიც ამოსავალი ძირის ორმარცვლიანობას უჭერს მხარს. საერთოქართველურში *დეღ- არქეტიპის აღდგენას ფაქტობრივი მასალა მხარს არ უჭერს [შდრ. კლიმოვი 1964 : 75].

ს.-სინდ. *დგლ-ჰ „მზე“

ადილ. თგლა, ყაბ. დგლა „მზე“

უბიხ. ნდღა „მზე“

არსებობს აფხაზურ-აბაზურ ა-მრა / მარა „მზე“ ალომორფების სიტყვათა ამავე რიგში შემოტანის ცდა [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 1052], რაც ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. უბრალოდ სხვა მასალაა [ჭარაია 1912 : 29; კლიმოვი 1969 : 289].

როგორც ეტყობა, სინდურ ენებში *დგლ-ა არქეტიპს დღის მნიშვნელობაც ახასიათებდა, რაც კარგად გამოჩნდება ადილ. თგლ-ჟა-ს, ყაბ. დგლ-ჟა-ს „გუმინ“ ფუძეთა განსაზღვრისას, შდრ. ლაზ. გე-ნდღა-ნ-ი „ზეგ“.

სინდურ-ქართველურ ძირ-ფუძეებს ეხმიანება ს.-ნახ. *დაღ-უ „წვიმა“ : დიდ. ენათა *ღჷედ-ე, შდრ. დიდ. ლუდი, ჰინუხ. ლჷედე, ხვარშ. ლჷადე, ჰუნზიბ. ჟგდგ ← *ღჷგდგ „დეღ, წვიმა, ვარსკვლავი“. ეს უკანასკნელი შებრუნებული წყობისაა.

ს.-ქართვ. *დეშა „შეშა“

ქართ. შეშა, შდრ. ძვ. ქართ. მ-რეშჷ-ელ-ი „მეშეშე“

ზან. (მეგრ.) დიშქა, ლაზ. დიშკა // დიშქა „შეშა“

სვანურში სხვა ეტიმოლოგიის ძირი (ზექ) დამკვიდრდა შეშის მნიშვნელობით.

პრობლემურია შ/ს ქართულში, რისთვისაც ყოველ შემთხვევაში ამოსავალია ზანურში შენარჩუნებული დ, ანუ დ → რ/შ ქართულში.

ქართ. შეშა ცნობილია (ისევე, როგორც მრეშჷელი) უძველესი ქართული წერილობითი ძეგლებიდან [იხ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 614].

ს.-სინდ. *რშ- „ხის სახეობა, თელა“

აფხაზ. ა-რამ „თელის სახეობა“

აფხაზურში განმარტოებით მდგომ -რამ ძირს მეტად სარწმუნო შესატყვისები ეძებნება როგორც ქართველურ, ისე ნახურ-დაღესტნურ ენებში. ყველგან შეიმჩნევა დ/რ მონაცვლეობა, რაც დ → რ გარდაქმნით უნდა აიხსნას, შდრ.: ანდ. ენ. რეშა/როშა/რუშა „ტყე, შეშა“, დარგ. დეხ „ძელი, მორი“..., ნახ. ენ. დოს „შეშა“...

ს.-ქართვ. *დი „დედა, დეიდა“

ზან. (მეგრ.) დი „დედა, დეიდა“; „შორისდ. გაკვირვებისა“

სვან. დი „დედა“, ლა-დი-ა „დედები“

მეგრულ-სვანური დი ცალკე სიტყვაა, დამოუკიდებელი წარმომავლობისა, რომელიც არ უნდა აირიოს დედა/დედე/დიდა ფუძეებში. არ არის გამორიცხული ამავე დი- ძირს შეიცავდეს რუსთველისეული დი-აც-ი (შდრ. მამ-აც-ი), ან ნუსა-დი-ა (საბა).

ს.-სინდ. *დი „დედა, დედიკო“

აფხაზ. დი „დედა, დედიკო, დედილო“

რამდენადაც **დი**-ფუძე *დედის* მნიშვნელობით არ დასტურდება სხვა სინდურ ენა-კილოებში, შეიძლება, გვეფიქრა, რომ იგი ქართველურიდან არის წასესხები. თუმცა ამგვარი გადაწყვეტა საკითხისა არ მიგვაჩნია მართებულად. პირიქით, მხოლოდ აფხაზურმა შემოინახა ქართველურის კანონზომიერი სინდური შესატყვისი. ფრიად საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ აფხაზურ-ქართველურ ძირთა შესატყვისი დაღესტნურ ენებშიც *დედ-მამის* მნიშვნელობით დასტურდება, შდრ.: კრიწ. **დმა** „დედა“, არჩიბ. **დი-მა** „მამა“...

საყურადღებო ჩანს **-ქ**- და **-ში**-სუფიქსიანი ფორმების პოვნელებაც ლეზგიურ ენებში – წახ. **და-ქ**, თაბას. **და-ში** „მამა“, სუფიქსაციისათვის შდრ. სვან. **დედე-ში** „დედა“ ~ დარგ. **დუდე-ში** „მამა“.

ს.-ქართვ. ***დიდ**- „დიდი“

ქართ. **დიდ**-ი, მ-**დიდ**-არ-ი, **დიდ**-რ-ო

ზან. **დიდ**-ი „id“, **დიდ**-ო „დიდად“

სვან. **დიდ**- „ზვიადი“, ლგ-**დიდ**-ე // ლგ-**დრდ**-ე „გაზვიადებული“

აღ. ცაგარლის პერიოდიდან კარგად ცნობილ ქართ.-ზან. **დიდ**-იზოგლოსას უნდა დაემატოს სვან. **დიდ**- // **დრდ**- „ზვიადი“ ფორმა.

ს.-სინდ. ***დგდ-ა** „ძალიან, მთლიანად“

ადილ. **დნდნ**, ყაბ. **დგდნ** „ძალიან, სულ, მთლიანად“

აფხაზურ-აბაზურში სათანადო ფუძე დაკარგულად ითვლება. ჩერქეზულ-ქართველურ ფორმათა ერთიანობაზე პირველად პ. ჭარაიამ მიუთითა [ჭარაია 1912 : 22-23]. ქართველური **დიდ**-ძირი სხვა კონტექსტში მოხმობილია ხათური **tete** სიტყვის შესატყვისად [გირბალი 1986].

ს.-ქართვ. ***დითხ-ელ**- „თხელი“

ქართ. **თხელ**-ი (← ***თთხელ**-ი) „თხელი“

ზან. (ლაზ.) **თითხუ** → // **თუთხუ**, მეგრ. **თხითხუ** // **თხეთხე** // **თითხუ** „თხელი“

სვან. **დეთხელ** „თხელი“

ამოსავალი ვითარება სვანურს უკეთ დაუცავს, ქართულში, როგორც სხვა ძირებშიც, განხორციელდა **თთ** → **თ**, შდრ. ძვ. ქართ. **თთუე** → ახ. ქართ. **თვე**...

ს.-სინდ. ***თხ** „თხელი“

უბიხ. **თხა** „თხელი“

სინდური ენებიდან მხოლოდ უბიხურმა შემოგვინახა სათანადო ძირი, ისიც უპრეფიქსოდ [კლიმოვი 1969 : 291]. პრეფიქსის არსებობაზე პრეისტორიულ ხანაში (პროტოიბერიულ-კავკასიურში) უნდა მიუთითებდეს ნახური არქექტიპიც, შდრ. წ.-თუშ. **ნეთხ-ინ** „თხელი“, **ნეთხ-იმ** „თხლად“, **ნეთხ-დარ** „გათხელება“.

ს.-ქართვ. ***დიმ**- „ქსოვილი (სახეობა)“

ქართ. **დიმ**-ი „ლარი, ფარჩა, ატლასი (ქსოვილი)“, „ლაინს ჰგავს, ლარია“ (საბა), „შეღებილი ნარმა“, **дымет** (ჩუბინაშვილი)

სიტყვა განმარტოებით დგას ქართულში, მაგრამ, სავარაუდოდ, მას საერთოქართველური ეტიმოლოგია ახასიათებს.

ს.-სინდ.***დუგ**- „ქსოვა“

ყაბ. **დნ-ნ** „ქსოვა“

უბიხ. **დუგ** „კერვა“

მეტად ღირებულია უბიხური ნიმუშის ჩვენება; ეს უკანასკნელი ფუძეენურ მდგომარეობას ინახავს. ფაქტია, რომ **დუ** → **დ** ყაბარდოულში განხორციელდა.

ს.-ქართვ. ***დიმ**- : ს.-სინდ. ***დუგ**- კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ მრავალ შემთხვევაში

თანხმოვანთა ლაბიალიზაცია საერთოსინდურში განხორციელდა ბაგისმიერთა ლაბიალიზაციის ხარჯზე – C + ზ/მ → Cტ. უბიხ. დტა „ნემსი“ სხვაგვარ ეტიმოლოგიას გულისხმობს, შდრ. ზ → დტ, ფ → თტ, პ → ტტ უბიხურში (იხ. აქვე ს.-ქართვ. *ზ- „ზმა; კიდება“).

სემანტიკური ოპოზიცია ქსოვილი ~ ქსოვა კანონზომიერებას ექვემდებარება.

შეიძლება ამავე რიგისა იყოს ბუდუხური ტამ (← *დამ ?) „ქეჩა“ სახელიც.

ს.-ქართვ. *დირ-ე „დირე“

ქართ. დირე

ზან. (მეგრ.) დგრა // დირა „დირე“

სვან. დირ, დირ (ბქ., ლნტ.) „დირე“

ძირეული ხმოვნის სიგრძე სვანურში საკომპენსაციო ხასიათს ატარებს – დირე → დირ. ასევე მეორეული ჩანს ი → გ მეგრულში. საყურადღებოა ზანური ძირის აუსლაუტი, სადაც ს.-ქართვ. ე → ზან. ა გარდაქმნა განხორციელდა.

ს.-სინდ. *დგრ- „დირე“

უბიხ. დგრ-ჰქ „დირე“

ჩვენთვის აუხსნელია -ჰქ სუფიქსის ფუნქცია უბიხურში. მისი ფარდი მორფემა ქართველურ ენებში არაფერი ჩანს. არც დიდოური თირი „დირე“ იძლევა ამ მხრივ დადებით ინფორმაციას. ცხადია, უბიხური, რომელიც საერთოსინდურ ძირს ასახავს, რთული შედგენილობის სიტყვას წარმოაჩენს.

ს.-ქართვ. *დირხ- „დიდი, მაღალი“

ზან. (ლაზ). დირხ-ინ-ა „დიდი; მაღალი ტანისა“, მეგრ. დირხ-ალ-ი „ზონზროხა“

შეიძლება ვიბრანტი რ საკუთრივ ზანური ინოვაცია (ფონეტიკური ჩანართი) იყოს, მაგრამ ამის მტკიცება, სხვა ქართველურ ენებში საკონტროლო ნიმუშების არქონის გამო, დაბეჯითებით გაჭირდებოდა.

ს.-სინდ. *დგხ-ჰ „ლამაზი; გამორჩეული“

ადილ. დახჰ, ყაბ. დახჰ „ლამაზი“

აფხაზ. ა-დახჰ „უკეთესი, გამორჩეული; იშვიათი (სტუმარზე)“

სინდურ ძირ-ფუძეთა ურთიერთშეპირისპირება ცნობილი ფაქტია [შაყრილი 1968 : 68], თუმცა სხვები აფხაზურ ფორმას ჩერქეზულ ნასესხობად მიიჩნევენ [ამის შესახებ იხ. შაგროვი 1977, I : 144]. მისაღებია აფხაზურ-ადილურ ალომორფთა გენეტიკური ერთიანობის იდეა, მით უმეტეს, აფხაზური სემანტიკის გათვალისწინებით, რომელიც არ ემთხვევა ადილურს.

დიდი ~ ლამაზი სემანტიკური კორელაციისათვის შდრ. ს.-ქართვ. დიდ-ი : ს.-ნახ. (ჩეჩნ.) დრდი „სიმპატიური“.

ს.-ქართვ. *დიჯა „მიწა; თიხა“

ძვ. ქართ. თიჯა „თიხა; ტალახი“

ზან. (ლაზ.) დიხა // ნდიხა „მიწა; ნიადაგი“, მეგრ. დიხა „მიწა; ადგილი“

სვან. დიჯ, სიტყვაში ნჰ-დიჯ, ნა-დიჯ (ლშხ.) „სამიწე საზღაური“

ჯერ კიდევ ძველი ქართულიდან ცნობილი თიჯა ძირის გენეტიკური კავშირი ზანურ ალომორფებთან იმთავითვე შენიშნეს [ცაგარელი 1880 : 35]. არ ჩანდა სვანური ეკვივალენტი, რომელიც შეიძლება შემონახული იყოს სამიწე საზღაურის აღმნიშვნელ ნჰ-დიჯ დერივატში.

ს.-სინდ. *დგჯ(ჟ)ა „ველი; მიწა; მინდორი“

უბიხ. თხჟა „მიწა (სახნავი); მინდორი“

აბაზ. რჯა „სახნავი მიწა, სტეპი“, აფხაზ. ა-რხა „ველი, ხეობა“

აქაც არაერთგვაროვნად წარიმართა თავკიდური დ ფონემის ტრანსფორმაცია; როგორც მოსალოდნელი იყო, რედუქციის მომდევნო საფეხურზე **დვ** → **თხ** უბიხურში განხორციელდა, მაგრამ აფხაზურ-აბაზურში ვიბრანტიზაციის პროცესმა იძალა და **დვ** → **რვ** → // **რხ** დაფიქსირდა. ძირეული თანხმონის ლაბიალიზაცია საკუთრივ უბიხური მოვლენა ჩანს. საექვოდ გვეჩვენება ახვას. **ჯური** „მინდორი, ველი“ ტიპის ძირ-ფუძეებთან გენეტიკური კავშირი [შდრ. აბდოკოვი 1983 : 100; სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 904].

ს.-ქართვ. ***დლაყუ**- „ნიდაყვი“

ძვ. ქართ. **დლაყვი**-ი „ცხოელთ მკლავი; მკრის შუა ძვალი“ (საბა), ხევს.: „სხეულის ნაწილი, სადაც ბარკალი გარედან ეკვრის მუცელს“

ზან. (ლაზ.) **დურყუ** // **დურყუ** // **დუყუ** „ნიდაყვი“

სვანური შესატყვისი გვაკლია. ეტიმოლოგიური კვლევის თანამედროვე ეტაპზე აუცილებელი ჩანს **დაყვი**-ი და **დლაყვი**-ი ფორმების ერთმანეთისაგან გამოჯვნა. ასეც არის [კლიმოვი 1964 : 74; ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 175].

ქართული და ზანური მასალა შეაპირისპირა არნ. ჩიქობავამ, ავტორს იქვე მოაქვს მეგრულ-ლაზური **დუყ** // **დუღ**-ი „ნიდაყვი“ ფორმებიც [ჩიქობავა 1938 : 59].

ს.-სინდ. ***დლღუ**- „ნიდაყვი“

ადილ. **თაღუ** // **თაღუ**, სიტყვაში **ცან-თაღუ** // **ცან-თაღუ** „ნიდაყვი“, ყაბ. **ცან-დღღუ** // **ცან-დაღღუ** „ნიდაყვი“

რა თქმა უნდა, აფხაზური **ბაჭუ** „ძვალი“ სხვა ძირია, ხოლო ჩერქეზული **დღღუ**- მარჯვედ არის შეპირისპირებული ქართველურ **დლაყუ**-/**დურყუ** // **დურყუ** ფორმებთან [როგავა 1956 : 8]. ადილურ ენებში **ცან- ხელის** აღმნიშვნელი ძირია; საგულისხმოა, რომ ლაზური **ხენდუღ**-ი „ნიდაყვი“ სიტყვაც ხელ- ფუძეს შეიცავს და უდრის: ხელი + იდაყვი.

ხუნძური **რულღ** „ნიდაყვი“ სიტყვა დალესტურ შესატყვისის ინახავს.

ს.-ქართვ. ***დოდღ**- „ლაყვი; დუნე; დონდღო“

ქართ. **დონდღო**-ო // **დონდღო**-ე „დუნე; ზარმაცი“

ზან. (მეგრ.) **დორდ**-ი „დონდღო; ლაყვი; ზანტი“

სვანური მონაცემი გვაკლია. სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ ქართ. **ნ** : ზან. **რ** ფონემური შეფარდების სირთულეზე, ასახსნელიაო [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 177]. სინამდვილეში აქ ზანური **რ** მიემართება ქართულის **ღ**-ს და არაფერი ესაქმება **ნ**-სთან, რომელიც ფონეტიკური ჩანართი ჩანს ქართულში, ანუ მეგრ. **დორდ**-ი ← ***დოდღ**-ი, **რ**-ს მეტათეზისი ფონეტიკური შეზღუდვის გამო.

ს.-სინდ. ***დუადუა** „რბილი“

უბიხ. **დუადუა** „რბილი“

აქ წარმოდგენილ შემთხვევაში საერთოსინდური არქეტიპის რეკონსტრუქცია, რომელიც მხოლოდ უბიხურის ჩვენებას ეფუძნება, სირთულეებს არ წარმოქმნის. ვფიქრობთ, უბიხური საკმაო სიზუსტით წარმოაჩენს ფუძეურ ვითარებას. გასარკვევია მეორე მარცვალში **ღ**-ს ლაბიალიზაცია **ღ** → **ტ** სვანურისებური ფონეტიკური პროცესის შედეგია, თუ **ო** → **ტა** საკუთრივ სინდურ ინოვაციას წარმოადგენს.

დალესტური მასალის მოხმობით (ასეთია ჰუნზიბ. **თოდღილ**, ბეჟიტ. **თრთილღ** „რბილი“) საცნაური ხდება, რომ პირველი **ო** → **ტა** პროცესთან ერთად **დღ** → **დტ** გარდაქმნაც დასაშვებია (მეორე მარცვალში).

ს.-ქართვ. *დოყ- „მსუქანი ყლორტი; ბოძი“
ქართ. (ქიზიყ.) დოყ-ი „მცენარის მსუქანი ყლორტი“, შდრ. ძვ. ქართ. დოყ-ი „ჩვილი ირმის რქა“ (საბა)

ზან. (ლაზ.) დუყ-ი // დუყ-ი „ბოძი“

ქართველურ ენებს შორის ბუნებრივი ჩანს როგორც სემანტიკური ოპოზიცია ყლორტი // რქა ~ ბოძი, ისე სტრუქტურულ-ფონეტიკური მიმართულებები – ო : უ; ყ : ყ/ყ.

ს.-სინდ. *დაჯჷ-ა „კუნძი, ძირკვი“

ადილ. თაჯჷ, ყაბ. დაჯჷ „კუნძი, ძირკვი“

ქართულ-ჩერქეზული ძირების მიმართება გარკვეულ კითხვებს აჩენს. პირველ რიგში, ეს ეხება ადიღურ თ-ს, რომელიც ამ შემთხვევაში მეორეულია ყაბარდოულთან შედარებით. ჯ-ს გემინაცია ამოსავალი უ სონანტის საკონმენსაციო კვალად გვესახება – ჯჷ → ჯჷ/ჯჷ. თავად ჯ-ს პრობლემა ფუძე-ენის დონეზე იკვეთება – ყ → ჯ, როდესაც როგორც ქართველური, ისე დაღესტნური (თაბას. დუყ-ან, ალულ. დუყ-ურ „მორი“) და ნახური (ჩეჩნ. დუყჷ „მორი, დირე“) შესატყვისები ყ გლოტალის პრიმარობას უჭერენ მხარს.

ს.-ქართვ. *დოყო „ახმახი, მსუქანი“

ქართ. (იმერ.) დოყო // დოყრო „ახმახი“

ზან. (მეგრ.) დოყორ-ე „მსუქანი, აყლაყუდა“

მიუხედავად სტრუქტურულ-სემანტიკური იგივეობისა, გურული დოდრ-ი „მსუქანი“ სხვა წარმომავლობისად უნდა იქნეს მიჩნეული [შდრ. ჩუხუა 2000-2003 : 93].

ს.-სინდ. *ტყჷა „მძიმე“

უზიხ. გჯნ-ტყჷა „მძიმე“

უზიხური ლექსემა რთული შედგენილობისა ჩანს, აქ გამოყოფილი -ტყჷა სეგმენტი კანონზომიერად შეეფარდება ს.-ქართვ. *დოყო არქეტიპს, შდრ. ო → ჯჷ სინდურ ენებში. პირველი გჯნ- ძირის შესატყვისად ს.-ქართვ. *გჷან- მოიაზრება (იხ. აქვე). თუ გავითვალისწინებთ დ → რ ფონეტიკური პროცესის შესაძლებლობას, წონადი პარალელები გამოჩნდება დაღესტნურ ენებშიც: ჰინუხ. როყუ, ჰუნზიხ. როყყუ „მძიმე“.

ს.-ქართვ. *დოჩ- „მშრალი“

ქართ. (აჭარ.) დოჩ-ი „რძეგამომშრალი ძროხა“

სიტყვა მხოლოდ ქართული ენის აჭარულ დიალექტში დასტურდება. არ გამოვრიცხავთ მის ფუძეენურ წარმომავლობას, რასაც ამტკიცებენ სარწმუნო აფხაზურ-აბაზური პარალელები.

ს.-სინდ. *დაცჷ- „ცარიელი“

აბაზ. (ტაპანთ.) თაჩჷ-ჯ „ცარიელი“, თაჩჷ-რს „დაცარიელება“, აფხაზ. ა-თაცჷ-ჯ „ცარიელი“, ა-თაცჷ-რს „დაცარიელება“

თავკიდური დ-ს დაყრუება აფხაზურ-აბაზური ინოვაცია ჩანს, რასაც მომდევნო (ძირეული) ც/ჩ ყრუ სიბილანტ-აფრიკატთა ასიმილატორულ ზეგავლენას მივაწერთ. ძირეული სიბილანტის ლაბიალიზაცია მხოლოდ ო → ჯჷ დიფთონგიზაციის მომდევნო ეტაპზე განხორციელდა – *დჷაც- → *დაცჷ-.

ს.-ქართვ. ჩ : ს.-სინდ. ც ბგერათშესატყვისობა მიუთითებს წ.-ქართვ. ც → ს.-ქართვ. ჩ გაშიშინების ზოგად ტენდენციაზე.

სემანტიკური კორელაცია მშრალი ~ ცარიელი ბუნებრივად გვესახება.

ს.-ქართვ. *დუმ- „დუმილი; იდუმალი“

ქართ. დუმ-ი-ს / დუმ-ს, და-ი-დუმ-ა, დუმ-ილ-ი, ი-დუმ-ალ / ი-დუმ-ალ-ი, სა-ი-დუმ-ლ-ო სვან. დუმ-, ლი-დუმ-ე „საიდუმლოს შენახვა“

შეიძლებადა ასევე გვეფიქრა ლაზურ დურ-ა / დურ-ე „ყრუ“ ფუძის შესახებაც ჩვენს კონტექსტში, თუ, რა თქმა უნდა, დასაშვებია *დუმ-რა → დურ-ა / დურ-ე ტრანსფორმაცია.

თავად დუმ- ფორმა ქართულში ცნობილია უძველესი წერილობითი ძეგლებიდან [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 179].

ს.-სინდ. *დგმ „სუსტი ხმა“

ყაბ. დგმ „სუსტი ხმა“

სემანტიკურად ოპოზიცია სუსტი ხმა ~ დუმილი ადვილი ასახსნელია, მით უმეტეს იმ შემთხვევაში, როცა ქართულ-სინდურ არქეტიპებს შევუფარდებთ საერთონახურ *დუმ „ფიცი“ პროტოტიპს. ფიცი / სუსტი ხმა / დუმილი / იდუმალეზა საერთო რიგის სემანტიკებია და შედარებულ ძირთა იგივეობრივი სტრუქტურაც ერთიანი წარმომავლობის მყარი საბუთად გამოჩნდება.

ს.-ქართვ. *დურღუნ- „მაყვალი“

ზან. (მეგრ.) დურღენ-ი „მაყვლის ბუჩქი“, ლაზ. დურღუნ-ი // დურღენ-ი „მაყვალი“

უფრო ძველი ჩანს ლაზ. დურღუნ-ი ალომორფი; ეს უკანასკნელი ს.-ქართვ. *დურღუნ- „მაყვალი“ არქეტიპის პირდაპირ რეფლექსად მიიჩნევა.

სხვა ქართველურ ენა-კილოებში შესაბამისი ძირი არ იძებნება.

ს.-სინდ. *დგლტა- „მარწყვი“

უბიხ. -დგლტა, სიტყვაში მგკა-დგლტა „მარწყვი“

რთული შედგენილობის უბიხური ფორმა ორ ფუძეეწერი წარმომავლობის ძირს ინახავს - მგკა- (← *მგტა-): ქართ. მაყვალ-ი და დგლტა : ზან. დურღუნ-ი „id“.

სავარაუდოდ, ს.-სინდ. *დგლტა- „მარწყვი“ უფრო ძველი წ.-სინდ. *დგლტან- წინარეფორმისაგან მომდინარეობს.

ს.-ქართვ. *დუსთ-ე „მთვარე; თვე“

ძვ. ქართ. თთუე // თვთე „თვე“ → ახ. ქართ. თვე

ზან. (მეგრ.) თუთა „მთვარე, თვე“, თუთ-ერ-ი „ერთი თვისა“, ლაზ. თუთა // მთუთა „მთვარე, თვე“, თუთ-ერ-ი „თვისა“

სვან. დომდ-ულ, დომტ-ულ (ლნტ.) „მთვარე“, დუშედ-იმ, დომდ-იმ „ორშაბათი“

ქართული ალომორფები ცნობილია უძველესი ქართული სამწერლობო ძეგლებიდან. ადიშის ოთხთავში იკითხება თუთე სახეობაც, რაც ძვ. ქართ. თვთე ფორმის ვარიანტი ჩანს [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 178].

ს.-სინდ. *მგძ-ა „მთვარე, თვე“

ადილ. მაზა, ყაბ. მაზა „მთვარე, თვე“

უბიხ. მგძა „მთვარე, თვე“

აბაზ. მზგ, აფხაზ. ა-მზა „მთვარე, მზე“

წარმოდგენილ არქეტიპთა ურთიერთშედარება იმაზე მიუთითებს, რომ თავკიდური დ-, უძველესი პრეფიქსებია, გრამატიკული კლასის ნიშნები, რომლებსაც ნახურ ენებში ზ (ბუთა „მთვარე, თვე“), ხოლო დაღესტურში მ (ხუნძ. მოწა), ზ (ანდ. ენათა ზორწა-) და უ (ლეზგ. უარზ) შეეფარდება.

ძირეული თანხმომავანი უცვლელად ჩანს შემონახული ნახურ ენებში – თა, რომელმაც ქართველურში სთ ფონემური ჯგუფი, ხოლო სინდურსა (ძ → // ზ) და დაღესტურში (ძ → წ/ც) სიბილანტური ალოფონები გაიჩინა.

ს.-ქართვ. *დღენ- „-ვით თანდებული“

ზან. (ლაზ.) ნდღენ-ი „-ვით თანდებული“, მეგრ. დღან-, ი-დღან-ო „იმასავით“

გვაკლია ქართულ-სვანური ალომორფები. საკუთრივ კოლხური სახეობა მეგრულს უკეთ და-
უცავს; ლაზურში გვიანდელი ჩანს როგორც ა → ე ტრანსფორმაცია, ისე ნ ნაზალის ფონეტიკური
დართვა.

ს.-სინდ. *დღჳ- „როგორ“

ადილ. თჳა-ფჳ, ყაბ. და-ფს „რამდენი“

უბიხ. დღჳ- „როგორ“

ჩერქეზულ ენა-კილოებში მეტია ცვლილება: თუ ადიღეურმა ამოსავალი B ტიპის მჟღერი
კომპლექსის ყრუ სახეობა (თჳ-) შეინარჩუნა, ყაბარდოულში, პირიქით, მჟღერი ბუნება არ ცვლილა,
მაგრამ კომპლექსი კი გამარტივდა დღ → დ.

ს.-სინდ. *დღჳ- : ს.-ქართვ. *დღენ- არქეტიპებს აერთიანებთ სტრუქტურულ-ფონეტიკური და
ფუნქციური იგივეობა. საგულისხმო ჩანს დღ B ტიპის ჰარმონიულ-დედესიური კომპლექსის პოვ-
ნიერება ფუძე-ენათა ქრონოლოგიურ დონეზე.

ს.-ქართვ. *დღილ- „სიმსუქნე“

ქართ. (მოხ.) დღრ-ინ-ი „უშნოდ გასუქებული“

ზან. (მეგრ.) ნდღილ-ინ-, ო-ნდღილ-ინ-ან-ს „უშნოდ, მსუქნად გამოიყურება“, გო-ნდღილ-ინ-
აფ-ირ-ი „უშნოდ, მეტისმეტად გასუქებული“

სვან. დღილ-აჳ // დღილ-აი (ჩოლურ.) „დიდტანიანი, მსუქანი (ქალი)“

დასაშვები ჩანს ლ – ნ → რ – ნ მოხეურში – *დღლ-ინ-ი → დღრ-ინ-ი. სვანურ-მეგრული, ძირის
გახმოვანების მხრივაც, არქაულ ვითარებას გვიჩვენებენ.

ს.-სინდ. *დღღჳ- „ქონი“

ადილ. დჳღჳ, ყაბ. დაღჳ „ქონი“

ძირის გახმოვანება არქაული ჩანს ადიღურში, ანუ ფუძის კუმშვა *დღილ- → დღილ- ქარ-
თველურში განხორციელდა, რაც საგურისხმოა B ტიპის ჰარმონიულ-დეცესიურ კომპლექსთა გე-
ნეზისის თვალსაზრისით.

სემანტიკური კორელაცია სიმსუქნე ~ ქონი კანონზომიერებას ექვემდებარება.

გასარკვევია ლეზგ. დჳ-დღჳერ, რუთულ. და-დღჳარ // და-დღჳერ „კარაქი“ ფორმებთან გე-
ნეტიკური მიმართების საკითხი.

ს.-ქართვ. *დღრ- „გახრწნა“

ქართ. დღრ-ებ-, მო-დღრ-ებ-ულ-ი „მოულონობელი“ (საბა)

სვან. დღ-ებ-/დღ-ბ-, მე-დღ-ბ-ე, მე-დღ-ებ-ე „გახრწნილი, დამპალი“

ზანურში შესაბამისი ფუძე გვაკლია. ზმნის პირიელი ფორმები არც სვანურში ჩანს და არც
ქართულში, თუმცა ისტორიულად მათი პოვნისებრიობა ორსავე ენაში ეჭვს არ იწვევს.
გამონაწევრებული -ებ-ის აფიქსურობა ქართველურ ენა-კილოებში ასევე უდავოა.

ს.-სინდ. *ჳჳად- „მკვდარი სხეული“

ადილ. ჳად-ჳ, ყაბ. ჳად-ჳ „მკვდარი სხეული“

აბაზ. ხჳად-ი „მკვდარი სხეული“

ერთ-ერთი რთული შესიტყვებაა. თუ ამოსავლად ქართველურ გახმოვანებას მივიჩნევდით,
სინდურ ენებში *ჳჳად- უნდა აღვედგინა, რის შესაძლებლობას ახლაც არ გამოვრიცხავთ, მაგრამ
დადესტნური მონაცემები ყრუ გახმოვანებას ერთხმად უჭერენ მხარს, თვით დიდლოური ენებიც კი,
მდრ.: ხუნდ. ხჳელ-, ახვახ. ბ-იჳურ-..., ხვარშ. ბ-იხჳად-, ინხოხვ. ბ-უხად „ხოცვა“..., დარგ. ბ-

ულხ- „კვდომა, კვლა“. ამავდროულად ქართველურში შებრუნებული წყობაა გაბატონებული, მაშინ, როდესაც სინდურ-დაღესტნური ერთგვაროვან სურათს გვიჩვენებს.

სემანტიკური ოპოზიცია ს.-ქართვ. *გახრწნა/კვდომა ~ ხოცვა / კვლა* ნორმალური ჩანს.

9

ს.-ქართვ. ***-ედ-უ** „მრავლ. რ. სუფ.“

სვან. **-ედ-უ** „მრავლ. რ. სუფ. სახელებში“

მონათესავე **-ედ** სუფიქსი შეიძლება ჩანდეს ძველქართულ კარ-**ედ-** (= კარ-**ებ-**) ტიპის სახელებშიც, თუმცა ამავდროულად არ გამოირიცხება ზმნურ **-ედ** „მრავლ. რ.“ მარკერთან გენეტიკურ კავშირიც, შდრ. ძვ. ქართ. არ-**ი-ედ**.

წ.-სინდ. ***-დუ** „მრავლ. რ. სუფ.“

ხათ. **-du** „მრავლ. რ. სუფ.“, **zar-du** „ცხვრები“

სვანურ-ხათური მარკერის შესატყვისები თანამედროვე აფხაზურ-ადიღურ ენებში არ ჩანს, მაგრამ წინარესინდურში ის (**-დუ**) აქტიური სუფიქსი უნდა ყოფილიყო, რაზეც, ხათურთან ერთად, დაღესტნური შესატყვისებიც ცალსახად მიუთითებენ, შდრ.: ბოთლიხ. **-დე/-დი**, ლოდ. **-დი**, ახვახ. **-დი/-დო**, ხინალ. **-ერდერ/-ურდურ** „მრავლ. რ. სუფ.“

ს.-ქართვ. ***ელ-** „ელია, ამინდის გამგებელი“

ქართ. **ელ-ია**, შდრ. ა-**ელ-ებ-ა** „შეწყობა ჳმათა“

ზან. (მეგრ.) **ალ-**, სიტყვაში **ალ-ერთი** „ღვთაება და მისი სახელობის ეკლესიები სამეგრელოში“ (= **ელ-ია** + **ეტლ-ი**)

სვან. **ელ-მა** // **იელ-მა** „ელია“, **ელ-მა-ილამ** „ელიას ალი, ცეცხლი“

არ გამოვრიცხავთ სვანური ალომორფების ქართულიდან სესხების შესაძლებლობას, რაშიც **-ია/-მა** სუფიქსთა იგივეობა გვარწმუნებს. ქართულში **-ია** მოფერება/მოწიწების ფუნქციით ჩანს დატვირთული. **ელ-/ალ-** ძირეულ მასალაში კანონზომიერი ხმოვნური მიმართება ღვთაების საერთო-ქართველურ წარმომავლობაზე მიუთითებს.

წ.-სინდ. ***ილ-** „ღმერთი“

ხათ. **il** „ღმერთი“

აფხაზურ-ადიღურ ენებში მოსალოდნელი {**ლ**} სახეობის სიტყვა არ ჩანს. შესაძლოა, ის ჯერ კიდევ ფუძე-ენაშივე დაიკარგა. საერთოდაც, იბერიულ-კავკასიურ ენობრივ სამყაროშიც ხათური **il** : ს.-ქართვ. ***ელ-** ჯერ-ჯერობით განმარტოებით დგას.

საკითხი დამატებით კვლევას საჭიროებს.

ს.-ქართვ. ***ენ-ელ-** „მარშანცია (მცენ.)“

ზან. (ლაზ.) **ან-ელ-ა** „მარშანცია (მცენ.)“, მეგრ. **ან-ელ-ა** (ანთროპ.)

სხვა ქართველურ დიალექტებში შესაბამის ძირებს ვერ მივაკვლიეთ, რაც აძნელებს ფუძეენური არქეტიპის აღდგენის პროცედურას, განსაკუთრებით სიტყვის ანლაუტში.

ს.-სინდ. ***ან-ა** „ნეკერჩხალი“

ადიღ. (შაფს.) **ანა-ა**, ჳემგ. **ანა-ა** „ნეკერჩხალი“

ჩერქეზულში, საზოგადოდ, მცენარეთა სახელები ხშირად ბოლოვდება **-ა** აფიქსით. ეს უკანასკნელი *ხისა* და *მცენარის* აღმნიშვნელ სუფიქსად მიიჩნევა [კვახაძე 2014 : 58].

თუ გავითვალისწინებთ სიტყვის ბოლოში **ლ** → **უ** → **Ø** ფონეტიკური ტრანსფორმაციის შესაძლებლობას სინდურში, ს.-ქართვ. ***ენ-ელ-** : ს.-სინდ. ***ან-ა**- კანონზომიერ ფონეტიკურ-სემანტიკურ ოპოზიციად უნდა ჩაითვალოს.

ს.-ქართვ. *ერ- „ვილაცა“

სვან. ერ-ე „ვილაცა“, შდრ. ერ-ხი „ზოგი“ {მ-ერ-ჟალე „ვინმე“

არ გამოვრიცხავთ, იგივე -ერ ძირს შეიცავდეს ქართ. ერ-თ-ი (გურ. ერ- „id“), ზან. არ-თ-ი „ერთი“ (ლაზ. არ- „id“) რიცხვითი სახელიც, რომელიც ნაცვალსახელოური ფუნქციითაც არის ცნობილი ქართველურ ენებში.

ს.-სინდ. *ზრ- „ეს“

აფხაზ. არ-ი „ეს“, არ-თ „ესენი“

სინდური ენებიდან მხოლოდ აფხაზურს შემორჩა არ- ნაცვალსახელოური ძირი. იგივე არ- უნდა ჩანდეს აბაზურ ზმნისართებში: არ-ახ~ „აქეთ“, არ-აყა „აქ“, არ-ასა „ასე“, შდრ. აფხაზ. არ-ს „ასე, ასეთი“, არ-ახ~ „აქეთ“...

ს.-ქართვ. *ერ- : ს.-სინდ. *ზრ- არქეტიპებს შეესატყვისება ბასკური or-i „ეს“, or „იქ“ ფორმები.

ს.-ქართვ. *ეს- „მაღლა“

ზან. (მეგრ.) ემ-ე „მაღლა, ზემოთ“, ემ-ჟრს „მაღლა ადის“, ლაზ. ემ-, ემ-ა-ჩვალუ „ადენა“, ემ-ა-ხთიმ-ა „ასვლა“

მაღლა სემანტების გადმოსაცემად ზანურ დიალექტებში ემ- ძირის არსებობა რეალური ჩანს. ვფიქრობთ, იგი საერთოქართველურ *ეს- „მაღლა“ არქეტიპის აღდგენის შესაძლებლობას იძლევა.

ს.-სინდ. *ამშ- „მაღლა“

ადილ. დემ-ჰალ, ყაბ. დეს-ჰემ „მაღლა“

შედარებითი ანალიზით ცხადად ირკვევა, რომ ადილურ ენებში შემოგვრჩა ფუძეენური წარმომავლობის ამშ- ძირი, რომელიც კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. *ეს- „მაღლა“ არქეტიპს, შდრ. ბგერათმესატყვისობა ს.-ქართვ. ს- : ს.-სინდ. შ.

ს.-ქართვ. *ერჟ- „ერო“

ძვ. ქართ. ერჟ-ად // ერჟ-ე-ი, ახ. ქართ. ერო

სვან. აცჟჟ // აცჟჟ „ერო“

მრავალმხრივ საყურადღებოა სვანურის ჩვენება. იგი გვამცნობს, რომ -ა/-ე სუფიქსებია ქართულში, ხოლო უ-ს ზეგავლენით (თ. გამყრელიძის კანონი) მოხდა ჩ-ს გასისინება – ჩჟჟ → ცჟჟ, და კიდევ, ასევე უ-ს უკუმდართულების უმლაუტური ძალის გამო ფიქსირდება ე → ა//ა სვანურში: *ერჟჟ → აჩჟჟ → აცჟჟ // აცჟჟ [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 192].

ს.-სინდ. *ცჟა „სახნისი“

ადილ. ცჟა-ბზა, ყაბ. ვა-ბძა ← *ცჟა-ბძა „სახნისი“

უბიხ. ცჟა-ბზა „სახნისი“, ცჟა-ნთა „კვალი, გუთნის მიერ გავლებული“

აბაზ. ჩჟა-ლჟარა „ხენა“, აფხაზ. ა-ჩჟ-მათჟა „გუთანი“, ა-ჩჟ-ედხა „სახნისი“ (აფხა „რკინა“), ა-ჩჟა-ლჟა-რა „ხენა“

სავსებით დამაჯერებელი ჩანს მსჯელობა იმის შესახებ, რომ ადილურ ენათა ცჟა- სემანტი ამ კომპოზიტებში არ უკავშირდება ცჟა „ხარი“ ლექსემას [შაგიროვი 1977, I : 104-105]; პირიქით, იგი აუცილებლად „სახნისის“ აღმნიშვნელი დამოუკიდებელ ძირად გამოჩნდება კიდევ ერთ აფხაზურ სიტყვაში ა-ჩჟ-მნ „გუთნის სახელოური“, სადაც, ცხადია, მნ იგივეა, რაც აფხაზური ა-მნ „ტარი, სახელოური“.

სემანტიკურად ერო ~ გუთანი ~ ხენა ამოსავლად ფხეკა // თლა // დაღარვა ეტიმოლოგურ შინა-არსს ვარაუდობს.

ს.-ქართვ. ***უაზ**- „ვაზი“

ქართ. **ვაზ**-ი

სვან. **ღუაზ** / **ტუაზ** „ვაზი“

ბალსქვემოურში თავკიდურა **ღ** ფონეტიკური დანართი ჩანს, იგი სხვა მასალაშიც საკმაო სიხშირით დასტურდება [თოფურია 1941: 233].

ს.-სინდ. ***ზუგ**- „ყურძენი“

აბაზ. **ჟგ**, აფხაზ. ა-**ჟ** „ყურძენი“, ა-**ჟგ**-მჟუა „ყურძნის მტევანი“

გვაკლია ჩერქეზული შესატყვისები, რაც ართულებს რეკონსტრუქციის პროცედურას. ეს ეხება როგორც **ზ/ჟ** არქიფონემის, ისე ძირის აუსლაუტის პრობლემის რკვევას, თუმცა რაც გვაქვს, იმითაც ცხადია, რომ ს.-ქართვ. ***უაზ** : ს.-სინდ. ***ზუგ**- პალეოკავკასიური წარმომავლობის ძირებია. შემთხვევითი არც ის ფაქტია, რომ ნოდ. banz / baz „ვაზი, ლერწი; ყურძნის მარცვლები“ ქართულ წყაროს ვარაუდობს [ბადათურია 1997].

სხვა იბ.-კავკ. ენებში გენეტიკურად საერთო სიტყვა-ფორმებს ჯერჯერობთ ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვ. ***უალ**- „სვლა“

ქართ. **ვალ**-, წარ-**ვალ**, **ვლ**-ა / **ვლ**-ებ-ა, ს-**ვლ**-ა, ნა-**ვალ**-ი, სა-**ვალ**-ი

ზან. (ლაზ.) **ულ**-ა / **ულ**-უ „სვლა“, ნო-**ველ**-ი „ნავალი“, მეგრ. **ულ**-ა „სვლა“, ო-**ლ**-უ „წასასვლელი“, ო-**ლ**-მა-**ლ**-უ „წასვლა-მოსვლა“

მიუხედავად ***უალ**- ძირის შესწავლის ისტორიისა, დღემდე კითხვად რჩება: გამოიყოფა თუ არა ძირად **-ლ**- ს.-ქართვ. დონეზე მაინც, ხომ არ არის **ვ/უ** გრამატიკული კლასის რუდიმენტი? [კლიმოვი 1964 : 84], შდრ. ქართ. **ვედ**-**ვ**-ელ (წა-**ველ**- / **ვედ**).

ს.-სინდ. ***-ლა**- „სვლა“

ადიდ. ძა-**ჰა**-, ყაბ. ძა-**ჰა**- „შესვლა“

აბაზ. ნაშ-**ლ**-, აფხაზ. ა-თა-**ლა**- „შესვლა“

აფხაზურ-ადილურ ენებს შორის ფიქსირდება ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებ გავრცელებული **ლ** : **ჰ** ოპოზიცია, თუმცა გარე-ენობრივი ინფორმაცია აფხაზურ-აბაზური **ლ**-ს სასარგებლოდ მეტყველებს, შდრ. ლაკ. **ულუ** „წავიდეთ“, წახ. **ჰ-ალე** „მოსვლა“...

ს.-ქართვ. ***უარ**- „ურო“

ქართ. (მოხ.) **ვარ**-ია-ე „ხის ურო“, შდრ. **ვარ**-ია „რძის სადღვებელი“

ზან. **ურ**-ო „ურო“

სვანური შესატყვისი ვერ გამოვავლინეთ, ხოლო საერთოქართველურმა **უარ**- *უროს* აღმნიშვნელმა ძირმა ქართულში **ვარ**- მოგვცა, ზანურში კი – **ურ**-. შესაბამისად, -ია ქართულში და -ო ზანურში დამოუკიდებელი სადერივაციო აფიქსები ჩანს; შდრ. იმერ., ქართლ. **ვარ**-იან-ი.

ს.-სინდ. ***უარ**- „ურო“

ყაბ. **უგრ** „ურო“

აფხაზ. ა-**უგრ**-ა „ურო“

აბჟურული ა-**უ**-რა, არ გამოვრიცხავთ, შეიძლება, მართლაც ქართველურიდან იყოს ნასესხები [ლომთათიძე 1976 : 51], რასაც ვერ ვიტყვით ყაბარდოულზე; ეს უკანასკნელი საერთოსინდური არქტიპის რეფლექსად მიიჩნევა.

ს.-სინდ. ***უგრ** : ს.-ქართვ. ***უარ**- არქტიპები კანონზომიერ სტრუქტურულ-სემანტიკურ მიმართებას ავლენენ.

ს.-ქართვ. ***ტარალ-ე** „სასიმღერო მოძახილი“

ქართ. **ვარალ-ე** „სასიმღერო მოძახილი“

ზან. (მეგრ.) **ვორირ-ა / ვორერ-ა** „სიმღერის მოძახილი“

მიუხედავად ფუძეთა აშკარა ონომატოპოეტური აგებულებისა, ქართველური ფორმები აჩვენებენ კანონზომიერ მიმართებებს – ა : ო, ლ : რ, რაც მეტყველებს აღწერილ სიტყვა-ფორმათა ერთიან წარმომავლობას.

ს.-სინდ. ***ტარად-** „სიმღერა“

ადიდ. **ტარად**, ყაბ. **ტარად** „სიმღერა“

სიტყვის აუსლაუტში შეიმჩნევა ს.-ქართვ. **ლ** : ს.-სინდ. **დ** შესატყვისობა, რაც უფრო უბიხური ტიპის შესატყვისობას წარმოადგენს, ანუ ამით იმის თქმა გვინდა, რომ **ლ** → **დ** უბიხური ფონეტიკური პროცესია. ამ შემთხვევაში, გამომდინარე სიტყვის ონომატოპოეტური შედგენილობიდან, შეიძლება, ძირის უბიხურიდან მომდინარეობის მტკიცებისაგან თავს შევიკავებთ.

ს.-ქართვ. ***ტარგ-** „თავადი, აზნაური“

ქართ. **ვარგ-ი**, კაცი **ვარგ-ი**

სვან. **ტარგ**, **ტარგ** (ლნტ., ბქ.) „თავადი, აზნაური“

გვაკვლია ზანურ დიალექტთა მასალა. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია თვალსაზრისი სვანური ალომორფების ადილური (ჩერქეზული) ენებიდან სესხების თაობაზე, რაც არ ჩანს სათანადოდ დასაბუთებული [შდრ. ჯანაშია 1942 : 272].

ს.-სინდ. ***ტარჯ** „თავადი“

ადიდ. **ტარჯ**, ჭემგ. **ტარჯ**, აბძახ. **ტარყ** „თავადი“, ყაბ. **ტარყ** „თავადი“

ფვიქრობთ, **ჯ** : **ჭ** : **ყ** ბგერათფარდობა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ არქიფონემად დ მჟღერი ფარინგალური აფრიკატი აღვადგინოთ. შესაძლებელი ხდება ***ტარჯ** / ***ტარღ** დუბლეტურ ფორმებზე საუბარი. თავის მხრივ, **ღ** ფონემის პოზიციურება აადვილებს ქართველურ **გ**-სთან მიმართების პრობლემას, ვინაიდან ***ღ** → **გ** ჩვეულებრივ ხორციელდებოდა ქართველურში.

საკითხი საბოლოოდ დამატებით იბ.-კავკ. მასალის მოხმობით გადაწყდება, რაც ჯერჯერობით არ არის ხელმისაწვდომი, თუ არ ჩავთვლით დიდოურ **იგუ** „კეთილშობილი“ სიტყვას.

ს.-ქართვ. ***ტარტა** „რვა“

ქართ. **რტა//რვა**, **რვ-ეულ-ი**, ძვ. ქართ. **რტა-ნ-ი** „რვანი“

ზან. (ლაზ.) **ორვო//ორვო**, მეგრ. ***ბრვო** → **ბრუო** // **რუო** „რვა“

სვან. **არა** „რვა“

თავკიდური **ბ** მეგრულში უძველესი ჩანს, იგი ინახავს ს.-ქართვ. ***ტარტა** არქეტიპის ანლაუტს, ხოლო ძირის სრული გახმოვანება შენარჩუნებულია სვანურსა და ლაზურში [შდრ. კლიმოვი 1975 : 163; ბოპი 1846 : 295; ჩიქობავა 1938 : 217].

ს.-სინდ. ***ტარტ** „რვა“

ადიდ. **ბ**, ყაბ. **ბგ** „რვა“

უბიხ. **ლტა** // **ტგ-ლტა**

აბაზ. **ჭა**, აფხაზ. **ჭა-ბა** / **აა-ბა** „რვა“

მეტად ცვლილა ადილური შესატყვისები, თუ უბიხურში **ჭტ** ფარინგალურმა სპირანტმა დეფარინგალიზაციით ველარული **ღტ** კომპლექსი მოგვცა, ადილურ ენებში ძირეული თანხმოვანი სავსებით გამქრალა, მოშლილია ძირის ლაბიალიზაციაც, ისევე, როგორც აფხაზურ-აბაზურ ენებში – **ჭტა** → **ჭა**-. სხვათა შორის, უბიხური **ტგ-ლტა** სახეობის ფორმა მეტად მნიშვნელოვანი შეიძლება აღმოჩნდეს ქართველური ***ტარტა** არქეტიპის თავკიდური **ტა** კომპლექსის საკვალიფიკაციოდ,

შდრ. ს.-ნახ. *ბარჰ. ← წ.-ნახ. *ბაჰჷ, სადაც ბა- ასევე პრეფიქსად გამოიყოფა.

სინდურ-ქართველური ალომორფები ერთმანეთს შეუპირისპირა ქ. ლომთათიძემ, რომელმაც ჰჷ → რჷ ტრანსფორმაციის შესაძლებლობაზეც პირველმა მიუთითა ქართველურში. მისი აზრით, როგორც ძირის, ისე ფუძის აგებულების მიხედვით სრული გენეტიკური ერთიანობა გვაქვს [ლომთათიძე 1955 : 827].

ს.-ქართველურ. *ტარც-ინ-(ა) „დედოფალა, თრითინა“

ქართ. ვრცინ-ი „დედოფალა, თრია, თრითინა“

სვან. ურშუნ-ა „თრითინა“

ადვილი შესაძლებელია სვანურ ფორმაში იკითხებოდეს უ-ა უარყოფითობის მაწარმოებელი კონფიქსის ზეგავლენა, რასაც ფაქტის მეტაანალიზი აძლიერებდა; თუმცა, ჩვენი თვალთახედვით, აქ კანონზომიერი შესატყვისობა გვაქვს ქართ. ვრცინ- : სვან. ურშუნ- ← *ურჩინ-.

ს.-სინდ. *მაცჷ- „ციყვი, ვირთხა“

ადილ. სჷაძ, შაფს. სჷაძ „ციყვი“, ჭემგ., ბჷედ. სჷადა „ვირთხა“

აფხაზ. ა-მეშ „ციყვი“

ფუძეენური სტრუქტურა აფხაზურს უფრო სრულად დაუცავს, თუმცა ლაბიალიზაცია აქ ადრევე მოშლილა. ძირის აგებულებისა და სემანტიკის თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია დარგული ენის ჩვენება, სადაც დადესტნური შესატყვისი ტაცა „თავი“ სიტყვაში იკითხება.

ს.-ქართველურ. *ტარძ- „სავარძელი, სკამი“

ქართ. ვარძ-, სა-ვარძ-ელ-ი

ზან. (ლაზ.) ორძ-უ // ორძ-ო → // ორზ-ო „სკამი“

სვანურ-მეგრულში სათანადო ალომორფები დაკარგული ჩანს, ხოლო ქართულში გამონაწევრებულ ვარძ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება ლაზური ორძ- ვარიანტი. ბოლოკიდური --უ → -ო ლაზურში ქართ. -ელ სუფიქსის შესატყვისია; *ოვრძ-უ → ორძ-უ გარდაქმნის დაშვება ლაზურში მხოლოდ გაუგებრობის შედეგია [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 195]. ბევრად უფრო ადრე გამოთქმული მოსაზრება გაცილებით ადეკვატურად ასახავს საქმის რეალურ ვითარებას – ვარძ- : ორძ- [ჩიქობავა 1938 : 162].

ს.-სინდ. *რამძ-ა „სკამი, გრძელი სკამი“

აზაზ. (ტაპანთ.) რგმძა „სკამი“, აფხაზ. ა-რგმძ, ბზიფ. ა-რმძა // ა-რგმძ „გრძელი სკამი“

საერთოსინდური არქეტიპის აღდგენა შეიძლება წარმატებული იყოს აფხაზურ-აზაზურის ნიადაგზეც. აქ მხოლოდ რ-ს მეტათეზისი შეიმჩნევა, უ → მ ფონეტიკურ პროცესთან ერთად. საერთოქართველური *ტარძ- მეტ არქაულობას ინარჩუნებს, რაზეც ნახური ალომორფებიც მიაწინებენ, შდრ. ჩეჩნ. ჰუოჷ // ჰუოჯ, ინგუშ. ვოჯ // ვოჷ „სასაპალნე უნაგირი“, ს.-ნახ. *ტოჯ- „id“ [ჩუხუა 2008 : 326].

ს.-ქართველურ. *ტარხჷ- „ვარხვი; წყლის ფრინველი“

ძვ. ქართ. ვარხუ, / ვარხჷ „ფილაკვანი“ (საბა), ახ. ქართ. ვარხვი-ი

მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა ჯერ კიდევ ძველქართულშია დამოწმებული: „ვემსგავსე მე ვარხუსა მას უდაბნოდსასა [აბულაძე 1973 : 154], ქართველური შესატყვისები არ ჩანს. სიტყვა არც საშუალო ქართულის წერილობით ძეგლებშია გამოვლენილი [გიგინეიშვილი 2016 : 154].

ს.-სინდ. *არხ-გ-ნა „შაში“

აფხაზ. არხ-გნა, ბზიფ. ს-არხ-გნა „ჩემი შაში“

სიტყვა განმარტოებით დგას აფხაზურში, მაგრამ ამავდროულად ასახავს ფუძეენურ რეფლექსაციას. ივარაუდება -ნა სეგმენტის სუფიქსურობა, შდრ. არცგ-ნა „ქათამი“ [ჩირიქვა 1996 : 10].

აფხაზურ-ქართული იზოგლოსების კანონზომიერი შესატყვისები სხვა იბ.-კავკ. ენებში ჯერჯერობით არ ჩანს.

ს.-ქართვ. ***ტაც**- „ვაცი“

ქართ. **ვაც**-ი „მამალი თხა“ (საბა), **ვაც**-იკ-ი „სამამლე თიკანი“ (საბა)

ზან. (ლაზ.) **ბოჩ**-ი „ვერძი“, **ბოჩ**-იკა „ვაციკი“, **ბოჩ**-ობ-ა „ვაცობა, ვერძობა“, მეგრ. **ოჩ**-ი „მამალი თხა“, **ოჩ**-იმ ქა „ჯიხვის რქა“

სვან. **ღტამ** „ჯიხვი“

მნიშვნელობის მხრივ თანხვედენას მეგრული გვთავაზობს, სადაც პოვნირია სვანურისებური (ჯიხვის) მნიშვნელობაც. ლაზურისათვის ზოგი ავტორი **ოჩ**-ი ალომორფსაც უთითებს, რაც არ ჩანს რეალური [კლიმოვი 1964 : 82].

ს.-სინდ. ***ტაჩ**-ა „მამალი თხა“

ადიდ. (ჭემგ.) **აჩ**, ბჟედ. **აჩ**, ყაბ. **აჟ**, ბასლ. **აჯ** „მამალი, საჯიშე თხა“

არსებობს სხვაგვარი რეკონსტრუქციის შესაძლებლობაც – ***აჩ** ***ტა** [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994: 245], რაც მიუღებელია. თუ **ტ** აღდგება საერთოდ, ფუძესინდურში იგი ანლაუტში უნდა ყოფილიყო, ამას ქართველურის გარდა, დადესტნურიც ადასტურებს, შდრ. დარგ. (წუდახ.) **ჭაჩა** „თხა“. საქმე იმაშია, რომ ქართველურ **ტ**-ს დადესტნურში **ჭ** შეესატყვისება ხშირად, ასე მაგ.

ს.-ქართვ. ***ტერცხილ**- „ვერცხლი“ : ს.-სინდ. ***ჭარცი** „ვერცხლი“, ს.-ქართვ. ***ტამალ**- „ვაშლი“ : ს.-დად. ***ჭენშე** „ვაშლი“...

ს.-ქართვ. ***ტერხ** (**ტ**) - „ვერხვი“

ქართ. **ვერხვ**-ი [Populus tremula]

ზან. (მეგრ.) **ვეხ**-ი „ვერხვი“

სვან. **დერხტ** // **ტერხტ** „ვერხვი“

არ გამოვრცხავთ ბოლოკიდური **ტ**-ს მეორეულობას სვანურ-ქართულში, რაზეც ზეგავლენას სიტყვის ანლაუტი მოახდენდა უთუოდ. მეგრულში **რხ** → **ხ** კომპლექსის გამარტივება ფიქსირდება, ისევე, როგორც **ტ** → **დ** სვანურში [კლიმოვი 1964 : 84].

ს.-სინდ. ***ნახ**-გ „ვერხვი“

ადიდ. **ნეხე** „ვერხვი“

სადიებელი ძირი მხოლოდ ადიღურში იძებნება, თუმცა ქართველური (და არამხოლოდ) შესატყვისის არსებობა **ნეხე** ფორმის ფუძესინდურ წარმომავლობას ამტკიცებს.

სიტყვის თავში ს.-ქართვ. ***ტ** : ს.-სინდ. ***ნ** ფონემურ ოპოზიციაში გადამწყვეტ როლს თამაშობს ნახურ-დადესტნური ინფორმაცია, შდრ.: ჩეჩნ. მახ, ინგუშ. მიხ „ვერხვი“ და თაბას. მუხ „ვერხვი, რცხილა“, ანუ ადიღ. **ნ** ← ***მ**.

ს.-ქართვ. ***ტეს**- „ვსება“, სა-**ტს**-ე „სავსე“

ქართ. **ვს**-ებ-ა, სა-**ვს**-ე

ზან. (ლაზ.) **ფ-ოფშ**-უ „ავსო“, **ო-ფშ**-ა „სავსე“, მეგრ. ეი-**ო-ფშ**-უ „ავსო“, ე-**ფშ**-ა // **ო-ფშ**-ა // **ფ-ოფშ**-ა „სავსე“

სვან. **გტშ**-ი „სავსე“, ლი-**გტშ**-ილ-ე „გავსება“, ო-**ხ-გტშ**-ილ „გავავსე“

თუ სვანურ მონაცემს მივანიჭებთ უპირატესობას, რა თქმა უნდა, ს.-ქართვ. არქეტიპად ***ტეს**-უნდა აღდგეს, რომელსაც ***ტს**- ალომორფიც მოეპოვებოდა. ამიტომაც ***ტეს**-/**ტს**- რეკონსტრუქცია საფუძვლიანი ჩანს [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 201].

ს.-სინდ. ***ეფშ**- „გაბერვა; ბერვა“

ადიდ. **ეფშ**-ან „ბერვა, გაბერვა“

ამ მნიშვნელობით მხოლოდ ადილურ ფორმას ვაფიქსირებთ სინდური ენებიდან. ადილურის ჩვენებას ამაგრებს ქართველურ ენათა მონაცემები. აქვე შეიძლება მოგვეხმო ნახურ-დადესტური მასალაც, შდრ. წ.-თუმ. დ-ფეს-არ / დ-ოფს-არ „ბერვა“..., ლოდ. ჟუში „სავსე“. და ეს ყველაფერი უეჭველს ხდის უს-/ფშ-/ფს- ძირთა პალეოკავკასიურ წარმომავლობას.

ს.-ქართვ. *უესთ- „ციკანი“

ქართ. ქოსტ-ი „ციკანი; შემოდგომით მთიდან დაბრუნებული“

ზან. (მეგრ.) ქვაშთ-ი „წლის დედალი ცხვარი“

სვან. ნე-ღაშდ (ბზ.), ნე-ვშდ (ბქ.), ნი-ღაშტ (ლნტ.), ნე-ღეშტ (ლშხ.), ნი-ღაშტუ (ჩოლურ.) „თიკანი“

თუ დავუშვებთ, რომ სიტყვის ანლაუტში უ სონანტის წინ ქ, ღ, ჯ თანხმოვნები განვითარებულია ფონეტიკურ ნიადაგზე, რაც ჩვენი ენებისათვის მეტად დამახასიათებელია, მაშინ ყველაფერი ადვილად აიხსნება. სვანურში ანლაუტური უ მეტათეზირებულია ფუძის ბოლოში – ჩოლურ. ნი-ღაშტუ ← *ნი-ღაშტ.

ს.-სინდ. *სთაჟ- „თხა“

უბიხ. სტა „თხა“

საერთოსინდური არქეტიპი შებრუნებული წყობისა უნდა ყოფილიყო – *სთაჟ-, საიდანაც ბოლოვიდური უ-ს დაკარგვით უბიხური ალომორფი განვითარდა.

ს.-ქართვ. *უესთ- : ს.-სინდ. *სთაჟ- პროტოტიპთა მიმართების გასარკვევად მნიშვნელოვანი ჩანს ნახურ ენათა ინფორმაცია, შდრ. ინგუმ. რასთა, ჩეჩნ. აუსთ „ერთი წლის თხა“.

ს.-ქართვ. *უემ- „მინერალური წყალი“

ქართ. ვემ-ა „მინერალური წყალი“, ვემ-ის-ი (ტოპ.)

ზან. (მეგრ.) მენჯ-ი „ვეძა; მლაშე წყალი“, მენჯ-ი (ტოპ.)

ფონეტიკური პროცესი უ → მ მეორეული ჩანს მეგრულში (შდრ. ქართ. ვინ : ზან. მი(ნ) „id“). არქაული ფორმა ზანურისათვის *მანჯ- ← *ვაჯ- უნდა ყოფილიყო [კლიმოვი 1998 : 53; ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 202].

ს.-სინდ. *ძე- „წყალი“

აბაზ. ძე, აფხაზ. ა-ძე „წყალი“

სინდურში არ ჩანს ქართველური უ-ს შესატყვისი ფონემა, რაც გარკვეულ სტრუქტურულ სხვაობას ქმნის. მიუხედავად ამისა, სინდურ-ქართველურ ძირ-ფუძეთა ერთიანი წარმომავლობა დასაშვებია. კანონზომიერებას ექვემდებარება ასევე შესატყვისობა სემანტიკურ დონეზე – წყალი ~ მინერალური წყალი.

შეიძლება, სინდურ-ქართველურ არქეტიპებს უკავშირდებოდეს დარგული ზინძ // ზინცა // ზინიზ „წყარო“ ალომორფები. ამას, უპირველეს ყოვლისა, მჟღერი ძ სისინა აფრიკატ-სიბილანტის პოვნირება გვაფიქრებინებ, რომ არაფერი ვთქვათ კანონზომიერ უ / ზ თავკიდურა მიმართებაზე.

ს.-ქართვ. *უი- „ვინ; საიდან“

ქართ. ვი-ნ, ვი-ნა-მ „საიდან“, ვი-ნა-მთ-გან „რა დროიდან“

ზან. (მეგრ.) მი-, მი-ნ-ეფ-ი „ვინ“ (მრავლ. რ.), ლაზ. მი- // მი-ნ „ვინ“

კოლხურ დიალექტებში ვ → მ ფონეტიკური პროცესი განხორციელდა, რაც აქ ხშირად გამოჩნდება, შდრ. ქართ. უეძა : ზან. მენჯ-ი „მინერალური წყალი“ [შდრ. კლიმოვი 1964 : 135; ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 125].

ს.-სინდ. *უე- „ის“

ადილ. (შაფს., ბჟედ.) უე „ის“

უბიხ. **ჟა** „ის“

აბაზ. ა-**ჟი**, აფხაზ. **ჟი** „ის“

ყაბარდოულ შესატყვისს ვერ ვხედავთ. აბაზურში ა- დეიქტური ჩანს. სავარაუდოდ, გვესახე-
ბა ფონეტიკური პროცესები: ***ჟგ** → **ჟჳ** → **ჟა** უბიხურში და ***ჟგ** → **ჟი** აფხაზურ-აბაზურში.

სინდურ ენებში ***ჟგ**- ძირს მხოლოდ „ის“ ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუნქცია აქვს, მაშინ,
როდესაც ქართულში კითხვითი ვინ ნაცვალსახელი დროისა და სივრცის შინაარსსაც ითავსებს.
ამით ქართული (ქართველური) დადესტნურს მოგვაგონებს, შდრ. ლაკ. **ჟა** „ეს“, მაგრამ ხინალ. **ჟა**
„იქ“, ლეზგ. **ჟი**-ნელ „იქ, ზემოთ“, ბეჟიტ. **ჟა**- „დეიქტური პარტიკლი“, ხვარშ. ა-**ჟ**-ედ „ეს“, [მეტი
დად. იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 222].

ს.-ქართვ. ***ჟიწ**- „ვიწრო“

ქართ. ვიწ-რო „ვიწრო“, ვიწ-რო-ბ-ი

ზანურ დიალექტებში შესაბამისი ძირები დაკარგული ჩანს. საერთოქართველურ ***ჟიწ**- არქე-
ტიპის შემდგომ მოდიფიკაციად გვევლინება ქართული ვიწ-რო სიტყვა. სვანური **ხუწ**- / **ხჟწ**- სხვა
ძირია და, ცხადია, სვანურის ამ სიტყვაში ვერ ვივარაუდებთ ხ-ს ფონეტიკურად განვითარებას. **ჟ**-
ს წინა პოზიციაში სვანურში უფრო **ღ** იყო მოსალოდნელი (იხ. აქვე ***ხუწ**- „ვიწრო“).

ს.-სინდ. ***მგწ**- „ვიწრო“

უბიხ. **მგწ**-გ „ვიწრო“

სინდურ სინამდვილეში უბიხური ალომორფი განმარტოებით დგას, რაც გახდა საფუძველი
მისი ქართულიდან სესხების დაშვებისა [ლომთათიძე 1974 : 96; ბუკია 2016 : 41].

ნასესხობას გამოვრიცხავთ, პირიქით, უბიხური ასახავს საერთოსინდურ ვითარებას და მას
ს.-ქართვ. ***ჟიწ**- „ვიწრო“ შეესატყვისება. უფრო მეტიც, უბიხურ-ქართველურ მასალას პარალელე-
ბი ეძებნება დადესტნურ ენებში, შდრ. დარგ. (ურაზ.) **ჟჳრწა**, იცარ. **ღჟერწ**- „ვიწრო“. ოღონდ აქ **ღ**
მართლა ფონეტიკური დანართია, განსხვავებით სვანურისაგან.

ს.-ქართვ. ***ჟიწყ**- „დავიწყება“

ქართ. ვიწყ-, და-ვიწყ-ებ-ა, გულ-მა-ვიწყ-ი, შე-უ-ვიწყ-ებ-ელ-ი (საბა)

სხვა ქართველურ ენა-კილოებში ქართ. ვიწყ- ძირის შესატყვისები არ ჩანს, თუმცა არსებობს
ანგარიშგასაწევი იხ.-კავკ. პარალელები, რაც მის ფუძეენურობას განამტკიცებს.

ს.-სინდ. ***წჟჳხ**- „დაფარვა, დამალვა“

აბაზ. **ჟჳჳახ**-რა, აფხაზ. (ბზიფ.) ა-**წჟჳახ**-რა „დაფარვა, დამალვა“

სტრუქტურულ-სემანტიკური იგივეობა ს.-სინდ. ***წჟჳხ**- ~ ს.-ქართვ. ***ჟიწყ**- პროტოტიპებს
შორის ადვილი დასანახია. **ჟ**-ს არალაბირულობა სინდურ ენებში შეინიშნება. ამ უკანაკნელს ნა-
ხურ ენებში **ღ** ეთანადება – ს.-ნახ. ***ლოჟყ**- „დამალვა; მოპარვა“; შდრ. ასევე დად. ძირები: ხუნძ.
წოჳ- „მოპარვა“, **წოჳ**-ორ „ქურდი“, არჩიბ. **წიხ**-დი „მოპარვა“.

ს.-ქართვ. ***ჟორ**- „მიწა“

სვან. **ჟორ** (ლშხ.), **ჟერ** (ზს., ლნტ.) „მიწა, თიხა“

სხვა ქართველურ ენა-კილოებში შესაბამისი ალომორფები ვერ გამოვავლინეთ. სვანურ ვარი-
ანტებში ლაშხური **ჟორ** არქაული ჩანს, **ჟერ** სახეობა **ჟორ**-ის უმლაუტიანი ფორმაა, რომელიც შემ-
დეგ საფეხურებს გულისხმობს. – **ჟორ** → ***ჟორ** → ***ჟჟერ** → **ჟერ**.

წ.-სინდ. ***ჟურ**- „ქვეყანა“

ხათ. -**wur**, სიტყვაში (eš)-**wur** „ქვეყანა“ წინამავალი eš- სეგმენტის ფუნქცია ჩვენთვის უცნო-
ბია. სპეციალისტების ჩანაწერებში -**wur** ცალკე გამოიყოფა, რაც მის დამოუკიდებელ ძირად კვა-
ლიფიკაციას დაუჭერდა მხარს [კოჭლამაზაშვილი 2016 : 113].

სვანურ ტორ „მიწა“ ~ ხათურ -wur „ქვეყანა“ ძირთა ერთიანი წარმომავლობა რეალური ჩანს. სხვა იბ.-კავკ. ენებში მონათესავე ძირ-ფუძეებს ამ ეტაპზე ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვ. *ტს- „დაბრმავება; ჩაქრობა“

ძვ. ქართ. ვს-, და-ვს-ებ-ა „ჩაქრობა, დაბრმავება“

ქართული ვს- ზმნური ძირი ცნობილია უძველესი სამწერლობო ძეგლებიდან: „ვერ დ ა ა ვ - ს ე ბ ს (ჩააქრობს) ცეცხლასა მას“; „გიპყრიეს შენი და უ ვ ს ე ბ ე ლ ა დ (ჩაუქრობელად)“ [აბულაძე 1973 : 109; 126]. ყოვლად დაუშვებელი ჩანს ვს-ებ-ა „დაბრმავება, ჩაქრობა“ ზმნის რამენაირი კავშირი ომონიმურ ვს-ებ-ა „ავსება, გავსება“ ზმნასთან [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 201].

ს.-სინდ. *სტ- „ბრმა; ჩამქრალი“

ადილ. -სტ-გ, სიტყვაში ნწ-სტ-გ „ბრმა“, ყაბ. ნწ-ტ ← *ნწ-შტ „ბრმა“

აბაზ. ლა-შტ-გ, აფხაზ. ა-ლა-შტ „ბრმა“

მეტად არქაული კომპოზიტი ჩანს, ალბათ, საერთოსინდური ეტიმოლოგიისა. სპეციალისტები პირველ კომპონენტად ნწ-/ლა- „თვალი“ სიტყვას გამოყოფენ, რაც რეალურად გვესახება [შაგროვი 1977, I : 280]; ხოლო მეორე *სტ- ძირი ქართული ვს- „ჩაქრობა, დაბრმავება“ ზმნის შესატყვისი უნდა იყოს.

ს.-ქართვ. *ტს : ს.-სინდ. *სტ- შებრუნებული წყობის არქეტიპთა შესატყვისი შეიძლება იკითხებოდეს წ.-თუმ. უმ-ტარ „ბრმა“ სიტყვაში.

ზ

ს.-ქართვ. *ზა- „ერთი; ცალი“

ზან. (მეგრ.) ზო-, სიტყვაში ზო-ხ-ო „ცალკე“

მეგრულში ცალკე ძირად გამოყოფილი ზო-, იძლევა საერთოქართველური *ზა- არქეტიპის რეკონსტრუქციის შესაძლებლობას. ზო-ხ-ო-ში ზო- ძირია, -ხ- ზმნისართებისათვის დამახასიათებელი სუფიქსი (კინო-ხ „წინათ“, გო-წო-ხ „მარშანწინ“...), ხოლო -ო ვითარებითი ბრუნვის ნიშანი, რომლის გამოყენებაც სიტყვის სემანტიკით არის შეპირობებული, შდრ. ართ-ი „ერთი“ – ართ-ო „ერთად“...

ს.-სინდ. *ზა- „ერთი“

ადილ. ზგ, ყაბ. ზგ „ერთი“

უბიხ. ზა „ერთი“

აბაზ. ზა-კვ „ერთი“, აფხაზ. ზ-ნგ „ერთხელ, ჟუე-ზა „თერთმეტი“

აფხაზურში, ისევე, როგორც მეგრულში, სიტყვა დამოუკიდებულად არ იხმარება, მხოლოდ ნაწარმოებ ზმნისართში ჩანს შემორჩენილი. ს.-ქართვ. *ზა- : ს.-სინდ. *ზა კანონზომიერ შესატყვისობებს აჩვენებს როგორც სტრუქტურულ-ფონეტიკური, ისე სემანტიკური თვალსაზრისით [იხ. კლიმოვი 1969 : 291].

არ ვიზიარებთ სინდური ზგ/ზა/ზ ალომორფების გენეტიკურ კავშირს დადესტნურ ცა/ცო/ჩე-ცე ერთის აღმნიშვნელ ძირებთან [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 323-324].

ს.-ქართვ. *ზადენ- „ნაყოფიერებისა და მცენარეულობის ღმერთი“

ქართ. ზადენ-ი „ნაყოფიერების ღმერთი“, ზადენ-ი (ტოპ.)

ზადენ- ფუძეს შესატყვისები არ უდასტურდება სხვა ქართველურ ენა-კილოებში [შდრ. ჩუხუა 2000-2003 : 412], თუმცა ის დასტურდება ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში და, გარდა ამისა, მას სარწმუნო შესატყვისები გამოუჩნდა მონათესავე იბ.-კავკ. ენებში.

ს.-სინდ. *ზანდჷ „ციცაბო (მთა)“

ადიდ. **ზანდ**, ყაბ. **ზად** „ციცაბო მთა; ციცაბო აღმართი“

ყაბარდოულში ამოსავალი **ნდ** კომპლექსი გამარტივებულია – **ზანდ** → **ზად**. რაც შეეხება სემანტიკურ ოპოზიციას *ღმერთი ~ ციცაბო*, იგი გაშუალებული ჩანს ისეთი სანდო სემანტიკით და-
ლესტნური ენებიდან, როგორცაა *ცა*, შდრ. ხუნდ. (ბათლ.) **ჟოდი** „ცა“. ამდენად, *ღმერთი ~ ცა ~ მთა*
ბუნებრივ კორელაციად გვესახება.

სტრუქტურულად და შინაარსითაც მნიშვნელოვანია ლაკური ენის ჩვენება, სადაც **ზანუ** //
← **ზანდუ** (ვიცხ.) „მთა“ ლექსემა არის პოვნიერი [აბდულაევი 2015 : 417].

ს.-ქართვ. ***ზაზ**- „კუნელი“ (მცენ.)

ქართ. **ზაზ**-უნ-ა „კუნელი“ Crataegus (მცენ.)

ამ სახეობის დენდრონიმი მხოლოდ ქართულში დასტურდება. სავარაუდოდ, იგი ფუძეენუ-
რი წარმომავლობისაა, ვინაიდან ინახავს **ზაზ**- ძირს, რომელსაც საყურადღებო შესატყვისები ეძებ-
ნება მონათესავე ენებში.

ს.-სინდ. ***ზაზ**- „ურთხელი“ (მცენ.)

ჩერქ. {**ზაზ**} „ურთხელი“ Taxus baccata (მცენ.)

სინდურ ენებში სიტყვა დაკარგული ჩანს, მაგრამ, ალბათ, ოსური **ზაზ** „ურთხელი“ ადიღურ
ფორმას ინახავს ნასესხობის სახით.

სინდულ-ქართველურ არქეტიპთა კანონზომიერი შესატყვისი იკითხება დარგულ **ზანზე**
„კვრინჩხი“ Prunus spinosa დენდრონიმში.

ს.-ქართვ. ***ზალ**- „გასწორება; ხაზვა; გამართვა“

ქართ. **ზალ**-, **ზალ**-ა „სამართი კალატოზთა“ (ჩუბინაშვილი)

ზან. {**ჟორ**}, ო-**ჟორ**-ა „სახაზავი; გასასწორებელი“

ქართულ **ზალ**- სახელს ზანურში კანონზომიერად შეესატყვისება **ჟორ**- ფორმა, რომელიც ო-
ჟორ-ა დერივატში არის უცვლელად შემონახული.

ს.-სინდ. ***ზა**- „ვარცხნა“

ადიდ. **ჟ**-ნ, აბძახ. **ზე**-ნ, ყაბ. **ზე**-ნ „ვარცხნა“

უბიხ. **ზა**- „დავარცხნა“

უდავოდ ღირებული ჩანს ადიღურ ნაზმნარ სახელში ზმნური ფუძის გამონაწევრება, როცა
მა- პრეფიქსი სადერივაციო აფიქსად გამოიყოფა, შდრ. ადიღ. მა-**ჟ**, ყაბ. მა-**ზა** „დავარცხელი“ [აბ-
დოკოვი 1983 : 131]. ბოლოკიდური **ლ**, რომელიც ქართველურში **ლ/რ** სახით არის შენარჩუნებული,
ფუძესინდურში უკვალოდ დაიკარგა.

ლოგიკურად გვესახება სემანტიკური ოპოზიცია *ხაზვა / სწორება ~ ვარცხნა*.

ს.-ქართვ. ***ზალ**-ა „მლაშე; წათხი“

ქართ. (თუშ.) **ზალა** „მლაშე წყალი; წათხი“

ადრე გვექონდა მცდელობა ქართულ **ზალა** სახიდან სვანური **ჟირ**-/**ჟერ**- „სველი, სისველე“ ძი-
რის დაკავშირებისა, რასაც წარუმატებელ ცდად მივიჩნევთ [შდრ. ჩუხუა 2000-2003 : 183].

ს.-სინდ. ***ზლა** „მწარე“

აფხაზ. (აბჟ.) **ა-ზლა** „მწარე“

სინდურ მასალაში განმარტოებით დგას აბჟურის **ა-ზლა** „მწარე“ სიტყვა. ეს უკანასკნელი შე-
იძლება ინახავდეს ქართულ **ზალა** სახელის კანონზომიერ შესატყვისს.

გასარკვევია ქართულ-აფხაზურ ძირ-ფუძეთა გენეტიკური მიმართების საკითხი დარგულ
ზული „მლაშე“ ფორმასთან.

ს.-ქართვ. *ზამ- „ქმნა, კეთება, ხვნა“

ქართ. ზამ-, ი-ზამ-ს, ზმ-ნ-ა

სვან. ჟუმ-, ლი-ჟუმ-ი „ხვნა (მზრალად)“

მეტად საყურადღებოა ძირებს შორის გამოვლენილი სემანტიკური კორელაცია კეთება / ქმნა ~ ხვნა, რაც ლაზურშიც შეინიშნება, შდრ. ლაზ. ო-ხონ-უ / ო-ხენ-უ „ხვნა, ქმნა / კეთება“. ფონეტიკურად ახსნას ითხოვს ა : უ ოპოზიცია, რაც სვანურისათვის საკმაოდ დამახასიათებელი ა → უ რედუქციის ნიმუშად უნდა ვაღიაროთ: ქართ. ციცა : სვან. ციცუ, კაბა : კაბუ, ყბა : ყაბუ და ა.შ.

ს.-სინდ. *ზუა- „ხვნა“

ადილ. ზუა-ნ, ყაბ. უა-ნ ← ზუა-ნ „ხვნა“

უბიხ. ზუა- „ხვნა“

როგორც ვხედავთ, ჩერქეზულში ძირეული თანხმოვნის ლაბიალიზაცია მიღწეულია მ → უ ფონეტიკური გარდაქმნით, რაც ღირებული ჩანს ამ რიგის თანხმოვანთა ევოლუციის გასარკვევად. ქართველურ კეთება / ქმნა შინაარსს ეხმიანება ლაკური ზუ-ნ „მუშაობა, კეთება“.

ს.-ქართვ. *ზან-ა „მჟავე წყალი; ვეძა“

ქართ. {ზანა}, ზან-ავ-ი, სა-ზან-ო

ზან. (მეგრ.) ჟონა, ჟონ-ე „ვეძისი“ (ა. ქობალია)

სვანური შესატყვისი ვერ დავადასტურეთ. სამეგრელოსა და ლაზეთში გავრცელებული ზან-ა, ზანა-თ-ი, ო-ზან-ე (ლაზეთი) შეიცავს ქართულ (ქართველურ) ზან-ა სახელს; ამ უკანასკნელის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისი ჩანს მეგრულ ჟონ-ე „ვეძისი“ სიტყვაში, რომლის კვალი იკითხება ქართულ ტოპონიმებში ნა-ჟონ-ევ-ი, ჟონ-ევ-ი; ცხადია, ჟონ- (გა-ჟონ-ვ-ა) ზმნა აქ არაფერ შუაშია.

ს.-სინდ. *ზანა „ღვინო; მათრობელა სასმისი“

ადილ. სანა „ღვინო“, ყაბ. სანა „ალკოჰოლური სასმელი“

უბიხური და აფხაზურ-აბაზური ეკვივალენტები ჯერაც არ არის გამოვლენილი. ჩერქეზულ ენა-კილოებში მხოლოდ ყრუ სანა ალომორფი გვხვდება, რომლის უფრო ძველი ზანა სახეობა უნდა ჩანდეს რთული შედგენილობის სიტყვაში ნარ-ზან ← *ნართ-ზანა „ნარების სასმელი“.

სინდურ-ქართველურ არქეტიპებზე მსჯელობისას აუცილებლად გაგვახსენდება დადესტნური ფორმებიც, შდრ.: ხუნძ. *ჟანა → ჟა, ანდ. ჟონო, ტინდ., ბავვალ., ბოთლიხ., ლოდ. ჟანა „ღვინო“..., შდრ. ლაკ. ზინი „ლუდი“.

ს.-ქართვ. *ზარ- „მოთქმა, ძახილი; ხმა, ჰიმნი“

ქართ. ზარ-ი, ზარ-ის თქმა, შდრ. ზარ-ზეიმ-ი

ზან. (მეგრ.) ზორ-ი „საყვირის ხმა“

სვან. ზარ // ზარ „სამგლოვიარო ჰიმნი“

სპეციალურ ლიტერატურაში ზარ-/ზორ- სახელთა გენეტიკური ერთიანობა ცნობილია [ფენ-რიხი, სარჯველაძე 2000 : 208]. აქვე შემოდის ქართულის სხვა შესატყვისებიც და, რა თქმა უნდა, სვანური ალომორფები, რომელთა საერთოქართველური წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს.

წ.-სინდ. *ზარ- „მოხმობა, ძახილი“

ხათ. zar „მოხმობა, ძახილი“

აფხაზურ-ადილურ ენებში მოსალოდნელი *ზუა- ან *ზა- სახეობის ძირ-ფეძეები არ იძებნება. ხათური zar ძირის შესატყვისად აფხაზური ა-ცარ-რა „ყვირილი; ტირილი“ ზმნის მოხმობა უსაფუძვლოდ გვეჩვენება [შდრ. ბრაუნი 2002 : 328].

გენეტიკურად საერთო ძირებს სხვა იბ.-კავკ. ენებში ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქარვ. *ზარ- „მოწყენა“

ქართ. ზარ-ებ-ა, და-მ-ე-ზარ-ა, მე-ზარ-ებ-ა

სვან. ლი-ჟარ „მოწყენა“, მ-ა-ჟარ-დ-ა „მომწყინდა“

გვაკლია ზანური ალომორფები. ქართულ-სვანური ზარ-/ჟარ- კანონზომიერი ჩანს როგორც ფორმობრივი, ისე სემანტიკური თვალსაზრისით [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 220].

ს.-სინდ. *ზა- „წყენა“

ყაბ. ჟა-ლჟ „წყენა“

სიტყვა მხოლოდ ყაბარდოულშია ფიქსირებული. -ლჟ სეგმენტი სპეციალისტების მიერ კვალიფიცირდება აბსტრაქტულობის სახელურ სუფიქსად [კვახაძე 2014 : 189].

ს.-ქართვ. *ზარ- „მოწყენა“ ~ ს.-სინდ. *ზა- „წყენა“ კანონზომიერ შესატყვისობას წარმოგვადგენინებს როგორც სტრუქტურულ-ფონეტიკური, ისე სემანტიკური თვალსაზრისით.

ნახური შესატყვისი წ.-თუმურში ჩანს - ზორ-ნა „შიში“. დაღესტნურს, იქნებ, ოსური ზივ-პგ „ზარმაცი“ სიტყვა ინახავს..

ს.-ქართვ. *ზარ- „საჭმლის კეთება, პურის ცხობა“

ძვ. ქართ. ზარ-, მ-ზარ-ეულ-ი „მეპურე“, სა-მ-ზარ-ეულ-ო

მხოლოდ ეტიმოლოგიური კვლევა-ძიების საფუძველზე ხდება შესაძლებელი ქართულში ზარ- ზმნური ძირის გამოყოფა. მიუხედავად იმისა, რომ ზარ- ძირიდან ნაწარმოები სახელები ფიქსირდება უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებში: „მეპურე ანუ მ ზ ა რ ე უ ლ არს...;“ „მ ზ ა რ ე უ ლ მ ა ნ მიიღო იგი და შეწუა ტაფითა“ [აბულაძე 1973 : 238], სხვა ქართველურ ქვესისტემებში კანონზომიერი შესატყვისები დღემდე ვერ გამოვლინდა. არ გამოვრიცხავთ ეტიმოლოგიურ კავშირს ქართულ ზრ-უნ-ვ-ა ფუძესთან.

ს.-სინდ. *რაზ- „ცხობა“

აბაზ. რაზ-რა „ცხობა“

მართებული ჩანს სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ აბაზური რაზ- ზმნის მონათესავე -ლაშ- ძირს შეიცავს ხათური სიტყვა wu-laš-ne „პური“ [ბრაუნინ 2002 : 328]. ცხადია, -laš- უდრის -laž-ს ფონოლოგიურად. მაშინ ქართველური ზარ- შებრუნებული სახეობის ძირი გამოდის; ამ ტიპის ძირ-ფუძეებში მსგავსი ოპოზიცია საკმაოდ ხშირად შეინიშნება.

დაღესტნური მასალა ხათურ-სინდურს მიჰყვება, შდრ. თაბას. ურჟ-უბ „ცხობა“...

ს.-ქართვ. *ზარდ- „ჭოტი“

ქართ. ზარდ-იონ-ი „ჭოტი“, „ცხრამუცელა“, чыч (ჩუბინაშვილი)

-იონ სუფიქსი ბუნებრივი ჩანს ფრინველთა სახელებში ქართულისათვის, შდრ. კვირ-იონ-ი; ამიტომაც ზარდ- ფორმის ამოსავალ ძირად კვალიფიკაცია პრობლემას არ წარმოადგენს.

ზანურ-სვანური შესატყვისები ვერ გამოვლინდა.

ს.-სინდ. *ზჟანდ- „ჭოტი“

აბაზ. ჟჟანდ-უ „ჭოტი“

სიტყვა განმარტოებით დგას აბაზურში. იგი მიჩნეულია ყაბარდოულ ნასესხობად, რაც არ უნდა იყოს მთლად ზუსტი [შდრ. შაგიროვი 1977, I : 202]. პირიქით, აბაზური მისთვის დამახასიათებელი ზ → ჟ პროცესით ამტკიცებს ფუძის საერთოსინდურ წარმომავლობას, რასაც ს.-ქართვ. *ზარდ- არქეტიპიც ზურგს უმაგრებს.

ანლაუტური თანხმოვნის ლაბიალიზაცია საკუთრივ სინდური მოვლენა ჩანს.

ს.-ქართვ. *ზარდლ- „ობობა; კრაზანა“

ქართ. -ზარდლ-, სიტყვაში დედა-ზარდლ-ი „ბაბაჭუა“

ზან. (ლაზ.) მზუნჯ-ი // მზუჯ-ი „კრაზანა“, მეგრ. ზუნჯ-ი // ზუნდ-ი „id“.

ცალკე აღებული ზარდლ- ქართულში არ გვხვდება, იგი მხოლოდ შედგენილი სიტყვის ნაწილია. განსხვავებული ვითარებაა მეგრულ-ლაზურში, სადაც ზუნჯ-/ზუნდ- ცოცხალი სიტყვაა.

ქართ. ზარდლ- : ზან. ზუნჯ- კანონზომიერი ბგერათშესატყვისობაა, რომელიც აპრობირებულია სხვა მასალაშიც.

ს.-სინდ. *ჟანტ- „ბაღლინჯო“

უბიხ. შანტა „ბაღლინჯო“

ლექსემა იზოლირებულად დგას უბიხურში, თუმცა მას გააჩნია მეტად სანდო შესატყვისები როგორც ქართველურ, ისე დაღესტნურ ენებში. საყურადღებო აქვე ისიც არის, რომ დაღესტნურში როგორც მჟღერი (დიდ. ზედო „ფარვანა“), ისე ყრუ ალომორფებია (ჭამალ. სინა-ლჷ „ობობა“) პოვნიერი [მეტი დაღ. ძირებზე იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 962-963].

ს.-ქართვ. *ზას- „ქსოვა, რთვა; აბლაბუდა“

ზან. (ლაზ.) მ-ზეს-ა „აბლაბუდა“, მეგრ. ზეს-ა-სქირ-ი // ზეს-ა-შვილ-ი (ანთროპ.), ე. ი. ფეიქრი-შვილ-ი

ზანურში ძირად ზეს- გამოიყოფა, რაც ქართულისათვის (ქართველურისთვის) ზას- (შდრ. ქართ. ძარღვ- / ზან. ჯერღვ-) სახეობას გვავარაუდებინებს.

ს.-სინდ. *შშ „წვნა“

აბაზ. შშ-რა „წვნა“, აფხაზ. შშგ-გა „ლასტებისაგან დაწნული დაუხურავი სადგომი თიკან-ბატკან-ცხვრისათვის“

ჩერქეზულ ენებში სათანადო ძირები არ ჩანს, თუმცა შესაძლებელი გახდა ქართველურსა და დაღესტნურ ენებში უეჭველი პარალელების მოძიება. ამით ჩვენთვის საინტერესო ზმნური ძირის პალეოკავკასიურობა რეალურობა მტკიცდება, შდრ. დაღ.: ლაკ. შაშა-ნ „ქსოვა“, კრიწ. შიშლ- „რთვა“ (შდრ. ლაკ. (შალ.) შაშლ-ან „რთვა“), ხვარშ. ჟიჟ-ა, ბეჟიტ. სიზ-ალ „წვნა“.

ს.-ქართვ. *ზაქო- „ეზო“

ძვ. ქართ. ზაქო-ჲ „ეზო“

სიტყვა განმარტოებით დგას ძველ ქართულში: „აჰა ესერა სახე... ზ ა ქ ო ო ქორებისაჲ და საუნჯეთა მათ შინაგანთა“ [აბულაძე 1973 : 162]. სავარაუდოდ, ზაქო- ძირი საერთოქართველური ფუძე-ენიდან მომდინარეობს.

ს.-სინდ. *შაგჷ „ეზო“

ადილ. შაგჷ „ეზო“

ისევე როგორც ქართველურ ქვესისტემაში, აქაც მხოლოდ ადიღეურშია შემონახული საერთოსინდური ეტიმოლოგიის სიტყვა. ზაქო- / შაგჷ- კანონზომიერ შესატყვისობად მიიჩნევა. აქაც მონაცვლეობს ფონემათა სიმჟღერე – ქართულში ზ, ადიღეურში გ, შდრ. ქ/შ საპირისპიროდ.

დიდი ალბათობით, ეგევე სახელი მეორდება ბასკურ სიტყვაში ა-სოქა (azoka) „ღია ცისქვეშა ადგილი (სავაჭრო), ბაზარი“.

ს.-ქართვ. *ზელ- „რძე“

ზან. (ლაზ.) ჟალ-ვ-ა „რძე“, ჟალ-ვ-ანანა „რძით დედა, ძიძა“

ლაზურში ჟალ- ძირის არსებობა ავტომატურად სვამს საკითხს ზელ- სახეობის სიტყვის შესახებ ქართულში, თუმცა ზალ- ტიპის შესატყვისსაც არ გამოვრიცხავთ, ვინაიდან ერთმარცვლიან ძირ-ფუძეში იდენტური ა : ა ხმოვნური შეფარდება საკმაოდ ხშირია.

ს.-სინდ. *ზუტნ „მერძეული“

ადიდ. (ჭემგ.) ზუტნ-ფხუტ „ძუძუს მწოველი ქალიშვილი აღმზრდელისათვის“

ოდენ ჭემგუური ფორმის ნიადაგზე შესაძლებლად მიიჩნევენ საერთოჩერქეზული არქექტიპის რეკონსტრუქციას [კვახაძე 2014 : 106]. ამგვარი მიდგომა გამართლებული ჩანს, მით უმეტეს, როცა ქართველური შესატყვისიც გამოჩნდა.

რძის შინაარსი ორივე ჯგუფის ენებში ხელშესახებია, რასაც ემატება *ზელ- : *ზუტნ- სტრუქტურულ-ფონეტიკური იგივეობა. განსხვავებას ქმნის ლ : ჭ ოპოზიცია, რაც ლ → ჭ სვანურისებური ფონეტიკური პროცესის შედეგად მივიღეთ სინდურ ენებში.

ს.-ქართვ. *ზემ- „დრო, ახლო“

ქართ. ზმ-, ხან-და-ზმ-ა, ხან-და-ზმ-ულ-ი

ზან. (მეგრ.) ჟამ-ი „ხანი“, მითა-ჟამ-ი „ძველი დრო“, ჟამ-ო „ახლოხანებში“

ქართულში მხოლოდ ნაკლებგავრცელებული ზმნური ზმ- ძირია ცნობილი, მაშინ, როდესაც მეგრულში სახელური ფორმები ფიქსირდება. ზანურის ა გახმოვანება, ცხადია, ფუძე-ენისათვის ე გახმოვანებიან *ზემ- არქექტიპის პოსტულირებას მოითხოვს. სწორედ მისი შესატყვისი ჩანს მეგრული ჟამ-ი. ეს უკანასკნელი ზანიზმის სახით პოვნიერია უკვე ძველ ქართულში [აბულაძე 1973 : 343-344].

ს.-სინდ. *ჟუტნ- „ახლა“

ადიდ. ჟუტა-, სიტყვაში ჟუტა-ღუტნ „ვარსკვლავი“, ყაბ. [ჟუტა-, სიტყვაში ვა-ღუტნ (← *ჟუტა-ღუტა) „ვარსკვლავი“

უბიხ. ჟუტა „ცა“

აბაზ. უ-ჟუტ „ახლა“, ჟუტა-ჟუტანდ „ცა“, აფხაზ. ჟა-ჟუტ „ახლა“, ა-ჟუტ-ჟუტან „ცა“

სემანტიკური კორელაცია დრო / ჟამი ~ ცა / ვარსკვლავი ბუნებრივი ჩანს და დასტურდება ისეთ ახლომონათესავე ენებს შორის, როგორცაა ხუნძური და ანდიური, შდრ. ანდ. ზუბუ „დღე“ ~ ხუნძ. ზობ „ცა“, რასაც ეხმიანება დარგული ძაუ / ზაბ / ცაბ „წვიმა, ცა, ვარსკვლავი“. ამ სემანტიკურ ველში მსგავსი ოპოზიცია ადვილად აიხსნება.

ს.-სინდ. *ჟუტნ- : ს.-ქართვ. *ზემ- კანონზომიერი მიმართება ჩანს. როგორც ეტყობა, ს.-ქართვ. მს შესატყვისი ს.-სინდ. მ ჯერ კიდევ ფუძე-ენაში ხდება წყარო ძირეული სიბილანტის ლაბიალიზაციისათვის, შდრ. *ჟმა → ჟუტნ → აფხაზ. ჟუტ.

დროის აღმნიშვნელი სარწმუნო შესატყვისები თავჩენილია დადესტნურ ენებში : ბეჟიტ. ჟენ-სა „დღეს“, ჰუნზიბ. ჟე „ახლა“, ანდ. ჟე „დღეს“ და სხვ.

ს.-ქართვ. *ზენტ- „ჭაობის ქათამურა“

ზან. (მეგრ.) ზანთ-ია „ჭაობის ქათამურა“ (ფრინ.)

კოლხურში ა გახმოვანება, რომელიც ფუძის შიგნით დასტურდება, ავტომატურად სვამს საკითხს ს.-ქართვ. ე გახმოვანების შესახებ, შდრ. ქართ. ე : ზან. ა-, ს.-ქართვ. *ე. ქართულსა და სვანურში შესაბამისი ალომორფები არ არის დამოწმებული, ამიტომაც ფუძეენურ მდგომარეობაზე მხოლოდ ზანური მონაცემის მიხედვით გვიხდება მსჯელობა.

ს.-სინდ. *ზანთ- „ბუ“

ადიდ. (შაფს.) ზენტ-გუ, ჭემგ. ზენტ-გუ, ბჟედ. ზენტ-გუ, ყაბ. ზენტ-უტ „ბუ“

უბიხ. ზენტ-გუ „ბუ“

ჩერქეზულ ძირ-ფუძეთა საერთო წარმომავლობა ცნობილია [შაგიროვი 1977, I : 125]; ვემბრობით ალ. კვახაძის რეკონსტრუქციას [კვახაძე 2014 : 91]. მიუთითებენ ჩერქეზულ მასალასთან შესადარებლად ქართ. (ზ.-იმერ.) ზანდ-არა „დიდი, ზორბა“ ფორმის არსებობაზეც [ბუკია 2016 : 125], რაც საინტერესოა, თავისთავად, მაგრამ მოხმობილ ქართულ ეკვივალენტში არ ჩანს ფრინველის

მნიშვნელობა, რაც ართულებს საქმის ვითარებას.

ს.-ქართვ. *ზერზ- „ზრზოლა, კანკალი“

ქართ. ზრზ-ოლ-ა, გაა-ზრზ-ოლ-ა „ზარმა დაუკრა“ (საბა)

ზან. (მეგრ.) ჟარჟ-ოლ-ი / ჟარჟ-ალ-ი „ზრზოლა“

ფუძეში ძირეული ხმოვნის რედუქცია ქართულში განხორციელდა, რაც საკმაოდ ძველი მოვლენა ჩანს; ვინაიდან უკვე ძველ ქართულ ტექსტებში ზრზოლ-ა-მ გვხვდება [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 222].

ს.-სინდ. *ზაზა- „კანკალი“

ადიდ. -ზაზ-ენ, ყაბ. -ზაზ-ენ „კანკალი“

უბიხ. ბზაბზა „კანკალი“

საძიებელი ზმნა ადიღურ ენებში მხოლოდ კა- პრეფიქსთან ერთად არის პოვნეირი – კა-ზაზ-ენ, რასაც ემატება უბიხური ბზ კომპლექსი, ალბათ, ბგერწერით შეპირობებული.

ნახური (ზუჟზ- „ზრზოლა“) და დაღესტნური შესატყვისები კი იმაზე მიუთითებენ, რომ ძირი საერთოკავკასიურია, შდრ.: ჰუნზიბ. ზგზგ „რხევა, ზრზოლა“, ლაკ. ზურზუ, დარგ. ზერზერ-ბიკეს „კანკალი, ზრზოლა“) [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 1096-1097].

ს.-ქართვ. *ზექ- „შეშა; ხე“

სვან. ზექ „შეშა; ხე“, ზექ-მეხირ (ბქ.) „შეშა-კვარი“, ზექ-რა „ძელური“

სიტყვა განმარტოებით დგას სვანურში, მაგრამ ამავდროულად მოეპოვება სარწმუნო პარალელები სხვა იბ.-კავკ. ენებში. მისი შესაძლო კავშირი ქართ. შეშა, ზან. დიშქა ფორმებთან (ზ. ჭუმბურიძე) გამოირიცხება.

წ.-სინდ. *ზიქ-ერ „სამშენებლო ტყე; ხე“

ხათ. zihēr „სამშენებლო ტყე; ხე“

ძნელია ვისაუბროთ ხათური ჰ გრაფემით გამოხატული ფონემის ბუნებაზე. არ გამოვრიცხავთ, რომ ის ასახავს ყრუ ფშვინვიერ სპირანტს ფარინგალური რიგიდან, ჰ ქართველურში არა-იშვიათად ქ რეფლექსის სახით დაჩნდება – ჰ → ქ.

იბ.-კავკ. პარალელებიდან საყურადღებო გვეჩვენება ინგუშ. ზაგ-ალ „ჯოხი“ სიტყვა, რომელიც ასევე განმარტოებით დგას ნახურში; დარესტნურიდან შდრ. ხვარშ. ზიქა „მუხა“.

ს.-ქართვ. *ზუ- „შობა“

ქართ. ზუ- „დაბადება, შობა“, მე-ზუ-ებ-ი „მშობელი საქონელი“, ი-ზუ-ა „დაბადა“, უ-ზგ-ი, ზგ-ევ-ა

სვან. ზუ-, ლი-ზუ-ელ „საქონლის შობა“, ი-ზ-ალ ← *ი-ზუ-ალ „შობს“

ჯერაც არ არის გამოვლენილი ზანური შესატყვისები. სწორია მსჯელობა იმის შესახებ, რომ სვან. ზურ-ა-მ და ზან. ზურ-ა „დედალი, მშიშარა“ სხვა ძირებია [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 212].

ს.-სინდ. *ზუ- „შობა, ნაშიერი“

ადიდ. ზუ- „შობა“, სიტყვაში ჰა-ზუ- „ძალის შვილი, ლეკვი“, ყაბ. ვ- ← *ზუ- „შობა“, სიტყვაში ჰა-ვ-შერ „ლეკვი“

ადიღურ ენა-კილოებში მხოლოდ რთული შედგენილობის სიტყვები დასტურდება. აქ ადიღურის შემთხვევაში ჰა თუ ძალლია, მაშინ ზუ ნაშობი გამოდის. ყაბარდოულ ქვესისტემაში კიდევ უფრო რთულდება მდგომარეობა, ვინაიდან ძალლის ნაშობს (ჰა-ვ-) ემატება შერ „ბარტყი“ ფორმა [კვახაძე 2014 : 79].

ყველა შემთხვევაში ზუ- ადვილად გამოიყოფა შობის (საქონელთა) მნიშვნელობით როგორც სინდურ, ისე ქართველურ ენებში.

ს.-ქართვ. *ზტა-

ძვ. ქართ. მ-ზტა-ობ-არ-ი, ზტა-ობ-ა, ზტა-ვ-ი „ამაყი, გოროზი“

სიტყვა დასტურდება ძველ ქართულში: „სნეულ ხარ ზ უ ა ო ბ ი თ ა“; „ზ უ ა ვ ი იგი ნაბუქოდო-ნოსორ“ [აბულაძე 1973 : 169].

ს.-სინდ. *ზატ-ა „ომი“

ადიდ. ზატ-ჰ // ზატ-გ, ყაბ. ზატ-ჰ „ომი“

უბიხ. ზაჲ-ა „ომი, ჩხუბი“

ცხადია, ტ → ძ სპორადული პროცესი უბიხურში განხორციელდა [კვახაძე 2014 : 182].

სინდურ-ქართველურ არქეტიპებს აერთიანებთ სტრუქტურულ-სემანტიკური იგივეობა.

სხვა იბ.-კავკ. ენებში საერთო ძირის სიტყვები ვერ გამოვავლინეთ.

ს.-ქართვ. *ზტარ- „მზიანი ადგილი“

ძვ. ქართ. მ-ზტარ-ე „მზიანი ადგილი“ (საბა)

ზან. (მეგრ.) მ-ჟორ-ა // მ-ჟორ-ა „მზე“

გასარკვევია იმერული ზო (← // ზორ?) „სამხრეთისაკენ დაქანებული მზიანი ადგილი“ სიტყვის მიმართება ს.-ქართვ. *ზტარ- არქეტიპთან. ქართული ფორმები მ-ზტარ-ე // ზუარ-ი ცნობილია უძველესი ტექსტებიდან [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 223].

ს.-სინდ. *ზატ- „ჩრდილი“

ადიდ. ჟატ, ყაბ. ზატ-გ „ჩრდილი“

უბიხ. ჟატ-ა „ჩრდილი“

აბაზ. ჟატ-რა „ჩრდილი“

თუ ვისაუბრებთ ს.-ქართვ. *ზტარ- „მზიანი ადგილი“ ~ ს.-სინდ. *ზატ- „ჩრდილი“ შეპირის-პირების სემანტიკურ ნაწილზე, ღირებული ჩანს ინგუშ. ზჷგ „სხივი“ ძირის ჩვენება, რომელიც მატერიალურადაც აქვე შემოდის, ანუ ივარაუდება მზის სხივი → აჩრდილი / ჩრდილი სემანტიკის გადაწევა სინდურ ენებში, რაც ბუნებრივია ჩვენს ენებში, შდრ. მეგრ. ორო „ჩრდილი“ → იმერ. ორო „პაპანაქება“.

ს.-ქართვ. *ზტარ- „მოზვერი; ხბო; ზვარაკი“

ქართ. ზვარ-ა // ზორ-ა (მთ., მოხ.) „მოზვერი, ზვარაკი; ხბო“

ზანურ-სვანური შესატყვისები ჯერჯერობით არ ჩანს. სპეციალურ ლიტერატურაში არ გამო-რიცხავენ ქართულ-სვანურ ზვ- „მოზა“ ზმნასთან ეტიმოლოგიურ კავშირს, შდრ. უ-ზვ-ი „უშობე-ლი“ [ჯავახიშვილი 1937 : 193], რაც ძნელად თუ დამტკიცდება.

წ.-სინდ. *ზარ- „ცხვარი“

ხათ. zar „ცხვარი“

ქართულ-ხათური იზოგლოსის შესაძლო კავშირი ყაბ. ზაჲ „ნაშიერი, პატარა“ სიტყვასთან დასაშვებია. უფრო მნიშვნელოვანია აუსლაუტური შეფარდება რ : რ , მაშინ, როდესაც რ → ძ ადი-ლურ ენებში ისტორიულად დადასტურებული ფაქტი ხდება.

სხვა იბ.-კავკ. ენებში საერთო ძირის სიტყვები ამ ეტაპზე ვერ გამოვავლინეთ.

ს.-ქართვ. *ზტარ-ელ- „სულელი“

ზან. (მეგრ.) ჟურ-უ „სულელი; მოსულელი; ჭკუასუსტი“

სიტყვა მხოლოდ მეგრულს შემორჩა. თუ ამოვალთ ბგერათშესატყვისობათა ჩვენებიდან, სა-ერთოქართველურში *ზტარ- უნდა გვქონოდა. ზანურის -უ სუფიქსაცია -ელ-ის სასარგებლოდ მე-ტყველებს, ანუ ზმნური *ზტარ-იდან ნაწარმოები *ზტარ-ელ- სახელი აღდგება, რამაც ზანურში ჟურ-უ მოგვცა.

ს.-სინდ. *ლ'ა- „მოტყუება, გასულელება“

ადიდ. ღა-ცტე-ლ'ან „გასულელება“, ცტე-ლ'ან „სულელი“, ყაბ. ღა-ცტე-ლ'ან „მოტყუებით ჩა-
თრევა“

უბიხ. ღ'ან- „მოტყუება“, ყტე-ლ'ან „სულელი“

აბაზ. ჟა-რა, აფხაზ. ა-ჟა-რა „მოტყუება“

სიტყვა უკლებლივ ყველა სინდურ ქვესისტემაში დასტურდება, განსხვავებით ქართველური-
საგან. საყურადღებო ჩანს ბგერათშესატყვისობა ს.-სინდ. ღ' : ს.-ქართვ. ზ, რაც გარკვეულწილად
ემსგავსება შიდა აფხაზურ-ადიდურ მიმართებას, შდრ. ჩერქ. ღ' : აფხაზ.-აბაზ. ჟ.

დადესტნური და ნახური ენების სათანადო მასალას ამ ეტაპზე ვერ მივაკვლიეთ [შდრ. სტა-
როსტინი, ნიკოლაევი 1994 : 651].

ს.-ქართვ. *ზტელ- „წელიანობა, წვეთება“

ქართ. ზტელ-, შდრ. ზოლ-ო „ნეხვი“

ზან. (მეგრ.) ჟვარ-უ-ა „წვეთება; გაწუწვა“, ჟვარ-ი „ცვარი, ნაჟური“; ლაზ. ჟვალ-, ო-ჟვალ-უ
„წველა“

შესაბამისი ძირი სვანურში დაკარგული ჩანს. სვანური ჟირ- / ჟერ- „სველება, სისველე“, მგ-
ჟირ „სველი“, ალბათ, სხვა ქართულ ძირს უკავშირდება, შდრ. ფშ. ზრ-იმ-ლ-ი „ცვარი, ნამი“, ზრ-
ომ-ლ-ი „ჩირქი“.

ს.-სინდ. *ზტან- „დნობა“

ადიდ. ზტან-ნ, ყაბ. ვგ-ნ ← *ზტან-ნ „დნობა“

სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს ცდა იმისა, რომ აქვე განიხილონ უბიხური ზჟე-
„დნობა“ ზმნა, მაგრამ ამას სტრუქტურული სხვაობა უშლის ხელს, ამიტომაც უბიხ. ზჟე : ადიდ.
ზტან გადაულახავ წინააღმდეგობად გვესახება [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 627].

სხვა იბ.-კავკ. ენებში შესატყვის მასალას ვერ ვპოულობთ.

ს.-ქართვ. *ზტერ- „ქარის ქროლა“

ზან. (ლაზ.) ჟვარ-, ო-ჟვარ-უ „ქარის ქროლა“

ლაზურში პოვნიერი ჟვარ-, ზმნურ ფუძეენაში ფიქსირებული ბგერათშესატყვისობათა ფორ-
მულების გათვალისწინებით ფუძე-ენისათვის *ზტერ- სახეობის არქეტიპს გვავარაუდებინებს; ვი-
ნაიდან ქართ. ლ : ზან. რ სონორული ოპოზიცია ზმნებში არ შეიმჩნევა.

ს.-სინდ. ზტან- „ჰაერი; ქარი“

ადიდ. ჟგ, აბძახ. ჟგ, ყაბ. ზგ „ჰაერი, ქარი“

უბიხ. ზტან „ჰაერი“

აბაზ. ჟტ-ჟტანდ, აფხაზ. ა-ჟტ-ჟტან „ჰაერი; ცა“

არ ვემხრობით ა. აბდოკოვის შეპირისპირებას [აბდოკოვი 1983 : 93], რომელიც მხოლოდ ჰაე-
რის მნიშვნელობაზე მიუთითებს, მაშინ, როდესაც ჩერქეზულ კილო-თქმებში ქარის გაგებაც პოვ-
ნიერია [კვახაძე 2014 : 40].

ს.-ქართვ. *ზტერ- : ს.-სინდ. *ზტან- არქეტიპების შესატყვისი მასალა ნახურ და დადესტნურ
ენებში ჯერ-ჯერობით არ ჩანს.

ს.-ქართვ. *ზტერზტელ- „წვეთა, ჟონვა“

ზან. (მეგრ.) ჟვარჟვალ-ი „წურწური, ბლომად წვეთა, გაჟონვა“, ჟვარჟვალ-ა „მოწურწურე; მჟო-
ნავი“

საერთოქართველური არქეტიპის რეკონსტრუქცია ოდენმეგრული მონაცემის საფუძველზე
საფრთხილოა, ვინაიდან ვა თანმიმდევრობა შეიძლება ასახავდეს როგორც ს.-ქართვ. *ჟე, ისე ს.-

ქართვ. *ო ვოკალიზმს. მით უმეტეს, როცა ზმნური ფუძე რედუპლიცირებული ჩანს.
სხვა ქართველურ ენა-კილოებში შესაბამისი ძირ-ფუძეები ვერ გამოვავლინეთ.
ს.-სინდ. *ზუჷ- „წვეთა, ჟონვა“
აფხაზ. ჟჷ, Ⴑ-ლგ-ჟჷ-რა „წვეთა, გაჟონვა“
ერთ-ერთი პრობლემური დაკავშირებაა, ვინაიდან აფხაზურში ძნელია იმ ხმოვნის იდენტი-
ფიკაცია, რომელიც რედუპლიცირებული ჩანს ისტორიულად. ასევე, აფხაზური ჟ შეიძლება ფუძეენურ
ჟ-ს ასახავდეს, ისევე, როგორც ზ არქიფონემას.
საკითხი დამატებით შესწავლას საჭიროებს.

ს.-ქართვ. *ზუჷლ- „ერთად ამოძახილი“
ქართ. (იმერ.) ზვილ-ებ-ა „რამდენიმე კაცის ერთად ამოძახილი“
ზან. (მეგრ.) ზულ-აფ-ი „ზლუქუნი“
მიუხედავად საგრძნობი სემანტიკური სხვაობისა, ამ ძირებს ვერ დავაცილებთ ერთმანეთს.
ადვილი შესამჩნევია ამავედროულად ზმნათა სტრუქტურული ერთიანობა და ერთგვაროვანი სუ-
ფიქსაცია.

წ.-სინდ. *ზიტ-ან- „რიტუალური შეძახილი“
ხათ. zīyan-a // zen-a „შეძახილი რიტუალისა“
მართალია, სემანტიკური (მეტად ღირებული) ერთიანობა ადვილი დასანახია, მაგრამ ფონე-
მური შედგენილობის მხრივ გარკვეული სიმსხვერველები წარმოჩნდება. ამიტომაც წინარესინდური
პროტოტიპის რეკონსტრუქციაც მეტ-ნაკლებად პირობითი ხასიათისაა.
ერთ-ერთი პრობლემური დაკავშირება ჩანს, აუცილებელია საკითხის დამატებითი შესწავ-
ლა. მით უფრო, მაშინ, როდესაც ნახური ან დადესტნური შესატყვისები ჩვენთვის უცნობია.

ს.-ქართვ. *ზუჷრთ- „ზვირთი“
ქართ. ზვირთ-ი, ა-ზვირთ-ებ-ა
ზან. (მეგრ.) ჟვირთ-ი „ზვირთი; შვავი“, ე-ჟვირთ-აფ-ა „აზვირთება“
სვანური შესატყვისი დაკარგული ჩანს. ქართველური ზვირთ- / ჟვირთ- კანონზომიერ მიმარ-
თებას აჩვენებს. როგორც ქართულში, ისე ზანურში პოვნიერია ზმნური და სახელური ფუძეები,
ხოლო ბგერათშესატყვისობა ქართ. ზ : ზან. ჟ უტყუარს ხდის სამიეზო ძირის ფუძეენურ წარმომავ-
ლობას.

ს.-სინდ. *ზუჷნდ- „ქარიშხალი; ბუქი“
უბიხ. ზუჷანდ-ა „ქარიშხალი, ბუქი“
ბოლოკიდური -ა საკუთრივ უბიხური მონაცემი ჩანს. ძირად გამოყოფილი ზუჷნდ- კი საერ-
თოსინდურ არქეტიპის რეფლექსად მიიჩნევა. საყურადღებოდ გვეჩვენება ს.-ქართვ. რ : ს.-სინდ. ნ
სონორული ტიპის ბგერათფარდობა, რაც იშვიათად ვლინდება.
სხვა იბ.-კავკ. ენებში შესაბამისი იზოგლოსებს ვერ ვხედავთ.

ს.-ქართვ. *ზიზ-ინ- „სითხით გავსება, გაჯერება“
ქართ. (გურ.) გა-ზიზ-ინ-ებ-ა, ლეჩხ. გა-ზიზ-ინ-ა „სითხით, ცხიმით გავსება“, შდრ. გა-ზიზ-ინ-
ილ-ი, გა-ზიზ-ინ-ებ-ულ-ი
ზან. (მეგრ.) გო-ჟიჟ-ინ-აფ-ა „წყლით / სითხით გაჯერება“, გო-ჟიჟ-ინ-აფ-ილ-ი „წყლით, სი-
თხით გავსებული“

სითხით გაჯერება-გავსების შინაარსი ძირითადი ჩანს ქართველური ფუძეებისათვის, რასაც
რეგულარულ-კანონზომიერი ქართ. ზ : ზან. ჟ ბგერათშესატყვეთისობა ზურგს უმაგრებს.
ს.-სინდ. *ზუჷზ- „წყლით გადავსება“

აბაზ. (ტაპან.) ჟჟ-რა, აფხაზ. ა-ჟჟ-რა „წყლით გადავსება“

ჩერქეზული მონაცემების უქონლობის მიუხედავად, კანონზომიერი ჩანს ს.-სინდ. არქექტი-პად *ზიზი- სისინ-შიშინა ზმნური ძირის დასახვა. ქართველურთან შედარებითი ანალიზით ირკვევა, რომ აფხაზურ-აბაზურში დაიკარგა გ და ნ ფონემები, რაც ხშირად ხდება. უფრო მნიშვნელოვანი ჩანს სიბილანტური ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. ზ : ს.-სინდ. ზ, ეს შემთხვევა ლოგიკურად ჯდება შესატყვისობათა ფორმულაში: ს.-ქართვ. სისინა – ს.-სინდ. სისინ-შიშინა.

ს.-ქართვ. *ზიზ-ინ- : ს.-სინდ. *ზიზი- რეგულარულ კანონზომიერი შესატყვისობაა, რომელსაც სტრუქტურულ-სემანტიკური იგივეობა ახასიათებს.

ს.-ქართვ. *ზილ- „ტირილის ხმა“

ქართ. (ფშ., გურ.) ზილ-ი „წვრილი მაღალი ხმა; სიმღერის ხმა“, გურ. ზინ-ზილ-ი „ნელი ხმით ტირილი“

ცხადია, ქართულში ძირად ზილ- გამოიყოფა, რომელმაც რედუპლიკაციით ზინ-ზილ- სახეობის სიტყვა მოგვცა გურულ დიალექტში. ალბათ, ამავე ძირის ბგერწერითი ვარიანტებია გურ. ზურ-ზულ-ი „გულამოსკვნით მოთქმა, გაბმით ტირილი“ და მეგრ. ჟურ-ჟულ-ი „გულამოსკვნილი ტირილი“. მიუხედავად იმისა, რომ აქ აშკარად გამოხატული ბგერწერითი (ფონოსემანტიკური) ზმნები გვაქვს ბგერათშესატყვისობა ქართ. ზ : ზან. ჟ შენარჩუნებულია. ზანურში მოსალოდნელი ზ/ჟ მერყეობაც არ დასტურდება.

წ.-სინდ. *ზილ- „ტირილი“

ხათ. zel/zil „ტირილი, ღრიალი, ყვირილი“

აფხაზურ-ადილურ ენებში სათანადო ძირ-ფუძეები არ დასტურდება. სამაგიეროდ, ხათურში შემორჩენილია წინარესინდური ფუძე-ენიდან მომდინარე ალომორფები, რომელთაც კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. *ზილ- არქექტიპი.

ხათურ-ქართველური იზოგლოსების მონათესავე ზმნური ძირი უნდა ჩანდეს დაღესტნურშიც, მდრ. ხინალ. ლოჟ-ი „სითხის ღვრა, სხმა“.

ს.-ქართვ. *ზინ- „წყენა; ვნება; დასნეულება“

ძვ. ქართ. ზნ-ე „ცუდი საქციელი, ქცევა“, ზნ-ევ-ა „ვნება; წყენა“ (ჩუბინაშვილი), ზნ-იან-ი „ავი ზნისა“ (ჩუბინაშვილი)

ზან. (მეგრ.) ჟინ-აფ-ა „დასნეულება, გაყვითლება“, ჟინ-აფ-ილ-ი „დასნეულებული, გაყვითლებული“

გვაკლია სვანური შესატყვისი. ძველქართული მნიშვნელობები პოვნირი ჩანს ქართული ენის აღმოსავლურ დიალექტებში: ზნ-ევ-ა (ქიზიყ.) „ვნება“; მთიულ. „წყენა“ (ალ. ლლონტი). მეგრულში შემონახული ჟინ- ძირი ინახავს საერთოქართველურ ი გახმოვანებას, რომელიც ჯერ კიდევ ძველ ქართულში დაიკარგა.

ს.-სინდ. *ზუნ- „ჭლექი“

ყაბ. ზუნ „ჭლექი“

სპეციალურ ლიტერატურში, დასავლურადილური პარალელის დაკარგვის გამო, ამოსავალი სიბილანტის აღდგენის სირთულეზე მიუთითებენ, შემოთავაზებულია *ჟან დუბლეტური ვარიანტიც [კვახაძე 2014 : 145]. ჩვენი აზრით, აღსადგენია *ზუნ- სახეობის არქექტიპი, რომელმაც გ → ზ ტრანსფორმაციით ზუნ მოგვცა ყაბარდოულში.

ს.-ქართვ. *ზინ- : ს.-სინდ. *ზუნ- არქექტიპების პარალელები დაღესტნური ან ნახური ენებიდან ვერ გამოვავლინეთ.

ს.-ქართვ. *ზინად- „მოსასვენებელი საწოლი“

ქართ. ზინად-ი „მოსასვენებელი საწოლი“ (ვეფხისტყაოსანი)

სიტყვა განმარტოებით დგას ქართულში; ვფიქრობთ, მას ფუძეენური ეტიმოლოგია ახასიათებს, რაზეც მონათესავე ენათა შესატყვისები მიგვითითებს.

წ.-სინდ. *ზილათ- „ტახტი“

ხათ. zilat „ტახტი“, ma-zilat „ტახტი (დგას)“

ქართულ-ხათური იზოგლოსების შესაბამისი ფუძე პოვნიერი ჩანს ეტრუსკულში, შდრ. ეტრუსკ. zilath „მაღალი თანამდებობა“, რასაც რუსული престол სიტყვის მნიშვნელობა მარჯვედ უდგება (ვ. ივანოვი).

არ გამოირიცხება შესაძლებლობა იმისა, რომ ზემოთ აღწერილ სიტყვებს საერთო წყარო ჰქონდეთ და ე.წ. კულტურულ ფენას წარმოადგენდნენ.

საკითხი დამატებით შესწავლას საჭიროებს.

ს.-ქართვ. *ზიპ- „გასუქება; ქონი“

ქართ. ზიპ-, გა-ზიპ-ვ-ა „მეტად გასუქება“, ზიპ-ა „თევზის ქონი“ (საბა)

ზან. (მეგრ.) ზიპ-, ზიპ-ალ-ი „მსხვილი, ქონიანი“, ზიპ-ინ-ავ-ა „მეტად გასუქება; ავადმყოფური სიმსუქნე“, ზიპ-ი „თევზის ქონი“

გვაკვლია ლაზურ-სვანური შესატყვისები, თუმცა *ზიპ- არქექტივის რეკონსტრუქციას ეს ხელს ვერ შეუშლის. ამკარაა, რომ ფუძე-ენაში ფუნქციონირებდა ზიპ- ძირი სიმსუქნის / ქონის მნიშვნელობით, რომელსაც უტყუარი იზოგლოსები გააჩნია სინდურ ენებში. ქართულ-ზანური ფუძეების ერთობა ცნობილია (პ. ჭარაია).

ს.-სინდ. *ზუტპ-ა „მსხვილი, სქელი“

აბაზ. (ტაპანთ.) ჟუტპა „მსხვილი, სქელი“, აფხაზ. (აბჟ.) პ-ჟუტპა, ბზიფ. პ-ზუტპა „მსხვილი, სქელი“

გვაკვლია ჩერქეზული ალომორფები, რაც ართულებს რეკონსტრუქციის პროცედურას. განსაკუთრებით ეს ეხება ფუძის ვოკალიზმს. თუ დავუშვებთ, რომ ძირითადი ხმოვანი იყო გ, მაშინ ყველაფერი თავის ადგილას დგება – *ზუტპ-ა → *ზუტპ-ა, მხოლოდ ლაბიალიზაცია გამოდის „ზედმეტი“ ქართველურთან მიმართებით, რაც შეიძლება, აიხსნას საკუთრივ სინდურ ნიადაგზე.

სხვა იბ.-კავკ. ენებში იზოგლოსებს ჯერ-ჯერობით ვერ ვხედავთ.

ს.-ქართვ. *ზირ-ა „კვლიავი“

ქართ. ზირა „კვლიავი“ [Carum carvi]

სიტყვა განმარტოებით დგას ქართულში, თუმცა, სავარაუდოდ, გააჩნია ფუძეენური წარმომავლობა. ამას გვაფიქრებინებს სარწმუნო პარალელები სინდური ენა-კილოებიდან.

ს.-სინდ. *ზერ-გ „შინდი“

ადილ. ზნ-აჰ, ყაბ. ზნ „შინდი“

აბაზ. ზარგ „შინდი“ [Carnus mas]

ამოსავალი ძირის შედგენილობა, ფონემური თვალსაზრისით, თითქმის უცვლელად არის შემონახული აბაზურ ენაში. აფხაზური ა-ზგგმერ „შინდი“ აქ ვერ შემოვა [შდრ. აბდოკოვი 1973; სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 200], ვინაიდან ნასესხებია მეგრულიდან, შდრ. მეგრ. ბგგმირ-ი // ბუგუძირ-ი „შინდი“.

ს.-ქართვ. *ზირ-ა „კვლიავი“ : ს.-სინდ. *ზერ-გ „შინდი“ კანონზომიერი სტრუქტურულ-ფონეტიკური და სემანტიკური შესატყვისობა ჩანს.

ნახური და დაღესტნური შესატყვისები ჩვენთვის უცნობია.

ს.-ქართვ. *ზირზ-ა „რკინის საკეტი“

ქართ. (მესხ.) ზირზა „რკინის საკეტი რაზა“

სახელური ძირი განმარტებით დგას ქართული ენის მესხურ დიალექტში, თუმცა, გარეენობრივი მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ზირზა ასახავს ს.-ქართვ. *ზირზ-ა არქეტიპს.

ს.-სინდ. *ზერზ-ა „კაუჭი“

აფხაზ. ა-ზარზა „კაუჭი“

ქართულ-აფხაზური ძირების ფორმოზრივ-სემანტიკური მსგავსება შეიძლებოდა აგვეხსნა სიტყვათა სესხების თეორიითაც, მაგრამ დადესტნური შესატყვისები ამგვარ მიდგომას არ უჭერენ მხარს, შდრ.: ალულ. ზაზ, რუთულ. ძირძე-ნ „ქამრის აბზინდა“, დარგ. ზანზი-ბულ „შესაზნევი“ [სხვა ძირებისთვის იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 1095].

ს.-ქართვ. *ზლაზჷან- „ნელა, უსიცოცხლო მოძრაობა“

ქართ. ზლაზენ-ა, ი-ზლაზნ-ებ-ა, ზლაზენ-ით „ნელა, ზანტად, უნდობლად, უსიცოცხლოდ“, შდრ. ზლაზენ-ია // ზლაზნ-ია „ზანტი, ნელი უსიცოცხლო“

სხვა ქართველურ ენა-კილოებში შესაბამისი ძირები ვერ დავადასტურეთ, მაგრამ ზლაზენ-ზმნას ანგარიშგასაწევი შესატყვისები გააჩნია ჩერქეზულ ენებში, რაც მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ეს ფუძეები პალეოკავკასიური წარმომავლობისაა.

ს.-სინდ. *ზჷაზჷა- „ნელი, აუჩქარებელი“

ადიდ. ზაზ, ყაბ. ზაზა(ა) „ნელი, აუჩქარებელი“

აბაზ. ჟჷაჟჷა „ნელი, აუჩქარებელი“

მიუხედავად იმისა, რომ აბაზურში შიშინა სიბილანტები მეორეული წარმომავლობისაა – ზ → ჟ, ამოსავალი ძირის სტრუქტურა აქ უკეთ არის შენახული. აქვე ვლინდება ჴ : ჴ და ლ : ჴ ოპოზიცია, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს ლ → ჴ გადასვლის რეალურობას საერთოსინდურ ფუძე-ენაში.

ს.-ქართვ. *ზნალ-ა „ბატკანი, კრავი“

სვან. ჟინალ, ჟინლ (ბქ.) „ბატკანი, კრავი“

საერთოქართველური არქეტიპის აღდგენა მხოლოდ სვანური მონაცემის საფუძველზე ხერხდება. ეტყობა, ბოლოკიდური ა სვანურში მოკვეცილია, ვინაიდან ნათესაობით ბრუნვაში ჟინლ-ში (← *ჟინალ-იშ) დასტურდება, ნაცვლად ჟინლ-იშ ფორმისა. ი ხმოვანი პროთეტური ჩანს, ჟნ თანმიმდევრობის დასამლევად გაჩენილი.

ს.-სინდ. *ზალ-ა „ცხვარი (დასაკლავი)“

ადიდ. (ჭემგ.) ზალა, ყაბ. ზალა „დასაკლავი ცხვარი“

გვაკლია უბიხური და აფხაზურ-აბაზური შესატყვისები; მაგრამ, მიუხედავად ამისა, საერთოსინდურ არქეტიპზე შედარებით სრულ წარმოდგენას გვიქმნის ადიღური მონაცემები.

ს.-სინდ. *ზალ-ა : ს.-ქართვ. *ზნალ-ა არქეტიპთა შედარებითი ანალიზი არკვევს, რომ ნ სონორი ქართველური ინოვაცია უნდა იყოს.

ვერ მივაკვლიეთ იზოგლოსებს დადესტნური და ნახური ენებიდან.

ს.-ქართვ. *ზოგ- „ნაწილი“

ძვ. ქართ. *ზოგ-ი „ნაწილი; რომელიმე“, ზოგ-ად-ი „ნაწილი; საერთო“, ზოგ-ად „საერთოდ“

ზან. (მეგრ.) ზოგ-, მო-ზოგ-მო-ზოგ-ო „ნაწილ-ნაწილ“

სვანური შესატყვისი ვერ გამოვავლინეთ. ზანურშიც მხოლოდ მეგრულის რედუპლიცირებულ სახეობაში ჩანს ზოგ- ძირი შემორჩენილი.

ს.-სინდ. *ზჷაგ-გ „ყველა“

აფხაზ. ზეგ-გ „ყველა“

სიტყვა აფხაზურ ენას შემორჩა. არ ვემხრობით მისი შემდგომი სეგმენტაციის იდეას. ყოველ შემთხვევაში, ქართველურში ეს ვერ ხერხდება [შდრ. ჩიქობავა 1938 : 52-53; დიუმეზილი 2015 : 27; ბუკია 2016 : 132].

ს.-ქართვ. *ზოგ- : ს.-სინდ. *ზუნგ-გ არქექტიპთა გენეტიკური კავშირი ხუნძურ ცოგი „სხვა“ სიტყვასთან სარწმუნოდ გვეჩვენება [ჩიქობავა 1937; ბუკია 2016 : 132].

ს.-ქართვ. *ზუნარ- „ხვნა“

ქართ. (თუშ.) ზუნარ-, ზვარ-ის გატანა „ხვნა“

ხვნის აღმნიშვნელი ეს ძირი მხოლოდ ქართულში შემოგვრჩა. მისი ფუძეენური მდგომარეობისათვის აღდგენა რეალური ჩანს, ვინაიდან მოეპოვება სარწმუნო იბერულ-კავკასიური შესატყვისები.

ს.-სინდ. *ზუნა- „ფარცხვა“

აბაზ. ჟუნ-ჟუნა-რა „ფარცხვა“

შესაბამისი აფხაზური ძირი დაკარგული ჩანს. აბაზურშიც ის ფუძეგაორკეცებით არის მიღებული *ჟუნა + ჟუნა → ჟუნ-ჟუნა → ჟუნჟუნა-, თანაც ხელშესახებია სემანტიკური ტრანსფორმაცია: ხვნა → ფარცხვა.

ს.-ქართვ. *ზომ- „ხვნა“ : ს.-სინდ. *ზუნა- „ფარცხვა“ შესატყვისობის საკონტროლო საშუალებად და სემასიოლოგიური გადახრის მიმართულების დასადგენად გამოდგება თაბას., ალულ. უზ- „ხვნა“ ფორმა.

ს.-ქართვ. *ზონარ- „ზონარი“

ქართ. ზონარ-ი „თასმა“, шнурок

სიტყვა ფიქსირებულია საბას ლექსიკონში, მაგრამ არ გააჩნია შესატყვისები ქართველურ ენაკილოებში. მიუხედავად ამისა, შესაძლებლად მივიჩნევთ მის ფუძეენურ ეტიმოლოგიას.

წ.-სინდ. *ზინარ- „ქნარი, არფა“

ხათ. zinar „ქნარი, არფა“, hun-zinar „დიდი ქნარი“

ქართულ-ხათურ იზოგლოსებს ეხმიანება სომხური მონაცემიც, შდრ. სომხ. ჯნარ „სიმი; ქნარი“. ეს უკანასკნელი რომელიღაც კავკასიურ წყაროს გულისხმობს. შეიძლებოდა, ეს ყოფილიყო ქართული ზონარ-ი, მაგრამ ჯ გახმოვანება სიტყვის თავში სხვა აზრებსაც აჩენს. საკითხი დამატებით შესწავლას მოითხოვს.

ს.-ქართვ. *ზრომ- „ჩირქი“

ქართ. (ფშ.) ზრომ-ლ-ი „ჩირქი, ბაყლი“, შდრ. ფშ. ზრიმ-ლ-ი „ცვარი“;

ფშურ ფორმაში -ლ დეტერმინანტი სუფიქსია, ზრომ- ძირი, რომლის შესატყვისები სხვა ქართველური ენაკილოებიდან ჩვენთვის უცნობია.

ს.-სინდ. *ზუნან- „თხრამლი; ჩირქი“

ადილ. შუნ-ი, ყაბ. სუნ „თხრამლი“

უზიხ. მგ-ჟუნ-ა „თხრამლი, ჩირქი“

ფუძის ისტორიული ლაბიალიზაცია უზიხურმა შემოინახა, ისევე, როგორც ძირეული სიბილანტ-სპირანტის მჟღერობა, ს.-ქართვ. *ზრომ- „ჩირქი“ : ს.-სინდ. *ზუნან- „თხრამლი, ჩირქი“ ბუნებრივად გვესახება. საყურადღებოა დადესტნური მაჩვენებელიც, კერძოდ, არჩიბ. სინ „თხრამლი, ჩირქი“, რომელიც ფუძეენური *ზინ- მჟღერი სახეობიდან მომდინარეობს – ზ → ს.

ს.-ქართვ. *ზუტ- „ქარის ხმიანობა“

ქართ. ზუვ-ი-ს / ზუ-ი-ს, ზუვ-ილ-ი / ზუ-ილ-ი

ზან. (მეგრ.) ჟუმ-ინ-ი „ქარის ქროლა, ზუილი, შხუილი“

სვან. ჟულ „ქარის ზუილი“

ბუნებრივი ჩანს ლ-ს წარმოჩენა სვანურში. ანალოგიურ პოზიციაში იგი სხვაგანაც პოვნიერია, შდრ. ქართ. ბღავ-ილ-ი : სვან. ლი-ბღულ-ი. ასე რომ, სვანურშიც უფრო სრული ჟუტ- სახეობის ფუძეზე უნდა ყოფილიყო ამოსავალი.

ს.-სინდ. *ჟგტ- „ქარიშხალი, ბუქი“

ადიდ. ჟგტ-ამ, ყაბ. ჟა-მგ ← *ჟტა-მგ „ქარიშხალი, ბუქი“

გვაკლია უბიხური და აფხაზურ-აბაზური მონაცემები, თუმცა ადიღური მასალაც საკმაოდ სრულად წარმოაჩენს ფუძეეწურ მდგომარეობას.

ცხადია, ს.-ქართვ. *ზუტ- : ს.-სინდ. *ჟგტ- კანონზომიერ სტრუქტურულ-ფონეტიკურ შესატყვისობას წარმოადგენს. ფორმობრივ იგივეობას, რომელიც ღირებულება სიბილიანტური ზ : ჟ ფონემური ოპოზიციით, ამყარებს სემანტიკური კორელაცია ქარის ხმიანობა ~ ქარიშხალი. საკითხი დგება ადიღურ ჟგ „ჰაერი“ ძირთან მიმართებისა.

ს.-ქართვ. *ზურგ- „ზურგი“

ქართ. ზურგ-ი, ზურგ-იელ-ი

ცნობილია უძველესი ქართული ტექსტებიდან: „ზ უ რ გ ი მათი გარე შეგაქციეს“; „განიტეხა ზ უ რ გ ი და მოკუდა“; „ზ უ რ გ ი მისი შეჭურვილ არს ეკლითა“ [აბულაძე 1973 : 170]. გასარკვევია ზურგ-ებ-ა „გადარჩენა“ ზმნასთან მიმართების საკითხი.

ს.-სინდ. *ზექტ-ა „ზურგი“

აფხაზ. ა-ზქტა „ზურგი“

სიტყვა განმარტოებით დგას აფხაზურში, მაგრამ, დიდი ალბათობით, ფუძეეწური წარმომავლობისაა. ს.-ქართვ. *ზურგ- და ს.-სინდ. *ზექტ-ა „არქეტიპებს ახასიათებს როგორც სტრუქტურულ-ფონეტიკური, ისე სამანტიკური იგივეობა.

უფრო ადრე აფხაზური ა-ზქტა „ზურგი“ შეპირისპირებულ იქნა ბასკურ bi-zkar „ზურგი“ სიტყვასთან [ჩირიქბა 1985 : 100], რაც სარწმუნო ჩანს.

ს.-ქართვ. *ზუჯ-ა „მწიფე“

სვან. ჟუჯტ, ჟუჯტ-ი (ლშხ.) „მწიფე; წვნიანი“

სიტყვა განმარტოებით დგას სვანურში, თუმცა წვნიანის გაგება შეიძლება ჩანდეს მეგრულ ჟოქო „უმწიფარი ნაყოფისაგან დაწურული ცუდი ღვინო“ ფორმაში, რასაც მხარს დაუჭერდა საერთოზანური ჯ → ქ ფონეტიკური პროცესიც, შდრ. ჯტარბალ-ი / ქობალ-ი...

ს.-სინდ. *ჯგზტ- „დამწიფება“

უბიხ. ჯგჟტ „დამწიფება“, ა-ჯგჟტ-გ-ნ „მწიფდება“

სვანურ-უბიხური მასალის ერთიანობა ადვილი დასანახია როგორც მატერიალური, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით. აქვე ყურადსაღებია ძირთა შებრუნებული წყობის პრობლემა, რაც მსგავსი აგებულების სიტყვებში ხშირად დაჩნდება. თუ ინგუშური ჯწწ „მწიფე“ ფორმაც აქვე შემოდის, მაშინ იგი უბიხურ წყობას დაუჭერდა მხარს.

საკითხი შემდგომ კვლევას საჭიროებს.

ს.-ქართვ. *ზღარბ- „ზღარბი“

ქართ. ზღარბ-ი

სიტყვა განმარტოებით დგას ქართულში; ცნობილია სულხან-საბას ლექსიკონიდან. სწორი

ჩანს დ. ჩუბინაშვილის მიდგომა, როცა *ზღარბი* ითარგმნება როგორც *ух*, ხოლო – *გძღარბი* „*ex*“. აქ უფრო მნიშვნელოვანია *ზღარბ*-ისა და *გძღარბ*-ის სხვადასხვა ლექსიკურ ერთეულად გამიჯვნა, ერთმანეთისაგან გარჩევა.

ს.-სინდ. **ჭუგზა* „თრითინა“

ადიდ. *ჭუგჟ*, ყაბ. *ჭუგზა* „თრითინა“

ანლაუტში *ჭ* მჟღერი ფარინგალური სპირანტის აღდგენას მხარს უჭერს არამხოლოდ ქართული მონაცემი; ფარინგალური სპირანტები თავჩენილია დადესტურ შესატყვისებში, როგორცია: ხუნძ. *ჭუნჟ*-რუყ, ანდ. *ჭონჟი* „ზღარბი“, შდრ. თაბას. *ჭერჟილ* „ზაზუნა, კვერნა“ [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 540].

ქართველური წყობის (*ზღ-*) პარალელად გამოდგებოდა ინგუშური *ზჭრ* „ზღარბი“ ფორმა. საკითხი ისმის *ბ*-ს აფიქსურობის შესახებ ქართველურში – *ზღარ-ბ*- (?).

ს.-ქართველ. **ზღომ*- „ვენება, ავადმყოფობა“

ქართ. *ზღომ*-ა „დაჯსნა, გინა ვნება“ (საბა), ყოველი სული და-უ-*ზღომ*-ელ არს და უხრწნელი (საბა), *ზღომ*-ის სახე (საბა)

სვან. *ჟღმ*-, ლი-*ჟღმ*-ე „ავადმყოფობის გართულება“

როგორც ქართულში, ისე სვანურში სახეზეა *ვენება* / *ავადმყოფობის* ძირითადი მნიშვნელობა, რასაც სტრუქტურული იგივეობაც მხარს უჭერს. ზანური ალომორფები ვერ მოვიძიეთ.

ს.-სინდ. **ზაღტა*- „ავადმყოფობა, დაავადება“

უბიხ. *ზაღტა* „ავადმყოფობა“, *ზაღტა*-გ *გმა* „ცუდი ავადმყოფობა“

აბაზ. *ზჭტა*, აფხაზ. (ბზიფ.) ა-*ზჭტა* „ინფექციური დაავადება“

გვაკვლია ადილური ალომორფები, თუმცა ეს ვერ გახდება ხელისშემშლელი ფაქტორი, ვინაიდან ყველა სხვა მონაცემი ამ ძირის ფუძეენურ წარმომავლობას გვიჩვენებს.

ს.-ქართველ. **ზღომ* : ს.-სინდ. **ზაღტა*-ა კიდევ ერთხელ წარმოაჩენს *მ* : *ტ* შეფარდებას, როცა ამოსავალი *მ* საერთოსინდურში (*ბ*-სთან ერთად) ხშირად ხდება თანხმოვანთა ფუძეენური ლაბიალიზაციის წყარო, ანუ *მ/ბ* → *მტ*.

თ

ს.-ქართველ. **-თა* „მრავლ. რ. სუფ.“

ქართ. -*თა* „მრავლ. რ. სუფ.“, წვერ-*თა*, ძირ-*თა*

ზან. (მეგრ.)-*თა* „მრავლ. რ. სუფ.“, წვა-*თა* წვანჯ-ი, წვერ-*თა* წვერი“, ჯი-*თა* ჯინს „ძირ-*თა* ძირში“...

სვანურში ამ ტიპის მრავლობითის წარმოების კვალი არ იკითხება. ქართულ-ზანურში -*თა* ითავსებს როგორც მრავლობითის, ისე გენეტივის ფუნქციას ერთდროულად.

ს.-სინდ. **-თა* „მრავლ. რ. სუფ.“

აბაზ. -*თე* „მრავლ. რ. სუფ.“, ტაპანთ. აბანა-*თ(ე)* „ისინი“, აფხაზ. -*თე* „მრავლ. რ. სუფ.“, ბზიფ. აბა-*თ* „ესენი“

ამ ტიპის მრავლობითობის ფორმანტი ჩერქეზულ ენებში არ იძებნება. აფხაზურ-აბაზურშიც -*თე*-ნიშნის მრავლობითი მხოლოდ ნაცვალსახელებშია შემორჩა.

ს.-ქართველ. **-თა* „მრავლ. რ. სუფ.“ : ს.-სინდ. **-თა* „მრავლ. რ. სუფ.“ ნორმალურ ფონეტიკურ და ფუნქციურ მიმართებას აჩვენებს.

ს.-ქართვ. *თაურ- „ჩირქი, ბალღამი“
სვან. თაურ, თაურ (ლშხ.) „ჩირქი, ბალღამი“

ხმოვანთა სიგრძე, რომელიც მეორდება ბალსზემოურში, ლაშხურსა და ჩოლურულში, აუცილებლად გულისხმობს რაღაც თანხმომხურ სეგმენტის გაუჩინარებას ისტორიულად. ასეთად ვვარაუდობთ უ სონანტის პოვნეირებას სვანურ ძირში, რომლის დაკარგვამაც გამოიწვია წინამავალი ხმოვნის საკომპენსაციო სიგრძე.

ს.-სინდ. *თაა „ჩირქი, ბალღამი“
ყაბ. *-თაა → -თა „ჩირქი“, სიტყვაში უა-თა-ფს „ბაყლი, ბალღამი“
აბაზ. ჩაა (← *თაა), აფხაზ. ა-თა „ჩირქი, ბალღამი, ბაყლი“

ჩერქეზული ენებიდან გვაკლია ადიღური და უბიხური, ეს უკანასკნელი მეტ სიცხადეს შეიტანდა ძირის ისტორიის რკვევისას, თუმცა დამხმარე საკონტროლო საშუალებად გამოდგება დაღესტნური მასალაც. ძვირფასია არჩიბ. თაა-ს „ჭკნობა“, ერთი მხრივ, და ხუნდ. თურ-, კარატ. თორ- „ლპობა, დაჩირქება“, მეორე მხრივ, იზოგლოსების სტრუქტურულ-სემანტიკური ინფორმაცია. უ და რ სეგმენტთა გაუჩინარების ტენდენცია აშკარად არის გამოკვეთილი.

ს.-ქართვ. *თაა- „სოლი (ხის)“
ქართ. თაა-ი, მთიულ. თაა-ა
ზან. {თურ-}, ო-თურ-ა „სოლი“, შდრ. გურ. (← ზან.) ო-თურ-ა „რკინის სოლი“
სვან. თაა „სოლი“

უწინარესი მაინც ხის სოლის გაგება ჩანს, რასაც ნახურ ენათა მასალაც უჭერს მხარს, შდრ. ინგუშ. თაა-გ „ხის სოლი“.

წ.-სინდ. *თაა- „ხე, ძელი“
ხათ. tal „ხე, ძელი“

მიუხედავად იმისა, რომ ხის აღმნიშვნელი თაა- ძირი მეორდება როგორც ხათურ-ქართველურ, ისე ნახურ ენებში, აფხაზურ-ადიღურ ენა-კილოებში ამგვარი (მოსალოდნელი {თაა} სახეობის) ძირი არ დასტურდება, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი დაიკარგა ჯერ კიდევ საერთოსინდური ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის პერიოდში.

არ გამოვრიცხავთ დაღესტნურ მონაცემებთან ერთიანობას, შდრ.: ლაკ. თაა „ხის ჯირკი“, დარგ. თაა „ლატანი, ბოძი“.

ს.-ქართვ. *თაბ-ე „ერთ-ერთი ღვთაების სახელი“
ქართ. {თბო}, ტოპ. თბო-თ-ი (ქართლი)
ზან. (მეგრ.) თაბა, თაბა-შა „სამშაბათი“ (თაბას დღე); ლაზ. (ჩხალ.) თაბა-ჩხა „სამშაბათი“
სვანური თაბაშ „სამშაბათი“ შეიძლება ზანიზმი იყოს.

ს.-სინდ. *თბ-ა „ღმერთი“
ადიღ. თბა, აბაზ. თბა „ღმერთი“

ქართველურ-ჩერქეზულ იზოგლოსებს ეხმიანება დაღესტნური (resp. ლეზგიური) მონაცემიც, ლეზგ. თბა „მამა“, ს-თბა „მამა“; შდრ. ასევე პროტოხეთური დაბა „წმინდა ადგილი“.

ნახურ ენებში სათანადო სიტყვები არ იძებნება.

ს.-ქართვ. *თე- „სინათლე“

ზან. (ლაზ.) თე „სინათლე“, თუთა-ს-თე // თუთა-შ-თე (არქაბ.) „მთვარის შუქი“, მეგრ. თე „შუქი, სინათლე“, ვე-თე „ველ-შუქი“; „ნათელველიანი ადგილი ტყეში“

სვან. თე „თვალ“

არ გამოვრიცხავთ ქართ. **თევ-ა**, მ-**თევ-არ-ე** → მ-**თოვ-არ-ე** // და სვან. **თაჷ-** (ან -**თაჷ-ე**) „გაჩენა“ ზმნათა გენეტიკურ ერთიანობას ზემოთ აღწერილ ძირ-ფუძეებთან [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 231].

ს.-სინდ. ***თჷ-** „თეთრი“

ყაბ. **თჷ-**, სიტყვაში **თჷ-ხ** ზეგ „თეთრი“

სპეციალურ ლიტერატურაში **თჷ-** ძირი *თეთრის* აღმნიშვნელ მორფემად მიიჩნევა [კვახაძე 2014 : 198], რასაც ჩვენც ვიზიარებთ.

ქართველურ-სინდური სემანტიკური კორელაცია *სინათლე* ~ *თეთრი* კანონზომიერებას ექვემდებარება და გამოუალებულია *ნათელი* სემანტემით.

ს.-ქართვ. ***თეთჷ-** „თეთრი; ვერცხლის ფული“

ქართ. **თეთ-რ-ი** „სპეტაკი“ (საბა), ძვ. ქართ. **თეთ-რ-ი** „მოთეთრო, რძის ფერი“; „ვერცხლის ფული“, თუშ. **თეთრ-ი** „ყველი, ხაჭო“

ზან. (მეგრ.) **თანთ-**, ო-**თანთ-**ალ-აია „გაქათქათებული, თეთრი“, **თანთ-ე** „თეთრი, ფითქინა“, **თანთ-ია** „id“

სვან. **თეთჷ-ნე** // **თჷთეთჷ-ნე** (ზზ., ლშხ., ლნტ.), **თეთ-ნე** (ბქ.) „თეთრი“, **თეთჷ-რა** „თეთრი ძროხა; თეთრა“

ამოსავალი სახეობა დაცული ჩანს სვანურში – **თეთჷ-**, რომელიც გამარტივდა ბალსქვემოურში – **თეთჷ-ნე** → **თეთ-ნე** და ასიმილაციით გართულდა დანარჩენ დიალექტებში, **-ნე** და **-რა** სადერივაციო აფიქსები ქართულსა (-რ-) და სვანურში, რომელიც საერთოდ არ ყოფილა ზანურში და სვანურის გარკვეულ ფორმებში [იხ. გიგინეიშვილი 2016 : 192].

ს.-სინდ. ***თჷთჷ-ა** „ვერცხლი, ოქრო“

უბიხ. **თჷათჷა** „ოქრო, ვერცხლი“

სინდურ ენათაგან მხოლოდ უბიხურს შემორჩა ს.-ქართვ. **თეთჷ-** „თეთრი; ვერცხლის ფული“ არქეტიპის შესატყვისი. როგორც სვანურის დიალექტებში, ისე აქაც რეგრესული ასიმილაციით განხორციელდა თავკიდური **თ** ყრუ დენტალის ლაბიალიზაცია – ***თათჷა** → **თჷათჷა**. ძირის წინარეისტორიის ძიების გზაზე მნიშვნელოვანი ჩანს ს.-ნახ. ***დათეთჷ-** „ვერცხლი“ ფუძის სტრუქტურა, შდრ. ჩეჩნ. **დეთრ** // **დეთიჷ**, ინგუშ. **დოთუჷ** // **დოთუო**, წ.-თუშ. **ტათებ** „ვერცხლი“.

ქართული **თითბერ-ი** სხვა ეტიმოლოგიისა უნდა იყოს.

ს.-ქართვ. ***თელ-** „გათელვა, растоптать“; „მოჭერა“

ქართ. **თელ-ვ-ა**, გა-**თელ-ა**, **თელ-ვ-ა** „შენაზღვა“ (საბა)

ზან. (მეგრ.) **თალ-უ-ა** // **ნთალ-უ-ა** „გათელა, თელვა“, მო-**ნთალ-ირი** „მოთელილი“, ლაზ. **ნთალ-უფ-ს** / **ნთალ-უმ-ს** „თელავს, უჭერს“, ო-**ნთალ-უ** „თელვა“

სვან. **თელ-**, ლი-**თელ-ა** / ლი-**თელ-ე** „მოჭერა“

აქამდე ლაზურის ჩვენება უცნობი იყო [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 232], ამიტომაც შეიძლება ბოდა, სვანურის შინაარსი (*მოჭერა*) საეჭვოდ მიგვეჩნია, მაგრამ ლაზურ ეკვივალენტში ერთდროულად *თელვა* / *მოჭერის* პოვნეობა უეჭველს ხდის სვანურთან კავშირს.

ს.-სინდ. ***ჷგ-თ-** „ცემა“

ადილ. **ჷგ-თ-ან**, ყაბ. **ჷგ-დ-ან** „ცემა“

ამოსავალი ვითარება, ძირეული თანხმობის რეკონსტრუქციის თვალსაზრისით, ადილეურს დაუცავს. ყაბარდოულში ივარაუდება **თ** → **დ**. რაც შეეხება თავკიდურ **ჷგ-ს**, თუ მას ძირეულად ჩავთვლით, მაშინ შებრუნებული წყობის ფუძეებზე გაკეთდებოდა აქცენტი **ჷგთ-** ~ **თელ-**. თუმცა არ გამოირიცხება ხინალულური **ლათირ-** „ცემა, დარტყმა“ სტრუქტურის ფუძის რეკონსტრუქცია პალეოკავკასიურში, შდრ. ასევე ს.-ნახ. ***ლათ-** „დაჭიდება“. სემანტიკური კორელაცია *თელვა* ~ *ცემა*

~ დაჭიდება ~ დარტყმა კითხვებს არ აჩენს.

ს.-ქართვ. *თელა „თელა“ [Ulmus foliacea]

ქართ. თელა, თელ-ავ-ი, თელ-იან-ი

ქართულში თელა- ძირი არ მიიჩნევა ბერძნულიდან, ვინაიდან (გარდა ქვემოთ მოხმობილი სინდური შესატყვისებისა) იძებნება წონადი პარალელები ნახური (ჩეჩნ. თალლ „ტირიფი“), ხური-ტული (თალე „ხე“), დალესტნური (დარგ. თალა „მორი“) ენებიდან.

ს.-სინდ. *თჷ- „წიფელი / ცაცხვი“

უბიხ. თჷ-სგ „წიფელი“

აფხაზ. ა-თჷ „ცაცხვი“

აღბათ, აქვე შემოვა აბაზ. ჩჷ-ჷჷ „ცაცხვი“ დენდრონიმიც, სადაც აშკარად იკვეთება ენისათვის დამახასიათებელი თჷ → ჩჷ აფრიკატიზაციის ფონეტიკური პროცესი.

ბუნებრივად გვესახება აღწერილ სინდურ-ქართველურ ძირებს შორის ფიქსირებული როგორც ფონეტიკური ლ : ჷ, ისე სემანტიკური თელა ~ წიფელი / ცაცხვი შესატყვისობა.

ს.-ქართვ. *თემ- „ქვეყნის ნაწილი; სამხრეთი“

ქართ. თემ-ი „ქვეყნის ერთი ნაწილი“ (საბა), მო-თემ-ე „მისსავ თემისა“, თემ-ან-(ი) „სამხრეთი“ (საბა).

სხვა ქართველურ ენა-კილოებში შესატყვისობებს ვერ ვხედავთ. საბასეული თემ-ან-(ი) „სამხრეთი“ ქართული თემ- ძირისგან უნდა იყოს ნაწარმოები.

ს.-სინდ. *თამ-ა „უბანი, აულის ნაწილი“

ადიდ. თამ // თამ „უბანი, აულის ნაწილი“

ჩერქეზული თამ ფუძის კვლევას დიდი ისტორია აქვს. ნ. იაკოვლევი მას ქართულიდან ნა-სესხებად მიიჩნევდა [იაკოვლევი 1941 : 241], იმავე აზრის ავითარებს მ. ბუკია [ბუკია 2016 : 42]. გ. როგავა თამ ფუძეს ეტიმოლოგიურად თამ / დამ „მხარი“ ფორმას უკავშირებს, რითაც სესხებას გამორიცხავს [როგავა 1956 : 4].

სესხების დაშვება ნებისმიერი მიმართულებით არ ჩანს გამართლებული, ვინაიდან ს.-ქართვ. *თემ- : ს.-სინდ. *თამ- არქეტიპებს შეიძლება. აქვე გაგვახსენდება აბაზ. თფ, აფხაზ. ა-თფ „ადგილი, მიდამო“ ფორმებიც. მათთან მიმართების პრობლემა გარკვევას მოითხოვს.

ს.-ქართვ. *თერმ- „საზღვრის მიჩენა კვალის გავლებით; საზღვარი“

ქართ. თერმ-ულ-ი „ნათესი ჳნული“ (საბა), მესხ. თერმ-ვ-ა „მზრალად ხვნა“, ნა-თერმ-ი „კვლევს შორის დარჩენილი მოუხნავი მიწა“, ზ.-იმერ. ა-თერმ-ვ-ა „დაუმუშავებელი მიწის პირველხვნა“, ქვ. აჭარ. გა-თერმ-ვ-ა „ყამირის გატეხა; შეთოხნა ან მოხვნა“

ზან. (მეგრ.) თანჯ-, თანჯ-უ-ა „საზღვრის მიჩენა“, თანჯ-უნ-ს „საზღვარს ავლებს“, შდრ. სა-თანჯ-ო (ტოპ.)

ბუნებრივია, ქართ. თერმ- ფუძეს ზანურში თარჯ- უნდა მოეცა. გვაქვს კიდევაც შემო-თარჯ-ვ-ა „საზღვარსავით აქა-იქ დანიშვნა“ (საბა), იმერ., ლეჩხ. თარჯ-ი „საზღვარი ტყეში“ ზანიზმების სახით ქართულში შემორჩენილი.

ს.-სინდ. *თამ- „კედელი“

აბაზ. თმ-გ „სახლი“, აფხაზ. ა-თმ-გ „კედელი“, ა-თმ-თფ „კარ-მიდამო“, ბზიფ. ა-თმ-ა-მც „კედელი“

ჩერქეზულ ენებში სათანადო ძირი დაკარგული ჩანს, თუმცა აფხაზურ-აბაზურ მასალას, გარდა ქართველურისა, ანგარიშგასაწევი იზოგლოსები უდასტურდება დალესტნურ ენებში კავ-გუთნის, ე. ი. სახვნელის, მნიშვნელობით, შდრ.: ლეზგ. თჷრეზ-, თაბას. დურუც, აღულ. დურუც,

დარგ. **ღურაც**. ვვარაუდობთ, რომ სწორედ დაღესტნური ენებიდან შევიდა აზერბაიჯანულში *კავის* აღმნიშვნელი **დგრგზ** სიტყვა.

ს.-ქართვ. ***თერხტ**- „ქარის სახეობა“

ქართ. **თერხე-ი** „ზეფიროსისა და ჭალიკონის სამუჟალ ქარი“ (საბა), ქართლ. „ქარი“

სიტყვა პოვნეირია საბას ლექსიკონში და განიმარტება ქარის სახეობად. თანამედროვე ქართული დიალექტებიდან სიტყვა მხოლოდ ქართლურში, სოფელ ტაშისკარის მეტყველებაში ფიქსირდება და მას ქარის მნიშვნელობა აქვს [დლონტი 1984 : 247].

ს.-სინდ. ***თგხტ-ა** „ქარბუქი“

ყაბ. -**თხტ**, სიტყვაში სგ-**თხტ** „ქარბუქი“

აბაზ. **ჩტჰტა**, სიტყვაში სრგ-**ჩტჰტა** „ქარბუქი“, აფხაზ. **თტჰტა**, სიტყვაში ა-სგ-**თტჰტა** „ქარბუქი“

აფხაზურ-აბაზურში ასიმილირებული ალომორფები დასტურდება ***თგჰტა** → **თტჰტა**. ასევე საცნაური ხდება **ხ** → **ჰ**. ფარინგალიზაციის მეორეული პროცესი. ყველა სინდურ სიტყვაში პირველ კომპონენტად სგ-/ს- გამოიყოფა, რაც თოვლის აღმნიშვნელი ძირი ჩანს.

ს.-ქართვ. ***თეტ**- „სადგისის გარჭობა“

სვან. **თეტ-ენ** „სადგისი“

სვანურში თეტ- ძირად გამოიყოფა, საიდანაც -**ენ** სუფიქსის დართვით ნაწარმოები ჩანს **თეტ-ენ** „სადგისი“ სახელი. **თეტენ** „სადგისი“ ფორმის ადილურიდან შეთვისება ჩვენთვის მიუღებელია, მეტარგუმენტაციას მოითხოვს [შდრ. როგავა 1956 : 129].

ს.-სინდ. ***დდ-გ** „სადგისი“

ადილ. **დგდგ**, ყაბ. **დგდ** „სადგისი“

ადილური ალომორფების ეტიმოლოგიური კავშირი აფხაზ. ა-**ძამ** // ა-**ძებ**, აბაზ. **ძაძე** „სადგისი“ სიტყვებთან გამოსარიცხია, ვინაიდან ფონეტიკური გარდაქმნები არც **დ** → **ძ** და არც **ძ** → **დ** მიმართულებით აფხაზურ-ადილურ ენებში არ არის აღწერილი. სამაგიეროდ, ნახური **თეტ-არ** „ჭრა, კერვა“, სვანურთან ერთად, თვალნათლივ აჩვენებს პალეოკავკასიური ძირის სტრუქტურასა და ფონემურ შედგენილობას – ***თეტ-**, საიდანაც მეტი ფონეტიკური ცვლილებებით ადილური ალომორფები განვითარდა.

დაღესტ. მასალა გამოჩნდება დარგ. **ტუტუ-მ-ეს**, ჰუნზიბ. **ტეტ-ა** „ჭრა, კაფვა“ ზმნებში.

ს.-ქართვ. ***თტერ**- „სმა, თრობა“

ქართ. **თტერ-/თრ-**, და-ვ-ი-**თტერ**, **თვრ-ებ-ა**, მ-**რთვრ-ალ-ი**, **თრ-ობ-ა**

სვან. ლი-**თრ-ე** „სმა“, ხტ-ი-**თრ-ე** „ვსვამ“, ლე-**თრ-ე** „სასმელი“

ზანური შესატყვისები ჯერ-ჯერობით არ ჩანს. ქართული ალომორფები ცნობილია ძველი ქართული ტექსტებიდან. ქართულ-სვანურ ძირთა ერთიანობაზე ადრევე მიუთითებდნენ [უორდროპი 1911 : 602]. საერთოქართველური ფუძე-ენისათვის ***თრ-** ან ***თერ-** არქეტიპთა აღდგენა უსაფუძვლოდ გვესახება [შდრ. კლიმოვი 1964 : 95; კლიმოვი 1998 : 69].

ს.-სინდ. ***თტჰ**- „გავსება“

აბაზ. **ჩტჰ-რა** „გავსება“, **ჩტჰ** „სავსე“, აფხაზ. ა-**თტჰ-რა** „გავსება“, ა-**თტჰ** „სავსე“

ჩერქეზული შესატყვისები არ ჩანს; ხოლო **თტ** → **ჩტ** აბაზურში მეორეული მოვლენაა, რასაც აფხაზური ფორმები თვალნათლივ ამტკიცებს.

ბოლოკიდური -**რ** ფუძესინდურში დაიკარგა; ამ შემთხვევაში უკვალოდ. კორელაცია სემანტიკურ დონეზე *გავსება* ~ *სმა* ბუნებრივ ფარგლებს არ სცილდება. თანაც *გავსების* შინაარსი უწინარესად გვეჩვენება.

ს.-ქართვ. *თუის- „ასაკოვანი, წამხდარი (ადამიანი)“

ქართ. (ლექს.) თვის-ან-ი „წამხდარი, გაფუჭებული ადამიანი“

ზან. (ლაზ.) თიშ-ინ-ერ-ი „ასაკოვანი“, თიშ-ინ-ერ-ა „მოწიფულობის ასაკი“

სვანური შესატყვისი ვერ გამოვავლინეთ. ლაზურში მოსალოდნელი იყო თვიშ- სახეობის ძირი, მაგრამ აქ დამახასიათებელი **ცვ** → **ც** დელაბიალიზაციის სპონტანური პროცესი განხორციელდა, შდრ. ქართ. ცვილ-ი : ლაზ. ჩირ-ი „თაფლის სანთელი“, ლაზ. ნჩვ-ირ- // ნჩირ- „ცურვა“...

შეიძლება, ბოლოკიდური აფიქსაცია -ან/-ინ ქართველურ ენა-კილოებში ასევე ფუძეენური წარმომავლობისა იყოს.

ს.-სინდ. *თესუ- „ასაკოვანი ქალი; დედაბერი“

აბაზ. (ტაპანთ.) თაჟუ, აფხაზ. ა-თაჟუ „მოხუცი ქალი“

ჩერქეზული მონაცემები გვაკლია. შუ → ჟუ გამჟღერების პროცესი საკუთრივ აფხაზურ-აბაზური ინოვაცია ჩანს. ყოვლად მიუღებელია ძირის შემდგომი სეგმენტაცია *თა „ადგილი, სახლი“ + *აჟუ „ძველი“ კომპონენტებად [ჩირიქა 1996 : 31].

ს.-ქართვ. *თუის- : ს.-სინდ. *თესუ- არქეტიპების კანონზომიერი შესატყვისი ალომორფები ფიქსირდება ნახურ ენებშიც, შდრ. წ.-თუშ. თიშ-ინ „ძველი“, თიშ-არ „დაძველება“...

ს.-ქართვ. *თიჷ-ა „თივა“

ქართ. თივ-ა „მოთიბული ჯმელი ბალახი“ (საბა), თივა-ქასრა (საბა)

ზან. (ლაზ.) თი-, ო-თი-ალ-ე „სათივე; საქონლის საკვების ჩასაყრელი“

სვან. შდექუ „ნამკალ-ნათიბის დიდი ზვინი“

სვანურისათვის ამოსავალი *შთეჷ-ა ენაში მოქმედი ფონეტიკური პროცესების (ჷ → ქუ, იუ → ეუ) შდექუ სახეობად ჩამოყალიბდა [გ. როგავა 1989 : 56-59].

ს.-სინდ. *თუ-ა „თივა“

აბაზ. ჩუა (← *თუა), აფხაზ. ა-თუა „თივა“;

იმთავითვე გამოირიცხება აფხაზურ-აბაზურში სიტყვის ქართულიდან სესხების შესაძლებლობა [ლომთათიძე 1976]; ვემხრობით აღწერილ ძირ-ფუძეთა ერთიანი წარმომავლობის იდეას [ჭარაია 1912 : 40]. ვინაიდან თუ → ჩუ გარდაქმნა აბაზურში ნასესხებ მასალაში არ შეინიშნება. გარდა ამისა, საგულისხმო პარალელები (შესატყვისები) თავჩენილია ნახურ ენებშიც, შდრ. ინგუშ. თუმ, ჩეჩნ. თუმ → // თჷუმ „ფუჩეჩი“, რასაც ეთანადება საყურადღებო დალესტნური ინფორმაცია, შდრ. თაბას. ურთიმ „გვიმრა“...

ს.-ქართვ. *თელ- „მამალი ცხვარი; ბატკანი“

ქართ. თილ-ი „ჯილა (მამლისა)“

ზან. (ლაზ.) თელ-ი „ბატკანი; ცხვარი“, მეგრ. თილ-ი „ბატკანი; დაუკოდავი ცხვარი“

სვანური ნე-ღემდ „თიკანი“ ფორმაც ადვილი შესაძლებელია, აქ შემოვიდეს, თუ -შდეღ-//ღემდ- სუბსტიტუციას ვივარაუდებთ.

ს.-სინდ. *თუაღ-ა „ვაცი; ვერძი“

უზბიხ. თუაზა „ვაცი, ბოტი“

აბაზ. თელ, აფხაზ. ა-თელ „ვერძი, ყოჩი“

უზბიხურში სავარაუდოა ლ → ჟ/ზ სიბილანტის ფონეტიკური პროცესი, რაც ბუნებრივი ჩანს. წარმოდგენილ ძირ-ფუძეთა შემდგომი სეგმენტაცია უსაფუძვლოდ გვეჩვენება [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 749; კვახაძე 2014 : 126]. საერთოსინდური ენობრივი ერთობის დონეზე აღდგება *თუღლ-ა არქეტიპი, რომელსაც კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. *თილ-.

სტრუქტურულ იგივეობას ამაგრებს სემანტიკური კორელაცია ცხვარი ~ ვერძი / ბოტი.

ს.-ქართვ. *თიჯ- „მოდგმა, გვარი“
ქართ. (გურ.) თიხ-ი „მოდგმა, გვარი“

საერთოქართველური წარმომავლობის სიტყვა მხოლოდ გურულ დიალექტში შემოგვრჩა. ვინაიდან ჯ → ხ სპირანტიზაციის პროცესი გურულში ბოლომდეა გატარებული, გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ფუძე-ენაში *თიჯ- არქეტიპი, ანუ ჯ ფარინგალ-აფრიკატიანი სახეობა აღდგება; ამგვარ დაშვებას აბაზური მასალაც უჭერს მხარს.

ს.-სინდ. *თჯ- „ახლო ნათესავი“

აბაზ. თაჯ-გ, აფხაზ. (ბზიფ.) ა-თახ-გ, აბჟ. ა-თახ-გ „ახლო ნათესავი“

სპეციალურ ლიტერატურაში აქვე განიხილავენ თაჯგ- / თახ- „წადილი, ნატვრა, სურვილი“ ზმნურ ფორმებს [ჩირიქვა 1996 : 31], რაც არ უნდა იყოს მართებული.

ქართულ-სინდურ არქეტიპთა სტრუქტურულ-ფონეტიკურ ერთიანობას ეხმიანება კანონზომიერი სემანტიკური კორელაცია – მოდგმა / გვარი ~ ახლო ნათესავი.

ნახურ-დაღესტნურ ენებში მონათესავე ძირ-ფუძეები ვერ გამოვავლინეთ.

ს.-ქართვ. *თმ- „დათმობა“

ქართ. თმ-ობ-ა

სვან. თგმ-ი „თმობა, გაჭირვება“, ლი-თმ-ინ-ე „თმენა“

ზანურ დიალექტებში შესაბამისი ძირები არ ჩანს. ქართული თმ- ზმნა ცნობილია უძველესი სამწერლობო ძეგლებიდან, რომელსაც კანონზომიერად შეესატყვისება სვან. თგმ- / თმ- ზმნური ფორმები [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 237-238].

ს.-სინდ. *თჷგ- „ყოფნა“

უბიხ. თგ- „ყოფნა“

უბიხურში მონაცვლეობს თგ-/თ- ალომორფები, რაც შეიძლება იმის მანიშნებელი იყოს, რომ ზმნური ცალმორფიანი ძირი ისტორიულად ლაზიალიზებული იყო. ლაზიალიზებული არქეტიპის რეკონსტრუქციას ქართველური *თმ- სახეობის ძირის არსებობაც მხარს უჭერს.

სემანტიკური ოპოზიცია დათმობა ~ ყოფნა მარჯვედ იხსნება ნახური შესატყვისოების ჩვენებათა გათვალისწინებით, სადაც დ-ი-თ- ზმნას დატოვება / დარჩენის შინაარსი ახასიათებს.

ს.-ქართვ. *თხამ- „თხმელა“

ქართ. თხმ-ელ-ი, თხმ-ელ-ა // თხემ-ლ-ა

ზან. თხომ-უ // თხუმ-უ // ნთხომ-უ // ნთომზ-უ „თხმელა“

სვანურში შესაბამისი ძირი ჯერ-ჯერობით არ არის ფიქსირებული. ფუძეენურ ძირად *თხამ- გამოიყოფა, თუმცა ქართ. -ელ : ზან. -უ შესატყვისობა სუფიქსებში კანონზომიერებას ექვემდებარება [შმიდტი 1962 : 80]. ანლაუტური ნ და ბოლოკიდური ზ ფონეტიკური ჩანართი ჩანს ლაზურში [ჩიქობავა 1938 : 129].

ს.-სინდ. *თხჷა- „ჭადარი“

ადიდ. თჷა-გ ← *თხჷა-გ, ყაბ. თხჷე ← *თხჷა-გ „ჭადარი; რცხილა“

უბიხური ეკვივალენტი დაკარგული ჩანს. არსებობს ცდა აფხაზურ-აბაზური შჷ- (ბზიფ. სჷ-) „წიფელი“ ფუძესთან დაკავშირებისა, რაც უსაფუძვლოდ გვეჩვენება [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 1064]. სხვა მხრივ მნიშვნელოვანია თხ : თხ კანონზომიერ-რეგულარული შესატყვისობა B ტიპის ჰარმონიულ-დეცესიურ კომპლექსთა დონეზე, რაც სხვაგანაც დასტურდება.

ს.-ქართვ. ***თხამ**- „თხემი/თავი“

ქართ. **თხემ**-ი „ზედეთი თავი“ (საბა)

სვან. **თხუმ**, **თხჷიმ** „თავი“

ამოსავალი არქეტიპისგან სვანური სახეობა მ-ს ზეგავლენის გ. მაჭავარიანისეული მიდგომით [მაჭავარიანი 1956 : 365-368] უნდა აიხსნას, რასაც ეფუძნება გ. კლიმოვის ზუსტი რეკონსტრუქცია [კლიმოვი 1964 : 97].

ს.-სინდ. ***დგჳტ**- „ყელის უკანა ნაწილი“

ადილ. ფსა-**თგჳ**, ყაბ. ფსა-**დგჳ** „ყელის უკანა ნაწილი“

უბიხ. **თჷგჳ** „ყელი“

აბაზ. **კჳტდა**, აფხაზ. ა-**ხჷდა** „ყელი“

კიდევ ერთხელ დადასტურდა მჟღერთა დაყრუების (ამ ჯერზე **დ** → **თ**) შესაძლებლობა ადიღურში, ანუ ყაბარდოულის ჩვენება გარკვეულ შემთხვევებში არქაულს ემთხვევა.

ჩერქეზულ ენებში ფუძის თანმიმდევრობა ამოსავალი წყობითაა წარმოდგენილი, მაშინ, როდესაც აფხაზურ-აბაზურში შებრუნებული სახეობაა მხოლოდ ბუნებრივი. ქართველურის გარდა, ჩერქეზულ წყობას მხარს უჭერს დაღესტნური შესიტყვებები: რუთულ. **დაჳ** „თხემი“, ლეზგ. **თიეხჷ** „თხემი“.

ს.-ქართვ. ***თხარ**- „სითხის გამოყოფა; თხრამლი“

ქართ. **თხრ**-ამ-ლ-ი

ზან. (მეგრ.) **ნთხორ**- „პირღებინება“, ო-**ნთხორ**-უ „აღებინა“

სვან. ლე-**თხრ**-ე „მუწუკი“

ვვარაუდობთ ქართ. **თხრამლ**- ფორმის კონტამინირებულ წარმომავლობას; კერძოდ, სვან. **თხრ**- და ზან. **თხომურ**- ტიპის ფუძეთა კონტამინაციით ქართულში **რ** ვარიანტი **თხრ**-ამ-ლ- მივიღეთ, მაშინ, როდესაც ზანურში მისი შესატყვისი მხოლოდ **რ**-ს გარეშეა პოვნირი – თხომურ-, ამავედროულად შდრ. ლაზ. **ნთხორ**- : სვან. **თხრ**- [იხ. შმიდტი 1962 : 115-116; ნადარეიშვილი 1981; ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 244].

ს.-სინდ. ***თხჷ**- „თრთვილი“

ყაბ. სგ-**თხჷ** „თრთვილი“

სინდურ ქვესისტემებში ყველგან გამოიყოფა, რაც *თოვლის* აღმნიშვნელი ძირია, მეორე კომპონენტი *სითხე* / *ცვარს* უნდა გამოხატავდეს. ცხადია, ს.-ქართვ. ***თხარ**- : ს.-სინდ. ***თხჷ**- სვამს საკითხს ქართ. **თხეჷ**- ზმნასთან ეტიმოლოგიური კავშირის შესახებ; აქვე მივუთითებთ ს.-ნახ. ***თხირ** „თრთვილი, ცვარი“ და დაღესტნური (დარგ. **დაჳი** // **დუჳა** „თოვლი“) პარალელებზე.

ს.-ქართვ. ***თხარ**- „თხრა“

ქართ. **თხარ**-ა, **თხრ**-ი-ს, **თხრ**-ილ-ი

ზან. (ლაზ.) **თხორ**-უმ-ს / **ნთხორ**-უ-ა „თხრა“, მეგრ. **თხორ**-უ-ა // **ნთხორ**-უ-ა „თხრა“

სვან. ლი-**შთხრ**-ი „თხრა“, ჟან-**შთხარ**-ე „მოთხარა“

თავკიდური შ სვანურში ამ შემთხვევაში **თ** : **შთ** → **შდ/შტ** ბგერათშესატყვისობის შედეგია და არ ასახავს საერთოქართველურ **სთ** კომპლექსს, რომელიც ზოგჯერ ძირეულ მასალაში წარმოჩნდება, შდრ. ქართ. ასთაკვ-ი : სვან. ჰაშდეკჷ „ხელიკი“...

ს.-სინდ. ***თხჷა**- „თხრა“

ადილ. (აბძახ.) **თხჷა**-ნ „თხრა“

სავარაუდოდ, საერთოსინდური წარმომავლობის ძირი პოვნირია მხოლოდ აბძახურ დიალექტში. **თხარ**- : **თხჷა**- შეპირისპირებით ირკვევა, რომ **ხ**-ს ლაბიალიზაცია სინდურში (**ხჷ**) არქაული **რ** სონორის ტრანსფორმაციის შედეგია – ***თხარ**- → ***თხაჷ**- → ***თხჷა**-.

გამოთქმულია ასევე ეჭვი აბძახური ფორმის ქართველურიდან სესხების თაობაზე [ბუკია 2016 : 133], რაც ნაკლებ სავარაუდოდ გვესახება.

ს.-ქართვ. ***თხარ**- „თხრობა; თქმა“

ძვ. ქართ. **თხარ**-/**თხრ**-, მი-უ-**თხარ**, **თხრ**-ობ-ა-ფ, ახ. ქართ. **თხრ**-ობ-ა, უ-**თხარ**-ი ზან. (მეგრ.) **თხორ**-, ქორ-**თხორ**-ენ-ქ „გთხოვ“

შეიძლება ქართ. **თხარ**- ზმნის კანონზომიერი შესატყვისი შენახული იყოს მეგრ. **თხორ**-ფორმაში, რომელიც იშვიათი გამოყენებისა ჩანს. *თქმა* ~ *თხოვნა* შეიძლება ერთი ძირის ფარგლებშიც დაფიქსირდეს, შდრ. ნახ. **ბ-ახ**- „თხოვნა; თქმა“.

ს.-სინდ. ***თხ**ჱ- „წერა“

ადილ. **თხ**ჱ-ნ, აბძახ. **თხ**გ, ყაბ. **თხ**ჱ-ნ „წერა“

უზიხ. **თხ**გ-, სგ-**თხ**გ-ნ „წერა“

გვაკლია აფხაზურ-აბაზური მონაცემები. აბძახურ დიალექტში *წიგნის* მნიშვნელობით ფიქსირდება **ჩხგ**-ლ, რომელსაც **თხ**გ- „წერა“ ზმნიდან ნაწარმოებად მიიჩნევენ [კვახაძე 2014 : 298]. *წერა* → *წიგნი* სემანტიკურად დასაშვებია, ოღონდ უნდა დამტკიცდეს **თხ** → **ჩხ** ტრანსფორმაციის რეალურობა. იქნებ, აბძახ. **ჩხგ**- „წერა“ უკავშირდება ქართ. **ჩხაპ**-ნ-ა, დიდ. **ცახ**-ა // **ცახ**-ვა, ჰინუხ. **ცახ**-ა, ჰუნზიხ. **ჩახ**-ა, ბეჟიტ. **ჩახ**-ალ // **ჩახ**-ალ „წერა“ ალომორფებს.

ს.-ქართვ. ***თხარ**- : ს.-სინდ. ***თხ**ჱ- არქეტიპებს ეხმიანება ნახურ ენათა **თხირ** „ჩუქურთმა“ სახელი. *თხრობა* ~ *წერა* ~ *ჩუქურთმა* ბუნებრივ სემანტიკურ კორელაციად მიიჩნევა.

ს.-ქართვ. ***თხეჲ**- „სითხის დენა, თხევა“

ქართ. **თხეე**-ა, სი-**თხ**-ე, და-ი-**თხი**-ა (←*და-ი-**თხიე**-ა), და-ს-**თხეე**-ს

სვან. **თხუნ**- (←***თხეჲ**-ნ), ლი-**თხუნ**-ე „პირღებინება“

ალბათ, აქვე შემოვა მეგრული **ნთხ**-აფ-ა „პირღებინება“, ქოი-**ნთხ**-აფ-ეე „არწყევინე“ ფორმებიც. ცხადია, ნებისმიერ ქართველურ ქვესისტემაში ძირითადია *თხევის*, *სითხის დენის* მნიშვნელობა.

ს.-სინდ. ***თხეჲ**ჱ- „თხევა“

ადილ. (შაფს.) -**თხეჲ**გ, სიტყვაში ფსგ-**თხეჲ**გ „ნიაღვარი“

შაფსულურ კომპოზიტიში ფსგ-, ცხადია, წყალს ნიშნავს, ხოლო **თხეჲგ** *ღვრა/თხევას* უდრის. ს.-ქართვ. ***თხეჲ**- : ს.-სინდ. ***თხეჲ**გ- შეპირისპირება კანონზომიერია როგორც ფორმოზომიერი, ისე სემანტიკური თვალსაზრისით.

სინდურ-ქართველური იზოგლოსების შესატყვისი ზმნას ვხედავთ ტირილის ადმნიშვნელ ნახურ სიტყვებში, შდრ. წ.-თუმ. **თხ**-, **თხ**-უმ / **თხ**-უმნრ „მტირალი“.

ს.-ქართვ. ***თხეჲ**- „ნადირობა, თევზაობა“

ძვ. ქართ. **თხეე**-ლ-ა „თევზაობა, ნადირობა“, მ-**თხეე**-ლ-არ-ი „მონადირე, მოთევზავე“, სა-**თხეე**-ელ-ი „ბადე“

სვან. **თხე**ჲ, მე-**თხე**ჲ-აჲრ „მონადირე“, ლა-**თხე**ჲ-აჲრ „სანადირო“

უპრიანი ჩანს, ნ. მარის მიერ შეპირისპირებული ქართველური მასალის ნიადაგზე, ***თხეჲ**-არქეტიპის რეკონსტრუქცია [საკითხის ისტორია იხ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 249].

ს.-სინდ. ***თხ**ჱ- „ბარაქიანად და გემრიელად კვება“

ადილ. **თხ**ჱ-ნ, ყაბ. **თხ**ჱ-ნ „ბარაქიანად და გემრიელად კვება“

იგივე **თხ**ჱ- ძირი იმავე სემანტიკით გამოიყოფა რთულ შედგენილობის **თხ**ჱ-ჟ გ-ნ // **თხ**ჱ-ჟგ-ნ ზმნაში. აფხაზურ-აბაზური – **თხა**-ჯ-რა, ისევე, როგორც უზიხური **თხ**ჱ-ჟგ – ადილური ენებიდან არის ნასესხები [შაგიროვი II, 1977: 76].

სემანტიკური ოპოზიცია *ნადირობა / თევზაობა ~ ბარაქიანად კვება* ასახავს *საკვების* (ბლო-
მად) ძიების პრეისტორიულ შინაარსს.

ს.-ქართვ. ***თხეჴ**- „მოშორება“

ქართ. და-**თხოვ**-ნ-ა „მოშორება, მოცილება“, და-ი-**თხოვ**-ა „გაუშვა, მოიშორა“

ზან. (მეგრ.) დო-**თხინ**-აფ-ა „მოშორება, მოცილება“, ი-**თხინ**-ჟ-ან-ს „იშორებს“, ვადგ-მ-ა-
თხინ-ჟ „ვერ მოვიშორე, ვერ მოვიცილე“

ო გახმოვანება ქართულში მეორეული ჩანს, ანუ **ე** → **ო** მომდევნო **ვ**-სთან ასიმილაციით გან-
ხორციელდა, შდრ. სითბე → სითბო...

ს.-სინდ. ***თხზ**- „გამრობა, მოშორება, გატყავება“

ადილ. **თხგ**-ნ, ყაბ. **თხგ**-ნ „გატყავება, გამრობა, მოშორება (კანაფისა, სიმინდისა...)“

ადილურ ენებში **თხგ**- ზმნური ძირი რთულდება **ღზ**- კაუზატიური პრეფიქსითაც, შდრ.
ადილ. **ღზ-თხგ**-ნ „გამრობინება, გაყვლეფინება“ [შაგიროვი 1977, II : 77].

ს.-ქართვ. ***თხეჴ**- „მოშორება“ ~ ს.-სინდ. ***თხზ**- „გამრობა, მოშორება, გატყავება“ წარმოადგენს
კანონზომიერ შესატყვისობას როგორც სემანტიკური, ისე სტრუქტურულ-ფონეტიკური თვალსაზ-
რისით. განსაკუთრებით რელევანტურია **თხ** : **თხ** ბგერათშესატყვისობა B ტიპის ჰარმონიულ-დე-
ცესიურ კომპლექსთა დონეზე.

ს.-ქართვ. ***თხჴარ**- „გასვრა, დასვრა“

ქართ. **თხვრ**-ა, მო-ი-**თხვრ**-ებ-ა, მო-ი-**თხვარ**-ა, მო-**თხვრ**-ილ-ი

ზან. (მეგრ.) **ნთხორ**-, მი-**ნთხორ**-ჟ „გაისვარა, დასვარა“, მო-**ნთხორ**-ილ-ი „მოსვრილი“

მკაცრად უნდა გავარჩიოთ მეგრული ომონიმური ზმნები – **ნთხორ**-ჟ-ა „თხრა“ და **ნთხორ**-
ჟ-ა „სვრა“ – ერთმანეთისგან, ვინაიდან პირველს ქართულში **თხარ**-, ხოლო მეორეს **თხვარ**- /
თხვრ- შეესატყვისება. თავკიდური **ნ** მეგრულში ფონეტიკური დანართია, რომელიც სენაკურ
მეტყველებაში არც დასტურდება.

ს.-სინდ. ***თხჴა**- „გასვრა“

ადილ. (აბძახ.) **თხჴა**-ნ „გასვრა“

სავარაუდოდ, საერთოსინდური წარმომავლობის ზმნური ძირი შემონახული ჩანს მხოლოდ
აბძახურ დიალექტში [კვახაძე 2014 : 254]. როგორც მოსალოდნელი იყო, ბოლოკიდური **რ**
უკვალოდ დაიკარგა, რაც ფუძე-ენის დროინდელი მოვლენა უნდა იყოს. სხვა მხრივ, სინდურ-
ქართველური შეპირისპირება უპრობლემოა, სახეზეა როგორც სტრუქტურულ-ფონეტიკური, ისე
სემანტიკური იგივეობა.

ს.-ქართვ. ***თხჴას**- „წყლის ხავსი“

სვან. **თხჴას** // **თხჴაშ** „წყლის ხავსი“

ჩვენთვის მხოლოდ სვანური ალომორფებია ცნობილი. ვფიქრობთ, ისინი საერთოქართვე-
ლური ***თხჴას**- არქეტიპის შემდგომ, ტრანსფორმაციას ასახავენ. სვანურისთვის ამოსავალია შიში-
ნა **თხჴაშ** სახეობა, რომელმაც მეორეული გასისინების (შ → ს) ტენდენციით **თხჴას** ალომორფი
განივითარა.

ს.-სინდ. ***თხჴაშ**- „ხვართქლა“

ადილ. (შაფს.) **თხგაგს** „ხვართქლა“

ძირის შემდგომი სეგმენტაცია არ ჩანს შესაძლებელი, თუმცა ამავედროულად საუბრობენ
***თხგჴეს** → **თხგაგს** გარდაქმნის შესაძლებლობაზე [კვახაძე 2014 : 50], რაც რეალურად გვესახება.

ს.-ქართვ. ***თხჴას**- : ს.-სინდ. ***თხჴეს**- კანონზომიერ შესატყვისებს ავლენს. მნიშვნელოვანია
სემანტიკური ოპოზიცია *ხავსი ~ ხვართქლა*.

ს.-ქართვ. *თხირ- „ნაცრისფერი“

ქართ. (ლექს.) თხირ-ოლ-ი „თეთრითა და შავით, თეთრითა და ყავისფრით ჭრელი, ან ნაცრისფერი (ჭრელი)“

სიტყვა შემონახულია მხოლოდ ლექსუმურ დიალექტში, მაგრამ ამავდროულად უდასტურდება უტყუარი პარალელები მონათესავე ენებში.

ს.-სინდ. *თჭა- „ნაცარი; ნაცრისფერი“

ადილ. თხა, ყაბ. თხა „ნაცრისფერი (თმაზე)“, შდრ. ჩერქ. თხუ-ნ „გაჭაღარავება“

უბიხ. თხა „ნაცარი“

აბაზ. ჭა, აფხაზ. ა-ხა „ნაცარი, ნაცრისფერი“

ქართველურში, ისევე როგორც ჩერქეზულ ენებში, სავარაუდოა თჯ → თხ სპირანტიზაციის სუპერაციული პროცესები, რასაც, გარდა აბაზურისა, მხარს უჭერს ხუნძურის ჩვენება, სადაც რაჯუ ← *დაჯუ ეჭვს არ იწვევს.

ს.-ქართვ. *თხოუ- „თხოვნა“

ქართ. თხობ-ა, ი-თხოვ-ს, მა-თხოვ-არ-ი

ზან. (ლაზ.) თხვ-აფ-ა / თხვ-ალ-ა „გათხოვება“, თხო-ნ-ს / თხუნ-ს „თხოვს“, გამა-ბ-ი-თხვ-აფ-ურ „გავთხოვდები“, მეგრ. თხუ-აფ-ა / თხუ-ალ-ა „თხოვნა“, ი-თხუ-აფ-უნ „თხოვდება“, მუ-ნა-თხუ-ა „ნათხოვი“

შესაბამისი ძირი სვანურიდან უცნობია. ქართ. თხოვ- : ზან. თხუ- / თხვ- კანონზომიერ მიმართებას აჩვენებენ. საინტერესოდ გვეჩვენება ვ → ნ ლაზურ აწმყოში [ჩიქობავა 1938 : 284; ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 251].

ს.-სინდ. *ხუგ- „თხოვნა“

ადილ. ხა-ს, სიტყვაში ხუ-ფსა- „შური“, ყაბ. ხა-ს, სიტყვაში ხა-ფსა- „შური“

უბიხ. ხა-ს, სგ-ხუგ-ნ „თხოვნა“

აბაზ. ჰა-რა, აფხაზ. ა-ჰა-რა „თხოვნა; ცოლის თხოვა“

საყურადღებო ჩანს შური სემანტიკის პოვნადიერება ადილურში: შური = ხა-ს „თხოვნა“ + ფსა „სული“. ამ მხრივ თითქმის იგივეობრივი ჩანს ქართული სულ-ი ფორმის ზანური შურ-ის სემანტიკური მოდიფიკაცია სალიტერატურო ქართულში, შდრ. სულ-ი : ზან. შურ-ი „სული“ → ქართ. შურ-ი „შური“.

თუ სიტყვა-ფორმათა ამავე რიგში განვიხილავთ ნახურ შესატყვისებს, აღმოჩნდება, რომ ქართველურში ანლაუტური თ ისტორიულად გრ. კლასის ნიშანია, რომელიც საერთოსინდლურში დაიკარგა, ხოლო ნახურ ენებში დღესაც მოქმედი მარკერია, შდრ. წ.-თუმ. დ-ეხ- „თხოვნა“.

o

ს.-ქართვ. *იგრ- „თეთრი გიორგი“

ქართ. იგრ-ი ბატონი, ძვ. ქართ. იგრ-იკა „აპრილი“

ზან. ერგ-ე „ტაროსის და ავდრის გამრიგე, წყლის ღმერთი“, ერგ-ე, ერგ-ეტა (ტოპ.)

ქართულ იგრ-ის კანონზომიერად შეესიტყვება ზანური ერგ-ე, რომელიც ჩანს როგორც მითოლოგიაში, ისე ტოპონიმიკაში. აფხაზური ა-ერგი ზანიზმია, ისევე, როგორც ოსური ირჯი (ვასთ-ირჯი). ეს უკანასკნელი არქაულ პერიოდში ჩანს ზანურიდან შესული, ვინაიდან ამოსავალ ი გახმოვანებას უცვლელად ინარჩუნებს.

ს.-სინდ. *იგერ „ღვთაება“

ადილ. (შაფს.) აუმ-იგერ, ყაბ. აუმ-იგერ „წმინდა გიორგი“

ყაბარდოულსა და შავსულურში შემორჩენილი კომპოზიტი ინახავს ერთ-ერთი წარმართული ღვთაების სახელს - იგერ, რომელიც, ისევე, როგორც კოლხური ერგე წარმართობანარევე ქრისტიანობაში წმინდა გიორგის ადგილს იკავებს.

ჩერქეზულ-ქართველურ იგერ/იგრ-ს შეესიტყვება ასევე, დიდი ალბათობით, ინგუშური არგ, რომელიც ტოპონიმში არგინარაგ → // არჯინარაგ უნდა იყოს შემონახული.

ს.-ქართვ. *იმაღა „ჟოლო; ეკალა“
ზან. (მეგრ.) იმღვა // ინღვა „ეკალა“
სვან. ინღა, ინაღა (ლნტ.) „ჟოლო“

სიტყვის ბოლოში სვან. ა : ზან. ვა იმაზე მიუთითებს, რომ ო → ვა ზანურში (resp. მეგრულში) განხორციელდა. ამგვარი გარდაქმნის პარალელს ვხედავთ იმავე პოზიციაში სხვა შეპირისპირების დროსაც - ქართ. ბიგა „მინდვრის წვრილი თაგვი“ : მეგრ. ბიგვა ← *ბოგო „ბიგა თაგვი“.

ს.-სინდ. *მაღ „ეკალი“
უბიხ. მაღ- სიტყვაში მაღ-ღ-მეძე ← *მაღ-მეღ-მეძე (რედუპ.) „ეკლიანი ბუჩქის სახეობა“
აბაზ. მღ, აფხაზ. ა-მღ „ეკალი“

ადიდურ ენათა მასალა გვაკლია, თუმცა უბიხური და აფხაზურ-აბაზური ავსებენ ამ ნაკლს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უბიხური ალომორფის გახმოვანება (ორმარცვლიანობა), რაც სვანურს ემთხვევა და არქაული ჩანს.

სინდურ ფუძეთა მასალას სამართლიანად აკავშირებენ ნახურ-დაღესტნურ დენდრონიმებთან: ჩეჩნ. მერღა-დ, ინგუშ. მაღალ-დი „ჭიოტა“, ინხოყვარ. მუჯ „პიტნა“, რუთ. მაღ'ღ'ულ „ჭინჭარი“ [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 838].

ს.-ქართვ. *ინ- „ის“
ზან. (მეგრ.) ინ-ა „ის“, ინ-ეფ-ი „ისინი“, ლაზ. ენ-თ-ეფ-ე „ისინი“

ნაზალური შედგენილობის ინ- ნაცვალსახელი მხოლოდ ზანურმა შემოგვინახა. ცხადია, ივარაუდება მისი პოვნირება ფუძექართველურშიც.

ს.-სინდ. *იენ- „ის“
უბიხ. იენ-ა „ის“, შდრ. ო-ან-ა „id“

დიფთონგი იე ადვილი შესაძლებელია, პრეისტორიული ი-ს რეფლექსი იყოს – ი → იე (დიფთონგიზაციით). საყურადღებოა ნ-თანხმოვნიანი ჩვენებითი ნაცვალსახელის პოვნირება ხათურში, რომელიც ჩერქეზულ-ქართველურის ახლომონათესავე ჩანს, შდრ. ასევე დაღესტნური (ბეჟიტ.) ჰონო „ის, იგი“.

ს.-ქართვ. *-ინ „ჯერ“
სვან. -ინ „ჯერ“ : სემ-ინ „სამჯერ“, ეშხუ-ინ „ერთხელ“

შეიძლება ზანურში ფიქსირებული -ენ (სუმ-ენ-ეჩ-ი = სამ-ჯერ-ოც-ი, ანუ სამოცი) იმავე წარმომავლობისა იყოს. ცხადია, რომ -ინ : -ენ სხვაობენ ხმოვნებში, მაგრამ ი → ე გადასვლა ნ-სთან ახლოს ბუნებრივი ჩანს ზანურში.

ს.-სინდ. *-ნე „ჯერ“
აბაზ. ზ-ნე „ერთხელ“, ზუა-ნ „ორჯერ“..., აფხაზ. ზ-ნე „ერთხელ“, ზუე-ნ-ტუე „ორჯერ“

ჩერქეზული შესატყვისები გვაკლია; შეიძლებოდა უბიხური გარდაქცევითობის -ნე სუფიქსზე გვეფიქრა, მაგრამ ამგვარი დაკავშირება მეტ საბუთიანობას მოითხოვს.

ს.-ქართვ. *-ინ : ს.-სინდ. *-ნე არქეტიპთა შეპირისპირების რეალურობა გამყარებულია როგორც ფონემური, ისე ფუნქციური იდენტურობით.

საყურადღებო ჩანს არჩიბული -ან „ჯერ“ სუფიქსიც, რომელიც -ლ-ზე დაყრდნობით აწარმოებს ჯერობას, შდრ. ებყა „ოთხი“ – ებყა-ლ-ან „ოთხჯერ“ ...

ს.-ქართვ. ***ირგულ**- „ირგვლივ, გარშემო“

ქართ. **ირგვლ**-ივ „გარშემო“

ალბათ, ი გამოსაყოფია, შდრ. **ი-გურდ**-ივ და სხვ.

სხვა ქართველურ ენა-კილოებში შესაბამის ძირებს ვერ ვხედავ, თუმცა საყურადღებო სინდურ-დადესტნური შესატყვისები ავსებენ ამ დანაკლისს.

ს.-სინდ. ***არგუა**- „ახლო“

აბაზ. **არგუა**-ნე „ახლოს“, აფხაზ. **არგუა** „ახლო“

ადვილი შესაძლებელია აქვე შემოვიდეს აბაზური **ადგუა** (← ***არგუა**) „მეგობარი“ სიტყვაც (სემანტიკისთვის შდრ. ქართ. ახლო → ახლობელი). დადესტნურ ენებში როგორც ქართული (ლაკ. **ლაგმა** „ირგვლივ“), ისე სინდური (დიდ. **იგო**, ხვარშ. **აგოლ** „ახლოს“...) მნიშვნელობები ბუნებრივი ჩანს.

ს.-ქართვ. ***ირმ**- „ირიბი“

ქართ. (ლექს.) **ირმ**-ივ-ი „დახრილი“, ზ.-იმერ. **ირმ**-ივ-ულ-ი „ირიბი“, **ირმ**-ივ-ულ-ად „დახრილად“

ირმ- ძირი სხვა ქართველურ ენა-კილოებში არ იძებნება; მხოლოდ დასავლურ დიალექტებშია პოვნიერი, რაც გარკვეულწილად ექვეყნებ აყენებს მის საერთოქართველურობას; ჩვენს ენებში **ც**-ს აფიქსურობისთვის შდრ. ქიზიყ. ბლა-**ც**-ი // ბლარ-ი „ბავშვი“...

ს.-სინდ. ***არმა**- „მარცხენა; მოუქნელი“

ადიდ. **არმზ**-უ „ზარმაცი“, ყაზ. **არმუ**-უ „მოუქნელი, ტლანქი“

უზბიხ. **არმზ** „მარცხენა, **არმა**-უ „ზარმაცი“

აბაზ. **არმა**, აფხაზ. **არმა** „მარცხენა“

საძიებელი ძირი უკლებლივ ყველა აფხაზურ-ადილურ ენაში. უფრო მეტიც, იგი ნასესხობის სახით ყარაჩ.-ბალყ. ენებშიც გვხვდება [შაგიროვი 1977, I : 64], შდრ. **არმა**-უ-ლუ „ტლანქი“.

თუ ჩვენეული სემანტიკა ქართველური სიტყვისა სწორია, სემანტიკური კორელაცია ქართვ. **ირიბი** ~ სინდ. **მარცხენა** ადვილად აიხსნებოდა.

ს.-ქართვ. ***ის**- „ჩვენებითი ნაცვალსახელი“

ქართ. **ის** // **ის**-ა „ჩვენებითი ნაცვალსახელი“

ზან. **იშ**- „ის“, **იშ**-ო „იქით“

სვანურში მოსალოდნელი {**იშ**} ნაცვალსახელი გვაკლია, თუმცა მეგრულ-ლაზურშიც -**იშ** ძირის დისტრიბუცია მეტად შეზღუდულია.

წ.-სინდ. ***ეს**- „იგი“

ხათ. **ეჰ** „იგი“

ქართველურ-ხათურ ***ის**-/ემ ნაცვალსახელებს ასევე კანონზომიერად შეესატყვისება პროტონახური ***ის** „ეგ ნაცვალსახელი“, შდრ. წ.-თუშ. **ის** „ეგ“ – **ის**-ბი „ეგნი“. ამავე რიგისა ჩანს დადესტნური მასალაც, შდრ. დარგ. (წუდახ.-თანთ.) **იშ** „ის“, ინხოყვ. **იზ**-უ „ისინი“...

აფხაზურ-ადილურ ენებში სათანადო ძირ-ფუძეები დაკარგულია, მაგრამ წინარესინდურ ვითარებას ხათური მონაცემი ინახავს.

ს.-ქართვ. ***იშხარ**- „ყარყატი (სახეობა)“

ქართ. **იშხარ**-ი „შავი ლაკლაკი“, **аист** (ჩუბინაშვილი)

სიტყვა განმარტოებით დგას ქართულში, მაგრამ, სავარაუდოდ, ფუძეენური წარმომავლობისაა. ამაზე მიუთითებენ სინდური (და არამხოლოდ) შესატყვისები.

ს.-სინდ. ***ტეხაშ-ა** „ქორი; შევარდენი“

ყაბ. **ტაშაშ** „მაჩვი“

აფხაზ. **ა-ხ-შ** „ქორი, შევარდენი“

მეტად დიდია სემანტიკური სხვაობა სინდურ ლექსემებს შორისაც კი, თუმცა იმავეს აფიქსირებენ დალესტნურ ენებშიც, შდრ. ჰუნზიბ. **ბიხგს** „ქორი, შევარდენი“, მაგრამ ჭამალ. **მესეხუ** „კვერნა“; ასევე დარგ. **კაშა** „მაჩვი“, მაგრამ ჭამალ. **ახაშა** „ძერა“... [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 1051]. დამაინც, ერთ-ერთ რთულ შეპირისპირებად რჩება, ვინაიდან კითხვები მეტი გვაქვს, ვიდრე პასუხები.

კ

ს.-ქართვ. ***კ**- „დაკავება; მოკიდება“

ქართ. **კ-ავ**-, და-**კ-ავ**-ებ-ა

ზან. (მეგრ.) დო-**კ-ინ**-ავ-ა „დაკავება“, ლაზ. ო-**კ-ნ**-უ „მოკიდება“

სვან. **კ-აჷ**-/კ-ჷ-, ჩ-ოთ-**კ-აჷ** „დაკავება“, ლგ-**კ-აჷ** „დაკავებული, მუ-**კ-ჷ**-ენ-ი „დამკავებელი“.

ჩვენს მაგალითში შეიძლება დავუშვათ როგორც ფონეტიკური **ჷ : ნ** შესატყვისობა, ისე **-ავ**-/ **-ინ**-**ნ** სეგმენტთა აფიქსურობა, ჩვენ უფრო მეორე შესაძლებლობას ვუჭერთ მხარს [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 260].

ს.-სინდ. ***კ**- „მოკიდება“

აფხაზ. ა-**კ**-რა „მოკიდება, ჭერა“

ფუძეენური წარმომავლობის ცალმორფემიანი **კ**- ძირი მხოლოდ აფხაზურში შემოგვრჩა. სახეზეა ს.-სინდ. **კ** : ს.-ქართვ. **კ** იდენტური ბგერათშესატყვისობა, რაც ამ რიგის თანხმოვნებში ბუნებრივად წარმოჩნდება.

სინდურ-ქართველურ ძირებს აერთიანებთ მატერიალური და სემანტიკური იდენტურობა.

ს.-ქართვ. ***კაჷ**- „კავი; ლატანი; ჩამოსაკიდი“

ქართ. **კავ**-ი „სახურავის ლატანი“; „ჩამოსაკიდი“, შდრ. **კა-უჷ**-ი ← ***კავ-უჷ**-ი, ნემს-**კავ**-ი „ანკე-სი“

სვან. **კაჷ**, **კაჷ** (ლშხ.) „კავი; ჩხა; კაუჷი; ჩამოსაკიდებელი“

ქართულ *ნემს-კავის* გაგებასთან ახლოს დგას ლაზური **კონ**-დ-ი „თევზსაჭერი იარაღი, მოწყობილობა“, რომელიც, შეიძლება, წალ-დ-ი, შვილ-დ-ი, ცულ-დ-ი ტიპის -დ- სუფიქს შეიცავდეს და აქვე შემოდის. მით უმეტეს, ქართ. **ვ** : ზან. **ნ** (შდრ. და-**კავ**-ებ-ა : დო-**კონ**-ავ-ა / დო-**კინ**-ავ-ა) ამას ხელს ვერ შეუშლის.

ს.-სინდ. ***კუჷ** „სახელო, ტარი“

ადიდ. **ჰჷ**, შაფს. **კჷ** , ყაბ. **ჰჷ**, ბასლენ. **კჷ** „სახელო, ტარი“

უბიხ. **კუჷ** „სახელო, ტარი“

ამ შემთხვევაში უბიხურს შემორჩა ძირეული თანხმოვნის ლაბიალიზაციის სახით ამოსავალი **ჷ** სონანტი, რაც ქართველურ ენებშიც მეორდება.

ადრე სინდური ძირებთან აკავშირებდნენ როგორც დალესტნურ (ლაკ. **კუჷ** „ტარი“...), ისე ნახურ (ვაინახ. **კაჷ** „ტარი“) ალომორფებს, რასაც ჩვენც ვეთანხმებით [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 727-228].

ს.-ქართვ. *კაკ- „მარცვალი“

ქართ. კაკ-ალ-ი „მარცვალი“

ზან. (მეგრ.) კიკ-ა „მარცვალი“, კიკა-ჩე „წვრილმარცვლიანი თეთრი ყურძნის ჯიში“

სვანური შესატყვისი გვაკლია. ახსნას ითხოვს მეგრულში ი გახმოვანება ქართული ა-ს წილ. ვფიქრობთ, აქაც $ო \rightarrow გ \rightarrow ი$ ფონეტიკურ პროცესთან გვაქვს შეხება [როგავა 1962].

ს.-სინდ. *კაკ- „მძივის მარცვალი“

აფხაზ. ა-კაკა-ც „მძივის მარცვალი“

სუფიქსური -ც, როგორც ერთეულის კატეგორიის მაწარმოებელი მორფემა, ადვილად გამოიყოფა აფხაზურში. ძირად გამონაწევრებული კაკ- ფუძეენური წარმომავლობისა ჩანს და კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. *კაკ- „მარცვალი“ არქეტიპს [მაჭავარიანი 2015 : 26; 189].

აფხაზურში ფიქსირებული *მძივის მარცვალი* იძლევა ზემოთ აღწერილ ძირ-ფუძეებთან წ.-თუმ. კიკ „მძივი“ სიტყვის შეპირისპირების შესაძლებლობას.

ს.-ქართვ. *კაკ-ა „ყვავილოვანი მცენარე; კოკორი“

ქართ. კაკ-, რაჭ. კაკ-ია „ირაგა“ (მცენ.), ქართლ. კაკ-ია „ხავერდა“ (მცენ.), იმერ. კაკ-ილა „თეთრყვავილებიანი დაბალი ბალახი“, კახ., ქიზიყ. კაკ-რა „ფითრის ნაყოფი“

ზან. (მეგრ.) კოკო „კოკორი“ (ა. ქობალია)

გვაკლია სვანური შესატყვისი. ამის მიუხედავად, ქართულ-ზანური შესატყვისების საფუძველზე აღდგება ს.-ქართვ. *კაკ-ა არქეტიპი, შდრ. ქართ. ა : ზან. ო ბგერათშესატყვისობა. მეგრულში დამოწმებული კაკა „ყვავილი“ სალიტერატურო ქართულიდან ჩანს შესული.

ს.-სინდ. *კაკა- „ყვავილი“

აფხაზ. კაკა-, სიტყვაში ა-კაკა-ჩ „ყვავილი“

ბოლოკიდური -ჩ აფხაზურში -ც სუფიქსის გაშიშინებული ვარიანტი ჩანს. ძირად გამოყოფილი კაკა ფუძეენური წარმომავლობისაა, რასაც, ქართველურთან ერთად, დადესტნური მასალაც ამტკიცებს, შდრ.: ჰინუხ. გაგა, ხვარშ. განგი-, დიდ. გაგალი „ყვავილი“.

ანდიურ ენათა გიგილ / გიგინ / გიგიმ და თაბას. ქქქქ „ყვავილი“ აქ ვერ შემოვა; იგი სხვა ეტიმოლოგისაა და ქართველურ გვიგვილ- (მეგრ. გვიგვილ-ი „კვირტი“) სახელის შესატყვისად გვესახება [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 701-702].

ს.-ქართვ. *კაკალ- „კაკალი“

ქართ. კაკალ-ი

სვან. კაკ-ა, გაკ-ა „(ნათ. ბრ. კაკაშ, გაკაშ) „კაკალი“

მეგრ.-ლაზ. კაკალ-ი ქართულიდან არის შესული; ხოლო სვანურში, როგორც მოსალოდნელი იყო, ლ-ს შესატყვისი უ დაიკარგა [კლიმოვი 1964 : 105].

ს.-სინდ. *კაკან „კაკალი; კვერცხი“

ადილ. ჭანჭა, შაფს. კანკან „კვერცხი“

აბაზ. კაკან, აფხაზ. ა-კაკან „კაკალი“

სინდური ძირის ამოსავალი სახე აფხაზურ-აბაზურში უკეთ არის შემონახული [ჭარაია 1912 : 26]. სემანტიკური კორელაცია კაკალი ~ თხილი კანონზომიერი ჩანს [კლიმოვი 1969 : 292]. კვერცხის გაგება მთელს იბ.-კავკ. ენებში იჩენს თავს, შდრ. ხუნძ. კორკონუ „ყურძნის კენკრა“, მაგრამ ანდ. კორკონ, კარატ. კარკან, ბოთლიხ. კარკამუ „კვერცხი“..., კრიწ. კკკალ, თაბას. კეკელ „პატარა ქვა“ და ა. შ. [უფრო დაწვრილ. იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 730-731]. ნახური ენებიდან საინტერესო ჩანს ჩვენ მიერ ფიქსირებული წ.-თუმ. კიკელ „ხილი (ნაყოფი)“.

ს.-ქართვ. *კალ- „კვლა“

ქართ. კალ-/კლ-, მო-ვ-კალ, კლ-ავ-ს

სვან. ჭაჟ „მომაკვდინებელი სენი“, შდრ. ლახამ. ჭალ „id“

უცნაურია, რომ ლახამულურმა, სადაც ყველაზე ინტენსიურია ლ → ჭ ლაბიალიზაციის ფონეტიკური პროცესი, არქაული ლ შემოინახა. ცხადია, ფუტკრის სნეულების აღმნიშვნელი ქართული ჭეო სიტყვა სვანურ წყაროს გულისხმობს, სვან. ჭ → ქართ. ო დამახასიათებელი ადაპტაციით, შდრ. სვან. ზესხჟ → ქართ. ზესხო, სვან. ჩეჟ → ქართ. ჩეო...

ს.-სინდ. *კუგ- „კვლა“

ადიდ. (შაფს.) უგ-კგ-ნ, აბმახ. უგ-ჭგ-ნ, ჭემგ., ბჟედ. უგ-ჭგ-ნ, ყაბ. უგ-ჭგ-ნ, ბასლ. უგ-კგ-ნ „მოკვლა“

უბიხ. კუგ- „კვლა“

გვაკვლია აფხაზურ-აბაზური შესატყვისები. რაც შეეხება უბიხურ კუგ- ზმნას, სწორედ იგი ინახავს უძველეს სინდურ ფორმას, რომელიც აქ ფუძეენურ მდგომარეობას ემთხვევა. საყურადღებო ჩანს აუსლაუტური შესატყვისობა ს.-ქართვ. ლ : ს.-სინდ. *ჭ (← წ.-სინდ. ლ), რომელიც სვანური ლ → ჭ ლაბიალიზაციის ანალოგიური ჩანს.

ს.-ქართვ. *კალ- „კლიტე, გასაღები“

ქართ. კლ-, კლიტ-ე „გასაღები“

ზან. (ლაზ.) კოლ-ა // კილ-ა, მეგრ. კელ-ა // კილ-ა „გასაღები“

სვან. კილ-, ლი-კლ-ი „დაკეტვა“, ა-კილ „დაკეტა“

სავსებით სამართლიანად უარყოფილ იქნა ამ ფუძეთა ნასესხობის იდეა სხვა ენებიდან. თუმცა ჰ. ფენრიხის რეკონსტრუქციაში არქეტიპის ი გახმოვანება ფიგურირებს, რასაც ვერ ვეთანხმებით ლაზური ო-ს გამო, რომელიც ს.-ქართვ. ა-ს შესატყვისია. სვანური ი სწორედ ამ ა-ს ასახავს – ა → გ → ი სვანურში არაერთი მაგალითითაა გამყარებული [შდრ. ფენრიხი 2007 : 245].

ს.-სინდ. *ლგკუჟ- „ურდული“

აფხაზ. ა-ლგკუჟ „ურდული“

სახელური ძირი აფხაზურში განმარტოებით დგას, მაგრამ კანონზომიერი შესატყვისები ეძებნება ქართველურ ენებში, რაც იმას ნიშნავს, რომ აფხაზური ერთეული საერთოსინდური წარმომავლობისაა.

ამასთანავე, ს.-სინდ. *ლგკუჟ- შებრუნებული წყობისაა, რაც მეორეული ჩანს, შდრ. ს.-ქართვ.

*კალ- : ს.-სინდ. *ლგკუჟ-, მაგრამ: ხუნდ. კულ // კოლრ, ლაკ. კულა „გასაღები“...

ს.-ქართვ. *კალ- „ფთილა, კონა; საბმელი რგოლი“

ქართ. (აჭარ.) კალ-ი „საბმელი (საქონლის) ხის რგოლი“

ზან. (მეგრ.) კელ-ი // კილ-ი „კონა, შეფუთვა“

სვან. კალ, კალ (ბქ.) „ფთილა“

სომხური კოლ-ოლ „ფთილი“, რომელიც შემდეგ თვითონ გახდა წყარო ქართული კულ-ულ-ისა, ზანიზმი ჩანს. სომხური მაშინ არის ნასესხები, როცა ო → გ // ი ჯერ კიდევ არ მოქმედებდა ზანურში, ძველი ნასესხობაა.

ს.-სინდ. *კელ-ა „ძნა“

აფხაზ. ა-კელა „ძნა“

სინდური ენებიდან მხოლოდ აფხაზური ფორმის პოვნის შემთხვევა ავტომატურად სვამს საკითხს ა-კელა „ძნა“ სიტყვის ნასესხობის შესახებ მეგრულიდან. ჩვენ გამოვრიცხავთ ამგვარ შესაძლებლობას, ვინაიდან მონათესავე ძირები იძებნება დაღესტნურ ენებში, შდრ.: ხუნდ. გულ, ანდ. ქოლ, კარატ. ქოლე, ლოდობ. ქოლი „ძნა“ [მეტი იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 690].

ს.-ქართვ. *კალ-ე „ერთგვარი თხრილი“

ქართ. (ქიზიყ.) კალო „ერთგვარი თხრილი, რომ მცენარის ფესვებში თოვლის ნადნობი თუ მირუბული წყალი ჩავიდეს“

ფუძემდებური არქექტივის რეკონსტრუქცია ხერხდება მხოლოდ ქიზიყური დიალექტის ჩვენების საფუძველზე, რასაც დამაჯერებლობას ჰმატებს გარეენობრივი პარალელები სინდური ენებიდან (და არამხოლოდ). ე → ო ქართულში განხორციელდა.

ს.-სინდ. *კუარ-ა „ღელე“

აბაზ. კუარა, აფხაზ. ა-კუარა „ღელე“

ქართულ-აფხაზურ-აბაზური შეპირისპირება ნათლად წარმოაჩენს ს.-ქართვ. ლ : ს.-სინდ. რ ბგერათშესატყვისობას, სადაც ამოსავალი ვითარება ქართველურს დაუცავს, ანუ ლ → რ ფუძესინდურში განხორციელდა. სხვათა შორის, დარგული პარალელიც კაუ „ორმო, ტბა“ მხოლოდ ლ-ს გაშუალებით შემოვა სიტყვათა ამ რიგში. ე.ი. ერთი მხრივ, ლ → რ და, მეორე მხრივ, ლ → უ იბ.-კავკ. ენებში; ორივეგან ლ-ს არქიფონემად დაშვება აუცილებელი ჩანს.

ს.-ქართვ. *კამას- „მსხვილი ძაფი“

ძვ. ქართ. კამას-ი „მსხვილი ძაფი“, ქართ. კემს-ი „დიდი მახათი“, კემს-ვ-ა „ძაფის ჯვარედინად გაყრა-გამოყრით ამოკერვა“, იმერ. კემს-ა-კემს-ა „ნაჭერ-ნაჭერ“

ზან. (მეგრ.) კუმუშ-ი „ბაწრის სახეობა“

ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის მიხედვით, კამას-/კუმუშ- მიმართება კანონზომიერი ჩანს, ვინაიდან ქართ. ს : ზან. შ და ქართ. ა : ზან. უ გარკვეულ პოზიციებში (ბაგისმიერებთან) რეგულარულად ვლინდება [გუდავა 1960].

ს.-სინდ. *კუამას- „ფარჩა, სტავრა“

აფხაზ. ა-ქუამაშ „ფარჩა, სტავრა“

არაფერი უცნაური ქართ. კ : აფხაზ. ქ მიმართებაშიც არ იქნებოდა, მაგრამ, ვინაიდან, ქართველურის გარდა, სხვა იბ.-კავკ. ენებშიც ვაფიქსირებთ კ ფონემას გლოტალიზაციის შენარჩუნებით (ინგუშ. კუუს „ხალიჩა“), გვგონია, რომ საერთოსინდური არქექტივი მკვეთრი სახეობით იყო წარმოდგენილი.

აქვე ყურადღებას მიიქცევს ოპოზიცია სემანტიკურ დონეზე ს.-ქართვ. მსხვილი ძაფი ~ ს.-სინდ. ფარჩა / სტავრა, რაც ლოგიკური ჩანს.

ს.-ქართვ. *კამ-ე „კუდის ბოლო ნაწილი“

ზან. (მეგრ.) კემ-ა „დუმის ბოლო, ცხიმკუდის ბოლო ნაწილი“, სა, კემა-სვასვა „ნაზი ნაწილი ცხვრის ცხიმ-კუდისა“

საერთოქართველური წარმომავლობის ფუძე მხოლოდ მეგრულს შემორჩა. ხმოვნებში მეგრული ე, ალბათ, ქართულის ა-ს ასახავს, შდრ. მარღვ-ი : ჯერღვ-ი ← *ჯორღვ-ი და კემ-ა ← *კომ-ა. ბოლოკიდური -ა მეგრულში სუფიქსურია და ს.-ქართვ. -ე'ს ასახავს - ს.-ქართვ. კამ-ე → ზან. *კომ-ა → მეგრ. *კემ-ა.

ს.-სინდ. *კუა „კუდი“

ადილ. ჭა, შავს. კა, ყაბ. ჭა, ბასლენ. კა „კუდი“

უბიხურ-აფხაზურ-აბაზურ ენებში სამიბელი ძირი დაკარგულად მიიჩნევა.

ქართველურთან შედარებით ირკვევა, რომ ს.-ჩერქ. *კა „კუდი“ გამარტივებული სახეობა უნდა იყოს ამოსავალი *კუა წინარეფორმისა - *კუა ← *კმა. ამაზე დაღესტნური მასალაც ნათლად მეტყველებს, შდრ.: დარგ. (ურაზ.) კიმი, კუბაჩ. კუმე, ჩირგ. ჭიმი ← *კიმი „კუდი“, ასევე, ანდ. ენებ. კამუ // კამა „რქა“...

ს.-ქართვ. *კან- „კანი“

ქართ. კან-ი

ზან. (მეგრ.) კუნ-ი „კანი“, ჩხორო-კუნ-ი „ცხრაკანა (ვაზის ჯიში)“

სვან. კან-/კან- „კანი“

ქართველური ალომორფები კანონზომიერ მიმართებებს აჩვენებენ. მხოლოდ ახსნას ითხოვს **ო** → **უ** გადასვლის მექანიზმი მეგრულში, მაშინ, როდესაც ფუძეში არცერთი ბაგისმიერი თანხმოვანი არ ფიქსირდება.

ს.-სინდ. *კან- „ჭორფლი“

ადილ. კან-, სიტყვაში კან-წგჳ „მეჭეჭი“

აფხაზ. ა-კან „ჭორფლი“, ა-კან-წგწ-რა „მეჭეჭი“

ჩერქეზულში კან- ფუძე დამოუკიდებლად არ გვხვდება, რასაც უპირისპირდება აფხაზური რეალობა, სადაც სიტყვის მნიშვნელობაც ხელშესახებად არის წარმოდგენილი.

ს.-ქართვ. *კან- „კანი“ : ს.-სინდ. *კან- „ჭორფლი“ შესატყვისობაში, მნიშვნელობის მხრივ, ამოსავალ ვითარებას ქართველური წარმოგვიდგენს, ვინაიდან დაღესტნურ ენათა სათანადო ძირიც კანის მნიშვნელობას უჭერს მხარს, შდრ. ახვაზ. ყენი „კანი“.

ს.-ქართვ. *კართ- „კრთომა; შეშინება“

ძვ. ქართ. კრთ-ომ-ად, გან-ჰ-კერთ „შეშინდი“, ახ. ქართ. კრთ-ებ-ა, მ-კრთ-ალ-ი, კრთ-ომ-ა

ზან. (მეგრ.) კუთ-უ-ა „სუნთქვის შეკვრა“, მ-ა-კუთ-უ(-ნ) „სუნთქვა შეკვრის“, კუთ-აფ-ი „წუხილი“, ლაზ. ე-მკუთ-ინ-უ „შეშინება, დაფრთხობა“, ე-მკუთ-უ „დაფრთხა, შეშინდა“

ხმოვნით ნაწილში ფონემური მიმართება ს.-ქართვ. ა → ზან. უ ადვილად აიხსნებოდა იმ შემთხვევაში, თუ დავუშვებთ ლაზურში ფიქსირებული მ ბილაბიალის არქაულობას. ასეთი კვალიფიკაცია ლაზური მ- სონორისა არ ჩანს მართებული, ვინაიდან იგი იმთავითვე ფონეტიკურ დანართად აღიარეს [ჩიქობავა 1938 : 299]. გურულ დიალექტში პოვნირი კუთ-ვ-ა „კვნესა“ ზანურიდან არის შესული [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 270].

ს.-სინდ. *კან- „სირცხვილი“

ადილ. (შაფს.) უგ-კგთ, ჳემგ., ბჟედ. უგ-ჳგთ, აბმახ. უგ-ჳგთ, ყაბ. უგ-ჳგთ-, ბასლ. უგ-კგთ „სირცხვილი“

ჩერქეზულ ენა-კილოებში -კგთ /-ჳგთ /-ჳგთ ალომორფები მხოლოდ უგ- ზმნურ პრეფიქსიან მოდელებში დასტურდება. მნელი სათქმელია, რამ გამოიწვია კ-ს პალატალიზაცია საერთოჩერქეზულში (კ → კ'). ალბათ, უწინარესმა მოკლე ჳ ხმოვანმა, ანუ *კან- → *კგთ-. საკითხი დამატებით კვლევას საჭიროებს.

სინდურ-ქართველურ არქეტიპთა შედარებითი ანალიზისას იკვეთება საყურადღებო სემანტიკური კორელაცია შეშინება ~ სირცხვილი, რაც კანონზომიერებას ექვემდებარება. მსგავსი სურათი შეიძლება მოვიხმოთ ქართველური მასალიდან, შდრ. ზან. შქურ-ინ-ი „შეშინება, შიში“ ~ სვან. შგურ / შგურ „სირცხვილი“.

ს.-ქართვ. *კართ- „ციცაბო აღმართი; მთა-ბოცვიანი ადგილი“

ზან. (მეგრ.) კონთ-ი „ციცაბო აღმართი“

მეგრული ფორმა მეორეული ჩანს, მისი არქაული სახეობა დაცულია იმერულ დიალექტში კორთ-ი „ციცაბო აღმართი; მთა-ბორცვიანი ადგილი“ სიტყვის სახით. რთ → ნთ, ისევე, როგორც რტ → ნტ, რწ → რწ... დამახასიათებელი პროცესია მეგრულში, შდრ. რტინა → ნტინა „გაქცევა“.

არ გამოვრიცხავთ სვანურ კგლთხ-ი // კვლთხ-ი // კლწთხ-ი (ლწტ.) „მაღალი“ ალომორფებთან

მეგრული სიტყვის ნათესაობას, ამიტომაც აღდგება *კართ- არქეტიპი, ვინაიდან ხ სვანურში ფონეტიკური დანართია.

წ.-სინდ. *კანთ- „კლდე“

ხათ. kant-i „კლდე“

სიტყვის სემანტიკა ცნობილია, ამავდროულად ხათურ ფორმას აკავშირებდნენ ქართველურ კლდე/კირდა „კლდე“ სახელებთან [კოჭლამაზიშვილი 2016 : 61], რაც თავისთავად საინტერესო დაკვირვება ჩანს, მაგრამ, ვფიქრობთ, საერთოქართველურ *კართ- არქეტიპთან სიახლოვეს მეტი არგუმენტი აქვს.

აფხაზურ-ადილურ ენებში შესაბამისი ძირები ვერ გამოვავლინეთ.

ყურადღებას იმსახურებს სათანადო დალესტნური ინფორმაცია, შდრ. ბეჟიტ. ყოთ-ფო, ჰინუხ. ყუთ „მთა, ბორცვი“.

ს.-ქართვ. *კასრ-ო „კინკრიხო“

ქართ. კოსრ-ო „ადამიანის თავის ზედა ნაწილი, თხემი“

სიტყვა განმარტოებით დგას ქართულში. სავარაუდოდ, ა → ო რეგრესული ასიმილაციის შედეგი ჩანს ისტორიულ ქართულში. ძირეული ა ხმოვნის არქაულობაზე მიუთითებს ნახური შესატყვისიც, შდრ. ნახ. საკერ / კასერ / კესარ „კისერი“; ეს უკანასკნელი ქართული კისერ- სახელის გამსესხებელი წყაროცაა.

წ.-სინდ. *კას- „თავი“

ხათ. kaš „თავი“

აფხაზურ-ადილურ ენებში შესაბამისი ძირ-ფუძეები დაკარგული ჩანს, თუმცა წინარესინდური ფუძე-ენიდან მომდინარე სიტყვა ხათურშია პოვნად.

შებრუნებული წყობის (ბგერწერითი – საკერ) ფუძე წარმოდგენილია ხუნძური ენის დიალექტებშიც, შდრ. ანდალ. შენკელ „საფეთქელი“.

მეტ სიახლოვეს აჩვენებს ხათურ-ქართული იზოგლოსები. თუმცა საკითხი შემდგომ დამუშავებას მაინც მოითხოვს.

ს.-ქართვ. *კაფ-ე „ცხვრის დუმა“

ზან. (მეგრ.) კეფა „ცხვრის დუმა“

საერთოქართველური *კაფ-ე არქეტიპის კანონზომიერ რეფლექსად მივიჩნევთ მეგრულ კეფა ფორმას; მსგავსი ტრანსფორმაციისათვის შდრ. ს.-ქართვ. *ზადენ-, ქართ. ზადენ-ი : ზან. (მეგრ.) ბედან-ი „ჩოხის ნაწილი“...

ს.-სინდ. *კაფ-ჰ „ცხვრის დუმა, კურტუმო“

ადილ. კაფჰ // ჭაფჰ, ყაბ. ყაფჰ // ჭაფჰ „ცხვრის დუმა“

აბაზ. კაფა „დუმა“, აფხაზ. ა-კაფა „დუმა; კურტუმო“

გვაკლია უბიხური შესატყვისი; უფრო მეტიც, ზოგი ავტორი აფხაზურ-აბაზურ ფორმებს ადილურიდან ნასესხებად მიიჩნევს [აბდოკოვი 1973 : 10; კლიმოვი 1968 : 293]. სპეციალურ ლიტერატურაში მეგრული კეფა „ცხვრის დუმა“ აფხაზურ-ადილურიდან შეთვისებულ სიტყვად არის მიჩნეული [ბუკია 2016 : 12]. ჩვენთვის ძირი საერთოსინდური მონაცემია, რომელსაც ს.-ქართვ. *კაფ-ე არქეტიპი შეესატყვისება. და მაინც, საკითხი დამატებით შესწავლას საჭიროებს, მით უფრო, როცა ვერ ვუთითებთ ნახურ ან დალესტნურ იზოგლოსებს.

ს.-ქართვ. *კედ-ა „ჯოხი; კეტი“

ქართ. (დიალ.) კედა „მსხვილი კეტი კარების დასაკეტად“, მოხ. კედა-ფ „ხის გრძელი ჯოხი“ დღეს გავრცელებული კეტ-ი ფორმის უძველესი სახეობა კედ- (//კედ-ა) უნდა ყოფილიყო,

რაც მთის დიალექტებს შემორჩა ქართულში. ძველქართული კედ- ადრეული ნასესხობის სახით დასტურდება წოვათუშურ ენაში, შდრ. წ.-თუშ. კედ „კეტი“, дубинка.

ს.-სინდ. *კაღ-ა „პატარა ჯოხი“

უბიხ. კარდა „ბურთის დასარტყმელი პატარა ჯოხი“

ფუძეენური წარმომავლობის სიტყვა მხოლოდ უბიხურს შემორჩა. როგორც სპეციალისტები მიუთითებენ, სიტყვაში რ ვიზრანტი მოგვიანებით უნდა იყოს ფონეტიკურად განვითარებული [კვახაძე 2014 : 163].

ს.-ქართვ. *კედ-ა : ს.-სინდ. *კაღ-ა არქეტიპთა კანონზომიერი შესატყვისი უნდა ჩანდეს და-ღესტნურ ენებშიც, შდრ. კარატ. კანტა „კეტი“. ეს უკანასკნელი შეიძლება, მონათესავე იყოს დიდო-ური კიტი „ჯოხი; კეტი“ სიტყვისა.

ს.-ქართვ. *კეთ- „კეთილი“

ქართ. კეთ-ილ-ი, უ-კეთ-ურ-ი

სხვა ქართველურ ქვესისტემებში შესაბამის კათ-/კეთ- ძირებს მსგავსი მნიშვნელობით ვერ ვაფიქსირებთ. არ არის სანდო ქართული კეთ- (კეთ-ილ-ი) ძირის დაკავშირება კეთ-ებ-ა ზმნასთან [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 267]. კეთ- დამოუკიდებელი სიტყვა ჩანს ქართულში და მას სხვაგვარი წარმომავლობა ახასიათებს.

ს.-სინდ. *კათ- „ბედნიერი“

აფხაზ. -კათ-, სიტყვაში ა-რ-კათ-რა „გაბედნიერება“

ქართულ-აფხაზურ ძირთა ერთიანობაზე ქ. ლომთათიძემ მიუთითა, მაგრამ ავტორი აფხა-ზური ფორმის ქართულიდან სესხებას ვარაუდობდა [ლომთათიძე 1999 : 25]. სესხების მიმართულებაზე საუბარი არ ჩანს აუცილებელი, მით უფრო, მაშინ, როდესაც კანონზომიერი სიტყვები თავჩენილია დაღესტნურ ენებშიც, შდრ.: ბეჟიტ. კეტ-ო, ჰუნზიბ. კოტ-უ „ლამაზი“...

კეთილი ~ ბედნიერი ~ ლამაზი საერთო სემანტიკური ველის სემანტემები ჩანს.

ს.-ქართვ. *კაკუ- „ჩაქუჩი; კომბალი“; „ჩაჭედება“

ქართ. კაკვ-ელ-ა „მსხვილთავიანი კომბალი, სიმინდის საფშენელი“

ზან. (მეგრ.) კვეკვ-ა „ჩაქუჩი“, კვაკ-უ-ა „ჩაჭედება, ჩარაკუნება“

ცხადია, ქართული კაკვ- ძირს მეგრულში კაკვ- უნდა მოეცა, მაგრამ, მეგრულში ერთი ბგერ-წერითი წერის თანახმად, კაკვ-მა ასიმილაციით კვაკვ- მოგვცა, ხოლო სახელურ ძირში კვეკვ-ად ჩამოყალიბდა; ასეთი პროცესები ბუნებრივია მეგრულისთვის, შდრ. ბერგ-ი „თოხი“, მაგრამ ბარგ-უ-ა „თოხნა“, ტყებ-ი „ტყავი“, მაგრამ ტყაბ-არ-უ-ა „გატყავება“. ალბათ, სიტყვათა (ძირ-ფუძეთა) ამავე რიგში ჩანს განსახილველი იმერ. კვეკვ-ელ-ა „წისქვილის სარეკელა“.

ს.-სინდ. *კაგუ- „გრდემლი“

უბიხ. კგნკ „გრდემლი“

აფხაზ. ა-კუგრკ-ოუ „ჩაქუჩი“

დასახელებული უბიხური ფორმა აჩვენებს, რომ ანლაუტური გუტურალის პალატალიზაცია გამოუწვევია მომდევნო ვიწრო ზ ხმოვანს, ხოლო სიტყვის აუსლაუტში კი დამახასიათებელი კუ → კ დელაბიალიზაციის თავისებური ფონეტიკური პროცესი განხორციელდა – ს.-სინდ. *კაგუ- → უბიხ. კგნკ. ამავდროულად ინლაუტური ნ საკუთრივ უბიხური ინოვაცია ჩანს, ისევე, როგორც რ ვიზრანტი აფხაზურში.

ს.-ქართვ. *კაკუ- : ს.-სინდ. *კაგუ- კანონზომიერი ფონეტიკურ-სტრუქტურული შესატყვისო-ბაა, რომელსაც ჩაქუჩი ~ ჩაჭედება ~ გრდემლი ბუნებრივი სემანტიკური კორელაცია ახასიათებს.

ს.-ქართვ. *კენ- „მოძრაობა“

ზან. (ლაზ.) კან-, ო-კან-უ „მოძრაობა“

თუ ამოვალთ ქართველურ ენებს შორის გამოვლენილი ფონეტიკური მიმართებიდან, ლაზურ-რი ა აუცილებლად ფუძეენური ე-ს არსებობაზე მიუთითებს. ამიტომაც არქეტიპად *კენ- ფორმას აღვადგინეთ.

ს.-სინდ. *კუბ-ნ „სიარული“

ადილ. კუბ-ნ, ყაბ. კუბ-ნ „სიარული“

უბიხ. კა-, ს-კა-ნ „სიარული“

ძირეული თანხმოვნის დელაბიალიზაცია გახდა სწორედ საფუძველი პალატალიზაციის პროცესისა უბიხურში – კუ → კ, რაც რეგულარულ ხასიათს ატარებს. უბიხური და ადილური სიტყვების ერთიანობა ცნობილია [დიუმეზილი 1932 : 98].

განსახილველ მასალაში მეორდება ის იშვიათი შემთხვევები, როცა ქართველურ სადა თანხმოვნებს სინდურ ენათა ლაბიალიზებული სახეობები შეეფარდება – კ : კუ. ქართველურ მონაცემებთან შედარებით კი ირკვევა, რომ ბოლოკიდური ნ სონორი ფუძესინდურში დაკარგულია. საერთოქართველურის შესატყვისი ნ დადესტურ მასალაში გამოჩნდება, შდრ. წახ. ჰა-კან „სვლა“.

სვანური კუარ-/კუარ- „წაწალი, ხეტიალი“ ზმნის ადგილს ჩვენ მიერ აღწერილ კონტექსტში ვერ ვხედავთ, ის უბრალოდ სხვა ძირი ჩანს.

ს.-ქართვ. *კენძ-ა „ღუზა“

ზან. (მეგრ.) კანჯო „ღუზა“, შდრ. კანჯ-უ-ა „სანავედ გაზრდა ხისა დადრეკით“ (ა. ქობალია)

სახელური ფუძე მხოლოდ მეგრულმა შემოგვინახა. ვფიქრობთ, კანჯ-უ-ა ზმნა ნასახელარი უნდა იყოს. საერთოქართველური ფუძე-ენისათვის *კენძ-ა არქეტიპის რეკონსტრუქციას საკუთარი არგუმენტაცია გააჩნია, შდრ. ბერათმესატყვისობა ქართ. ე : ზან. ა, ს.-ქართვ. *ე; ქართ. ძ : ზან. ჯ, ს.-ქართვ. ძ; ქართ. ა : ზან. ო, ს.-ქართვ. *ა.

ს.-სინდ. *კანძ-ა „ნავი“

აბაზ. (ტაპანთ.) კანჯა „ნავი“, აფხაზ. ა-კანჯა „დიდი ნავი“

თავკიდურა თანხმოვნის პალატალური ხასიათი, ალბათ, ფუძეენური ჰ მოკლე ხმოვნის არსებობის კვალია ტაპანთურში. სემანტიკური თვალსაზრისით, კორელაცია ღუზა ~ ნავი ბუნებრივად გვესახება.

სიტყვა დაკარგული ჩანს სხვა ჩერქეზულ ენა-კილო-თქმებში.

იქნებ, საინტერესო იყოს ხუნძ. (დიალ.) დანწა „ღუზა“ ფორმასთან მიმართების საკითხი.

ს.-ქართვ. *კენწ- „წნელი; შტო; ტოტი“

ქართ. (ოკრიბ.) კენწ-ალ-ი „შტო; პატარა ტოტი; წნელი“, კინწ-ალ-ი „id“

ზან. (ლაზ.) კამჭ-ი „მათრახი“

ვფიქრობთ, წნელის შინაარსიდან განვითარდა ლაზურში მათრახის გაგება. ამავდროულად არ გამოირიცხება თურქულიდან სესხების შესაძლებლობაც ლაზურშივე. მსგავს პოზიციაში ნ → მ ადვილად აიხსნება, შდრ. ლაზ. დიმჭკუ ← დინჭკუ : ქართ. ჯინჭუელ-ი, ლაზ. ჭიმკა ← ჭინკა...

ს.-სინდ. *კაწ-ა „მცენარის განაყარი“

ყაბ. ჭასუ „მცენარის განაყარი“

ოდენ-ყაბარდოული მონაცემის საფუძველზე აღადგენენ *კაწა არქეტიპს [კვახაძე 2014 : 75], რაც რეალური ჩანს, ვინაიდან კ → ჭ და წ → სუ ფონეტიკური პროცესები ყაბარდოულში მეტად გავრცელებულია.

სხვა კონტექსტში ი. ბრაუნის ქართულ კინწალ- ფუძეს შესატყვისებს უძებნიდა ბასკურში, შდრ. ბასკ. gindar [ბრაუნი 1998 : 34].

ს.-ქართვ. *კეს-ან- „მცენარე (კესანე)“

ქართ. კეს-ან-ე „ბალახოვანი მცენარე“, ფშ. კესან-ე „საალერსო სიტყვა; ყვავილი“

ზან. (მეგრ.) კაშინ-ა „ზღაპრული ქალი; ალი“

სიტყვის ფშაურ ვარიანტში *საალერსო* შინაარსი (მნიშვნელობა) იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მეგრული კაშინა-ც აქვე შემოვიტანოთ. ქართველური ბგერათმესატყვისობა – ე : ა, ს : შ, ა : ი (← ო), ე : ა – ამ ფუძეებში იდეალურად იქნებოდა წარმოდგენილი. ამავე კონტექტში ღირებული ჩანს ქართული კეს-ო სახელის მოხმობაც.

ს.-სინდ. *კასუ- „ჭიოტა“

ადიდ. (ჭემგ.) ჭასუ-გ „ჭიოტა“

სემანტიკური ოპოზიცია *კესანე* ~ *ჭიოტა* სამიხედელ სიტყვებში მხარდაჭერილია კასუ- / კეს-ან- სტრუქტურულ-ფონეტიკური იგივეობით. სინდური არქეტიპის უ სონანტი ჩერქეზული ინოვაცია უნდა იყოს – ს.-ქართვ. ს : ს.-სინდ. სუ.

ძირ-ფუძეთა დაღესტნურ ან ნახურ იზოგლოსებს ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვ. *კეფ- „კანაფი“

ქართ. კეფ-ი „ესე კ ე ფ ი მრთელი ფურცელი არს წერილისა; „წიგნის ფურცელი“ (საბა)

ზან. (ლაზ.) კეფ-ი // კერფ-ი // ჭეფ(რ)-ი (ათინ.) „კანაფი“, მეგრ. კეფ-გ // კიფ-ი „კანაფი“, ტოპ. ნა-კიფ-უ, კიფ-იმ ოსარე „კანაფის პერანგი“

გვაკლია სვანური შესატყვისი. ლაზური ვოკალიზმი ქართულს მიჰყვება, რაც გარკვეულ კითხვებს აღძრავს (ნასესხებია?). მეგრული იმეორებს ქართ. კეფ-ი : ზან. კიფ-ი „კეცი“ ტიპის ხმოვნურ მიმართებას.

ს.-სინდ. *კაფ- „კანაფი“

ადიდ. (ჭემგ.) ჭაფ, შაფს., ბჟედ. კაფ „კანაფი“

აქვე შემოაქვთ უბიხური ჩგპ „კანაფი“ ფუძეც [კვახაძე 2014 : 66]. ამგვარი მიდგომა არ ჩანს გამართლებული, ვინაიდან ქ → ჩ, ან კ → ჭ საკუთრივ უბიხურისთვის არ არის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესი (იხ. აქვე ქიპ).

ქართული კანაფ-ი სხვა ძირია, ის, ცხადია, აქ ვერ შემოვა.

ს.-ქართვ. *კეფს- „საკერებელი“

ქართ. (რაჭ.) კეფს-ი // კიფს-ი „საკერებელი“

რაჭული კეფს-ი // კიფს-ი „საკერებელი“, რომელსაც ვ. აბაევი ოსურიდან ენიდან შეთვისებულად მიიჩნევს [აბაევი 1958, I : 632], შეიძლება, ასახავდეს საერთოქართველური *კეფს-არქეტიპის კანონზომიერ რეფლექსაციას ქართულში. თუმცა შესაბამისი მასალა ზანურ-სვანურიდან ვერ მოვიძიეთ.

ს.-სინდ. *კაფშ- „თოკი; მათრახი“

ადიდ. ჭაფშ, ყაბ. სოფს „მათრახი“

ადილურ ენებში *მათრახის* გაგება მეორეული ჩანს, ამოსავალი (არქაული) სემანტემა *თოკისა* უნდა ყოფილიყო. შ → ო ყაბარდოულში მომდევნო ფ-სთან ასიმილაციით განხორციელდა. შეიძლება, ფს → ფშ დაშვებაც ფუძესინდური მდგომარეობისათვის.

ს.-სინდ. *კაფშ- : ს.-ქართვ. *კეფს- კანონზომიერ სტრუქტურულ-სემანტიკურ შესატყვისობად მიიჩნევა. ძირთა ერთიანი წარმომავლობის მტკიცებას მყარი საფუძველი აქვს სამი თანხმონის რეგულარულ შესატყვისობათა გამო.

ს.-ქართვ. ***კებ**- „ბელურა“

ზან. (ლაზ.) **კახ**-ი „ბელურა“

ვოკალიზმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ზანური ა საერთოქართველურისთვის ე გახმოვანებას გვაგვარაუდებინებს. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია თვალსაზრისი ლაზური **კახ**- ძირის ინგილოურ **კებ**-ვ-ა-ი „ჩანისკარტება; ნისკარტის ჩაკვრა“ ზმნასთან ნათესაობის შესახებ [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 272], რაც არ ჩანს მართებული.

ს.-სინდ. ***კუჭხ**- „სარსარაკი“

ყაბ. **კუჭფხ** „სარსარაკი“ [otistetrax]

უნდა ვივარაუდოთ ასიმილაციური ზეგავლენა თავკიდურა ლაბიალიზებული თანხმოვნისა მომდევნო (ფინალურ) **ხ** თანხმოვანზე, რითაც გაჩნდა **ფხ** კომპლექსი – ***კუჭხ** → **კუჭფხ**.

სემანტიკური კორელაცია *ბელურა ~ სარსარაკი* ბუნებრივად გვესახება.

ს.-ქართვ. ***კებ**- „მაღალი (ადგილი)“

ქართ. **კებ**-ი „*მაღალი ადგილი* (ადამიანის ცხვირის ზურგისა)“

ზან. (მეგრ.) **კახ**-უ „მაღალი, შიშველი ფერდობი ადგილები“

სვან. **კებ**, **კეჰ** (უშგ.) „კები“

ფუძის აუსლაუტში ქართ. **კებ**-ი : ზან. **კახ**-უ იმეორებს უკვე ცნობილ შეპირისპირებას: ნეკ-ი / ნაკ-უ „id“ (გ. კლიმოვი). სხვა მხრივ, ფუძეთა ერთიანი წარმომავლობა უპრობლემო ჩანს. საცნაურია *მაღალი ადგილის* სემა სამივე ქართველური ლინგვისტური ერთეულისათვის.

ს.-სინდ. ***კუჭჰ**-ა „გრძელი“

ადიდ. (შაფს.) **კუჭჰ**, ჭემგ. **ჭუჭჰ**, ყაბ. **ჭუჭჰ**, ბასლ. **კუჭჰ** „გრძელი“

გასაზიარებული ჩანს სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ რეკონსტრუირებული სტრუქტურის ფუძე აფხაზურ-აბაზურ და ჩერქეზულ ენებისათვის ბუნებრივია და ამიტომაც წარმოდგენილი არქეტიპი შემდგომ სემანტიკას არ ექვემდებარება [კვახაძე 2014: 199].

სემანტიკური კორელაცია *მაღალი ~ გრძელი* ადვილად აიხსნება.

ს.-ქართვ. ***კუჭალ**- „კვალი“

ძვ. ქართ. **კუჭალ**-ი, ახ. ქართ. **კვალ**-ი, **კვალ**-და-**კვალ**

ზან. **კულ**-, მეგრ. **უ-კულ**-ი // ი-**კულ**-ე „შემდეგ“, **უ-კულ**-იან-ი „შემდეგი, კვალში მდგომი“, ლაზ. **ო-კულ**-ე „შემდეგ“

შესაბამისი ძირი სვანურში ჯერჯერობით არ ჩანს. ფორმოზრივად **კვალ**- / **კულ**- კანონზომიერ-რეგულარულია, მნიშვნელობა კი ზანურში *კვალში დგომის* გაგებიდან განვითარდა. ლაზურში პოვნირია -**კულ**-ე / **ქულ**-ე ალომორფებიც [ჩიქოზავა 1942 : 24].

ს.-სინდ. ***კუჭარ**- „ველი; შემოსაზღვრული ადგილი“

აბაზ. **კუჭარ** „ველი; შემოსაზღვრული ადგილი“

ფუძეენური რეფლექსაცია მხოლოდ აბაზურში არის დაცული. საყურადღებო ჩანს აუსლაუტური შესატყვისობა ს.-ქართვ. **ლ** : ს.-სინდ. **რ**, ანუ **ლ** → **რ** პროცესმა ამ შემთხვევაში დაასწრო ასევე საერთოსინდურ **ლ** → **რ** → // **Ø** ფონეტიკურ ტრანსფორმაციას.

ს.-სინდ. ***კუჭარ** : ს.-ქართვ. ***კუჭალ**- არქეტიპთა კანონზომიერი სტრუქტურულ-სემანტიკური შესატყვისი პოვნირია დაღესტნურშიც, შდრ. ხინალ. **კუჭარ** „გზა“. ეს უკანასკნელიც სინდურს მიჰყვება – **ლ** → **რ**; აქვე მოსახმობია თაბას. **კუჭარ**-არ (მრავლ. რ.) „საზღვარი“.

ს.-ქართვ. *კუარ- „წანწალი, ხეტიალი“

სვან. კუარ- (ბზ.), კუარ- (ბქ., ლნტ.), კუარ- (ლშხ.) „ხეტიალი, წანწალი“, ი-კუარ-იელ, ი-კუარ-იელ „დახეტიალობს, დახეხეება, დაწანწალებს“, შდრ. ი-კუარ-ი (ბზ.), ი-კუარ-ი (ლშხ.) ი-კუარ-ი (ბქ., ლნტ.) „მიეთრევა“

ქართულსა და ზანურში შესატყვისებს ვერ ვპოულობთ. მიუხედავად ამისა, სვანური ალომორფები ს.-ქართვ. *კუარ- ზმნის რეფლექსებად მიიჩნევა, რაზეც სინდური იზოგლოსები მიუთითებენ.

ს.-სინდ. *კუარ- „სწრაფი სიარული“

აბაზ. კუარ-რა, აფხაზ. ა-კუარ-რა „სწრაფი სიარული“

აფხაზ.-აბაზ. კუარ- ზმნის შესაძლო კავშირი (ნასესხობიდან გამომდინარე) ჩერქეზულ კუარ- „იორდა“ სიტყვასთან [შაგიროვი 1977, I : 216-217] იმთავითვე გამოსარიცხია (იხ. აქვე ს.-ქართვ. *კურ- „ტაიჭი, სწრაფი ცხენი“)

სვანურ-აფხაზურ-აბაზურ იზოგლოსებს აერთიანებთ როგორც სემანტიკური, ისე სტრუქტურულ-ფონეტიკური იგივეობა, რაც ძირ-ფუძეთა ერთიანი წარმომავლობით აიხსნება.

ნახური და დაღესტნური შესატყვისები ამ ეტაპზე ვერ მოვიძიეთ.

ს.-ქართვ. *კუართ-ე „სამოსელი, პერანგი / ნიფხავი“

ძვ. ქართ. კუართ-ი, ახ. ქართ. კვართ-ი „სამოსელი; პერანგი“

ზან. კურთა „ნიფხავი“

სვანური შესატყვისი ჯერაც არ ჩანს. ქართული კვართ- ფუძემოკვეცილი უნდა იყოს. აქ ზანური ა ბოლოკიდური ხმოვნის შესატყვისი -ე დაიკარგა. სხვა მხრივ, კუართ- /კურთ- ნორმალური მიმართებაა [ჩიქობავა 1938 : 178].

ს.-სინდ. *კათ-ა „ბადე“

აბაზ. კათა, აფხაზ. ა-კათა, ბზიფ. ა-კათ „ბადე“

ჩერქეზული ძირების უქონლობის გამო გაგვიჭირდება იმაზე მსჯელობა, იყო თუ არა საერთოსინდურში ლაბიალიზებული კ ძირეული თანხმოვანი.

სხვა მხრივ, ს.-ქართვ. *კუართ-ე : ს.-სინდ. *კათ-ა ნორმალური მიმართებაა, სემანტიკური კორელაცია *სამოსელი ~ ბადე* ლოგიკური ჩანს.

ქართველურთან ახლოს დგას ლეზგ. კურთ „პერანგი“, რომელსაც მრავალრიცხოვანი დაღესტნური შესატყვისები მოეპოვება. საყურადღებოა ინდოევროპულ მონაცემთა შედარებითი შესწავლა [იხ. აბაევი 1958, I : 609].

ს.-ქართვ. *კუაც- „ადმართი“

სვან. კაჩ „ადმართი“

თუ გავითვალისწინებთ აფხაზურ-აბაზური ძირ-ფუძეების მონაცემებს, ქართველურში ან-ლაუტური თანხმოვნის ლაბიალიზაცია პოვნიერი უნდა ყოფილიყო, ანუ სვან. კაჩ ← *კუაჩ.

ს.-სინდ. *კუაცჷ- „მწვერვალი; ამობურცული ადგილი“

აბაზ. კუაცჷ „ბურცობი“, აფხაზ. (ბზიფ.) ა-კუაცჷ „ბურცობი“, ა-კუაცჷ-რა „მწვერვალი, თხემი, კენწერო; ამოზნექილი ნაწილი რაღაცისა“

ძირეულ თანხმოვანთა ლაბიალიზაცია (ორივე თანხმოვნისა), შეიძლება, ასიმილაციის შედეგი იყოს. საკონტროლო საშუალებად გამოდგებოდა (ჩერქეზული ალომორფების არქონის პირობებში) დაღესტნური შესატყვისები, შდრ. ჰუნზიბ. კოც // კოს, თუმცა ბეჟიტური კოცო „წვერი“ ისევ აფხაზურ-აბაზურ მონაცემს დაუჭერდა მხარს.

საკითხი დამატებით შესწავლას საჭიროებს.

ს.-ქართვ. *კუაწ- „ქოთანი (სახეობა)“

ქართ. (ზ.-იმერ.) კვაწ-ია „პატარა ქოთანი“

ზან. (ლაზ.) კუჭ-უ „თიხის ჭურჭელი“

გვაკლია სვანური შესატყვისი, მოსალოდნელი კი იყო კუაჭ // კუაჭ სახეობის ალომორფები.

ლაზურსა და ზემოიმერულში -უ და -ია დამოუკიდებელი აფიქსებია, ხოლო ძირეული მასალა კვაწ- : კუჭ- კანონზომიერად შეესატყვისება ურთიერთს, რასაც თან ახლავს ხელშესახები სემანტიკური იგივეობა.

ს.-სინდ. *კუაწ- „კალათა (სახეობა)“

ადილ. (ჭემგ.) კუაწ „ერთგვარი კალათა“

ჭემგული კუაწ ძირის ფუძეებურ წარმომავლობაში ეჭვი არ გვეპარება, ვინაიდან მას შესატყვისი გამოუჩნდა ფუძექართველურში. ამავდროულად მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ს.-სინდ. *კუაწ- „კალათა“ ~ ს.-ქართვ. *კუაწ- „ქოთანი“ არქექტიპების სარწმუნო იზოგლოსები იძებნება დაღესტნურ ენებშიც, შდრ. არჩიზ. კოჭ-ო „თეფში“, კარატ. კორწ-ო „ჯამი“...

ს.-ქართვ. *კუედ- „კვდომა; დაკარგვა“

ძვ. ქართ. კუედ-, მო-კუედ, სი-კუედ-ილ-ი, მო-კუედ-ინ-ებ-ა, მ-კუედ-არ-ი

სვან. კუაედ- „დაკარგვა, ზარალი“

უფრო ადრე ქართულ კუედ- ზმნას აპირისპირებდნენ თითქოსდა სვანურ კუაედ- „წაყვანა (სიკვდილის გამო)“ ფუძესთან (ჰ. ფენრიხი, ბ. გიგინეიშვილი), რაც არ დადასტურდა სვანურში.

ზანურ დიალექტებში მოსალოდნელი კუედ-/კუედ-ინ- ალომორფები არ ფიქსირდება.

ს.-სინდ. *კუაედგ- „დაღუპვა, დაკარგვა“

ადილ. კუაედგ-ნ „დაღუპვა, დაკარგვა“

სიტყვა სინდური ენებიდან მხოლოდ ადილურშია პოვნად; სწორედ აქ შემოგვრჩა ფუძეური რეფლექსაცია სრულად.

სამეცნიერო ლიტერატურაში ადილ. კუა-ედგ-ნ მიჩნეული კუა- „სვლა“ ზმნისაგან ნაწარმოებ ფორმად, რომელიც შემდგომ სვანურმა ისესხა [როგავა 1987 : 24; ბუკია 2016 : 12]. ამგვარ მიდგომას, ვფიქრობთ, საბუთიანობა აკლია; პირიქით, ს.-ქართვ. *კუედ- : ს.-სინდ. *კუაედგ- კანონზომიერი სტრუქტურულ-სემანტიკური შესატყვისობაა თითქმის იდენტური მაჩვენებლებით.

ს.-ქართვ. *კუეთ- „კვეთი, დვრიტა“

ქართ. კუეთ-ი „დვრიტა“

ზან. (ლაზ.) მა-კათ-ი „კვეთი; საფუარი“

ვფიქრობთ, ლაზურში სახეზე გვაქვს ძირეული უ სონანტის დისიმილაციური გაუჩინარება; მხედველობაშია კონფიქსური მა- -- -ი მაწარმოებლის ზეგავლენა ფუძეზე, ანუ *მა-კუათ-ი → მა-კათ-ი, შდრ. ლაზ. მჭუთმა → მჭიმა „წვიმა“. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლაზურში წყვილბაგისმიერი უ-ს დაკარგვა უამპოზიციოდაც არის შესაძლებელი: შკვით-ი → შკით-ი // შქით-ი, მეგრ. შქვ-ით-ი „შვიდი“...

ს.-სინდ. *კუთ-ნ „ალაო“

ადილ. კუთ, ყაბ. კუთნ „ალაო“

ფუძეური მდგომარეობის რეკონსტრუქცია გვიხერხდება მხოლოდ ადილური მონაცემების საფუძველზე, ვინაიდან გვაკლია უბიხური და აფხაზურ-აბაზური ნიმუშები. სწორედ ამის გამო ჭირს იმის თქმა, გექონდა თუ არა ძირეული კ თანხმოვნის ლაბიალიზაცია საერთოსინდურში. ჩერქეზულიდან ნასესხები ოსური წათნ (← *კათნ) „ქათო“ [ბალყაროვი 1965 : 51] ამ მხრივ ახალს ვერაფერს ამბობს, მაგრამ ამავე კონტექსტში ღირებულია ლაკური კუთ „ალაო“ ფორმის ჩვენება, რომელიც საერთოდაღესტნური *კუით- არქექტიპის რეფლექსია და მხარს უჭერს ქართველური

***კუთ-** ასევე ლაბიალიზებული ტიპის ძირის არსებობას საერთოსინდურში.

კორელაცია სემანტიკურ დონეზე ს.-ქართვ. დვრიტა ~ ს.-სინდ. ალაო კანონზომიერ მიმართებად მიიჩნევა.

ს.-ქართვ. ***კუეკუერ** „მრგვალი კვერი“

ქართ. **კვეკვერ**-ა „მრგვალი ნამცხვარი“, ქართლ. „მრგვალი შუაზე გახვრეტილი პური“, ხევს. „პატარა კვერი“

ზან. (ლაზ.) **კოკორ**-ი ← ***კვაკვარ**-ი „მჭადის მრგვალი კვერი“, მეგრ. **კვაკვარ**-ი „პატარა მრგვალი კვერი“

ჯერჯერობით სვანურ შესატყვისს ვერ ვპოულობთ. იმთავითე გამოირიცხება ძირის რედუქციკაცია ქართველურ დონეზე, ვინაიდან მონათესავე იბ.-კავკ. ენებშიც მსგავსი სტრუქტურის ფუძეები დასტურდება.

ს.-სინდ. ***კუაკუარ**- „მოხარშული კვერი“

აფხაზ. ა-**კუაკუარ** „მოხარშული კვერი“

შეიძლება, დიდი იყოს ცთუნება იმის მტკიცებისა, რომ აფხაზური ფორმა მეგრულიდან არის ნასესხები. მაგრამ ამგვარი მსჯელობისაგან თავს ვიკავებთ; მიზეზი დადესტურ შესატყვისთა სიუხვეა, როდესაც იგივეობრივი აგებულების ფუძეები ვლინდება: რუთულ. **კიკერ**-, ბუღუბ. **კუკ**, ხინალ. **კუკუ** „კვერი“, შდრ. ს.-დალ. ***კუიკუერ**- „კვერი“.

ს.-ქართვ. ***კუერ**- „გამოჭედვა, გამოკვერვა“

ძვ. ქართ. **კუერ**-ვ-ა-ე „გამოჭედვა“, **კუერ**-ი „ჩაქუჩი“ ← ეტ. „საჭედი“, ახ. ქართ. გამო-**კვერ**-ავს-ს „გამოჭედვას“, **კვერ**-ი „პატარა ჩაქუჩი მჭედლისა“, თუშ. „ჩაქუჩი“

სვან. **კუერ**, **კერ** (ლხმ.) „ჩაქუჩი, მჭედლის კვერი“

მეგრულ-ლაზურში სათანადო შესატყვისს ვერ მივაკვლიეთ. უამისოდაც ქართულ-სვანური ალომორფები ნამდვილად იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ფუძეენური მდგომარეობისათვის აღვადგინოთ ***კუერ**- ზმნური არქეტიპი, რომლისგანაც სახელური **კუერ**-ი განვითარდა.

ს.-სინდ. ***კუზ**- „ჭედვა“

უბიხ. **კ^გ**- „ჭედვა“

აფხაზ. ა-**კუა**-რა „მოპირვა, მოკოდვა“

სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს მცდელობა იმისა, რომ უბიხური **კ^გ**- ადილურ **კ^{გშ}გ**-/**ჭ^{გშ}გ**- „ჭედვა“ ალომორფებს დაუკავშირონ [დიუმევილი 1975 : 145], რასაც გადაულახავი დაბრკოლებები ახლავს. ამით აუხსნელი რჩება **შ** სიბილანტის გაუჩინარების მექანიზმი უბიხურში; როგორც აფხაზური ალომორფი ამოწმებს, უბიხური **კ^გ** ასახავს ისტორიულად ლაბიალიზებული **კუ** კომპლექსის კანონზომიერ რეფლექსაციას – **კუ** → **კ^გ**. ადდგენილი ს.-სინდ. ***კუგ**- „ჭედვა“ ზუსტი შესატყვისი ჩანს ქართველური **კუერ**- ზმნისა, ხოლო ადილური **კ^{გშ}გ**- ფუძის შესატყვისი გამოჩნდება ს.-ქართვ. ***კუეს**- „გამოჭედვა“ ზმნაში (იხ. ქვემოთ).

ს.-ქართვ. ***კუეს**- „გა-/მო-ჭედვა“

ქვრთ. **კვეს**-, ძვ. ქართ. მო-**კუეს**-ვ-ა-ე „მოჭედვა“, მო-**კუეს**-ილ-ი „მოჭედილი“

ზან. (მეგრ.) **კვაშ**-, **კვაშ**-უ-ა „ჭედვა, გაჭედვა“, **კვაშ**-ილ-ი „ჭედილი“

სვანური ეკვივალენტი ვერ გამოვლინდა. ქართულ-ზანური **კვეს**- / **კვაშ**- კანონზომიერ სტრუქტურულ-ფონეტიკურ და სემანტიკურ მიმართებებს აჩვენებენ. ძირთა ფუძეენურობის მტკიცება გამყარებულია ე : ა, ს : შ უტყუარი ბგერათშესატყვისობებით [ჩუხუა 2000-2003 : 241].

ს.-სინდ. ***კაშ**-გ- „ჭედვა“

ადილ. (შაფს.) **კ^{გშ}გ**-ნ, ბჟედ., ჭემგ. **ჭ^{გშ}გ**-ნ, აბძახ. **ჭაშგ**-ნ. ყაბ. **ჭესგ**-ნ, ბასლ. **კ^გესგ**-ნ „ჭედვა“

ამოსავალი კონსონანტიზმი (გუტურალი) დაცულია შაფსულურსა და ბასლენურში. განსხვავებით ქართველურისაგან, სინდურ ენა-კილოებში არ ჩანს ლაბიალიზაციის არსებობის ისტორიული კვალი.

სხვა მხრივ, ს.-ქართვ. *კუეს- : ს.-სინდ. *კუმ-გ- ზმნური ძირები კანონზომიერ ფორმოზომიერ მიმართებას ავლენენ, რაც სემანტიკურ იდენტურობაშიც არის გამოხატული.

ს.-ქართვ. *კუეს- „საბრძოლო იარაღი“

ქართ. (გურ.) კვეს-ი „საომარი იარაღის სახეობა, ვერცხლით შემკობილი“, შდრ. ძვ. ქართ. კუეს-ი „რკინა“

რამდენადღე ღირებული ქართველური პარალელები ჯერჯერობით არ იძებნება, თუმცა ძირის საერთოქართველურობა ეჭვგარეშეა, ამაზე იბ.-კავკ. შესიტყვისები მეტყველებს.

ს.-სინდ. *გუამ- „ნაჯახი / წალდი“

უბიხ. გამ-უა „ნაჯახი“

აბაზ. გუამ-უ „პატარა ნაჯახი“, აფხაზ. აი-გუმ-უ „წალდი“

სინდურ ენებში ბოლოკიდური -უა აფიქსური ჩანს, ვინაიდან სუფიქსაცია ქართველურივით დადესტნურ მასლაშიც არ არის ბუნებრივი, შდრ. ლეზგ. კამ „ურო“, ალულ. კამ „სანგი“, კრიწ. კამ „ჯოხი/კეტი“. ს.-სინდ. გუ → უბიხ. გ დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესი აქაც პოვნიერია.

ს.-ქართვ. *კუედ-ე „ჩაქუჩი; ურო“

ქართ. (იმერ.) კვეყო „ხის ურო“

ზან. (მეგრ.) კვალ-ა „პატარა ნაჯახი“

ერთ-ერთი უიშვიათესი შემთხვევაა ქართველურ ფონეტიკაში, როცა ღ : ჟ (ჩერქეზული ტიპის) შესატყვისობა იკვეთება; ვინაიდან ჟ ფონემა მეორეული წარმოშობისაა საზოგადოდ ქართველურში, ვფიქრობთ, ზანურის ღ ამოსავალ ვითარებას ასახავს და იმერულში დასაშვებია ღ → ჟ პალატალიზაციის ფონეტიკური პროცესი.

ს.-სინდ. *კუმ-ზ „ჩაქუჩი“

უბიხ. კამა „ჩაქუჩი“

აფხაზ. კუაგუ-, ა-ხლარ-კუაგუ „რკინის ჩაქუჩი“, ა-თამს-კუაგუ „ხის ჩაქუჩი“

ფარინგალიზებული მ უბიხურში ასახავს ფუძეენური მ მჟღერი ფარინგალური სპირანტის რეფლექსს [შდრ. კვახაძე 2014 : 148]. აფხაზ. ად-კუადა, აბაზ. კუადა „ცული“ ზანურიდან გასესხებული სიტყვებია, ხოლო საკუთრივ-აფხაზური კუაგუ- ნათლად აჩვენებს მ → გ ფონეტიკურ პროცესს, რომელიც ისტორიულად მოქმედებდა ენაში.

შეიძლება ვიფიქროთ იმაზეც, რომ მ სონორი ფონეტიკური დანართია სინდურში, მაგრამ ამის დამტკიცება მასალის სიმცირის გამო გაჭირდება.

სინდურ-ქართველური იზოგლოსების შესაბამისი ძირი ვლინდება დადესტნურშიც, შდრ. დარგ. ყუყ // ყიყ, კუბაჩ. ყუყ „ჩაქუჩი“.

ს.-ქართვ. *კუეც- „ნაპერწკალი“

ქართ. კვეს-ა, ნა-კვეს-ი „ნაპერწკალი“, ა-კვეს-ებ-ს „ნაპერწკალს აჩენს“

სვან. კუემ- / კუიმ- / კუამ- „ტყდომა, მსხვრევა“

სპეციალურ ლიტერატურაში სვანურ-ქართულ ძირთა სემანტიკური მიმართება გ. კლიმოვის მიერ ახსნილია რუსული выцех სიტყვის მნიშვნელობიდან გამომდინარე, როცა ერთი ძირი ითავსებს კვეთა/ჭრის და დაკვესების შინაარსს [კლიმოვი 1964 : 111]. ს.-ქართვ. არქეტიპის რეკონსტრუქციისათვის მნიშვნელოვანი ჩანს მეგრ. კვეც-უ-ა „კვესა“ ზმნის ჩვენება, სადაც ძირის აფრიკატულობა შენარჩუნებულია.

ს.-სინდ. *კუპც- „ნაპერწყალი; ბრწყინვა“

აბაზ. ჭუეც ← *კუეც, აფხაზ. ს-კუიც „ნაპერწყალი“; ს-კუეც-ედ-რა „ბრწყინვა“

მოულოდნელი ჩანს კ-ს პალატალიზაცია-აფრიკატიზაცია აბაზურში, სათანადო პოზიციის უქონლობის გამო.

მხოლოდ მომდევნო კვლევა-ძიებამ შეიძლება, გაარკვიოს დარგ. ცაქ და ს.-ნახ. სთიკ „ცა“ ლექსემათა გენეტიკური მიმართება სინდურ-ქართველურ არქეტიპებთან რამდენად სწორია.

ს.-ქართვ. *კუთხე-ო „კუთხე, ნაწილი“

ქართ. (რაჭ.) კვეცო „თოხის ერთი კუთხე“

სიტყვა განმარტოებით დგას ქართულში, მაგრამ ვინაიდან სინდური შესატყვისი ეძებნება, იგი ფუძე-ენიდან მომდინარედ უნდა მივიჩნიოთ.

ს.-სინდ. *კუპც-ა „კუდი“

უზბიხ. კუპჩა „კუდი“

ფუძეენური მონაცემი აღდგება უზბიხური მონაცემის საფუძველზე მხოლოდ, მაგრამ სანდო შესატყვისები, ქართულთან ერთად, დაღესტნურ ენებშიც პოვნიერი ჩანს, შდრ. დარგ. (ჩირგ.) ყურც „კუთხე“, ლაკ. ჭუნჩუ „კულული“.

სემანტიკური კორელაცია კუთხე ~ კუდი ~ კულული არ არის წინააღმდეგობრივი.

ს.-ქართვ. *კუინტ- „მცირე ნამსხვრევი; ნამცეცა“

ქართ. კვინტი-ი „პატარა ნამცეცი, ნამტვრევი (მარილისა, შაქრისა...), კუინტი-ი „მარილი დიდად ნამტვრევი“

ზან. (მეგრ.) კვინტი-ი „ნამცეცა; სულ პატარა“

მეტათეზისი ქართულში ჩანს განხორციელებული კვენტ-/კვინტი- ზმნასთან მეტაანალიზის შედეგად. ამ შემთხვევაში მეგრული უფრო ახლოს დგას ფუძეენურ მონაცემთან და იმეორებს მას, რასაც კვნ თანმიმდევრობის აკრძალვაც უწყობდა ხელს.

ს.-სინდ. *კვენტ- „მცირე (ნარჩენები)“

ადილ. კანტ-გ / ჭანტ-გ, ყაბ. ჭანტ-გ ← *კანტ-გ „მცირე ნარჩენები“

აფხაზ. ა-კვენტ-რგ-შუ „სულ მცირე“

სიმცირის შინაარსი ძირითადია ყველა ენისათვის; ამას როგორც ქართველური, ისე სინდური ნიმუშები უჭერენ მხარს. სიმბოლიკური აგებულების ფუძე ჩანს, ამიტომაც ქართულში ბუნებრივია კვნიწ-ი ალომორფის გაჩენა.

ს.-ქართვ. *კუინმ- „დალეული“ источникный

ქართ. (იმერ.) კვინმ-ი „დალეული“, источникный

სიტყვა განმარტოებით დგას ქართულში; ზანურ-სვანურში მოსალოდელი კვინჯ- / კუინჯ-სახეობის ალომორფები ვერ გამოვავლინეთ.

ს.-სინდ. *კვმ-ა „დამჭკნარი, გამხმარი“

აბაზ. (ტაპანთ.) კანძა „დამჭკნარი“, კანძა-რა „ჭკნობა, ხმობა (მცენარეზე)“, აფხაზ. ა-კანძა, ბზიფ. ა-კანძა „დამჭკნარი“, ა-კანძა-რა, ბზიფ. ა-კანძა-რა „ჭკნობა, ხმობა“

ფონეტიკური გარდაქმნა გ → ა ამ შემთხვევაში მომდევნო ხმოვნის ასიმილატორულ ზეგავლენას მიეწერება, თუმცა აფხაზურ-აბაზურში იგი უამისოდაც ხდება, ოღონდ, გ → ა → ა საფეხურის გავლით. ქართველურში თავკიდური თანხმოვნის ლაბიალიზაცია მეორეული ჩანს.

სათანადო მასალა დაღესტნური ან ნახური ენებიდან ამ ეტაპზე ვერ გამოვლინდა.

ს.-ქართვ. *კუირტ- „კვირტი“

ქართ. კვირტ-ი, შდრ. გვირტ-ი „ვაზის კუკური“ (საბა)

ზმნური ფორმები კვრტ-ვ-ა, გამო-კვრტ-ვ-ა კვირტის გამოღების მნიშვნელობით ცნობილია ძველქართული ტექსტებიდან: „...რომელნი გა მ ო კ ვ რ ტ ი ე დ პირველ ნაყოფისა“ [აბულაძე 1973 : 42]. ვფიქრობთ, სვანური კრტ / კუერტ / კუერტ / კვირტ „კვირტი“ და მეგრული კვირტ-ი, კვირტ-უ-ა „აკვირტება“ სალიტერატურო ქართულიდან არის ნასესხები. საკითხი დამატებით შესწავლას მოითხოვს.

წ.-სინდ. *კურტ- „ფოთოლი“

ხათ. kurt „ფოთოლი“

საერთოსინდურში მოსალოდნელი იყო *კურტ- სახეობის არქეტიპი, რომელიც, ალბათ, და-იკარგა. წინარესინდური პროტოტიპი აღდგება ხათური kurt „ფოთოლი“ სიტყვის ჩვენების საფუძველზე.

ხათურ-ქართულ იზოგლოსებს ეხმიანება დადესტნური ინფორმაცია, შდრ.: ახვახ. კუტი „მამლის თვერი“, დარგ. (სირხ.) გუტი „ცური“.

ს.-ქართვ. *კუიც- „კვიცი“

ძვ. ქართ. კიც-ი, ახ. ქართ. კვიც-ი

სვან. კუიც-რა „დედალი ჯიხვი“

დასახელებული ქართული ალომორფები ცნობილია ძველი ქართული ენის წერილობითი ძეგლებიდან. ქართულ-სვანურ ფორმებს საკმაოდ განსხვავებული მნიშვნელობები უდასტურდებათ. და მაინც, ქართულ კუიც- სვანურშიც იდენტური კუიც- შესატყვისება, -რა საკუთრივ-სვანური სუფიქსი ჩანს [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 283].

ს.-სინდ. *გუგ- „ვირი, ჯორი“

უბიხ. ცგუგ // ჩ გუგ „ვირი“

აფხაზ. ა-გუგუ „ჯორი“

ადილური შესატყვისები გვაკლია. ამის მიუხედავად, უბიხური სახეობა შებრუნებული წყობის მეტათეზირებულ ალომორფად მიიჩნევა, რასაც, აფხაზურ-ქართველურთან ერთად, დარგული ქუადა, არჩიბ. გუადაი „ფაშატი, ჭაკი“ ფორმებიც ადასტურებენ.

მეგრ. გომ-ი (გომ-უა) „ჩოჩორი“ სხვა ძირია და უფრო ჰინუხ. შეგუე, ბეჟიტ. შუგო, ჰუნზიბ. შუგუ „ფაშატი“ ფუძეებისკენ იხრება.

ს.-ქართვ. *კიბ- „კბენა“; „კბილი“

ქართ. კბ-ენ- / კბ-ინ- „კბენა“, კბ-ილ-ი, კიბ-ო

ზან. (ლაზ.) ო-კიბ-ინ-უ „კბენა“, კიბ-ირ-ი „კბილი“, მეგრ. კიბ-ირ-უ-ა „კბენა“, კიბ-ირ-ი „კბილი“, კიბ-ო-ია „კიბო“

აღწერილ ძირ-ფუძეთა ერთიანი წარმომავლობა შენიშნულია ჯერ კიდევ მ. ბროსეს მიერ [ბროსე 1849 : 74]. თუ კბ-ილ- და კიბ-ო ალომორფთა საერთო წარმომავლობა მისაღებია, მაშინ, ცხადია, *კიბ- არქეტიპის აღდგენა უფრო რეალური ხდება [შდრ. კლიმოვი 1998 : 87].

ს.-სინდ. *ბჰ- „პჰკენა“

უბიხ. ბჰ- „პჰკენა“

აბაზ. ბჰ-რა „პჰკენა“

გახმოვანების არქაული სახეობა უბიხურს შემოუნახავს, თუმცა აქვე პოვნიერი პალატალიზებული კ გუტურალის წარმომავლობა ჩვენთვის მთლად ნათელი არ არის.

სინდურ-ქართველურ არქეტიპთა შესატყვისი ჩანს ნახურ ენათა კამ- „ქავილი“ ზმნა, ვინაიდან კბენა / პჰკენა / ქავილი საერთო სემანტიკური ველის წევრებია.

ს.-ქართვ. *კიჲ- „ბრწყინვა; კიაფი“

ქართ. კი-აფ-ი

ზან. (მეგრ.) კი-ოფ-ი „კიაფი, ნათება“

სვან. კიჲ- / კრჲ-, ლი-კრჲ-ე // ლი-კიჲ-ე „ბრწყინვა“

არქაული ფუძე სვანურში სრულად ჩანს დაცული; ზანურ-ქართულში ხმოვნის მომდევნო პოზიციაში ისტორიული უჲ დაიკარგა.

ს.-სინდ. *კჲ- „ბრწყინვა“

აბაზ. კა-რა „ბრწყინვა“

სხვა სინდური მასალის უქონლობის პირობებში ძნელია იმის დაშვება, იყო თუ არა უჲ სონანტი (სვანურივით) პოვნირი, თუმცა *კიჲ- : *კჲ- არქეტიპთა შესატყვისობაც არ ჩანს წინააღმდეგობრივი, მით უმეტეს, სემანტიკური იდენტურობის პირობებში.

მთლად ნათელი არც კ-ს გაინტენსივების საფუძველია აბაზურში – კ → კჲ (?).

ს.-ქართვ. *კილ- „ხორბლის ბუდე“

ქართ. კილ-ი „ხვარბლის ბუდე“ (საბა), სადაც მარცვალია მოთავსებული

ლექსემა დასტურდება მხოლოდ ქართულში, მაგრამ გააჩნია გარეენობრივი შესატყვისები, რაც მის საერთოქართველურ წარმომავლობას ამტკიცებს.

ს.-სინდ. *კჲ „მარცვალი; კურკა“

ადილ.- ჭა, შავს. კჲ „თესლი, კურკა, მარცვალი“, ყაბ. ჭა, ბასლენ. კჲ „თესლი, კურკა“

უბიხ. ჭჲ-დჲ „კურკა“

აფხაზურ-აბაზურში შესაბამისი ნიმუშები არ იძებნება. ჩერქეზული ძირები ერთმანეთს შეაპირისპირა და კა არქეტიპი ა. კვახაძემ აღადგინა [კვახაძე 2014 : 75].

თუ გავითვალისწინებთ ლ → უჲ → //Ø ფონეტიკურ პროცესს სინდურ ენებსა და, როგორც ეტყობა, ფუძე-ენაშიც, გასაგები ხდება ს.-ქართვ. *კილ : ს.-სინდ. *კჲ- არქეტიპთა მიმართებაში არსებული სხვაობანი.

შებრუნებული წყობის ფუძეები ნახურ და დაღესტნურ ენებშიც მოწმდება: ჩეჩნ. (ჭებ.) ლაკ „ხილის კურკა“, ლაკ. ლაკ-რი (მრავლ. რ.) „ხორბალი“ ..., შდრ. ხინალ. ლიკე-ბირ (მრავლ. რ.) „მარცვალი, კაკალი“.

ს.-ქართვ. *კირ- „წვივი; ქანჩი“

ძვ. ქართ. კირ-ი „წვივი“, კირ-დრევილ-ი „წვივმოქცეული“

სვან. კვრ „წვივი“, კირ „ჩლიქი“, კირ (ბზ.) „ხის ქანჩი“

გვაკლია ზანური შესატყვისები. აქ, როგორც ეტყობა, ფუძე დაიკარგა, ისევე, როგორც ახალ ქართულში. ცნობილია, რომ სვან. კვრ/კირ ვარიანტებს მხოლოდ ძველქართული კირ-ი შეესაბამება [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 285].

ს.-სინდ. *კვრ- „კოჭი; ჭანჭიკი“

ადილ. ჭჲრ, შავს. კჲრ, ყაბ. ჭჲრ, ბასლ. კჲრ „კოჭი“

უბიხ. კჲრ-ჲ „ჭანჭიკი“

საყურადღებოა, სემანტიკური თვალსაზრისით, მნიშვნელობის ერთგვაროვანი გადახრა და უბიხურში – ხის ქანჩი / წვივი ~ ჭანჭიკი / კოჭი.

ერთგვარ წინააღმდეგობას ქმნის აუსლაუტური მიმართება რ : ნ. ვფიქრობთ, უძველესი ვითარება სინდურ ენებს დაუცავს. ამის დასტურია დაღესტნური მასალა, შდრ.: ლეზგ. კუნუ-კ „კოჭი“, რუთულ. კუნნი, წახ. კუნუ „ფეხის ძვალი“, კრიწ. კუანნი „ბარძაყი“ [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 735].

ს.-ქართვ. *კიცუ- „ხორცის ნაჭერი“

სვან. ნა-კიცუ „ხორცის პატარა ნაჭერი“

სხვა ქართველური ენებისგან განსხვავებით, ნა- სვანურ სახელთანაც გამოიყენება პრეფიქსად, შდრ. ნა-შდექ „ნამგალი“, სადაც შდექ „კბილი“ სიტყვაა.

ამ ეტაპზე სვან. კიცუ ძირის შესატყვისი ფორმები სხვა ქართველურ ენა-კილოებში ვერ გამოვავლინეთ.

ს.-სინდ. *კუზ- „ხორცი“

აფხაზ. ა-კუაც „ხორცი“

სვანურ-აფხაზური იზოგლოსებს შორის ერთ-ერთია, რომელიც ურთიერთსესხებას გამორიცხავს. მიუღებელია ადიღურ ენათა კუაწ „შიგნული, ნაწლავები“ სიტყვასთან შეპირისპირება, ვინაიდან ამ უკანასკნელს სხვა შესატყვისები ეძებნება იბ.-კავკ. ენებში [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 735].

ს.-სინდ. *კობ- „გოგრა“

ზან. (მეგრ.) კობ-ეშია „კვახი, გოგრა“

მეგრული სიტყვა, როგორც ნასესხობა, იძებნება სვანურ დიალექტებში – კოპეშია (ბქ.), კობეშია (ბერ.), ბეჩოურს დისიმილირებული ფორმის წყალობით მეგრულისათვის სავარაუდო უფრო ძველი სახეობა დაუცავს.

ს.-სინდ. *ყუზ- „გოგრა“

ადიღ. ყებ-გ, ყაბ. ყებ „გოგრა“

აფხაზ. ა-მყუებ-ა „გოგრა“

ფვიქრობთ, აფხაზური ამ შემთხვევაში ძირის უფრო ძველ მდგომარეობას ასახავს, თუმცა სიტყვის ანლაუტში მ ფონეტიკურ ნიადაგზე ჩანს განვითარებული.

ნახურ-დაღესტნური შესატყვისები ამ ეტაპზე ვერ დაიძებნა.

ს.-ქართვ. *კოდ- „სიღარიბე, სისაწყლე“

ძვ. ქართ. კოდ-, მ-კოდ-ოვ-ი „ღარიბი, ღატაკი“

მხოლოდ ძვ. ქართულის კუთვნილებათა მ-კოდ-ოვ- სიტყვა, სადაც კოდ- ძირად გამოიყოფა, -ოვ ძველქართულიდან ცნობილი ზმნური სუფიქსი, ხოლო მ- სახელური პრეფიქსია, ანუ მ-კოდ-ოვ-ი ნაზმნარი სახელია (მიმღეობა): „ერთ ყვის გონებაჲ... მდიდრისაჲ და მ კ ო დ ვ ი ს ა ე“; „მდიდარმან არა შესძინოს და მ კ ო დ ო ვ მ ა ნ არა დააკლოს“ [აბულაძე 1973 : 256].

ს.-სინდ. *კუადა- „სუსტი“

აბაზ. კუადა-, აფხაზ. ა-კუადა „სუსტი“

კავშირი, რომელსაც დასახელებულ ფუძეებთან ამყარებენ ჩერქ. კუადა-ნ „გაფუჭება, დაკარგვა“ ზმნის სახით, არ არსებობს; ეს ორი ზმნა სავსებით განსხვავებულ წარმომავლობას გულისხმობს [შდრ. ბოუდა 1940 : 239]. მისაღები ჩანს მოსაზრება ძველქართული სიტყვის აფხაზურ-აბაზურ კუადა- ფორმასთან დაახლოების თაობაზე, მაგრამ არა სესხების გზით. აქ გვაქვს ერთიანი წარმომავლობის პალეოკავკასიური ძირი, რომელიც არ ექვემდებარება შემდგომ სეგმენტაციას [შდრ. ლომთათიძე 1998 : 7].

დაღესტნური ენებიდან საინტერესოდ გვეჩვენება დარგ. (სირხ.) კანთი-ცი „სუსტი“ ფორმასთან მიმართება. საკითხი დამატებითი მასალების მოძიებას საჭიროებს.

ს.-ქართვ. *კოდ-ე „უნაგირის ტახტა“
ქართ. (ლექს.) კოტე „უნაგირის ტახტა“
ზან. (მეგრ.) კოტა „უნაგირის ტახტა“

იმერული კოტა ზანიზში ჩანს, რაზეც ბოლოკიდური ა მეტყველებს, შდრ. ქართ. ე : ზან. ა, ს.-
ქართვ. *ე. აქვე საცნაურია ასიმილაციური დ → ტ გამკვეთრების ისტორიული პროცესიც, შდრ.
*კოდ-ე → კოტე / კოტა.

ს.-სინდ. *კუად-გრ- „უნაგირი“

აბაზ. (აშხარ.) კუდგრ, ტაპანთ. კუდგრ // კუდგრ, აფხაზ. ა-კუადგრ „უნაგირი“

გვაკლია ჩერქეზული მონაცემები, თუმცა აფხაზურ-აბაზურის საფუძველზეც საკმაო სიზუს-
ტით ხერხდება საერთოსინდური არქეტიპების რეკონსტრუქცია. ბოლოკიდური -გრ სადერივაციო
აფიქსი ჩანს (სულაც აფხაზურ-აბაზური), რომელსაც ფუნქციით ქართველური -ე სუფიქსი შეეფარ-
დება.

სემანტიკური კორელაცია უნაგირი ~ უნაგირის ტახტა ადვილად აიხსნება.

ს.-ქართვ. *კოთ- „სითხის დუღილი; წვენი“

ქართ. კოთ-ი „ტყემლის წვენი, საწებელი“, კოლთ- „დუღილის ამოდენა“ (საბა)

სვან. კომდ- / კომტ-, ნა-ნ-კომდ, ნა-ნ-კომტ (ლნტ.) „დანადღარი“

ზანურ დიალექტებში შესაბამისი ძირები ვერ მოვიძიეთ. სვანურ-ქართული ალომორფები კი
იმაზე მიუთითებენ, რომ წვენი / ნადული, დუღილი (სითხის) მნიშვნელობებია ძირითადი.

ს.-სინდ. *კუათგ- „სითხის თხევა; დასხმა“

ადიდ. დგ-კუათგ-ნ, ყაბ. დგ-კუთგ-ნ „სითხის სხმა“

აბაზ. კაჩუა-რა, აფხაზ. ა-კუთუა-რა „სხმა (სითხის)“

სინდურ ფუძეთა ერთიანი წარმომავლობა ეკვს არ იწვევს [შაყრილი 1968 : 72; შდრ. შაგროვი
1977, I : 185]. გვაკლია უბიხური შესატყვისი, რომელიც კუათგ- სახეობისა უნდა ყოფილიყო. სინ-
დურ ენებში შეინიშნება უ-ს მეტათეზისი, ამოსავალი ვითარება ადიდურ ენა-კილოებს დაუცავს.
აფხაზურ-აბაზურში უ-ს ადგილი უცვლია, რასაც თ → ჩ დამახასიათებელი აფრიკატიზაციის პრო-
ცესი ემატება აბაზურში.

აქვე თავჩენილია ს.-ქართვ. ო : ს.-სინდ. უა ხმოვნური ბგერათშესატყვისობა, რაც ო → უა
დიფთონგიზაციის (გ. როგავა) ტენდენციით აიხსნება აფხაზურ-აბაზურ ენებში.

ს.-ქართვ. *კოკ- „კუნძული“

ზან. (მეგრ.) კოკ-ი // კონკ-ი „კუნძული“

ადრე ვცდილობდით სვანური კუიკუტ „განმარტოებით მყოფი პატარა ვინმე ან რამე“ ლექსემაც
მეგრულის გვერდით განგვიხილა, მაგრამ კუიკუტ ← *კუკუტ ფუძის ვოკალიზმი (სვან. უ : ზან. ო) ამას
ეწინააღმდეგება. ამდენად, მეგრული კოკ- / კონკ- ალომორფები ისევ რჩება იზოლირებულ სიტყვა-
ფორმად.

ს.-სინდ. *კუაკ- „კუთხე“

აფხაზ. კუაკ- „კუთხე“

მეგრულივით აფხაზური განმარტოებით დგას სინდურ ენობრივ სამყაროში, მაგრამ, გარდა
ქართველურისა, სანდო შესატყვისები იძებნება დაღესტნურ ენათა ლეზგიურ ქვეჯგუფში: ლეზგ.
კუკ, თაბას. კაკ, აღულ. კეკუტ, რუთულ. კუაკ „კიდე, ნაპირი“, ბუდუხ. კეკ „ბოლო“ [მეტი დად. იხ.
სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 733].

ს.-ქართვ. *კოკო- „ძუძუ; ძუძუს თავი“

ქართ. კოკო-ბ-ი „ძუძუ“ (საბა)

ზან. (ლაზ.) კუკუ-ლ-ი „ძროხის ძუძუს თავი“

ერთი შეხედვით, უცნაური ჩანს ბ/ლ სუქსტიტუცია ქართველურ ენებში, მაგრამ მსგავსი დერევატია ერთი ძირის ფარგლებშიც შესაძლებელი ჩანს, შდრ. მეგრ. ტყა-ლ-ეფ-ი და ტყა-ბ-ი...

ს.-სინდ. *კკა „ქალის მკერდი; ძუძუს თავი“

აზაზ. კკა, აფხაზ. ა-კკა „ქალის მკერდი; ძუძუ; ძუძუს თავი“

ჩერქეზული მასალა გვაკლია, ამიტომაც არქეტიპის რეკონსტრუქცია პირობითია. მით უმეტეს, მაშინ, როდესაც არ ჩანს ნახური შესატყვისები [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 695].

და მაინც, დალესტნურში განმარტოებით მდგომი ჭამალ. კუკუ^ნ „ძუძუსთავი, კერტი“, ლეზგ. კუენკ „ძუძუსთავი“ ქართველურს უჭერს მხარს და საერთოსინდურისთვისაც *კუკა სახეობის ლაბიალიზებული არქეტიპის რეკონსტრუქციას ითხოვს.

ს.-ქართვ. *კონ-ა „კალათა; კუნო“

ქართ. კონ-ი „თევზის (თევზთ) საპყრობი“ (საბა)

ზან. (მეგრ.) კუნ-ო „თევზის საჭერი კალათი“

ფონეტიკური შესატყვისობა ქართ. ო : ზან. უ ცხადად წარმოაჩენს საკვლევ ფუძეთა საერთო-ქართველურ წარმომავლობას. აქვე თავჩენილია -ო სუფიქსი მეგრულში, რომელიც ქართულ-ქართველურისთვის -ა აფიქსაციას გულისხმობს.

ს.-სინდ. *კუნ-გ „კალათი“

ადიდ. კუნგ, ყაბ. გუნგ „კალათი“

აფხაზურში მიუთითებდნენ ა-კუნგა „ფაცერი, გოდორი“ სიტყვის არსებობის შესახებ, წარმომავლობა გაურკვევლად მიიჩნევა [ძიძარია 1989 : 55]. სხვა ავტორთა აზრით, აფხაზური ფორმა მეგრულიდანაა შესული და ბგერათა ადაპტაციის წესები, გამომდინარე ფონოტაქტივიდან, ზედმიწევნითაა დაცული [ბუკია 2016 : 46].

სინდურ-ქართველური არქეტიპების შესატყვისი ჩანს დალესტნური (ახვაზური) კემე „კალათი“ ფორმა.

ს.-ქართვ. *კონკ- „ძველი ტანსაცმელი; მოსაცმელი“

ქართ. კონკ-ი „კონკი“, „ნაკერები ფარატინი“ (საბა), კონკ-ებ-ა „ძველის დაკერება“ (ჩუბინაშვილი), კონკ-ია

ზან. (მეგრ.) კინკ-ი // კენკ-ი „ძველი ტანსაცმელი“, ლაზ. კინკ-ი // კირკ-ი // კიკ-ი „მოსაცმელი“

სვანური შესატყვისი ვერ გამოვლინდა. ზანურ დიალექტებში ერთნაირად განვითარდა უ → გ → ი ფონეტიკური პროცესი, მაგრამ ლაზურმა, ვფიქრობთ, სიტყვის არქაული მნიშვნელობა შემოგვინახა.

ს.-სინდ. *კაკუ-ნ „ნაბადი“

ადიდ. კაკუნ, ყაბ. კაკუნ „ნაბადი“

სპეციალურ ლიტერატურაში საერთოჩერქეზულ დონეზე აღადგენენ *კაკა სახეობას [კვახაძე 2014 : 174]. ვფიქრობთ, საერთოსინდური ანტ თანმიმდევრობა სრულად ასახავს საერთოქართველური ო ხმოვნის შესატყვისს ონ → ანტ. ამოსავალში ო ფონემის არსებობას, გარდა ქართველურისა, მხარს უჭერს ნახურ ენათა მონაცემებიც, შდრ.: წ.-თუშ. კოკ, ჩეჩნ. კუოგ, ინგუშ. კოგ „ტყა-პუჭი; ქურქი“.

ნახურ-სინდური ალომორფები ნ-ს მეორეულობაზე მიუთითებენ ქართველურში.

ს.-ქართვ. ***კოპალ**- „ისარი“

ქართ. **კოპალ**-ი „ტოტი“, **კოპალ**-ა „წინარე ქრისტიანული ღვთაება“

ზან. (მეგრ.) **კოპულ**-ი // **კომპულ**-ი „ისარი“

სხვაგან მეგრული **კოპულ**-ი „ისარი“ დაკავშირებულია ქართულ-სვანურ **კაპ**- „ჯოხი“ სახელთან, რასაც ეწინააღმდეგება მეგრული სიტყვის სტრუქტურა [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 262; ჩუხუა 2000-2003 : 120]. ალბათ, ლაზ. **კოპალ**-ი „ჯოხი, ტოტი“ ქართულიდან არის შეთვისებული.

წ.-სინდ. ***კუპალ**- „ლურსმანი“

ხათ. **kupal**, სიტყვაში **kur-kupal** „ლურსმანი; სარჭი, ჩასარჭობი“

ვინაიდან ცალკე გამოიყოფა **kur**- და **kupal** სემანტიკები, ვფიქრობთ, პირველი **kur**- კომპონენტი *ჩარჭობას* უნდა აღნიშნავდეს, ხოლო **kupal**, როგორც სტრუქტურულიდან ჩანს, ს.-ქართვ. ***კოპალ**- „ისარი“ არქეტიპის შესატყვისი გვგონია [საკითხის სხვაგვარი ინტერპრეტაციისათვის იხ. კოჭლამაზაშვილი 2015 : 72-73].

სხვა იბ.-კავკ. ენებში შესაბამისი მასალა ვერ გამოვაკვლიეთ.

ს.-ქართვ. ***კოპე**- „გრძელტარიანი ჭურჭელი ღვინისათვის“

ქართ. **კოპე** „ორშიმო“, „საღვინე არს“ (საბა)

ზან. (მეგრ.) **კოპა** „ორშიმო, კოპე“, ლაზ. **კოპა** „დიდი საწვანე კოვზი“

სვან. **კრბ** (ბზ.), **კობ** (ბქ.), **კრბ** (ლშხ.), **კობ** (ლნტ.) „ხის დიდი კოვზი; ჩამჩა“

ხმოვნის სიგრძე, რომელიც სვანურში დაფიქსირდა, აშკარად საკომპენსაციაა. ფუძის აუსლაუტში ეს მოკვეცამ დააგრძელა ძირეული **ო** ხმოვანი. **პ** → **ბ** დისიმილაციური გამჟღერების შედეგი ჩანს [როგავა 1984].

ს.-სინდ. ***კუტპ**-ი „კათხა, ჯამი“

აზაზ. **კუტპი** „კათხა, ჯამი“

სხვა სინდურ ენებში ჩვენთვის საინტერესო სახელური ფუძე უცნობია.

ვინაიდან აზაზურ ფორმას კანონზომიერი სტრუქტურულ-სემანტიკური შესატყვისი ეძებნება ქართველურ ენებში, შესაძლებლად მივიჩნევთ მის ფუძეენურ წარმომავლობას, ანუ სიტყვის სესხება გამოირიცხება. დაღესტნურიდან საინტერესო ჩანს ხინალ. **კება** „დოქი/თუნგი“.

ს.-ქართვ. ***კორ**- „ბურთი“

ქართ. (მოხ.) **კორ**-ი „ხის ან ქვის ბურთი“, კახ. **კორ**-ა „მრგვალი პატარ ქვა“, შდრ. ქართლ.-კახ.

კორ-ა-ობ-ა

მხოლოდ ქართულში დასტურდება, მაგრამ გარე-ენობრივი პარალელები იმაზე მეტყველებენ, რომ **კორ**- ძირი ენდემურია.

ს.-სინდ. ***კუარ**- „გორვა“

ადიდ. **უგ-კუარა**-მ-ნ, ყაბ. **უგ-კუერგ**-მგ-ნ „გორვა“

უბიხ. **კუერგ**-, ა-ს-**კუერგ**-ნ „ბრუნვა, გორვა“

აფხაზ. ა-**კუერ**-რა „გორაობა“

ს.-ქართვ. ***კორ**- „ბურთი“ ~ ს.-სინდ. **კუარ**- „გორვა“ კანონზომიერი ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისობაა, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც სინდურ ძირებს სწორედ *ბურთის* აღმნიშვნელ სახელებს შეუფარდებენ დაღესტნურ ენებში: კარატ. **კარუ**, ლოდ. **კარი** „ბურთი, მრგვალი“ [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 259-260].

ს.-ქართვ. *კოს- „პატარა ჩიტი, მესკია“

ქართ. (ქიზიყ.) კოს-ალა „კვირიონი, პატარა ჩიტი, მესკია“

აგებულების თვალსაზრისით, კოს-ალა ემთხვევა სხვა ფრინველის კოდ-ალა-ს სუფიქსაციას; ორივეგან -ალა დაბოლოება გამოიყოფა, რაც კოს-, კოდ- ძირებს გამოგვაცოფინებს.

ს.-სინდ. *კ^ვგმ- „წივწივა, წიწკანა“

ყაბ. ა-მჰგს „წივწივა, წიწკანა“

სპეციალისტები ყაზარდოულ ფორმაში გამოყოფენ ა- განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის აწ უკვე გაქვავებულ პრეფიქსს. მ ფონეტიკურ ჩანართად მიიჩნევა. ამავდროულად მიუთითებენ დუბლეტური რეკონსტრუქციის შესაძლებლობაზეც: *კ^ვგმ- ან *კ^ვგს [კვახაძე 2014 : 91].

ს.-ქართვ. *კოს- : ს.-სინდ. *კ^ვგმ- არქექტიპთა შედარებისას კითხვებს აჩენს გ ვოკალიზში სინდურში. საკითხი დამატებით კვლევას საჭიროებს.

ს.-ქართვ. *კოტრ- „ბრუნვა, ტრიალი“

ქართ. კოტრ-, კოტრ-იალ-ი „ერთი გვერდიდან მეორეზე ბრუნვა, ტრიალი“, კოტრ-იალ-ობ-ს „გვერდიდან გვერდზე ტრიალებს“

სხვა ქართველურ ენა-კილოებში კოტრ- ზმნური ძირი არ ფიქსირდება.

ს.-სინდ. *კ^ატ^უ- „ბრუნვა, ტრიალი“

უბიხ. კ^ატ^უ- „ბრუნვა, ტრიალი“

ისევე, როგორც ქართველურ ენებში, სინდური ენებიდან მხოლოდ უბიხურშია პოვნიერი ფუძესინდური *კ^ატ^უ- ზმნის რეფლექსი. კ მკვეთრი გუტურალის პალატალიზაცია ამ შემთხვევაში ისტორიული გ ← ჰ ხმოვნის ზემოქმედებას მიეწერება. უბიხური ძირის აუსლაუტში ტ დენტალის ლაბიალიზაცია მეორეული ჩანს, ამოსავალი ო ხმოვნის ჰ - უ სეგმენტებად დაშლის (დიფთონგიზაციის) შედეგი.

ს.-ქართვ. *კომ- „ხის (ან სპილენძის) ჭურჭელი“

ქართ. (ფშ., ხევს.) კომ-ი „ხის ჭურჭელი, ლუდის ხარშვის დროს სახმარებელი“, ხევს. „სპილენძის ან ხის ჭურჭელი, ინახავენ საქვაბეში“

ზანურ-სვანური შესატყვისები ვერ გამოვავლინეთ, მოსალოდნელი კი იყო კომქ // კომგ/კ სახეობის ალომორფები.

ს.-სინდ. *კ^უას-ა „დაწნული კალათა“

აფხაზ. ა-კ^უას^ა „დაწნული კალათა“

ქართულ-აფხაზური იზოგლოსაა, რომლის შესატყვისები ნახური ან დადესტნური ენებიდან ვერ მოვიძიეთ. როგორც მოსალოდნელი იყო, ს.-ქართვ. ო ხმოვნის შესატყვისად აფხაზურში უა დაფიქსირდა. აქვე საყურადღებო ჩანს სიბილანტური შ : ს ბგერათშესატყვისობა, რაც წინარექართველურში სისინ-შიშინა არქიფონემის პოვნიერებას გვავარუდებინებს, ასე რომ, ამ მაგალითშიც წ.-ქართვ. *ს → ს.-ქართვ. შ განხორციელდა.

ს.-ქართვ. *კოც- „კოცნა“

ქართ. კოც-, ა-კოც-ა, კოც-ნ-ა „ბავით ამბორი“. ა მ ბ ო რ ი არს სულიერი, ხოლო კ ო ც ნ ა – ჯორციელი (საბა)

ქართული კოც- ძირი ფუძექართველური მონაცემია, მიუხედავად იმისა, რომ არ იძებნება სხვა ქართველური პარალელები.

ს.-სინდ. *გ^უამ- „კოცნა“

უბიხ. გ^უამ- „კოცნა“

აბაზ. გ^უამ-რა, აფხაზ. ა-გ^უამ-რა „კოცნა“

სხვაობა თანხმომავურ ნაწილში, ანუ ბგერათმესატყვისობათა დარღვევა ქართველურ და სინდურ ენებს შორის, განპირობებულია ძირის ბგერწერული აგებულებით. გერმანიკულ მონაცემთა **kuss-, kiss-, kos(s)-** „კოცნა“ მოხმობა (ქ. ლომთათიძე) ეფუძნება შემთხვევით თანხვედნას და არ გულისხმობს სესხებას ნებისმიერი მიმართულებით.

ს.-ქართვ. ***კოდ-** „კლდე“

ზან. [კონჯ-]

სვან. **კოჯ** „კლდე“

სიტყვა განმარტოებით დგას სვანურში; არსებობს ცდა მისი დაკავშირებისა ქართულ-ზანურ **კლდე / კირდა** ალომორფებთან [კლიმოვი 1964 : 113], რაც სამართლიანად იქნა უარყოფილი [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 287]. შეიძლება, დავუშვათ, რომ მეგრული გვარი **კონჯ-არ-ია** შეიცავს სვანური **კოჯ** სახელის ზანურ შესატყვისს.

ს.-სინდ. ***კუაძა-ა** „ფერდობი“

აზაზ. (ტაპანთ.) **კაძა** „ფერდობი“

საერთოსინდური არქეტიპი აღდგება მხოლოდ ტაპანთური დიალექტის ჩვენების საფუძველზე, რაც რეკონსტრუქციის არასრულფასოვნებაზე მიუთითებს. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება ძირეული თანხმომავის ლაბიალიზაციის მოშლას (არქონას), ანუ ვვარაუდობთ ***კუაძა** → **კაძა** ტრანსფორმაციას აზაზურში, შდრ. ს.-ქართვ. **ო** : ს.-სინდ. **უა**.

საკითხი დამატებით შესწავლას საჭიროებს, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც არ იძებნება რამდენადმე ღირებული ნახურ-დადესტნური იზოგლოსები.

ს.-ქართვ. ***კოწ-** „პატარა, მცირე, მოკლე“

ზან. (მეგრ.) **კუჭ-უ** „პატარა, დაბალი“, **კუჭ-ურ-ია** „პატარა“, **კუჭ-უ** „ბავშვის პენისი“

სვან. **კოჭ-ოლ** „(ზზ., ლშხ.), **კუჭ-ოლ / კოჭ-ოლ** (ბქ., ლნტ.) „პატარა, მცირე“

ქართველოლოგიაში არსებობს ქართული და-**კუწ-**გა, ნა-**კუწ-**ი ფორმათა ამ რიგში შემოყვანის მცდელობა, რაც არ გვეჩვენება მისაღებად [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 299].

ს.-სინდ. ****კაჭუ-** „მოკლე“

ადიდ. **ჭაჭ-გ** ← ***კაჭ-გ**, ყაბ. **ჭასუ** ← ***კაჭ** „მოკლე“

აფხაზ. ა-**კაჭ** „მოკლე“

სინდურ ენებში მოსალოდნელი იყო ს.-ქართვ. ***კოწ-** არქეტიპის შესატყვისად ლაბიალიზებული ***კაჭუ-** სახეობის ძირი, ვინაიდან **ო** → **ა-უ** რეგულარულად ხორციელდება საერთოსინდურ ფუძე-ენაში.

სპეციალისტების მიერ წარმოდგენილი თვალსაზრისით ს.-სინდ. ***კაჭუ-** შეპირისპირებულია დადესტნურ (ჭამალ. **ჭიკუ-ბ** „პატარა, მოკლე“...) ფუძეებთან, მაგრამ, ჩვენი აზრით, ჭამალ. **ჭიკუ-** ძირი ს.-ქართვ. ***წიკო-** „პატარა“ (→ ზან. **ჭიკ-უ** „id“) არქეტიპის შესატყვისია და აქ არაფერი ესაქმება [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 1108].

ს.-ქართვ. ***კოწიწ-** „შეკოწიწება; მუწუკი“

ქართ. **კოწიწ-**ი, შე-**კოწიწ-**ებ-ა, და-**კოწიწ-**ებ-ა

ზან. (მეგრ.) **კვიწიწ-**ი „მუწუკი“, **კვიწიწ-**უ-ა „დამუწუკება“

საერთოქართველური **ო-ს** ზანურში **უ** უნდა მოეცა, სწორედ ამ უკანასკნელის რეფლექსი ჩანს ვი კომპლექსი მეგრულში, რასაც უთუოდ ეტყობა მომდევნო **ი-ს** მაპალატალიზებული კვალი – **კუწიწ-** → **კვიწიწ-**.

სათანადო ძირები სვანურსა და ლაზურში არ იძებნება.

ს.-სინდ. ***კაწიწ-**რა „მეჭეჭი“

ყაბ. -**წერაჰჷ**, სიტყვაში ჰამ-**წერაჰჷ** „მეჭეჭი“

აბაზ. **კანწერა** // **წენკრა**, აფხაზ. ა-**კანწერა**, ბზიფ. ა-**კანწერა** „მეჭეჭი“

გასარკვევია ჰამ- სეგმენტის ფუნქცია ყაბარდოულში. გარდა ამისა, აქვე ადვილი დასანახია კ → ჰ პალატალიზაციის ფონეტიკური პროცესი – ***წერაჰჷ** → **წერაჰჷ**. ფუძეენურ მდგომარეობასთან ყველაზე ახლოს აფხაზური მონაცემი დგას, სხვაგან საცნაურია როგორც ამოსავალი ძირის ცვეთა-გამარტივება, ისე შებრუნებული წყობა, შდრ. **კანწერა** // **წენკრა** ალტერნაცია აბაზურში.

შესატყვისობა სემანტიკურ დონეზე ს.-ქართვ. **მუწუკი** ~ ს.-სინდ. **მეჭეჭი** კანონზომიერებას ექვემდებარება.

ს.-ქართვ. ***კრაზ-ან-** „კრაზანა“

ქართ. **კრაზან-ა** „мель садовый“ (ჩუბინაშვილი)

შესაბამის მასალას ვერ ვპოულობთ სხვა ქართველურ ენა-კილოებში; სამაგიეროდ სანდო იზოგლოსები ჩანს სინდურ ენებში, რაც იმის მომასწავებელია, რომ **კრაზან-** ძირი საერთოქართველური წარმომავლობის ფუძეა.

ს.-სინდ. ***კლამზ-** „ჭიანჭველა“

აბაზ. -**კლამს**, სიტყვაში ჩ-**კლამს** „ჭიანჭველა“, აფხაზ. -**კამს-ა**, სიტყვაში ა-შემ-**კამსა-ა**, ბზიფ. ა-სგს-**კლამს** „ჭიანჭველა“

გაურკვეველია ჩა- / შემ- // სგს- სეგმენტთა ფუნქცია აქ წარმოდგენილ აფხაზურ-აბაზურ ალომორფებში.

კრაზ- / **კლამს-** ძირებს შორის ფიქსირებული შეუსაბამობები უნდა აიხსნას ძირის აგებული-ბის თავისებურებით. ხოლო სემანტიკური კორელაცია **კრაზანა** ~ **ჭიანჭველა** სხვაგანაც შეიმჩნევა (იხ. აქვე, ***ზზიკ-**).

ს.-ქართვ. ***კრუტ-** „კრუხი“

ქართ. **კრუტ-**ი „ბარტყის დედა“ (საბა)

ზან. (მეგრ.) **კურტ-**ი „კრუხი“

სვანური შესატყვისის სანამ არ გამოვლენილა, მანამ მეგრულ ალომორფში რ ვიბრანტი გადასმულად მიიჩნევა; რაც კრ კომპლექსის (თანხმოვანი + სონორი) თანმიმდევრობის არაკანონიკურობით აიხსნება ზანურში.

ს.-სინდ. ***ყურტ-** „კრუხი“

ადილ. **ყურტ**, ყაბ. **ყურტ** „კრუხი“

აბაზ. **ყურტ**, აფხაზ. ა-**ყურტ** „კრუხი“, შდრ. აფხაზ.-აბაზ. **ყურტ**-რა „კრიახი“

შეიძლება, ტ/თ ოპოზიცია ძირის ონომატოპოეტურობით აგვეხსნა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც უპრიანი ჩანს ტ → თ დეგლოტალიზაციის მეორეულ პროცესზე საუბარი სინდურში, რაც საკმაო სიხშირით გამოირჩევა. სხვათა შორის, ბოლოკიდური დენტალის მკვეთრობაზე ცალსახად მიუთითებს ს.-ნახ. ***ყურტ-** „კრუხი“ არქეტიპიც. მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი სიტყვის ანლაუტში სინდური მონაცემის ჩვენებას მიჰყვება, შდრ. ს.-ქართვ. კ : ს.-სინდ. ყ : ს.-ნახ. ყ.

ს.-ქართვ. ***კუკურ-** „წვეთი“

ქართ. (ფშ.) **კუკურ-**ი „წვეთი“

სვან. (ზს.) **კუკუმ** „წვეთი“

სინამდვილეში თითქოსდა უჩვეულო რ : მ აუსლაუტში რ → მ ფონეტიკური გარდაქმნის რეალურობას აჩვენებს, რაც სვანურში მოქმედი ფონეტიკური პროცესია, რომელის ნასესხებ მასალასაც მოიცავს, შდრ. ქართ. მწყაზარ-ი → სვან. წყეზამ... [ჩუბუა 2000-2003 : 130].

არ გამოირიცხება ფუძის წარმოშობა **კურ-კურ-** რედუპლიკაციის გზით.

ს.-სინდ. ***კუგკუა**- „წვეთება“

უბიხ. **კუაკუა**- „წვეთა“

აბაზ. კა-**კუა**-რა, აფხაზ. ა-**ლგ-კუგკუა**-რა „წვეთება, დაწვეთება“

ძირის ლაბიალიზაცია უფრო სრულად უბიხურშია შემორჩენილი; აბაზურში ფუძე ბგერწერით ჩანს გართულებული. აფხაზური ვარიანტი კი გართულებულია ლგ- ზმნური პრეფიქსით.

ს.-სინდ. ***კუაკუა** : ს.-ქართვ. ***კუკურ**- კანონზომიერ მიმართებას აჩვენებს, რაც დამახასიათებელი რ-ს გაუჩინარებით ხასიათდება სინდურში. ფუძეგაორკეცებული სიტყვაა ორსავე ჯგუფში, რაზეც ცალსახად მიუთითებს ქართ. **კურ-კურ**-ი ფორმა.

ს.-ქართვ. ***კუმ**- „კვნესა“

ძვ. ქართ. **კუმ**-ინ-, ად-**კუმ**-ინ-ვ-ა „კვნესა, ვაება“, შდრ. კმ-ინ-ვ-ა „...ნელი კვნესა“ (საბა)

ზან. (მეგრ.) **კუმ**-ინ-ი „კრუსუნი“, ი-**კუმ**-ინ-უ(-ნ) „კვნესის, კრუსუნებს“

საბასთან ფიქსირებული **კმ-ინ**- რედუცირებული სახეობა ჩანს ძველქართული **კუმ-ინ**- ზმნი-სა, რომელსაც ემთხვევა მეგრული **კუმ-ინ**- [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 295-296].

ს.-სინდ. ***კუგ**- „კვნესა“

უბიხ. **კუგ**- „კვნესა“

ადიღურ ენებში მოსალოდნელი **კუგ**- (ან **კგ**-) ზმნური ძირი არ იძებნება. **გ** → **ჰ** საკუთრივ უბიხური სიახლე ჩანს. ფუძესინდური **მ** → **ჟ** აქაც რეალურად ფიქსირდება, ხოლო **გ** ქართველური **უ** ხმოვნის ფარდი უნდა იყოს.

სხვა იბ.-კავკ. ენებში შესატყვისებს ვერ ვხედავთ.

ს.-ქართვ. ***კუმ**- „მოკუმვა; დამუნჯება“

ქართ. **კუმ**-, მო-**კუმ**-ვა, მო-**კუმ**-ულ-ი

ზან. (მეგრ.) **კუმ**-უ-ა „მოკუმვა“, ლაზ. **კუმ**-ერ-ი „მოკუმული“

სვან. **კუმ** „მუნჯი“

საძიებელი ფუძე თითქმის უცვლელად არის შემონახული ყველა ქართველურ ენაში. ამავე დროულად იგი არ ჩანს არც ძველ ქართულში და არც საბას ლექსიკონში, რაც ვერ იქცევა დამაბრკოლებელ ფაქტორად. ამკარაა, რომ **კუმ**- ფუძეენური წარმომავლობისაა ჩვენს ენებში [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 296].

ს.-სინდ. ***კუმ**- „დუმილი“

ადიღ. (შაფს.) **კუმ**-სგმ, **კუმგ**., ბჟედ. **კუმ**-სგმ „დუმილი“

სპეციალურ ლიტერატურაში, ადიღური ალომორფების შედარებითი ანალიზის გზით, აღდგენილია ***კუმ**- არქეტიპი საერთოჩრეკეზული ენობრივი დონისათვის [კვახაძე 2014 : 282]. ვინაიდან ***კუმ** პროტოტიპს შესატყვისები ეძებნება საერთოქართველურში, იგი უნდა იქნეს რეკონსტრუირებული სულ მცირე საერთოსინდური ენობრივი ერთობისათვის.

სემანტიკური კორელაცია *მოკუმვა / მუნჯი ~ დუმილი* კანონზომიერებას ექვემდებარება, *უთქმელობის* შინაარსს გახაზავს.

ს.-ქართვ. ***კუნმ**- „კუნძი“

ქართ. **კუნმ**-ი „ძელთ მონაკვეთი“ (საბა)

ზან. (მეგრ.) **კვინჯ**-ა „კუნძი“, **კვინჯ**-ა-ჯგუა „კუნძივით“, **კვინჯ**-ალ-ი „id“

სვანური შესატყვისი ვერ გამოვლინდა. მეგრულშიც ანგარიშგასაწევი ჩანს **უ** → **ვი** უძლავუტის მოვლენა, რაც სპორადულადაა თავჩენილი. მნიშვნელობის დაზუსტება აქ მხოლოდ მყარი შესიტყვებების საფუძველზე ხერხდება.

ს.-სინდ. ***კუმგ**- „ნაფოტი“

აბაზ. კუამ, აფხაზ. (ბზიფ.) ა-კუამ „ნაფოტი“

მიუხედავად ჩერქეზული ალომორფების არქონისა, საერთოსინდური არქექტივის რეკონსტრუქცია არ გვიძნელდება. ერთადერთი, რაც მეორეული ჩანს, გ → ზ → ა ფონეტიკური გადასვლაა აფხაზურ-აბაზურში; და ეს პროცესი საკმაოდ ხშირია.

სემანტიკურად კუნძი ~ ნაფოტი კორელაციის ასახსნელად მეტად მარჯვეა საბასეული კუნძის განმარტება – ძელთ მონაკვეთი.

ს.-ქართვ. *კურ- „ტაიჭი, სწრაფი ცხენი“

ქართ. (ინგილ.) კურ-ია „ტაიჭი; კვიცი“

ზან. (მეგრ.) კურ-, კუ-კურ-ია (← *კურ-კურ-ია) „სწრაფი ცხენის სახელი“, ლაზ. კულ-უნ-ი ← (*კურ-უნ-ი) „კვიცი“

გამოყოფილი კურ-, რომელიც საერთოქართველურიდან მომდინარეობს, მეგრულში ფუძეგაორკეცებული სახით არის წარმოდგენილი. ძირის რედუპლიკაცია სიტყვის ექსპრესიულობის მისაღწევად არის გამოყენებული. -უნ ლაზურში ზანური სუფიქსია, რომელიც ვირის აღმნიშვნელ სიტყვაშიც დაჩნდება, შდრ. ლაზ. გურ-უნ-ი „ვირი“.

ს.-სინდ. *კურ- „იორღა ცხენი“

ადილ. კურ, ყაბ. კურ „იორღა“

აბაზ. (ტაპანთ.) კურ „კარგად მოსიარულე ცხენი“, აფხაზ. ა-ჩ-კურ „იორღა ცხენი“

გვაკლია უბიხური მონაცემი, რაც კურ- სახეობისა უნდა ყოფილიყო, თუმცა ეს ვერ დააბრკოლებს ძირის რეკონსტრუქციას. ჩერქეზულივით აბაზური მონაცემი დამოუკიდებლადაც ფუნქციონირებს, მაშინ, როდესაც აფხაზურ სიტყვაში ა-ჩ- „ცხენის“ აღმნიშვნელი ძირიც მონაწილეობს კომპოზიტის შექმნაში.

ორსავე ენობრივ ჯგუფში ხელშესახები ჩანს სწრაფი, კარგად მოსიარულე ცხენის მნიშვნელობა.

ს.-ქართვ. *კურტუმ- „კურტუმი“

ქართ. კურტუმ-ო // კურტუმ-ი

ზან. (მეგრ.) კურტუმ-ელ-ი „კურტუმი“, შდრ. კურტუმ-უ-ა „დაპეპლვა“

სვან. კურტუმ „კურტუმი“

ქართველური ენებიდან მეგრულ-ლაზურში -ელ დამახასიათებელი სომატური აფიქსი გამოჩნდება, რომლის ფუნქციური შესატყვისი ქართულში -ო უნდა იყოს. სვანურში მ-ს მომდევნო პოზიციაში რედუცირებული -ჟ (← *-ო) დაიკარგა.

წ.-სინდ. *კუტ- „ღვიძლი“

ხათ. kut „ღვიძლი“

ხშირად ერთად დამოწმებული kut სხვადასხვა ლექსემები ჩანს, კერძოდ, kut „ღვიძლი“ უნდა იყოს, ხოლო kut, ალბათ, სულს აღნიშნავს [კოჭლამაზაშვილი 2016 : 106].

საერთოსინდურში მოსალოდნელი *კუტ- სახეობის ძირი დაკარგული ჩანს.

საყურადღებო პარალელად გვესახება დადესტნური თირკმლის აღმნიშვნელი ალომორფები: ხუნძ. (ანწუხ.) კუტებ, დარგ. (ჩირგ.) კუტუმ, აღულ. კუტუმ, კრიწ. კუტინ „თირკმელი“, შდრ. წახ. კურტელ „საფეთქელი“...

ს.-ქართვ. *კუს- „ტრფიალი; კვნესა“
ქართ. კუს- „აღრევა“ (საბა), ქართ. (ხევს.) კუს-კუს-ი „ერთგვარი ტრფიალი“, (გურ.) კუს-უნ-ი „კვნესა“
ზან. (მეგრ.) კუმ-ინ-ი „კვნესა, კრუსუნი“
შეიძლება აქვე მოგვეხმო ლაზური მ-კუს-ინ-ერ-ი (← *მ-კუმ-ინ-ერ-ი) დერივატიც, რომელსაც მეგრულ კუს- „კვნესა“ ზმნასთან აკავშირებენ [ჩიქობავა 1938 : 300].
ს.-სინდ. *კუტეს- „coitus“
უბიხ. კუტეს- „coitus“
აბაზ. კუტეს-რა, აფხაზ. ა-კუტეს-რა „coitus“
სინდურ-ქართველურ ძირთა გენეტიკური ერთიანობა ეჭვს არ იწვევს, ბუნებრივი ჩანს სემანტიკური კორელაცია კვნესა / ტრფიალი ~ „coitus“.

ს.-ქართვ. *კუს- „თამაში“
ქართ. (ხევს.) კუს-კუს-ი „თამაში“, ძვ. ქართ. კუს-ოლ-ა „ტფობა“, მ-კუს-ოლ-არ-ე
სიტყვა დასტურდება მხოლოდ ძვ. ქართულში: „დგა მათ თანა პეტრეცა და ჰი კ უ ს ო ლ ა „ [აბულაძე 1973 : 206]. მიუხედავად ამისა, კუს- ზმნა საერთოქართველური ფუძე-ენიდან მომდინარედ მიიჩნევა. ამას გვაფიქრებინებს იბ.-კავკ. ენათა მონათესავე ძირ-ფუძეები.
ს.-სინდ. *კუტას-ა „ცეკვა“
აბაზ. კუტას-რა „ცეკვა“, აფხაზ. ა-კუტას-რა „ცეკვა“
გვაკლია ჩერქეზული მონაცემები, რომელთა არსებობის შემთხვევაში მეტი საფუძველი ექნებოდა სისინ-შიშინა ს სპირანტის აღდგენას.
ს.-ქართვ. *კუს- : ს.-სინდ. *კუტას-ა ზმნურ ფუძეთა შესატყვისებს ვხედავთ დაღესტნურ ენებშიც, შდრ.: ხვარშ. კიმ-ა, ჰუნზიბ. კიმ-ა, ბეჟიტ. კის-ალ, დიდ. (მოყოფ.) კემ-ა-ნადა „თამაში“.
საკითხი ისმის ს.-ქართვ. *კუს- „ტრფიალი; კვნესა“ : ს.-სინდ. *კუტეს- „coitus“ არქეტიპებთან შესაძლო ეტიმოლოგიური კავშირის შესახებ (იხ. აქვე).

ს.-ქართვ. *კუნ- „წვრილი, პატარა“
ქართ. კუნ-, და-კუნ-ვ-ა „წვრილად დაჭრა“ (საბა)
ზან. (მეგრ.) კუჭ-უ „პატარა“
სვან. კოჭ-ოლ // კოჭ-ოლ „პატარა, მცირე, ცოტა“
ხმოვნური მიმართება ქართ. უ : სვან. ო სავსაოდ პროდუქტულია (შდრ. ქართ. ხუცეს : სვან. შდრ. ხომა...) და მისი აქ გამოჩენა წინააღმდეგობას ვერ შექმნის.
სვანური კოტოლ სხვა ძირია იმავე მნიშვნელობით და აქ არ უნდა განვიხილოთ [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 299].
ს.-სინდ. *კუნ- „წიწილა“
აბაზ. ქუჭ-ს (მრავლ. რ. ქუჭა-რა), აფხაზ. ა-კუჭ-ს (მრავლ. რ. ა-კუჭა-რა) „წიწილა“
ჩერქეზული შესატყვისები აქაც გვაკლია, მაგრამ გარეენობრივი მასალა იმდენად მდიდარია, რომ ამ ძირ-ფუძეთა ფუძეენური წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს.
აფხაზურ-აბაზურ ალომორფებისთვის სამართლიანად მიუთითებენ დაღესტნურ (ხვარშ. კუჭი, ინხოყვ. კუჭე, ლაკ. კარჭ „ლეკვი“) და ნახურ (წ.-თუმ. კაწე „ლეკვი“) კანონზმიერ შესატყვისებზე [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 712].
პატარა / სიმცირე შინაარსი ყველგან საცნაურია, შდრ. პატარა / წიწილა / ლეკვი.

ს.-ქართვ. ***კუჭ**- „კუჭი“

ქართ. **კუჭ**-ი „ფრინველთ ფაშვი“ (საბა)

ზან. **კუჭ**-ი „კუჭი“

სვან. **კუჭი**, **კუჭ** (ლშხ.) „კუჭი“

დასავლურ-ქართველურ დიალექტებში, ბგერათშესატყვისობათა ჩვენებიდან გამომდინარე, **კუჭკ**-/**კუჭიკ**- ალომორფები უნდა გვქონოდა, მაგრამ, როცა ძირში უკანანენისმიერი ხმული მონაწილეობს, ეს პროცესი ჩერდება (თ. გამყრელიძე).

ს.-სინდ. ***კუჭ** „შიგნეული, ნაწლავები“

ადიდ. **კუჭ**-ჲ, ყაბ. **კუჭ** „შიგნეული, ნაწლავები“

ს.-სინდ. ***კუჭ**- ზუსტად ასახავს ს.-ქართვ. ***კუჭ**- არქექტიპის კანონზომიერ შესატყვისს. ადილურ ენებში უჭ → უა ასიმილაციური ჩანს, მომდევნო ა-ს ზეგავლენა.

სპეციალურ ლიტერატურაში მოიხმობენ დაღესტნურ შესატყვისებსაც სინდური ფორმების პარალელად: ჭამალ. **სიყუა** // **წიყუა** // **წიყა**, ტინდ. **ცაქუა** (← ***წიყუა**) „შიგნეული, ნაწლავები“ [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 735].

ლ

ს.-ქართვ. ***ლა**- „მრავლ. რ. პრეფიქსი“

სვან. **ლა**- „მრავლ. რ. პრეფიქსი“, **ლა**-დი-ა „დედები“, **ლა**-მუ-ა „მამები“

ქართულ-ზანურისთვის მრავლობითი რიცხვის კონფიქსური წარმოება სახელებში უცხოა. ამ მხრივ სვანური **ლა**-ა ქართველურ სისტემაში განმარტოებით დგას, თუმცა სვანური კონფიქსის არქაულობაზე (ფუძეენურ წარმომავლობაზე) მეტყველებს მისი გარე-ენობრივი პარალელი.

წ.-სინდ. ***ლე**- „მრავლ. რ. პრეფიქსი“

ხათ. **le** „მრავლ. რ. პრეფიქსი“, **le**-zar „ცხვრები“

აფხაზურ-ადილურმა ენებმა ამ სახის მრავლობითობის წარმოება დაკარგეს ან ისევე, როგორც სხვა იბ.-კავკ. ენებს, იგი საერთოდ არც განუვითარდათ.

სვანურ-ხათურ **ლა**-/**ლე**- პრეფიქსთა მატერიალურ-ფუნქციური იგივეობა ეჭვგარეშეა.

და მაინც, საკითხი დამატებით შესწავლას მოითხოვს.

ს.-ქართვ. ***ლაგ**- „სულელი“

ქართ. **ლენგერ**-ი, იმერ. **ლენგ**-ერ-ე „უვარგისი, შტერი“

ზან. (მეგრ.) **ლოგო** „სულელი; უდარდელი“, **ლოგო**-ია „id“ (კნინ.)

თუ გავითვალისწინებთ ქართველურ ბგერათშესატყვისობათა ჩვენებას ხმოვნებში, სავარაუდოდ, **ლაგ**- სახეობის ძირ-ფუძე იყო სვანურში მოსალოდნელი, რაც ჯერჯერობით არ არის დამოწმებული [შეროზია 1998 : 7].

ს.-სინდ. ***ლაგა** „სულელი; გიჟი“

აბაზ. (ტაპანთ.) **ლანგა** „სულელი; გიჟი“, აფხაზ. (ბზიფ.) ა-**ლგ** „სულელი, შტერი“

საძიებო ძირში **ლა** „თვალი“ ფორმის გამოყოფა არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად [შდრ. ჩირიქ-ბა 1996 : 117]. ამგვარ სეგმენტაციას, ქართველურთან ერთად, ეწინააღმდეგება დაღესტნური მასალა. ამ უკანასკნელში თავკიდურა პოზიციაში **ლ** → **ჰ** სპირანტიზაციის ფონეტიკური პროცესი შეინიშნება, შდრ.: ბაგვალ. **ჰაგა**-ბ, ბოთლიხ. **ჰაგა**-უ, ტინდ. **ჰაგა**-ბ „სულელი“...

ბზიფური ა-**ლგ** ფორმის **გ** ხმოვანი უფრო ქართ. **ლიგ**- (საბა), მეგრ. **ლიგვ**-, ს.-ქართვ. ***ლიგ**- სახეობის ძირებისკენ იხრება [იხ. აქვე].

ს.-ქართვ. *ლალ- „გარეკვა“
ქართ. ლალ-ვ-ა „გარეკვა“, მი-ლალ-ავ-ს „მიერეკება“, ჰ-ლალ-ვ-იდ-ეს
ზან. (მეგრ.) ლოლ-უ-ა „გარეკვა“, მე-ლოლ-უნ-ს „მირეკავს“, გეგენო-ლოლ-უ „გადარეკა“
სვანური შესატყვისის არ ჩანს. ძველქართულიდან მოყოლებული აქტიურად მოქმედი ლალ-
ზმნა კანონზომიერად შეისატყვისებს ლოლ- ფუძეს ზანურში [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 301].
ს.-სინდ. *ლალ-ა „სვლა, შესვლა“
აფხაზ. ა-ლალა-რა „შესვლა, გარეკა“, დგ-ლალა-ნგ „გავლილი“, ია-ლალ-ო-მ „არ გადის“
აფხაზურ-ქართული იზოგლოსია, რომელიც ნ. მაჭავარიანმა შეაპირისპირა [მაჭავარიანი
2015 : 23]. აღწერილ ძირ-ფუძეთა ეტიმოლოგიური კავშირი რეალური ჩანს, რასაც ნახურ ენათა მა-
სალაც მხარს დაუჭერდა, შდრ.: ჩეჩნ. ლდელ-არ „სვლა“, ინგუშ. ლელ-უო „id“, წ.-თუშ. ლალ-არ „გა-
ვლა, დავლა“, ლალ-დარ „წაყვანა, გატარება“ [ჩუხუა 2008 : 389].

ს.-ქართვ. *ლაპრ- „თხელი ფენა, კანი“
ქართ. (ქართლ.) ლაპრ-ი „თხელი ფენა, კანი“
ჩვენი დაკვირვებით, ჯერჯერობით განმარტოებით დგას ქართველურ ენობრივ სამყაროში
ქართლური ლაპრ- ფუძე, მაგრამ ამავედროულად შესაძლებელი ჩანს მისი რეკონსტრუქცია ფუძეე-
ნური მდგომარეობისათვის, რაც იბ.-კავ. ენათა მონაცემების მოხმობით ხერხდება.
ს.-სინდ. *ლ'გპ- „კანი, ნაჭუჭი“
ადიდ. თხგ-ლ'გპ, ყაბ. თხგ-ლ'გმპ-გ „ქალაღი“
ჩერქეზული სიტყვები რთული შედგენილობისაა და შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან
თხგ „ნაწერი“ + ლ'გპ-გ „კანი, ნაჭუჭი“. აქ საცნაური ხდება ცნება ქალაღის ევოლუცია, რაც ამ
შემთხვევაში კან-ნაჭუჭს უკავშირდება. მსგავსი შინაარსი იკითხება გენეტიკურად საერთო და-
ღესტნურ მონაცემებშიც, სადაც ერთი ლექსემის ფარგლებში შეიმჩნევა ფურცელი → // ქალაღი
სემათა ჩამოყალიბება, შდრ. ბეჟიტ. ლ'იბო, ჰუნზიბ. ლ'იბუ „ფურცელი, ქალაღი“.

ს.-ქართვ. *ლა-ს- „თესვა“
სვან. ლაშ-/ლაშ- „თესვა“, ა-ლაშ-ი „თესავს“, ლაშ-ი (ბზ.), ლაშ-ი (ბქ.), ლაშ-ი (ლშბ), ლაშ-ი
(ლნტ.) „თესლი“, ლი-ლაშ-უნ-ე, ლი-ლაშ-უნ-ე (ბქ., ლნტ.) „თესვის დაწყების დღესასწაული“
თავიდანვე შევნიშნავთ, ქართ.-ზან. თეს-/თას- სხვა ძირი ჩანს და აქვერ შემოვა. სვანური თეს-
ვის აღმნიშვნელი ალომორფები ს.-ქართვ. *ლას- არქეტიპისაგან მომდინარეობს.
ს.-სინდ. *რა-შტა- „მარგვლა, თოხნა“
აბაზ. რა-შტა-რა „მარგვლა“, რა-შტა-ნ „მარგვლის დრო (სეზონი)“, აფხაზ. ა-რა-შტა-რა „თოხ-
ნა; მარგვლა“
აფხაზურ-აბაზურში ძირად შტა- გამოიყოფა, შდრ. აფხაზ. ა-შტა-რა „მარგვლა“, რაც შეიძლე-
ბა, იმასაც ნიშნავდეს, რომ ქართველურშიც ლა- პრეფიქსად არის გამოსაყოფი. ყველა შემთხვევაში
საკითხი დამატებით შესწავლას მოითხოვს.

სინდურ-ქართველური ალომორფები ერთმანეთთან გ. როგავამ შეაპირისპირა, მაგრამ
ავტორი ქართულ-ზანურ თეს-/თას- „თესვა“ ფორმებსაც აქვე მოიხმობდა [როგავა 1954 : 51-53].

სვანურ ლაშ-/ლაშ- „თესვა“ ზმნასთან ასევე ახლოს დგას სტრუქტურულ-სემანტიკური
თვალსაზრისით, ნახურ ენათა მასალა, შდრ. წ.-თუშ. ლას-/ლეს- „გაცრა“, просеять (შდრ. რუს.
просеять „გაცრა“ ~ сеять „თესვა“).

ს.-ქართვ. *ლას- „ნარჩენი თხილი“
ზან. (ლაზ.) ლეს-იდ-ი „ნარჩენი თხილი“
ლაზურში ძირად გამოყოფილი ლეს- საერთოქართველურ *ლას- არქეტიპის კანონზომიერი

გაგრძელება ჩანს, შდრ. ს.-ქართვ. ა → ზან. ო → ე, ქართ. ოც-ი : ზან. ეჩ-ი „id“...

ს.-სინდ. *რასა „თხილი“

აბაზ. (ტაპანთ.) რასა, აფხაზ. ა-რასა, ბზიფ. ა-რასა „თხილი“

არ ვიზიარებთ აფხაზურ-აბაზური ძირ-ფუძეთა რა-სა ტიპის სეგმენტაციის შესაძლებლობას [შდრ. ჩირიქვა 1996 : 120]. პირიქით, ს.-სინდ. *რასა „თხილი“ ერთიანი არქექტივი ჩანს, რომელიც კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. *ლას- ძირს. აქვე, ანლაუტში გამოჩნდება ს.-ქართვ. ლ : ს.-სინდ. რ სონორული ტიპის ოპოზიცია, რაც ლ → რ ზანურისებურ ფონეტიკურ პროცესზე მიუთითებს ფუძესინდურში.

ს.-ქართვ. *ლას- „რბილი, თხელი მატყლი“

ქართ. (ქართლ.) ლას-ა „აბრეშუმის თხელი ქსელი; აპკი, გარსი“

სვან. (ბზ.) ძგწი-ი „ნაზი, რბილი მატყლი“

მეგრულ-ლასურში სათანადო ძირი არ ფიქსირდება. ხოლო ქართული ლას-ა ფუძის თავდაპირველი სვანური შესატყვისი კი *ლაშ-ი სახეობისა უნდა ყოფილიყო. ამ უკანასკნელში შეიმჩნევა ლ → ძ და ა → გ რედუქციის კვალი, შდრ. ერთი მხრივ, ქართ. ლურჯ-ი : სვან. ძგრჟ-ი და, მეორე მხრივ, ქართ. მატლ- : სვან. ძგტ „მატლი“.

ს.-სინდ. *ლასჷ- „მატყლი“

უბიხ. დაშჷ-გ „მატყლი“

აბაზ. ლას-ა, აფხაზ. ა-ლას-ა, ბზიფ. ა-ლას „მატყლი“

ამ შეპირისპირებაში უბიხური ალომორფი ყურადღებას მიიპყრობს შედარებით გვიანდელი ლ → დ გადაბერებით და ამოსავალი სიბილანტური ყრუ სპირანტის ლაბიალიზაციის შენარჩუნებით, რაც სხვაგან მოშლილი ჩანს.

ს.-ქართვ. *ლას- : ს.-სინდ. *ლასჷ- არქექტივებთან ავლენს ნათესაობას ხუნძური რას / რაშ (ჭა-დაქ.) „თმა“ ძირი, სადაც იკითხება ლ → რ ისტორიული პროცესის კვალი უკვე ხუნძური სიტყვის ანლაუტში, ე. ი. დ → რ და ლ → რ უნდა გაირჩეს ხუნძურში (და არამარტო).

ს.-ქართვ. *ლას- „ფრენის სახეობა“

ქართ. ლას-ლას-ი „{ფრინველთ} ავი ფრენა“ (საბა)

ფუძის რთული (რედუპლიცირებული) შედგენილობა ადვილი დასანახია.

სხვა ქართველურ ენებში შესატყვისებს ჯერჯერობით ვერ ვხედავთ. გამოსარიცხი ჩანს ახალ-ქართულ ლას-ლას-ი „უღონოდ სიარული“ (ქეგლ) ზმნასთან კავშირი, თუ არ ჩავთვლით შესაძლო სემანტიკურ ტრანფორმაციას.

ს.-სინდ. *ლას-გ „მსუბუქი“

უბიხ. ჴას-გ „მსუბუქი“

აფხაზ. ა-ლას, აბაზ. ლასგ „მსუბუქი (წონაზე)“

ადილურ ენებში შესაბამისი ძირი არ ჩანს; ადილ. ფსგ-ნჟა, ყაბ. ფსგ-ნსჟა „მსუბუქი, სწრაფი“ (უბიხური ასგ სახელის არსებობის პირობებში) ალომორფთა აქ მოხმობა გამწვანდება [შდრ. აბდოკოვი 1983 : 150], ვინაიდან ლ → ჴ მხოლოდ უბიხურისთვის არის დამახასიათებელი.

ქართულ-ჩერქეზულ ძირთა მატერიალურ ერთობას ეხმიანება სემანტიკური კორელაცია მსუბუქი ~ ფრენა, რაც ბუნებრივად გვესახება.

ს.-ქართვ. *ლასთ-ამ- „ჭაობიანი ადგილი“

ქართ. (გურ.) ლეთემ-ი „ტალახიანი ადგილი“

ზან.ლოთომ-ი „ღრმა ჭაობი“

სვან. ლეშტერ „დეღგმა“

ექვს არ იწვევს ქართველურ სახელთა ეტიმოლოგიური კავშირი. წვიმის (დიდი) შინაარსი სვანურში დატბორილი ადგილის ნიუანსიდან გამოიყვანება. რაც შეეხება სიტყვათა ფონეტიკურ მხარეს, ხმოვნური ბგერათშესატყვისობა ქართ. ე : ზან. ო ყოველთვის ს.-ქართვ. ა გახმოვანებაზე მიუთითებს.

ს.-სინდ. *ლმმ- „ჭაობი“

აზაზ. ფს-ლმმ, აფხაზ. ა-ფს-ლმმ „ჭაობი, საფლობი“

გვაკლია უბიხური და, საერთოდ, ჩერქეზული შესატყვისები, რომელთა პოვნეირების შემთხვევაში მეტი დამაჯერებლობით შეიძლება ოდნავ სთ : ძ ფონეტიკურ ოპოზიციაზე საუბარი.

სინდურ ძირებს სამართლიანად შეუპირისპირებენ თაბას. ლინჯი „თიხა“, დარგ. ლმმე / ლმმე „ჭუჭყი, ტალახი“ ალომორფებს, რასაც მხარს უჭერს ქართველურ ძირთა სტრუქტურა [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 750-751].

ს.-ქართვ. *ლატან- „უტოტო, გრძელი ძელი“

ქართ. ლატან-ი „წვრილი და გრძელი ძელი“ (საბა), დიალექტები: „ჯოხი, კეტი“; „წვრილი და გრძელი ჭოკი“

ზან. (მეგრ.) ლტგ // ლიტე „უტოტო და უკაპო ხე“

მეგრულში, როგორც მოსალოდნელი იყო, ბოლოკიდური ნ დაიკარგა, აქვე ჩნდება ო → გ // ი ფონეტიკური პროცესი. ასე რომ, მეგრულისათვის აღსადგენია *ლოტონ- სახეობის ფუძე.

ს.-სინდ. *ანტგ- „მორი, დირე“

ყაბ. ანტგ-რ „მორი, დირე“, log

თავკიდური ლ ჩერქეზულში დაიკარგა, ამაზე ნათლად მიუთითებენ დალესტნური (დარგ.) ტალ / ლატ „ბოძი, ანძა“ ალომორფები.

ს.-ქართვ. *ლატ-ე „მიწა; ტალახი“

ზან. (ლაზ.) ლეტა „მიწა“, მეგრ. ლეტა „ტალახი“

ე გახმოვანება ზანურში ისტორიული ო-საგან მომდინარედ მიიჩნევა. ეს უკანასკნელი ს.-ქართვ. ა ხმოვნის შესატყვისია – ქართ. ა : ზან. ო (→ ე), ს.-ქართვ. *ა, შდრ. ქართ. ძარღვ-ი : ზან. ჯერღვ-ი ← *ჯორღვ-ი...

ს.-სინდ. *ლანტ-ნ „თიხა; ტალახი“

ადიდ. ატან „მიწა; თიხა; ჭუჭყი“, ანტა-ღუან „თიხა“

აფხაზ. ა-ლმმტ „ჭუჭყი“

სხვა კონტექსტში გ. როგავა ერთმანეთთან აკავშირებდა სინდურ-ქართველურ სახელებს [როგავა 1956 : 12]. აფხაზური ა-ლმმტ „ჭუჭყი“ სიტყვათა ამ რიგში ქ. ლომთათიძემ შემოიტანა, რაც მეტად მნიშვნელოვანია ადიღური მ ნახევარხმოვნის (სონანტის) გენეზისის საკვლევად – ატან ← *ლანტან, თუმცა, რატომღაც, ავტორი აფხაზურ ალომორფს ზანურიდან ნასესხებად მიიჩნევს [ლომთათიძე 1961 : 121; 191].

ს.-ქართვ. *ლატ-ე : ს.-სინდ. *ლანტ-ნ პალეოკავკასიურიდან მომდინარე არქეტიპებია, რომლებსაც, ჩვენი დაკვირვებით, დალესტნურ ენებშიც მოეპოვება შესატყვისები, შდრ.: ხუნძ. რიტელ „ველი“, დარგ. ლუტი „ნიადაგი, მიწა“, ჭამალ. იტი (← *ლიტი) „კუნძული“.

ს.-ქართვ. *ლაღ- „ლეღვი“

ქართ. ლეღვი-ი (← *ლაღვი-ი), შდრ. მო-ლაღ-ურ-ი // მა-ლაღ-ურ-ი [oriolus oriolus] „მელეღვია“

ზან. (ლაზ.) ლულ-ი „ლეღვი“, მა-ლულ-ა „მელეღვია“, მეგრ. ლულ-ი „ლეღვი“, მა-ლულ-ია „მელეღვია“

სვან. {ლაღუ}, მა-ღლაღუ ← *მა-ლაღუ „მოლაღური“

ლეღვის აღმნიშვნელი ფუძე სვანურმა დაკარგა, მაგრამ მისი აღნაგობის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის მოლაღურის ეკვივალენტი, სადაც მეტათეზირებული ღლაჟ ალომორფი იკვეთება.

ს.-სინდ. *ლაღჟ- „ლეღვი“

უბიხ. ლახ-გ „ლეღვი“

აფხაზ. ა-ლაჰ-ა „ლეღვი“

სინდურ-ქართველურ ძირთა შეპირისპირება ცნობილია [როგავა 1985 : 36-38]. საერთოსინდურში ღ-ს ლაბიალიზაციის რეკონსტრუქცია ამ შემთხვევაში ეფუძნება უბიხირი ხ-ს პალატალიზაციის არგუმენტს, ვინაიდან აქ **ღ** ლაბიალიზებულ კომპლექსთა დელაბიალიზაციას თან ახლავს თანხმობის აუცილებელი პალატალიზაცია, ანუ **ღ** → **ღ**.

საყურადღებო პარალელები იძებნება ნახურ ენებში, შდრ. ინგუმ. **ღირღ** // **ღირღ** „ერთგვარი მცენარე“.

ს.-ქართველ. *ლაძ- „მოხალვა, ლანძვა“

ქართ. ლანძ- , ლანძ-ვ-ა „ცხარე ცეცხლისაგან ზედაპირის წვა“, გა-ლანძ-ულ-ი

ზან. (მეგრ.) რუჯ-, რუჯ-უ-ა „ცეცხლში გავლება“, გო-რუნჯ-ელ-ი „გარუჯული“

როგორც ზანურთან შედარება არკვევს, რომ ქართულში **ღ** ფონეტიკური დანართია. ხოლო რუჯ- ზმნა ქართულშივე ზანიზმი გამოდის.

ს.-სინდ. *ჯ- „შეწვა“

აბაზ. ჯ-რა, აფხაზ. ა-ჯ-რა „შეწვა“

გვაკლია ჩერქეზული შესატყვისები; ანლაუტური ლ, რომელიც ქართველური ენებისათვის ბუნებრივია, ალბათ, ჯერ კიდევ ფუძე-ენაში დაიკარგა, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე.

იბერიულ-კავკასიურ არქეტიპზე ზუსტ წარმოდგენას, ქართველურთან ერთად, გვიქმნის დაღესტნური მასალა, შდრ. ლაკ. ლაჟუ- „ცეცხლის მოკიდება“.

ს.-ქართველ. *ლახა- „მთა“

სვან. ლახჟ „მთა“, ლახჟ-ჰნი „მთიანი“

სიტყვა განმარტობით დგას სვანურში, მაგრამ, როგორც ეტყობა, მას საერთოქართველური ეტიმოლოგია ახასიათებს. პრობლემურია ფუძის აუსლაუტი, ვინაიდან ჟ ბოლო პოზიციაში შეიძლება, ასახავდეს როგორც საკუთრივ ჟ სონანტს, ისე ა → ჟ ნაწილობრივი რედუქციის წყალობით ფუძეენურ ა ხმოვანს, შდრ. ქართ. ყანჩა → სვან. ყანჩჟ, ქართ. ციცა : სვან. ციცჟ – „კატა“ და სხვ.

ს.-სინდ. *ლ'ახა „მთა“

უბიხ. ლ'ახა „მთა“

ფუძეენური წარმომავლობის სიტყვა მხოლოდ უბიხურ ქვესისტემას შემორჩა. სიტყვის თავში განხორციელებული ლ' → ლ' დაყრუების ფონეტიკური პროცესი რეგრესულ-ასიმილაციური ჩანს, მომდევნო ხ ყრუ სპირანტის ზეგავლენის შედეგი.

უბიხური ლ'ახა სიტყვის ბოლოკიდური ა ამტკიცებს, რომ ქართველურშიც ა იყო ამოსავალი, რომელიც სვანური სიტყვის ბოლოში ნაწილობრივ რედუცირდა – *ლახა → ლახჟ.

ს.-ქართველ. *ლახჟ- „მდინარე; ხევი“

ზან. (მეგრ.) ლეხერა „ხევი“

სვან. ლახჟ „ადიდებული მდინარე“

ქართული შესატყვისი ვერ გამოვავლინეთ. მეგრული ლეხერა-ც მეორეულ ვითარებას აჩვენებს და ამოსავალ ფორმად აქ *ლოხორა უნდა ვივარაუდოთ. გაურკვეველია, -რა სეგმენტის ფუნქცია ზანურში.

ს.-სინდ. *ლ'ჰჰ-ა „მდინარე“

ადიდ. (შაფს.) ლ'ჰჰა „მდინარე (მცირე)“

შაფსულურ ალომორფთან სვანურის შედარებამ შეიძლება, კორექტივი შეიტანოს რეკონსტრუქციის პროცედურაში. იქნებ, სვან. ლ'ჰჰ მომდინარეობდეს ლახა არქაული ფორმიდან სვანურისათვის დამახასიათებელი ა → უ რედუქციის წყალობით, მაშინ ს.-ქართვ. არქეტიპი *ლახა იქნებოდა და ამით უფრო დაუახლოვდებოდა სინდურ *ლ'ჰჰ პროტოტიპს. ლ' → ლ' შაფსულურში ასიმილაციურია, ისევე, როგორც უბიხ. ლ'ახა „მთა“ ფორმის შემთხვევაში.

ერთ-ერთი პრობლემური დაკავშირებაა, საკითხი დამატებით კვლევას მოითხოვს.

ს.-ქართვ. *ლეგ- „ცუდი; უსიცოცხლო“

ქართ. ლეგ-, თუშ. ლეგ-ა-დ „ტყუილი“

ზან. (მეგრ.) ლაგ-ე „ცუდი, სუსტი, უსიცოცხლო“

სვან. ლეგ- „ცუდი“

უარყოფითი ნიუანსი ყველგან შეინიშნება. ამავდროულად ბგერათშესატყვისობათა ჩვენება დაცულია, რაც ამ ფუძეთა ერთიანობასა და საერთოქართველურ წარმომავლობაზე მეტყველებს.

ს.-სინდ. *ლ'გ- „მონა“

აბაზ. ლგგ. აფხაზ. ა-ლგგ „მონა“

ჩერქეზულ ენებში შესაბამისი ძირები არ არის გამოვლენილი. ს.-ქართვ. *ლეგ- „ცუდი; უსიცოცხლო“ : ს.-სინდ. *ლ'გ- „მონა“ კანონზომიერი ფონეტიკურ-სემანტიკური ოპოზიცია ჩანს. მოცემულ არქეტიპთა საერთოკავკასიურობის მტკიცებას მხარს უჭერს ნახურ ენათა მასალაც, შდრ.: ბაცბ. ლაგ, ვაინახ. ლად ← *ლაგ „მონა“. გასარკვევია ხუნდ. ლალ „მონა“ ძირის სპირანტული ბუნება (ქართ. ლალ-ი (?)).

ს.-ქართვ. *ლეკჷ- „ნაშიერი; ლეკვი“

ძვ. ქართ. ლეკჷ-ი „ნაშიერი“, ლეკჷ // ლეკვ-ი „მწევთა და ძაღლთ(ა) შვილი“ (საბა);

ზან. (მეგრ.) ლაკვ-ი, ლაზ. *ლაკვ-ი → ლაკ-ი → *ლაჰ-ი „ლეკვი“, ლაკ-ოტ-ი (→ სომხ.) „ლეკვი“ [მარი 1909a : 72].

-ოტ სადერივაციო აფიქსით ნაწარმოები ლაზური ლაკ-ოტ-ი „ლეკვი“ სომხურშიც შესულა [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 305]. ლაზურში სახეზეა კვ → კ დამახასიათებელი დელაბიალიზაციის ფონეტიკური პროცესი. იმავე ფუძეში იგი მეგრულშიც მოქმედებდა, შდრ. ლაკ-ია ← *ლაკვ-ია (?) „გვარ-სახელი“ = ქართ. ლეკვ-ე-ი-შვილ-ი.

ს.-სინდ. *ლ'ჰჰჷ- „ხბო“

უბიხ. ლ'ჰჷ-გ „ხბო“

პალატალიზებული ყ, ა. კვახადის აზრით, ასახავს საერთოჩერქეზულ ყჷ-ს [კვახაძე 2014 : 79]. ე. ი. *ლ'ჰჷჷ → ლ'ჰჷ-გ „უბიხურში განხორციელდა.“

სემანტიკური ოპოზიცია ს.-ქართვ. ნაშიერი / ლეკვი ~ ს.-სინდ. ხბო ნორმალური ჩანს. ანგარიშგასაწევი ლექსიკური პარალელი შეიძლება მოვიხმოთ დაღესტნური ჯგუფიდან, შდრ. ხინალ. ლ'ჰჷ „ხბო“. ეს უკანასკნელი ამოწმებს, რომ ყ → კ და ყ → ჰ, შესაბამისად, ქართველურ და დაღესტნურ ენებში განხორციელდა. გასარკვევია წ.-თუშ. ლეყვ „მწყერი“ სიტყვასთან მიმართების საკითხი, სადაც სიმცირის ნიუანსი ჩანს ძირითადი.

ს.-ქართვ. *ლეღ-ე „ლენჩი; უსულგულო; სუსტი“

ქართ. ლეღე „შტერი, ლენჩი“

ზან. (მეგრ.) ლალა „მშიშარა, სუსტი, უძლური; ზარმაცი“

გვაკლია სვანური შესატყვისი, ყოველ შემთხვევაში; გამოცემულ მასალებში მოსალოდნელი

ლელ(ე) არ ჩანს, ხოლო იმერულ დიალექტში შემორჩენილი **ლელე** ფორმის ზუსტი შესატყვისი გამოვლინდა მეგრულ **ლალა** ფორმაში [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 306].

ს.-სინდ. ***ლ'ანლ'**-ჲ „სუსტი; უსიცოცხლო“

ადილ. **ლ'ანლ'ჲ**, ყაბ. **ლ'ანლ'ჲ** „სუსტი“

უბიხ. **ლ'ანლ'ჲ** // **ლ'ალ'ა** „სუსტი, დამჰკნარი“

აფხაზურ-აბაზური შესატყვისების უქონლობის გამო ძნელია იმის თქმა, **ლ'** პირველადი მჟღერი ლატერალური სპირანტია თუ – **ლ** → **ლ'** მეორეული პროცესით გაჩენილი ალომორფი. სპეციალურ ლიტერატურაში ინლაუტური **ნ** ჩანართად მიიჩნევა [კვახაძე 2014 : 200], რაც არ უნდა იყოს მართებული; პირიქით, **ნ** უბიხურში იკარგება, რასაც პარალელური ფორმაც ადასტურებს.

სხვა იბ.-კავკ. ენებში შესაბამისი იზოგლოსები ვერ მოვიძიეთ.

ს.-ქართვ. ***ლეს**- „გალესვა; ელვარება, კაშკაში“

ქართ. **ლეს**-ვა, **ლეს**-ავ-ს, **ლეს**-ულ-ი „ელვარე, კაშკაში“

ზან. (ლაზ.) **ლას-ირ**-ერ-ი „გალესილი“, ო-**ლას-ირ**-უ „ლესვა“, მეგრ. **ლას-ირ**-უ-ა „id“, **ლას-ირ**-ელ-ი „id“.

სვან. **ლას**- „ლესვა“, **ლას**-იწრ „სალესი ქვა“

ზმნური ფორმები სვანურში დაიკარგა. აქ, ამ ნაზმნარ სახელში -**იწრ**-სუფიქსიანი დერივაცია გვაქვს, შეიძლება ჰაპლოლოგიით: ლა-**ლას**-იწრ → **ლას**-იწრ [ჩუხუა 2000-2003 : 139].

ს.-სინდ. ***ლას**- „შუქი, ნათელი, კაშკაში“

უბიხ. **ლას**-გ „შუქი, კაშკაში“

აბაზ. **ლამ**-გ, აფხაზ. **ლამ**-ა „შუქი, ნათელი, კაშკაში“

ადილურ ენებში სათანადო ძირები გვაკლია [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 963].

ს.-ქართვ. ***ლეს**- : ს.-სინდ. ***ლას**- რეგულარულ-კანონზომიერ მიმართებას აჩვენებს. ფუძეთა ერთიანობა როგორც სემანტიკურად, ისე ფორმოზომიერად ეჭვს არ იწვევს.

ს.-ქართვ. ***ლელჷ**- „ხორცი“

სვან. **ლელჷ** „ხორცი“, **ლელჷ**-ჷრა (ბზ.), **ლელჷ**-გრ (ბქ.), **ლელჷ**-რრა (ლმზ.), **ლელჷ**-ორა (ლნტ.) „ხორციელი“

არ გამოირიცხება სვანური **ლელჷ** ძირის ეტიმოლოგიური კავშირი ქართ. (მოხ.) **ლილჷ**-ი „დარტყმის შედეგად დაბეჭილი და დაშავებული კანი“ სიტყვასთან, რომელიც, თავის მხრივ, მეგრულ **ლილ**-ონ-უ-ა „ხორცის გადატყავება“ ზმნაში უნდა ინახავდეს ზანურ შესატყვისს. **ი** → **ე** სვანურში მ. ქალდანის წესის (ჷ-ს ზეგავლენა) შედეგი ჩანს.

ს.-სინდ. ***ლჷჷ** „ხორცი“

უბიხ. **ლ'ა** „ხორცი“

ძირეული თანხმობის პალატალიზაცია უბიხურში გამოწვეულია ოდინდელი ლაბიალიზაციის მოშლით, პროცესი ენაში რეგულარულ ხასიათს ატარებს, შდრ. ადილ. **გჷჷ** : უბიხ. **გ'გ** (← ***გჷჷ**) „გული“...

თავკიდური **ლ** ჯერ კიდევ საერთოსინდურში ჩანს დაკარგული, ვინაიდან ნახურ შესატყვისში ის ქართველურივით უცვლელად არის შემონახული, შდრ. ს.-ნახ. ***ლაჷჷ** „საზამთროდ გამზადებული ხორცი“.

ს.-ქართვ. ***ლევ**- „დაჭერა, დაცვა“

სვან. ლი-**ლჩ**-ე „დაცვა“, მგ-**ლჩ**-ე „დამცველი“, ხტ-ე-**ლჩ**-ა, ი-**ლჩ**-ე „იცავს, ყარაულობს“

სპეციალურ ლიტერატურაში სვან. **ლჩ**-/ლჩ- ზმნური ძირის ქართ. ცავ-/ცევ- „დაცვა“ ფუძესთან დაკავშირების ცდა არსებობს [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 589], რაც სტრუქტურულად გაუმართლებელია. ჩვენი დაკვირვებით, ქართ. ცავ-ს სვანურში ტჩ- „მოგერიება, დაცვა“ შებრუნებული წყობის ზმნა შეეფარდება. საკუთრივ **ლჩ**- „დაცვა, დაჭერა“ სვანურში სხვა ძირია და მას სანდო პარალელები ეძებნება იბ.-კავ. ენებში.

ს.-სინდ. ***ტვც**- „მოპარვა“

უბიხ. **ტვც**- „მოპარვა“

სემანტიკურად უბიხური *მოპარვა* გამოიყვანება *აღება / დაჭერა* შინაარსიდან. და ეს გარდამავალი რგოლები ფიქსირდება მონათესავე დადესტნურ ენათა მონათესავე ძირებში, შდრ.: აღულ. ჭ-**ავ** „დაჭერა“, დარგ. უც- „აღება“ და ლაკ. აცი- „მოპარვა“, ერთი მხრივ და სვან. **ლჩ**-, ნახ. **ლევ**- „დაცვა, დაჭერა“, მეორე მხრივ. წარმოდგენილ კონტექსტში იკვეთება საერთო ძირთა სემანტიკური დისტრიბუციის სრული სურათი.

ს.-ქართვ. ***ლიგ**(ტ)- „შტერი, გაშტერება“

ქართ. **ლიგ**-ი „შტერი“ (საბა), გან-**ლიგ**-ებ-ა „გაშტერებით უხმობენ“ (საბა), გა-**ლიგვ**-ებ-ა, გა-**ლიგვ**-ებ-ულ-ი

ზან. (მეგრ.) **ლიგვ**-ალ-ი „უნიათო, ჩერჩეტი“, გო-**ლიგვ**-ინ-ავ-ა „გაშტერება“

კვალიფიკაციას ითხოვს ბოლოკიდური ვ ზანურში. თუ ფონეტიკური დანართია, მაშინ ქართულშიც არ უნდა გვექნოდა. და მაინც, **ლიგ**- → **ლიგტ**- დასაშვები ჩანს ორივე ენობრივ ერთეულში.

ს.-სინდ. ***ლგ**- „ცეკვა / თამაში“

ადილ. **ტგჯ**-ენ, შავს. **ტგ**-ენ, ყაბ. **ტგჯ**-ენ, ბასლენ. **ტგ**-ენ „წრეში ცეკვა სიმღერითურთ“

უბიხ. **ტგ**- „ცეკვა“

ამოსავალი **ლ** ჩერქეზულ ენებში არ შემოგვრჩა, თუმცა ფუძეეწერი **ლ**-ს რეფლექსები ჩანს წყვილბაგისმიერ ტ-ში – **ლ** → **ტ** [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 597; კვახაძე 2014 : 252].

სემანტიკური სუბსტიტუცია *ცეკვა/თამაში* ~ *სულელი* კარგად გამოჩნდება ინგლისურ თარგმანში play-full „სულელი“, რომელიც play „თამაში“ ფუძისგან არის ნაწარმოები.

ს.-ქართვ. ***ლინგ**- „ფქვა; დაფქული“

ქართ. **ლინგ**-ვ-ა „წმინდად დაფქვა“, გურ., ზ.-აჭარ. **ლინგ**-ი „წმინდად დაფქული სიმინდი“

ლინგ- ძირს არ უდასტურდება შესატყვისები ზანურ-სვანურში, თუმცა იბერიულ-კავკასიური იზოგლოსების არსებობა ეჭვგარეშეა.

ს.-სინდ. ***ლგა**- „ფქვა, ღერღვა“

ადილ. ჰაჯჯ-ნ // ჰაგჯ-ნ, ყაბ. ჰაჟა-ნ „ფქვა, ღერღვა“

აბაზ. **ლაგა**-რა, აფხაზ. ა-**ლაგა**-რა „ფქვა, ღერღვა“

ჩერქ. ჰ : აფხაზ.-აბაზ. **ლ** სინდური ინოვაცია ჩანს, სავარაუდოა **ლ** → **ლ'** → **ჰ** ჩერქეზულ ენებში. ასევე ახსნას ითხოვს ი : ა ხმოვნური მიმართება სინდურ-ქართველურ ენებს შორის.

ს.-ქართვ. ***ლიფს**- „დასავლეთის ქარი (ზამთარში)“

ქართ. **ლიფს**-ი „დასავლით საზამთროდთ (ქარი)“ (საბა)

ამ შემთხვევაში ფუძეეწერი მონაცემი მხოლოდ ქართულში ჩანს შემორჩენილი. მის საერთო-ქართველურობას მონათესავე სინდურ ენათა ჩვენება უჭერს მხარს.

ს.-სინდ. ***ტაფს**-ა „ქარი“

უბიხ. ტაფსა „ქარი“

ქართულ-უბიხური იზოგლოსებიდან ერთ-ერთი იშვიათი მაგალითია, სადაც ანლაუტური ლ : ტ შესატყვისობა იკვეთება. ამგვარი ოპოზიცია, არ არის გამორიცხული, სათავეს იღებდეს რომელიმე აფრიკატ-ლატერალისაგან პალეოკავკასიურ ფუძე-ენაში, მაგრამ ამავედროულად ჩნდება საფუძვლიანი ეჭვიც ორსავე ენობრივ ქვესისტემაში სიტყვის რთული (კომპოზიტიური) შედგენილობის შესახებ, ანუ ქართ. ლი-ფს-, უბიხ. ტა-ფსა; ფს-/ფსა ადვილად აიხსნება [იხ. აქვე სიტყვა-სტატია *ფსინ-], მაგრამ, ამგვარი დაშვების შემთხვევაში, გაურკვეველი ჩანს ლი-/ტა- კომპონენტების ფუნქცია. საკითხი დამატებით შესწავლას მოითხოვს.

ს.-ქართვ. *ლიძნ- „სპილენძი“

ზან. (მეგრ.) ლინჯ-ი, ლაზ. ლიჯ-ი „სპილენძი“

სხვა ქართველურ ენა-კილოებში შესაბამისი ფორმები არ იძებნება; ძვ. ქართ. პილენძ-ი : ზან. (ლაზ.) პრინჯ-ი „სპილენძი“ : სვან. ბერეჯ // ბერეჟ -, „რკინა“ შეიძლება ამავე ძირს შეიცავდეს, მაგრამ საფრთხილოა, იქნებ, სხვა ეტიმოლოგია ჰქონდეს.

ამოსავალი ზანური ლინჯ- ლაზურში გამარტივდა, ხოლო მეგრულში მეტათეზისი განხორციელდა – *ლიჯნ- → ლინჯ- // ლიჯ- , რასაც ფონოტაქტიკური შეზღუდვა, ჩქამიერი + სონორი თანმიმდევრობის არარსებობა, დაედო საფუძვლად.

ს.-სინდ. *რემენ- „ვერცხლი“

ადიდ. (შაფს., ბჟედ.) თეზუნ, აბძახ. თეზუნ, ჭემგ. თეზუნ-გ, ყაბ. დეზუნ „ვერცხლი“

აბაზ. რეზნ-ა, აფხაზ. ა-რამნ-გ, ბზიფ. ა-რემნ-გ „ვერცხლი“

პრობლემატურია უბიხ. დაშტანგ „ვერცხლი“ სიტყვის წარმომავლობა, იგი ნახური დაშუო / დო-შუტ „ოქრო“ ფორმის შესატყვისის ჩანს. თუ გავიხილავთ ანლაუტურ ლ : რ : დ შეფარდებას, ამოსავლად ლ გამოჩნდება, საიდანაც რ და მოგვიანებით დ განვითარდა, ან სულაც ლ → რ//დ.

ლატერალური საწყისის არქაულობას მხარს უჭერს დაღესტნური მასალაც, შდრ.: ხუნძ. რეზ, ახვახ. ლეზი „ყვითელი სპილენძი“, ლეზგ. ლაცუ „თეთრი“, არჩიბ. ლაცუ-უთ „რკინა“...

ს.-ქართვ. *ლოკ- „ლოკვა“

ქართ. ჰ-ლოკ-ს, ლოკ-ავ-ს, ნა-ლოკ-ი

ზან. (მეგრ.) ლოკ-უ-ა // ლოტკ-უ-ა, ლაზ. ო-ლოკ-უ // ო-ლოსკ-უ „ლოკვა“

სვან. ლი-ლრკ-ე // ლი-ლოკ-ე „ლოკვა“, ხტა-ლრკ-ე „ლოკვა“

კოლხური ალომორფები ლოსკ-/ლოტკ- ბგერწერითობის ამოქმედების შედეგი ჩანს, მაშინ, როდესაც ქართულ-სვანურში ლოკ-/ლოტკ- სტაბილურია. ზმნური ძირი ცნობილია უძველესი ქართული წერილობითი ძეგლებიდან [იხ. ვრცლად ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 307-308].

ს.-სინდ. *ლ'აკუ-ნ- „ლოკვა; რეცხვა“

ადიდ. თჰჰჰჰ-გ, აბძახ. თჰჰჰჰ-ნ, ყაბ. თჰჰჰჰ-ნ „რეცხვა“

უბიხ. ლ'აკუ- „ლოკვა“

მეტად საყურადღებო ჩანს ანლაუტური ლ' : თჰ. ოპოზიცია ჩერქეზულ ენებში; ცხადია, უბიხური ლ', რომელსაც ქართველური ლ შეესატყვისება, არქაულ ვითარებას ასახავს. მეტად მნიშვნელოვანია, ასევე, სემანტიკური კორელაცია ლოკვა ~ რეცხვა, რომლისთვისაც რადაციის მოცილების შინაარსი არის ამოსავალი.

ერთ-ერთი გონებამახვილური დაკავშირებაა, რომელიც გ. კლიმოვს ეკუთვნის [კლიმოვი 1969 : 293].

ს.-ქართვ. *ლოჯ- „დიდი; მძიმე“

ქართ. ლობ-ი „დიდი ტანისა“ (საბა) : ლობ-ი „მძორ-მძიე“

ზან. (მეგრ.) ლუხ-, ლუხ-უმ-ი „დიდტანიანი“

-უმ სუფიქსი მეგრულში იშვიათად გამოიყენება, მაგრამ ამავედროულად იგი ქართულშიც პოვნიერია : ძალ-უმ-ი, ფეთხ-უმ-ი... სვანური შესატყვისის უქონლობის მიუხედავად, ვფიქრობთ, რომ ჯ-იანი არქეტიპი უნდა აღდგეს ფუძეენური მდგომარეობისათვის.

ს.-სინდ. *(ნა)-ჯა- „დიდი“

ადილ. -ჯგ, სიტყვაში ცა-მგ-ჯგ „დიდკბილება“, ყაბ. ძა-მგ-ჯა „id“.

აბაზ. ნა-ჯა-რა, აფხაზ. ა-ზ-ხა-რა „საკმაო, ბევრის ქონა“

სინდური ფორმები საკმაოდ გაცვეთილია. ალბათ, სიტყვის ანლაუტში აქაც იყო ლ ძირის შემადგენლობაში, რომელიც შემდგომში უკვალოდ დაიკარგა. მაგრამ სხვა იბ.-კავკ. ენათა ჯგუფის მასალა მის არსებობას უეჭველს ხდის, შდრ. ჰუნზიბ. ლახ-ი „ბევრი; ძლიერ“, ლეზგ. ლუხ დიდად გახდომა“; ასევე, ნახ. დუჯა „ბევრი“ : დარგ. დაჯალ „ბევრი“. ამ უკანასკნელში ლ → დ გარდაქმნა შემდგარი ფაქტია.

ს.-ქართ. *ლუბ- „სველი, ნესტიანი“

ქართ. ლუმბ-, გა-ლუმბ-ვ-ა „დასველება“, გა-ლუმბ-ულ-ი „გაწუწული“

სვან. ლუმბ-, მგ-ლუმბ „სველი; ნესტიანი“

რეალური ჩანს ბ-ფონემიანი სვანური ვარიანტის პირველადობა [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 309], თუმცა, ამავედროულად გვეჩვენება, რომ ორსავე ნიმუშში მ ფონეტიკური დანართია, რომელ-მაც, ქ. ლომთათიძის კანონით, გლოტალიზაცია გამოიწვია – ლუმბ- → ლუმბ-.

ს.-სინდ. *ლ'გბ-გ „სველი, ნოტიო“

ადილ. (ჭემგ.) ლ'ზბ „სველი, ნოტიო“

სინდურ ენათაგან მხოლოდ ადილეურის ჭემგუურ დიალექტშია პოვნიერი საძიებელი ფუძე [კვახაძე 2014 : 199]. აფხაზურ-აბაზურის საკონტროლო მასალის უქონლობის გამო, ძნელია იმის მტკიცება ლ → ლ' მეორეული ლატერალიზაციის პროცესთან გვაქვს შეხება თუ არქაულ ლ' (პირველად) მჟღერ ლატერალურ სპირანტთან.

საყურადღებო ჩანს სინდურ-ქართველურ არქეტიპთა ვოკალიზმი უ : გ, რაც პოზიციით არის შეპირობებული.

მ

ს.-ქართვ. *მა- „მან“

ქართ. მა-ნ, მა-ს, მა-ნ-დ „იქ“

ზან. (ლაზ.) მუ-ქ „მან“ (შდრ. ქართ. მა-გ), მეგრ. მუ „თვითონ“, მუ-ნ-ეფ-ი „ისინი“

სვან. მა-, -მა-ს „ამას“, ა-მა-ჟ „აქამდე“

კანონზომიერი შეფარდებაა ქართველურ ძირებში, ვინაიდან ქართულ ა-ს მ-სთან სიახლოვეს ზანურში ო → უ შესატყვისება. ქართული მა- ძირი ცნობილია უძველესი წერილობითი ძეგლებიდან [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 313-314].

ს.-სინდ. *მზ- „ჩვენებითი ნაცვალსახელი“

ადილ. მგ, ყაბ. მგ „ჩვენებითი ნაცვალსახელი“

აფხაზურ-აბაზურში, ასევე უბიხურში, სათანადო ნაცვალსახელური ძირი არ ჩანს [კლიმოვი 1969 : 291]. თუმცა ადილური მგ აღდგება საერთოსინდური ფუძეენური მდგომარეობისათვის, ვი-

ნაიდან, გარდა ქართველური შესატყვისებისა, იკვეთება სერიოზული საერთო მასალა იმავე შინა-
არსისა დაღესტნური ენებიდან, შდრ.: წახ. მან, აღ., რუთულ. მი, კრიწ. ა-მ, უდ. მე „ჩვენებითი ნა-
ცვალსახელი, ლაკ. მუ „ის“ (ახლომყოფი მსმენელთან)...

ს.-ქართვ. *მა- „არ(ა) უარყ. პარტიკლი“

ზან. (ლაზ.) მო-, მო-თ „ნუ“

სვან. მა-, მა-დ / მჰ-მ „არ, არა“

ქართულსა და მეგრულში მა-/მო- ნაწილაკი არ იძებნება, თუმცა ერთ სიტყვაში -მა ძირთან
უნდა იყოს შეხორცებული ქართულში – ბრ-მა „ბრმა“ ← *ბრ- „თვალი, ყურება“ + -მა- „არ“, რაც გა-
მჭირვალე ეტიმოლოგიისა ნახაურ-დაღესტნურ ენებში, ბრმის გაგება იქ სწორედ ასე იწარმოება.

ს.-სინდ. *მა- „არ უარყ. პარტიკლი“

ადიდ. -მე-, ყაბ. -მე- „არ უარყ. პარტიკლი“

უბიხ. -მ(ა)- „id“

აბაზ., -მ-, აფხაზ. -მ- „არ უარყ. პარტიკლი“

ს.-ქართვ. *მა- : ს.-სინდ. *მა- არ დგას იზოლირებულად იბერიულ-კავკასურ ენებში, იგივე
შედგენილობის, მა-/მ- მეორდება დაღესტნურ და ნახურ ენებში.

ს.-ქართვ. *მაგარ- „მაგარი“

ძვ. ქართ. მაგარ-ი „ძნელოვანი, მტკიცე“, „ძნელად გასატეხი“ (საბა), სი-მაგრ-ე „მაგარი ადგი-
ლი“, შდრ. ციხე-სი-მაგრ-ე

სახელური ფუძე პოვნიერია მხოლოდ ქართულში. სავარაუდოდ, ფუძეენურ დონეზე -არ სუ-
ფიქსად გამოიყოფა. მაგ-არ- აღდგება სულ მცირე საერთოქართველურ ქრონოლოგიურ დონეზე,
რასაც ცხადყოფს იბ.-კავკ. ენათა იზოგლოსები.

ს.-სინდ. *მგჯ- „უნდილი“

ადიდ. (შაფს.) მგჯ-რ, ჭემგ. მგჯ-რ „უნდილი“

ფუძეენურ ძირად *მგჯ- უნდა გამოიყოს, რომლის ძირითადი მნიშვნელობა ძწიფე სემანტე-
მის ანტონიმური გაგება უნდა ყოფილიყო, ანუ არარბილი / მაგარი.

ს.-ქართვ. *მაგ-არ- : ს.-სინდ. *მგჯ- არქეტიპთა შესატყვისი ჩანს ს.-ნახ. *მაგ- „შემძლე“, შდრ.
ჩეჩნ. მეგ-ერ / მეგ-არ „შემძლე“.

ს.-ქართვ. *მაგოლ- „თივის ზვინი“

ქართ. მაგოლ-ი „თივის ძირეული, თივის ბულული“ (საბა), რაჭ. „თივის პატარა ზვინი“

სიტყვა მხოლოდ ქართულში შემოგვრჩა, მაგრამ მისი იბ.-კავკ. გენეტიკურად საერთო ძირები
ფუძის სესხებას გამორიცხავენ და მაგოლ- ფორმის საერთოქართველურ წარმომავლობას უჭერენ
მხარს.

ს.-სინდ. *მჯჷ-გლ „ზვინი, თივის ძირი“

ჩერქ. {მჯჷ-გლ} / {მჯჷ-გლ} „ზვინი, თივის ძირი“

საკუთრივ აფხაზურ-ადიღურ ენებში დაკარგული სიტყვა ჩერქეზული ნასესხობის სახით
ოსურში შემოგვრჩა, შდრ. ოს. მჯჷ-გლ // მჯჷ-გლ „ზვინი; თივის ძირი“. ეს ალომორფები ნამდვილად
ჩერქეზულიდან შევიდა ოსურში, ამას ამტკიცებს ჩერქეზულ მოკლე ხმოვანთა რეალიზება უმლა-
უტიანი ხმოვნებით ოსურში: ჯ → ჯ.

საყურადღებო ჩანს ნახურ ენათა ჩვენებაც, სადაც მკვიდრი ლექსემები ფიქსირდება: ინგუმ.
მაგარ, ჩეჩნ. მგარ „პურეულის, ნამჯის ნალეწი“.

ს.-ქართვ. *მაზ-ა „თაფლის სასმელი“

ქართ. მაზა „თაფლის სასმელი“

ზან. (ლაზ.) მუზ-ერ-ა „ერთგვარი სასმელი“

სვან. მანზა-ჲ „მათრობელა“

ცხადია, მაზ- ძირად გამოიყოფა ქართველურ ენა-კილოებში. გასარკვევია -ერ-ა სუფიქსის ფუნქცია ლაზურ-მეგრულში (ნაზმნარი სახელია?)

ს.-სინდ. *მზე „წვენი“

ადიდ. ფსგ, ყაბ. ფსგ „წვენი“

ადილურ ენებში ს.-სინდ. მზ თანმიმდევრობა რეალიზებულია ყრუ (ფს) სახეობით, რაც მეორეული, საკუთრივ ჩერქეზული ინოვაცია ჩანს. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა დადესტნურ ენათა ჩვენება, შდრ.: ლეზგ. მეჟე, ხინალ. მიჟა „წვენი“.

ს.-ქართვ. *მაზა- „ტკბილი საჭმელი/სასმელი“

ქართ. მაზა „თაფლით გაკეთებული საჭმელი“, ქიზიყ., ფშ. „დესერტი, ტკბილი საჭმელი“, მაზა „სანუკვარი საჭმელი“ [ჩუბინაშვილი 1887 : 660].

ზან. (ლაზ.) მოზ-ინ-ა „თრობა, გულის რევა თაფლის ჭამისაგან“

მეგრული ნოზ-უ-ა „მოწამვლა“ სხვა წარმომავლობის ფუძე ჩანს, აქ ვერ შემოვა.

ს.-სინდ. *მაჟუ- „ნამცხვარი / პური“

ადიდ. მაჟა-ჟ, ყაბ. მაჟა-ჯა „პური“

აბაზ. მაჟუა-ძა „ცომი“, აფხაზ. ა-მაჟუა „ნამცხვარი“

სინდურ ენებში ძირად მაჟა-/მაჟუა- გამოიყოფა. თავდაპირველი სახე სიტყვისა და, სავარაუდოდ, მნიშვნელობაც აფხაზურს დაუცავს. ყოველგვარი მცდელობა სინდური ალომორფების სხვა ენობრივი სამყაროდან შესხებისა უმართებულო ჩანს [შდრ. შაგიროვი 1977, I : 264; ბუკია 2016 : 94]. აქვე შემოდის ს.-ნახ. *მაზ- „პროპოლისი“ არქტიპიც, შდრ. ჩეჩნ. შალ-მაზ კომპოზიტი, სადაც მაზ ქართვ. მაზა-ის შესატყვისია, ხოლო შალ შეესაბამება სვანურ შალუ // შალუ „მამალი ფუტკარი“, ლაზ. ჟულუ „მუშა ფუტკარი“ სიტყვებს.

ს.-ქართვ. *მაზ-ა „კარგი“

ქართ. (ქართლ.) მაზა ქალი „კარგი ქალი“

სიტყვა განმარტობით დგას ქართულში, მაგრამ ფუძეენური წარმომავლობა ახასიათებს; გამომდინარე იქიდან, რომ მეტად სარწმუნოა შესატყვისები სინდურ (და არამხოლოდ) ენებში.

ს.-სინდ. *ზზა „კარგი; სუფთა“

ადიდ. -ზზა, სიტყვაში ჯა-ზზა „სუფთა“, ყაბ. -ზზ, სიტყვაში ჯა-ზზ „სუფთა“

აბაზ. ბზი „კარგი“, აფხაზ. (ა)-ბზია „კარგი“

საკვლევი ძირი სრულად არის წარმოდგენილი სინდურ ენებში, აქ მხოლოდ უბიხური ალომორფი გვაკლია.

კითხვებს აჩენს სიტყვის ანლაუტი, როცა შეინიშნება მ/ზ სუბსტიტუცია ქართულ-სინდურ იზოგლოსებში. მსგავს სიტუაციაში მნიშვნელოვანი ჩანს დადესტნური ინფორმაცია, სადაც მ-ვარიანტიანი ფორმებია პოვნიერი, შდრ.: დარგ. (ჩირგ.) მარზე, არჩიბ. მარზ-უთ „სუფთა“.

ს.-ქართვ. *მაზუ- „ნეზვი“

ძვ. ქართ. მეზვი-ი „ნეზვი“, შდრ. ქართლ. ბზ-უნ- „ხურაობა, ატეხა“

ზან. (მეგრ.) ბოზო / ბოზუ „გოგო“, ბოზო-მთა // ბოზუ-მთა „ქალიშვილი“

ამ შეკავშირებით, ცხადია, ირკვევა, რომ ქართ. ნეზუ- და მეზუ სხვადასხვა ფუძეა, პირველს სვან. ნეზუ-რა შეესატყვისება [კლიმოვი 1964 : 146-47], ხოლო მეორეს – ლაზ. ბოზუ → // ბოზო.

ს.-სინდ. *ზზა „ნეზვი, მდედრი“

ადიდ. ზზგ, ყაბ. ზზგ „ნეზვი“

უბიხ. ზზა „მდედრი“

აზაზ. ლა-ფს, აფხაზ. ა-ფს „მდედრი, ნეზვი“

გასარკვევია აზაზურში ლა-ს სტატუსი, ისევე, როგორც ზზ → ფს დაყრუების მექანიზმი. საერთოსინდურში ზზტა სახეობას მოველოდით, თუმცა თავკიდური ზ-ს ზეგავლენით, სავარაუდოდ, უ ღისიმილაციურად დაიკარგა.

რამდენადმე საინტერესო სხვა იბ.-კავ. პარალელები ჯერ-ჯერობით არ ჩანს.

ს.-ქართვ. *მათ- „პატარა დელფინი“

ზან. (მეგრ.) მუთ-იკა „პატარა დელფინი“, ლაზ. მუთ-იკა „დელფინის სახეობა“

ეს სახელი კოლხურ დიალექტში მხოლოდ კნინობითის ფორმით დასტურდება, რაც ცხოველის ზომის სიმცირეს გახაზავს. თუ გავითვალისწინებთ ს.-ქართვ. ა → ზან. ო → ზაგისმიერთან უვოკალური შესატყვისობის მაჩვენებლებს, ცხადია, ფუძე-ენაში *მათ- ძირი უნდა გვექონოდა.

ს.-სინდ. *მათ- „გველი“

აზაზ. მათ-გ, აფხაზ. ა-მათ „გველი“

უბიხური ანტა „გველი“ სულ სხვა ძირი ჩანს [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 290], იგი აქ ვერ შემოვა, ვინაიდან ს.-სინდ. *მათ- „გველი“, გარდა ქართველურისა, ავლენს შესატყვისობას ნახურ ენებშიც, შდრ. ინგუშ. მითალ „ლოკოკინა“.

ს.-ქართვ. *მათხ-ირ- „მცირე ხის კასრი“

ქართ. მათხირ-ი „მცირე ხის კასრი“; „მცირე კასრი“ (საბა)

სიტყვა განმარტოებით დგას ქართულში, თუმცა, სავარაუდოდ, მას ფუძეენური წარმომავლობა ახასიათებს.

ს.-სინდ. *ზათხ-გ „ღვინის სახმარი / ჭურჭელი“

აფხაზ. ა-ფათხ „ღვინის სასმელი, ყანწი“

აფხაზურში შემორჩენილი სიტყვა საკმაო სიზუსტით ასახავს საერთოსინდურ არქექტივს. თავკიდური ზ → ფ ასიმილაციური ჩანს, თხ კომპლექსის ზეგავლენა.

ამ შეპირისპირებაში კიდევ ერთხელ მეორდება ქართ. მ : აფხაზ. ზ, რაზეც სხვა კონტექსტში ადრევე მიუთითებდნენ [ლომთათიძე 1980 : 56-57].

ასევე ღირებული ჩანს ბგერათშესატყვისობა B ტიპის ჰარმონიულ-დეცესიურ კომპლექსთა დონეზე – თხ : თხ.

ს.-ქართვ. *მალ- „დამალვა“

ქართ. მალ, მალ-ვ-ა, სა-მალ-ავ-ი, მალ-ულ-ი, ი-მალ-ვ-ი-ს / ი-მალ-ებ-ა, ე-მალ-ებ-ა

ფუძე პოვნირია მხოლოდ ქართულში და აქტიურად გამოიყენებოდა ძველ ქართულშიც: „რომელი მ ი მ ა ლ ა ვ ს სიტყვათა“; „ი მ ა ლ ვ ი დ ა თავსა თვსსა“; „დ ა მ ა ლ ა ვერცხლი იგი“ [აბულაძე 1976 : 213; 113]. სავარაუდოდ ფუძეენური წარმომავლობისაა, რასაც გარეუბრები პარალელები ადასტურებენ.

ს.-სინდ. *ზალ'გ- „დამალვა, დაფარვა, დაფლვა“

ადიდ. ზელ'გ-, სიტყვაში ღა-ზელ'გ-ნ „დამალვა, დაფარვა, დაფლვა“

კაუზატიური აგებულების ზმნაა; ამიტომაც სიტყვის თავში სათანადო ღა- პრეფიქსს გამოყოფენ [შაგიროვი 1977, I : 124]. ჩერქეზული სიტყვის შემდგომი სეგმენტაცია უსაფუძვლოდ გვეჩვენება. ვარაუდობდნენ ქართველურ ფლ-/ფულ- // მფულ- ზმნებთან გენეტიკურ ნათესაობას, რაც თავისთავად საკმაოდ საყურადღებოა [ბოლუა 1950 : 292]. თუ შესაძლებელია ანლაუტური ზ : ფ

შეფარდება, მაშინ უფრო მეტი შანსი აქვს ქართველურ ფარ-/ფორ- „დაფარვა, დამალვა“ ფორმებს; ვინაიდან ს.-ქართვ. რ : ჩერქეზ. რ ბგერათშესატყვისობა რეგულარულ-კანონზომიერია.

დალესტნურიდან ფასეული ჩანს კარატ. ებალ-ე-დუ „დამალვა, დაფარვა“ ზმნის მოხმობა.

ს.-ქართვ. *მალა „ალვის ხე; თელა“

ქართ. მალა „დიდი ძელი, რომელზედაც სახლის კოჭებს აწყობენ“

ზან. (მეგრ.) მულა „ალვის ხე“, ლაზ. მულა „თელა“

მცენარე თელის აღმნიშვნელი ქართული ძირი ამ სიტყვაში (მალა) უნდა იყოს შემორჩენილი. ამას ლაზურის სემანტიკა ამტკიცებს. ძირებს შორის მიმართება კანონზომიერია [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 316].

ს.-სინდ. *მელა „თელა“

უზბიხ. მელა-ს „თელა“

სინდურ ენებში უზბიხ. მელა- ძირი იზოლირებულად დგას. ცდილობენ მასვე შეუფარდონ ყაბ. ქუტ-მელა „თესლი ხილის ნაყოფის კურკისა“ [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 828].

დალესტნურიდან ყურადღებას იქცევს ხუნძ. მილაორ „ატმის ხე, ატამი“, არჩიზ. მილაორ „არყის ხე“, შდრ. არჩიზ. ხათ-მოლაორ „ჭერი“.

ს.-ქართვ. *მამა „არა“

ზან. (ლაზ.) მომო „არა“

სვან. მამა „არა“, მამა-გუემ „არასაქმე“

ერთ-ერთია იმ მცირე ლაზურ-სვანური იზოგლოსებიდან, რომელიც შეიძლება ძირის რედუპლიკაციით იყოს მიღებული, შდრ. ლაზ. მო- / სვან. მა-დე „არა, არ“.

ს.-სინდ. *მამა- „არა“

აზაზ. (ტაპანთ.) მამა-ჟ // მამ-ჟ „არა“, აფხაზ. მამა-ჟ / მამო „არა“

როგორც ქართველურ, ისე აფხაზურ-აზაზურ ენებში შესაძლებელი ჩანს მა- „არა“ ნაწილაკთან დაკავშირება, უფრო ზუსტად, მის გაორკეცებულ სახეობად დასახვა – მა+მა → მამა, მაგრამ, ვინაიდან თუნდაც რედუპლიკაცია ფუძე-ენათა დონეზე მიმდინარეობდა, ცალკე *მამა- არქტიპების რეკონტსრუქციაც შესაძლებლად მიიჩნევა.

ნახურ და დალესტნურ ენებში მVმV სახეობის უარყოფით ნაწილაკებს ამ ეტაპზე ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვ. *მანდ- „იქ; როდის“

ქართ. მანდ, მანდ-ე-თ, მანდ-ურ-ი

ზან. (ლაზ.) მუნდ-ე-ს, მეგრ. მუნდ-ი-ს // მუდ-ი-ს „როდის“

სემანტიკური სხვაობა ქართველურ ძირ-ფუძეთა შორის საკმაოდ დიდია, მაგრამ ერთგვაროვანი მატერიალური შედგენილობის გამო დასაშვებად მივიჩნევთ აღწერილი ალომორფების საერთო გენეტიკურ წარმომავლობას.

ს.-სინდ. *მად-ა „სად“

ადილ. მად „იქ“

აფხაზ. მად-ა, სიტყვაში მად-კა „სად“

ფუძეენური წარმომავლობის მად- ძირი მხოლოდ ადილურ და აფხაზურ ქვესიტემას შემორჩა, რაც აძნელებს რეკონსტრუქციის პროცედურას. ძნელი სათქმელია, ნდ კომპლექსი, რომელიც ქართველურში ყველგან მეორდება, აფხაზურ-ადილურში გამარტივდა, თუ საერთოსინდურსაც არ ჰქონია. საკითხი დამატებით შესწავლას საჭიროებს [იხ. ჭარაია 1912 : 30].

აქვე ვასახელებთ, საკითხის დასმის წესით, დალესტ. შესაძლო ეკვივალენტებს: ბეჟიტ. ნდა-

დს, ალულ. ნანდ-ი // ნენდი(-ას) „სად, საიდან (?)“.

ს.-ქართვ. *მან-ე „ბატონი; მსახური; მონა“

ქართ. მნე „მსახური, მოხელე, ბატონი“

ზან. (მეგრ.) მონა „მონა; ცუდი,,

სვან. მგ-მნ-ე „გადია“

როგორც ეტყობა, მეგრულის გახმოვანება ასახავს ფუძეენურ მდგომარეობას, ხოლო ზანურში პოვნური ო ავტომატურად გულისხმობს ფუძე-ენაში ა გახმოვანებას.

წ.-სინდ. *უგნ- „ადამიანი“

ხათ. wun „ადამიანი; კაცი“

ჩვენთვის გ → უ ხათურში პოზიციურად, უ-ს მომდევნოდ, განხორციელდა. რაც შეეხება სე-მანტიკურ მხარეს, კავკასიურ ენებში კაცი ~ მონა კორელაცია აპრობირებულია, შდრ. ოსური ლაგ „კაცი“ ~ ნახ. ლაგ, აფხაზ. -აბაზ. -ლგ „მონა“...

ახსნას ითხოვს ლაზური ვავა „აჩრდილი, ლანდი“, ვავა-წა „სათამაშო; თოჯინა“ სიტყვის წარმომავლობა შეიძლება, ხათურიდან იყოს ნასესხები, შდრ. მეგრ. ძი-ვავა „ტიკინა“, სადაც ძი-ნესტარი“.

ს.-ქართვ. *მანძ- „მუნჯი“

ზან. მუნჯ-ი „მუნჯი“

სვან. მანჯ- „მუნჯი“, სიტყვაში ყურ-მანჯ // ყურ-მანჯ „ყრუ-მუნჯი“

ცხადია, ჩვენეული ანალიზი, სისწორის შემთხვევაში, ვარაუდობს მანჯ- სახელს სვანურისათვის, ხოლო მუნჯ- ვარიანტი ზანურად მიიჩნევა. მანჯ-/მუნჯ- შეპირისპირება ქართულ-ქართველურისთვის მანძ- არქაულ ფორმას ვარაუდობს, შდრ. ქართ. ძ : ზან.-სვან. ჯ. ამგვარი კვალიფიკაციით გამოირიცხება მუნჯ- სახელის სომხურობა [ჩუბინაშვილი 1984 : 906].

ს.-სინდ. *მანძ-ა „საიდუმლო“

უბიხ. უანძა // უანჯა „საიდუმლო, სეკრეტი“

შეიძლება ძირ-ფუძეთა ამავე რიგში განვიხილოთ ყაზარდოული ბზე- (←*ბძე- ←*მეძნ-) სეგმენტის ბზე-სუ-ნ „დამალვა, შენახვა“ სიტყვაში; როგორც ამაზე სხვა კონტექსტშიც მიუთითებენ [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 1011].

მუნჯი ~ საიდუმლო კორელაციის ასახსნელად მარჯვე ჩანს ქართ. დუმ- ძირის მნიშვნელობები: დუმ-ილ-ი / ი-დუმ-ალ-ი.

სხვა იბ.-კავკ. ენებში შესაბამისი ლექსემები არ იძებნება.

ს.-ქართვ. *მა(ნ)ჭ- „ჯოხი; ბარძაყი“

ქართ. (ქართლ.) მანჭ-ი „გუთნის ხელის მოსაკიდი“, ქიზიყ. მანჭ-ა „გუთნის ხის ნაწილი (ლურსმანი), რომლის ფრთა კუდზეა დამაგრებული“, ქართლ. მანჭ-ებ-ი „გუთნის ნაწილია: ორი ჯოხი, რომლებიც კბილაზეა გამობმული და ხმალს შველიან გადაადგილებაში“

სვან. მანჭ, მაშჭ (ლშხ.) „ბარძაყი“

პრობლემურია როგორც ნ-ს საკითხი სვანურში (დაიკარგა?), ისე სემანტიკური მიმართება – ჯოხი ~ ბარძაყი. რაც შეეხება ქართ. ჭ : სვან. შჭ ოპოზიციას, იგი იმეორებს ცნობილ ჭედ- / შჭად- „ჭედვა“ პრაქტიკას და ჭჭ → შჭ ტრანსფორმაციით აიხსნება ისტორიულ სვანურში.

ს.-სინდ. *მანჭ- „შემა; ხის ნახშირი“

ადილ. მგჭ, სიტყვაში სუტა-მგჭ „ხის ნახშირი“, ყაბ. მეგს-, სიტყვაში ჭა-მგს „ხის ნახშირი“

აბაზ. მჭგ, აფხაზ. ა-მჭ-გ „შემა“

ს.-სინდ. *მანჭ- კანონზომიერად მიემართება ს.-ქართვ. *მა(ნ)ჭ- არქეტიპს. თუ ისევ სვანური

ფორმის სემანტიკას დავუბრუნდებით, აღმოჩნდება, რომ დაღესტნურ მასალაში, რომელიც გენეტიკურად საერთოა, სემანტიკური კორელაცია *ღერო ~ ფეხი / ტერფი* ერთი სიტყვის ფარგლებშიც ყოფილა შესაძლებელი, შდრ. ლოდ. *ჭუმა* „ჯოხი, ღერო“, ბეჟიტ. *ჭამალ* „ღერო; ფეხი, ტერფი“, დარგ. *მურჭ* „ჯოხი“ [მეტი იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 833].

ს.-ქართვ. **მაჟალ*- „ტყის ვაშლი“

ქართ. *მაჟალ*-ო „ტყის ვაშლი“ (საბა) [Malus orientalis]

ძირად გამოყოფილი *მაჟალ*- მხოლოდ ქართულში დასტურდება, მაგრამ იგი ასახავს საერთოქართველურ მდგომარეობას. წინარექართველურისთვის სავარაუდო ჩანს სისინ-შიშინა სახეობა ძირისა – **მაზალ*-, ანუ *ზ* → *ჟ* საერთოქართველურ ფუძე-ენაში განხორციელდა.

ს.-სინდ. **მაზჷჷ* „პანტა ვაშლი“

უბიხ. *მამჷჷ* „მაჟალო“

დასადგენია ფარინგალიზაციის მექანიზმი უბიხურში; ალბათ, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, ამ თვალსაზრისით, *მჷა* „ვაშლი“ ძირის არსებობა. სწორედ ამ უკანასკნელთან კონტამინაციით არის გაჩენილი ა ხმოვნის ფარინგალიზაცია უბიხურში.

ბოლოკიდური *ჷ* სინდურში აქაც ქართულ *ლ* სონორის შესატყვისი ჩანს – *ლ* → *ჷ*. უბიხურშივე საცნაურია *ზ* → *ჟ* → *შ* ფონეტიკური გარდაქმნა.

სხვა იბ.-კავკ. ენებში სათანადო ძირ-ფუძეები ამ ეტაპზე ვერ გამოვლინდა [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 621].

ს.-ქართვ. **მარ*- „ღრუბელი“

ქართ. *მარ*-, *მარ*-აგ-ი „ცაღ რა თხელითა ღრუბლითა შემოსილ იყოს“ (საბა)

ზან. (ლაზ.) *მურ*-, *მურ*-ეჯ-ი „ღრუბლიანი“, დი-*მურ*-ეჯ-უ „მოიღრუბლა“

სვან. *მერ*-ე (ზზ., ლშხ.), *მერ*-ე // *მერ*-ი (ლნტ.) „ღრუბელი“

ქართველურ ენა-კილოებში ფიქსირდება განსხვავებული სუფიქსაცია: -აგ, -ეჯ, -ე/-ი, ხოლო ძირად *მარ*-/*მურ*-/*მერ*- გამოიყოფა. და, რაც მეტად საინტერესოა, *ღრუბლის* მნიშვნელობა ყველგან ძირითადია.

ს.-სინდ. **მარ*‘-გ „ყინული“

ადიდ. *მარ*‘გ, ყაბ. *მარ*‘ „ყინული“

სინდურ-ქართველურ იზოგლოსებში კიდევ ერთხელ გამოჩნდება ს.-ქართვ. *რ* : ს.-სინდ. *არ*‘ კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობა, რაც აღწერილ ძირ-ფუძეთა საერთო წარმომავლობით აიხსნება.

ბუნებრივი ჩანს კორელაცია სემანტიკურ დონეზეც *ღრუბელი ~ ყინული*, რასაც ეხმიანება ნახური *მილ*- „სიცივე“ (წ.-თუშ. *მილ*-დარ „შეცივება“) და დაღესტნური *მალ*‘- „თრთვილი“, შდრ. ხუნდ. *მარტ* ← **მარლ*‘ „თრთვილი“.

ს.-ქართვ. **მარ*- „მზადება“

სვან. *მარ*-/*მარ*-, ლი-*მარ*-ე, ლი-*მარ*-ე „მზადება“

ზმნური ძირი მხოლოდ სვანურში გვხვდება. სხვა ქართველურ ენა-კილოებში მისი შესატყვისი ჯერაც არ გამოვლენილა. მიუხედავად ამისა, სვანური *მარ*- საერთოქართველური ეტიმოლოგიის ზმნად მიიჩნევა.

ს.-სინდ. **მარ*- „წარმოება“

აფხაზ. ა-*მარა* „მწარმოებელი“

სვანურ-აფხაზური იზოგლოსია, რომელსაც ახასიათებს როგორც ფორმალური, ისე სემანტიკური იგივეობა. თუ რამენაირად დამტკიცდება ქართულ *მრავალ*- ფუძესთან სვანური *მარ*-/*მარ*-

ზმნის კავშირი (რაც საეჭვო ჩანს), ასევე შეიძლება მოგვეხმოდ ბასკური **მარა-მარა** „უხვად, დოვ-ლათიანად, მრავლად“ ფორმაც, რომელიც ფუძეგაორკეცებული სახეობა ჩანს.

ს.-ქართვ. ***მა-რა** „მაგრამ“

ქართ. (დიალ.) **მარა** „მაგრამ“

ზან. **მორო** „აბა“

სვან. **მარ(ე)** „მაგრამ“

საერთოქართველური ფუძე-ენიდან მომდინარე კავშირი ჩანს, რომელიც, სავარაუდოდ, რთული შედგენილობისაა. ძირად **მა**- სეგმენტი გამოიყოფა, **-რა** სუფიქსია, შდრ. ქართ. ვერა-**რა**, არა-**რა**... ქართულ-ზანურ შესატყვისთა ერთიანობა ცნობილია [შენგელია 2007].

ს.-სინდ. ***მა**- „მაგრამ“

აბაზ. **მა** „მაგრამ“, აფხაზ. **მა** -„ან“

ჩერქეზულ ენებში სათანადო მასალას ვერ ვპოულობთ; ყოველ შემთხვევაში, გამოქვეყნებულ მასალაში შესატყვისები არ ფიქსირდება. ს.-სინდ. ***მა**- „მაგრამ“ გაუფორმებლად არის წარმოდგენილი, მაშინ, როდესაც ს.-ქართვ. ***მა-რა** „მაგრამ“ რთული შედგენილობისაა.

ს.-ქართვ. ***მართხ**- „ნაპერწყალი“

სვან. **მერთხ** „ნაპერწყალი“

ამ ფორმაში დამოწმებული **გ** ნეიტრალური ხმოვანი, ალბათ, ფუძეენურ **ა**-ს ასახავს, შდრ. სვან. **მგტ** : ქართ. **მატლ**- : ზან. **მუნტურ**-ი, ს.-ქართვ. ***მატალ**- „მატლი“.

ს.-სინდ. ***მადხ-გ** „ჭორფლი“

აფხაზ. (ბზიფ.) **ა-მერხგ** „ჭორფლი“

სვანურ-აფხაზური იზოგლოსები მატერიალურად (სტრუქტურულად) ახლოს დგანან ერთმანეთთან. აფხაზურში სვანური **თ**-ს შესატყვისი არ ჩანს, მაგრამ, სავარაუდოდ, აფხაზური **რ** შესატყვისება არა სვანური **რ**-ს, არამედ **დ** → **რ** პროცესის გათვალისწინებით ამოსავალ ***დხ** თანმიმდევრობას ასახავს. ამის მტკიცება მხოლოდ თეორიულ ხასიათს ატარებს, ვინაიდან საკონტროლო მასალა ჩერქეზული ენებიდან არ იძებნება, თუმცა სხვა კონტექსტში ჩერქ. **თ** : აფხაზ. **რ** ხშირია, შდრ. ჩერქ. (უზიხ.) **თხტა** „მინდორი“ : აფხაზ. **ა-რხა** „ველი“...

რაც შეეხება სიტყვათა სემანტიკურ ასპექტებს, აფხაზური *ჭორფლი* ამოსავლად *სითხო* / *მცხუნვარების* გაგებას ვარაუდობს, შდრ. რუს. *весна* → *веснушки* „ჭორფლი“.

ს.-ქართვ. ***მარნ**- „ტირიფი“

ქართ. **მარნ-ა** „წვრილი (წვლილი) ტირიფი“ (საბა), **მარნ-ეულ-ი** „მარნას რტოთაგანი“ (საბა), ზ.-იმერ. **მარნ-ეულ-ი** „ყვითელი ტირიფი“, შდრ. მესხ. **მარნ-იჭ-ი** „თავშავა“ (მცენ.)

ამ ტიპის დენდრონიმი მხოლოდ ქართულშია შემორჩენილი, სხვა ქართველურმა ენა-კილოებმა შესაბამისი ძირი, როგორც ეტყობა, დაკარგეს.

წ.-სინდ. ***ზარნ**- „ერთგვარი მცენარე“

ხათ. **barn-ul-i** „ერთგვარი მცენარე“

აფხაზურ-ადილურ ენებში შესაბამისი ფუძე დაკარგული ჩანს. ხათური სიტყვის სეგმენტაცია და მისი გენეტიკური კავშირი ქართულ ალომორფებთან ცნობილია სპეციალური ლიტერატურიდან [კოჭლამაზაშვილი 2016ა : 61].

სხვა იბ.-კავკ. ენებში საერთო ეტიმოლოგიის დენდრონიმები ვერ მოვიძიეთ.

ს.-ქართვ. *მარს-ლ- „ნალეწი ბალახეულის ხვაგი“
ქართ. (მოხ.) მარსლ-ი „დაფშენილი თივის ზვინი, თივა“
სვან. მაშდ „ნალეწი მარცვლეულის ხვაგი“

ცხადია, ფუძე-ენაში *მარსლ- „დერივატი ზმნურ ლეწვა, მკა/თიბვა შინაარსს ითავსებდა. შლ
→ შდ საკუთრივ-სვანური მოვლენაა, რომელიც სხვაგანაც ვლინდება, შდრ. ქართ. სლოკინ-ი : სვან.
შდგკენ „id“.

ს.-სინ. *შტ-ა „ნამგალი“
ადილ. შტა „ნამგალი“

ჩერქეზული სახელის ქართველურ შესატყვისთან შედარება წარმოაჩენს ფუძის შებრუნებულ
წყობას, ანუ ადილურისთვის ივარაუდება *შტ-ა ← *ტემ-ა ტრანსფორმაცია, რაც არ უნდა იყოს
მთლად უსაფუძვლო. ამგვარად ფიქრს ამყარებს სათანადო დადესტნური ინფორმაცია, შდრ. ლაკ.
ტაზ „დანა“, ჰინუხ. ბეზო, დიდ. ბიზო, ბეჟიტ. ბოზო „თოხი“... [იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 :
1042].

ქართველურთან ძალიან ახლოს დგას ნახური მარს „ნამგალი“ სიტყვა.

ს.-ქართვ. *მარჯტ- „მარჯვენა“
ქართ. მარჯტ-, მარჯვ-ენ-ა // მარჯტ-ენ-ე-ფ, მარჯტ-ალ „მარჯვნივ“
ზან. (ლაზ.) მარბგვ-ან „მარჯვენა“, მეგრ. მარბგვ-ან-ი ← *მორბგვ-ან-ი „მარჯვენა“

სვან. მერსგტ-ენ // მურსგტ-ენ // ლერსგტ-ენ // ლერსკტ-ენ „მარჯვენა“, ლერსგტ-ენ-აჲ „მემარ-
ჯვენე“

არ გამოირიცხება -არჯტ- სეგმენტის ძირად გამოყოფის შესაძლებლობაც, რაზეც სვანურში
ფიქსირებული მ-/ლ- სუბსტიტუცია მეტყველებს, ალბათ [კლიმოვი 1964 : 128].

ს.-სინდ. *ამ- „მარჯვენა“
ადილ. ა-გზ-რა-ბლტ „მარჯვენა (მხარე)“, ყაბ. ა-გზ- „მარჯვენა“
უბიხ. აზ-ყვ „მარჯვენა (ხელი)“

გვაკლია აფხაზურ-აბაზური შესატყვისები [შდრ. შაგიროვი 1977, I : 183]. უბიხური სიტყვის
შედგენილობა რთულია, აქ აშკარად გამოიყოფა აზ და ყვ ელემენტები, ეს უკანასკნელი ხელის აღ-
მნიშვნელი ძირი ჩანს.

დადესტნურ შესატყვისებთან შედარებით ირკვევა, რომ ჯერ კიდევ საერთოსინდურ ფუძე-
ენაში დაიკარგა რ სონორი, რომელიც ქართველურსაც შემორჩა, შდრ.: ლაკ. ურჭუ, ლეზგ. ერჭი,
არჩიბ. ორჭ „მარჯვენა“... [კლიმოვი 1964 : 128; როგავა 1986 : 37].

ს.-ქართვ. *მასთ- „წიხლი“
სვან. მაშდ „წიხლი“

სიტყვა იზოლირებულად დგას სვანურში, მაგრამ გამომდინარე სინდური (და არამხოლოდ)
პარალელებიდან, აღდგება ფუძეენური მდგომარეობისათვის. სვანურ დიალექტებში შდ კომპლექ-
სი პოვნირია არამხოლოდ მაშინ, როცა საერთოქართველურ ფუძე-ენაში სთ კომპლექსია სავარა-
უდებელი.

ს.-სინდ. *მძა „რქა; ჩლიქი“
ადილ. ბზა, ყაბ. ბზა „რქა“
უბიხ. ბჟა „რქა“
აბაზ. შა-მზა „ჩლიქი, ქაჩაჩი“

ფუძეენური მდგომარეობისათვის მ-ს აღდგენა, ანუ აბაზურისთვის უპირატესობის მინიჭე-
ბა, განაპირობა ქართველურ და დადესტნურ მონაცემთა სტაბილურმა ანლაუტმა, შდრ.: ჭამალ.

მუწ → *მუს „მთის თავი, წვერი“, დარგ. მუზა „კუთხე“... [მეტი იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 835-836].

ჩვენი დაკვირვებით, ს.-ქართვ. სთ : ს.-სინდ. ძ რეგულარულ-კანონზომიერია, შდრ. ქართ. ლესთექ-ი : ს.-სინდ. *ლემძ „ჭაობი“...

ს.-ქართვ. *მასრ- „ზღვის, წყლის სული (ღვთაება)“
ქართ. (ხევს.) მასრ-იტ-ი „წყლის სული“ (ა. ჭინჭარაული)
ზან. (მეგრ.) მეს-ეფ-ი „ზღვიდან ამოსული წყვილი ღვთაება“

სვანური შესატყვისი ვერ გამოვლინდა. მეგრული სახეობა pluralia tantum-ით არის წარმოდგენილი, ვინაიდან ის მეგრულთა რწმენით წყვილი ღვთაებაა და ბუნებაში მარტო არ ამოდის. ამ ღვთაების მარს- ძირი უთუოდ ზღვა / წყლის აღმნიშვნელი უძველეს კიდევ ერთ ფუძეს შეიცავს. ქართული (ხევსურული) -იტ კნონობითობის აფიქსია, რომელიც ღვთაებათა სახელებში ხშირია.

ს.-სინდ. *მსან- „ზღვა“
ადილ. ხგ. ყაბ. ხგ „ზღვა“
უბიხ. სჟა (← *მსა) „ზღვა“
აფხაზ. ა-მშგნ „ზღვა“

საერთოსინდურ არქეტიპთან ყველაზე ახლოს აფხაზური დგას, აქ ფუძის სტრუქტურა არ შეცვლილა.

ს.-ქართვ. *მასრ- : ს.-სინდ. *მსან- კანონზომიერი შესატყვისობა ჩანს. სინდური ძირების მონათესავე ერთეულებად მიიჩნევენ ხუნძური რალად- : არჩიბ. ლათ „ზღვა“... ლექსემებს [აბდოკოვი 1983 : 101], რაც გარკვეულ კითხვებს ბადებს, ვინაიდან არ არის ბოლომდე ნათელი ძირთა სტრუქტურული მიმართება.

ს.-ქართვ. *მატა- „ყელი“
ქართ. მატა-, სიტყვაში მატა-ურ-ი → // მატა-ჟრ-ი „ყელის ავადმყოფობა ბავშვებში“

ცხადია, მატა-ურ დერივატში მატა- ძირია, რომლისგანაც -ურ სუფიქსით ახალი სიტყვა იქნა ნაწარმოები. მხოლოდ აქ შემოგვრჩა ყელის მნიშვნელობით მატა- ფუძე ქართულში.

ს.-სინდ. *ნატჷ „შუბლი“
ადილ. ნატჷ, ყაბ. ნატჷ „შუბლი“

სხვა აფხაზურ-ადილურ ენებში მონათესავე ძირი დაკარგული ჩანს. ს.-ქართვ. მ : ს.-სინდ. ნ ბუნებრივი სონორული მიმართებაა, რაც მეორდება დადესტნურ შესატყვისებშიც, შდრ.: დიდ., ჰუნზიბ. მატა „შუბლი“ : ლაკ. ნეტა „სახე“.

სემანტიკური ოპოზიცია ყელი ~ შუბლი ~ სახე ადვილად აიხსნება.

ს.-ქართვ. *მატალ- „მატლი“

ქართ. მატლი-ი
ზან. მუნტურ-ი „მატლი“

სვან. მგტ „მატლი“

ყოვლად დაუშვებელია ქართ. ტლ-ობ-ა ზმნასთან კავშირი [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 438].

ს.-სინდ. *ნატჷ „მატლი“

უბიხ. ანტა „გველი“

სიტყვა ეულად დგას უბიხურში [შდრ. ჩირიქვა 1996ა : 190], შდრ. ბეჟიტ. ბეტელა „გველი“.

ს.-ქართვ. *მაღ- „დაავადება; ავი; ავადმყოფი“

ქართ. (ზ.-აჭარ.) მაღ-ა „დაავადება“, ზ.-იმერ. მაღ-ურ-ი „ავი“

ექვგარეშეა ზემოიძერული ფორმის მეორეულობა, იგი მაღ- ძირისაგან -ურ სუფიქსით ნაწარ-
მოები სიტყვაა.

სხვა ქართველურ ენებში შესაბამისი ძირ-ფუძეები არ იძებნება, თუმცა ქართულ ძირს იბ.-
კავკ. ენებში საყურადღებო შესატყვისები მოეპოვება, რაც უთუოდ მის ფუძეენურ წარმომავლობა-
ზე მეტყველებს.

ს.-სინდ. *მაჰ „სუნი“

ადიდ. მა, ყაბ. მა „სუნი“

ზოგ ავტორს აქვე შემოაქვს უბიხური მგსა „სუნი“ სიტყვა, რაც, ჩვენი თვალსაზრისით, სხვა
ძირია [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 592]. ჩერქეზულ ენათა სუნის სემანტიკა მეორდება
ხუნძურ შესატყვისში – მაჰ „სუნი“, რომელსაც გენეტიკურად უკავშირდება ჩეჩნ. მოჰ, ინგუშ. მუჰ-
„კვნესა“, რაც ქართულ ავადყოფნასთან ავლენს სემანტიკურ სიახლოვეს, ამასვე ემატება აღწერილ
ძირ-ფუძეთა სტრუქტურული ერთგვაროვნებაც.

ს.-ქართვ. *მაღალ- „მაღალი“

ქართ. მაღალ-ი, მაღალ-ა-შვილ-ი (ანთროპ.)

ზან. {მურღულ-ი} „მაღალი“, ლაზ. მურღულ-ი, მეგრ. მურღულ-ია (ანთროპ.)

მეგრულ-ლაზურ ონომასტიკაში პოვნიერი მურღულ- ძირი უნდა ინახავდეს ქართული
მაღალ- სახელის ზანურ შესატყვისს. რ ფონეტიკური დანართი ჩანს, შდრ. მაღალ-ა-შ-ვილ-ი =
მურღულ-ია.

ს.-სინდ. *მგღა- „ზედა ნაწილი“

ყაბ. ზღნ „მკერდი“

უბიხ. ზღწ „ზედა ნაწილი“

სიტყვის მნიშვნელობის თვალსაზრისით, უბიხური მეტ სიმველეს აჩვენებს. ფუძესინდურში
ძირი ორმარცვლიანი უნდა ყოფილიყო, ხოლო რედუქციის მომდევნო საფეხურზე,
ფონოტაქტიკური შეზღუდულობის გამო, ჩერქეზულ ენებში მღ → ზღ პროცესი განხორციელდა. მ-
ს არქაულობას თავკიდურ პოზიციაში მხარს უჭერს, ქართველურის გარდა, ნახური მასალაც, შდრ.
ინგუშ. მაღ-ა / მარღ-მე „უფრო მაღლა“, რასაც ეხმიანება ზედა ნაწილი და ქართველური მაღალი,
შდრ. ხუნძ. მეჰერ „მთა“.

ს.ქართვ. *მაღე „ღია“

ქართ. (ხევს.) მღე „ღია, გახსნილი“

ზან. (მეგრ.) მოღა / მოღ-ია „გახსნილი ცის კარი, განთიადის წინა პერიოდი“

ქართულში ისტორიული ა ხმოვანი რედუცირდება, ხოლო ზანურში, როგორც წესი, მისი შე-
სატყვისი შენარჩუნებულია, შდრ. ქართ. მკარე : ზან. მუხურა, მწიფე / მონჭა...

ს.-სინდ. *ზღ(ჟ)ა- „ღია, ფართო, გაშლილი“

ადიდ. ზღჟა, ყაბ. ზღჟა „ღია, ფართო, გაშლილი“

უბიხ. ზღგ „გაშლილი, ფართო“

აბაზ. თ-ზჟა, აფხაზ. ა-თ-ზწ ← *ა-თ-ზჟა „გაშლილი, ფართო“

შეიძლება გვეფიქრა, რომ სონანტი ჟ ფონეტიკური (ასიმილაციით ბ-სთან) დანართი
ადილურში, მაგრამ დადესტნურ შესატყვისებში მისი პოვნიერება დამაფიქრებელია, შდრ. დარგ.
ზაჟუ-სი „ფართო“, ბაგვალ. ზაბუ „გაშლილი, ფართო“.

ს.-ქართვ. *მაღუ-ა „კუ; თხუნელა“

ქართ. ბაღა „კუ, დიდი კუ“ (საბა)

ზან. (მეგრ.) ფულუ „თხუნელა; მუხვი“

სვან. მულჟულ (ზზ.), მულჟულ (ზქ.), ბულჟულ (ლზზ.) ბულჟულ (ლნტ.) „ჭიალუა“

სვანურში ბოლოკიდური ხმოვნის სიგრძე საკომპენსაციო ჩანს მულჟულ ← *მულჟ-ულ ← *მაღუ-ულ „ჭიალუა“, ამიტომაც ს.-ქართვ. არქეტიპი *მაღუ-ა სახეობისად მიიჩნევა.

ს.-სინდ. *მეყუ „კუ / ბაყაყი“

უბიხ. -მეყუ, სიტყვაში თაშ-მეყუ „კუ“

უბიხური სიტყვა რთული შედგენილობაა, პირველი თაშ- სეგმენტი თურქული თაჯ „მუზა-რადი“ ფორმის უბიხური ადაპტაცია ჩანს, ხოლო მეორე კომპონენტი, შეიძლება, ბაყაყის (კუს) აღმნიშვნელი იყოს. მსგავსი აგებულებისათვის შდრ. წახ. თგს-ბაღა, ინგუშ. ბუოგა-ფჰიდ, სადაც წახური თგს- უბიხურ თაშ-ს ენათესავება, ხოლო ინგუშური ბუოგა ქართული ბაკან-ი ფუძის ეკვივალენტად გვევლინება (ინგუშ. ფჰიდ „ბაყაყი“).

ს.-ქართვ. *მაყალ- „ყელი“

სვან. მეყლ-ი / მეყლ-ა „ყელი“

სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს წარუმატებელი ცდა იმისა, რომ ქართულ-ზანური ყელ-/ყალ-/ყალ- „ყელი“ დააკავშირონ სვანურ მეყლ-ი / მეყლ-ა ალომორფთან [შმიდტი 1962 : 140; ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 533]. სვანური ფორმები აქ ვერ შემოვა, ვინაიდან იგი ყელის აღმნიშვნელ სხვა საერთოქართველურ ძირს ასახავს. გარდა ამისა, მას მოეპოვება სარწმუნო შესატყვისები სინდური (და არამარტო) ენებიდან.

ს.-სინდ. *მაყა „ყელი“

ყაბ. -მაყა, სიტყვაში ყურ-მაყა „ყელი“

ფუძეენური წარმომავლობის -მაყა ძირი მხოლოდ ყაბარდოულში შემოგვრჩა, ისიც მხოლოდ რთული შედგენილობის სიტყვაში. სვანურ-ყაბარდოულ იზოგლოსებს შესატყვისები ეძებნება დაღესტნურ ენებშიც, შდრ.: ახვახ. მაყალა, ტინდ. მაყალა „ყელი“.

ლ → მ (*მაყალ- → მაყა) განხორციელდა ჯერ კიდევ საერთოსინდურში, რასაც ყაბარდოული სიტყვა ასახავს.

ს.-ქართვ. *მაყუ-ალ „მაყვალი“

ქართ. მაყუალ-ი // მაყვალ-ი (საბა)

ზან. (ლაზ.) მუყ-ი „მაყვალი“, მეგრ. მუყ-ე // მუყ-ი „მაყვალი“, მუყ-ია „მაყვალი“

სვან. მუყუ „მაყვალი“

კანონზომიერი შესატყვისობებია; სვანური უ : ქართ. ა აიხსნება ძირის სპეციფიკით, ა → უ განხორციელდა თავკიდური მ-ს ზეგავლენით [მაჭავარიანი 1956 : 365-368].

ქართული მაყუალ-ს, გარდა საბას ლექსიკონისა, იცნობს ძველი ქართული წერილობითი ძეგლებიც [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 320].

ს.-სინდ. *მარკუ-ა „მარწყვი“

ადილ. მარკუა, ყაბ. მარკუა „მარწყვი“

უბიხ. მერკა // მგკა „მარწყვი“

აფხაზურ-აბაზურში შესაბამისი ფუძე არ ჩანს; აბაზური მარაკუა „თუთა“ ნასესხებია ყაბარდოულიდან.

ოსური მურკა „უზანი“ ინახავს ნახურ შესატყვისს (და არა უბიხურს), ვინაიდან ცუ → რც მხოლოდ ნახური ენებისათვის არის დამახასიათებელი, შდრ. ს.-ქართვ. *ნესტ- : ს.-ნახ. *ნარს „კიტრი“ ...

ს.-ქართვ. *მაჩუ- „მაჩვი“

ქართ. მაჩუ-ი, მაჩვ-ი

ზან. (ლაზ.) მუნჩქ-ი // მუნჩხ-ი, მეგრ. მუნჩქე-ი „მაჩვი“

სვან. მინჩქუ „მაჩვი“

ზოგჯერ ქართულ ა-ს სვანურში ი შეესატყვისება, ამიტომაც უნდა ვივარაუდოთ, რომ სვან. მინჩქუ ← *მანჩქუ. ამდენად ის მეგრულ ნასესხობად ვერ ჩაითვლება [შდრ. კლიმოვი 1964 : 130].

ს.-სინდ. *მატუ- „დათვი“

ადილ. მეს-ა „დათვი“

უბიხ. მეშუ-ა, ს-მშუ-ა „დათვი“

აბაზ. მშუგ, აფხაზ. ს-მშუ „დათვი“

ალტერნაცია -ა/-გ სინდურ ენებში აფიქსური ჩანს, ძირეულმა სიბილანტმა, ალბათ, უკვე საერთოსინდურში სპირანტიზაცია განიცადა; მის აფრიკატულ ბუნებაზე, ქართველურის გარდა, ნახური (ს.-ნახ. *მჩარ-) და დაღესტნური ენები მიუთითებენ, შდრ. ხუნდ. ცი, ლაკ. ცუ-შა „დათვი“.

როგორც სხვაგან აღვნიშნეთ, ს.-ქართვ. ჩ : ს.-დაღ. ც თითქმის ყოველთვის ს.-იბ.-კავკ. *ც სინ-შიშინა არქეფონემას ვარაუდობს, რაც რეალურად დასტურდება სინდურ ენებში.

ს.-ქართვ. *მაც- „მაცდური“

ქართ. (ფშ.) მაც-ილ-ი „მაცდური, ეშმაკი“, ზ.-იმერ. მაწ-უა „ეშმაკი“

ძნელია ც/წ მონაცვლეობის ახსნა ქართულ ნიადაგზე. ჩვეულებრივ, მსგავსი რამ არ ხდება, მაგრამ იმავეს ვხედავთ სინდურ ენებშიც, რაც ახსნას ითხოვს.

ს.-სინდ. *მწც-გ „ტყუილი, სიცრუე“

ადილ. პწგ, ყაბ. პწგ „ტყუილი, სიცრუე“

უბიხ. მგცა „ტყუილი, სიცრუე“

აბაზ. მგც, აფხაზ. ს-მც, ბზიფ. ს-მც „ტყუილი, სიცრუე“

აქაც, ისევე, როგორც ქართულში, შეიმჩნევა ც/წ სუბსტიტუცია; რისი მექანიზმიც ჩვენთვის უცნობია. თუ სხვადასხვა ძირთან არ გვაქვს შეხება, ამოსავლად ც-ვარიანტიანი ძირ-ფუძეებს მივიჩნევთ. შეიძლება, მომდევნო კვლევებმა ზოგი რამ დააზუსტოს: სემანტიკურად ტყუილი ~ მაცდური კანონზომიერ ოპოზიციად გვესახება.

სინდურ-ქართველურ გლოტალიზებულ სახეობებს მიესადაგება კარატაული ჰა-ნჭო-ბ „ტყუილი, მოღორება“ ფორმა.

ს.-ქართვ. *მაცილ- „მოცხარი“

ქართ. (მთიულ.) მაცილ-ა „მოცხარი; პატარა ტკბილნაყოფიანი ბუჩქი“

ზან. {მუჩუ} „მთის ჩადუნა“

მაცილ- ძირის კანონზომიერი ზანური შესატყვისი ნასესხობის სახით ლეჩხუმურ დიალექტს შემოუნახავს. ახსნას ითხოვს ფუძის აუსლაუტი, კერძოდ, ქართ. -ილ : ზან. -უ, რაც სრულებით არ ჩანს უნიკალური, შდრ. ქართ. მსხვილი- : ზან. შხუ / მჩხუ „id“, წულილ-ი : წულუ „წვრილი“ და სხვ.

ს.-სინდ. *მეჩუ-გ „ყურძენი“

უბიხ. მეშუგ „ყურძენი“

ქართველურ შესატყვისებთან უბიხური ფორმის შედარებით ირკვევა იმ ისტორიული პროცესების ბუნება, რაც უბიხურს განუცდია. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ჩუ → შუ სპირანტიზაციის პროცესი, ხოლო ბოლოკიდური უ ასახავს ფუძესინდურში განხორციელებულ ლ → უ დელატერალიზაციის უძველეს პროცესს.

ს.-ქართვ. *მაცლ- „მუგუზალი“

სვან. მაცლ-ანდ „მუგუზალი“

საერთოქართველური არქეტიპის პოსტულაცია შესაძლებელი ხდება სვანური მონაცემის მიხედვით. ქართულსა და ზანურში შესაბამისი ძირი არ არის გამოვლენილი.

ს.-სინდ. *მგცა „ცეცხლი“

აბაზ. მცა, აფხაზ. ა-მცა „ცეცხლი“

ჩერქეზული მონაცემები გვაკლია; სავარაუდოდ, ისინი დაიკარგა. აფხაზურ-აბაზური ძირების ჩვენება არ იძლევა ქართველური ლ სონორის შესაბამისი უ-ს აღდგენის საშუალებას. თუმცა ვფიქრობთ, რომ საერთოსინდური არქეტიპი *მგცა სახეობის შეიძლებოდა ყოფილიყო. ამგვარად ფიქრს, ქართველურს გარდა, ნახურ ენათა ჩვენებაც ამყარებს, ამ უკანასკნელში ს.-ქართვ. ლ-სონორს ს.-ნახ. რ შეეფარდება, შდრ. ს.-ნახ. *მარც- „ტრუსვა, წვა“.

ს.-ქართვ. *მაწ- „პატარა ბავშვი“

ქართ. (ზ.-იმერ.) მაწ-უა „პატარა ბავშვი“, მაწ-უკ-ა „id“

ფუძექართული მაწ- ძირი სხვა ქართველურ ქვესისტემებში არ ჩანს; საყურადღებოდ გვესახება გლოტალიზებული პაწ-უა, პაწ-უკ-ა სახეობების არსებობა.

ს.-სინდ. *მაჭ- „ცოტა, პატარა“

ადიდ. მაჭ-გუ, ყაბ. მას-გუ „ცოტა, პატარა“

უბიხ. მაჭ- „ცოტა, პატარა“

აბაზ. მაჭ, აფხაზ. ა-მაჭ „ცოტა, პატარა“

შეიძლებოდა გვეფიქრა ამოსავალში *მაწ- სისინ-შიშინა სიბილანტური არქეტიპის რეკონსტრუქციაზე, რასაც ყაბარდოულის ჩვენებაც დაუჭერდა მხარს, მაგრამ უბიხური და ადიღური შესატყვისები ამას ეწინააღმდეგება.

საყურადღებოა ჩეჩნური მაზა-პელგ ← *მაწ-ა-პელგ „ნეკა / პატარა თითი“ კომპოზიტში, დაღესტნურიდან ანდ. მიჭი-/მიჭოლ-გუ „ცოტა“ ეხმიანება.

ს.-ქართვ. *მაჭ- „ფაშვი; დვრიტა“

ქართ. მაჭ-იკ-ი „დვრიტა“ (საბა), ლეჩხ. „ლორის ფაშვი“

-იკ სადერივაციო აფიქსი ჩანს, ძირად მაჭ- გამოიყოფა, რომელსაც სანდო პარალელები ეძებნება სინდურ ენებში.

ს.-სინდ. *წუა „ღვიძლი, ნაღველი“

ადიდ. სუგ ← *წუგ „ღვიძლი“

უბიხ. წუა-ცა „ნაღველი“, -ცა „მწველი, მწარე“

აბაზ. ჭუა, აფხაზ. -ჭუა, სიტყვაში ა-გუა-ჭუა / ა-გუა-წუა „ღვიძლი“

სინდური არქეტიპი შებრუნებული წყობისაა, რასაც ამტკიცებს ხუნძური შესატყვისიც, შდრ. ხუნძ. (ჭად.) მაწ „ღვიძლი“.

ს.-დად. წ : ს.-სინდ. წ : ს.-ქართვ. ჭ სიბილანტური შესატყვისობა თავისთავად გულისხმობს წ → ჭ გამიშინების პროცესს საერთოქართველურ ფუძე-ენაში. ასე რომ, წინარექართველურისთვის სავარაუდოა *მაწ- არქეტიპი.

ს.-ქართვ. *მახა „ხორბლის ჯიში“

ქართ. მახა „ყანაა, ასლსა ჰგავს“ (საბა)

ზან. (ლაზ.) მოხა „ხორბლის ჯიში“, „მახა“

სვანური შესატყვისი ჯერჯერობით არ ჩანს. ქართულ-ლაზური მახა/მოხა [კახაძე 1960 : 191]

ფუძეთათვის უპრიანი ჩანს მეგრული **მოხა** ფორმის მოხმობა, რომელიც ტოპ. **მოხა**-ში ჩანს შემორჩენილი.

ს.-სინდ. ***მხ** „ყანა; ნათესი“

აზაზ. **მხე** „ნათესი; მოსავალი“, აფხაზ. ა-**მხე** „ყანა“

ჩერქეზული შესატყვისები დაკარგული ჩანს [შდრ. შაგიროვი 1977, I : 268], თუმცა უამისოდაც შესაძლებელია საერთოსინდური არქეტიპის რეკონსტრუქცია, თანაც საკმაო სიზუსტით.

ქართველურ-აფხაზურ-აზაზურ სიტყვა-ფორმათა შეპირისპირება ცნობილია [ლომთათიძე 1961 : 118-119], ოღონდ ქართული **ახო** სიტყვის აქ შემოტანა მეტ არგუმენტაციას საჭიროებს.

სემანტიკური კორელაცია **ხორბლის ჯიში** ~ **ყანა** უპრობლემოდ გვესახება, შდრ. თანაც საბას განმარტება: **მახა ყანაა**.

ს.-ქართვ. ***მახათ**- „მახათი“

ქართ. **მახათ**-ი „გრძელი და მსხვილი ნემსი“, ნემს-**მახათ**-ი „დიდი ნემსი“ (საბა)

სვან. **მახათ** „მახათი“

არ ჩანს ზანური შესატყვისი. ვარაუდი იმის შესახებ, რომ ქართველური სიტყვა სომხურიდან არის ნასესხები, არ ჩანს სათანადოდ დასაბუთებული [შდრ. აჭარიანი 1977, III : 227-228].

მახათ-ი ძველ ქართულში გავრცელებული სიტყვაა [აბულაძე 1973 : 223].

ს.-სინდ. ***მახტეთ**-ა „თოხი“

უზბიხ. **მახტეთა** „თოხი“

შესატყვისები სხვა ჩერქეზული თუ აფხაზურ-აზაზური ენებიდან უცნობია, თუმცა უზბიხურ-ქართველურ ფუძეებს, რომლებიც იგივეობრივი ჩანს ფორმალური თვალსაზრისით ერთმანეთის მიმართ, პარალელები ეძებნება ანდიურ ენებშიც, შდრ.: ახვახ. **მიხილ**, კარატ. (ტოკიტ.) **მახილ** „თოხი“.

მნიშვნელობის მხრივ **მახათი** ~ **თოხი** ოპოზიცია, ალბათ, ორივე სემანტიკისათვის ამოსავლად **რკინა / ლითონის** ეტიმონს ვარაუდობს, შდრ. ლეზგ. **ხათ** „მარგალიტი“. ან, პირიქით, **-ათ / -გთა / -ილ**- არის სუფიქსური იბ.-კავკ. ენებში. მართლაც, **მახ**- ძირი რიგ იბ.-კავკ. ენაში **რკინას** აღნიშნავს: ხუნდ. **მახ**, დარგ. **მეხ // მეჰ // მირჰ // მიჰ** „რკინა“..., ნახ. **მახა** „ლურსმანი“, შდრ. ლაზ. **მუხ**-ი „ლურსმანი“, ს.-ქართვ. ***მახ**- „ლითონის / მეტალის ლურსმანი“.

ს.-ქართვ. ***მახალ**- „ხურჯინი“

ქართ. **მახალ**-ი „ხურჯინი(ა)“ (საბა)

ძველი ქართულიდან კარგად ცნობილი ფუძე [აბულაძე 1973 : 223] დასტურდება საბას ლექსიკონშიც. ვვარაუდობთ მის ფუძეენურ წარმომავლობას, ვინაიდან გააჩნია მეტად სარწმუნო კანონზომიერი შესატყვისები რიგ იბ.-კავკ. ენებში.

ს.-სინდ. ***მეხ-გ** „შეკვრა, დასტა, კონა“

უზბიხ. **მეხ**-, სიტყვაში **მეხ-მეგ** „შეკვრა, დასტა, კონა“

ამოსავალი **მეხ**- ძირი უზბიხურში რედუქციაციით ***მეხ-მეხ** სახეობას მოგვეცემდა, საიდანაც განვითარდა თანამედროვე **მეხმეგ**. ცხადია, ვუშვებთ ერთგვაროვან თანხმოვანთა დისიმილაციურ ტრანსფორმაციას – ***მეხ-მეხ** → **მეხ-მეგ**.

ქართულისებური სადა ძირები პოვნაიერია როგორც დაღესტნურ ენებში: დარგ. **მახ**, **მახ**..., ალულ. **მახ/მალ**, არჩიბ. **მახ** „ტვირთი, შეკვრა“, ისე ნახურში: ჩეჩნ. **მოჰ**, ინგუშ. **მუჰ**, ბაცბ. **მოჰ** // **მუჰ** „საპალნე, ტვირთი“.

ახსნას ექვემდებარება სემანტიკური კორელაცია **ხურჯინი** ~ **შეკვრა / კონა** ~ **ტვირთი**.

ს.-ქართვ. *მახარ- „დილა; ხვალ“

ძვ. ქართ. სა-მახარ-ი „სადილი; საუზმე“, სა-მხრ-ებ-ა „სადილობა“

სვან. მებხარ, მებხარ (ლმხ.) „ხვალ“

ძველქართულიდან დღემდის კარგად ცნობილ სა-მახარ- სიტყვას კანონზომიერად შეუფარდებენ სვანურ ალომორფებს. ამდენად, ქართული სა-მახარ- ეტიმოლოგიურად „სადილს, დილისას“ უნდა ნიშნავდეს [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 346].

ს.-სინდ. *მახ-ტჷ „დღე“

ადილ. მაჰჷ ← *მახ-ტჷ, ყაბ. მახჷ „დღე“

ადილური ალომორფები უნდა გამოვყოთ (განვასხვავოთ) უბიხური მესჷ და აფხაზურ-აბაზური -მშჷ „დღე“ [იხ. აქვე ს.-ქართვ. *მის- „დღე“] ფორმებისაგან, ვინაიდან თითოეულ მათგანს განსხვავებული ეტიმოლოგია ახასიათებს.

რეკონსტრუირებული *მახ-ტჷ არქეტიპი ს.-ქართვ. *მახარ- ძირის შესატყვისი ჩანს და ორივე მათგანი ნახურ მალხ- „მზე“ ფორმასთან ამჟღავნებს გენეტიკურ კავშირს. ადილურ ენათა უ ქართველურ რ-სა და ნახურ ლ-ს კანონზომიერად შეეფარდება.

ს.-ქართვ. *მახარ- „უცხო“

სვან. (უმგ., ბქ.) მეჰერ „უცხო“

სათანადო ძირები არ იძებნება ქართულ-კოლხურში, ამიტომაც ფუძეენური არქეტიპის რეკონსტრუქციის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა სვანურს ენიჭება. ამ უკანასკნელში უშგულურისთვის დამახასიათებელი ხ → ჰ ფონეტიკური პროცესი ვლინდება, შდრ. ქართ. კეხ-ი : უშგ. კეჰ „კეხი“.

ს.-სინდ. *ჰამ-ჷ „უცხო, გარეშე“

ადილ. ხემჷ, ყაბ. ხამჷ „უცხო, გარეშე“

უბიხური და აფხაზურ-აბაზური შესატყვისები ჯერაც არ არის გამოვლენილი, ალბათ, ეკვივალენტური მასალა აქ დაიკარგა.

შესაბამისი იზოგლოსები დავაფიქსირეთ დაღესტნურ ენებშიც, შდრ. ლაკ. ჰამალ // ჰამალ-უ „სტუმარი“. როგორც ეტყობა, სვანური მეჰერ ინახავს შებრუნებული წყობის საერთოქართველურ რეფლექსაციას.

სპეციალურ ლიტერატურაში ხემჷ, ყაბ. ხამჷ „უცხო, გარეშე“ ლექსემებს სვანურ ჰამ-ე „გარე“ ძირს შეუფარდებენ [როგავა 1987 : 24; ბუკია 2016 : 25-26].

უცხო/გარეშე/სტუმარი სემანტებისათვის ამოსავალი ჩანს *გარეთ/გარე* შინაარსი.

ს.-ქართვ. *მახე „ახალი“

ზან. {მოხა} „ახალი“

სვან. მახე, მახე (ბქ., ლნტ.) „ახალი“

ბგერათშესატყვისობათა ჩვენებით სვანურ მახე ზედსართაულ ძირს ზანურში მოხა უნდა ჰქონოდა მეგრულ-ლაზურში, რაც ცოცხალ მეტყველებაში არ დასტურდება. იგი (მოხა) აღმოჩნდა მეგრულიდან ნასესხებ სვანურ დღესასწაულში ახლის მნიშვნელობით, ასეთად მივიჩნიეთ სვან. (← მეგრ.) ზო-მახა (← *ზო-მოხა) „წელი ახალი“, შდრ. საკუთრივ სვანური ზაჰ-მახე „id“ [ჩუხუა 2000-2003 : 148], რაც მოგვიანებით გაიზიარეს კიდეც [ფენრიხი 2007 : 283].

ს.-სინდ. *მახ-ჷ „სუსტი“

ადილ. მახჷ, ყაბ. მახჷ „სუსტი; მყიფე“

უბიხ. მაშჷ „სუსტი“

ჩერქეზულ ძირთა ერთიანი წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს [აბდოკოვი 1973 : 59]; ხოლო აბაზური მახა „სუსტი, მყიფე“ ყაბარდოულიდან არის შეთვისებული [შაგიროვი 1977, I : 261].

ფორმალურად ს.-ქართვ. *მახე : ს.-სინდ. *მახ^ჲ, რა თქმა უნდა, კანონზომიერებას აჩვენებს. რაც შეეხება სემანტიკურ კორელაციას ახალი ~ სუსტი, აქ შუა საფეხურად *ჰყინტის* გაგება უნდა ვიგულისხმოთ.

ს.-ქართვ. *მაჯარ- „მხარე; კუთხე“

ძვ. ქართ. მჯარ-ე, ახ. ქართ. მხარ-ე

ზან. (ლაზ.) მუხურ-ი „ერთი მხარე“, მეგრ. მუხურ-ი „მხარე, კუთხე; უბანი“

სვანური შესატყვისი აქაც გვაკლია. უარყოფს რა ადრე არსებულ მხარ-ე/მუხურ- შესატყვისობას, გ. კლიმოვი გვთავაზობს განსხვავებულ შეპირისპირებას – ძველ ქართ. მუკლ-ი : ზან. მუხურ-ი [კლიმოვი 1964 : 139], რაც მხოლოდ ფორმალურ ანალიზს ეფუძნება და სემანტიკურად მიუღებელი ჩანს.

ს.-სინდ. *მზ^ა- „ქოხი; ღამის სათევი“

ადიდ. ფშ^გ-ჰა „ქოხი“, ყაბ. ფს^გ-ჰნ „ქოხი“, ხ^ა-ფს^გ-ნ „ღამის თევა“, „დროებით ცხოვრება“

უბიხ. ფშ^გ- „დროებით გაჩერება“, ფშ^გ „დროებითი სადგომი“

აბაზ. ფხ^ა-რა, აფხაზ. ა-ფხ^ა-რა „ღამის გათევა“

სინდური ძირ-ფუძეების კავშირი ურთიერთთან ცნობილია [აბდოკოვი 1983 : 120]. იქვე მითითებულია დადესტნური შესატყვისებიც: ხუნძ. მარხი, ჭამალ. მარხ^ჲ, დარგ., რუთულ., წახ. მახი, ალულ. მახ^ჲ „დასახლებული ადგილი“, кутан, რომელსაც ვამატებთ ნახურ მოხ-კ „ქვეყანა, მხარე“ ფორმას. ცხადია, მ → ფ სინდურ ენა-კილოებში რედუქციის მომდევნო საფეხურზე განხორციელდა, ისევე, როგორც ხ^ა → შ/ს ფონეტიკური პროცესები.

ს.-ქართვ. *მაჯ^ჲარ- „ასკილი“

სვან. მუჯ^ჲარ-ი, მუჯ^ჲარ-ი „ასკილი“

ადრე ვფიქრობდით ქართულ მაყვალ-თან სვანური ალომორფების გენეტიკურ კავშირზე, ყ → ჯ დეგლოტალიზაციის ისტორიული პროცესის დაშვებით [ჩუხუა 2000-2003 : 158], რაც არ იქნა გაზიარებული [ფენრიხი 2007].

როგორც ეტყობა, სვანური ალომორფები სხვაგვარ ეტიმოლოგიას გულისხმობენ და მათი ქართულ-ზანური შესატყვისების ძიება მომავლის საქმეა. ა → უ სვანურში ასიმილაციური ჩანს.

ს.-სინდ. *მაჯ^{არ} „მოცხარი“

აბაზ. (აშხარ.) მაჯ^{არ} „მოცხარი“

საერთოსინდური არქეტიპის რეკონსტრუქცია მხოლოდ აბაზური მონაცემის საფუძველზე გვიწევს, რაც ართულებს რეკონსტრუქციის პროცედურას. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ლაბიალიზაციის მოშლის შესაძლებლობას აბაზურში – *მაჯ^{არ} → მაჯ^{არ}, რასაც, თითქოს, სვანური დაუჭერდა მხარს.

საქმის ვითარებას ისიც ართულებს, რომ საძიებელ ძირ-ფუძეთა ნახურ-დადესტნური შესატყვისები არ დასტურდება.

ს.-ქართვ. *მგე- „ნაპირი“

ზან. (მეგრ.) მგა „ნაპირი (რადაცის)“

ძირი ეულად დგას მეგრულში, მაგრამ, როგორც ეტყობა, იგი საერთოქართველურ წარმომავლობისაა. ამას თვალნათლივ ადასტურებს სინდურ ენათა მასალა. ა გახმოვანება ზანურში ცალსახად საერთოქართველურ ე-ს გულისხმობს, შდრ. ბგერათშესატყვისობა ქართ. ე : ზან. ა (ს.-ქართვ. *ე).

ს.-სინდ. *ნგ^ჲ „ზღვის ნაპირი“

ადიდ. (ჭემგ.) ნგ^ჲ „რიყე, მდინარის ნაპირი“

უბიხ. ნგ^ა „ნაპირი“

აფხაზ. ა-გა „ზღვა; ზღვის ნაპირი“

ყველაზე მეტი ცვლილება როგორც ფორმობრივ, ისე სემანტიკურ დონეზე, აფხაზურმა განიცადა: ა-ნგა → ა-გა; *სანაპირო* → *ზღვა*. *ზღვის* შინაარსი რომ მეორეულია აფხაზურში, ამას სინონიმური ა-მშგნ „ზღვა“ სიტყვა ამტკიცებს.

თავკიდური ს.-ქართვ. მ : ს.-სინდ. ნ მეორდება სხვა ნიმუშებშიც, რაც დამახასიათებელია იბ.-კავკ. ენებისათვის.

ს.-ქართვ. *მდოგუ- „მდოგვი“

ძვ. ქართ. მდოგუ- „ველის ყრდელი“ (მცენ.), ახ. ქართ. მდოგვი-ი „горчица“

ზან. (მეგრ.) დუნგ-ი „მდოგვი“

სახელური ძირი ცნობილია უძველესი ქართული წერილობითი ძეგლებიდან: „ყონ იგი უცომოდ მ დ ო გ ვ თ ა“; „მსგავს არს... მარცუალსა მ დ ო გ ვ ს ა ს ა“; „მ დ ო გ ვ იპყრის იწებნ. სარსიკსა მას მით და ჭამნ დილეულითგან“ [აბულაძე 1973 : 227]. თუმცა სხვა ქართველური ენა-კილოებიდან მხოლოდ მეგრულმა შემოგვინახა კანონზომიერი შესატყვისი.

ს.-სინდ. *დგ^ა-გ „მწარე“

ადილ. (შაფს.) დგ^ა გ, ჭემგ. დგ^ა გ, აბმახ. დგ^ა გ, ყაბ. დგ^ა გ, ბასლ. დგ^ა „მწარე“

სინდური ენებიდან გვაკლია უბიხური და აფხაზურ-აბაზური ალომორფები, რაც გარკვეულწილად აძნელებს რეკონსტრუქციის პროცედურას. ადილურ მონაცემებზე დაყრდნობით აღდგენილი *დგ^ა-გ „მწარე“ და ს.-ქართვ. *მდოგუ- არქეტიპები სტრუქტურულ-ფონეტიკური იგივეობას ამჟღავნებენ. ახსნას ითხოვს სემანტიკური ოპოზიცია *მწარე* ~ *მდოგვი*, რაც გასაგები ხდება თუ გავითვალისწინებთ რუსული горчица „მდოგვი“ სიტყვის წარმომავლობას. ეს უკანასკნელი ეტიმოლოგიურად горький „მწარე“ სიტყვას უკავშირდება [ფასმერი 1986, I : 445].

გასარკვევია ინგლისური dough „ცომი“ და მის შესატყვის დან. deig, შვედ. deg... ძირებთან მიმართების საკითხი.

ს.-ქართვ. *მეკუტ- „მკვრივი“

ქართ. მკვრ-ივ-ი

ზან. (მეგრ.) მარკვ-ა „მკვრივი, შემკვრივებული“

თუ ქართული უცვლელად ინახავს რ-ს პოზიციას, მეგრულში ის ფუძის შიგნით არის გადასმული [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 296]; სამაგიეროდ, ძირის გახმოვანება ამ შემთხვევაში მეგრულს უკეთ დაუცავს.

ს.-სინდ. *პარკუტ-გ „შეკუმშული“

ადილ. (ჭემგ.) პგ^ა რკუტ „შეკუმშული“

სპეციალურ ლიტერატურაში საკითხი ისმის რ ფონემის ფუძეში ფონეტიკურად განვითარების თაობაზე [კვახაძე 2014 : 237], რაც არ უნდა იყოს მართებული. ქართველური რ, სწორედაც, ადილურის შესატყვისი გამოდის. ამ უკანასკნელში რ ვიბრანტმა მეგრულივით იცვალა ადგილი. ორივეგან ფონოტაქტიკური შეზღუდვა ხდება მეტათეზისის საფუძველი.

საყურადღებო ჩანს ს.-ქართვ. მ : ს.-სინდ. პ ბილაბიალური ოპოზიცია; უფრო ხშირად პირიქით ხდება ხოლმე.

ს.-ქართვ. *მენ- „სენაკი, სამყოფი“

ქართ. მენ-ა „სენაკი; სამყოფი, სადგომი“ (საბა), ინგლ. მენ-ა-დ „თიხის ნახევარქვევრა“

ზან. მან-, ო-მან-ე „სორო, ბუნაგი“, ო-მან-ე (მიკროტოპ.)

ქართულ-ზანური ძირების შესატყვისი სვანურში ჯერ-ჯერობით არ არის გამოვლენილი. ზანურშიც მან- დამოუკიდებლად არ ჩანს, იგი მხოლოდ ო-მან-ე (=ქართ. სა-მენ-ე) სიტყვაში გამოიყოფა. ქართული ენის დასავლურ დიალექტებში გავრცელებული ო-მან-ო „სორო“ მეგრულ-ლაზურში წარმომავლობისაა.

ს.-სინდ. *ტენ-ა „სახლი“

ადილ. ტენა, ყაბ. ტენა – „სახლი“

სინდურ-ქართველურ არქეტიპთა შედარებისას თავჩენილი ანლაუტური უ : მ ბუნებრივ მიმართებად გვესახება, ვინაიდან მ → უ საერთოსინდურში ჩანს განხორციელებული. ამგვარ დაშვებას, ქართველური მასალის გარდა, მხარს უჭერს დადესტნური ინფორმაცია : დილ. მინა „შენობა“, ლაკ. მინა „საცხოვრებელი ადგილი“, შდრ. ასევე ანდ. მუნ „ბაკი“.

არ არის გამორიცხული, რომ ქართული ვან-ი სხვა წარმომავლობის ძირი იყოს და არ გულისხმობდეს ჩერქეზულ ეტიმოლოგიას [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 471].

ს.-ქართვ. *მერც- „საჭრელი; ცული“

ზან. {მაჩ-ა}, შდრ. რაჭ. (← ზან.) მაჩ-ა „ქვის სათლელი იარაღი კალატოზისა“

სვან. მერჩ-ილ „ცული“

ქართულში მერც- სტრუქტურის ფუძე დაკარგული ჩანს. საერთოქართველური არქეტიპის რეკონსტრუქცია სვანურ-ზანური ფორმების საფუძველზე ხერხდება მხოლოდ.

ს.-სინდ. *ბეჩ-ა „ჭრა; ნამგალი“

ადილ. ლუგ-ფჩ, ყაბ. ლუგ-ბუა „ნამგალი“

უბიხ. ფჩა- „ძირში ჭრა“

ადილურ ენებში ლუგ- სეგმენტი რკინის აღმნიშვნელი ჩანს, რის გამონაწევრებას უბიხურში პოვნიერი ფჩა- ზმნა უწყობს ხელს. უბიხურშივე ფიქსირდება ლუგფჩა „ნამგალი“ სიტყვაც, იგი ადილურიდანაა შეთვისებული [შაგიროვი 1977, I : 136-137].

სინდურ ენებთან შედარებისას რ ზედმეტად დაჩნდება ქართველურში, თუმცა დადესტნური მასალა მის პირველადობას უჭერს მხარს, შდრ. ჭამალ. მირჩა „ხანჯალი“.

ს.-ქართვ. *მერწ-ო „ლოკოკინა“

ქართ. ლორწ-ო, ლაზ. ფენწ-ო // ფენწ-ე // ფეწ-ო // ფეწ-ე „ლოკოკინა“

სვანურში შესაბამისი ძირი არ ჩანს. პრობლემურია თვით ქართულ-ზანური მიმართებაც – ანლაუტის ლ : ფ, რაც, შეიძლება, ამოსავალ მ-ზე მიუთითებდეს, შდრ. ასევე ლაზ. ფონწო „თევზის სახეობა“ [კლიმოვი 1964 : 189].

ს.-სინდ. *მწ- „ლოკოკინა“

უბიხ. მეწ „ლოკოკინა“

სხვა სინდურ ენებში ფუძე დაკარგულად ითვლება, ამიტომაც ფუძეენურ სახეობაზე მხოლოდ უბიხურის მიხედვით არის შესაძლებელი მსჯელობა.

საყურადღებოდა გვეჩვენება ახვახური ფორმა ბეზ-ე „ლოკოკინა“, რომელიც ნახურ (ჩეჩნურ) ნასესხობას წარმოაჩენს – ს.-ნახ. *ბეწ-ე → ჩეჩნ. ბეზე // ბეზე → ახვახ. ბეზე.

ს.-ქართვ. *მერჯ- „ხის სკამი“

ძვ. ქართ. მერჯ-ი „გრძელი სკამი“ (საბა), თუშ. მეჯ-ი „ტახტი“, ახ. ქართ. მერხ-ი

თუშურ დიალექტში რჯ ბგერითი ჯგუფი გამარტივდა – მერჯ-ი → მეჯ-ი; სამაგიეროდ, ფარინგალური ჯ ფმინვიერი აფრიკატი უცვლელად შემოგვენახა.

ს.-სინდ. *მეჯ(ჟ)ა „ხე, ხის ნივთები“

ადილ. ფხა, ყაბ. ფხა „ხე; ხის მატერიალი“

უბიხ. მეხ^ა-, სიტყვებში: მეხ^ა-ჟ^ა „ერთგვარი ხის ნიჩაბი“, მეხ^ა-წ^ა „ხის კოვზი“

აბაზ. მჰა-ჟ^ა „ხის კოვზი“, აფხაზ. ა-მჰ-წ^ა „ხის კოვზი“, ა-მჰა-ბგსთა, ბზიფ. ა-მჰა-ფ „ხის ნიჩაბი“

ხის სემანტიკა ყველგან მეორდება როგორც ქართულ, ისე სინდურ ენებში. ამ უკანასკნელში საყურადღებო ჩანს ჰ. : ხ/ხ^ა ბგერათშესატყვისობა, რაც უბიხურის შემთხვევაში ძირეული თანხმონის ისტორიულ დაბალიზაციაზე მიუთითებს, ხოლო მ → ფ კომბინატორული დაყრუების ფონეტიკური პროცესი ჩანს ადილურ ენებში.

სხვათა შორის, მონათესავე დაღესტნურ ენებში დასტურდება როგორც, ქართველურისებური (რ სონორიანი), ისე სინდური (ჟ სონანტური) შესატყვისები: დარგ. მაჯ // მაჯ^ა, ლაკ. მაჯ // მაჯ^ა (ვიცხ.), მაგრამ კრიწ., ბუდუხ. მერხ „არყის ხე“ [სხვა იბ.-კავკ. მასალისათვის იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 810].

ს.-ქართვ. *მეს- „წულა“

ქართ. (დიალ.) მეს-ი „წულა“

ზან. (მეგრ.) მაშ-აია „წულა“

ჩნდება ეჭვი ქართ. მესტ- (← ოსურ. ?) სახელთან მიმართებასთან დაკავშირებით, მაგრამ ამ ჯერზე რაიმე კონკრეტულისგან თავს ვიკავებთ. უფრო დამაჯერებელი ჩანს მეს-/მაშ- შეპირისპირება, რომელიც, იდენტურ სემანტიკასთან ერთად, კანონზომიერ ე : ა და ს : შ ბგერათშესატყვისობებს წარმოაჩენს.

ს.-სინდ. *მშ-გ „მესტი; პაიჭი“

აბაზ. მსგ, აფხაზ. აი-მსგ „მესტი, პაიჭი“

ჩერქეზული მონაცემები გვაკლია; მიუხედავად ამისა, შესაძლებელი ჩანს საერთოსინდური *მშ-გ არქეტიპის რეკონსტრუქცია, რომლის მხოლოდ რედუცირებულ -მსგ ფუძეს წარმოგვიდგენს აფხაზურ-აბაზური ენები.

არ გამოვრიცხავთ გენეტიკურ კავშირს დაღესტნურ შესატყვისებთან, შდრ.: ანდ. ნასა-ილ, ბოთლიხ. ნასა-ირ, ლოდ. ნასა-ი „ფეხსაცმელი“...

ს.-ქართვ. *მესკ- „ცეცხლი; მნათობი“

ძვ. ქართ. მასკ-ულ-ავ-ი // მასკ-ლ-ავ-ი // ვარსკ-ულ-ავ-ი, ახ. ქართ. ვარსკ-ვლ-ავ-ი „ვარსკვლავი“

ზან. (მეგრ.) მასკ-ურ-ი // მასქ-ურ-ი „ვარსკვლავი, მნათობი“

სვან. -მესკ // -მესგ, ლე-მესგ (ზს.), ლე-მეს (ლშხ.) ლე-მესკ (ლნტ.) „ცეცხლი“

ქართულ-ზანური -ულ/-ურ სუფიქსთა ფუნქციურ შესატყვისად მივიჩნევთ ლე- პრეფიქსს სვანურში. ეს უკანასკნელი სხვაგანაც დაჩნდება: ლე-რთენ „მარცხენა“, ლე-რსგ^ა-ენ „მარჯვენა“...

ს.-სინდ. *მასკ^ა-ჰ „ნაპერწკალი“

ადილ. მასკ^აჰ // მასკ^აჰ, ყაბ. მასკ^აჰ // მასკ^აჰ „ნაპერწკალი“

ადილურ ფუძეთა შემდგომი სეგმენტაცია უსაფუძვლოდ გვეჩვენება [შდრ. კუიპერსი 1960 : 84; შაგიროვი 1977, II : 111]. ს.-სინდ. *მასკ^ა-ჰ „ნაპერწკალი“ არქეტიპის გაგრძელება შეიძლება იყოს

ასევე ყაბ. **მასჭ** „ნახშირი“. ვერ გავიზიარებთ სვანური **-მესკ** // **-მესგ** ალომორფების ჩერქეზული-დან სესხების თეორიას [ჯანაშია 1942 : 271], ვინაიდან პალეოკავკასიური ეტიმოლოგიის ძირთან გვაქვს შეხება, რომელსაც ნახურ ენებშიც უდასტურდება შესატყვისი, შდრ. წ.-თუშ. **სკივ** „ნაპერ-წკალი“ შებრუნებული წყობის ძირი.

ს.-ქართვ. ***მეფხუ-ა** „ყინვა; ყინული“

ძვ. ქართ. **ნეფხუა-ფ**, **ნეფხუა-ვ-ნ**, **ნეფხუ-ავ-ს** „ყინავს“, სა-**ნეფხუ-ავ-ი**

ზან. (ლაზ.) **-მაფხა** „ყინული“, სიტყვაში წა-**მაფხა** „წყაროსწყალი“, შდრ. მეგრ. წყუ-რგილ-ი/ე = წყალ-ცივი

ო. მემიშიშის აზრით, ლაზური წა-**მაფხა** შეიცავს ძველქართული **ნეფხუა-** „ყინვა“ სიტყვის ზანურ შესატყვის **მაფხა** (← ***მაფხუა**) „ცივი, ყინული“ ფორმას. უფრო ზუსტად წა-მაფხა მეგრული წყუ-რგილ-ი/ე (=წყალცივი-ი) თხზული სიტყვის ანალოგიურია შედგენილობის მიხედვით [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 240].

ს.-სინდ. ***მახუა** „ყინვა“

ადილ. **-მაჰ**, სიტყვაში **ჭ-მაჰ** „ზამთარი“, ყაბ. **-მახუა**, სიტყვაში **ს-მახუა** „ზამთარი“

ჩერქეზულ კომპოზიტებში **ჭ-ს/ს-ქართული წელ-** „წელი“ ფორმის შესაფერისი ჩანს, ხოლო **-მაჰ/-მახუა** შეიცავს იმავე ძირს, რასაც ს.-ქართვ. ***მეფხუ-ა** „ყინვა; ყინული“ არქეტიპი, ანუ ს.-სინდ. კომპოზიტი ***წ-მახუა** = დრო ყინულოვანი, ე.ი. ზამთარი. **-მაჰ/-მახუა** სეგმენტთა დამთხვევა დღის აღმნიშვნელ ომონიმურ ძირებთან შემთხვევითია. ეს ორი ძირი მკაცრად უნდა იქნეს გარჩეული ერთმანეთისაგან. ძირ-ფუძეთა ამავე რიგში შემოდის ნახური **დოჰა-** / **დაჰუო** „ყინვა“ ზმნაც [ჩუხუა 2008 : 442].

ს.-ქართვ. ***მექუ-** „თივის ზვინი“

ქართ. (ლექს.) **მექვი**-ი „თივის პატარა გროვა; ბულული“, რაჭ. **ნექვი**-ი „ნაწილ-ნაწილ აგროვე-ბული თივა ზვინის დასადგმელად“

სვან. **მექუ** „ზვინი“

ზანური შესატყვისი შესაძლოა, ჩანდეს **მოქვი**-ი ტოპონიმში (აფხაზეთი). **მ** → **ნ** (მექვი-ი → ნექვი-ი) ფონეტიკურ გარდაქმნაზე მსჯელობა გაგვახსენებს ოკრიბულ **ფექო** „საბძელი“ ალომორფს, სა-დაც **მ** → **ფ** არის საგულვებელი **ზ** შუალედური საფეხურის გავლით.

ს.-სინდ. ***მჯუ-** „თივა“

ადილ. **მჯუ-გ**, ყაბ. **მჯუ** „თივა“

ჯ → **ყ** მეორეული ფონეტიკური პროცესი ყაზარდოულში განხორციელდა. ქართულ შესატყვისად ხშირად მოიხმობენ **მაგოლ-ი** ფორმას, რომელსაც **ბულულის** მნიშვნელობა ახასიათებს; თუმცა ეს უკანასკნელი სულ სხვა წარმოშობის სიტყვაა (შდრ. ნახ. **მაგარ** „ფეტვის ჩალა“) და აქ არაფერი ესაქმება [დამატებითი მასალები იხ. სრულად შაგიროვი 1977, I : 265]. როგორც ეტყობა, **ქ** → **ჯ** საკმაოდ ძველი ფონეტიკური პროცესია, რომელიც დღესაც მოქმედებს ადიღეურ ენაში.

ფაქტია, რომ ს.-ქართვ. ***მექუ-** და ს.-სინდ. ***მჯუ-** პალეოკავკასიური წარმომავლობის არქეტიპებია, რომელთა შესატყვისები თავჩენილია დადესტნურ ენებშიც: ხუნდ. **ნაჟუ**, ჭამალ. **ნიჟუ...**, ხინალ. **ნუჟ** „ბზე; ჩალა“, ოლონდ ისინი უნდა გავარჩიოთ **ხ/ხ-**ფონემიანი ახვახ. **ნიხო**, ტინდ. **ნიხუა** დიდ. **ნოხუ** „ბზუ; ჩალა“, რომელთაც განსხვავებული ეტიმოლოგია აქვთ [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 847-848].

ს.-ქართვ. *მეც- „უფროსი“
ზან. (ლაზ.) მჩ-ან-, უ-მჩ-ან-ე „უფროსი“
სვან. მეჩ-, მეჩ-ი „მოხუცი“

სხვა ქართველურ ენა-კილოებში სათანადო ძირ-ფუძეები არ ჩანს. ლაზური მჩ- ← *მჩ- და სვანური მეჩ- კანონზომიერად შეესატყვისებიან ერთმანეთს [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 327]. სვანურში -ი ზედსართაული სადერივაციო აფიქსია, შდრ. ბგ-ი „მაგარი“, წგრნ-ი „წითელი“, გტემ-ი „სავსე“...

ს.-სინდ. *ნცჷა „ღმერთი“
აბაზ. ნჩჷა, აფხაზ. ა-ნცჷა // ა-ნჩჷა „ღმერთი“

ჩერქეზული ენების მასალა, რომელიც მეტად საჭირო ინფორმაციას მოგვცემდა, დაიკარგა.

ს.-ქართვ. მ : ს.-სინდ. ნ სონორული შესატყვისობის კანონზომიერებაზე მიუთითებს მ/ნ სუბსტიტუცია დადესტნურ და ნახურ იზოგლოსებში : დარგ. უცმ-ი „მმართველი, სეფეწული“, წახ. ცუმა „სასიძო“, ხუნდ. ნუც-ალ / ნუც-რ-მა-ტ „პრინცი, უფლისწული“..., ჩეჩნ. ნუც, ინგუშ. ნეც, ს.-ნახ. *ნეცჷ- „სიძე, სასიძო“ [მეტი იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 854-855].

ს.-ქართვ. *მემ- „მიზეზი, საბაზი; საყვედური“
ზან. (მეგრ.) მანჯ-, სა-მანჯ-ელ-ი „საბაზი, მიზეზი“ „თავის გასამართლებელი“

სვან. მეჯ-/მჯ-, ხ-ე-მჯ-წლ (ლო-ხ-მეჯ-წლ) „უსაყვედურებს“

შესატყვისობა სვან. მეჯ- : ზან. მანჯ- ქართულისათვის მემ- სახეობის ფუძეს გვავარაუდებინებს, რომელიც ამავდროულად ემთხვევა ფუძეენურ მონაცემს.

ს.-სინდ. *მამ-ა „საიდუმლო“
აბაზ. (ტაპანთ.) მამა, აფხაზ. მ-მამა, ბზიფ. მ-მამა „საიდუმლო“

შეიძლება სემანტიკურად დაიდებნოს მეტი სიახლოვე სინდურ საიდუმლო სემანტემასთან; თუკი გავითვალისწინებთ, რომ მ ი ზ ე ზ ი თავისთავად შეიცავს საძიებოს გაგებას. ყოველივე ამას ზურგს უმაგებს აღწერილ ძირ-ფუძეთა მატერიალური ერთობა, სტრუქტურული იგივეობა.

ამავდროულად მდგომარეობას ართულებს ჩერქეზულ, დადესტნურ და ნახურ შესატყვისთა უქონლობაც. საკითხი დამატებით შესწავლას საჭიროებს.

ს.-ქართვ. *მემ-არ- „ყინული; გაყინვა“
სვან. მეჯჷრ, მეჯჷარ (ლშხ.) „ყინული, გაყინული თოვლი“, ი-მეჯჷრ-ი „იყინება“, ი-მჯერ-ი „იდ“
სხვა ქართველურმა ენა-კილოებმა ამგვარი ფუძეები არ იცის, ქართული ზზარ-ი სხვა ძირი ჩანს [შდრ. ჩუხუა 2000-2003 : 153]. ალბათ, უპრიანია მემ- ფორმის ცალკე ძირად გამოყოფა. ჯერ-ჯერობით ამ მიმართულებით რამის გადაჭრით თქმა არ არის შესაძლებელი.

ს.-სინდ. *მამ-გ „ყინვა“
უზბიხ. მამგ „ყინვა“

საერთოჩერქეზულ ფუძეს მხოლოდ უზბიხური აჩვენებს. ანლაუტში ფიქსირებული მ ფონემის ფარინგალიზაციას მკვლევრები საკუთრივ უზბიხურ მოვლენად მიიჩნევენ [კვახაძე 2014 : 39].

სხვა მხრივ, ს.-ქართვ. *მემარ- : ს.-სინდ. *მამ-გ არქეტიპთა ერთიან წარმოშობას არაფერი უშლის ხელს. ვინაიდან -არ და -გ ნაწილაკები დასახელებულ ენებში ოდინდელი სუფიქსაციის ნაშთად გვესახება.

ს.-ქართვ. *მეჭჷ-ედ- „ბეჭედი“
ქართ. ბეჭ-ედ-ი „თითის სამკაული“ (საბა), აღ-ბეჭდ-ვ-ა, შე-ბეჭდ-ვ-ა
ზან. (ლაზ.) მაწკ-ინდ-ი, მეგრ. მარწკ-ინდ-ი „ბეჭედი“
სვან. მგსკ-წდ, მგსკ-წტ (ლნტ.), მგსკ-ად (ლშხ.) „ბეჭედი“

ერთი შეხედვით, პრობლემურია ქართ. **ჭ** : ზან.-სვან. **წვ**, მაგრამ **ჭუ** ლაბიალიზებული კომპლექსის დაშვების შემთხვევაში ყველაფერი გასაგები ხდება (თ. გამყრელიძის კანონი). -ედ ქართველურში სადერივაციო აფიქსი ჩანს.

ყველა ქართველური ქვესისტემის მონაცემთა ერთიანობა, კ. შმიდტის აზრით, მისაღები ჩანს [შმიდტი 1962 : 97].

ს.-სინდ. ***მგჳ-გ** „ძვირფასი ქვა“

ადიდ. **მგჳგ** „ძვირფასი ქვა“, ყაბ. **მგსა** „ძვირფასი ქვა“

ფუძე განმარტოებით დგას ჩერქეზულ ენებში, მაგრამ მოეპოვება სარწმუნო შესატყვისები როგორც ქართველურ, ისე დაღესტნურ ენებში. ძირში ისტორიული ლაბიალიზაციის კვალი წაშლილია ჩერქეზულში, მაგრამ პოვნიერია დაღესტნურ ენებში, შდრ. ლაკ. **ნუტწი** „ქვის ან რკინის თეფში“, რუთულ. **წუარ**.

უფრო ადრე ქართული **ბეჭედ-ი** და ადიღური **მგჳგ** ერთმანეთთან მ. ბუკიამ დააკავშირა [ბუკია 2016 : 131].

ს.-ქართველ. ***მეხუელ-** „ნაკვერცხალი; კვარი“

ზან. (ლაზ.) **მახვა** // **მახვალ-ი** „ნაკვერცხალი“

სვან. **მეხირ** „კვარი“

ქართულ შესატყვისს ვერ მივაგენით. რაც შეეხება სვანურ ფორმას, აქ **ირ** დაბოლოება ქართული სათავის -ელ-ს გვავარაუდებინებს, შდრ. სვან. **მგ-ნჩირ** : ქართ. **ცხელ-ი**... ქართული (საერთოქართველური) **ელ-**ის სასარგებლოდ მეტყველებს ლაზურის -ალ- დაბოლოებაც, შდრ. ბგერათმესატყვისობა ქართ. ე : ზან. ა, ს.-ქართველ. ***ე**.

წ.-სინდ. ***მუხალ-** „ნახშირი; კერა“

ხათ. **muħal** „კერა; ნახშირი“

აფხაზურ-ადიღურ ენებში სათანადო ძირ-ფუძეები, როგორც ეტყობა, დაიკარგა. მიუხედავად ამისა, ხათურ მონაცემზე დაყრდნობით აღვადგენთ წინარესინდურ პროტოტიპს, რომელიც კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართველ. ***მეხუელ-** არქეტიპს.

დაღესტნური და ნახური იზოგლოსები ამ ეტაპზე ვერ გამოვლინდა.

ს.-ქართველ. ***მეკელ-** „მკლავი“

ძვ. ქართ. **მეკელ-ნ-ი** „მკლავნი“ (საბა)

სვან. **მეკერ**, **მეკარა** (ბზ., ლნტ.) „მკლავი“

ადრე სვანურ ალომორფებს (ამოსავალია **მეკერ** ფორმა) უპირისპირებდნენ ძვ. **მკარ-** / ზან. **მხუჯ-**ი სიტყვებს [ისტორიისათვის იხ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 347-348], რაც, ორივე თვალსაზრისით (სემანტიკური და ფორმოზრივი), მიუღებელი ჩანს. ჩვენი ვარაუდით, ძვ. ქართ. **მკარ-**ი „მხარი“ სიტყვას ფონეტიკურად გამარტივებული **კარ / კარ** (← ***მკარ-**) შეესატყვისება სვანურში.

ს.-სინდ. ***მჯა** „მკლავი / ხელი“

აბაზ. **მაჯა** „ხელი, მკლავი“, აფხაზ. **ა-მახა** „ბარკალი“

შინაარსობლივად ძნელი წარმოსადგენია **ხელი** ~ **ბარკალი** კორელაცია, თორემ სხვა მხრივ - **მაჯა / -მახა** კანონზომიერი მიმართება იქნებოდა აფხაზურ-აბაზურში.

საერთოსინდური არქეტიპის რეკონსტრუქცია განხორციელდა მხოლოდ აბაზური მონაცემის საფუძველზე, რასაც მხარს უმაგრებს როგორც ქართველური, ისე დაღესტნური მონაცემები, შდრ., ლაკ. **კარა-ლუ** „ვინმეს მკლავქვეშ“.

ს.-ქართვ. ***მზა** „გამზადებული“

ძვ. ქართ. **მზა** „გამზადებული, მომზადებული“, **მზა-ყოფა**

სიტყვა დასტურდება როგორც ძველ, ისე ახალქართულ სალიტერატურო ენაში: „მზა იყვენით“; „ცისკარი მზა დავპოვოთ იგი“; „პური ჩემი მზა-მიყოფიეს“ [აბულაძე 1973 : 237]. მიუხედავად ამისა, მისი შესატყვისები არ ჩანს ქართველურ ენა-კილოებში. საკითხი ისმის **მზად-** ფუძესთან მიმართების თაობაზე.

ს.-სინდ. ***მაზა-** „მომზადებული, მზა“

აფხაზ. ა-**მაზა-**დ „მზა, მომზადებული“, ა-**მაზა-**დ-რა „მომზადება“

საერთოაფხაზურ-აბაზურ ფორმად აღადგენენ **მაზა-დგ-** სახეობის ძირს [ჩირიქბა 1996 : 111], სადაც -**დგ-**, ჩვენი აზრით, ისტორიული აფიქსია.

ქართულ-აფხაზურ ძირ-ფუძეებს აერთიანებთ სტრუქტურულ-სემანტიკური იგივეობა, როცა სრულხმოვანი ალომორფი მხოლოდ აფხაზურშია შემორჩენილი.

სხვა იბ.-კავკ. ენებში სათანადო მასალას ამ ეტაპზე ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვ. ***მზე** „მზე“

ქართ. **მზე**, სა-**მზე-ო**

ზან. (მეგრ.) **ზეა** „მზე“, ჟა-შზა „კვირადღე“, ლაზ. **მჟა** // **ზეა** „მზე“, **მჟა** / **ზეა**-ჩზა „კვირადღე“

სვან. **მეჟ** / **მიჟ** „მზე“, ლა-**მეჟ** „სამზეო“, **მიჟ**-ლადეღ „კვირადღე“

ქართველური მასალის ერთიანობა ცნობილია ჯერ კიდევ გ. როზენის პერიოდიდან [როზენი 1845 : 34].

ს.-სინდ. ***მზ** „სხივი, შუქი; ნათურა“

ადილ. **ზზგ-**დ, ყაბ. **ზზი-**დ „სხივი, შუქი“

უბიხ. **მეძა** „ნათურა; შუქი, სანთელი“

აზაზ. **მზა** „ნათურა“, აფხაზ. ა-ცტუგ-**მზა** „სანთელი“, ბზიფ. ა-**მზა** „ჩირადღანი, მაშხალა“

ადილურ ენათა **ზზ** კომპლექსი ზანურ რეფლექსაციას ემთხვევა (**ზეა** „მზე“) და ამავდროულად სვამს საკითხს ქართველურ **ზზინ-** / **ზზინ-**თან (იხ. აქვე) გენეტიკური მიმართების თაობაზე.

სარწმუნოდ გვეჩვენება ლეზგიურ ენათა **მურზ** „ალი“ სიტყვასთან გენეტიკური კავშირი, თუმცა გამოირიცხება ინგუშური **ინზა** „პატრუქი“ ფორმის ამავე რიგში შემოტანა, ვინაიდან მას ზან. (მეგრ.) **ნოზ**-უ-ა „ღამეული თევზაობა კვარის შუქზე“ ლექსემასთან ვაკავშირებთ, შდრ. მეგრ. **ნოზ-უ** / **ნუზ-უ** „ნაძვი“.

ს.-ქართვ. ***მზლილ-** „პატარა; ტილი“

ქართ. **ზზლილ-ი** „მწერის კვერცხი; ტილი“

სვან. **ზჟღერ** „ჩვილი; ყრმა“

ყურადღებას იქცევს ზანურისებური **ლ** → **რ** პროცესი სვანურში, რომელიც ზოგჯერ ერთსა და იმავე ძირშიც კი იჩენს თავს, შდრ.: სვან. **ცილ** // **ცირ** : ქართ. **ცილ** „კანის თეთრი ნაწილი“; ძვ. ქართ. **ძაჯუელ-ი** : სვან. ჟაჯუერ „არყის ხე“...

აღრე ვფიქრობდით მეგრ. **ჟღირტ-ი** / **ჟღირტ-ალ-ი** „ყრმა, ძვალრბილი“ ფორმის შესახებაც ამავე კონტექსტში, შდრ. ქართ. **ზზლიტ-ი** „მწერის კვერცხი“, „ტილი“ [ჩუბუა 2000-2003 : 71].

ს.-სინდ. ***ზღა-** „მცირე“

ადილ. (ჭემგ.) **ზღა-**დ „მცირე“

სავარაუდოდ, საერთოსინდური წარმომავლობის არქაული ძირი შემორჩენილია მხოლოდ ჭემგურ დიალექტში.

ს.-ქართვ. ***მზლილ-** : ს.-სინდ. ***ზღა-** არქეტიპთა შედარებითი ანალიზით ირკვევა, რომ მ-ქართველურში არაძირეულია, რომელიც საერთოდაც ხშირია ზედსართავებში: **მცირე**, **მწარე**...

უფრო მნიშვნელოვნად გვესახება ბგერათშესატყვისობათა ჩვენება B ტიპის ჰარმონიულ-დეცესიურ კომპლექსთა დონეზე **ზღ/ზღ**.

სხვა იბ.-კავკ. ენებიდან ინტერესს აღძრავს ბოთლიბ. **ზუკუ** „პატარა“ ფორმა, თუმცა რამის გადაჭრით თქმა გაჭირდება (შდრ. მეგრ. **ძუკურ**-ია „ტანდაბალი“)...

ს.-ქართვ. ***მთხჷ- / *თხჷ-** „შეგროვება; მოცილება“

ქართ. ა-**მთხვ-ევ**-ს „ახვედრებს“, შე-**მთხვ-ევ**-ა „შეხვედრა“, და-**თხოვ-ებ**-ა

ზან. **თხ-** // **ნთხ-**, მეგრ. მო-**მთ**-უ „ემთხვია, მოჰკიდა“, ლაზ. მ-ი-**ნთხ**-უ „id“

სვან. **თხ-**, ა-**თხ**-ა „ახვედრებს, თავს უყრის“

ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი ძირთა შესაძლო ერთიანობა სხვაგვარად არის წარმოდგენილი ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში, რაც არ იძლევა სრული სურათის აღდგენის შესაძლებლობას [იხ. კლიმოვი 1964 : 98; ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 330].

ს.-სინდ. ***თხჷ-** „მოგროვება / შეგროვება; მოცილება“

ადილ. **თხჷ-**გნ, ყაბ. **თხჷ-**გნ „მოგროვება, შეგროვება“

უბიხ. **თხჷ-**, აა-**თხჷ-**, ლა-**თხჷ-** „მოცილება“

ზუსტად ისევე, როგორც ქართველურ ენებში, აქაც ორი ძირითადი შინაარსი ფიგურირებს *შეგროვება ~ მოცილება*, რაც მეტად ღირებული მატერიალური ერთიანობის (კომპლექსთა **თხჷ-**) დონეზე არის რეალიზებული.

ს.-ქართვ. ***მიდალ-ო** „მინდორი“

ქართ. **მდელო-**, ძვ. ქართ. **მდელო**-ოვან-ი, **მდელო**-მს მძოვარ-ი „ბალახის მჭამელი“

ზან. (ლაზ.) **მინდორ**-ი, მეგრ. **მინდორ**-ი „ველი“, **მინდორ**-ო „ველად“, **მინდორ**-ია „მცირე მიწა“, შდრ. ქართ. (← ზან.) **მინდორ**-ი

როგორც ხშირად ხდება ხოლმე, აქაც ქართულის ბოლოვიდურ **ო**-ს ზანურში ნული შეესატყვისება, შდრ. ქართ. **ღვინ-ო** : ზან. **ღვინ**-ი „id“...

ს.-სინდ. ***მგრდ-ა** „გორაკი“

აბაზ. **მარდა**-რა „მალლობი, ციცაბო“, აფხაზ. ა-**მარდა** „გორაკი“

ჩერქეზული მონაცემები არ ჩანს. წარმოდგენილი ძირის **მარ-და** სახეობად სემანტიკა უადგილოდ გვეჩვენება [შდრ. ჩირიქა 1996 : 112], ვინაიდან, ქართველურის გარდა, დადესტნური მასალაც **დ**-ს ძირეულობას უჭერს მხარს, შდრ. ხინალ. **მგდა** „გორაკი, მალლობი“.

ინლაუტური **რ** აფხაზურ-აბაზურში ქართველური **ლ** სონორის კანონზომიერ შესატყვისად გვესახება – **ლ** → **რ**.

ს.-ქართ. ***მილ-** „მილი“

ქართ. **მილ**-ი, **მილ**-აკ-ი

ფიქსირდება საბას ლექსიკონში, თუმცა არ ეძებნება ქართველური შესატყვისები. ფიქრობენ ქართ. **მილ**-ის პარალელებზე მცირეაზუილ არეალშიც (შ. გაბისკირია).

ს.-სინდ. ***მლა-** „კიბე“

აბაზ. -**მლა**, სიტყვაში ჩჷგ-**მლა** „კიბე“

ვიზიარებთ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ აბაზური ჩჷგ-მლა „კიბე“ რთული შედგენილობისაა. პირველი კომპონენტი ჩჷგ- „აფრენა, აწევა“ ზმნა არის.

ს.-ქართვ. ***მილ-** „მილი“ ~ ს.-სინდ. ***მლა-** „კიბე“ სემანტიკურად *მერთებლის* გაგებით ერთიანდება, თუმცა *მილის* წარმოდგენა *კიბის* შემადგენელ ნაწილად ასევე ბუნებრივად გვესახება.

საგულისხმო ჩანს ხუნძური შესატყვისი **მალრ** // **მილი** „კიბე“ [მეტი იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 317-318]

ს.-ქართვ. *მის- „დღე“

სვან. მიშ „დღე“, ამ-მიშ „ამ დღეებში“, ეჯ-მიშ „იმ დღეებში“

საძიებო ძირი მხოლოდ სვანურში იძებნება, თუმცა მას საერთოქართველური წარმომავლობა ახასიათებს, თავისებურია ბალსქვემოური მგამ ალომორფი (მგ- პრეფიქსია?).

ს.-სინდ. *მეს(ჟ)- „დღე“

ადილ. მაჭჷ ← *მახჷჷ, ყაბ. მახჷჷ-ჷ „დღე“

უბიხ. მესჷ-ა „დღე“

აბაზ. მშ-გ, აფხაზ. ა-მშ „დღე“

სინდურ ენებში შესაძლებლად მიიჩნევენ მგ- პრეფიქსის გამოყოფას [ჭარაია 1912 : 46; როგავა 1956 : 26; კუიპერსი 1960 : 111; შაგიროვი 1977, I : 262], სადაც -ხჷ/-შ მიიჩნევა სინათლე / ნათელ ძირად. ამ თვალსაზრისს სვანურიც (ბალსქვემოური მგამ) მხარს დაუჭერდა, თუმცა საკითხი დამატებით კვლევას საჭიროებს [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 822].

ს.-ნახ. *მალხ „მზე“ და ანდ. ენათა მილ(ი) „მზე, დღე“ სხვა ეტიმოლოგიისა ჩანს, შდრ. ქართ. სა-მხარ-ი, სვან. მგხარ // მგხარ „ხვალ“.

ს.-ქართვ. *მის- „წინა“

სვან. მის- „წინ“, მის-ას „წინათ“

საერთოქართველური *მის- არქეტიპის რეფლექსი მხოლოდ სვანურს შემორჩა. ყოველ შემთხვევაში, სხვა ქართველურ ენა-კილოებში (გამოქვეყნებულ ტექსტებსა თუ ლექსიკონებში) მის-ძირი ჯერ-ჯერობით არ ჩანს.

ს.-სინდ. *ზეს-ჷ „წინამძღოლი“

ადილ. ფაშ „წინამძღოლი, მეთაური“

აფხაზ. ა-ფეზა „მეთაური“

ახსნას ითხოვს შ : ზ ფონემური ოპოზიცია, რომელიც შეიძლება, ს → ზ გამჟღერების ტენდენციის ამსახველი იყოს აფხაზურში.

ს.-ქართვ. *მის- „წინა“ ~ ს.-სინდ. *ზესჷ „წინამძღოლი“ შეპირისპირებით ირკვევა, რომ სინდური გ ამოსავალი ი ხმოვნის ალოფონია, ხოლო წინამძღოლის შინაარსი წინმყოფის (ანუ ქართველური წინა) გაგებიდან განვითარდა.

ს.-ქართვ. *მიწ- / *წიმ- „წინ“

ზან. (მეგრ.) მიწ-ო-ხენ „წინ ზის“ // წიმო-ხენ „id“, შდრ. წიმ-ი „წინ“, წიმ-ო-ხ „წინ“, წიმ-ო-ხ-ონ-ი „წინანდელი“

ამ ფორმით მეგრული უნიკალური ჩანს, თუმცა არ გამოირიცხება მისი ეტიმოლოგიური კავშირი ქართულ წინ-, წინ-ა- ამავე მნიშვნელობის სიტყვასთან.

ს.-სინდ. *მწ-ა „წინ“

აფხაზ. ა-მწა „წინ“

სინდურ-ქართველური იზოგლოსები აქ მხოლოდ ორი ენობრივი ერთეულით არის წარმოდგენილი, თუმცა გასათვალისწინებელია უდიური წირი „წინათ“, რომელიც, ალბათ, დარგულ წილი „შემდეგ“ სიტყვას ენათესავება.

ს.-ქართვ. *მკალ- „კალია“

ძვ. ქართ. მკალ-ი „კალია“, კალ-ია

ზან. (ლახ.) მკოლ-ი → // ნკოლ-ი // კოლ-ი, მეგრ. ნკოლ-ი // კოლ-ი „კალია“

ფუძის ამოსავალი სახეობა ძველ ქართულს დაუცავს, სადაც უძველეს ტექსტებიდან მხოლოდ მკალ- სახეობა არის ცნობილი [იხ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 261]. მ-ს დაკარგვა ახალ ქართულსა და მეგრულში მეორეული მოვლენაა.

ს.-სინდ. *პკაჲ-ჲ „ნემსიყლაპია“

ადიდ. პკაჲ, შაფს. პკაჲ, ყაბ. პკაჲჲ, ბასლენ. პკაჲჲ „ნემსიყლაპია“

ჩერქეზულ ენებში სახეობა ლ → ჴ სვანურისებური პროცესი. ს.-სინდ. *პკაჲჲ „ნემსიყლაპია“ : ს.-ქართვ. *მკალ- „კალია“ კანონზომიერ მიმართებას ასახავს – პკ : მკ, ჴ : ლ, ბოლოკიდური -ჲ სუფიქსური ჩანს [შდრ. ქართ. კალ-ია). ბუნებრივია ოპოზიცია სემანტიკურ დონეზეც ნემსიყლაპია ~ კალია [როგავა 1956 : 89].

ქართულ-ჩერქეზულ ფუძეებს შესატყვისები ეძებნება დაღესტნურ (ხუნძ. კარა, ანდ. ენ. კარა „კოლო, ბალღინჯო, ბუზანკალი“...) და ნახურ (წ.-თუმ. კელ „კრაზანა, ბზიკი“) ენებში.

ს.-ქართვ. *მოზჲ- „მოზვერი; ერთი წლის ხბო“

ძვ. ქართ. მოზჲ-ერ-ი ეწოდების... წელიწადზე მეტსა საჯარესა“ (საბა), აჭარ. მოზვ-ი → // მოზ-ი „ერთი წლის შემდეგ პირველგამოზამთრებული ხბო“

ზან. (ლახ.) მოზ-არ-ი // მუზ-არ-ი // მოზ-ა-ი (← *მოზვ-არ-ი) „დედალი ხბო“, მეგრ. მოზუ-კია „პატარა მოზვერი“

აჭარულისა და მეგრულის ჩვენებით, მოზვ-ერ-ში ძირად მოზვ- უნდა გამოიყოს [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 213].

ს.-სინდ. *მეზჲ- „დეკეული“

ყაბ. მეზჲ „ძროხების მოსახმობი შორისდ.“

უბიხ. მეზჲ-ღჲ „დეკეული, heifer“

გამოირიცხება უბიხური სიტყვის რაიმენაირი კავშირი აბაზ. ჟჲჲ, აფხაზ. ჳ-ჟჲ „ძროხა“ ფუძესთან [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 263]. აქვე შეიძლება გვეფიქრა რ → ლ უბიხურისთვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესის შესახებ, მაგრამ უპრიანი ჩანს -ღჲ სემანტიკის სუფიქსურობაზე საუბარი.

ანგარიშგასაწევი ლექსიკური პარალელი ვლინდება მონათესავე დაღესტნურ ენებშიც, შდრ. უდ. მოზ-ი „ხბო“.

ს.-ქართვ. *მოთალ- „წათხიანი ყველი“

ქართ. მოთალ-ი „წათხიანი ყველი“

სიტყვა დასტურდება მხოლოდ ქართულში; ზანურში მოსალოდნელი {მუთჲ}, ან სვანური {მოთაჲ}/{მოთჲ} სახეობის ალომორფები არ არის გამოვლენილი.

ძირის ფუძეეწური წარმომავლობის მტკიცებისთვის გადაწყვეტი მნიშვნელობისა ჩანს მისი ხათური და დაღესტნური შესატყვისების პოვნირება.

წ.-სინდ. *ბითან-ჲ „ყველი“

ხათ. witanu „ყველი“

თავკიდური w ხათურში, შეიძლება, ასახავდეს წინარესინდური ბ არქიფონემის სონანტურ რეფლექსს, ან სულაც უდრიდეს ბილაბიალურ b მჟღერს – w=b, თუმცა ს.-ქართვ. მ : ხათ. w ფონე-მური ფარდობაც არ არის პრობლემური.

ხათურ-ქართული იზოგლოსების კანონზომიერ დაღესტნურ შესატყვისებად გვესახება არ-ჩიბ. მურთილა, კარატ. ბერთინ „ყველი“ ლექსემები.

ს.-ქართვ. *მორ- „მორი“

ქართ. მორ-ი, ნა-მორ-ი

ზან. (მეგრ.) მურ-უა „მორი“, ლაზ. ნო-მურე „ნამორი“

სვანური ეკვივალენტი ვერ გამოვავლინეთ. როგორც მოსალოდნელი იყო, ქართ. ო-ს შესატყვისად ზანურში უ დადასტურდა. საინტერესო ჩანს -უა სუფიქსი მეგრულში, როცა ლაზური მხოლოდ ქართული ნა-მორ-ი დერივატის შესატყვის ნო-მურ-ე-ს იძლევა. მორ-იელ- სახელი ქართულში მორ- ფუძისგან არის ნაწარმოები.

წ.-სინდ. *მურ-უ „მორი, კოჭი“

ხათ. muru „მორი; კოჭი“

ადვილი შესამჩნევია ხათურ-ქართველური იზოგლოსების ერთგვაროვანი სტრუქტურა და სემანტიკა, რაც ძირის პალეოკავკასიური ეტიმოლოგიით აიხსნება მხოლოდ.

შესატყვისებს სხვა იბ.-კავკ. ენებიდან ვერ მივაკვლიეთ. საკითხი დამატებით შესწავლას საჭიროებს.

ს.-ქართვ. *მორგუ- „კუნძი“

ქართ. მორგვ-ი

ზან. (მეგრ.) მურგ-ი „კუნძი კერიაში“

ქართულში კუნძის მნიშვნელობა საცნაურია საბას პერიოდიდან მაინც. ანგარიშგასაწევია ზანურის სემანტიკა, რომლის ღირებულებას დაღესტნურ ენათა მონაცემების განხილვისას ვიგრძნობთ.

ს.-სინდ. *გუამ-ზ „როკი; ტოტი“

ადილ. გუამზ, ყაბ. გუანზ „როკი; ტოტი“

როგორც ვხედავთ, შებრუნებული წყობის ფუძეებია, დათუ რომელმა იცვალა ამოსავალი თანმიმდევრობა, ცხადი ხდება დაღესტნურთან შედარებისას, შდრ.: ახვახ. მიგო, ლაკ. მაქ, არჩიბ. მაქუ „კვარი“.

ს.-ქართვ. *მოს- „ძაფი“

ქართ. მოს-ელ-ი, შდრ. მოს-ავ-ს

ზან. (მეგრ.) მოშ-, ო-მოშ-ირ-ი / ო-მოშ-ერ-ი „საქსოვ ყდაზე სიგანით გაბმული ძაფი“

ჰიპოთეტურად მეგრული ო – ირ ქართულში მოსალოდნელი სა – ილ კონფიქსის შესატყვისი ჩანს, შდრ. ქართ. სა-მოს-ელ-ი (?). ყველა შემთხვევაში, მეგრული მოშ- ენდემური ძირია და ფუძე-ენური მდგომარეობისთვის *მოს- არქექტივის პოვნეირებაზე მიუთითებს.

ს.-სინდ. *გუს-გ „თასმა; ბაწარი“

ადილ. ფსგ, სიტყვაში ლწ-ფსგ „თასმა ფეხსაცმლისა“ (შდრ. ლწ- „ფეხი“), ყაბ. ფსგ „თასმა, ზონარი“, ლწ-ფს „ფეხსაცმლის თასმა“, ლწგუგ-ფს „პაჭანიკი“

უბიხ. ნდუშუშ „თოკი“

აფხაზურ-აბაზურში სათანადო ძირი არ ჩანს. ადილური ჭწ-ფსა კომპოზიტია, სადაც პირველი კომპონენტი ჭა ← კა, ალბათ, კულის აღმნიშვნელი თუა (?). უბიხურში დუ ლაბიალიზებული კომპლექსის არსებობა ადილური ფ ბილაბიალის საპირისპიროდ მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ აქ საგულვეტელია დამახასიათებელი ბ → დუ (ისევე, როგორც ფ → თუ, კ → ტუ) დელაბიალიზაციის საკუთრივ უბიხური პროცესი.

ოსური ჭეფს/ჭეფსი „ტყავის ნაჭერი“ ადილურიდან არის ნასესხები [ბალყაროვი 1965 : 25].

ამოსავალში ძირეული ხმოვანი ო/უ რომ უნდა ყოფილიყო ნათლად მტკიცდება ნახური (ჩენჩ.-ინგლმ. მუშ „თოკი, ბაწარი“) და დალესტნური მონაცემების მოშველიებით, შდრ. ხუნდ. მუშ „ხრალის ბაწარი“.

ს.-ქართვ. *მოყ- „ყუა“

სვან. მეყ „ყუა (პურისა)“, მრავლ. რ. მოყ-პრ

ქართველური ენებიდან მეყ „ყუა“ მხოლოდ სვანურს შემორჩა. არადა, მისი შესატყვისები იბ.-კავკ. ენათა ოჯახის ყველა ჯგუფში ფიქსირდება. მრავლობითის მოყ უფრო ძველი უნდა იყოს სვანურში, შდრ. ს.-ნახ. *მუყ „ტარი, ყუა“.

ს.-სინდ. *მჭა „ხელის მოსაკიდებელი; ყუა“

აბაზ. მჭა, აფხაზ. ა-მჭა „ტარი; ყუა“

ს.-ქართვ. *მოყ- „ყუა“ : ს.-სინდ. *მჭა „ხელის მოსაკიდებელი; ყუა“ კანონზომიერი მიმართე-ბაა. ფონეტიკური გარდაქმნა ყ → ჭ საკუთრივ-სინდური მოვლენა ჩანს, შდრ. ს.-ნახ. *მუყ „ტარი, ყუა“, დალ., დიდ. მოჯუ „პეშვი“ [მეტი დალესტ. იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 830].

ს.-ქართვ. *მოცუ- „მოცვი“

ქართ. მოცვი-ი [Vaccinium arctostaphylos]

ზან. {მუნჩ-ი}, შდრ. ტოპ. მუნჩ-ია (ხოზის რ-ნი)

ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის მიხედვით სალიტერატურო მოცვ- „ძირს ზანურში მურ- უნდა მოეცა, რომელიც ცალკე სიტყვად არ ჩანს. თუმცა შეიძლება მოცვ-ის შესატყვისი მუნჩ- ნ განვითარებული ვარიანტი ჩანდეს სამეგრელოს ტოპონიმ მუნჩ-ია-ში.

ს.-სინდ. *ბრეცუ- „მუშმალა“

ადიდ. (შაფს.) ნა-ფცა „მუშმალა“

უბიხ. ბრეცუ „მუშმალა“

აფხაზ. ა-ბრაჩუ, ბზიფ. ა-ბრაჩუ „მუშმალა“

ყაბარდოული და აბაზური მონაცემები გვაკლია, მაგრამ უბიხურის ჩვენება, ვფიქრობთ, ახლოსაა ფუძეენურ მდგომარეობასთან.

არსებობს ცდა სინდური მონაცემები დაუკავშირდეს დალესტნურ ვაშლის აღმნიშვნელ ფორმებს, რაც ძნელად დასაჯერებელია [იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 237-238].

ს.-ქართვ. *მრეზ- / *მრიზ- „coitus“

ქართ. ა-მრეზ-ი „მოაშიყე ფრინველი“ (საბა), ა-მრეზ-ა/ა-მრეზ-ობ-ა „ჭურაობა“ (საბა), ახ.

ქართ. ა-ი-მრიზ-ა, ანუ მრეზ-/მრიზ-

ზან. (მეგრ.) რაყ-ალ-ი „გახელება“ (შდრ. მრეზ-), რიყ-ინ-ი (შდრ. მრიზ-) „წითლად ლუილი“, რიყ-ალ-ი „გაცეცხლებული, გახურებული“

ს.-სინდ. *მაზ-ა „penis“

უბიხ. მაზა „პენისი“

უბიხური სიტყვა განმხოლოებით დგას ჩერქეზულ ენობრივ სამყაროში, მაგრამ აქვს ანგარიშგასაწევი პარალელები როგორც ქართველურ, ისე დალესტნურ (ბეჟიტ. შაჟარ „პენისი“) და ნახური (ჩენჩ. მუზ „პენისი“) ენებში.

ს.-ქართვ. *მრთ-ელ- „ჯანმრთელი“

ქართ. მრთელ-ი / მთელ-ი

ზან. (მეგრ.) თარ-ი ← *მთარ-ი „ჯანმრთელი“

სწორია მსჯელობა იმის შესახებ, რომ საერთოქართველურ დონეზე აქ -ელ სუფიქსად უნდა გამოიყოს, ისევე, როგორც წით-ელ-, გრძ-ელ-, ძნ-ელ-, ვრც-ელ-... სიტყვებში [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 335].

სხვა მხრივ, ქართულ მრთელ- ფუძეს კანონზომიერად შეესატყვისება ზანური თარ-, რომელიც, მეგრულში მოქმედი ფონოტაქტიკური წესებიდან გამომდინარე, გამარტივდა.

ს.-სინდ. *ბეთ-ა „მდგრადი, მკვრივი, ძლიერი“

ადიდ. ფეთა, ყაბ. ბედა „ძლიერი, მკვრივი, მდგრადი“

სხვა სინდურ ენებში საძიებელი ფუძე არ ჩანს. ფორმალურად სიტყვის ანლაუტი ყაბარდო-ულს დაუცავს უცვლელად (ბ → ფ ადილეურში), ხოლო სიტყვის შიგნით ამოსავალი თ ადილეურში შემოგვენახა. ს.-სინდ. *ბეთ-ა : ს.-ქართვ. *მრთ-ელ- სიტყვათა შედარება აჩვენებს, რომ ბ → მ საერთოქართველურში განხორციელდა, ხოლო -ელ/-ა ორსავე ფუძეენაში აფიქსებია, რომელიც მეორდება მონთესავე ნახურ ძირებშიც: ჩენ. ბუთუ, ინგუმ. ბუთუტ „ძლიერი, მაგარი“, შდრ. ს.-ნახ. *ბუთ-აჟ „id“.

ს.-ქართვ. *მსეხტალ- „ობობა“

ზან. (მეგრ.) მშახურ-ი → // მშახუ-ი „ობობა“

ზანური შესატყვისი საერთოქართველური *მსეხტალ- „არქექტიპიდან განვითარდა, რაზეც ბგერათშესატყვისობათა სისტემა მიუთითებს.

ს.-სინდ. *ფსახტა-ა „ობობა“

უბიხ. ფსახტა „ობობა“

უბიხურ-ლაზური ენობრივი შეხვედრა რეალურია, მას მხარს უჭერს დაღესტნურ ენათა ჩვენებაც, შდრ. დარგ. (ყუბაჩ.) შახა ← *შახტა „ობობა“.

ს.-ქართვ. *მსუ- „ერთგვარი მიწა (უქვო)“

ქართ. (მთიულ.) ფსუ-ი „მიწა უქვო და გაუზერკნავი“, ქართლ. ფსუ-არ-ი „მტვრადქცეული მიწა“

სავარაუდო ჩანს მს → ფს (შდრ. მსტენი → ფსვენნი...) კომბინატორული დაყრუების პროცესი ქართულში, რაც დიალექტურ არეალში მეტი გაქანებისაა.

ს.-სინდ. *ნეშტ- „მიწა, თიხა“

აბაზ. ნეშტ, აფხაზ. ა-ნეშტ „მიწა, თიხა“

ჩერქეზულ ენებში საძიებელი ფუძე, სავარაუდოდ, დაიკარგა. ს.-ქართვ. *მსუ : ს.-სინდ. *ნეშტ- კანონზომიერი და რეგულარული ფონეტიკური შესატყვისობა. იქნებ, ქართველური ძირი რედუცირებული სახეობა იყოს – *მასტ- → *მსუ- (?).

უტყუარი პარალელები თავჩენილია დაღესტნურ ენებში: ანდ. ონშ-ი, ახვახ. უსი, ჭამალ. უსი // უნსი „მიწა“ [იხ. მეტი დალ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 13].

ს.-ქართვ. *მ-სხილ- „წილი; ტილის ნაშიერი“

ქართ. (რაჭ.) ფსხილ-ი „წილი; ტილის ნაშიერი“

ფონეტიკური გარდაქმნა მს → ფს ასიმილაციური ჩანს, რომელიც რაჭულ დიალექტში განხორციელდა. სხვა ქართველურ ენა-კილოებში შესაბამისი ნიმუშები არ იძებნება.

ს.-სინდ. *სხჷ- „მცირე“

ადიდ. (შაფს.) სხჷ, ჭემგ. სხჷ-ჲ „მცირე“

საერთოქართველური *მ-სხილ- არქეტიპის კანონზომიერად შეესატყვისება ს.-სინდ. *სხნ-ძირი. თავკიდური მ- ქართველურ-ში ფიქსირდება (მ-ცირე, მ-წარე...). ვფიქრობთ, *მ-სხილ- / *სხნ-იზოგლოსები ბგერწერული ვარიანტებია ს.-ქარვ. *მ-ზღილ- : ს.-სინდ. *ზღლ- (იხ. აქვე) ფორმებისა, მათ საერთო წარმომავლობა აერთიანებთ.

ს.-ქარვ. *მუ- „მამა“

სვან. მუ „მამა“, ლა-მუ-ა „მამები“

ქართველოლოგიაში მიღებული აზრის თანახმად, სვანური მუ ქართულ-ზანური მამა/მუმა სახელების შესატყვისად მიიჩნევა [საკითხის ისტორია იხ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 316-317]. ვფიქრობთ, *მამა → *მამ → *მომ → მუ არ არის სვანურისთვის დასაშვები ისტორიული პროცესი. პირიქით, მუ ძირი საერთოქართველური წარმომავლობის დამოუკიდებელი ერთეულია, რომელსაც კანონზომიერი შესატყვისები უდასტურდება მონათესავე იბ.-კავკ. ენებში.

წ.-სინდ. *მუ- „დედა“

ხათ. mu „დედა“, teti-mu „დიდედა, ბებია“

სვანურ-ხათური ფუძეების შეპირისპირებისას თავჩენილია, ფორმალურ იდენტურობასთან ერთად, სემანტიკური ოპოზიცია მამა ~ დედა, რაც მოულოდნელი არ უნდა იყოს; ვინაიდან ეტი-მონური შინაარსი მშობლისა უნდა ყოფილიყო. თუმცა, ჩვენს ენებში მსგავსი კორელაცია ბუნებრივია სხვა საერთო მასალაშიც, შდრ. ლავ. ფფუ (← *ბუ) „მამა“ ~ არჩიბ. ბუ-ვა „დედა“; ბუ-დუხ. დიდუ „დედა“ ~ რუთულ. დიდ „მამა“...

ს.-ქარვ. *მუ-ბილ- „ქვეწარმავალი“

სვან. მებჷლ (ბზ.), მებჷილ (ბქ.), მუბჷლ (ლშხ.), ბგბილ // მუბილ (ლნტ.) „ქვეწარმავალი“

საერთოქართველური არქეტიპის რეკონსტრუქცია სვანურის მდიდარ ალომორფთა საფუძველზე ხდება. ვფიქრობთ, სიტყვის რთულ შედგენილობას და პრეფიქსად მუ-ს გამოვყოფთ. საკითხი დგება ქართულ მუმილ-ი ფორმასთან მიმართების შესახებაც.

ს.-სინდ. *ბგლ'-ა „გველი“

ადილ. ბლ'ა, ყაბ. ბლ'ა „გველი“

სადა ლ სონორის ლ' მჟღერ ლატერალურ სპირანტად გარდაქმნის ფონეტიკური პროცესი უკვე საერთოსინდურ ფუძე-ენაში ჩაისახა და განვითარდა.

ადილური ფორმების დაკავშირებას ნახურ ლაჰჷ „გველი“ სიტყვასთან არანაირი საფუძველი არ გააჩნია [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 787]. ეს უკანასკნელი ქართული ლოქო-ს შესატყვისია.

ს.-ქარვ. *მუზ- „ბორა“

სვან. მუზ „ბორა“

ძირი მხოლოდ სვანურშია შემონახული, მაგრამ აღდგება ფუძეენური მდგომარეობისათვის, ვინაიდან მყარი (სანდო) შესატყვისები მოეპოვება იბ.-კავკ. ენებში.

ს.-სინდ. *ბზა- „დიდი ბზიკი, კრაზანა“

უბიხ. ბზა-მმზ „დიდი ბზიკი, კრაზანა“

ს.-ქარვ. *მუზ- „ბორა“ ~ ს.-სინდ. *ბზა- „დიდი ბზიკი, კრაზანა“ ეფუძნება სვანურ-უბიხურ მონაცემს, მაგრამ ამ შეპირისპირების რეალურობას დამაჯერებელს ხდის დადესტნური ინფორმაცია, შდრ. ტინდ. მიშ-თა, აღ. მურჷ „ბორა; კრაზანა, ბზიკი“.

ს.-ქართვ. ***მუზრ**- „გროვა“

ქართ. (ინგილ.) **მუზრ**-უ „გროვა“

სიტყვა მხოლოდ ქართულშია შემონახული, მაგრამ აღდგება ფუძეენური მდგომარეობისათვის; ამას ამტკიცებენ მრავალრიცხოვანი იზოგლოსები ნახური და დალესტნური ენებიდან, რა თქმა უნდა, სინდურთან ერთად.

ს.-სინდ. ***ზზა**- „ბორცვი“

ადილ. (შაფს.) **ზზა**-ფ, ჭემგ. **ზზა**-ფჳ, ბჟედ. **ზზა**-ფ, ყაბ. **ზზჳ**-ფჳ „ბორცვი“

სწორია მსჯელობა იმის შესახებ, რომ **ზზა** „რქა“ დამოუკიდებელი ძირია და არაფერი ესაქმება აღწერილ ფორმებთან [კვახაძე 2014 : 23, შდრ. შაგიროვი 1977, I : 89]. რა თქმა უნდა, **ზზა**-ფჳ ცალკე სიტყვაა კომპოზიტური შედგენილობისა, სადაც -ფჳ სეგმენტი *ცხვირ-/წვერს* აღნიშნავს, ხოლო გამოყოფილი **ზზა**- კანონზომიერად შეესატყვისება როგორც ს.-ქართვ. ***მუზრ**- არქტიპს, ისე ბეჟიტ. **ბიზო**, ჰუნზიბ. **ბეზუ** „მთა“.., ინგუმ. **ბოარზ**, ჩეჩნ. **ბარზ** / **ბორზ**-ა- „ბორცვი“ ალომორფებს. აქვე საყურადღებო ჩანს ამოსავალი **რ** ვიბრანტის შენარჩუნება ნახურ-ქართველურში.

ს.-ქართვ. ***მურყან**- „თხმელა“,

ქართ. **მურყან**-ი „(ხე) თხმელა“, „რთხმელა“ (საბა)

განმარტოებით დგას ქართველურ ენებში, მაგრამ მეტად საყურადღებო შესატყვისები მოეპოვება იბ.-კავკ. ენებში.

ს.-სინდ. ***მელა**- „თხმელა“

უბიხ. **მელა**-, **მელა**-წჳ „თხმელა“, **მელჳ**-სგ „რცხილა“

ისევე, როგორც ქართულში, უბიხურში იზოლირებულად დგას **მელა**- ძირი; ქართულ-უბიხურ შესატყვისებს სერიოზული პარალელები ეძებნებათ ნახურ (წ.-თუმ. **მურყა** „თხმელა“) და დალესტნურ ენებში : ლეზგ. **მაჯუ**-ნ თარ, თაბას. **მუჯუ**-ნ ჰარ „თხმელა, მურყანი“; დიდ. **ნოჯი** „თხმელა“, ბეჟიტ. **ნაჯო**, ჰინუხ. **ნოჯე** „თხმელა“, შდრ. ხვარშ. **მოჯუ**-რკა, ინხოყვ. **მუჯუ**-რკა „მუხა“.

ს.-ქართვ. ყ : ს.-სინდ. ღ : ს.-დად. ჯ რეგულარულ-კანონზომიერი ფონემური მიმართებაა.

ს.-ქართვ. ***მურძ**- „მრგვალი ჯირკი“

ქართ. (იმერ.) **მურძ**-ი „მრგვალი ჯირკი, კუნძი“

სიტყვა დასტურდება მხოლოდ ქართულში, მაგრამ, სავარაუდოდ, ფუძეენური წარმომავლობისაა. ამაზე მეტყველებს მისი სინდური შესატყვისები.

ს.-სინდ. ***მეჯ**- „ბოძი“

ადილ. -**მეჯ**, სიტყვაში ლჳ-**მეჯ** „ხიდი“, ყაბ. -**მეჟ**, სიტყვაში ლჳ-**მეჟ** „ხიდი“

არსებობს ცდა რთული შედგენილობის სიტყვაში პირველ კომპონენტად ლჳ- „ფეხი“ გამოიყოს [შაგიროვი 1977, I : 250]. ადილურ ენებში *ხიდის* გაგება, ალბათ, ფეხ-ი + ბოძ-ი (= ხიდი) კომპოზიტისაგან განვითარდა.

ფორმოზრივად ს.-ქართვ. ***მურძ**- : ს.-სინდ. ***მეჯ**- მიმართება არ ჩანს პრობლემური. ქართველური უ ხმოვნის შესატყვისად უჳ დიფთონგს მოველოდით, მაგრამ მ ბილაბიალის მომდევნო პოზიციაში უჳ დისიმილაციით გაუჩინარდა. ჯ → ჟ საკუთრივ ყაბარდოულ ინოვაციას წარმოადგენს.

ს.-ქართვ. ***მუსა**- „ცოცხი (ერთგვარი)“

ქართ. **მუსა** „მოსაგველი რამ არის ცოცხივითა“ (საბა)

სახელი დასტურდება მხოლოდ საბას ლექსიკონში. ამავდროულად, გარეენობრივი იზოგლოსებიდან გამომდინარე, შესაძლებლად მივიჩნევთ მის ფუძეენურ წარმომავლობას.

ს.-სინდ. ***მესა**- „გვა“

აბაზ. ფსა-რა, აფხაზ. ა-ფსა-რა „გვა“, ა-ჰუგ-მს-აგ „ცოცხი“

რეალური ჩანს აფხაზურ-აბაზურში გ ხმოვნის რედუქციის მომდევნო საფეხურზე მს → ფს კომბინატორული ფონეტიკური პროცესი – მგსა- → მსა- → ფსა-. ყველა შემთხვევაში ახსნას ითხოვს ს → სჰ გაინტენსივების პროცესი აფხაზურში.

საერთოქართველური არქეტიპის არქაულ ბუნებას (სტრუქტურას) ადასტურებენ დადესტნური მონაცემები, შდრ.: ჰინუხ. მოს, ბეჟიტ. მუშო..., დარგ. მუს ← *მურს „ცოცხი“.

ს.-ქართვ. *მუტ-ელ- „vulva“

ქართ. მუტელ-ი „vulva“, „დიაცთ ასო სარცხვენელი“; „დიაცთ ასო“ (საბა)

უძველესი წარმომავლობის ქართული ძირი ჩანს, რომელსაც მეტად საყურადღებო იზოგლო-სები უდასტურდება იბ.-კავკ. ენებში. ზანურში მოსალოდნელი მუტუ ან *მუტო სახეობის სიტყვა არ იძებნება.

წ.-სინდ. *მუტ- „სხეულის ნაწილი“

ხათ. mut „სხეულის ნაწილი“

წინარესინდური წარმომავლობის *მუტ- ფორმა, რომელიც საერთოსინდურში დაიკარგა, შემორჩა ხათურ ენას. მნიშვნელობის დასაზუსტებლად გამოდგება დადესტნური შესატყვისების სემანტიკა, შდრ.: ხუნდ. (დიალ.) მუტუ, ბეჟიტ., ჰუნზიბ. მოტო „პირისახე“, ლაკ. მიტი, დარგ. (მე-ჰებ.) მანტუ „პენისი“, ჰინუხ. მუტ „ცური“...

ს.-ქართვ. *მუჭუ- „ერთი მუჭა, მუჭა“

ქართ. მუჭა-ა, მუჭი-ი „წოდების, რა მაგრად ჰელთა თითნი შეიკუმშო“ (საბა)

ზან. (მეგრ.) მუწკ-, მუწკა-ა „მუჭი“, მუწკა-ა-მუწკა-ა „მუჭა-მუჭა“

გურულ დიალექტში ფიქსირებული მუჭკა-ა „ერთი მუჭა, ის რაც ერთი ხელით დაიჭირება“ ზანურ წყაროს გულისხმობს; ამავედროულად ინახავს უფრო ძველ სახეობას [ჩუხუა 2000-2003 : 157]. ჰკ → წკ პროცესი ზანურში ახსნილია თ. გამყრელიძის წესის მოქმედებით – *მუჭკუ- → *მუწკუ- → მუწკ- [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 338-339].

ს.-სინდ. *მგჭუ- „ცოტა“

ადიდ. მგჭუ-ე, ყაბ. მასუჟუ „ცოტა“

უბიხ. მაჭ „ცოტა“

სიტყვის ბოლოში პალატალიზებული ჰ სიბილანტის პოვნეირება უბიხურში იმაზე მიაწინდებს, რომ ფუძე-ენაში არქეტიპული მონაცემი ლაბიალიზებული იყო – *მგჭუ-ე → *მაჭ. სინდურ-ქართველურ ძირ-ფუძეთა შესატყვისი ჩანს ანდიური მიჭი-გუ „ცოტა“ სახელიც.

მუჭა ~ ცოტა სემანტიკური კორელაცია ბუნებრივად გვესახება, შდრ. ქართ. მ-ტკავ-ელ-ი : დიდ. ტაკ-ი „ცოტა“.

ს.-ქართვ. *მუ-ხუბ-ე „ძმა“

სვან. მუხუბე „ძმა (ძმისთვის)“

ჯერჯერობით სხვა ქართველურ ენებში შესატყვისი ფუძე „ძმის“ მნიშვნელობის არ იძებნება. სვანურში კი ძირად ხუბი- ჩანს გამოსაყოფი, რასაც ამტკიცებს ლა-ხუბ-ა „ძმები“ მრავლ. რ. ფორმა. გარდა ამისა, დამოუკიდებლად ფიქსირდება ხუბი-ი / ხუბი-და // ხუბ-და (ლშხ.) „ძმა“ ალომორფებიც.

ს.-სინდ. *მა-ჭუ-ე „სიძე“

ადიდ. მახუ-ლ'ნ „სიძე“; ყაბ. მახუ-ლ'ნ „სიძე“

უბიხ. მეხე ← *მეხუბე „სიძე“

აბაზ. მჰუბე, აფხაზ. ა-მაჰუბე „სიძე“

როგორც ეტყობა, ქართველურსა და ჩერქეზულ ენებში ეს სიტყვა რთული შედგენილობისა იყო, ორივეგან გამოიყოფა **მV – V** კონფიქსები.

ვფიქრობთ, აქვე შემოსატანია ნახურ ენათა **მოხ**-ჩა ასევე ნაწარმოები სიტყვა „გარებიძაშვილის“ მნიშვნელობით (троюродный брат); შდრ. აგრეთვე უდიური **მუკუ** „სიძე“. შესატყვისობა სემანტიკურ დონეზე *ძმა ~ სიძე* დასაშვები ჩანს.

ს.-ქართვ. ***მუკელ**- „მუხლი“

ქართ. **მუკლ**-ი „ფერჯის სადრეკის თავი“ (საბა)

ზან. (ლაზ.) **ნუხუ** „მუხლი“

ყოვლად მიუღებელია ქართ. **მუკლ**- ძირის მეგრ.-ლაზ. **მუხურ**-ი/ა „მხარე, კუთხე; უბანი“ ფუძესთან შეპირისპირება [კლიმოვი 1964 : 138]. ზან. **მუხურ**- კანონზომიერად შესატყვისება ძვ. ქართ. **მკარე** „მხარე“ ლექსემას, რაც ფონეტიკურ-სტრუქტურულ-სემანტიკური თვალსაზრისით მისაღებია.

რაც შეეხება **მუკლ**-/**ნუხუ** მიმართებას, აქ **მ** → **ნ** ლაზურში გამოწვეულია სხვა **ნუხუ** „პეშვი“ ფუძესთან კონტამინაციით.

ქართ. **მუკლ**-ი თავჩენილია უძველეს წერილობით ძეგლებში, თუმცა მისი სვანური შესატყვისი დღემდე არ გამოვლენილა [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 338].

ს.-სინდ. ***მგკა** „მუხლი“

აზაზ. -**მგა**, სიტყვაში შა-**მგა** „მუხლი“, აფხაზ. -**მხგ**, სიტყვაში ა-შა-**მხგ** „მუხლი“

საბას განმარტებით მრავლისმეტყველია *მუხლის* სემანტიკის განსაზღვრისას, რასაც ცხად-ჰყოფს აფხაზურ-აზაზური კომპოზიტი. იგი ასე დაიშლება შა „ფეხი“ + „მუხლი“, შდრ. საბა : ფერჯის სადრეკის თავი, ანუ საკუთრივ მუხლი = სადრეკის თავი.

ჩერქეზულ ენებში შესაბამისი ძირი ჯერაც არ არის გამოვლენილი; თუმცა სარწმუნო შესატყვისი პოვნეირია დაღესტნურ ენებში, შდრ. ახვახ. **მუყუ** „მუხლი“.

ს.-ქართვ. ***მღ(ი-)** „მუნი“

ქართ. **მღ**-ერ-ი „მნელი მუნი“ (საბა), **მღი**-ერ-ი „მღერი, მნელი მუნი“ (საბა), სი-**მღი**-ერ-ე „მუნინანობა“

მუნის აღმნიშვნელი ზმნური ფუძე მხოლოდ ქართულში შემოგვრჩა **მღი**-/**მღ**- ალომორფების სახით. უფრო ძველ (არქაულ) სახეობად **მღი**- მივიჩნიეთ. სხვა ქართველურ ენა-კილოებში შესაბამისი ძირი არ იძებნება, გამოქვეყნებულ ტექსტებში იგი არ ჩანს.

ს.-სინდ. ***ბგლ**- „ფხანა“

აფხაზ. ა-**ბგლ**-რა „ფხანა“

ზმნური **ბგლ**- ძირი მხოლოდ აფხაზურშია პოვნეირი, თუმცა მას ფუძეენური ეტიმოლოგია ახასიათებს. ს.-ქართვ. ***მღი**- : ს.-სინდ. ***ბგლ**- კანონზომიერი ფონეტიკურ-სტრუქტურული შესატყვისობა ჩანს, რომელსაც ზურგს უმაგრებს სემანტიკური კორელაცია *მუნი ~ ფხანა*.

სხვა იბ.-კავკ. ენებში შესაბამის ძირებს ვერ ვხედავთ.

ს.-ქართვ. ***მღულ**- „მოღუნული; მრუდი“

ძვ. ქართ. **მღულ**-ი „ნამგალი“ ← ეტ. „*მოღუნული*“

ზან. (ლაზ.) **მღულ**-ა // **ღულ**-ა „მრუდი, მოხრილი“, მეგრ. **ღულ**-ა „მოღუნული; მრუდი“

სვან. **ღულ**-აჲ „მუხლი“ ← ეტ. *მოღუნული*

ქართველურ ძირ-ფუძეთა ისტორიული ერთიანობა ეჭვს არ იწვევს [ლომთათიძე 1959 : 75; შმიდტი 1962 : 117], თუმცა ფაქტია, რომ ფუძეენური **მ** ანლაუტში მხოლოდ ძველ ქართულ ენაში შემოგვრჩა.

ს.-სინდ. *მაღა „მრუდი“

უბიხ. მაღა „მრუდი“

ინლაუტური მყდერი გუტურალური სპირანტის პალატალიზებულიობა პირდაპირი მინიშნე-
ბაა იქითკენ, რომ საერთოსინდური არქექტიპი ლაბიალიზებული სახეობით იყო წარმოდგენილი.
ცხადია, ღ-ს ლაბიალიზაციის წყარო იყო ქართველურისებური უ (ან ო) ხმოვნის დიფთონგიზაცი-
ის პროცესი ო/უ → უა/გ (გ. როგავა).

ბოლოკიდური ლ, ამ შემთხვევაშიც, დაკარგულია საერთოსინდური ენობრივი ერთიანობის
დონეზე, თანაც უკვალოდ.

ს.-ქართვ. *მყაჟ- „მყავი“

ქართ. მყავ-ი „თრითინას ჰგავს, პატარა“ (საბა), *Dyromys nitedula* (ქეგლ)

სიტყვა დასტურდება მხოლოდ ქართულში. სავარაუდოა მისი ფუძეენური წარმომავლობა,
ვინაიდან მეტად საყურადღებო პარალელები ეძებნება სინდურ ენებში.

ს.-სინდ. *ჯუ-გნ- „თაგვი“

უბიხ. ხუგნ-გ „თაგვი“

აბაზ. ჰუგნ-აფ-გ, აშხარ. ჰუგნ-გუგ „თაგვი“, აფხაზ. ა-ჰუგნ-აფ „თაგვი“

დეგლოტალიზაციის ყ → ჯ ფონეტიკური პროცესი ჯერ კიდევ საერთოსინდურ ფუძე-ენაში
ჩანს განხორციელებული. ამ უკანასკნელისგან სპირანტიზაციით (ჯ → ჰ) აფხაზურ-აბაზური ალო-
მორფები განვითარდა. ძირეული ყ-ს პრიმარობაზე ცალსახად მეტყველებს დადესტნური შესა-
ტყვისები, შდრ. არჩიბ. ნოყღნ, ინხოყვ. აწყუა, ჰინუხ. აყუე „თაგვი“... ქართველური მ-სთვის იხ. უდ.
მელ ← *მეყელ „თაგვი“.

ს.-ქართვ. *მყარ- „მყარი, მაგარი; გამყარება“

ქართ. მყარ-ი „მაგარი, გინა მტკიცე“ (საბა), გა-მყარ-ებ-ა

სიტყვა ცნობილია ძველქართული ტექსტებიდან: „შესლვად ჯურელებსა მყარისა კლდი-
სასა“, „ნაწევარი მისი ვითარცა ლოდი მყარი“ [აბულაძე 1973 : 304]. ძველქართული მასალა საბას
განმარტებას უჭერს მხარს, მტკიცე, მაგარი აქ ძირითადი მნიშვნელობებია.

სიტყვა სა-მყარ-ო, ჩანს, მყარისგან არის ნაწარმოები.

ს.-სინდ. *მაყ- „მაგარი; გამაგრება“

აბაზ. მაყ-გ „მაგარი“, მაყ-ხა-რა „გამაგრება“

ძირად გამოყოფილი მაყ-, რომელიც მხოლოდ აბაზურ ქვესისტემაში დასტურდება, სრულად
ასახავს ფუძეენურ მდგომარეობას; ს.-სინდ. *მაყ- არქექტიპის შედარება ქართველურ მყარ-თან,
თითქოს, -არ სეგმენტის გამონაწევრების შესაძლებლობასაც იძლევა. ამისაგან, ამ ეტაპზე, თავს ვი-
კავებთ.

ს.-ქართვ. *მყარ- : ს.-სინდ. *მაყ- კანონზომიერ სტრუქტურულ-ფონეტიკურ მიმართებას
ზურგს უმაგრებს არქექტიპთა სემანტიკური მხარეც.

ს.-ქართვ. *მყაყ-ე „შმორიანი, ყროლი“

ქართვ. მ-ყაყ-ე, და-მ-ყაყ-ებ-ა

ზან. (მეგრ.) ყყყ-ე // ყიყ-ე „უგემური“

სვანურში შესაბამისი ფუძე არ იძებნება. საინტერესოა ფონემური მიმართება ქართ. ა : ზან.
გ/ი, რაც მეგრულში ამოსავალ ო-ს გულისხმობს, ანუ ო → გ/ი [როგავა 1962].

ს.-სინდ. *ყაყ-გ „ტკბილი“

უბიხ. ყაყგ „ტკბილი“

აფხაზურ-აბაზურ ენებში სათანადო ძირი გვაკლია. რაც შეეხება უბიხურ-ქართველურ

სტრუქტურულ მიმართებას, აქ ყველაფერი რიგზეა. ახსნას ითხოვს სიტყვათა მნიშვნელობა, სადაც განხვავების ხარისხი მაღალია – *ტკბილი* ~ *უგემური*, თუმცა შუა საფეხურად გამოდგებოდა *ლეზ-გიურ* ენათა ჩვენება, შდრ. თაბას. (დუბეკ.) *ყურყულ*-ი, ალულ. *ყულყულ*-ჟ, კრიწ. *ყატყულ* „მწარე“. **ტყ** კომპლექსი კრიწულში რედუპლიკაცია/ზგერწერის თანმდევი ჩანს.

ს.-ქართვ. ***მშაჷ**- „შიმშილი“

ქართ. **მშეგ**-ა, მო-**მშეგ**-ა

ზან. (მეგრ.) **შქერ**- // **შქირ**-, ფ-**შქირ**-ენ-ს „მშია“, **შქირ**-ენ-ულ-ი „მშიერი“, ლაზ. ო-**მშქორ**-ინ-უ „შიმშილი“, მ-ა-**მშქორ**-ინ-უ „მომშივდა“, **მშქორ**-ინ-ერ-ი „მშიერი“

ლაზური ზუსტად ასახავს ს.-ქართვ. ***მშაჷ**- არქტიპის ზანურ შესატყვისს. თუმცა **ჷ** → **რ** პროცესი საკუთრივ-ზანური ჩანს, რაც ისტორიულად მოქმედი წესია, შდრ. ქართ. **ტევ**- / ზან. **ნტირ**, **ჭვავ**-ი / **ჭვარ**-ი... [შდრ. ფერიხი, სარჯველაძე 2000 : 339].

ს.-სინდ. ***მასჷ**-ა „შიმშილი“

უბიხ. **მაშჷ**ა „შიმშილი“

სინდური ენებიდან მხოლოდ უბიხურში შემოგვრჩა ქართველური ***მშაჷ**- „შიმშილი“ არქტიპის შესატყვისი ფორმა. უბიხურ-ქართველური შეპირისპირების მართებულობას ამტკიცებს დაღესტნური ინფორმაცია, შდრ. წახ. **მესჷ**-ან, **მესჷ**-ა-ლლა, ბუდუხ. **მეზ**, ხინალ. **გმზაჷ**-ლ, უდ. **ბუსა** „შიმშილი“.

ს.-ქართვ. ***მშელ**- „ბედნიერი“

ზან. (ლაზ.) **მშქელ**-ა // **მშკელ**-ა „ბედნიერება“

სიტყვა განმარტოებით დგას ლაზურში; ვინაიდან აქ პოვნირია **შქ/შკ** თანმიმდევრობები, საერთოქართველურისათვის აღსადგენი ჩანს **შ** შიშინა სიბილანტ-სპირანტი, შდრ. ქართ. **შ** : ზან. **შქ/შკ**, ს.-ქართვ. ***შ**. ალბათ, ლაზური ე ამ შემთხვევაშიც უცვლელად იმეორებს ფუძეწარმო ***ე** ხმოვანს, რაც ძირის სტრუქტურით არის შეპირობებული, შდრ. ქართ. **შველ**-ი : ზან. **სქვერ**-ი „id“ ...

ს.-სინდ. ***მშშ**-გ „ბედნიერი“

აზახ. (ტაპანთ.) **მშგ**, აფხაზ. ა-**მშ** „ბედნიერი“

იგივე **მგშ**- ძირი უნდა ჩანდეს *უბედურ* სიტყვაშიც – აზახ. **მეჟ**-და, აფხაზ. ა-**მეჟ**-და „უბედური“, სადაც ბოლოკიდური **-და** უარყოფითობა-უქონლობის სუფიქსია. აქვე შეინიშნება კომბინატორული **შ+დ** → **ჟდ** ასიმილაციის ფონეტიკური პროცესი.

სინდურ-ქართველურ არქტიპთა კანონზომიერ დაღესტნურ შესატყვისებს შეიძლება, ინახავდეს ლაკ. **ფიშ**-, დარგ. **ფიშ**- (ს.-დალ. ***ზიშ**-) „ღიმილი“ ფორმებიც.

ს.-ქართვ. ***მშჷინ**- / ***ფშჷინ**- „ფშვინვა; სუთქვა“

ძვ. ქართ. სა-**მშჷნ**-ელ-ი // სა-**მშჷნ**-ვ-ელ-ი „სული“, აღმო-**ფშჷნ**-ვ-ა „ამოსუნთქვა“ [აბულაძე 1973 : 17], სა-**მშჷინ**-ვ-ელ-ი // სა-**ფშჷინ**-ვ-ელ-ი „უტყვი სული“ (საბა).

სამწუხაროდ, სხვა ქართველური შესატყვისები ჩვენთვის უცნობია, ამიტომაც, გამომდინარე ძველი ქართული ფორმებიდან, აღვადგინეთ მ/ფ ალოფონებიანი დუბლეტური არქტიპები. სხვათა შორის, მონათესავე ენებშიც შეიმჩნევა ამგვარი სუბსტიტუცია.

წ.-სინდ. ***ფუშან**- „სუნთქვა“

ხათ. **pušan** „სუნთქვა“

შეიძლება აქვე განგვეხილა ხათური **pašan** „სული“ ლექსემაც, მაგრამ ამისგან ამ ეტაპზე თავს შევიკავებთ. რაც შეეხება **მ/ფ** ალტერნაციას, ამ მხრივ ხათურ-ქართველური განმარტოებით დგას, დაღესტნური შესატყვისები ოდენ **მ**-იან ვარიანტებს წარმოაჩენენ, შდრ.: დიდ. **მუმ**-ა, ბეჟიტი. **მუმ**-ო, ჰუნზიბ. **მუმ**-ე „სუნთქვა; ყნოსვა“ ..., უდ. **მუმ** „ქარი“.

ს.-ქართვ. *მცხალ- „მსხალი“
ქართ. მსხალ-ი, სხალ-ი, სხალ-თა (ტოპ.)
ზან. (მეგრ.) სხულ-ი, ლაზ. მცხულ-ი „მსხალი“
სვან. უიცხ // იცხ „მსხალი“

ერთგვაროვანი ც აფრიკატ-სიბილანტის პოვნირება შეიმჩნევა სვანურსა და ლაზურში, რაც ამოსავალ ვითარებას აჩვენებს. ც → ს განხორციელდა მეგრულსა და ქართულში. ძველ ქართულში დასტურდება სხალ- სახეობაც, ეს უკანასკნელი უფრო ძველი მსხალ- ვარიანტისაგან მომდინარეობს [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 336].

ს.-სინდ. *ჭუტუ-გ „მსხალი“
ადილ. ჭუტუზ, ყაბ. ჭუტუ „მსხალი“

საერთოსინდური წარმომავლობის ალომორფები შემონახული ჩანს მხოლოდ ადიღურ ენებში. აფხაზ. ა-ჰა // ა-ჰა, აბაზ. ჰა, უბიხ. ხა „მსხალი“ სხვაგვარ წარმომავლობას გულისხმობს [ტრუბეცკოი 1930 : 276].

ს.-სინდ. *ჭუტუ-გ შებრუნებული წყობით არის წარმოდგენილი, რასაც, ქართველურთან ერთად, დაღესტნური მასალაც ადასტურებს, შდრ.: კრიწ. ჯუჭუტ, ბუდუხ. ჩრჭუტ, ლეზგ. ჩუტუტერ, თაბას. ჟიხირ, ალულ. ჩიხარ, წახურ. ჯგხჷ „მსხალი“.

ს.-ქართვ. *მცხუ- „ცხოზა; გაცხელება“
ქართ. მცხე-/ცხე-, ნა-მცხე-არ-ი, გამო-ვ-ა-ცხე-ე, ცხე-ეზ-ა, უ-მცხე-არ-ი, გამო-მცხე-არ-ი
ზან. (ლაზ.) მჩხე-აფ-ა „ცხელი“, ვ-ო-მჩხე-ინ-ამ „ვაცხელებ“

ცხადია, ქართ. მცხე-/ცხე- ზანურში (resp. ლაზურში) მჩხე- / ნჩხე- ალომორფებს შეისატყვივებს. ყოველგვარი ცდა მათი დაკავშირებისა ქართულ ცხელ- და ა. შ. ფუძეებთან განწირულია მარცხისათვის, ვინაიდან სხვადასხვა ძირებია [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 603; კლიმოვი 1964 : 231-233].

ს.-სინდ. *ცახუ- „წვა“
უბიხ. ცახ- „შეწვა“

პალატალიზებული ხ-ს არსებობა უბიხურში სამართლიანად არის მიჩნეული ფუძეენური ხუ-ს რეფლექსად – ხუ → ხ, რაც არაერთი სხვა მაგალითით დასტურდება [კვახაძე 2014 : 271]. საერთოსინდური ფუძე-ენისათვის რეკონსტრუირებული *ცახუ- არქეტიპი კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. *მცხუ- ასევე ზმნურ ძირს, ხოლო სემანტიკური კორელაცია ცხოზა ~ წვა ასევე სისტემური ცვალების ამსახველი ჩანს.

ს.-ქართვ. *მცხუ-ილ- „მსხვილი, მსუქანი“
ქართ. სხუ-ილ-ი, გან-სხუ-ნა

ზან. (მეგრ.) შხუ „მსხვილი, მსუქანი“, სი-შხუ-ა „სიმსხვილე, სიმსუქნე“, ლაზ. მჩხუ „მსუქანი“, თოლი-მჩხუ = მეგრ. თო-შხუ „თვალეზფართო“

ამ შემთხვევაში ლაზური აფრიკატი ჩ მეგრულ-ქართული სპირანტის (ს/შ) საპირისპიროდ არქაულ აფრიკატულ ბუნებას ასახავს. იგი ფუძეენური მცხუილ-ის გამოძახილია.

ქართული სიტყვები ფიქსირებულია უძველეს წერილობით ძეგლებში [ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 426].

ს.-სინდ. *მცხუ-ა „ჭარბი, მსხვილი, დიდი“
ადილ. -შხუა, ყაბ. -შხუა „დიდი“
უბიხ. შხუა „ძლიერი“
აფხაზ. ა-მცხუ „ჭარბი, ზედმეტი“

ფუძემდებური პროტოტიპის რეკონსტრუქციისას გადამწყვეტი მნიშვნელობა გ. კლიმოვის მიერ შემოთავაზებული აფხაზური შესატყვისის ჩვენებას მიენიჭა [ჭარაია 1912 : 54; კლიმოვი 1969 : 290]. ჩვენი მიდგომის მართებულობაში კიდევ ერთხელ გვარწმუნებს დალესტნური მასალაც, შდრ.: ხინალ. ჩხი „დიდი, მასიური“, დარგ. ჩაჭუ-ზე „მაღალი“.

ს.-ქართვ. *მა- „კუთხე“

ზან. (ლაზ.) მბგა „კუთხე“, მეგრ. ძგა „კიდე, ნაპირი, გზისპირი“

საერთოქართველურში *მა არქეტიპის პორტულაცია მხოლოდ ზანური მონაცემის საფუძველზე ხდება. არ ვიზიარებთ ზან. მბგა : ქართ. ძგიდე შესატყვისობას, ვინაიდან ს.-ქართვ. *მბგიდე ზანურში უპრობლემოდ მოგვეცემდა მბგიდა / ძგიდა ალომორფებს, რაც არ განხორციელდა. ანუ ზან. მბგა სხვა ძირია, ალბათ, ს.-ქართვ. *მა ან *მბე არქეტიპის შესატყვისი. ეს უკანასკნელი ქართ. ძ : ზან. ძგ ფონემურ ოპოზიციას ვარაუდობს, რაც აპრობირებული ჩანს ჩვენს ენებში, შდრ. ქართ. ღვარძლა : ზან. ღვანძგირა, ქართ. ძაბ-ვა : ზან. ძგუფ- / ძგიფ- „ჭიმვა“...

ს.-სინდ. *მა „ეზო; წვერი“

ადილ. ნაზ, ყაბ. ნაზ „წვერი, პირი (საგნისა)“

აბაზ. მბა-კე „წვერი, პირი (საგნისა)“, აფხაზ. ა-მმ-რ-ხა, ბზიფ. ა-მბე-რ-ხე „ეზო“.

ს.-სინდ. *მა „ეზო; წვერი“ : ს.-ქართვ. *მა „კუთხე“ ნორმალური შესატყვისობაა. სინდურ ეზო ~ წვერი სემანტიკურ კორელაციაში დამაჯერებლობა შეაქვს ქართველურ კუთხე სემანტიკას, საიდანაც ეზო ← კუთხე → წვერი სემანტიკური გადაწევა ადვილად აიხსნებოდა. ს.-სინდ. არქეტიპთან აკავშირებენ ხუნძ. მიწირ „წვეტი“, ლაკ. მიწ „წვერი“ ძირებს [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 813], რაც შემდგომ დაზუსტებას საჭიროებს.

ს.-ქართვ. *მ-ძაყ-ე „ძალიან მჟავე“

ქართ. (ქიზიყ.) მძაყე „ძალიან მჟავე“, შდრ. მძალე

ზან. (მეგრ.) ძულე „მძალე“

სვან. მძძიდ „მძალე“

ცხადია, ძალ-/ძაყ- მონაცვლეობა ქართულ-ქართველურში ოდენსემანტიკურია – მნიშვნელობის დიფერენციაცია, მაგრამ ყ-ს პოვნირება ფუძის ისტორიის თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია და ამას სინდური ენებიც ამოწმებენ.

ს.-სინდ. *ძუაყ-ე „მჟავე“

ადილ. სუაყუ-ენ, ყაბ. ჭაყუ-ენ „დამჟავება“

უზბიხ. ძუაყე „მჟავე“

სერიოზული ფონეტიკური ტრანსფორმაცია, რომელიც ადილეურში დაიწყო, ყაბარდოულში პიკს აღწევს. მსგავს სიტუაციაში უზბიხურ მონაცემს ვანიჭებთ უპირატესობას, რასაც, ქართველურთან ერთად, დალესტნური ენებიც ეხმიანებიან, შდრ. ლაკ. ყურჭი- „მწარე“, არჩიბ. ყიჭი-ნალ „წმახი“ (სადაც ნალ „რძე“).

ს.-ქართვ. *მძნ- „ტაბუ“

ქართ. მძნ-ა „ბოროტად დათქმა“ (საბა), მძნ-ელ-ი „მძნის მოქმედი“, გურ. ბძნა „ტაბუ“, ი-ბძნ-ი-ს, იმერ. ბზნ-ილ-ობ-ა

აღრე ვფიქრობდით ამავე კონტექსტში სვანურ მჯჯლ-ჰა // მჯჯლ-ჰა (ლშხ.) „მარჩიელი, მკითხავი“ ფორმების განხილვას [ჩუხუა 2000-2003 : 417]. დღეს ამგვარი კავშირი საეჭვოდ გვეჩვენება. ყველა შემთხვევაში ქართული ბძნ- ზმნური ძირი ფუძემდებური წარმომავლობისა გვგონია.

ს.-სინდ. *ბძა- „საიდუმლო; დამალვა“

ყაბ. ბზ-, სიტყვაში ბზე-სუ-ნ „დამალვა“

რედუქციის მომდევნო საფეხურზე ყაბარდოულში განხორციელდა მმ → ბმ → ბზ ფონეტიკური პროცესები, რითაც ის გურულ (მმ → ბმ) და იმერულ (ბმ → ბზ) ფორმებს ემსგავსება. გასარკვევია უბიხ. უწანძ „საიდუმლო“ სიტყვასთან მიმართება - *ზანძ → უწანძ (?).

ს.-ქართვ. *მძნ- „ტაბუ“ : ს.-სინდ. *მაძა- „საიდუმლო; დამალვა“ არქეტიპებს შეეფარდება, ალბათ, ბეჟიტ. მუც-ალ // მუნც-ალ „დამალვა, დაფარვა“ ზმნაც.

ს.-ქართვ. *მწერ- „მწერი, ბუზი“

ქართ. მწერ-ი

ზან. (ლაზ.) მჭაჯ-ი, მეგრ. ჭანჯ-ი / ჭანდ-ი „მწერი, ბუზი“

სვან. მერ ← *მჰერ ← *მჭერ „ბუზი, მწერი“

სპეციალურ ლიტერატურაში გაჩნდა აზრი იმის შესახებ, რომ ს.-ქართვ. *მწერ- არქეტიპი შეიცავს წერის აღმნიშვნელ ასევე საერთოქართველურ წერ- ძირს, რაც აბსოლუტურად უსაფუძვლო თვალსაზრისია [იხ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 663-664].

ს.-სინდ. *მაწა „კალია“

ადილ. მაწ, ყაბ. მაწან „კალია“

უბიხ. მანა „კალია“

აზაზ. მაწა, აფხაზ. ა-მაწა „კალია“

საძიებელი ძირი ყველა სინდურ-ქართველურ ენაში მოიპოვება, რაც საიმედოს ხდის ს.-სინდ. *მაწა : ს.-ქართვ. *მწერ შეპირისპირებას [ჭარაია 1912 : 28; როგავა 1956 : 27]. უფრო მეტიც, ძირი ცნობილია იბ.-კავკ. ენათა ჯგუფებიდან, შდრ.: ბაცბ. მაწე, ს.-ნახ. *მაწე „ტილი“; ხუნდ. ნაწ, არჩიბ. ნაწ, ხინალ. ნიმწ, ანდ. ნოწი, ბოთლიხ. ნაწი..., ჰინუხ. ნოცე „ტილი“, ს.-დალ. *ნაწე „ტილი“.

ივარაუდება მ → ნ დაღესტნურ ენებში, უბრალოდ, მოულოდნელია ხინალუღურის ჩვენება, სადაც საკითხავია, ნიმწ ხომ არ ვარაუდობს ს.-დალ. *ნი-მაწე „ტილი“ სტრუქტურის არქეტიპის არსებობას?

ს.-ქართვ. *მწირ- „ცოტა; მცირე; ვიწრო“

ქართ. მწირ-ი „ცოტა, მცირე, ვიწრო“

სახელური ფუძე განმარტოებით დგას ქართულში, მაგრამ, სავარაუდოდ, ფუძეენური წარმომავლობისაა. ამას სინდურ ენათა მასალა ამტკიცებს.

ს.-სინდ. *მეწე „ვიწრო“

უბიხ. მეწე „ვიწრო“

აფხაზ. მწ-, სიტყვაში ა-გუ-ა-მწ-რა „წუხილი“, ა-მწ-რა „აძრობა“

წუხილის გაგება აფხაზურში საინტერესოდ არის რეალიზებული, ზედმიწ. გულის შევიწროება.

ს.-ქართვ. *მწირ- : ს.-სინდ. *მეწე- არქეტიპთა შედარებით ირკვევა, რომ ბოლოკიდურა რ ჯერ კიდევ ფუძესინდურში არის დაკარგული, თანაც უკვალოდ. ამასთანავე გასისინება წ → წ აფხაზურში განხორციელდა.

სინდურ-ქართველური იზოგლოსების შესატყვისები ჩანს დაღესტნურ ენებშიც, შდრ.: ინხოყვ. მიწი-კი, უდ. მიწი-კ „პატარა“.

ს.-ქართვ. *მწირ- „მწირი; მსხემი“

ქართ. მწირ-ი „უცხო მგზავრი“ (ქეგლ), „უცხო, მსხემი, სხვაგნით მოსული“ (ჩუბინაშვილი), ვ-მწირ-ობ (საბა)

სიტყვა მხოლოდ სალიტერატურო ქართულში დასტურდება, თუმცა მას უეჭველი ფუძეენური წარმომავლობა ახასიათებს. მეტად ფართოა მისი დისტრიბუცია მველ ქართულში [აბულაძე

1973 : 310].

ს.-სინდ. *მჭე „სტუმარი“

ადიდ. ჰა-ჭნ, აბძახ. ჰა-ჟნ, ყაბ. ჰა-სჟ, ბასლ. ჰა-ჭნ „სტუმარი“

უბიხ. პჭნ „სტუმარი“

აფხაზურ-აბაზური -სას „სტუმარი“ სხვა სიტყვაა და აქ არაფერი ესაქმება [შდრ. შაგიროვი 1977, II : 122-123]. ადიღურ ალომორფთა კავშირი ნახურ *ჰაშე „სტუმარი“ სიტყვასთან ისევე გამოსარიცხია, როგორც ირანულიდან სესხების უსაფუძვლო თეორია [ტრუბეცკოი 1921 : 248]. სიტყვის ამოსავალი სახეობა უბიხურში უკეთ არის შემონახული, აქ მხოლოდ მჭ → პჭ ასიმილაცია (კონტაქტური) განხორციელდა, მაშინ, როდესაც ადიღურში რთული შედგენილობის ფორმა გვაქვს ჰა+ჭა, სადაც მჭ გამარტივდა [შდრ. კვახაძე 2014 : 119].

ს.-სინდ. *მჭე : ს.-ქართვ. *მწირ- არქეტიპების კანონზომიერ შესატყვისებს ვხედავთ დაღესტნურ მასალაშიც, შდრ.: ანდ. წე, ახვახ. წეჟ-ე, ბაგვალ. სეჟ, კარატ. წეჟ..., ს.-დად. *მწეჟ- „სტუმარი“.

ს.-ქართვ. *მწყირტ- „შიშველი“

ქართ. (თუშ.) მწყირტ-უ „შიშველი“

ზან. (მეგრ.) ჭყინტ-უ / ჭყენტ-გ „უმწიფარი, უწვერულვაშო“

სვან. ჭყინტ „ბიჭი“

მეგრულ-სვანურში სიშიშველის გაგება რეალიზებულია ნედლი / ბიჭის სახით, რაშიც შეიძლება დავინახოთ ასაკობრივი ცენზის გამოვლენა: შიშველი → უწვერულვაშო.

ს.-სინდ. *პწე „შიშველი“

ადიდ. პწა-ნნ, ყაბ. პწა-ნნ „შიშველი“

უბიხ. -პწე, ლ’ა-პწე „ფეხშიშველი“, შა-პწე „თავშიშველი“.

სინდურ ენებში ამოსავალი სახეობა მეტად გამარტივებულა. ამას ამტკიცებს როგორც ქართველური, ისე დაღესტნური მასალა : ჭამალ. -ჭაყულდა, დარგ. ჭანკუ-სი... შდრ. ასევე შებრუნებული წყობის წ.-თუშ. დარწინო „შიშველი“.

ს.-ქართვ. *მ-ჭახე „მჟავე“

ქართ. მჭახე „ღვინო მოძმარებულივით“

ზან. (ლაზ.) მჭახა „მჟავე“

იგივე ძირი იკითხება მ-ჭახ-ი „ისრიმი“ სიტყვაში, რომელიც საბას ლექსიკონშია ფიქსირებული. ლაზურში ჭ → ჭკ არ განხორციელდა ფუძის აუსლაუტში ხ-ს პოვნიერების გამო [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 345].

ს.-სინდ. *წაჰა „მარილი“

ჩერქ. {წახ} „მარილი“

აბაზ. წჰა, აფხაზ. ა-წნ ← *ა-წჰა „მარილიანი; მლაშე“

უბიხურსა და ადიღურ ენებში შესაბამისი ძირები დაიკარგა, მაგრამ ნასესხობის სახით ოსურმა შემოინახა იგი, სადაც ცწხხ (← ჩერქ. წწხ) ფუძე დღესაც მარილს აღნიშნავს.

ქართულ-სინდურ იზოგლოსებს ეხმიანება ადღულური წუხ „შრავი“, რომელშიც კანონზომიერი დაღესტნური შესატყვისი ჩანს.

ს.-ქართვ. *მჭელ- „მუჭი; პეშვი“

ძვ. ქართ. მჭელ-ი „პეშვი“ (საბა), „მუჭი“, მჭელ-ეულ-ი

სიტყვა კარგად არის ცნობილი უძველესი ქართული წერილობითი ძეგლებიდან: „მ ჭ ე ლ ერთ ფქვილ სარქუანსა შინა“; „არა განივსის მ ჭ ე ლ ი თჳისი მომკალმან“; „დაიპყრობდა ცრემლთა

მჭეღთა“ [ახულაძე 1973 : 313]. მაგრამ მისი შესატყვისები არ იძებნება ახლომონათესავე ქართველურ ენებში.

ს.-სინდ. *მაჭა „ხელის გული“

აბაზ. მაჭა, აფხაზ. ა-მაჭა „ხელის გული“, მაჭა-კ აყარა იყაყოუპ „ხელის გულის სიფართეა“ გვაკლია ჩერქეზული მონაცემები, თუმცა უამისოდაც წარმატებით ხერხდება საერთოსინდური არქეტიპის შედარებით სრულად აღდგენა.

აფხაზურ-აბაზური ალომორფები ნათლად მიუთითებენ, რომ სიტყვის ძირი ისტორიულად ორმარცვლიანი უნდა ყოფილიყო, ანუ მVჭეღ- → მჭეღ- ქართველურში განხორციელდა; სამაგიეროდ ბოლოკიდური სონორი ლ ქართულმა შემოგვინახა უცვლელად, მაშინ, როდესაც სინდურ ენებში იგი უკვალოდ ჩანს დაკარგული.

ამ ეტაპზე ვერ გამოვლინდა ქართულ-სინდურ ძირ-ფუძეთა სათანადო დადესტნური ან ნახური შესატყვისები.

ს.-ქართვ. *მჯარ- „მხარი“

ქართ. მჯარ-ი, მხარ-ი

ზან. (მეგრ.) ხუჯ-ი, ლაზ. მხუჯ-ი // ფხუჯ-ი „მხარი“

სვან. ჯარ // ჯარ ← *მჯარ „მხარი“

თავკიდური მ^ს ჩავარდნა სვანურში შეპირობებულია მჯ თანხმომონური ჯგუფის არაკანონიკურობით, ანუ არაბუნებრივი კომპლექსი დაიძლია მ-ს გაუჩინარებით – მჯ → ჯ, მართლაც, მჯ თანმიმდევრობა არცერთ პოზიციამი არ ფიქსირდება სვანურში.

ქართული მჯარ-ი დამოწმებულია როგორც თანამედროვე მთის დიალექტებში, ისე უძველეს წერილობით ძეგლებში [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 347].

ს.-სინდ. *მჯჯა „უბე“

უბიხ. მჯჯა „უბე“

იყო მცდელობა მჯჯა აბაზურ მაჯა „ხელი / მკლავი“ ფუძესთან დაეკავშირებინათ, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ უბიხური ფონეტიკის ჩვენებას, აღმოჩნდება, რომ ნებისმიერი Cჯ → უბიხ. C^რ. ე.ი. პალატალიზებული ჯ ვარაუდობს ჯუ ლაბიალიზებული წინაფორმის არსებობას ფუძე-ენაში. ამიტომაც, ჩვენი მიდგომით, ორ განსხვავებულ ძირზე გვაქვს საუბარი, კერძოდ, უბიხურ მჯჯა-ს დადესტნური წახ. მუხუ, აღულ., თაბას. მუხურ, არჩიბ. მოხორ „მკერდი“ ტიპის ალომორფებს შევუფარდებთ სემანტიკური კორელაციით უბე ~ მკერდი, მაშინ, როდესაც აბაზ. მაჯა „მკლავი“, ს.-ქართვ. *მეჯელ- „მკლავი“ არქეტიპის შესატყვისი გვგონია [ნახურ-დადესტნური ძირებისთვის იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 829].

ს.-ქართვ. *მჯეუ- „გოგო; ქალი“

ქართ. მჯეე-ალ-ი „გოგო; მოახლე“, ახ. ქართ. მხეე-ალ-ი „მოახლე; ნასყიდი, ტყვე ქალი“

ზან. (მეგრ.) ფხე // ხე „ქალი“, ლაზ. ფხე „ქალი“, ტალა-ფხე

ზანური ფხე ნასესხობის სახით გურულ დიალექტშიც დასტურდება – ფხე, ლომთათი-ფხე „ლომთათიდის ქალი“. *მხეე → ფხე ზანურში ჩანს განხორციელებული, რომლის გამარტივებაც ფხე → ხე მეგრულიდან არის ცნობილი [ლომთათიძე 2000 : 72-74].

ს.-სინდ. *მჯუპ „ქალიშვილი“

ადილ. ფხუე, ყაბ. თხუე „ქალიშვილი“

უბიხ. ფხუპ „ქალიშვილი“

აბაზ. ფჰა, აფხაზ. ა-ფჰა „ქალიშვილი“

სინდურ ენათა მასალა შეაპირისპირა ი. მესაროშმა [მესაროში 1934 : 222]. ქართველურ მონაცემებთან გენეტიკური კავშირიც ცნობილია, თუმცა აფხაზ. ა-ფჰუე-ს „ცოლი“ სიტყვის აქ განხილვა

არ ჩანს მართებული [ჭარაია 1912 : 35]. ვფიქრობთ ფონემური ოპოზიცია **ხ : ჰ** ამოსავალ (არქაულ) **ჰ** ფარინგალზე მიუთითებს, ხოლო **მჰ** → **ფხ//ფჰ** კომბინატორული ფონეტიკური პროცესი სინდურ ენებში მეგრულ-ლაზურისას ემთხვევა.

ნახურ ენათა **ჰინ** „მაზლის ცოლი“, ალბათ, ამოსავალი ***მჰინ** ფორმისაგან მომდინარეობს და სინდურ-ქართველურ არქეტიპებს შეესატყვისება, შდრ. ასევე დარგ. **ჰუნულ**, ლავ. **ჰამი**, ლეზგ. **ხნუბ** „ქალი, ცოლი“.

ს.-ქართვ. ***-მჰა** „ნამჰა“

ქართ. **-მჰა**, სიტყვაში **ნა-მჰა** „соломина“ (ჩუბინაშვილი)

ნა- პრეფიქსად გამოიყოფა ქართულში, ხოლო **-მჰა** ძირი ჩანს. მისი შესატყვისები სხვა ქართველურ ენა-კილოებში ვერ მოვიძიეთ.

ს.-სინდ. ***ტამჰ** „ჩალა“

ადიდ. **ტარჰ** // **ჰჰ-ტარჰ**, ყაბ. **ჰა-ტარჰ** „ჩალა“

სიტყვის ინლაუტში **რ-ს** ჩართვა ადიღური ინოვაცია ჩანს, ხოლო სპირანტიზაციის **ძ** → **ზ** პროცესი სუყველა ადიღურ ენა-კილოში სრულად გატარდა.

ს.-ქართვ. ***-მჰა** : ს.-სინდ. ***ტამჰ** კანონზომიერ მიმართებას აჩვენებს როგორც სტრუქტურული, ისე ფონემური შედგენილობის თვალსაზრისით (შდრ. ბგერათშესატყვისობა **ძ** : **ჰ**). ქართველურში სავარაუდოა წ.-ქართვ. ***ძ** → ს.-ქართვ. **ჯ** გაშიშინების პრეისტორიული პროცესი, რაც საკმაოდ ხშირად ვლინდება.

ნ

ს.-ქართვ. ***-ნ-** „ნაცვალსახელური ძირი“

ზან. (ლაზ.) **ე-ნ-თ-ეფ-ე** „ისინი“, მეგრ. **ე-ნ-ეფ-ი** „ესენი“, **ე-ნ-ა** „ეს“, **ი-ნ-ეფ-ი** „ისინი“, **ი-ნ-ა** „ის“

ეს ძირი ქართულ-სვანურმა არ იცის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სვან. **ნად** // **ნად** „ჩვენ“

I პირის ნაცვალსახელს.

ს.-სინდ. ***-ნ-** „ნაცვალსახელური ძირი“

უბიხ. **ტა-ნ-ა** „ეს“, **ი-ნ-ა** „ის“

აფხაზ. **ა-ნ-ი** „ის“ (პ. უსლარი)

გვაკლია ადიღური მონაცემები; თუმცა უბიხურ-აფხაზურზე დაყრდნობითაც ადვილად გამონაწევრდება **-ნ-** ფუძეწერი წარმომავლობის ნაცვალსახელი, ისევე, როგორც ქართველურში.

დასახელებულ ნაცვალსახელთა გენეტიკური ერთიანობა იმთავითვე სამართლიანად იქნა შენიშნული [ჭარაია 1912 : 21; 26].

დაღესტურიდან ყურადღებას მიიპყრობს ბეჟიტ. (ხაშ.) **ჰო-ნ-ო** და ინხოყვ. **ოვე-ნ-უ** / **ოდე-ნ-უ** / **ორე-ნ-უ** „ის; ისინი“ ფორმები.

ს.-ქართვ. ***ნა** „დედა“ (შორისდ.)

ზან. (მეგრ.) **ნე** „დედა“ (შორისდებული გაკვირვებისა)

წარმოშობით სრულმნიშვნელოვანი სიტყვა მხოლოდ მეგრულს შემორჩა. სავარაუდო ჩანს მისი **ნო** წინარეფორმისაგან მომდინარეობა, შდრ. ***ოჩ-ი** → **ეჩ-ი** „ოცი“, ***ლოჯ-ი** → **ლეჯ-ი** „ღორი“... **ჯერღვ-ი** ← ***ჯორღვ-ი** : ქართ. **ძარღვ-ი**... ცხადია, ზანურში ***ნო** → // **ნე** ფორმათა პოვნეიერება არგუმენტი ქართულში (resp. საერთოქართველურში) **ნა** უძველესი ძირის აღსადგენად.

ს.-სინდ. ***ნა** „დედა“

ადიდ. **ნე** „დედა“

უბიხ. **ნა** „დედა“; **ა-ნა** (განსაზღვ.) „დედა“

სინდურ-ქართველური იზოგლოსის რეალურობა მტკიცდება დადესტნურ ენებში არსებული ნე- „დედა“ ფუძის მოხმობით, შდრ. დარგ. ნე-შ „დედა“, სადაც -შ სუფიქსური ჩანს, რომელიც მეორდება მამის აღმნიშვნელ დუდე-შ // თაუთაე-შ სიტყვაში.

ეგვევ ნე- უნდა იკითხებოდეს ნახურ ენებშიც, შდრ. ჩეჩნ. ნე-ცა „დედის და“.

ს.-ქართვ. *ნან- „ჯიხური; საბძელი“

ქართ. ა-ნან-ურ-ი „ჯიხური, სართული“, დიალ. ნან-ია „საბძელი“

სამწერლობო ქართულსა და მის დიალექტებში გამოყოფილი ნან- ძირი ზანურ-სვანურში შესატყვისებს ვერ პოვებს, რაც სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ნან- ძირი ნასესხებია უცხო ენებიდან. არა, იგი ფუძეენური მონაცემი ჩანს, რასაც სანდო პარალელები ამტკიცებენ მონათესავე ენებიდან.

ს.-სინდ. *ნანგ- „ფარდული“

აფხაზ. ა-ნანგ-რა „ფარდული“

სპეციალურ ლიტერატურაში -რა გამოყოფილია სადერივაციო სუფიქსად [ჩირიქბა 1996 : 116], რასაც ქართველური მასალაც მხარს დაუჭერს.

მონათესავე იბ.-კავკ. ენებში შესაბამისი მასალა ამ ეტაპზე ვერ მოვიძიეთ.

ს.-ქართვ. *ნატ- „ნატვრა“

ქართ. ნატ-რ-ვ-ა, ნეტ-ავ(ი), ნეტ-არ-ი

ზან. (მეგრ.) ნოტ-ე // ნიტ-ე „ნეტავი“

სვან. ნატ-იელ // ნატ-იჰლ „ნეტამც“

საძიებელი ზმნა სრულად არის წარმოდგენილი ქართველურ ენა-კილოებში, გვაკლია მხოლოდ ლაზური ალომორფი. იქნებ, ლაზ. მოტ-ი „ღმერთმანი“ ფორმა მსგავსი ეტიმოლოგიისა იყოს (მ → ნ?) [საკითხის ისტორია იხ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 353-354].

ს.-სინდ. *მატა- „თხოვნა, ვედრება“

აფხაზ. ა-მატა-ნად-რა, ბზიფ. ა-მატა-ნგდ-რა „თხოვნა, ვედრება; ჩურჩული, ბუტბუტი“

სპეციალისტები წარმოდგენილ ზმნაში შესაძლებლად მიიჩნევენ -ნა-ფ სეგმენტის გამოყოფას [ჩირიქბა 1996 : 110].

აფხაზურ-ქართველური იზოგლოსების განხილვისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ლაზური მოტ- ძირის ჩვენება, ვინაიდან ის იმეორებს სინდურში (resp. აფხაზურში) უცვლელად შემონახულ წყვილბაგისმიერ მ სონორს.

დადესტნური მონაცემებიდან საინტერესო ჩანს ხუნძური ფატ-ან (→ ჰატ-ან) „კვირა; ტაძარი“ ← ეტ. ღმერთისა, შდრ. ლაზ. მოტ-ი „ღმერთმანი“...

ს.-ქართვ. *ნალჷ-ელ- „ნალველი“ (ანატ.)

ძვ. ქართ. ნალჷელ-ი//ნალჷელ-ი, ახ. ქართ. ნალველ-ი

ზან. (მეგრ.) ნორდ-ი „ნალველი“

მართალია, ქრონოლოგიურად ძველქართული ალომორფი წინ უსწრებს თანამედროვე ნალველ- ფორმას, მაგრამ ჷ-ს მეორეული მეტათეზისი (სპორადულად) ცნობილი ფონეტიკური პროცესია, შდრ. ძვ. ქართ. კიცტ-ი, ახ. ქართ. კვიც-ი, მაგრამ სვან. კუტიც-რა.

ს.-სინდ. *ნალჷ „კუჭი; ჩიყვი“

ადილ. ნალჷ „კუჭი“, ჭემგ. ნალჷ „ჩიყვი“

საერთოსინდური *ნალჷ არქეტიპის რეკონსტრუქცია მხოლოდ ადიღურის მიხედვით ხერხდება, თუმცა ამოსავალი ძირის სტრუქტურა და ფონემური შედგენილობა საკმაოდ სრულად არის დაცული. სინდურ-ქართველურ არქეტიპთა იგივეობრივ ფონემურ გარსს მხარს უმაგრებს შესატყვისობა სემანტიკურ დონეზე ნალველი ~ კუჭი, რაც კანონზომიერებას ექვემდებარება.

ს.-ქართვ. *ნამ-ე „შლამი; რიყე“

ქართ. ნამე „რიყე ფიჩხ-ჯაგნაროვანი“ (საბა), „შლამი“ (კირიონი)

მოსალოდნელი *ნამქა ზანურში, ან *ნამგე // *ნამკე სვანურში არ იძებნება. ქართულ ნამე სიტყვას ანგარიშგასაწევი გარეენობრივი პარალელები მოეპოვება, რაც მის საერთოქართველურ წარმომავლობაზე მეტყველებს.

ს.-სინდ. *ნამტ- „ტალახი; მიწა“

აბაზ. ნამტ, აფხაზ. ა-ნამტ „ტალახი, მიწა“

ჩერქეზული ლექსიკური ერთეულები აქაც გვაკლია, თუმცა აფხაზურ-აბაზური მონაცემები საკმაოდ ზუსტ წარმოდგენას გვიქმნიან საერთოსინდურ არქექტიპზე.

ს.-ქართვ. *ნამ-ე : ს.-სინდ. *ნამტ- კანონზომიერ მიმართებას აჩვენებს. ადრე აფხაზურ-აბაზური ძირები სამართლიანად იქნა დაკავშირებული დადესტნურ მასალასთან, შდრ.: ანდ. **ონში**, ახვახ. **უში** „მიწა“ [აბდოკოვი 1983 : 99]...

ს.-ქართვ. *ნამ(ტ)- „ნამვი“

ქართ. ნამვი-ი // ნამვი „ნამვი“ (საბა), ნამ-ოვ-ან-ი

ზან. (მეგრ.) ნოჯ-ი „ნამვის ხე“ (დ. ფიფია)

ქართველურში უნდა ყოფილიყო გარჩევა *ნეზტ- და *ნემ(ტ)- ალომორფებს შორის. პირველის შესატყვისია სვან. ნეზტ-რა „ნამვი“ და ზან. (მეგრ.) ნეზუ „id“, მაშინ, როდესაც მეორეს ქართული ნამვი-ი და მეგრ. ნოჯ-ი „ნამვი“ შეეფარდება [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 354].

ს.-სინდ. *მემ- „ეკალი“

უბიხ. მემ-გ „ეკალი“

ამ შემთხვევაში მხოლოდ უბიხური ინახავს საერთოსინდურ მონაცემს. ეს უკანასკნელის კანონზომიერი შესატყვისი ჩანს ასრეთვე დადესტნური (resp. ანდიური) ჰინწირ „ნამვი“ ფორმა. განსხვავებას ქართულ-ანდიურთან, მნიშვნელობის თვალსაზრისით, სწორედ უბიხური ქმნის, თუმცა ნამვი ~ ეკალი კორელაცია არ უნდა იყოს მოტივაციას მოკლებული.

ს.-ქართვ. *ნაჟ-ა „ჯაჭვი, საკიდელი“

ქართ. ნაჟ-ა „შუაცეცხლზე ქვაბის ჩამოსაკიდებელი ჯაჭვი“

მეგრული ნაჟა „id“ ქართულიდან ჩანს შემოსული. მიუხედავად იმისა, რომ ნაჟა ფორმა განმხოლოებით დგას ქართულში, მისი პოვნეირება ფუძე-ენაში ეჭვს არ იწვევს. ამას სინდური და სხვა იბ.-კავკ. ენათა მასალა ამტკიცებს.

ს.-სინდ. *დაჟ- „ჯაჭვი“

აბაზ. დაჟ, აფხაზ. ა-დაჟ „ჯაჭვი“

აფხაზური ა-დაჟ ქართული ჯაჭვ-ის ნასესხებ სახეობად მიიჩნეოდა (პ. ჭარაია, გ. როგავა), რაც არ უნდა იყოს მართებული, ვინაიდან დაჟ- ძირს დადესტნურ ენებშიც მოეპოვება შესატყვისები, შდრ.: ბეჟიტ. რაჟრ „ჯაჭვი“, ლეზგ. რიჟ, თაბას. რიჟი-ყულარ „ლარი, ლამბი“...

ს.-ქართვ. *ნდ- „ნდობა“

ქართ. ნდ-ობ-ა, ე-ნდ-ო, მი-ნდ-ობ-ილ-ი, სა-ნდ-ო

ზან. (მეგრ.) ნდ-, ო-ნდ-უ(ნ) „ენდობა“, ვა-ვ-ო-ნდ-უ-ქ „არ ვენდობი“

სვანური შესატყვისი ვერ გამოვავლინეთ.

ს.-სინდ. *მადა- „ნდობა“

აფხაზ. ა-მადა-რა „ნდობა“

წარმოდგენილი **მადა**- ფორმის შემდგომი სეგმენტაცია და მასში **მა**- „ხელი“ სეგმენტის გამოყოფა არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად [შდრ. ჩირიქვა 1996 : 110]. პირიქით, აფხაზური მონაცემი უფრო ძველი ჩანს და ინახავს არამხოლოდ პალეოკავკასიურ სრულხმოვნობას, არამედ სავარაუდოა, რომ რედუქციის მომდევნო საფეხურზე **მდ** → **ნდ** ნაზალიზაციის პროცესი ქართველურში განხორციელდა, მომდევნო **დ**-ს ასიმილაციური ზეგავლენით.

საკითხი საბოლოოდ მაშინ გაირკვევა, როცა გამოვლინდება ნახურ-დაღესტნური კანონზომიერი შესატყვისები.

ს.-ქართვ. ***ნებ**- „შინაგანი ორგანო; ხელისგული“

ქართ. **ნებ**-ი „ხელის გული თითებიანად“, „კელის სიბრტყე შინაგანი; კელის გული“ (საბა)

სვან. {**ნებ**-}, სიტყვაში **ნებ**-არ „ხელთათმანები“

ლაზურ-მეგრულმა ეს ძირი არ იცის, მოსალოდნელი კი იყო {**ნაბ**-ი} სახეობის სიტყვა.

ქართული **ნებ**- სახელი კარგად არის ცნობილი ძველქართული სამწერლობო ენის ძეგლებიდან [გელენიძე 1974 : 74].

ს.-სინდ. ***ნაბ**-ა „მუცელი, კუჭი; ფილტვი“

ადიდ. **ნებ**ზ, ყაბ. **ნებ**ზ „მუცელი, კუჭი“

უბიხ. **ნებ**ა „ფილტვი“

აფხაზურ-აბაზურ ენათა მონაცემი გვაკლია. უბიხურში **ბ**-ს ფარინგალიზაცია მეორეული ჩანს, თუმცა მიზეზი უცნობია. საინტერესოა, რომ ჩეჩნურ შესატყვისშიც **ბ**-ს ფარინგალიზაცია არ შეინიშნება – ჩეჩნ. **ნაბ** „მუცლის ქონიანი შრე“ [იხ. ვაგაპოვი 2011 : 485].

სემანტიკური ოპოზიცია *ხელის გული ~ მუცელი / კუჭი ~ ფილტვი ~ მუცლის ქონიანი შრე* აშკარად მიუთითებს *შინაგანი ორგანოს* ძირითად მნიშვნელობაზე.

ს.-ქართვ. ***ნეკ**- „ნეკნები“

ქართ. **ნეკ**-, **ნეკ**-ნ-ი „წვრილი რკალისებური ძვალი“

სიტყვა სამწერლობო ქართულში გვხვდება მხოლოდ **ნეკ**-ნ- pluralia tantum-ის სახით (შენგელია 2001 : 107). -ნ- სეგმენტის მრავლობითობა კარგად ჩანს ინგილოურის მასალაზე დაყრდნობით, სადაც **ნ**-ს ნაცვლად დამახასიათებელი -**ევ** მრავლ. სუფ. ფიქსირდება, შდრ. ინგილ. **ნეკ**-ევ- „ნეკნი“.

ს.-სინდ. ***ნეკ**გ- „ნეკნი“

აფხაზ. ა-**ნეკ**გ-ც, ბზიფ. ა-**ნეკ**გ-ს // ა-**ნეკ**გ-ც „ნეკნი, გვერდის ძვალი“

ერთი შეხედვით, უცნაურია ს.-სინდ. **ნე** : ს.-ქართვ. **ნ** ანლაუტში, მაგრამ **ნ** → **ნე** ფუძესინდურში ჩანს განხორციელებული. ეს კი თვალნათლივ გამოჩნდება დაღესტნური (ს.-დაღ. ***ნიკ**ტ- „ნეკნი, ილია“) შესატყვისების მოხმობის შემთხვევაში, სადაც პოვნირია **ნ** სონორი, შდრ.: ახვახ. უნკ „ილია“, ხინალ. ინკ „ძვალი“.

სემანტიკური თვალსაზრისით, *ნეკნი ~ ილია ~ ძვალი* ბუნებრივი მიმართება ჩანს.

ს.-ქართვ. ***ნემს**- „ნემსი“

ქართ. **ნემს**-ი

ზან. (ლაზ.) ლე-**ნემს**-ი, მეგრ. ლე-**ნემს**-ი // ლი-**ნემს**-ი // ლი-**ნემს**-ი „ნემსი“

სვანური **ნემსე** // **ნესე** „ნემსი“ სხვაგვარ ეტიმოლოგიას გულისხმობს (ნე-სყ-ე(?)) და აქ ვერ შემოვა. უძველესი ქართული წერილობითი ძეგლებიდან ცნობილი ქართ. **ნემს**- სახელს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრულ-ლაზური ალომორფები [ჩიქობავა 1938 : 163; კლიმოვი 1964 : 163; ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 357].

ქართველურ სიტყვათა თავკიდური **ნე-/ლე-** ძირს არ ეკუთვნის, ისინი სადერივაციო პრეფიქსებია [თოფურია 1938].

ს.-სინდ. ***მს-** „ნემსი“

ადილ. **მას-თჷ**, ყაბ. **მას-თჷ** „ნემსი“

უბიხ. **მგზ-**დტა „ნემსი“

ჩერქეზული სიტყვები რთული შედგენილობისა ჩანს. აქ მეორე კომპონენტად უბიხურში **-დტა** გამოიყოფა *საკერავის* მნიშვნელობით, ოღონდ აქვე ვლინდება კომბინატორული ფონეტიკური პროცესი (ასიმილაცია) რეგრესული სახეობა – ს+დ → ზდ.

ს.-სინდ. ***მს-** იმის შესაძლებლობასაც იძლევა, რომ საერთქართველური ფუძე-ენისათვის პროტოფორმად ***მეს-** დავსახოთ.

ს.-ქართვ. ***ნენ-ა** „დედა / ბებია“

ქართ. (გურ.) **ნენა-ე** „დედა“, აჭარ. **ნენა-ე** // **ნენე-ე** „ბებია; დედა“

ზან. (მეგრ.) **ნანა, ნანა-ია** „დედა“, ლაზ. **ნანა** „დედა“, **ნან-დიდ-ი** „დიდედა“

სვან. **ნან-აგ** // **ლან-აგ** „დედულეთი“

დიდი ხანია, ცნობილია ამ საერთოქართველური ძირის ქართულ-ზანურ ალომორფთა ერთიანი წარმომავლობა [ჩიქობავა 1938 : 17]. ვფიქრობთ, სვანური **ნან- // ლან-** (დისიმილაციით) ვარიანტებიც აქვე შემოვლენ. ხოლო გამოყოფილი **-აგ** დანიშნულების გამომხატველი სუფიქსი ჩანს, შდრ. სვან. ტიტ-აგ „ტრიალი მინდორი“, ჯგერ-აგ // ჯგერ-აგ „წმინდა გიორგი“ ... აქვე საცნაურია ***ნენა** → ***ნანა** → **ნან- // ლან-** უკუუმლაუტური მოვლენა სვანურში, რაც ბოლოკიდურ ა-ს მიეწერება (მ. ქალდანის კანონი).

ს.-სინდ. ***ნან-ა** „დედა / ბებია“

ადილ. **ნან**, ყაბ. **ნანჷ** „ბებია; მოხუცი ქალი“

უბიხ. **ნან(ა)** „დედა“

აფხაზ. **ნან** „დედა“ (მიმართვ. ფორმა)

სინდური ჯგუფის ენებისათვის გამოთქმულია თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი ლექსემა **ან** „დედა“ სიტყვის გაორკვევებული სახეობაა [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 845], რაც არ შეესაბამება სიმართლეს; სინდურ ენათა **ან** ფუძეს ქართველურში **ან-ი / ჰან-ი** „ბებია, მამის დედა“ (საბა) შეესატყვისება (იხ. აქვე).

უფრო ადრე აფხაზურ-ადილურ სიტყვებს აკავშირებდნენ ნახურ-დაღესტნურ *დედის* აღმნიშვნელ **ნანა / ნენ** ძირებთან [აბდოკოვი 1983 : 86].

ს.-ქართვ. ***ნე-რბ-** „ნერბი; ნერბვა“, coire

ქართ. **ნერბ-ი** „დედალი ცხვარი“ (საბა), **ნერბ-ვ-ა** „ცხოვართ აღრევა, მაკინტლობა“ (საბა)

გვაკლია ზანურ-სვანური შესატყვისები. მიუხედავად ამისა, ქართული **ნერბ-** ფუძეეწურ წარმონაქმნად მიიჩნევა, რაზეც ცალსახად მიუთითებენ აბაზური შესატყვისები.

ს.-სინდ. ***ა-ბგ** „ვაცი, მამალი თხა“

აბაზ. **აბ** „კასტრირებული მამალი თხა“, ტაჰანთ. **აბგ-კ** „id“

ქართულ-სინდური იზოგლოსების სარწმუნო შესატყვისები დასტურდება ნახურ ენებშიც, შდრ. წ.-თუშ. **ააბ** „ბატკანი“. აქვე შეიძლება ხაზგასმით ითქვას, რომ სემანტიკური კორელაცია *მამალი თხა ~ დედალი ცხვარი* მეორეულია და გულისხმობს ზოგადი სემანტიკის პოვნიერებას ორივე შინაური ცხოველის (თხა/ცხვარი) აღსანიშნავად, რაც რეალურად ფიქსირდება კიდევ დაღესტნურში, შდრ. ლეზგ. **ლაფ-აგ** (← ***ლაბ-აგ**) „თხისა და ცხვრის აღმნიშვნელი საერთო სიტყვა“ (ხუნძ. **ლემ-აგ**, კარატ. **ლებ-ლაბ** (რედუპლ.) „ცხვარი“).

ს.-ქართვ. *ნერლ- „შრატ; მისი ნარჩენი“

ქართ. (ფშ.) ნერლ-ი „ყველის, ხაჭოს შრატ; შრატის ნარჩენი“, მოხ. ნირლ-ი „ნადულარის ნარჩენი სითხე“

სხვა ქართველურ ენა-კილოებში სათანადო ძირ-ფუძეები არ იძებნება. საყურადღებო ჩანს ე/ი მონაცვლეობა ქართულ დიალექტებში; ვფიქრობთ, მოხეური ი-ი ასიმილაციის შედეგია: ნერლი → ნირლი.

ამ ძირების განაყოფი ჩანს ხევსურული ნარჯი // ნერჯ- // ნირლ-ი „ხაჭოიანი შრატი“

ს.-სინდ. *დნხჷ-გ „კარაქი; ქონი“

ადილ. თხჷგ, ყაბ. თხჷგ „კარაქი“

უბიხ. თხჷგ „ქონი“

აბაზური ფორმის არქონა ამნელებს რეკონსტრუქციის პროცედურას, ვინაიდან მისი პოვნირების შემთხვევაში შეიძლებოდა ჯ → ხ პროცესის დაშვებაც. აი, მაშინ კი ხევსურული ნარჯ- / ნერჯ- დამოუკიდებელ მასალად ჩაითვლებოდა. აქვე გვიწევს საუბარი ნ : დ ფონემური ოპოზიციის თაობაზე.

მრავლისმთქმელი ჩანს დადესტნური ინფორმაცია, განსაკუთრებით დარგული ალომორფები – ნერხ / ნირხ „კარაქი (გამდნარი)“, რომლებიც გამოირჩევა მეტი სტრუქტურული იდენტურობით ქართველურ მასალასთან, შდრ. ასევე ხუნძ. (ჭადაქ.) ნაჰ. (← *ნაჰ?), ლაკ. ნაჰ „კარაქი“, არჩიბ. ინხ „კარაქი“...

სინდურ-დადესტნური იზოგლოსებისათვის იხ. მეტი: აბდოკოვი 1983 : 134; სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 948.

ს.-ქართვ. *ნესჷ- „ნესვი; კვახი“

ქართ. ნესვი-ი // ნესვ (საბა), ნესუ-პუმპულა (საბა), ნესოვანი-ი „ნესვის ბოსტანი“

სვან. ნესვ-, კუახ-ნესვ, კნინ. კუახ-ნესვ-რლ „გოგრა, კვახი“

ფუძეენური *ნესჷ- არქეტიპის შესატყვისი სვანური ეკვივალენტი შემონახული ჩანს რთული შედგენილობის კუახ-ნესვ სიტყვაში; აუსლაუტები ს : სგ (← *სჷ) შესატყვისობა კანონზომიერებას ექვემდებარება [ჩუხუა 2000-2003 : 30].

ბალყარულ ენაში ფიქსირებული ნარშ-ა „კიტრი“ ალომორფი შეიძლება ინახავდეს ქართული ნესვ-ის მეგრულ-ლაზურ შესატყვისს.

ს.-სინდ. *ნსჷ-ა „ნესვი; კიტრი“

ადილ. ნაშ „ნესვი“, ბჟედ. ნაშა „id“, ყაბ. ნასა „კიტრი“

უბიხ. ნაშა „კიტრი“

აბაზ. ნაშა, აფხაზ. ა-ნაშა „კიტრი“

ძირთა ერთიანობა ცნობილია [ბლაჟბა 1964 208]. ძირეული შიშინა სიბილანტის გაინტენსივება ბჟედულურში ისტორიული ჯ-ს დაკარგვა-გაუჩინარების საკომპენსაციო ჩანს – შჷ → შ.

სავსებით სამართლიანად, სპეციალურ ლიტერატურაში აქვე შემოაქვთ ნახური ნარს „კიტრი“, ანდიური უნსო-ზინჷ, ლაკური ნისჷ-ართი „კიტრი“, ოსური ნასა „კვახი, გოგრა“ [შაგიროვი 1977, I; აბაევი 1973, II : 161; სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 858]. ეს უკანასკნელი ადილურ წყაროს გულისხმობს.

ს.-ქართვ. *ნეყ-ო „მდინარის კალაპოტი, ტოტი“

ქართ. ნოყო „მდინარის ტოტი“

ზან. (მეგრ.) ნაყუ „მდინარის კალაპოტი; ტოტი მდინარისა“

როგორც მეგრული შესატყვისი აჩვენებს, ქართული ფუძე ასიმილირებული სახეობა ჩანს უფ-

რო ძველი ***ნეყო** ფორმისა, შდრ. ბგერათშესატყვისობა ქართ. ე : ზან. ა, რომელიც აქ ქართულ ნაწილში დაირღვა.

სვანური ენის სათანადო მასალა ჯერჯერობით არ არის გამოვლენილი; დაკარგული ჩანს იგი ლაზურ დიალექტშიც.

ს.-სინდ. ***მეჭუა** „გზა“

უბიხ. **მელ** „გზა“

აბაზ. **მჭუა**, აფხაზ. **ა-მჭუა** „გზა“

ადიღურ ენათა **ღუა-გუ** „გზა“ სიტყვათა ამ რიგში ვერ შემოვა, დიდი სტრუქტურული სხვაობის გამო [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 604].

მნიშვნელოვანია გადახრები შესატყვისობებში ს.-ქართვ. **ნ** : ს.-სინდ. **მ**, ს.-ქართვ. **ყ** : ს.-სინდ. **ჭ**, თუმცა დაღესტნური (ანდ. ენათა **მიყი** // **მიყე** „გზა“) და ნახური (**ნეყ** / **ნიყ** „გზა“) თვალნათლივ აჩვენებს ამ ძირ-ფუძეთა ერთიან წარმომავლობას. **ყ** → **ღ**, ყველა შემთხვევაში, სინდურ ენებში განხორციელდა, შეიძლება აფხაზურ-აბაზური მჟღერი **ჭ** ფარინგალური სპირანტისებური გაშუალებით.

შესატყვისობა სემანტიკურ დონეზე *კალაპოტი / მდინარის ტოტი* ~ *გზა* ახსნადია.

ს.-ქართვ. ***ნიკელ**- „ცხვირი; ნიკაპი“

ქართ. **ნიკელ**-ი „ცხვირი, დრუნჩი“

ზან. (ლაზ.) **ნუკუ** // **ნუნკუ** „ნიკაპი“, მეგრ. **ნკკვ** / **ნიკი** „ნიკაპი; დრუნჩი“

თანამედროვე ქართულში **ნიკელ**- ფუძე არ არის აქტიური, მაგრამ იგი ცნობილია ძველქართულ წერილობითი ძეგლებიდან [ჩიქობავა 1938 : 219-50; ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 359].

ს.-სინდ. ***ნგუტ** „ლოყა“

ადიღ. **ნაკუ**, ყაბ. **ნაკუგ** „ლოყა“

გვაკლია უბიხური და აფხაზურ-აბაზური მონაცემები, მაგრამ საერთოსინდური სიტყვის რეკონსტრუქცია ადიღურის საფუძველზეც მეტად რეალური ჩანს.

კანონზომიერია მიმართება ს.-ქართვ. ***ნიკელ**- : ს.-სინდ. ***ნაკუგ** არქეტიპებს შორის როგორც სემანტიკური, ისე სტრუქტურული თვალსაზრისით. სინდური **ტ**, ალბათ, ქართველური **ლ**-ს შესატყვისია – **ლ** → **ტ**.

ს.-ქართვ. ***ნინტ-ელ**- „ბავშვი, ბაია; ქალიშვილი“

ქართ. **ნინველ**-ი „ბავშვი“, **ნინველ**-ებ-ა „ყრმათ სიჩჩება“ (საბა), **ნინველ**-ი „ჩვილზე მეტი, ჭაბუკისა უმცირესი“ (საბა)

ზან. (მეგრ.) **ნინუ**-, **ნინუ**-ა „გვარ-სახელი მეგრულში“

სვან. **ნანრლ** → // **ნანულ**, **ნანულ** (ლშხ.) „ქალიშვილი“

საქართველოში გავრცელებულია ქალთა სახელი **ნანულ**-ი სვანური წარმომობისა ჩანს, ხოლო **ნინი** / **ნინუ** შეიძლება ზანური იყოს.

ქართული **ნინველ**-ი დასტურდება უძველეს სამწერლობო ძეგლებში [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 359].

ს.-სინდ. ***ნენაუ**- „ბავშვი, ბაია“

ადიღ. **ნანგუ** „ბავშვი, ბაია“

უბიხ. **ნანაუ** „ბავშვი, ბაია“

სხვა სინდურ ენებში საძიებელი ფუძე არ ჩანს, თუმცა მისი საერთოსინდური წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს. ყველა თვალსაზრისით ოპოზიცია ს.-სინდ. ***ნანაუ** : ს.-ქართვ. ***ნინტ-ელ**- ნორმალურია; ბგერათშესატყვისობათა ჩვენება კანონზომიერებას ექვემდებარება.

საყურადღებო პარალელები დასტურდება დადესტნურ ენებშიც: ბეჟიტ., ჰუნზიბ. ნანი „თოჯინა“.., თაბას. ნინი, ალულ. ნენეი, კრიწ. ნენაი „თოჯინა“, რაც ამ ძირის საერთოკავკასიურობაზე მიუთითებს.

ს.-ქართვ. *ნისლ- „ნისლი; თოვლი“

ქართ. ნისლ-ი, ნისლ-ის-ფერ-ი

ზან. (მეგრ.) ნირს-ი „ნისლი“, გო-ნირს-ელ-ი „დანისლული“

სვან. მისუ, მუს „თოვლი“

უძველესი ქართულ წერილობითი წყაროებიდან ცნობილ ნისლ- სახელს კანონზომიერად შესატყვისება მეგრული ნირს- ძირი [ჭარაია 1895, XII : 115; ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 360]. აქვე შემოვა სვანური მუს „თოვლი“ სიტყვას, რომელიც მისუ არქაული ფორმისგან მომდინარეობს. ცხადია, ვერ გავიზიარებთ სვანური მუს სახელის ადილური ენებიდან სესხების ცნობილ თვალსაზრისს [ჯანაშია 1942 : 269].

ს.-სინდ. *ნს-გ / *მს-გ „თოვლი“

ადილ. უა-სგ, ყაბ. უა-ს „თოვლი“, შდრ. ად.-ყაბ. ჯე-სგ-ნ „თოვა“

აბაზ. სგ, აფხაზ. ა-სგ, ბზიფ. ა-სგ „თოვლი“, შდრ. აბაზ. შა-ს-რა „თოვა“

ერთიან ძირად სგ გამოიყოფა [შაგიროვი, 1977, I : 227; 1977, II : 93], თუმცა, ქართველური და დადესტნური მასალის გათვალისწინებით, შესაძლებლად მივიჩნევთ *ნს-გ ან *მს-გ დუბლეტური პროტოტიპების პოსტულაციას, შდრ.: ხუნძ. შანსი „ღრუბელი, ნისლი“, თაბას. ამს // ამსა // ამს, ალულ. ამსარ „ღრუბელი, მოღრუბლულობა“, პროტოდიდ. *მუს „ნისლი; ჯანლი, კვამლი“.

ს.-ქართვ. *ნი-ფხ- „ნიფხავი“

ქართული სიტყვა ნიფხავ-ი, სავარაუდოდ, ჩაცმა / შეკვრის აღმნიშვნელ ფხ ძირს შეიცავს. ნი- სადერივაციო პრეფიქსია ქართველურში [თოფურია 1979 : 70-71], ხოლო -ავ წარმოშობით ზმნური სუფიქსი ჩანს.

ს.-სინდ. *ფხა- „შეკვრა“

ადილ. ფხა-ნ, ყაბ. ზგ-ფხა-ნ „შეკვრა“;

ანგარიშგასაწევია ფხ ჰარმონიულ-დეცესიური კომპლექსის არსებობა ფუძე-ენათა დონეზე, რაც იბ.-კავკ. ენათა ოჯახის სხვა ჯგუფშიც ამავე ძირში იჩენს თავს, შდრ. წოვათუშური დოუფხუ (← *დაფხუ) „ტანისამოსი“.

ს.-ქართვ. *ნიხ-ერ- „ფუძის ანგელოზი“

ზან. (ლაზ.) ნენხარ-ე „ფუძის ანგელოზი, სახლის მფარველი“

ბოლოკიდური -ე ლაზურში ფუძეს შეხორცებული სახელობითი ბრუნვის ოდინდელი ნიშანი ჩანს. ხოლო ინლაუტური ნ ფონეტიკური დანართია, რომელსაც ი → ე ფონეტიკური პროცესი მიეწერება, შდრ. ლაზ. ნენა ~ მეგრ. ნინა ~ სვან. ნინ „ენა“...

სხვა ქართველურ ენა-კილოებში შესაბამისი ძირეული მასალა ჯერჯერობით არ მჟღავნდება.

ს.-სინდ. *ნგხ-ა „ხატი, სალოცავი“

აბაზ. (ტაპანთ.) ნგხა, აფხაზ. ა-ნგხა „ხატი, სალოცავი“

არსებობს თვალსაზრისი ნგხა ფუძის ადილურ ნგხა-სა „საბჭო, საფიხვნო“ სიტყვასთან გენეტიკური კავშირის თაობაზე [ანთელავა : 2012], რაც არ ჩანს უსაფუძვლო.

ს.-ქართვ. *ნიხ-ერ- ~ ს.-სინდ. *ნგხ-ა არქეტიპთა კანონზომიერი შესატყვისი შეიძლება ჩანდეს დადესტნურ ენებშიც, შდრ.: დიდ. აჭ, ალულ. ეჭ, წაზ. აჭ // აჭ „მოლანდება, ნიშანი“, ს.დად. *ნაჭ- „მოლანდება, ნიშანი“.

ს.-ქართვ. *ნიხრ- „დაწესებული ფასი“

ქართ. ნიხრ-ი „დაწესებული ფასები“; „ტარიფი, გადასახადის ნორმები“ (ქეგლ), ნიხრ-ი DE (განუმარტ. საბა)

სიტყვა მხოლოდ ქართულშია ფიქსირებული, იგი ცნობილია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონიდან, სადაც, სამწუხაროდ, არ განიმარტება. ნიხრ- ძირი უძველესი ჩანს, მას მოეპოვება უტყუარი შესატყვის-იზოგლოსები იბ.-კავკ. ენებიდან.

ს.-სინდ. *ხტე- „ფასი; ყიდვა; გადახდა“

ადიდ. შა-ჰე-ნ ← *შა-ხტე-ნ, ყაბ, სუ-ხტე-ნ „ყიდვა“

უბიხ. ჰა- ← *ხტე, ა-ს-ჰა-ნ „გადახდა“

აბაზ. ხტე, აფხაზ. ა-ხტე „ფასი“

ისევე როგორც ფასის შემთხვევაში, საერთოსინდური *ხტე- არქეტიპი შებრუნებული წყობი-საა. ძირეული თანხმობის ლაბიალიზაცია მეორეულ ხასიათს ავლენს, რასაც დადესტნური და ნა-ხური შესატყვისები თვალნათლივ ამტკიცებენ, შდრ.: ხუნდ. მუხ, ანდ. მიში, კარატ. მუხუ „გადასა-ხადი“, ნახ. მახ „ფასი, ვაჭრობა“. აქვე შემოდის ხურიტული ნიღარი „მზითევი“ სიტყვაც [დიაკონო-ვი, სტაროსტინი 1986 : 22].

ს.-ქართვ. *ნოჯ-ელ- „პეშვი; ტორი“

ზან. (ლაზ.) ნუხუ „პეშვი, ტორი“

საძიებელი ფუძე ლაზურში განმარტოებით დგას, თუმცა ივარაუდება მისი ფუძეენური წარმომავლობა; ამას მონათესავე იბ.-კავკ. ენათა ჩვენება უჭერს მხარს.

ლაზურ ნუხუ-ში ორი ს.-ქართვ. არქეტიპის შესატყვისი შეერწყა ერთმანეთს; ვინაიდან, გარდა ამისა, ნუხუ ხასიათდება მუხლის სემანტიკით, რაც გვაფიქრებინებს მის ნათესაურ კავშირს ძვ. ქართულ მუკლ- „მუხლი“ ფორმასთან.

ს.-სინდ. *ნგე- „ილია“

უბიხ. ნგე „ილია“

სინდურ ენებშიც მხოლოდ უბიხურს შემორჩა ფუძეენური წარმომავლობის რეფლექსი. თუმცა ლაზურ-უბიხურ მონაცემებს სანდო შესატყვისები ეძებნება დადესტნურ ენებში, შდრ.: დარგ. ნაჯ // ნაჯა „ხელი, მკლავი“, ჰუნზიბ. ნიჯ, ბეჟიტ. ნუჯ-ულ „ილია“.

ვფიქრობთ პეშვი ~ ხელი / მკლავი ~ ილია ჩვეულებრივი სემანტიკური კორელაციაა.

სტრუქტურულად ს.-ქართვ. *ნოჯ-ელ- საყურადღებოდ ემთხვევა ბეჟიტ. ნუჯ-ულ ფუძეს.

ს.-ქართვ. *ნუმ-ა „ხაჭო, ყველი“

ძვ. ქართ. ნუმ-ი / ნუმ-ა

პოვნირია მხოლოდ ძველ ქართულ სამწერლობო ენაში. ახალი ქართული და მისი მრავალ-რიცხოვანი დიალექტები, ქართველური ენა-კილოები ამ ძირის შესაბამის ფორმებს არ იცნობს. სხვა მხრივ, ძირი თითქმის ყველა იბ.-კავკ. ენაშია გავრცელებული, განსაკუთრებით, დადესტნურ ჯგუფში.

ს.-სინდ. *ნასტე-გ „ყველი“

აბაზ. აშტე, აფხაზ. აშტე „ყველი“

სათანადო ძირები ჩერქეზულ ენებშიც დაკარგული ჩანს. ს.-სინდ. *ნასტე-გ : ს.-ქართვ. *ნუმ-ა ნორმალური (კანონზომიერი) შესატყვისობა [ლომთათიძე 1996 : 18-19].; როგორც უკვე აღინიშნა, დადესტნურ ენებში მსგავსი ფორმები თითქმის ყველა ენაში დასტურდება: ხუნდ. ნისუ // ნიშუ, ანდ. ისო, ახვახ. ისა „ხაჭო, ყველი“..., დიდ. იზუ, ჰინუხ. იჟუ, ხვარშ. იზუ „ყველი“..., ლაკ. ნის, დარგ. ნისუ, ლეზგ. ნასუ, თაბას., ალულ. ნის, რუთულ. ნისა, შახურ. ნისე, კრიწ. ნისი, ბუდუხ. ნუსუ „ყველი“.

სვანური თაშ(ჷ) „ყველი“ ფუძის სიტყვათა ამ რიგში შემოტანა, ფონეტიკურ გარემოებათა გამო, არ ჩანს მიზანშეწონილი [შდრ. ლომთათიძე 1996 : 18-19].

ო

ს.-ქართვ. *ობ- „წმინდა ობი; დარ-ავდრის აღმნიშვნელი სახელი“
ქართ. **ობ**- „ყამარის მამის სახელი ამირანიანიდან“, მოხ. **ობ**-ა „წმინდა ობი“
ზან. (მეგრ.) **ობ**-ი, სიტყვაში **ობ**-იშხა „პარასკევი“ (ზედმიწ. **ობ**-ის დღე)
სვან. **ჟობ** „ბედ-იღბალი, ბედისწერა, судьба“

გამოთქმულია თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ მეგრულ-ლაზურ-სვანური *ობ-ი წარმოაჩენს დარ-ავდრის აღმნიშვნელ თავდაპირველ სახელს, რომელიც მომდინარეობს ქართველთა წარმართობის პერიოდიდან (ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი). პრობლემა ამგვარი ძიებების დროს იმაშია, რომ ვერ ხერხდება ეტიმოლოგიზირება **ობ**- ძირისა, უფრო ზუსტად, მისი ამოსავალი სემანტიკის დადგენა. ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისით საინტერესო უნდა იყოს სვანურში შემორჩენილი სიტყვის მნიშვნელობა - **ჟობ** „ბედ-იღბალი, ბედისწერა, судьба“; აქვე საყურადღებოდ გვეჩვენება ქართული ენის მოხეურ კილოში შემონახული სემანტიკა **ობ**-ა ფორმისა, რომელსაც *წმინდა ობად* მოიხსენიებენ. ზოგი მკვლევარი ამავე **ობ**- ძირს ხედავს ყამარის მამის სახელში ამირანიანიდან (ბ. კილანავა, ვ. კილანავა).

ს.-სინდ. ***ჟაბ**- „ელვა; დარ-ავდრის ღვთაება“
ყაბ. ვაფ- სიტყვებში: ვაფ-ხოფსე „ელვა“, ვაფ-ლჟალო „ქუხილი“
უბიხ. **ჟობ**-ოდ/ჟობ-დო „ელვა“

დარ-ავდრის აღმნიშვნელი ღვთაების პირვანდელი სახელი ჩერქეზული ენებიდან მხოლოდ უბიხურში შემორჩენილა **ვობოდ/ვობდო** ფორმათა სახით, რომელსაც ადიღურში (ყაბარდოულში) **ვაფ**- შეესატყვისება. ასიმილაციური **ჟა** → **ჟო** კომბინატორული ბუნებისაა და იგი უბიხურში განხორციელდა, რასაც ყაბარდოული შესატყვისის ამოწმებს.

საერთოჩერქეზული ***ჟაბ**- „ელვა; დარ-ავდრის ღვთაება“ პარალელს პოულობს ქართველურ პანთეონში.

ამ ეტაპზე მონათესავე ძირ-ფუძეები სხვა იბ.-კავკ. ენებიდან ვერ გამოვლინდა.

ს.-ქართვ. ***ობალ**- „ობოლი“
ქართ. **ობოლ**-ი „უდედმამო“; „უდედმამოდ დარჩენილი“ (საბა), ნა-**ბოლ**-არ-ი
ზან. (მეგრ.) **ომბოლ**-ი „ობოლი“
სვან. **ომბელ** „ობოლი“

შესაბამისი ფუძე ლაზურში არ იძებნება. სვანურ ალომორფს მეგრულიდან ნასესხებად მიიჩნევენ, რაც არ ასახავს რეალურ ვითარებას [იხ. კლიმოვი 1964 : 149-150]. პირიქით, სვანური ფორმა უნაკლოდ შეესატყვისება ამოსავალ სახეობას, რაც თვალსაჩინოდ ჩანს სვანურ ე გახმოვანებაში (შდრ. დათჷ-ი : დემდჷ, სამ-ი : სემ-ი...), ანუ ზანურ-ქართული შესატყვისების მსგავსება შემთხვევითია, ვინაიდან ზანურში, როგორც მოსალოდნელი იყო, ს.-ქართვ. ა → ო, ხოლო ქართული ***ობალ**- → **ობოლ**- პროგრესული ასიმილაციის რიგითი ნიმუშია. ბ-ს წინ მ ფონეტიკური დანართია სვანურ-მეგრულში.

ს.-სინდ. ***დგ**-ბა „ობოლი“
ადიღ. **დგბა**, ყაბ. **დგბა** „ობოლი“
უბიხ. **დგბა**, აფხაზ. ა-**დგბა** „ობოლი“

ს.-ქართვ. ***ობალ**- : ს.-სინდ. ***დგ**-ბა არქეტიპებში [ჭარაია 1912 : 16] თავკიდურ ო-/დგ- სეგმენტებს აფიქსად გამოყოფენ (ნ. მარი, სტაროსტინი, ნიკოლაევი), რაც, შეიძლება, მთლად უსაფუძვლო

არც იყოს, მაგრამ დაღესტნური მასალა, ამას ეწინააღმდეგება, იქ ო'ს შესატყვისი უ მკვიდრად ზის : დარგ. უბა-ა „გერი ნათესავებში“, ჭამალ. უბა-ბ „გარე ბიძაშვილი“.

გ. კლიმოვი ქართველურ ფუძეთა შესატყვისს ხედავდა ხუნძ. ჰობოლ „სტუმარი“ სიტყვაშიც [კლიმოვი 1964 : 150].

ს.-ქართვ. *ომ- „ომი“

ძვ. ქართ. ჰომ-ი // ომ-ი, მე-ომ-არ-ი, სა-ომ-არ-ი

ზან. (მეგრ.) ლგმ-ა „ომი, ბრძოლა“, მა-ლიმ-ურ-ი „მეომარი“, ნა-ლგმ-ა „ნაომარი“

ჰ ბგერა ფონეტიკური დანართი ჩანს ძველქართულში (შდრ. ჰავ-ი / ავ-ი, ჰასაკ-ი / ასაკ-ი, ჰრომ-ი / რომ-ი, ჰრულ-ი / რულ-ი...), ისევე, როგორც ლ მეგრულში (ლისირ-ი / ისირ-ი „ისლი“, ლუბა / უბა / ობა „უბე“...). ფუძის ანლაუტური უ → გ → ი ასევე ინოვაციად გვესახება, შდრ. ბგერათშესატყვისობა ქართ. ო : ზან. უ [როგავა 1962].

ს.-სინდ. *ჟამ- „ომი“

ადილ. (შაფს.) ჟამ „ომი“

გამოთქმულია ეჭვი იმის შესახებ, რომ ქართული ომ-ი სიტყვა ადიღური ენის შაფსულურ დიალექტმა უსესხია ქართულიდან [ბუკია 2016 : 51]. ჩვენ კი ვიზიარებთ მანამდე გამოთქმულ ვარაუდს, რომ საერთოჩერქეზული წარმომავლობის ალომორფი მხოლოდ შაფსულურ დიალექტში შემოგვრჩა [კვახაძე 2014 : 183], თუმცა ამავედროულად აუხსნელი გვრჩება **ღ** სონანტის ფუნქცია (წარმომავლობა) შაფსულურში, ვინაიდან ჩერქეზული ჟა კომპლექსი სიტყვის თავში ქართველური ო-ს კანონზომიერი მოდიფიკაცია ჩანს.

ს.-ქართვ. *ორბ- „ორბი“

ქართ. ორბ-ი „არწივი“

ზან. (მეგრ.) ობრ-ი „არწივი; ერთგვარი პეპელა“

სვან. ჟერბ, ჟორბ (ლშხ.) „არწივი“

მეტათეზისი, რომელიც მეგრულში განხორციელდა, განპირობებულია რბ თანმიმდევრობის არაკანონიკურობით, რაც ბუნებრივი ბრ კომპლექსით იქნა დაძლეული. სვანურისთვის უწინარესია ორბ სახეობა, რომლის თავშიც ჟ ფონეტიკური დანართი ჩანს ლაშხურისათვის, მაშინ, როდესაც ნაუმლატარი ჟერბ ← *ორბ უფრო ძველ ვითარებას ასახავს სვანური ანლაუტის ისტორიის თვალსაზრისით.

ს.-სინდ. *არბ-ა „მამალი“

აბაზ. არბა „მამალი; მამრი ფრინველებში“, აფხაზ. არბა „მამალი“, არბა-ღ „მამალი ფრინველებში“

არსებული სემანტიკური კორელაცია ორბი ~ მამალი ეტიმონად ფრინველის შინაარსს გულისხმობს, რასაც მხარს უჭერს დაღესტნური მასალაც, შდრ.: ჰინუხ. ოლბო, დიდ. ელბო, ხვარშ. ილბა „მტრედი“; ანუ ლ → რ სინდურ-ქართველურში განხორციელდა.

ს.-ქართვ. *ორ-ემ- „დამდგარი წყალი; მორევი“

ქართ. (იმერ.) ორემ-ი „მორევი“

ზან. (მეგრ.) ორამ-ო „დამდგარი წყალი“

აქაც სვანური შესატყვისები გვაკლია. გურული ვორაფო „ტბა, დამდგარი წყალი“ დიალექტში ადაპტირებული ზანიზმი უნდა იყოს.

ს.-სინდ. *ჟარ-გ „გუბე“

ადილ. (აბძახ.) ჟერგ-ზ „გუბე“

მართებული ჩანს მსჯელობა იმის შესახებ, რომ **-ზ** სეგმენტი „ძველის“ აღმნიშვნელი მორფე-
მაა, რომელიც *ძველი წყალი* → *გუბე* სემანტიკურ გადახრას გულისხმობს [კვახაძე 2014 : 30].

ს.-ქართვ. ***ორ-ემ**- : ს.-სინდ. ***ურ-გ** შეპირისპირება იმასაც ამტკიცებს, რომ წინარესინდურში
***ურ-გ** პროტოტიპი უნდა ყოფილიყო პოვნიერი, ანუ **უ** → **ურ** დიფთონგიზაციის პროცესი საერთო-
სინდურში განხორციელდა.

ს.-ქართვ. ***ორკ**- „დოქი, თუნგი“

ქართ. **ორკ**-იოლ-ე / **ორკ**-იოლ-ი „ხელადა, თუნგი“

ზან. (მეგრ.) **ორკ**-ოლ-ი „დოქი“

მეგრული სახელის სეგმენტაცია **ო-რ-კოლი** სახით არ მიგვაჩნია მართებულად [შდრ. ყიფში-
ძე 1994 : 498]. პირიქით, ვფიქრობთ, რომ **ორკ**- ქართულ-ზანურში ძირეულ ნაწილს წარმოადგენს,
ხოლო **-იოლ-** / **-ოლ-** სადერივაციო სუფიქსებია.

ს.-სინდ. ***ურკ**- „ნავი“

უბიხ. **ურკ** „ნავი“

სხვა სინდურ ენებში შესაბამისი სახელური ფორმები არ იძებნება, თუმცა უბიხური ალომ-
ორფი საკმაო სიზუსტით წარმოაჩენს ფუძემდებელ მდგომარეობას. ერთადერთი, რასაც ვერ ვხედავთ,
პალატალიზებული **კ** ფონემის წყაროა. იქნებ, სუფიქსური **წ** იყოს აღსადგენი, რომელიც ადვილად
შედლებდა პალატალიზაციას უბიხურში – **კწ** → **კ**. სხვა მხრივ, საერთოსინდური **ურ** კომპლექსი კა-
ნონზომიერად მიემართება **ო**-ს ქართველურში. ალბათ, **ო** → **ურ** პროცესია საგულვეტელი ჯერ
კიდევ ფუძესინდურში, რასაც ეხმიანება დალ. (ხინალ.) **ურ**-ა „კათხა/ჯამი“.

სემანტიკური კორელაცია *დოქი / თუნგი* ~ *ნავი* სხვაგანაც მეორდება და ადვილად აიხსნება,
შდრ. ს.-სინდ. ***დგბ** „ნავი“ ~ ს.-ნახ. ***გაბა** „ქოთანი“, ს.-დალ. ***გაბა** „ვაზა, ქოთანი, დოქი“.

ს.-ქართვ. ***ოსხ**- „ერთ-ერთი ღვთაება“

ქართ. (თუშ.) **ოსხ**-ი „ერთ-ერთი ღვთაება“, სა-**ოსხ**-ე, სა-**ოსხ**-ე-ებ-ი „დაიკვლებოდა გიორგო-
ბისთვის პირველიდან, ზვარაკი ინახებოდა ოთხი თვე“

ცხადია, ჩნდება ექვი თუშური **ოსხ**-ის სალიტ. **უსხ**-თან მიმართების თაობაზე. ჩვენ თავს ვი-
კავებთ ამგვარი დაკავშირებისაგან, ვინაიდან გვგონია, რომ ქართ. **უსხ**-ი განსახილველია სვანურ
ურსხურ (ზს.), **ურსხურ**-ად (ლშხ.), **ურსხურ**-ა (ლნტ.) „სამსხვერპლო მოზვერი, უსხი“ ალომორფებთან
მჭიდრო კავშირში და, სავარაუდოდ, ისინი სხვა ეტიმოლოგიას ექვემდებარებიან.

ს.-სინდ. ***ურშხ**- „ღმერთი; ცისკამარა“

ადილ. **ურშხ**-ურ „ცისკამარა“, ყაბ. **ურშხ**-ურ „ცის ლაჟვარდი; ბოლო ცა“

უბიხ. **ურშხ**-ურ „ღმერთი; ჭექა-ჭუხილი და ელვა“

აფხაზური **ურშხო** ადიდეურიდან ჩანს შემოსული, მაგრამ წყველის ფორმულებში უბიხურის
სემანტიკას მიჰყვება [მაჭავარიანი 2016].

ს.-ქართვ. ***ოსხ**- : ს.-სინდ. ***ურშხ**- არქეტიპთა შეპირისპირება რეალური ჩანს არამხოლოდ სე-
მანტიკის, არამედ ფონემური კანონზომიერი მიმართების გამოც, შდრ. ბგერათშესატყვისობები –
ს.-ქართვ. **ო** : ს.-სინდ. **ურ**, ს.-ქართვ. **სხ** : ს.-სინდ. **შხ**.

ხათური **wasx**-ab „ღმერთი“ (რომელიც pluralia tantum-ის შემთხვევა ჩანს), რა თქმა უნდა, სინ-
დურ მასალასთან უფრო ახლოს დგას.

ს.-ქართვ. ***ო-ქიმ-ო** „ეტლი“

ქართ. **ოქიმო** „ეტლი“ (საბა)

ადრე ვფიქრობდით საბასთან ფიქსირებული **ო**- პრეფიქსიანი სიტყვის ზანურ წარმომავლო-

ბაზე, მაგრამ, როგორც ირკვევა, ისტორიულად **ო — ო (ოქიმო)** კონფიქსური სიტყვათწარმოება ქართლისთვისაც ყოფილა უცხო, შდრ. ქართული სიტყვები: **ომბალო** (მცენ.), **ონჯარო** „ხის ძირი“, **ოსარო** „თევზის საპყრობი“ (საბა), **ოქსილო** „დიდი კოპე“ (= ზან. ორშიმო „id“), **ოყარო**...

ს.-სინდ. *ქუტე „კარეტა, ურემი“

ადიდ. (შაფს.) ქუტე, ჭემგ. ქუტე „ურემი, კარეტა“, ყაბ. გუტე „ურემი“

უბიხ. ქუტე „ურემი“

ს.-ქართვ. ***ო-ქიმ-ო** : ს.-სინდ. *ქუტე კანონზომიერად მიემართებიან ერთმანეთს; ძირეული თანხმონის ლაბიალიზაცია სინდურში ასახავს ქართველურ მ-ს, ანუ მ : ტ. რაც შეეხება სიტყვის ანლაუტურ ო-ს, ქართველურივით იგი მეორდება დადესტნურ ენებშიც, შდრ.: ხუნდ. **ჰორქო**, დარგ. **ურქურა**, ლეზგ. **აქურ** „ეტლი, კარეტა, ურემი“...

გასარკვევია ქართული **საქუმელ**-ი „საკაცე“ (საბა) სიტყვის მიმართების პრობლემა. იქნებ, მართლაც **ოქიმო** ზანურია, ხოლო **საქუმელ**-ი მისი ქართული შესატყვისი (!).

პ

ს.-ქართვ. ***პარს-** „პარსვა“

ქართ. **პარს-**, **პარს-**ავ-ს, **სა-პარს-**ი

ზან. (მეგრ.) **პუსქ-**, **გო-პუსქ-ორ-**უ-ა „გატიტვლება“, **გო-პუსქ-ორ-**ილ-ი „გატიტვლებული, განძარცული“

სიტყვა ცნობილია ძველი ქართული ტექსტებიდან: „ა ღ ი პ ა რ ს ე თავი შენი და განაგდე“ [აბულაძე 1973 : 19]. -**ორ** სუფიქსად უნდა გამოიყოს ზანურში, ხოლო **პარს-** / **პუსქ-** მიმართება ბუნებრივი ჩანს. სხვა მაგალითებშიც ოპზიცია ქართ. **ს** : ზან. **სქ** არაერთხელ დაჩნდება, შდრ. ქართ. **პრას-**ი : ზან. **პროსქ-**ია „id“.

ს.-სინდ. ***ფსა-** „პარსვა; რანდვა, თლა“

ყაბ. **ფსგ-**, უგ-**ფსგ-**ნ „პარსვა“, **ფხნ-ფს** „შალაშინი“, შდრ. **ფხნ** „ხე, შემა“

აბაზ. **ფსა-**, **ფსა-**რა „რანდვა, თლა“, **ფსა-**რთ „მაკრატელი“

სინდური ძირები, სხვა კონტექსტში, ერთმანეთთან ა. აბდოკოვმა დააკავშირა, რაც წარმატებული მცდელობა ჩანს [აბდაკოვი 1983 : 126].

ს.-ქართვ. ***პარს-** : ს.-სინდ. ***ფსა-** კანონზომიერი მიმართების ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს, მით უმეტეს, მაშინ, თუ ჩავთვლით, რომ **პ** → **ფ** დეგლოტალიზაცია **ს**-სთან ასიმილაციით სინდურ ენებში განხორციელდა – ***პსა-** → ***ფსა-**. შემოთავაზებული დაკავშირება გამორიცხავს ქართ. **პარს-**ზმნის სომხური წარმომავლობის მტკიცებას.

ს.-ქართვ. ***პაღუ-** „მუცელი“

ქართ. **პაღუ** „დიდი მუცელი“ (საბა)

ზან. (მეგრ.) **პულუ** // **პუხუ** „კუზი“, **პუხუ-**ამ-ი „კუზიანი; ჭიანჭველა“

ლაზურ-სვანური შესატყვისი არ იძებნება. მეგრულში ამჟამად უფრო გავრცელებულია ყრუ ვარიანტი **პუხუ**, თუმცა ეს ვერ ცვლის ქართულთან მიმართების რეალობას.

საბასთან დამოწმებული ფორმა არ არის ფიქსირებული ძველ ქართულ ტექსტებში [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 369].

ს.-სინდ. ***ბღა-** „წელი“

ადიდ. **ბღგ**, ყაბ. **ბღგ** „წელი“

აბაზ. **ბღა**, აფხაზ. ა-**ბღა** „ზურგი, წელი“

უბიხური შესატყვისი აქაც გვაკლია, ამიტომაც ძნელი სათქმელია, ჰქონდა თუ არა სინდურ

ენებს ლაბიალიზებული ლტ ამ სიტყვაში, თუნდაც წინარესინდური ენობრივი ქრონოლოგიის დონეზე; დარგ. მუყ „ზურგი“ და ნახ. ენ. ბუყ „ზურგი“ მის არსებობას მხარს დაუჭერდნენ.

პ : ბ ოპოზიაციაში ქართველურის ჩვენება უწინარესი ჩანს, ვინაიდან პ → ბ/მ დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესი მთის იბ.-კავკ. ენებისათვის.

ს.-ქართვ. *პაწ- „პატარა“

ქართ. პაწ-ია, პაწ-აწ-ა, პაწ-უ-ა, პაწ-ა „მცირე; მცირეთ ნაწილი“ (საბა)

სიმბოლიკური აგებულების ძირია ქართულში; ქართველური შესატყვისები არ იძებნება.

ს.-სინდ. *პაწ- „პატარა; მოკლე“

აფხაზ. ა-პაჭ- „პატარა, მოკლე“

სიტყვა ასევე განმარტოებით დგას აფხაზურში, მაგრამ, სავარაუდოდ, ფუძესინდური წარმომავლობისაა.

ქართულ-აფხაზურ იზოგლოსებს აერთიანებთ სტრუქტურულ-ფონეტიკური და სემანტიკური იგივეობა. საინტერესო ჩანს დადესტნური პარალელებიც, შდრ.: ალულ. ბიწ-იჭ, თაბას. ბიწ-უგ // ბიწ-უბ „პატარა“.

ს.-ქართვ. *პეუ- „გაპობა; გაყოფა“

ძვ. ქართ. გან-პ-ებ-ა „გაყოფა, გაპობა“, გან-პ-ებ-ულ-ი „გაპობილი, გაყოფილი“, ახ. ქართ. ა-პ-ობ-ს, გა-ა-პ-ო

სვან. ნ-პუ „ნაჭერი“, „ლუკმა“, შდრ. ხ-ე-პ-ენ-ი „სკდება“

ზანურ დიალექტებში შესაბამისი მასალა არ იძებნება, ხოლო ქართულ-სვანური შეპირისპირებით ფუძეენური მდგომარეობისთვის აღადგენენ *პუ- არქეტიპს [კლიმოვი 1964 : 154]. სვანურში უ-გახმოვანების პოვნეირება, ჩვენი აზრით, იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ქართულშიც პეუ-სტრუქტურის ზმნური ფუძეა საგულვებელი.

ს.-სინდ. *პპ- „გაკვეთა“

ადიდ. (ჭემგ.) -პპ-, სიტყვაში უგ-პპ-ნ „გაკვეთა“

სპეციალურ ლიტერატურაში ჭემგულურ მონაცემზე დაყრდნობით რეკონსტრუირდება საერთოჩრქეული *პა- „გაკვეთა“ ზმნური პროტოტიპი [კვახაძე 2014 : 289].

ს.-სინდ. *პპ- „გაკვეთა“ ზმნას კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. *პეუ- „გაპობა; გაყოფა“ ზმნა. ვფიქრობთ, სტრუქტურულ-სემანტიკური ერთიანობა აქ ეჭვს არ იწვევს.

ს.-ქართვ. *პეზ- „მსუქანი, მსხვილი, ქონიანი“

ქართ. პეზ-ან-ი „მსუქანი“, შდრ. იმერ. პოზ-ან-ი (← *პეზ-ან-ი) „მუცლის ქონი“

ზან. (ლაზ.) პეჯ-ი „მსუქანი, სქელი“, ი-პეჯ-ან-ენ „სუქდება“, მეგრ. პინჯ-ალ-ი „დიდი, აყლაცულა“, ო-პინჯ-ინ-ან-ს „დიდად გამოიყურება“

სვან. პაჟ-უ „მაჯლაჯუნა“

აშკარად მეორეული ჩანს ე → ჯ აფრიკატიზაციის პროცესი ზანურ დიალექტებში. ე → პ სვანურში ბოლოვიდური უ (← ო) სონანტის ზეგავლენის შედეგია (მ. ქალდანის კანონი).

ს.-სინდ. *პპზ-ე „მსუქანი“

აფხაზ. (ბზიფ.) ა-პაზ- „მსუქანი, გათქვრივებული, დიდი“

საერთოსინდური წარმომავლობის სიტყვა მხოლოდ აფხაზური ენის ბზიფურ დიალექტში შემოგვრჩა. სპეციალურ ლიტერატურაში წარმოდგენილი რეკონსტრუქცია ფუძეენური მდგომარეობისთვისაც მისაღები ჩანს [ჩირიქბა 1996 : 28].

სხვა იბ.-კავკ. ენებში სათანადო ძირ-ფუძეები ამ ეტაპზე ვერ გამოვლინდა.

ს.-ქართვ. *პენტელ- „ბოდიალი“

ქართ. პენტელ-, სიტყვაში ცრუ-მენტელ-ა

ზან. (მეგრ.) პანტალ-ი „ბოდიალი“, პანტალ-ან-ს „სისულელეს, უაზრობას ამბობს“, ლაზ. გო-პანტ-აფ-ა „გაგიჟება“, შდრ. მეგრ. პონტ-ო „ბოთე, სულელი“

სვანურში შესაბამისი ძირ-ფუძე ვერ გამოვავლინეთ. ქართულ-ზანური შესატყვისები კი იმა-ზე მიუთითებენ, რომ ფუძე-ენაში *პენტელ- ზმნა იყო პოვნირი, რომელსაც სარწმუნო იზოგლო-სები უვლინდება სინდურ ენებში.

ს.-სინდ. *პატ- „სისულელის თქმა“

აბაზ. პატა-, სიტყვაში ლა-რ-პატა-რა „არევ-დარევა“, აფხაზ. ა-პატა-რა „სისულელის თქმა“

ჩერქეზული მონაცემები გვაკლია, თუმცა აფხაზურ-აბაზური ინფორმაცია შედარებით სრულ წარმოდგენას გვიქმნის ფუძეენურ მდგომარეობაზე.

ს.-ქართვ. *პენტელ- : ს.-სინდ. *პატ- შეპირისპირებით ირკვევა, რომ ნ ფონეტიკური დანართია ქართველურ ენებში.

სხვა იბ.-კავკ. ენებში გენეტიკურად საერთო მასალა არ იძებნება.

ს.-ქართვ. *პერ- „ფრენა; ფრინველი“

სვან. პერ- / პრ-, პერ-ნ-ი „ფრინავს“, ლი-პერ „ფრენა“, ნე-პრ „ფრინველი“

ზმნური პერ- მხოლოდ სვანურშია პოვნირი. მისი დაკავშირება ქართულ პეპელ- ძირთან უსაფუძვლოდ გვეჩვენება [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 371].

ვინაიდან სვან. პერ- ძირს კანონზომიერი შესატყვისები უდასტურდება სინდურ ენებში, იგი საერთოქართველური ფუძე-ენიდან მომდინარედ მიიჩნევა.

ს.-სინდ. *პერა- „პეპელა“

ადილ. -პერა, სიტყვაში ჰამ-პერა-სუ „პეპელა“

მეტად საინტერესო სვანურ-ადილური იზოგლოსი ჩანს, საყურადღებო სემანტიკური კორე-ლაციით: ფრენა / ფრინველი ~ პეპელა.

სიტყვათა ამავე რიგში შემოვა დაღესტნური ალომორფებიც, შდრ. ანდ., ბოთლიხ., ლოდ. ფე-რა, ჭამალ. ფინან ← *ფირან (ასიმილაციით), ტინდ. ფერა, ახვახ. პერა ← *ფერა, ბაგვალ., კარატ. ფერა „ფუტკარი“.

პ → ფ დეგლოტალიზაცია საკუთრივ დაღესტნურ ინოვაციად გვესახება.

ს.-ქართვ. *პერპელ- „პეპელა“

ქართ. პეპელ-ი, პეპელ-ა

ზან. (მეგრ.) -პაპა, სიტყვაში ცქირ-პაპა „მესკია“ (ფრინ.)

ბოლოკიდურა ლ მეგრულის ამ სიტყვაშიც დაიკარგა, რაც აქ საკმაოდ ხშირად ხორციელდება, შდრ. წითელ-ი / ჭითა-...

ქართული ალომორფები ძველი ქართულიდან არის ცნობილი „ჩუქურთმას“ მნიშვნელობით. რაც შეეხება სვანურ შესატყვისს, იგი უნდა ჩანდეს პერპელ „პეპელა“ ფორმაში [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 371].

ს.-სინდ. *პრპ- „პეპელა“

ადილ. (აბმახ.) -პერაპ-, სიტყვაში ჰამ-პერაპ-გდ „პეპელა“

ფუძის პირველი ნაწილის შესახებ მიუთითებენ, რომ ჰამ- უნდა აღნიშნავდეს ქვეწარმავალს. [კვახაძე 2014 : 101].

ს.-ქართვ. *პერპელ- : ს.-სინდ. *პრპ- კარგად აჩვენებს, რომ ქართველური ლ-ს შესატყვისი სონორი (ლ ან რ) დაიკარგა ჯერ კიდევ საერთოსინდურ ფუძე-ენაში.

ს.-ქართვ. *პერპერ- „ენის ჭარტალი; ლაქლაქი“

ზან. (ლაზ.) პარპალ-აფ-ა „მოძრაობისას გაუჩერებლად საუბარი“, მეგრ. პარპალ-ი „ენის ჭარტალი“, პარპალ-ა „ენაჭარტალა, ლაქლაქა“

ზანური პარპალ- დისიმილაციით მომდინარეობს ძველკოლხური *პარპარ- ალომორფისაგან, რომელიც ფუძე-ენაში *პერპერ- არქეტიპის არსებობას ვარაუდობს.

ს.-სინდ. *პრპრპრ „ლაქლაქი“

ადიდ. პრპრპრ, ყაბ. პრპრპრ „ლაქლაქი“

აზაზ. პარგპარგ, აფხაზ. ა-პარგპარგ „ლაქლაქი“

ბგერწერთი აგებულების (შედგენილობის) სიტყვებია ორივე ჯგუფის ენებში, თუმცა, ამავე დროულად, დაცულია შესატყვისობა როგორც სემანტიკურ, ისე ფონეტიკურ დონეზე.

სხვა იბ.-კავკ. ენებში შესაბამისი ძირები არ ჩანს, თუ არ ჩავთვლით ბეჟიტ. პპპადალ / პაპადა-პალ „საუბარი, ლაპარაკი“ ზმნას, რომელიც საგრძნობლად სხვაობს ბგერთი შედგენილობის თვალსაზრისით ზემოთ აღწერილი ძირ-ფუძეებისაგან.

ს.-ქართვ. *პეწ- „პეწი, ბრწყინვალება, სუფთა, ლამაზი“

ქართ. პეწ-ი „გარეგნული ბრწყინვალება, სილამაზე, სისუფთავე, სიკოხტავე“

სვან. პიჭ „პეწი, სილამაზე“

გაუგებარია ი გახმოვანება სვანურში. სხვა მხრივ, ქართველური ფუძეები სემანტიკურ-სტრუქტურულ იგივეობას ავლენენ.

ზანური შესატყვისები დაკარგული ჩანს.

ს.-სინდ. *პწწ „სუფთა“

უბიხ. პწა „სუფთა“

სინდური შესატყვისი მხოლოდ უბიხურს შემორჩა. არსებობს წარუმატებელი ცდა უბიხურ ძირთან დააკავშირონ ადიდ. ჯა-ბზა „სუფთა“, აზაზ. ბზი, აფხაზ. ა-ბზია „კარგი“ [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 552].

სინდურ-ქართველურ ძირებს სანდო შესატყვისები ეძებნებათ ლაკ. მარწ, არჩიბ. მარწ „სუფთა“, უდ. მაწი // მაცი „სუფთა, თეთრი“ ძირების სახით.

ს.-ქართვ. *პინჭ- „ნათება“, сверкать

ზან. (ლაზ.) პინჭკ-, პინჭკ-უ „ციცინათელა“

საერთოქართველური არქეტიპი აღდგება მხოლოდ ლაზური მაჩვენებლის მიხედვით, ამიტომაც რეკონსტრუქციის პროცედურა ვერ იქნება სრულფასოვანი.

ს.-სინდ. *პჭგ- „ბრწყინვა“

უბიხ. პჭგ-პჭგ-და „ბრწყინვა“

რთული შედგენილობის ფუძე ჩანს უბიხურში. აქ ერთდროულად საერთოსინდური ძირის გაორკეცებასთან ერთად ფიქსირდება -და- ზმნური სუფიქსიც.

ს.-ქართვ. *პინჭ- „ნათება“ : ს.-სინდ. *პჭგ- „ბრწყინვა“ შეპირისპირება იგივეობრივია როგორც სემანტიკური, ისე ფონემური შედგენილობის თვალსაზრისით. ოპოზიცია ვოკალიზმში ი : გ კანონზომიერად გვეჩვენება.

საძიებელ ძირთა შესატყვისები ვერ გამოვავლინეთ სხვა იბ.-კავკ. ენებში.

ს.-ქართვ. *პინჯ- „ნესტო“

ქართ. პინჩ-ი „ცხვირის ჯურელი“ (საბა), პინჩე-ი „ნესტო“

თანამედროვე ქართულში, ჩანს, ლაბიალიზაცია უნდა მომხდარიყო ნიჩგ-თან კონტამინაციით. ჩვენი დაკვირვებით, ქართველური ძირის ისტორიაზე ზუსტ წარმოდგენას გვიქმნის ქართველიზმი სომხურში, სადაც ფინჯ „ნესტო“ მჟღერი სახეობიანი ფორმა დასტურდება.

ს.-სინდ. *ფენძ-ა „ცხვირი“

ადილ., ყაზ. {ფინძ} „ცხვირი“, შდრ. ოსური (← ჩერქ.) ჭენძ ცხვირი“

აბაზ. ფენწა, აფხაზ. ა-ფენწ, ბზიფ. ა-ფენწ „ცხვირი“

ცდილობენ უბიხურ-აბაზური ჭა- / ფგ- სეგმენტების დაკავშირებას ადილურ ფა „ცხვირი“ ძირთან, რაც არ უნდა იყოს მართებული.

ადილური შესატყვისი ნასესხობის სახით შემორჩენილია ოსურში, შდრ. ოს. ჭენძ, ანუ ჩერქეზულ ენებში უნდა გვექონოდა უბიხური ტიპის ჭენწა ფორმა, რომელმაც ოსურში ჭენძ მოგვცა. აბაზურიდან შესება გამოირიცხება, რამდენადაც ფ → ჭ ოსურში პრეისტორიულ ხანაშია მხოლოდ საგულვებელი (ვ. აბაევი).

ს.-სინდ. *ფინძ-ა ~ ს.-ქართვ. *პინჯჟ- ნორმალური მიმართება ჩანს, ფუძის აუსლაუტში მჟღერი აფრიკატის პოსტულაციას ეხმიანება დადესტნური მონაცემები, შდრ.: ლეზგ. პუზ, ალულ. ფუზ, რუთულ., წახ., კრიწ. პეზ, ს.-დალ. *პიმჟ „წვერი“, кончик.

სომხური ფინჯ „ნესტო“ ტიპის ფუძე შეიძლება, ურარტულ ენაშიც გვექონოდა.

ს.-ქართვ. *პირ- „პირი; პირველი“

ქართ. პირ-ი, პირ-ვ-ელ-ი, პირ-ი-ელ-ი, პირ-მშო

ზან. პიჯ-ი „პირი“

სვან. პილ „პირი, ტუჩი“

ზოგჯერ აქვე განიხილავენ ქართ. პირ-ვ-ა / მეგრ. პირ-უ-ა ზმნებსაც [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 372], რაც არ მიგვაჩნია მართებულად.

ს.-სინდ. *ფგ-რ- „პირველი“

ადილ. ა-ფგრ-გ, ყაზ. მა-ფგრ-გე „პირველი“

აბაზ. ფგ-ჟჟ „პირველი“

თუ დავუშვებთ, რომ ცხვირის აღმნიშვნელი ფგ ძირიც აქ შემოდის, მაშინ ფგ-რ- ტიპის სეგმენტაცია გამართლებულია, შდრ. აგრეთვე აბაზ. ფგ-ჟჟ „პირველი“. ცხადია, პირ-ი / ცხვირ-ი და პირველი სიტყვები საერთო პირ- / ფგრ- ძირებს შეიცავენ სინდურ-ქართველურ ენებში. აქვე მეტად საყურადღებო ჩანს ბილაბიალური რიგის პ : ფ ბგერათმესატყვისობა, რაც კანონზომიერებას ექვემდებარება – პ → ფ სინდურში.

სინდურ-ქართველურ არქეტიპებს დადესტნური ენებიდან ბეჟიტ. ფორ-ო, ჰუნზიბ. ფორ-ო „ცხვირის ქვემო ნაწილი სახისა“ შეესატყვისება.

ს.-ქართვ. *პიწ- „ჭიპი“

სვან. პიჭ „ჭიპი“

როგორც ეტყობა, საერთოქართველურში, *წოპ- (იხ. აქვე) არქეტიპის გარდა, კიდევ არსებობდა სხვა გახმოვანებისა და შებრუნებული წყობის პროტოტიპი, რომლის ზუსტ შესატყვისს წარმოგვიდგენს სვანური პიჭ „ჭიპი“ სიტყვა.

ს.-სინდ. *პჭგ- „ჭიპი“

ადილ. (აბძახ.) -პჭგ-, სიტყვაში ნგბგ-პჭგ-გე „ჭიპი“

დიალექტური ფორმის სწორი სეგმენტაცია ცნობილია, აქ ნგბგ- „მუცლის“ აღმნიშვნელი ძირია, ხოლო -პჭგ- „საკუთრივ ჭიპს მიემართება [კვახაძე 2014 : 130].

სწორედ ამ სინდურ-ქართველური – *პიწ- ~ პჭ- „ჭიპი“ – არქეფორმების შესატყვისი ჩანს ლეზგიურ ენათა ჭიპის აღმნიშველ სიტყვები: ლეზგ. ფიჭ, რუთულ. ბგჭ, კრიწ. ბიჭ „ჭიპი“, რომელთაც სისინა ვარიანტებიც მოეპოვებათ, შდრ.: ლეზგ. ფიწ, რუთულ. (ხნიუხ.) ბიწ, ბუდუხ. ბგწ „ჭიპი“. მოკლედ, ზოგი რამ კვლავ ახსნას ითხოვს და, იქნებ, დიფერენცირებული მიდგომა იყოს მართებული.

ს.-ქართვ. *პიხტ- „ამობურცვა“

ზან. (მეგრ.) პიხე-ი „ბურცი“, ე-პიხე-ინ-აფ-ა „აბურცვა“, ე-პიხე-ინ-აფ-ილ-ი „აბურცული“

სიტყვა განმარტოებით დგას მეგრულში. ამავდროულად მისი გარეენობრივი შესატყვისები იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ მეგრულ პიხე- ძირს საერთოქართველური ეტიმოლოგია ახასიათებს.

ს.-სინდ. *პეხტ- „წვერი“

აფხაზ. (აბჟ.) ა-პეხტ, ბზიფ. ა-პანტ „წვერი“, შდრ. ა-პეხტ „კურტუმო“

მეგრულისაგან განსხვავებით, აფხაზურ ალომორფებს ზმნური ფორმები არ გააჩნია. მიუხედავად ამისა, აფხაზურ-მეგრული იზოგლოსა ავლენს როგორც სტრუქტურულ-ფონეტიკურ, ისე სემანტიკურ იგივეობას, რაც მხოლოდ ერთიანი წარმომავლობით აიხსნება.

დადესტნური ან ნახური შესატყვისები ვერ გამოვავლინეთ.

ს.-ქართვ. *პკურ- „წვეთებად სხმა“

ქართ. პკურ-ებ-ა „წვეთებად სხმა“, ა-პკურ-ებ-ს „წვეთებად ასხამს“, სა-პკურ-ებ-ელ-ი „სასხურებელი“ (საბა)

მხოლოდ ქართულშია პკურ- ზმნური ძირი პოვნირი, მაგრამ მის სესხებას სხვა ენებიდან გამოვრიცხავთ; ამას სინდური შესატყვისები გვაფიქრებინებენ.

ს.-სინდ. *კტერმ-ა „წვეთი, ცვარი“

აბაზ. კტარმა, აფხაზ. ა-კტერმა „წვეთი, ცვარი“

ჩერქეზულ ენებში სათანადო მონაცემს ვერ ვხედავთ. არქეტიპის რეკონსტრუქცია აფხაზურ-აბაზური მონაცემის საფუძველზე ხდება. გ → ა ამ ენებში ასიმილაციური ჩანს მომდევნო ა'ს ზეგავლენა: *კტერმ-ა → აფხაზ.-აბაზ. კტარმა.

ს.-სინდ. *კტერმ-ა : ს.-ქართვ. *პკურ- კანონზომიერი ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისობაა. ძირებში ადგილის მიხედვით სხვაობენ მ/პ, რაც მათ აფიქსურობაზე უნდა მიუთითებდეს, რასაც ამავე ძირის სხვა დერივატებიც ამტკიცებენ ქართულ-აფხაზურში - ქართ. კურ-კურ-ი „წვეთა“ : აფხაზ.-აბაზ. კტარ- „წვეთა“

ს.-ქართვ. *პოსელ- „მელოტი“

ქართ. პოსლ-იკ-ა „მელოტი“

ზან. (მეგრ.) პორსა- „მელოტი, პოსლიკა“

სათანადო სახელი სვანურში ვერ გამოვავლინეთ. პოსლ- / პორსა ძირ-ფუძეთა შეპირისპირებით შესაძლებელი ჩანს ფუძეენური *პოს-ელ- არქეტიპის რეკონსტრუქცია. მსგავს შემთხვევებში ინლაუტური რ ვიბრანტი მეგრულში ფონეტიკურ დანართად გვესახება, შდრ. ქართ. ქოსა → მეგრ. ქორსა „id“.

ს.-სინდ. *პას- „მელოტი, მოტვლეპილი“

აფხაზ. ა-პაშ „მოტვლეპილი; მელოტი“, ა-პაშ-რა „სიმელოტე“

როგორც ეტყობა, საერთოსინდური სისინ-შიშინა ს ყრუ სიბილანტ-სპირანტი აფხაზურში გაშიშინდა, რაც ხშირად ხდება, შდრ. ს.-სინდ. *მესტ-ა → აფხაზ. ა-მშტ „დათვი“...

ქართველური ო ხმოვნის შესატყვისად სინდურ ენებში უა კომპლექსს მოველოდით, მაგრამ

პუ თანმიმდევრობის არაკანონიკურობის გამო პოზიციურად გამარტივებული ა მივიღეთ – პუამ → პამ (აფხაზურში).

ს.-ქართვ. *პწან- „მარგვლა; გლეჯა; წიწკნა“

სვან. წწან- (← *პწან-), ლი-წწან-ე // ლი-წან-ე „მარგვლა; გლეჯა; მოწიწკნა“, ა-წწან-ე // ა-წან-ე „მარგვლავს; გლეჯს; წიწკნის“

ძირეული ხმოვნის სიგრძე სვანურში შესაძლებელია, ამოსავალი პ ბილაბიალის დაკარგვის საკომპენსაციო იყოს – *პწან- → წწან-.

ქართულ-ზანურში შესატყვისები არ დასტურდება.

ს.-სინდ. *პწა- „მარგვლა; მკა“

ადილ. პჭან-ნ, ყაბ. პყან-ნ „მარგვლა“

სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს ცდა, სიტყვათა ამავე რიგში შემოიტანონ აფხაზ. ა-ბწა-რა „მკა“ [კლიმოვი 1967 : 299], რაც საინტერესო ჩანს. მეტი საფუძველი აქვს სვანურ-ადილურ ფორმათა გენეტიკური ერთიანობის თვალსაზრისს, რომელიც მ. სალიანს ეკუთვნის [ამის შესახებ იხ. ბუკია 2016 : 133].

სიტყვათა ამავე რიგში შემოგვაქვს დაღესტნური (ჭამალ.) ჭინილა „ლეწვა“ ზმნა.

ჟ

ს.-ქართვ. *ჟან- „შრობა; ჭკნობა“

ქართ. (ლექს.) ჟნ-ობ-ა „გაშრობა, ჭკნობა“, და-მ-ჟნ-არ-ი „გამომშრალი, მჭკნარი“

ზან. (მეგრ.) ჟენ-აფ-ა // ჟინ-აფ-ა „დაჟნობა, დაჭკნობა“, ჟენ-აფ-ილ-ი // ჟინ-აფ-ა „დამჭკნარი, სნეული“

მეგრულში ფიქსირებული გ//ი სუბსტიტუცია იმაზე მეტყველებს, რომ ამოსავალი ხმოვანი ო -იყო, ანუ ო → გ →//ი [როგავა 1962], რაც საერთოქართველურში ა გახმოვანებას ვარაუდობს, შდრ. ქართ. ა : ზან. ო, ს.-ქართვ. *ა.

ს.-სინდ. *ზა- „შრობა; გაუხეშება“

აბაზ. (ტაპანთ.) ზან-რა „მშრალი, ხმელი; უხეში“

ფუძეენური წარმომავლობის ზმნური ძირი მხოლოდ აბაზურ ენას შემორჩა, ისიც ნაზმნარი ფორმით; -რა ნაწილაკი ზან-რა-ში მასდარული უნდა იყოს, ფუძეს შეხორცებული. ცხადია, ქართველური ნ-ს შესატყვისი ჯერ კიდევ ფუძე-ენაში დაიკარგა – წ.-სინდ. *ზან- → ს.-სინდ. *ზა.

აბაზურ-ქართველური იზოგლოსების კანონზომიერი შესატყვისი დაღესტნურშიც გამოჩნდება, შდრ. თაბას. იჟმ-იბ „უხეში, მაგარი, ხისტი“.

დასაშვები ჩანს წ.-ქართვ. *ზ → ს.-ქართვ. ჟ გაშიშინების პროცესი ქართველურისთვის, ამგვარ ფიქრს ს.-ქართვ. ჟ : ს.-სინდ. ზ სიბილანტური ბგერათფარდობა ამყარებს.

ს.-ქართვ. *ჟარ- „ნელი ხარშვა“

ქართ. (გურ.) ჟრ-ობ-ა „ნელი ხარშვა“

სწორედ ძირის რედუქციის შესაძლებლობიდან გამომდინარე ხდება ფუძე-ენაში ა ხმოვნის რეკონსტრუქცია – ჟარ- → ჟრ-. სხვა ქართველურ ენა-კილოებში შესაბამისი ალომორფების უქონლობის გამო მეტის თქმა გაჭირდება.

ს.-სინდ. *ზუტა- „ხარშვა“

ადილ. ზუტა-ნ, ყაბ. ჟან-ნ (← *ზუტა-ნ) „ხარშვა; წვა“

უბიხ. ზუტა- „ხარშვა“

აბაზ. ჟუტ-რა, აფხაზ. ა-ჟუტ-რა, ბზიფ. ა-ზუტ-რა „ხარშვა“, ა-ზუტგ „მოხარშული“

ზმნური ალომორფები ყველა სინდურ ენა-ვილოში დასტურდება, რაც სარწმუნოს ხდის ფუძეური მდგომარეობისათვის რეკონსტრუირებული არქექტივის რეალურობას. ს.-ქართვ. *ქარ- : ს.-სინდ. *ზუტა- შეპირისპირება კიდევ ერთხელ ნათლად წარმოაჩენს რ → უ პრეისტორიული პროცესის რეალურობას ფუძესინდურში, რაც შემდგომში ძირეული სიბილანტის ლაბიალიზაციის წყარო ხდება ხოლმე. საერთოქართველურში კი საცნაურია წინარექართველური ზ ფონემის გაშიშინების ფონეტიკური პროცესი.

სინდურ-ქართველურ არქექტიპთა შესატყვისი გამოჩნდება დადესტურ (ახვახ.) ბ-ი-ჟურ-ულა „მეწვა, გამოცხოვა“ ზმნაში.

რ

ს.-ქართვ. *რა „ნაცვალსახ. ძირი“

ქართ. რა, რა-მდენ-ი, რა-გვარ-ი, რა-ფერ, რა-ოდენ, რა-რიგ

ნაცვალსახელური რა ძირი ქართულში განმარტოებით დგას. ზანურ-სვანურში მის შესატყვისებს ვერ ვაფიქსირებთ, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს რა-ს სესხების შესაძლებლობას რომელიმე სხვა ენიდან.

ს.-სინდ. *რა- „განუსაზღვრელი ნაცვალსახ. ძირი“

აფხაზ. ა-რა-ცუა „რადაცის სიმრავლე“, რა-ცუა-კ „ბევრი“

სპეციალურ ლიტერატურაში რა- დამოუკიდებელ ძირად გამოიყოფა, ხოლო -ცუა მრავლობითობის სუფიქსად არის მიჩნეული [ჩირიქა 1996 : 120]. სხვაგვარი ეტიმოლოგიისთვის იხ. მაჭავარიანი 2015 : 74.

შესაძლოა აფხაზურ-ქართულ იზოგლოსებს შეესატყვისებოდეს ტინდიური ელა „რა“ ნაცვალსახელიც. აქ გადაჭრით რამის თქმა გაჭირდება. საჭიროა საკითხის დამატებით შესწავლა.

ს.-ქართვ. *რაბ-ო „ორმო“

ქართ. რაბო // რობა „ორმო წყლიანი“ (საბა)

ზან. (მეგრ.) რობუ „ორმო“

სვან. რუებ (ზუ.) „ოდნავ ჩაღრმავებული ადგილი“

მეგრული შესატყვისობას იძლევა ქართული რაბო სახეობის ძირის მიმართ. სვანურშიც რუებ (← *რუებ) ალომორფი მიღებულია ისტორიული *რუბუ-საგან ფუძის შიგნით უ-ს გადასმით, ბუ ჯგუფის ფონოტაქტიკური შეზღუდულობის გამო [ჩუხუა 2000-2003 : 192].

წ.-სინდ. *რამ- „ორმო“

ხათ. ram „ორმო“

სინდურ(ხათურ)-ქართველურ მასალებში (იზოგლოსებში) მ/ზ ან ბ/მ სუბსტიტუცია საკმაოდ ხშირია. იგივე ხდება ამ შემთხვევაშიც, ხათურ მ სონორს მჟღერი ბილაბიალური ხშული შეესატყვისება ქართველურ ენებში.

სპეციალურ ლიტერატურაში უკვე შენიშნულ გენეტიკურ ნათესაობას [კოჭლამაზაშვილი 2016 : 61] ჩვენც ვიზიარებთ.

სხვა იბ.-კავკ. ენებში შესაბამისი ძირ-ფუძეები ჯერ-ჯერობით არ ჩანს.

ს.-ქართვ. *რანდ- „გაშალაშინება“

ქართ. რანდ-ვა „გაშალაშინება“, რანდ-ა „გრძელი შალაშინი“

ზან. რონდ-ი „ერთგვარი შალაშინი“, რონდ-უ-ა „მსხვილად გასხევა“, შდრ. ტოპ. რონდ-იშ-ი, გვარ-სახელი რონდ-ელ-ი

ქართველური **რანდ-** / **რონდ-** კანონზომიერად შეესატყვისება ერთმანეთს. სემანტიკურ იგი-ვეობას სტრუქტურული იდენტურობაც მხარს უმაგრებს. საყურადღებო ძირია, თუნდაც მისი თავ-კიდური **რ**-ს გამო, რაც იშვიათია ქართველურში.

ს.-სინდ. ***და-** „კრეფა“

ადიდ. **-და-**, ხა-**და-ნ** „ასხმა“, ყაბ. **-და-**, ხა-**და-ნ** „ასხმა“

აბაზ. აზ-**და-რა**, აფხაზ. ა-კვლ-**და-რა** „კრეფა“

სემანტიკურ დონეზე საკმაოდ გამწვანდებოდა ს.-ქართვ. *გაშალაშინება* ~ ს.-სინდ. *კრეფა* სემანტიკურ ურთიერთშეფარდება, მაგრამ დადესტნურ მასალაში იკვეთება მეტად საგულისხმო გარდამავალი მნიშვნელობები, შდრ.: დიდ. **რედ-** „გაშალაშინება, პარსვა“ ~ კრიწ. **რუდ-** „მოწყვეტა; კრეჭა“ ~ დარგ. **დერთ-** „გათიშვა“ [სინდ.-დად. იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 859-860].

ს.-ქართვ. ***რაჭუ-** „რუხი“

ზან. **რუხ-**ი „ნაცრისფერი“, **რუხ-**უმქურ-ი „ნაცრისფერი ვაშლის ჯიში“; **რუხ-**ი (ტოპ.), **რუხ-**წყარ-ი (ჰიდრ.)

ქართველურ ენებს შორის დამკვიდრებული რეგულარული და კანონზომიერი ბგერათმესატყვისობათა ჩვენების საფუძველზე ლოგიკურად გვეჩვენება ქართულში **რუხ-**ი ზანიზმად ვალიაროთ. რის საფუძველზეც ძვ. ქართულისათვის სავარაუდო ჩანს **რაჭუ-** (შდრ. ზან. **თუ(ნ)თ-**ი : ქართ. **დათუ-**ი...) არქეფორმა, რომელიც დაიკარგა.

ს.-სინდ. ***დჯჭუა** „ნაცარი; ნაცრისფერი“

უბიხ. **თხუა** „ნაცარი“

აბაზ. **ჭუა** „ნაცარი“, აფხაზ. ა-**ხუა** „ნაცარი; რუხი“

სემანტიკურით თვალსაზრისით, მეტად ღირებული ჩანს აფხაზურის ჩვენება, როდესაც ერთი ძირის ფარგლებში იკითხება ორი მნიშვნელობა: 1. ნაცარი; 2. რუხი. სწორედ ასეთი შესაძლებლობიდან უნდა მიგველო ის სემანტიკური დიფერენცირება, რაც ქართველურ-სინდურ ენებში არის პოვნირი.

სტრუქტურული მიმართებიდან გამომდინარე, დასაშვებია **დ** → **რ** ქართველურ-აფხაზურ-აბაზურში, რასაც ამ უკანასკნელში **რ**-ს დაკარგვა მოჰყვა.

სინდური ძირები დაკავშირებულია ხუნძურ **რაჭუ** „ნაცარი“ ფუძესთან, რაც სარწმუნოა [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 742-743].

ს.-ქართვ. ***რექ-** „შემადლებული ადგილი“

ზან. (მეგრ.) **რაქ-ა** „შემადლებული ადგილი“

ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის მიხედვით, ზანური ა ფუძე-ენისათვის ე- გამოვანებას გვაპარაუდებინებს. ქართულშიც **რექ-** ტიპის სახელია მოსალოდნელი.

ს.-სინდ. ***რქა** „მინდორი“

აბაზ. **რქა** „მინდორი“

სინდური ენებიდან მხოლოდ აბაზურს შემორჩა ფუძეენური წარმომავლობის რეფლექსი. ეს უკანასკნელი ახლოს დგას (იმეორებს) მას. შეიძლება დაგვეშვა ასევე ***დქა** სახეობის ფუძის არსებობა ჩერქეზული ენებისათვის, გამომდინარე **რ** : **დ** ბგერათმესატყვისობიდან, შდრ. აფხაზ.-აბაზ. **-რასა** : ადიდ. **და-** „თხილი“...

სინდურ-ქართველურ არქეტიპებს სანდო პარალელები ეძებნებათ დადესტნურ ენათა ლეზგიურ ქვეჯგუფში: ლეზგ. **ნიქ**, წაზ. **ნექ**, კრიწ. **ნიქ**, ბუდუხ. **ნიქ** „მინდორი“.

ს.-ქართვ. რექტ- „თქმა; ლაპარაკი“

ძვ. ქართ. ვ-ა-რქუ „ვუთხარი“, ჰ-რქუ-ი-ან „ეწოდება“

ზან. (მეგრ.) რაქვ-, რაქვ-ალ-ი „მონოტონურად ლაპარაკი“

სვან. რქუტ „თქვა“, ლექტ „თქვა“, ხ-ო-ქტ-ა-ხ „უთქვამთ“ ლაზურში არ ჩანს მეგრულისებრი რაქვ- ძირი, ქართ. რქუ- / სვან. რექტ-ის შესატყვისი (გ. როგავა).

ქართული რქუ- ზმნა ცნობილია უძველესი წერილობითი ძეგლებიდან [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 383].

ს.-სინდ. *ქუზ- „ფიცი, გამოძახება“

ადილ. მა-ქუგ-ნ, ყაბ. მა-ქუგ-ნ „რწმენა; გამოძახება“

უბიხ. ქუა-, ა-ს-ქუტ-ნ „რწმენა; გამოძახება“

აბაზ. ქუ-რა, აფხაზ. ა-ქუ-რა „ფიცი“

სტრუქტურული თვალსაზრისით, სინდური ძირები მეტად გაცვეთილი ჩანს, პრეფიქსაცია ს.-ქართვ. რე- ტიპისა აღარსად იკითხება. არადა, მის არსებობაზე დალესტნური მასალაც ცალსახად მიუთითებს, შდრ. ანდ. ენებ. ნაქუა „ფიცი“ [დალ. იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 846].

ცხადია, აქვე შემოდის ს.-ქართვ. *თქუ- : ს.-ნახ. *დ-ეჟ- „მახილი“ არქეტიპებიც...

ს.-ქართვ. *რელუ-/*რლუ- „დაშლა, დარღვევა“

ქართ. და-რლუ-ევ-ა, მ-რლუ-ი-ე, რლუ-ნ-ა

ზან. (მეგრ.) რღვ-აფ-ა „ყრა, შლა“, რღვ-აფ-ილ-ი „გადაყრილი, დაშლილი“, აკემ-რღვ-ან-ს „შლის“

სვან. რელუ-/რილუ-, რელუ-ნ-ი „იშლება, ირღვევა“, რილუ-ე „არღვევს, შლის“

აკად. ვ. თოფურიას მიერ შეპირისპირებულ მასალაში [თოფურია 1940 : 44] ამოსავალ სახეობად გახმომავნებულ *რელუ- პროტოტიპის აღდგენას ვიზიარებთ, თუმცა არსებობს სხვა ნაკლებ არ-გუმენტირებული რეკონსტრუქციებიც [იხ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 384].

ს.-სინდ. *ჟუზ- „დარტყმა“

ადილ. ჟა-ნ, ყაბ. ჟა-ნ „დარტყმა“

აბაზ. ჟუ-რა, აფხაზ. ა-ჟუ-რა „დარტყმა“

ჟ. დიუმეზილი აქვე განიხილავდა უბიხურ მა- „id“ ძირის [დიუმეზილი 1971 : 158-159], მაგრამ დაკავშირება პრობლემურია, ვინაიდან ფარინგალური ჟ-ს (*ჟუ → ჟ) გაუჩინარების შემთხვევაში მოსალოდნელი იყო ას ფარინგალიზაცია, რაც ამ მაგალითში არ ჩანს. ალბათ, სხვა ძირია.

სინდურ-ქართველური დარტყმა ~ დაშლა კორელაციის ასახსნელად მარჯვე მასალას გვაწვდის მონათესავე დალესტნური ენები: ჭამალ., ტინდ. ლულ-, ხუნდ. ლურ- „დარტყმა, დაშლა“.

ს.-ქართვ. *რემუ- „როშვა; თქმა“

ქართ. რომ-, რომ-ავ-ს / და-რომ-ავ-ს „ყველაფერს იტყვის დაუფიქრებლად. წამო-რომ-ავ-ს

ზან. (მეგრ.) რასქვ-ალ-ი „მკვეთრი ხმით ლაპარაკი“

ცხადია, ქართულში ბოლოკიდური უ-ს ფუძის შიგნით გადასმამ ო წარმოშვა – უე/ეუ → ო. როგორც მოსალოდნელი იყო, ზანურში შქუ თანმიმდევრობა გადავიდა სქუ-ში (თ. გამყრელიძის კანონი).

ს.-სინდ. *სუზ „თქმა, ენა“

აბაზ. -შუა, ბგზ-შუა „ენა“, აფხაზ. ა-ბგზ-შუა, ბზიფ. ა-ბგზ-სუა „ენა“

სწორია მსჯელობა იმის შესახებ, რომ ამ კომპოზიტი ბგზ- ენას, ანატომიურ ორგანოს აღნიშნავს, ხოლო შუა უდრის ენა / მეტყველებას (შდრ. ინგლ. language / tongue) და ეს უკანასკნელი დალესტნურ ენათა რაშა / რომო „სიტყვა“ ფუძეებს უკავშირდება, შდრ. აგრეთვე ს.-ნახ. *დამუ- „სიტყვა“ [მეტი ნახ.-დალ. იხ. აბდოკოვი 1983 : 189; სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 948].

ს.-ქართვ. რეხ(უ)- „ქვიანი გზა; ხეობა“

ქართ. რეხ-ი // რეხვ-ი „ქვიანი გზა“, რაჭ. რეხ-ი „მთის კლდოვანი კალთები“

სტრუქტურულ-სემანტიკური მიმართება კანონზომიერი ჩანს. საძიებელი ძირი უფრო აქტიურია ონომასტიკაში, თუმცა ზანურ-სვანური შესატყვისი აქაც არ იძებნება.

ს.-სინდ. *ხუჷ „ხეობა“

ადილ. ფგს-ხუ, ყაბ. ფგს-ხუა „მდინარე“, შდრ. ადილ. ხუა-თ / ხუა-უგ „ღრმა ხეობა“

უბიხ. თუა-ხუა „მდინარე“

ს.-ქართვ. *რეხუ- : ს.-სინდ. *ხუჷ განსხვავებული სტრუქტურის არქეტიპებია. თუ მოვიხმობთ დაღესტნურ მასალას, აღმოჩნდება, რომ ფუძის ცვეთა სინდურში მომხდარა, შდრ.: ალულ. რუხ „ნაკადული“, ლაკ. ნიხ „მდინარე“, ხვარშ. ეხუ, ჰინუხ. იხუ, ბეჟიტ. ეხე, ჰუნზიხ. ეხუ „მდინარე“ [იხ. მეტი სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 683].

ს.-ქართვ. *რეც- „რეხი, მთიანი ადგილი“

ქართ. რეხ-ი „მთის კლდოვანი კალთა“, გურ. „ქვიანი ადგილი“

ზან. (მეგრ.) რახ-ა „კლდე, რეხი; ქვიანი ადგილი“, შდრ. გა-რახა (ტოპ.)

ძველ ქართულში, საბას ლექსიკონსა და სვანურში ჯერჯერობით ეს სიტყვა არ ჩანს, არადა, იქ მეტი შანსი იყო რეც- უძველესი სახეობის პოვნისთვის.

ს.-სინდ. *რჷც- „მთის პირი“

ყაბ. ა-რეც „მთის პირი“

ადილურში მოსალოდნელი ა-რეც არ ჩანს. ვიზიარებთ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულ თვალსაზრისს თავკიდური ა-ს აფიქსურობის შესახებ ყაბარდოულში [კვანაძე 2014 : 28]. როგორც სემანტიკა, ისე ფუძეთა სტრუქტურა მხარს უჭერს ს.-ქართვ. *რეც- : ს.-სინდ. *რეც- ფორმათა ერთიანობას.

ს.-ქართვ. რუალ- „სპილენძი“

ძვ. ქართ. რუალ-ი „სპილენძი“, რვალ-ნაწლევი-ი „სპილენძის ნაწლევიანი“, გან-რვალ-ება „სპილენძად ქცევა“

ქართული რუალ-ი კარგად არის ილუსტრირებული წერილობით ძეგლებში: „ვითარცა რ ვ ა ლ ი დაგესლდის“; „ბჷენი რ ვ ა ლ ი ს ა ნ ი შევმუსრნე“; „ცაი გ ა ნ რ ვ ა ლ დ ა“ [აბულაძე : 347; 65]. ძველსომხური ო-რუელ-, ალბათ, ზანურ შესატყვისს ინახავს.

ს.-სინდ. *რუა- „სპილენძი“

ადილ. რუა-ფლა „სპილენძი (წითელი)“

აბაზ. რუა „წითელი სპილენძი“

როგორც ეტყობა, აფხაზური ა-ბჷრუა „სპილენძი“, ალბათ, სხვა ძირია.

ს.-ქართვ. რუალ- : ს.-სინდ. *რუა- შეფარდება იმეორებს რუ : რუ შესატყვისობას კომპლექსთა დონეზე, რომელიც ქ. ლომთათიძემ დაადგინა, მანვე მიუთითა სინდურ-ქართველურ ძირ-ფუძეთა გენეტიკურ ერთიანობაზე [ლომთათიძე 1955 : 827].

მონათესავე იბ.-კავკ. ენებში სათანადო მასალას ამ ეტაპზე ვერ ვპოულობთ.

ს.-ქართვ. *რ-თუ- „მირთმევა“

ქართ. რთვ-, მი-ა-რთვ-ა, ე-რთვ-ი-ს

ზან. (მეგრ.) ა-რთ-უ-ნ „ერთვის“, რთუ-აფ-ა „გადადება“

სვანური შესატყვისი ჯერჯერობით არ ჩანს. ქართულ რთვ- ზმნურ ძირს მეგრული რთვ-

კანონზომიერად შეესატყვისება.

ს.-სინდ. ***თუგ**- „მიცემა“

ადილ. **თგ**-ნ, აა-**თგ**-ნ, ყაბ. **თგ**-ნ „მიცემა“

უბიხ. **თუ**- „მიცემა“

აბაზ. ა-**თ**-რა, აფხაზ. ა-**თა**-რა „მიცემა“

ქართულ-აფხაზურ ზმნათა შეპირისპირება ცნობილი ფაქტია [ჭარაია 1912 : 40]. მართალია, უბიხურმა ძირეული ხმოვანი გ/ა დაკარგა, მაგრამ ძირის ლაბიალიზაცია უცვლელად შეინარჩუნა. ქართველურში თავკიდური რ- „ზედმეტია“, რაც, ალბათ, იმაზე მიუთითებს, რომ ***თუ**- ძირი გართულებულია არქაული (ფუნქციადაკარგული) კაუზატიური რ- პრეფიქსით. ამასვე ამტკიცებს დადესტნური მასალაც, სადაც რ არ ჩანს, შდრ. ჰინუხ. **თო**-ლ^ა, თაბას. **თუტ**-უბ „მიცემა“.

ს.-ქართვ. ***რიტელ**- „თხა“

ზან. (მეგრ.) **რინტუ** „თხა“

მეგრული (resp. ზანური) -**უ** სუფიქსაცია ქართულისათვის -**ელ** შესატყვისობას გულისხმობს, ამიტომაც ფუძე-ენაში ***რიტელ**- პროტოფორმა არის მოსალოდნელი.

ს.-სინდ. ***ტვ**- „ვერძი“

ადილ. **ტგ**, ყაბ. **ტგ** „ვერძი“

უბიხ. **ტგ** „ვერძი“

პრობლემური ჩანს აფხაზურ-აბაზური -**თვ** „ვერძი“ ფორმის აქ შემოტანა, ვინაიდან მას, შეიძლება, სხვა შესატყვისები გამოუჩნდეს იბ.-კავკ. ენებში: ანდ. **დან**, ლაკ. **თა** „ცხვარი“.

ს.-ქართვ. ***რიტელ**- „თხა“ ~ ს.-სინდ. ***ტვ** (← წ.-სინდ. ***ტვლ**-) „ვერძი“ არქტიპების ანგარიშგასაწევი პარალელები იძებნება დადესტნურში, შდრ. ბოთლიხ. **რეტან**-ა, ჭამალ. **დეტან**-ა, ს.-დად. **რიტან**-ა „ბატკანი“.

ს.-ქართვ. ***როყ**- „ამოვსება“

ქართ. (ლექს.) **როყ**-, ამო-**როყ**-ვ-ა „ამოვსება, ამოქოლვა“, ამო-**როყ**-ავ-ს „ამოივსებს, ამოქოლავს“

ჯერჯერობით სხვა ქართველური შესატყვისები არ ფიქსირდება, მაგრამ წონადი პარალელები სინდური ენებიდან **როყ**- ძირის ფუძეენურ წარმომავლობას რეალურს ხდის.

ს.-სინდ. ***ყუა**- „შერჭობა; გაყრა“

ადილ. -**ყუგ**-, ყაბ. -**ყუგ**- „შერჭობა; გაყრა“

სინდური ძირები მეტად შერყვნილია, ძირის ბოლოს, ალბათ, რ ან დ კონსონანტი დაიკარგა – ***ყორ**- → ***ყუარ**- → ***ყუა**-. შებრუნებული წყობისა ჩანს ქართველურთან მიმართებით, თუმცა რყევა ქართულშიც შეინიშნება **როყ**-ვ-ა // **ყორ**-ვ-ა (მუცლის ამო-**ყორ**-ვ-ა). მონათესავე ძირები დადესტნურსა (ხუნძ. რ-**ყყ**- „ვერვა“, თაბას. **დურყ**-არ „საქსოვი დაზგა“...) და ნახურ (დ-**ყყ**- „შერჭობა, ამოქოლვა“) ენებში ადვილი დასანახია [მეტი ნახ.-დად. ინფორმაციისათვის იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 638].

ს.-ქართვ. ***რსუენ**- „მდ. სასქესო ორგანო“

სვან. -**რსუენ**-, ლა-**რსუენ**-ი „დედალი ოთხფეხის სასქესო ორგანო“

სვანური **რსუენ**- ძირი იზოლირებულია ქართველურ ენობრივ სამყაროში, მაგრამ კანონზომიერი შესატყვისი მოეპოვება სინდურ ენებში.

ს.-სინდ. ***შუჷ**- „მდედრობითი გენიტალიები“

აფხაზ. ა-**შუა**-დ „მდედრობითი გენიტალიები“

კიდევ ერთი სვანურ-აფხაზური იზოგლოსების საყურადღებო ნიმუში, სადაც ურთიერთსე-სხება გამოირიცხება. კანონზომიერია ჩანს სიბილანტური ს : შ კორესპონდენცია, სახელიც ათეუ-ლობით ნიმუშს ითვლის.

სამებარია სხვა იზ.-კავკ. ენათა პარალელები.

ს.-ქართვ. *რუჯ- „მუქი ნაცრისფერი“

ქართ. რუხ-ი, რუხ-ა „ყომრალ-ჭრელი“ (საბა)

ჩვენი რეკონსტრუქცია დაზუსტდება იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ რუხ- ზანური ალომორფი (შდრ. ანთროპ. რუხ-აია), ზანიზმია ქართულში, ხოლო კანონზომიერი შესატყვისი შემონახულია ქართულ გვარ-სახელში როხვ-ა-ძე.

ს.-სინდ. *დგჯუა „ნაცარი; ნაცრისფერი“

ადიდ. თხუჷ „ნაცრისფერი“

როგორც ეტყობა, დ → რ ვიბრანტიზაციის პროცესი ქართველურში განხორციელდა, ხოლო ამოსავალი დ ასიმილაციით თხ ჰარმონიულ-დეცესიურ კომპლექსად ჩამოყალიბდა, რედუქციის მომდევნო საფეხურზე, ჩერქეზულში.

სავარაუდოდ, იგივე ძირეული მასალა მეორდება ს.-ქართვ. *რაჯუჷ- „რუხი“ : ს.-სინდ. *დგჯუა „ნაცარი; ნაცრისფერი“ (იხ. აქვე) არქეტიპებშიც.

სინდურ ენათა მასალა ადრევე შეაპირისპირეს დადესტნურ მონაცემთან [დიუმეზილი 1933 : 15; აბდოკოვი 1983 : 100], შდრ. ხუნძ. რაჯუჷ // როჯრ „ნაცარი, ფერფლი“...

აქვე შემოდის ვაინახური ჯჷ//ჯა (← *რჯა) „წყალში არეული ნაცარი“.

ს.-ქართვ. *რქა- „რქა“

ქართ. რქა

ზან. (ლაზ.) ქრა, მეგრ. ქა „რქა“, ქა-შქვილ-ი „შვილდ-ისარი“

საფუძვლიანი ჩანს ქართულ რქ-ენ-ა ზმნასთან ეტიმოლოგიური კავშირის დაშვება [კლიმოვი 1964 : 157], თუმცა ამავდროულად ვერ გავიზიარებთ იქვე იმავე ავტორის მიერ შემოთავაზებულ ინდოევროპულ *ker- / krā- „რქა, თავი“ არქეტიპთან რაიმენაირ კავშირს. შემთხვევით თანხვდენას-თან გვაქვს შეხება, არაფერი მეტი სხვა.

წ.-სინდ. *ქა- „რქა“

ხათ. ka „რქა“

საყურადღებო ჩანს, თუ ქართველურში თავკიდურ რ- პრეფიქსს არ წარმოადგენს, რქ → ქ მე-გრულისებური პროცესი ხათურში. სხვა მხრივ, წ.-სინდ. *ქა- : ს.-ქართვ. *რქა- კანონზომიერ მიმარ-თებას აჩვენებს.

არ გამოვრიცხავთ ზემოთ აღწერილ არქეტიპთა გენეტიკურ კავშირს დადესტნურ – ხუნძ. ლარ „რქა“ და ს.-ნახ. *ქურ „რქა“ სიტყვებთან.

ს.-ქართვ. *რქუჷ- „დახურვა; სახურავი“

ძვ. ქართ. რქუჷ-, და-რქუჷ-მ-ა „დახურვა“, და-ა-რქუჷ-ა-ს „დაახუროს, დააფაროს“, სა-რქუჷ-ელ-ი, სა-რქუჷ-ან-ი „სარქველი“

ზან. (მეგრ.) ო-რქუ „ქვის სარქველი“

სვან. ლი-რქუჷ-ი „ჩაცმა“, ი-რქუჷ-ი „იმოსება“

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან არის ცნობილი მ. ჯანაშვილისეული შეპირისპირება ქართული და სვანური ძირებისა [ერკერტი 1895: 298]. მეგრული ორქუ//ორქო ალომორფებიც აქვე შემოვა. ამ უკანასკნელის გამჟღერებულ სახეობად მიიჩნევა იმერ. ორგო „სარქველი“.

ს.-სინდ. *ქუჷ „სახურავი“

აბაზ. ქტუ, აფხაზ. ა-ქტ „სახურავი“

ვფიქრობთ, საერთოსინდური არქექტიპის რეფლექსაციას აბაზური ალომორფი შედარებით სრულად წარმოაჩენს. ს.-ქართვ. *რქუ- : ს.-სინდ. *ქტუ კანონზომიერად მიემართებიან ურთიერთს. განსხვავებას ქმნის ანლაუტური რ ქართველურში, რომელიც შეიძლება კაუზატივის უძველეს რ პრეფიქსს წარმოაჩენდეს.

ს.-ქართვ. *რჩუ- „დანახშირება“

ლაზ. მჩქე-, ნო-მჩქე-ა // ნო-მჩქ-ა → // ნო-მჩ-ა „ფერფლი“

მეგრული ნო-რცხვ-ა „ნაღვერდალი“ სხვა ძირს შეიცავს. რაც შეეხება ლაზური მჩქე-ს, იგი არ-ქაული რჩქე- სახეობის ზმნისაგან მომდინარეობს. აქ საგულვებელია რჩ → მჩ ნაზალიზაციის და-მახასიათებელი პროცესი ლაზურში, შდრ. მეგრ. რტინ-ა ~ ლაზ. ო-მტინ-უ „გაქცევა“...

საგულისხმოა ისიც, რომ მხოლოდ ლაზურის ნამიმღობარ დერივატში შემოგვრჩა ს.-ქართვ. *რჩუ- „დანახშირება“ ზმნის შესატყვისი ალომორფი.

ს.-სინდ. *რაცუ-ა „ნახშირი“

აბაზ. (აშხარ.) რაცუა, ტაპანთ. რჩუა, აფხაზ. ა-რაცუა, ბზიფ. ა-რაცუ „ნახშირი“

ბოლოკიდური -ა სადერივაციო აფიქსი ჩანს, ხოლო ძირად გამოყოფილი რაცუ- ზმნური წარმომავლობისაა და მისი ამოსავალი მნიშვნელობა დანახშირება უნდა ყოფილიყო.

ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. ჩ : ს.-სინდ. ც წინარექართველურ ც არქიფონემაზე მიუთითებს, ანუ წ.-ქართვ. ც → ს.-ქართვ. ჩ აქაც ნთლად წარმოჩნდება.

ამავე რიგისა ჩანს თაბასარანული რჩინ „ნახშირი“ სიტყვაც.

ს.-ქართვ. *რცხუ- „შერცხვენა, სირცხვილი“

ქართ. რცხვ-ენა, ა-რცხვ-ენ-ს, შე-ა-რცხვ-ინ-ა, სი-რცხვ-ილ-ი

ზან. (მეგრ.) რცხვ-ან-ა „შერცხვენა“

მხოლოდ ქართულის ნიადაგზეა შესაძლებელი რცხვ- ზმნური ძირის გამოყოფა; ქართ. რცხვენ- : ზან. რცხვან- შეპირისპირებით ეს ვერ ხერხდება. ანლაუტური რ- ქართველურში კაუზატივის არქაული პრიფიქსი ჩანს, ძირს შეხორცებული.

ს.-სინდ. *ცტუჰ-ა- „შეურაცხყოფა, წყველა“

უბიხ. ცტუჰან-, სგ-ცტუჰან- „შეურაცხყოფა, წყველა“

სპეციალურ ლიტერატურაში საერთოჩრქვეულ არქექტიპად, უბიხური მაჩვენებლის საფუძველზე, აღდგენილია *ცტუჰ-ა- ზმნური ძირი [კვახაძე 2014 : 285]. უფრო მეტიც, ვინაიდან გამოჩნდა ქართველური პარალელები, შესაძლებელია ამ ძირთა პალეოკავკასიურ ეტიმოლოგიაზე ფიქრიც. სემანტიკურად კორელაცია შეურაცხყოფა ~ შერცხვენა იგივეობრივი ჩანს.

ს.-ქართვ. *რწიხ- „ჭიკჭიკი, მერცხალი“

ქართ. მე-რცხ-ალ-ი ← *მე-რწხ-ალ-ი

ზან. (მეგრ.) მა-რჩიხ-ოლ-ი / მა-ჭირხ-ოლ-ი „მერცხალი“, ჭირხ-ოლ-ია „მოჭიკჭიკე“

ამოსავალი სახეობის საკმაოდ დაცილებული ქართული ვარიანტი ცნობილია ძველი ქართული წერილობითი ძეგლებიდან, რომელსაც შეეფარდა მეგრული ალომორფები [გუდავა 1964 : 144]. სპეციალურ ლიტერატურაში დამოწმებულ რეკონსტრუქციებს შორის ყველაზე რეალური *რწიხ-სტრუქტურის აღდგენა ჩანს [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 391].

ს.-სინდ. *წერხუ- „მერცხალი“

ადილ. პწაშხუ-ჰ, აბმახ. პწასხუ-ჰ, ყაბ. პწასხუ-ა „მერცხალი“

უბიხ. წერხ-ა // წემხ-ა // ცემხ „მერცხალი“

ადილურ ენებში თავკიდურა პ ფონეტიკურ დანართად მიიჩნევა, ხოლო რხ/შხ სუბსტიტუცია

ბგერწერით მონაცვლეობად არის კვალიფიცირებული [აზდოკოვი 1973 : 65; კვახაძე 2014 : 93].

ს.-ქართვ. *წირხ- : ს.-სინდ. *წარხჷ- კანონზომიერი შესატყვისობა ჩანს; მიუხედავად ძირთა ონომატოპოეტური ბუნებისა, ფონემურ მიმართებათა სისტემურობა ძირითადად დაცულია.

ს.-ქართვ. *რჯ- „შრომა, ჯაფა“

ქართ. რჯ-, გა-რჯ-ა „მოუსვენებლობით შრომა“ (საბა), გა-მ-რჯ-ე, გასა-მ-რჯ-ელ-ო „შრომის ფასი“ (საბა)

განმარტოებით მდგომი ქართული რჯ- ზმნა, სავარაუდოდ, ფუძეენური წარმომავლობისაა, ვინაიდან სარწმუნო შესატყვისები იძებნება სინდურ ენებში.

ს.-სინდ. *ჯა „შრომა“

აბაზ. (ტაპ.) ჯა „დაღლილობა“, აფხაზ. ა-ჯა „შრომა“

ჩერქეზულ შესატყვისებს ვერ ვხედავთ. მიუხედავად ამისა, აფხაზურ-აბაზური ჯა საერთო-სინდურიდან მომდინარე ძირად მიიჩნევა. ს.-ქართვ. *რჯ- : ს.-სინდ. *ჯა არქეტიპების პალეოკავ-კასიურობა ეჭვგარეშეა.

აღწერილ სიტყვათა ამავე რიგში შემოვა დაღესტნური პარალელებიც, შდრ. კრიწ. იეჯ-ი // იერჯ // არიჯ „კეთება, ქმნა“.

ს

ს.-ქართვ. *ს- „ქალთა გრ. კლ. ნიშ.“

ქართ. ს-, ს-ძალ-ი „რძალი“, ს-ძე „რძე“

სვან. ლ-, ლგ-ჯე „რძე“, ლგ-ჯ „ხსენი“

ზანურში შესაბამისი პრეფიქსი არ არის დამოწმებული.

წ.-სინდ. *შე- „ქალთა კლ. ნიშ.“

ხათ. še- „ქალთა კლ. ნიშ.“

სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს მინიშნება იმის შესახებ, რომ აქ გამოყოფილი še- პრეფიქსი ხათურში გრამატიკული კლასის (ქალთა) ნიშანი უნდა ყოფილიყო, რომელსაც აფხაზურ-აბაზურ ლ- პრეფიქსთან კავშირში ახსენებდნენ [ივანოვი 1985 : 29; 53].

უფრო ადრე გ. როგავა, ადარებდა რა ძვ. ქართ ს-ძალ- და ძე სიტყვებს, ასკვნიდა, რომ „ს-ისტორიულად ქალის კატეგორიის ნიშანი იყო“ [როგავა 1952 : 12].

ს.-ქართვ. *ს- : წ.-სინდ. *შე- პრეფიქსთა კანონზომიერი შესატყვისი უნდა იყოს ნახურ-დაღესტნური ძ- მეორე გრ. კლასის ნიშანი.

ს.-ქართვ. *ს- „სვლა“

ზან. (მეგრ.) შ-, მი-ბ-შ-ათ „მივიდეთ“, ქო-მი-ბ-შ-ი „მოვიდოდი“, თქვა სო მი-შ-ი-თ „თქვენ სად მიდიოდით“?

შ- ზმნური ძირი განმარტოებით დგას მეგრულში, მაგრამ ამავედროულად ინახავს საერთო-ქართველური *ს- „სვლა“ ზმნის რეფლექსაციას.

ს.-სინდ. *სგ- „სვლა, გავლა“

ადილ. ნა-სგ-ნ, ჯა-სგ-ნ, ყაბ. ნა-სგ-ნ, ჯა-სგ-ნ „მისვლა, მიღწევა“

აბაზ. კელ-ს-რა, აფხაზ. ამა-ს-რა „გავლა“

უბიხური მონაცემი არ არის გამოვლენილი. სხვა სინდურ ენებშიც სგ- ძირი პრეფიქსაციის გარეშე არც ფიქსირდება.

ს.-ქართვ. *ს- : ს.-სინდ. *სგ- არქეტიპთა შესატყვისი უნდა იკითხებოდეს ალულ. შა-ჟ „მო-სვლა“, კრიწ. მუ-შა „მოდი!“ ალომორფებში. ხუნძ. შა-ჟე- „მოსვლა, მოღწევა“, ლაკ. რ-ა-შ-ი – „წასვლა“

ზმნები, სადაც ძირეული თანხმოვნის ლაბიალიზაცია ვლინდება, სხვა ძირი ჩანს [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 656-657]; ჩვენი აზრით, იგი ს.-ქართვ. *შტ- „გაშვება“ ძირის შესატყვისად გამოდგებოდა.

ს.-ქართვ. *საბ- „კვიცი“

სვან. საბ-ელ (ბზ., ლმზ.), საბ-ელ (ბქ.), საბ-ელ (ლნტ.) „კვიცი“

დერივიაციის თვალსაზრისით, სვანურში -ელ სუფიქსის დამოუკიდებელ აფიქსად გამოყოფას პრობლემა არ ახლავს, შდრ. ქართ. ღვინ-ო : სვან. ღვინ-ელ „ღვინო“.

ს.-სინდ. *საბ- „ბავშვი“

აზაზ. საბ-ი, აფხაზ. ა-საბ-ი „ბავშვი, ბალღი“

ამ შემთხვევაში საერთოსინდური არქექტიპის რეკონსტრუქციას მხოლოდ აფხაზურ-აზაზური მონაცემის მიხედვით ვახდენთ, რაც გამართლებული ჩანს თუნდაც იმიტომ, რომ, გარდა სვანურისა, ანგარიშგასაწევი პარალელები იძებნება დაღესტნური ენებიდან, შდრ. ბუდუხ. სიფ-ე „ჩოჩორი“, თაბას. საჟ-ალ // საბ-ალ „კვიცი“.

სემანტიკურად კვიცსა და ბავშვს აერთიანებს ნაშიერის შინაარსი.

ს.-ქართვ. *სა-და „სად“

ქართ. სა-და, სა-და-მთ „საიდან“, სა-და-მ „სადაური“, სა-მე „სადღაც“, სა-ნა-მდე...

ზან. (ლაზ.) სო-დ „სადმე“, სო „სად“, სო-ლე „საით“, სო-ლე-ნ „საიდან“, მეგრ. სო „სად“, სო-თ-ი „სადაც“, სო-ნ-ი „სადაური“, სო-ლე „საიდან“, სო-იშ-ა „სანამდე“

ვიზიარებთ სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე არსებულ *სა-და ტიპის რეკონსტრუქციას [კლიმოვი 1998 : 162].

ს.-სინდ. *სა-დ „რა“

ადილ. სედ, ყაბ. სეთ „რა“

უზბიხ. სა „რა“

საყურადღებო ჩანს დენტალური რიგის ფონემური ოპოზიცია ადილ. დ : ყაბ, თ, რაც აფიქსურ ნაწილში ვლინდება. ჩერქეზულ ენებშიც სა- ძირად გამოიყოფა. ამას უზიხური გვაფიქრებინებს, შდრ. ქართვ. სა- [კლიმოვი 1964 : 161].

არ გამოვრიცხავთ გენეტიკურ კავშირს დაღესტნურ ძირებთანაც, შდრ.: ბუდუხ. ში/შგ-მა, კრიწ. ში, რუთულ. ში-ვ // შგ-ვ „რა“.

ს.-ქართვ. *სათუ- „გიშერი“

ქართ. სათ-ი „გიშერი“ (საბა)

ზან. {შოთ-ა} (ანთროპ.) „გიშერა“

სვან. შათუ → // შუათ (ბქ.) „ფიქალისმაგვარი თლილი ქვა; „სალესი ქვა“

საერთოქართველური *სათუ- არქექტიპის შესატყვისად ზანურში შოთ- ალომორფი უნდა გვექონოდა, რაც დაკარგული ჩანს, თუმცა, შესაძლებელია, ქართული სახელი შოთ-ა ინახავდეს ზანურ შესატყვისს. თუ ვარაუდი სწორია, შოთ-ი „გიშერი“ → ანთროპ. შოთ-ა გვერდში ამოუდგებოდა გიშერ-ი → გიშერ-ა რეალურად არსებულ დერივაციას.

ს.-სინდ. *დასუ- „ოქრო / ვერცხლი“

ადილ. დეს, ყაბ. დეს-ა „ოქრო“

უზბიხ. დამუ-ანგ „ვერცხლი“

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია უზიხური დამუ-ანგ „ვერცხლი“ : აფხაზ. ა-რამნგ „ვერცხლი“ შეპირისპირებისთვის დამახასიათებელი წინააღმდეგობანი [სტაროსტინი, ნიკოლაევი

1994 : 514]; ამიტომაც უპრიანი ჩანს უბიხური მონაცემის ფუძეთა ამავე რიგში შემოტანა. მით უმეტეს, ფუძის ლაბიალიზაციას ქართველურს გარდა ნახური მონაცემიც მხარს დაუჭერდა, შდრ. ს.-ნახ. *დაშეჲ „ოქრო“.

ს.-ქართვ. *სალ- „ქაჩაჩის ქვედა ნაწილი“

ქართ. სალ-, ხევს. სალ-ია „ცხენის ქაჩაჩის ქვედა ნაწილი“

დასტურდება მხოლოდ ქართულში, მაგრამ, სავარაუდოდ, ფუძეეწერი წარმომავლობა ახასიათებს. ამას სინდური (და არამხოლოდ) შესატყვისები ადასტურებს.

ს.-სინდ. *ლ'ა- „ფეხი“

ადიდ. (შაფს.) ლ'ა-ჟჷჷ, ჭემგ. ლ'ა-ჟჷჷ, აბძახ. ლ'გ, ყაბ. ლ'ა-ყჷჷ „ფეხი“

უბიხ. ლ'ა-პჷ „ფეხი“

აბაზ. შა-პგ, აფხაზ. ა-შა-პგ „ფეხი“

გაუფორმებელი სახით ძირი მხოლოდ აბძახურ დიალექტშია შემონახული, სხვაგან გართულებულია ჟჷჷ / ჟჷჷ / ყჷჷ „ძვალი“ და პჷ/პგ „კიდური“ ფორმებით.

ს.-ქართვ. *სალ- : ს.-სინდ. *ლ'ა- არქექტიპთა შედარებით ანალიზით ირკვევა, რომ ბოლოკიდურა ლ ჯერ კიდევ საერთოსინდურ ფუძე-ენაშია დაკარგული. გარდა ქართველურისა, ბოლოკიდური ლ პოვნიერია დაღესტნური მასალაშიც, შდრ. დარგ. (მური.) შალი „ბარკალი“. სემანტიკური კორელაცია ფეხი ~ ქაჩაჩი ~ ბარკალი კანონზომიერი ჩანს.

ს.-ქართვ. *სამ- „სამი“

ქართ. სამ-ი, სამ-შაბათ-ი

ზან. სუმ-ი // შუმ-ი „სამი“

სვან. სემ-ი „სამი“

როგორც მოსალოდნელიც იყო, სამ-ის აღმნიშვნელი კანონზომიერი ძირები ყველა ქართველურ ენა-კილოში დადასტურდა. მეგრულ-ლაზურში შეიმჩნევა შუმ-ი // სუმ-ი სუბსტიტუცია, რაც უკანასკნელის გაბატონებით დამთავრდა.

ქართველურ ენათა სამ-ის აღმნიშვნელი ძირების ერთიანობა ჯერ კიდევ გ. როზენმა შეამჩნია [ისტორია იხ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 395-396].

ს.-სინდ. *სა- „სამი“

ადიდ. შგ, ყაბ. სგ „სამი“

უბიხ. სა / სგ „სამი“

აბაზ. ხ-ფა, აფხაზ. ხ-ფა „სამი“

ფუძეეწერი მდგომარეობისთვის *სჷჷ არქექტიპს მოველოდით, მაგრამ, როგორც ეტყობა, დე-ლაბიალიზაცია ამ ძირში ჯერ კიდევ საერთოსინდურში განხორციელდა – *სჷჷ → *სა.

ქართველურ-სინდურ-დაღესტნურ ფუძეთა ერთიანობა ივანე ჯავახიშვილმა ივარაუდა [ჭარაია 1912 : 38; ჯავახიშვილი 1992 : 416], თუმცა ნახური შესატყვისი ღვაწლმოსილმა მეცნიერმა ვერ მოძებნა, ვინაიდან იგი მხოლოდ სამფება მაგიდის აღმნიშვნელ შუნ სიტყვას შემორჩა, სხვაგან მხოლოდ ჯო „სამი“ იხმარება.

ს.-ქართვ. *სამ- „ცეკვა; დაკვრა“

ქართ. სამ-ა „ცეკვა“, სამ-ა-ია „ქართული ცეკვის სახეობა“

ზან. (მეგრ.) შუმ-, შუმ-ორ-ი „ხმიანობა, ხმაური“

სვან. შემ-/შუმ-, ხ-ე-შმ-ი, ხე-შჷმ-ი „ეხმიანება“, ა-შმ-უნ-ე „უკრავს (ინსტრუმენტზე)“, ლი-შჷმ-ე, ლი-შმ-ე „ინსტრუმენტზე დაკვრა“

ფონეტიკურ-სტრუქტურული მიმართება სამ-/შუმ-/შემ // შუმ- კანონზომიერი ჩანს.

ს.-სინდ. *ა-სუტა „სიმღერა“

აბაზ. აშუტა, აფხაზ. აშუტა, ბზიფ. ასუტა „სიმღერა“

ჩერქეზულ ენებში შესაბამისი ძირები დაკარგული ჩანს. ს.-ქართვ. *სამ- : ს.-სინდ. *ა-სუტა კანონზომიერ შესატყვისობად უნდა ჩაითვალოს. მ → უ ჯერ კიდევ საერთოსინდურ ფუძე-ენაში განხორციელდა, რასაც თვალნათლივ ამტკიცებს დაღესტნური მასალაც, შდრ. წახურ. დუშენ-ას „ლაპარაკი, საუბარი“ და დუშენ(ნ) „სიმღერა“.

აქვე განიხილავენ ნახურ ენათა აშარ-/აშირ- ხმა, სიმღერა, მელოდი“ ფორმებს [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 683-684].

ს.-ქართვ. *სანგ- „რკინის დიდი კვერი; ურო“

ქართ. სანგ-ი „დიდი კვერი (რკინისა)“ (საბა), МОЛОТ (ჩუბინაშვილი)

სვან. სანგ „სანგი; დიდი ჩაქუჩი“

არ გამოირიცხება სვანური ეკვივალენტის ქართულიდან სესხების შესაძლებლობა. მეგრულ-ლაზურში შესაბამისი ძირი (არც ნასესხობა) შენიშნული არ არის.

ს.-სინდ. *სგ-გ „გრდემლი“

ადიდ. (შაფს.) სგგ, ჭემგ. სგგგ, ყაბ. სგგ, ბასლ. სგგ „გრდემლი“

სემანტიკური თვალსაზრისით, კვერი ~ გრდემლი შესატყვისობა კანონზომიერებას ექვემდებარება, იგი ხშირად მეორდება იბ.-კავკ. ენებში. რაც შეეხება ფუძეთა ფორმოზრევ მხარეს, აქ მიმართება იგივეობრივი ჩანს, ოღონდ მოსალოდნელი ნ სონორის შესატყვისი სინდურ ენებში დაიკარგა, რაც ხშირად ხდება ხოლმე.

ს.-ქართვ. *სანებ-ა „წიწმატურა, ნიახური“

ქართ. სანება „წიწმატურა“

ზან. (მეგრ.) სონა „ნიახური“

მეგრული ეკვივალენტი ფონეტიკურად გამარტივებულ სახეობას წარმოადგენს. აქ მთელი მარცვალი (-ბა) დაიკარგა. სხვა მხრივ, შესატყვისობათა ჩვენება როგორც ფონეტიკურ, ისე სემანტიკურ დონეზე დაცული ჩანს.

ს.-სინდ. *სარმ-ა „ერთგვარი ბალახი“

ადიდ. (შაფს.) სარმ „ბალახია ერთგვარი“

მცენარის (ბალახის სახეობის) აღმნიშვნელი ეს ძირი შემორჩენილი ჩანს მხოლოდ შაფსულურ დიალექტში. არადა, ფუძე აშკარად საერთოსინდური წარმომავლობისაა. მას გააჩნია როგორც ქართველური, ისე დაღესტნური და ნახური შესატყვისები, შდრ. ჩეჩნ. სარამ „ერთგვარი ჭანჭრობის მცენარე“, არჩიბ. სარბა, ლაკ. სურა ← *საურა „პიტნა“... [დაღესტნ. ძირები იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 964].

ს.-ქართვ. *სარ- „ამოწყვეტა, ხოცვა, კვლა“

ძვ. ქართ. სარ- / სრ-, მუ-სრ-ი

ზან. (მეგრ.) სირ-, მეგრ. აკო-სირ-უა „ამოწყვეტა“, მო-სგრ-ილ-ი „ამოწყვეტილი“

მეგრულში პოვნიერია გ-ვარიანტიანი ალომორფებიც – სგრ- → // სირ- [როგავა 1962], რაც იმაზე მეტყველებს, რომ საერთოზანურში სორ- უნდა ყოფილიყო უძველესი ფორმა, ს.-ქართვ. სარ-ის შესატყვისი.

ს.-სინდ. *შგ- „კვლა“

აბაზ. შ-რა, აფხაზ. შ-რა „კვლა“

ჩერქეზული შესატყვისები გვაკლია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შესაძლებელი ჩანს საერთოსინდურ არქეტიპზე საუბარი, ვინაიდან აფხაზურ-აბაზურ ძირებს კანონზომიერი შესატყვისები

უდასტურდებათ მონათესავე ქართველურ ენებში.

ს.-სინდ. *შგ- : ს.-ქართვ. *სარ- ოპოზიცია წარმოაჩენს სინდური არქექტივის აუსლაუტის ცვე-
თას, რაც ბოლოკიდური რ-ს დაკარგვით აიხსნება.

სხვა იბ.-კავკ. ენებში მონათესავე მასალა (იზოგლოსები) არ ვლინდება.

ს.-ქართვ. *სარ- „ცვეთა / დაღევა“

ქართ. სარ- / სრ-, მო-ვ-სარ, მო-სრ-ვ-ად

ზან. (მეგრ.) შგრ- // შირ-, ფ-შირ-უნ-ქ „ცვეთ; ვხოცავ“, დრ-შირ-უნ) „იღევა, იცვითება“, ლაზ.
ო-შირ-უნ „ცვეთა“, ი-შირ-ენ „დუღილით იღევა“

საერთოქართველურ *სარ- არქექტივს ზანურში კანონზომიერი *შორ- უნდა მოეცა, გვაქვს კი
შგრ-/შირ, ანუ ა : გ/ი შესატყვისობა, რაც გ. როგავას კანონით იხსნება ო → გ → /ი [როგავა 1962].
ამავე კონტექსტში ყოვლად დაუშვებელია ი ხმოვნის (ან გ-ს) კვალიფიკაცია ანაპტიქსურ ხმოვნად
[იხ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 416].

ს.-სინდ. *სჷრ- „ძველი; მოხუცი“

ადიდ. (დიალ.) სჷრ-გ „ძველი, მოხუცი“

სიტყვა დასტურდება მხოლოდ ადიღეურში, მაგრამ სჷრ-გ ძირს ამავდროულად, ქართვე-
ლურის გარდა, უტყუარი შესატყვისები უდასტურდება დაღესტნურ (ლეზგ. სურ „ძველი“) ენებში.
ყოველივე ამის გამო ს.-სინდ. *სჷრ- არქექტივის რეკონსტრუქცია საფუძვლიანი ჩანს.

ს.-ქართვ. *სარკ-ე „სარკე; ფაიფური“

ძვ. ქართ. სარკე „სარკე“, სარკე „მიჭვრიტანა“ (საბა)

ზან. (მეგრ.) შანკო „მაყურებელი, მზირი, გუშაგი“

მეგრული შესატყვისი, ვფიქრობთ, *შორკა უძველესი ვარიანტისაგან მომდინარეობს; *შორკა
→ *შონკა → შანკო საკმაოდ რთული ტრანსფორმაციის საფუძველი უნდა ყოფილიყო შო თანმიმ-
დევრობის არაკანონიურობა ზანურში. სემანტიკურად სარკე → მზირი ადვილად აიხსნება. მე-
გრული სარკ-ე-ა „გაყინვა“ ქართულიდან შესული სარკე ძირს ინახავს საინტერესო ყინული მნიშ-
ვნელობით.

ს.-სინდ. *საკ-გ „აგური“

უბიხ. შკგ „აგური“

ამ შემთხვევაში ფუძეენური წარმომავლობის ძირი მხოლოდ უბიხურშია შემონახული. ს.-
სინდ. *საკ-გ : ს.-ქართვ. *სარკ-ე არქექტიპთა კანონზომიერი შესატყვისები უნდა ჩანდეს ნახურ ენა-
თა თეთრი მარმარილოს / ბროლის აღმნიშვნელ სახელებში: ინგუშ. შაკ „ბროლი, კვარცი, თეთრი
მარმარილო“, ჩეჩნ. შაგა ← *შაკა „თეთრი მარმარილო, მარმარილო“, შაგა-ტულგ „მარმარილოს ქვა“.

საყურადღებოა პალეოკავკასიური წარმომავლობის ძირ-ფუძეთა სემანტიკური მიმართებაც:
სარკე / ფაიფური ~ ბროლი / კვარცი / მარმარილო ~ აგური.

ს.-ქართვ. *საყ-ე „ხალა; პალო; ჯოხი“

ქართ. საყ-ე „სარი, პალო, ხალა“, საყ-ე-ბურთ-ი

ზან. (მეგრ.) შეყ-ერ-ი „ღერო“

სვან. სწყ „ჯოხი; სამანი“

ძნელი გამოსარიცხია სვანური ალომორფის ქართულიდან სესხების შესაძლებლობა, თუმცა
*შაყე → *შწყ → საყ დაშვებას სვანურში აქვს არსებობის უფლება. მეგრულ შესატყვისში ო → ე
უმლაუტის კვალი შეინიშნება – *შოყერ-ი → შეყერ-ი, შდრ. *ჯორღ-ი → ჯერღ-ი : ძარღ-ი.

ს.-სინდ. *საყ-ა „ბოძი“

აბაზ. შაყა, აფხაზ. ა-შაყა „ბოძი“

საერთოსიდური არქეტიპის რეკონსტრუქცია აფხაზურ-აბაზური მასალის მიხედვით გვიხერხდება მხოლოდ, თუმცა წარმოდგენილი ალომორფები თითქმის სრული სიზუსტით ასახავენ ფუძეენურ მდგომარეობას. ერთადერთი ს/შ სიბილანტა საკონტროლო მონაცემი გვაკლია.

სტრუქტურულ-ფონეტიკურად ს.-ქართვ. *საყ-ე : ს.-სინდ. *საყ-ა უპრობლემო ჩანს. რაც შეეხება სემანტიკას ხალა, პალო, ჯოხი ~ ბოძი კანონზომიერებას ექვემდებარება.

ს.-ქართვ. *სახ- „ერთგვარი დაავადება“

ქართ. (აჭარ.) სახ-აო „ავადმყოფობა ერთგვარი“

ბოლოკიდური -აო სადერივაციო აფიქსი ჩანს ქართულში, შდრ. ბერ-აო „მუხლუხო“, ნიდ-აო „ცხენის კისერი ბეჭების შესაყართან“... ზანურში მოსალოდნელი {სოხუუ} ან {შოხუუ} სახეობის ალომორფები ვერ დავადასტურეთ.

ს.-სინდ. *სახტ- „დაავადება ღებინებით“

ადილ. სატ-რ-ან (← *სახტ-რ-ან), ყაბ. სახტ-რ-ან „დაავადება ღებინებითა და ღვარძლით“

გვაკლია უბიხური და აფხაზურ-აბაზური შესატყვისები. აბაზური სახტრან „id“ მართებულად მიიჩნევა ყაბარდოულ ნასესხობად [შაგიროვი 1977, II : 60]. ადილურ ენებში -რ-ან რთული შედგენილობის სადერივაციო აფიქსი ჩანს, რომელიც ქართული -აო სუფიქსის ფუნქციური შესატყვისი უნდა იყოს. ამავდროულად ბოლოკიდურა ხ-ს ლაბიალიზაცია საკუთრივ სინდური ინოვაციად გვეჩვენება, თუმცა ვერც *სახტ-აო → სახ-აო დისიმილაციურ დელაბიალიზაციას გამოვრიცხავთ ქართველურში.

ს.-ქართვ. *სახა „მამალი ფუტკარი“

ქართ. (ჯავახ.) სახა „მამალი ფუტკარი“

ზან. (ლაზ.) შოხა „მამალი ფუტკარი, უსაქმური“

სვანური შესატყვისი ვერ გამოვავლინეთ. ქართულ სახა-ს კანონზომიერად შეესატყვისება ლაზური შოხა. ფუძის ბოლოში, როგორც მოსალოდნელი იყო, ა აღარ გადავიდა ო-ში.

ს.-სინდ. *სხა „ფუტკარი“

აბაზ. შხა, აფხაზ. ო-შხა „ფუტკარი“

ჩერქეზულ ენებში შესატყვისობას ვერ ვპოულობთ, თუმცა მაინც გვინდა აღვნიშნოთ ყაბ. შახტ, ადილ. შატე ← შახტ „ცვილი“ ფუძეების შესახებ, რომელთა ფორმალური სიახლოვე თვალში საცემია. აქვე გაგვახსენდება აფხაზურ-აბაზურ ა-ცხა / ცხა „თაფლი“, რომელთა ნათესაობა ადილურ ფორმებთან არ გამოირიცხება.

სხვა მხრივ, ს.-ქართვ. *სახა : ს.-სინდ. *სხა შესატყვისობა უნაკლოა, მაგრამ სათანადო მასალას ჯერჯერობით დადესტურული ენებიდან მხოლოდ თაბასარანულში ეძებნება საყურადღებო პარალელი, შდრ. თაბას. სახ „სკა“.

ს.-ქართვ. *სახტ- „მოჯადოება“

ძვ. ქართ. სახტ-, მ-სახტ-რ-ალ-ი „მომაჯადოებელი“

სხვა ქართველურ ქვესისტემებში ეს ძირი (მისი შესატყვისი) ჯერჯერობით არ ჩანს.

ს.-სინდ. *სახტ- „საიდუმლო“

ადილ. სატ-გ, ყაბ. სახტ-გ „საიდუმლო“

ფუძეენური ფონემური ვითარება საკმაოდ შერყეულია ადილურში, სადაც სახეზეა ხტ → ტ ფონეტიკური ტარნსფორმაცია.

გენეტიკური და სემანტიკური თვალსაზრისით, საყურადღებოდ გვესახება ინგუშ. ო-აშხ-არ „საიდუმლოს, სიზმრის ახსნა“ ზმნასთან მიმართება.

ს.-ქართვ. *საჭუ- „სხვენი, თავი“

ქართ. საჭუ-ინ-ი, საჯუნ-ი „სხვენი“ (საბა)

ჩვენს ენებში ნამდვილად ჩანს იმის აუცილებლობა, რომ ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს საჭუინ-ი და სხვენ-ი. **სხვენ-** ქართულში სპირანტიზებული ვარიანტია ამოსავალი **ცხვენ-** არქე-ფორმისა, რომელმაც მეგრულშიც კი **ცხვენ-ი / ცხვინ-ი** მოგვცა. მეგრულს იმიტომ ვამბობთ, რათა გავმიჯნოთ **სხ** → **ცხ** შესაძლო პროცესისაგან, რომელიც ლაზურ-სვანურისათვის არის დამახასიათებელი. ანუ **სხ** → **ცხ** ლაზურ-სვანურია, მაშინ, როდესაც **სხ** → **სხ/შხ** ქართულ-მეგრულია; ხოლო როდესაც მეგრულში **ცხ** გვაქვს, ხოლო ქართულში სპირანტიზებული **სხ**, სავარაუდოა **ცხ** → **სხ** ამ უკანასკნელისათვის.

ამდენად, საბასეული **საჭუინ-ი** დამოუკიდებელი სიტყვაა.

ს.-სინდ. *შჯ „მთა, თავი“

ადიდ. შხჷ, ყაბ. შხჷ „თავი“, ჩერქ. უნჷ-შხჷ „სახურავი, სხვენი“

აბაზ. შჯა, აფხაზ. ა-შხა „მთა“

სემანტიკური ოპოზიცია *მთა ~ თავი ~ სახურავი* ნორმალური ჩანს, მით უფრო მაშინ, როცა ერთი (ჩერქეზული)ენის ფარგლებში ფიქსირდება *თავი / სახურავი*.

ს.-სინდ. *შჯ : ს.-ქართვ. *საჭუ- ყველა მოთხოვნას უპასუხებს, ერთადერთია ჭ ფინალური ბილაბიალის პრობლემა სინდურ ენებში. ჯერჯერობით ვერ მტკიცდება მისი არსებობა (ან კვალი) აფხაზურ-ადიღურ ენებში.

ს.-ქართვ. *საჯიჷ- „ქედის ბორკილი; საჭე“

ძვ. ქართ. საჯივ-ი „ქედის ბორკილი“

ზან. (ლაზ.) ორხუ „უღელი“, მეგრ. ორხუ // ორხე „საჭე; ბორკილი“

სვანური შესატყვისი ვერ გამოვავლინეთ, თუმცა ქართულ-ზანური მასალა აშკარად მიუთითებს ამ სიტყვათა ფუძეებურ წარმომავლობაზე. ამასვე ამტკიცებს სინდური პარალელები.

ს.-სინდ. *შხჷა „აღვირი“

ადიდ. შხჷა-, ყაბ. შხჷა „აღვირი“

შესაბამისი ძირი უბიხურსა და აფხაზურ-აბაზურში დაიკარგა.

შეიძლება გვემსჯელა თავკიდური ს-/შ- სეგმენტის აფიქსურობაზე, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც დადესტნურ ენებში შესატყვისი ფორმები სხვაობენ გრამატიკული კლასის ნიშნის მიხედვით, შდრ. ჭამალ. რ-ალ'ირ // ბ-ალ'ი(რ) „აღვირი, სადავე“, არჩიბ. დ-ულ'ჷ „აღვირი“...

ადიღურ იზოგლოსებში შ-ს გამოყოფა ჩგ „ცხენი“ ლექსემის ნაშთად ჩვენთვის მიუღებელია [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 235].

ს.-ქართვ. *სედ- „ჯამი; ჭურჭელი“

სვან. შედ, შედ-ილ „ჭურჭელი“, შედ-მაკუედ „ჯამ-ჭურჭელი“

სხვა ქართველურ ენა-კილოებში სვანური შედ- ძირის შესატყვისებს ვერ ვპოულობთ, თუ არ ჩავთვლით, რა თქმა უნდა, ქართ. სილა (ხევს. ა-სილა „კოდი“) ფუძის შესატყვისად სვან. შედ ფორმას [ჩუხუა 2000-2003 : 303].

ს.-სინდ. *სჷანდ-გ „ხელკასრი“

ყაბ. ჭანდ-გრა ← *შჷანდ-გრა „ხელკასრი“

უბიხ. სჷანდ-გრ „ხელკასრი“

არ გამოირიცხება ყაბ.-უბიხ. ძირთა გენეტიკური ერთობა აფხაზურ ა-შუენდგ-ყურა, აბაზ. შუენდგ-ყურა „ზანდუკი“ ლექსემებთან. მათი კავშირი ყიფჩაღურ sunduq სიტყვასთან არ ჩანს რეალური [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 975], თუმცა გაუგებარია დასახელებულ

ალომორფებში -ყტარა / -ყტრა სეგმენტთა წარმომავლობა, რასაც ნასესხობის დაშვებაც ვერ ახსნის.

ს.-ქართვ. *სეთ- „გაყინვა“

ზან. (მეგრ.) სანთ-, გო-სანთ-ილ-ი „გაყინული“, სანთ-უნ-ს „ყინავს (ძლიერ, მასიურად)“

სავარაუდოდ, ფუძეენური წარმომავლობის ზმნა მხოლოდ მეგრულმა შემოინახა. ქართულში მოსალოდნელი სეთ- სახეობის ძირი არ იძებნება. ინლაუტური ნ ფონეტიკური ჩანართი უნდა იყოს მეგრულში.

ს.-სინდ. *შთჷ- „გაყინვა“

ადიდ. შთგ-ნ, აბძახ. შთგ-ნ „გაყინვა“, ყაბ. სთგ-ნ „გაყინვა“

აბძახურის ვითარება ფუძე-ენისას ემთხვევა, სწორედ შ გახდა წყარო ყაბ. ს სისინ-შიშინა სი-ბილანტ-სპირანტისათვის [შდრ. კვახაძე 2014 : 269].

სხვა მხრივ, ს.-ქართვ. *სეთ- : ს.-სინდ. *შთგ- ჩვეულებრივ მიმართებას აჩვენებს, როცა ერთი ძირის ფარგლებში ორივე თანხმოვნის შესატყვისებია დაცული.

შესაბამის დაღესნურ ძირს ვხედავთ ღოდ. სათ-ი „ცივი“ სიტყვაში.

ს.-ქართვ. *სელ- „ბორბლიანი მარხილი“

ქართ. სელ-ი „ბორბლიანი მარხილი (ორთვლიანი)“

ზან. (მეგრ.) სალ-ი „ურმის ბორბლის ნაწილი, მანა“

სვან. სწტ, სეტ (ლშხ.) „მარხილი“, სწტ-ჩწტ, სეტ-ჩეტ (ლშხ.) „ჩეოიანი მარხილი“

ლაბიალიზაციის დამახასიათებელი ლ → უ პროცესი სვანურში გახდა საფუძველი ე → ა უკუუმლაუტისთვის.

სომხური სელ „ურემი“ ქართულ წყაროს გულისხმობს.

ს.-სინდ. *შჷ- „ეტლი“

ადიდ. (ჰემგ.) შა-ტა „მეეტლე“

საერთოსინდური სიტყვა მხოლოდ ადიღეურში შემოგვრჩა. შა-ტა „მეეტლე“ ფორმაში -ტა სუფიქსად გამოიყოფა, დასახელებულ ენებში მას პროფესია-ხელობის მაწარმოებელ მარკერად მიიჩნევენ [კვახაძე 2014 : 118].

ს.-ქართვ. *სელ- : ს.-სინდ. *შა- „არქეტიპთა შედარებით ცხადდება, რომ საერთოსინდურში ლ → უ სვანურის მსგავსი ფონეტიკური პროცესი მოქმედებდა, რომელიც ამ შემთხვევაში ნულოვანი რეფლექსაციით დამთავრდა – *შაჷ → *შა.

ს.-ქართვ. *სემ- „სმენა; ყურება“

ქართ. მ-ე-სმ-ი-ს, მ-ე-სმ-ა, სმ-ენ-ა, ძვ. ქართ. შე-ე-სემ-ი-ნ

ზან. (ლაზ.) ო-სიმ-ინ-უ // ო-სიმ-ინ-უ „სმენა, მიყურება“, ვ-ი-სიმ-ინ-ი „მოვისმინე, გავიგონე“, მეგრ. მ-ა-სიმ-ე-ნ „მესმის“, ი-სიმ-ე-ნ „ისმის“, სიმ-ა „გაგონება, შეგრძნება“, ქიდღნა-სიმ-ინ-უ „დაასმინა“

სვან. ჯ-ე-სმ-ი-ა „გესმის“ (?), ლა-ხ-სიმ-ნ-ე „გაიგონა“

რატომღაც ზანურ-სვანური ი-ს ანაპტიქსურ ხმოვნად მიიჩნევენ [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 398], მაშინ, როდესაც ცხადად იყო დიდი ხნის წინ ნაჩვენები, რომ „ე-ს ი-დ გარდაქმნა ზანურ ნი-ადაგზეა მომხდარი“, შდრ. ძვ. ქართ. შე-ე-სემ-ი-ნ [ჩიქობავა 1938 : 314].

ს.-სინდ. *შმგ- „გაღვიძება“

ადიდ. უგ-შგ-ნ, აბძახ. უგ-შგ-ნ, ყაბ. ყა-უგ-შგ-ნ, ბასლ. ყა-უგ-ფსგ-ნ „გაღვიძება“

ადიღურ ენებში სწორად არის სეგმენტირებული შგ-/ფსგ- ზმნურ ძირებად [კვახაძე 2014 : 269], მაგრამ ვერ დავეთანხმებით იმას, რომ ფ ფონეტიკური ჩანართია ბასლენურში. პირიქით, აქ ფ

ინახავს ამოსავალ მ სონორს, რომელიც შ/ს ყრუ სპირანტთა წინა პოზიციაში ასიმილაციით და-
ყრუვდა. ს.-სინდ. *მშგ- შებრუნებული წყობისაა ს.-ქართვ. *სემ- არქტიპთან შედარებით, რასაც ამ-
ტკიცებს ჩეჩნ. სამ-ა-დალა, ინგუშ. სომ-ა-დალა „გაღვიძება“ ზმნებთან შედარება.

სემანტიკურად *სმენა / ყურება ~ გაღვიძება* ადვილად აიხსნება, ვინაიდან აფხაზურში *გაღვი-
ძების* შინაარსი *აქეთ-იქით ყურებასთანაა* კავშირში, შდრ. აფხაზ. ა-ფშ-რა „აქეთ-იქით ყურება, გა-
ღვიძება“.

ს.-ქართვ. *სემ-ია „სვია“

ქართ. სვია ← *სმია „დიდი თევზი“ [Huso huso]

ზან. შამაია „კობრისებრი თევზი“

წარმოდგენილ ფუძეთა ზანური სახეობა ქართულისათვის მრავალმხრივ საყურადღებოა. ზანური გვიქმნის ზუსტ წარმოდგენას მ → ვ პროცესის შესახებ ქართულში, რაც მეტად გავრცელებული მოვლენა უნდა ყოფილიყო თითქმის ყველა პოზიციაში, შდრ. ქართ. ვეძა : ზან. მენჯ-ი, ქართ. არჩვ-ი : ზან. ერცქემ-ი, ქართ. -ამ „თემის ნიშანი“ → // -ავ, რომელსაც შესატყვისი მოსალოდნელი უ-ს სახით ზანურში არ მოეპოვება იმის გამო, რომ ქართულში -ავ ისტორიულად მოქმედი მ → ვ პროცესის პროდუქტია.

ს.-სინდ. *ფსა ← *მსა „თევზი“

უბიხ. ფსა „თევზი“

აბაზ. ფს-ლაჩუა, აფხაზ. ა-ფსგ-მ „თევზი“

სიტყვა მარტივი ფორმით არის წარმოდგენილი უბიხურში, ხოლო აფხაზურსა და აბაზურში, შესაბამისად, -მ, და -ლაჩუა სეგმენტია გამოსაყოფი, რომელთა ფუნქციაზე საუბარი ჭირს.

ს.-ქართვ. *სემ- : ს.-სინდ. *ფსა/*მსა არქტიპის მეტად საყურადღებო პარალელები ეძებნება დიდოურ ენებში: ბეჟიტ. ბისა, დიდ. ბესურო, ჰუნზიბ. ბგსგ, ჰინუხ. ბესურო.

ს.-ქართვ. *სენ- „სენაკი; წალო“

ძვ. ქართ. სენ-აკ-ი, სენ-ა, მო-სენ-ა-ე, ხევს. სენ-ე „რძის შესანახი სპეციალური ბინა“, „წალო“

სვან. სან-ჰა // სენ-ა // სენ-ად „წალო; განჯინა“

ფონეტიკური ტრანსფორმაცია ე → ა (წ საფეხურის გავლით) მიეწერება უკუუმლაუტის ქმე-
დებას სვანურში (მ. ქალდანის კანონი), მომდევნო ა(ა) ხმოვნის ზემოქმედება.

ს.-სინდ. *შნ- „ორმო; თხრა“

ადილ. მა-შნ, ყაბ. მა-სნ „ორმო“

უბიხ. შნ- „თხრა“

აფხაზ. ა-ტგ-შა „ორმო“

აბაზურ-აფხაზური -მაშა „ორმო; საფლავის თხრილი“ ადილური ენებიდან ჩანს შემოსული [შაგიროვი 1977, I : 263]. უბიხური და აფხაზური (ა-ტგ-შა) ფორმათა შეპირისპირებით ადვილად გამოიყოფა კიდევ ერთ ადილურ სიტყვაში სახელური მა- პრეფიქსი, რომლითაც ზმნისგან იწარმოება სახელური ფუძე [ლომთათიძე 1961 : 120].

ქართველურში გვაკლია ზმნური *სენ-, აქ მხოლოდ სახელური ძირებია პოვნირი.

ს.-ქართვ. *სენ- : ს.-სინდ. *შნ არქტიპებს კანონზომიერად შეესატყვისება ნახური სან-/სენ- „კუთხე“ ალომორფები [ჩუხუა 2008 : 473].

ს.-ქართვ. *სერ- „ლესვა“

ქართ. სრ-, სა-სრ-ევ-ი „სალესი ქვა“

სვან. შერ- / შერ- „ლესვა“, ლგ-შერ-ე // ლგ-შერ-ე „გალესილი“, ლა-შერ // ლა-შერ „სალესი“

სპეციალურ ლიტერატურაში სწორად არის შენიშნული, რომ ქართული სა-სრ-ევ- მიმდებარე ფუძეა, რომელიც სრ- ძირს შეიცავს. ეს უკანასკნელი სვანური შერ- // შერ- ალომორფების კანონზომიერი შესატყვისია [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 416].

ს.-სინდ. *ლწ- „ლესვა; გადასმა“

ადილ. ლწ-ნ, ყაბ. ლწ-ნ „ლესვა“

ბოლოკიდური რ ჯერ კიდევ ფუძესინდურში დაიკარგა. უბიხური შესატყვისი არ ჩანს. ფონეტიკურად (და სტრუქტურულადაც) დაუშვებელია აფხაზ.-აბაზ. -შშ-რა „გადასმა“ ზმნასთან გენეტიკური კავშირი [შდრ. შაგიროვი 1977, I : 255].

ს.-სინდ. *ლწ- : ს.-ქართვ. *სერ- არქეტიპების შეპირისპირება ეფუძნება ლ : ს ოპოზიციას, რომელსაც რეგულარულ-კანონზომიერი ხასიათი აქვს.

დადესტნური და ნახური იზოგლოსები ამ ეტაპზე ვერ გამოვლინდა.

ს.-ქართვ. *სერ- „ფართო; გრძელი“

ქართ. სერ-ი „მოგრძე გორი“ (საბა)

სვან. შწრ-, მა-შწრ-ი / მა-შრ-ი „ფართო“

უმლაუტიანი წ სვანურში, ალბათ, საერთოქართველურ ე-ს ასახავს, თუმცა ა → ე შებრუნებული პროცესიც არ არის თვით ქართულისთვის გამოსარიცხი.

ს.-სინდ. *შწრ- „გლუვი“

აფხაზ. ა-შარ-ა „გლუვი“

საერთოსინდური არქეტიპის რეკონსტრუქცია ხერხდება მხოლოდ აფხაზური მონაცემის მიხედვით. რ ვიბრანტის პოვნეირებას ძირის ფარგლებში არამხოლოდ ქართველური ინფორმაცია უჭერს მხარს. იგი მყარად ზის ნახურ შესატყვისშიც, შდრ. წ.-თუშ. შარ-ენ „გლუვი, ბრტყელი“.

სემანტიკური კორელაცია ფართო / გრძელი ~ გლუვი / ბრტყელი გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება.

ვფიქრობთ, დადესტნური ენებიდან მხოლოდ უდიური ასახავს კანონზომიერ შესატყვისს და სადა ← *სარა „გლუვი“ სიტყვაც აქვე უნდა შემოვიდეს.

ს.-ქართვ. *სერ- „ღამე; ვახშამი“

ძვ. ქართ. სერ-ი „ვახშამი“, სერ-ობ-ა „ვახშამობა“, სერ-ის-კუდ-ი „გვიანი სამხარი“

ზან. (ლაზ.) სერ-ი „ღამე“, მეგრ. სერ-ი „ღამე“, შდრ. ო-სარ-ე „პერანგი“; ი-სერ-უნ „ღამდება“, ო-სერ-გშ-ე // ო-სერ-გშ-ო „ვახშამი“

ძირ-ფუძეთა ამავე რიგში ხშირად განიხილავდნენ კოლხურ ო-სარ-ე „პერანგი“ სიტყვაში გამოყოფილ სარ- ალომორფს, რაც არ მიგვაჩნია მართებულად, ვინაიდან ოსარე „პერანგი“ სვანური არშტილ „ნიფხავი“ სიტყვის შესატყვისი გვგონია [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 399].

ს.-სინდ. *სუწ- „ღამე“

უბიხ. შუგ-უა „ღამე“

სიტყვა მხოლოდ უბიხურშია პოვნეირი, დამახასიათებელი დუმინიტიური -უა სუფიქსაციით. მისი დაკავშირება ადილ. -სჰ, ყაბ. -სჰა ალომორფებთან, რომელიც ადილურ *ფცჰჰ-სჰა „საღამო“ კომპოზიტი ფიქსირდება, უსაფუძვლოდ გვეჩვენება [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 977]. მართებული ჩანს სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული ვარაუდი -სჰ/-სჰა სეგმენტთა ეტიმოლოგიურ კავშირზე ადილურ შჰა „თავი“ სიტყვასთან [შაგიროვი 1977, II : 27].

ს.-ქართვ. *სერ- : ს.-სინდ. *სუწ- შეპირისპირება კიდევ ერთხელ ამტკიცებს რ → უ ლაზიალიზაციის რეალურობას საერთოსინდურში.

აქვე შემოვა: ნახური ფსარ- „საღამო“, ხურიტ.-ურარტ. შერგ „საღამო“, ხუნძ. სორ-დო „ღამე“.

ს.-ქართვ. *სერ- „ჭრა“

ქართ. სერ-ავ-ს „ჭრის ზოლ-ზოლად“, და-სერ-ილ-ი, სერ-ი „ნაჭერი, ნაჭდევი შინაური პირუტყვის ყურზე“

სვან. შწრ, შარ (ბქ.) „ფართო ზოლი“

აქვე შემოვა ქსნ. სრ-ე „გრძელი ზოლი“, ფშ. სრ-ელ-ა „გარდი-გარდმო ზოლი“. სვანურში და-კარგული ჩანს ქართული -ე/-ელა სუფიქსების ფუნქციური შესატყვისი ა ან უ, რომელმაც გამოიწვია ე → წ//ა უკუუმლაუტის პროცესი საძიებელ ძირში (მ. ქალდანის წესი).

ს.-სინდ. *შუ- „ცელვა“

უბიხ. შ- „ცელვა“

ფუძეენური შუ- ლაბიალიზებული კომპლექსის დელაბიალიზაციის შედეგი იკითხება უბიხური ცალმორფემიანი ძირის პალატალიზებულ სახეობაში – შუ → შ. ცხადია, საერთოსინდური უ ამ შემთხვევაში საერთოქართველური რ სონორის შესატყვისია.

ქართველური რ-ს (სერ-) ბადალი ჩნდება დადესტნურშიც, შდრ. დარგ. ირშ-ეს „ცელვა“; ამასთან, ჭრა ~ ცელვა ნორმალური სემანტიკური კორელაცია გვგონია.

ს.-ქართვ. *სეს- „მსუყედ ყოფნა; გაძლომა“

ქართ. (აჭარ.) სეს-, გა-სეს-ვ-ა „ძალიან გაძლომა“

ზან. (მეგრ.) შაშ-, გინო-შაშ-უ-ა „მსუყედ ყოფნა; ზომაზე მეტად გაძლომა“

სვანური შესატყვისი აქაც არ ჩანს. ამავედროულად ზანური შაშ- კანონზომიერად შეესატყვისება ქართ. სეს- ზმნას.

ს.-სინდ. *შაშ-ე „ცხიმი, ქონი“

აბაზ. (აშხარ.) შეშა, ტაპანთ. შაა „ცხიმი, ქონი“, აფხაზ. ა-შაშ // ა-შეშე „ცხიმი, ქონი“

სათანადო ჩერქეზულ მონაცემებს ვერ მივაკვლიეთ; სამაგიეროდ, ადვილი დასანახია ქართველურ-აფხაზურ-აბაზურ იზოგლოსთა გენეტიკური კავშირი დადესტნურ მასალასთან, შდრ. ანდ. სოსი „ცხიმი; ქონი“, რომელიც ს.-დად. *სას-ი არქექტიპს ასახავს.

შესაბამისი მასალა ნახურ ენებში არ იძებნება.

ს.-ქართვ. *სეხუ- „აშავერი“

ზან. (მეგრ.) შახვ-არ-ი „ფეხის მუხლს ზედა ნაწილი“

-არ სუფიქსი საკუთრივ მეგრული ინოვაცია ჩანს, რაც იშვიათად სხვაგანაც არის თავჩენილი, შდრ. ქართ. ბოტ-ი : მეგრ. ბეტ-არ-ი „id“. უფრო მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ს.-ქართვ. *სეხუ-ძირის რეფლექსაცია მხოლოდ მეგრულიდან არის ცნობილი, აქ შემოგვრჩა.

ს.-სინდ. *შახ- „საზარდული“, пax

ადილ. შახ, ყაბ. სახ „საზარდული; მუცლის ქვედა ნაწილის მიდამო თემოებს შიგნით და ბოქვის მარჯვნივ და მარცხნივ“

სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია ამ ძირის *შახ- სახეობის რეკონსტრუქცია [კვახაძე 2014 : 134]. ვფიქრობთ, ფუძე-ენაში აღსადგენია მოკლე წ, რომელმაც გამოიწვია წინამავალი შიშინა ყრუ სპირანტ-სიბილანტის პალატალიზაცია. სხვა შემთხვევაში (ანუ სადა ა-ს რეკონსტრუქციისას) აღსადგენი იქნებოდა ყაბარდოული ტიპის ფუძე.

არქექტიპების დონეზე პოვნური სემანტიკური კორელაცია საზარდული ~ აშავერი კანონზომიერი ჩანს.

ს.-ქართვ. *სტ- „სული; სვენება; სუნთქვა“

ქართ. სულ-ი, სუნ-ი, სვენ-ებ-ა

ზან. შურ-ი „სული“, შურ-ა „სუნი“, სვ-ანჯ-ი / მო-შვ-ან-დ-ა // მო-სვ-ან-ჯ-ა-ა „მოსვენება“, ლაზ. დო-ბ-ი-შვ-ან-ა-შა „ამოსუნთქვამდე“, მო-ბ-ი-შვ-აჯ-ი „მოვისვენე“

სვან. შტ-ემ-, ლი-შტ-ემ „დასვენება“

ქართველურ ფუძეთა ანალიზით ირკვევა, რომ საერთოქართველურ ძირად *სტ- არქეტიპის აღდგენა რეალურია.

ს.-სინდ. *ფს-ა „სული“

ადიდ. ფსა, ყაბ. ფსა „სული“

აბაზ. ფსგ, აფხაზ. ა-ფსგ „სული“

მართალია, თანამედროვე სინდური მონაცემები ფსა-ს რეკონსტრუქციას უჭერს მხარს, მაგრამ სიღრმისეული ანალიზით ირკვევა, რომ წინარესინდური მდგომარეობისათვის *სტა უნდა ყოფილიყო პოვნირი. საერთოდ, ფონეტიკური შესაძლებლობა სტ → ფს ცნობილია ნახური და დალესტნური (ხინალულური) ენებიდან.

სინდურ-ქართველურ ფუძეთა ერთიანობისათვის იხ. ჭარაია 1912 : 34; კლიმოვი 1964 : 178.

ს.-ქართვ. *სტ- „სმა, ჯდომა“

ქართ. სვ-ამ-ს, და-სვ-ა, გადა-სვ-ა

ზან. (მეგრ.) რშვ-, გეგენ-მ-ა-რშვ-უ „გადამესვა“, ქათვ-მ-ა-რშვ-უ „ამომესვა“

მეგრულში რ ფონეტიკური დანართი ჩანს. ამოსავალი მნიშვნელობა დასმისა მოკლებულია სტატისტიკურობის შინაარსს.

ს.-სინდ. *ს(ტ)გ- „ჯდომა, წოლა“

ადიდ. -სგ-ნ, ყაბ. -სგ-ნ „ჯდომა“

უბიხ. -ს- „ჯდომა, წოლა“

იმის გამო, რომ აფხაზურ-აბაზური მონაცემები ჯერ არ გამოვლენილა, გვიჭირს ძირის ლაბიალიზაციაზე დაბეჯითებით რამის თქმა, თუმცა დალესტნურ ენებში ქართველურივით თავჩენილია ლაბიალიზაციის კვალი, შდრ. თაბას. დ-უს-უზ „დაჯდომა“.

ს.-ქართვ. *სტ- „წასმა, ცხება“

ქართ. სტ-, უ-სტ-ამ-ს, წა-ვ-უ-სვ-ი

ზან. (ლაზ.) ნ-უ-სვ-ი „წაუსვი“, ვ-ი-სვ-ავ „წავისვამ“, მეგრ. ქო-მ-ი-სვ-ი „წამისვი“, უ-სვ-ან-ს „უსვამს“

სპეციალისტები სვანურ შესატყვისს ხედავენ ლი-ცტ-მ-ი/ლი-ცტ-ემ-ი (ლნტ.) „წასმა“ ზმნაში სტ → ცტ აფრიკატიზაციის ენისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესის გათვალისწინებით [კელაურაძე 2016 : 34].

საერთოქართველურ მასალად სტ- ძირი იმთავითვე გამოიყო [ჩიქობავა 1938 : 311]. ყველა ქართველურ ქვესისტემაში სვ- ძირი -ამ/-ავ/-ემ თემის ნიშნებს დაირთავს, მაგრამ მისი ცალკე არქეტიპად გამოყოფა არ არის მიზანშეწონილი [შდრ. კლიმოვი 1964 : 163].

ს.-სინდ. *სტ- „ღებვა, შეღებვა“

აბაზ. შტ-რა „შეღებვა“, შტა-რა „საღებავი“, აფხაზ. ა-შტ-რა „ღებვა, ა-შტ-გვა „საღებავი“

გვაკლია ჩერქეზული მონაცემები, რაც აძნელებს ძირეული თანხმობის რეკონსტრუქციას; ვინაიდან არ გვაქვს საკონტროლო მესამე ერთეული, ამით რთულდება არჩევანი ს და შ სიბილანტებს შორის.

სემანტიკურად წასმა / ცხება ~ ღებვა კანონზომიერი კორელაცია ჩანს.

ს.-ქართვ. *სტ- „სმა, დალევა“

ქართ. სტ-, სტ-ამ-ს, შე-სვ-ი

ზან. შვ-, ფ-შვ-ი „დავლიე“, ო-შვ-აფ-უ „დაალევინა“, შვ-ერ-ი „ნასვამი, დალევლი“

სვან. შტ-, მ-ი-შტ-ა „დამილევია“, ნა-შტ „ნასვამი“

არწერილ ძირ-ფუძეთა ერთიანი წარმომავლობა იმთავითვე იქნა შენიშნული [ბროსე 1849 : 78; თოფურია 1926 : 202]. საკითხის ისტორია ვრცლად იხ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 417].

ს.-სინდ. *სტ- „სმა, დალევა“

ადილ. მა-სვ-ან, ყაბ. მა-ჭ-ან „სმა“

სხვა აფხაზურ-ადილურ ენებში სათანადო ნიმუშები არ იძებნება; ფუძეთა ამ რიგში უბიხ. ძტა- „სმა, დალევა“, აბაზ. ჟტ-რა, აფხაზ. ა-ჟუ-რა, ბზიფ. ა-ზტ-რა „დალევა“ ზმნათა შემოტანა იმთავითვე გამოსარიცხია [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 262-263].

ს.-ქართვ. *სტარ- „ჭრა/კვეთა“

ქართ. სვრ-ე // სვრ-ელ-ი „კვალი... მკის თუ თიბვის დროს“

სვან. შტარ „ჭრილობა, იარა“

თუ სვანური სახელის ჩვენებას გავითვალისწინებთ, ქართულში ძირეული ა ხმოვანი ჩანს ჩავარდნილი, რაც მომდევნო -ე/-ელ სადერივაციო აფიქსების ზემოქმედებას მიეწერება, შდრ. ასევე ქართ. სვრ-ეტ-ა „ხვრეტა“.

ამოსავალი სახეობაც სტარ- ზმნური ფუძე უნდა ყოფილიყო, რაზედაც ქართული -ე/-ელ გაფორმება მიუთითებს. ისტორიულად მსგავსი გაფორმებისა უნდა ყოფილიყო სვან. შტარ სახელიც, აქ აფიქსური ა დაკარგულია, შდრ. ნათ. ბრ. შტარ-ა-შ ← *შტარ-ა-იმ.

ს.-სინდ. *სტა- „ჭრა; პარსვა“

უბიხ. სტა- „ჭრა; პარსვა“, ა-ს-სტა-ნ „id“

აბაზ. სა-რა, აფხაზ. ა-სა-რა „პარსვა“

ამ შემთხვევაში ადილური მონაცემები გვაკლია, რა თქმა უნდა, აფხაზურ-აბაზურში სავარაუდოა სტ → ს დელაბიალიზაციის პროცესი, რაზეც უბიხური ფორმა აშკარად მიუთითებს.

ს.-ქართვ. *სტარ- : ს.-სინდ. *სტა- ნორმალურ მიმართებას გვიჩვენებს; ქართველურში რ ზედმეტია, რაც სვამს საკითხს მისი სინდურ ენებში გაუჩინარების შესახებ.

ს.-ქართ. *სტე „ადგილი; ველი“

ქართ. სვე „ველი, რაც მომკელებს მიაქვთ“

ზან. (ლაზ.) სვა „ადგილი“

ქართველური სვე/სვა კანონზომიერი მიმართება ჩანს. ლაზურში ასევე შეიქმნა ახალი ტერმინი საერთაშორისო ტოპონიმის შესატყვისად – სვა-ჯოხო = ადგილის სახელი.

ს.-სინდ. *სტჷ „ადგილი“

ადილ. სჷ „ადგილი“, ყაბ. -სჷ „ადგილის სუფიქსი“, ნასა-სჷ „თვალსქვემოთა ადგილი“

უბიხ. -შტა „ადგილი; ადგილის სუფიქსი“, ჭალტა-შტა „გასასვლელი ადგილი“

ერთ-ერთი იმ შემთხვევათაგანია, როდესაც ძირის ლაბიალიზაცია უბიხურსა აქვს შენარჩუნებული. უბიხური მონაცემის არქაულობას ქართველური მასალა მხარს უჭერს. ადილური ენებ-ვით ჩანს ლაბიალიზაცია დაკარგული ლაკურშიც, შდრ. ლაკ. შა- „სახლი“, შა-ტა „შინ“.

სპეციალურ ლიტერატურაში არის მცდელობა, ჩერქეზული ძირები დაუახლოვონ ხუნდ. ბუ-სენ- „ბუდე/საწოლი“ ფუძის შესატყვის დადესტნურ ფორმებს, რაც ძნელად გასაზიარებელია [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 1052-1053].

ს.-ქართვ. *სტ-ელ- „სველი“

ქართ. სვ-ელ-ი, სოვ-ელ-ი „სველი“, და-სოვ-ლ-ებ-ა „დასველება“

ზან. (ლაზ.) ო-შუტ-უ „დასველება, ვ-ო-შუვ-უმ „ვასველებ“, მეგრ. შვ „სველი“

სვანური ძირი ჯერაც არ ჩანს [კლიმოვი 1998 : 182; ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 422].

ს.-სინდ. *სტ- „სველი“

ადიდ. სტ- „სველი“

სხვა სინდურ ენებში შესაბამისი ფუძე არ არის გამოვლენილი.

ქართველურ-ჩერქეზულ პარალელთა გენეტიკურ კავშირზე პირველად კ. ბოუდამ მიუთითა [ბოუდა 1950 : 295; კლიმოვი 1964 : 174].

ს.-ქართვ. *სტელ- „შრატი, სველი“

ძვ. ქართ. სტელ-ი, ახ. ქართ. სველ-ი „შრატი“

სვან. შტელ „შრატი, სველი“

სათანადო მეგრულ-ლაზური ალომორფები ჯერაც არ არის გამოვლენილი. სველ-ი დასტურდება როგორც ძველ ქართულში, ისე დასავლურ დიალექტებში – იმერული, გურული, ლეჩხუმური [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 418-419].

ს.-სინდ. *სტარ-ნ „დო, შრატი“

ადიდ. შა, ყაბ. შა „რძე“

არქაული შედგენილობის სინდური შესატყვისი სუბსტრატის სახით შემონახული უნდა იყოს ოსურ ენაში, სადაც სორ // სერნ „დოთი და პიპკით შეზავებული საჭმელი“ ვარიანტები დასტურდება.

ამავე რიგისა ჩანს ნახური შარ „დო“, დაღესტნური: ხუნძ. შარ, ტინდ. შარი „შრატი“, ჭამალ. სარა „აჭრილი რძე“...

სპეციალურ ლიტერატურაში საკითხი ისმის ლათინურ ser-um „დო, შრატი“ ფორმასთან კავკასიური მონაცემების ურთიერთობის თაობაზე [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 981].

ს.-ქართვ. *სტელ- „სვია“

ქართ. (თიან., მთიულ., ფშ., ქიზიყ., თუშ., ხევს.) სვე „სვია“, სვია (ბალ.) „ფშალა“ (საბა)

ზან. (ლაზ.) ფშალ-, მა-ფშალ-ე „იადონი“ (← ეტ. მე-სვი-ე), მეგრ. ფშალ-ი „სვია“, მა-ფშალ-ია „ბულბული“ (← ეტ. მე-სვი-ე).

ამ ძირის სვანური შესატყვისი ვერ გამოვავლინეთ. სვე / სვი-ა ალომორფები ქართულში საერთო სვე- ძირის პირველადობას უჭერს მხარს – *სვე+ა → სვი-ა. უნდა ვივარაუდოთ სველ- ფორმის არსებობაც უძველეს ქართულში, რომელსაც კანონზომიერად შეესატყვისება ზანური ფშალ- (← *შტალ-); ხოლო ქართული ფშალ-ა ზანიზმად უნდა დავსახოთ.

ს.-სინდ. *შტალ- „ფეტვი“

ადიდ. ჭვ (← *ხტვ), სიტყვაში ჭვ-ლუა „ფეტვი“, ყაბ. ხტვ „ფეტვი“, ხტვ-გუ „id“

უბიხ. ხტა- „ფეტვი“

აბაზ. შვრ-მა, აფხაზ. ა-შვ „ფეტვი“

ამოსავალი თანხმონის ლაბიალიზაცია (მისი კვალი) ნათლად ჩანს ჩერქეზულ ენებში. სამაგიეროდ ფუძის აუსლაუტი აბაზურს უკეთ დაუცავს; სინდურ ენებში წარმოჩენილი შ ~ ხ/ხ სუბსტიტუცია შ-ს სასარგებლოდ მეტყველებს.

ს.-ქართვ. *სტელ-ა „ხვლიკი; გველხოკერა“

ქართ. მ-სვლ-იკ-ი „ხვლიკი“

ზან. (მეგრ.) შველა „გველხოკერა“

სვან. შტალ (ნათ. ბრ. შტალ-შ) „ხვლიკი“

ფუძემდებური არქექტივის სტრუქტურას სვანურ-ზანური მონაცემები არკვევენ, ვინაიდან ქართულში მხოლოდ რედუცირებული მ-სვლ-იკ-ი სახეობის ალომორფი დასტურდება [ჩუხუა 2000-2003 : 313-314].

ს.-სინდ. *სტჷ „გველხოკერა“

აბაზ. -შტ-, სიტყვაში ძგ-რ-ლა-შტ-, აფხაზ. -შტ-, სიტყვაში ა-ძგ-რ-ლა-შტ, ბზიფ. -სტ-, ა-ძგ-რ-ლა-სტ „გველხოკერა“

როგორც ეტყობა, ძგ „წყალი“ სიტყვის გამონაწევრება [ჩირიქვა 1996 : 65], ამ კომპოზიტში რე-ალურია. აფხაზურ-აბაზურში ძირად სტუშტ გამოიყოფა, რომელიც კანონზომიერად შეესატყვისება საერთოქართველურ *სტელ-ა არქექტიპს.

სხვა იბ.-კავკ. იზოგლოსებიდან საინტერესო ჩანს ჩეჩნ. შარ-ოლგ „ყურბელა, მრავალფეხიანი ჭია“ ფორმა, შდრ. ინგუშ. შარ-იფ „თევზის სახეობა; კალმახი“.

ს.-ქართვ. *სტენ- „ქონი“

ზან. (ლაზ.) შვენ-ი „ქონი საქონლის სხეულზე“, მეგრ. შვენ-ი „მუცლის ქონი, ბადე-ქონი“

სიტყვა იზოლირებულად დგას მეგრულ-ლაზურში, მაგრამ მას გააჩნია სარწმუნო შესატყვისებები სინდურ (და არამხოლოდ) ენებში.

ს.-სინდ. *ლან-ა „ჩიტის ქონი“

ადიდ. ლანა, ყაბ. ლანა „ფრინველის (ჩიტის) ქონი“

მეტად საყურადღებოდ გვეჩვენება შესატყვისობა ფონეტიკურ დონეზე ს.-ქართვ. სტ : ს.-სინდ. ლ, რასაც ეხმიანება დალესტნური ინფორმაცია. დალესტნურ ენებში სინდურივით პოვნირია ლ ყრუ სპირანტი ლატერალი, შდრ.: ჭამალ. ლან, ტინდ. ლანა „ქონი“.

ს.-ქართვ. *სტენ- „დრო, დროება, ხანი“

ზან. (მეგრ.) შვან-ი „დროება, ხანი; დროის მონაკვეთი, პერიოდი“

სვან. შტემ- / შომ-, შომ-რი-ას „ოდესღაც, რაღაც დროს“, შომ-ა „რა დროს, როდის“, შომ-ა-დ „რა დრომდის“

ფუძის აუსლაუტში ფიქსირებული ზან. ნ : სვან. მ გულისხმობს ნ → მ პროცესს სვანურში, რასაც ესადაგება ქართ. სტენ- : ზან. შტან-(დ-) : სვან. შტემ- „დასვენება“.

ს.-სინდ. *ლან- „დღე, წელი“

ადიდ. -ლან-, სიტყვაში ძგ-ლან-ს „წელი“, ყაბ. ძგ-ლან-ს „წელი“

აბაზ. შგ- „დღე“, შა-ჟგ „დილით ადრე“, აფხაზ. შგ- „დღე“, ა-შგ-მე „დილით ადრე“, შდრ. აბაზ. შგ-ბჟან, აფხაზ. ა-შგ-ბჟ „შუადღე“

ს.-სინდ. *ლან- : ს.-ქართვ. *სტენ- შეფარდება წინარესინდური ფუძემდებური მდგომარეობისათვის *შტა- ტიპის არქექტიპს ვარაუდობს, სწორედ შტა → ლან → შგ აფხაზურ-აბაზურში, ანუ აფხაზურ-აბაზური მესამე საფეხურია, მიუხედავად იმისა, რომ უფრო მეტად ჩამოჰგავს ამოსავალ წინარეენოვან პროტოტიპს.

სვანურისებური ძირი მეორდება დალესტნურშიც, შდრ. დიდ. შომორალ „როდის“.

ს.-ქართვ. *სტიჷ- „არჯაკელი“ (მცენ.)

ქართ. სვიგ-ა [Lathurus roseus]

ძირად სვიგ- გამოიყოფა, რომელიც განმარტოებით დგას ქართულში; ამავდროულად, მის

ფუძეენურ წარმომავლობას მხარს უჭერს სინდურ ენათა მონაცემები.

ს.-სინდ. *სუტ- „წიფელი“ (მცენ.)

აბაზ. შუტ- // შუ-ჭუტ, აფხაზ. ა-შუ, ბზიფ. ა-სუ „წიფელი“ [Fagus]

არსებობს წარუმატებელი ცდა აფხაზურ-აბაზური ძირების ჩერქეზულ თხუპ-დ „წიფელი“ სიტყვასთან შეკავშირებისა [აბდოკოვი 1983 : 112], რასაც გადაულახავი ფონეტიკური წინააღმდეგობები თან ახლავს – შ : თხ. გარდა ამისა, ქართველურ-აფხაზურ-აბაზურ ალომორფებს კანონზომიერი შესატყვისები ეძებნება დადესტნურ ენებში, შდრ. რუთულ. შუ-დ, დარგ. (იცარ.) ში- „წიფელი“. ასე რომ, ს.-ქართვ. *სუტი- : ს.-სინდ. *სუტ- შესატყვისობა სავსებით კანონზომიერად გამოიყურება. ნახური სათანადო მასალა ამ ეტაპზე ვერ გამოვლინდა.

ს.-ქართვ. *სუტინ- „გასუფთავება“

სვან. შუტინ-, ა-შუტინ-ე „ასუფთავებს“, ი-შუტინ-ე „სუფთავდება“

ძირად გამოწვევებული შუ- სვანურში, სავარაუდოდ, ასახავს საერთოქართველურ *სუ- ზმნას, შდრ. ბგერათშესატყვისობა ქართ. ს : სვან. შ, ს.-ქართვ. *ს.

ს.-სინდ. *შუტ- „რეცხვა“

უბიხ. შუ-ტ, ა-ს-შუტ-ნ „რეცხვა“

აფხაზ. ა-შუტ-რა „რეცხვა“

ადილური ენა-ვილოებისათვის მოსალოდნელია შუტ- ლაბიალიზებული სახეობის ზმნა, რაზეც, აფხაზურის გარდა, უბიხური შიშინა სიბილანტ-სპირანტის პალატალიზაცია მიუთითებს; შდრ. ს.-ჩერქ. შუ → უბიხ. შ. ს.-ქართვ. *სუტინ- „გასუფთავება“ ~ ს.-სინდ. *შუტ- „რეცხვა“ კანონზომიერი სტრუქტურულ-სემანტიკური მიმართება ჩანს, რასაც მხარს უჭერს ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. ს : ს.-სინდ. შ.

ეტიმოლოგიურად ამავე ძირს შეიცავს ლაკური -ისუ-ნ „რეცხვა“ ზმნაც.

ს.-ქართვ. *სუტინ- „სტვენა“

ზან. (მეგრ.) რშვინ-, რშვინ-უ-ა „სტვენა“, მა-რშვინ-ე „მსტვენელი; სტვენია“, ო-რშვინ-ალ-ი „სასტვენი“, ხე-რშვინ-ი „ხელ-სტვენი“, „ყიჟინა“, „დამცინავი ტაში“

მეგრული რშვინ-, გარკვეული ტრანსფორმაციით, ასახავს ფუძეენურ *სუტინ- ზმნას. ივარაუდება, რომ თავკიდური რ ფონეტიკური დანართია, მეგრულისთვის ფრიად დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესი.

ს.-სინდ. *სუტე- „სტვენა“

ადილ. სუტე „სტვენა“

აბაზ. (აშხ.) სუტე-სუტე, სიტყვაში დე-სუტე-სუტე-ტა „უსტვენს“, აფხაზ. (ბზიფ.) ა-სუტე-სუტე „ინდაური (← ეტ. სტვენია)

ცხადია, აფხაზურ-აბაზურში წარმოდგენილი ფუძე ისტორიულად საერთოსინდური სუტე-ძირის გაორკვევით არის მიღებული, შდრ. ადილ. სუტე „სტვენა“.

და, რა თქმა უნდა, ორივე ჯგუფის ენებში ფუძეები ონომატოპოეტურ წარმომავლობას გულისხმობენ, თუმცა იდენტურ ბგერათშესატყვისობათა ჩვენება აქაც დაცული ჩანს – ს.-ქართვ. სუ : ს.-სინდ. სუ.

ს.-ქართვ. *სუტინ-ა „შეძენილი ნათესავი“

ქართ. სვინა „შვილის მომნათლავი“, სვინა-ობ-ა „სვინად ყოფნა“, ქართლ. სვინა „ნეფის მეჯვარე“

თუ ამოვალთ ქართლურის მნიშვნელობიდან სვინა სიძის შეძენილი ძმა (მეჯვარე) გამოდის, რაც მნიშვნელოვანია ამ ძირის თავდაპირველი მნიშვნელობის დასადგენად.

სხვა ქართველურ ენებში სვინა ძირის კანონზომიერი შესატყვისები არ იძებნება. სვან. სტინა / სტინა „სვინა“ ქართულიდან არის შესული.

ს.-სინდ. *შგ- „ძმა“

ადილ. შგ „ძმა“, ჯაჟა-შ „საკუთარი ძმა“, ყაბ. ჯაჟა-შ „ძმა“

შესაბამისი ძირები აფხაზურ-აბაზურსა და უბიხურში დაკარგული ჩანს, აფხაზ.-აბაზ. აშა „ძმა“ უბიხური -ლა-ს შესატყვისია, შდრ. უბიხ. ჯჯ-ლა „ძმა“

ს.-ქართვ. *სტინ-ა : ს.-სინდ. *შგ კანონზომიერი შესატყვისების მონათესავე ძირად უნდა ჩათვალოს ჰურიტ. შენ-ი „ძმა“. ეს უკანასკნელი ქართველურ მონაცემთან ავლენს სტრუქტურულ სიახლოვეს; დადესტნური ენებიდან შდრ. ასევე ბუდუხ., კრიფ. შიდ „ძმა“...

ს.-ქართვ. *სთ- „სროლა“

ზან. (ლაზ.) ო-სთ-ომ-ილ-უ // ო-სთ-ოლ-უ „სროლა, გადაგდება“, ვ-ი-სთ-ოლ-ა-თ „ვისროლოთ“, ო-სთ-ომ-ილ-უ-შ-ი „სასროლი“

ზმნური სთ- ძირი მხოლოდ ლაზურში დასტურდება. ვფიქრობთ, იგი უფრო ძველი შთ- შინა სახეობისაგან არის მიღებული, ვინაიდან ნებისმიერი შთ ამ დიალექტში გასისინების შედეგად სთ კომპლექსს იძლევა; ამოსავალი ძირის ჩვენებას მიჰყვება მორფემათა საზღვარიც, შდრ. თუ-თა-შ-თე → თუთა-ს-თე „მთვარის შუქი“.

ს.-სინდ. *ძა- „სროლა, გდება“

ადილ. ძგ-ნ, ყაბ. ძგ-ნ „სროლა, გადაგდება“

უბიხ. ძა-და- „სროლა“

გამონაწევრებული -და- უბიხურში ცალკე სუფიქსია, რომელიც ზმნებში დაჩნდება ხშირად [კვახაძე 2014 : 276]. უფრო მნიშვნელოვანი ჩანს ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. სთ : ს.-სინდ. ძ, რაც რეგულარულ-კანონზომიერ ხასიათს ატარებს.

ს.-სინდ. *ძა- „სროლა, გდება“ ზმნას სამართლიანად აკავშირებენ დადესტნურ ძირებთან, შდრ. ახვახ. ორწა- // უწა- „სროლა“ [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 418].

ს.-ქართვ. *სთამ- „სმა / თრობა“

ქართ. სთამ- / რთამ

ზან. რთომ-, მეგრ. ო-რთომ-ელ-ი „დამათრობელი“

სვან. შთგმ-, ა-შდმ-ე / ა-შტმ-ე „ათრობს“, ლგ-შდმ-ე / ლგ-შტმ-ე „მთვრალი“

წარმოდგენილი ძირები მეგრულში მხოლოდ მიმდებარე წარმომავლობის ერთ ფორმაში ვლინდება. სვანურში შდგმ- / შტგმ- იშვიათი დისტრიბუციისაა, თუმცა, მიუხედავად ამისა, ფუძე-ენაში *სთამ- არქეტიპის აღდგენას ძირის შეზღუდული დისტრიბუცია, ცხადია, ხელს ვერ შეუშლის. ქართულში არსებული ზანიზმები ო-რთომ-ელ-ი „დიდი სასმისი“ (საბა), აჭარ. ო-რთომ-ელ-ი „ორჯამიანი ხის ჭურჭელი“ კიდევ ერთხელ ამტკიცებს ს.-ქართვ. *სთამ- ძირისთვის სმა სემანტიკის ძირითადობას.

ს.-სინდ. *ძა- „სმა, დალევა“

უბიხ. ძა- „სმა, დალევა“

აბაზ. ჟა-რა, აფხაზ. ა-ჟა-რა, ბზიფ. ა-ზა-რა „დალევა“

ფონეტიკური მიმართება ძ : ჟ/ზ სინდურ ფუძე-ენაში ძს აღდგენის აუცილებლობაზე მიუთითებს. ეს უკანასკნელი ხშირად შეესატყვისება ს.-ქართვ. *სთ კომპლექსს. ორივესთვის ამოსავალი ჩანს *თა (→ სთ / ძ) ინტენსიური არქიფონემა, რომელიც უცვლელად არის შემონახული ს.-ნახ. -ეთა- „წველა“ ზმნაში.

ფუძეთა ამ რიგში ადილ. და-სგ-ან, ყაბ. და-ჟ-ან „სმა“ ზმნის შემოტანა გაუგებრობას ეფუძნება [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 262-263].

ს.-ქართვ. *სთებ- „ხარშვა; აფუება“

ქართ. თბ-, თბ-ე

სვან. შდებ- „ფუება“, ი-შდბ-ი „ფუვდება“, ნა-შდზბ „ხარშვისას მონამატები“

მეგრულ-ლაზური შესატყვისები ჯერაც არ არის გამოვლენილი. თვით ქართულ ეკვივალენტშიც თავკიდურა სთ კომპლექსი გამარტივებული ჩანს, რისი აღდგენის შესაძლებლობას სვანური შდებ- იძლევა მხოლოდ. ქართულშივე დაკარგულა ზმნური ფორმები, მიუხედავად იმისა, რომ ნაზმნარი თბე უძველესი წერილობითი ძეგლებიდან არის ცნობილი [სუხიშვილი 1987 : 76-80; ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 231].

ს.-სინდ. *ძუჭ- „ცხოზა, შეწვა“

ადილ. ზა-ნ, ყაბ. ზა-ნ „ცხოზა, შეწვა“

უბიხ. ჟუა-, ა-ჟ-ჟუა-ნ „ცხოზა, შეწვა“

აზაზ. ძ-რა, აფხაზ. ა-ძ-რა, ბზიფ. ა-ძ-რა „ცხოზა, შეწვა“

მეტად ღირებული ჩანს ამ ძირებში თავჩენილი ს.-ქართვ. სთ : ს.-სინდ. ძ ბგერათშესატყვისობა, რისთვისაც ამოსავალი პალეოკავკასიური თა დენტალი ჩანს, რომელიც უცვლელად ნახურ ენებში არის მხოლოდ შემონახული, შდრ. ნახ. *-ათა- „ცხოზა, წვა“.

გენეტიკური თვალსაზრისით, საყურადღებო ჩანს კრიწული ჯირ- ზმნა, რომელსაც ქართველურივით ხარშვის მნიშვნელობა ახასიათებს.

ს.-ქართვ. *სთუ-ელ- „შემოდგომა“

ძვ. ქართ. სთუელ-ი „ოქტომბერი“, სთუელ-ი „შემოდგომა“ (საბა), ახ. ქართ. რთველ-ი, ფშ.

სთველ-ი „შემოდგომა“, მოხ. სთველ-ობ-ა „შემოდგომა, რთველობა“

ლაზურში ძვ. ქართულ სთუელ- // სთველ- სახელს უფარდებენ სთვ- „წყდომა“, მ-ა-სთვა-ს „მოსწყდება“ ზმნურ ძირებს [ჩიქობავა 1938 : 312-313]. ეს უკანასკნელი, ჩვენი აზრით, უფრო მო-სთულ-ებ-ად „მოკრეფა“ ზმნას უკავშირდება, ხოლო სთველ-ი ცალკე სახელი ჩანს და მისი ძირითადი მნიშვნელობა შემოდგომა უნდა ყოფილიყო.

ს.-სინდ. **შუ „სთველი“

აფხაზ. ა-შუ-რა „სთველი“

სათანადო ძირი, ძვ. ქართული სთუელ-ის შესატყვისი, მხოლოდ აფხაზურმა შემოგვინახა. შეპირისპირება [ლომთათიძე 2000ა : 127] ეფუძნება ავტორის მიერ გამოვლენილ რეგულარულ კანონზომიერებას ს.-ქართვ. სთ : ს.-სინდ. შ (იხ. ქვემოთ, მომდევნო სტატია).

ქართულ-აფხაზური იზოგლოსები გავგახსენებს ნახურ მასალასაც, შდრ. წ.-თუშ. სტაბ-ო „შემოდგომა“ [ჩუხუა 2008 : 478].

ს.-ქართვ. *სთუენ- „თქვენ“

ქართ. თქვენ-, თქვენ-ი

ზან. თქვა/თქვან „თქვენ“, თქვენ-ი „თქვენი“

სვან. სგაძ- „თქვენ“

როგორც გ. კლიმოვი მიუთითებდა სვანური ფორმა მიღებულია *შთქუენ არქეფორმისაგან [კლიმოვი 1964 : 176]. ცხადია, ყველა შემთხვევაში იგულისხმება უს არსებობა სვანურშიც, ვინაიდან სქუ- მხოლოდ შქუ საფეხურის გავლით განხორციელდებოდა (თ. გამყრელიძის კანონი), ხოლო ქ გუტურალი უს წინ ფონეტიკურად განვითარდა ისევე, როგორც ექუს- ← *ექუს- რიცხვით სახელში. არ გამოვრიცხავთ იმასაც, რომ სვანური სგაძ- „თქვენ“ ქართულ-ზანურში დაკარგულ რომელიმე სხვა ს.-ქართვ. წარმომავლობის ნაცვალსახელური ძირის შესატყვისი იყოს.

ს.-სინდ. *შუ- „თქვენ“

ადილ. სტა, ყაბ. ფა ← *სტა „თქვენ“

უბიხ. შტგ-ღტა „თქვენ“

აბაზ. შტა-რა, აფხაზ. შტა-რა „თქვენ“

სპეციალურ ლიტერატურაში როგორც (ვ. შენგელია) მიუთითებენ, უბიხური -ღტა შესატყვის-სია აფხაზურ-აბაზური -რა სუფიქსის, შდრ. რ → ღ უბიხურში.

ს.-ქართვ. *სთუნ : ს.-სინდ. *შტა ნორმალური შესატყვისობა ჩანს [ლომთათიძე 1955 : 79].

საკმაოდ მყარი და სტაბილური შესატყვისები იძებნება ნახურ (ჩეჩნ., წ.-თუმ. შუ, ინგუმ. შო „თქვენ“) და ზოგ დადესტნურ ენაშიც, შდრ. წახ. შუ „თქვენ“.

ს.-ქართვ. *სთიხა „ჭიპი“

სვან. შდიხტ (ბზ.), შდტხტ (ბქ.) „ჭიპი“

სიტყვა განმარტოებით დგას სვანურში [შდრ. ჩუხუა 2000-2003 : 299]. ამ მაგალითში კიდევ ერთხელ ნათლად ცხადდება ა → ტ რედუქციის რეალურობა სვანურში, რასაც სინდურ ენათა ჩვენებაც უჭერს მხარს.

ს.-სინდ. *საზხ „ბოქვენი“

ადილ. შახ, ყაბ. სახხ „ბოქვენი“

მნიშვნელოვანი ჩანს ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. სთ : ს.-სინდ. ს, რაც სხვა მასალაშიც მეორდება. როგორც სინდური მასალა აჩვენებს, სვანური ტ სიტყვის ბოლოში მეორეული ფორმაციისაა – ა → ტ, შდრ. ყაბ. სახხ.

სვანურ-ადილურ შესატყვისებზე პირველად მ. ქურდიანმა მიუთითა [ქურდიანი 2007 : 633].

ს.-ქართვ. *სთო- „რტო“

ბვ. ქართ. სტო // შტო, ახ. ქართ. რტო

სიტყვა დასტურდება მხოლოდ ქართულში. გამომდინარე გარეენობრივი სარწმუნო იზოგლოსებიდან, მიიჩნევა, რომ იგი საერთოქართველური წარმომავლობისაა. მსგავს პოზიციებში ს → რ გარდაქმნა ახალქართულ ინოვაციას წარმოადგენს.

ს.-სინდ. *სტთ „ყვავილი; ყვავილობა“

აბაზ. (აშხარ.) სტთ-რა „ყვავილობა“, აფხაზ. ა-შტთ, ბზიფ. ა-სტთ „ყვავილი“, შტთგ-კ // სტთგ-კ „განუსაზღვრ. „id“, ა-შტთ-რა / ა-სტთ-რა „ყვავილობა“

როგორც მიუთითებენ, ტაპანტურში მხოლოდ თხზული ფორმების შემადგენლობაში ჩნდება შტთ- ზმნა [ჩირიქბა 1996 : 91].

ს.-ქართვ. *სთო- : ს.-სინდ. *სტთა არქექტიპთა შეპირისპირებითი ანალიზი ნათლად წარმოაჩენს ო → ტა → ტაა გარდაქმნის რეალურობას საერთოსინდურ ფუძე-ენაში.

ს.-ქართვ. *სთოტ- „თოვა“

ქართ. თოვ-ს, თოვ-ა

ზან. (ლაზ.) მთვ-ას, მეგრ. თუ-ას „მოთოვოს“

სვან. შდლუტ- / შტლუტ- „თოვა“, შდლუტ-ე „თოვს“

ამოსავალ *სთოტ- ზმნურ არქექტიპს სვანურში *შთოტ- უნდა მოეცა, საიდანაც განვითარდა დისიმილირებული შდლუტ // შტლუტ- ალომორფები [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 238].

ს.-სინდ. *შტგ- „თოვლი, ყინვა“

უბიხ. შტგ-, სიტყვაში „თოვლის გროვა“

აბაზ. შუ-რა, აფხაზ. ა-შტ-რს „აცივება / გაყინვა“

საძიებელი სიტყვა ადიღურ ენებში არ ჩანს. თუმცა უამისოდ რეკონსტრუირებული *შუგ- არქეტიპი საკმაოდ ზუსტად ასახავს რეალურ ვითარებას. ფონეტიკური შესატყვისობა ს.-ქართვ. სთ : ს.-სინდ. *შუ- მეორდება II პ. ნაცვალ. მრავლ. რ-ში [იხ. აქვე].

ს.-ქართვ. *სთოტლ- „თოვლი“

ქართ. თოვლ-ი, თოვ-ს ო-მითუ „თოვა“

ზან. (ლაზ.) მთურ-ი / მთვირ-ი, ო-მითუ „თოვა“, მეგრ. თგრ-ი / თირ-ი „თოვლი“, თუ-ალ-ა „თოვა“

სვან. შდუტ- / შტუტ- „თოვა“, შდუტ-ე / შტუ-ე „თოვა“

სახელური ალომორფები სვანურში გვაკლია, მაგრამ სწორედ ზმნური შდ/შტ-კომპლექსიანი ფუძეების საფუძველზე ჩანს შესაძლებელი ს.-ქართვ. *სთოტლ- „თოვლი“ არქეტიპის რეკონსტრუქცია [შდრ. კლიმოვი 1964 : 175-176].

წ.-სინდ. *სთუმ-ილ „წვიმა“

ხათ. šumil / tumil „წვიმა“

ამ მაგალითში შ/თ მონაცვლეობა, ჩვენი აზრით, არ ასახავს მესამე, რომელიმე შიშინა აფრიკატ-სიბილანტის რეფლექსაციას. პირიქით, გვგონია, რომ იგი ამოსავალი ხათური შთ კომპლექსის ცალფონემიანი (თ ან შ) რეალიზაციას წარმოადგენს.

ს.-ქართვ. *სთოტლ- „თოვლი“ ~ წ-სინდ. *სთუმ-ილ „წვიმა“ არქეტიპების შესატყვისი ჩანს ნახური *თოტ- „ბურუსი“ ფორმაც, რომლის თავკიდურა შთ კომპლექსი ისტორიულად გამარტივებული ჩანს.

ს.-ქართვ. *სიბ- „წვანა; ღობე; სარტყელი“

ქართ. სიბ-ა „სასარტყე“ (საბა)

ზან. (ლაზ.) შიბ-ი „ზონარი“, მეგრ. შიბ-უ-ა „წვანა“

სვან. შიბ „ხვანჯარი“

ფუძე-ენისთვის ამოსავალი ზმნური ძირი გვგონია, საიდანაც განვითარდა სახელური ფორმები [შდრ. ჩუხუა 2000-2003 : 304].

ს.-სინდ. *სუტ- „წვანა, ღობვა“

უბიხ. შუპ- „წვანა, ღობვა“

როგორც სხვა არაერთ შემთხვევაში, უბიხური აქაც აჩვენებს გ → ჰ აბლაუტს, რასაც თან სდევს ს → შ გაშიშინების ბუნებრივი პროცესი. საერთოსინდური გ ასახავს საერთოქართველური ი ხმოვნის შესატყვისს, მაშინ როდესაც ტ (*სუტ-) ქართველური ბ-ს შესატყვისია, ანუ *სბგ- → *სუტ- საერთოსინდურ ფუძე-ენაში.

გასარკვევია აბაზ. შუტ, აფხაზ. ა-შუტ „კარი“ სახელთან მიმართების საკითხი.

სინდურ-ქართველურ არქეტიპთა კანონზომიერი დადესტნური შესატყვისი იკითხება ხინა-ღულურ ჰშფ-ი (← *ჰშბ-ი) „კერვა“ ზმნაში.

ს.-ქართვ. *სიტ- „ჩხუბი“

ქართ. სივ-, თუშ. გა-სივ-ებ-ა „ჩხუბი, გაბუტვა“, მ-სივ-ან-აყ-ი „ბუტია, მოჩხუბარი“

სვან. შიტ- → ში-, ი-ში-წლ (ბზ.), ი-ში-წლ (ლშზ.) „ჩხუბობს“, ლი-ში-წლ / ლი-ში-წლ „ჩხუბი“

ზანურ დიალექტებში ეს ძირი არ ჩანს, ლაზური ო-შივრ-უ „დასევა“ ქართული ე-სევ-ა / შე-ე-სი-ა ზმნის შესატყვისად გვესახება.

სვანურში ძირეული უ-ს დაკარგვით მომდევნო სუფიქსისეული ხმოვნები დაგრძელდა.

ს.-სინდ. *სუტ- „წყევლა/კრულვა, გინება“

აბაზ. შუტ-დ-რა, აფხაზ. ა-შუტი-დ-რა, ბზიფ. ა-სუტი-დ-რა „წყევლა/კრულვა, გინება“

ჩერქეზულ ენებში სათანადო ზმნური ძირები ჯერაც არ არის გამოვლენილი, თუმცა *სუგ-ზმნის ფუძეენურობა ეჭვს არ იწვევს, ვინაიდან, გარდა ქართველურისა და დესტურ ენებშიც აფიქსირებენ აფხაზურ-აბაზური ზმნის შესატყვისებს, შდრ. კარატ. შამ- // ხამ- „წყევლა, გინება“ [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 1038].

ს.-ქართვ. *სიჟ- „გასივება/გასიება“

ბართ. სიგ-, ძვ. ქართ. გან-სიგ-ებ-ა-ე, ახ. ქართ. გა-სიგ-დ-ა, მ-სიგ-ან-ი

ზან. (მეგრ.) ში-ნ-აფ-ა „სივება“, ში-ნ-აფ-ილ-ი „გასიებული“

სვან. შიჟ- / ში-, მგ-შიჟ // მგ-ში „გასივებული“, ი-ში „სივდება“

ამ ძირის მეგრულ ალომორფში ნ-ს გამოჩენა არ უნდა გახდეს დამაბრკოლებელი წინააღმდეგობა, ვინაიდან იგი ან ს.-ქართვ. ჟ-ს შესატყვისი (გაკვ : ნაკა) ან სულაც ისტორიული ფნ (სიგ-ნ-) კომპლექსის გამარტივებულის სახეობაა [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 419-420; 420-421].

ს.-სინდ. *სგ- „დამწიფება, გაღვივება“

ადილ. შა-ნ „დამწიფება“, ყაბ. სა-ნ „დარბილება“

აბაზ. შა-შ-რა, აფხაზ. ა-შ-რა „ღვივილი, ფუვილი“

უბიხური შესატყვისი აქაც გვაკლია. ძირ-ფუძეთა ამ რიგში უბიხური შყა „მწიფე“ სიტყვის შემოტანა უადგილოდ გვეჩვენება [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 1034], მით უფრო, როცა მის შესატყვისად ქართველური სუყ- „მსუყე“ შეეფარდა (იხ. აქვე).

ს.-ქართვ. *სიჟ : ს.-სინდ. *სა- ძირებს, ალბათ, უკავშირდება ნახური საბ-/საჟ- „ზედმეტი, ჭარბი“ ალომორფები.

ს.-ქართვ. *სით- „საჯდომი“

ქართ. სით-ი-კინ-ი // სით-ი-კან-ი „მამამთავართ, პატრიარქის საჯდომი“ (საბა)

საბას ლექსიკონში ფიქსირებული ეს ალომორფები საერთოქართველურ ძირად *სით- ფორმას გამოგვაყოფინებს, რომელსაც ანგარიშგასაწევი იბ.-კავკ. პარალელები ეძებნება

ს.-სინდ. *შეთ- „სკამი“

ყაბ. შეთ „სკამი“

აბაზ. შათ-ა, აფხაზ. ა-შათ-ა „ძირი“

ქართველური *სით- არქეტიპის სინდური შესატყვისი მხოლოდ ყაბარდოულში ფიქსირდება. მაგრამ ამ შეფარდების რეალურობაზე ცხადად მეტყველებს დალესტური მონაცემიც, შდრ. არჩიბ. შენთ „სკამი“.

ს.-ქართ. *სიმ- „წყალი; წყლიანი, სველი“

ქართ. სიმ-, სიმ-ურ-ი „წყალი, მდინარე“

ზან. (მეგრ.) შიმ-ე „სველი“

სვან. სგიმ / სკიმ (ლნტ.) „მჟავე წყალი“

ფუძის სუფიქსაცია განსხვავებულია ქართულ-ზანურში, რაც -ურ, -ე ფორმანტთა მეორეულ დართვაზე მიუთითებს. სვანური შესატყვისი ძირის სახით წარმოგვიდგება, ბგერათფარდობა განსხვავებულია – ს : შ : სჟ → სგ/სკ [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 420].

ს.-სინდ. *შჟან- „სითხე, თხევა“

ყაბ. ხჟან-ლწ „თხევალი“

ისტორიული შჟ → ხჟ სავარაუდო ჩანს ჩერქეზულ ფორმაში, რომელიც მხოლოდ ყაბარდოულმა სიტყვამ შემოგვინახა [აბდოკოვი 1983 : 148].

თუ გავითვალისწინებთ დალესტურ მონაცემებს, მაშინ შესაძლებელი ჩანს ზანური (resp. მეგრული) ძირის განსხვავებული ეტიმოლოგია ქართულ-სვანურთან შედარებით, შდრ. დარგ. შამ-

ზე „სველი, თხევადი“, თაბას. შმი // შემი (დუბეკ.), ალულ. შუმერ „თხევადი“.

ს.-ქართვ. *სინ- „სინი, ლანგარი“

ქართ. სინ-ი, სინ-ის ქვა, სინ-ი ზარბაზნისა (ჩუბინაშვილი)

სიტყვა არ არის ნასესხები ქართულში; ამას ამტკიცებს სარწმუნო შესატყვისები სხვა იბ.-კავკ. ენებიდან. გასარკვევია სვან. შედ „ლანგარი“ სიტყვის მიმართება ქართ. სინ-თან (საერთო ძირია?).

ს.-ქართვ. *სჷნ- „მაგიდა“

უბიხ. შენ-გ // შან-გ მაგიდა“

მაგიდის მნიშვნელობით უბიხურისთვის უთითებენ შენგ (ი. მესაროში) და შანგ (ჰ. ფოგტი) ალომორფებს. ვფიქრობთ ორივესთვის ამოსავალია სჷნგ სახეობის ფუძე, სწორედ მოკლე ჰ იძლევა ორგვარად ჩაწერის საშუალებას. სავარაუდოა ნახურ მასალასთან ერთობაც - ჩეჩნ. შუნ „სამფეხა მაგიდა“. უფრო სვანურს ეკედლება დად.: ახვახ. შეტო „ქვაბი“, დიდ. შიტუ „ლამბაქი“.

ბუნებრივი ჩანს სემანტიკური კორელაცია ლანგარი ~ მაგიდა.

ს.-ქართვ. *სიპ- „მუცლის ნაწილი“

ქართ. (გურ., იმერ.) სიპ-ი „მუცლის ნაწილი ჭიპს ქვემოთ“

იმავე მნიშვნელობით სიპ- ფორმა შევიდა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, მაგრამ იქვე მიეთითა მისი კუთხური წარმომავლობის შესახებ. ვინაიდან სიპ- სახელს პარალელები ეძებნება იბ.-კავკ. ენებში, არ გამოვრიცხავთ მის ფუძეენურ წარმომავლობასაც.

წ.-სინდ. *სიპ- „სხეულის ნაწილი“

ხათ. šip „სხეულის ნაწილი“

სპეციალისტები ხათურში ფრთხილად მიუთითებენ (ფრჩხილებში) კიპ-ი მნიშვნელობაზე, რაც მხოლოდ ეჭვის დონეზე (კითხვის ნიშნით) არის გამოთქმული [კოჭლამაზაშვილი 2016 : 110]. ვფიქრობთ, წინარესინდურიდან მომდინარე šip მხოლოდ ხათურს შემორჩა, საერთოსინდურ ენაში, ალბათ, დაიკარგა ან ჯერაც არ არის გამოვლენილი აფხაზურ-ადიღურ ენა-კილო-თქმებში.

სინდურ-ქართველურ არქეტიპებს ეხმიანება დადესტნური ინფორმაცია, რითაც სიტყვის მნიშვნელობის დაზუსტება ხდება შესაძლებელი, შდრ. კუბაჩ. შიპ-ა „პენისი“.

ს.-ქართვ. *სირ-ა „ნაქსოვი (ჭილობი)“

ძვ. ქართ. სირა „მოქსოვილი ჭილობი“

სვან. სგჷირ „კანაფის ძაფის ქსოვილი“

ზანური შესატყვისები ვერ გამოვავლინეთ. სვანური სგჷირ მეტათეზირებული ვარიანტი ჩანს *სგირჷ არქეფორმისა, რომელიც ს : სგ და ა : ჷ ბგერათფარდობის ნამდვილობას აზუსტებს კიდევ ერთხელ.

ს.-სინდ. *სგ- „ქსოვა“

ადიდ. სჷ-ნ, ყაბ. სჷ-ნ „ქსოვა“

აბაზ. ს-რა, აფხაზ. ა-ს-რა, ბზიფ. ა-ს-რა „ქსოვა“

ქართველურში პოვნიერი ბოლოკიდური რ ვიზრანტის შესაბამისი ფონემა სინდურში არ ჩანს. როგორც ეტყობა, ჯერ კიდევ ფუძე-ენაში უკვალოდ დაიკარგა იგი. არადა, შესაბამის დადესტნურ მასალაში რ- სონორი ასევე პოვნიერია, შდრ.: დარგ. -ერშ-/-ირშ- „ქსოვა“..., ბუდუხ. ჳურ-შრ- „წვანა, ბეჭვა“ [მეტი დად. იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 653].

ს.-ქართვ. *სის-ე „პატარა; წვრილი; ქინქლა“

ზან. (მეგრ.) სისა „პატარა; ნამცეცა; წვრილი; ქინქლა“, შდრ. სისა-ტურა „პატარა ტურა, ტურიკო“, მაგრამ ფორცხალ-ტურა „ფოცხვერი“ (ა. ქობალია)

სიტყვა პოვნირია მხოლოდ მეგრულში, მაგრამ, სავარაუდოდ, საერთოქართველური ფუძე-ენიდან მომდინარეობს. ბოლოკიდური ა ზანურში გულისხმობს არქაულ ე ხმოვანს, ვინაიდან ორ-მარცვლიან (და მეტ) ფუძეებში აუსლაუტური ოპოზიცია ქართ. ე : ზან. ა ს.-ქართვ. *ე არქიფონემას აღვადგენინებს.

ს.-სინდ. *სეს-ზ „წვრილი; ნამცეცა“

ადიდ. სწსწ „ნამსხვრევი; ფხვნილი“, სწსწ-ნ „ფხვნა, ფშვნა“

აბაზ. სსა „წვრილი, პატარა“, აფხაზ. ა-სსა, ბზიფ. ა-სს-ძა „უწვრილესი“

უბიხური შესატყვისი ვერ გამოვავლინეთ. საყურადღებოდ გვეჩვენება გასისინების ს → ს ფონეტიკური პროცესი აბაზურსა და აფხაზური ენის აბჟურ დიალექტში.

ს.-ქართვ. *სის-ე : ს.-სინდ. *სეს-ზ არქეტიპების შესატყვისი შეიძლება ჩანდეს ბეჟიტურ შუშიძე // შუშიძე „წვრილი“ სიტყვაში.

სპეციალურ ლიტერატურაში აფხაზურ-ადიღური ალომორფების შესატყვისის ხედავენ ბას-კურ ze (სე) „პატარა, ნამცეცა“ ფორმაში [ჩირიქა 1985 : 99], რაც პრობლემური ჩანს ძირის ცალფონემურობის გამო, მაშინ, როდესაც სხვა იბ.-კავკ. მონაცემები მხოლოდ ორთანხმოვნიან (იდენტურ) ძირ-ფუძეებს წარმოაჩენენ.

ს.-ქართვ. *სისჷ- „ხმალი“

ქართ. (ხევს.) სისგ-ი „ხმალი“

სიტყვა მხოლოდ ქართულშია შემორჩენილი, თუმცა, გამომდინარე გარეენობრივი პარალელებიდან, არ გამოირიცხება მისი ფუძეენური წარმომავლობა.

ს.-სინდ. *სესჷ-გ „მჭედლობის ღვთაება“

აფხაზ. -შაშჷგ „მჭედლობის ღვთაება“

ფუძე განმარტოებით დგას აფხაზურში. იგი ქართულ სისგ- ფორმასთან ქმნის აფხაზურ-ქართულ იზოგლოსს, რაც ორივე ჯგუფის ფუძე-ენაში შესაბამისი არქეტიპების არსებობას გულისხმობს.

სემანტიკური კორელაცია მჭედლობა ~ ხმალი არ ჩანს უსაფუძვლო. დამაინც, დადესტური და ნახური პარალელების მოძიებამდე გადაჭრით რაიმეს თქმა გვიძნელდება.

ს.-ქართვ. *სისინ- „სისინი“

ქართ. სისინ-ი, ს ი ს ი ნ - ი ბატის სივილი (საბა)

ზან. (მეგრ.) შირშინ-ი „შიშინი“, ლაზ. ო-შირშილ-უ „რაკრაკი“

სვანური შესატყვისი გვაკლია. ვინაიდან ფუძე ბგერწერითი ხასიათისაა, შეიძლება ს/შ სუბსტიტუცია დაფიქსირდეს. ამიტომაც მეგრულში პოვნირია სისინ-ი „წაქეზება“, უ-სისინ-უ-ან-ს „აქეზებს“ სახეობაც.

ს.-სინდ. *შგშგ- „ჭიხვინი“

ადიდ. (ჭემგ.) შგშგ-ნ „ჭიხვინი“

უბიხ. შგშგ-ნ „ჭიხვინი“

ჩერქეზულ ენებში (და საერთოსინდურშიც) შ-ს პალატალიზაცია გამოიწვია ოდინდელი ი (→ ეგ) ვიწრო ხმოვნის დაკარგვამ – საკომპენსაციო პალატალიზაცია.

სემანტიკურად არც ისე რთული ჩანს სისინი ~ ჭიხვინი კორელაციის ახსნა.

ს.-ქართვ. *სისო „ერთგვარი ხერხი“

ქართ. (მესხ.) სისო „სადურგლო ხერხი“, სისო-ნ-ი „მშვილდით გაბმული პატარა ხერხი“, იმერ. სისო-ხერხ-ი „სადურგლო ხერხი“

ზან. (მეგრ.) სისუ // სესუ // სესო „სისო ხერხი“

ბოლო სგსო ვარიანტი მეგრულში ქართულთან ადაპტირებული ალომორფი ჩანს. ხოლო სი-სო : სისუ // სგსუ კანონზომიერ მიმართებას აჩვენებს. სვანური შესატყვისი ვერ გამოვავლინეთ.

ს.-სინდ. *სგსუგ „ხერხი“

უბიხ. სგშგ „ხერხი“

ერთ-ერთი იმ სიტყვათაგანია, რომელიც მხოლოდ უბიხური ფორმით არის მთელს სინდურ ენობრივ სამყაროში შემორჩენილი. ხმოვნურ ნაწილში, როგორც არაერთხელ სხვა მასალაში, შეინიშნება ს.-ქართვ. ი : ს.-სინდ. გ ბგერათშესატყვისობა. რაც შეეხება თანხმოვნებს, აუსლაუტური ს.-ქართვ. სო : ს.-სინდ. სუტ კანონზომიერებას ავლენს და კიდევ ერთ წყაროს წარმოაჩენს სინდურ ენებში, რომელმაც ხელი შეუწყო ლაბიალიზებულ თანხმოვანთა ჩამოყალიბებას. უბიხურში კი, როგორც მოსალოდნელი იყო, ლაბიალიზებულმა სუტ თანხმოვანმა დელაბიალიზაციით პალატალიზებული შ მოგვცა.

სხვა იბ.-კავკ. ენების შესატყვისებიდან საინტერესოდ გვესახება დადესტნური მასალა, შდრ. ლეზგ. სუას // სუახ // სას, რუთულ. სგს „კბილი“. რაც შეეხება კბილის შინაარსს, იგი მოცემულ კონტექსტში ბუნებრივი ჩანს, შდრ. სვან. შდიქ „კბილი“ და ნა-შდექ „ნამგალი“, ანუ სემანტემა ხერხი განვითარდა არქაული კბილის გაგებიდან.

ს.-ქართვ. *სიფ-ლ- „ერთგვარი მაგიდა“

ქართ. სიფლ-ი „მოგძე ტაბაკი“ (საბა)

სხვა ქართველურ ენებში შესაბამისი ფუძე არ იძებნება.

ს.-სინდ. *შუგ- „მაგიდა“

აფხაზ. აი-შუა „ვიწრო, გრძელი და მოკლე ფეხებიანი მაგიდა“

სხვა სინდურ ენა-კილოებში შესაბამის ძირ-ფუძეებს ვერ ვფიქსირებთ. აფხაზური ალომორფი წარმოაჩენს წყვილბაგისმიერ უ სონანტს, რომელიც ქართული ფ-ს შესატყვისია, ანუ კიდევ ერთხელ გამოჩნდა სიბილანტთა ლაბიალიზაციის წყარო სინდურ ენებში $C\bar{b} \rightarrow C\bar{t}$.

ს.-ქართვ. *სილ-ინ- „შველი“

ზან. (ლაზ.) სილინ-ი „შველი“

განმარტოებით დგას ლაზურში, მაგრამ, როგორც ეტყობა, ძირი საერთოქართველური წარმომავლობისაა. რასაც ცალსახად ადასტურებენ სინდური მონაცემები.

ს.-სინდ. *სუგშ-ზ „ირემი“

ადილ. სუგშ, ყაბ. სუგშ- „ირემი“

სპეციალურ ლიტერატურაში ადილური ალომორფების შემდგომ სეგმენტაციას ცდილობენ და სიტყვა-ფორმათა ამავე რიგში შემოაქვთ უბიხური ლა-შუა „ნადირობა“ ფორმაც, რასაც გადაულახავი წინააღმდეგობები თან ახლავს [სტაროსტინი, ნიკოლაევი, 1994 : 1046]. ამგვარი მიდგომით ვერ აიხსნება -ჰჰ/-ჰჰ- სეგმენტის ფუნქცია ადილურ ენებში.

ს.-ქართვ. *სილ-ინ- : ს.-სინდ. *სუგშ-ზ წარმოაჩენს კანონზომიერ შესატყვისობას სტრუქტურულ-ფონეტიკური თვალსაზრისით, რასაც ეხმიანება კანონზომიერი ირემი ~ შველი სემანტიკური ოპოზიცია.

სხვა კავკასიური შესატყვისებიდან ყურადღებას იქცევს ოსური სანდ „თხა“, ეს უკანასკნელი ნახურ შესატყვისს ინახავს.

ს.-ქართვ. *სკუტ- „ბმა, სკვნა, შეკვრა“

ქართ. სკუტ- / სკვ- / სკ-, მო-სკუტ-ნ-ა, ნა-სკუტ, და-ნა-სკვ-ი, სკ-ულ-ი „საკვრელი“

ზან. (ლაზ.) სკვ-, ო-სკვ-უ „შებმა“, სკვ-ერ-ი „შეკრული, შებმული“, მეგრ. სკუ-ალ-ა, გო-ბ-სკვ-ი „შეკვარი“, სკვ-ირ-ი // სკვ-ილ-ი „შეკრული“, ეკი-სკვ-ე „მოიბი“

სვან. სკუ- , ლე-სკუ-ერ „თოვი“ ← ეტ. საკვრელი

გამოყოფილი სკუ- ძირი ბუნებრივია ყველა ქართველური ქვესისტემისათვის. ცნობილია, ასევე, უძველესი ქართული წერილობითი ძეგლებიდან [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 406]. არ გამოვრიცხავთ, ლაზური სკულ-ი „მათრახი“ შეიძლება, ნასესხები იყოს ძველი ქართულიდან, შდრ. სკულ-ი „საკვრელი“.

ს.-სინდ. *შკუ- „სკვნა, ბმა; შეკვრა“

ადიდ. (ჭემგ.) შკუ-გნგ, აბძახ. სკუ-გნ-გ „კვანძი“

როგორც სვანური ალომორფი, ისე ადიღური მხოლოდ ნაწარმოებ ლექსემებს გვიჩვენებს. ამ უკანასკნელში -გნ-გ სადერივაციო აფიქსია, რომელიც სინდურ ენებში ფუძეთქმნადობაში იღებს მონაწილეობას, შდრ. ადიღ. ლა-პწწ „ფეხშიშველი“, მაგრამ პწწ-ნწ „შიშველი“ [როგავა 1956 : 81]. უფრო მნიშვნელოვანი ჩანს სინდურ-ქართველური რეგულარული ბგერათმესატყვისობა კომპლექს-თა დონეზე – სკუ : შკუ-.

დადესტნურიდან საყურადღებო იზოგლოსი ჩანს ხინალ. შიკ-ტი / შიკ-ირი „შეკვრა“ ზმნა.

ს.-ქართვე. *სომ- „პური, შეჭამანდი“

ქართ. სომ-ინ-ი „დიდი პური“ (საბა)

სვან. შამ, შამ (ლშხ.) „თავთავიანი პურეული; ღომის შეჭამანდი“

ქართველურ სიტყვებს შორის სემანტიკური სიახლოვე ადვილი დასანახია. ქართ. ო : სვან. შ/ა ხმოვნური ოპოზიცია კი უნდა აიხსნას როგორც შომ → შემტ → შამ // შამ უკუუმლაუტის შედეგი. -ინ სეგმენტი კი საკუთრივ ქართული მონაცემი ჩანს.

ს.-სინდ. *სტებ-ა „პური“

უბიხ. სტებჳ „პური“

ჩვენთვის საინტერესო შესატყვისი მხოლოდ უბიხურ ენაში არის შემონახული. სიტყვის აუსლაუტში ფიქსირდება ს.-ქართვე. მ : ს.-სინდ. ბ შესატყვისობა, რასაც თავისებურად ეხმიანება უდიური შუმ „პური“ ფორმა.

ყოვლად მიუღებელია უბიხური სტებჳ ფორმის მონათესავედ აფხაზური ა-შტ, აბაზ. შერ-მა, ყაბ. ხტე „ფეტი“ (შდრ. უბიხ. ხტა „id“, იხ. აქვე) სიტყვების დასახვა, რასაც ძირ-ფუძეთა შედგენილობა ეწინააღმდეგება [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 764].

ს.-ქართვე. *სომ- „ქვა“

ქართ. სომ-ი „საკამრე ქვა, სადად გათლილი“ (საბა)

სვან. შტილ- / შტილ-, ლი-შტილ-იელ // ლი-შტილ-იელ „ქვის სროლა“

ოდესღაც არსებული სვანური სახელი შტილ- „ქვა“ დაკარგული ჩანს. სწორედ მისგან არის ნასახელარი ზმნური ფორმები ნაწარმოები სვანურში, ისევე, როგორც, ვთქვათ, ბწჩ „ქვა“ → ლი-ბწჩ-წლ „ქვის სროლა“, გურეჭ „რიყის ქვა“ → ლი-გურეჭ-ე „ქვის სროლა“...

ბოლოკიდური ბგერათფარდობა ქართ. მ : სვან. ლ იმეორებს საყოველთაოდ ცნობილ ქათამ/ქათალ მიმართებას [ჩუხუა 2000-2003 : 316].

ს.-სინდ. *სტამ-წ „ქვის ნაყარი, გროვა“

ადიდ. სამწ, ყაბ. სამწ „ნაყარი ქვის გროვა; საფლავის ბორცვი“

გვაკლია უბიხური და აფხაზურ-აბაზური ალომორფები, რის გამოც რთულდება რეკონსტრუქციის პროცედურა. საქმე იმაშია, რომ ს.-ქართვე. ო გახმოვანებას საერთოსინდური ტა შეეფარდება ხოლმე.

ქართველური ო-ს სასარგებლოდ მეტყველებენ დადესტნური მონაცემებიც, შდრ. არჩიბ. მოსოლ (← სომოლ) „საფლავის ქვა“, დიდ. შემ ← *შომ, ბეჟიტ. შუნ-ა „ქვის გროვა; საფლავი“.

ს.-ქართვ. *სოდ-ო „ბოლომოგლეჯილი“
ქართ. (ქართლ. ქსნ.) სოდო „ბოლომოგლეჯილი; წიწილა, რომელსაც ბოლო არ ეზრდება“
ზანურში (resp. მეგრულში) პოვნიერია სორდო, რომელსაც საპირისპირო ტანმაღალის გაგება ახასიათებს.

ს.-სინდ. *სგდ-ა „დაბალი“

აბაზ. სდა „დაბალი“

ფუძეენური წარმომავლობის ძირი მხოლოდ აბაზურს შემორჩა. ს.-ქართვ. *სოდ-ო : ს.-სინდ. *სგდ-ა პალეოკავკასიური წარმომავლობისა ჩანს. თანხმომენურ იდენტურობას ს-ს, ღ-ღ გვერდში უდგას ხმოვნური ო : გ შესატყვისობა.

იბ.-კავკ. ენათა ოჯახის სხვა ჯგუფებში შესატყვისები ამ ეტაპზე ვერ გამოვავლინეთ.

ს.-ქართვ. *სოხჷ- „ჭლაკვი“

ქართ. სოხვ-ი „ჭლაკვი, უთავო ხახვი“

ზან. {შუხუ} „id“

ვვარაუდობთ შუხუ ძირის პოვნიერებას ზანურ დიალექტებში, რომელიც ზანიზმად შემორჩა სუბსტრატულ ტოპონიმს გურიაში, შდრ. შუხუ-თ-ი (სოფლის სახელი).

სვანურ შესატყვისს ვერ ვხედავთ.

ს.-სინდ. *სჷჷხ- „სტაფილო“

აბაზ. შჷხვ „სტაფილო“

სხვა სინდურ ენებში სათანადო ალომრგვები დაკარგული ჩანს, ამიტომაც ფუძეენური მონაცემის რეკონსტრუქცია ხერხდება მხოლოდ აბაზური მასალის მიხედვით.

ზოგი ავტორი აქვე მოიხმობდა ადიღურ ენათა ფხვ „სტაფილო“ ძირსაც [შაგიროვი 1977, II : 24], რაც პრაქტიკულად შეუძლებელია შ : ფ შესატყვისობის აბსურდულობის გამო.

ს.-ქართვ. *სუბ-ე „მომვებული, სუსტი“

ქართ. (ლექხ.) სუმფე „მომვებული, სუმფე“

ინლაუტური მ საკუთრივ ლექხუმური ინოვაცია ჩანს, ფონეტიკურ ნიადაგზე განვითარებული – ფ → მფ, რაც ხშირად დაჩნდება ქართველურში.

ისტორიულად არსებული ქართული სუფე სიტყვის შესატყვისები ზანურ და სვანურ კილოებში ვერ გამოვავლინეთ.

ს.-სინდ. *სჷგბ-ჷ „რბილი; სუსტი“

ადიღ. საბჷ, ყაბ. საბჷ „რბილი, სუსტი“

უბიხური და აფხაზურ-აბაზური შესატყვისები ვერ გამოვლინდა, რაც ართულებს ძირის რეკონსტრუქციის პროცედურას. განსაკუთრებით ეს ეხება ხმოვნურ შეფადებას ს.-ქართვ. უ : ს.-სინდ. ა, რაც მოულოდნელია, მით უფრო, მაშინ, როდესაც არ ფიქსირდება წინამავალი ხმოვნის ლაბიალიზაცია ადიღურში.

უსაფუძვლო ჩანს ადიღური ფორმების შემდგომი სეგმენტაციის ცდა [როგავა 1956 : 11; შაგიროვი 1977, II : 144].

შებრუნებული წყობის დადესტნური ძირებიც, შეიძლება, აქ შემოვიდეს, შდრ.: ალულ. ბუშ-დიაედ, ბუდუხ. ბუშ-ურ, რუთ. ბგშ-დგ, წახ. ბომ-ენა „სუსტი“, თაბას. ბუშ-უჷ „რბილი“. მათი ვოკალიზმი ქართველურს ემთხვევა, ანუ ჷჷ → ჷ ადიღურ ენა-კილოებში განხორციელდა.

ს.-ქართვ. *სუთხ- „კოჭი; წიხლი“

ქართ. (მოხ., მთიულ.) თხუს-ი „მსხვილფეხა საქონლის კოჭი“

სვან. იმთხუ „წიხლი“

ზანური შესატყვისი გვაკლია. ოპოზიცია თხუს- ~ იმთხუ ბუნებრივი ჩანს, თუ გავითვალისწინებთ ქართ. მსხალ- : ზან. (ლაზ.) მცხულ-ი : სვან. იცხ(უ) შესატყვისობას. ამ უკანასკნელშიც ი ხმოვნის მეტათეზისი ეჭვს გარეშეა. ამავდროულად არ გამოირიცხება *სუთხ- / *თხუს- სუბსტიტუცია ფუძე-ენაშივე.

ს.-სინდ. *ზუტყ- „ბარძაყი; მენჯი“

აზაზ. (აშხარ.) ზუტყ „ბარძაყი“, ტაპანთ. ჟუტყა „მენჯი“, აფხაზ. ა-ზუთხგ-რა „ბარძაყი“

სინდურ ალომორფებში ქართველური უ ხმოვნის შესატყვისად უ და გ (→ ა) სეგმენტები დაჩნდება, რაც უ → უგ დიფთონგიზაციის (გ. როგავა) შედეგი ჩანს პრეისტორიულად.

სემანტიკური თვალსაზრისით, ოპოზიცია კოჭი ~ ბარძაყი / მენჯი ბუნებრივად გვესახება.

თუ ინახავს ჩერქეზულ ეკვივალენტს სვანური ზითგ-არ // ზეთგ-არ // ზეთგ-არ „პაჭიჭი“ (← ეტ. წვივისა, წვივიანი) ? – ამას მომავალი გაარკვევს.

ს.-ქართვ. *სუკ- „წიბო; გორაკი“

ქართ. (ზ.-იმერ.) სუკ-ი „გათლილი ხის წიბოები“

ზან. (მეგრ.) სუკ-ი „მოგრძო გორი, სერი“, სუკ-ია „გორაკი“

სვანური შესატყვისი გვაკლია. ქართულ სუკ- ფორმას კანონზომიერად შეესატყვისება ზანური სუკ- სახელური ფუძე. იდენტური ფონემური მიმართების ერთ-ერთი ნიმუშია.

ს.-სინდ. *სუკუ- „მწვერვალი“

ადიდ. სუგუ-გ, ყაბ. სუგუ-გ „მწვერვალი“

უბიხ. შაკუ-გ „მწვერვალი“

შესაბამისი ძირები აფხაზურ-აზაზური ენებიდან არ ჩანს. ფუძეენურ მონაცემთან ყველაზე ახლოს უბიხური ალომორფი დგას. შეიძლება ჩერქეზული სახელების ქართველურ შესატყვისებზე ფიქრისას მოგვეხდინა დიფერენცირება და დაგვეყო ისინი სხვადასხვა იზოგლოსად. ასე მაგალითად, ადილური სუგუ-გ სიტყვისათვის შეგვეფარდებინა ზან. ზუგ-ა / სვან. ზუგ-უ // ზუიგუ „ბორცვი, ბექობი“. ამგვარი შესაძლებლობისგან ამჯერად თავს ვიკავებთ.

ს.-ქართვ. *სურ- „სროლა, ტრიალი“

ქართ. სრ-ოლ-ა, სრ-იალ-ი

ზან. (ლაზ.) სურ-, ო-სურ-უ „ტრიალი, სროლა, ბრუნება“

როგორც ჩანს, ქართულში რედუცირებული სახეობა შემოგვრჩა მხოლოდ. ფუძეენური ხმოვანი ლაზურის მიხედვით აღდგება – სურ-. სვანურ შულ- „სროლა“ ზმნასთან ფორმალურ-სემანტიკური დამთხვევის საკითხი აქ ვერ იქნება განხილული, სვანური სხვა ძირია.

ს.-სინდ. *რსუ- „სროლა“

აფხაზ. ა-რშუ-რა „სროლა“

საერთოსინდური წარმომავლობის სიტყვა მხოლოდ აფხაზურშია პოვნად. კითხვა ჩნდება, ანლაუტური რ ძირეულია (მეტათეზისი), თუ შეიძლება, ასახავს ისტორიულად კაუზატიურ რ-პრეფიქსიან ზმნას.

სხვა მონათესავე იბ.-კავკ. ენებიდან საყურადღებოდ გვეჩვენება ბოთლიხ. სურ-დ-ი, ახვახ. ზორო- „სროლა“, რომლებიც პალეოკავკასიურ *სურ- ძირის რეფლექსებად მიიჩნევა.

ს.-ქართვ. *სუს- „ძალა, სიძლიერე“
ქართ. სუს-, უ-სუს-ურ-ი „სუსტი, უღონო“

სუს- ძირი ქართულში დამოუკიდებლად ვერ დავაფიქსირეთ. არადა, აშკარაა მისი *სიძლიერის* შინაარსი უ-სუს-ურ- დერივატში. აქ იგივე კონფიქსია პოვნირი, რაც უ-ძლ-ურ-ი სიტყვაში, შდრ. ძალ-ი/ა → უ-ძლ-ურ-ი (სუს-ი → უ-სუს-ურ-ი).

ს.-სინდ. *ლ'გს-გ „ძლიერი“
ადიდ. ლ'აშ'გ, ყაბ. ლ'გს „ძლიერი“
უბიხ. ლ'აშ „ძლიერი“

მეტად საინტერესო ბგერითი მიმართება იკვეთება, ერთი მხრივ, ლ' : ს და, მეორე მხრივ, ს : ს ოპოზიცია. აფხაზურ-აბაზურში მოსალოდნელი შგშ ან შგს ჯერჯერობით არ ჩანს. ყაბარდოული ალომორფი მხოლოდ მესამეულ საფეხურს ასახავს.

ს.-ქართვ. *სუტელ- „ჭიასავით წაგრძელებული მატლი“
ზან. (მეგრ.) შუტუ „ჭიასავით წაგრძელებული მატლი“

სიტყვა იზოლირებული დგას ქართველურ ენობრივ ქვესისტემებს შორის, მაგრამ სავარაუდოდ ფუძეენური წარმომავლობისაა, ვინაიდან სარწმუნო იბ.-კავკ. შესატყვისები ეძებნება.

საერთოქართველურ არქეტიპად *სუტელ- დავსახეთ, ვინაიდან ს : შ და აუსლაუტური ელ : უ (წნელ- : ჭინუ) ბუნებრივი ჩანს ქართულ-ზანურისათვის.

ს.-სინდ. *შენდგრ- „ხვლიკი“
ყაბ. შენდგრ-ხ'ა „ხვლიკი“

ფუძეენური წარმომავლობის ძირი განმარტოებით დგას ყაბარდოულში, მაგრამ ქართველურ-დადესტნური იზოგლოსები საკმაოდ ზუსტად მიუთითებენ აღწერილ ლექსემათა პალეოკავკასიურ ბუნებაზე, შდრ. დალ.: ჰინუხ. შოთრ-ა, დიდ. შეთრ-ო „ხვლიკი“, ლაკ. შათა-ა ← *შ'ადა-ა „გველი“, რუთ. შ'უტ „მატლი“.

-ო/-ა დადესტნურში და -ხ'ა ყაბარდოულში სუფიქსური ჩანს. სინდურ-დადესტნურ ფუძეთა შეპირისპირება ა. აბდოკოვს ეკუთვნის [აბდოკოვი 1983 : 125].

ს.-ქართვ. *სუყ- „მსუყე, მსუქანი“
ქართ. სუყ-, მ-სუყ-ე „ესე არს ცხიმიანი, რომელ ჭამითა კაცი მალე გაძღეს“
სვან. ნშყ-, ლი-ნშყ-ე „გასუქება“

ამოსავალში ქართ. სუყ- : სვან. შუყ უნდა გვეჩინოდა, მაგრამ ორივეგან მ--ე და ნ აფიქსებით გართულებული დერივატებია პოვნირი მხოლოდ [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 424-425].

ს.-სინდ. *ს'ტყყ-ა „ქონი“
უბიხ. ს'ტყყა „ქონი“

სიტყვა უბიხურში განმარტოებით დგას, მაგრამ არ არის ნასესხები. უბიხურის საფუძველზე რეკონსტრუირებული *ს'ტყყ-ა არქეტიპი კანონზომიერად შეეფარდება ს.-ქართვ. *სუყ- არქეტიპს. სემანტიკური კორელაცია მსუქანი ~ ქონი ნორმალური ჩანს.

ს.-ქართვ. *სუხ- „ჰაერის ძლიერი ტალღა; ბრგე“
ქართ. (ხევს.) სუხ-, სუხ-იერ-ი „კარგი შესახედაობის“
ზან. (მეგრ.) შუხ-ი „ჰაერის ძლიერი ტალღა“, შუხ-უ „მძლავრი, ბრგე“, შუხ-უ (ანთროპ.)

გვაკლია სვანური შესატყვისი. ქართულ სუხ- ძირს კანონზომიერად შეეფარდება ზანური (მეგრ.) შუხ-, შდრ. ქართ. ს : ზან. შ.

ს.-სინდ. ს'ახ'ტგ- „სუნთქვა“
უბიხ. ფს'ახ'ტგ „სუნთქვა“

თავკიდური ფ საკუთრივ უბიხური ინოვაცია ჩანს; ალბათ, ფს „სული“ სიტყვასთან კონტამინაციით განვითარდა.

ს.-სინდ. *სახტუ- : ს.-ქართვ. *სუხ- არქეტიპებს სარწმუნო შესატყვისები უდასტურდება დადესტნურ ენებში, შდრ.: ლაკ. სიჰ-, დარგ. (წუდახ.-თანთ.) სეჰ, იცარ. სიჰ-, ყუბაჩ. სიჰ- „სუნთქვა“, კარატ. საუჰ-ან „დაღლა“.

ნახურ ენებში დაკარგული იზოგლოსების მოსალოდნელ სტრუქტურაზე წარმოდგენას გვიქმნის ურარტული შუხ-ორი, ხურიტული შედ-ირი „ცოცხალი“ ალომორფები [დიაკონოვი, სტაროსტინი 1986 : 36].

ს.-ქართვ. *სქალ- „სკა; ფუტკარი“

ქართ. სკა „ფუტკრის სახლი“ (საბა)

ზან. (მეგრ.) სქა // ფსქა „ფუტკარი“, ლაზ. მსქა // მცქა „ფუტკარი“, ო-სქალ-ე // ო-ფსქალ-ე „სა-ფუტკრე“, მეგრ. მა-ფსქალ-ია „კრაზანა; დედა ფუტკარი“

სვან. შქ-ერ- „ფუტკრის ყრა“, შვერ-ობ // შვერ-ობ „ფუტკრის ყრა“, ნა-შვერ-უ, ნა-შვერ (ლშხ.), ნა-შვარ (ლნტ.) „ფუტკრის ნაყარი“

საერთოქართველური სქალ- ძირის შესატყვისად მიიჩნევა სვან. შგ-ერ- / შკ-ერ- ზმნური დერევატები, როცა -ერ სვანური სუფიქსია, შდრ. სვან. ლი-შდ-ერ // ლი-შდ-აბ-ნ-ე „გართობა“, ქართ. ჯუ- , სვან. სგ-ერ „caccare“...

სვანურში შიშინა გახმოვანება სტაბილურია, მაშინ, როდესაც ზანურში შქ → სქ → ცქ მეორეული პროცესი შეინიშნება [ჩუხუა 2000-2003 : 191].

ს.-სინდ. *შაქტ-ა „ცვილის ნარჩენი“

ადიდ. შაქტჷ, ყაბ. შაქტჷ „ცვილის ნარჩენი“

საერთოსინდურ არქეტიპში ბოლოკიდური -ა სადერივაციო აფიქსი ჩანს, ხოლო ძირეული უ ს.-ქართვ. ლ სონორის კანონზომიერი შესატყვისი ჩანს.

სამწუხაროდ, ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია როგორც აფხაზურ-აბაზური, ისე დადესტნური ან ნახური იზოგლოსები, რაც მნიშვნელოვნად ართულებს ამ პალეოკავკასიური ძირის ეტიმონურ შინაარსზე დაზუსტებით საუბარს.

აქვე ვლინდება ს.-ქართვ. ს : ს.-სინდ. შ რეგულარულ-კანონზომიერი ბგერათშესატყვისობა, რომელიც პროდუქტიულობით გამოირჩევა.

ს.-ქართვ. *სქელ- „სქელი“

ქართ. სქელ-ი, უ-სქელ-ეს-ი

სვან. სგელ, სკელ (ლნტ.), ხ-ო-ნსგლ-ა, სგელ-წრა „უსქესი“

ზანური სქელ-ი // ფსქელ-ი ნასესხები ჩანს ქართულიდან, მოსალოდნელი იყო სქუ სახეობის შესატყვისი, თხელ- : თითხუ „თხელი“...

ს.-სინდ. *შა- „ქონი, ცხიმი“

ადიდ. შა, ყაბ. სა „ქონი, ცხიმი“

აბაზ. შა, აფხაზ. ა-შა „ქონი, ცხიმი“

ფუძეენური შ არქიფონემა უცვლელად არის შემორჩენილი აფხაზურ-აბაზურ დიალექტებში. მის უწინარესობას ქართველური შესატყვისიც ამტკიცებს – შ : სქ, ანუ პროტოქართველურში ველარიზებულ სიბილანტთა რეფლექსაცია ბიფონემური გამხდარა: ჯ* ჩ* ჭ* ჟ* შ* → ჯგ/მგ ჩქ/ცქ ჭკ/წკ ჟგ/ზგ შქ/სქ. ამგვარი მსჯელობის დასტურად გამოდგებოდა სინდურ-ქართველურ ძირ-ფუძეთა შეპირისპირება.

ს.-ქართვ. *სქირ- „დაფარვა“

სვან. ლრ-ნშვირ-ი, ლი-ნშვირ-ი „დაფარვა“

დიალექტური შგშვ ტიპის ოპოზიცია საერთოსვანური სქ არქაული კომპლექსის სასარგებლოდ მეტყველებს (რ. როგავა). ქართულში სავარაუდოდ სქირ- / სვირ- არ ჩანს, ვერც ზანურ შესატყვისებს მივაკვლიეთ.

ს.-სინდ. *შაკუა- „დაფარვა“

უბიხ. შაკა- „დაფარვა“

როგორც წესი, ლაბიალიზებული Cტ კომპლექსი უბიხურში დელაბიალიზაციის პალატალიზებულ C თანხმოვანს იძლევა. აქაც სავარაუდოდ კუ → კ უბიხურში, ამას ემყარება წარმოდგენილი რეკონსტრუქციაც. თავად ბოლოკიდური უ სონანტი ქართველური რ სონორის შესატყვისი ჩანს, ანუ რ → უ საერთოსინდურში განხორციელდა.

ს.-ქართვ. *ს-ძე „რძე“

ძვ. ქართ. სძე, სა-სძე-ურ-ი „ძუძუ“, შდრ. რძე

სვან. ლგჯე „რძე“

ზანური ბჟა/მჟა „რძე“ ალომორფები შეიძლება სხვა წარმომავლობის სახელი იყოს. ს- და ლგ-ქართველურ ენებში პრეფიქსებად გამოიყოფა, რომელიც ფონეტიკურადაც შეეფარდება ურთიერთს [კლიმოვი 1964 : 172-173].

ს.-სინდ. *ძ- „წურვა, წრეტა“

ადილ. ზგ-ნ, ყაბ. ზგ-ნ „წურვა, წრეტა“

უბიხ. ზა- „წურვა, წრეტა“

აფხაზ. ა-რა-ძა-რა „წურვა, წრეტა“

აფრიკატული ბუნება სინდური ენებიდან აფხაზურს შეუნარჩუნებია. ხმოვნებში უბიხური ჰიმეორებს ფუძეენურ მდგომარეობას, შდრ. ჰ → გ (ადილურში) და ჰ → ა (აფხაზურში). ქართველური ს-ძე / ლგ-ჯე მიჩნეულია მიმდებარე ნაწველი შინაარსის დერივატად [კლიმოვი 1964 : 173]. უფრო ადრე გამოითქვა მნიშვნელოვანი აზრი სინდურ-ქართველურ ძირ-ფუძეთა ერთიანობის შესახებაც [ბოლდა 1951 : 135], რასაც ბუნებრივად ეხმიანება დადესტნური ინფორმაციაც, შდრ.: ლაკ. თაუძ-, დარგ. -იმ-, ალულ. უზ- „წველა“.

აფხაზურ-ადილური ზმნები მოხმობილია ბასკური arazi „წურვა, წრეტა“ ზმნასთან კავშირში [ჩირიქა 1985 : 98], რაც საეჭვოა, ვინაიდან ბასკურიდან მოხმობილი ზმნა ფონოლოგიურად ირასი სახით ჩაიწერება.

ს.-ქართვ. *სხ- „მიერთება“

ზან. (მეგრ.) სხ-, ო-სხ-ირ-ი „სახსარი; მინაერთი“

ამ დერივატში ამოსავალი ფორმით ჩანს შენარჩუნებული სხ- „მიერთება“ ზმნა, რადგანაც სხვა, ცოცხალი წარმოების შემთხვევაში მხოლოდ რ- განვითარებული ფორმები დასტურდება, შდრ. ქომიო-რსხ-რ „მიაერთე“, მე-რსხ-უ-აფ-ილ-ი „მიერთებული“...

საერთოქართველური *სხ- ზმნური ძირის რეკონსტრუქცია მხოლოდ მეგრულის ჩვენებით ხერხდება, რასაც რეალურს ხდის ჩერქეზულ ენათა მონაცემები.

ს.-სინდ. *შხა- „მიწებება“

ადილ. შხა-ნ „მიწებება“, შხა-ფს „წებო“, ყაბ. შხა-ნ „id“, შხა-ფს „id“.

სემანტიკური ოპოზიცია ს.-ქართვ. მიერთება : ს.-სინდ. მიწებება ბუნებრივად გვეჩვენება, რასაც მხარს უჭერს რეგულარულ-კანონზომიერი შესატყვისობა ს.-ქართვ. ს : ს.-სინდ. შ. ამგვარი შეფარდების მნიშვნელობა ბევრად უფრო წონადი ხდება, როცა ბგერათმესატყვისობა კლმპლექსთა დონეზეა თავჩენილი – სხ : შხ.

ს.-ქართვ. *სხ- „მოზმა, მოსხმა“

ქართ. სხ-, ა-სხ-ი-ა, ი-სხ-ამ-ს

ზან. (მეგრ.) შ-, მი-ო-შხ-უნ- „ბევრი აზია, ასხია“

ზმნური ძირი ცნობილია ძველი ქართულიდანაც: „რომელსა ა ს ხ ი ა ფურცელი“ [კლიმოვი 1964 : 178]. ძირითადი მნიშვნელობა *მოზმისა* უბრალოდ სიმრავლის აუცილებელი შინაარსით. ამ მხრივ ქართულ-მეგრული ძირები არ სხვაობენ.

ს.-სინდ. *შხა- „ბმა“

ადიდ. (შაფს.) შხა-ნ „ბმა, დაბმა, მოზმა“

აბძახური ფორმის ნიადაგზე ფუძეენური პროტოტიპის რეკონსტრუქცია სწორად არის ჩატარებული; ვინაიდან აბძახური შ გულისხმობს ძალიან ხშირად ადიღურ შ პალატალიზებულ შიშინა სპირანტს [კვახაძე 2014 : 293].

ქართველურთან შედარებით სინდური ფორმა ა-ს (*შხა-) ზედმეტად წარმოაჩენს, რაც, ალბათ, იმას ნიშნავს, რომ უძველეს წარსულში *სხ- არქეტიპი ქართველურ ფუძე-ენაშიც გახმოვანებული იყო – *სახ- → სხ- (?).

ს.-ქართვ. *სხ- „მოსასხამი“, *накидка*

ქართ. სხ-, მო-სა-სხ-ამ-ი „*накидка*“

მრავალ სხვა ძირთა შორის აღრეული სხ- ზმნური ძირი, რუსული *кидать* „სროლა, ტყორცნა“ მნიშვნელობით, შემონახული ჩანს მო-სა-სხ-ამ-ი სიტყვაში. აქ *სროლა* ~ *მოცმა* (მოიცვა) შორის ისეთივე მიმართება იკვეთება, როგორც დამახასიათებელია რუსულში, შდრ. *кидать* „სროლა, ტყორცნა“ ~ *накидка* „მოსასხამი“.

ს.-სინდ. *ხგს- „სროლა“

აბაზ. ად-ხგს-რა, აფხაზ. ად-ხს-რა „სროლა“

ვფიქრობთ, ს.-სინდ. *ხგს- : ს.-ქართვ. *სხ- ძირებს შორის ფიქსირებულ შებრუნებულ წყობაში არქაული ვითარება ფუძესინდურშია შემონახული. ამგვარ მსჯელობას მხარს უჭერს ნახურ ენათა მასალა, სადაც ჯოს- ძირი „სროლის“ მნიშვნელობით დასტურდება.

არ არის გამორიცხული, რომ საკუთრივ ჩერქეზული შესატყვისი იკითხებოდეს ოსურ ზხს-ენ „სროლა“ ზმნაში.

ს.-ქართვ. *სხ- „რისხვა“

ქართ. რი-სხ-, რი-სხ-ავ-ს, გან-რი-სხ-ებ-ა

ზან. (მეგრ.) შხ-ავ-ა „რისხვა“, ი-შხ-ან-ს „რისხდება“, შხ-ელ-ი „შერისხული“

სვანური შესატყვისი გვაკლია. ქართულ-ზანურ ზმნათა ეტიმოლოგიური კავშირი ეფუძნება რი- სეგმენტის არაძირეულობის მტკიცებას, რაც რეალური ჩანს [როგავა 1981 : 58-60].

წ.-სინდ. *სახ- „განრისხებული, გაბრაზებული“

ხათ. *šah* „განრისხებული, გაბოროტებული“, *злѣхъ*

სპეციალურ ლიტერატურაში ხათური სიტყვა შეპირისპირებულია აფხაზურ-აბაზურ ა-ცუგა // ცუგა „ცუდი, ავი“ ალომორფებთან [ბრაუნ 2002 : 328], რაც ნაკლებსარწმუნოდ გვეჩვენება [იხ. აქვე, ს.-ქართვ. *ცუიგ-]. მეტი საფუძველი აქვს ს.-ქართვ. *სხ- : წ.-სინდ. *სახ- არქეტიპთა ერთიანობის მტკიცებას, რომელსაც მხარს დაუჭერდა როგორც ფონემური შედგენილობა, ისე სიტყვის სემანტიკა.

სხვა იბ.-კავკ. შესატყვისები ამ ეტაპზე ვერ გამოვლინდა.

ს.-ქართვ. *სხალ- „სხლვა“

ქართ. სხლ-ავ-ს, ნა-სხლ-ევ-ი

სვან. ა-შხალ „განაყარი“

გახმოვანება, რომელიც სვანურ სახელშია შემორჩენილი [როგავა 1988ბ], ასახავს ფუძეენურ ვოკალიზმს; ამიტომაც *სხალ- არქეტიპის რეკონსტრუქცია ბუნებრივად გვესახება.

ს.-სინდ. *ჟსა- „მოჭრა“

აბაზ. ჟსა-რა, აფხაზ. ა-ხსა-რა „მოჭრა“

საერთოსინდური არქეტიპის რეფლექსები მხოლოდ აფხაზურ-აბაზურ ენებს შემორჩა; ეს უკანასკნელი საკმაოდ სრულ ინფორმაციას იძლევა ფუძეენური მდგომარეობის აღსადგენად.

როგორც მოსალოდნელი იყო, აფხაზურ-აბაზურ ენებში ბოლოვიდური ლ უკვალოდ არის დაკარგული. სხვა მხრივ, ს.-ქართვ. *სხალ- „სხლვა“ : ს.-სინდ. *ჟსა- „მოჭრა“ შეპირისპირებას წინა-აღმდეგობა არ ახლავს.

სხვა იბ.-კავკ. ენებში შესაბამისი ზმნური ძირები ჯერ-ჯერობით არ ჩანს.

ს.-ქართვ. *სხამ- „შხამი“

ძვ. ქართ. სხამ-ი „შხამი“, სხამ-ეან-ი „შხამიანი“, სხამ-ი „შხამი“ (საბა)

სვან. ცხამ „ღვარძლი“

აფრიკატიზაციის პროცესი სვანურში განვითარდა, რაც, საპირისპირო სპირანტიზაციის მოვლენასთან ერთად, ხშირია სვანურში. ძნელი სათქმელია ქართულ შხამ- ლა ლაზურ ჩხამ- სახელები აქ შემოდიან თუ არა. ამ ეტაპზე ვარჩევთ მათ დამოუკიდებლად განხილვას.

ს.-სინდ. *სხჷა „შხამი“

ყაბ. სხჷა „შხამი“

ფუძეენური რეფლექსაციის კვალი მხოლოდ ყაბარდოულში ფიქსირდება; სხვა ქვესისტემებში შესაბამისი ძირი დაკარგულია, ან სხვა ენებიდან არის ნასესხები. ასეთად მიიჩნევა აფხაზური ა-შჷამ „შხამი“ [ჭარაია 1912 : 16]. ვარაუდობენ თვით ყაბარდოული ალომორფის ქართველურიდან შესხებას [ბუკია 2016 : 59]. ცხადია, აფხაზური შესულია ქართულიდან, მაგრამ ყაბარდოული კანონზომიერ შესატყვისს წარმოგვიდგენს როგორც სტრუქტურული, ისე ფონემური შედგენილობის თვალსაზრისით. უპირველეს ყოვლისა, ეს არის პრეისტორიული მ-ს ხარჯზე თანხმოვნის ლაბიალიზაცია ხმ → ხჷ, ასევე ს : ს შესატყვისობა და ბოლოს ა-ს ადგილი ყაბარდოულში, რომლის ა შესატყვისიც ქართველური ფუძის ინლაუტში ინარჩუნებს ადგილს.

ს.-ქართვ. *სხარ- „წვიმა“

ქართ. სხარ-, ი-სხარ-ი „ჩქარი წვიმა“ (საბა)

ქართული ი-სხარ-ი ნაზმნარი სახელი ჩანს, ისევე, როგორც ი-სარ-ი გულისხმობს სრ-ოლა ზმნასთან კავშირს, ი-სხარ-იც აჩენს ეჭვს, რომ აწ გადაშენებული სხარ- „წვიმა“ ზმნური ძირისაგან არის ნაწარმოები.

ს.-სინდ. *შხა- „წვიმა“

ადილ. ჯე-შხე-ნ, ყაბ. ჯე-შხე-ნ „წვიმა“, შდრ. ადილ. ჟა-შხე, ყაბ. ჟა-შხ „წვიმა“, სადაც ჟა=ცა

უბიხ. -შხ-, თჷა-შხ „სეტყვა“

აფხაზური ა-ჩხჷ-რა „მოშარდვა“ და სვან. უჩხ-ა „წვიმა“ აქ ვერ შემოვლენ, სხვა ეტიმოლოგიის ძირებია.

ს.-სინდ. *შხე- „წვიმა“ : ს.-ქართვ. *სხარ- „წვიმა“ კანონზომიერი სტრუქტურულ-სემანტიკური შესატყვისობაა, როცა იგულისხმება ბოლოვიდური რ სონორის გაუჩინარება-დაკარგვა ჯერ კიდევ საერთოსინდურ ფუძე-ენაში.

ს.-ქართვ. *სხეტ- „ცივი; თოვლიანი“

ზან. (მეგრ.) შხან-ი „ცივი“, შხან-უფ-ი „ცივი ოფლი“

სვან. შხიჷ „თოვლიანი უფსკრული“

გაუგებარია სიტყვის ვოკალიზმი – სვან. ი : ზან. ა. სვანურში არასაუმლაუტო (უკუუმლაუტი) პოზიციამი ე → ი ან ა → ი განხორციელდა. მეგრულის ჩვენებიდან თუ ამოვალთ, საერთოქართველურში *სხეტ- ძირი უნდა გვექნოდა.

ს.-სინდ. *სჷხა „თრთვილი“

ადილ. სახ „თრთვილი“, ყაბ. ოგხა „სეტყვა /თოვლი წვიმასთან ერთად“

ყაბარდოული ფორმა, ნასესხობის სახით, აბაზურმა შემოგვინახა. ს.-სინდ. *სჷხა „თრთვილი“ არქეტიპის ქართველურთან სემანტიკურ-ფორმოზოგი სიახლოვე ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ძირის ლაბიალიზაციის კვალს აქ ვერ ვხედავთ, არადა ლაბიალიზაცია დალესტნურშიც (ქართველურით) საგრძნობია, შდრ. კუბაჩ. შახჷ „თრთვილი“.

ს.-ქართვ. *სხჷერ- „მსხვერვა“

ქართ. ნა-მ-მსხვერ-ევ-ი, მ-სხვერ-ევ-ა „მრავლად დამტვერვა“ (საბა)

სიტყვა მხოლოდ ქართულშია პოვნიერი, თანაც დისტრიბუციის მაღალი კოეფიციენტი. ჩანს, სათანადო შესატყვისები ვლინდება სინდურ (და არამარტო) ენებში.

ს.-სინდ. *სხჷჷ „ფხვნილი; ნაცრისფერი“

ადილ. შხჷა, ყაბ. სხჷა „ნაცრისფერი“

უზბიხ. შხჷა „ფხვნილი“

აფხაზურ-აბაზურ ენათა ფიქსირებულ ლექსიკაში შესატყვისები არ იძებნება. სემანტიკური კორელაცია უზბიხ. ფხვნილი ~ ადილ. ნაცრისფერი იმაზე მეტყველებს, რომ ადილურ ენებში ამ ძირს ნაცარი სემანტება ჰქონდა ძირითად მნიშვნელობად.

ქართველურში ზედმეტი რს შესატყვისი სინდურში ნულია. სხვათა შორის რ არ დასტურდება არც დალესტნურ მასალაში, შდრ. დარგ. შახჷა „მტვერი“.

ს.-ქართვ. *სხიჷ- „სხივი“

ძვ. ქართ. სხივ-ი, სხივ-ებ-ად, და-სხივ-ებ-ულ-ი: „რკინად დასხივებული“ [აბულაძე 1973 : 124].

სხივ- ფორმა პოვნიერია მხოლოდ ქართულში უძველესი პერიოდიდან დღემდის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მის შესატყვისებს ვერ ვპოულობთ სხვა ქართველურ ქვესისტემებში. თუმცა ამავედროულად საგულისხმო ჩანს ქართ. სხივ-ის შესატყვისად სვან. (ჩოლურ.) სხიჷ-ე „წითლად მოჩანს“ ზმნის მოხმობა [კელაურაძე 2016 : 34].

ს.-სინდ. *სეხჷ-ა „სხივი“

აფხაზ. ა-შჷახჷტ, ბზიფ. ა-სჷახჷტ „სხივი“

აფხაზური ალომორფები ამკარად ავლენენ ორმაგი ლაბიალიზაციისაკენ მიდრეკილებას, რაც ენაში რეგრესული ასიმილაციის მოქმედებით აიხსნება.

ს.-ქართვ. *სხიჷ- : ს.-სინდ. *სახჷ-ა კანონზომიერ ოპოზიციად მიიჩნევა.

ჯერჯერობით ვერ ვხედავთ პარალელებს იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის სხვა ჯგუფებიდან. საკითხი დამატებით შესწავლას მოითხოვს.

ს.-ქართვ. *სხრ- „ჟივილ-ხივილი“

ქართ. (იმერ.) სხრ-იალ-ი „ბავშვთა ხმაურობა – ტირილი“

ზან. (მეგრ.) რშხ-იოლ-ი „ჟივილ-ხივილი“

სვანური შესატყვისი არ ჩანს. ფუძე-ენაში აღწერილი ზმნა არ უნდა ყოფილიყო გახმოვანებული, რაზეც მეგრულში რ-ს მეტათეზისი მეტყველებს – შხრ- → რშხ-, შდრ. ქართ. ნისლ-ი: მეგრ. ნირს-ი. ძირის გახმოვანების შემთხვევაში, მეგრულში ფუძისეული ხმოვანი არ დაიკარგებოდა.

ს.-სინდ. *სხგ- „სიცილი“

ადილ. შხგ-ნ „სიცილი“

იმავე ძირის შემცველი ჩანს რთული შედგენილობის ფორმები ადილურ ენა-კილოებში, შდრ. ყაბ. დჰჰჰ-შხგ-ნ, ადილ. დჰჰჰ-შხგ-ნ „სიცილი; დაცინვა“ [შაგიროვი 1977, II : 149].

ს.-ქართვ. *სხრ- : ს.-სინდ. *სხგ- არქეტიპების კანონზომიერი შესატყვისი შეიძლება წარმოდგენილი იყოს უდიური ახშ-უმ-ფესუნ „სიცილი“ ზმნაში.

ს.-ქართვ. *სხ-უნ- „შენახვა“

ზან. (მეგრ.) შხუნ-ა „ნასვენი, შენახული მიწა“

სვან. შხუნ- „შენახვა“, ა-შხტნ-ი // ა-შხუნ-ი „შეინახავს“, ნა-შხუნ „შენახული“, ხ-ო-შხუნ-ი // ხ-ო-შხტნ-ი „შეუნახავს“

ქართული შესატყვისი ვერ გამოვავლინეთ. მეგრულშიც შხუნ-ა მხოლოდ ნასვენი მიწის მნიშვნელობით იხმარება. ცხადია, ნასვენი აქ დაუმუშავებელ, სპეციალურად შენახულს უდრის.

წ.-სინდ. *სუხ- „შენახვა“

ხათ. šuh „შენახვა; გაფრთხილება“

სინდურ ენებში მოსალოდნელი სტებხ- / შტებხ- ვარიანტები არ დასტურდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ჯერ კიდევ საერთოსინდურ ფუძე-ენას დაუკარგავს.

ხათურ-ქართველური იზოგლოსების შესატყვისი მასალას ვერ მივაკვლიეთ ვერც ნახურ-დალესტნურ ენებში.

ს.-ქართვ. *სხურ- „მოწინწკვლა, სხურება, დაჭრელება“

ძვ. ქართ. სხურ-ებ-ა „კურება, დაწინწკვლა / მოწინწკვლა“, სხურ-ებ-ულ-ი „მოწინწკლული“, მა-სხურ-ებ-ელ-ი

განმარტობით დგას ქართულში, ფიქსირდება უძველეს წერილობით ძეგლებში. სავარაუდოდ, საერთოქართველური ფუძე-ენიდან მომდინარეობს, ვინაიდან სარწმუნო იზოგლოსები ეძებნება როგორც სინდურ, ისე დალესტნურ და ნახურ ენებში.

ს.-სინდ. *სებტა- „წასმა“

ადილ. შებტა-ნ ← *შებტა-ნ, ყაბ. სებტა-ნ „წასმა“

ქართული სხურ- ნამდვილად შეიცავს სინდური ტა კომპლექსის შესატყვისს უ-ს სახით. უბრალოდ რ-ს (თუ -ურ-ის) ფუნქცია ხდება დასაზუსტებელი, ვინაიდან მისი მსგავსი სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში არ დასტურდება.

საყურადღებო ჩანს დალესტნური (ჭამალ. ლილა- / ლულა- „შეზავება“, ხინალ. ზიხ- „წასმა“) და ს.-ნახ. ჰახ- „წასმა, წაგლეხა, წაცხება“ იზოგლოსების ჩვენებაც.

ს.-ქართვ. *სჯ-ან- „ხსენი“

ძვ. ქართ. ვსენ-ი, ახ. ქართ. ხსენ-ი

ზან. (ლაზ.) ცხონ-ი „საჭმელი არის ყველის მსგავსი, მზადდება ახლად მოგებული ძროხის რძისაგან“

სვან. ლგჷ „ხსენი“

ცხადია, ქართულში ამოსავალი სკენ-ი ფონოტაქტიკური შეზღუდვის გამო ვსენ-ი შებრუნებული წყობით იქნა დაძლეული. ქართ. ს : სვან. ლ ბუნებრივია.

ს.-სინდ. *სგჳჳ-ა „ერბო, კარაქი“

უბიხ. სჳგჳა „ერბო, კარაქი“

აბაზ. ხჳშა, აფხაზ. ა-ხჳშა „ერბო, კარაქი“

სინდურ ენებში უჳ მეტია, იგი საკუთრივ სინდური მონაცემი ჩანს, რასაც დადესტნური შესატყვისიც ნათლად ამტკიცებს, შდრ. წახ. ყგშ „კარაქი, ერბო“.

ტ

ს.-ქართვ. *ტა- „ბალანი“

ქართ. (ქსნ., ქიზიყ.) ტა-ო „ბალანი; სიცივისაგან აშლილი ბალანი სახეზე“

დასტურდება მხოლოდ ქართული ენის დიალექტებში, თუმცა უდასტურდება სანდო შესატყვისები სინდურ და სხვა იბ.-კავკ. ენებში, რაც მისი ფუძემდური წარმომავლობის დასტურია. -ო სიტყვის ბოლოში სადერივაციო აფიქსი ჩანს.

ს.-სინდ. *ტა- „მცირე, ცოტა“

უბიხ. ტა „მცირე, ცოტა“

ისევე, როგორც ქართველურ ენებში, აქაც მხოლოდ უბიხურს შემორჩა ს.-სინდური ეტიმოლოგიის სიტყვა. ს.-სინდ. *ტა- : ს.-ქართვ. *ტა- სრული სტრუქტურულ-სემანტიკური თანხვედრით გამოირჩევა. მცირე / ცოტა ~ ბალანი ოპოზიცია გაგვახსენებს ქართ. ბეწვი და ბეწო/ბეწვა „ერთი ციციქნა“ ფუძეთა საერთო წარმომავლობის საფუძველს.

სარწმუნო ჩანს ეტიმოლოგიური კავშირი დადესტნურ ძირებთან, შდრ. არჩიბ. ტი „პატარა“.

ს.-ქართვ. *ტაბ- „თლა“

ქართ. (იმერ.) ტაფ-ვა „თლა, წვეტება“, წა-ტაფ-ვა „წათლა“, გურ. მო-ტაფ-ვა „მოსპობა, განადგურება“

სვან. ტაბ- / ტაბ- „თლა“, ა-ტაბ-ე / ა-ტაბ-ე „თლის“

გარდა გურულ-იმერული ფორმებისა, ცნობილია ლეჩხუმური ტაბ- ზმნური ძირი თლის მნიშვნელობით, რაც უშუალოდ სვანურიდან სესხებით უნდა აიხსნას (ა. ლიპარტელიანი).

ს.-სინდ. *ტუგ- „თხრა“

ადილ. ტგ-ნ, ყაბ. ტგ-ნ „თხრა“

უბიხ. ტუგ- „თხრა“, ა-ს-ტუგ-ნ „id“

ძირეული თანხმომავლის ლაბიალიზაცია უბიხურს შემოუნახავს უცვლელად. გარკვეულ გაუგებრობას ქმნის სემანტიკური კორელაცია თლა ~ თხრა, რასაც მარჯვედ უდგება დადესტნური ინფორმაცია, კერძოდ, ხინალულური ტუ-ი ზმნა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ჭრის მნიშვნელობა [აბდოკოვი 1983 : 181; სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 272].

სინდურ-დადესტნურში ძირეული თანხმომავლის ლაბიალიზაციის წყაროდ ბ ქცეულა, რასაც ს.-ქართვ. *ტაბ- ნათლად აჩვენებს.

ს.-ქართვ. *ტაბ-ელ- „მსხლის სახეობა“

ქართ. ტაბ-ელ-ა „ჩადუნასავით მცენარე“

ზან. (ლაზ.) ტოპ-ი „მსხლის ჯიშია“

საბა ლექსიკონში ფიქსირებულ ტაბელა სიტყვას განმარტავს როგორც „ჩადუნასავით“ მცენარეს. ფორმალურად ქართ. ტაბ- და ლაზ. ტოპ- ძირები კანონზომიერ მიმართებას აჩვენებენ; ბ → პ ლაზურში ასიმილაციით აიხსნება, მაგრამ დიდია სხვაობა მნიშვნელობის მხრივ – ჩადუნა ~

მსხლის ჯიში. საკითხი დამატებით კვლევას მოითხოვს, ვინაიდან სემანტიკური მხარე შეიძლება დამაბრკოლებელ სეგმენტად იქცეს.

ს.-სინდ. *ტამ-ა „ატამი; გარგარი“

უბიხ. ტემა „ატამი“

აბაზ. ტამა „გარგარი“, აფხაზ. ა-ტამა „ატამი“

უცნაურია მ-ს ფარინგალიზაციის საფუძველი, ვინაიდან არც ქართველურ და არც სინდურ ენებში ფარინგალური თანხმოვნის არსებობის არანაირი კვალი არ ჩანს; უფრო მეტიც, არ იკითხება ის არც დადესტნურ ენებში, შდრ. ბუდუხ. ტომბულ „ქლიავი“, ხინალ. ტუმბოლ „დამასკოს ქლიავი, დამასხი“, არჩიბ. ტუმმულ (← *ტუმბულ) „ყურძენი“.

ს.-ქართვ. ბ : ს.-სინდ. მ შესატყვისობის ახსნას დადესტნურ მბ კომპლექსში ვხედავთ, ანუ პალეოკავკასიურში *ტამბ- ძირი იყო პოვნეირი.

ქართული ატამ-ი, მეგრ.-ლაზ. ატამ-ა „id“, ოსური ატამი „id“ აფხაზური წარმომავლობისაა.

ს.-ქართვ. *ტალ- „ლაქა“

ქართ. ტალ-ი „ლაქა“

სვან. ტალ-/ტლ-, ლგ-ტლ-ურ-ე (ბზ.), ლგ-ტალ-ურ-ე (ბქ., ლნტ.), ლგ-ტალ-ურ-ე (ლმხ.) „დასახიჩრებული, ტალიანი“

მეგრული ტალ-ი „ლაქა“ ქართულიდან ჩანს ნასესხები; მოსალოდნელი იყო ტოლ-ი სახეობის ფუძე, რომელიც არ დასტურდება კოლხურის გამოქვეყნებულ ტექსტებსა და ლექსიკონებში.

ს.-სინდ. *ტუა- „მუწუკი“

უბიხ. ტუა „მუწუკი“

სიტყვა განმარტოებით დგას უბიხურში, მაგრამ უკვე მითითებულია მის შესატყვისებზე ნახურსა და დადესტნურში, რომელთაგან საყურადღებოდ მივიჩნევთ რუთულურ ტურ „სიმსივნე“ სიტყვასთან გენეტიკურ კავშირს [აბდოკოვი 1983 : 136].

სინდურ-ქართველურ არქეტიპებს ასევე კანონზომიერად შეესატყვისება ჩეჩნ. ტედა, ინგუშ. ტადნ „ჭორფლი, ლაქა“ ალომორფები [ჩუხუა 2008 : 490].

ს.-ქართვ. *ტან- „წლის დეკეული“

ქართ. ტან-ა „წლის დეკეული“ (ჩუბინაშვილი)

სიტყვა განცალკევებით დგას ქართულში, მაგრამ, სავარაუდოდ, ფუძემდური ეტიმოლოგია ახასიათებს მას. ბოლოკიდური -ა ძირის კუთვნილებას არ წარმოადგენს, აფიქსური ჩანს.

ს.-სინდ. *ტვ- „ვერძი“

ადიდ. ტვ, ყაბ. ტვ „ვერძი“

უბიხ. ტვ „ვერძი“

სპეციალურ ლიტერატურაში სიტყვათა ამავე რიგში ასახელებენ აფხაზურ ა-თვ, აბაზ. თვ „ვერძი“ ალომორფებსაც [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 406]. ასეთი კავშირი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ დამტკიცდება ტ → თ დეგლოტალიზაციის პროცესის რეალურობა აფხაზურ-აბაზურში.

ს.-სინდ. *ტვ- : ს.-ქართვ. *ტან- არქეტიპების კანონზომიერი შეესატყვისი უნდა ჩანდეს არჩიბულ ოტი „ცხვარი“ სიტყვაში.

სემანტიკური ოპოზიცია ვერძი ~ ცხვარი ~ დეკეული ბუნებრივად გვესახება.

ს.-ქართვ. *ტანტ-ალ- „სუფთა; გასუფთავება“

ქართ. (იმერ.) ტანტალ-ი, გა-ტანტალ-ებ-ა „ძლიერ გასუფთავება“

სიტყვა განმარტოებით დგას ქართულში, თუმცა, გამომდინარე სარწმუნო სინდური შესატყვისებიდან, არ გამოვრიცხავთ მის ფუძეენურ წარმომავლობას.

ს.-სინდ. *ტატ-ა „ლამაზი, მშვენიერი“

აბაზ. ტატა, აფხაზ. ტატა „კარგი, ლამაზი, მშვენიერი“

ჩერქეზული შესატყვისები ვერ გამოვლინდა. მიუხედავად ამისა, საერთოსინდური არქეტივის რეკონსტრუქცია, საკმაო სიზუსტით, შესაძლებელი ხდება. ვფიქრობთ, ს.-ქართვ. *ტანტ-ალ- „სუფთა, გასუფთავება“ ~ ს.-სინდ. *ტატ-ა „ლამაზი, მშვენიერი“ ნორმალურ სემანტიკურ-სტრუქტურულ მიმართებას აჩვენებს.

ამ ეტაპზე ნახური ან დადესტნური იზოგლოსები ვერ მოვიძიეთ.

ს.-ქართვ. *ტარ- „კერიის ქვა“

ზან. (ლაზ.) ო-ტრ-ებ-ი „ქვა კერასთან, რომელზეც დებენ შეშის თავს“; „კერა“, შდრ. ო-ტრ-ებ-ულ-ე „კერია“

ლაზურში ძირად ტრ- გამოიყოფა, რომელიც რედუქციის მომდევნო საფეხურს ასახავს. სავსებით პირობითია ჩვენ მიერ ა ვოკალიზმის პოსტულაცია, იგი სინდურ მაჩვენებელს ეყრდნობა.

ს.-სინდ. *ტარ-ჰ „კერია (ადგილი)“

ჩერქ. {ტარჰ}

აბაზ. -თარა, სიტყვაში შგჰ-ტარა „ადგილი კერიასთან“, აფხაზ. -თარა, სიტყვაში ახუმ-თარა „კერა, კერია“

ჩერქეზული შესატყვისი შემორჩენილი ჩანს ოსურში, შდრ. ოს. (დიგ.) ტარჰ „ქვესადგომი (ქვის ან რკინისა) შეშისათვის კერიასთან“.

ოსურ-სინდურ-ქართველური მასალა მოიხმო და ერთმანეთთან დააკავშირა ვ. აბაევმა [აბაევი 1989, IV : 355].

ს.-ქართვ. *ტარ- „სვლა“

ძვ. ქართ. ტრ-ვ-ა „სლვა“, ად-ტრ-ვ-ა, ს-ტრ-ევ-ა, წარ-ი-ტარ-ა

მართალია, ქართ. ტარ-/ტრ- ზმნას შესატყვისები არ უდასტურდება ახლომონათესავე ქართველურ ენა-კილოებში, მაგრამ კარგად არის იგი ცნობილი ამავედროულად უძველესი ტექსტებიდან: „დაწერა მოსემან ტრ ვ ა ნ ი მათნი და სადგურნი მათნი“; „მოიქეცით და ა ღ ი ტ რ ე ნ ი თ თქუენ“; „ა ღ ტ რ ვ ა ს ა ბანაკისასა“ [აბულაძე 1973 : 413; 22]. ამავე ტარ- ძირს გამოყოფენ ნ ა ვ ი ს მ-ტარ-ვ-ალ-ი შესიტყვებაშიც [ჭოხონელიძე 1999 : 62-63].

ს.-სინდ. *ტუჰ- „სვლა“

უზბიხ. -ტუჰ „სვლა“, სიტყვაში ბაწა-ტუჰ „ქვემოდან გამოსვლა“

ძირად -ტუჰ- გამოიყოფა უზბიხურში, ვინაიდან ბაწა დამოუკიდებლადც არსებობს და ქვეშ ზმნისართია.

ს.-ქართვ. *ტარ- „სვლა“ : ს.-სინდ. *ტუჰ- „სვლა“ კიდევ ერთხელ ადასტურებს რ → უ ლაბიალიზაციის პროცესის რეალურობას ფუძესინდურში.

შეიძლება, ამავე წარმომავლობისა იყოს: ანდ. ტარ-დი, ლოდობ. ტარ-ი, კარატ. ტარ-ე „ჩქარა წავიდა, გაიქცა; ირბინა“ ფორმებში გამოყოფილი ტარ- ზმნური ძირიც.

სხვა კონტექსტში ი. ბრაუნი ძველქართულ ტარ-/ტრ- ზმნას უდარებდა ბასკურ e-torr-i ფორმას [ბრაუნი 1998 : 66].

ს.-ქართვ. *ტარბ- „შოშიასებური ფრინველი“

ქართ. ტარბ-ი „სელევკო“ (საბა) [Pastor rozeus] „შოშიასებური ფრინველი, რომელიც მწერებს ანადგურებს“

სხვა ქართველურ ენა-კილოებში შესატყვისები არ ჩანს. ქართული ლექსემის მონათესავე ძირ-ფუძეები კი უხვად არის წარმოდგენილი იბ.-კავკ. ენათა ოჯახში, განსაკუთრებით დაღესტნურ ქვეჯგუფებში.

ს.-სინდ. *ტგ- „ბუ“

ადიდ. თგ-ღურგღგ, ყაბ. დგ-ღურგღღ „eagle-owl“

აბაზ. ტგ, აფხაზ. ა-ტგ „ბუ“, ა-ტგ-ჭუარჭუარ

სინდურ ენებში შეიმჩნევა თ/დ/ტ სუბსტიტუცია, მაგრამ ამოსავალი ვითარება ამ შემთხვევაში აფხაზურ-აბაზურს დაუცავს.

ს.-ქართვ. *ტარბ- : ს.-სინდ. *ტგ კარგად აჩვენებს ძირის ცვითის ხარისხს სინდურ ენებში, რაშიც დაღესტნური ინფორმაცია ასევე რელევანტური ჩანს, შდრ.: დიდ. ტუმი, ხვარშ. ტემა, ბეჟიტ. ტიმო „მტრედი“, დარგ. ტუმა, ლეზგ. ტიბ, თაბას. ტიფა, რუთულ. ტგბ, კრიწ. ტუბ „ბუ“.

ს.-ქართვ. ტაჯა- „ერთგვარი ჭურჭელი“

ქართ. (ინგილ.) ტაყა-მ „ერთგვარი ჭურჭელი“

ვითვალისწინებთ რა ფარინგალური გლოტალიზაციის ცნობილ ჯ → ყ ფონეტიკურ პროცესს ინგილოურ დიალექტში, საერთოქართველური ფუძე-ენისათვის აღვადგენთ *ტაჯა- არქექტიპს, რომელსაც შთამბეჭდავი პარალელები ეძებნება როგორც სინდურ, ასევე დაღესტნურ და ნახურ ენებში.

ს.-სინდ. *დაჯა „დოქი; ვაზა, ჭურჭელი“

უბიხ. ნდაყა „დოქი; ლარნაკი, ჭურჭელი“

სინდური ენებიდან სათანადო ფუძე მხოლოდ უბიხურ ენაში დასტურდება. ანლაუტური ნ ფონეტიკური დანართი ჩანს დ დენტალის წინა პოზიციაში.

ვუშვებთ ჯ → ყ ფარინგალური გლოტალიზაციის პროცესს უბიხურში, ამიტომაც რეკონსტრუირდება *დაჯა ვარიანტი.

სხვა იზოგლოსებიდან საყურადღებოა ნახური (ჩეჩნ. ტაჯა, ინგუშ. ტაჯა „თავლია კასრი შრატისათვის“) და დაღესტნური (დარგ. ტაყა, ალულ., რუთულ. ტაქ, კრიწ. ტაქ „გეჯა“; „კალათი“) შესატყვისები.

ს.-ქართვ. *ტეუ- „დატოვება; გაშვება“

ძვ. ქართ. ტევ-, და-მ-ი-ტევ-ა, გან-ტევ-ებ-ამ „დატოვება, გაშვება“, შდრ. ქართ. და-ტოვ-ებ-ა

ზან. (მეგრ.) გო-ტ-ებ-ა „გაშვება“, დო-ტალ-ებ-ა „დატოვება“, ქოდრ-ტუ „დაიტოვა“, ლაზ. დო-მ-ი-ტალ-ეს „დამიტოვეს“

ჟ/ლ მონაცვლეობა შეიმჩნევა როგორც საკუთრივ ზანურში, ისე ქართულ-ზანურ შესატყვისებშიც, შდრ. ქართ. ყევ-არ-ი : ზან. (მეგრ.) მა-ჟალ-ე „წყვილიდან ერთ-ერთი, პარტნიორი“... ამ შემთხვევაში ამოსავალ ვითარებას, ალბათ, ქართული აჩვენებს [კლიმოვი 1964 : 80].

ს.-სინჟდ. *ტუჟ- „ყოფნა / დარჩენა; გასვლა“

უბიხ. ტუჟ- „გასვლა (გარეთ)“

აბაზ. ტუჟ- „ყოფნა, დარჩენა“, აფხაზ. ტუჟ- „id“

მნიშვნელობის განვითარების თვალსაზრისით, უბიხურსა და აფხაზურ-აბაზურს შორის შეინიშნება ოპოზიცია გასვლა ~ ყოფნა / დარჩენა, რასაც ქართველურში ერთი ენის ფარგლებშიც ვხვდებით, ანუ ფუძე პოლისემიურია, რაც მის ფუძეენურ სემანტიკაზე მიუთითებს. ამ კუთხით უინტერესო არ უნდა იყოს გაშვება ზმნის არსებობა ადიღურ ენა-კილოებში, შდრ. ყაბ. ჟგ-ტგ-ფს

„გაშვება, განთავისუფლება“, ადიდ. ტუ-ფს „გაუშვი“ отпусти. საკითხი ისმის მათი გენეტიკური ერთიანობის შესახებაც.

სინდურ-ქართველურ ძირებს მიესადაგება დიდოური ეტუ-ა „გაშვება“ [ლაფონი 1952 : 71].

ს.-ქართვ. *ტეუ- „მტევანი; ნაწილი (კაუჭიანი)“

ქართ. მ-ტევ-ან-ი

ზან. (ლაზ.) ტაბ-უ „ხელის გული; ფეხის გული“, ტაბ-ან-ი „კავის კაუჭიანი ნაწილი“, შდრ.

მეგრ. ტაბ-ან-ი „ძირი“

ძირად ტეუ- / ტაბ- გამოიყოფა ქართველურ ენებში, ხოლო -ან/-უ სადერივაციო აფიქსებია; შდრ. ბგერათშესატყვისობა ქართ. ე ზან. ა. უ/ვ → ბ მეორეული ფონეტიკური პროცესი საკუთრივ ზანური ინოვაცია ჩანს.

ს.-სინდ. *ტუჲ „სახელო, ყუა“

ყაბ. ტგ-, სიტყვაში ტგ-გუ „ნაჯახის ყუა“

უბიხ. ტუა „სახელო“

ცალკე სეგმენტად გამოყოფილი ყაბარდოული გუ შეიძლება, ინახავდეს დაღესტნური (დიდოური) ოგ/ონგ „ნაჯახი“ ფუძის შესატყვის ფორმას, ანუ ტგ „ყუა“ + გუ „ნაჯახი“ [შდრ. კვახაძე 2014 : 151]. უბიხურ-ყაბარდოულ ალომორფთა შედარებითი ანალიზი არკვევს, რომ მოცემულ შეპირისპირებაში მეორდება ის გამონაკლისები, როცა უბიხური აჩვენებს ხოლმე არქაულ ვითარებას ლაბიალიზებული თანხმოვნების შენარჩუნებით.

სემანტიკური კორელაცია მტევანი ~ სახელო / ყუა კანონზომიერებას ექვემდებარება. ასევე, ძირის სემანტიკა მეგრულში არ არის შემთხვევითი ყუასთან კონტექსტში, ვინაიდან იგივე შინაარსი შეიძლება ერთი ფუძის ფარგლებშიც შეგვხვდეს, შდრ. სვან. ყუუა „ყუა, ძირი“.

ს.-ქართვ. *ტელ- „დიდი, ვრცელი“

ქართ. (ინგილ.) ტელ-ა-ფ „ბრტყელი“

ზან. (მეგრ.) ტალ-არ-ი // ტალ-ერ-ი „ვრცელი“, ტარ-ბულა „დიდი, საჯიშე ბულა“

ტარ-ბულა ფორმაში ლ-ს ნაცვლად რ-ს გამოჩენა შედეგია ზანურისათვის დამახასიათებელი ლ + თანხმოვანი → რ + თანხმოვანი ტრანსფორმაციისა, რასაც ცნობილი ფონოტაქტიკური ზემოქმედვა დაედო საფუძვლად.

წ.-სინდ. *ტელი-ი „დიდი“

ხათ. teli // tili „დიდი; გრძელი; მაღალი“

სიტყვის პოლისემიურობა – დიდი / გრძელი / მაღალი გამომდინარეობს ძირითადი დიდი სემანტიკიდან. ვფიქრობთ, დასაშვებია იმავე teli ზედსართავი სახელის მონაწილეობა teli-pinu „ღვთაება ტელიფინუ“ თხზულ სიტყვაშიც, სადაც teli აღნიშნავს დიდს, ხოლო pinu შვილის აღმნიშვნელი ხათური სიტყვა უნდა იყოს, ანუ teli-pinu = დიდი-შვილი.

ხათურ-ქართველური იზოგლოსების კანონზომიერი შესატყვისი უნდა ჩანდეს დაღესტნურშიც, შდრ. ბეჟიტ. რატჲ „უფრო დიდი“, რომელიც შებრუნებული წყობის ალომორფია.

ს.-ქართვ. *ტენ- „ნამი“

ქართ. ტენ-ი „ნამი“, ნ ა მ ი სხვათა ენაა, ტ ე ნ ი ჰქვიან ქართულად“ (საბა)

ზან. (ლაზ.) ტენ-ი „ნამიანი“

გვაკლია სვანური შესატყვისი. თავად ქართულშიც ტენ-ის ადგილი, როგორც საბას განმარტებიდან გამოჩნდა, ნასესხებ ნ ა მ ი სიტყვას დაუკავებია, რასაც შესაბამისი ლაზური ალომორფიც ამტკიცებს.

ს.-სინდ. *ტჲ- „მცირე წვიმა“

აფხაზ. -ტა, სიტყვაში ა-ქვა-ფსა-ტა „ჟუჟუნა წვიმა“

შეიძლება გვეფიქრა ჩერქეზულ (resp. ყაბარდოულ) უა-ტგ „სველი“ ფორმაზეც, მაგრამ უკრიანი ჩანს მისი განხილვა უბიხურ ტგ „თხევადი, სველი“ სიტყვასთან ერთად (იხ. აქვე *ტიჟ-).

ს.-სინდ. *ტჰ- : ს.-ქართვ. *ტენ- კანონზომიერად მიემართებიან ურთიერთს. სიტყვის აუსლა-უტში ნ-ს გაუჩინარება დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესი ჩანს საერთოსინდური ფუძე-ენისათვის.

ს.-ქართვ. *ტიჟ- „მდორე წყალი“

სვან. ტიჟ „მდორე წყალი“

ა. ლიპარტელიანი სვან. ტიჟ სიტყვის განმარტებისას ახსენებს ქართ. ტივ-, ა-ტივ-ნ-არ-ებ-ა ზმნას, რომლის მნიშვნელობა დასადგენი ჩანს [ლიპარტელიანი 2014 : 245].

ს.-სინდ. *ტგ- „თხევადი“

ყაბ. უა-ტგ „სველი“

უბიხ. ტგ „თხევადი; სველი, ნოტიო“

არ გამოვრიცხავთ საერთოსინდურში *ტგჟ- არქტიპის არსებობის შესაძლებლობასაც, ვინაიდან, ქართველურის გარდა, დაღესტნურ მონაცემებშიც წყვილბაგისმიერი სეგმენტები ასევე პოვნიერი ჩანს, შდრ.: ინხოყვ. ატამ-უ, დიდ. ატაჟ „სველი; ტენიანი“.

ადიდ. ძგ-ტატგ-ნ, აბაზ. ტტა-რა, აფხაზ. ა-ტტა-რა „მსხვილად წვეთა; დინება“ სხვა ძირი უნდა იყოს [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 659].

ს.-ქართვ. *ტილ- „ტილი“

ქართ. ტილ-ი

ზან. (ლაზ.) მტი // მტირ-ი, მეგრ. ტი (მაგრამ ტირ-ს მიც. ბრ. მარტვ. თქმ.) „ტილი“

სვან. ტიმ „ტილი“

მრავალმხრივ საყურადღებო ძირი ჩანს. ჯერ ერთი ქართ. ტილ- / სვან. ტიმ უნდა გავმიჯნოთ ქართ. ტის-ნ-ა ზმნისგან, ვინაიდან მას ზან.-სვან. ტიმ- შეეფარდება, ხოლო სვან. ტიმ „ტილი“ ისევე მიემართება ქართ. ტილ-ს (ლ : შ), როგორც სვან. ჭუმ „ვაჟი“ : ქართ. წულ-ი „ვაჟი“, ანუ ტის-ნ- ზმნაში ამოსავალია ს-იანი ფორმა, მაშინ, როდესაც ტილ-ისთვის ლ არის უწინარესი. უბრალოდ სხვადასხვა ძირებია [იხ. კლიმოვი 1998 : 188; ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 434].

ს.-სინდ. *ტგ- „ტილი“

უბიხ. ტა-კ „ტილი“, ტა-წ „წილი“

სინდური ენებიდან მხოლოდ უბიხური აგრძელებს ფუძეენურ ტრადიციას, მხოლოდ მას შემორჩა სავარაუდოდ საერთო იბ.-კავკ. ფუძე-ენიდან მომდინარე სინდური რეფლექსი. ვინაიდან წილის აღმნიშვნელ დაღესტნურ ძირებში ნათლად ჩანს ს.-ქართვ. *ტილ- : ს-სინდ. *ტა არქტიპთა ზუსტი შესატყვისები: ანდ. ტან-ა, ახვაზ. ტან-ი..., დარგ. (ჩირგ.) ნეტ, არჩიბ. ნატ, აღულ. ნეტ/ნიტ, თაბას. ნიტ, კრიწ. ტე, უდ. ტე „წილი“, შდრ. ინგუშ. ტოლ-გ : ლაკ. ტუ „id“.

ს.-ქართვ. *ტილიფ- „მთის ღვალო; ტირიფი (?)“

ქართ. (ჯავახ.) ტილიფ-ი „მცენარეა, ტირიფი“, ლეჩხ. ტილიფ-ობ-ა „რელიგიური დღესასწაული“

სვან. ტელეფ-ი (ბზ., ლშხ.), ტელეფ-ი (ბქ., ლნტ.) „მთის ღვალო“

დიალექტური ტილიფ- სახელი სვანური ტელეფ- / ტელეფ- ძირის კანონზომიერი შესატყვისი ჩანს. ქართული ტირიფ-ი შეიძლება სხვა ძირი იყოს, რომელმაც ჯავახურის მნიშვნელობაზე იქონია ზეგავლენა.

ს.-სინდ. *ტგჟგ- „ერთგვარი ხე“ Vibrunum Opulus

აბაზ. ტგუფ-წლა, აფხაზ. ა-ტგფ-წლა (მცენ.) *Vibrunum Opulus*

ჩერქეზული მონაცემები ვერ გამოვავლინეთ, თუმცა, ვფიქრობთ, აფხაზურ-აბაზური ალო-მორფები ზუსტად ასახავენ ფუძეენურ მდგომარეობას. სინდურ-ქართული არქტიპების შეპირისპირება ნათლად წარმოაჩენს სტრუქტურულ-მატერიალურ იგივეობას. აქვე თავჩენილია კანონზომიერი და რეგულარული ბგერათმესატყვისობა ს.-ქართვ. ლ : ს.-სინდ. უ, რაც უნდა აიხსნას ლ → უ სვანურისებური ტრანსფორმაციით ფუძესინდურში.

ს.-ქართვ. *ტიტინ- „სითხით გავსება“

ზან. (მეგრ.) ტიტინ-აფ-ა „სითხით გადავსება“, გო-ტიტინ-აფ-ილ-ი „სითხისგან გავსებული, გადავსებული“

სვან. ლი-ტგტგნ-ე „პირთამდე სითხით გავსება“, ლგ-ტგტგნ-ე „პირამდე სავსე, გადამდინარე“

შესაბამისი ქართული ძირი დაკარგული ჩანს, ვინაიდან ქართული ტენ- (ტენ-იან-ი) სხვა ძირი გვგონია, შდრ. ზან. (ლაზ.) ტენ-ი „ნამიანი“. სხვადასხვა მკვლევარი (ზოგჯერ ერთი და იგივე ავტორიც) ამ ქართველური ძირების ურთიერთგამომრიცხავ რეკონსტრუქციებს გვთავაზობს [იხ. კლიმოვი 1964 : 180; კლიმოვი 1998 : 186; ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 430].

ს.-სინდ. *ტგტგ- „დინება; მსხვილად წვეთა“

ადილ. ძგ-ტატგ-ნ, ყაბ. ძგ-ტატგ-ნ „დინება; მსხვილად წვეთა“

აბაზ. ტტა-რა, აფხაზ. ტტა-რა „დინება; მსხვილად წვეთა“

უბიხური ეკვივალენტი ჩვენთვის უცნობია.

ს.-ქართვ. *ტიტინ- : ს.-სინდ. *ტატგ- არქტიპთა შესატყვისი უნდა იკითხებოდეს ჰინუხურ ატტუ „სველი; ტენიანი“ სახელში, რომელსაც წ.-თუშ. ტატ-ენ „id“ სახელს უკავშირებენ [მეტი დად. იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 659].

ს.-ქართვ. *ტილუ- „მსუქანი; უბუმბულო“

ქართ. ტიღვ-ი, ტიღვ-ელ-ი

ზან. (მეგრ.) ტიღვ-ალ-ი „მსუქანი“, ო-ტიღვ-ინ-ან-ს „ჩაპუტკუნებულია; მსუქნად, ზრდასრულად გამოიყურება“

შესაბამისი ძირი სვანურში არ იძებნება. ქართულ-ზანურში პოვნირი ტიღვ- ფუძეენურ წარმომავლობას გულისხმობს. ამასვე უჭერს მხარს გარეენობრივი მასალა.

ს.-სინდ. *ტგლუა- „დამწიფება“

ადილ. ტგლუა-ნ, ყაბ. ტგლუა- „დამწიფება“

უბიხ. ტგლუა- „დამწიფება“

სინდური მაჩვენებლებიდან აფხაზურ-აბაზური გვაკლია, ამიტომაც ფუძეენური მდგომარეობის რეკონსტრუქცია მხოლოდ ჩერქეზულის ნიადაგზე ხორციელდება.

სტრუქტურადაც ს.-ქართვ. *ტილუ- : ს.-სინდ. *ტგლუა- უნაკლოა, ა „ზედმეტი“ სინდურში, რაც საკუთრივ ამ ენათა მონაცემი ჩანს, შეიძლება აფიქსურიც.

სემანტიკური კორელაცია *სიმსუქენე ~ სიმწიფე* კანონზომიერებას ექვემდებარება.

ს.-ქართვ. *ტკაუ- „მტკაველი“

ძვ. ქართ. მ-ტკავ-ელ-ი, მ-ტკავ-ლ-ეულ-ი, ციდა-მ-ტკავ-ელ-ი „მაიმუნი“

ზან. (მეგრ.) ტკო-უ // ტკუ // ტკუ, ლაზ. მტკო „მტკაველი“

ძირად ტკავ-/ტკო- გამოიყოფა, მ-ელ და მ-უ კონფიქსებია [შდრ. კლიმოვი 1964 : 138; ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 337].

ს.-სინდ. *ტაკუ- „პატარა, მცირე, ცოტა“

ადილ. ტაკუ, ყაბ. ტაკუ „პატარა, მცირე; ცოტა“

უბიხ. ტაკუ „ცოტა“

აბაზ. ტაკუ, აფხაზ. ა-ტაკუ „პატარა, ცოტა“

სახელური ძირი სრულად არის წარმოდგენილი აფხაზურ-ადიღურ ენებში. სემანტიკური კორელაცია მტკველი ~ პატარა ადვილად აიხსნება, თუ მოვიშველიებთ ქართ. ციდა სიტყვის მნიშვნელობებს: 1. ციდა; 2. ძალიან პატარა.

დადესტნური ენებიდან სინდურ-ქართველურ ძირ-ფუძეთა კანონზომიერი შესატყვისი ჩანს დიდ. ტაკ-ი „პატარა“, რომელთანაც არაფერი ესაქმება ხუნძ. ტინა-ბ „id“ სახელს [შდრ. აბდოკოვი 1983 : 185].

ს.-ქართვ. *ტკუარ- „მტკვარი, მდინარე“

ქართ. მტკუარ-ი, მტკვარ-ი „მდინარე“

ზან. (ლაზ.) ტკურ-ა „მტკვარი“

პროფ. ნ. ქუთელია პირად საუბარში აფიქსირებდა ლაზურში ტკურა „მტკვარი“ ფორმის არსებობას. ეს მოულოდნელი არც უნდა იყოს ბერძ. (→ რუს.) კურა ალომორფის არსებობის ფონზე.

ს.-სინდ. *ტკუა- „დინება, წვეთა“

ადიდ. ძაღა-ტკუა-ნ, ყაბ. ფგ-ტკუგ-ნ „დინება, წვეთა“, შდრ. ადიღ. ტკუა-ფს „წვეთი“, ტკუგ-„დინება“

ს.-სინდ. *ტკუა- „დინება, წვეთა“ კანონზომიერად მიემართება ს.-ქართვ. *ტკუარ- „მტკვარი, მდინარე“ არქეტიპს და იძლევა გასაღებს საქართველოს ცენტრალური მდინარე მტკვარ-ის ეტიმოლოგიზების გზაზე. შეიძლება რ სონორი აქაც დაკარგა საერთოსინდურმა ფუძე-ენამ.

ს.-ქართვ. *ტომ- „ერბოიანი საჭმელი“

ზან. (ლაზ.) ტუმბ-უ „საჭმელია ერბოთი და შაქრით“

ათინურ კილოკავში პოვნიერი ტუმბუ სახელის ამოსავალი ლაზური ფორმა ტუმუ სახეობისა უნდა ყოფილიყო; ვინაიდან მ → მბ ფონეტიკური პროცესი ძირითადად ამ მეტყველებისთვის არის დამახასიათებელი, შდრ. ლაზ. ნთხომუ, ათინ. ნთხომბუ : ქართ. თხმელ-ა, ლაზ. თხომურ-ი, ათინ. თხომბურ-ი / თხომბრ-ი : ძვ. ქართ. თხრამლ-ი [ჩიქობავა 1938 : 74; 129].

ქართულში სამიებელია ტომ-/ტომ-ლ-/ტომ-ილ-/ტომ-ელ- სახეობის ფუძე, რომელიც ჯერ-ჯერობით არ ჩანს გამოქვეყნებულ ტექსტებში.

ს.-სინდ. *ტუან- „ბულიონი“

აბაზ. ჭუან (← *ტუან), აფხაზ. ა-ტუან „წვენი, ბულიონი“

ჩერქეზული ალომორფები ჯერაც არ არის გამოვლენილი, ამიტომაც გვიხდება საერთოსინდური არქეტიპის რეკონსტრუქცია მხოლოდ აფხაზურ-აბაზური მონაცემების გათვალისწინებით.

ს.-ქართვ. *ტომ- : ს.-სინდ. *ტუან- კანონზომიერი ჩანს როგორც ფონემური, ისე სემანტიკური ოპოზიციის თვალსაზრისით. სიტყვის აუსლაუტში ნ-ს შენარჩუნება, ალბათ, მ → ნ პროცესის გამო მოხდა ფუძესინდურში.

ს.-ქართვ. *ტრიბ- „ჯდომა; საჯდომი“

ზან. (ლაზ.) ტრიბ-ი „საჯდომი“

სიტყვა პოვნიერია ლაზურში. რომელიც პროგრესული ასიმილაციით მიღებული ჩანს ფუძეენური ტრიბ- მჟღერი სახეობისაგან. ვინაიდან ტრიბ-ი განიმარტება, როგორც საჯდომი [თანდილავა 2013 : 759], ცხადია, უნდა გვექნოდა ტრიბ- ჯდომის აღმნიშვნელი ზმნაღ.

ს.-სინდ. *ტრუგ- „ჯდომა“

ადიდ. ტგ-სგ-ნ „დაჯდომა“, შდრ. ღა-ტგ-ლგ-ნ „წოლა“

უბიხ. ტრუ-ს „ჯდომა“

აბაზ. ჭტა-რა, აფხაზ. ა-ტტა-რა „ჯდომა“, ა-ტტა-რა „საჯდომი; უკანალი“

დელაზიალიზაციის ტტ → ტ პროცესი საცნაურია ადიღურში, ხოლო აბაზური ასევე მეორეულ ტტ → ჭტ აფრიკატიზაციის ტენდენციას ავლენს. აფხაზური ალომორფები კარგად აჩვენებს *ჯდომა ~ საჯდომი* სემანტიკური კორელაციის სიცხადესაც.

ქართველური რ (*ტრიბ-) სონორის შესატყვისი უცხოა აფხაზურ-ადიღური ენებისათვის. რ-ს ფარდი ელემენტი არ ჩანს არც დაღესტნურ მასალაში, შდრ. ხუნდ. ტამ-, ბაგვალ., ტინდ., ჭამალ. ტან-, ანდ., ბოთლიხ., კარატ., ახვახ. ტამ- „ჩასმა“ [აბდოკოვი 1983 : 18].

ს.-ქართვ. *ტუმ- „ტყავი / გატყავება“

სვან. ტუმ- / ტუმ-ი, ხ-ა-ტმ-ე, ხ-ა-ტუმ-ე (ბქ.) „ატყავებს“, ლი-ტმ-ე, ლი-ტუმ-ე „ტყავის გამძრობა“, ოთ-ტუმ-ირ „გაამძრო ტყავი“

ტუმ- სიტყვა სვანურში ჯერჯერობით განმარტოებით დგას. მას სარწმუნო გარეენობრივი პარალელები უდასტურდება, რაც მის ფუძეენურ წარმომავლობაზე მეტყველებს.

ს.-სინდ. *თამ-ნ „ფრთა“

ადიღ. თამნ, ყაბ. დამნ „ფრთა“

აფხაზურ-აბაზურ ენებში მოსალოდნელი ტამ- ძირი არ იძებნება, ამიტომაც იძულებული ვართ, რეკონსტრუქცია ადიღურ ენა-კილოთა ჩვენების მიხედვით მოვახდინოთ. ძირის გლოტალურ ბუნებაზე ნათლად მეტყველებს სათანადო დაღესტნური მასალა, შდრ. ლაკ. ტიმუ „ნაკრტენი, ბუმბული“.

სემანტიკური თვალსაზრისით, ოპოზიცია *ფრთა ~ ტყავი ~ ბუმბული* მისაღები ჩანს.

ს.-ქართვ. *ტყებ- „ველური, ტყიანი ადგილი“

ზან. (მეგრ.) ტყაბ-ი „ტყიური“, ტყაბ-თხირ-ი „ველური თხილი“

სვან. ტყუეფ „ყამირი ადგილები, მხარეები“

გვაკვლია ქართული შესატყვისები. სვანურში ტ-ს გაჩენა მეორეულია, ჩანს ასიმილაცია მოხდა ბოლოკიდური ფ-ს ზეგავლენით – ტყეფ → ტყუეფ.

ს.-სინდ. *ტყუა-ნ „მთა“

ადიღ. (ჭემგ.) ტუა-ჭ (← *ტყუა-კ) „მთებს შორის მოქცეული ხეობა“

ჩერქეზულ ენათა სპეციალისტები საძიებო ფუძეში აღადგენენ A სისტემის ჰარმონიულ-დეცესიურ ტყუ „კომპლექსს, რომელიც ყველა ადიღურ კილო-თქმაში (გარდა შაფსუღურისა) დეფარინგალიზაციას განიცდის: ტყუ → ტყუ → ტუ. რაც შეეხება გამონაწევრებულ -ჭ სეგმენტს, იგი ხეობის აღმნიშვნელ ძირად მიიჩნევა [კვახაძე 2014 : 29, 34].

ს.-ქართვ. *ტყებ- : ს.-სინდ. *ტყუა- ნორმალური სტრუქტურულ-ფონეტიკური შესატყვისობა ჩანს, რომელსაც ზურგს უმაგრებს *ტყე ~ მთა* სემანტიკური კორელაცია; სემანტიკური მოდიფიკაციისთვის შდრ. ლაზური *დაღ-ი „ტყე, მთა“*.

ს.-ქართვ. *ტყუალ- „ტლაპო; შლამი“

ზან. (მეგრ.) ნტყოლ-, ნტყოლ-უ-ა „ტლაპოში ამოსვრა“, ო-ნტყოლ-ემ-ი „ტლაპო, გუბურა“, ლაზ. ო-ნტყოლ-უ „გათხუპნა, ტლაპოში ამოსვრა“

სვან. ტყუალ, ტყუალ (ლნტ.) „ლაფი, შლამი“

ქართულში შესაბამისი ძირი არ იძებნება, ყოველ შემთხვევაში, გამოქვეყნებულ დიალექტურ ტექსტებში ტყვალ- არ ჩანს. სვან. ტყუალ : ზან. ნტყოლ- „ნორმალური შესატყვისობაა და ს.-ქართვ. *ტყუალ- არქეტიპს აღვადგენინებს.

ს.-სინდ. *ტყუა- „გუბე“

აფხაზ. ა-ძგ-ტყუა „გუბე“

სიტყვა მხოლოდ აფხაზურშია პოვნიერი, ისიც კომპოზიციაში: ა-ძე-ტყუა = წყალი + გუბე.

ს.-სინდ. *ტყუა- : ს.-ქართვ. *ტყუალ- კანონზომიერი სტრუქტურულ-სემანტიკური შესატყვი-სობაა. აქაც, როგორც მრავალჯერ, ფუძე სინდურში ლ → უ → Ø განხორციელდა. შემოთავაზებულ-ლი ოპოზიცია ადილური ტკუა- „წვეთა, დინება“ : აფხაზ. ა-ძე-ტყუა „გუბე“ არ ასახავს ფუძეთა რეალურ მიმართებას [შდრ. კლიმოვი 1967 : 303]. დად. საინტერესოა კრიწ. ტიღელ „ტალახი“.

ს.-ქართვ. *ტახუ-იუ „ტყვია, კალა“

ძვ. ქართ. ტყვე-ი „ბრპენი, ტყვია; კალა“, ტყვე-ა „ტყვია, ბრპენი“ (საბა)

ზან. (მეგრ.) ტყვირ-ი, შდრ. ტოპ. ტყვირ-ი

სვან. ტყუი, ტყუი (ლშხ.) „ტყვია“

დასახელებული ფორმები მხოლოდ უკანასკნელ კვლევებში აისახა. რატომღაც ადრეულ ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში საერთოქართველური წარმომავლობის ეს ალომორფები უგულვ-ბელყოფილი იყო. ჰ. ფენრიხმაც, სვანურის მიხედვით უფრო, ადადგინა ს.-ქართვ. *ტყუი- არქეტიპი [ფენრიხი 2007 : 413]. რეალურად კი, ჩვენი დაკვირვებით, რეკონსტრუირდება ს.-ქართვ. *ტყუიუ- „ტყვია“ არქეტიპი, ვინაიდან სვანური ა ასახავს ქართველურ უ-ს – *ტყუიუ- → ტყუი ისევე, რო-გორც მეგრული რ – *ტყუიუ- → ტყვირ-, შდრ. ქართ. ტევ- : ზან. ნტირ- „ტყვია“, ქართ. მშევ- : ზან. მშვირ- „შიმშილი“...

ს.-სინდ. *ტგს-ა „ტყვია“

აბაზ. ტსა, აფხაზ. ა-ტსა → // ა-წსა „ტყვია“

გვაკლია ჩერქეზულ ენათა მონაცემები, ამიტომაც გადამწყვეტი მნიშვნელობისაა დადეს-ტნურ ენათა მონაცემები. ეს უკანასკნელი შ/ხ მონაცვლეობას ენების მიხედვით აჩვენებს – ხუნძ. ტოხი // ტუხი ~ ანდ. ტუში „ტყვია“..., რაც განსაკუთრებით ღირებულია ქართველურ ალომორფთა წინარე ისტორიის თვალსაზრისით. კერძოდ, ივარაუდება წინარექართველურ ფუძე-ენაში *ტახუ-იუ- სტრუქტურის პროტოფორმის არსებობა, რომელმაც, ისევე, როგორც ტეხ- → ტყ-დ-ომ-ა ზმნაში განიცადა ხ → ყ ტრანსფორმაცია იმავე პოზიციაში.

სინდურ-დადესტნურ ფუძეთა ერთობაზე მიუთითებდა ა. აბდოკოვიც, რომლის ეტიმოლო-გია და ძირთა სეგმენტაცია ჩვენთვის მიუღებელია [აბდოკოვი 1983 : 12].

ს.-ქართვ. *ტყუ-ბ- „ტყუპი; ორი ცალი“

ქართ. ტყუბ-ი / ტყუბ-ი, ტყუბ-ნ-ი

ზან. (ლაზ.) ტყუბ-ი / ტკუბ-ი / ტუბ-ი, მეგრ. ტყუბ-ი / ტკუბ-ი / ტყუბ-ი „ტყუპი“, ტკუ-ტკუბ-ურ-ო „ტყუპ-ტყუპად“

სვან. ტყუბ / ტყუიბ, ნა-ტყუბ-არ „ტყუპები“

ფუძე-ენის დონეზე ძირად ტყუ- გამოიყოფა, -ბ- აფიქსურია, რასაც ქართულშივე დადასტუ-რებულ ტყუ-ჭ- დერივატთან შედარებაც ადვილად ამტკიცებს - ტყუ-ბ- ~ ტყუ-ჭ-. ქართული ტყუბ-ი // ტყუბ-ნ-ი ცნობილია ძვ. ქართული სამწერლობო ენის ძეგლებიდან [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 447-448], შდრ. ტყუჭ-ი „ორი შეერთებული“.

ს.-სინდ. *ტყუბ- „ორი“

ადიდ. (დიალ.) ტყუბ, ტუბ, ყაბ. ტუბ ← *ტყუბ „ორი“

უბიხ. ტყუა „ორი“

ჩვენი დაკვირვებით, აფხაზურ-აბაზური ჭუ-ბს (-ბა-სთვის შდრ. ქართვ. ტყუ-ბ- [ლომთათიძე 1955 : 824]) აქ არ შემოდის [იხ. აქვე ყვე-არ-ი). ს.-სინდ. *ტყუბ- : ს.-ქართვ. *ტყუ-, არქეტიპთა შედა-რებით ირკვევა, რომ უ → უბ სინდურში განხორციელდა, ხოლო ორის აღმნიშვნელი ერთ-ერთი ძირი ქართველურში ტყუ-ბ / ტყუ-ჭ- ვარიანტებში არის შემონახული.

ქართულ-ჩერქეზულ ფორმებს საყურადღებო პარალელები მოეპოვება ნახურ ენებში, შდრ. ინგუშ. ტყო „ოცი“.

ს.-ქართვ. *ტყუტ- „ტყუილი, მოტყუება“

ქართ. ტყუვ-ილ-ი, ა-ტყუ(ვ)-ებ-ს, მ-ტყუვ-არ-ი

ზან. (მეგრ.) ტყურ-ა „ტყუილი“, მო-ტყურ-აფ-ა „მოტყუება“

სვან. ლი-რ-ტყრ-ლ-ალ „ტყუილი“

ძირეული ხმოვნის სიგრძე სვანურში (რ) და უ-ს მომდევნოდ რ-ს არსებობა მეგრულში იმაზე მიუთითებს, რომ ფუძე-ენაში ამ ძირს უ ახასიათებდა, და ეს უ შემოინახა ძველმა ქართულმა, ხოლო ზანურში უ → რ-ში გადავიდა და მანვე წინამავალი რ დააგრძელა სვანურში, როგორც ხდებოდა ხოლმე – საკომპენსაციო სიგრძე. ამიტომაც მიუღებელი ჩანს ფუძე-ენაში *ტყუ- არქეტიპის აღდგენა [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 447].

ს.-სინდ. *დგლტ- „მოპარვა“

ადილ. თგლტ-ან „ქურდობა, მოპარვა“, თგლტ „ქურდი“, ყაბ. დგლტ-ან „id“, დგლტ- „id“

ამ ნიმუშშიც ივარაუდება ადილური მონაცემის მეორეულობა, ვინაიდან აღდგენილი დ-წარმოშობით გრამატიკული კლასის ნიშანი უნდა იყოს, რომელიც დღესაც მოქმედია მონათესავე დაღესტნურ ძირებში, შდრ.: დარგ. დ-ირჭუ- „მოტყუება“ ~ ხუნდ.-ანდ. რ-იყ- / რ-იყ- / რ-აყ- „მოპარვა, დამალვა“, სადაც სემანტიკურ-სტრუქტურულ-ფონეტიკურიკანონზომიერებები იკვეთება, რაც მეტად სასარგებლო (რელევანტური) ჩანს სინდურ-ქართველურ არქეტიპთა გენეტიკური მიმართების თვალსაზრისით.

სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს მცდელობა იმისა, რომ აბაზურ-აფხაზური ღვრ-რა „მოპარვა“ ზმნაც აქვე შემოიტანონ, რაც რეალობას არის მოკლებული [იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 579].

უ

ს.-ქართვ. *უზან- „უზანი“

ქართ. უზან-ი [Viburnum lantara], „ისხამს წვნიან, შავ ნაყოფს“

მიუხედავად იმისა, რომ ეს მცენარეული ძირი ფიქსირდება ძველ ქართულში [იხ. ასევე საბა], მისი შესატყვისები სხვა ქართველურ ენა-კილოებში ვერ გამოვავლინეთ.

დენდრონიმი უზან-ი ფუძეენური ეტიმოლოგიის მქონეა და წონადი შესატყვისები ეძებნება სინდურ ენებში.

ს.-სინდ. *ზარ-ა „შინდი“

ადილ. ზამგ (← *ზარგ), ყაბ. ზა ← *ზარგ „შინდი“

აბაზ. ზარგ, აფხაზ. ა-ბგგ-ძარა „შინდი“

სიტყვა მხოლოდ აფხაზურში რთულდება, აქ ა-ბგგ „მელია“ ჩანს დამატებული, განსხვავებით სხვა სინდური ძირებისაგან. ასევე კითხვებს აჩენს ზ-ს აფრიკატიზაცია, მით უფრო, მაშინ, როცა მეგრულშიც პოვნირია ბუგუ-ძირ-ი / ბუგა-ძირ-ი „შინდის სახეობა“.

ქართველური *უ-ზან- შეიცავს უ- პრეფიქსს, რაც სინდური -ა სუფიქსის ფუნქციური ტოლფარდი ჩანს, შდრ. -ო სუფიქსი წ.-თუშ. ზარ-ო „მოცხარი“ სიტყვაში. ქართველურ პრეფიქსს ეხმიანება დაღესტნური ძირები, სადაც პრეფიქსაცია ასევე ბუნებრივია: ხუნდ. აზალი, აზვახ. აჟა-ნაჟე „მარწყვი“ [უფრო მეტი იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 200].

ს.-ქართვ. *ურწ-ან- „ბერწი, უშვილო“

ქართ. ურწან-ი „ცხენი უზვი; ცხენი არამშობელი“ (საბა)

თანამედროვე ქართულში ურწან-ი სიტყვა იხმარება ბერწის, უშვილო პირუტყვის მნიშვნელობით. საბას განმარტება ვიწრო შინაარსისაა. სხვა ქართველურ ენა-კილოებში სათანადო მასალას ჯერ-ჯერობით ვერ მივაკვლიეთ.

ს.-სინდ. *წურგ- „ბერწი, უშობელი“

აფხაზ. -წურგ, სიტყვაში ა-ჟუ-წურგ „ბერწი, უშობელი“

აფხაზური სიტყვა რთული შედგენილობისა ჩანს, ა-ჟუ აქ ძროხას უდრის, ხოლო -წურგ უშვილოს მნიშვნელობას გახაზავს. სპეციალურ ლიტერატურაში გამოყოფილი -წურგ დაკავშირებულია ქართულ წურგ-ილ- ფორმასთან [ლომთათიძე 1999 : 26].

ჩვენი დაკვირვებით, არ არის აუცილებელი სესხების დაშვება, ვინაიდან ს.-ქართვ. *ურწ-ან-კანონზომიერად შეესატყვისება აფხაზურ -წურგ „ბერწი“ სიტყვას. გარდა ამისა, დაღესტნურ ენათა მასალა თვალნათლივ აჩვენებს აღწერილ ძირ-ფუძეთა პალეოკავკასიურ წარმომავლობას, შდრ.: ხუნდ. ზორწენ, ანდ. ღურწინ(ი), ახვავ. ზოწინო // ზორწინი.., ლაკ. უილწუნ „ჯორი“.

ს.-ქართვ. *ულ-ელ- „უღელი“

ქართ. უღელ-ი, უღლ-ეულ-ი

ზან. უღუ „უღელი“

სვან. უღჷ-ა „უღელი“

ფუძე-ენისათვის აღსადგენია *ულ-ელ- არქეტიპი, რომელიც მკვიდრი სიტყვაა [იხ. კლიმოვი 1964 : 186; შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 454].

ს.-სინდ. *ღჷ- „უღელი“

უბიხ. ღაჷ-გ „უღელი“

უბიხური ფორმა მეტ ტრანსფორმაციას აჩვენებს ქართველურთან შედარებით, აქ სავარაუდოა შებრუნებული წყობის ფუძე – საურთიერთო მეტათეზისი, ანუ ღაჷგ ← *უღღ. ადიღურ ენებში სხვა წარმომავლობის ზჷგ / ბზუგ ალომორფები დასტურდება იმავე მნიშვნელობით.

სპეციალურ ლიტერატურაში ადრიდანვე მიუთითებდნენ ქართველური ენებიდან სიტყვის სესხების შესაძლებლობაზე [ჭარაია 1912 : 15], თუმცა, ჩვენი დაკვირვებით, სესხებაზე საუბარი არ ჩანს გამართლებული, ვინაიდან, როგორც ითქვას, უბიხური შებრუნებულ წყობას წარმოგვიდგენს ს.-სინდ. *უღღჷ- არქეტიპისა, ხოლო ღ-ს პალატალიზაცია ამოსავალი ძირის ლაბიალიზებულ ხასიათზე მიუთითებს.

მეტად საყურადღებოდ გვეჩვენება თაბას. (ქანდ.) უღინ „ცალუღელი“ სიტყვა, რომელიც ამავე რიგისაა, შდრ. ასევე ხინალ. ინგ ← *გგინ „უღელი“.

ს.-ქართვ. *უხჷ- „უხვი; ბევრი“

ქართ. უხვ-ი, ი-უხუ-ა (საბა)

სიტყვა განმარტებით დგას ქართულში, მაგრამ, სავარაუდოდ, მას ფუძეენური წარმომავლობა ახასიათებს. ამაზე სინდურ-დაღესტნური ნიმუშები ცხადად მეტყველებენ.

ს.-სინდ. *ხჷა- „უხვი, ბევრი“

ადიღ. ხჷა-ე „ბლომად, უხვად, საკმარისად“

სინდური ენებიდან მხოლოდ ადიღურს შემორჩა ფუძეენური ეტიმოლოგიის მქონე ალომორფი. სპეციალურ ლიტერატურაში საკითხი ისმის ნასესხობის მიმართულების შესახებაც [ბუკია 2016 : 138]. ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ სინდური ძირი უფრო ქართველურ უხვ-თან ამჟღავნებს გენეტიკურ ერთიანობას და, შეიძლება, სინდურ-ქართველურ იზოგლოსებს დაღესტნური პარალელებიც კი აღმოაჩნდეს, შდრ. არჩიბ. ლაბხ-ან „ბევრი, მრავალი“, ლეზგ. ლუხ „ბევრის, დიდის

ს.-ქართვ. *ფ- „ქონა, ყოლა; ყოფნა“

ზან. (მეგრ.) ფ-, მ-ა-ფ-უ-ნ „მივის, მაქვს“

მეგრულში გამოყოფილი -ფ- ზმნური ძირი შეიძლება ჩანდეს ქართულ უ-ფ-ალ-, მე-უ-ფ-ე, სუ-ფ-ევ-ა ფორმებში, სადაც ყოფნა / სუფევის გაგება ხელშესახებია.

ს.-სინდ. *ფგ- „ყოფნა“

უბიხ. თუგ- „ყოფნა“

ცნობილი ფაქტია ამოსავალ წყვილბაგისმიერ ხშულთა ტრანსფორმაციის უბიხური სახეობა – ბ → დუ, ფ → თუ, ჰ → ტუ. ამგვარი (ფ → თუ) გარდაქმნა შეიმჩნევა ქართ. ფანდ-ურ-ი სიტყვის უბიხურ შესატყვისშიც (იხ. აქვე ს.-ქართვ. *ფანდ- „ხელი“). სხვაგვარი ეტიმოლოგიისათვის იხ. ლომთათიძე 1997გ.

სხვა იბ.-კავკ. ენებში სათანადო მასალას ჯერჯერობით ვერ ვპოულობთ.

ს.-ქართვ. *ფაზ- „გაოგნება; მოწყენა“

ზან. (მეგრ.) ფიჟვ-, მო-ფიჟვ-ინ-აფ-ა „მოწყენა, ნაღვლიანობა“, ფიჟვ-ალ-ი „ნაღვლიანი“

სვან. ფაჟ „გაოგნებული, ელდანაცემი, მისუსტებული“

სავარაუდოდ, მეგრული ფიჟვ- მიღებულია *ფუჟ- არქეფორმისაგან. ამას სვანური ამტკიცებს, რომლის შესატყვისად ქართულში ფაზ- უნდა გვექონოდა.

ს.-სინდ. *ზზუ- „გაბრაზება“

ადიდ. ზუჟ-, სიტყვაში გუჟ-ზუჟ-ნ, ყაბ. ზზუ-, სიტყვაში გუჟ-ზზუჟ-ნ „გაბრაზება“

უბიხ. ზჟუ- „გაბრაზება“

თუ სიტყვათა ამ რიგში შემოვიტანთ ქართულ ბრაზ-ი, გა-ბრაზ-ებ-ა ფორმებს, გასაგები ხდება ანლაუტური მიმართება, მაგრამ გაუგებარია რ-ს წარმომავლობა და თუ რ ფონეტიკური ან კონტამინაციური (მრეზ-/მრიზ-) ჩანართია, მაშინ ყველაფერი თავის ადგილას დგება.

ერთ-ერთი რთული შეპირისპირებაა. საკითხი დამატებით შესწავლას საჭიროებს.

ს.-ქართვ. *ფან- „წყურვილი“

სვან. ფგნ- „წყურვილი“, ფგნ-ი „მწყურია“, მა-ფგნ „წყურვილი“

ფუძეენური ა სვანურში რედუცირებული გ ნეიტრალური ხმოვნით დამკვიდრდა. სხვა ქართველურ ენა-კილოებში შესაბამისი ზმნა არ ჩანს, თუმცა გარეენობრივი იზოგლოსები ფგნ- ძირის საერთოქართველურობას თვალნათლივ ამტკიცებენ.

ს.-სინდ. *ფა- „ხრჩობა“

ადიდ. (ჭემგ.) ფა-ნ „დახრჩობა“

ჭემგური ფორმა, ისევე, როგორც სვანური ფგნ- ზმნა, განმარტობით დგას სინდურ ენებში. იმდენად, რამდენადაც ურთიერთსესხება გამორიცხულია, სვანურ-ჭემგური იზოგლოსები პალეოკავკასიურ *ფან- ძირის რეფლექსაციად გვესახება.

კანონზომიერი ჩანს კორელაცია სემანტიკურ დონეზე წყურვილი ~ ხრჩობა.

ს.-ქართვ. *ფანდ- „ხელი“

ქართ. ფანდ-, ფანდ-ურ-ი

მსოფლიოს მრავალ ენაში გავრცელებული მუსიკალური ინსტრუმენტი ფანდ-ურ-ი ქართულ ეტიმოლოგიას გულისხმობს. აქ -ურ ცნობილი ქართული (ქართველური) სადერივაციო აფიქსია,

რომელმაც დღეს ქართულში დაკარგული, მაგრამ ისტორიულად არსებული, **ფანდ-** „ხელი“ ძირი შემოგვინახა, ანუ **ფანდ-ურ-**ი გამოდის *ხელ-ურ-*ი, *ხელით საკრავი* (ისევე, როგორც მეგრულში **ჩონგ-** და **ჩონგ-ურ-**ი). და რომ **ფან-დ-** *ხელის* აღმნიშვნელი ფუძეა კარგად ჩანს დიდოურ მასალაში, სადაც ქართვ. **ფანდ-** ძირს შეესატყვისება ჰუნზიბ. **ფოდე**, ბეჟიტ. **ფუდო** „ფრთა“.

ს.-სინდ. ***ფან-** „საკრავური ინსტრუმენტი“

უზიხ. **თჷან** „ნებისმიერი საკრავი / მუსიკალური ინსტრუმენტი“

სინდურ ენათაგან მხოლოდ უზიხურს შემორჩა ***ფან-** არქეტიპისგან მომდინარე **თჷან** ალომორფი, რომელიც ენაში მოქმედი **ფ** → **თჷ** ფონეტიკური პროცესის შედეგად მივიღეთ. ქართვ. **ფანდ-**, უზიხ. ***ფან-** → **თჷან** ძირებს შეეფარდება, ასევე, ბაცბ. **ფენ** „ფერდი, გვერდი“, **ფენ-ივჰ-** „გვერდი“ სიტყვა.

ვფიქრობთ, ქართვ. *ხელი* ~ ნახ. *ფერდი* ~ დაღ. *ფრთა* კანონზომიერი სემანტიკური შეფარდებაა, შდრ. ქართ. (იმერ.) **ფანდ-**ალ-ი „სიარულის მანერა“ (ნ. მაჭავარიანი)

ს.-ქართვ. ***ფარ-** „დაფარვა“

ქართ. **ფარ-**, ვ-**ფარ-**ავ, **ფარ-**ი, სა-**ფარ-**ი, სა-**ფარ-**ვ-ელ-ი

ზან. (მეგრ.) **ფორ-**, **ფორ-**უნ-ს „ფარავს“, ო-**ფორ-**ალ-ი „საფარი“, **ფორ-**ი „ფარი“, ართვ ხემ **ფორ-**ი „ერთი ხელის დაფარება“

სვან. **ფარ-/ფრ-**, ლი-**ფრ-**ენ-ი „დაფარება“, ათ-**ფარ-**ე „დააფარა“

უკვე ცნობილ ქართველურ მასალას ვამატებთ ქართ. **ფარ-**ი და მეგრ. **ფორ-**ი „ფარი; დაფარება“ ფორმებს [კლიმოვი 1964 : 187].

ს.-სინდ. ***ფა-** „დაფარვა, წამოსხმა“

აბაზ. თა-რ-**ფა-**რა, აფხაზ. ა-თა-რ-**ფა-**რა „წამოსხმა“, შდრ. რ-**ფა-**რა / ა-რ-**ფა-**რა „დაფარვა“

გვაკლია ჩერქეზული მონაცემები; მიუხედავად ამისა, საკმაო სიზუსტით ხერხდება ფუძეური არქეტიპის რეკონსტრუქცია. ცხადია, დასაშვებია ბოლოვიდური **რ** სონორის დაკარგვა ფუძესინდურში, რაც უკვალოდაც ხშირად ხდება.

თუ ქართული **აფრა** სიტყვაც აქ შემოდის – ა-**ფრ-**ა, მაშინ შესაძლებელი ჩანს ჩეჩნ. ა-**ფარ-**ი, ინგუშ. ა-**ფარ** „წისქვილის წყლის ღარი“ ალომორფებთან გენეტიკურ კავშირზე საუბარი [ჩუხუა 2008 : 505].

ს.-ქართვ. ***ფარ-** „ფრენა, ფრიალი“

ქართ. **ფრ-**ენ-, **ფრ-**იალ-ი

ზან. (მეგრ.) **ფურ-**ინ-ი „ფრენა, ფრიალი“

ვერ გავიზიარებთ შემოთავაზებულ რეკონსტრუქციას ***ფრინ-** სახით [იხ. კლიმოვი 1964 : 190]. ვინაიდან ზანური (resp. მეგრული) უ შესატყვისი ა'ს რეკონსტრუქციას უჭერს მხარს.

ს.-სინდ. ***ფარ-** „ფრენა“

უზიხ. **ფგრ-**, სგ-**ფგრ-**--გნ „ფრენა“

აბაზ. (აშხარ.) **ფგრ-**რა, აფხაზ. ა-**ფგრ-**რა „ფრენა“

ჩერქეზული ენებიდან მხოლოდ უზიხურს შემორჩა *ფრენის* აღმნიშვნელი საერთოკავკასიური ძირი. აფხაზურ-აბაზურსა [ჭარაია 1912 : 35] და უზიხურშიც ა → გ რედუქცია შეინიშნება. ა'ს აღდგენას უფრო თამამად მხარს უჭერს დაღესტნური მასალა, შდრ. ბეჟიტ. **ფარ-**ლ'- „ფრიალი“, მაგრამ ბუღუხ. **ფგრ** სიცი „ფრენა“ და ა. შ.

ს.-ქართვ. ***ფარემ-** „მოსამსახურე“

ქართ. **ფარემ-**ი „შინა მოსამსახურე“, **ფარემ-**თ-უხუცეს-ი

ფუძე პოვნიერია მხოლოდ ქართულში. ისმის საკითხი მისი არაბულიდან სესხების შესახებ

(ქველ), თუმცა სინდურ ენათა შესატყვისი მასალა ამ ვარაუდს აბათილებს.

ს.-სინდ. *ფსარ-გ „მსახური“

ადიდ. (ჭემგ.) ფსარ-გ-ჰ, აბძახ. ფშარ-გ-ჰ-ჰ „მსახური“

ქართველურში აბძახური ტიპის ფუძეა წარმოდგენილი, მხოლოდ ს → შ ივარაუდება წ.-ქართვ. ს → ს.-ქართვ. შ მიმართულებით.

სინდურ ენებში მიუთითებენ სიტყვის რთული შედგენილობის შესახებ, კერძოდ, -ჰ- სეგმენტი მიტანა ზმნასთან არის გაიგივებული [კვახაძე 2014 : 117]. -ჰ- ნაწილაკის გამოყოფის აუცილებლობას ჩვენც ვიზიარებთ. უბრალოდ, მეტი არგუმენტაცია ჩანს საჭირო მისი მიტანა ზმნისგან გამოყვანის სამტკიცებლად.

ს.-ქართვ. *ფარცჷ- „კანი; ნაფცქვენი“

ზან. (მეგრ.) ფერჩვ-ი „კანი; ნაფცქვენი“, ფერჩვ-ელ-ი // ფერჩვ-ელ-უ-ა „ყვლეფა, ფრცქვნა“

მეგრულის ე გახმოვანება საერთოზნური ო-ს რეფლექსი ჩანს, უმლაუტით ო → ე, შდრ. ო-ც-ი : ეჩ-ი ← *ოჩ-ი „ოცი“. ასე რომ, ქართულში დაკარგულია ფარცვ- სახეობის სახელი ან ზმნა.

ს.-სინდ. *ფაც-ა „ბეწვი; მატყლი“

ადიდ. (შაფს., ბჟედ.) ფაცჷ „ცხვრის მატყლი გაზაფხულზე“, ყაბ. ბაცჷ- ბეწვი, რომელსაც გაზაფხულზე ცხვარი იცვლის“

ანლაუტური ფ → ზ ყაბარდოულისათვის არის დასაშვები, რაც პრერუპტივთა გამჟღერების ტენდენციით აიხსნება; ამავედროულად ჭემგურსა და ადიღურის სხვა დიალექტებში პრერუპტივთა გაფშვინვიერების (ფ → ფ) საინტერესო პროცესია თავჩენილი.

ს.-ქართვ. *ფარცჷ- : ს.-სინდ. *ფაც-ა არქექტივთა მეტად საყურადღებო პარალელები ფიქსირდება დაღესტნურ ენებში, შდრ.: ლაკ. ბურჩუ, ჭამალ. ბოჩ „კანი, ტყავი“...

ს.-ქართვ. *ფარხ- „ბაქიაობა; ფახიფუხი“

ქართ. ფახ-ა-ფუხ-ი, ფახ-ი-ფუხ-ი, ფახ-ურ-ი / ფახ-უნ-ი „ტრაბახი, ბაქიაობა“

ზან. (მეგრ.) ფურხ-ინ-ი „ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი“, ფურხ-ონ-ი „ტრაბახი, ფახიფუხი“

სვანურ შესატყვისს ვერ მივაკვლიეთ. ქართულშიც გამარტივებული ალომორფები დასტურდება – *ფარხ- → ფახ-.

ს.-სინდ. *ფარჩვ- „ხვრინვა“

ადიდ. ფგრჩვ-ნ, ყაბ. ფგრჩვ-ნ „ხვრინვა“

ონომატოპლექტური შედგენილობის ძირებია ორივე ჯგუფის ენებში, ამიტომაც გვაქვს, ალბათ, ხ : ჯ ოპოზიცია. არ მიგვაჩნია მართებულად ადიღური ზმნების დაკავშირება ხვრინვის აღმნიშვნელ ფუძეებთან ქართველურში [ბუკია 2016 : 129], ვინაიდან ამას ბგერითი შედგენილობა უშლის ხელს, თუმცა აფხაზ. ა-ხ გრხ გრ-რა „ხვრინვა“ ნამდვილად სწორად არის მოხმობილი ქართველურ კონტექსტში [შაგიროვი 1977, I : 39; ბუკია 2016 : 129].

ტოპოლოგიურად სინდურ-ქართველურ მასალას ეხმიანება თათური ენის (დაღესტანი) ფუხ ზერე „ხვრინვა“ ზმნაც.

ს.-ქართვ. *ფას- „ფასი“

ქართ. ფას-ი „სასყიდელი“ (საბა), ძვრ-ფას-ი, ნა-ფას-ებ-ი

სვან. ფას, ფას (ლშხ.) „ფასი; საფასური“, ფას-ჰა „ხვავიანი, ფასიანი, მოსავლიანი“, ნა-ფას, ნა-

ფას (ლშხ.) „საფასური“

ძირი აღდგება ფუძეენური ერთიანობის დონეზე, იგი ცნობილია ძველქართული სამწერლო ენის ტექსტებიდან. ქართული ფას- სიტყვის ირანულიდან სესხების დაშვება (მ. ანდრონიკაშვილი) არარეალური ჩანს.

ს.-ქართვ. *შტა- „ფასი; გადახდა“

უბიხ. შტა „ფასი“

აბაზ. შტა-რა, აფხაზ. ა-შტა-რა „გადახდა“

სინდურ ენათა ჟ, რომელიც ისტორიულად ძირეული თანხმობის ლაბიალიზაციად ქცეულა, ასახავს ს.-ქართვ. ფ ბილაბიალის შესატყვისს. ს.-სინდ. *შტა- მებრუნებული (მეტათეზირებული) წყობისაა, რაზეც, ქართველურს გარდა, თითქმის ყველა დადესტნური ძირი მიუთითებს, შდრ.: ლაკ. მამა „ვაჭრობა“..., ლეზგ. მას „ფასი“..., არჩიბ. მას „ფასი“.

ზემოხსენებულ ძირ-ფუძეთა პალეოკავკასიურობას ისიც ამტკიცებს, რომ მას შესატყვისი ეძებნება ურარტულში, შდრ. მეშე „ხარკი, საფასური“ [დიაკონოვი, სტაროსტინი 1986 : 22].

ს.-ქართვ. *ფასა- „მანგანუმი“

ქართ. ფასა, ფას-ის მთა, ფასა-ნა-ურ-ი (ტოპ.)

სვან. {ფაშა} „მანგანუმი“

რაჭული ფაშა „მანგანუმი“ ინახავს სვანურში დაკარგულ ფაშა სიტყვას, რომელიც კანონზომიერად შეეფარდება ქართულ ტოპონიმებში თავჩენილ ფასა (ფასა-ნა-ურ-ი) სიტყვას, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ზანური ეკვივალენტი ფომ-ომ-ი (← *ფომ-ფომ-ი) რედუპლიცირებულ სახეობაში იმალებოდეს.

ს.-სინდ. *ფშე „წითელი“

აბაზ. -ფშე „წითელი“, სიტყვაში ხ`ა-ფშე „ოქრო“, ყა-ფშე „წითელი“, აფხაზ. -ფშე // -შე „წითელი“, სიტყვაში ხ`გ-შე (← *ხ`გ-ფშე) „ოქროსებური, goldish“; ყა-ფშე „წითელი“

სათანადო ძირები ჩერქეზულ ენებში არ იძებნება, ამიტომაც საერთოსინდური ფუძე-ენის მდგომარეობა რეკონსტრუირდება მხოლოდ აფხაზურ-აბაზური მასალის საფუძველზე.

ქართველურ-სინდური მონაცემების სანდო იზოგლოსები შეიძლება დავინახოთ ანდიურ ენებში, შდრ.: ბაგვ. ფაშ, ტინდ. ფახ`ი, კარატ. ფახ`ე, ბოთლიხ. ფახ`ი „წითელი სპილენძი“, ხუნდ. ფახ` „წითელი სპილენძი“.

ს.-ქართვ. *ფასტ- „ფესვი“

ქართ. ფესტ-ი, ფესვ-ი

ზან. (მეგრ.) ფოს-ი // ფოსვ-ი // ფოსვ-ე, ლაზ. ფოს-ო „ფესვი“

სიტყვა კარგად არის ცნობილი ძველქართული ტექსტებიდან. ქართულ-ლაზური შესატყვის-სობიდან გამომდინარე აღადგენენ *ფესტ- / *ფოსტ- / *ფასტ- არქეტიპებს [იხ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 470]. თუმცა ყველაზე ობიექტური ჩანს *ფასტ- სახეობის ძირის რეკონსტრუქცია [კლიმოვი 1964 : 187].

ს.-სინდ. *ფსა „ფესვი“

ადიდ. -ფსა, სიტყვაში ლ`ა-ფსა „ფესვი“, ყაბ. მსა / ბზა, სიტყვაში ლ`ა-მსა / ლ`ა-ბზა, ბასლ. -ფსა, სიტყვაში ლ`ა-ფსა „ფესვი“

უბიხ. -მსა, სიტყვაში ლ`ა-მსა „ფესვი“

ჩერქეზული კომპოზიტების პირველ სემანტად ლ`ა- „ფეხი“ ძირი გამოიყოფა, დარჩენილი მსა/ბზა/ფსა ალომორფებიდან ამოსავალი (ფუძეენური) ვარიანტი ჩანს უკანასკნელი ფსა სახეობა, რომელიც ადიღურს შემოუნახავს თითქმის უცვლელად.

სინდურ-ქართველურ არქეტიპების შესატყვისი ჩანს წოვა-თუშური ნა-ფსორ „ფუძე, საძირ-კველი“ ასევე რთული შედგენილობის სიტყვა.

ს.-ქართვ. *ფასთ- „ჭრა“

ქართ. ფეთ-ა „ჭრა“ (საბა), ა-ფთ-ი „მახვილია მჭრელი“ (საბა)

სვან. ფემდუ- / ფენტუ- „ჭრა, კრეჭა“, უ-ფმდ-ა / უ-ფემტუ-ა „გაუკრეჭელი“

შესაბამისი ფუძე ზანურში დაკარგული ჩანს, თუმცა ს.-ქართვ. ფუძე-ენაში მეცხოველეობა / მესაქონლეობასთან დაკავშირებული *ფასთ- ძირის რეკონსტრუქციას ეს ხელს ვერ შეუშლის.

ს.-სინდ. *ზემ-ა „ნიშანი (საქონლის ყურზე)“

ადილ. თჰა-ზზ, ყაბ. თჰა-ზზა „ნიშანი საქონლის ყურზე“; შდრ. ყაბ. ლა-ზზ „ნიშანი ჩიტის ფეხზე“

ცხადია, ფუძეენური *ზემ-ა ნიშნის გაგებით მხოლოდ ჭრის (შეჭრის) მომდევნო ეტაპზე შეიძლება განვითარებულიყო, ანუ განაჭერი → ნიშანი. იმავს მეტყველებენ დაღესტნური (თაბას. მიჯი „ნიშანი ყურზე“) და ნახური (წ.-თუშ. ვასტ „სერი“, метка შესატყვისებიც.

ს.-ქართვ. *ფაფა-

ქართ. ფაფა „ფაფა“

ზან. (მეგრ.) ფაფ-ირ-ი „ფაფა“, ფაფ-უ „ლომის ფაფა“

სიმბოლიკური აგებულების ძირი ჩანს, შესაძლოა, ბავშვის ენიდან. ამიტომაც ხმოვნით ნაწილში ბგერათშესატყვისობები დარღვეულია.

ს.-სინდ. *ზაზა „ფაფა“

ადილ. (ჭემგ.) ზაზზ, ყაბ. ზაზზ „ფაფა“

ორივე ჯგუფის ენებში სიმბოლიკური აგებულების ალომორფებია გავრცელებული. მსგავსი სტრუქტურის სიტყვები ახლომდგომი მნიშვნელობებით შეიძლება შეგვხვდეს როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენათა ოჯახის წევრებში, შდრ.: ჩეჩნ. ბეფ-იგ „პური“..., ჰუნზიბ. ზაზა, ბეჟიტ. ზაზზ // ზაზა, ხინალ. ზაზა „პური“...

ყველა იბ.-კავკ. ენაში ზ/ფ სუბსტიტუცია ადვილი დასანახია; ხმოვნებში მხოლოდ ჩეჩნური გვამღევს განსხვავებულ ვოკალიზმს, შდრ. ე – ა.

ს.-ქართვ. *ფაც- „თევზი“

ქართ. ფაც-ერ-ი „თევზის მახე“ (საბა)

არ გამოვრიცხავთ ქართულში ფაც- ძირის არსებობას თევზის (ან რომელიმე მისი სახეობის) აღსანიშნავად (ა. კვახაძე). ხოლო ის ფაქტი, რომ მას სვანურ-კოლხური შესატყვისები არ ეძებნება ჯერ-ჯერობით არ ნიშნავს იმას, რომ ფაც- ძირი საერთოქართველურში არ ფუნქციონირებდა. მისი პოვნელების ძლიერი არგუმენტია ჩერქეზული საერთო მასალა.

ს.-სინდ. *ფცა- „თევზი“

ადილ. ფცა, ყაბ. ზძა „თევზი“

წარმოდგენილი ძირები უნდა გაიმიჯნოს უბიხ. ფსა, აფხაზ. ა-ფსგ-ძ ფორმებისაგან, ვინაიდან ეს უკანასკნელი ს.-ქართვ. *სემ- (ქართ. სვ-ია ← *სმ-ია, ზან. შამ-აია) ძირის შებრუნებული წყობის შესატყვისი ჩანს.

სინდურ-ქართველურ არქეტიპთა კანონზომიერ შესატყვისად მივიჩნევთ ჰურიტულურარტულ ზაცინ „თევზი“ სიტყვას, ეს უკანასკნელი სუბსტრატის სახით სომხურს დაუცავს.

ს.-ქართვ. *ფახ- „შიში; შიშით სირბილი“

ქართ. (ფშ.) ფახ-ან-ი „შიში“

ზან. (მეგრ.) ფურხ-ონ-ი „შიშით სირბილი“

თვით სუფიქსაციის დონეზეც კი ქართულ-მეგრული კანონზომიერ მიმართებებს აჩვენებენ. ერთადერთი მეგრულში ხ-ს წინა-პოზიციამი რ ფონეტიკურ ნიადაგზე ჩანს გაჩენილი.

ს.-სინდ. *ფახ^ჲ-გ „დაფრთხოვა, მოშორება“

ადილ. ფგჳგ-ნ (← *ფგხ^ჲ-ნ), ყაბ. ფგხ^ჲ-ნ „დაფრთხოვა, მოშორება“

ძირის აუსლაუტში თანხმოვნის ლაბიალიზაცია საკუთრივ სინდური თავისებურება ჩანს. სინდურ-ქართველურ არქეტიპებს აერთიანებს როგორც სტრუქტურულ-ფონეტიკური, ისე სემანტიკური იგივეობა.

ს.-ქართვ. *ფეთ- „ჩეჩვა“

ქართ. ფეთ-, სა-ფეთ-ი „საჩეჩი, საპენტი“

ზან. (მეგრ.) ფეთ, ო-ფეთ-აშ-ე „საჩეჩელი, საფეთი“

სვან. ფეთ-/ფთ-, ლი-ფთ-ი, ლი-ფეთ-ე (ლნტ.) „ჩეჩვა“

სამსავე ქართველურ ენაში ფეთ- ძირი უცვლელად არის წარმოდგენილი. ზანურში ფათ- იყო მოსალოდნელი, თუმცა ე გახმოვანება შეიძლება დისიმილაციური იყოს – *ო-ფათ-აშ-ე → ო-ფეთ-აშ-ე. საკითხი დამატებით კვლევას საჭიროებს.

ს.-სინდ. *ფათ- „გაჭიმვა, გაწეღვა“

ადილ. ფგთ-გნ, ყაბ. ფგთ-გნ „გაჭიმვა, გაწეღვა“

ს.-ქართვ. *ფეთ- : ს.-სინდ. *ფგთ- არქეტიპთა სტრუქტურული იგივეობა ადვილი დასაანახია. სტრუქტურულ სიახლოვეს ეთანადება სემანტიკური მხარეც, გაჭიმვა / გაწეღვა ~ ჩეჩვა ახსნადი კორელაცია ჩანს.

ს.-ქართვ. *ფელ- „გაღება“

ქართ. ფელ-, გა-ფელ-ვ-ა „გაღება“

ზან. (მეგრ.) ფალ-, ფალ-უ-ა „გაფურჩქვნა“, ფალ-ირ-ი „გაფურჩქნული“

ფელ- ზმნა მხოლოდ იმერულ დიალექტს შემორჩა. მისი კანონზომიერი შესატყვისი ჩანს მეგრული ფალ- ალომორფი. მნიშვნელობის განვითარების თვალსაზრისით, ბუნებრივია გაღება/გაფურჩქვნა სემანტემათა ერთიანობა.

ს.-სინდ. *პალა- „გახსნა“

უბიხ. პალა- „გახსნა“

საერთოსინდური არქეტიპის რეკონსტრუქცია მხოლოდ უბიხური მონაცემის მიხედვით გვიხერხდება. ამ შემთხვევაში პრობლემური ჩანს ს.-ქართვ. ფ : ს.-სინდ. პ შესატყვისობა, ვინაიდან უფრო პირიქით მაგალითებს ვაფიქსირებთ. იქნებ, მომავალში სხვა ნიმუშებიც გამოჩნდეს ფ/პ ფონემური ოპოზიციისა, რადგანაც სახეზეა უტყუარი სტრუქტურულ-სემანტიკური ერთიანობა.

ს.-ქართვ. *ფოლხ^ჲ- „მორღვევა“

ძვ. ქართ. მო-ფოლხ^ჲ-ებ-ა „მორღვევა“, მო-ფოლხ^ჲ-ებ-ულ-ი „მორღვეული“

ზან. (მეგრ.) ფორხვ-ი „დაძველებული, წასაქცევად გამოზადებული“

გვაკლია სვანური ეკვივალენტი; თუმცა უამისოდაც შესაძლებელი ჩანს საერთოქართველური არქეტიპის რეკონსტრუქცია. ქართული ფუძე ცნობილია უძველესი სამწერლობო ძეგლებიდან [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 469-470].

ს.-სინდ. *ფჳჳგ- „დანგრევა“

ადილ. ფჳჳგ-თან, ყაბ. ჳჳგ-თან „დანგრევა, ტეხა“

ერთ-ერთი უნიკალური ფჳჳგ ჰარმონიულ-დეცესიური კომპლექსი ყაბარდოულში გამართვდა – ფჳჳგ → ჳჳგ, მიზეზი მომდევნო ფარინგალის ლაბიალიზაციაში უნდა ვეძებოთ, ანუ სუპერაცია დისიმილაციური ჩანს.

სინდურ-ქართველური ტიპის თანხმოვნური ჯგუფი გამოჩნდება დალესტურ ენებშიც, შდრ. დარგ. დ-ჳ-ბლ- „ტყდომა“.

ს.-ქართვ. *ფენ- „ოჯახი; კომლი“

ზან. (მეგრ.) ფან-ია „ოჯახი, კომლი“

სიტყვა განმარტოებით დგას მეგრულში, მაგრამ, სავარაუდოდ, მას ფუძეენური წარმომავლობა ახასიათებს. თუ გავითვალისწინებთ ქართველურ ენათა ხმოვნურ შესატყვისობებს, გამოდის, რომ ზანური ა-ს შესატყვისად ფუძე-ენაში (ქართულშიც) ე უნდა ჰქონოდა. ამიტომაც *ფენ-არქეტიპი აღვადგინეთ.

ს.-სინდ. *ბან-გ „ოჯახი“

ადიდ. (ჰემგ.) ბენგ, აბმახ. ბენ „ოჯახი“

ასიმილაციური ა → გ ადიდეურში მანამდე განხორციელდა, სანამ ბოლოკიდური გ დაიკარგებოდა აბმახურ დიალექტში.

მეგრულ-ადიდეურ იზოგლოსებს ეხმიანება ბეჭიტური ბინა „სახლი“. ამ უკანასკნელს არაფერი აქვს საერთო სემიტური წარმოშობის ქართულ ბინა-სთან.

ს.-ქართვ. *ფერფელ- „პეპელა; ფრთა“

ქართ. (ქიზიყ.) ფერფლ-ი „თევზის ქერცლი“

ზან.(ლაზ.) ფარფალ-ი, მეგრ. ფარფალ-ია // ფარფალ-ი „პეპელა; ფრიალი“

საძიებელ ფუძეთა სვანური შესატყვისი ვერ გამოვავლინეთ. მეგრულ-ლაზური ფუძის გახმოვანება მიგვანიშნებს, რომ ისტორიულად ფუძე ორმარცვლიანი იყო ქართულშიც.

სემანტიკური ოპოზიცია თევზის ქერცლი ~ პეპელა / ფრიალი ნორმალურ კორელაციად გვესახება და ამოსავლად გულისხმობს ფრთის შინაარსსაც.

ს.-სინდ. *ფარფალ- „ჩრჩილი“

აფხაზ. ა-ფარფალ-გკ „ჩრჩილი“

სიტყვა სინდური ენებიდან მხოლოდ აფხაზურშია პოვნიერი, თუმცა ქართველურ შესატყვისებთან ერთად დადესტნური პარალელებიც ამოწმებენ, რომ ძირი საერთო იბ.-კავკ. ფუძე-ენიდან მომდინარეობს და, რა თქმა უნდა, სიმბოლიკური აგებულებისაა. ამიტომაც შეიმჩნევა ბგერწერითი ელემენტები აფხაზურ-დადესტნურში, შდრ. უდ. ფაფალ-ჰქ, ჰინუხ. ფაფა-ტუ, ბეჭიტ. ფა-ფა-ტო..., ანდ. ფირინფა „პეპელა“.

ს.-ქართვ. *ფეს- „დაღლა“

ქართ. და-ოს-ებ-ა // და-ვს-ებ-ა „მეტისმეტად დაღლა“

სვან. ფემ-ა „დაღლა“, ფემ-ენ-ი „იღლება“, მა-ფაშ // მა-ფაშ, მა-ფემ (ლშხ.) „დაღლა“

ქართულისათვის ამოსავალი ჩანს უეს ტიპის სპირანტიზებული (ზ → უ) ფუძე, რაც თავისთავად მეორეულ მოვლენად გვესახება. ფუძის ანლაუტი სვანურს უკეთ დაუცავს. საერთოდაც, მ/ზ/ფ → უ/ვ სპირანტიზაციის ფონეტიკური პროცესი ისტორიულ ქართულში სპეციალურ შესწავლას მოითხოვს.

ს.-სინდ. *ფსა- „დაღლა“

ადიდ. ფსგ-ნ „დაღლა“, ფსგ-ღგ „დაღლილი“

აფხაზ. ა-აფსა-რა „დაღლა“, ა-აფსა „დაღლილი“

ორმაგი პრეფიქსაცია ა-ა- საკუთრივ აფხაზური ინოვაცია უნდა იყოს (რეინტერპრეტაციით!). სხვა მხრივ, ფუძეენათა გენეტიკური ერთიანობა უეჭველია.

ნახურ-დადესტნურ შესატყვისებს ვერ ვხედავთ.

ს.-ქართვ. *ფესტ- „ავად გახდომა; კვდომა“

ქართ. (იმერ.) გა-ფსვ-ენ-ა „ავად გახდომა“, გა-ფსვ-ენ-ულ-ი „ავადმყოფობისაგან გამხდარი და გაყვითლებული“

ზან. (მეგრ.) გო-ფარს-ალ-აფ-ა „სულის განტევება; კვდომა“

გვაკლია სვანური შესატყვისი. მეგრულის ა გახმოვანება ქართულ-ქართველურისთვის ე-ს გვაგარაუდებინებს, შდრ. ბგერათშესატყვისობა ქართ. ე : ზან. ა, ს.-ქართვ. *ე.

ს.-სინდ. *ფს- „კვდომა“

აბაზ. ფს-რა, აფხაზ. ა-ფს-რა „კვდომა“

ძირ-ფუძეთა რიგში განიხილავენ ადიღურ ფსგ-ნ „დალა“ სიტყვასაც, რაც არ ჩანს გამართლებული; ვინაიდან ადიღურ ფსგ- ზმნას აფხაზურში კანონზომიერი აფსა „დალლილი“ შეესატყვისება (იხ. აქვე, ს.-ქართვ. *ფეს-), შდრ. ხმოვნური მიმართება სინდურ ძირთა აუსლაუტში ადიღ. გ : აფხაზ. ა.

ს.-სინდ. *ფს- „კვდომა“ ~ ს.-ქართვ. *ფესტ- „ავად გახდომა; კვდომა“ შესატყვისობა ბუნებრივი ჩანს როგორც სემანტიკური, ისე სტრუქტურული თვალსაზრისით.

ს.-ქართვ. *ფესქალ- „ბავშვი, გოგონა“

ქართ. {ფესკალ-}

ზან. (ლაზ.) ფაშკურ-ი , „პატარა გოგო, ქალიშვილი“

ფონეტიკური გარდაქმნა შქ → შკ საკუთრივ ზანური (ლაზური) ინოვაცია ჩანს, ფონეტიკური მეზღუდვიდან გამომდინარე. გურული ფაშკურ-ა-ი “id” ზანიზმად მიიჩნევა.

ს.-სინდ. *ფშქა „ნაშიერი, ბავშვი“

ადიღ. შკგ, ყაბ. შკგ „ხბო, ნაშიერი“

აბაზ. -ფშქა, სიტყვაში ჰჷგ-ფშქა- „ხბო“, აფხაზ. ა-ფშქა „ბავშვი“

საყურადღებო პარალელი ფიქსირდება ნახურ ენათაგან წოვა-თუმურ (ბაცბურ) ენაში ფეშკარ „ბავშვი, ბიჭუნა“ ფორმის სახით.

ს.-ქართვ. *ფეტტ „ფეტვი“

ძვ. ქართ. ფეტტ-ი, ახ. ქართ. ფეტვი-ი

ზან. ფატ-ი „ფეტვი“, მეგრ. მა-ფატ-ია „მეფეტვე; მჭადა“

სვან. ფატ (ზზ., ლნტ.), ფეტტ (ბქ., ლშხ.) „ფეტვი“, ფეტტ-რა „ყველიანი ფეტვნარევი პური“

საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებული საერთოქართველური მასალა, რომლის შეპირის-პირებით ყველა ავტორი აღადგენს საერთოქართველურ *ფეტტ- არქეტიპს [კლიმოვი 1964 : 188; ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 464]. მეგრულ-ლაზურში ბოლოკიდური ტ-ს დაკარგვა ფუძის ანლა-უტთან დისიმილაციით განხორციელდა, ალბათ.

ს.-სინდ. *ბატ-ა „ლომი; ფაფა“

უზბიხ. ბატ „ლომი; ფაფა“

ძალიან ძნელია იმის გარკვევა, ჰქონდა თუ არა ფუძეს აუსლაუტის ლაბიალიზაცია – *ბატტ-ა → ბატ-ა (?). უზბიხურის მიხედვით ამას ვერ გავარკვევთ. ქართველური მეტად ცალსახად მხარს უჭერს ტტ ლაბიალიზებული კომპლექსის არსებობას. იგივე მტკიცდება დადესტნური ნიმუშების მოხმობით; შდრ.: დარგ. ბეტუ // ბეტუი „ცომი“, ჰუნზიბ. ჰატუ (←* ფატუ) „ფქვილი“...

მართალია, ნახურ ენებში მოისპო ლაბიალიზებული კომპლექსები საზოგადოდ, მაგრამ შე-სატყვისი მასალა (ძირის გახმოვანება) აქაც ლაბიალიზებულ ალომორფებს დაუჭერდა მხარს, შდრ. წ.-თუმ. ბოტ ← *ბეტტ „ცომი“.

ს.-ქართვ. *ფეფ- „კლდოვანი ნაპირი“

ზან. (მეგრ.) ფაფ-ალ-ა „კლდოვანი ნაპირი; ფრიალო, ქარაფი“

ქართველურ ენებს შორის ფიქსირებული ხმოვნური შესატყვისობებიდან თუ ამოვალთ, ფუ-ძეენური გახმოვანება ე-ნიანი უნდა ყოფილიყო, შდრ. ქართ. ე : ზან. ა, ს.-ქართვ. *ე.

წ.-სინდ. *ფიფ- „ქვა“

ხათ. pip „ქვა“

აფხაზურ-ადილურ ენებში მოსალოდნელი იყო *ფეფ/*ფაფ სახეობის ფუძე, რასაც ვერ მივაკვლიეთ; ალბათ, ადრეულ პერიოდში (საერთოსინდურ დონეზე) დაიკარგა.

ხათურ-ქართველური იზოგლოსა ჯერჯერობით ეულად დგას, თუმცა აქვე მოსახმობი ჩანს ურარტული ფაფ „კლდე, ქვა“ სიტყვა.

სემანტიკურად კლდოვანი ნაპირი ~ ქვა ~ კლდე მეტად გავრცელებულ კორელაციას ქმნის, რაც ზოგჯერ ერთი ძირის ფარგლებშიც არის შესაძლებელი.

ს.-ქართვ. *ფელ- „დიდებული, ლალი“

ზან. (მეგრ.) ფალ-, ფალ-ურ-ი „დიდებული“, ფალ-უ „გალაღებული, წარმოსადეგი“, ფალ-უ-ობ-ა // ფალ-უ-ა „ბატონკაცურად ყოფნა“, ფალ-ა-ვა „წარჩინებული გვარი სამეგრელოში“

სიტყვა განმარტოებით დგას მეგრულში, მაგრამ, სავარაუდოდ, ფუძეენური წარმომავლობა ახასიათებს. ამას იბ.-კავკ. ენების, უპირველეს ყოვლისა, ადილური მასალა ადასტურებს.

ს.-სინდ. *ფაღ-ა „ამაყი“

ადილ. ფაღ-ნ ყაბ. ფაღ-ნ „ამაყი“

არსებობს ცდა, ადილურ სიტყვებთან დააკავშირონ აბაზ. ბალა, აფხაზ. ა-ბალა „მყარი; ძუნწი“ ალომორფები, რაც არ უნდა იყოს მართებული. მით უმეტეს, აქ ვერ შემოვა უბიხ. ღაბგ „მყარი; მაგარი“ ლექსემა [შდრ. სტროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 792].

სემანტიკურად ოპოზიცია დიდებული / ლალი ~ ამაყი წინააღმდეგობრივი არ ჩანს, კანონზომიერებას ექვემდებარება.

სინდურ-ქართველურ არქეტიპებს გენეტიკურად უკავშირდება ნახური (ჩეჩნ.) ბელ-ნლა „კომფორტული, მოხერხებული“ და დალ. (ლოდობერიული) ბელუ „ბევრი, მეტი“ სიტყვები.

ს.-ქართვ. *ფემუ- „ხელის მოსმა“

ძვ. ქართ. ფემუ-, ფემუ-ებ-ა-ფ „ხელის ცეცებით სიარული“, ე-ფემუ-ებ-ოდ-ა, ე-ფემუ-ებ-ი-ან სვან. ფაშგუ-, ხ-ა-ფაშგუ-ე „ხელს უსვამს, ეფერება“, მგ-ფაშგუ-ი „მომფერებელი“

ზანური შესატყვისი გვაკლია. ე → ა სვანურში ფემუქ → ფაშგუ- მიეწერება მ. ქალდანის წესის მოქმედებას [სუხიშვილი 1990 : 82-85]. სემანტიკურად ამოსავალი ჩანს ხელის მოსმის შინაარსი, საიდანაც განვითარდა ფერება და ხელის ცეცება.

ს.-სინდ. *ფსა- „ზელა“

ადილ. ფაშ-ნ, ყაბ. ფსა-ნ „ზელა (ცომის...)“

სინდურ ენა-კილო-თქმებში მოსალოდნელი იყო ფსა- სახეობის ლაბიალიზებული არქეტიპი, რომელიც შესაძლოა, გამარტივდა წინამავალი ფ ბილაბიალის დისიმილაციური ზემოქმედების გამო.

საყურადღებო ჩანს შესატყვისობა სემანტიკურ დონეზე ხელის მოსმა ~ ზელა, რაც ერთი ძირის ფარგლებშიც არის შესაძლებელი; შდრ. მეგრ. ზალა „ზელა; ხელის მოსმა; სრესა“.

სხვა იბ.-კავკ. ენებში შესაბამისი ძირები ჯერჯერობით ვერ გამოვავლინეთ. ერთადერთი დარგული ბაშ-ეს „ზელა“, რომელიც იმ შემთხვევაში უფრო გამოდგება, თუ თავკიდური ბ ძირს განეკუთვნება.

ს.-ქართვ. *ფთილ- / *ფთილილ- „ფთილა, ბეწვი“
ქართ. ფთილ-ა, ფთილილ-ა „ბამბის წნული“ (საბა)
სვან. ფთილჷ „ბეწვი, ნამცეცი“

მეგრულში ფიქსირებული ბუთა „პირველი გაკრეჭის მატყლი“ სხვა წარმომავლობას გულისხმობს, ალბათ, სვან. ფათჷ-(ქართ. ფთა/ფრთა) „თმა“ ძირთა შესატყვისია.

სვან. ფთილჷ ზუსტად ასახავს ლ → ჴ გარდაქმნით ამოსავალი ფთილ- ალომორფის მომდევნო საფეხურს.

ს.-სინდ. *ფფთჷა „ცხვრის ნაკრეჭი თმა“

აბაზ. ბრჷა ← *ფთჷა, აფხაზ. ა-ფთჷა // ა-ბთჷა „ცხვრის ნაკრეჭი თმა“

ჩერქეზულ ენებში საძიებელი სიტყვა არ ფიქსირდება. აფხაზურ-აბაზურში ამოსავალი სახეობა მეტად შერყვნილია, განსაკუთრებით აბაზურში. ა-ს სიგრძე აფხაზური ფორმის ანლაუტში საკომპენსაციო ჩანს: ა-ფთჷა ← *ა-ფათჷა.

მეტად შთამბეჭდავად გამოიყურება დაღესტნური და ნახური შესატყვისები: ჩეჩნ. ფათარ, ინგუშ. ფეთარ // ფათარ „თხის ბუმბული; ღინდლი“; შდრ. დაღ.: ლეზგ. ფუთ „ნაწნავი“, ალულ. ფუთ „ცხენის ძუა“, ხინალ. ფუთ „თმა“...

ს.-ქართვ. *ფთხ- „შეშინება; გაფრთხილება“

ქართ. ფრთხ-ებ-ა, და-ფრთხ-ა „შეეშინდა“, ფრთხ-ილ-ი, გა-ფრთხ-ილ-ებ-ა

ზან. (მეგრ.) ნთხ-აფ-ა „ფრთხოვა“, ე-ნთხ-ჷ „დაფრთხა, შეეშინდა“, ე-ნთხ-აფ-ილ-ი „დაფეთებული“

სვან. თხ-ლ „მშიშარა“, თხ-ან-ჰა (ზს.) „ფეთიანი“

მეგრულ-სვანური ალომორფები ცხადად აჩვენებენ რ სონორის მეორეულობას ქართულში, ანუ ფთ კლასტერი ფონოტაქტიკური შეზღუდულობის გამო რ-თი იქნა გათიშული – ფთ→ფრთ.

ს.-სინდ. *ფთხგ- „შიში, შეშინება“

ადიდ. (შაფს.) თხგ-დგ- „შიში, შეშინება“, მზ-ფთხგ-დგ „შეეშინდა“

სიტყვა პოვნიერია მხოლოდ ადიღური ენის შაფსულურ დიალექტში. სპეციალისტები ზმნის პირიელ მზ-ფთხგ-დგ ფორმაში მზ- გარდაუვალ ზმნათა მესამე პირის ნიშანს გამოყოფენ [კვახაძე 2014 : 278].

შეიძლება ვიფიქროთ, რომ თავკიდური ფთ ასევე დამახასიათებელი იყო სინდურ ფუძე-ენაში და მეგრულ-სვანურივით დაიკარგა არაკანონიკურობის ნიადაგზე. მაგრამ უფრო მნიშვნელოვნად მაინც გვეჩვენება ბგერათშესატყვისობა კომპლექსთა დონეზე – ს.-ქართვ. თხ : ს.-სინდ. თხ, რაც ამ ტიპის თანმიმდევრობათა პირველობაზე მიუთითებს.

ს.-ქართვ. *ფთხ- არქეტიპის სასარგებლოდ მეტყველებს, ალბათ, წახ. მათხა-ნა „გაკვირვებული“ სიტყვა.

ს.-ქართვ. *ფირხჷ-ალ- „ფილტვი“

ქართ. (თუშ.) ფირხვლ-ი (← *ფირხჷ-ალ-ი) „ნახველი“

ეტიმოლოგიურად ფირხვ-ალ-ი → / ფირხვლ-ი „ნახველი“ *ფირხჷ- ძირიდან ნაწარმოები ჩანს -ალ დეტერმინანტი სუფიქსის მეშვეობით და მნიშვნელობით ფ ი ლ ტ ვ ი ს ა ს უდრის.

ს.-სინდ. *ფარჷა „ფილტვი“

აბაზ. რაფჷა აფხაზ. ა-რფჷა // ა-რფჷა „ფილტვი“

სათანადო ფუძე ჩერქეზულ ენებში დაკარგულია, მაგრამ ეს ვერ გახდება ხელის შემშლელი ფაქტორი, ვინაიდან თუშურ-აფხაზურ-აბაზური სიტყვები პალეოკავკასიური ფუძე-ენიდან მომდინარეობს, რასაც მონათესავე ენათა ჩვენება ცხადად ამტკიცებს, შდრ. დაღესტნური: ლეზგ. ფიხ,

კრიწ. **ფებ** „ბებერა“, აღლ. **ფებ-ერ** „ჯანჯალი“, мошонка (ანატ.); ნახური: ჩეჩნ. (იჩქ.) **ფახ**, ინგუშ. **ფებ-ქ** „ფილტვი“.

ს.-ქართვ. ***ფის-ე** „ნაძვისებრ მცენარეთა წებოვანი წვენი“

ქართ. **ფის-ი** „კუპრი, ფისი“

ზან. (მეგრ.) **ფირსა**, ლაზ. **ფისა** „ნაძვისებრ მცენარეთა წებოვანი წვენი“

სვან. **ფისე** „ფისი, კუპრი“

აქ წარმოდგენილი ფორმებიდან სვანურის ჩვენება უძველესია, იგი საერთოქართველურ არ-ქეტიპს ემთხვევა. **ფისე** სახეობის უწინარესობას ამტკიცებს ზანური ალომორფებიც, სადაც ვლინდება სვან. ე : ზან. ა ხმოვნური შესატყვისობა. ძირად გამოყოფილი **ფის-** არ უკავშირდება **ფის-/ფს-** „მარდის“ აღმნიშვნელ ძირებს ქართველურ ენა-კილოებში [შდრ. ჩუხუა 2000-2003 : 237].

ს.-სინდ. ***ფგს-ა** „ნაძვი; სოჭი“

ადილ. **ფსა-ფე**, ყაბ. **ფსე-ფ** „ნაძვის ხე“

უბიხ. **ფსგ-ღუგნე** „ნაძვის ხე“

აფხაზ. **ფსა-ჟუა** „ტირიფი“ (?), აფხაზ. **ა-ფსა**, ბზიფ. **ა-ფსა** „სოჭი“

სინდური ენებიდან ყველაზე განსხვავებული მნიშვნელობით აფხაური ერთეული ხასიათდება, რაც გვაფიქრებინებს, რომ იგი, შეიძლება, სულაც სხვა წარმომავლობის ძირი იყოს. რაც შეეხება ს.-ქართვ. ***ფის-ე** : ს.-სინდ. ***ფგს-ა** შეფარდებას, ფორმითი თანხვედრა ადვილი დასაწახია, რასაც ბუნებრივი სემანტიკური ოპოზიცია უჭერს მხარს. ვფიქრობთ, *ნაძვი ~ ფისი* კორელაცია ლოგიკურია.

ქართველურ ენებში ფიქსირებული ფუძის გახმოვანება უძველესი ჩანს, რასაც დადესტურული მონაცემიც ადასტურებს, შდრ. ბუდუხ. **ფას** - „სოკო, აბედი“.

ს.-ქართვ. ***ფორს-** „ბინდი, ნისლი“

ზან. (მეგრ.) **ფორს-უა** „დაბინდვა“, ლეზგ. **ფუს-ი** „ნისლი“

თავს ვიკავებთ ქართლური **ბურს-ა** „თოვლიანი ნისლი“ ფორმის სიტყვათა ამ რიგში შემოტანისაგან. ქართული **ბურსა** სხვა ძირისა ჩანს. მხოლოდ ზანური ალომორფები ასახავენ ს.-ქართვ. ***ფორს-** ძირს.

ს.-სინდ. ***ფსგ** „საღამო“

ყაბ. -**ფსგ**- სიტყვაში **ფსგ-ჰა-სჰა** „საღამო“

უბიხ. ზუა-**ფსგ-ჯ** „საღამო“

ს.-სინდ. ***ფსგ-** : ს.-ქართვ. ***ფორს-** კანონზომიერ მიმართებად გვესახება. ქართველურ-სინდურ ძირებთან ავლენს ნათესაობას ნახური ***ფსარ-**, შდრ. წ.-თუშ. **ფსარ-ლო** „საღამო“; **ფსარ-ეჰ** „გუშინ“.

ს.-ქართვ. ***ფოსონ-** „მასპინძელი; ბატონი“

ქართ. **ფოსრონიკ-ი** (← ***ფოსონ-**რიკ-ი) „დედათ ლხინთ გამრიგე დიაცი“

სვან. **ფუსუნ** → // **ფუსნ** → // **ფუსდ / ფუსტ** „ბატონი“

მეგრულ-ლაზურმა მსგავსი ძირები არ იცის. ქართ. {**ფოსონ-**} : სვან. **ფუსუნ** კანონზომიერი შეფარდება ჩანს, რომელსაც საკმაოდ მდიდარი შესატყვისები მოეპოვება იბ.-კავკ. ენებში.

ს.-სინდ. ***ფშენ-** „ბატონი“

ადილ. **ფშე** „ბატონი, მბრძანებელი“

აფხაზ. ა-**ფშე** „დიდი, ძლიერი“

სინდურ ენებში, როგორც მოსალოდნელი იყო, დაკარგულია აუსლაუტური **ნ** სონორი. *დიდი / ძლიერის* შინაარსი აფხაზურში *ბატონის* ნიუანსიდან განვითარდა.

ჩერქეზულ და სვანურ სიტყვათა კავშირი ს. ჯანაშიამ შენიშნა თავდპირველად [ჯანაშია 1942 : 272]. გ. როგავამ სვანური ფორმა ჩერქეზულიდან შეთვისებულად მოიაზრა [როგავა 1956 : 21]. სხვები სვანურში ოსურიდან სესხებას უჭერენ მხარს [კლიმოვი 1963 : 184].

ჩვენი აზრით, ურთიერთსესხების შესაძლებლობა გამოსარიცხია, ვინაიდან პალეოკავკასიურ ძირებთან გვაქვს შეხება. რაც შეეხება ოსურ **ფესგმ / ჭუსუნ** „მასპინძელი“ ლექსემას, იგი ნახურ ენათა **ჰუსამ/ჭუსამ** „საცხოვრისი“ ფუძიდან მოდის, რომელსაც აფხაზური **ა-ფშუმ-ა** „მასპინძელი, პატრონი“ შეესატყვისება.

ს.-ქართვ. ***ფოტ**- „ჭრა-კერვა; ხვრეტა“

ქართ. (ქართლ.) **ფორტ**-ნ-ა „უხეიროდ ჭრა“

ზან. (მეგრ.) **ფუტ**-ოლ-უ-ა „ცუდად კერვა“

სვან. **ფგტ**-ე „ხვრეტს“, **ფგტ**-გრ-ჰმ, **ფგტ**-რ-ჰ (ბქ.) „გამხვრეტი, ხვრეტია“

არ გამოვრიცხავთ, ლაზური **ო-ფურტ**-უ „ხის დაფუტუროება“ ზმნაც აქვე შემოვიდეს. **რ**, ალბათ, ფონეტიკური ჩანართია ლაზურში.

წ.-სინდ. ***ფუტ**-უ- „მოჭრა“

ხათ. **putu** „მოჭრა“

თანამედროვე სინდურ ენებში კანონზომიერი შესატყვისები ვერ მოვიძიეთ; ეტყობა, {**ფუტ**-უ} არქეტიპის საერთოსინდური შესატყვისი ადრევე დაიკარგა.

წ.-სინდ. ***ფუტ**-უ- „მოჭრა“ ~ ს.-ქართვ. ***ფოტ**- „ჭრა-კერვა; ხვრეტა“ კანონზომიერ დამოკიდებულებას წარმოაჩენს როგორც სტრუქტურულ-ფონეტიკური, ისე მნიშვნელობათა განვითარების თვალსაზრისითაც.

ს.-ქართვ. ***ფობ**- „თითი“

ქართ. (გურ.) **ფობ**-ი „თითი“, **ფობ**-ი ხელისა „ორთითი“

სვან. (ჩოლურ.) **ფობ** „თითი“, ლაშხ. **ფობ** „id“

ზანურ დიალექტში შესაბამისი ძირი დაკარგული ჩანს. სვანური **ფობ** : ქართ. **ფობ**-ი ნორმალური შეპირისპირებაა; გასარკვევი რჩება სვან. **ფხულე** „თითი“ ძირთან მიმართების საკითხი. ჩვენი აზრით, სხვადასხვა ძირია, ვიზიარებთ ი. ჯავახიშვილის თვალსაზრისს ქართ. **მხოლო**-მ და სვან. **ფხულე** „თითი“ ფუძეთა ერთიანობის შესახებ [ჯავახიშვილი 1992 : 386].

ს.-სინდ. ***მხგ**-/ფხა- „თითი; ბრჭყალი“

აბაზ. ნაპ-**ხგ** ფრჩხილი“; ბრჭყალი“, შა-**მხგ** „ფეხის თითი, ფრჩხილი“, აფხაზ. ა-ნაპ-**ხგ**-ც, ბზიფ. ა-ნაპ-**ხგ**-ც // ა-ნა-**ფხგ**-ს „თითის ფრჩხილი, ბრჭყალი“, ა-შ აპ-**ხგ**-ც // ა-შ ა-**ფხგ**-ც // ა-შ ა-**მხგ**-ს „ფეხის თითი / ფრჩხილი, ბრჭყალი“

სამწუხაროდ, ჩერქეზული მონაცემები გვაკლია, თუმცა აფხაზურ-აბაზურზე ნათლად მიუთითებს, რომ აქ ფუძე-ენისათვის აღსადგენი ***მხგ** / ***ფხგ** დუბლეტები „თითი; ბრჭყალი“ მნიშვნელობით, რომელსაც ს.-ქართვ. ***ფობ**- „თითი“ შეესატყვისება.

აფხაზურ-აბაზურ ძირებს აკავშირებენ დადესტნურ (ლაკ. **მიხ**..., უდ. **მუხ** „თითის ფრჩხილი, ბრჭყალი“) მონაცემებთან, რაც მართებული ჩანს [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 814-815].

ს.-ქართვ. ***ფობ**-ალ- „ხის ჭურჭელი“

ქართ. (ქიზიყ., რაჭ., ზ.-იმერ.) **ფობალ**-ი „ხის ჭურჭელი, საწყაო ერთეული“

ზან. (მეგრ.) **ფობალ**-ი „თიხის ჭურჭელი წყლისა“

სვან. **ფობალ** // **ფობალ** „ჩაფი, ბათმანი“

არ არის გამორიცხული, რომ ზანურ-სვანური ალომორფები სალიტერატურო ქართულიდან იყოს ნასესხები, განსაკუთრებით ეს ეხება მეგრულს [ბუკია 2013, I : 208].

ს.-სინდ. *ფხა-ნგ „ხის გობი“

ადიდ. ფხა-ნგ „ხის გობი“

საერთოჩერქეზული არქეტიპი აღდგება ადიღურ ვარიანტის მიხედვით, ამიტომაც რეკონსტრუქცია ვერ იქნება უნაკლო. რაც შეეხება აფხაზ. ა-ფჰალ „კოკა; წყლის ჭურჭელი“ სიტყვას, ფუძის ფონეტიკური ადაპტაციის გამო, იგი ქართველურ ნასესხობად სამართლიანად არის კვალიფიცირებული, უფრო მეგრულის გზით [ბუკია 2013, I : 208].

სინდურ-ქართველურ არქეტიპებს შესატყვისები აღმოაჩნდათ დალესტურ ენებში: ხუნძ. ბუჰ-უნ, ანდ. ბეხ-უნ, კარატ. ბეჰ-უმ, ბაგვალ. ბეჰ-უნ, ბოთლიხ. ბეხ-უნ „ხის კოვზი; ნიჩაბი“. ხოლო ბეჟიტ. ბოხალ-ჰ ქართულიდან ჩანს შესული.

ს.-ქართვ. *ფს- „ფსმა; ფსელი“

ქართ. ფს-მ-ა, ფს-ელ-ი, ი-ფს-ამ-ს, ქვეშა-ფს-ია

ზან.(ლაზ.) ო-ფს-უ „ფსმა“, მ-ა-ფს-ე-ნ „მეფსია“, მეგრ. ქო-ფს-ი „მოფსი“, ნა-ფს-უმ-ა „ფსელი“, გუ-მ-ა-ფს-ე-ნ „მეფსია“

სვან. ფს-, მე-ფს-აჲ „ქვეშაფსია“

როგორც ზმნური, ისე სახულური (ფს-ელ-ი) ძირ-ფუძეები კარგად არის ცნობილი ძველქართული სამწერლობო ენიდან [კლიმოვი 1964 : 191; ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 472].

ს.-სინდ. *ფსჰ- „სისველე; დასველება“

ადიდ. ფსგ-, სიტყვაში ფსგ-სჷ „სველი“, ყაზ. ფსგ-ჶ „სველი“

აბაზ. ფსა-რა „დასველება“

სისველის მნიშვნელობით ადიღურში ფსგ- ძირის გამოყოფა არ ახალია [აბდოკოვი 1983 : 184]. ვფიქრობთ, შესაძლებელია ს.-ქართვ. *ფს- : ს.-სინდ. *ფსგ- არქეტიპების ურთიერთშეპირისპირება, ვინაიდან კორელაცია სველი ~ ფსელი / ფსმა ერთი სიტყვის ფარგლებშიც არის დამოწმებული, მდრ. რუს. моча „შარდი“, мочить „დასველება“, мочиться „მოშარდვა“...

ს.-ქართვ. *ფსეკჷ/*ფსიკჷ- „ნამალადევი ჩივილი“

სვან. ფშეკჷ // ფშიკჷ-ინ-ე „ნამალადევად ჩივის, ტირის“ (ა. ლიპარტელიანი)

ე/ი აბლაუტი შესაძლოა საერთოქართველური ფუძე-ენის მდგომარეობას ასახავდეს, თუმცა სხვა ქართველური ქვესისტემებიდან საკონტროლო მასალის უქონლობა გარკვეულწილად ართულებს რეკონსტრუქციის პროცედურას.

ს.-სინდ. *ფსკჷ- „ძუნწი“

აბაზ. ფსკჷ „ძუნწი“

სიტყვა განცალკევებით დგას აფხაზურ-ადიღურ ენებში, მაგრამ არ გამოირიცხება მისი ფუძეური წარმომავლობა. ამას სვანური შესატყვისი გვაფიქრებინებს. ჩვენეულ შეპირისპირებაში არგუმენტის ძალას იძენს სემანტიკური კორელაცია ნამალადევი ჩივილი ~ ძუნწი, რაც კანონზომიერი ჩანს.

აქვე გვინდა ადიღ. (ჭემგ.) ფსკჷ- „ცუდი“ (გამოთქმაში ფსკჷ – ხჷგღჷ) ფორმასთან აბაზური ფსკჷ „ძუნწი“ სიტყვის მიმართების საკითხიც დაისვას, უარყოფითი შინაარსი და სტრუქტურული მსგავსება ამის შესაძლებლობას იძლევა.

ს.-ქართვ. *ფსჷელ- „ფრთა“

ქართ. სჷე / სვე

ზან. (ლაზ.) მსუა / ფსუა, მეგრ. ფსუა / სუა „ფრთა“, ფსუალ-ეფ-ი „ფრთები“

ქართული ენის ზოგ დიალექტში შემორჩენილი სვე- ძირი გამარტივებული სახეობა ჩანს უფრო ძველი ფსვე სახელისა, რომლის ზუსტი შესატყვისი ზანურშია დაცული ფსუა ფორმის სახით.

სენაკური სუა და ლაზ. მსუა გვიანდელი ალომორფები ჩანს. ზოგ ქართველოლოგს არქექტიპად *სტე- მიუჩნევია, რაც არ შეესაბამება სიამდვილეს [იხ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 401].

ს.-სინდ. *ფსაჟ- „ფრინველი, ფრთა“

ადილ. ბზგჟ-გ, ყაბ. ბზუჟ „ფრინველი“

უბიხ. ბზა-ფა „ფრთა“

აბაზ. ფს-სჟა-ჟუგ „ბუზი“, აფხაზ. ა-ფსა-ტუ, ბზიფ. ა-ფსა, ა-ფსა-ტუ „ფრინველი“

ადილურ ენებში უფრო სრულად არის ძირის სტრუქტურა შემორჩენილი; უბიხურში, ისევე როგორც აბაზურში, ძირი გამარტივდა. ხმოვნის სიგრძე ყველგან უს დაკარგვის საკომპენსაციო შედეგია. არ ჩანს მექანიზმი ფს → ბზ გამჟღერებისა ჩერქეზულ ენებში.

აფხაზურ-ქართველურ ძირ-ფუძეთა ერთიანი წარმომავლობა კარგა ხნის ცნობილია [ლომ-თათიძე 1945 : 309-311].

ს.-ქართვ. *ფსტენ- „ობობა (სახეობა)“

ქართ. ფსვენ-ი „ბაბაჟუა, დედაზარდლისა“, паук (ჩუბინაშვილი)

სიტყვა განმარტოებით დგას ქართულში, მაგრამ, სავარაუდოდ, მას ფუძეენური ეტიმოლოგია ახასიათებს.

ს.-სინდ. *ფსა- „ობობა“

ადილ. ფსა- „ობობა“

უბიხური ფსაჟა „ობობა“ ერთიანი ძირი ჩანს და არ ვეთანხმებით მის შემდგომ სეგმენტაციას. მით უმეტეს, დადესტნური შესატყვისები უბიხურ ალომორფს ეხმიანებიან: ანდ. მისჯარა..., თაბას. ხაჟაჟუ // ხაჟუ, წახ. ხაჟსი „ობობა“.

ფსტ → ფს გამარტივების პროცესი კომბინატორული ჩანს ფუძესინდურში. ყურადღებას მიიპყრობს აფხაზ. ა-ფსა-კუა „კელა; ბზიკი“ სიტყვა, მაგრამ საკმაოდ შესამჩნევი სემანტიკური სხვაობის გამო საკითხს ღიად ვტოვებთ.

ს.-ქართვ. *(ფ)სილ- „სილა“

ქართ. სილ-ა

ზან. (მეგრ.) ფსილ-ა „სილა“

როგორც ეტყობა, ქართულში ფს კომპლექსი გამარტივდა, ვინაიდან ს → ფს გადასვლის ახსნა შეუძლებელი ჩანს. მით უფრო ანგარიშგასაწევია აფხაზურის ჩვენება, სადაც ფს მყარად ზის.

ს.-სინდ. *ფსგ- „ქვიშა“

აფხაზ. ფსგ-, სიტყვაში ა-ფსგ-ლემმ „ქვიშა“

აბაზური ფსგ-ლემმ „ჭაობი“ სხვა შედგენილობისაა – ფსგ „წყალი“ + ლემმ „მიწა“, ანუ -ლემმ ორივეგან მეორდება მიწის მნიშვნელობით. აფხაზურის ფსგ- ნამდვილად ქვიშას უდრის. ამ უკანასკნელს კ. ჭარაია ქართველურ ფსილა / სილა ალომორფებს უდარებდა [ჭარაია 1912 : 23].

აფხაზურ-ქართველურ იზოგლოსებს ეხმიანება ჰინუხ. მესე, ბეჟიტ. მისო „ქვიშა“ ფორმები, რომელთა ანლაუტური მ შეიძლება, უფრო არქაული აღმოჩნდეს, ანუ მს → ფს პროცესი აფხაზურ-ქართველურში განვითარდა.

ს.-ქართვ. *ფსინ- „გასივება“

ზან. (მეგრ.) ფშინ-აფ-ა „გასივება, გაზიზინება“, ფშინ-აფ-ილ-ი „გასიებული“ (ა. ქობალია)

მეგრულში ფიქსირებულ ფშინ- ზმნურ ფუძეს ანალოგები არ მოეპოვება სხვა ქართველურ ენა-კილოებში, რაც დამატებით კითხვებს აჩენს. და მაინც, ვსვამთ საკითხს მისი საერთოქართველური წარმომავლობის შესახებ.

ს.-სინდ. *ფსგ-ნ „გასივება“

ადილ. ფშ-გ-ნ, ყაბ. ფს-გ-ნ „გასიება“

უბიხ. ფსა- „ბუმტუკების ამოსვლა ცომში“

ჩერქეზულ ენათა მასალა ი. მესაროშმა შეაპირისპირა [მესაროში 1934 : 217], რაც გაიზიარეს მომდევნო თაობის ლინგვისტებმა [კვახაძე 2014 : 264].

სინდურ-ქართველურ კორესპონდენციაში მნიშვნელოვანი ჩანს შესატყვისობა ფონემებს შორის უკვე კომპლექსთა დონეზე – ს.-სინდ. ფს : ს.-ქართვ. ფს.

ს.-ქართვ. *ფსინ- „ყურება, შეგნება“

ზან. (მეგრ.) ფსინ-, ო-ფსინ-უ-ნ „ყურება, ხედავს“

ფსინ- ფუძე მხოლოდ მეგრულში ფუნქციონირებს. მას გააჩნია უტყუარი შესატყვისები ყველა სინდურ ენაში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აქ სესხების შესამდლებლობა გამოირიცხება. პირიქით, მეგრული ასახავს საერთოქართველური არქექტივის რეალურ ალომორფს.

ს.-სინდ. *ფლა- „ყურება“

ადილ. ფლა-ნ, ყაბ. ფლა-ნ „ყურება“

უბიხ. ფლა-, სგ-ფლა-ნ „ყურება“

აბაზ. ფშ-რა, აფხაზ. ა-ფშ-რა „ყურება“

განსხვავებით ქართველური ჯგუფისაგან, ს.-სინდ. *ფლა- ზმნური ძირის ალომორფები ყველა აფხაზურ-ადილურ ენაში არის წარმოდგენილი.

საყურადღებო ჩანს ლატერალური შესატყვისობა როგორც სინდურ ენებს შორის, ისე ს.-სინდ. ლ : ს.-ქართვ. ს, უფრო ზუსტად, ფლ : ფს.

ს.-ქართვ. *ფსინ- „ცივი ქარი, ნიავი“

ქართ. ფსინ-, ა-ფსინ-ვ-ა „წყლის ცივი სუსხი, ბერვა“

შეიძლებოდა სვანური ქისინ „სასიამოვნო, გრილი ნიავი“ (ა. ლიპარტელიანი) სიტყვაც აქვე მოგვეხმო იმაზე მითითებით, რომ ფ/ქ მონაცვლეობა სვანურში ბუნებრივი ჩანს შემდეგ მაგალითებში: სვან. ფუხტუ // ქუხტუ „მუწუკი“..., შდრ. ქართ. (აჭარ.) ფუთხო : სვან. ფურთხოტუ // ქეთხ, ანუ ფ → ქ სვანურში, მაგრამ ქ → ფ : სვან. ფაქრაჟან // ქაჟქან „ხრამი, სალი კლდე“...

ს.-სინდ. *ფსგ- „ქარი / ქროლა“

ადილ. აა-ფშა-ნ, ყაბ. აა-ფსა-ნ „ქროლა“

აბაზ. ფშა, აფხაზ. ა-ფშა „ქარი“

ს.-სინდ. *ფსა- : ს.-ქართვ. *ფსინ- კანონზომიერ მიმართებას აჩვენებს. უბრალოდ, ყოველთვის რჩება ეჭვი იმის თაობაზე, რომ, იქნებ ფუძე-ენაში *ფშა- შიშინა სახეობის ალომორფი იყო პოვნირი. ამავდროულად ყურადღებას მიიპყრობს ბგერათშესატყვისობა ჰარმონიულ კომპლექსთა დონეზე – ფს : ფშ/ფს, რაც ბუნებრივი ჩანს ჩვენი ენებისათვის.

ამასთან გვახსენდება ქართ. ლიფს-ი „ქარია ერთი“ (საბა) სიტყვაც, მაგრამ უბიხ. ტაფსა : ქართ. ლიფს-ი... სხვა ძირებია (იხ. აქვე ს.-ქართვ. *ლიფს- „დასავლეთის ქარი“).

სინდურ ფორმებს შეუპირისპირებენ ლავ. ჰაჟ „ცივი ქარი“, ჩეჩნ. ჰჟჟ „სუფთა ჰაერი, ნიავი“ სიტყვებს, რასაც არ მივიჩნევთ მართებულად, ვინაიდან ამ უკანასკნელთა კანონზომიერი ქართველური შესატყვისი ლაზურში შემონახული ხოვ-ი „სუნთქვა“ ფორმა გვგონია [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 762-763].

ს.-ქართვ. *ფსრ- „სულწასული“

ქართ. (თუშ.) ფსრ-იტ-ი „სულწასული, მოუთმენელი“

ძირად ფსრ- გამოიყოფა, ვინაიდან -იტ ქართულში სადერივაციო აფიქსია. სხვა ქართველური ენა-კილოებიდან შესაბამისი მასალა ვერ მოვიძიეთ, ამიტომაც გადაჭრით ძნელია იმის თქმა,

იყო თუ არა ფუძეენაში **ფსრ**- ძირი გახმოვანებული.

ს.-სინდ. ***ფსა**- „ხარბი, ძუნწი“

ადილ. ნა-**ფსგ**-მ, ყაბ. ნა-**ფსა**-მ „ხარბი, ძუნწი“

უბიხ. **ფსა**-ჲ „ძუნწი“

ამავე მნიშვნელობის აბაზური **ფსკ** „ხარბი, ძუნწი“, რომელსაც სიტყვა-ფორმათა ამ რიგში განიხილავენ [აბდოკოვი 1973 : 61], სხვაგვარ წარმომავლობას გულისხმობს (იხ. აქვე ს.-ქართვ. ***ფსეკჷ**/***ფსიკჷ**). რა თქმა უნდა, ადილურ ფორმებში ნა „თვალი“ და **ფსა** „სული“ სიტყვების გამოყოფა ხალხურ ეტიმოლოგიას უახლოვდება [შაგიროვი 1977, I : 279].

ქართულ-სინდურ იზოგლოსებს ეხმიანება ჩეჩნ. **ფის**, ინგუშ. **ფისა** „ძუნწი“ ალომორფები, შდრ. სვან. **ფიშ** „წუხილი“ (?).

ს.-ქართვ. ***ფსუტ**- „შარდი“

ქართ. (ქიზიყ.) **ფსუტ**-ი „შარდი“, **ფსუტ**-იან-ი „შარდის ვერშემკავებელი“

საბას ლექსიკონში დამოწმებული **ფსუტ**-ი „ზინზლის სუნი“ სიტყვაც ამავე ძირის შემცველი ჩანს, მაგრამ ქიზიყურ დიალექტში ლექსემის უფრო არქაული (ამოსავალი) მნიშვნელობა უნდა იყოს შემონახული.

ახლომონათესავე ქართველურ ენა-კილოებში სათანადო ძირ-ფუძეები ვერ გამოვავლინეთ.

ს.-სინდ. ***ფსუტტ**-ა „ცვარი; თქორი“

აბაზ. **ფსატა** „ცვარი, ნამი“, აფხაზ. **ფსატა** „თქორი“

ჩერქეზულ ენა-კილო-თქმებში შესაბამისი ალომორფები არ იძებნება. აფხაზურ-აბაზურში აშკარაა **ფსტ** → **ფს** დელაბიალიზაციის ბუნებრივი პროცესი, ძირის შედგენილობიდან გამომდინარე (დისიმილაციური გაუჩინარება). აქვე ფიქსირდება ს.-სინდ. **გ** → **ჟ** → **ჰ** ტრანსფორმაცია ძირეული ხმოვნისა.

სემანტიკური კორელაცია *შარდი ~ ცვარი; თქორი* ბუნებრივად გვესახება.

ს.-ქართვ. ***ფუდ**- „უგულობა; ზედმეტობა; სიცარიელე“

ძვ. ქართ. **ფუდ**-ულ-ი, **ფუდ**-ულ-ობ-ა „ნამეტნაობა“ (ჩუბინაშვილი), ფშ. **ფუდ**-ულ-ი „უგულო“

ზან. (მეგრ.) **ფუდ**-ა „სატყუარა“, **ფუდ**-ა ჩხოლ „ძროხა, რომელსაც ხბო არ ჰყავს და მოტყუებით წველიან“

ძირად **ფუდ**- გამოიყოფა, რომელსაც *ზედმეტობასთან* ერთად ახასიათებს *უგულობა / სიცარიელის* სემანტიკა.

ს.-სინდ. ***ფუტდ**- „იაფი, არამვირი“

ადილ. **ფუტდ**, ყაბ. **ფუტდ** „იაფი, არამვირი“

აბაზ. **ფუდ** „იაფი“

მართებული ჩანს მსჯელობა იმის შესახებ, რომ უბიხური **ფუუთგ** „იაფი“ ნასესხებია ადილურისა და [შაგიროვი 1977, II : 19]. იყო ცდა სიტყვათა ამავე რიგში განეხილათ ქართველური **მაფ**-ი // **ეფ**-ი ფორმებიც, რაც დაუშვებელია [შდრ. ტრომბეტი 1923 : 357].

ს.-ქართვ. ***ფუჷ**- „დუღილი“

ქართ. **ფუვ**-ი, ალ-**ფუვ**-ნებ-ა-მ, ალა-**ფუვ**-ა

ზან. **ფუ**-ნ-აფ-ა „ადუღება“, **ფუ**-ნ-ს „დუღს“

სვან. **ფუჷ**-, **ფუჷ**-ე „დუღს“

ვერ ვეთანხმებით წარმოდგენილ რეკონსტრუქციებს ფუ- ან ფუ-ინ- სახით; ვინაიდან ცხად-ზე ცხადია, რომ ქართულ-სვანურში ზმნური ფუძე სრულად (ვ'ს დაცვით) არის შემონახული, ხოლო მეგრულ-ლაზურში ვ- მხოლოდ ნ'სთან მეზობლობის გამო იკარგება რეგულარულად, შდრ. ქართ. სივ-ნ- „გასივება“ : ზან. ში-ნ-დ-უ(ნ) = სივ-დება [იხ. კლიმოვი 1964 : 192; შმიდტი 1962 : 136; ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 473].

ს.-სინდ. *ბგუ-ა- „სუნთქვა“

ყაბ. ბატ-ნ „სუნთქვა“, შდრ. ადიღ. ბატა-ნ „კოცნა“(?)

უბიხ. ბგუა- „სუნთქვა“

ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია შესატყვისობა სემანტიკურ დონეზე ს.-ქართვ. დულილი ~ ს.-სინდ. სუნთქვა, რასაც სტრუქტურული იგივეობაც ამყარებს.

მეტად საყურადღებო ჩანს დაღესტნურ ენათა სემანტიკური მრავალფეროვნება, ფუძის გახმოვანებასთან ერთად: ხუნძ. ფუ-, კარატ. ფუტა- „ქროლა“..., ხინალ. ფე „ჰაერი“, და ბოლოს ჰინუხ. ფელ- „სტვენა“...

ს.-ქართვ. *ფუკ- „კვამლი; ორთქლი; ბოლი“

ზან. (მეგრ.) ფურკ-ი „კვამლი“, ფურკ-უ-ა „ბოლვა, კმევა“, ფურკ-მეგამილ-ი „შებოლილი“

სვან. ფუკუ-ნ-ირ (ლხმ.) „ორთქლი, ოხშივარი“, შდრ. ფიკუ-ი (← *ფუკ-ი) „მშრალი“

ქართული შესატყვისი გვაკლია. ეპენტეზა მეგრულში მეორეული ჩანს, საერთოდ, რ აქ ხშირად ვითარდება ფონეტიკურად.

ს.-სინდ. *პკუგ- „ჭვარტლი; ბოლი“

ადიღ. (შაფს.) პკუგ „ჭვარტლი; ბოლი“

ფუძეენური წარმომავლობის სიტყვა მხოლოდ ადიღურში დასტურდება. სავარაუდო ჩანს *ფკუგ → *ფკუგ → *პკუგ წინარესინდურიდან საერთოსინდური ენობრივი მდგომარეობისათვის. საერთოქართველური არქტიპის ბგერითი შედგენილობის პირველადობაზე ნათლად მეტყველებს დაღესტნური მასალაც, შდრ. ლაკ. ფურკუ „კვამლი“.

ს.-ქართვ. *ფულქ-ილ- „ფოთოლი; ფურცელი“

ზან. (ლაზ.) ფურქირ-ი „მცენარის ფოთოლი, ფურცელი“

სიტყვა განმარტოებით დგას ლაზურში; სავარაუდოდ მას არაფერი აქვს საერთო ყვავილის აღმნიშვნელ ფუქირ-ი // ფურქ-ი // ფურკ-ი ლაზურ ალომორფებთან, რომელთაც ქართულ ფაქლ-ი // ფანქლ-ი „გამონაყარი; ქეცი“ ფორმებთან აკავშირებენ [საკითხის ისტორია იხ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 461].

წ.-სინდ. *ფულუქ-უ „ფოთოლი“

ხათ. puluku „ფოთოლი, მწვანე“

აფხაზურ-ადიღურ ენებში მსგავსი აგებულების სიტყვა-ფორმები არ დასტურდება. სამაგიეროდ ხათურმა წინარესინდურიდან მომდინარე ალომორფი შემოგვინახა.

ლაზურ-ხათური იზოგლოსების კანონზომიერ შესატყვისებს დაღესტნური ან ნახური ენებიდან ამ ეტაპზე ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვ. *ფურეწ- / *ფურიწ- „ფრეწა, ხევა“

ძვ. ქართ. ფრეწ-ს, ფრიწ-ა

ზან. (მეგრ.) ბურიწ-უ-ა „ფხრეწა“, ბურაწ-ილ-ი „ფხრეწილი“, ბურაწ-ელ-ი „დაფხრეწილი“, ბურაწ-უ-ა „აფხრეწა“, ლაზ. ბრიწ- / ბრაწ- „ფხრეწა“, ბრიწ-ელ-ი / ბრაწ-ელ-ი „დაფხრეწილი“, ე-ბურიწ-უ „დაიხა“

აბლაუტური ზმნა ჩანს ე/ი გახმოვანებით, როცა ქართულ ი-ს ზანურშიც ი შესატყვისება,

ხოლო – ქართ. ე -: ზან. ა. თავკიდურ პოზიციაში მისაღები ჩანს გ. კლიმოვისეული ყრუ (ფ) რეკონსტრუქცია [კლიმოვი 1964 : 190].

ს.-სინდ. *ფწჷჷ „წყვეტა; მტვრევა“

აფხაზ. ა-ფწჷჷ-რა „გაწყვეტა“; „ტეხა / მტვრევა“, ფწიწჷ-ემტ „გაწყვეტა; დაამტვრია“, ა-ფწჷჷ-ხა „ნაწყვეტი“

ერთ-ერთი არცთუისე იშვიათთაგანია, როცა სახეზეა ქართვ. რ : სინდ. უ ბგერათშესატყვისობა. სხვა მხრივ, საყურადღებოა სინდური ა გახმოვანება, რომელიც საერთოქართველურ *ფურეწ-დუბლეტურ ფორმას შეესატყვისება.

ს.-ქართვ. *ფურთხ- „ფურთხი; მუწუკი“

ქართ. ფურთხ-ი, ფუთხ-ო „ხმელი მუწუკი“

სვან. ფურთხ-ჷ (ბქ.), ფურთხ-ჷ „ხორცის შემაგრებული ბურთულა“

ბოლოკიდური -ო ზ. აჭარულში სვანურ -ჷს შეეფარდება, რომელიც ოს რედუქციის შედეგია სვანურში – ო → უ, ორივეგან აფიქსური ჩანს, შდრ. უაფიქსო ქართ. ფურთხ-ი. სიტყვის ბგერწერითობითობით უნდა აიხსნებოდეს რ // Ø სუბსტიტუციის შემთხვევები როგორც ქართულში, ისე სვანურში.

ს.-სინდ. *თხჷგრბ- „ქაფი“

ადილ. თხჷგრბ, ყაბ. თხჷგრგმბ-ა „ქაფი“

უბიხ. შხჷჷჷ ← *თხჷარბ „ქაფი“

ერთი შეხედვით, უცნაური ბგერათშესატყვისობა ადილ. თხ : უბიხ. შხ რეგულარულ-კანონზომიერ ხასიათს ატარებს და არ არის შეპირობებული ამა თუ იმ ძირ-ფუძის ბგერწერითი ან სიმბოლიკური აგებულებით. ამის ნათელი ნიმუში ჩანს ადილ. თხჷგ : უბიხ. შხგ „ხუთი“.

ს.-ქართვ. *ფურთხ- : ს.-სინდ. *თხჷგრბ- არქეტიპებს შორის გამოვლენილი შებრუნებული წყობა უფრო ქართველურის მეორეულობაზე მიანიშნებს, რის გარკვევაშიც სათანადო დაღესტნური მასალა დაგვეხმარება, შდრ. ლაკ.-დარგ. ხურთ „ქაფი“, კრიწ. ხეთ-გლ, ლეზგ., ალულ., რუთულ., წახ. ხურთ „ქაფი“.

ქაფი ~ ფურთხი ნორმალურ სემანტიკურ კორელაციად გვესახება.

ს.-ქართვ. *ფურც-ელ- „ფურცელი“

ქართ. ფურც-ელ-ი

ზან. (მეგრ.) ფურჩა „ფუჩეჩი“, ფურჩ-უმ-ალე „შალამანდილი“, ლაზ. ფურჩ-უმ-ალ-ე „შალამანდილი“ (მცენ.)

ჯერჯერობით სვანური შესატყვისი არ ჩანს. ზანურ დიალექტებში ფურჩ- ძირისაგან არის ნაწარმოები მცენარის (შალამანდილის) აღმნიშვნელი დენდრონიმი, თანაც ზუსტად ერთი და იმავე აფიქსაციით, რაც მოსალოდნელიც იყო.

ს.-სინდ. *ჷგც-გ „ბალახი“

ადილ. ჷგცგ, შაფს., ბჟედ. ჷგცგ, ყაბ. ჷგმ „ბალახი“

უბიხ. ჷგმ-ღალ ← *ჷგც-ღალ „ყვავილი“

ამ ძირის შესატყვისები აფხაზურ-აბაზურ ენებში არ იძებნება. უფრო ადრე გ. როგავა ჩერქეზულ ფორმებს ქართველურ დუც-, ურც- დენდრონიმებთან აკავშირებდა [როგავა 1959 : 66-69], რაც არ უნდა იყოს მართებული.

ჩვენი დაკვირვებით, ქართველურ ფურც-ელ-ს ასევე კანონზომიერად შეეფარდება ნახურ ენათა ბუც „ბალახი“ სიტყვა.

ს.-ქართვ. *ფუს- „ჩურჩული“

ქართ. ფუს-ფუს-ი (რედუპლ.), იმერ. ბუს-უნ-ი „ფუსფუსი“

ერთი ენის ფარგლებში ფ / ბ სუბსტიტუცია განპირობებულია სიტყვის ბგერწერითი და სიმბოლოური აგებულებით. ზანურ-სვანური შესატყვისები ვერ გამოვავლინეთ.

ს.-სინდ. *ფსგ- „თქმულება, ზღაპარი“

ადილ. ფშგ-ს // შგფს(წ), აბძახ. ფსგ-სა, ყაბ. ფსგ-სწ „ზღაპარი“

აქ ნამდვილად გამოსაყოფია ფსგ- ძირი, ხოლო -სწ სიტყვათმაწარმოებელი აფიქსი ჩანს, შდრ. ბ-გ-სწ „ზღაპარი“ [კვახაძე 2014 : 237].

ადილურ ენებში გამონაწევრებული ფსგ-/ფშგ-/ფსგ- ალომორფები ს.-ქართვ. *ფუს- ძირის სემანტიკურ-ფონეტიკური შესატყვისი უნდა იყოს.

სინდურ-ქართველურ არქეტიპებს ენათესავება ადულ. ფას-, უდ. ფეს-უნ, არჩიბ. ბოს „თქმა“ ზმნური ფორმები. ჩურჩული ~ თქმა ~ ზღაპარი სემანტიკური კორელაცია კანონზომიერებას ექვემდებარება, შდრ. რუს. сказать ~ сказка...

ს.-ქართვ. *ფუტ- „კვამლი; ელვა“

ქართ. ფუტ-ი „ავი კვამლი“ (საბა), გურ., იმერ. „ბოლი, კვამლი“

ზან. (მეგრ.) ფგტ-ი // ფიტ-ი „ელვა“

სვანური შესატყვისი ვერ გამოვავლინეთ. მეგრული ფგტ-ი // ფიტ-ი ალომორფები ნათლად ადასტურებენ უ → გ → //ი პროცესის რეალურობას ზანურში [როგავა 1962 : 47-48].

ს.-სინდ. *ფუტ- „ღრუბელი“

აფხაზ. ა-ფთა „ღრუბელი“

სინდური ენებიდან მხოლოდ აფხაზურს შემორჩა ფუძეენური წარმომავლობის სიტყვა, რომელიც ამავდროულად მეტ ფონეტიკურ ცვლილებებს დაექვემდებარა; უპირველეს ყოვლისა, ეს არის ტ → თ დეგლოტალიზაციის დამახასიათებელი პროცესი (შეიძლება ასიმილაციურიც) *ა-ფტა → ა-ფთა. გარდა ამისა, ფუძეენური *ფუტ- არქეტიპი, როგორც მოსალოდნელი იყო, გამარტივდა – *ა-ფუტ → *ა-ფგტ, რის შემდგომაც მეტათეზისითა და გ → წ → ა ტრანსფორმაციით მივიღეთ აფხაზ. ა-ფთა „ღრუბელი“ სიტყვა.

ს.-ქართვ. *ფუტ- „კვამლი; ელვა“ ~ ს.-სინდ. *ფუტ- „ღრუბელი“ არქეტიპების კანონზომიერი შესატყვისი იძებნება ნახურ ენებშიც, შდრ. წ.-თუშ. ტაფ-ლაკარ/ლეკარ „გაელვება“, სადაც მხოლოდ შებრუნებული წყობის ძირია პოვნიერი.

ს.-ქართვ. *ფუმ- „ბურცი“

ქართ. ფუმ-ი „ყვერ-მეტი“ (საბა), „თიაქარი“ (ქეგლ)

ზან. (მეგრ.) ფუმქ-ი „ბურცი, ბებერა“

ორივე ქართველური სიტყვისათვის ამოსავალი ჩანს გაბერვა / ამობურცვის შინაარსი. სემანტიკურ იგივეობას, სტრუქტურულ იდენტურობასთან ერთად, მხარს უჭერს სიბილანტური ბგერათშესატყვისობა ქართ. შ : ზან. შქ.

ს.-სინდ. *ფუმ- „მსხვილი, მსუქანი“

ადილ. ფშ-არ, ყაბ. ფშ-არ „მსხვილი, მსუქანი“

საძიებელ ადილურ ალომორფებში -არ სეგმენტის სუფიქსად კვალიფიკაცია მისაღები ჩანს [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 1010]. სემანტიკური კორელაცია ს.-ქართვ. ბურცი ~ ს.-სინდ. მსხვილი კანონზომიერებას ექვემდებარება და ხორცმეტობის შინაარსს გულისხმობს.

საყურადღებო იზოგლოსები იძებნება მონათესავე დადესტნურ ენებშიც, შდრ.: ბეჟიტ. ბოშერო, ჰუნზიბ. ბოშერუ „მსუქანი“...

ს.-ქართვ. *ფუჩულ- „მსუქანა; სიმსუქნე“

ქართ. ფუნჩულ-ა „მსუქანა“

სიტყვა იზოლირებულად დგას ქართულში, მაგრამ, სავარაუდოდ, მას ფუძეენური წარმომავლობა ახასიათებს. ნ ფონეტიკური ჩანართი უნდა იყოს – ფუჩულ- → ფუნჩულ-.

ს.-სინდ. *ფგცგლ- „ქონი; სიმსუქნე“

აბაზ. ფსგლ-ა „ქონიანი“, ფსგლა-რა „სიმსუქნე“, აფხაზ. ა-ფსგლ-ა „მსუქანი, ქონიანი“, ბზიფ. ა-ფსგლ-ა „id“

ერთი შეხედვით უჩვეულო ჩანს ჩ : ს/ს მიმართება, მაგრამ ც/ც → ს/ს დეზაფრიკაციის პროცესი აფხაზურ-აბაზურ ენათა ინოვაციად გვესახება. ამას ცხადყოფს ნახურ ენათა სთ კომპლექსი, რომელიც ხშირად დაჩნდება სისინა ც აფრიკატის შესატყვისად, შდრ. ს.-ნაზ. *ზ-არსთ- „გასუქება“.

სინდურ-ქართველურ იზოგლოსებს ეპარალელეა ხათური waʃsul „სიუხვე, ბარაქა“ სიტყვაც, რაც მნიშვნელოვნად ზრდის აღწერილი შეპირისპირების მნიშვნელობას.

ს.-ქართვ. *ფუც- „ნამცეცი“

ქართ. ფუც-უნ-ა „ნამცეცი“

ზან. (ლაზ.) ფინც-ი // ფიც-ი „უმცირესი ნაწილი“, მეგრ. ფიც-ი „ნამცეცი“, ფიც-ოლ-უ-ა „წვრილად დაპობა“

სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებდნენ ქართულ-მეგრულ ძირთა ერთიანობაზე [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 476]. უ/ი ალტერნაცია ქართველურ ენებში გ. როგავას კანონით აიხსნება [როგავა 1962] – ფუც- → ფგც- // ფიც. ვფიქრობთ, ამავე წესით ლაზური ფინც-ი // ფიც-ი ალომორფებიც აქვე შემოდის.

ს.-სინდ. *ფგც-გ „გატეხილი“

აბაზ. ფგ, აფხაზ. ძგ-ფჩუ „გატეხილი“

საერთოსინდური არქეტიპის რეკონსტრუქცია ხერხდება აფხაზურ-აბაზური მონაცემების საფუძველზე. სისინ-შიშინა ც ფშინვიერი სიბილანტ-აფრიკატის გაშიშინება საკუთრივ აფხაზურ-აბაზური ინოვაცია ჩანს.

ს.-ქართვ. *ფუც- : ს.-სინდ. *ფგც-გ არქეტიპთა შეპირისპირება გამოირჩევა სტრუქტურულ-სემანტიკური იგივეობით.

სხვა იბ.-კავკ. ენათა ჯგუფებში შესაბამისი მასალა ვერ მოვიძიეთ.

ს.-ქართვ. *ფუც- „ფიცი“

ძვ. ქართ. ჰ-ფუც-ავ-ს, ფიც-ი, ახ. ქართ. ფიც-ებ-ა, ფიც-ილ-ი

ზან. (მეგრ.) ფუჩ-ავ-ა „ფიცება“, ფუჩ-ი „ფიცი“, ფუჩ-ინ-ერ-ი „დაფიცებული“, ლაზ. ო-ფუჩ-უ / ო-ფუჩ-უ „დაფიცება“, ფუჩ-ინ-ერ-ი „დაფიცებული“

ერთ-ერთი ისეთი ძირია ქართულში, სადაც ზანურისებური უ → ი დასტურდება [როგავა 1962 : 47-48]. ლაზურ-მეგრულში რ ვიბრანტის ფონეტიკურ ნიადაგზე გაჩენა ხშირია, რაც ლაზურ დიალექტში აქაც გამოვლინდა [ჟღენტი 1953 : 70-71].

ს.-სინდ. *ფგც „მოტყუება“

ყაბ. ფგც „მოტყუება“

ფუძეენური წარმომავლობის რეფლექსი მხოლოდ ყაბარდოულში ვლინდება. თავისთავად კითხვებს აჩენს ძირ-ფუძეთა სემანტიკური მხარე – ფიცება ~ მოტყუება, მაგრამ მსგავსი კორელაცია ჩვენს ენებში არ ჩანს უცხო, შდრ. ს.-ნაზ. *დუბ ფიცი“ ~ ხინალ. დაბ, ლეზგ. თაბ „ტყუილი“.

სინდურ-ქართველური იზოგლოსების კანონზომიერი შესატყვისი უნდა ჩანდეს უდიური აფჩი „მოტყუება / ტყუილი“ სიტყვაში.

ს.-ქართვ. *ფშალ- „სვია“

ქართ. ფშალ-ა „სვია“

ზან. (ლაზ.) ფშქველ-ა „ახალგაზრდა (ნორჩი) თხემლა“

სიტყვა განუმარტავად ფიქსირებულია საბას ლექსიკონში, მაგრამ ჯერჯერობით არ არის დამოწმებული ძველ ქართულ ძეგლებში. **ო** → **ვე** ლაზურში ახსნილია უმლაუტის გზით [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 479].

ს.-სინდ. *ფსუ „ფეტვი, მარცვლეული“

უბიხ. ფშე „ფეტვი“

აფხაზ. ა-ფშ „მარცვლეული სიმინდი“

გვაკლია ადიღური მონაცემები, რისი შევსება უბიხურის ხარჯზე ხერხდება. როგორც მოსალოდნელი იყო, ბოლოკიდური **ლ** მოკვეცილია აფხაზურ-უბიხურში, რაც საერთოხინდური ფუძეენის წიაღში იღებს სათავეს.

მოცემულ ძირთა სარწმუნო დადესტნური პარალელი უნდა ჩანდეს ხინალულურ ფშა „პური“ სიტყვაში, შდრ. ასევე წ.-თუმ. ფსა „ქერი“.

ს.-ქართვ. *ფშტე „მდინარის ტოტი, ღელე“

ქართ. (ხევს.) ფშე „მდინარის ტოტი“

ზან. (მეგრ.) ფსქა-, ფსქა-ია „პატარა მდინარე, ღელე“

ბგერათფარდობა ქართ. შ : ზან. სქ გულისხმობს არქაული შტ ლაბიალიზებული კომპლექსის არსებობას საერთოქართველურ ფუძე-ენაში. ამგვარი ტრანსფორმაციის მრავალი მაგალითი შქვ → სქ(ვ) აიხსნება თ. გამყრელიძის კანონით [გამყრელიძე 1959 : 26-27].

ს.-სინდ. *ფსა- „წყალი“

ადიღ. ფსგ, ყაბ. ფსგ „წყალი“

უბიხ. ბზგ „წყალი“

აბაზ. ფსა-რა „დასველება“, აფხაზ. ფს-, სიტყვებში ფს-ლგ „წავი“ (= წყლის-ძალდი), ა-ფს-ლგმმ „ტალახი“ (= წყლის მიწა)

ცხადია, ადრე აფხაზურ-აბაზურშიც პოვნირი იყო ფს-კომპლექსიანი ძირები წყლის მნიშვნელობით პოვნირი. ეს უკანასკნელი ა-ძ/ძგ „წყალი“ სიტყვამ გამოდევნა აქტიური ხმარებიდან. ახსნას ითხოვს ბზგ- მქდერკომპლექსიანი ალომორფის არსებობა უბიხურში: ფს → ბზ გადასვლის მექანიზმი ჩვენთვის გაუგებარია.

ს.-ქართვ. *ფშტე : ს.-სინდ. *ფსა არქეტიპთან ურთიერთმიმართება კანონზომიერებას ექვემდებარება. მხოლოდ ის უნდა გავივალისწინოთ, რომ წინარექართველურმა სისინ-შიშინა ს სპირანტმა გაშიშინება ჯერ კიდევ საერთოქართველურ ფუძე-ენაში განიცადა.

ს.-ქართვ. *ფშტენ-/*ფშტინ- „ფშენა“

ქართ. ფშტენ-/ფშტინ-, ფშენ-ი-ს, და-ფშვენ-ი, ნა-ფშტენ-ი

სვან. ფურშტინ-, ა-ფურშგტინ-ე // ა-ფურშგტინ-ე „ფშენის“

ზედმეტი უ (ფურშგტინ-) სვანურში ფონეტიკურ ნიადაგზე თანხმოვანგამყარად არის გაჩენილი, ასე რომ, ამ ფუძეთა ერთიანობის მტკიცებისას იგი დაბრკოლებად ვერ იქცევა [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 479].

ს.-სინდ. *ფშტან- „ჭყლეტა“

ადიღ. ფშან, ყაბ. ფსუნ „ჭყლეტა“

ამოსავალი შიშინა სიბილანტი ყაბარდოულში სისინ-შიშინა გამხდარა, პირიქით პროცესს ვერ დავუშვებთ, ვინაიდან ქართულთან ერთად დადესტნურშიც შიშინა ფრიკატივია მხოლოდ

წარმოდგენილი, შდრ. ლეზგ., კრიწ. ტუშუნ. ეს უკანასკნელი, ასევე ქართველურთან ერთად, ამოსავალი შიშინა სიბილანტის ლაბიალიზაციას (შუ) უჭერს მხარს, რამაც ფ-სთან დისიმილაციით მომდევნო უ ჩააგდო ადილურ ენა-კილოებში.

ს.-ქართვ. *ფში- „წვრილი“

ძვ. ქართ. ფში-ტ-ი „წვრილი“

სიტყვა კარგად არის ცნობილი ძველქართული ტექსტებიდან: „მოვიდა ერთი ქვრივი გლახაკი და დასხნა ორნი ფ შ ი ტ ნ ი“ [აბულაძე 1976 : 450]. სავარაუდოდ, აქ პოვნიერი -ტ- სუფიქსური სეგმენტი ჩანს.

ს.-სინდ. *ფსგ- „წვრილი“

ადილ. (ჭემგ.) ფსგ-ღუჷ, ყაბ. ფსგ-ღუჷ „წვრილი“

სპეციალურ ლიტერატურაში -ღუჷ სუფიქსად გამოიყოფა [კვახაძე 2014 : 208]; ძირად დარჩენილი ფსგ- კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. *ფში- არქექტის, ხოლო ფს : ფში იმაზე მიუთითებს, რომ წინარქართველურში აღსადგენია *ფსი- სისინ-შიშინა არქიფონემის შემცველი ძირი, რომელიც ჯერ კიდევ საერთოქართველურში გაშიშინდა.

საყურადღებო ჩანს ორსავე ჯგუფში -ტ-/-ღუჷ სუფიქსების პოვნიერება.

ს.-ქართვ. *ფხ- „თბილი; მზიანი; ზაფხული“

ქართ. ფხ-ულ-ი, სიტყვაში ზა-ფხ-ულ-ი „თბილი“

სვან. ფხ-, ლუ-ფხ-უჷ „ზაფხული“

საკითხი დაისმის იგივე ფხ- ძირის გამოყოფის შესახებ ლაზურ მა-ფხ-ა „მზიანი, ნათელი ამინდი / დღე“ და სვანურ მე-ფხ-ე „დარი; მოწმენდილი ცა“ სიტყვებში [იხ. ჭარაია 1912 : 35-37; ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 480].

ს.-სინდ. *ფხ- „თბილი; ადუღება; წელი/ზაფხული“

ყაბ. ფს-არ-გჰა- „ადუღება, მომზადება“

უბიხ. ფს-გ „თბილი“

აზაზ. ფხ-ა, აფხაზ. ა-ფხ-ა „თბილი“, შდრ. აფხაზ. წგ-ფხ „გასული წელი“, ა-ფხ-გნ „ზაფხული“

სინდურ ენებში ფს ~ ფში ~ ფხ შესატყვისობა იმაზე მეტყველებს, რომ ამოსავალ ფხ კომპლექსი პალატალიზებული იყო. ამიტომაც ფხ → ფში → ფს ეჭვს არ იწვევს.

ქართულ-სინდურ [ბლაჟა 1948 : 40] ძირებს კანონზომიერად შეესატყვისება წ.-თუმ. და-ფხ-ენ „ცხელი“, და-ფხ-ნ-ა „სიცხე“ სიტყვები.

ს.-ქართვ. *ფხა „თევზის ფხა“

ქართ. ფხა, ფხ-იერ-ი // ფხ-იან-ი

ზან. (ლაზ.) მხა „თევზის ძვალი“, მეგრ. ხა გველის ძვალი“

სვან. ფხა თევზის ძვალი“

ქართულ-სვანური ვითარება სრულად ასახავს ამოსავალ ვითარებას, ფხ → მხ // ხ ზანურ კილოებში განხორციელდა [კლიმოვი 1964 : 194].

ს.-სინდ. *ხუჷ „ძარღვი“

ადილ. ხუჷ, ყაბ. ჰე ← *ხუჷ „ძარღვი“

უბიხ. ხა (← *ხუჷ-) „ძარღვი“

სინდური ენებისათვის, ალბათ, სავარაუდო ყოფილა ფხ → ხუ უკუპროცესიც (ხუ → ფხ-სთან ერთად), რაზეც ცალსახად მიუთითებს ქართველურ-ნახურ და დაღესტნურ ენათა ჩვენება, სადაც ფხ არის უალტერნატივოდ პოვნიერი: ნახ. ფხა, დარგ. ფხა, არჩიბ. ბუხ „ძარღვი“...

ს.-ქართვ. *ფხაჟ- „ციმციმი“

სვან. (ზზ.) ფხაჟ- „ციმციმი“, ფხაჟ-ჲდ „ციმციმა“

ახლომონათესავე ქართველურ ენებში შესაბამისი ძირ-ფუძეები არ იძებნება. ყოველ შემთხვევაში, გამოქვეყნებულ მასალებში იგი არ ჩანს.

სვანური ძირის გარეენობრივი შესატყვისები ფხაჟ- ლექსემის ფუძეენურ წარმომავლობაზე ამკარად მეტყველებენ.

ს.-სინდ. *ფხა- „ნათება“

აბაზ. ფხა-რა „ნათება“, აფხაზ. ა-ფხა-რა „ნათება“, სმრა-ფხრ-იტ „მზე ანათებს“

ჩერქეზული შესატყვისები გვაკლია. მიუხედავად ამისა, აფხაზურ-აბაზური მონაცემი საკმაოდ ზუსტ წარმოდგენას იძლევა საერთოსინდურ არქექტიპზე. ფორმალურად ს.-ქართვ. *ფხაჟ- : ს.-სინდ. *ფხა- მეტად ახლოს დგანან ერთმანეთთან, რასაც ზურგს უმაგრებს კანონზომიერი შესატყვისობა სემანტიკურ დონეზე: ციმციმი ~ ნათება.

ნახური ან დაღესტნური შესატყვისები ამ ეტაპზე ვერ გამოვლინდა.

ს.-ქართვ. *ფხალ- „ფხალი“

ქართ. მხალ-ი // ფხალ-ი

ზან. (მეგრ.) ხულ-ი „კეჟერა ფხალი“; „მიწაფხალი“

აქ წარმოდგენილი ქართულ-ზანური შეფარდება კანონზომიერი ჩანს. ისტორიულად არსებული ფ ბილაბიალის დაკარგვა მეგრულში საცნაური ხდება ო → უ ფონეტიკური გარდაქმნით – *ფხოლ-ი → *ფხულ-ი → ხულ-ი. ამ შეპირისპირებაში ზოგი ავტორი არჩევს *მხალ- არქექტიპის რეკონსტრუქციას [გუდავა 1960 : 122; ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 346], ამგვარ შესაძლებლობას არც ჩვენ გამოვრიცხავთ.

ს.-სინდ. *ფხგ „სტაფილო“

ადილ. ფხგ, ყაბ. ფხგ „სტაფილო“

აფხაზური (ზზიფ.) ა-ფჰ „სიმინდის ღერო“, უბიხ. მგხგ „id“ სხვა ძირი გვგონია, მათი აქ შემოტანა არ ჩანს გამართლებული [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 827].

სხვა მხრივ, ს.-ქართვ. *ფხალ- : ს.-სინდ. *ფხგ შეპირისპირება აჩვენებს, რომ ფუძე-სინდურში ბოლოკიდური ლ- დაიკარგა, რაც სისტემატურად ხდება.

ოსური აფხა „სტაფილო“ ადვილი შესაძლებელია, ინახავდეს აფხაზურ შესატყვისს, რასაც სიტყვის თავკიდური ა გვაპარაუდებინებს. სვანური ზგხგ „სტაფილო“ ჩერქეზულ წყაროს გულისხმობს [საღლიანი 2013 : 41; ბუკია 2016 : 131; შდრ. ჩუხუა 2000-2003 : 75].

ს.-ქართვ. *ფხალ- „ცხრილის/ცხავის ძირი“

ქართ. (ხევს.) ფხალ-ა „ცხრილის/ცხავის არამტკიცედ დაწნული ძირი“

სიტყვა შემორჩენილია მხოლოდ ხევსურულ დიალექტში, მაგრამ მისი საერთოქართველურობა ეჭვს არ იწვევს, ვინაიდან საყურადღებო შესატყვისები იძებნება მინათესავე სინდურ (და არამხოლოდ) ენებში.

ს.-სინდ. *ფხა- „ძირი, ფსკერი, უკან“

ადილ. ხა ← *ფხა „ძირი, ფსკერი“, ფხა „უკანა ნაწილი“, ყაბ. ფხა „ძირი; უკანა ნაწილი“

უბიხ. ფჰა ← *ფხა „უკანა ნაწილი; ანუსი“

ამ ფორმათა აფხაზურ-აბაზური ალომორფები ჯერ-ჯერობით არ არის გამოვლენილი. ფუძეენურ მდგომარეობაზე ამ შემთხვევაში უბიხური მონაცემის გათვალისწინებითაც გვიხდება მსჯელობა, რაც ართულებს რეკონსტრუქციის პროცედურას. სინდური ძირის აუსლაუტში ფუძეენურ დონეზე ლ-ს (და, საერთოდ, სონორთა) დაკარგვა ბუნებრივი მოვლენაა, მაგრამ ფხ → ფჰ ნამდვილად უბიხური ინოვაცია ჩანს, ვინაიდან ჭემგულური ვარიანტი ამოსავალ ფხ კომპლექსს

წარმოაჩენს. ამ უკანასკნელში (ფხ^ა-ჩ) ფხ^ა-ს ძირად გამოყოფენ უბიხურზე მიუთითებლად [კვახაძე 2014 : 31].

უბიხური ხა „ძირი, ქვედა ნაწილი“ სხვაგვარი ეტიმოლოგიის სიტყვა უნდა იყოს.

ბოლოკიდური ლ ჯერ კიდევ ფუძესინდურში ჩანს დაკარგული, ისევე, როგორც ნახურ ენებში, შდრ. ინგუშ. ფხო „ძირი, ფსკერი“. ისტორიულად ლ-ს არსებობას ადასტურებენ, ქართველურის გარდა, დაღესტნური მონაცემებიც, შდრ. მაგალითად, დარგ. ხარ (← *ფხარ) „ძირი, ფსკერი“, ხარ-ჯილ „სამიროკველი“.

საყურადღებო დაღესტნურ პარალელებად გვესახება ტინდიური ბეხი „ძირი, საფუძველი“ და ანდ. ბეხირ-ყილ „ძირი“.

ს.-ქართვე. *ფხან- „ფხანა“

ძვ. ქართ. ფხან-ა „მუნი“, ფხან-ა „მოქავება“ (საბა), მე-ფხან-ი, ახ. ქართ. ფხან-ა

სვან. ხერ- / ხწრ- „ფხანა“, ა-ხწრ-ი (ო-ხწ-ხწრ) „იფხანს“, მა-ხწრ-ა, მწ-ხერ-ა (ბქ., ლნტ.) „მუნი“

სავარაუდოა, რომ საერთოქართველური ფხ კომპლექსი სვანურში გამარტივდა ფ-ს გაუჩინარებით, რასაც ძირეული ე (←წ) ხმოვნის საკომპენსაციო დაგრძელება მოჰყვა, შდრ. აგრეთვე ქართ. ფხეკ- : სვან. ხკგნ-/ხკგნ- „ფხეკა“.

სიტყვის აუსლაუტში შეინიშნება ქართ. ნ : სვან. რ, რაც ნ → რ დენაზალიზაციის ტენდენციით აიხსნება სვანურში და ხშირად ვლინდება, ისევე, როგორც პირიქით – ნ ← რ.

ს.-სინდ. *ფგგ- „ფხანა“

ადილ. (ჭემგ.) ფხგ-ნ „ფხანა“

უბიხ. ხა- „ფხანა“

გუტურალური ხ სპირანტის ფარინგალიზაცია უბიხურში ნიშნავს ამოსავალი ჯ აფრიკატის პოვნირებას ფუძე-ენაში. ს.-სინდ. *ფგგ- : ს.-ქართვე. *ფხან- მკაფიოდ აჩვენებს, რომ ფგ → ფხ სპირანტიზაციის პროცესი ქართველურში განხორციელდა, რაც ფონოტაქტიკური შეზღუდვის მოქმედებით აიხსნება.

ანგარიშგასაწევი ჩანს ფხ → ხ ჰარმონიულ-დეცესიურ კომპლექსთა გამარტივების ერთგვაროვანი პროცესი უბიხურსა და სვანურში.

ს.-ქართვე. *ფხატ- „ჩიჩქნა“

სვან. ფხგტ- „ჩიჩქნა“, ფხგტ-ნწ „ჩიჩქნია“

ზანურ-ქართული შესატყვისები ვერ გამოვლინდა. ერთადერთი ჩანს შესაძლებლობა ქართული ფხაჟ-ნ-ა გამოვიყვანოთ ისტორიული *ფხატ-ნ-ა არქეფორმისაგან; ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავუშვებთ ძირის ბგერწერითობას.

ს.-სინდ. *ფხატ- „ფხანა, ქავილი“

აბაზ. (ტაპანთ.) ფხთ-გ „ფხანია; მუნიანი“, ფხთ-რა „ფხანა, ქავილი“, აფხაზ. (ბზიფ.) ა-ფხთ-გ „ფხანია; მუნიანი“, ა-ფხთ-რა „ფხანა, ქავილი“

ჩერქეზული მონაცემები არ იძებნება. აფხაზურ-აბაზურშიც რედუქციის მომდევნო საფეხურზე ხტ → ხთ კომბინატორული ბუნების ასიმილაცია განხორციელდა; ამიტომაც გვაქვს ფხთ-ფხთ-გ დასახელებულ ენებში. თუმცა, ძირის ბგერწერითი ბუნებიდან გამომდინარე, თ/ტ სუბსტიტუციასაც ვერ გამოვრიცხავთ (ფონოსემანტიკა), შდრ. სვან. ფხგტ- / ქართ. ფხაჟ-...

მონათესავე იბ.-კავკ. ენებში შესაბამისი იზოგლოსები ვერ მოვიძიეთ.

ს.-ქართვე. *ფხაჟ- „ოდნავ ჭრა“

ქართ. ფხაჟ-ნ-ა, ფხაჟ-ნ-ი-ს „ოდნავ ჭრის, კაწრავს“

ფუძე მხოლოდ ქართულშია პოვნირი, მაგრამ ამავედროულად მოეპოვება სანდო პარალელი

სინდურ ენებში.

ს.-სინდ. *ჭუაჭ- „ჭრა, დასერვა“

უბიხ. ჳგჳ- „ჭრა, დასერვა“, ა-ს-ჳგჳ- „id“

ფარინგალური ფშვინვიერი აფრიკატის პალატალიზაცია უბიხურში შესაძლოა ჳ-ს ისტორიული ლაბიალიზაციის მოშლის შედეგი იყოს – ჳჭუაჭ → ჳგჳ. სწორედ ამ ჳჭ კომპლექსის ზუსტი შესატყვისია ქართველური ფხ კოპლექსი. ეს უკანასკნელი არ გამოირიცხავს ამოსავალში ფჳ ჰარმონიულ-დეცესიური კომპლექსის არსებობასაც, რომელიც ქართულში დისტრიბუციული შეზღუდულობის გამო ფხ-ში გადავიდა.

მონათესავე იბ.-კავკ. ენებში სათანადო იზოგლოსები ამ ეტაპზე ვერ გამოვლინდა.

ს.-ქართვ. *ფხუ- „თხრა, ქექვა; ჭრა“

ქართ. (ხევს.) ფხუ-ებ-ა, გადა-ფხუ-ებ-ა, მთიულ. ა-ფხუ-ებ-ა, და-ფხუ-ებ-ა „თხრა, ქექვა, ჭრა“

სადიებელი ზმნური ძირი მხოლოდ ქართული ენის დიალექტებში იძებნება. ზანურ-ქართულში სათანადო შესატყვისები ჯერჯერობით არ ჩანს. მიუხედავად ამისა, ქართ. ფხუ- საერთო-ქართველური ფუძე-ენიდან მომდინარედ მიიჩნევა. მას სიამედო სინდური (და არამხოლოდ) შესატყვისები ეძებნება.

ს.-სინდ. *ფხუ- „ჭრა“

ადილ. უგ-ფხუ-გნ, ყაბ. ფგ-ფხუ-გნ „ჭრა (თმის...)“

სინდურ ენებში ფხუ- ზმნურ ძირად გამონაწევრდება, ვინაიდან უგ ადილურში და მისი ფონეტიკური ალომორფი ფგ- (← უგ-) ყაბარდოულში ვერბალური პრეფიქსებია.

ს.-სინდ. *ფხუ- : ს.-ქართვ. *ფხუ- არქეტიპებს კანონზომიერად შეეფარდება დადესტნური ზმნები: ტინდ. ბ-უხ- „დაქცევა“, ლაკ. ბ-უჯა- „წაჭრა, ჩამოჭრა“, შდრ. ხვარშ. ა^ნხუა, ინხოყვ. ოხო, ბეჟიტ. ოხო, ჰუნზიბ. გ^ნხუ „ჭრილობა“ [მეტი იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 863].

ს.-ქართვ. *ფხუ-ენ- „ფხვნა, ფხვნილი“

ქართ. ფხვნ-ა, ფხვნ-ილ-ი, ნა-ფხვენ-ი „ნალეწთ (ნაფშვნეტის) უმცირესი ნაწილი“ (საბა)

სიტყვა მხოლოდ ქართულში დასტურდება, თუმცა სინდური (და არამხოლოდ) პარალელები მის ძირქართულობას ამტკიცებს.

ს.-სინდ. *ფახ-ა „ორთქლი“

ადი. ფახ, ყაბ. ბახჳ „ორთქლი“

შეიძლებოდა ასევე შემოგვეტანა აბაზური ბახ „ორთქლი“, მაგრამ მისი თავკიდური ბ გახმოვანება ყაბარდოულ წარმომავლობაზე მეტყველებს.

ერთი შეხედვით პრობლემური ჩანს სემანტიკური კორელაცია ს.-სინდ. ორთქლი ~ ს.-ქართვ. ფხვნა /ფხვნილი, მაგრამ დადესტნური მასალის მოხმობით მეტად საგულისხმო გარდამავალი რგოლის სემანტემები იკვეთება, შდრ. ჰუნზიბ. ფგხ „მტვერი; ორთქლი“ ერთი სიტყვის ფარგლებში, ასევე ბეჟიტ. ფახ, დარგ. ფგჳ „მტვერი“...

ს.-ქართვ. *ფხინ- „ჩხირი, საქსოვი იარაღი“

მვ. ქართ. ფხინ-ი „რქა ქსლის სასწორებელი“, ხევს. „საქსოვი იარაღი“, პირ-ფხინ-ა

ზან. (ლაზ.) ფხენ-ი →// მხენ-ი „თითისტარი“

სვანურ-მეგრულმა მეტყველებამ ეს ძირი არ იცის. რაც შეეხება ქართულს, ფხინ- ცნობილია უძველესი ქართული წერილობითი ძეგლებიდან: „მოიღო ფ ხ ი ნ ი და აღმოიყარნა ორნივე თუალნიმისნი [აბულაძე 1973 : 450].. იგი საბას მიერ ასევე განიმარტება როგორც ფ ხ ი ნ ი რქა ორხავის ქსლის სასწორებელი (საბა).

ფონეტიკურად, ლაზური ე : ქართ. ი შეფარდების პარალელად ასახელებენ ქართ. ცილა :

ლაზ. ცელა შეპირისპირებას [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 481].

ს.-სინდ. ***ხ**- „ისარი“

ადიდ. შა, ყაბ. შა „ისარი“

უბიხ. შა „ისარი“

აბაზ. ხგ, აფხაზ. ა-ხგ „ისარი“

უკვე საერთოსინდურ ქრონოლოგიურ დონეზე ამოსავალი სტრუქტურა სიტყვისა მეტად ნაცვალა. ტრანსფორმაცია შეეხო როგორც სიტყვის ანლაუტს – **ფხ** → **ხ**, ისე აუსლაუტს – **ნ** → **∅**.

ქართველურივით B ტიპის დეცესიურ-ჰარმონიული **ფხ** კომპლექსი უცვლელად შენარჩუნდა ნახურ ენებში, შდრ. ჩეჩნ. **ფხა** „ისარი“.

ს.-ქართვ. ***ფხოლ**- „თითი“

ქართ. **მხოლო**-**ფ**, **მხოლო**-**ო**

სვან. **ფხულ**-**ე** „თითი“

გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში ივანე ჯავახიშვილი ვარაუდობდა ამ ქართველურ ფუძეთა ერთიანობას. სახელოვანი მეცნიერი წერდა: „ქართ. მხოლო-ს თავდაპირველი ბგერითი სახეცა და პირველადი მნიშვნელობაც სვანურს დაუცავს. სვანურად არსებობს სიტყვა **ფხულე**, რომელიც თითსა ნიშნავს“ [ჯავახიშვილი 1992 : 386]. ჩვენ ვიზიარებთ ივ. ჯავახიშვილის ამ თვალსაზრისს და ს.-ქართვ. ***ფხულ**- არქეტიპს შესატყვისებს ვუძებნით ჩერქეზულ ენებში.

ს.-სინდ. ***ფხუტ**- „თითი“

ადიდ. (**ფ**)**ხუტ**-მზა, ყაბ. (**ფ**)**ხუტ**-მზა „თითი“

ჩერქეზულ ენებში **-მზა/-რზა** სეგმენტებს სუფიქსად გამოყოფენ [კვახაძე 2014 : 25]. ვფიქრობთ, იგივე აფიქსი გამოსაყოფია **ფხუტ**-მზა „თითი“ ფუძეშიც. გამოყოფილი ***ფხუტ**- კანონზომიერად მიემართება ს.-ქართვ. ***ფხოლ**- არქეტიპს, შდრ. ს.-ქართვ. **ფხ** : ს.-სინდ. **ფხ**, ს.-ქართვ. **ო** : ს.-სინდ. **უტა**, ს.-ქართვ. **ლ** : ს.-სინდ. **∅** ← **უ**.

საკითხი ისმის ს.-ქართვ. ***ფხოლ**- / ს.-სინდ. ***ფხუტ** და ს.-ქართვ. ***ფოხ** : ს.-სინდ. ***მზა/ფხა** „თითი; ბრჭყალი“ ფუძეთა ერთიანი ეტიმოლოგიის შესახებ.

ქ

ს.-ქართვ. ***ქაჟ**- „გალავანი; ღობე“

ქართ. **ქავ**-ი „ციხის ზღუდე, გალავანი“

სვან. **ჩაჟ**, **ჩეჟ** (ლშხ.) „წნული ღობე“

ზანურ დიალექტებში სათანადო ძირი არ იძებნება. სვანური **ჩეჟ/ჩაჟ** კანონზომიერად შეესატყვისება ქართულ **ქავ**- ფუძეს, **ქ** → **ჩ** პოზიციური ჩანს, ე-ს პალატალიზაციის შედეგები – **ქეჟ** → **ჩეჟ**. ამის შემდგომ ზემოსვანურში მ. ქალდანის კანონით უკუუმლაუტის პროცესი განვითარდა – ***ქეჟ** → **ჩეჟ** → **ჩაჟ**. ქართული **ჩეო** სვანურიდან არის შეთვისებული, დამახასიათებელი **უ** → **ო** მარცვლოვნობისთვის შდრ. სვან. ზესხჟ → ქართ. ზესხო...

ს.-სინდ. ***ქაჟ**- „ზღუდე; მამული“

ადიდ. **ჩაჟ** „ზღუდე“, ჭემგ. მამული“, ყაბ. **ჩაჟ** // **ჩოჟ** „ზღუდე“

მეზობელ ოსურ ენაში დადასტურებული **ქაჟ** // **ქაჟ**-**ჟ** „ზღუდე, გალავანი“ თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, რომ სიტყვის სესხება განხორციელდა **ქ** → **ჩ** პროცესის ამოქმედებამდე ჩერქეზულში.

სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ დადესტნურ და ნახურ შესატყვისებზე, ასევე უნგრულ, მორდოვულ, რუსულ... პარალელებზეც; ეს უკანასკნელი, ჩვენი აზრით, კავკასიური ენებიდან გასულ ლექსიკაზე მიუთითებს [აბდოკოვი 1983 : 127; სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994: 688-689]; და ურარტული **ქა** „ჭიშკარი“ სიტყვაც ამის დასტურია.

ს.-ქართვ. *ქათამ- „ქათამი“

ქართ. ქათამი-ი „მამალი; დედალი ქათამი; ფრინველი“

ზან. (ლაზ.) ქოთუმ-ე, მეგრ. ქოთომ-ი „ქათამი“

სვან. ქათალ „ქათამი“

გარდა ამ ძირებისა, ლაზურში დასტურდება ქორმ-ე (ათინ.), რომელიც შეიძლება რედუცი-რებული ქოთმ-ე სახეობიდან იყოს მიღებული – ქოთუმ-ე → *ქოთმ-ე → *ქოდმ-ე → *ქორმ-ე; ან სულაც სხვა ძირია, რომლის წარმომავლობაც დასადგენია [იხ. კლიმოვი 1964 : 195; ფენრიხი, სა-რჯველაძე 2000 : 483-485].

ს.-სინდ. *ქათაჲ- გ „ქათამი“

ადილ. (შაფს.) ქაწთაგ, ჭემგ. ჩაწთგ, ბჟედ. ქაწთა, ყაბ. ჯაწდ, ბასლ. გაწდ „ქათამი“

აბაზ. ქაჭტუ // ქაჭტა, აფხაზ. ა-კაჭტა „ქათამი“

სხვაობები თანხმოვნურ შესატყვისებში გამოწვეული ჩანს ამოსავალი პრერუპტიული ქ და თ თანხმოვნების შემდგომი ტრანსფორმაციით. ერთი მიმართულებაა გამჟღერება ყაბარდოული ტიპისა ტ – დ და, პირიქით, პრერუპტივთა გლოტალიზაცია სრულად აფხაზურში კ – ტ, ნაწილობ-რივ აბაზურში: ქ – ტ.

ფაქტობრივად, იმავე სურათს ვხედავთ დაღესტნურ ენებშიც – ყაბარდოული ტიპისაა ბეჟიტ. გუდა, ჰუნზ. გუდო, ხოლო რუთულ., კატი, წაბ. კატი „ქათამი“ აფხაზურ ტრანსფორმაციას მიჰყვება [იხ.-კავკ. ძირების შესახებ იხ. ჯავახიშვილი 1937 : 613-617].

ს.-ქართვ. *ქალ-ა „მცირე ნაგებობა; კარავი“

ქართ. (ქიზიყ.) ქალა „კარ-ფანჯრის ჩარჩოს ზემოთა ნაწილი“

ზან. (მეგრ.) ქოლო „კასრი“, ლაზ. ქოლო „ხის ქერქისგან დამზადებული კალათა“

სვან. ქელ // ქუელ „კარავი“

ისტორიულად სვანურში ქელჲ სახეობის ფუძე უნდა გვექონოდა, რაც დამახასიათებელი ა → ჲ რედუქციის მოქმედებით უნდა აიხსნას. სწორედ ქელჲ გახდა ბალსქვემოური ქუელ ალომორ-ფის წყარო – ქელჲ → ქუელ.

ს.-სინდ. *ქალ-ა „ქოხი“

ადილ. ჩალ, ყაბ. ჩელ „ქოხი“

აბაზ. ქალა, აფხაზ. ა-ქალა „ქოხი“, ბზიფ. ა-ქალ „id“

სპეციალურ ლიტერატურაში განიხილავენ შესაძლებლობას ადიღურიდან აფხაზურ-აბა-ზურში ფორმათა სესხებისას; უფრო მეტიც, სვანურიც ადიღურ ნასესხობად მიიჩნევა [კლიმოვი 1968 : 294], რაც სავსებით სამართლიანად არის უარყოფილი ადიღურის შემთხვევაში [სტაროსტი-ნი, ნიკოლაევი 1994 : 692]; იგივე შეიძლება ითქვას სვანურ ფორმაზეც, აქ გ. კლიმოვი ვარაუდობს შეუძლებელს, ანუ ჩერქეზულში არარსებული ო-ხმოვნის სახეობა გახდა წყარო სვანური ქუელ ფორმისათვის, რაც აბსურდია.

ს.-ქართვ. *ქამ- „ნამი; უხვი სითხე“

ქართ. (გურ.) ქამი-ი „ნამი, სისველე“, და-ქამ-ვ-ა „დასველება“

ზან. (მეგრ.) ქუმ-ინ-ი „სითხის უხვად ღვრა“

ქართულ ქამ- ფუძეს კანონზომიერად შესატყვისება ზან. (მეგრ.) ქუმ- - ო → უ მ-ს გამო [გუ-დავა 1960 : 124-128]. ს.-ქართვ. *ქამ- არქეტიპს სარწმუნო შესატყვისები ეძებნება როგორც სინდურ, ისე დაღესტნურ ენებში.

ს.-სინდ. *ქაჲ „წვიმა“

უბიხ. ქაჲ „წვიმა“

აბაზ. ქტა წვიმა“, აფხაზ. ა-ქტა „წვიმა“

სინდური ენებიდან მხოლოდ აფხაზურ-აბაზურს შემორჩა საერთოსინდური არქტიპის რეფლექსები, ისიც ბქ → ქ A ტიპის კომპლექსის გამარტივებით.

სათანადო დალესტნური მასალა, ქართველურთან ერთად, იძლევა ძვირფას ინფორმაციას ამოსავალი არქტიპის სტრუქტურის გასათვალისწინებლად, შდრ.: დარგ. მარქტა „წვიმა“, ლავ. ბარქ „ღრუბელი“, არჩ. მაქტ „ნამი“.

ს.-ქართვ. *ქამ- : ს.-სინდ. *ქტა ერთნაირად უპირისპირდებიან თანმიმდევრობის თვალსაზრისით დალესტნურ ძირებს, შებრუნებული წყობა დალესტნურში ვლინდება.

ს.-ქართვ. *ქამ- „ძირი, ფსკერი“

ზან. (ლაზ.) ქუმ-ენ-ი „ძირი, ფსკერი“

ქართულში მოსალოდნელი ქამ- არ დასტურდება, ხოლო სვანურში სემანტიკაა მეტად განსხვავებული, შდრ. სვან. ქამ-ა „მატება“. დასახელებულ ძირებს შორის კავშირს ძნელად ვხედავთ. ყველა შემთხვევაში, საკითხი დამატებით შესწავლას საჭიროებს.

წ.-სინდ. *ქაბ- „ცა“

ხათ. kap (=kab) „ცა“

ლაზურ-ხათური სიტყვების შეპირისპირებისას თავჩენილია სემანტიკური ოპოზიცია ცა ~ ფსკერი, რაც ახსნადია; მით უმეტეს, იმ შემთხვევაში, თუ დავუშვებთ სვანური ქამ-ა „მატება“ ზმნასთან გენეტიკურ კავშირს, ვინაიდან ცა ~ ზესვლა ~ მატება მეტად ბუნებრივი კორელაცია ჩანს. დამაინც, ბევრი რამ გასარკვევი რჩება, რასაც ამ ეტაპზე ნახური ან დალესტნური იზოგლოსების უქონლობაც განაპირობებს.

ს.-ქართვ. *ქან- „რბენა, გაქცევა“

ქართ. ქან-, ნა-ქან-დ-ა, გა-ქან-ებ-ულ-ი

სვან. ქინ- /ქნ-, ი-ქნ-ე „გარბის“, ად-ქინ-ე „გაიქცა“

მეგრულ-ლაზურში შესატყვისი ფუძე ჯერაც არ არის გამოვლენილი [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 485]. გარკვეულ კითხვებს აჩენს სვანურის ი ქართული ა-ს საპირისპიროდ, რაც სხვა მაგალითებშიც საცნაურია, შდრ. ქართ. ძალ-ი : სვან. ჯილ „სიმი“ და სხვ.

ს.-სინდ. *ქენ- „ნაბიჯის გადადგმა“

ყაბ. ჩენ- ← *ქენ- „ნაბიჯის გადადგმა“

სიტყვა სინდური ენებიდან მხოლოდ ყაბარდოულში ფიქსირდება [კუიპერსი 1975 : 49], თუმცა ქართველურ პარალელებთან ერთიანობა მის ფუძეურ წარმომავლობას ამტკიცებს. არსებობს ცდა ყაბარდოული ზმნა დაუკავშირდეს დალესტნურ (ანდ. ქაბ-დ- „შესვლა“...) მონაცემებს, რაც მეტ არგუმენტაციას საჭიროებს [იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 266].

ს.-ქართვ. *ქან-ა „კანაფი“

ზან. (მეგრ.) ქუნუ // ქენგ „კანაფი“, შდრ. ქუნ-იერ-ი, როგორც ღორჯ-იელ-ი „ღორჯოიანი“

სვან. ქან (ნათ. ბრ. ქანა-შ) „კანაფი“

ჩვენს სინამდვილეში სვანურ ქანა-ს ზანურში {ქონუ} უნდა ჰქონოდა შესატყვისად, მაგრამ სუფიქსური -უ-ს ზეგავლენით საბოლოოდ ქუნუ დამკვიდრდა – *ქონუ → ქუნუ // ქენგ „კანაფი“. მეგრული სახეობის ფუძე გამხდარა გასესხების წყარო აფხაზური ა-ქუნგ „კანაფი“ ფორმისათვის – მეგრ. ქუნუ → აფხაზ. *ქუნგ → -ქუნგ.

ს.-სინდ. *გან-ა „კაბა“

ადიდ. (შაფს.) განა, ჭენა, ჯანა „კაბა“, ყაბ. ჯანა, ბასლ. განა „კაბა“

გასაზიარებელი ჩანს სპეციალურ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრება სვან. ქან,

ჩერქ. გ^{ან} და ოსური გ^{ან} // გ^{ან} „კანაფი“ ფორმათა ერთიანი წარმომავლობის შესახებ [აბაევი 1989, IV : 513], ოღონდ იმგვარი შესწორებით, რომ ოსური ალომორფები ნასესები ყაზარდოულიდან და ამავდროულად ინახავს მის არქაულ კანაფის მნიშვნელობას. სემანტიკური კორელაცია კანაფი ~ კაბა ბუნებრივი ჩანს, ვინაიდან კაბა/პერანგი ძირითადად კ ა ნ ა ფ ი ს ა იყო, შდრ. კონტექსტი სვანურში: ჯუტინალდ ნ^ა ხ^ატიქ^ამედად ქ ა ნ ა ფ ა ტ^ანს „ძველად ჩვენ კანაფის პერანგს ვიცვამდით“ [თოფურია, ქალდანი 2000 : 777].

დადესტნური ენებიდან ანდიური ქინ „კანაფი“ ზემოთ აღწერილ ძირ-ფუძეებს ენათესავება.

ს.-ქართვ. *ქარდ- „დიდი ეკალი“

ქართ. (გურ.) ქარდ-ი „დიდი ეკალი“

ზან. (მეგრ.) ქურდ-ია „ერთგვარი ეკლიანი მცენარე“, ქურდ-ი-ონ-ი (მიკროტოპ. ხობში)

ქართველურ სიტყვას, კანონზომიერი შესატყვისები ეძებნება სინდურ ენებში. სვან. ქარდ „ეკალი, ჩირგვი“ არ იძლევა *ქ^არდ- ლაზიალიზებული არქეტიპის აღდგენის შესაძლებლობას.

ს.-სინდ. *ქ^არანდ- „ბუჩქი“

ადიდ. ქ^არანდ „ბუჩქი“

სინდურ ენებშიც იგივე პრობლემა დგას, მხოლოდ ადიღურშია ქ^არანდ ძირი პოვნირი. თუმცა ნახურშიც „ბუჩქის“ მნიშვნელობით *ქ^არდ- არქეტიპი აღდგება, რომელმაც ჩეჩნური დ-ს დამახასიათებელი დაკარგვით არაანლაუტურ პოზიციებში თანამედროვე ალომორფები ქ^არდ // ქ^არდ „ბუჩქი“ მოგვცა. ვფიქრობთ, სემანტიკური კორელაცია ბუჩქი ~ ეკალი მისაღებია.

ადიდურ ქ^არანდ ფორმას უდარებენ დიდ. ქუდი, ინხოყვ. ქოდე „თმა, გრძელი თმა“ ალომორფებს, რაშიც ჩნდება სემანტიკური სიმნელები [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 705].

ს.-ქართვ. *ქართ-(ა) „ღობე, შემოღობვა; დასახლება“

ქართ. ქართ-ა „შემოღობილი ადგილი“, [ქართ-ი] „ქალაქი / თბილისი“, ქართ-ლ-ი

ზან. (მეგრ.) ქერთა // ქეთა „მჭიდროდ დასახლებული ადგილი; ქალაქი“

სვან. ქერთ-, ი-ქერთ-ე „ღობავს“, ლი-ქერთ-ე „ღობვა“, ქართ „თბილისი“

მეგრულ-სვანური ქართ- ძირი მიუთითებს, რომ ქართულშიც ქართ-ი ქალაქს (თბილისს) აღნიშნავდა, შდრ. აფხაზ. ა-ქართ „თბილისი“. სწორედ ქართული ქართა ალომორფის ზანური შესატყვისი ქურთა (შდრ. ტოპ. ქურთა-თ-ი) // ქუთა დაედო საფუძვლად ქალაქ ქუთაისის სხვადასხვა სახელებს: ქუთა-ის-ი (=ლაზ. ქუთა-იშ-ი, ქუთა-ია (შდრ. ასევე ქართ. ქუთა-თ-ურ-ებ-ი)...

ს.-სინდ. *ქ^ართ-ა „სოფელი; სადგომი, ფარეხი“

ადიდ. ჩ^ართ „ფარეხი“, შაფს. ქ^ართ „შენობა“, ყაბ. ჩ^ართ, ბასლ. ქ^ართ „ბაკი, საქონლის სადგომი“

აზაზ. ქეთ, აფხაზ. ა-ქეთა „სოფელი“

სიტყვის მნიშვნელობის უკეთ გასაგებად ძვირფასია შაფსულურის ჩვენება, სადაც ქ^ართ ალომორფი შენობის მნიშვნელობითაც დასტურდება [კვახაძე 2014 : 156].

სინდურ ენებში რ დაკარგული ჩანს, რაზეც ნათლად მიგვითითებენ დადესტნური და ნახური შესატყვისები: ხუნდ. (ჰიდ.) ქორთ, ინხოყვ. ქ^ართი „საფიხვნო, თავშეყრის ადგილი“..., ვაინახ. ქ^ართ // ქართ // ქერთ „ეზო; ღობე; ზღუდე“.

ს.-ქართვ. *ქაშ- „მოზრდილი ტყვე“

ქართ. ქაშ-, ქაშ-აგ-ი „მოზრდილი ტყვე“ (საბა)

სხვა ქართველურ ენა-კილოებში ქაშ- ძირის შესატყვისი ალომორფები არ იძებნება. ამავდროულად ქაშ-აგ- ფუძის შემთხვევითი მსგავსება სვანურ ქაშაგ „ჩერქეზი“ ეთნონიმთან შეიძლება არასწორი მსჯელობის საფუძველი გახდეს. ქართულ ქაშ-აგ-ში სუფიქსად -აგ ისევე გამოიყოფა, როგორც სხვაგან - წახნ-აგ-.

ს.-სინდ. *ჰას- „ტყვე“

ადიდ. (ჰემგ.) ჰას, ყაბ. ჰას „ტყვე“

ერთ-ერთ იმ არქეტიპთაგანია, როცა ქართველურ ფშვინვიერებს სინდურ ენათა მკვეთრები შეესატყვისება. ამავდროულად ს.-სინდ. ს : ს.-ქართვ. შ იმის დასტური ჩანს, რომ წინარექართველურში პოვნიერი იყო ს სხვა სისინ-შიშინა სიბილანტებთან ერთად, რომლებიც საერთოქართველურში გაშიშინდნენ და შიშინა სიბილანტებს შეერწყნენ.

მომავალში დაღესტნური და ნახური შესატყვისების მოძიება შესაძლებელს გახდის სიტუაციაში უკეთ გარკვევას.

ს.-ქართვ. *ქაცუ- „ხის ეკალი; ეკლიანი ბუჩქი“

ქართ. ქაცვი- „ხის ეკალი“ (საბა), ქაცვი-ია (ანთროპ.)

ზან. (მეგრ.) ქუცი-ი „ქაცვი; ეკლიანი ბუჩქი“

სვან. გიცუ-რ-ილ „კვლიავი, ძირა“

სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე ცნობილ ქართულ-ზანურ შეპირისპირებას ემატება სვან. გიცუ-რ-ილ ფორმა, რომელშიც შეინიშნება ქ → გ და ა → ი გადაბგერების ფონეტიკური პროცესები, რაც სვანურისთვის დამახასიათებელ სპეციფიკად უნდა ჩაითვალოს, შდრ. სვან. გიცარ : ზან. (მეგრ.) ქაცარ-ი „ციკანი“. სვანურში -რ- ნაშთია გავრცელებული -რა მცენარეული სუფიქსისა, რასაც -ილ კნინობითობის აფიქსი ემატება – *გიცუ-რა-ილ → გიცუ-რ-ილ [იხ. ჩუხუა 2000-2003 : 82; ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 487].

ს.-სინდ. *ქანტ-ა „ეკალი; ბუჩქი“.

ადიდ. ჩეცა, ყაბ. ჩეცა – „ბუჩქი“

უბიხ. ქუგუტუ „ეკალი“

გვაკლია აფხაზურ-აბაზური შესატყვისები; აფხაზური ა-ქუც „ჯაგი“ მეგრულიდან არის შესული, უბიხურ ფორმასაც იმავე წყაროდან მომდინარედ მიიჩნევენ [ბუკია 2016 : 56].

ჩვენი მასალებით გამოირიცხება უბიხური ალომორფის მეგრულიდან სესხების შესაძლებლობა, ქუგუტუ ადილური ჩეცა ← *ქგა კანონზომიერი შესატყვისი ჩანს. ამავდროულად გასარკვევია შაფსულური ქგუტუ „ფოთლებიანი ფიხი“ ფორმის წარმომავლობა, რომელიც განმარტოებით დგას ჩერქეზულ ენა-კილოებში [კვახაძე 2014 : 76]. არც იგი ჩანს უბიხურიდან ნასესხები (იხ. აქვე, ს.-ქართვ. *ქურც- „ფურცლებიანი ტოტი, ტარო“).

ს.-ქართვ. *ქექ- „ქექვა“

ქართ. ქექ-ავ-ს, გადა-ქექ-ვ-ა, ი-ქექ-ებ-ა

ზან. (ლაზ.) ო-ქანქ-უ „ქექვა“, ქანქ-უფ-ს „ქექვას“

სვან. ლი-ქინქ-ე „ქექვა“, ა-ქინქ-ე „ქექვა“

როგორც ეტყობა, მეგრულში ეს ზმნა დაიკარგა. სვანურ-ლაზურში ნ ფონეტიკური დანართი ჩანს. ყურადღებას იქცევს სვანურის ი გახმოვანება ქართულ ესთან შეფარდებით, რაც მთლად ნათელი არ არის, თუმცა სხვა მაგალითებიც დაიმბნება [კლიმოვი 1964 : 197].

ს.-სინდ. *კუჰჰა- „არევა, შეზავება“

ადიდ. -კუჰჰა-, ზახალა-კუჰჰა-ნ „არევა“

აბაზ. კუჰჰა-რა, აფხაზ. ა-კუჰჰა-რა „არევა, შეზავება“

ფუძის მეორე თანხმოვანი ჰ ფარინგალური სპირანტი მხოლოდ სინდურ არქეტიპშია თავჩენილი. ამავდროულად ამოსავალ ვითარებას გვიჩვენებს -წ.-ქართვ. ჰ → ს.-ქართვ. ქ. იმავეს ვხედავთ ს.-ნახ. *ქეგ- „არევა, შეზავება“ არქეტიპშიც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ წ.-ნახურში ჰ მჟღერი ფარინგალური სპირანტი ყოფილა პოვნიერი – ჰ → გ.

სინდურ-ნახურ შესატყვისებთან აპირისპირებენ დაღესტნურ მასალას, თუმცა კითხვებიც ბევრი ჩნდება [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 739].

ს.-ქართვ. *ქტ- „ჩლიქი“

ქართ. -ქვ-, სიტყვაში: ფლო-ქვ-ი „ჩლიქი“

სიტყვა ქართულში რთული შედგენილობისაა **ფლო-** სემენტი ასახავს ნარედუქციალ სახეობას ქართ. **ფოლო** ფორმისა, რომელიც მეორდება ზანურ, **ფოლო** „ჩლიქი; ფეხი“, სვან. **ფოლ** „ჩლიქი“ [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 469] სომატურ სახელებში. ალბათ, იმავე ძირებს შეიცავენ ქართ. **ბოლ-ქვ-ი** : ზან. ბურ-ქვ-ი „ბოლქვი“ სიტყვებიც.

ს.-სინდ. *ქტ-ა „ბარკალი, ბარძაყი“

ადიდ. ქტა, ყაბ. ქტა „ბარკალი, ბარძაყი“

ქართულ-ჩერქეზულ ძირებს შორის ფიქსირებული სემანტიკური კორელაცია **ბარკალი** ~ **ჩლიქი** ბუნებრივი ჩანს, შდრ. ერთი ენის ფარგლებში მეგრ. **ფოლო** „ჩლიქი“ ~ **ლაზ.** **ფოლო** „ფეხი“. უფრო ადრე ჩერქეზული ძირ-ფუძეები, თავის მხრივ, დააკავშირეს სათანადო დაღესტნურ მასალასთან, შდრ. ხუნძ. **ნაქუ** „მუხლი, ფეხი“, ლაკ. **ნიქუ** „მუხლი, ბარძაყი“... [იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 844-845].

ს.-ქართვ. *ქტაბ- „ქვაბი“

ქართ. ქტაბ-ი, ქვაბ-ი

ზან. (მეგრ.) ქვიბ-ია „ქვაბი“

სვან. ქტაბ, ქტაბ (ლშხ.) „ქვაბი“

მეგრულში **ქუბ-** სახეობის ძირი იყო მოსალოდნელი, მაგრამ მომდევნო -ია სუფიქსის ზეგავლენით **უ** → **ვი** პროცესი განხორციელდა, თუმცა არ გამოვრიცხავთ **უ** → **ტი** უმლაუტის შესაძლებლობასაც ისტორიულ ზანურში.

სვანურისთვის ზოგჯერ **ქტაბ-ა** ალომორფსაც უთითებენ, რასაც ჩვენ ვერ ვაფიქსირებთ [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 491].

ს.-სინდ. *ქტაბ-ა „სადღვებელი“

აბაზ. (ტაპანთ.) ქტაბ „სადღვებელი“

ძირ-ფუძეთა შედგენილობა სინდურ-ქართველურ ენებში ერთგვაროვანია. არ ჩანს ა-ს მეტათეზისის მექანიზმი ტაპანთურში. საერთოაფხაზურ-აბაზური ძირის რეკონსტრუქცია ცნობილია ***ქტგ-ბ** ფორმითაც [ჩირიქა 1996 : 44], თუმცა საფუძველი ამგვარი აღდგენისა უცნობია.

სემანტიკური კორელაცია **ქვაბი** ~ **სადღვებელი** ბუნებრივად გვესახება.

საყურადღებო შეცვლილი წყობის ძირი იძებნება ნახურ ენებშიც, შდრ.: ჩეჩნ. **ბუქა**, ინგუშ. **ბუქ** // **ბიქ** „მცირე თიხის ქოთან“, რასაც საანალიზო სიტყვის სტრუქტურა (ფონემური შედგენილობა) უწყობდა ხელს; შდრ. ასევე დაღ. (რუთულ.) **ქტამ** „მღვიმე“.

ს.-ქართვ. *ქტას- „გამოცოცხვა; გვა, წმენდა“

ზან. **ქოს-**, ლაზ. **ო-ქოს-უ** „გაგვა, წმენდა“, **ო-ქოს-ალ-ე** „ცოცხი“, მეგრ. **ქოს-უ-ა** „დაგვა, გამოცოცხვა“, **ო-ქოს-ალ-ი** „ცოცხი“

სვან. **ქტას-/ქტას-**ი „ბალახის ცოცხი“

ვინაიდან სვანური ხშირად ემთხვევა ხმოვნური შესატყვისობით ქართულს, ვფიქრობთ, ფუძე-ენისთვის (და ქართულისთვისაც) მოსალოდნელია ***ქტას-** სახეობის ფუძე.

ს.-სინდ. *ქტას-ჰ „ზოლი“

ადიდ. (ჰემგ.) **ქტესჰ** „ზოლი“

სიტყვა განმარტოებით დგას ადილური ენის ჭემგურ დიალექტში; უნდა გვეჩინოდა ყაბარ-დოულშიც, ამაზე ცალსახად მეტყველებს აბაზური ქუგსა „ზოლი“ სიტყვა. ეს უკანასკნელი მხოლოდ ყაბარდოულის მეშვეობით თუ მოხვდებოდა აბაზურში.

უფრო მნიშვნელოვანი ჩანს სინდურ-ქართველურ ძირ-ფუძეთა სემანტიკური მხარე – *გამოცოცხვა* ~ *ზოლი*. აქ გადამწვეტ როლს თამაშობენ ნახური მონაცემები, სადაც პოვნიერია ქვეს-/ქას-ფორმები მოძვილი ბალახის ან მარცვლეულის სვრელის მნიშვნელობით. სწორედ სვრელი იქნებოდა შუა საფეხური აღწერილი სემანტიკებისათვის [ჩუხუა 2008 : 531-532].

ს.-ქართვ. *ქუას- „ტახტი“

ქართ. (მესხ.) საქვე-ე // ქვას-ი „ძველებური დიდი ტახტი“, შდრ. ხევს. საქო „ხის პატარა კასრი“ ზან. (ლაზ.) ქურს-ი „დაბალი ტახტი“

ქართულში ფიქსირებული ქვას-/საქვე- სუბსტიტუცია დამახასიათებელი ჩანს დიალექტებში, შდრ. სილა / ლისა, ჟინი / ნიჟი, ჩანთა / თანჩა... ლაზური შესატყვისობას იძლევა არქაული წყობის ქვას- ძირის მიმართ. რ საკუთრივ ლაზური ფონეტიკური ჩანართია.

წ.-სინდ. *ქუს-იმ „ტახტი“

ხათ. kušim „ტახტი“

აფხაზურ-აბაზურ ენებში საძიებელი სიტყვა დაკარგული ჩანს. ხათური შესატყვისი ასახავს წინარესინდურიდან მომდინარე ფორმას. ამ უკანასკნელში -იმ (kuš-**im**) ძირის კუთვნილება არ უნდა იყოს, სადერივაციო აფიქსია. ქუას- : kuš- ნორმალური მიმართება ჩანს, სტრუქტურული თვალსაზრისით, რასაც ზურგს უმაგრებს სემანტიკური იდენტურობა.

იმავე მნიშვნელობით საყურადღებოდ გვეჩვენება დაღესტნური მონაცემები, რაც ამ ძირის პალეოკავკასიურ ეტიმოლოგიას ასაბუთებს.

ს.-ქართვ. *ქუე-(უ)- „ქვემო, ქვე, ქვევით“

ქართ. ქუე, ქუე-რე, ქვე-მო, ქვე-შე, ქვე-და, ქვევ-

სვან. ჩუ „ქვე“, ჩუ-ზე „ქვემო; ქვემოთ“, ლე-ქუა ქვემოთ, ლე-ქუა-უ // ლე-ქუა-უ „ქვევით“

ზანურში შესაბამისი ძირი არ ჩანს, თუ-დო „ქვევით“ სხვა წარმომავლობისა ჩანს. ქართულ-სვანური ენობრივი მასალა დიდი ხნის წინათ არის შეაპირისპირებული [უორდროპი 1911: 613].

ს.-სინდ. *ქუა-უგ „ღრმა“

ადიდ. ქუგუგ, ყაბ. ქუგუგ(გ) „ღრმა“

როგორც სინდურ, ისე ქართველურ ალომორფებში ძირად ქუე-/ქუგ გამოიყოფა. შეიძლება, სინდური გ წინარე ვ ვარიანტისგან მომდინარეობდეს, შდრ. ს.-ქართვ. ე : ს.-სინდ. წ.

სემანტიკურად სინდური სიღრმე კანონზომიერად შეესატყვისება ქართველურ ენათა ქვემო სემანტიკას.

ს.-ქართვ. *ქუეს- „ფშვნა“

ზან. (ლაზ.) ქვას-, ო-ქვას-უ „ფშვნა“

საერთოქართველური არქეტიპის რეკონსტრუქცია მხოლოდ ლაზური მონაცემის მიხედვით გვიხდება, ამიტომაც უნაკლო ვერ იქნება, თუმცა სინდური (და არამხოლოდ) მონაცემი ლაზური ქვას- ზმნის ფუძეენურობას უეჭველს ხდის.

ს.-სინდ. *ქუაშა- „ნგრევა; მტვრევა“

აბაზ. ქუაშა-, რგ-ქუაშა-რა „ნგრევა; მტვრევა“

თავკიდური რგ- აჩვენებს, რომ აბაზური ზმნა კაუზატიური სტრუქტურისაა.

ს.-ქართვ. *ქუეს- : ს.-სინდ. *ქუაშა- არქეტიპთა ზუსტი დაღესტნური შესატყვისი გამოჩნდება დიდ. ქუშ-ა, ბეჟიტ. ქ(უ)ეს-ალ „მტვრევა; ნგრევა“ ალომორფებში.

ს.-ქართვ. *ქუეფ- „ბევრი, უხვი“

სვან. ქუეფ „ბევრი“, ქუეფ-დ „ბლომად“

ძირი განმარტოებით დგას სვანურში. სავარაუდოდ, იგი საერთოქართველური ფუძე-ენიდან მომდინარეობს. ქართულ-ზანური შესატყვისები დაკარგული ჩანს; ყოველ შემთხვევაში, გამოქვეყნებულ მასალებში არ იძებნება.

ს.-სინდ. *ქუჭ- „ხალხმრავლობა; ჯგუფი“

ადიდ. (შაფს.) ქუჭფ, ჭემგ. ქუჭფ, ყაბ. გუჭფ „ჯგუფი“

უბიხ. ქუჭფ „ჯგუფი; ხალხმრავლობა“

აბაზ. გუჭფ, აფხაზ. ა-გუჭფ „ჯგუფი“

ზოგი ავტორი უბიხურ ალომორფს ადიდეურიდან ნასესხებად მიიჩნევს [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 449]. უბიხური ქუჭფ ნასესხებად არ მიგვაჩნია ჩვენც [იხ. კვახაძე 2014: 238].

საკითხი დგას სვანური მონაცემის ჩერქეზულიდან სესხების შესახებ [სადლიანი 2013 : 39; ბუკია 2016 : 135]. ვფიქრობთ, სვანური ასახავს საერთოქართველურ რეფლექსაციას, რომელსაც შესატყვისები დადესტნურ ენებშიც მოეპოვება, შდრ. ლეზგ. კაპ-ალ „ჯგუფი, ხალხმრავლობა, შექუჩება“.

ს.-ქართვ. *ქუეურ- „ქვევრი“

ქართ. ქვევრ-ი / ქუევრ-ი „კეცის ჭური“ (საბა)

ზან. (მეგრ.) ქვინჯ-ე „როდინი; ჭურჭელი, რომელშიც კალატოზი ლარის შესაბურავ ნახშირს ინახავს“

სვანური ქუიჯ „როდინი“, ისევე როგორც გურ., იმერ. ქვიჯ-ა / ქვიჯ-ე „ფილთაქვა; ქვის ჯამი“ ზანიზში ჩანს.

ს.-სინდ. *ქუჭუა- „კასრი“

ადიდ. (აბძახ.) ქუაძ „კასრი“

სპეციალურ ლიტერატურაში შესაძლებლად მიიჩნევენ -ძ სეგმენტის გამოყოფას აბძახურში, რაც არ ჩანს მართებული; ვინაიდან არ იკვეთება -ძ-ს არანაირი ფუნქცია მოცემულ სიტყვაში [კვახაძე 2014 : 151]. პირიქით, გვგონია, წინარესინდური *ქუჭუა- გამარტივდა საერთოსინდურში უ და რ ფონემათა დისიმილაციური დაკარგვით. ამგვარ მიდგომას გამართლება აქვს არამხოლოდ ქართველურ ალომორფებთან შედარების გამო, არამედ იმავეს დაგვიდასტურებს ნახურ ძირებთან შეპირისპირებაც. ამ უკანასკნელში საკმაოდ არქაული ფორმები დასტურდება, შდრ. ინგუშ. ქუჭრა, ჩეჩნ. ქურა „სადღვებელი ჭურჭელი“, маслобйика.

ს.-ქართვ. *ქუისელ- „ქვისლი“

ქართ. ქვისლ-ი „ორთა დათა ქმარნი ქვისლი არიან“ (საბა), მთიულ., მოხ. ქვისელ-ი „ქვისლი“

ზან. (მეგრ.) ქვიშილ-ი „ქვისლი“

სვან. მე-ქუშელ „ქვისლი“

ქართველური ძირის აუსლაუტს ზუსტად ასახავენ ქართ. ქვისელ- (მთ., მოხ.) და სვან. ქუშელ ფორმები, ვინაიდან სალიტერატურო ქვისლ-ი რედუქციის მომდევნო საფეხურს ასახავს, ხოლო მეგრ. ქვიშილ-ი ასიმილირებული ალომორფი უნდა იყოს [შდრ. კლიმოვი 1964 : 198; ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 494].

ს.-სინდ. *ქუესაუა „სიდედრი; თავადის ქალი“

ადიდ. გუაშა, ყაბ. გუასა „სიდედრი, თავადის ქალი“

აბაზ. კუაჟუა, აფხაზ. ა-კუაჟა „თავადის ქალი; ქალბატონი“

უბიხური შესატყვისი გვაკლია. სირთულეს აჩენს გ : კ შესატყვისობაც ჩერქეზულსა და აფხაზურ-აბაზურს შორის. ვფიქრობთ, მსგავს შემთხვევებში ამოსავალი ფონემა პრერუტივი უნდა იყოს, რომელიც გამჟღერდა ადიღურში, ხოლო აფხაზურ-აბაზურში გლოტალიზაცია განიცადა. ბოლოკიდური უ სინდურში საერთოქართველური ლ-ს შესატყვისი ჩანს – ლ → უ.

სინდურ-ქართველურ ძირ-ფუძეთა შესატყვისი შეიძლება ჩანდეს ს.-დად. *ქტას- „ადამიანი“ არქეტიპში, შდრ. თაბას., ლეზგ. ქას „ადამიანი“.

ს.-ქართვ. *ქიბ- „ნეკნი“

სვან. ქიფ „ნეკნი“

როგორც ეტყობა, სვანურში ასიმილირებული ალომორფი დამკვიდრდა – *ქიბ → ქიფ. სხვა ქართველურ ენა-კილოებში შესაბამისი ძირ-ფუძეები ვერ გამოვავლინეთ.

ს.-სინდ. *ქტე „თემო“

ადიდ. ქტჷ-, ყაბ. ქტჷ „თემო“

უბიხ. -ქტჷ, სიტყვაში ჩგ-ქტჷ „უკანალი“

ძირეული თანხმოვნის ლაბიალიზაცია აშკარად მეორეული ხასიათისაა სინდურ ენებში, თუმცა *ქბგ → ქტე საერთოსინდური ფუძეების დონეზე ყოფილა პოვნირი. ამაში ცხადად ქართველურ მასასთან შეპირისპირება გვარწმუნებს.

ს.-ქართვ. *ქიპ- „მაფი (კანაფის)“

სვან. ქიპ „მაფი“

სიტყვა ეულად დგას სვანურში, მაგრამ, სავარაუდოდ, იგი საერთოქართველურ ფუძეს ასახავს. ამაზე სინდური შესატყვისი მიუთითებს.

ს.-სინდ. *ქგპ „კანაფი“

უბიხ. ჩგპ „კანაფი“

ამ შემთხვევაში უბიხური ასახავს ადიღურ ფორმას, რომელმაც *ქგპ → ჩგპ ტრანსფორმაციის შემდგომ შეწყვიტა არსებობა. სწორედ პალატალიზაცია-აფრიკატიზაციის მომდევნო ეტაპზე უნდა ესესხა უბიხურს ადიღური ალომორფი.

სემანტიკური კორელაცია ს.-ქართვ. ძაფი ~ ს.-სინდ. კანაფი იმაზე მეტყველებს, რომ ქართველურისთვის ამოსავალი მნიშვნელობა კანაფის ძაფისა უნდა ყოფილიყო.

ს.-ქართვ. *ქისტ- „მუჭი; ბლიკვი“

ქართ. ქისტ-ი „მუშტი“ (საბა), ქიშტი-ი „ბლიკვი“ (საბა)

საბა ქართულისთვის ქიშტი-ი შიშინა ვარიანტსაც მოიხმობს. განმარტებითი ლექსიკონი მხოლოდ ქისტ- ფუძეს უთითებს: ქისტ-ი „მუშტი, მჯილი“, ქისტის კვრა.

ქისტ- სახელური ფუძე მხოლოდ ქართულშია პოვნირი, თუმცა საკმაოდ სარწმუნო გარე-ენობრივი პარალელები ეძებნება, რაც მისი ქართველური წარმომავლობის საბუთია.

ს.-სინდ. *კეს- „თითი“

უბიხ. კჷს, სიტყვაში ყა(ნ)ცჷა-კჷს „პატარა (ნეკა) თითი“

აბაზ. შაჩჷ-კჷს პატარა ფეხის თითი“, აფხაზ. (აბჷ.) ა-შა-წ-კჷს, ბზიფ. ა-შა-ც-კჷს „id“

ადიღურ ენებში შესაბამისი ძირები დაკარგული ჩანს, ამიტომაც ამ შემთხვევაში ფუძის რეკონსტრუქცია პირობითია. ს.-ქართვ. *ქისტ- : ს.-სინდ. *კეს- კანონზომიერი ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისობაა. ქ ~ კ დადესტურისებური რყევაა, შდრ. ლაკ. კისა : უდ. ქაშა „თითი“. ს.-ქართვ. არქეტიპთან ყველაზე ახლოს დგას ს.-ნახ. *გასთ- „ხელის დაბოლოება“ (ჩეჩნ. გჷსთ-ემ // გდესთ-ემ) არქეტიპი დგას, სადაც ასევე მეორდება ძირეული სთ კომპლექსი.

ს.-ქართვ. *ქოთ- „ტანმოკლე, დაბალი“

ზან. (მეგრ.) ქუთ-ა „ტანმოკლე; დაბალი“

ამ შინაარსით მეგრულში სხვა ფორმაც დასტურდება ქოთა // ქვათა (შდრ. პირსახელი ქვათა მეგრულში), რაც შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ ქოთ-ა ქართული დიალექტებიდან არის შესული, ხოლო ქუთ-ა კი მისი შესატყვისი. ე.ი. მეგრული ერთდროულად ნასესხებსაც და საკუთარსაც (შესატყვისსაც) ინახავს.

ს.-სინდ. *გდგ „ურქო საქონელი“

აზაზ. გდი, აფხაზ. ა-გდგ „ურქო საქონელი“

სინდურ ენათა ურქო სემანტიკურად მოკლეს ნიუანსი ჩანს, ანუ შემდგომი სემასიოლოგიური განვითარება. სიმცირე / სიმოკლის სემა მეორდება დადესტნურ შესატყვისებში: ბუდუხ. გოდა „მოკლე“, კრიწ. გუჭდუ „id“ ..., დარგ. ქუტ-ზე „მოკლე“ ... უფრო მეტიც, დადესტნურ და ნახურ ენებში სივიწროვის გაგებაც არ არის უცხო: ლეზგ. გუტუ „ვიწრო“ : ვაინახ. გოთ-ა „ვიწრო“ [ნახურ-დადესტნური დაწვრ. იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 690-691].

ს.-ქართვ. *ქომ- „ფარეხი“

ქართ. (აჭარ.) ქომ-ი „ფარეხი; საქონლის სადგომი“

სიტყვა განმარტოებით დგას ქართულში, მაგრამ, სავარაუდოდ, საერთოქართველური წარმომავლობისაა. ამას გარეენობრივი შესატყვისები ამტკიცებენ. ქომ- მკაცრად უნდა გავარჩიოთ გომ-ი სიტყვისაგან, მათ განსხვავებული ეტიმოლოგია ახასიათებს.

ს.-სინდ. *ქუჷნ „ბეღელი; მარცვალსაცავი“

ადიდ. ქუჷნ „მარცვალსაცავი (წნული)“, შაფს. ქუჷნ „ბეღელი“, ყაბ. გუჷნ „ბეღელი“

საერთოსინდური არქეტიპის რეკონსტრუქცია მხოლოდ ადიღური ალომორფების ურთიერთშედარების ნიადაგზე ხერხდება, თუმცა აქ ნამდვილად დასტურდება ისეთი შემთხვევა, როცა ამოსავალია ადიღურის ჩვენება, ანუ ქ → გ ყაბარდოულში განხორციელდა.

ს.-ქართვ. *ქომ- : ს.-სინდ. *ქუჷნ აჩვენებს აუსლაუტურ მ : ნ შესატყვისობას, როცა მ → ნ დასაშვებია საერთოსინდურისათვის.

ს.-ქართვ. *ქონ- „ქონი“

ქართ. ქონ-ი

ზან. (ლაზ.) ქუნ-ი // ქინ-ი „ტვინი“

სვანური შესატყვისი გვაკლია. ქართულ ქონ- სახელს სამართლიანად შეეფარდა ლაზური ქუნ-ი // ქინ-ი „ტვინი“ [ჩიქობავა 1938 : 45]. აქვე შემოვა მეგრული ქინ-იც. ეს უკანასკნელი მიმართვის ფორმაშია მხოლოდ შემორჩენილი, შდრ. სი, ჩქიმი ქინი „შენ ჩემო ტვინო“ (სულო?)! ცხადია, აქედან გამომდინარე მეგრული ქონ-ი ქართულ ნასესხობად უნდა ჩაითვალოს.

წ.-სინდ. *ჰუნ- „დიდი“

ხათ. hun „დიდი“

ზოგი ავტორის მიერ ხათური hun „დიდი“ სიტყვის შესახებ გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ იგი ჩერქეზული შხუჷნ „დიდი“ სიტყვის შესატყვისია, რაც მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს [შდრ. ბრაუნი 2002 : 328]. ჩვენი დაკვირვებით, უპრიანი ჩანს ხათური hun დაუკავშირდეს ს.-ქართვ. *ქონ- „ქონი“ არქეტიპს, ვინაიდან ქონი / ქონიანი / დიდი საერთო სემანტიკური ველის ბუნებრივი სემანტემებია.

ხათურ-ქართველურ არქეტიპებს შეეფარდება ნახურ ენათა მასალაც, აქ ჩეჩნ. ჰუნ-ალლა, ინგუშ. ჰონ-ალ „ქონი, ქონიანობა“ жирность კანონზომიერ მიმართებას აჩვენებს. თვალსაზრისი ჰ : ქ რეგულარულ-კანონზომიერ ბგერათმესატყვისობას ეფუძნება.

ს.-ქართვ. *ქოს- „ერთი წლის თხა“

ზან. (ლაზ.) ქომ-ატ-ი „ერთი წლის თხა“

ბოლოკიდური -ატ სადერივაციო აფიქსი ჩანს, ძირად ქომ- გამოიყოფა ლაზურში. ქართველური შედარებითი ფონეტიკის ჩვენებიდან თუ ამოვალთ, ფუძე-ენისათვის *ქოს- სახეობის არქეტიპი აღდგება, თუმცა არც *ქუას- ვარიანტის შესაძლებლობა გამოირიცხება.

ს.-სინდ. *ქსსუ- „ერთი წლის თხა“

აფხაზ. ა-ქჟჟუ „ერთი წლის თხა“

დასაშვები ჩანს შ → ჟ გამჟღერების ფონეტიკური პროცესი აფხაზურ-აბაზურში, რაც სხვაგან რეალურადაც დასტურდება, შდრ. ჩერქ. გუაშა „თავადის ქალი“ : აფხაზ.-აბაზ. -კუაჟუა „id“. ძნელი სათქმელია უ-ს მეტათეზისი საკუთრივ აფხაზურში განხორციელდა, თუ ფუძე-ენაშივე ჰქონდა ადგილი. სინდური ფონეტიკა ორსავე შესაძლებლობას მხარს უჭერს.

სხვა მხრივ, ლაზურ-აფხაზური დაკავშირება უპრობლემო ჩანს.

ს.-ქართვ. *ქრთ-ილ- „ქრთილი, შემოდგომის ქერი“

ქართ. ქრთილ-ი „შემოდგომური ქერი“ (საბა), სა-ქრთილ-ე „ქერისა“

სიტყვა დასტურდება ძველ ტექსტებში, თანაც ქერის მნიშვნელობით: „სთესის იფქლი და ქრთილ-ი (ქერი)“; „ყურბული ქრთლისაჲ ჭამე შენ“; „... და რომელიმე საყანე და საიფქლე დასაქრთილე“ [აბულაძე 1973 : 456; 375]; იქნებ, მეგრ. ქუთ-ი „სელი“ მონათესავე სიტყვაა.

წ.-სინდ. *ქაით- „მარცვლეულის სახეობა“

ხათ. kait „მარცვლეულის სახეობა; მარცვალი“

აქვე ხათურთან ერთად სამართლიანად განიხილავენ მონათესავე ძირად ჰურიტულ kate „ქერი, მარცვალი“ ფორმას [გამყრელიძე, ივანოვი 1984, II : 883], რომელსაც ჩვენ შევუფარდებთ ჩეჩნურ ქრთა, ინგუშ. გეთა „სელი“ ალომორფებს [ჩუხუა 2008 : 526].

ხათურში i ხმოვანი, შეიძლება, რომელიმე (რ(?)) თანხმოვნის ნაშთი იყოს.

ხათურ-ქართულ-ჰურიტულ-ნახურ ალომორფთა პალეოკავკასიური ეტიმოლოგია ეჭვს არ იწვევს. თუმცა დადესტნურ შესატყვისებს ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვ. *ქს-ინ- „ქშენა; ცუილი“

ქართ. ქსინ-ვ-ა, ლეჩხ. ქსენ-ა „ქოშინი“, რაჭ. ქსინ-ი „ზამთრის ქარი“

ზან. (ლაზ.) მ-ქსინ-აჯ-ე „მცუანა“, ქსინ-ი // სქინ-ი // მქსინ-ი „ცუილი“, მეგრ. რსინ-ი ← *ქსინ-ა „id“, მა-რსინ-აია „მცუანა“

სვან. ქისინ „გრილი ნიავი“

მეგრულში განხორციელებული ქს → რს და ლაზური ქს → სქ აქცესიურ კომპლექსთა სუპერაციის საერთო კონტექსტებში ჯდება.

ს.-სინდ. *ქსუ- „კუილი“

აბაზ. ქშუ-რა „კუილი“

სინდური ენებიდან ჩვენთვის საინტერესო ძირი მხოლოდ აბაზურშია პოვნირი, რომელიც გამოირჩევა სიბილანტური სპირანტის ლაბიალიზაციით, განსხვავებით ქართველურისაგან.

ვერ მივაკვლიეთ დადესტნურ ან ნახურ შესატყვისებს.

ს.-ქართვ. *ქუბ-ე „ჭვავი“

ქართ. (ლეჩხ.) ქუბე „ხორბლის ჯიში; ჭვავი“

ზან. (მეგრ.) ქუბა „ხორბლის ჯიში“

სპეციალურ ლიტერატურაში ერთმანეთის გვერდით მოიხსენიება ქართ. ქუბ-ი // ქუბე ვარი-

ანტები [ფენრიხი 2007 : 471]. ჩვენი დაკვირვებით, აუცილებელი ჩანს მათი განცალკევება, ამ უკანასკნელს (**ქუბე**) კანონზომიერად შეესატყვისება მეგრ. **ქუბა**.

ს.-სინდ. ***ბაგ-გ**- „შვრია“

ადილ. (შაფს.) **ბაგ-გ**-ნა „შვრია“

უბიხ. **ბაგ-გ**-ნა „შვრია“

სწორია მსჯელობა იმის შესახებ, რომ სინდური ალომორფები სხვა წარმოშობისაა და არაფერი აქვთ საერთო ოსურ **ბაგანგ** „ლული“ სიტყვასთან [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 540].

ჩერქეზულ-ქართველური ფორმები შებრუნებულ წყობას აჩვენებენ. სათანადო დადესტნური მასალა ქართველურისკენ იხრება, თუმცა უკანაენისმიერი ხშული აქაც მყდერია ჩერქეზულივით, შდრ. ხუნძ. **ოგობ** „ჭვავი“.

ს.-ქართვ. ***ქულბ**- „ბუჩქი; ჩალის ზვინი / კონა“

ქართ. **ქუბ**-ი „Kimbeerstrauch“

ზან. (მეგრ.) **ქუბ**-ა „ჩალის რამდენიმე კონა, ერთმანეთზე მიყუდებული“

სვან. **ქობ/ქოლბ** „ბუჩქი“

ზანური შესატყვისი აჩვენებს -ა სუფიქსს, რაც ასახსნელია. ქართველური ვოკალიზმის ამოსავალ სახეობაზე მსჯელობისას სვანურის **ო** მეორეულად მიიჩნევა [ფენრიხი 2007 : 471].

ს.-სინდ. ***ქუბ**- „ბუჩქი“

აბაზ. (ტაპანთ.) **ქებ** „ბუჩქნარი; ჩირგვნარი“

ფუძეენური წარმომავლობის სიტყვა მხოლოდ ტაპანთურ დიალექტში შემოგვრჩა. **ტ**-ს გაუჩინარება დისიმილაციური ჩანს, მომდევნო **ბ**-ს ზეგავლენა. არსებობს განსხვავებული რეკონსტრუქციის ცდაც – ***ქებ** [ჩირიქა 1996 : 42].

სვანურში თავჩენილი **ლ** (**ქოლბ**), როგორც ეტყობა, ჯეროვან ყურადღებას იმსახურებს, შდრ. დადესტნური მასალა: ანდ. **ქუოლ**, ჭამალ. **ქუელ** „ძნა“. ასევე საინტერესოა ჩერჩური **ქოტ** // **ქუო** „ხორბლის კონა“ სიტყვაც.

აბაზურ-ქართველურ მასალას სხვა უფრო ზუსტი შესატყვისები მონთესავე იბ.-კავკ. ენებიდან ჯერჯერობით ვერ დავუძებნეთ.

ს.-ქართვ. ***ქუმს**- „ჭორტანა“ (მცენ.)

ქართ. **ქუმს**-ი // **ქუმს**-ი „ჭონტანა“ (მცენ.), **ქუმს**-ია-შვილ-ი (ანთროპ.)

ფუძეენური წარმომავლობის **ქუმს**- ძირი მხოლოდ ქართულმა შემოგვინახა. სვანური **ქემშ** „დათვიძხალა“, ალბათ, სხვაგვარ ეტიმოლოგიას გულისხმობს.

ს.-სინდ. ***მგრგტუზ**- „ქლიავი; ატამი“

აფხაზ. (ბზიფ.) -**მგრგტუზ**- სიტყვებში ა-**მგრგტუზ**-ფჰ.ტა „ქლიავის სახეობა“, ა-**მგრგტუზ**-ტა-მა „ატმის სახეობა“

აფხაზური ფორმის მეტად მდიდარი შესატყვისები დამეზნილია დადესტნურ და ნახურ ენებში, შდრ. ინგუშ. **ქომს**, ჩეჩნ. **ქემს** (← ***ქრმს**) „ყურძენი“; ლაკ. **ქურმუზ** „მირაბელი“ (მცენ.), დიალექტ. **ქურმუზ** „დამასხი (ქლიავი)“.., თაბას. **ქუმბიშ** „ბია“... [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 700].

ჩვენი დაკვირვებით, აქვე შემოვა ხუნძ. **გერმეზ** „კომში“, რომელიც შებრუნებული წყობისაა აფხაზურთან შედარებით. რაც შეეხება ხინალ. **კინაზ** „ყურძენი“ სახელს, იგი ქართული **კომშ**-ი სიტყვის შესატყვისი ჩანს და, შეიძლება, წყარო იყოს წ.-თუშ. **ქანიზ** „ყურძენი“ სიტყვისთვის.

ს.-ქართვ. *ქუნ- „ჩაცმა, გადაფარება, დახურვა“

ქართ. ქუნ-, შტა-ქუნ-ი / შთა-ქუნ-ი „ტანზე გადასაფარებელი, შემოსახვევი, საბანი“

ზან. (ლაზ.) დოლო-ქუნ-უ „ტანისამოსი“, დოლო-ქუნ-ს „აცვია“, მეგრ. მგკა-ქუნ-ალ-ი „ჩასაც-მელი“, დრ-ქუნ-უ „გაეხვია, დაიხურა“, გე-ქუნ-ალ-ი „დასაფარებელი“

ერთი შეხედვით, სვანური შესატყვისი არ ჩანს, თუმცა სვან. ლი-ქუმ „ჩაცმა“, ი-ქუმ „იცვამს“ ზმნა გარკვეულ პერსპექტივებს აჩენს.

ს.-სინდ. *ქუმ- „შარვალი“

აზაზ. (ტაპანთ.) აფ-ქუმ, აფხაზ. აფ-ქუმ „შარვალი“

თავკიდური აფ- ფუძეს შეხოცრებული აფიქსი ჩანს, ხოლო -ქუმ ძირი კანონზომიერად ასახავს ფუძეწარმო *ქუმ- არქეტიპს.

სინდურ-ქართველურ არქეტიპებს ეხმიანება ნახური მასალაც, შდრ. ჩეჩნ. (ახ.) ქუმ-ა „ქუდი“ [ჩუხუა 2008 : 540].

ს.-ქართვ. *ქუნდ- „ცოტათი“

სვან. ქუნდ-რ „ცოტათი, ოდნავ“

სხვა ქართველური შესატყვისები ჯერჯერობით არ ჩანს, სულ მცირე გამოქვეყნებულ ტექსტებში მაინც. -რ სვანურში აფიქსად გამოვყავით, ამის შესაძლებლობას სხვაგან შედარებითი ანალიზი იძლევა, შდრ. ქართ. მ-წის-ე „უასაკო ქალი მცირე“ (საბა) : სვან. წის-რ „მცირე, პატარა“.

ს.-სინდ. *ქუმდ „ბევრი; სიმრავლე“

ყაბ. ქუმდ „ბევრი, სიმრავლე“

ფუძე-ენიდან მომდინარე სიტყვა ყაბარდოულში [შდრ. შაგიროვი 1977, I : 213], რომელსაც კანონზომიერად შეესატყვისება სვანური ქუნდ-რ ფორმა.

სვანურ-ყაბარდოულ იზოგლოსებს შეეთანადება დადესტნური მონაცემიც, შდრ. ხუნძ. (ჰიდ.) კუდა-ბ „მეტი, უფრო ბევრი“.

ს.-ქართვ. *ქურ- „ხელი“

ქართ. ქურ-ო „ხელთათმანი“, ქურ-ო არს ორთავე კელთა შესაყოფელი ფართო ბეწვიანი სითბოსათვის (საბა)

ზან. {ქუჯ-ი} „სახელური“

ფუძეწარმო ქურ- ძირის ზანური შესატყვისი ნასესხობის სახით სვანურმა შემოგვინახა, შდრ. ქუმჯ // ქუმჯ „სახელური“. ვარაუდის საკმაოდ მყარი საფუძველი ჩანს რ → ჯ პალატალიზაციის პროცესის არქონა სვანურში [ჩუხუა 2000-2003 : 258].

ს.-სინდ. *ქუმ- „მტევანი“

ადიდ. (შაფს.) ქუმ „ტოტი“, შდრ. ქუმ-შ, ყაბ. ქუმ-ჩ „მტევანი (ყურძნის)“

ადიდურ ენებში ძირად გამოყოფილი ქუმ- საკმაოდ საფუძვლიანი ანალიზის შედეგად მიჩნეულია ხუნძ. ქუმერ, ბეჟიტ., ჰუნზიბ. ქორ-ო „ხელი“... სიტყვების შესატყვისად, რასაც ეხმიანება ნახური *ქორ- „ხელი“ არქეტიპიც [აბდოკოვი 1983 : 75; ჩუხუა 2008 : 541].

როგორც ქართველურ-ნახურ-დადესტნური მონაცემები აჩვენებენ, საერთოსინდურში დაკარგული ჩანს ბოლოკიდური რ, თანაც უკვალოდ.

ს.-ქართვ. *ქურც- „ხალათი“

ქართ. ქურც-ი, შდრ. ოს. ქერც (← ქართ.) „ქურქი“

ზან. (მეგრ.) ქუნჩ-ი „ხალათი“

გურულ დიალექტში ფიქსირებული ქვინჩ-ი „ხალათი“ მეგრულიდან არის შემოსული. სხვა

მხრივ, ქართ. **ქურც-** / ზან. **ქუნჩ-** კანონზომიერ შესატყვისად უნდა იქნეს მიჩნეული, **რჩ** → **ნჩ** ნაზალიზაციის პროცესი ზანური ენის ორივე დიალექტისთვის დამახასიათებელი ბგერათგარდაქმნა ჩანს. იქნებ, სვან. **ქერჩუ** „ქურქი“ სიტყვაც აქ შემოვიდეს.

ს.-სინდ. ***კაჭ-გ** „კაბა“

ადიდ. (შაფს.) **კაჭ-გ**, ჭემგ. **ჭაჭ-გ**, ყაბ. **ჭასუ** ← ***კაჭ-გ** „გრძელი კაბა მოხუც ქალთათვის“
აფხაზ. ა-**კაჭ** „პერანგი, კაბა“

შესადარებელი ძირის გლოტალური ბუნება სინდური ინოვაცია ჩანს. საყურადღებოა, რომ ნახურ ენათა მასალაში ქართველურისებრი ვითარებაა, შდრ. ვაინახ. **ქოჩ** „პერანგი“.

დადესტნურ ენებში ანლაუტური თანხმოვანი განიცდის გლოტალიზაციას, შდრ. ხუნძ. **კაჩ**, ახვახ. **კაჩი**, ჭამალ. **კაჩი** „პერანგი, ტყავის პალტო“, ხოლო სინდურ ფუძე-ენაში უკვე ორივე ძირეული თანხმოვანი მკვეთრი ალოფონებითაა ჩანაცვლებული.

ს.-ქართვ. ***ქურც-** „ფურცლებიანი ტოტი, ტარო“

ქართ. **ქურც-**, ძვ. ქართ. ნა-**ქურც-**ენ-ი

ზან. (ლაზ.) **ქურჩ-**, დო-**ქურჩ-**ოლ-უმ-ან „ფურჩეს შემოაცლიან ტაროზე“

ძველ ქართულ სამწერლობო ენაში მხოლოდ მიმღებური ნა-**ქურც-**ენ- ფორმა დასტურდება, რასაც ლაზურში ნასახელარი ზმნა შეესატყვისება, შდრ. ასევე ძვ. ქართ. ნა-**თხზ-ენ**-ი [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 499-500]. ალბათ, ამავე ძირს შეიცავს ქართ. **ქუც-**ი : ზან. (მეგრ.) **ქუჩ-**ი „ბუჩქი“ სახელები.

ს.-სინდ. ***ქგცუ-** „ტოტი, ფოთლებიანი ფიჩხი“

ადიდ. (შაფს.) **ქგცუ** „ტოტი, ფოთლებიანი ფიჩხი“

ფუძეენურ მდგომარეობას შედარებით სრულად ასახავს შაფსულური ალომორფი. ეს უკანასკნელი აჩვენებს, რომ საერთოსინდურში უ სადა ხმოვნის ბიფურკაცია (დიფთონგიზაცია) განხორციელდა **უ + გ** მიმართულებით. და მხოლოდ ამის მომდევნო ეტაპზე მოხდა **უ-ს** მეტათეზისი – ***ქუც-გ** → ***ქუგც-გ** → ***ქგცუ-გ**.

საერთოსინდური ფორმა ყველა პარამეტრით ახლოს დგას ქართველურ **ქუც-** / **ქუჩ-** ვარიანტებთან.

ს.-ქართვ. ***ქუს-**ინ- „ჯამი; ჩამჩა“

ქართ. (ქსნ.) **ქუს-**ია „ხისგან გათლილი საწვწე, ჩამჩა“

ზან. (მეგრ.) **ქუშ-**ია „ერთგვარი ხის ჯამი“

სვანური შესატყვისი შეიძლება, ჩანდეს რაჭულ **ქვიშ-**ინ-ი „ხის ჯამი“ სიტყვაში, რაზეც **უ** → **უი** უმლაუტი მიუთითებს, თუმცა ამ შემთხვევაში ასახსნელი ხდება **-ინ** სეგმენტის თავდაპირველი ფუნქცია (?). იქნებ, ქართულ-მეგრული **-ია** სუფიქსის ფუნქციური ეკვივალენტია.

ს.-სინდ. ***ჭუგს-**ენ „დოქი“

ადიდ. **ჭუშ-**ენ, ყაბ. **ჭოს-**ენ „დოქი“

ჩერქეზულ სახელებთან ერთად სახელდება ოსური **დოსინ-** „დოქი“ სიტყვა, რომლის ანლაუტური **დ** ოსური **დოს** „ყური“ სიტყვასთან კონტამინაციით აიხსნება [აბაევი IV, 1989 : 535]. პატივმული ავტორი იქვე ვარაუდობდა რუსული **кувшин** „დოქი“ ფორმისათვის კავკასიურ წყაროს, რასაც ჩვენც ვიზიარებთ.

სინდურ-ქართველურ არქეტიპთა შეპირისპირება გამოავლენს **ჭ** : **ქ** შესატყვისობას, რაც მეორეული **ქ** → **ჭ** ფარინგალიზაციის ფონეტიკური პროცესით აიხსნება ჩერქეზულში, შდრ. რუს. **капуста** → **ჭაბასტ** „კომბოსტო“; ს.-ქართვ. ***მექუ** „თივის ზვინი“ : ს.-სინდ. ***მაჭუ** „თივა“...

ს.-ქართვ. *ქუც-ურ- „ძალდი; ლეკვი“

ქართ. (იმერ., სალიტ.) ქუცურ-ა „ძალდი მოფერებით“

სვან. ქუჩირ-ილ // ქუჩირ-ი (ლშხ., ლნტ.) „ძალდი, ლეკვი; ლეკვუნა (მოფერება)“

გვაკლია ზანური შესატყვისები (იქნებ, მეგრ. ქუცურ-უა გვარ-სახელში ჩანს იგი, ძალდიკაური (?)). თუ სვანურ ფორმაზე ვიმსჯელებთ, ი გახმოვანება, ცხადია, უ (→ ი) უმლაუტიანი ალოფონისაგან მიღებულად უნდა ჩაითვალოს – ქუჩურ- // ქუჩურ- → ქუჩირ.

ს.-სინდ. *ქუტუ- „მგელი“

აზაზ. ქუტუ-მა, აფხაზ. ა-ქუტუ-მა „მგელი“

აფხაზურ-აზაზურში -მა გარკვეული წარმომავლობის სუფიქსად არის გამოყოფილი, ვინაიდან წარმოდგენილი ალომორფები დაკავშირებულია დარგ. ქუტაჩ-ა, წუდახ. ქუტაჩ, ყუბაჩ. ქუტაჩე „bitch, ძალდი“ და სხვ. ფორმებთან [იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 445].

არ გამოვრიცხავთ ძ → ც ასიმილაციური დაყრუების პროცესს საერთოქართველურ ფუძე-ენაში - წ.-ქართვ. *ქუძ- → ს.-ქართვ. *ქუც-ურ-

მნიშვნელობის მხრივ, ქართველურ-დადესტნური ერთმანეთს მიჰყვება, თუმცა ძალდი ~ მგელი ოპოზიციაც ბუნებრივ მიმართებად გვესახება.

ღ

ს.-ქართვ. *ღ- „აზრი, ჭკუა, ცნობიერება“

ქართ. {-ღ-} „ჭკუა, აზრი, ცნობიერება“

ზან. (მეგრ.) გა-ღ-იერ-ი „ჭკვიანი, გამჭრიახი, გონება გახსნილი“

სვან. გა-ღ-აბ (ბზ., ჩბზ.) გა-ღ-აბ (ლნტ., ბქ.), გა-ღ-ებ (ლშხ.) „აზრი, ჭკუა, ცნობიერება“

მეგრული და სვანური ინახავს ქართულ ცალმორფიან ზმნას, რომელიც არ ჩანს არც ქართული ენის დიალექტებში და არც ძველ ქართულში.

ს.-სინდ. *ღა- „ხედვა, ფიქრი, იმედოვნება“

ადილ. გუგ-ღა-ნ, ყაბ. გუგ-ღა-ნ „ფიქრი, იმედოვნება, ვარაუდი“

ადილურ-ქართველურ ენებში ამოსავალი ძირის ლაბიალური დაბოლოება მოშლილია. ამოსავალ ფორმაში ღუ ლაბიალიზებული კომპლექსის პოვნოელებას ვარაუდობენ დადესტნური ინფორმაციის საფუძველზე, შდრ. თაბას. ღაუ-რი, აღულ. ღაუ-ურ „მიხვედრა“, understand [დალ. წყარო იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 217-218].

ს.-ქართვ. *ღაუ- „სვლა“

ქართ. ღავ- ლეჩხ. მო-ღავ-ი „მოსავალი“, მო-ღავ-იან-ი „მოსავლიანი“

სიტყვა განმარტობით დგას ქართულში, მაგრამ, როგორც ეტყობა, ასახავს ფუძეენურ *ღაუ- ზმნას. ამას ნათლად ადასტურებს სინდური იზოგლოსები, რომლისთვისაც სვლის მნიშვნელობა ძირითადია. ანუ ვფიქრობთ, რომ მო-ღავ-ი უდრის მომსვლელს, მოსავალს, რაც მოდის.

ს.-სინდ. *ჭა- „სვლა“

უზიხ. *ღგ- „სვლა“, ანდლა ა-ღგ-ნ „მზე ამოდის“

აზაზ. (ტაპანთ.) უგ-ჭა-ლა-ტ „კეთილი იყოს თქვენი მოსვლა, მობრძანება“, აფხაზ. ა-ა-რა (← *ა-ჭა-რა) „მოსვლა, ჩამოსვლა“

საერთოსინდურ ფუძე-ენაში უნდა დაკარგულიყო ს.-ქართვ. *ღაუ- ზმნისეული უ-ს შესატყვისი სონანტი, ანუ წინარესინდურში გვექონდა *ჭაუ-, საიდანაც უ-ს ჩავარდნით საერთოსინდური *ჭა- ალომორფი ჩამოყალიბდა. უზიხურში ფარინგალიზებული ღ-სებური ალომორფია სწორედ ის შუასაფეხური, საიდანაც მომდევნო ეტაპზე ქართველური უკანაენისმიერი (გუტურალური) მჟღერი სპირანტი [ღ] განვითარდა. აქვე შემოდის ხინალ. ღ-ი „სვლა“ ზმნაც.

ს.-ქართვ. *ღალ- „ცუდი; გრძლეულობა“

ქართ. (იმერ.) ღალ-ვ-ა „გათვალვა“, მ-ღალ-ავ-ი „ემშაკი, მაცდური“

ძირი პოვნირია მხოლოდ ქართულში და მას, როგორც ეტყობა, ფუძეენური წარმომავლობა ახასიათებს.

ს.-სინდ. *ღა- „მტერი“

აბაზ. ა-ღა, აფხაზ. ა-ღა „მტერი“

ჩერქეზული შესატყვისები გვაკლია; აფხაზურ-აბაზურზე დაყრდნობით აღდგება *ღა- არქეტიპი, რომელიც კანონზომიერად შესატყვისება ს.-ქართვ. *ღალ- ძირს. ქართველურთან შედარებით მტკიცდება, რომ ბოლოკიდური ლ სონორი დაიკარგა ჯერ კიდევ ფუძესინდურში.

ქართულ-აფხაზურ-აბაზურ იზოგლოსებს მიესადაგება ხუნძური რალ „ბრძოლა“ სიტყვაც. თანაც ეს უკანასკნელი შეიძლება, შებრუნებული წყობისა იყოს – რალ : ღალ- (?).

ს.-ქართვ. *ღალ- „გლახა“

ქართ. (ზ.-იმერ.) ღალ-ა „ცუდი, გლახა“

სიტყვა დასტურდება მხოლოდ ქართულში, მაგრამ, სავარაუდოდ, ფუძეენურ წარმომავლობას გულისხმობს; ვინაიდან სარწმუნო შესატყვისები უდასტურდება სინდურ ენებში. გარდა ამისა, სიტყვის აგებულება (ფინალური ლ) სესხების შესაძლებლობას პრაქტიკულად გამორიცხავს.

ს.-სინდ. *ღარ- „ტყვე“

ადილ. ღარ-, ყაბ. ღარ „ტყვე“

უზბიხ. ღარ „პატიმარი“

უზბიხურში პოვნირი პატიმარის გაგება მეორეული ჩანს. ამოსავალია ტყვის შინაარსი, რაც ადილურ ენა-კილოებში დასტურდება. ჩერქეზული მასალის ურთიერთკავშირი ცნობილია [დიუმეზილი 1965 : 255; კვახაძე 2014 : 117]. *ღალ-/*ღარ- არქეტიპთა შედარება არკვევს, რომ ლ ქართველურში არქაულია, რაც ავტომატურად სვამს საკითხს ლ → რ ტრანსფორმაციაზე სინდურ ენებში.

პრობლემა საბოლოოდ მხოლოდ მაშინ გაირკვევა, როცა ნახური ან დადესტნური მასალა გამოვლინდება.

ს.-ქართვ. *ღამასთ- „ღმერთი“

ქართ. ღმერთ-ი

ზან. (მეგრ.) ღორონთ-ი, ლაზ. ღორმთ-ი

სვანურში მოსალოდნელი იყო ღემემდ // ღემემტ ალომორფები, რაც დაკარგული ჩანს. ვეთანხმებით იმ ეჭვს, რომელიც გამოითქვა სვანური ღერბეთ // ღერმეთ ვარიანტების ქართულიდან სესხების შესაძლებლობის შესახებ [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 513].

ს.-სინდ. *ჴამასთ- „თავადი“

აბაზ. ჴამასთ-ა, აფხაზ. Ⴑ-ამესთ-ა „თავადი“

ქართველურ-აფხაზურ-აბაზური იზოგლოსების შესახებ ადრევე მიუთითებდნენ, მაგრამ, რატომღაც, შემოთავაზებული იყო ქართულიდან სიტყვის აფხაზურ-აბაზურში სესხების შესაძლებლობა [ლომთათიძე 1997 : 17].

სესხების თეორიას ვერ გავიზიარებთ, გვეჩვენება, რომ ს.-ქართვ. *ღამასთ- : ს.-სინდ. *ჴამასთ- საერთო ძირებია, რომელთაც პალეოკავკასიური წარმომავლობა ახასიათებთ, ამაში თვალნათლივ დავრწმუნდებით, თუ სიტყვათა ამავე რიგში შემოვიტანთ დადესტნურ შესატყვისებს, შდრ.: წახ. ჴენიმ, რუთულ. გენიმ // იინიმ „ღმერთი“.

ს-ქართვ. ***ღანდ-ალ-** „ბაღლინჯო“

ქართ. (ზ.-რაჭ.) **ღანდალ-**ა, იმერ. **ღანდარ-**ა „ბაღლინჯო“

სვან. **ღადალ**, **ღანდალ** ლშხ. „ბაღლინჯო“

ფუძის აგებულებიდან გამომდინარე გვგონია, რომ მოულოდნელი ფონეტიკური გადახრები
ლ → რ (იმერულში), **ნდ-//დ** (სვანურში) განხორციელდა.

სავარაუდოდ, მეგრული **ღანდალა** სალიტერატურო ფორმას ასახავს.

ს.-სინდ. ***ღუგდ-**ა „ბაღლინჯო“

ადიდ. **ღუგდგ**, ყაბ. **ღუგდა** „ბაღლინჯო“

უფრო ადრე სპეციალურ ლიტერატურაში იყო მცდელობა, აქვე შემოეტანათ უბიხური
ღუგნდგ „პატარა ჩიტი“ სიტყვა, მაგრამ მას სხვა შესატყვისები ემეზღება ქართველურ ენებში [შდრ.
სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 481].

სხვა იბ.-კავკ. ენათაგან საინტერესო პარალელს ავლენს ხვარშ. **ღონტუ** „პეპელა“, რომელიც
ს.-ქართ. *ა : ს.-სინდ. ***ტუ** ხმოვანშესატყვისობის დროს ს.-სინდ. მონაცემისკენ იხრება.

ს.-ქართვ. ***ღანჭ-** „ყბა“

ქართ. **ღანჭ-**ი „ყბა“, **ღანჭ-**მოქცეული“

სვან. {**ღანჭკ-**}, ლი-**ღჭკ-**ე „ყბედობა“, მგ-**ღჭკ-**ე „ყბედი“

მეგრულ-ლაზური შესატყვისები გვაკლია; სვანურშიც სახელური ძირი დაკარგული ჩანს,
ხოლო მნიშვნელობის განვითარება ქართ. **ყბა** სახელისგან შექმნილი **ყბედობა** ნასახელარი ზმნის
ანალოგიურია [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 504].

ს.-სინდ. ***ძამღუ-**ა „ყბა, ნიკაპი“

ადიდ. **ჟაღუგ** „ნიკაპი“, ყაბ. **ზაღუ** „ქვედა ყბა“

უბიხ. **ძამღა** „ნიკაპი“

აბაზ. **ძამჭუა**, აფხაზ. ა-**ძამჭუა** „ლოყა“

შებრუნებული წყობის ძირებია; როცა საერთოქართველური ბგერათთანმიმდევრობა მეორე-
ული ჩანს, ვინაიდან დაღესტნური ძირის სტრუქტურაც სინდურს იმეორებს. სინდურსავე მიჰყვება
ოსური **ძონგლ** „ყბა“, რომელიც ნახური სუბსტრატი უნდა იყოს, შდრ. დაღ.: ხუნძ. **ჩანაღ**, ანდ. **ჩანალი**
„ყბა“.

ს.-ქართვ. ***ღარ-** „ნაოჭი; დანაოჭება“

ქართ. **ღარ-**ი „სახის ნაოჭი“, და-**ღარ-**ვ-ა „ნაოჭების გაჩენა“

სიტყვა განმარტოებით დგას ქართულში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი ფუძეენური წარმო-
მავლობის ძირად მიიჩნევა. ამგვარ ვარაუდს განამტკიცებს გარეენობრივი პარალელები.

ს.-სინდ. ***ღრა** „წინწკლები, ლაქა“

აბაზ. (ტაპანთ.) **ღრა**, აფხაზ. ა-**ღრა** „ლაქა, წინწკლები“

ქართულ-აფხაზურ-აბაზური იზოგლოსები ავლენენ როგორც სემანტიკურ, ისე სტრუქტურულ-
ფონეტიკურ იგივეობას. სამწუხაროდ, მონათესავე იბ.-კავკ. ენებში სათანადო მასალას ამ
ეტაპზე ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვ. ***ღარდ-**ა „ხრამი“

ქართ. **ღარდა** „ხრამი“

ზან. (ლაზ.) **ღრუდო**, მეგრ. **ღურდო** „მოვარდნილი წყალისგან ამოთხრილი ორმო“

სვანური გვაკლია. ქართული **ღარდა** ფორმა მხოლოდ ჩვენებურების მეტყველებას შემოუნა-
ხავს; სხვა დიალექტებში ზანიზმები დასტურდება, შდრ. დაღ.: ჭამალ., ლოდ. **ღადა** „ნაკადული“.

ს.-სინდ. ***ღდარ-**ა „ტაფობი“

აბაზ. **ლდგრ**, აფხაზ. **ს-ლდარა** // **ს-ლდგრ**-რა, აბჟ. **ს-ლდარ**-რა „ტაფობი“

მიუხედავად იმისა, რომ გვაკლია ჩერქეზული ალომორფები, აფხაზურ-აბაზური მეტად დირეზულ (ზუსტ) ინფორმაციას იძლევა საერთოსინდური არქეტიპის რეკონსტრუქციისათვის.

ს.-ქართვ. ***ლარდ-ა** „ხრამი“ ~ ს.-სინდ. ***ლდარ-ა** „ტაფობი“ კანონზომიერ მიმართებას ამჟღავნებს როგორც სემანტიკური, ისე სტრუქტურულ-ფონეტიკური თვალსაზრისით.

ს.-ქართვ. ***ღებილ**- „ჭვარტლი, მური“

ძვ. ქართულ **ღებილ**- „ჭვარტლი, მური“

ზან. (ლაზ.) **ღვამფ-ო**, **ღამფ-უ** (სარფ.) „ჭვარტლი“

სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს ცდა ლაზური **ღვამფ-ო** და სარფული **ღამფ-უ** გააიგივონ ერთმანეთთან და დაიყვანონ მეგრ. **ღაფ-უ-ა** „ღებვა“ ზმნამდე [კარტოზია 2005 : 214]. ვფიქრობთ, სარფული **ღამფ-უ** ნამდვილად შეესატყვისება ძვ. ქართულ **ღებილ**- „ჭვარტლი, მური“ სახელს [კარტოზია 2005 : 214], მაგრამ აქ შემოტანა მეგრ. **ღაფ**- ზმნური ძირისა (რომელიც, სხვათა შორის, ლაზურშიც ბუნებრივია) ყოვლად დაუშვებელია, ვინაიდან მას ქართ. **ღებ**- ზმნა შეესატყვისება კანონზომიერად [ჩიქობავა 1938 : 347]

ს.-სინდ. ***ბაღუ**- „მური“

ადილ. ნგ-**ბღუგ**, ყაბ. ნგ-**ბღუა** „ფერფლი“

უბიხ. **ბაღუა** „მური“

თუ საერთოსინდურ არქეტიპს ქართველურ მასალასთან შევადარებთ, აღმოჩნდება საპირისპირო (შებრუნებული) წყობის ფუძე. მეორეული ვითარება (საურთიერთო მეტათეზისით) ჩამოყალიბდა ფუძესინდურში, რადგანაც სათანადო ნახური მონაცემი ქართველურ სტრუქტურას მიჰყვება, შდრ. ჩეჩნ. **ღარბუ**, ინგუშ. **ღარბუ** „შავი საღებავი“.

ბოლოკიდური უ სინდურ ენებში ს.-ქართვ. **ლ** (ღებილ-) სონორის სვანურისებური რეფლექსი ჩანს.

ს.-ქართვ. ***ღელ**- „ილია“

ძვ. ქართ. **ღლ**-ია, ახ. ქართ. ი-**ღლ**-ია

ზან. (ლაზ.) **ღალ-ა**-ჯიჯი, მეგრ. **რღ**-ია // **ღ**-ია „ილია“

სვან. ნა-**ღლ**-ია-შ, ლა-**ღლ**-ია-შ (ლშხ.), ლა-**ღელ**-ია-შ (ლნტ.) „ილია“

სვანური ალომორფებიდან ლენტეხური **ღელ**- გახმოვანებული ძირი ამოსავალ ვითარებას ინარჩუნებს. სწორედ მას შეესატყვისება ლაზურის **ღალ**-, შდრ. სვან. ე : ზან. ა, ს.-ქართვ. ***ე**. ამიტომაც არქეტიპად ***ღელ**- გახმოვანებული სახეობის ძირი აღდგება [შდრ.: კლიმოვი 1998 : 231; ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 511].

ს.-სინდ. ***ღარ-ა** „სახელო“

აბაზ. (ტაპანთ.) ძვ-**ღრა**, აფხაზ. ა-მა-**ღრა** „სახელო“

წარმოდგენილ ალომორფთა **მ-ღრა** ტიპის სეგმენტაციას არ ვეთანხმებით [შდრ. ჩირიქვა 1996 : 111]. აქ **მა ხელის** აღმნიშვნელი ძირია, ხოლო ***ღარ-ა** სეგმენტი კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. ***ღელ**- არქეტიპს, შდრ. ს.-ქართვ. **ლ** : ს.-სინდ. **რ**, ს.-ქართვ. ე : ს.-სინდ. **ა**.

შეიძლება, სინდურ-ქართველურ არქეტიპთა დაღესტნურ შესატყვისის ინახავს ბუდუხური **ყელ** „ილია“ სახელი.

ს.-ქართვ. ***ღელ**- „ხევი; პატარა მდინარე“

ქართ. **ღელ-ე** „ხევი; ღელე“, დიალ. **ღელ-ო** „id“

ზან. **ღალ-უ** // **ღალ-გ** // **ღალ-ი** „ღელე“

სვან. **ღელ-ა** „პატარა მდინარე“

სტრუქტურულად დასავლურქართულ **ღელ-ო** ფორმას კანონზომიერად შესატყვისება მეგრული **ღალ-უ**, მაგრამ სვანური შესატყვისის ამტკიცებს, რომ -ე, -ო და -ა სადერივაციო აფიქსებია, მაშინ, როდესაც **ღელ-/ღალ-** განუყოფელ ძირად გამოიყოფა [შდრ. კლიმოვი 1964 : 202].

ს.-სინდ. ***ღწლ-** „უფსკრული“

აბაზ. (ტაპანთ.) **ღწლ** „უფსკრული“

თავკიდურა თანხმოვნის პალატალიზაცია აბაზურში, როგორც ეტყობა, განაპირობა მომდევნო წ ვიწრო ხმოვნის ზემოქმედებამ – ***ღწლ-** → **ღწლ**. სწორედ ამ ფონეტიკური პროცესის საფუძველზე ვვარაუდობთ ***ღწლ-** არქეტიპის არსებობას საერთოსინდურში. სტრუქტურულ ერთგვარობას მხარს უჭერს სემანტიკური ოპოზიცია *უფსკრული ~ ხევი / ღელე*, რაც კანონზომიერებას ექვემდებარება.

დად. ენებში სათანადო ძირები ჩანს ტინდ. **ღაა** (← ***ღარა**), თაბას. **ღარ** „ნაკადული“.

ს.-ქართვე. ***ღერღ-ილ-** „ღერღილი“, ***ღერღ-** „ღერღვა“

ქართ. **ღერღ-ილ-ი**, **ღერღ-ავ-ს**, და-**ღერღ-ა**

ზან. (ლაზ.) **ღარღ-ილ-ი**, მეგრ. **ღარღ-ილ-ი** „ღერღილი“, **ღარღ-უნ-ს** „ღერღავს“

სვანური შესატყვისის დღემდე არ არის გამოვლენილი., ქართული ალომორფები ცნობილია უმველესი წერილობითი ძეგლებიდან [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 507]. ე.წ. ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგენენ ***ღერღ-** და ***ღერღილ-** არქეტიპებს [კლიმოვი 1964: 202].

ს.-სინდ. ***ჭწრღ-გ** „ღერღილი“

აფხაზ. (ბზიფ.) ა-**ხერღ**, აბჟ. ა-**ხერღ** „ღერღილი“

ბზიფურ დიალექტში დამოწმებული ფარინგალიზაცია ამოსავალ **ჭ** ფარინგალურ აფრიკატულ ბუნებაზე მიუთითებს [ჩირიქა 1996 : 56]. მეტად საყურადღებო შეიძლება იყოს ანლაუტური ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვე. **ღ** : ს.-სინდ. **ჭ**; ვფიქრობთ, იგი ამოსავალი **ღ** მჟღერი ფარინგალური აფრიკატის რეფლექსია.

სინდურ-ქართველურ იზოგლოსებს ეხმიანება ნახური ინფორმაცია, შდრ. ჩეჩნ. (ჭებერ.) **ღწრღ-ი**, ინგუშ. **ღორღ-წ** „მსხვილი ნაფქვავი“.

ს.-ქართვე. ***ღემ-ო** „მომცრო ფრინველი, ღაჟო“

ზან. (ლაზ.) **ღაჭო** „ღაჟო“, მეგრ. **ღაჟო** „ღაჟო; ჭრელი“

სვან. **ღწზჷ** // **ღეზჷ** // **ღემჷ** „ბუზანკალი, ბზიკი“

ქართული შესატყვისის სვანურში ჩანს შემონახული – {**ღემო**} → **ღემჷ**, ეს უკანასკნელი სამწიგნობრო ქართულის ზეგავლენით დამკვიდრდა სვანურში. ხოლო ქართული **ღაჟო** ზანურიდან (მეგრულიდან) არის შეთვისებული, რომელიც უფრო არქაული სახით **ღაჯო** იქნებოდა, შდრ. ქართ. **ღემო** : ზან. **ღაჯო** → ლაზ. **ღაჭო** (?).

ს.-სინდ. ***ღწბ-** „ჯაფარა, ჩხიკვი“

აფხაზ. ა-**წაჟ** // ა-**წჟ** „სხიკვი, ჯაფარა“

თავკიდური **ხ**-ს პალატალიზაცია პოციზიური ჩანს – **ხწ** → **ხწა** და მომდევნო ***წ** ხმოვანს მიეწერება, რომლის ალოფონი **გ** (წ → **გ**) თანამედროვე აფხაზურშიც პოვნიერია.

აფხაზურ-ქართველურ ალომორფებს ეხმიანება ნახური ინფორმაცია, სადაც კანონზომიერი შესატყვისი *ბელურას* აღნიშნავს – ინგუშ. **ჭომ-ილ** გ → // **ჭოზ-ილ** გ, ჩეჩნ. (ქისტ.) **ჭომ-ილ** გ, ჭებერ. **ჭაზუ**, შდრ. წ.-თუშ. **ჭაწუ-კ** ← ***ჭაძუ-კ** „ჩიტი“ [ჩუხუა 2008 : 544].

ს.-ქართვ. ***ღეწილ**- „დაწრეტილი ხევი“

ზან. (მეგრ.) **ღაწირ**-ი „დაწრეტილი ხევი“

სიტყვა იზოლირებულად დგას მეგრულში, თუმცა მეტად საყურადღებო შესატყვისები ეძებნება იბ.-კავკ. ენებში.

ს.-სინდ. ***ჭანწუ**-ა „ტალახი, ლაფი“

აბაზ. **ჭუენჭ**-უა, აფხაზ. ა-**ჭუენწ**-უა „ტალახი, ლაფი, ტლაპო“

სიტყვის ბოლოში გამონაწევრებული -უა აფიქსური ჩანს აფხაზურ-აბაზურში, რომლის მსგავსი არც ქართველურ და არც დაღესტნურ ენებში არ მოიპოვება, შდრ.: ლეზგ. **ხანწ**, თაბას. ხა-**ხანწ** „თხლე“, დიდ. ყეც, ინხოყვ. ყეც „ტლაპო“..., მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ იგი შეიცავდეს ქართველური **ლ** სონორის შესატყვის **ჭ** სონანტს **ლ** → **ჭ** სვანურისებური პროცესის გათვალისწინებით.

ს.-ქართვ. ***ღუ**- „ქონა“

ზან. (ლაზ.) მ-ი-**ღ**-უ-ნ, მეგრ. მ-ი-**ღ**-უ(ნ) „მაქვს“, ნო-ბ-**ღვ**-ე „მქონია“, **ღვ**-ენ-ა „ქონა“

სვან. მ-უ-**ღუ**-ა „მაქვს“, მა-**ღუ**-წნ „ქონება“, ლი-**ღუ**-ე „ქონია“

ქართული შესატყვისი არ იძებნება. საერთოქართველურ არქექტიპად **ღუ**- სახეობის ძირის დასახვა არ ჩანს რეალური [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 523].

ს.-სინდ. ***ღვ**- „ქონა“

ადიდ. გვ-**ღვ**-ნ „სამყოფად ქონა“, ყაბ. გვ-**ღვ**-ნ „დაკავება, ხელში ქონა“

უბიხ. ყა-**ღვ** „ქონა“

ჩერქეზულ ენებში **გვ**-/ყა- სეგმენტები *ხელის* აღმნიშვნელ სახელად სწორად არის გამოყოფილი [შაგიროვი 1977, II : 162], ხოლო **ღვ**- დამოუკიდებელი ზმნური ძირი ჩანს, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში ასევე სამართლიანად არის დაკავშირებული ქართვ. **ღუ**- „ქონა“ ფორმასთან [როგავა 1956ა : 466].

ს.-ქართვ. ***ღუარ**- „ღვარი; მდინარე“

ძვ. ქართ. **ღუარ**-ი „მდინარე, ღელე“, **ღუარ**-ი ეწოდების წყალსა წვიმისას (საბა), **ღვარ**-ცოფ-ი, **ღვარ**-ნაშ-ი

ზან. (მეგრ.) **ღორ**-, **ღორ**-თოლ-ი „ღვარის, ღელის თვალი“, **ღორ**-თოლ-ძგა „ადგილის სახელი სოფ. ტყირში“ (სენაკი)

სვან. **ღუარ** „ღვარი“

ზანური სახეობა, რომელიც ინახავს ქართ.-სვან. **ღუარ**- სახელის კანონზომიერ შესატყვისს, შემონახული ჩანს რთული შედგენილობის **ღორ**-თოლ- სიტყვაში. აქ ქართულთან ისეთივე მიმართება იკვეთება, როგორც გვაქვს ძვ. ქართ თვალ- : ზან. თოლ- შეპირისპირებაში.

ს.-სინდ. ***ჭუარ**- „ჩქარი მდინარე; ტალღა“

ადიდ. (ჭემგ.) **ჭუარ** „ტალღა“, ყაბ. **ჭუარ** „ჩქარი მთის მდინარე“

აფხაზ. ა-**ჭუარ** „ნაკადი“

გვაკლია უბიხური და აბაზური ნიმუშები. უამისოდაც, სავსებით სწორად, შესაძლებლად მიიჩნევენ ***ჭუარ**- არქექტიპის აღდგენას [კვახაძე 2014 : 29].

ს.-ქართვ. ***ღუარ**- : ს.-სინდ. ***ჭუარ**- პროტოტიპების კანონზომიერი დაღესტნური შესატყვისი უნდა ჩანდეს ხუნძურ **ჭორ** „მდინარე“ სიტყვაში.

ს.-ქართვ. ***ღუაც**- „დაჭერა, დაკავება“

ზან. (მეგრ.) **ღენჩ**-უ-ა // **ღინჩ**-უ-ა „დაჭერა, დაკავება“, დო-**ღინჩ**-ეს „დაიჭირეს“

გ. როგავას კანონის მიხედვით, გ/ი მონაცვლეობა ზანურში ამოსავალ **ო** ან **უ** ხმოვანზე მიუ-
თითებს, რაც ფუძე-ენაში **ტა** კომპლექსის პოზიციას გულისხმობს.

ს.-სინდ. ***ღუჷც**- „მოპარვა“

უბიხ. **უგც**-გ „მოპარვა“

აზნ. **ღგჩ**-რა, აფხაზ. ა-**ღგჩ**-რა „მოპარვა“

თავკიდურა პოზიციამი **ტ**-ს წინ, როგორც ხდება ხოლმე, უბიხურმა **ღ** (→ ან **ჭ**) დაკარგა,
თუმცა მრავალი სხვა მახასიათებლებით იგი ფუძეენურ მდგომარეობას უახლოვდება.

ს.-ქართვ. ***ღუაც**- „დაჭერა, დაკავება“ : ს.-სინდ. ***ღუგც**- „მოპარვა“ ნორმალური
სტრუქტურულ-სემანტიკური ოპოზიცია ჩანს.

ს.-ქართვ. ***ღუანჭუტ**- „ჭია“

ზან. (მეგრ.) **ღვენწკ**-ი // **ღვერწკ**-ი „ჭია, ჭიაყელა“, შდრ. **ღვერწკ**-ინ-ი „ჭიაყელასავით კლაკნა“

სვან. **ღუჷსკ**, **ღუასკ** „მუცლის ჭია“

შეიძლება, მეგრულში პოზიციური ნ//რ სონორები ფონეტიკური ჩანართი არ იყოს, რაც სვანურ
ალომორფებში, სავარაუდოდ, დაიკარგა. სიტყვის ბოლო გამარტივებულია ზანურ-სვანურში, ბო-
ლოკიდური **ტ** დაიკარგა. ამ უკანასკნელს საზოგადოდ კომბინატორული **ჭკუტ** → **წკუტ** → **წკ/სკ** გა-
სისინების პროცესი მიეწერება დასავლურქართველურში [გამყრელიძე 1959].

ს.-სინდ. ***ჭუჷწწუტ**- „ხვლიკი“

აფხაზ. (ბზიფ.) ა-**ჭუჷწწუტ**-შ „ხვლიკი“

ბოლოკიდური -შ აფხაზურ-აზნურში სუფიქსური ჩანს [ჩირიქა 1996 : 107]. ბზიფურის ჩვე-
ნება ღირებულია ქართველური ენებისათვისაც, ვინაიდან აქ შემონახულია ფინალური **ტ**, რომე-
ლიც მეგრულ-სვანურში დაიკარგა.

მონათესავე იბ.-კავკ. ენებში სათანადო ძირ-ფუძეები ამ ეტაპზე ვერ გამოვლინდა.

ს.-ქართვ. ***ღუე**- „მღვრიე; წითლობა“

ქართ. (იმერ.) **ღვ**-ია „მღვრიე“, **ღვიგ**-ის „წითლად ბრწყინვალეებს“ (საბა)

სახელურ ძირად **ღუ**-ე-ს გამოყოფა გამართლებული ჩანს. მაგრამ მხოლოდ ჰიპოთეტურ დო-
ნეზე. სხვა ქართველური შესატყვისების არქონის გამო ძნელია უფრო დამაჯერებლად ვისაუბროთ
ს.-ქართვ. არქეტიპზე, რომელსაც მხოლოდ სინდური პარალელები მოეპოვება.

ს.-სინდ. ***ღუა** „ყვითელი, მოწითანო“

ადიდ. **ღუა**, ყაბ. **ღუა** „ყვითელი“

უბიხ. **ღუა** „ყვითელი, მოწითანო“

განსახილველ სინდურ-ქართველურ არქეტიპთა ძირითადი მნიშვნელობა *მღვრიე / წითელი*
უნდა ყოფილიყო, ვინაიდან როგორც ქართველურ, ისე სინდურ მასალაში ფიგურირებს ორი სხვა-
დასხვა ფერი, ანუ მათი ნაერთი.

ამ ძირის შესატყვისები ქართველურში კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ მაგ. ადიდურ ენა-
კილოებში **ღუაჟ** „ღვიძლი“ და **ღუა** „ყვითელი“ არ არის ერთიანი წარმომავლობისა, მათ განსხვა-
ვებული ეტიმოლოგიები აქვთ.

ს.-ქართვ. ***ღუელფ**- „ღველფი; ნაკვერჩხალი“

ძვ. ქართ. **ღუელფ**-ი / **ღველფ**-ი (BCDE) „ნაკვერცხალი მრავალი“ (საბა), ახ. ქართ. **ღველფ**-ი
„ფერფლმოდებული, ნაცრიანი ნაკვერჩხალი“ (ქეგლ)

ზან. (ლაზ.) **ღერფ**-ულ-ი „ღველფი“

სვანური შესატყვისი დაკარგული ჩანს, ზანური ალომორფიც მხოლოდ ლაზურს შემორჩა **ღერფ**-ულ-ის სახით, ცხადია, სწორედ იგი მიიჩნევა ს.-ქართვ. ***ღუელფ**- არქექტიპის კოლხურ რეფ-ლექსად. ე ხმოვნის არგადასვლა მოსალოდნელ ა-ში შეპირობებულია ძირის სტრუქტურით, შდრ. ქართ. შველ-ი : ზან. სქვერ-ი, ძველ-ი : მჯვე და სხვ.

ს.-სინდ. ***ფგრღ-ა** „ნაკვერჩხალი“

აბაზ. **ფგრღა**, აფხაზ. ა-**ფგრღე** „ნაკვერჩხალი“

გვაკლია ჩერქეზული მონაცემები, რაც მნიშვნელოვანია, ვინაიდან საერთოსინდური არქექტიპის რეკონსტრუქცია მხოლოდ აფხაზურ-აბაზური მონაცემის მიხედვით ძნელდება. აბაზ. **ფგრღა**, აფხაზ. ა-**ფგრღე** „ნაკვერჩხალი“ შებრუნებული წყობისაა ქართველურთან შეფარდებით.

ს.-სინდ. ***ფგრღ-ა** : ს.-ქართვ. ***ღუელფ**- წარმოაჩენს მეტად ღირებულ **ლ : რ** კანონზომიერ ბერთათმესატყვისობას. აქაც ჩანს, საერთოსინდურში ზანური ტიპის **ლ → რ** ვიბრანტიზაციის ფონეტიკური პროცესიც მოქმედებდა.

ს.-ქართვ. ***ღუენ**- „საზღვარი“

სვან. ლა-**ღუერ**-ა (ლნტ.), ჰა-**ღურ**-ა („ზუ.“), ა-**ღურ**-ა (ბქ.), ა-**ღურ**-ა (ლშხ.) „მიჯნა, საზღვარი“;

ფუძეენური არქექტიპი აღდგება მხოლოდ სვანური მასალის მიხედვით, ვითვალისწინებთ რა **ნ → რ** (ზეგან/ ზაგარ) ტრანსფორმაციის შესაძლებლობას, ვახდენთ ***ღუენ**- „სახეობის ფუძის რეკონსტრუქციას. თუმცა აქვე ყოველთვის დადგება ქართ. **ზღვარ** (← ***ს-ღვარ**-) ფუძესთან მიმართების პრობლემური საკითხი.

ს.-სინდ. ***ღუენ**-ა „საზღვარი“

ადილ. **ღუენ**, ყაბ. **ღუენ** „საზღვარი“

უბიხ. **ღუენა** // **უენა** „საზღვარი“

ფონემური სუბსტიტუცია **ღ//შ** უბიხურში, ალბათ, უწინარეს **ღ//შ** მონაცვლეობაზე მიგვანიშნებს, რამაც შესაძლოა, ს.-სინდ. ***ღუენ**-ა-ს რეკონსტრუქციისკენ გვიბიძგოს.

არქექტიპული ოპოზიცია ს.-ქართვ. ***ღუენ**- „საზღვარი“ : ს.-სინდ. ***ღუენ**-ა „საზღვარი“ ბუნებრივად გვესახება, თუმცა კვლევის ამ ეტაპზე სათანადო ნახურ-დადესტნურ შესატყვისებს ვერ ვხედავთ.

ს.-ქართვ. ***ღუიუ**- „გახურება“

ძვ. ქართ. მ-**ღუი**-იერ-ი, **ღუივ**-, მ-**ღვვ**-ან-ი „ჭაბუკი გაცურებული“ (საბა)

ზან. (მეგრ.) გო-**ღვიღვ**-ინ-აფ-ა „ნათბობა“, **ღვიღვ**-ალ-ია „თბილი“

სვან. ლი-**ღუიუ**-ე „გაღვივება“, **ღუუ**-ე „ღვივის“, მე-**ღუუ**-ე „მღვივარე; გაღვივებული“

ამავე მნიშვნელობის ლაზური **მღ**- ძირი შეიძლება სხვაგვარ წარმომავლობას გულისხმობდეს [შდრ. კლიმოვი 1998 : 227; ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 510]. ცხადია, მეგრულ **ღვიღვ**- ასიმილირებული ფორმაა.

ს.-სინდ. ***ღუე**- „გაშრობა“

ადილ. **ღუე**-ნ, ყაბ. **ღუე**-ნ „გაშრობა“

უბიხ. **ღე**- გაშრობა“

აბაზ. **ჭუა**-რა, აფხაზ. ა-**ჭუა**-რ „გაშრობა“

ამავე ძირს შეიცავს ზედსართაული ადილ. **ღუე**-ღა, ყაბ. **ღუე**-ღ, უბიხ. **ღ**-ყა, აბაზ. **ღე**-რ-**ჭუ**, აფხაზ. **ფ-ჭუა** „მშრალი“ ფორმები. აქ დასახელებულ ფორმებში ასევე მნიშვნელოვანია უბიხური -**ყა** სუფიქსის ადილური -**ღა**-ს ფუნქციით გამოყენება.

ს.-ქართვ. ***ღუიუ**- „გახურება“ ~ ს.-სინდ. ***ღუე**- „გაშრობა“ შესატყვისობა კანონზომიერი ჩანს, როგორც სტრუქტურულ-ფონეტიკური, ისე სემანტიკური თვალსაზრისით.

ცხადია, დარგული -ერლჷ- / ურლჷ- „შრობა“ ვარიანტებიც სინდურ-ქართველურ ალომორფებს უკავშირდება გენეტიკურად.

ს.-ქართვ. *ლჷიმ- „მღვიმე; თხრილი, ორმო“

ძვ. ქართ. მ-ლჷიმ-ე // მ-ღვმ-ე // მ-ღვიმ-ე „მთხრებლი კლდისა“ (საბა)

ქართლი სიტყვა კონფიქსური დერივაციის (მ--ე) ერთ-ერთი უტყუარი ნიმუში ჩანს, რომელიც ჯერ კიდევ ძველქართულ წერილობით ძეგლებში არის უხვად დამოწმებული: „ვემსგავსო მათ, რომელნი შთავლენან მ დ ჯ მ ე ს ა“; „შთავარდეს მ დ ჯ მ ე ს ა“; „რომელი თხრიდეს მ დ ჯ მ ე ს ა, იგი შთავარდეს მას“ [აბულაძე 1976 : 304]. მიუხედავად ამისა, ძირის შესატყვისები ახლომონათესავე ქართველური ენებიდან ჯერაც არ არის გამოვლენილი.

ს.-სინდ. *ლჷემ- „სორო“

ადიდ. ლჷგ-რბ, ყაბ. ლჷმ-ბ „სორო“

ძირის ამოსავალი სახეობა ყაბარდოულში უკეთ არის შენახული. ადიღეურში, როგორც ეტყობა, სადერივაციო -რბ აფიქსის ზეგავლენით მ-რბ თანმიმდევრობა გამარტივდა, მაშინ, როდესაც ყაბარდოულში, პირიქით, ძირეული მ სიტყვის ბოლოში უფრო მდგრადი აღმოჩნდა – *ლჷემ-რბ → // ლჷმ-ბ // ლჷგ-რბ.

ს.-ქართვ. *ლჷიმ- „მღვიმე; თხრილი, ორმო“ ~ ს.-სინდ. *ლჷემ- „სორო“ არქეტიპების კანონზომიერი დადესტნური შესატყვისი შენარჩუნებულია დარგული ენის დიალექტებში, შდრ. ურახ., უსიშ., მური. ღმ-ი „ხვრელი“.

ს.-ქართვ. ლჷინ- „მცენარე, მისი სახელი“

ქართ. (ლექს.) ღვინ-უე „ერთგვარი საჭმელი სოკო“, გურ. ღვინ-ა-ღვინ-ა „ნიუკა“ (მცენ.)

შეიძლება და გვეფიქრა სვანურ ლჷატ „ჭოკი“ ფუძესთან ნათესაურ მიმართებაზე, მაგრამ ნ : ტ ქართველური ფონეტიკით ვერ აიხსნება. ამიტომაც, ალბათ, სვანურ ლჷატ ძირს სხვა ეტიმოლოგია დაეძებნება, შდრ. ხუნდ. ლჷეტ „ხე“, დარგ. ლჷატ-ა „ბუჩქი“ და ა. შ.

ს.-სინდ. *ლჷენ- „ხე“

უზიხ. ლჷენ-გ „ხე“

ქართულივით უზიხური ლჷენ-გ იზოლირებულად დგას სინდურ ენობრივ სამყაროში, მაგრამ ძირთა კავკასიურ წარმომავლობაში მყარად გვარწმუნებს სათანადო ნახური (ინგუმ. ღან „თელა“) და დადესტნური მასალა, შდრ.: ხვარშ. ლჷან, დიდ. ლუნ „ხე“...

სავარაუდოდ, ხუნდ. (ბათლ.) ლუნ „ლერწი“ სხვაგვარი ეტიმოლოგიისაა, მიუხედავად სტრუქტურული თანხვედრისა (იხ. აქვე, ს.-ქართვ. *ლჷინ- „ღვინო“).

ს.-ქართვ. *ლჷინ- „ღვინო“

ქართ. ღვინ-ო

ზან. (ლაზ.) ღვინ-ი // ღინ-ი, მეგრ. ღვინ-ი „ღვინო“

სვან. ლჷინ-ელ (ლშხ.), ლჷინ-ალ (ზს.), ლჷინ-ალ (ლნტ.) „ღვინო“

საერთო ძირად ლჷინ- გამოიყოფა, რომელსაც განსხვავებული სუფიქსაცია ახასიათებს ქართულ-სვანურში, ზანური დღეს გაუფორმებელია, რაც მეორეული მოვლენა ჩანს. საერთოდ, ქართულ -ო სუფიქსს ზანურში ხშირად ნული შესატყვისება – სურ-ო : მსუჯ-ი // სუჯ-ი (სუჯ-უნა). ასევეა ღვინის შემთხვევაშიც.

ს.-სინდ. *ჟჷგ- „ღვინო, ალკოჰოლური სასმელი“

აბაზ. ლჷა-ძე „ძლიერი ალკოჰოლური სასმელი“, აფხაზ. ა-ჟჷგ „ღვინო“ [ჭარაია 1912 : 21]

ფუძის სუფიქსაცია აბაზურში მეორეული ჩანს. -ძე აფიქსი აქ ძირის მნიშვნელობას აძლიერებს [კლიჩევი 1977 : 79-82]. სინდური არქეტიპი გამოირჩევა ნ-ს გაუჩინარებით, რაც ფუძეეწერი

მოვლენა ჩანს და ხშირად დაჩნდება საერთო მასალაში.

შესაბამისი ადილური სიტყვები დაკარგული ჩანს, თუმცა საერთოსინდურ ფუძე-ენაში ამ ძირის არსებობა ეჭვს არ იწვევს, ვინაიდან, ქართველურის გარდა, პალეოკავკასიურ ფუძე-ენაში *ღვინის* პოვნიერებას დადესტნური ენებიც ადასტურებენ, შდრ. ხუნძ. (ანწუხ.) **ჭინ-უ**, ბათლ. **ღუნ** „ლერწი“...

ს.-ქართვ. ***ღვინ-** „ლულუნი“

ძვ. ქართ. **ღვნ-**, მ-**ღვნ-**ვ-იერ-ი „მოლულუნე“

ზმნური **ღვინ-** ძირი მხოლოდ მიმდებარე მ-**ღვინ-**ვ-იერ- ფორმაშია შემორჩენილი: „მუნ გვრიტნი უდაბნოსა შინა მყოფნი და მ ღ ვ ნ ვ ი ე რ ნ ი და ზაფხულსა მაუწყებელნი“ [აბულაძე 1973 : 304]. სხვა ქართველურ ენა-კილოებში კანონზომიერ შესატყვისებს ვერ ვპოულობთ.

ს.-სინდ. ***ღუგ-** „ქადაგება; ბლავილი“

ადილ. **ღუგ-უგ** „მქადაგებელი“, *глашатай*, ყაბ. **ღუო-უ** „მქადაგებელი“, **ღუგ-ნ** „ბლავილი“

ეგვევ **ღუგ-** ზმნურ ძირს გამოყოფენ **ღუგ-ღვ-ნ** „ხმამალა ტირილი“, **ღუგ-ჯუგ-ნ** „ღრიალი“ შედგენილ სიტყვებში, რაც საფუძვლიანი ჩანს [შაგიროვი 1977, I : 139].

ქართულ-ადილურში ბგერწერითი ზმნები მოწმდება, რომელთაც აერთიანებთ სტრუქტურულ-მატერიალური და სემანტიკური იგივეობა. ფუძესინდურში, როგორც მოსალოდნელი იყო, ბოლოკიდური **ნ** სონორი დაიკარგა, რასაც ზმნებში მასდარისეული **-ნ** სუფიქსის პოვნიერებაც უწყობდა ხელს.

ს.-ქართვ. ***ღვირ-** „სითხის უხვი დენა“

ქართ. (ლექს., რაჭ.) **ღვირ-ღვილ-**ი

ზან. (მეგრ.) **ღურ-ღულ-**ი „ღვარღვარი“, **ღურ-ღულ-**ე „სითხის დენა, ფაღარათი“

ადვილად დასანახია ძირეული **ღვირ-** სემენტის გაორკეცება როგორც ქართულში, ისე მეგრულში. აქ გამოყოფილ ძირს არაფერი აქვს საერთო ქართ. **ღვარ-** სახელთან; სხვადასხვა წარმოშობის სიტყვაა, სათანადო იბ.-კავკ. შესატყვისებით.

ს.-სინდ. ***ჭუგლ-**ა „ტალღა“

ადილ. (ჭემგ.) **ჭალ-წ** „ტალღა“

როგორც მიუთითებენ, შესაძლოა ამოსავალ ფორმაში ფიქსირდებოდა ანლაუტური **ჭ** მჟღერი ფარინგალური სპირანტი, რომლის ვერიფიკაცია საკუთრივ ჩერქეზული მასალით ვერ ხერხდება [კვახაძე 2014 : 29], ამიტომაც ღირებულია ქართველური მასალის ჩვენება, სადაც სწორედ რომ ს.-სინდ. **ჭ** ფარინგალური სპირანტის კანონზომიერი შესატყვისი **ღ** დასტურდება. აქვე მეტად რელევანტური ჩანს ბოლოკიდური **რ** : **ლ** ბგერათშესატყვისობა, რომელიც რეგულარულ-კანონზომიერ ხასიათს ატარებს.

სინდურ-ქართველურ იზოგლოსებს ეთანადება დადესტნური კორესპონდენცია, შდრ.: ადულ. **ჭ-ქლ**, კრიწ. **ჭილ** „ზღვა“, არჩიბ. **ჭლო-**თუ „თხევადი; სითხე“.

აქ წარმოჩენილი სემანტიკური კორელაცია *სითხის უხვი დენა ~ ტალღა ~ ზღვა* კანონზომიერებას ექვემდებარება.

ს.-ქართვ. ***ღურ-** „მოწყენა“

ქართ. და-**ღვრ-**ემ-ა, და-**ღვრ-**ემ-ილ-ი, და-ი-**ღვრ-**იმ-ა, და-ი-**ღვრ-**იმ-ებ-ა, და-**ღრ-**ომ-ა „მცირედ მოწყენა“ (საბა)

ვინაიდან ვერ ვხედავთ ზანურ ალომორფებს, ძნელია ამ ქართველური ძირის გახმოვანების დაზუსტება, ამიტომაც გვიწევს მისი რედუცირებული ფორმით რეკონსტრუქცია.

ს.-სინდ. ***ღუა-** „ფიქრი“

უბიხ. ლჷა- „ფიქრი, ვარაუდი“

აბაზ. ჟჷა-რა „ხედვა“

თუ უბიხური ძირის ჩვენებას მივყვებით, ქართველურისთვის უპრიანი იქნებოდა *ღჷარ-სრული გახმოვანების დაშვება, ანუ უბიხური ასახავს რ-დაკარგულ საერთოსინდურ არქექტიპს და მიუთითებს ა-ს პოვნეირებაზე ქართველურში. მონათესავე დადესტნურ შესატყვისებში ბუნებრივია ურღ-სახეობის ალომორფები, შდრ.: ხუნძ. ურღ-იზე, ანდ. ურღ-უნნუ, ბოთლიხ. ურღ-ი, ლოდ. ურღ-ინ „ფიქრი“...

საინტერესოდ გვეჩვენება სემანტიკური კორელაცია დაფიქრება ~ მოწყენა, რაც დასაშვებ საზღვრებს არ სცილდება.

ს.-ქართვ. *ღიჷ- „ტირილი“

ქართ. ღივ-ილ-ი „ხმადაბალი ტირილი“, ღივ-ი-ს „ტირის“

ზან. (მეგრ.) ღი-, ღი-აფ-ი „ტირილი“, ღი-ან-ს „ტირის (ხმაურით)“, ლაზ. ღირ-, ო-ღირ-უ „კნავილი“

ბოლოვიდური რ ლაზურში ასახავს ამოსავალი ქართული ვ- ბგერის შესატყვისობას, ვინაიდან ვ → რ ლაზურისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესია, შდრ. ქართ. წივ-ილ-ი : ლაზ. ო-წირ-უ „id“... ასე რომ, ლაზური ღირ- ზმნაც ქართული ღივ- ზმნის შესაბამისი ძირია [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 510].

ს.-სინდ. *ღგ- „ტირილი“

ადილ. ღგ-ნ, ყაბ. ღგ-ნ „ტირილი“

ბოლოვიდური ჟ, რომელიც ქართულში უფრო მდგრადი აღმოჩნდა, სინდურ ენებში, ისევე, როგორც მეგრულში, დაიკარგა.

მიუხედავად იმისა, რომ ონომატოპოეტური ძირია, ორივე ჯგუფის ენებში ბგერათმესატყვისობათა ჩვენება დაცულია. ს.-სინდ. გ ს.-ქართვ. ი ხმოვნის შესატყვის რეფლექსს ასახავს.

ს.-ქართვ. *ღიზ- „გაღიზიანება“

ქართ. ღიზ-, გა-ღიზ-იან-ებ-ა

ზან. (მეგრ.) ღირზ-ინ-ი „ამრეზა“, ღირზ-ალ-ი „ამრეზილი“

გვაკლია სვანური მონაცემი. მეგრულში პოვნეირი რ, როგორც ეტყობა, აქაც ფონეტიკურ ნი-ადაგზეა გაჩენილი.

ს.-სინდ. *ღგზ- „კვნესა“

ადილ. ღგრზ-ნ, ყაბ. ღგზ- „კვნესა“

უბიხ. ღგზ- „კვნესა“

საინტერესო ჩანს ერთგვაროვანი რ-ს განვითარების ფონეტიკური პროცესი მეგრულსა და ადიღეურში, თუმცა არსებობს საპირისპირო აზრიც, რომ სიტყვის შიგნით უბიხურმა და ყაბარდო-ულმა დაკარგეს ისტორიული რ სონორი [კვახაძე 2014 : 239].

ს.-ქართვ. *ღინწჷ- „დანა; კავი/გუთან“

ქართ. ღინწ-ი „დანა მცირე და წვლილი“, გურ. ღინწ-ულ-ა-ი „ხმარებაში დალეული დანა“

სვან. ღანწჷ-იმ (ზხ.), ღენწ-იმ (ზქ.), ღენწჷ // ღენწჷ-იმ (ლნტ.) „კავი; გუთან“

ზანურ დიალექტებში შესაბამისი ძირი არ დასტურდება. საერთოქართველური *ღინწჷ- არ-ქეფორმის აუსლაუტი ქართულში გამარტივდა – *ღინწჷ → ღინწ-. სწორედ ამ ჟ-ს ზეგავლენით განხორციელდა ჯერ ი → ე საერთოსვანურში, ხოლო შემდგომ ე → ა ბალსზემოურში (მ. ქალდანის უკუუმლაუტის კანონი). -იმ დამოუკიდებელი სუფიქსი ჩანს სვანურში.

ს.-სინდ. *ღგნ-ჰ „კავი“

უბიხ. ღანჯა „კავი“

საერთოსინდურ არქექტიპზე ფიქრი მხოლოდ უბიხური მონაცემის მიხედვით ხდება შესაძლებელი. სავარაუდოდ, სწორია სპეციალურ ლიტერატურაში უკვე არსებული შეპირისპირება უბიხურ-დაღესტნური ძირებისა, შდრ. ხუნდ. ღანჯა „კავი“ [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 462]. აქვე დავამატებთ წ.-თუმ. ღანჯა „ნაკაწრი“ ფორმას, რომელშიც ასევე ცალსახად ჩანს წ აბრუპტივის პირველადობა, ანუ წ → ც სინდურ ენებში განხორციელებულა.

ს.-ქართვ. *ღილ- „ღივი“

ქართ. ღილ-ო „ღივი“, ღილ-ილ-ო

ზან. (მეგრ.) ღილ-ე „დიცი“

მცენარეული ღილ- ძირი მეორდება არაერთ ქართულ-ზანურ სახელში. ამოსავალი მნიშვნელობა ღივიისა უნდა იყოს.

სვანური ღრღა (ზზ., ლშხ.) „ერთგვარი ბალახი“ დენდრონიმი, ალბათ, სხვაგვარ ეტიმოლოგიას გულისხმობს.

ს.-სინდ. *ღვღ- „ყვავილი“

ადილ. ჳ-ღაღ, აბძახ. ყ-ღაღ, ყაბ. ყ-ღაღ „ყვავილი“

უბიხ. უტმ-ღაღ „ყვავილი“

გვაკლია აფხაზურ-აბაზური შესატყვისები. ადილურ დერივატებში გამოიყოფა ჳ-ყ- მიმართულების აღმნიშვნელი ზმნისწინი, ხოლო უბიხური უტმ ბალახის აღმნიშვნელი მორფემა ჩანს [კვახაძე 2014: 54].

სინდურ-ქართველურ მნიშვნელობათა კორელაცია ყვავილი ~ ღივი კანონზომიერებას ექვემდებარება.

ს.-ქართვ. *ღლაჟ- „ლოქო; დიდი თევზი“

ქართ. ღლაგ-ი // ღლან-ი „ლოქო“... პატარას ლოქოს ღ ლ ა ვ ი ეწოდება (საბა)

ზან. (მეგრ.) ღლამ-ი // ღილამ-ი // ღლამ-ი „ღლავი; დიდი თევზი“

სვანურ-ლაზურული შესატყვისები გვაკლია. მეგრულიც, არ არის გამორიცხული, ქართულიდან იყოს ნასესხები.

ს.-სინდ. *არღ- „ზვიგენი“

ყაბ. არღ-ჰა „ზვიგენი“

ფუძემდებური წარმომავლობის სიტყვა მხოლოდ ყაბარდოულს შემორჩა.

ს.-ქართვ. *ღლაჟ- : ს.-სინდ. *არღ- შებრუნებული წყობის არქექტიპები ჩანს, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ მონათესავე ნახური ენების ჩვენებას, აღმოჩნდება, რომ ორივეგან ამოსავალი სახეობები ფუძე-ენებშივე გამარტივებულა: ქართველურში ანლაჟტი, ხოლო სინდურში – აუსლაჟტი, შდრ.: ინგუმ. ოარღუჟ, ჩეჩნ. ირღუჟ // ირღუჟ „დიდი თევზი“.

ოსური ჰრღაჟ „ორაგული“ ყაბარდოულიდან არის შესული [შდრ. აბაევი 1958, I : 176].

ს.-ქართვ. *ღოღ- „ფულური“

ზან. (მეგრ.) ღოღ-ი „ღრუ“, ღოღ-ა-ში-ი „ფულური“, ღოღ-ა-კიბირი „გამოხრული კბილი“

სხვა ქართველურ ქვესისტემაში შესაბამისი ფუძე (ძირი) არ ჩანს. ამავდროულად მეგრულ სახეობას გააჩნია უტყუარი იზოგლოსები იბ.-კავკ. ენებში.

ს.-სინდ. *ღტა- „ორმო, სორო“

ადილ. ღტგ, ყაბ. ღტა „ორმო, სორო“

უბიხ. ღტა „ორმო, სორო“

აბაზ. ჳტა-რა, აფხაზ. ა-ხტა-რა „ორმო, სორო“

ბოლოკიდური **ლ** -სონორი, რომელიც მეგრულში არ გაუჩინარებულა, ჯერ კიდევ საერთოსინდურ ფუძე-ენაში ჩანს გამქრალი. ამას, ქართველურივით, დადესტნური ენებიც ამტკიცებენ, შდრ.: თაბას. **ლულ**, უდ. **ლულ**, აღულ. **ლულ** „ორმო, ხვრელი“, რუთულ. **ლულ** „ნახვრეტი“.

ს.-ქართვ. ***ლონ**- „დღესასწაული; კერპი“

ძვ. ქართ. **ლონ**-ი „კერპი“

სვან. **ღენ** „დღესასწაული“, **ღენ**-აჭრუ, **ღენ**-აჭრუ (ლმზ.) „დღესასწაულის პერიოდი“, **ღენ**-მაღენ, **ღენ**-აემ-ურ „რელიგიური დღესასწაული“

სათანადო ძირები უცნობია მეგრულ-ლაზურში [შდრ. ჩუხუა 2000-2003 : 271]. სვანური მასალა უფრო სრულია, ამოსავალი სემანტიკაც ადვილად იკითხება.

ს.-სინდ. ***ლჷან**- „დრო, სეზონი“

ადილ. **ლა**, ყაბ. **ლა** „დრო, სეზონი“

უბიხ. **ლან** „დრო, სეზონი“

აბაზ. **ა-ჰან** (← ***ა-ჰან**), აფხაზ. **ჰან** ← ***ა-ჰან** „დრო, სეზონი“

ძირეული თანხმობის პალატალიზაცია უბიხურში აშკარად მეტყველებს მის ლაზიანობაზე ხასიათზე ისტორიულად. ამას ქართველური ძირის გახმობაც მხარს დაუჭერს, ანუ **ლ** → **ლჷ** ფუძესინდურში.

ს.-სინდ. ***ლჷან** : ს.-ქართვ. ***ლონ**- ნორმალური სტრუქტურულ-სემანტიკური ოპოზიცია ჩანს, რომელსაც არჩიბული **ოჯ** „ქორწილი“ სიტყვაც ეხმიანება.

ს.-ქართვ. ***ლორლოლ**- „ბუ“

სვან. (ჩოლ.) **ლორლოლ** „ბუ“

შეიძლება სვანურთან ერთად დაგვესახელებინა **ლულუნ**-ი / **ლულან**-ი „მომცრო ქედანი“ ფორმები [მაჭავარიანი 2007, IV : 341], მაგრამ მოცემულ ეტაპზე ამისაგან თავს ვიკავებთ, ვინაიდან სინდური ალომორფები ყველა თვალსაზრისით სვანური სიტყვის განსხვავებულ ეტიმოლოგიაზე მიგვანიშნებენ.

ს.-სინდ. ***ლჷარდჷალ**- „ბუ“

ადილ. თვ-**ლჷრდჷე**, ყაბ. დვ-**ლჷრდჷე** „ბუ“

აფხაზ. ა-ტვ-**ჰჷარჰჷარ** „ბუ“

გვაკლია უბიხური **ღვრღვ** სახეობის ფუძე. რაც შეეხება ძირად გამოყოფილ სინდურ ალომორფებს, ქართველურ იზოგლოსთან შედარებით ირკვევა, რომ თავის დროზე ფუძესინდური **ლ** აფხაზურში **რ**-ში გადავიდა, მაშინ, როდესაც იგივე **ლ** ადილურ ენებში უკვალოდ გაქრა.

სიტყვის ბოლოში დადესტნური შესატყვისები განსხვავებულ **ლ** → **დ** პროცესს წარმოაჩენენ, შდრ.: ბეჟიტ. **ჰუჰუდ**-ო, **ჰუნზიბ**. **ჰოჰოდ**-უ „ბუ“.

ს.-ქართვ. ***ლოჰ**- „რკინის ბარჯი“

ქართ. **ხოჰ**-ი „რკინის ბარჯი, ჭვილთი“ (საბა)

სიტყვა განმარტოებით დგას ქართულში. უცნობია იგი ძველი ქართული სამწერლობო ენისათვის. ისტორიულად, სიტყვის ფონემური შედგენილობიდან გამომდინარე, თავკიდურა პოზიციაში **ღ** → **ხ** დაყრუების ფონეტიკურ პროცესს ვვარაუდობთ, როგორც ეს იმავე პოზიციაში სხვაგანაც განხორციელდა, შდრ. ძვ. ქართ. **ღრტილ**-ი → ახ. ქართ. **ხრტილ**-ი. სათანადო ზანურ-სვანური შესატყვისები ამ ეტაპზე ვერ გამოვლინდა.

ს.-სინდ. ***ჰჷჷან**-ა „რკინა“

ადილ. **ლჷეჰჷჷ**, აბძაბ. **ლჷეჰ** „რკინა“, ყაბ. **ლჷეჰ**, ბასლენ. **ლჷეჰ** „რკინა“

უბიხ. **ჰეჷჷან** „რკინა“

აფხაზურ-აბაზურში შესაბამისი ალომორფები არ იძებნება. მეორეული ჩანს სიტყვის ანლა-უტში უბიხური **ჭუ** კომპლექსის გამარტივება, ისევე, როგორც **ჭუ** → **ღუ** ადილურ ენა-კილოებში [კვახაძე 2014 : 48]. ფაქტია, რომ არქაული სისინ-შიშინა **წ** სიბილანტი ადილურში გაშიშინდა (**წ** → **ჭ**), ხოლო უბიხურში გასისინდა (**წ** → **წ**). მესამეული საფეხური (**წ** → **ჭ** → **ს**) წარმოჩნდება აბძახურ-სა და ყაზარდოულში.

ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. ***ჭ** : ს.-სინდ. **წ** წინარეპარტველურისთვის გვაგარაუდები-ნებს სისინ-შიშინა **წ** აფრიკატს, ანუ **წ**-ქართვ. **წ** → ს.-ქართვ. **ჭ**, რაც ხშირადაა თავჩენილი.

სავარაუდოდ, სიტყვათა ამავე რიგში შემოვა ხათური **huza**-**ჰა** „მჭედელი“ ფორმაც, სადაც -**ჰა** სუფიქსია, ხოლო **huza** *რკინას* აღნიშნავს. დად. ენებიდან საყურადღებოა კარატ. **ჰუწე** „შუბი“, ახვახ. **ჰაჰა** „სპილენძი“, ჰუნზიბ. **ჰილუ**, დიდ. **წილო** „სამჭედლო“.

ს.-ქართვ. ***ღრაჭ** „ქვედა ყბა“

ქართ. **ღრაჭ**-ი // **ღრანჭ**-ი

საბასთან დამოწმებული **ღრაჭ**-ა „ძვალთა და რბილთ საშუალი“, ალბათ, ამავე ძირს შეიცავს. სხვა ქართველურ ენა-კილოებში სათანადო ალომორფები ვერ მოვიძიეთ.

ს.-სინდ. ***ღწწა** „ყელი, ყანყრატო“

აბაზ. (ტაპანთ.) **ღწწა**, აფხაზ. ა-**ხწწა** „ყელი, ყანყრატო“

მიუხედავად იმისა, რომ გვაკლია ჩერქეზული მონაცემები, მაინც შეიძლება ქართულ-სინდურ იზოგლოსებზე საუბარი. ამას მხარს უჭერს როგორც ქართვ. **ღ** : აფხაზ.-აბაზ. **ჭ** (როცა **ღ** → **ჭ** ამ ენებში ბუნებრივია, შდრ. ადილ. **ღტე**, ყაბ. **ღტა** „ორმო, სორო“, უბიხ. **ღტა** „ორმო, სორო“, მაგრამ აბაზ. **ჭტა**-რა, აფხაზ. ა-**ხტა**-რა „ორმო, სორო“), ისე **რ** : **წ** ფონემური შესატყვისობები.

შესატყვისები სხვა იბ.-კავკ. ენებიდან ამ ეტაპზე ვერ გამოვლინდა.

ს.-ქართვ. ***ღრედ** „ზღვის ბატი“

ქართ. **ღრედ**-ი „ობარა“ (საბა), „ზღვის ბატი“ (იოანე ბაგრატიონი)

ქართულ **ღრედ**- ფრინველის აღმნიშვნელ იშვიათ სიტყვას დღემდე არ უჩანს ფონეტიკური პარალელები ზანურ-სვანურში.

ს.-სინდ. ***ღწანდ** „თევზის მჭამელი ფრინველი“

უბიხ. ვსა-ძე-**ღწანდ**-ე „თევზის მჭამელი ფრინველი“

შეიძლება, სინდური **წ** კანონზომიერად მიემართებოდეს ქართულ **რ**-ს - უბიხ. **ღწანდ**- : ქართ. **ღრედ**-, ანუ **რ** → **წ** ფუძესინდურში რეალურია.

მართალია, უბიხური **ღწანდ**- ფუძე დაკავშირებულია ჩვენ მიერ დადესტურ „ყვავის“ აღმნიშვნელ ჰინუხ. **ღტად(ე)** // ბაგვ. **ღანდტ** ტიპის ფორმებთან, მაგრამ ამასთანავე გავხაზავთ, რომ სემანტიკურად ქართულ-უბიხური მეტ სიახლოვეს ავლენს.

ს.-ქართვ. ***ღრუბ** „მოდრუბვლა; ღრუბელი“

ქართ. **ღრუბ**-ელ-ი, მო-**ღრუბ**-ვ-ლა, გურ. **ღრუბ**-ლ-ი, მე-ი-**ღრუბ**-ლ-ა „მოიდრუბლა“

სიტყვა კარგად არის ცნობილი ძველქართული წერილობითი ძეგლებიდანაც: „ღ რ უ ბ ე ლ - მ ა ნ ნათლისამან დააგრილა მათ“, „აღვიდე ზედა ღ რ უ ბ ე ლ თ ა“; „წმამ იყო ღ რ უ ბ ლ ი თ გამო“ [აბულაძე 1973 : 463]. მიუხედავად ამისა, მისი შესატყვისები ქართველური ენა-კილოებიდან ჯერაც არ გამოვლენილა.

ს.-სინდ. ***ჭუბე** „ქაფი; აქაფება“

აბაზ. **ჭუბა**-რა „აქაფება“

მისაღები ჩანს შესატყვისობა სემანტიკურ დონეზე **ღრუბელი** ~ **ქაფი**, რასაც მხარს უჭერს სტრუქტურულ-ფონეტიკური იგივეობანი. ხმოვნებში ს.-ქართვ. **უ** დიფთონგიზაციის მომდევნო

საფეხურზე უტ → უტე შესატყვისობით არის წარმოდგენილი, რაც დამახასიათებელი პროცესი ჩანს საერთოსინდური ფუძეენისათვის.

მონათესავე მასალა სხვა იბ.-კავკ. ენებიდან ვერ გამოვავლინეთ.

ს.-ქართვ. *ლუბ- „მსუქანი; დიდი“

ზან. (მეგრ.) ღვიბალ-ი // ღვიბ-ა „ჩასუქებული“, ღვიბ-ე // ღვიბ-ერე „id“

სვან. (ჩოლოურ.) ღუბ-აბ „დიდი, გუნდაზე იტყვიან“

რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, ამ შემთხვევაში უ → ვი უმლაუტი სწორედ მეგრულში განხორციელდა. შესაბამისი ღუბ- სახელი ქართულში დაკარგული ჩანს.

ს.-სინდ. *ლუმ- „მსხვილი“

ადიდ. ლუმ-გ „ორსული; მსხვილი“, ყაბ. ლუმ „მსხვილი“

აფხაზურ-აბაზურსა და უბიხურში კანონზომიერი შესატყვისი ჯერჯერობით არ არის გამოვლენილი. ადიღეურში დამოწმებული *ორსულის* შინაარსი მეორეული ფორმაციისაა. ს.-

ქართვ. *ლუბ- „მსხვილი; დიდი“ ~ ს.-სინდ. *ლუმ- „მსხვილი“ ბუნებრივი სტრუქტურულ-სემანტიკური მიმართება ჩანს, რასაც დადესტნური მასალაც ეხმიანება: ხუნდ. ღუნ-ქ-, კარატ. ლტამ-ობ „სქელი, მჭიდრო“ [წყარო დადესტნურისთვის: სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 469].

ს.-ქართვ. *ლუტ- „წითლად, ყვითლად ჩანს“

ქართ. ღუვ-ი-ს / ღუ-ი-ს „წითლად, ყვითლად ჩანს“, ღუვ-ილ-ი / ღუ-ილ-ი, მ-ღუვ-არ-ი / მ-ღუ-არ-ი

ზან. (მეგრ.) ღვვ-ინ-ი // ღივ-ინ-ი „წითლად ღუილი“, ღვვ-ალ-ი / ღივ-ალ-ი „წითლად მღუ-არი“

სვანური შესატყვისი გვაკლია. მეგრულშიც ამოსავალი უ ჯერ ბ-ში გადასულა, ხოლო შემდგომ დაყრუვდა. აქვე შეიმჩნევა მეგრულისთვის დამახასიათებელი უ → გ/ი ფონეტიკური პროცესი [როგავა 1962].

ს.-სინდ. *ლუმ- „წითელი, ყვითელი“

ადიდ. (ჭემგ.) ლტა „მწითური“, აბძაბ. ლტე „ყვითელი“

უბიხ. ლტა „ყვითელი“

გამოჩენილი მკვლევარი ჟ. დიუმეზილი უბიხურ ლტა-ს ადიღურ ლტაჟ / ლტაზ „ყვითელი“ ზედსართავ სახელთან აკავშირებდა [დიუმეზილი 1932 : 209], რაც არ ჩანს მართებული. ჩვენი აზრით, უბიხური ლტა სხვა წარმომავლობისაა და ჭემგ. ლტა „მწითური“ და აბძაბ. ლტე „ყვითელი“ ალომორფებს უკავშირდება. ამგვარი მიდგომის სისწორე, თითქოს, ქართველურ მასალასთან შედარებითაც მტკიცდება, როცა ქართული ნიმუში ერთდროულად ითავსებს *წითელ-ყვითელის* შინაარსს.

ს.-ქართვ. *ლუზ- „ლუზა; მოჭიდება, მოკიდება“

ქართ. ღუზ-ა „ხომალდის კავი“ (საბა)

ზან. (მეგრ.) ო-ღუზ-უ-(ნ) „ეკიდება, ებლაუჭება“

სვანური შესატყვისი ვერ გამოვლინდა. *დაკავება / მოჭიდების* სემანტიკა აშკარად იგრძნობა საბას განმარტებაშიც, რასაც მეგრული ზმნა ძირითად მნიშვნელობად აჩვენებს.

ს.-სინდ. *ლუმერზ- „ლუზა“

ადიდ. ლუმერზ, ყაბ. ხუმერზ-გ „ლუზა“

უბიხ. ლუმერზ-ა „ლუზა“

აუხსნელია თავკიდური ღ-ს დაყრუების მექანიზმი ყაბარდოულში. სინდურ-ქართველურ ძირთა ურთიერთსახეობას გამოვრიცხავთ. ამგვარ მიდგომას ამყარებს ნახური მონაცემი, შდრ. ინ-გუმ. **ლოზ** // **ლოძ** // **ლოც** ბეჭედი, რკალი, რგოლი“;

ოსური ხაზ „კავი“ ყაბარდოულიდან ჩანს შეთვისებული.

ს.-ქართველ. ***ლუთ**-ა „ღვთაება; ჯადოქარი“

ქართ. **ღვთვ**-, **ღვთა**-ებ-ა, **ღვთ**-ის

ზან. (მეგრ.) **ხვითო** „ჯადო; ჯადოსნური ფრინველი“, **ხვით**-ორ-ი „ნაყოფიერი ადგილი“

შესაძლებლად მივიჩნევთ ქართ. **ღვთა**- ძირის დამოუკიდებელ ერთეულად არსებობას, მისი კავშირი ქართ. **ღმერთ**- ფორმასთან, ანუ ღმერთ-ის → ღვთ-ის გამოირიცხება; სხვადასხვა ძირებია, მით უფრო, თუ ზან. **ხვითო** ლექსემას დავსახავთ მის შესატყვისად – ქართ. **ღვთა** : ზან. **ხვითო** ← ***ლუთო**.

ს.-სინდ. ***ლუგდ**-გ „ჯადოქარი“

ადილ. **უგდგ**, ყაბ. **უგდ** „ჯადოქარი“

უბიხ. **უგდგ** „ჯადოქარი“

ფუძეენური **ღ** თავკიდურა პოზიციაში დაკარგეს ჩერქეზულმა ენებმა, რაზეც, ქართველურს გარდა, დაღესტნური ფორმებიც მიუთითებენ, შდრ. ახვახ. **ჯუთათი** „ჯადოქარი“, დიდ. **ჯუდი** „მითიური, ზღაპრული არსება“...

ლუზგ. **ჯუარც** „ფუძის ანგელოზი“ სხვა ძირი ჩანს [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 890], რომელიც ქართ. **ხუც**- / ზან. **ხურც**- ალომორფებს უკავშირდება, შდრ. აგრეთვე ლუზგ. **ლუც**, ხინალ. **ლუცარ** „ღმერთი“, ოს. (← ქართ.) **ხვეცაუ** „ღმერთი“, **ხვეცაუ**-ბონ „კვირა“...

ს.-ქართველ. ***ლულ**- „რიტუალური პური“

ქართ. (ქიზიყ.) **ლულ**-ი „სახალწლოდ გამომცხვარი რიტუალური პური ოჯახის ყველა მამაკაცისათვის“

სხვა ქართველურ ქვესისტემებში **ლულ**- „პური“ ძირის შესატყვისები არ დასტურდება. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, **ლულ**- სახელს საერთოქართველური ეტიმოლოგია ახასიათებს. საგულისხმოა მისი სინდური და დაღესტნური იზოგლოსები.

ს.-სინდ. ***ლუგ**- „პური, ღვეზელი“

ადილ. -**ლუ**, სიტყვაში **ჰალ’გ-უგ** ← ***ჰალ’გ-ლუა** „ღვეზელი“

ძირი არ ჩანს უბიხურსა და აფხაზურ-აბაზურში. ადიღურშიც მხოლოდ კომპოზიტში ფიქსირდება **ჰალ’გ-ლუა**, სადაც **ჰალ’გ**- „სოლი“, ხოლო -**ლუა** „პური, ღვეზელი“.

ბოლოკიდური **ლ**, რომელიც ქართველურში უცვლელად არის შემონახული, ფუძესინდურში ჩანს დაკარგული. ამ თვალსაზრისს განამტკიცებს დაღესტნური მასალა, სადაც, მაგალითად, ალულურში (კომ., ბურშ.) **ჰულ** „პური“ ფორმაა პოვნისი.

ს.-ქართველ. ***ლუმ**- „ღმუილი, ღრიალი“

ქართ. **ღმუ**-ი-ს, **ღმუ**-ილ-ი

ზან. (ლაზ.) ო-**ღუმ**-ინ-უ / **ღუმ**-ინ-ი „ღრიალი“, მეგრ. **ღუმ**-ინ-ი / **ღუმ**-ინ-ი „ღმუილი; დვრინი“, ო-**ღუმ**-ინ-აია „მდვრინავი, მოღმუილე“

ძირის სტრუქტურა ქართულში შეცვლილა **ღმუ**- ← ***ღუმ**-, რაც ამ ტიპის სიტყვებში ნორმა ჩანს, შდრ. **ზმუ**-ილ-ი, **ზმუ**-ი-ს : ზან. **ზუმ**-ინ- „id“. ამიტომაც ვემხრობით ***ღუმ**- არქტიპის რეკონსტრუქციის მცდელობას [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 524], ნაცვლად ***ღმუ**-სი [შდრ. კლიმოვი 1998 : 231].

ს.-სინდ. ***ლუგ**- „ღმუილი; ღრიალი“

ადილ. ღუჭ-ნ „ბღავილი“

უბიხ. ღუჭ- „ღმუილი, ღრიალი“

ვერ გავიზიარებთ აფხაზური ა-ბჭუჭუ-რა „ღმუილი“ სიტყვის დაკავშირებას ჩერქეზულ ალომორფებთან [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 481], ვინაიდან ა-ბჭუჭუ-რა ქართველურ ბღაუ-ზმნის შესატყვისი ჩანს.

ს.-ქართვ. *ღუმ- : ს.-სინდ. *ღუგ- არქეტიპები, მიუხედავად ონომატოპოეტიკური წარმომავლობისა, კანონზომიერ მიმართებას აჩვენებენ. გარდა ამისა, მათ სარწმუნო იზოგლოსები უდასტურდებათ დაღესტნურ ენებშიც, შდრ. უდ. ღურუმ „ღრიალი“.

ს.-ქართვ. *ღუმ-ელ- „ღუმელი“

ქართ. ღუმელ-ი „პურის საცხობი, ფურნე“ (საბა)

სიტყვა მხოლოდ ქართულშია პოვნიერი, თუმცა, სავარაუდოდ, ფუძეენური წარმომავლობისაა. ცხადია, ფუძე-ენაში არსებობდა ღუმ- ძირი, საიდანაც -ელ სუფიქსაციით მივიღეთ ღუმ-ელ-სახელი. თუ ღუმელ-ში გამოყოფილი ღუმ- ჭვარტლი / გაჭვარტვლა მნიშვნელობისა იყო, არ არის გამორიცხული, რომ სვანური ღუემ-ალ, ღომ-ელ (ლმხ.) „ყორანი“ (← ეტ. შავი) ფორმებიც იმავე ეტიმოლოგიას ამჟღავნებდნენ.

ს.-სინდ. *ღუგ- „კვამლი“

უბიხ. ღუჭ „კვამლი“

სინდური ენებიდან მხოლოდ უბიხურს შემორჩა კვამლის აღმნიშვნელი ღუჭ სიტყვა. ადილურ ფმა-ღუჭ // ფმა-ღუ „ნისლი“ ალომორფებში ღუჭ // ღუ- ძირების გამოყოფა უბიხურის შესატყვისად მეტ არგუმენტაციას საჭიროებს [შდრ. შაგიროვი 1977, II : 161].

ღუმ- / ღუგ- ძირთა შეპირისპირება კიდევ ერთხელ ნათლად აჩვენებს ჯერ მ → უ, ხოლო შემდგომ ძირეული თანხმოვნის ლაბიალიზაციის მეორეულობას ფუძესინდურში.

ს.-ქართვ. *ღუნ- „გეჯა“

ზან. (ლაზ.) ღუნ-ი „გეჯა, სკა“

იზოლირებული ფუძეა ლაზურში, რომელსაც, სავარაუდოდ, შემონახული აქვს ფუძეენური მდგომარეობა. ლაზურშივე დასტურდება ღუნ-ი ალომორფი, რომელიც შემდგომ აჭარულმა დიალექტმაც ისესხა.

ს.-სინდ. *ღუგნ- „მორი“

ადილ. -ღუგ, სიტყვაში ფჩა-ღუგ, ყაბ. ბჟა-ღუგ „ბოძი“

უბიხ. ღუგ „მორი“

აბაზ. -ჭუგნ, სიტყვაში ჭუ-ჭუან „მარგილი“

ძირის ამოსავალი სახეობა უფრო სრულად აბაზურ ენას დაუცავს, სადაც ბოლოკიდური ნ ნაზალის პოზიცია მყარია.

ა. აბდოკოვი სიტყვათა ამავე რიგში მოიხმობს ხუნძურ ჯუერ „კომბალი“ ლექსემას, რაც არ არის დამაჯერებელი [აბდოკოვი 1983 : 127]. გაცილებით საინტერესოდ გვეჩვენება აფხაზური ღანი „სკა, ბუკი“ სიტყვის ამ კონტექსტში მოხმობა, ვინაიდან იგი სვამს საკითხს ქართველურში ღუან-სახეობის ძირის არსებობის შესახებ.

ს.-ქართვ. *ღურღულ- „ხმიანობა“

ქართ. (ფშ.) ღურღურ-ი „მორევის ხმაურობა“

ზან. (ლაზ.) ღურღულ-, ღურღულ-ამ-ს „მუცელ(ში) ღმუის“

ფშური დიალექტის ჩვენება ეხმიანება ლაზურის მნიშვნელობას, მაშინ, როდესაც მეგრულსა სვანურში ფონეტიკური შესატყვისები არ იძებნება.

ს.-სინდ. ***ღუგღუგ**- „გრგვინვა“

ადიდ. **ღუაღუა**-ნ, ყაბ. **ღუაღუა**-ნ „გრგვინვა, ჭიქა-ქუხილი“

ონომატოპოეტური აგებულებისა და შინაარსის ზმნებია, რომელთაც იბ.-კავკ. ენათა ოჯახის სხვა ჯგუფებშიც ეძებნებათ შესატყვისები: ჩეჩნ. **ღულ** „გრგვინვა, ქუხილი“, ხუნძ. **ღულად**, კარ. **ღურღურ**-ი „გრგვინვა, ქუხილი“...

ს.-ქართვ. ***ღუმ**- „მოღუმვა; მოღუმული“

ქართ. **ღუმ**-, მო-**ღუმ**-ულ-ი, მო-**ღუმ**-ვ-ა

ზან. (მეგრ.) **ღვიშქ**-, **ღვიშქ**-ალ-ი „მოღუმული; შავტუხა“

სვანური შესატყვისი ვერ მოვიძიეთ. არ იცის ეს ძირი არც ლაზურმა დიალექტმა, მეგრულშიც პოვნეირია **უ** → **ვი**, ალბათ, უ უმლაუტიანი ხმოვნის შედეგი.

ს.-სინდ. ***ღუმ**- „დამწუხრება; მოღრუბვლა“

აზნ. (ტაპანთ.) **ჭუაშ**-ჯ „დამწუხრებული; მოღრუბლული“, აფხაზ. (ბზიფ.) **ა-ხუაშ**(ჯ) „მწუხარე“; „მოღრუბლული“, შდრ. აბჟ. **ა-ხუაშ**-რა „მოწყენა; მოღრუბვლა“

ჩერქეზული მონაცემები გვაკლია, რაც ართულებს ფუძეენური არქეტიპის რეკონსტრუქციის პროცედურას, თუმცა აფხაზურ-აზნურ ინფორმაციის საფუძველზე აღდგენილი საერთოსინდური არქეტიპიც საკმაო სიზუსტისა ჩანს.

ანლაუტში მეორდება **ღ** : **ჭ** ბგერათშესატყვისობა [იხ. აქვე ს.-ქართვ. ***ღერღ**-ილ-, **ღერღ** : ს.-სინდ. ***ჭარღ**-ე], რაც, ალბათ, არქაული ფ ფარინგალური მჟღერი აფრიკატის არსებობაზე მიუთითებს წინარე-ენაში.

ს.-ქართვ. ***ღუც**- „ჩიყვი“

სვან. (ჩოლურ.) **ღუჩ** „ჩიყვი“

სიტყვა განმარტოებით დგას სვანურში. ბგერათშესატყვისობა ქართ. **ც** : სვან. **ჩ**, ს.-ქართვ. **ც** იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ს.-ქართვ. ფუძეენური მდგომარეობისთვის ***ღუც**- არქეტიპი აღვადგინოთ.

ს.-სინდ. ***ჭუცუტ**-ა „ხორხი, ყანყრატო“

აფხაზ. (ბზიფ.) **ა-ხუცუტ**- (ზმნისწინის ფუნქციით), აბჟ. **ა-ხუჩუტ** „ხორხი, ხახა, ყანყრატო“

სემანტიკური თვალსაზრისით ოპოზიცია *ჩიყვი* ~ *ხორხი* / *ყანყრატო* სავსებით ბუნებრივია, შესაძლებელია ერთი ძირის ფარგლებშიც, შდრ. ხუნძ. (ჰერგებ.) **შეყერ** „ხორხი, ყანყრატო; ჩიყვი“, ხოლო ფონეტიკური შესატყვისობა ს.-ქართვ. **ღ** : ს.-სინდ. **ჭ** რეგულარულ-კანონზომიერი ჩანს.

აფხაზურ-სვანური იზოგლოსების შესატყვისი ფორმა შეიძლება ჩანდეს დადესტურ ენებშიც, შდრ. კარატ. **ღუარჭ**-ა „ჩიყვი“.

ყ

ს.-ქართვ. ***ყაბ**- „დამველება, გახუნება“

ქართ. (ქსნ.) და-**ყაფ**-ულ-ი „დამველებული“

სვან. მე-**ყუფე**-ე „გახუნებული“

ზმნურ **ყაბ**- ძირთან ერთად ქართველურში სახელური **ყაბ**-ლ- დერივატიც უნდა გვქონოდა. სწორედ მისი ტრანსფორმაციის (**ლ** → **ჟ**) შედეგი ჩანს თანამედროვე მე-**ყუფე**-ე (← ***ყეფუ**-ე) სვანური ალომორფი. საერთოქართველურ არქეტიპთან ახლოს დგას ქართული **ყაფ**-, რომელიც, ალბათ, ამოსავალში ***ყაბ**- სახეობისა იყო. **ყაბ**- → **ყაფ**- დაყრუების პროცესი დასრულდა ჯერ კიდევ საერთოქართველურ ფუძე-ენაში, ამიტომაც იძლევა კანონზომიერ შესატყვისებს სწორედ **ყაფ**- ალომორფი [ჩუხუა 2000-2003 : 282-283].

ს.-სინდ. *მაყ-ა „ხნიერი“

აფხაზ. ა-მაყა „ხნიერი“

ს.-სინდ. არქექტიპი მხოლოდ აფხაზური მაჩვენებლის მიხედვით აღდგება. ამავდროულად ს.-ქართვ. *ყაბ- : ს.-სინდ. *მაყ-ა ოპოზიცია იმეორებს დალესტნურ ენებში ფიქსირებულ მდგომარეობას, როცა დარგული (ახუმ.) ბურყა აფხაზურს მიჰყვება, ხოლო თაბასარანული ქართველურივით შებრუნებულ ყაბ-ი / ყაჷ-ი „ძველი“ სახეობას აჩვენებს, შდრ. აგრეთვე ნახ. ენათა ყან-, წ.-თუმ. ყან-ოლ „სიძველე“.

ს.-ქართვ. *ყაბ- „ყბა; წვერი“

ქართ. ყბ-ა, ყბ-ედ-ი, ნი-ყბ-ერ-ი „ყბა“, ხევს. ყბ-ა „წვერი“

სვან. ჰა-ყბ-ა „ყბა“, ყაბ- „წვერი“

ზანურ დიალექტებში შესაბამისი ძირები ჯერაც არ არის გამოვლენილი. ქართული ყბ- ძირი რედუქციის მომდევნო საფეხურს ასახავს [შმიდტი 1962 : 140].

ძვ. ქართული ნი-ყბ-ერ-ი დერივატიც სვანური სომატური სახელებისათვის დამახასიათებელ ნი-/ნი- პრეფიქსებს აჩვენებს, შდრ. სვან. ნი-ბგა (ლშხ.), ნე-ბგუა (ზს.) „შუბლი“, ნი-ქჰა (ლშხ.), ნე-ქჰა (ზს.) „წარბი“...

ს.-სინდ. *ყუბ- „პირი / ბაგე“

აზაზ. ყუბ-, აფხაზ. ყუბ- „პირის, ბაგის აღმნიშვნელი ზმნისწინი“

ჩერქეზულ შესატყვისებს ვერ ვხედავთ. აქაც, როგორც მრავალ სხვა შემთხვევაში, ძირეული თანხმონის ლაბიალიზაცია მიღწეულია ბ → უ გარდაქმნის ნიადაგზე. ამ პროცესს ჯერ კიდევ ფუ-ძე-ენაში ჰქონდა ადგილი.

აქვე ვსვამთ საკითხს იმის შესახებ, რომ მეგრული ცუბაბ-ურ-ა // ცუაბ-გრ-ა // ცუაბ-ურ-ია „სქელ-შუბლა“, იქნებ, ს.-ქართვ. *ყაბ- ძირის ზანური შესატყვისი *ცობ- ძირია მეგრულში ბუნებრივი ო → ვა პროცესის გავლით.

ს.-ქართვ. *ყად- „გრძელი საჯდომი“

ქართ. (მოხ.) ყად-ე „გრძელი საჯდომი ქვა“

ამავე ყად- ძირს შეიცავს ასევე ქართ. ყდ-ა სიტყვაც, შდრ. ყდა-ნ-ი „გათლილი გრძელი ხეები“ და იმერ. (ოკრიბ.) ყდა „წაბლის მრგვალი ძელი“. ასე რომ, მოხეურშიც ამოსავალი მნიშვნელობა თავდაპირველად გრძელი ხის საჯდომი უნდა ყოფილიყო.

ზანურ-სვანურში შესაბამისი ძირები ჯერჯერობით ვერ გამოვლინდა.

ს.-სინდ. *ყუარდუ „საჯდომი ჯორკო“

აფხაზ. ა-ყუარდუ „საჯდომი ჯორკო“

აუხსნელია ძირეულ თანხმონთან ლაბიალიზაციის წყარო აფხაზურში; ქართველური მასალა ამდაგვარი დაშვების შესაძლებლობას არ იძლევა, ისევე, როგორც ნახური შესატყვისები, შდრ.: ინგუშ. ღანდ, ჩეჩნ. ღანთ „სკამი“, თუმცა დალესტნური ინფორმაცია ერთგვარად მხარს უჭერს აფხაზურის ჩვენებას, შდრ.: დარგ. მუთა // გუთა // უთა „სკამი“.

ძნელად გასაზიარებელია აფხაზური ა-ყუარდუ სიტყვის ქართული გვედო „საჯდომი ჯორკო“ ფორმიდან მიღების შესაძლებლობა [ლომთათიძე 1998 : 36-37].

ს.-ქართვ. *ყაჷ „ქმნა; ყოლა, ყოფნა“

ქართ. მ-ყავ-ს, ვ-ყავ

ზან. (ლაზ.) უ-ყოფ-უ-ნ // უ-ყო-უ-ნ „ჰყავს“, ო-ყვ-ოფ-უმ-ე „კეთება, ი-ყვ-ე-ნ „იქნება“, მეგრ. უ-ყუ-ავ-უ(ნ) „იქნება“, მ-ი-ყო-უნ-ს // მ-ი-ყ-უნ-ს „ყავს“

სვან. ყა-, მ-ა-ყა „მყავს“

ცხადია, ს.-ქართვ. *ყაჷ- ძირი პოლიფუნქციური იყო, მაგრამ მიუღებელია იმავე ძირის გამო-ყოფა სხვაგანაც, სადაც ეს მეტად არადადამაჯერებლად გამოიყურება, მაგალითად, ყველ-ში (?), რომელიც ზოგი ავტორის მიხედვით მიმღეობად არის მიჩნეული [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 526-528].

ს.-სინდ. *ყა- „ყოფნა, ქონა, ყოლა“

ადილ. ყა- „ყოფნა“, ყაბ. ყა- „ყოფნა; ყოლა“

უბიხ. ყა-ლ „ქონა, ყოლა“

აბაზ. ა-ყა-ზ-ლა-რა, აფხაზ. ა-ყა-ლა-რა „ყოფნა“

ქართველურ-სინდურ ძირთა ერთიანი წარმომავლობის შესახებ სამართლიანად მსჯელობდა ქ. ლომთათიძე [ლომთათიძე 1997გ : 72-75].

სინდურ ენებში კეთება / ქმნის შინაარსი არ ფიქსირდება, განსხვავებით ქართველური ენებისაგან. თუმცა მოულოდნელი ამაში არაფერია, იგივე ოპოზიცია ვლინდება ახლომონათესავე დაღესტნურ ენებს შორისაც, შდრ. დარგ. -არყ-/ირყ- „ქმნა, კეთება“, მაგრამ ხინალ. ყი „ყოფნა“.

ს.-ქართვ. *ყაჷ- „გაყოფა“

ქართ. ყავ-, გა-ვ-ყავ-ი

ზან. (მეგრ.) გო-ყვ-ი // გო-ყვ-ი „გაყავი“

თუ ოდესმე ქართველურ ენობრივ სამყაროში არსებობდა *ნაყევარ- სახეობის ფორმა [შდრ. ჯავახიშვილი 1992 : 403], ის სწორედ ამ ყავ- ძირისაგან უნდა ყოფილიყო ნაწარმოები.

ს.-სინდ. *ნგ-ჯჷ-ა „ნახევარი“

ადილ. ნგჯჷა, ყაბ. ნგჯჷა „ნახევარი“

რთულია ს.-სინდურში ნგ--ა კონფიქსის არსებობაზე მსჯელობა, მაგრამ გარეენობრივი მასალა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ვივარაუდოთ ჯჷ- ზმნა ფუძე-ენაში გაყოფის მნიშვნელობით. ამაზე ცალსახად მეტყველებენ დაღესტნური ნიმუშები, სადაც მონათესავე ძირებში იკვეთება ზმნური და სახელური დერივატების ეტიმოლოგიური კავშირი, შდრ. მაგ. კარატ. რ-ეყ- „გაყოფა“ და რეყ-ემა „ნახევარი“, არჩიბ. ყა- „გაყოფა“.

ქართველურ-დაღესტნური შესატყვისები ყ-ს პირველადობაზე ცალსახად მიუთითებენ, აქედან დასკვნა: ს.-სინდ. *ნგ-ჯჷ-ა ← წ.-სინდ. *ნგ-ყჷ-ა.

ს.-ქართვ. *ყაჷ-ე „თხების წინამძღოლი თხა“

ზან. (მეგრ.) ყევე „თხა, რომელიც წინ მიუძღვება სხვა თხებს“

ცნობილ მეგრულ ლექსში – ჭყიში გორუნს ყევე თხას „მწყემსი ეძებს ყევე თხას“ – ზოგჯერ ყევე-ს განმარტავენ როგორც დაკარგულ, გზააზნულ თხას; სინამდვილეში იგი წინამძღოლი თხა არის, რომელსაც მიჰყვება სხვა დანარჩენი თხები. და თუ მწყემსი მას იპოვის, ნაპოვნია ყველა სხვა მიმყოლიც.

სხვა ქართველურ ენა-კილოებში კანონზომიერ შესატყვისებს ჯერჯერობით ვერ ვხედავთ.

ს.-სინდ. *ჷაყ-ჷ „თხა“

ყაბ. ჷაყგ-ჲ „ნახირის გასარევი სიტყვა-ფორმა“

უბიხ. ჷაყგ // ჷანყგ „თხა“

ჩერქეზულ ძირ-ფუძეთა ეტიმოლოგიური კავშირი ცნობილია და გაზიარებულიც [ჩირიქბა 1996ა : 208; კვახაძე 2014 : 81]. სტრუქტურულად დიდი იყო ცდუნება, საერთოსინდურ *ჷაყ-ჷ არქეტიპთან ქართული ვარყა „ულაყი, ცხენი“ დაგვეკავშირებინა, მაგრამ მეტად დიდი სემანტიკური სხვაობის გამო [ცხენი ~ თხა] ამისგან თავს ვიკავებთ.

ს.-სინდ. *ჷაყ-ჷ : ს.-ქართვ. *ყაჷ-ე შებრუნებული წყობის არქეტიპებია, ამათგან ქართველურ

წყობას მხარს უჭერს დაღესტნური ინფორმაცია, შდრ.: წახ. ყენა „თხა“, აღულ. ყუნ, ლეზგ. ყუნ, არ-ჩიბ. ყონ, თაბას. ყუნ „ბოტი; ვაცი“.

ს.-ქართვ. *ყაუნ- „ძალა, ჯანი, შეძლება“

ქართ. (ფერეიდნ.) ყოვ-ა „შეძლება“

ზან. (მეგრ.) ცონ-ია „ბრვე, ჯანიანი, ცონ-ე „ღონე“, ცონ-იერ-ი „ძლიერი“

სვან. ყერ „ძალა“

ფუძის აუსლაუტში საერთო მიმართულებით გამარტივდა ზანურ-სვანურში - უნ → ნ → //რ, ხოლო ქართულმა პირიქით, ამოსავალი უ სონანტის რეფლექსი [ვ] შეინარჩუნა.

ს.-სინდ. *ჭუა „ღონე, ჯანი“

უბიხ. ჭუა „ღონიერი, ჯანიანი“, ა-ჭუა-ნ „გამლიერება“

აფხაზ. ა-ღუ-ღუა „ძლიერი“

არ გამოვრიცხავთ ფუძესინდურში ჭუ/ღუ სუბსტიტუციას, რასაც დიფერენციაციის მომდევნო ეტაპზე განსხვავებული რეფლექსაცია შეეფარდა აფხაზურ-უბიხური ენების მიხედვით. შებრუნებული წყობის საყურადღებო პარალელი თავს იჩენს დაღესტნურ ჯგუფის ენებშიც, შდრ. თაბას. უყყ-ი „ძლიერი“.

ს.-ქართვ. *ყალ- „დაყოფა“

სვან. ყალ, ი-ყალ-ურ-ალ-ხ // ი-ყალ-ურ-ალ-ხ „იყოფიან“

სიტყვა განმარტოებით დგას სვანურში, მაგრამ, სავარაუდოდ, ფუძეენური წარმომავლობისაა. ამაზე გარეენობრივი შესატყვისები მიგვითითებენ.

ს.-სინდ. *ყა- „ჭრა“

ადილ. უგ-ყა-, ყაბ. უგ-ყა- „დაწყლვა / დაჭრა“

უბიხ. ყგ- „ჭრა“

აფხაზ. ყგ-, სიტყვაში ა-თ-ყგ-რა „გამოჭრა“

სპეციალურ ლიტერატურაში უბიხ. ყგ- „ჭრა“, ყაბ.-ადილ. უგ-ყა- „დაწყლვა / დაჭრა“, აფხაზ. ა-თ-ყგ-რა „გამოჭრა“ ზმნას უკავშირებენ აბაზ. ფყ-რა, აფხაზ. ა-ფყა-რა „ჭრა“ ალომორფებს, რაც გაუმართლებელია, ვინაიდან სხვადასხვა ძირ-ფუძეებია და, შესაბამისად, სხვაგვარ ეტიმოლოგიასაც გულისხმობენ [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 1019].

ს.-ქართვ. *ყალ- „დაყოფა“ : ს.-სინდ. *ყა- „ჭრა“ წარმოაჩენს ლ → უ → ნულოვანი დელატერალიზაციის პროცესს საერთოსინდურ ფუძე-ენაში, რაც მსგავსი სტრუქტურის ძირ-ფუძეებში ბუნებრივი ჩანს.

სემანტიკური კორელაცია ჭრა ~ დაყოფა კანონზომიერებას ექვემდებარება.

ს.-ქართვ. *ყამ-ა „ყმა; წული; ბავშვი“

ქართ. ყმა/ყრმა

ზან. -ყვა/-ყვა/-ვა „შვილი, წული“, გვარსახელებში ფა-ყვა, გუდა-ყვა → // გუდა-ვა

სვან. ყლაუ „ბავშვი, ბიჭი“

ფუძის ბოლოკიდურ პოზიციამი ფიქსირებული ქართ. ა : სვან. უ რედუქციის სვანურ სახეობად განიხილება – ა → უ, შდრ. ქართ. ყანჩა → სვან. ყანჩუ // ყანჯუ „id“. ზანურში სავარაუდო ყმა → ყვა → ყვა → ვა კარგად ჩანს გვარსახელებში, შდრ. ქართ. კეჭა-ყმა-ძე, ვაშა-ყმა-ძე, ძალა-ყმა-ძე, ოსი-ყმა-შვილი-ი და მეგრულ-ლაზური ჭანუ-ყვა-ძე, ინგორო-ყვა, ღელე-ყვა, გუდა-ყვა → გუდა-ყვა → გუდა-ვა (ტოპ.) / გუდა-ვა (ანთროპ.).

ს.-სინდ. *ყუა „შვილი“

ადილ. (შაფს.) ჭუა, ჭემგ., ბჟედ. ჭუა, აბძახ. ყუა, ყაბ. ყუა „შვილი“

უბიხ. ყუჷ „შვილი“

ამ შემთხვევაში, როცა ყაბარდოული უბიხურს მიჰყვება, ჳუ → ყუ გლოტალიზაციის პროცესს ვერ ვივარაუდებთ. პირიქით, ყაბარდოულ-უბიხური ყუა არქაულ ვითარებას გვიჩვენებს. ყუ → ჳუ ადიღეურში განხორციელდა, ხოლო აბძახურში სულაც მესამეული საფეხური (ვარიანტი) განვითარდა – ყუ → ჳუ → ყუ. ასე დაემთხვა ამოსავალი და ბოლო რეფლექსაცია (ალომორფი) ერთმანეთს.

ჟ. დიუმეზილი აქვე ასახელებდა აფხაზ. *ჳუჷ „კაცი, ადამიანი“ ფუძეს, რასაც სხვა ავტორები განსხვავებულ ეტიმოლოგიას უძებნიან [შდრ. დიუმეზილი 1932 : 124-125; სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 577].

სინდურ და ქართველურ ძირ-ფუძეებს ეხმიანება ნახური ყონ- „ვაჟიშვილი“, შდრ. ინგუმ. ყონ-გ-იმ „ვაჟიშვილები“...

ს.-ქართვ. *ყანდ-ა „ღობის სახეობა“

ქართ. ყანდ-ა „ღობის სახეობა“, ფშ. ყონდ-ურ-ა „ღობემძვრალა“ (ფრინგ.)

ფშაურში, როგორც თავად სიტყვა „ღობემძვრალა“ მიუთითებს, ფრინველის სახელდებისას ლობესთან მიმართება უნდა ყოფილიყო ამოსავალი; ოღონდ, არქაულ სახეობად *ყანდ-ურ-ა (→ ყონდ-ურ-ა) უნდა დავსახოთ. ზ.-იმერ. ყუდ-ულ-ი „ღობის სახეობა“, ალბათ, ზანიზნია.

ს.-სინდ. *ჳუჷნდ-ა „ღობე“

უბიხ. ჳუდჷა „ღობე“

აფხაზ. ნნდა ← *ა-ჳანდა „ღობე, ზღუდე“

ორსავე ენაში შესამნევი ფონეტიკური გარდაქმნები შეინიშნება, კერძოდ, აფხაზურში ფარინგალური მჟღერი სპირანტის ლაბიალიზაცია მოიშალა, ხოლო უბიხურში თავკიდურ ჳ-სთან ერთად ძირეული ნ-ც დაიკარგა; აქვე შეინიშნება დ-ს მეორეული ლაბიალიზაცია თავკიდურა ჳ-ს ასიმილაციური ზეგავლენით.

ს.-ქართვ. *ყანდ-ა : ს.-სინდ. *ჳუჷანდ-ა არქეტიპთა შესატყვისები იძებნება დაღესტნურ ენებშიც: ხუნძ. ყედ, ახვახ. ყედა, ბოთლიხ. ყინდა „კედელი“...

ს.-ქართვ. *ყარ-ან- „დიდი ბულბული“

ქართ. ყარან-ა „ნიბლია“ (საბა), „მსუქანი ბულბული“ (ჩუბინაშვილი)

სიტყვა მხოლოდ ქართულშია პოვნიერი. მისი ისტორია ცნობილია [ლომთათიძე 1944 : 121-124]. ვფიქრობთ, ყარან-ა-ს გააჩნია სარწმუნო შესატყვისები სინდურ ენა-კილოებშიც, რაც მის ფუძეენურ ეტიმოლოგიას გულისხმობს. სავარაუდოდ, იმავე ყარ- ძირს შეიცავს ქართ. ყარყატ : სვან გარყანდ „ყარყატი“ სიტყვები.

ს.-სინდ. *ყარ-აჷ „გედი; წერო“

ადიღ. ჳარაჷ, ყაბ. ჳერუჷ ← *ჳერაჷ „წერო“

უბიხ. ჳარაჷ „გედი“

აბაზ. (აშხარ.) ყრუ, აფხაზ. ა-ჳყა „წერო“

მეტად რთულად დგას აფხაზური ა-ჳყა სახელის პრობლემა. შეიძლება, დავუშვათ ისტორიული ჳ-ს მეტათეზისი სიტყვის თავში, შდრ. *ყრაჷ → აბაზ. ყრუ / აფხაზ. *ჳყრა → ჳყა (?). ყველა შემთხვევაში სინდურ ენათა საერთო ძირად ყარ- უნდა გამოიყოს, რომელსაც კანონზომიერად შეესატყვისება ყარ-ან- ქართულში.

ყურადღებას მიიქცევს დაღესტნური მასალა, სადაც ასევე მეორდება გენეტიკურად საერთო ძირ-ფუძეები, შდრ.: ანდ. ყურრუ ← *ყურნუ, კარატ. ყურუნ..., თაბას. ყარნი, არჩიბ. ყურერ-ტი „წერო“.

ს.-ქართვ. *ყარტელ- „ჭუჭყი“

ქართ. ყარტლ-ი (საბა), სი-ყარტლ-ე (საბა), ფშ., ინგილ. ყარტლ-იან-ი „ჭუჭყიანი“,

საერთოქართველური არქეტიპის რეფლექსაცია მხოლოდ ქართულში ფიქსირდება. ძირის ფუძეენურ ეტიმოლოგიას მხარს უჭერს სარწმუნო აბაზური იზოგლოსის არსებობა.

ს.-სინდ. *ყატა „ლაფი“

აბაზ. ყატა „ლაფი“

ისევე, როგორც ქართველურში, აქაც სინდური არქეტიპის რეკონსტრუქცია მხოლოდ ერთი (აბაზური) ენობრივი მონაცემის მიხედვით ხერხდება.

ს.-ქართვ. *ყარტელ- : ს.-სინდ. *ყატა „შეპირისპირება წარმოაჩენს ლ-ს „ზედმეტობას“ ქართველურში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ გარდაქმნა ლ → ტ → თ ჯერ კიდევ სინდურ ფუძე-ენაში განხორციელდა.

სინდურ-ქართველური იზოგლოსების შესაბამის მასალას სხვა იბ.-კავკ. ენათა ოჯახის ჯგუფებში ვერ ვპოულობთ.

ს.-ქართვ. *ყარლ- „წეროსავით ფრინველია“

ქარა. ყარხ-ილა „წეროს ჰგავს“ (საბა)

ერთ-ერთი იშვიათი გამოყენების სიტყვაა ქართულში. ფიქსირდება მხოლოდ საბას ლექსიკონში, მაგრამ ეძებნება საკმაოდ სანდო შესატყვისები სინდურ და დალესტურ ენებში, რაც მისი ფუძეენური წარმომავლობის საწინდარია. გამოყოფილი -ილა სუფიქსური ნაწილი ჩანს ყარხ-ილა ლექსემაში. დაყრუბის ლ → ხ ფონეტიკური პროცესი ქართულში განხორციელდა.

ს.-სინდ. *ჭტარლ- „ყვავი“

ყაბ. ჯტარლ // ჯტანლ „ყვავი“

უბიხ. ჯალ „ყვავი“

აფხაზურ-აბაზური შესატყვისები დაკარგული ჩანს. ყ → ჯ ფუძე-სინდურში განხორციელდა. ამოსავალი ვარიანტი უბიხურში მეტად ცვლილა, გვაკლია როგორც რ, ისე ტ თანხმოვნები. საერთოსინდური -ტ არაძირეულად გვესახება; ალბათ, ქართული -ილ სუფიქსის შესატყვისია. ანგარიშგასაწევია ლაკ. ჯალუ „ჭილყვავი“ და დარგ. ყა „ჭკა“ ლექსემათა ჩვენება, შდრ. ჭამალ. ყატაჰა „ყვავი“, არჩიბ. კეჰუ (← *ყეჰუ) „ქორი, შევარდენი“.

ს.-ქართვ. *ყასარ- „მოზარდი საქონელი“

სვან. ყესგრ „მოზარდი საქონელი“

ფუძეენური მდგომარეობისთვის ა-ა გახმოვანების რეკონსტრუქცია ეფუძნება ა → გ ფონეტიკური პროცესის რეგულარულობას სვანურში, შდრ. ქართ. მატლ-ი : სვან. მგტ „მატლი“...

ს.-სინდ. *ყაშა „თხა“

ადიდ. (აბძახ.) ცასჷ „თხა“

მეტად გავრცელებული შ → ს პროცესი, რომელიც დამახასიათებელი ჩანს ყაზარდოული და აბძახური ქვესისტემებისათვის, ამ ძირშიც რეალურია.

ბოლოკიდური რ ჯერ კიდევ ფუძესინდურში დაიკარგა. რაც შეეხება სემანტიკურ კორელაციას მოზარდი საქონელი ~ თხა, იგი კანონზომიერებას ექვემდებარება.

სინდურ-ქართველურ იზოგლოსთა შესაბამის მასალას სხვა იბ.-კავკ. ვერ ვპოულობთ.

ს.-ქართვ. *ყასრ- „სახლი მომცრო; კოშკი; სამეფო სახლი“

ქართ. კასრ-ი „სახლი მომცრო სამეფო“ (საბა), ძვ. ქართ. კასრ-ი „ციხე; კოშკი“

ზან. (მეგრ.) ყორშ-ი / ცურშ-ი / ყოშ-ი / ცომშ-ი „ციხე-სიმაგრე, კოშკი“

სვან. ყარშ (ტოპ. სვანეთში)

ადრე სვანურ ფორმად (შესატყვისად) ყრშ/ყრშ „მცირე სახლი მთაში, ქოხი“ ალომორფებს მოვიხმობდით, რაც ზანიზმი აღმოჩნდა [ფენრიხი 2007 : 509]. სირთულეს აჩენს თავკიდური კ ქართულში, თუმცა ყ → კ დეფარინგალიზაცია საკუთრივ ქართულ ინოვაციად უნდა დავსახოთ (შდრ. რეკ- : ზან. რაყ- „გარეკვა“...).

ს.-სინდ. *ყაშ- „ბაკი“

ადიდ. (ჭემგ.) ცაშ „ბაკი“

საერთოსინდური არქეტიპის რეფლექსაცია მხოლოდ ჭემგურ დიალექტში გვაქვს, რომელიც საკმაოდ ზუსტად ასახავს არქაულ ვითარებას, თუმცა რ სონორი აქაც დაიკარგა (უკვალოდ).

ს.-ქართვ. *ყასრ- : ს.-სინდ. *ყაშ წარმოაჩენს ს/შ სიბილანტურ ბგერათშესატყვისობას, რაც რეგულარულ-კანონზომიერია.

საყურადღებო ჩანს დადესტნურ ძირებთან გენეტიკური მიმართების პრობლემაც, შდრ.: ჭამალ. ყიშუ „ქოხი“, დარგ. ყუმ „კარავი“.

ს.-ქართვ. *ყეუ- „ორი“

ქართ. ყეუ-არ-ი „ორი უღელი ჯარი“ (საბა), სა-ყევ-არ-ი „მარჯილის ჳელნები“ (საბა)

ზან. (მეგრ.) ცალ-, მა-ცალ-ე „მეწყვილე; ამხანაგი“

გასაზიარებელი ჩანს ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ქართულში რამდენიმე ფუძე გვქონდა *ორის* აღსანიშნავად, მათ შორის ივარაუდება ქართ. ყევარ-ი-ც [ჯავახიშვილი 1992 : 389, 394, 396, 399, 403]. ვფიქრობთ, ფორმალურად ქართ. ყევ- ძირს ისევე შეესატყვისება მეგრული ცალ- (ანუ უ : ლ), როგორც ქართულ ტევ- ზმნას - მეგრ. ტალ- „გაშვება“.

ს.-სინდ. *ჭუზ- „ორი“

აბაზ. ჭუ-ბა, აფხაზ. ჭუ-ბა(-ჯა) „ორი“

აფხაზურ-აბაზური ჭუ-ბა არ უკავშირდება ჩერქეზულ „ორის“ აღმნიშვნელ ტყუა რიცხვით სახელს, ვინაიდან ეს უკანასკნელი ქართველურ ტყუბ-ს ენათესავება. ადიღური შესატყვისები შეიძლება, შემონახული იყოს ადიღ. ღუგ-ბჟ, ყაბ. ღუგ-ბჟ „სამშაბათი“ კომპოზიტში. ამ უკანასკნელში ღუგ- *ორის* აღმნიშვნელი ძირი ჩანს, შდრ.: აფხაზ. ა-ჭუა-მა „სამშაბათი“, რუს. вторник „სამშაბათი“ – второй „მეორე“.

ქართვ. ყეუ-, აფხაზ.-აბაზ. ჭუ- უნდა უკავშირდებოდეს დადესტნურ ენათა ორის აღმნიშვნელ სხვა ძირებს, კერძოდ, არჩიბული ყუყ ტიპის ფუძეებს, შდრ.: ხვარშ. ცუე-ნე, ჰინუხ. ყო-ნო, თაბას. ყუ, კრიწ. ყუა-დ-, არჩიბ. ყუყ-დ-..., დარგ. (ურახ.) კუტი, კუბაჩ. კუყე..., ანუ ხერხდება *ორის* აღმნიშვნელი სულ მცირე ორი ძირ-ფუძის ერთმანეთისაგან გამიჯვნა იბ.-კავკ. ენებში.

ს.-ქართვ. *ყელ- „ტოტი; შტო“

ზან. (ლაზ.) ცა // ყა // ა „შტო“, მრავლ. რ. ცალ-ეფ-ე, მეგრ. ცა „ტოტი, შტო“, ცალ-ეფ-ი, ცალ-ერ-ი „განტოტვილი“

დიალექტური მასალა ზანურის ფარგლებში ერთიანია. ქართულისათვის სავარაუდო ყელ-ფორმა შეიძლება, ჩანდეს გურულ დიალექტში, შდრ. გურ. ყელ-ი „ლოჯე, ერთმანეთში ჩაშვებული ძელები კუთხედი“.

ს.-სინდ. *ყზ- „ხელი“

ადიდ. (შაფს.) ყზ, ჭემგ. ცზ, ყაბ. ცზ „ხელი“

უზიხ. ყა-, სიტყვაში ყა-პა „ხელი“

ამოსავალი ვითარება უზიხურ-შაფსულურს დაუცავს, ზანურისებური ყ → ც სხვა დიალექტებში განხორციელდა. -პ კომპონენტი უზიხურში, როგორც მიუთითებენ, *კიდურის* აღმნიშვნელი ფუძე უნდა იყოს [შაგიროვი 1977, I : 154; კვახაძე 2014 : 154]. ბოლოკიდური ლ, რომელიც ქართველურშია პოვნირი, ჯერ კიდევ ფუძე-სინდურში დაიკარგა.

შესატყვისობა სემანტიკის დონეზე ტოტი ~ ხელი ბუნებრივი ჩანს, შდრ. ქართ. ტოტი : სვან. ტუტე „ხელი“ : ზან. (მეგრ.) ტოტი „ხელი“ გამოთქმაში ტოტი-გმ-ა მეურს „ხელისკენ მიდის, ხელის დასარტყმელად მიდის“.

სინდურ-ქართველურ ძირებს ენათესავება: ჰინუხ. ყილუ, ხვარშ. ყე, ბეჟიტ. ყეო, ჰუნზიხ. ყერუ „მხარი“ [მეტი დალ. იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 934], შდრ. დარგ. ყალი „შტო“.

ს.-ქართვ. *ყელ-ა „ავი, ცოფიანი“

ზან. (მეგრ.) ცალ-ა „ავი“, გო-ცალ-აფ-ა „გაცოფება“, ცალ-ა-ნგერ-ი „ცოფიანი მგელი“

ქართველური შედარებითი ფონეტიკის პრაქტიკა აჩვენებს, რომ ზანური ა სიტყვის ინლაუტში საერთოქართველურ ე-ს ასახავს. ამიტომაც ფუძეენური მდგომარეობისთვის *ყელ-ა არქექტიპი აღვადგინეთ, რომელსაც კანონზომიერი შესატყვისები ემეზნება სინდურ ენებშიც.

ს.-სინდ. *ყ ლ- „ველური; გიჟი“

ყაბ. ცალ- „ველური“

უბიხ. ცალ- „გიჟი“

ვფიქრობთ, ყ → ც და ლ → ლ- ფონეტიკური გარდაქმნები უბიხურსა და ყაბარდოულში (ან ჩერქეზულში) მოგვიანებით განხორციელდა. დასახელებული პროცესები საერთოსინდურში არ უნდა გვექონოდა, რასაც მრავალ შემთხვევაში აფხაზურ-აბაზური ენები ადასტურებენ.

ს.-ქართვ. *ყელ-ა „ავი, ცოფიანი“ : ს.-სინდ. *ყალ- „ველური; გიჟი“ კანონზომიერ სტრუქტურულ-სემანტიკურ მიმართებად გვესახება.

ს.-ქართვ. *ყემ-ა „ყმა, მონა“

ქართ. ყმა „მსახური, ფრდილი“ (საბა), ყმ-ობ-ა, პატრონ-ყმ-ობ-ა, ი-ყმ-ო

სიტყვა დასტურდება მხოლოდ ქართულში, თუმცა, სავარაუდოდ, საერთოქართველური წარმომავლობის ძირ-ფუძე ჩანს. ამას ადასტურებს სინდური (და არამხოლოდ) იზოგლოსები.

ს.-სინდ. *ყუზმ- „დაბალი ფენის წარმომადგენელი“

ჩერქ. {ყუზმ-} „დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელი“

სინდური არქექტიპის შესახებ მსჯელობა ოსურში შემონახული ყუზმ-იან „id“ სიტყვის მიხედვით შეიძლება, ვინაიდან ვფიქრობთ, რომ ოსური ამ შემთხვევაში ჩერქეზული ენა-კილოებიდან შემოსულ ფორმას ინახავს.

ს.-ქართვ. *ყემ-ა არქექტიპის გახმოვანებაზე ფიქრისას მხედველობაში იქნა მიღებული ახლო-მონათესავე ენების ჩვენება, შდრ. წ.-თუშ. ყენ „ღარიბი, გლახაკი“. ამავდროულად სინდურ ფორმაში „ზედმეტია“ ძირეული თანხმოვნის ლაბიალიზაცია (ყუ), რაც ინოვაციად გვესახება.

დადესტნურიდან სარწმუნო ჩანს ბეჟიტ. ყემა „მათხოვარი, ღარიბი“ სიტყვასთან გენეტიკური კავშირი [ჩუხუა 2008 : 564].

ს.-ქართვ. *ყყ- „ბევრის ჭამა/სმა“

ქართ. ყყ-, გურ., იმერ. ყყ-ვა „ძალზე გაძლომა“, გა-ყყ-ილ-ი „ნამეტანი გამძლარი“

ზან. (მეგრ.) ცაყ-უ-ა / ყაყ-უ-ა „ბევრის სმა“, ყაყ-ილ-ი „ნასვამ-ნაჭამი (უხვად)“

შესაბამისი ძირი სვანურში არ ჩანს, მაგრამ, ვინაიდან *ყყ- არქექტიპს იბ.-კავკ. შესატყვისები დაემეზნება, ფუძე საერთოქართველურ დონეზე უნდა იყოს რეკონსტრუირებული [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 534].

ს.-სინდ. *ყყ- „ლეჭვა/ცოხნა“

უბიხ. ყაყ- „ცოხნა, ლეჭვა“

აბაზ. ყაყ-რა, აფხაზ. ა-ყაყ-რა „ლეჭვა, ცოხნა“

მატერიალური და სტრუქტურული იგივეობა სინდურ-ქართველურში გამყარებულია სემანტიკური შესატყვისობით *ბვერი ჭამა/სმა ~ ცოხნა*, რაც ბუნებრივ სემანტიკურ კორელაციად გვეჩვენება.

სხვა რამდენადმე ღირებული იბ.-კავკ. პარალელები ჯერჯერობით არ იძებნება.

ს.-ქართვ. *ყყუ- „დაბერება; ძველი, მოხუცი“

ქართ. ყიყვი- „ღრმად მოხუცი“, და-ყიყვი-ებ-ა „ღრმად დაბერება“, ინგილ. ყუყუ „ღრმად მოხუცი“

ზან. (მეგრ.) ყაყვი-ი „ღრმად მოხუცი კაცი“

ქართ. ი : ზან. ა კანონზომიერ ბგერათშესატყვისობათა დარღვევა ჩანს, ცვლა (ასიმილაციური) ქართულში მომხდარა – ე → ი. გურული ყაყვი-ი „id“ ზანიზმად კვალიფიცირდება.

ს.-სინდ. *ღღყუ-გ „მშრალი“

ადილ. ღღუღა „მშრალი“

უბიხ. ღყა „მშრალი“

სემანტიკური კორელაცია ს.-ქართვ. *დაბერება* ~ ს.-სინდ. *სიმშრალე* არ არის მოულოდნელი, ამოსავალი *სიმშრალის* სემატიკა უნდა იყოს, როგორც სიცოცხლის დაშრეტის ერთ-ერთი გამოვლინება.

ამასვე ადასტურებს ჩვენ მიერ გამოვლენილი სათანადო დადესტნური მასალაც, შდრ. ლაკ. ყაყ- „მშრალი“, არჩიბ. ყურაყა- „შრობა“.

ს.-ქართვ. *ყუა- „ბეწვი, ბუმბული“

ზან. (მეგრ.) ყუა // ყუა „ბეწვი, ბუმბული, წმინდა ბურტყლი“

სიტყვა იზოლირებულად დგას მეგრულში, თუმცა მეტად სანდო შესატყვისები ეძებნება სინდურ (და შესაძლოა, არამხოლოდ სინდურ) ენებში.

ს.-სინდ. *ყუგ „მატყლი, თმა“

ადილ. ჳუგ-ეგ, ყაბ. ჳუმი „უთმო“

უბიხ. ყუგ „მატყლი, თმა“

ადილურ ენათა -ეგ სუფიქსი უარყოფითობას გამოხატავს; სიტყვის მნიშვნელობის განვითარების თვალსაზრისით, შდრ. ქართ. კუდ-ი „კუდი“, მაგრამ კუდ-ა „უკუდო; კუდიანი“. გარდა ამისა, ადილურ ენებში ყუ → ჳუ განხორციელდა, რაც რეგულარულად ვლინდება.

ს.-ქართვ. *ყუეუ- „ყვავი“

ქართ. ყვავ-ი, ყვავ-ა-ძე, ჭილ-ყვავ-ი

ზან. (ლაზ.) ყვარ-ოჯ-ი, მეგრ. ყვარ-ია „ყვავი“

გამოირიცხება ქართულ-ზანური ალომორფების ეტიმოლოგიური კავშირი სვანურ ჳუერ „ყვავი“ ძირთან, ვინაიდან ეს უკანასკნელი ქართული კვირ-იონ-ის კანონზომიერი შესატყვისი ჩანს [შდრ. კლიმოვი 1964 : 209]. ზანურში ახსნას ითხოვს ა-გახმოვანება ქართული ა-ს წილ, თუმცა შდრ. ასეთივე ქართ. კატ-ა : ზან კატ-უ, რაც ე → ა პროცესზე მიუთითებს ქართულში, ანუ ზანური ასახავს ფუძეენური ე-ს შესატყვისს.

ს.-სინდ. *ყუუუ-უ „ყვავი“

უბიხ. ყააჲ „ყვავი“

ქართ. ყვავ- და უბიხ. ყააჲ „ყვავი“ ფორმათა ურთიერთშეპირისპირება გამართლებულად მიგვაჩნია [მესაროში 1934 : 351] და არ გამოვრიცხავთ უბიხური ალომორფის გენეტიკურ ერთიანობას ქართულ ყუაგ- „ყვავი“ სიტყვასთან. ოღონდ, უბიხურისთვის სავარაუდოა დამახასიათებელი ყუ → ყ დელაბიალიზაცია-პალატალიზაციის ფონეტიკური პროცესი.

სინდურ-ქართველური არქეტიპების პალეოკავკასიურ წარმომავლობის შესაძლებლობას მხარს უჭერს დადესტნური ინფორმაციაც, შდრ. ახვახ. ყუაჲ-, სიტყვაში ყუაჲ-დანდი „ყვაჲ“...

ს.-ქართვ. *ყუან- „წა-/მო-ყვანა“, вести

ქართ. ყუან-/ყვან-, წარ-ყუან-ა, მო-ყუან-ა-ი

ზან. (ლაზ.) ცონ-აფ-ა / ყონ-აფ-ა, მეგრ. ცონ-აფ-ა // ცუნ-აფ-ა „ყვანა“

მიუხედავად იმისა, რომ სვანურში შესაბამისი ძირი არ არის გამოვლენილი, ყუან- ზმნა საერთოქართველურ დონეზე აღდგება. ყუან- კარგადაა ილუსტრირებული ძვ. ქართულ წერილობით ძეგლებში [კლიმოვი 1964 : 210].

ს.-სინდ. *ნგყუა- „სიარული, სვლა“

აზაზ. ნგყუა-რა, აფხაზ. ა-ნგყუა-რა „სიარული, სვლა“

ჩერქეზულ ენებში შესაბამისი ზმნები არ იძებნება. ამ შემთხვევაში ფუძეენური არქეტიპის რეკონსტრუქცია აფხაზურ-აზაზურის მონაცემთა საფუძველზე ხორციელდება. უნდა ითქვას, რომ ამ უკანასკნელთა ჩვენება საკმაოდ სრულია და იმეორებს ამოსავალ ვითარებას.

არქეტიპული ყუან- ~ ნაყუა- შეპირისპირება სინდურში შებრუნებული წყობის მეორეულობას აჩვენებს, რასაც დადესტნური ინფორმაციაც ამტკიცებს: ახვახ. ყუნ- „შესვლა“, ბეჟიტ. -ონყ-, ჰუნზიბ. -ანყ- „სვლა, მოსვლა“ ... ამავე ენებში ნაზალურობის კვალიც იკითხება.

ს.-ქართვ. *ყუანც-ალ- „დაჯირა“

ქართ. ყვანცალ-ა (საბა)

სვან. {ყუანჩალ-} „დაჯირა“

შესაბამისი ფუძე ზანურ დიალექტებში არ იძებნება. თვით სვანური შესატყვისი რაჭულ დიალექტს დაუცავს მხოლოდ. საბასთან სიტყვა, სამწუხაროდ, არ განიმარტება.

ს.-სინდ. *ჯუგც-ა „ატამი“

ადიდ. ჯგცა, ყაბ. ჯგცა „ატამი“

თავკიდური თანხმოვნის გემინაცია ადილურ ენებში ამოსავალი ჯუ ლაბიალიზებული კომპლექსის კომპენსაციას ასახავს. ჩანს, დეფარინგალიზაცია ყ → ჯ ფუძესინდურში განხორციელდა. ყ-ს უწინარესობაზე ნათლად მეტყველებს დადესტნური მასალა, შდრ. ანდ. ყურჩი „გარგარი“, ახვახ. ყურჩე // ყორჩო „ატამი“..., დარგ. ყურჩი „ატამი“.

თუ სტრუქტურულად ქართველური ძირები უნაკლოა, სემანტიკური თვალსაზრისით, კორელაცია დაჯირა ~ ატამი / გარგარი პასუხგაუცემელ კითხვებს ჰზადებს. საკითხი დამატებით კვლევას საჭიროებს.

ს.-ქართვ. *ყუარ- „ყვარება, სიყვარული“

ქართ. ყვარ-ებ-ა, სი-ყვარ-ულ-ი, მო-ყვარ-ე

ზან. (ლაზ.) მ-ა-ყორ-ოფ-ე-ნ „მეყვარება, მიყვარს“, ყორ-ოფ-ერ-ი / ცორ-ოფ-ერ-ი „საყვარელი“,

მეგრ. ცორ-ოფ-ა „სიყვარული“, ცორ-ოფ-ილ-ი „შეყვარებული“, უ-ცორ-ს „უყვარს“

სვან. ყრ-, მ-ა-ყრ-ა „ვუყვარვარ (გადამეტებით)“, ჯ-ა-ჯრ-ა „უყვარხარ (გადამეტებით)“

ძველი ქართულიდან კარგად ცნობილი ყუარ- ზმნის ზანურ ცორ-თან გენეტიკური კავშირი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში შენიშნეს [ბროსე 1849 : 75]. სვანური კი პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში.

ს.-სინდ. *ყუა- „სიყვარული“

უბიხ. ყა- „სიყვარული“, უა-ყა-ნ „მიყვარხარ“

ფუძესინდური წარმომავლობის რეფლექსი მხოლოდ უბიხურში ჩანს შემორჩენილი, სი-

ტყვის აუსლაუტი ფუძე-ენაში გამარტივდა, რასაც უბიხურში დამახასიათებელი ძირეული თანხმონის ლაბიალიზაციის მოშლა დაერთო – *ყტვ- → ყტ-.

სინდურ-ქართველური ძირების შესატყვისი ნახურ ენებშიც ბუნებრივია, შდრ. ჩეჩნ. ლარ-ამ-ცჷ „სიყვარულით“. დაღესტნური ეკვივალენტი მხოლოდ ბოთლიხ. ყორ-ო „ნდომა, სურვილი“ ფორმაში იკითხება.

ს.-ქართვ. *ყტარს-ა-ბ- „სვავი“
ზან. (მეგრ.) ყურშუფ-ი „სვავი“

სიტყვა განმარტოებით დგას მეგრულში. გამომდინარე სარწმუნო გარეენობრივი პარალელეზიდან, მას ფუძეენურ წარმონაქმნად მივიჩნევთ. ვინაიდან ბოლოკიდური -ბ- აფიქსად მეორდება ქართველურ ფრინველთა სახელებში: კაკა-ბ-ი, ჯოჯო-ბ-ი, ტარ-ბ-ი..., ზანური ფ არქაული -ბ- სუფიქსის რეფლექსად არის მიჩნეული.

ს.-სინდ. *ყტარს-ა „გვრიტი“
აფხაზ. ა-ყტარას, ბზიფ. ა-ყტარსა „გვრიტი“

სინდურ-ქართველური რეფლექსაცია მხოლოდ მეგრულსა და აფხაზურში ჩანს, რომლებიც შედარებით ზუსტად წარმოაჩენენ ფუძე-ენათა კანონზომიერ რეფლექსაციას. როგორც ეტყობა, საერთოსინდური ძირის ამოსავალ სახეობას უფრო ბზიფური ვარიანტი უახლოვდება.

ვერც ჩერქეზულ (და ვერც სხვა იბ.-კავკ.) ენებში სათანადო შესატყვისებს ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვ. *ყტას- „მოყვარე“
ქართ. ყვას-, მო-ყვას-ი „მოყვარე, მოძმე, მახლობელი“
სვან. ყტჷსგ- / ყტჷსკ-, მგ-ყტასგ-ი, მუ-ყტჷსკ-ი „დაუპატიჟებელი სტუმარი“

ისტორიულად სვანურისთვისაც ახლო უნდა ყოფილიყო მოყვარე / მახლობლის გაგება. აქ მოყვარემ შეითავსა დაუპატიჟებელი სტუმრის შინაარსი. შედარებითი ფონეტიკის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ჩანს ბგერათშესატყვისობა ქართ. ს : სვან. სგ/სკ [ჩუხუა 2000-2003 : § 25].

ს.-სინდ. *ყტას- „ნათესავი“

ადილ. ჳტჷშ-გ, ყაბ. ყტას „ღვიძლი ძმა“, ადილ. ტუნჷ-ჳტჷშ-გ „შთამომავლობა“, ყაბ. ტუნჷ-ყტას „ნათესავი, მოყვარე“

როგორც ქართველურ, ისე ჩერქეზულ ენებში ძირად *ყტას- / *ყტას- გამოიყოფა, რომელთაც სტრუქტურულ-სემანტიკური იგივეობა ახასიათებთ. ყ → ჳ ადილეურში ჩანს განვითარებული, რაც არაერთ სხვა სიტყვაშიც ვლინდება.

ს.-ქართვ. *ყტატ- „ფლოქვის გული“ (ანატ.)

ქართ. (თუშ.) ყტარტ-ი „ცხენის ფლოქვის გული“

სომატური სახელია ქართულში, რომლის შესატყვისიც სხვა ქართველური ენა-კილოებიდან ვერ მოვიძიეთ. არადა, ქართველურ პარალელებს შეეძლოთ სიტყვის ამოსავალი მნიშვნელობის, ეტიმონის დასაზუსტებლად საჭირო ნიუანსის მოწოდება.

ს.-სინდ. *ყტარტჷ- „სახსარი“ (ანატ.)

აფხაზ. ა-ყტარტჷ-რა „სახსარი“

სინდური მასალის სიმცირე დამაბრკოლებელი ხდება მნიშვნელობის დასაზუსტებლად, ისევე, როგორც ქართველურში. ამავედროულად არ გამოვრიცხავთ, დაღესტნურ ენებში იყოს თავჩენილი საყურადღებო ნიუანსი, შდრ. ლეზგ. კტატ-უნ „შეერთება“; მართლაც, აფხაზური სახსარი ~ ლეზგიური შეერთება საკმაო სიახლოვეს გვიჩვენებს.

და მაინც, საკითხი დამატებით შესწავლას საჭიროებს.

ს.-ქართვ. *ყუელ- „ყველი“

ქართ. ყველ-ი

ზან. (მეგრ.) ცვალ-ი, ლაზ. ყვალ-ი // კვალ-ი // ვალ-ი „ყველი“

სვან. ყელ- ← *ყუელ-, ლი-ყელ-ე „ყველის ამოყვანა“

ხმოვნის სიგრძე აიხსნება უ-ს საკომპენსაციო გაუჩინარებით [კლიმოვი 1964 : 210]. ყოვლად დაუშვებლად მიგვაჩნია ამ ძირის შემდგომი ეტიმოლოგიზება (ფენრიხი, სარჯველაძე), ვინაიდან ს.-ქართვ. *ყუელ- შესატყვისები არამხოლოდ სინდურ ენებში ეძებნება.

ს.-სინდ. *ჯუზ- „ყველი“

ადიდ. ჯუა-მა, აბძახ. ყუა-მა, ყაბ. ჯუა-მ „ყველი“

უბიხურსა და აფხაზურ-აბაზურში შესატყვისები დაკარგული ჩანს. აბძახურის ვითარება (ყ-ფარინგალის ქონა) მესამეულ საფეხურს ასახავს, თუმცა ემთხვევა პროტოსინდურ, ანუ წინარენობრივ მდგომარეობას: *ყუა- → *ჯუა- → ყუა-.

ქართულ-ჩერქეზულ ფუძეთა ერთიანობის მტკიცებას დიდი ხნის ისტორია აქვს [ჭარაია 1912], რომელიც განმეორდა კ. ბოუდას ცნობილ ნაშრომში [ბოუდა 1950, II : 294].

შეგვიძლია, ასევე, მივუთითოთ დალესტნურ შესატყვისებზეც, რომელიც მხოლოდ ხვარში-ულ ენაშია დავაფიქსირეთ – კირო // კორა „ყველი“.

ს.-ქართვ. *ყუიბ- „ნისლი“

ქართ. (გურ.) ყვიბ-ი „ნისლიანი წვრილი წვიმა“

ზან. (მეგრ.) ყვიბ-ი/ყვიბ-ი „ნისლიანი წვიმა“

შეიძლება აქვე მოგვეხმო (აჭარ.) ყვიმ-ი „ჰაერში გამდგარი კვამლი“ (იხ. აქვე), რომ არა გურული ყვიბ-ი „ნისლიანი წვრილი წვიმა“. ეს უკანასკნელი კანონზომიერად შეესატყვისება მეგრულ ალომორფებს. ასიმილაციური ბ → ვ ისტორიულ ქართველურ ენებში განხორციელდა.

ს.-სინდ. *ნაყუა- „ნისლი, ბურუსი“

აფხაზ. ა-ნაყუა „ნისლი, ბურუსი, ჯანდი“

საერთოსინდური სახელის რეფლექსი დასტურდება მხოლოდ აფხაზურ ენაში, მაგრამ მისი ნასესხობა არ მტკიცდება სხვა რომელიმე ენიდან, ვინაიდან მეტად სანდო შესატყვისები იძებნება როგორც ქართველურ, ისე დალესტნურ ენებში, შდრ. ს.-დად. *ყუიმა- „ღრუბელი, წვიმა“ → დიდ. ჰინუხ. ჯემა „წვიმა“, ხვარშ. ჯემა, ბეჟიტ. ჯიმარო „ღრუბლები“ [მეტი დალესტნური იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 737].

ს.-სინდ. *ნაყუა- „ნისლი, ბურუსი“ შებრუნებული წყობისაა და ერთნაირად უპირისპირდება ქართულ-დალესტნურს; სავარაუდოა ასევე მ → ნ საერთოსინდურში, რაც კანონზომიერი ჩანს.

ს.-ქართვ. *ყუიზ-(ინ)- „სიმსუქნე; გასუქება“

ქართ. ყვინიზ-ი „ფრინველთ პოხილობა“ (საბა), გა-ყვინიზ-ებ-ა „გასუქება“

სვან. ყუიჟ „ზვარაკი, შესაწირავი ცხოველი“

ზანურ დაილექტებში შესაბამისი ფორმები არ იძებნება. რაც შეეხება ქართულ-სვანურ ალომორფებს, ქართული ამჟამად მეტათეზირებული სახეობა ჩანს ისტორიული ყვიზ-ინ- პროტოფორმისა, შდრ. ქართ. კვენეს- ← *კუს-ენ- „კვენესა“ : ზან. (ლაზ.) კუსინ- „კვენესა“. ახსნას ითხოვს სვანური სემანტიკა; ვფიქრობთ, სვანური ზვარაკისათვის ამოსავალია ნასუქის შინაარსი, შდრ. მეგრ. ჩიხუა „სუქება“ → ჩიხ-უ „სააღდგომო ბურვაკი, ნასუქი“.

ს.-სინდ. *ყუგზ- „მსხვილი“

უბიხ. უგზუ // უგჟუ „მსხვილი“

აფხაზ. ა-ყუაზ „მსხვილი“

ადიდური ფორმები ჯერჯერობით არ ჩანს. საკმაოდ ცვლილა უბიხური ფუძეც, აქ გარდა ზ/ჟ

მონაცვლეობისა, რომელიც ისტორიულ ზ სისინ-შიშინა სიბილანტს ასახავს, შეინიშნება ანლაუ-ტური ყ-ს გაუჩინარება, ალბათ, ზ საფეხურის გავლით – *ყტზზ → *ჭტზზ → *ტტზტ.

ორივე ჯგუფის ენებში სიმსუქნის სემანტიკა ძირითადია, რასაც თან ახლავს სტრუქტურულ-ფონეტიკური იგივეობა. როგორც ეტყობა, ფუძეენური გ ნეიტრალური ხმოვანი აფხაზურში ჰ მოკლე ხმოვნის გამჟღავნებით სადა ა-ში გადავიდა.

ს.-ქართვ. *ყტიზ-ინ- „სიმსუქნე, გასუქება“ : ს.-სინდ. *ყტზზ- „მსუქანი, გათქვირებული“ არქეტიპების კანონზომიერი შესატყვისი შეიძლება ჩანდეს უდ. ჯუზი „კრავი“ სიტყვაში.

ს.-ქართვ. *ყტილ- „ცალი“

სვან. ყტილ „ცალი, წყვილიდან ერთი“

ადრე ვფიქრობდით სვანური ყტილ-სა და მეგრ. მა-სალ-ე „ამხანაგის“ ეტიმოლოგიური ერთიანობის შესახებ [ჩუხუა 2000-2003 : 285], რაც არ დამტკიცდა. როგორც ირკვევა, სვანურ ფორმას სხვა წარმომავლობა აქვს, ვინაიდან იკვეთება საკმაოდ სარწმუნო შესატყვისები იბ.-კავკ. ენებში, უპირველეს ყოვლისა, უბიხურში.

ს.-სინდ. *კტე „მეგობარი“

უბიხ. ნკა „მეგობარი“

ძირეული თანხმოვნის პალატალიზაცია იმის მანიშნებელია, რომ უბიხურში კტე → კ პროცესი განხორციელდა უძველეს წარსულში. თავკიდური ნ ფონეტიკური დანართი ჩანს, რაზეც ქართველურთან შეფარდება გვიქმნის ზუსტ წარმოდგენას. იგივე მტკიცდება დადესტნურ ენებთან შედარებითაც, შდრ. ხინალ. კილ-ი „მეგობარი“.

გარკვეულ პრობლემას ქმნის ანლაუტური ყ : კ ფონემური ოპოზიცია, სადაც ქართველური შესატყვისი შეიძლება, კ → ყ ფარინგალიზაციის მეორეულ პროცესს ასახავდეს.

ს.-ქართვ. *ყტილ- „ძვალი“

ქართ. ყულ-, ყულ-ივ-ი მჭრის ძვალი“ (საბა)

ზან. (მეგრ.) სვილ-ი „ძვალი; მკლავი“, ლაზ. ყვილ-ი / ცილ-ი / ილ-ი „ძვალი“, ყვილ-ონ-ი „ძვლიანი“

სვანური მასალა გვაკლია. ძირის სტრუქტურა ყველაზე უკეთ მეგრულში ჩანს შენარჩუნებულად. რეკონსტრუქციის თვალსაზრისით მისაღებია *ყტილ- და არა *ყტილიტ სახეობის არქეტიპი [ისტორია იბ. სრულად ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 539].

ს.-სინდ. *ყტე- „ძვალი“

ადილ. (ჰემგ.) ჯტე-ფ-სჰა, აბძახ. ყტე-მე-სჰა „ძვალი“

გვაკლია უბიხური შესატყვისი. საინტერესოა აბძახურის ვითარება, რომელიც ყველაზე ახალია, მაგრამ ეთხვევა უძველესს, ანუ *ყტე → *ს.-ადილ. *ჯტე-. დამატებით ქართ. ბაყე- და აფხაზ. ა-ბაჭე „ძვალი“ ძირების აქვე შემოტანა არ ჩანს გამართლებული [ლომთათიძე 1955 : 824].

ბოლოკიდური ლ ჯერ კიდევ ფუძესინდურში დაიკარგა, რაც ხშირად ხდება.

სინდურ-ქართველურ არქეტიპთა შესატყვისები იკვეთება დადესტნურ მასალაშიც, შდრ. თაბას. კურ-აბ, რუთულ. ყტე-გბ „ძვალი“.

ს.-ქართვ. *ყტიმ- „კვამლი“

ქართ. (აჭარ.) ყვიმ-ი „ჰაერში გამდგარი კვამლი“

სიტყვა განმარტოებით დგას ქართულში, მაგრამ, სავარაუდოდ, საერთოქართველური წარმომავლობისაა, რაზეც სინდური იზოგლოსები მეტყველებენ.

ს.-სინდ. *ყტე- „კვამლი“

ადილ. ჯტე-ლტჰ, ყაბ. ჯტე-ლტჰ „კვამლი“

ძირად გამოწვევებული ცუტ- ფორმა წარმოადგენს ფუძეენური *ყუტ- სიტყვის კანონზომიერ რეფლექსაციას ადილურ ენებში. ღტა/ღტჷ შეიძლება მართლაც ასახავდეს ღტა „ყვითელი“ სიტყვის ნაშთს [შაგიროვი 1977, II : 161]. ალბათ, უბიხური ტუ-ღტა სიტყვაც აქ შემოვა, თუ, რა თქმა უნდა, ის ადილურიდან არ არის ნასესხები [აბდოკოვი 1983 : 10].

ს.-ქართვ. *ყტიმ- : ს.-სინდ. *ყტუ- არქეტიპთა შედარებითი ანალიზი წარმოაჩენს აუსლაუტის მეორეულობას საერთოსიდურში: წ.-სინდ. *ყტუმ- → ს.-სინდ. *ყტუ-, რაც ძირის გამარტივების ზოგადი ტენდენციით აიხსნება.

ს.-ქართვ. *ყტინ- „შუბლი; საფეთქელი“

ქართ. ყვინ-ი „შუბლი“, რაჭ. ყვინ-ია „შუბლგამობერილი“

ზან. (მეგრ.) ცვინ-გ-ი // ყვინ-გ-ი „საფეთქელი; ქეჩო; კინწი; კისერი“

უნდა აიხსნას გ-ს „ზედმეტობა“ მეგრულში. აქ ორი შესაძლებლობა არსებობს: გ ან ფონეტიკურ ნიადაგზეა გაჩენილი – ყვინ-ი → ყვინგ-ი / ცვინგ-ი, ანდა აფიქსურია. ორივე ვარაუდი იმსახურებს არსებობის უფლებას [შდრ. ჩუხუა 2000-2003 : 272]. უმთავრესი მაინც ჩვენს შეპირისპირებაში ის არის, რომ ქართულ-ზანური ალომორფები ს.-ქართვ. *ყტინ- არქეტიპის შემდგომ რეფლექსაციას ასახავენ და მათ საერთო წარმომავლობა ახასიათებთ.

ს.-სინდ. *ყტუ- „პირი“

ადილ. ცტუ, ყაბ. ტუტ „პირი“

როგორც ეტყობა, ამ ძირშიც ბოლოკიდური ნ ჯერ კიდევ ფუძე-ენაში დაიკარგა, რაც დამახასიათებელი ფონეტიკური მოვლენა ჩანს. ყ → ტ პროცესი კი უკვე საერთოჩერქეზული ინოვაცია გვგონია, თუმცა სპეციალურ ლიტერატურაში მის ქრონოლოგიას ადილური დიფერენციაციის მომდევნო ეტაპისათვის ვარაუდობენ [კვახაძე 2014 : 134].

სემანტიკური ოპოზიცია პირი ~ შუბლი კანონზომიერებას ექვემდებარება, თუ ამოსავლად სახის სემანტიკას დავსახავთ.

ს.-ქართვ. *ყტინჩ- „მოზრდილი ქათამი“

ქართ. ყვინჩ-ილ-ი „სამამლე ვარია“ (საბა), ახ. ქართ. ყვინჩ-ილ-ა „ზრდა, დაუსრულებელი მამალი“

ზან. (მეგრ.) ცვინჩ-ა „ყვინჩილა“

ზანურში ჩ → ჩქ პროცესს ხელი შეუშალა ფუძეში ყ-ს პოვნიერებამ.

ს.-სინდ. *ტუტჩა- „მწყერი“

ჩერქ. {ცვარჩ-}

აბაზ. აჩა, აფხაზ. აჩა-კ „მწყერი“

სემანტიკური ოპოზიცია ქათამი / ვარია ~ მწყერი ნორმალური ჩანს, მით უმეტეს, როცა დადესტნურ ენებშიც გამოჩნდება მონათესავე ძირი, შდრ. ანდ. ეცენც-უ, ლოდ. ოსოჩა „ქათამი“.

ჩერქეზული ძირი ოსურ ენაშია შემორჩენილი, ნასესხობის სახით, შდრ. ოს. ვარცც „მწყერი“.

ს.-ქართვ. *ყტურ- „ნგრევა“

ქართ. (მთიულ.) ყტურ-, ნა-ყვრ-ი „ნანგრევი“

ქართულში სულ მცირე ყტურ- ზმნური ფუძე უნდა გვქონოდა, რაზეც ცალსახად მიუთითებს მთიულური ნაზმნარი სახელი ნა-ყვრ-ი. საკითხავი მხოლოდ ის არის, პროტოქართველურში *ყორ- იყო პოვნიერი თუ *ყტარ-, ვინაიდან რედუქციით ორივეს შეეძლო ყვრ- ალომორფის მოცემა. ყტურ- სახეობის ძირის რეკონსტრუქცია გამოირიცხება ფუძის არაკანონიკური შედგენილობის გამო.

ს.-სინდ. *კტა- „გამოხვრეტა“

აბაზ. შა-ლ-ჰუბ-რა „გახვრეტა“

ფარინგალური (და არამხოლოდ) რიგის მკვეთრი აფრიკატის დეგლოტალიზაცია-სპირანტიზაცია დამახასიათებელი პროცესი ჩანს სინდურ ფუძე-ენაში. ქართველური ყ-ს უწინარესობას მხარს უჭერს დაღესტნური ინფორმაცია, სადაც წახ. ჰა-ყუარ- „ტეხა, ტყდომა“ მეტად საგულისხმო აგებულებისა ჩანს [სხვა დაღესტნ. იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 652-653].

ს.-ქართვ. *ყუეფ- „გამოყოფა; აძრობა“

სვან. ყუეფ-ყუიფ-, ხ-ჲ-ყუფ-ე (ა-ხ-ყუიფ) ზს., ლნტ. ხ-ა-ყუფ-ე (ა-ხ-ყუიფ) ლშხ. „აძრობს, გამოყოფს“, ხ-ე-ყუფ-ენ-ი, ხ-ე-ყუეფ-ენ-ი (ლნტ.) „სძვრება (კანი, კული...)“

სიტყვა განმარტოებით დგას სვანურის კილოებში, მაგრამ, სავარაუდოდ, ფუძეენური წარმომავლობისაა. ამაზე გარეენობრივი შესატყვისები მიგვითითებენ.

ს.-სინდ. *ფყჲ- „ჭრა“

აბაზ. ფყ-რა, აფხაზ. ა-ფყა-რა „ჭრა“

სპეციალურ ლიტერატურაში აქვე შემოაქვთ უბიხ. ყგ- „ჭრა“, ყაბ.-ადიდ. უგ-ყა- „დაწყლვა / დაჭრა“, რაც, ალბათ, აფხაზ. ა-თ-ყგ-რა „გამოჭრა“ ზმნას უკავშირდება და, შესაბამისად, სხვა ეტიმოლოგიას გულისხმობს [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 1019].

საერთოქართველური *ყუეფ- შებრუნებული წყობისა ჩანს, რაც (მეტათეზისი) ამ სტრუქტურის ძირ-ფუძეებში ბუნებრივია.

სემანტიკური კორელაცია ჭრა ~ გამოყოფა / აძრობა კანონზომიერებას ექვემდებარება.

ს.-ქართვ. *ყინჩ- „ხისტი, მკაცრი; უხეში“

ქართ. ყინჩ-ი, გა-ყინჩ-ულ-ი

ზან. (მეგრ.) ცინჩ-ალ-ი „უხეში, ცივი, უკმეხი“, ო-ცინჩ-ინ-ან-ს „უხეშობს; ქედმაღლობს“, ცინჩ-ინ-ი „უკმეხობა, ქედმაღლობა, სიხისტე“

ზანურში, ანლაუტური $\text{ც} \leftarrow \text{ყ}$ სპირანტიზაციის ზეგავლენით, $\text{ჩ} \rightarrow \text{ჩქ}$ ტრანფორმაცია არ განხორციელდა. სვანური შესატყვისი ვერ გამოვავლინეთ.

ს.-სინდ. *ყგცჲ- „სიმკაცრე“

აფხაზ. ყგცჲ, ა-რ-ყგცჲ-რა „სიმკაცრე, სისასტიკე“

ზმნური ფუძე განმარტოებით დგას აფხაზურში, მაგრამ, სავარაუდოდ, საერთოსინდურ წარმომავლობას გულისხმობს.

ს.-ქართვ. *ყინჩ- : ს.-სინდ. *ყგცჲ- წარმოაჩენს ჩ და ჲ თანხმოვანთა ზედმეტობას, რაც სინდურ-ქართველურ ბგერათშესატყვისობათა სისტემაში ბუნებრივად ჯდება..

აფხაზურ-ქართველური იზოგლოსების შესატყვისი იკითხება ხუნძ. ჰაჰ-ა „ხისტი; უხეში; მკაცრი“ სიტყვაში.

ს.-ქართვ. *ყირჰ- „თავის მობეზრება“

ქართ. ყირჰ-, მო-ყირჰ-ებ-ა „наскучать, надоедать“, მო-ყირჰ-ებ-ულ-ი (ჩუბინაშვილი)

ზმნური ძირი ეულად დგას ქართულში, მაგრამ, სავარაუდოდ, მას ფუძეენური წარმომავლობა ახასიათებს. რასაც მეტად სარწმუნო სინდური პარალელები გვაფიქრებინებს.

ს.-სინდ. *ყუგჰ- „თავის მობეზრება“

აბაზ. ალა-რ-ყუგჰ-რა, აფხაზ. ა-ბა-ყუგჰ-რა „თავის მობეზრება; შეჰყლეტა“

ძირის გახმოვანება უფრო სრულად აფხაზურს შემოუნახავს. საზოგადოდ, ჲ აფხაზურ-აბაზურში, ხოლო რ ქართველურში „ზედმეტად“ გამოჩნდება, რაც სვამს საკითხს მათი ურთიერთმი-

მართების თაობაზე. ვფიქრობთ, რ → უ ფუძესინდურში განხორციელდა, რასაც ძირეული ყ თანხმონის ლაბიალიზაცია მოჰყვა სიტყვის ანლაუტში. ამდენად რ/უ ერთმანეთზე დაიყვანება.

ადვილი შესაძლებელია, თავის მობეზრების სემანტიკას საფუძვლად ედოს შეწყვეტის შინაარსი (ეს უკანასკნელი უწინარესი ჩანს).

ს.-ქართვ. *ყის- „შალის წამოსასხამი“

ქართ. (მოხ., ქსნური) ყის-ინ-ა „შალის წამოსასხამი“, ქსნ. „თხის ბეწვის ქსოვილი“

მოხეურ-ქსნური სიტყვა განმარტობით დგას ქართული ენის მრავალრიცხოვან დიალექტებს შორის, მაგრამ, სავარაუდოდ, ფუძეენური წარმომავლობა ახასიათებს. აქ ძირად ყის- გამოიყოფა, ხოლო -ინ-ა სადერივაციო აფიქსი ჩანს.

ს.-სინდ. *კეს- „შალი, თავსაფარი“

აბაზ. (ტაპანთ.) კას-გ, აფხაზ. ა-კას-გ „თავსაფარი, შალი, თავშალი“

ჩერქეზული მონაცემები ვერ გამოვლინდა. მოსალოდნელი კი იყო გ-ნეიტრალურხმოვნიანი ალომორფები, ვინაიდან გ → ზ → ა ხშირია როგორც აფხაზურ-აბაზურში, ისე უბიხურ ენაში.

თავკიდური ყ : კ ერთი ენის (სიტყვის) ფარგლებშიც არის შესაძლებელი. ასე რომ, ის წინააღმდეგობას ვერ შექმნის.

ნახური ან დაღესტნური შესატყვისებიდან მნიშვნელოვანი ჩანს ხუნძ. კაზ, ახვახ. კაზი, ჭამალ. კანზ, კარატ. კაზე „თავშალი“ ალომორფები; თუმცა აქვე, ფუძის შიგნით იკვეთება ს : ზ სიბილანტური ოპოზიციაც და იგი ახსნას ითხოვს.

ს.-ქართვ. *ყოტ- „დაყოვნება“

ქართ. ყოვ-ნ-ი-ს, და-ყოვ-ნ-ებ-ა, მ-ყოვ-არ „ხანგრძლივად“, მ-ყოვ-არ-ი

ზან. (ლაზ.) ო-ყონ-დ-ინ-უ „დაყოვნება“, დო-მ-ი-ყონ-დ-ი „დამიცადე“, მეგრ. ცონ-, დი-ცონ-უ „გაჩერდა, დაიბუდა“, ე-ცონ-უ „შეყოვნდა, შეცბა“

სვანური ეკვივალენტი არ ჩანს. ზანური ყონ- / ცონ- ქართული ყოვ- ზმნის შესატყვისია, შდრ. გ : ნ – ქართ. ვაკე : ზან. (მეგრ.) ნაკა (← *ნოკა) „ვაკე“... ლაზურში პოვნიერი დ ფონეტიკური ჩანართია ნ-ს მომდევნო პოზიციის [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 541-542].

ს.-სინდ. ყტა- „დაგვიანება, დიდხანს დარჩენა“

აბაზ. (ტაპანთ.) ყტა-რა „დაგვიანება, დიდხანს დარჩენა“

სიტყვა მხოლოდ აბაზური ენის ტაპანთურ დიალექტში არის დამოწმებული. ეს უკანასკნელი (ყტა-) ზუსტად ასახავს ფუძეენურ მდგომარეობას და კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. *ყოტ- „დაყოვნება“ არქეტიპს. სახეზეა როგორც ფორმალური, ისე სემანტიკური იგივეობა.

ამავე კონტექსტში უადგილო არ ჩანს დაღესტნური მასალის მოხმობაც, შდრ.: დარგ. ყან-ნე / ყან-ლე, აღულ. ყან-ა, თაბას. ყან-დი „გვიან, გვიანი“.

ს.-ქართვ. *ყონ- „დაწოლა“

ზან. (მეგრ.) ცონ-, დი-ცონ-უ „დაწვა“, ო-ცონ-უ „საბუდარი“

სვან. ყუნ-, ლი-ყუნ-ე „წოლა“, შდრ. ლა-ყურ-ა „საწოლი“

მსგავსი სემანტიკიდან გამომდინარე, არ გამოირიცხება სვანური ყუნ- „წოლა“ ზმნის კავშირი დასახელებულ მეგრულ ლექსემებთან [ჩუბუა 2000-2003 : 279], მეგრული ცონ-, დი-ბ-ცონ-ა-თ „დავწვეთ“ ამის შესაძლებლობას იძლევა.

ს.-სინდ. *ყნგ- „დარჩენა“

ადილ. ყნგ-ნ, ყაბ. ყნგ-ნ „დარჩა“

გვაკლია უბიხურ-აფხაზურ-აბაზური შესატყვისები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საერთო-სინდური არქეტიპის რეკონსტრუქცია რეალური ჩანს.

ს.-ქართვ. ***ყონ**- „დაწოლა“ : ს.-სინდ. ***ყენგ**- „დარჩენა“ კანონზომიერ სტრუქტურულ-სემანტიკურ შესატყვისებად მიიჩნევა.

სხვა იბ.-კავკ. ენათა გენეტიკურად საერთო მასალას ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ, თუმცა საკითხი ისმის ს.-ქართვ. ***ყოტ**- „დაყოვნება“ : ს.-სინდ. **ყტა**- „დაგვიანება, დიდხანს დარჩენა“ არქეტიპებთან მიმართების შესახებ.

ს.-ქართვ. ***ყორ**- „დაბერებული“

ქართ. (მესხ.-ჯავახ.) **ყორ**-ად-ამ „დაბერებული ცხოველი“

ქართულში ძირად **ყორ**- გამოიყოფა, **-ადა-მ** იგივე სუფიქსი ჩანს, რაც **ჯაჭვ-ედ-ამ** ტიპში გვაქვს. აქვე საინტერესოდ გვეჩვენება ზან. (მეგრ.) **ყორ-ად-უ-ა** „ლპობა“ ზმნასთან მიმართების პრობლემა.

ს.-სინდ. ***ლჷრ**- „მშრალი“

ყაბ. **ლჷრ** „მშრალი“

საერთოსინდურ რეფლექსაციას მხოლოდ ყაბარდოული ქვესისტემა ინახავს.

ს.-ქართვ. ***ყორ**- „დაბერებული“ : ს.-სინდ. ***ლჷრ**- „მშრალი“ შესატყვისობაში მეორდება სემანტიკური ოპოზიცია *დაბერებული ~ მშრალი*. ქართულის ვითარება გვიანდელი უნდა იყოს, ვინაიდან მონათესავე დაღესტნურ ძირებშიც მ შ რ ა ლ ის გაგება დომინირებს, შდრ.: ხუნძ. ბა-**ყტარ**-აბ., ჰუნზიბ. **ჯორ**- „მშრალი“...

ს.-ქართვ. ***ყორ**- „ყორანი“

ქართ. **ყორ**-ან-ი „ყორანი“

ზან. (ლაზ.) **ყურ**-ი // **ყურ**-ი // **ურ**-ი (← **ყურ**-ი) „ყორანი“

ბოლოკიდური **-ან** საკუთრივ ქართული სადერივაციო სუფიქსი ჩანს, რომელიც გამოჩნდება აფხაზურ ნასესხობაშიც, შდრ. აფხაზ. ა-**ყტარან** „ყორანი“.

ქართულში ძირად გამონაწევრებული **ყორ**- სეგმენტს კანონზომიერად შეესატყვისება ლაზურ **ყურ**-/ყურ-/ურ- ალომორფები.

ს.-სინდ. ***ყტალ**-ჲ „ყვავი, ჭკა“

ადილ. **ყტალ**-ჲ // **ყოლ**-ჲ, ყაბ. **ყტალ**-ჲ „ყვავი, ჭკა“

შესამჩნევი ფონეტიკური გარდაქმნები შეინიშნება ადილურ ენებში, სადაც დამახასიათებელი **ო** → **ტა** პროცესთან ერთად **რ** → **ლ** ლატერალიზაციაც განხორციელდა.

ამავე კონტექსტში ქართული **ყვავ**-ისა და **უბიხ**. **ყაღ** „ყვავი“ ფორმათა შემოტანა გამართლებურად ვერ მიიჩნევა [შდრ. მესაროში 1934 : 351].

ს.-ქართვ. ***ყორყ**- „ყანყრატო“

ქართ. **ყორყ**-ი

ზან. (მეგრ.) **ყორყ**-ელ-ი // **ყორყ**-ელ-ი „ყორყი, ყანყრატო“

სვანური შესატყვისი გვაკლია. ზანურში **-ელ** სუფიქსი ზედმეტი ჩანს; საკუთრივ-კოლხურ მოვლენად უნდა დავსახოთ სომატურ სახელთა ძირითად ნაწილში **-ელ** სუფიქსიანი დერივაცია, შდრ. ქართ. კუდ-ი : ზან. კუდ-ელ-ი, ქართ. კურტუმ-ო : ზან. კურტუმ-ელ-ი...

ძირ-ფუძეთა შესწავლის ისტორიისათვის იხ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 543.

ს.-სინდ. ***ყერყ**- „ხორხი/ხახა“

აბაზ. **ყერყ**, აფხაზ. ა-**ყერყ** „ხორხი/ხახა“

სინდურ ენებში ს.-ქართვ. ***ყორყ**- არქეტიპის შესატყვისად მოსალოდნელი იყო ფარინგალურ თანხმოვანთა ლაბიალიზაცია – ***ყტერყტე**, თუმცა, როგორც ეტყობა, ფუძის სიმბოლიკურმა აგებულებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა მის ***ყერყ**- სახეობად ჩამოყალიბებაში.

სინდურ-ქართველურ ფუძეთა ისტორიისათვის ღირებულია დადესტური ინფორმაცია, შდრ.: ალულ. ყურყ, უდ. ყოყ // ჯოჯ, „ხორხი“.

ს.-ქართვ. *ყრდ-ელ- „მხალი, ღორის ქადა“ (მცენ.)

ქართ. ყრდელ-ი „ღორის ქადა“, латык, ველის-ყრდელ-ი „მხალი“ (საბა)

საკმაოდ ვრცელი და მრავალფეროვანი განმარტება მოიპოვება საბას ლექსიკონში: „ყ რ დ ე - ლ ი ეწოდების მხალსა, რომელ არს ხასი“..., „ხოლო ველური მას მიჰგავს და ვენაჯის ღიჰსაცა ჰგავს და მწარეა“ [CD].

ს.-სინდ. *ყუგდ-ჰ „ლობიო“ (მცენ.)

აბაზ. ყუგდ, აფხაზ. ა-ყუგდ „ლობიო“

ვეყრდნობით სპეციალურ ლიტერატურაში არსებულ რეკონსტრუქციას [ჩირიქა 1996 : 64], რაც მხოლოდ აუსლაუტში სხვაობს ჩვენგან. ვთვლით, რომ ბოლოვიდური ხმოვანი იყო -ჰ და არა -გ, თანაც -ჰ სუფიქსური ჩანს.

ქართველურში დგება ძირეული ხმოვნის პრობლემა; თუ აფხაზურ-აბაზურს გავითვალისწინებთ, ამოსავალი ხმოვანი უ უნდა ყოფილიყო, თუმცა ვერ გამოვრიცხავთ ს.-ქართვ. რ : ს.-სინდ. უ ოპოზიციასაც.

საკითხი დამატებით შესწავლას მოითხოვს.

ს.-ქართვ. *ყუდ- „მყუდრო; წყნარი“

ძვ. ქართ. ყუდ-, ყუდ-რ-ო, და-ყუდ-ებ-ა „დაწყნარება, დაცხრომა; მშვიდობა“

სვან. ყუედ-ი „მყუდრო, წყნარი“

ქართულ-სვანურ ალომორფთა კავშირი მეგრულ ცუდ-ე „სახლი“ სიტყვასთან გამოსარიცხია. უპრიანი ჩანს ძველქართული ყუდ- ძირის სვანური ყუედ- (← *ყოდ-) ფორმასთან წარმომავლობით ერთიანობაზე საუბარი [ჩანტლაძე 1974 : 169]. უ → ო სვანურში განხორციელდა, შდრ. ქართ. ხუცეს- : სვან. ხომა...

ს.-სინდ. *ყუგდ- „მშვიდი, წყნარი“

აფხაზ. ა-ყუგდით „წყნარი, მშვიდი; დაღონებული“

საერთოსინდური ძირის რეფლექსი მხოლოდ აფხაზურში შემოგვრჩა. ვერაფერს ვამბობთ მ ნახევარხმოვნის წარმომავლობაზე აფხაზურში. შეიძლება, იგი რომელიმე რეფლექსური (-გ(?)) ნაწილაკის ფონეტიკური ვარიანტი იყოს.

ს.-სინდ. *ყუგდ- : ს.-ქართვ. *ყუდ- ყველა თვალსაზრისით (როგორც ფონეტიკური, ისე სემანტიკური) უპრობლემო შეპირისპირებაა.

ს.-ქართვ. *ყუდ- „სახლი“

ქართ. ყუდ-, სა-ყუდ-ელ-ი, სა-ყუდ-არ-ი / სა-ყდ-არ-ი, ქვა-ყუდ-ე (ტოპ.), და-ყუდ-ებ-ა ზან. (მეგრ.) ცუდ-ე „სახლი“

სხვა თვალსაზრისით, აქვე შემოდის ქართ. ყუდ-რ-ო, ყუდ-რ-ო-ებ-ა-მ „სიწყნარე; სიმშვიდე“, სვან. ყუედ-ი „წყნარი, მყუდრო“ [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 535; ჩანტლაძე 1974 : 169] ფუძეებიც, რაც არ უნდა იყოს მთლად ზუსტი. ჩვენ ვიზიარებთ ყუდ-რ- / ყუედ- ძირ-ფუძეთა ერთიანობას, მაგრამ გვგონია, რომ ისინი დამოუკიდებელ ეტიმოლოგიას გულისხმობენ, აქ არ უნდა განვიხილოთ (იხ. აქვე).

ს.-სინდ. *ჭუნ-ა „სახლი“

აბაზ. ჭუნა, აფხაზ. ა-ჭუნგ „სახლი“

ს.-ქართვ. *ყუდ- : ს.-სინდ. *ჭუნ-ა არქეტიპთა ურთიერთშეპირისპირება გამორიცხავს ჩერქეზული ტუნა „სახლი“ სიტყვის აქ განხილვას, ვინაიდან იგი ს.-ქართვ. *მენ- „სენაკი, სამყოფი“ ძირს

უკავშირდება [იხ. აქვე, ს.-ქართვ. *მენ-).

ქართველური და აფხაზურ-აბაზური ძირები ერთმანეთთან დააკავშირა ქ. ლომთათიძემ, რომელიც სიტყვათა ამავე რიგში განიხილავდა ხუნძ. რუყ „სახლი“ ფორმას [ლომთათიძე 1955], თუმცა შეიძლება ამ მხრივ უფრო საინტერესო იყოს ახვაზური ყოდ-ა „იატაკი“ სიტყვა, შდრ. ქართ. სა-ყდ-არ-ი.

ს.-ქართვ. *ყუტ-ა „ყუა“

ქართ. ყუა / ყუვა „მახვილის გნდე“ (საბა), ხევს. ყუვ-ი „ყუა“

ზან. (ლაზ.) კვა/ყვა/ცვა „შუბლი“, მეგრ. ცვა „შუბლი“

სვან. ყუტა / ყტა „ყუა“

შესადარებელ ფორმებში სემანტიკური სხვაობები დაკავშირებისათვის დამაბრკოლებელ ბა-რიერად ვერ მიიჩნევა, ვინაიდან სემანტიკური გადაწყვეტა ყუა → შუბლი ზანურში მომხდარა [ჩიქო-ბავა 1938 : 49]. საერთოქართველურ არქეტიპად *ყუა ფორმის პოსტულაცია რეალობას არ შეესაბამება [შდრ. კლიმოვი 1964 : 213].

ს.-სინდ. *ყუგ „სახელური“

ყაბ. ყუგ „სახელური“

საზოგადოდ, ფარინგალური ყ-ფონემიანი ძირების არსებობა ყაბარდოულსა და აბძაზურში ავტომატურად სვამს ჯ → ყ გლოტალიზაციის შესაძლებლობას [კვახაძე 2014 : 153], მაგრამ ყველა ძირ-ფუძეში ამის დაშვება არ ჩანს მართებული; ზოგჯერ ამოსავალი ყ ყაბარდოულშიც ყ-დვე შემო-რჩა, შდრ. უბიხ. ყტა : ყაბ. ყტა : ადიღ. ჯტა „შვილი“...

სემანტიკური კორელაცია ყუა ~ სახელური კანონზომიერებით გამოირჩევა.

ს.-ქართვ. *ყულ- „კომკი; მალლობი“

ზან. (ლაზ.) კულ-ე // ყულ-ე, მეგრ. ყულ-ი „კომკი“; „ამაღლებული ადგილი“, შდრ. ტოპონი-მები: ყულ-ევ-ი, ყულ-იმ-კარ-ი და ჰიდრონ. ყულ-გ-წყარ-ი

საერთოქართველური *ყულ- აღდგება მხოლოდ ზანური მონაცემების მიხედვით, რაც ამ შემთხვევაში მართებული ჩანს, ვინაიდან ზანურის ჩვენებას სარწმუნო პარალელები ეძებნება მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენებში.

ს.-სინდ. *ყუგ- „ბორცვი; კლდოვანი ნაპირი“

ადიღ. ცტა-სჰა „ბორცვი“

აფხაზ. ა-ყტა-რა „კლდოვანი ნაპირი მდინარისა“

იქნებ, აფხაზური -ყტა ძირი იყოს ასევე სოხუმის (ძვ. ქართ. ცხუმ-ის) შესაბამის აფხაზურ სახელში ა-ყტა „სოხუმი“ წარმოდგენილი, თუმცა უამისოდაც ს.-ქართვ. *ყულ- : ს.-სინდ. *ყტა შე-სატყვისობა სარწმუნოდ გვეჩვენება. მით უმეტეს, როცა დადესტნური მასალაც მოხმობილ კონტექ-სტში მკვიდრად ზის, შდრ.: ლეზგ. ყტალ, რუთულ. ყულ, ბუდუხ. ყოლ, არჩიბ. ყტილ, წახ. ყუტ, უდ. კურ „ფრიალო კლდე, ციცაბო“ [აბდოკოვი 1983 : 95].

ს.-ქართვ. *ყუნ- „ღილ-კილო; კაუჭი“

ზან. (მეგრ.) ყუნ-ი „ღილ-კილო, კაუჭი“

საერთოქართველური წარმომავლობის ყუნ- ძირი მხოლოდ მეგრულში შემოგვრჩა. თუ ამო-ვალთ იქიდან, რომ მეგრულში ყ → ც არ განხორციელდა, შეიძლება, დავუშვათ მისი ქართული წარმომავლობა. ქართულში კი მისი მსგავსი არაფერი ჩანს.

ს.-სინდ. *ნგყტ-გ „ლურსმანი“

უბიხ. ნგყტ „ლურსმანი“

მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა მხოლოდ უბიხურიდან არის ცნობილი, საკმაო სიზუსტით

შეგვიძლია ფუძემდებელი ***ნგყტ-გ** არქეტიპის რეკონსტრუქცია. ამგვარ მიდგომას საფუძვლად უდევს **ყტ** → **ყ** დელაბიალიზაცია-პალატალიზაციის შესაძლებლობა უბიხურ ენაში, სადაც საზოგადოდ ფუძემდებელი **ნტ** → **ნ** ტიპის პალატალიზაცია მოქმედებდა.

ს.-სინდ. ***ნგყტ-გ** : ს.-ქართვ. ***ყუნ-** შებრუნებული წყობის არქეტიპია. საყურადღებო ჩანს და-ღესტნური ინფორმაცია, სადაც, ძირითადად, უბიხური სახეობის ძირებია გავრცელებული: ბეჟიტ. **მუყო**, ახვახ. **მიყე**, არჩიბ. **მარყტ**, მაგრამ თაბას. **ყუმ** „ლურსმანი“.

ს.-ქართვ. ***ყუნ-** „სარი, პალო; მიჯნა“

ქართ. (მოხ.) **ყუნ-**ი „სარი, პალო მიჯნად გადებულ ანებს შორის“

ჩვენს ენებში იზოლირებულად მდგომი მოხ. **ყუნ-** ძირი ფუძემდებელი წარმომავლობის ჩანს, ვინაიდან მას სერიოზული იზოგლოსები ეძებნება მონათესავე იბ.-კავკ. ენებში, უპირველეს ყოვლისა, აფხაზურ-ადიღურში.

ს.-სინდ. ***ყუნგ-** „სარი, პალო; ლურსმანი“

ადიღ. **ყუნგ**, ყაბ. **ყუნგ-ა** „ლურსმანი“

აბაზ. -**ყუნ**, სიტყვაში **ჰყ-ყუნ**, აფხაზ. -**ყუნ**, სიტყვაში ა-**ჰყ-ყუნ** „სარი, პალო“.

როგორც ქართულ-სინდური ზემოთ განხილული სახელები აჩვენებენ, უბიხურში ფიქსირებული შებრუნებული წყობის **ნგყტ** „ლურსმანი“ სიტყვა სხვაგვარ წარმომავლობას გულისხმობს. შესაბამისად, იგი აქ ვერ შემოვა.

საკითხი დგება დაღესტნური კანონზომიერი შესატყვისების შესახებ ადულ. **ყუნ...**, დარგ. **ღუმ-ულ** „ლურსმანი“ სიტყვათა სახით; ხოლო ხუნძ. **ჰანკუტა**, ანდ. ან-**ჰანკუტა** / **ანკუტა** „ლურსმანი“ და სხვა ფორმები განსხვავებული წარმომავლობისაა [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 527].

ს.-ქართვ. ***ყუნტ-** დახრა“

სვან. **ყუნტ-ა**, **ყუნტ-ა** (ლშხ.) „დახრილი“

სახელური **ყუნტ-** ძირი განმარტოებით დგას სვანურში, თუმცა, მიუხედავად ამისა, იგი ფუძემდებელიდან მომდინარედ მიიჩნევა. ამას გვაფიქრებინებს სინდურ ენათა მრავალრიცხოვანი პარალელები.

ს.-სინდ. ***ყუნტა-** // ***ყუნტ-** „მოდრეკა“

ადიღ. **ჰუნტა-**, შაფს. **ჰუნტა-**, ყაბ. **ჰუნტა-** „მოდრეკა, ღუნვა“

უბიხ. **ყუნტა-**, სგ-**ყუნტა-**ნ „მოდრეკა, ღუნვა“

სინდურ ენებში დამოწმებული სონორული **ნ/რ** სუბსტიტუცია ფუძემდებელი წარმომავლობისა ჩანს, ამიტომაც არის თავჩენილი სხვადასხვა ენობრივ ქვესისტემაში.

ს.-სინდ. არქეტიპისათვის დამახასიათებელი *მოდრეკის* სემანტიკა კანონზომიერად მიემართება ს.-ქართვ. *დახრის* შინაარსს. *დახრა* / *მოდრეკა* საერთო სემანტიკური ველის სემანტემებია.

ს.-ქართვ. ***ყუნც-** „გროვა; ძნა“

ქართ. **ყუნც-ულ-**ი „სამ-ურმეული ძნა“ (საბა)

სიტყვა მხოლოდ საბასთან არის დამოწმებული. მნიშვნელობა ნამდვილად მოითხოვს შემდგომ დაზუსტებას, მაგრამ *სამი ურმის ძნა* ერთმანეთზე მიბმული (მიერთებული) უკვე ქმნის გარკვეულ სიმაღლეს.

ს.-სინდ. ***ყუნც-** „კომპი“

აფხაზ. ა-**ყუნც** „კომპი“

შეიძლება, გვეფიქრა აფხაზური ფორმის მეგრულიდან სესხების თაობაზეც, შდრ. მეგრ. **ყორმ-**ი // **ყორმ-**ი „კომპი“, მაგრამ ამას ხელს უშლის **ჩ** აფრიკატის პოზიციონირება აფხაზურ ვარიანტში. ჩვენს შემთხვევაში მაინც ვარჩევთ გენეტიკურად საერთო წარმომავლობის ***ყუნც-** ~ ***ყუნც-**

არქეტიპებზე მსჯელობას.

საკითხი დამატებით შესწავლას საჭიროებს.

ს.-ქართვ. *ყუნწ- „ყუნწი“

ქართ. ყუნწ-ი „ხილის ღერო“ (საბა)

ზან. (მეგრ.) ყურწ-ი, ლაზ. ყურწ-ი „ყუნწი“

ერთგვარად მოულოდნელი ჩანს ქართ. ნწ : ზან. რწ შესატყვისობა, ვინაიდან უფრო ზანურშია რწ → ნწ ნაზალიზაციის პროცესი გავრცელებული.

სვანურში შესატყვისი ვერ გამოვლინდა.

ს.-სინდ. *წგჳჳ-ა „კუდი“

აბაზ. წგჳჳ, აფხაზ. ა-წგჳჳ „კუდი“

შებრუნებული წყობისაა სინდური შესატყვისი, ანუ მიმდევრობის ცვლა აქ მომხდარა, რაზეც დადესტნური პარალელები ნათლად მიგვითითებენ, შდრ.: თაბას. ყუნწ-ყუნწ „თხის კუდი“, ხინალ. (ერგ. ბრ.) ყაჳ-ი „კუდი“.

როგორც ქართველურ-დადესტნური მასალიდან ირკვევა, ყ → ჳ დეგლოტალიზაციის ფონეტიკური პროცესიც ფუძესინდურში განხორციელდა.

ს.-ქართვ. *ყურ- „ყური; სმენა; ყურება“

ქართ. ყურ-ი, მ-ი-ყურ-ე, უ-ყურ-ებ-ს, ე-ყურ-ებ-ა, არ ე-ყურ-ებ-ა, მო-ყურ-იად-ე, მი-ყურ-ად-ებ-ა

ზან. (ლაზ.) ცუჯ-ი / დუჯ-ი / უჯ-ი, ყუჯ-ი „ყური“, მ-ი-ცუჯ-ი „მისმინე“, მე-ბ-უ-უჯ-ამ „ვისმენ, ვუსმენ“, ქო-ნ-ი-ყუჯ-უ „ისმინა; გაიგონა“, მეგრ. ცუჯ-ი „ყური“, თო-ცუჯ-ი „ყურადღება, თვალ-ყური“, ველი-ცუჯ-ორ-უ „არ შეისმინა“

სვანური ეკვივალენტი ჯერაც არ გამოვლენილა. ცდა იმისა, რომ სვან. ყორ / ყორ „კარი, ეზო-კარი“ აქ იქნეს განხილული, არ არი დამაჯერებელი [იხ. კლიმოვი 1964 : 231].

ს.-სინდ. *ყუგ- „სმენა, მოსმენა; გაგონება“

ადიდ. ცუგ-, ყაბ. ცუგ- „სმენა, მოსმენა“

უბიხ. ყუგ- „სმენა, გაგონება“

აბაზ. ა-ჭა-რა (← *ა-ჭუა-რა), აფხაზ. ა-ჭუ-რა „სმენა, გაგონება“, ძგრ-ჭუ-რა „მოსმენა“

ყველა სინდურ ქვესისტემაში პოვნური ძირია, რომლის აუსლაუტი ჯერ კიდევ ფუძე-ენაში გამარტივდა – რ → Ø [ბოუდა 1950 : 294; ლომთათიძე 1955 : 824-825].

შებრუნებული წყობის ფუძე დასტურდება ხუნძურსა და ახვახურში, შდრ. შესაბამისად რაჭი, რეყი „მონასმენი, ნალაპარაკევი“, ხუნძ. რაჭ- / რიყ- „სმენა, გაგონება“ [აბდოკოვი 1983 : 179].

უსაფუძვლოა ნახური ხა „ცოდნა“ ზმნის ფუძეთა ამ რიგში განხილვა [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 646]. ცხადია, აქ ყურის აღმნიშვნელი ნახური ლარ- სახელი შემოვა, ყუ → ლ ისტორიული გარდაქმნით, შდრ. ქართ. *ყუარ- : ნახ. *ლარ- „სიყვარული“.

ს.-ქართვ. *ყურ- „ვაზი“

ქართ. {ყურ-}, სიტყვაში ყურ-ძენ-ი

ზან. (მეგრ.) ცურ-ძენ-ი // ცურ-ზენ-ი, ლაზ. ცურ-ძენ-ი // ურ-ძენ-ი // ყურ-ძენ-ი „ყურძენი“, ყურ-ძენ-ეფ-უნ-ა „ვენახი“, ჯოღორ-ყურ-ძენ-ი = ძაღლ-ყურ-ძენ-ა

სვან. ყურ-ზელ „ყურძენი“, ლე-ყურ-ზელ-ა „ვენახი“

საერთოქართველური ფუძე-ენის წიაღში შექმნილი კომპოზიტი ჩანს, ისევე, როგორც : *ზამთარ- „ზამთარი“, *ტენ-აჳ „ვენახი“, *ზამახე „ახალი წელი, კალანდა“ და სხვ. გამოყოფილი ს.-

ქართვ. *ყურ-, ალბათ, ვაზს აღნიშნავდა, ხოლო დარჩენილი ძენ-ი კი წვენს, შდრ. გურია-სამეგრელოში გავრცელებული ყურძნის ჯიში ჯან-ი (=ძენ-ი).

ს.-სინდ. *რგყუ-ა „ვაზი“

უბიხ. რაყუა „ვაზი“

საერთოსინდური არქეტიპი აღდგება მხოლოდ უბიხური მონაცემის საფუძველზე. ამავდროულად რეკონსტრუირებული ფუძე შებრუნებული (მეტათეზირებული) სახეობა ჩანს. და, რომ წყობა სინდურში შეიცვალა, ამას დადესტნური ინფორმაცია (ქართველურთან ერთად) უჭერს მხარს, შდრ. ბუდუხ. ყურა „ყურძენი“. ეს უკანასკნელი კიდევ უფრო ახლოს დგას უბიხურთან – ყურა : რაყუა ← *ყურა.

ს.-ქართვ. *ყურუათ- „ნადული, ხაჭო“

ქართ. (ქართლ.) ყურუთ-ი „გამხმარი დოს გუნდა“

ზან. (ლაზ.) კურუთ-ი // ცურუთ-ი „გაწურული მაწონი, ხაჭო“ „მჭადის ფქვილში შეხელილი ნადული“

სვან. ყურაშდ „ხაჭო; ნადული“

პრობლემური ჩანს სვანურ გახმოვანებასთან ქართულ-ზანური უ ხმოვნის მიმართება. სპეცი-ალურ ლიტერატურაში სვანურისათვის არქაულ საფეხურად მიჩნეულია *ყურუემდ ვარიანტი [სალლიანი 2016 : 431]. ჩვენი თვალსაზრისით, აქვე შემოსატანია ლაზური ალომორფები, რომელთა ანალიზმა შეიძლება დაგვაშვებინოს ს.-ქართვ. *ყურათ- ან *ყურუათ- არქეფორმის არსებობა, საიდანაც ადვილად გამოიყვანება თვით ქართლური ყურუთ- ფუძეც.

ს.-სინდ. *ჯურტ- „ყველის სახეობა“

ყაბ. ყურტ „ერთგვარი ყველი, ყველის სახეობა“

საერთოჩერქეზული პროტოტიპი აღდგენილია ყაბარდოული მაჩვენებლის მიხედვით [კვახაძე 2014 : 181]. ნებისმიერ შემთხვევაში სინდურ-ქართველურ ძირებს ერთმანეთს ვერ დავაცილებთ. ისინი საერთო ეტიმოლოგიის ძირებია, რასაც თვალსაჩინო სტრუქტურულ-სემანტიკური იგივეობა ამტკიცებს.

ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ დადესტნურ და ნახურ შესატყვისებს.

ს.-ქართვ. *ყურს- „მისანი; მიმხვედრი“

ქართ. ყურს-ელ-ა „მისანი; გულთმისანი“ (ჩუბინაშვილი)

სიტყვა მხოლოდ ქართულში დასტურდება, სადაც ყურს- ძირად გამოიყოფა, ხოლო -ელ-ა სადერივაციო აფიქსი ჩანს.

ს.-სინდ. *ყურეს-ჰ „გონებამახვილი; გამოცდილი“

ადილ. ყურეშე, ყაბ. ყურესე „გონებამახვილი, გონიერი“

აბაზ. (ტაპანთ.) ე-ყასა-უ, აფხაზ. ა-ყასა „გამოცდილი; გონებამახვილი“

თუ აქვე შემოდის აბაზური რ-ყასა-რა „დამორჩილება“ ზმნაც, როგორც ამაზე სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ [ჩირიქა 1996 : 60], მაშინ არ გამოვრიცხავთ ქართულ ყურს-ალ-ი „მეკობრე; ჩასაფრებული“ ფორმასთან ეტიმოლოგიურ კავშირს.

ტაპანთურ ვარიანტში საგრძნობია, ასევე, სიმშვიდის (ჩუმის) მნიშვნელობა, რაც ბუნებრივია ქართ. ყურს- : ზან. (მეგრ.) ცურს- „გაჩუმება, წყნარად ყოფნა“ ზმნებისთვისაც. ცხადია, ყურს-ალ-ი „ჩასაფრებული“ ახლოა წყნარად მყოფის შინაარსთანაც.

ს.-ქართვ. *ყურ- „გაყურება, განაზვავა, გაჩუმება“

ქართ. ყურ-, ყურ-ებ-ა, გა-ყურ-ებ-ა „წმამოუღებლად დგომა“ (საბა)

ძირი განმარტოებით დგას ქართულში; სავარაუდოდ, მას ფუძეენური ეტიმოლოგია ახასიათებს, ვინაიდან სარწმუნო პარალელი ეძებნება აფხაზურში.

ს.-სინდ. *ყვც- „დამშვიდება“

აფხაზ. ა-ყვრ-რა „გულის დამშვიდება (ჯერება)“

გარკვეულ პრობლემას ქმნის ხმოვნური ოპოზიცია ს.-ქართვ. უ : ს.-სინდ. გ, რაც შეიძლება, ამგვარი მასალის სიმცირით იყოს ახსნილი; ვინაიდან მოსალოდნელი იყო უკ დიფთონგი ქართველური უ ხმოვნის შესატყვისად.

საკითხი დამატებით შესწავლას საჭიროებს.

ს.-ქართვ. *ყუც- „მარცვლის, ნერგის ღივი“

სვან. ყურ-ი „მარცვლის, ნერგის ღივი“

სიტყვა მხოლოდ სვანურშია პოვნიერი; გამომდინარე ბგერათშესატყვისობიდან ქართ. ც : სვან. ჩ საერთოქართველურისთვის *ყუც- არქეტიპს აღვადგენთ, რომელსაც შესატყვისები აღმოაჩნდა სხვადასხვა ჯგუფის იბ.-კავკ. ენებში.

ს.-სინდ. *ღვც-ა „ფეტვის სახეობა“

ადიდ. (შაფს.) ღვრგ „ფეტვის სახეობა“

არქეტიპის რეკონსტრუქცია პირობითია, ვინაიდან ადვილი შესაძლებელია, რომ ყ → ღ დეგლოტალიზაციის პროცესი ადილური განხორციელდა, ხოლო ფუძე-ენაში *ყვც-ა იყო. სვან.-ჩერქ. ვარიანტების შეპირისპირება დარგულ ჯუჩი „პური“ ლექსემასთან საფუძვლიანი ჩანს [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 895], შდრ. ასევე დიდ. კეჩი, ინხოყვ. კეჩე „მარცვლის პური“.

შ

ს.-ქართვ. *შ- „წველა“

სვან. შგ-/შკ-, ლი-შგ-ი, ლი-შკ-ი, ლი-შგ-წლ-ი „წველა“

ქართული და ზანური ენობრივი სისტემები ამ ძირის შესატყვისებს არ იცნობს. სვანური შგ/შკ სუბსტიტუცია კი იმაზე მიუთითებს, რომ ამოსავალი იყო შქ, რომელიც, ალბათ, შ ცალმორფემიან ძირს შეისატყვისებდა ქართულშიც.

ს.-სინდ. *შგ- „წველა“

ადიდ. შგ-ნ, ყაბ. ყე-შგ-ნ „წველა“

უბიხ. შწ- „წველა“

გვაკლია აფხაზურ-აბაზური ზმნური ფორმები. უბიხურში აშკარად გამოჩნდება გ → წ ტრანსფორმაციის რეალურობა, რაც ხშირია.

ს.-ქართვ. *შ- „წველა“ : ს.-სინდ. *შგ- „წველა“ იდენტურ ბგერათშესატყვისობას წარმოგვიდგენს, რომლის ნახურ და დალესტნურ შესატყვისებს ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვ. *შალ- „შეშლა; შეცდომა; შეცდენა“

ქართ. შალ-/შლ-, ე-შლ-ებ-ა, შე-ე-შალ-ა, შე-შლ-ის, შე-შლ-ილ-ი

განმარტოებით დგას ქართულ ენობრივ ქვესისტემაში, მაგრამ საერთოქართველური წარმოშობისა უნდა იყოს. რაზეც გარეენობრივი პარალელები (ჩერქეზული) მიუთითებენ.

ს.-სინდ. *შაშ- „შეცდომის დაშვება“

ადიდ. (ჰემგ.) შაშ-ნ „შეცდომის დაშვება“

ერთ-ერთი იმ ძირთაგანია, რომელიც ინახავს ს.-ქართვ. შიშინა : ს.-სინდ. შიშინა ბგერათშე-სატყვისობას. აქვე თავჩენილია ს.-ქართვ. ლ : ს.-სინდ. ლ სვანური ტიპის ფონემური შეფარდება. ეს უკანასკნელი ლ → ლ ლაბიალიზაციის ფონეტიკურ პროცესს გულისხმობს საერთოსინდურში. სინდურ-ქართველურ ძირთა სტრუქტურულ-სემანტიკურ იგივეობას მხარს უჭერს სიტყვის სემანტიკური მხარეც.

სინდურ-ქართველურ არქეტიპთა ნახურ ან დადესტნურ შესატყვისებს ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვ. *შეუ-ილ- „შვილი; ვაჟი/მე“

ქართ. შვილ-ი, პირ-მშო ← *პირ-მშუე

ზან. (ლაზ.) სკირ-ი // სქირ-ი, მეგრ. სქირ-ი „შვილი“, სქუა „id“

სვან. სგ-ე-ი „შვილი“, გ-მ-სგ-ე „მე“

ცხადია, ყველა ქართველური ძირის საფუძველს შეუ- / შუ- „შობა“ ზმნა წარმოადგენს, შდრ. ზან. სქუ-/სქუ- [გამყრელიძე 1959 : 59].

ს.-სინდ. *სუ-უ-უ „შვილი; ვაჟი“

ადიდ. საუ-უ „ვაჟი, შვილი“, ყაბ. საუ-უ „ახალგაზრდა ბიჭი; შვილი“

სინდური ენებიდან გვაკლია უბიხური და აბაზურ-აფხაზური შესატყვისები. როგორც ქართველურში, ისე ჩერქეზულ ენებში წარმოდგენილი სახელები ისტორიულად შვა ზმნური ძირიდან მომდინარეობენ; ასე რომ, ყოველგვარი ცდა აქვე დადესტნური ე-ას „ქალიშვილი“ ტიპის ფუძეთა შემოტანისა განწირულია მარცხისათვის, ვინაიდან ისინი სხვაგვარ ეტიმოლოგიას გულისხმობენ, შდრ. ქართ. ასულ-ი და სხვ.

ზან. (მეგრ.) შქი „ვაჟი“ ასევე განსხვავებული წარმომავლობისა ჩანს, შდრ.: ხინალ. ში „ვაჟიშვილი“, თაბას. შუ-ბარ (← *შუ-ბარ) „ვაჟები“, არჩიბ. უში-დუ „ახალშობილი ვაჟი“, ალულ. ში-ბარ „ვაჟები“, კრიწ. ში-ბი „id“, ს.-ლეზგ. *შუ- „ვაჟიშვილი“.

ს.-ქართვ. *შუ- გაშვება“

ქართ. შუ-, მი-შუ-ებ-ა, და-შე-ებ-ა

ზან. (ლაზ.) მე-შქვ-ინ-უ „გაშვება“, მეგრ. ო-შქვ-ან-ს „უშვებს“ „ძირს უშვებს“; „ცხენი კვიცს აჩენს (მიწაზე დგას)“

სვან. შგუ-, ლი-შგუ-ან „გაშვება“, ბი-ხ-უ-შგუ „გაუშვი“

ფუძემდებური მნიშვნელობის რეკონსტრუქციის დროს დიდ მნიშვნელობას იძენს მეგრულის სემანტიკა, რასაც აფხაზურ-ადილური შესატყვისებიც ამოწმებენ.

შგ-შუ-შუ- ალომორფები დადასტურებულია ძვ. ქართულ წერილობით ძეგლებში [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 550].

ს.-სინდ. *შუა- „სვლა; ვარდნა“

ადიდ. და-ჭა-ნ ← *და-ხ-უა-ნ, ყაბ. თე-ხ-უა-ნ „შესვლა“

უბიხ. ხა- (← *ხ-უა-) „ვარდნა“

აბაზ. შუ-, ა-ქუ-შუა-რა, აფხაზ. ა-ქუ-შუა-რა (ბზიფ. -ქუ-სუა-რა) „შესვლა; შეხვედრა“

განსახილველი ძირის უძველესი სახეობა შეიძლება ბზიფურში იყოს შემონახული სისინ-შიშინა გახმოვანების ალომორფით.

ს.-ქართვ. *შუ- გაშვება“ : ს.-სინდ. *შუა- „სვლა; ვარდნა“ არქეტიპების საყურადღებო იბ.-კავკ. პარალელი ჩანს ლაკური -ი-ში „წოლა“, შდრ. ს.-ნახ. -იშ- „წოლა“ (?).

ს.-ქართვ. *შუ- „დაშვება“

ქართ. ე-შვ-ებ-ა „დაბლა ჩადის“

ზან. (მეგრ.) ო-შქვ-ან-ს „დაბლა უშვებს, ასობს“, ი-შქვ-ან-ს „ეშვება“, მეგრ. ო-შქვ-ან-ს „ძირს უშვებს“; „ცხენი კვიცს აჩენს (მიწაზე დებს)“

ქართულ-ზანურ ზმნურ ფორმებს დაშვების შინაარსი ახასიათებთ. ამით განსხვავდებიან ისინი ლაზურ მე-შქვ-ინ-უ „გაშვება“ და სვანური ლი-შგუ-ან „გაშვება“ ზმნებისაგან. ვფიქრობთ, სხვადასხვა წარმომავლობის ზმნებია. ამგვარ ვარაუდს კიდევ უფრო აძლიერებს მეგრული ვა-შა-შქვ-ან-ს „ძირს არ დაუშვებს“ ფორმაც.

ს.-სინდ. *შუა- „ჩასვლა“

უბიხ. შუა-ა, სგ-შუა-ნ „ჩასვლა“

აბაზ. შუ-, ა-ქუ-შუა-რა, აფხაზ. ა-ქუ-შუა-რა (ზოიფ. -ქუ-სუა-რა) „ვარდნა“

ამ შემთხვევაში უბიხურ-აფხაზურ-აბაზური ზმნები ინახავენ ფუძეეწერულ რეფლექსაციას. რაც არ უნდა მოულოდნელი იყოს, უბიხურმა არქაულ სემანტიკასთან ერთად ძირეული სიბილანტის ლაბიალიზაციაც უცვლელად შემოგვინახა.

რა თქმა უნდა, აქვე არ გამოირიცხება ზემოთ აღწერილ ქართულ-ზანურ-სვანურ შვ-/შქვ-/შგუ- „გაშვება“ ზმნებთან ს.-სინდ. *შუა- : ს.-ქართვ. *შუ- ასევე ზმნური არქეტიპების გენეტიკური ერთიანობის შესაძლებლობა.

ს.-ქართვ. *შუ- „სიმშვიდე; დამშვიდება“

ქართ. შუ-/შვ-, ძვ. ქართ. მ-შუ-იდ-ი, მ-შუ-იდ-ობ-ა-ფ „სიმშვიდე“, მ-შუ-იდ-ად „მშვიდად, წყნარად“

ქართველურ ენა-კილოებში აქ გამოყოფილი შვ- ძირის შესატყვისი მასალა არ ჩანს. ქართულ-შიც იგი (შვ-) მხოლოდ ნაწარმოებ სახელშიღა შემოგვრჩა.

ს.-სინდ. *შუა- „დამშვიდება“

აფხაზ. ა-ნგ-შუა-რა „დამშვიდება“

სიტყვა განმარტოებით დგას აფხაზურში, სადაც -შუა- სეგმენტს ძირეულ მასალად გამოყოფენ [ჩირიქა 1996 : 116].

აფხაზურ-ქართულ შუ კომპლექსს კანონზომიერად შეესატყვისება ნახური რშ, შდრ. წ.-თუშ. მა-რშ-ოლ „მშვიდობა“, რაც ბუნებრივი ჩანს, თუ გავიზიარებთ უკვე დადგენილ კანონზომიერებას ფუძენახურში – Cუ → რC, შდრ. ს.-ქართვ. *ნესუ- : ს.-ნახ. ნარს- „კიტრი“...

ს.-ქართვ. *შუარ- „შრობა“

ქართ. შრ-ობ-ა, მ-შრ-ალ-ი

ზან. (ლაზ.) სქურ-/სქირ-/სკურ-/სკირ-, მე-სქურ-უ „გაშრა“, სკირ-უ-რ „შრება“, მეგრ. სქერ-/სქირ-, სქერ-უ-დ-უ „შრებოდა“, სქირ-უ „მშრალი“

საფუძვლიანი არ ჩანს თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ძვ. ქართ. შუერ-/შურ- ზმნური ძირი ზემოთ აღწერილ ძირ-ფუძეებთან ეტიმოლოგიურ კავშირშია [გამყრელიძე 1959 : 60-64].

ს.-სინდ. *შუარ- „გაშრობა“

აფხაზ. -შუარ-, ზმნაში ა-შუარ-გ-ლა-რა „გაშრობა ძროხის“

აფხაზურში -ლა ზმნური სუფიქსი ჩანს, რომელიც „იქითა“ მიმართულებას გახაზავს. ძირ-ფუძეთა შეპირისპირება ქ. ლომთათიძეს ეკუთვნის, ოღონდ ავტორი ქართულიდან სესხებას ვარაუდობს [ლომთათიძე 1999 : 26].

ვფიქრობთ, საერთო წარმომავლობის ზმნებთან გვაქვს შეხება, რასაც ადასტურებს ერთგვაროვანი სტრუქტურა, ბგერითი შედგენილობა და იგივეობრივი სემანტიკა.

ს.-ქართვ. *შტელ- „შველი“

ქართ. შტელ-ი, შველ-ი

ზან. (ლაზ.) მსქვერ-ი / მსკვერ-ი „ირემი“, მეგრ. სქვერ-ი „შველი“

წარმოდგენილ ალომორფებში ნათლად დასტურდება თ. გამყრელიძის წესის მოქმედება, რაც ზანურში მომდევნო უ ზეგავლენით განხორციელდა - შქტ → სქტ.

სვანურში შესაბამისი ძირი ჯერაც არ არის გამოვლენილი [სამეცნ. ლიტ. იხ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 552-553].

ს.-სინდ. *შტან- „ირემი, გარეული ცხოველი / ნადირი“

უბიხ. შტან-/სტან-, სიტყვებში ლა-შტან „ნადირობა“, სტან-კ ა „მონადირე“

აბაზ. შტგ-რ „ირემი“, შტან-რა-ხ „ნადირი“, აფხაზ. ა-შტან-რა-ხ „გარეული ცხოველი, ნადირი“

საინტერესოა, რომ ქართველურ-სინდურ, და საერთოდ, კავკასიურ ძირთა ერთიანობის შესახებ ჯერ კიდევ 1923 წელს აღნიშნავდა ა. ტრომბეტი [ტრომბეტი 1923 : 370].

ს.-ქართვ. *შტენ- „მშვენება; ლამაზი“

ძვ. ქართ. შტენ-იერ-ი, შტენ-ი-ს, ახ. ქართ. მ-შვენ-იერ-ი, უ-შნ-ო, შნ-ო

ზან. (ლაზ.) სქვან-ა „სილამაზე“, მე-მ-სქვან-ერ-ი „მორთული“, გო-მ-სქვან-ერ-ი „გამშვენებუ-ლი“, მეგრ. სქვამ-ი „ლამაზი“, ო-სქვან-ს „უხდება“, ქო-დრ-სქვამ-უ „შეიფერა“

სვან. მუ-სგტენ „მშვენიერი“, სგტან „შნო“

ბუნებრივი ჩანს შეფარდება ქართ. შტ : ზან. სქუ- / სკვ- : სვან. სგტ / სკტ, რაც პოზიციური გასისინების გამყრელიძისეული წესით აიხსნება [გამყრელიძე 1959 : 26-27]. არსებობს თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ -ენ აქ სუფიქსია, ხოლო შტ- კი – ძირი [კლიმოვი 1998 : 248]. ჩვენ უფრო *შტენ- ერთიანი ძირის არსებობას ვემხრობით, სულ მცირე სახელურ ფუძედ მაინც.

ს.-სინდ. *ნგსტა „ლამაზი“

უბიხ. ნგსტა // ნგსტა „ლამაზი“

სინდური ენებიდან მხოლოდ უბიხურს შემორჩა ფუძეეწური წარმომავლობის ზედსართავი სახელი ლამაზის მნიშვნელობით, რომელიც ქართველურ მონაცემთან შედარებით შებრუნებული წყობის ჩანს.

საყურადღებო ჩანს ასევე ფონემური შესატყვისობა სიბილანტებში ს.-სინდ. ს : ს.-ქართვ. შ-, რაც კიდევ ერთხელ ნათლად აჩვენებს ტრანსფორმაციას წ.-ქართვ. სისინ-შიშინა [ს] → ს.-ქართვ. შიშინა [შ] მიმართულებით.

ს.-ქართვ. *შტერ- „ლექსი“

ქართ. (ფერეიდნ.) შვერ-ი „ლექსი“

ფერეიდნულ დიალექტში შვერ-ი სახელი განმარტობით დგას. შესაძლებელია, ის ინახავდეს საერთოქართველური *შტერ- „ლექსი“ არქეტიპის საკუთრივ-ქართულ რეფლექსს.

ს.-სინდ. *სტან „სიტყვა; ხმა“

აბაზ. -შტან, სიტყვაში ბგზ-შტან „ენა“, აფხაზ. -შტან, ბზიფ. -სტან, სიტყვაში ა-ბგზ-შტან, ბზიფ. ა-ბგზ-სტან „ენა“

ამ შემთხვევაში აფხაზურ-აბაზურ კომპოზიტში ბგზ- ენა გამოდის, ანატომიური ორგანო, ხოლო -შტან /-სტან კი სიტყვა / ხმა შინაარსს ითავსებს.

ჩვენი აზრით, წარუმატებელი ჩანს სინდური -შტან / -სტან სეგმენტთა შეპირისპირება დიდო-ურ ენათა როჟ-ი „სიტყვა“ ძირთან, შდრ. აგრეთვე ანდ. რომო, ღოდ. რაშ-ა „id“ [აბდოკოვი 1983 : 189; სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 948]. სავარაუდოდ ამ დაღესტურ ფორმებს ქართული რომ-ვ-ა ზმნა შეეფარდება.

ს.-ქართვ. *შტ-ერ- „შრომა“, *შტ- „კეთება“

ქართ. შვ-ებ-ა, შვრ-ომ-ა, და-ვ-შტერ, მა-შტრ-ალ-ი, მ-შრ-ომ-ელ-ი, ნა-შრ-ომ-ი

სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს თვალსაზრისი იმის შესახებაც, რომ ქართულ შტერ-ზმნას გენეტიკურად უკავშირდება შრ-ობ-ა / ზან. სქტერ-/ სქირ- „შრომა“ ზმნური ძირები [გამყრელიძე 1959 : 60-64], რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. ვფიქრობთ, ქართ. შვ-ერ- / შვ- კეთება / შრომის მნიშვნელობით დამოუკიდებელი ზმნებია.

ს.-სინდ. *შტ- „შენება“

უბიხ. შ- „შენება“

რეკონსტრუქცია ემყარება უბიხურში ფართოდ გავრცელებულ $C\check{t} \rightarrow C'$ ფონეტიკურ პროცესს, რასაც საძიებელ ძირშიც უნდა ჰქონოდა ადგილი – შტ- \rightarrow შ-.

ს.-ქართვ. *შტ-(ერ-) „შრომა, ქმნა“ : ს.-სინდ. *შტ- „შენება“ კანონზომიერი სტრუქტურულ-სემანტიკური შესატყვისობა ჩანს.

მნიშვნელობის ევოლუციის თვალსაზრისით, ძვირფასია უდიური იზოგლოსის შინაარსი, როდესაც უდიური სერ- (\leftarrow *სტერ-(?)) ზმნური ფორმა ერთდროულად შეითავსებს როგორც კეთების, ისე შენების მნიშვნელობებს.

ს.-ქართვ. *შტინ-დ- „შინდი“

ზან. (ლაზ.) {სქინდ-ი}, ტოპ. სქინდ-ონა „შინდნარი“

ფიქსირებულ სუბსტიტუციაში შინდ-ი / შვინდ-ი, მაშინ, როდესაც საბასთანაც კი შინდ-ი ფიქსირდება, ამოსავალია *შტინდ- პროტოტიპი, ვინაიდან მხოლოდ შტტ თანმიმდევრობას შეეძლო მოეცა ლაზურში სქვ \rightarrow სქ გასისინებული ალომორფები (თ. გამყრელიძის კანონი).

სვანურში მოსალოდნელი სგტინდ ან სკტინდ არ ჩანს [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 555].

ს.-სინდ. *სტგნ-ნ „მოცხარი, ყურძენი“

ადილ. სნნნ „ყურძენი“, ყაბ. სნნნ „მოცხარი“

ადილურ ენებში ფიქსირებული ძირეული ხმოვნის სიგრძე უთუოდ შეიცავს თავის თავში ისტორიული ტ-ს გაუჩინარების კვალს – საკომპენსაციო სიგრძე: სნნა \leftarrow სტან-ა.

დადესტნური შესატყვისები, ისევე, როგორც სინდური, მხოლოდ სისინა ვარიანტებს გვიდასტურებენ. ერთადერთია თაბასარანული შუმ-ზან „ბროწეული“ სიტყვა, სადაც შიშინა შ ნაპრალოვანი ფიქსირდება, თუმცა ქართველური დ-ს ბადალი აფიქსი სხვა იბ.-კავკ. ენებში არ ჩანს. ამ მხრივ მეტად საყურადღებო ჩანს შუმერულ ენის ჩვენება, შუმერული შენნურ „ზღმარტლი“ ქართულისებური შიშინა გახმოვანებისაა და შეიცავს ნნ თანმიმდევრობას ქართ. ნდ-ს საპირისპიროდ, რაც კიდევ ერთი საბუთია ქართულ-შუმერულ ენათა ახლონათესაობისა.

ს.-ქართვ. *შიბ-უ „მთის ღანძილი“

ქართ. (ხევს.) შიბუ „მთის ღანძილი“

სვან. შგტობ, შკტობ (ლნტ.) „რკო“

ზანურ დიალექტებში ფუძე დაკარგული ჩანს. სვანურში სავარაუდოა ფუძის ბოლოში უ \rightarrow ტ დამახასიათებელი რედუქცია და მხოლოდ ამის შემდგომ ტ-ს მეტათეზისი ფუძის სიღრმეში : *შქი-ბუ \rightarrow *შქიბტ \rightarrow შგტობ // შკტობ.

ს.-სინდ. *შგბა- „ერთგვარი ბალახი“

ყაბ. (ბასლ.) შნბნ-რ „ერთგვარი ბალახი“

ბასლენურ დენდრონიმებში გარკვეული სიხშირით გამოჩნდება ხოლმე ბოლოკიდური -რ სუფიქსი, შდრ. ბასლ. ჟუმნ-რ / ჟუმა „ერთგვარი მცენარე“ [კვახაძე 2014 : 55].

ს.-ქართვ. *შებ-უ : ს.-სინდ. *შაბა- არქეტიპებს საყურადღებო იზოგლოსები დასტურდება დადესტნურ და ნახურ ენებში, შდრ.: ინგუშ. შუფ / შიფ, ხუნძ. სობ, ბეჟიტ. სობო, არჩიბ. საფ „ramson“

[მეტი იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 970].

ს.-ქართვ. *შიგ-ან- „შიგ, შიგნით“

ქართ. შიგ-ან, შიგნ-ით, შიგ ← *შიგნ, შიგ-ა „შიგნით დებული“ (საბა), ძვ. ქართ. შიგან „შიგნით“, შიგნ-ოან (←*შიგნ-ოვან) „შიგნით“

ზმნისართი შიგ-ან (→შიგ-ა / შიგ-) პოვნური ჩანს მხოლოდ ქართულში. მისი აღრევა ში-/შო-რის და ა. შ. ნაწილაკებთან ხალხური ეტიმოლოგიის (ან მეტაანალიზის) შედეგად გვესახება. ამასვე ამტკიცებენ ჩერქეზული იზოგლოსები.

ს.-სინდ. *შგ-ა „შუა“

ადიდ. შაჯა-ლუ, ყაბ. შაჯა-ლუ „შუადღე“

სიტყვა რთული შედგენილობისა ჩანს. აქ შაჯა- შუას აღნიშნავს, ხოლო ლუგ „დრო / პერიოდის“ აღმნიშვნელი სახელური აფიქსია [კვახაძე 2014 : 45].

ს.-სინდ. *შაგ-ა : ს.-ქართვ. *შიგ-ან- ყველა თვალსაზრისით ნორმალურ შეფარდებად გვესახება. დამოწმებულ სტრუქტურულ-ფონეტიკურ იგივეობას მხარში უდგას სემანტიკური კორელაცია შუა ~ შიგნით.

და მაინც, თუ ქართველურში ში-ს გამოყოფა შესაძლებელი გახდება, დადგება საკითხი ადილური ძირის შემდგომი სეგმენტაციისა, რაც ძნელად მისაღწევია.

ს.-ქართვ. *შილ- „შილი“

ქართ. შილ-ი „მაზლის ცოლი“ ZAB. „ორ ძმათ ცოლნი“ (საბა)

ფუძე განმარტოებით დგას ქართულში, მაგრამ, სავარაუდოდ, გააჩნია სანდო შესატყვისები აფხაზურ-ადილურ ენებში.

ს.-სინდ. *სუგ „ცოლი, ქალი“

უბიხ. შუ, სიტყვაში ფნ-ა-შუ „ცოლი“

აბაზ. ს, ფჰ-უგ-ს „ცოლი“, აფხაზ. ს//ს, სიტყვებში ა-ფჰ-უგ-ს, ბზიფ. ა-ფჰ-უგ-ს „ცოლი“

გვაკლია ადილური ფორმები. უბიხურში ძირად ფნ-ა- გამოიყოფა, ხოლო -შუ აფხაზურ-აბაზური -ს/-ს სეგმენტთა შესატყვისი ჩანს, რომელიც ქართული შილ- ძირს კანონზომიერად შეეფარდება. აქვე გამოჩნდება გენეტიკურად საერთო მასალა დადესტნური ენებიდანაც, შდრ. თაბას. შიუ „ქალი“. საყურადღებოა ასევე ლ → უ დელატერალიზაციის ერთგვაროვანი პროცესი სინდურ-დადესტნურში.

ს.-ქართვ. *შინ- „შიში, შეშინება“,

ქართ. შინ-, ა-შინ-ებ-ს, სა-შინ-ელ-ი, გურ. შინ-ობ-ს „შიშობს“

ზან. (მეგრ.) რსქინ-ი „მუქარა, შეშინება“, ო-რსქინ-ან-ს „აშინებს“, დო-რსქინ-ელ-ი „დამუქრებული“

ვიზრანტი რ ზანურში მეტად ძველი დანართი ჩანს. სწორედ მას მიეწერება შქ → სქ გასისინების მეორეული პროცესი მეგრულ-ლაზურში (ვ. თოფურია), შდრ.: ქართ. ღრჰ-იალ-ი : ზან. ღირწკ-ინ-ი, ქართ. ჯლეჩ- : ზან. ხარცქ-..., ასევე – შინ- : რსქინ-. ასე რომ, თ. გამყრელიძის კანონის ამ შეპირისპირებაში მოხმობა და ს.-ქართვ. *შტინ- არქეტიპის აღდგენა უადგილოდ მიიჩნევა [იხ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 555].

ს.-სინდ. *შგნ- „შიში, შეშინება“

ადიდ. შგნ-ან, ყაბ. შგნ-ან „შეშინება, შიში“

ადვილი დასანახია სინდურ-ქართველურ ზმნურ ფუძეთა იგივეობრივი აგებულება და სემანტიკური სიახლოვე.

ფუძეთა ურთიერთდაკავშირება გ. როგავას ეკუთვნის [როგავა 1956 : 83].

ს.-ქართვ. *შლეგ- „გიჟი“

ქართ. შლეგ-ი „გიჟი“, „თავგანწირვით გახელებული“ (ჩუბინაშვილი), შლეგ-ი არს არა ხელი არცა ცნობა მიღებულ, არამედ დაუცადებელად თავ-გაწირვით განუსვენებელი (საბა) სავარაუდოდ, საერთოქართველური წარმომავლობის ძირია, რომელიც მხოლოდ ქართულში შემოგვრჩა.

ს.-სინდ. *სემზგ- „ავადმყოფი“

ადიდ. (შაფს.) სემზგ-ზ, ჭემგ. სემაჯგ-ზ, ყაბ. სემაჯგ „ავადმყოფი“

ადიდურ ალომორფებს უდარებენ ქართულ შმაგ- სახელს [ბოუდა 1950 : 295], რომელიც, თავის მხრივ, ირანული ნასესხობა ჩანს [ბუკია 2016 : 59]. ვფიქრობთ, უპრიანია ს.-სინდ. *სემაგ-შევადართო ქართველურ შლეგ- სახელთან, თუ, რაღა თქმა უნდა, მოევლება ლ : მ ქართულ-ჩერქეზულ ბგერათფარდობას.

საკითხი დამატებით შესწავლას საჭიროებს.

ს.-ქართვ. *შუბ- „შუბლი“

ქართ. შუბ-ლ-ი „შუბლი; წინა მხარე“

სვან. სგუბ-ინ // სგობ-ინ // სგებ-ინ „წინ“

ზანურ დიალექტებში შესაბამისი ალომორფები ჯერაც არ არის გამოვლენილი. ქართულ-სვანური შესატყვისების სემანტიკური მიმართების კვლევისას მეტად ღირებული ჩანს საშუალო ქართულში ფიქსირებული წინა მხარის შინაარსი [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 556].

ს.-სინდ. *ბგშუ- „ბაგე“

აბაზ. ფგშუ „ნისკარტი“, აფხაზ. ა-ფგშუ „ბაგე“

გვაკლია ჩერქეზული შესატყვისები, თუმცა უამისოდაც საკმაოდ ზუსტ ინფორმაციას იძლევა აფხაზურ-აბაზური ენების მასალა. აქ ერთადერთ ინოვაციად თავკიდური ბ-ს დაყრუება (შეიძლება ასიმილაცია) გვესახება.

სინდურ ენათა გ-უ რეფლესი კანონზომიერად შეეფარდება ს.-ქართვ. უ ლაბიალურ ხმოვანს, ანუ **Сუ** → **ტუ** → **გტუ** საერთოსინდურში ჩანს განხორციელებული.

ძირის შებრუნებული წყობა ქართველურში განხორციელდა, შდრ. წაბ. ფგშნგ „ბაგე“.

ს.-ქართვ. *შურ- „შიში“

ზან. (მეგრ.) შქურ-ინ-ი „შიში“, ა-შქურ-ინ-ე(ნ) „შეემინდება, ეშინია“, შქურ-ინჯა „შიშიშარა“, ლაზ. ო-შქურ-უ „შიში“, ა-შქურ-ინ-ე-ნ „ეშინია“, მ-შქურ-ინ-აჯე „შიშიშარა“

სვან. შგურ, შგური // შკური „სირცხვილი“, შგური-ი-ჟახე „სირცხვილ-სახელი“

ქართულში შესაბამისი ძირი დაკარგული ჩანს, უნდა გვექონოდა კი შურ- ან შვირ-.

ს.-სინდ. *შუგ- „შიში“

აბაზ. შტა-რა, აფხაზ. შტა-რა „შიში“

ჩერქეზულ ენებში შესატყვისი ზმნური ფუძე არ იძებნება. გ. როგავას დაკავშირება ადიდ. შგნ-თან [როგავა 1956 : 83], ალბათ, უმართებულოა, ვინაიდან, ამ თვალსაზრისის გაზიარების შემთხვევაში, ვერ ავხსნიდით ნ-ს დაკარგვას აფხაზურ-აბაზურში, ასევე, შ-ს ლაბიალიზაციაში სხვაობას. ამიტომაც ვფიქრობთ, ს.-ქართ. *შურ- : ს.-სინდ. *შტა- დამოუკიდებელ შესატყვისებს წარმოგვიდგენენ.

ს.-ქართვ. *შუყ-ა „ნაწერი ტექსტის ნაწილი“

ქართ. შუყა „ქარტის ნაოთხალი“, „ქაღალდის ნაოთხალი“ (საბა)

დიდი ლექსიკოგრაფი შუყასთან კაბადონს ახსენებდა, ეს უკანასკნელი სიტყვის კონაში განი-

მარტება როგორც „წერილთა ფურცელსა ეწოდების კ ე ფ ი , ხოლო ფურცლისა ცალსა პირსა კაბადონი“.

ფაქტია, რომ ქართული **შუყა** უძველესი კულტურული ფონდის სიტყვაა, რომელიც სადამწერლობო ტრადიციას უკავშირდება ჩვენს სინამდვილეში.

ს.-სინდ. ***შუყა**- „წერილი, დოკუმენტი, წიგნი“

უბიხ. **შუყა** „წიგნი, წერილი“

აბაზ. **შუყა**, აფხაზ. ა-**შუყ** „წიგნი, წერილი, დოკუმენტი“

სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს ცდა იმისი, რომ სინდური ძირები *მელან-გუმფისის* აღმნიშვნელ ძირებთან დააკავშირონ: დარგ. **შინყა**, ლაკ. **შიყი** „მელანი“..., ხუნძ. **სანყ** „გუმფისი“ [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 976], რაც თავისთავად მეტად საყურადღებო მიმართულება ჩანს. თუმცა ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ *მელან- / გუმფისი* სხვა ეტიმოლოგიისა და ზან. (მეგრ.) **შეყა / შეყა** - „შავი მელანი“, ჩეჩნ. **შაყა**, ინგუშ. **შაყ** „მელანი“, ყაბ. **შაყა**, ხუნძ. **შაყი** „მელანი“ ფორმათა რიგში უნდა განიხილებოდეს.

ს.-ქართვე. ***შხეფ**- „შხეფი“

ქართ. **შხეფ**-ი, **შხეფ**-ს

ზან. (მეგრ.) **შხაფ**-ალ-ი „თქეში“, **შხიფ**-ი „შხეფი“

ბგერწერითი აგებულების ძირი ჩანს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბგერათმესატყვისობათა ჩვენება დაცული არის – ქართ. ე : ზან. ა. სვანურ-ლაზური მასალა გვაკლია, რაც ამნელებს საერთო-ქართველური არქეტიპის სრულ აღწერას.

ს.-სინდ. ***სუჭა** „ქაფი“

აბაზ. (ტაპანთ.) **შუჭა** „ქაფი“, აფხაზ. ა-**შუჭა**, ბზიფ. ა-**სუჭა** „ქაფი“

გვაკლია ჩერქეზული ნიმუშები, თუმცა ბზიფურ-ტაპანთური დიალექტური მასალა რამდენადმე ავსებს ამ დანაკლისს, სისინ-შიშინა და ფარინგალური რიგის არქეფონემათა სანდო რეკონსტრუქციის თვალსაზრისით.

საერთოქართველურში **შუჭ** თანმიმდევრობის არარსებობის გამო თავს ვიკავებთ ***შუჭეფ**- სახეობის არქეტიპის რეკონსტრუქციისაგან. აქ საერთოქართველური **შ**, როგორც სინდური აჩვენებს, სისინ-შიშინა ს ფონემის რეფლექსად უნდა დავსახოთ, რაც რეგულარულ-კანონზომიერია.

ჩ

ს.-ქართვე. ***ჩათ**- „რკინის რგოლიანი თასმა“

ქართ. **ჩათ**-ო „თასმა, რომელსაც ბოლოში რკინის რგოლი აქვს“ (ქეგლ), ფშ. **ჩათ**-უა „id“

ადრე ვფიქრობდით ქართული **ჩათ**- ძირის ეტიმოლოგიურ კავშირზე სვანურ **შიშდნაგ** „ღილი, დუგმა“ ფუძესთან, რომელსაც არქეფორმად ***ჩაშთ**- უნდა ჰქონოდა, თითქოს, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან ამგვარ დაშვებას, ჯეროვანი არგუმენტაციის უქონლობის გამო, ვეღარ მივიჩნევთ მართებულად [იხ. ჩუხუა 2000-2003 : 305].

ს.-სინდ. ***ჩათა** „რკინის კილო, ანჯამა“

აბაზ. **ჩათა**, აფხაზ. ა-**ჩათა** „რკინის კილო, ანჯამა“

მიუხედავად იმისა, რომ გვაკლია ჩერქეზული შესატყვისები, შესაძლებელი გვგონია ქართ. **ჩათ**-ო : აფხაზ.-აბაზ. -**ჩათა** ძირთა ერთიანი წარმომავლობის მტკიცება.

სინდურ-ქართველურ ალომორფთა კანონზომიერი შესატყვისები დაიძებნა დალესტურ ენებშიც, შდრ.: ჰინუხ. **ცეტა**, ხვარშ., ინხოყვ. **ცეტო**, დიდ. **ცეტა** „ღილი, დუგმა“.

ს.-ქართვ. *ჩბ- „განაზვა“

ქართ. ჩბ-უნ-ვ-ა „განაზვა, რა პირუტყვი შიშით მიწას გაერთხას“ (საბა), მო-ჩბ-უნ-ავ-ი „გამნა-ზავი თუ გამწოლი“ (საბა)

ზმნური ძირია, რომელიც განმარტოებით დგას ქართულში [შდრ. სუხიშვილი 1996]. ამისდა მიუხედავად, ქართულ ჩბ- ძირს უტყუარი შესატყვისები ეძებნება სინდურ ენებში.

ს.-სინდ. *ცტა- „ძილი; დაძინება“

უბიხ. ცტა „ძილი“, ა-ცტა „id“ (განსაზღვრ.), სგ-ცტა-ნ „დაძინება“

აზახ. ჩტა „ძილი“, ჩტა-რა „დაძინება“, აფხაზ. ა-ჩტა ძილი“, ა-ჩტა-რა „დაძინება“

ფონეტიკური შესატყვისობა ც : ჩ ამოსავალ ც სისინ-შიშინა სიბილანტზე მიუთითებს. აქვე საცნაური ხდება ძირეული თანხმოვნის ლაბიალიზაციის წყარო. ქართულ-სინდური შეპირისპირებით ირკვევა ძირეული თანხმოვნის ლაბიალიზაციის წარმომავლობაც, იგი წინარესინდური *ცბა- ძირის საერთოსინდური რეფლექსი ჩანს – *ცბა- → *ცტა. ამავდროულად საცნაური ხდება ს.-ქართვ. *ჩბ-ში შიშინა აფრიკატის მეორეულობა, იგი წინარექართველური *ც სისინ-შიშინა არ-ქიფონემის ფონეტიკური ვარიანტია – ც → ჩ.

ადიღეური ჩგა-, ყაბ. ყეა- „ძილი“ სხვაგვარ წარმომავლობას გულისხმობს.

ს.-ქართვ. *ჩტალ- „ეშვი“

ძვ. ქართ. შტან-ი „მკეცთა და ძაღლთა მაგარნი და დიდნი კბილნი“ (საბა)

ზან. (მეგრ.) ჩქვა (მრავლ. რ. ჩქვალ-ეფ-ი), ლაზ. შშქვა // მჩქვა (მრავლ. რ. მჩქვალ-ეფ-ე) „ეშვი“ სვან. ჩტა (მრავლ. რ. ჩტარ-არ) „ეშვი“

ფუძის აუსლაუტი ზანურში ნაწილობრივ ჩანს შენარჩუნებული – ჩქვალ-; ლ → რ სვანურში განხორციელდა. რაც შეეხება ქართულ ალოფონს, ბოლოკიდური ნ შეიძლება იყოს pluralia tantum-ის შემთხვევა. აქვე საცნაურია ჩ → შ სპირანტიზაციის იშვიათი შემთხვევა ქართულში.

ს.-სინდ. *ცა- „კბილი; ეშვი“

ადიღ. (შაფს., ბჟედ.) ცა, ჭემგ., აბძახ. ცა, ყაბ. ძა „კბილი“

აფხაზ. ა-ც „ეშვი“

უბიხური ცაჯგ „კბილი“ სხვა ეტიმოლოგიისა ჩანს [შდრ. შაგიროვი 1977, I : 165; კვახაძე 2014 : 134]. ლ → ტ → ძ ჯერ კიდევ საერთოსინდურ ფუძე-ენაში განხორციელდა. განსხვავებით ქართველურისგან, აქ არ ივარაუდება ცტ ლაბიალიზებული სიბილანტის რეკონსტრუქცია (მისი არსებობის კვალი არც იკითხება), თუმცა დადესტურ ენათა ნაწილში ინტერვოკალური უ ხმოვანი ლაბიალიზაციის ოდინდელ არსებობაზე მიუთითებს, შდრ. დარგ. ცულა, ხინალ. ცულოზ, უდ. ულ-უხ ← *ცულ-უხ „კბილი“.

სემანტიკური თვალსაზრისით, ქართველური ეშვის გამომდახილია კბილი ~ ეშვი კორელაცია ფუძესინდურში.

ს.-ქართვ. *ჩტარ- „ფაღარათი, სკორე“

ქართ. ჩორ-, მ-ჩორ-ე „ძაღლისა და მკეცის სკორე“ (საბა)

ზან. (მეგრ.) ცქერ- / ცქირ-, ცქერ-ან-ს // ცქირ-ან-ს „ფრინველი აფაღარათებს“

სვან. ცქერ „საქონლის ფაშვში მოთავსებული მოუნელებელი საჭმელი“, ბზ., ლშხ. „ფაღარათი“

საერთოქართველურში ჩ-ს ლაბიალიზაციის პოვნირების შედეგი ადვილად იკითხება ზანურ-სვანურ რეფლექსებში, ვინაიდან მხოლოდ თ. გამყრელიძის კანონის მოქმედებით აიხსნება ჩქტ → ცქ... გასისინების ტენდენცია დასავლურ-ქართველურში.

ს.-სინდ. *ცტა- „ფრინველის ნაკელი“

ადიღ. ცტა-მა, შაფს. ცტა-მა „ფრინველის ნაკელი“, ყაბ. ვე-ა ← *ცტა-ა „ფრინველის ნაკელი“

საერთოქართველურში ძირეული სიბილანტის ლაბიალიზაციას მხარს უჭერს ჩერქეზულ ენათა ჩვენებაც; თუმცა, დაღესტნურში ლაბიალიზაცია ადრევე უნდა მოშლილიყო: ანდ. ჩილ, კარ. ჩილ-ა „სკორე (ცხვრისა)“...

ს.-ქართვ. *ჩუ-ეუ- „მიჩვევა, დაჩვევა“

ძვ. ქართ. ჩუევ-ა, ჩუე-ულ-ი, ჩუე-ულ-ებ-აჲ

ზან. (მეგრ.) რქვან-ა „ჩვევა“, დო-რჩქვან-ა „დაჩვევა“, გე-/მე-რჩქვან-ა „მიჩვევა, შეჩვევა“

სვან. ჩქუნ-, ლი-ჩქუნ-ე „მი-/შე-ჩვევა“

ბოლოკიდური ბგერათფარდობა ქართ. უ : ზან./სვან. ნ ბუნებრივია, შდრ. ქართ. ვაკე : ზან. (მეგრ.) ნაკა ← *ნოკა „id“ : სვან. ნაკა „id“...

მეგრულში რ ფონეტიკური დანართი ჩანს, რაზეც ძველქართული ფორმები გვაძლევენ სრულ ინფორმაციას [დიუმეზილი 1933 : 88; ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 563].

ს.-სინდ. *ცუჷ- „შეჩვევა“

უბიხ. ცჷ- „შეჩვევა“

აბაზ. შ-ცა-რა, აფხაზ. ა-შ-ცგ-ლა-რა „შეჩვევა“

თავკიდური შ- ისტორიულად ძირს შეხორცებული გრამატიკული ინვენტარი ჩანს და ძირის შემადგენელ ნაწილად არ განიხილება. ცჷ- / ცა- / ცგ- ზმნური ძირების ერთიანობა ეჭვს გარეშეა [შაგიროვი 1977, I : 127]. ვერ ვხედავთ ფუძეენური ცუ → ც დელეაბიალიზაციის საფუძველს აფხა-ზურ-ადილურ ენებში.

ს.-სინდ. ც : ს.-ქართვ. ჩ სიბილანტური ბგერათშესატყვისობა უცილობლად იმაზე მიუთითებს, რომ ს.-ქართვ. ჩ მომდინარეობს წ.-ქართვ. ც სისინ-შიშინა აფრიკატისაგან.

ს.-ქართვ. *ჩუნ- „ჩვენ“

ქართ. ჩვენ, ჩვენ-ი

ზან. (მეგრ.) ჩქე / ჩქი „ჩვენ“, ჩქენ-ი / ჩქინ-ი „ჩვენი“, ლაზ. ჩქუნ / ჩქუ / ჩქინ „ჩვენი“, ჩაქუნ-ი / ჩქინ-ი „ჩვენი“

სვან. შგუე : გუ-შგუე-ჲ „ჩვენ (ექსკლ.)“, ნი-შგუე-ჲ „ჩვენი“ (ინკლუზ.)

ქართველურ ძირ-ფუძეთა გენეტიკური ერთიანობა ეჭვგარეშეა და დიდი ხნის შენიშნულიცაა (გ. როზენი, ფრ. ბოპი...), თუმცა სვანურში საკმაოდ სერიოზული თავისებურებანი იჩენს თავს [იხ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 563-564].

ს.-სინდ. *ჩუნ- „ჩვენ“

უბიხ. შგ-ლუა „ჩვენ“

სინდური ენებიდან მხოლოდ უბიხურს შემორჩა 1-ლი პირის მრავლ. რ. ნაცვალსახელი, სადაც ენისთვის დამახასიათებელი კანონზომიერება ცუ → ც, ანუ ლაბიალიზებულ კომპლექსთა დელაბიალიზაცია წინამავალი თანხმომვის პალატალიზაციის გზით რეგულარულად ხორციელდებოდა – *შუე- → შგ.

ცხადია, ამოსავალი, წინარესინდური არქეტიპი *ჩუე აფრიკატული ბუნებისა იყო; დებულეზას მხარს უჭერს როგორც ქართველური, ისე დაღესტნური ენების მასალა, შდრ.: ლეზგ. ჩუნ, თაზას. უ-ჩუ, ალულ. ჩინ „ჩვენ“ და იქნებ, ს.-ნაზ. *თხო „ჩუნ“ (ექსკლ.) ← *თო ← *ჩონ (?).

ს.-ქართვ. *ჩიუ- „ჩივილი, თქმა“

ქართ. ჩივ-ი-ს, ჩივ-ილ-ი

სვან. ხ-ე-შგუე-ემ „თხოვს“, მუ-შგუე-ემ „მთხოვნელი“

ზანური დიალექტებიდან საყურადღებოა მეგრ. ჩიულ-ი „ჩივილი“ და ჩი-ებ-ა „საუბარი“, რომელიც ქართულის არქაულ მნიშვნელობას ინახავს.

ს.-სინდ. *ჩუგ- „ლაპარაკი“

აზახ. ჩუა-ჟუა-რა, აფხაზ. ა-ჩუა-ჟუა-რა „ლაპარაკი“

ჩერქეზულ ენებში სათანადო ზმნებს ვერ ვპოულობთ.

ს.-ქართვ. *ჩიუ- „ჩივილი, თქმა“ : ს.-სინდ. *ჩუგ- „ლაპარაკი“ არქეტიპები პალეოკავკასიურ ეტიმოლოგიას გულისხმობენ, მიუხედავად იმისა, რომ ნახური და დაღესტნური იზოგლოსები ამ ეტაპზე ვერ გამოვავლინეთ.

ს.-ქართვ. *ჩირ- „გამხმარი ხილი“

ქართ. ჩირ-ი „ვმელი ხილი“ (საბა)

ზან. {შქიჯ-ი} „ჩამიჩი“ (საბა)

ვფიქრობთ, ისტორიულად ქართ. ჩირ-ი ფორმას ზანურში ჩქიჯ-ი შეესატყვისებოდა, რომელიც ქართულში შეთვისებული იქნა შქიჯ-ი არაადეკვატური სახეობით. საბასთან შქიჯ-ი „ჩამიჩი, ქიშიში“ ხილის სახეობად განიმარტება, და ამაში სემანტიკური იგივეობა ადვილი დასანახია – ქიშიში = გამხმარი ხილი.

ს.-სინდ. *ცუტერ- „ხილი“

აზახ. შუტერ, აფხაზ. ა-შუტერ, ბზიფ. ა-სუტერ „ხილი“

რეკონსტრუქცია პირობითი ხასიათისაა, ვინაიდან არც ადიღურ და არც უბიხურ მონაცემებს არ ეყრდნობა (უქონლობის გამო).

ბზიფურში სისინ-შიშინა ს წონადი არგუმენტი ყველა თვალსაზრისით, აქვე ს.-ქართვ. შიშინა : ს.-დაღ. სისინა გაგვახსენდება, რომელიც ავტომატურად ს.-იბ.-კავკ. სისინ-შიშინა სიბილანტს ვარაუდობს.

დაღესტნური ენებიდან საინტერესო ჩანს ალულ. სურ-არ „გამხმარი ხილი“ სიტყვა [სინდურ-დაღესტნური ძირებისათვის იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 331].

ს.-ქართვ. *ჩირ- „ჩიტის სახეობა“

ქართ. ჩირ-ი „ერთგვარი ჩიტი“, ჩირ-ინ-ა-შვილ-ი (გვარ-სახელი), შდრ. ჩიტ-ი-შვილ-ი

ზან. (ლაზ.) მჩქირ-ი, ათინ. მშქირ-ი „დიდი ზომის გრძელკუდა ჩიტი“

სვანური შგინ-ილ, შგინ-რლ (ბზ.) „წიწკანა, კუტკალა“ სხვა ძირი ჩანს, ქართ. ჩინ-ი (საბა) ფუძის შესატყვისი. ლაზურში თავკიდური მ ფონეტიკური დანართია. აქვე, ათინურ კილოკავში შემჩნევა სვანურისებური ჩქ → შკ სპირანტიზაციის სპორადული პროცესი.

ს.-სინდ. *ჩგ-რ „ბარტყი; ნაშიერი“

ადიდ. (შაფს.) ჩგრ, აბძახ. შგრ, ჭემგ., ბჟედ. შგრ, ყაბ. შგრ „ბარტყი; ნაშიერი“

უბიხ. შგ „ბარტყი; ნაშიერი“

ჩერქეზული მასალის საერთო წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს [აბდოკოვი 1973 : 76]. უბიხურში ამოსავალი რ სონორი დაიკარგა, ანუ აუსლაუტის გამარტივების ტენდენცია გაგრძელდა.

ს.-ქართვ. *ჩირ- „ჩიტის სახეობა“ ~ ს.-სინდ. *ჩგ-რ „ბარტყი; ნაშიერი“ კანონზომიერი სტრუქტურულ-სემანტიკური შესატყვისობა ჩანს, რომელსაც პრობლემები არ ახლავს.

ს.-ქართვ. *ჩლიგ- „ჩლუნგი“

ქართ. ჩლინგ-ი „ჩლუნგი“ (ჩუბინაშვილი), ჩლიგ-ი (საბა)

ვფიქრობთ, ჩლუნგ-ი სახეობა ისტორიული ჩლინგ-ის ალომორფია (სიმბოლიკური ვარიანტი). არქაული ჩლიგ- ფორმა, რომელიც ფუძემდურ არქეტიპს ემთხვევა, საბასთან გვხვდება.

სხვა ქართველურ ენა-კილოებში შესაბამისი ძირ-ფუძეები არ იძებნება. მეგრული ჩვიგ-ალ „უაზრო, გონებაჩლუნგი“ სხვაგვარ ეტიმოლოგიას გულისხმობს.

ს.-სინდ. *ცგუ- „დაჩლუნგება; ბლაგვი, ჩლუნგი“

აფხაზ. ცაგუ- , ა-ცაგუ-რა „დაბლაგვება, დაჩლუნგება“, ა-ცაგუ „ბლაგვი, ჩლუნგი“

ფუძეენური მდგომარეობის რეკონსტრუქცია ოდენ აფხაზური მონაცემის მიხედვით შესაძლებელი ჩანს, მაგრამ სარისკოა, ვინაიდან ძნელია სიბილანტური ფშვინვიერი აფრიკატის ბუნების დანამდვილებით გარკვევა. ამის მიზეზი კი ის არის, რომ აფხაზური ც ერთოვლად *ც სისინ-შიშინა ან *ც სისინა აფრიკატ-სიბილანტის რეფლექსაციად წარმოდგება: *ც → ც; *ც → ც. თუმცა ამ შემთხვევაში უპრობლემო ჩანს, ქართველური შიშინა ჩ აფრიკატის შესატყვისობის ფონზე, *ც სისინ-შიშინა არქიფონემის აღდგენა, შდრ. ს.-ქართვ. ჩ ← *წ.-ქართვ. *ც.

სიტყვათა ამავე რიგში დგება დადესტნური (ახვახური) იჩუიქ-აზე „ჩლუნგი“ ფორმაც.

ს.-ქართვ. *ჩქ-ერ- „სწრაფი“

ქართ. ჩქ-ერ-ი „სწრაფი“, ჩქ-ერ-ა „მდინარის ჩქარი სიარული“, ი-ჩქ-ით-ი „მყისი“ (საბა)

ზან. (მეგრ.) ჩქარ-ი „სწრაფი“, ო-ჩქარ-უ-ნ „ექარება“

ცხადია, შემოთავაზებული დაკავშირებით ქართ. ჩქარ-ი ზანიზმად მიიჩნევა – ჩქერ-/ჩქარ-.

ს.-სინდ. *ჩარ- „სწრაფი“

ადიდ. ჩარ, ყაბ. ჩარ „სწრაფი“

ძირეული სიბილანტის რეკონსტრუქცია ეყრდნობა ჩქ → ჩ, ანუ მეორეული ველარიზაციის შესაძლებლობას საერთოსინდურ ფუძეენაში. ამოსავალი ჩქ კომპლექსის სასარგებლოდ მეტყველებს როგორც ნახ. ჩახქ-ინ „სწრაფი“, ასევე, თაბას. ჩიქ-ი „ჩქარი“ იზოგლოსები.

ც

ს.-ქართვ. *ცა „ცა“

ქართ. ცა „ცა“

ზან. ცა // ჩა „ცა“, შდრ. ლაზ. ჩა-ჩხა „ხუთშაბათი“, ანუ ცის დღე, მეგრ. ცა-შხა // ჩა-შხა „id“

სვან. ცა // ცა „ცა“, სიტყვაში ცა-შ „ცისა, ანუ ხუთშაბათი“

ქართველურ ძირ-ფუძეთა ერთიანობა ეჭვგარეშეა. აქვე იკვეთება მეორეული ჩ → ც გასისინების ფონეტიკური პროცესი ზანურ-სვანურში [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 574].

ს.-სინდ. *ცა „გუშინ; დღესღამ“

უბიხ. -ცა, სიტყვაში უა-ცა „დღესღამ“

აფხაზ. აა-ცა „გუშინ“

სინდური ენებისათვის ამოსავალი ჩანს ცა- მოკლესმოვნისანი არქეტიპი, რომლისგანაც გ განვითარდა აფხაზურში, ხოლო სადა ა – უბიხურში. აფხაზურ-უბიხური ფორმები დაკავშირებულია ბასკურ atso (აჩო) „გუშინ“ სიტყვასთან, რაც სარწმუნოა [ჩირიქა 1985 : 98].

სემანტიკურად კორელაცია გუშინ/დღესღამ ~ ცა კანონზომიერებას ექვემდებარება.

ს.-ქართვ. *ცალ- „ცალი“

ქართ. ცალ-ი „ერთი“

ზან. (ლაზ.) ცორ-ი „ერთი“

ბოლო პერიოდის ლაზურ ლექსიკონებში (ა. თანდილავა) დამოწმებულია ცორ-ი „ცალი“ სიტყვა, რაც კანონზომიერი შესატყვისი ჩანს ქართული ცალ- სახელისა, შდრ. ბგერათშესატყვისობა ქართ. ა : ზან. ო; ქართ. ლ : ზან. რ.

ს.-სინდ. *-ცა- „ერთეულობის გამომხატველი სუფიქსი“

აბაზ. -ცა, აფხაზ. -ცა „ერთეულობის სუფიქსი“

ს.-ქართვ. *ცალ- არქეტიპის შესატყვისი -ცვ მხოლოდ აფხაზურ-აბაზურს შემორჩა, ისიც ერთეულების გამომხატველ აფიქსად. არადა, ც ძირიანი რიცხვითი სახელები ერთის/ცალის მნიშვნელობით მთელს იბ.-კავკ. ენათა სისტემას განმსჭვალავს: ს.-ნახ. *ცაჰ „ერთი“, დად.: ხუნძ. ცო, ლაკ. ცა, დარგ. ცა..., რომელთა ერთიანი წარმომავლობა დიდი ხანია, ეჭვს არ იწვევს [ჯავახიშვილი 1993 : 386-394].

ს.-ქარვ. *ცალ- „გაცლა, წასვლა“

ქართ. ცალ-, ე-ცლ-ებ-ა, გა-ე-ცალ-ა, გა-მ-ე-ცალ-ე და ა.შ.

სალიტერატურო ქართულში დამოწმებულ ცალ- ძირს ახლომონათესავე ენა-კილოებში შესატყვისები ჯერ არ უჩანს, თუმცა მონათესავე იბ.-კავკ. ენათა ჯგუფებში საკმაოდ სანდო პარალელები იკვეთება.

ს.-სინდ. *ცა- „სვლა, სიარული“

აბაზ. ცა-რა „სვლა, სიარული“, აფხაზ. ა-ცა-რა „id“

მართალია, ცა- ზმნა მხოლოდ აფხაზურ-აბაზურშია პოვნიერი, მაგრამ მის ფუძეენურობას, ქართველურთან ერთად, დადესტურ ენათა მასალაც ამტკიცებს, სადაც ძირითადია წასვლის გაგება, მაშინ, როდესაც აფხაზურ-აბაზურში ზოგადად სვლა/სიარულის სემანტიკაა ბუნებრივი. ცხადია, სინდურ ენებში ცა- ზმნამ გაიფართოვა სემანტიკა, ანუ ამოსავალში აქაც წასვლის შინაარსი უნდა ყოფილიყო ძირითადი, შდრ. ლაკ. ა-ჩ-ი „წასვლა“, ხუნძ. აჩ-ინ-ე „წინ გაყოლა, გაძლოლა“ და ქართვ. ცალ- „გაცლა, წასვლა“.

ცა-/ცალ- შეფარდება იმასაც არკვევს, რომ ბოლოკიდური ლ სონორი, როგორც ხდება ხოლმე, საერთოსინდურშია დაკარგული.

ს.-ქართვ. *ცალ- „დაცლა, დამთავრება“

ქართ. ვ-ცლ-ი, და-ვ-ცალ-ე, მო-ცალ-ე

ზან. (მეგრ.) ჩოლ-უ-ა „დაცლა“, ჩოლ-ამ-ა „მოცლა“, ბ-ჩოდ-უნ „მცალია“, ლაზ. ო-ჩოდ-უ „ცლა; დამთავრება“, ო-ჩოდ-ინ-აფ-უ „დამთავრებინება“

სვანური შესატყვისი არ ჩანს. ცალ-/ჩოლ- კანონზომიერ შესატყვისობას აჩვენებს, თუმცა ლაზურ-მეგრულში ლ/დ მეორეულ პროცესად მიგვაჩნია და ვნებითობის წარმოებით არის შეპირობებული – ქართ. მ-ცალ-ია : ზან. ბ-ჩოდ-უნ, რაც სხვაგანაც თვალნათლივ წარმოჩნდება – გრილ-დ-ებ-ა : რგიდ-უნ... ჩვენი დაკვირვებით, ლ → დ ლაზურში უფრო ინტენსიური იყო [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 590].

ს.-სინდ. *ჩუა- „დამთავრება“

უბიხ. ჩა- „დამთავრება“

როგორც მრავალ სხვა შემთხვევაში, აქაც ძირეული თანხმოვნის დელაბიალიზაცია უბიხური თანხმოვნის პალატალიზაციას იწვევს – ჩუ → ჩ. რაც შეეხება უ სონანტის რაობას, იგი ქართველური ლ-ს კანონზომიერი შესატყვისი ჩანს, ფუძესინდური ენის წიაღში წარმოქმნილი.

ოპოზიცია არქეტიპების დონეზე ს.-ქართვ. *ცალ- : ს.-სინდ. *ჩუა- ბუნებრივ სტრუქტურულ-სემანტიკურ შესატყვისობად მიიჩნევა.

სხვა იბ.-კავკ. ენებში შესაბამისი მასალა ვერ გამოვავლინეთ.

ს.-ქართვ. *ცალ-ა „ველური ვაზის სახეობა“

ზან. (ლაზ.) მცელ-ა // ცელ-ა „უსურვაზის სახეობა“

სიტყვა მხოლოდ ლაზურში დასტურდება. თავკიდურა მ ფონეტიკური დანართი ჩანს. სავარაუდოდ, ზანური (resp.) ლაზური ე-გაზმოვანება საძიებო სიტყვის ინლაუტში საერთოქართველურ ა ხმოვანზე უნდა მიუთითებდეს, ანუ ლაზ. ცელ-ა ← *ცოლ-ა, შდრ. ქართ. მარღვი : ზან.

ჯერღვ-ი (← *ჯორღვ-ი) „id“...

ს.-სინდ. *ცა- „ბალი, ალუბალი“

აბაზ. ცა, აფხაზ. ა-ცა „ბალი; ალუბალი“

როგორც მოსალოდნელი იყო, სიტყვის ბოლოში არსებული ლ სონორი ფუძესინდურშივე დაიკარგა, ამ შემთხვევაში – უკვალოდ.

წარმოდგენილი სემანტიკური კორელაცია უსურვაზი ~ ბალი / ალუბალი კანონზომიერი ჩანს იბ.-კავკ. ენებში, შდრ. სვან. ჰებ (← *ჰებ) „ბალი“ : კარატ. წებ-ილ-ა „ყურძენი“.

ს.-ქართვ. *ცალქ- „დახრა, სიმრუდე; კოჭლობა“

ქართ. (ლექს.) ცალქ-ია „დახრილი“

ზან. (მეგრ.) ცორქ-ი „მრუდე, აფრაკი“, დე-ცორქ-უ „დააფრაკდა“

სვან. ჩალგ-ა „კოჭლი“

მოცემული ფორმებიდან პრობლემური ჩანს სვანურის მქდერი გ გახმოვანება ქართულ-ზანური ქ-ს წილ, თუმცა ქ → გ სვანურის დიალექტებში არ არის მოულოდნელი პროცესი; ქატო – გატ, ზან. ქაცარ-ი – სვან. გიცარ „ვერძი“... სვანური ჩ ასევე მიუთითებს მეორეულ ჩ → ც პროცესზე ზანურში [ჩუხუა 2000-2003 : 322].

ს.-სინდ. *ცარქ- „კოჭლობდა, კოჭლი“

აფხაზ. ა-ცერკ-რა „კოჭლობა“, ა-ცერკ „კოჭლი“

ვინაიდან ფუძე დასტურდება მხოლოდ აფხაზურში, საერთოსინდური არქეტიპის რეკონსტრუქცია ატარებს პირობით ხასიათს. ვფიქრობთ, აქ ისეთივე შემთხვევა უნდა გვქონდეს, რაც აფხაზური ა-კუტტ „ქათამი“ : ქართვ. ქათამ- ფუძეთა შესატყვისობის დროს, როცა აბაზურში ქუტტ, ხოლო შაფსულურში ქ~თუ ალომორფები დადასტურდა, ანუ უპრიანი ჩანს აქაც *ცარქ- [ქ] პრე-რუპტივიანი პროტოტიპის აღდგენა.

ს.-ქართვ. *ცამ-ა „ყანჩა; ვარხვი“

ზან. (ლაზ.) ჩრომა „ყანჩა“, მეგრ. ჩომა → // ჩვამა „ყანჩა; ვარხვი“

ქართულში მოსალოდნელი [ცამა] (ან სვანური [ჩამა]) არ ფიქსირდება. საერთოქართველური არქეტიპი მხოლოდ ზანური ალომორფების საფუძველზე აღდგება. მხედველობაში ვიღებთ ქართ. ყანა : ზან. ცონა → // ცვანა „ყანა“ შესაძლებლობას, ანუ ს.-ქართვ. ა → ზან. ო → //ვა, რაც ხშირად დაჩნდება მსგავს პოზიციებში.

ს.-სინდ. *ცუა „ყანჩა; გედი“

აბაზ. (ტაპანთ.) ძე-ჩუა „ყანჩა“, აფხაზ. ა-ძე-ცუა, ბზიფ. ა-ძე-ცუ(ა) „გედი; ყანჩა“

პირველ კომპონენტად ა-ძე/ძე „წყალი“ უნდა გამოიყოს; მაგრამ ვერ დავეთანხმებით -ჩუა / -ცუა სეგმენტის რაიმენაირ კავშირს *ცუა „მილი“ სიტყვასთან [ჩირიქბა 1996 : 65]. აქ, ვფიქრობთ, იგივე ვითარებაა, რაც გედის აღმნიშვნელ მეგრულ თხზულ სიტყვაში გვაქვს, შდრ. წყარ-სინჯ-ი (წყალი + ფრინველი) „გედი“, ანუ აფხაზურ-აბაზურშიც -ჩუა/-ცუა რალაც ფრინველის (გედი, ყანჩა) აღმნიშვნელი ძირი ჩანს.

ს.-ქართვ. *ცამ-ა : ს.-სინდ. *ცუა არქეტიპთა შეპირისპირება კიდევ ერთხელ აჩვენებს ლაბიალიზაციის წყაროს საერთოსინდურში – ცმ → ცუ.

ს.-ქართვ. *ცამ-ე „მსხვილფეხა საქონელი“

ზან. [ჩრომა] „მსხვილფეხა საქონელი, პირუტყვი“

ვფიქრობთ, ზანური შესატყვისი შემორჩენილია იმერულ ჩომა „მსხვილფეხა საქონელი, პირუტყვი“ სიტყვაში, აგრეთვე ტოპონიმ ო-ჩრომ-ეთ-ში.

საერთოქართველურში *ცამ-ე არქეტიპი აღდგება ქართველურ ენობრივ ქვესისტემებს შორის

გამოვლენილ ბგერათშესატყვისობათა ჩვენების საფუძველზე – ქართ. ც : ზან. ჩ, ა : ო, ე : ა, როცა ქართულის ჩვენება დიდწილად ემთხვევა ფუძეენურ მახასიათებლებს.

ს.-სინდ. *ჩამ-შ „ძროხა“

ადილ. (შაფს.) ჩამბე, ჭემბე. ჩამბე, აბმახ. შამბ, ყაბ. ჟამ, ბასლ. ჯამ „ძროხა“

ყოვლად დაუშვებელი ჩანს უბიხური გუმბან „ძროხა“ ფორმის დაკავშირება ადილურ ალომორფებთან (იხ. აქვე, *გომ-), რასაც ჩერქეზულ ენა-კილოთა შედარებითი ფონეტიკა ეწინააღმდეგება, უპირველეს ყოვლისა, უბიხ. გ : ადილ. ჩ/ჩ/შ : ყაბ. ჯ/ჟ სახის ბგერათშესატყვისობათა ფორმულის არარსებობის გამო [შდრ. შაგროვი 1977, I : 192-193].

ს.-ქართვ. *ცამ-ე : ს.-სინდ. *ჩამ-შ არქეტიპების შესატყვისი სარწმუნო მასალა მონათესავე იბ.-კავკ. ენებიდან ჯერჯერობით არ ჩანს.

ს.-ქართვ. *ცან- „ცნობა; ცოდნა“

ქართ. ვ-ცან „გავიგე“, ცნ-ობ-ა, მე-ცნ-იერ-ი „მცოდნე“, ცნ-ობ-ილ-ი

ზან. (ლაზ.) ო-ჩინ-უ „ცოდნა, ცნობა“, ბ-ი-ჩინ-ამ „ვიცი, ვიცნობ“, მეგრ. ჩინ-ებ-ა „ცნობა“, მა-ჩინ-ე „მცოდნე“, ი-ჩინ-უ „იცნო“

სვანური შესატყვისი არ იძებნება. ქართულ-ზანურ ალომორფთა ერთიანობა ცნობილია ჯერ კიდევ ა. ცაგარლის შრომებიდან [ცაგარელი 1880 : 63]. პრობლემურია ქართ. ა : ზან. ი ხმოვანშესატყვისობა, თუმცა ზანურში ო → გ → ი (გ. როგავა) ფონეტიკური მუტაციის დაშვებით ყველაფერი თავის ადგილზე დგება.

ს.-სინდ. *ცა- „ცოდნა“

უბიხ. ცა-, ს-ცა-ნ „ცოდნა“

ჯერ კიდევ ფუძესინდურში ჩანს ბოლოკიდური ნ დაკარგული – *ცან- → *ცა-, რასაც უბიხური ფორმაც ნათლად ასახავს. სხვა მხრივ, ს.-ქართვ. *ცან- : ს.-სინდ. *ცა- არქეტიპის მიმართება უნაკლოდ გვეჩვენება.

ამ რიგის იზოგლოსები სხვა იბ.-კავკ. ენებიდან ჩვენთვის უცნობია.

ს.-ქართვ. *ცარ-ე „ცარიელი“

ქართ. ცარ-იელ-ი, მო-ცარ-ულ-ი (?)

ზან. (მეგრ.) ჩვარ-ა „ცარიელი“, ჩვარ-ა ნემი „ცარიელი კაკალი“

სვან. ჰარ-ი „ცარიელი“

ზანური -ა და სვანური -ი სუფიქსაცია მხარს უჭერენ ფუძის აუსლაუტში -ე დაბოლოების რეკონსტრუქციას. ც → ჰ სვანურში, ხოლო ო → ვა ზანურში ის ტრანსფორმაციებია, რომლებიც მომდევნო პერიოდის შიდა ინოვაციად გვესახება.

ს.-სინდ. *ცურ- „ცარიელი“

აბაზ. ძგ-მ-ცირ-უ, აფხაზ. ა-თა-ცურ „ცარიელი“

რა თქმა უნდა, საკითხი ჩნდება ძირეული ც სიბილანტის ლაბიალიზაციის შესახებ სინდურ ფუძე-ენაში. და მაინც, აფხაზურ მონაცემს ვუწევთ ანგარიშს და ჩერქეზული შესატყვისის არქონის პირობებში რეკონსტრუქციას ვახდენთ აფხაზურის სასარგებლოდ.

ს.-ქართვ. *ცედ- „ცხენი; ძროხა“

ქართ. ცედ-, მო-ცედ-ი „საფურე ძროხა“ (საბა)

ზან. {ჩაჯ-ი} „ცხენი“

ძირად გამოყოფილ ცედნ- მორფემას (მო-სთვის შდრ. ქართ. ზვ-ობ-ა, უ-ზვ-ი, მო-ზვ-ერ-ი) ზანურში ჩაჯ- უნდა გვქონოდა შესატყვისად, ვინაიდან სიტყვის ფინალური დ → ჯ ისტორიულად მოქმედი ფონეტიკური პროცესია კოლხურში - ჯიდ-ი : ხინჯ-ი, ტრედ-ი : ტორონჯ-ი... ასევე ცედ-

ი : ჩაჯ-ი „ცხენი“. სწორედ ზანური ჩაჯ-ი „ცხენი“ შესატყვისი შემოგვინახა სვანურმა მინიმალური ჯ → ქ ცვლილებით, შდრ. სვან. ჩჷჟ, ჩჷჟ (ლშხ.) „ცხენი“.

ს.-სინდ. *ჩჷდ-ჷ „ვირი“

ადიდ. (შაფს.) ჩ გდგ, ჭემგ. შ გდგ, ბჟედ. შ გდ, ყაბ. შ გდ „ვირი“

უბიხ. ჩგდგ „ვირი“

აფხაზ. ა-ჩადჷ „ვირი“, ა-ჩადჷ-ჰ.უჟს „ჩოჩორო“

საერთოსინდური *ჩჷდ-ჷ არქექტიპი კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. *ცედ- ფორმას. ბუნებრივი ჩანს კორელაცია სემანტიკურ დონეზე ცხენი ~ ვირი.

სხვა იბ.-კავკ. ენებში შესაბამისი ძირ-ფუძეები ვერ გამოვლინდა.

ს.-ქართვ. *ცეჷ- „პატარა თევზი, ნაფოტა“

ზან. (მეგრ.) ცამ-ი // რცამ-ი // ცამ-უ-ია „პატარა თევზის სახეობა, ნაფოტა“

სვან. ცეჷ „ლიფსიტა“

ქართულში შესაბამისი ძირი დაკარგული ჩანს. აქ საკონტროლოდ სვანურიც იკმარებს, ვინა-
იდან უ → მ პროცესი საკუთრივ-მეგრული უნდა იყოს, შდრ. ქართ. ვემ-ა : მეგრ. მენჯ-ი.

ს.-სინდ. *ცჷჷჷ „თევზი“

აბაზ. -ჩჷჷ, სიტყვაში ფსლა-ჩჷჷ „თევზი“

მართალია, თევზის აღმნიშვნელი დარგობრივი ლექსიკა ცუდად არის შესწავლილი (და შემორჩენილიც) ჩვენს ენებში, მაგრამ აბაზური -ჩჷჷ ფორმის შესატყვისები, ქართველურის გარდა, იძებნება დაღესტნურ ენებშიც, შდრ.: ბავკალ. შჷჷჷ-შჷჷჷ, ხვარშ. ჩჷჷჷ, ლაკ. ჩაჷჷ-ჷ, უდ. ჩჷლი ← *ჩაჷჷჷ-ი „თევზი“.

ს.-ქართვ. *ცეკ- „ცეკვა; ბარბაცი; ჩინდრიკი“

ქართ. ცეკ-, ცეკ-ვ-ა „ფერჯის თითებით როკვა“, ცეკ-ვ-ა-ნა წყალზედ რომ მრავალნი ჭუნან რბიან“ (საბა)

ზან. (მეგრ.) ჩაკ-, ჩაკ-ალ-ი „ჩინდრიკი, ბორძიკით სიარული“, ჩაკ-აფ-ი „მხნე, ენერგიული სიარული“

ცხადია, რომ *ცეკ- არქექტიპის ძირითადი მნიშვნელობა სიარულის გარკვეულ სახეობას გახაზავდა, რაც ქართულში ცეკვად დამკვიდრდა. სპეციალურ ლიტერატურაში მეგრულისთვის მოყვანილ ჩაკ-ალ- ფუძეს ემატება ჩაკ-აფ-ი ფორმა [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 592].

ს.-სინდ. *კჷცჷ- „არაორდინალური სიარული“

უბიხ. კჷჩჷ-, სგ-კჷჩჷ-ნ „არაორდინალური სიარული“

ძირი განმარტოებით დგას უბიხურში, თუმცა, როგორც ეტყობა, ახასიათებს ფუძემდებურ წარმომავლობა. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს წარუმატებელი ცდა კჷჩჷ- ზმნის შემდგომი სემანტიკისა: კჷა + ჩჷა-, რაც ტენდენციურად გვესახება [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 491].

საყურადღებოდ გვეჩვენება კორელაცია ს.-სინდ. არაორდინალური სიარული ~ ს.-ქართვ. ცეკვა/ბარბაცი. გარდა ამისა, შებრუნებული წყობის ფონზე *კჷცჷ- : *ცეკ- არ ჩანს უინტერესო ქართ. კვეც-ა ზმნის მოხმობა – კვეც-ა ~ ცეკვ-ა (ა. ჭინჭარაული).

ს.-ქართვ. *ცელ- „ცელვა; მკა“

ქართ. ცელ-ვ-ა, ცელ-ავ-ს

ზან. (ლაზ.) ო-ნჩალ-უ // ო-ნცალ-უ „მკა; ცელვა“, მეგრ. ცალ-უ-ა // ჩალ-უ-ა „ცელვა“, ნა-ჩალ-უ/-ი „ნათიბი; ნაცელავი“

სვანური შესატყვისები ვერ გამოვლინდა. ამავდროულად ზანურ დიალექტებში სახეზეა მეორეული **ჩ** →//**ც** გასისინების პროცესი, რაზეც სამართლიანად მიუთითებენ, შდრ. ქართ. (← ზან.) **ჩალ-ა** [როგავა 1960 : 163].

ს.-სინდ. ***ცა**- „მარგვლა, თოხნა“

აბაზ. (ტაპანთ.) **ჩა**-რა „თოხნა“, აფხაზ. ა-**ჩა**-რა „მარგვლა“

იგივე **ჩა**- ძირის შემცველი ჩანს ტაპანთ. **ჩა**-გა, აბჟ. ა-**ჩა**-გა „თოხი“, სადაც -**გა** სადერივაციო აფიქსად გვევლინება, შდრ. ა-**ჟგ**-რა „თხრა“, ა-**ჟგ**-გა „ბარი“ (← სათხრელი)...

სინდურ-ქართველური არქეტიპების შესატყვისი უნდა ჩანდეს ნახურ ***ცან-ო** „სათიბელი“ სახელში, შდრ. ჩეჩნ. **ცანა**, ჭებ. **ცანო** // **ცონო**, ინგუშ. **ცონ**- „id“.

ს.-ქართვ. ***ცელ**- „ცელი“

ქართ. **ცელ**-ი „ბუნგრძელი სათიბი“ (საბა)

ზან. (მეგრ.) **ცალ**-ი „ცელი“

უეჭველი ჩანს ამ სახელური ძირების კავშირი ზმნურ **ცელ**-ვ-ა ფორმასთან [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 576]. რაც შეეხება სვანურ **მერჩილ** „ცული“ სიტყვას, იგი სხვაგვარ ეტიმოლოგიას გულისხმობს, აქ ვერ შემოვა.

ს.-სინდ. ***ცა**-ნგ „ხმალი“

უზიხ. **ცანგ** „ხმალი“

სიტყვა განმარტობით დგას უზიხურში, მაგრამ, ამავდროულად, იგი შეიცავს ფუძესინდური წარმომავლობის ***ცა**- ძირს, რომელიც საერთო ეტიმოლოგიისა ჩანს ს.-ქართვ. ***ცელ**- „ცელვა; მკა“ : ს.-სინდ. ***ცა**- „მარგვლა, თოხნა“ არქეტიპებთან ერთად (იხ. აქვე).

ნ/ლ მიმართებისათვის შდრ. ქართვ. **ცელ**-ავ-ს / **ცელ**-ი, მაგრამ ნახური ***ცან-ო** „სათიბელი“ / ***ცელ**- „თოხი“, ერთი მხრივ, და უზიხ. **ცანგ** „ხმალი“ : ლეზგ., კრიწ., ხინალ., ბუდუხ. **ჩინ** „ცელი“, მეორე მხრივ.

ს.-ქართვ. ***ცერ**- „ცერი“

ქართ. **ცერ**-ი „სხვილი თითი“ (საბა)

ზან. (მეგრ.) **ჩანჯ**-ი „ცერი“, ლაზ. {**ჩანჯ**-}, შდრ. ზან. **ჯანჯ**-უხა ← ***ჩანჯ**-უხა „ჩურჩხელა“

სვან. **ჩერ**-შდოლ „თითისტარი“

ზოგ ავტორთან სვანური შესატყვისი არ ჩანს [კლიმოვი 1964 : 228], არადა, ქართული **ცერ**-ის ზუსტი ეკვივალენტი **ჩერ** უნდა ყოფილიყო სვანურში, რაც ვლინდება კიდევ **ჩერ**-შდოლ სიტყვაში [ფენრიხი 2007 : 575].

ს.-სინდ. ***ცუ**შ „თითი“

უზიხ. -**ცუ**შ „თითი“

აფხაზ. -**ცუ**ა „თითი“

საერთოსინდური არქეტიპი რომ უ სონანტს შეიცავს, აიხსნება პრეისტორიული **რ**-ს რეფლექსაციით. ეს უკანასკნელი ქართველურში მყარად ზის. ამდენად, ს.-სინდ. ***ცუ**შ : ს.-ქართვ. ***ცერ**- კანონზომიერ სტრუქტურულ-ფონეტიკურ და სემანტიკურ შესატყვისობად მიიჩნევა.

აფხაზურ-უზიხურ ძირებს აკავშირებენ ბასკურ **be-atz** „თითი“ სიტყვასთან [ჩირიქვა 1985 : 100], რაც უპერსპექტივოდ არ გვეჩვენება.

ს.-ქართვ. ***ცეფ**- „ქალამანი; ფეხსაცმელი“

ზან. (ლაზ.) **ჩაფ**-ულ-ა „წულა“, მეგრ. **ჩაფ**-გლ-ა // **ჩაფ**-ულ-ა „ქალამანი“

სვან. **ჩაფ** „ფეხსაცმელი“

ქართულში შესაბამისი **ცეფ**- სახეობის ძირი დაკარგული ჩანს. ისტორიულად გამარტივდა,

ალბათ, სვანური ფუძის აუსლაუტურიც, რაზეც ე → წ (ჩეფ → ჩწფ) უკუუმლაუტის პროცესი მეტყველებს. სვანურში ზანური -ულ-ის შესაბამისი -უტ სუფიქსი გვგონია დაკარგული.

წ.-სინდ. *ცეფ- „ფეხსაცმელი“

ხათ. *šep* „ფეხსაცმელი“

როგორც სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, ხათური შესაძლებელია, ქართველურის შესატყვის სახელს ინახავდეს, სადაც თავკიდური ჰ სპირანტიზებული სახეობითაა წარმოდგენილი ისტორიული ჩ-ს სუფიქსია, ან სულაც ჩ აფრიკატის გრაფიკული აღრევით, ვინაიდან ლურსმულ დამწერლობას [ჩ] თანხმოვანი, როგორც დამოუკიდებელი გრაფემა, არ მოეპოვება [კოჭლამაზაშვილი 2015 : 168].

სხვა იბ.-კავკ. ენებში შესაბამისი ძირ-ფუძეები ვერ გამოვავლინეთ.

ს.-ქართვ. *ცუარ- „ძვირფასი ქვა“

ქართ. (რაჭ.) ცვარ-ი „ძვირფასი ქვა“

სვან. ლუ-ნცროუ-ე „მოჭედილი ძვირფასი ქვებით“

სიტყვის ზანური შესატყვისები დაკარგული ჩანს. სვანურშიც ფონეტიკური ცვლილებები საგრძნობია – ცუარ- → ცროუ → ნცროუ-.

ს.-სინდ. *ჩაზ- „ფოლადი“

ადიდ. (შაფს.) ჩაზ, ჭემგ. ჩერ/შერ, აბძახ. ჟერ, ყაბ. ჟერ, ბასლ. ჯერ „ფოლადი“

აბაზ. ჯერ, აფხაზ. ა-ჯერ „ფოლადი“

ფუძეენური მდგომარეობისათვის ამოსავალი ჩანს შაფსულური სახეობის ფორმა. საერთო-სინდურ დონეზე მოიშალა, როგორც ეტყობა, ძირეული სიბილანტის ლაბიალიზაცია, მაგრამ ამავდროულად ძირის აუსლაუტი უცვლელი დარჩა. არადა, მოსალოდნელი კი იყო რ → Ø პროცესი უძველეს ეტაპზევე, რასაც დად. (დარგ.) ჟარმა „ბრინჯაო“ ფორმაც ამოწმებს.

ყურადღებას მიიქცევს სემანტიკური კორელაცია *ფოლადი* ~ *ძვირფასი ქვა*, რაც კანონზომიერებას ექვემდებარება.

ს.-ქართვ. *ცუარ-ელ- „ქათამი (ორ თვემდე)“

ზან. (მეგრ.) ცურ-უ // ცურ-უ-ია „ქათამი ერთიდან ორ თვემდე“

სიტყვა პოვნიერია მხოლოდ მეგრულში. ქართველურ ენა-კილოებს შორის გამოვლენილ ბგერათმესატყვისობათა ჩვენების საფუძველზე აღდგება ფუძეენური *ცუარელ- არქეტიპი, შდრ. ს.-ქართვ. უა → ზან. უ, ს.-ქართვ. -ელ „სუფ.“ → ზან. -უ „სუფ.“.

ს.-სინდ. *რაცგ-ნა „ქათამი; დედალი“

აბაზ. არცგ-ნა „ქათამი; დედალი“, აფხაზ. არც-ნა „დედალი“

გვაკლია ჩერქეზული მონაცემები, რაც ართულებს რეკონსტრუქციის პროცედურას. მიუხედავად ამისა, ს.-ქართვ. *ცუარ-ელ- : ს.-სინდ. *რაცგ-ნა არქეტიპთა ნათესაობა ეჭვს არ იწვევს. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, დარგული ურც-ეს „ფრენა“ და ურც-ან // არც-ან „ფრინველი“ დერივატებიც მათთან საერთო წარმომავლობას ავლენენ, სინდურ-ქართველურ-დაღესტნური გენეტიკური ურთიერთმიმართებიდან გამომდინარე.

ს.-ქართვ. *ცუეთ-/*ცუით- „ჭრა“

ძვ. ქართ. ცუეთ-ს, და-ი-ცუით-ა „დაიჭრა“, წინა-და-ცუეთ-ა

ზან. (ლაზ.) ჩით-, ო-ჩით-უ „ჭრა, პობა“, დო-ფ-ჩით-ი „დავჭერი; დავაპე“

სვანური შესატყვისი ჯერჯერობით არ არის გამოვლენილი; ლაზური ჩით- (← *ჩვით-) ზმნური ალომორფი კანონზომიერად შეესატყვისება ძვ. ქართ. ცუეთ-/ცუით- ვარიანტებს [ვენრიხი, სარჯველაძე 2000 : 595].

ს.-სინდ. *ცაბ- „ჭრა“, *ცაბ-გ „ნაჭერი“
აბაზ. ჩეთ, აფხაზ. ა-ჩეთ „ნაჭერი; ნატეხი“

შესაბამისი ძირები ჩერქეზულ ენებში დაკარგულად მიიჩნევა. აფხაზურ-აბაზურშიც მხოლოდ სახელური ფორმები დასტურდება. ამ უკანასკნელში ჩუთ → ჩეთ, შეიძლება, ლაზურითი ძირეული სიბილანტის დელაბიალიზაცია განხორციელდა.

არ გამოვრიცხავთ ეტიმოლოგიურ კავშირს ს.-ნახ. *ცესთ- / *ცასთ- „ჭრა, კვეთა“ აბლაუტურ ზმნებთან [ჩუხუა 2008 : 585].

ს.-ქართვ. *ცუეც- „ცეხვა; ლეწვა“

ძვ. ქართ. ცუეც-, ნა-მ-ცუეც-ი, ახ. ქართ. ნა-მ-ცეც-ი

ზან. (მეგრ.) ჩაჩ-უ-ა „ცეხვა“, დო-ფ-ჩაჩ-ი „დაცეხვე“, ნო-ჩეჩ-ი „ნალეწი“

სვანური შესატყვისი ვერ გამოვლინდა. როგორც მიუთითებენ, ძველქართული ნამცუეც-ი წარმოშობით მიმღეობაა, შდრ. ნა-ტეხი, ნა-წერ-ი..., რომლის ცუეც- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული ჩაჩ- (← *ჩეაჩ-) „ცეხვა, ლეწვა“ ზმნა [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 595]. აქვე შემოვა სტრუქტურული შესატყვისი ნამცუეც- / ნამცეც-ისა მეგრ. ნო-ჩეჩ-ი, სადაც ა → ე აბლაუტური დერივაციის ერთ-ერთი ნიმუშია თავჩენილი, შდრ. ტახ-უ-ა „ტეხა“, ნო-ტეხ-ი „ნატეხი“...

ს.-სინდ. *ცაბა- „ლეწვა“

აფხაზ. ა-ჩაჩა-რა „ლეწვა“

საერთოსინდური არქეტიპის რეფლექსი მხოლოდ აფხაზურ ენას შემორჩა. არ გამოვრიცხავთ *ჩაჩა- → ჩაჩა- დელაბიალიზაციის მეგრულისებრ პროცესს აფხაზურშიც, მაგრამ დადესტურშიც არალაბიალიზებული ზმნა გამოჩნდება, შდრ. ლაკ. ჩაჩარ დან „ლეწვა“, ამიტომაც ლაბიალიზებულ ძირთა პოსტულაცია აუცილებლობას არ წარმოადგენს.

ს.-ქართვ. *ცუიგ- „უაზრობა“

ზან. (მეგრ.) ჩეიგ-ალ-ი „გამოშტერებული“, ჩეიგ-ინ-ი „უაზრო (მზერა, გამომეტყველება...)

ქართველურ ენებს შორის არსებული ბერათმესატყვისობათა ფორმულის მიხედვით, ზანურში ჩეიგ- სახეობის ძირის არსებობა ფუძეენური მდგომარეობისათვის *ცუიგ- სახეობის არქეტიპის პოსტულაციის შესაძლებლობაზე მეტყველებს.

ს.-სინდ. *ცუგ- „უვარგისობა; ბოროტება“

აბაზ. ჩუგა-ზლა-რა „გაბოროტება“, ჩუგა „ბოროტი“, აფხაზ. ა-ცუგა-ხა-რა „უვარგისობა, გაცუდება“, ა-ცუგა „ბოროტი“

აქ თავჩენილი ც : ჩ შესატყვისობა, ალბათ, ამოსავალი ც ფონემის რეფლექსაციაა. მნიშვნელოვანი ჩანს იმის აღნიშვნაც, რომ ფუძეენურმა გ ვიწრო ხმოვანმა ა-ში გადასვლამდე აფხაზურ-აბაზურში გ-ს პალატალიზაცია მოახდინა.

ს.-ქართვ. *ცუიგ- : ს.-სინდ. *ცუგ კანონზომიერ სტრუქტურულ-ფონეტიკურ შესატყვისობად გვესახება, რასაც თან ახლავს სემანტიკური კორელაცია უაზრობა ~ უვარგისობა.

ს.-ქართვ. *ცუილ-/*ცუინ- „ცვილი“

ქართ. ცუილ-ი „თაფლის სანთელი“ (საბა), ინგილ. ცვინ-ი „ცვილი“

ზან. (ლაზ.) მჩირ-ი // ჩირ-ი, მეგრ. ჩირ-ი ← *ჩვირ-ი „ცვილი“

სვან. ჯუილ „თაფლის სანთელი“

გარკვეული ფონეტიკური ცვლილებები შეინიშნება ზანურში – *ჩვირ-ი → ჩირ-ი; სვანურში კი ჯერ დამახასიათებელი ლ → დ განხორციელდა, რომლის შემდეგ ჩ → ჯ რეგრესულ-ასიმილა-

ციური პროცესი განვითარდა - **ჩ** - **დ** → **ჯ** - **დ**. მკვლევართა ნაწილი სვანური მონაცემის იგნორირებას ცდილობს [ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 596], გ. კლიმოვი, პირიქით, სვანურ მონაცემზე დაყრდნობით ახდენს ს.-ქართვ. ***ძუიდ**- არქეტიპის პორტულირებას [კლიმოვი 1964 : 229].

ს.-სინდ. ***ცუგ**- „ცვილი; ფიჭა“

უბიხ. **ცუა**-მღა „ფიჭა“

აბაზ. **ჩუა**-ბა, აფხაზ. ა-**ჩუა** // ა-**ცუა** „ცვილი“

ადვილი შესამჩნევია სინდურ მასალაში ბოლოკიდური **ლ**-ს უკვალოდ გაქრობა. ჩვენს შემთხვევაში **ლ**-ს არსებობაზე, ქართველურის გარდა, ნახური ენებიც მიუთითებენ, სადაც ზანურ-სვანურისებური **ლ** → **რ** / **ჩ** → **ჯ** გარდაქმნები შეინიშნება, შდრ. ჩეჩნ. **ჯურ**-გ // **ურ**-გ „ფიჭა“.

დადესტნურ ენებში თავჩენილია ქართველურისებული **ლ/ნ** (ინგილ. **ცინ**-ი „ცვილი“) სუბსტიტუცია, თუ, რა თქმა უნდა, ეს ფორმები ქართულიდან არაა შეთვისებული, შდრ. ჰინუხ. **ცენი**, ბეჟიტ. **ჩენი**, ჰუნზიბ. **ცინი** „თაფლის სანთელი“.

ს.-ქართვ. ***ცი**- „ციალი; ციმციმი, ელვარება“

ქართ. **ცი**-, **ცი**-ატ-ი „ციალი“, **ცი**-ალ-ი „ელვარება, ციმციმი“

ერთი შეხედვით, უცნაურია **CV** ტიპის ზმნური ძირის პოვნეირება ქართულში, მაგრამ მისი გამოყოფა უცილობელი ფაქტია. თუმცა ამასთანავე ეს ზმნა განმარტოებით დგას ქართულში. **ცი**-ფორმა არ ჩანს ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში, მაგრამ საბასთან იგი განმარტებულია როგორც – **ცი** **ა** **ლი** მცირე რამ ელვარება.

ს.-სინდ. ***ცე**- „ნათება; ელვარება“

აბაზ. (ტაპანთ.) ა-**ცე**, განუსაზღვრ. **ცე**-კ „ნათება; ელვარება“, აფხაზ. ა-**ცე**-რა „ბრწყინვა“

აბაზურ-ქართული იზოგლოსები ერთგვაროვანი აგებულებისაა. აქ **ც** : **ც** სიბილანტურ იდენტურობას თან ახლავს კანონზომიერი შესატყვისობა ხმოვნებში – ს.-ქართვ. **ი** : ს.-სინდ. **გ**, რაც რეგულარულად ვლინდება. ქართულ-აფხაზურ ძირთა ერთიანობა ცნობილია [ბლაჟბა 1948 : 42].

შეიძლება, დადესტნური შესატყვისი ჩანდეს ახვახურ **ჩირ**-დე „ელვა“ ზმნაში, რომელიც სხვა ანდიური ენებისათვის ***ცირ**- სისინა არქეფორმის არსებობას უჭერს მხარს.

ს.-ქართვ. ***ციბ**-/***ცაბ**- „მაღალი კედელი, გვერდი“

ქართ. **ცი**-**ცაბ**-ი „ფრიალო გვერდი ამართული“ (საბა), **ცი**-**ცაბ**-ო (ქეგლ)

სვან. **ციბ** „მაღალი ღობე; გალავანი“

თუ სვანურს დავეყრდნობით, ირკვევა, რომ შესატყვისი სიტყვა ქართულში ფუმეგაორკეცებით არის მიღებული – **ციცაბ**- ← ***ციბ**-**ცაბ**-.

ს.-სინდ. ***მეც**- „კედელი“

აფხაზ. -**მეც**- სიტყვაში ა-თძა-**მეც** „კედელი“

მართალია, აფხაზურში სიტყვა იზოლირებულად დგას, მაგრამ მისი ქართველური შესატყვისები იმაზე მიუთითებს, რომ ეს აფხაზური ძირი ფუმესინდური წარმომავლობისაა. ამაში კიდევ უფრო მყარად გვარწმუნებს დადესტნური ინფორმაცია, სადაც ლეზგ. **მაც**, ხუნძ. **ბუც**-ურ „კედელი“ მრავალმხრივ საგულისხმოა, კერძოდ, ძირის გახმოვანების მხრივ (**მაც**, აფხ. -**მეც**) და **მ**-ს **ბ** შესატყვისისთვის ხუნძურში, რომელიც ქართველურს მიჰყვება.

ს.-სინდ. ***მაც**- : ს.-ქართვ. ***ციბ**- შებრუნებული წყობის ძირებია, რაც ამ ტიპის (სტრუქტურის) ფორმებში ჩვეულებრივი მოვლენა ჩანს; და თუ ლეზგიურ-ხუნძური აფხაზური ტიპისაა, ბეჟიტური **ცუმ**-რი „ნაპირი“ ქართველურს მიჰყვება.

ს.-ქართვ. *ციუ- „ცივი“

ქართ. ცივ-ი, გა-ცივ-დ-ა, სი-ცივ-ე

ზან. (ლაზ.) ჩე-, სიტყვაში ჩე-ჩხურ-ი „ციებ-ცხელება“

შესაბამისი სვანური ძირი ჯერჯერობით არ იძებნება. რაც შეეხება ზანურ ეკვივალენტს, იგი ჩე-ჩხურ- კომპოზიტი ჩანს შემორჩენილი, რაც უდრის ციებ-ცხელებას.

ს.-სინდ. *ცუჟ „ცივი“

უბიხ. ჩჟ „ცივი“

ამ შემთხვევაში ძირეული თანხმობის პალატალიზაცია ნაშთია ოდესღაც ლაბიალიზებული სიბილანტის ლაბიალიზაციისა – *ჩჟ → ჩჟ. როგორც არაერთ სხვა მაგალითშიც ვნახეთ, ცუ → ც რეგულარულად ვლინდება უბიხურში.

არქეტიპული შესატყვისობა ს.-ქართვ. *ციუ : ს.-სინდ. *ცუჟ ასევე წარმოაჩენს ი : ჟ ხმოვნურ ოპოზიციას, რაც რეგულარულად ფიქსირდება.

ს.-ქართვ. *ციზ- „ჟინჟვლა, ცრა, მცირე წვიმა“

ზან. (მეგრ.) ციზ-აფ-ი „ცრა (წვიმისა), თქორი, ჟინჟვლა“, ციზ-ან-ს „ცრის, ჟინჟვლავს“

ფუძეენური წარმომავლობის ციზ- ზმნა მხოლოდ მეგრულს შემორჩა. ამ უკანასკნელს სა-რწმუნო შესატყვისები ეძებნება ყველა ჯგუფის იბერიულ-კავკასიურ ენებში.

ს.-სინდ. *ძუს- „წვიმა“

აფხაზ. (ბზიფ.) ა-ძუს-ამთა „წვიმიანი სეზონი“

ისევე როგორც ქართველური ენების შემთხვევაში, სინდური არქეტიპის რეკონსტრუქცია მხოლოდ აფხაზური ენის ბზიფური დიალექტის საფუძველზე ხერხდება. ეს უკანასკნელი სისინ-შიშინა სიბილანტებით არის წარმოდგენილი. ქართველურ-სინდურში შეიმჩნევა მჟღერ სიბილანტთა სუბსტიტუცია, აფხაზურში თავკიდური სიბილანტია მჟღერი, მაშინ, როდესაც მეგრული სიტყვის ბოლო სპირანტის სიმჟღერეს აჩვენებს.

სხვა იბ.-კავკ. ენათა ჯგუფებში მხოლოდ ასიმილირებული ალომორფობია თავჩენილი, შდრ. ნახ. ჩიშ- „ფსმა“, დად. (უდიური) ჩიშ- „id“.

ს.-ქართვ. *ცილ- „კანი, ქერქი“

ქართ. (ზ.-იმერ.) ცილ-ი „გოგრის, საზამთროსა და მისთნათა კანის თეთრი ნაწილი“

ზან. (ლაზ.) ცელ-ა „ქერქი, ქერცლი“

ლაზური ფუძის აუსლაუტმა შეიძლება კორექტივი შეიტანოს ს.-ქართვ. არქეტიპის რეკონსტრუქციის საკითხში – *ცილ-ე (?).

ს.-სინდ. *ცუჟ „კანი“

ადილ. შუა-, ყაბ. ჭა ← შუა „კანი; ფერი“

უბიხ. ცუა „კანი“

აბაზ. ჩუა, აფხაზ. ა-ცუა / ა-ჩუა „კანი“

სინდური ენების მიხედვით, ფონეტიკურ პროცესთა განვითარება საგრძნობია განსაკუთრებით ყაბარდოულში – ცუ → ჩუ → შუ → შუ → ჭ.

ცხადია, ს.-ქართვ. *ცილ- და ს.-სინდ. *ცუა – არქეტიპთა შედარებისას ირკვევა, რომ ლ → უ და ი → ჟ → ა ფუძე-სინდურში განხორციელდა.

ს.-ქართვ. *ცილ- „სიცრუე, ტყუილი“

ძვ. ქართ. ცილ-ი „სიცრუე, ტყუილი“, ცილ-ებ-ა „მოტყუება“, ცილ-ის შეწამება „ცილისწამება“, ნა-ცილ-ი „მონატყუარი“

ქართველურ ენა-კილოებში შესატყვის ძირებს ვერ ვპოულობთ, მიუხედავად იმისა, რომ

ცილ- ფორმა მეტად ფართოდ არის წარმოდგენილი უძველეს ქართულ წერილობით წყაროებში: „არა ც ი ლ ი ჰფუცო“; „ბიწ ბოროტ არს კაცისათვის ც ი ლ ი ს ა სიტყვაჲ“ „არა გამოვიდეს ნ ა ც ი - ლ ი პირისაგან მონისა შენისა“ [აბულაძე 1973 : 516; 324].

ს.-სინდ. ***ცუღ**- „ცუდი“

უბიხ. ა-**ცუღ** „ცუდი; ბოროტი“

თავკიდურ ა-ს საკუთრივ უბიხურ მონაცემად მიიჩნევენ [კვახაძე 2014 : 214]; ალბათ, ზოგადობის ა- პრეფიქსია, უბიხური მონაცემი საკმაოდ სიზუსტით ასახავს ფუძემდებურ მდგომარეობას. ს.-ქართვ. ***ცილ**- : ს.-სინდ. ***ცუღ**- არქეტიპთა შეპირისპირება არკვევს, რომ **ლ** → **ჭ**, ისევე, როგორც **ი** → **გ** საერთოსინდურ ფუძე-ენაში განხორციელდა.

სემანტიკური კორელაცია *ტყუილი* ~ *ცუდი* ბუნებრივად გვესახება, კანონზომიერია.

ს.-ქართვ. ***ციმციმი**- „ციმციმი“

ქართ. **ციმციმი**-ი „მზის სინათლის მღელვარება“ (ჩუბინაშვილი), **ციმციმი**-იან-ი „струиный“ სიტყვა დასტურდება მხოლოდ ქართულში; გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“, აგრეთვე „ვისრამიანსა“ და „რუსუდანიანში“. ჩანს, იგი საერთოქართველური ფუძე-ენიდან მომდინარეობს.

ს.-სინდ. ***ცმცმ**- „ნათება, ბრწყინვა“

აფხაზ. ა-**ცამცამ**-რა „ბრწყინვა, ნათება“

ქართულ-აფხაზური იზოგლოსია, რომელსაც ერთგვაროვანი აგებულება და სემანტიკა ახასიათებს. სიტყვა ორსავე ენობრივ ქვესისტემაში რედუპლიცირებულ სახეობას წარმოადგენს და, ამავდროულად, სიმბოლიკური აგებულებისაა. პოვნური ოპოზიცია ს.-ქართვ. **ი** : ს.-სინდ. **ჰ** კანონზომიერებას ექვემდებარება, სავარაუდოა **ი** → **გ** → **ა**.

სხვა იბ.-კავკ. ენებში შესატყვისი ძირებიდან საყურადღებოა თაბას. **ცირცირ**-ად „ჰრაქი“.

ს.-ქართვ. ***ცირ-ე** „პატარა, მცირე“

ქართ. **მცირე**, უ-**მცრ-ო-მს-ი**, შე-**მცირ-ებ-ა**

ზან. (მეგრ.) **ცირა** „გოგონა“, მა-**ცირ-ია** „ყმაწვილქალობაში შესული გოგონა“

არ არის გამორიცხული, თავკიდური **მ** ქართულში განვითარდა სხვა ცირკუმფიქსიანი სახელების ზეგავლენით, შდრ.: **მ-წარ-ე**, **მ-ლაშ-ე**, **მ-მალ-ე**, **მ-ჩატ-ე**...

ძველი ქართულიდან კარგად ცნობილ **მცირე** სახელს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **ცირა** სიტყვა [ბროსე 1849 : 70-73].

ს.-სინდ. ***ცგრ-ჰ** „მცირე ნაწილი; მარცვალი“

აბაზ. (ტაპანთ.) **ცგრა** „მარცვალი“, აფხაზ. ა-**ცგრა** // ა-**ცრა** „ნაწილაკი; მარცვალი“

გამოსარიცხია რამენაირი კავშირი **-ც-** *ერთის* ან *სიმცირის* აღმნიშვნელ ძირთან [შდრ. ჩირიქ-ბა 1996 : 66]. პირიქით, აფხაზურ-აბაზური **ცგრა** პირდაპირი გაგრძელება ჩანს ს.-სინდ. ***ცგრ-ჰ** არქეტიპისა, რომლის ჩერქეზულ რეფლექსებსაც ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვ. ***ცირთ**- „ქვების გროვა (ყანის მიჯნაზე)“

სვან. **ჩირთ** „ქვების გროვა (ყანის მიჯნაზე)“

სხვა ქართველურ ენა-კილოებში შესაბამისი სახელური ფუძე არ დასტურდება, ხოლო სვანურის მიხედვით რეკონსტრუირებული ფუძემდებური პროტოტიპი ***ცირთ**- სახეობისა უნდა ყოფილიყო, შდრ. ქართ. **ც** : სვან. **ჩ**-, ს.-ქართვ. ***ც**.

ოსური **ცირთ** „საფლავის ქვა“ შეიძლება ქართულ ეკვივალენტს ინახავდეს.

ს.-სინდ. ***ჩგთ**- „კედელი; ღობე“

უბიხ. **ჩგთ** „კედელი; ღობე“

საერთოსინდური არქეტიპი აღდგება უბიხური ნიმუშის მიხედვით, რომელსაც საკმაოდ

სრულად შემოუნახავს ფუძეენური მდგომარეობა. ერთადერთი, რასაც ვერ ვხედავთ უბიხურში, ქართველური რ სონორია; სვანურში რ-ს პოვნეირება უძველესი ჩანს, ვინაიდან იგი ნახურ ენათა კანონზომიერ შესატყვის ჩურთ „სტელა“ სიტყვაშიც გამოჩნდება.

ს.-ქართვ. *ციფ-ო „გამხდარი“
ქართ. (იმერ.) ციფო გამხდარი, ულამაზო“
სვან. ჩტიფ-ე „ადნობს“, ჩტიფ-ენ-ი „დნება“

ზანური შესატყვისი ვერ გამოვლინდა. როგორც ეტყობა, ქართულ ციფო-ს სვანურში სახელური ჩიფტ ფუძე შესატყვისებოდა, რომლისგანაც ნასახელარი ზმნა მეტათეზირებული ჩტიფ- სახეობით დამკვიდრდა სვანურის დიალექტებში. დნობა / გახდობა ქართულში სინონიმე-ბია, შდრ. ქართ. დამდნარი = გამხდარი.

წ.-სინდ. *ციფ- „პატარა“
ხათ. cip „პატარა“

სპეციალურ ლიტერატურაში დამოწმებულია თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ხათურ cip „პატარა“ სიტყვას აბაზური ჭკვზ „პატარა“ შესატყვისება [ბრაუნი 2002 : 328]. ამგვარი მიდგომა სცილდება ფონეტიკურ კანონზომიერებებს. ბევრად უფრო მეტი არგუმენტი აქვს ხათურ-ქართველურ სიტყვათა ერთიანი წარმომავლობის მტკიცებას.

სხვა იბ.-კავკ. ენებში შესაბამისი ძირ-ფუძეები ჯერჯერობით არ ჩანს.

ს.-ქართვ. *ციქ- „პატარა; ცოტა“
ზან. (ლაზ.) მ-ციქ-ა // ციქ-ა „ცოტა“, მ-ციქ-ა-მ-ციქ-ა „ცოტ-ცოტა“

სახელური ციქ- ძირი მხოლოდ ლაზურშია დამოწმებული. მ-ციქ-ა ფორმაში მ-ა კონფიქსური ჩანს, რასაც ქართულში მ-ე (მ-ცირ-ე, მ-ძიმ-ე...) კანონზომიერად შესატყვისება.

ს.-სინდ. *ციქ- „დაბალი“
აბაზ. (ტაპანთ.) ჩჯქ „დაბალი“ (მცენარეზე)

ლაზურ-აბაზური იზოგლოსების საყურადღებო პარალელი გამოვლინდა დაღესტნურშიც, შდრ. რუთულ. ჯქჟ „დაბლა“, თუმცა მთლად ნათელი არ არის ჩ → ჯ გამჟღერების მექანიზმი რუ-თულური სიტყვის ანლაუტში. ჩვენი აზრით, ამასვე ეხმიანება ჰურიტული ზუგგ „პატარა, დაბალი; მოკლე“ მჟღერი ფორმაც.

საკითხი დამატებით კვლევა-ძიებას საჭიროებს.

ს.-ქართვ. *ციქუ- „ჩირგვი“
ზან. (მეგრ.) ჩიქვ-ი „პატარა ჩირგვი, ბურქი“, მეგრ. ჩიქვ-ი „ჩირგვი“

აჭარული ჩიქვ-ი „პატარა ჩირგვი“ ზანიზმი ჩანს. თუ გავითვალისწინებთ ქართ. ც : ზან. ჩ ბგერათშესატყვისობას, ცხადია, ფუძე-ენისათვის *ციქუ- არქეტიპი აღდგება.

ს.-სინდ. *ცუქუ- „კონა, შეკვრა; ქოჩორი, ჯაგი“
უბიხ. ცუქუ-ა „კონა, შეკვრა“, „თმის ქოჩორი“
აფხაზ. ა-ქუც „ჯაგი“, ა-ქუც-რა „ჯაგნარი“

უბიხური ვარიანტი ახლოს დგას ფუძეენურ არქეტიპთან, აფხაზურში სიტყვა შებრუნებული წყობისაა, რაც საკუთრივ-აფხაზური მოვლენა ჩანს, შდრ. მოქმედი სუბსტიტუცია აფხაზურში -- ს-ცუქუ // ა-ქუცუ „მწვერვალი, წვერო“.

გასარკვევია ქართული ქუჩ- „ქუჩი“ ფუძესთან მიმართება.

ს.-ქართვ. *ცილტ- „დანა“

ქართ. ცილზ // ცილვ-ი „დანა მოსაკეცი“ (საბა)

სიტყვა განმარტოებით დგას ქართულში. ადრე ვფიქრობდით მის გენეტიკურ კავშირზე სვანურ ცაყ//ცაყ ჯოხი“ სიტყვასთან [ჩუხუა 2000-2003 : 344], რაც არ მიგვაჩნია სათანადოდ დასაბუთებულად.

ს.-სინდ. *ცყ-ა „ეჩო, ცული“

აფხაზ. ა-ცაყ-ა „ეჩო, ცული, ნაჯახი“

საერთოსინდური არქეტიპის რეფლექსი მხოლოდ აფხაზურში შემოგვრჩა.

ქართული ძირის ლაბიალიზაციას ეხმიანება დალესტნური ინფორმაცია. ვფიქრობთ, ა-ცაყ-ა / ცილტ- ალომორფთა კანონზომიერი შესატყვისი იკითხება თაბასარანულ ჩაყუ „დანა“ სიტყვაში.

სემანტიკური კორელაცია დანა ~ ეჩო / ცული მისაღები ჩანს, მით უფრო, მაშინ, როდესაც სახეზეა სტრუქტურულ-ფონემური ერთგვაროვნება.

ს.-ქართვ. *ციყუ- „ციყვი“

ქართ. ციყვ-ი, მციყვ-ი // მციყვ // ციყვ (საბა)

ზან. (მეგრ.) ციყვ-ი „ციყვი“

სვანური შესატყვისი ვერ გამოვლინდა. ქართ. ციყვ- : ზან. ციყვ- კანონზომიერი შეფარდებაა, რომელსაც თავს არიდებენ ეტიმოლოგიურ კვლევებში. რატომღაც საერთო მასალა არ აისახა ჰ. ფენრიხის გერმანულენოვან ლექსიკონში [ფენრიხი 2007 : 561].

ს.-სინდ. *ცღლტ-ა „კვერნა; თაგვი“

ადილ. ცღლტა, ყუბ. ძღლტა „თაგვი“

აფხაზ. ა-ცღლ „კვერნა“

უბიხურში სათანადო ძირი არ ჩანს. აბაზური წღლ და ბზიფური ა-წღლ „კვერნა“ რაღაც სხვა ფუძესთან უნდა იყოს კონტამინირებული, ამიტომაც აქ არ შემოგვაქვს (შდრ. ბეჟიტ. (ტლად.) ჭყეი „ციყვი“, უდ. ციღა // წყე „თრითინა“).

აღბათ, სინდურ-ქართველურ არქეტიპებს ეთანადება ს.-ნახ. *ცტაკ-ალ „მელია“, შდრ. ბაცბ. ცოკალ „id“ [ჩუხუა 2008 : 587].

თავის დროზე იბერიულ-კავკასიურ ენათა მასალის საერთო წარმომავლობაზე გ. კლიმოვი მსჯელობდა [კლიმოვი 1968 : 229].

ს.-ქართვ. ციც- „მწერი, ჩრჩილი“

ქართ. ციც-ი-ნათელა (საბა)

ზან. (ლაზ.) ჩიჩ-ი „ჩრჩილი“

ქართულში სახეზეა კომპოზიტური შედგენილობის ციც-ი-ნათელა უმველესი სიტყვა, რომელიც ნასესხობის სახით უკვე ძველ ლათინურში ფიქსირდება, შდრ. ლათ. (← ქართ.) cicindela „ციცინათელა“ [კლიმოვი 1998 : 272].

ს.-სინდ. *ცც- „ქინქლა“

აბაზ. ცც, აფხაზ. ა-ცც, ბზიფ. ა-ცც „ქინქლა“

ჩერქეზულ ენებში შესაბამისი სახელური ფუძე დაკარგულად ითვლება. თუმცა გარეენობრივი მონაცემები ამტკიცებს, რომ იგი დამახასიათებელი იყო იბ.-კავკ. ფუძე-ენისათვის; ამ მხრივ ღირებული ჩანს ნახ. (ბაცბ.) ციც-აღო „მწერი“ და დალ. (უდ.) ცეც „მღილი, ჩრჩილი“, ახვახ. ცოცოლო „ხოჭო“ ენათა მონაცემები.

ს.-ქართვ. *ციც- „ძუძუ“

ზან. (ლაზ.) ციც-ილ-ი (ნ. მარი), ციც-ი „ძუძუ“

კოლხური ენის მეგრულ დიალექტშიც დასტურდება ლაზური ციც-ი / ციც-ილ-ი ტიპის ფორმები, მაგრამ მნიშვნელობით მხოლოდ *მცირე / წვრილზე* მიუთითებენ (ა. ქობალია).

ს.-სინდ. *ცუცუშ „ძუძუ; ქალის მკერდი“

ყაბ. ცუცუშ „ქალის მკერდი“, ცუცუშ-უ „ჩვილი, ძუძუთა ბავშვი“

-უ ცნობილი სადერივაციო სუფიქსია ადილურ ენებში - ცუცუშ „ქალის მკერდი“ + -უ (სუფ.)

→ ცუცუშ-უ „ჩვილი, ძუძუთა ბავშვი“.

სინდურ-ქართველურ ძირთა ერთიანი პალეოკავკასიური წარმომავლობა უეჭველი ჩანს, ამიტომაც ლაზური ალომორფების სომხური წარმომავლობის მტკიცება (ნ. მარი, ა. თანდილავა) გადახედვას მოითხოვს.

ს.-ქართვ. *ციც- „დანამცეცება“

ზან. (მეგრ.) ჩინჩ-უ-ა // ჩინჩ-ოლ-უ-ა „დანამცეცება; მსხვრევა“, დო-ბ-ჩინჩ-ოლ-ი „დავანამცეცე; დავამსხვრიე“, ჩინჩ-ი „მცირე, ნამცეცა“

ინლაუტური ნ მეგრულში ფონეტიკური ჩანართია - ჩიჩ- → ჩინჩ-, რაც ცნობილი ფონეტიკური პროცესია [ქლენტი 1953 : 588]. მოსალოდნელი ციც- და ჩიჩ- არც ძველი ქართული ტექსტებიდან არც ახალ ქართულიდან თუ სვანურიდანაა ჩვენთვის ცნობილი.

ს.-სინდ. *ჩეჩ-ა- „დანამცეცება“

აფხაზ. ა-ჩაჩა „პურის ნამცეცები“, ბზიფ. ა-ჩ`ეჩ` „პურის და სხვ. ნაფხვენი, ნამცეცი“

ადილური მონაცემები გვაკვლია, თუმცა ფუძის ამოსავალ სახეობაზე არაორაზროვან მინიშნებას იძლევა აფხაზური ალომორფი. გ → ა ასიმილაციის შედეგია აფხაზურში, რასაც ბზიფურის ჩვენება ამყარებს.

სინდურ-ქართველური იზოგლოსების ჩვენება ჯდება ბგერაშესატყვისობათა გავრცელებულ ფორმულში – ს.-ქართვ. სისინა : ს.-სინდ. შიშინა.

ს.-ქართვ. *ციცა- „ქალიშვილი“

ქართ. (გურ.) ციცა-ი „ქალიშვილი, ქალი“, აჭარ. ციც-ა-ი „გოგო“, ინგილ. ციც-ა-ე „მშიშარა“

სიტყვა განმარტოებით დგას ქართულში. მიუხედავად ამისა, მისი ფუძეენური წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს, ვინაიდან მეტად საყურადღებო გარეენობრივი იზოგლოსები უდასტურდება. ინგილოური *მშიშარა*, ალბათ, *გოგოს* სემანტემის შემდგომი განვითარებაა, შდრ. მეგრ. ზურა „მშიშარა“ : სვან. ზურალ // ზურალ „ქალი“.

ს.-სინდ. *ცცა „რძალი; პიროვნება“

უბიხ. ცცა „ადამიანები, პიროვნებები“

აბაზ. თაცა, აფხაზ. ა-თაცა „რძალი“

გვაკვლია ადილური შესატყვისები. აფხაზურ-აბაზურშიც ისტორიულად დისიმილაციური დეზაფრიკატიზაცია განხორციელდა – *ცაცა → *თაცა, რაზეც უბიხური ფორმა მეტყველებს. მნიშვნელობის მხრივ, ქართულთან მეტ სიახლოვეს აფხაზურ-აბაზური ავლენს.

სინდურ-ქართველურ ძირ-ფუძეთა შესატყვისი შეიძლება, ჩანდეს დარგ. (მეკებ.) ჩაშარი „ქალიშვილი“ სიტყვაში, ნახურ იზოგლოსებს კი სავარაუდოდ ოსური ჩეზ-გ (← *ჩეც-გ) „ქალიშვილი“ სიტყვა ინახავს.

ს.-ქართვ. *ციც-ა „კატა (სახეობა)“

ქართ. ციცა „კატა ფრანგულია ქართულად ციცა ჰქვიან“ (საბა), ფერეიდნ. ციცა „კატა“

ზან. ციცო „კატის ერთ-ერთი სახელი“, შდრ. მეგრ. ცეცხ-გ „კატის დასაფრთხობი მიმართვა“

სვან. ციცუ → // ცუცი (ბქ.) „კატა“

ბოლოკიდური ა სვანურში რედუქციით უ-ში ჩანს გადასული, რაც ხშირად ხდება [ჩუხუა 2000-2003 : 88].

ს.-სინდ. *ცცუ „თახვი“

უბიხ. ცუცუ „თახვი“

სხვა აფხაზურ-ადიღურ ენებში შესაბამისი ძირები არ იძებნება [შდრ. აბდოკოვი 1973 : 50]. უბიხურში შეინიშნება ც → ც მეორეული პროცესი, რაც მნიშვნელოვანია სისინ-შიშინა ფონემათა ევოლუციისათვის ცალკეულ შემთხვევებში.

სემანტიკურად კატა ~ თახვი ნორმალური ოპოზიცია ჩანს, რასაც ეხმიანება ნახურ ენათა ცისქ / ციცრ, ციც-იგ (ჩეჩნ.) „კატა“ შესატყვისები.

ს.-ქართვ. *ცოლ- „ქალი, ცოლი“

ქართ. ცოლ-ი, ცოლ-ებ-ა-მ, ცოლ-იერ-ი, ბი-ცოლ-ა

ზან. (ლაზ.) ჩილ-ი „ცოლი“, ო-ჩილ-უ „ცოლის შერთვა“, ჩილ-ერ-ი „ცოლიანი“, მეგრ. ჩილ-ი „ცოლი“, ჩილ-ამ-ი „ცოლიანი“, ჩილ-ორ-ი / ჩილ-ორთ-ი „ცოლოური“

სვან. ჩურ-, და-ჩურ, და-ჩურ (ლშხ.) „და ძმისათვის“

თუ დავშლით სვანურ ფორმას, აქ და- დის აღსანიშნავად გამოიყოფა, ხოლო ჩურ- / ჩურ- გამოდის, ქალის აღმნიშვნელი სიტყვაა. ე.ი. სვან. და-ჩურ = და-ქალი (ძმისთვის).

ქართული ცოლ- სახელური ფუძე ცნობილია უძველესი ქართული წერილობითი ძეგლებიდან [კლიმოვი 1964 : 230; ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 601].

ს.-სინდ. *ცალ- „რძალი“

აბაზ. ამ-ცალ-ა, აფხაზ. ა-ცა, ბზიფ. ა-ცა „რძალი“

ჩერქეზული შესატყვისები გვაკლია, თუმცა აფხაზურ-აბაზურ შესატყვისებიც თვალნათლივ აჩვენებენ, რომ საერთოსინდურში პოვნიერი იყო ცალ- ტიპის არქეოფორმა, რომელიც ს.-ქართვ. *ცოლ- ფუძის კანონზომიერი შესატყვისი ჩანს. აბაზურში ფუძეეწერი ლ-ს შენარჩუნება მიეწერება აფიქსურ ა-ს სიტყვის ბოლოში.

არ გამოვრიცხავთ დალესტნურ - ხუნძ. ჩი, ლაკ. ჩუტ „კაცი“ - სიტყვებთან გენეტიკური ერთიანობის შესაძლებლობას...

ს.-ქართვ. *ცომ-ა „ერთგვარი თევზი“

ზან. (მეგრ.) ჩვამა „თევზის ჯიშია“

ფუძეეწერი მონაცემის რეკონსტრუქცია ოდენ-მეგრული ალომორფის საფუძველზე გვიწევს, რაც საფრთხილოა, თუნდაც იმიტომ, რომ მხოლოდ ქართ. ო : ზან. ო → // ვა ტრანსფორმაციის შესაძლებლობას ეფუძნება.

ს.-სინდ. *ცუშმა „ჭია“

აფხაზ. ა-ცუშამა // ა-ცუშამა „ჭია (მუცლის)“

საზოგადოდ ბოლოკიდური -მა სადერივაციო აფიქსის გამოყოფა აფხაზურ-აბაზურში არ ჩანს შეუძლებელი, შდრ. მაგალითად ა-ჭუჯუ-მა, ქუჯუ-მა „მგელი“ [იხ. აქვე]. მაგრამ, რაც შეეხება ამ შემთხვევას, აქ ცუშა- სეგმენტის ძირად, ხოლო -მა-ს სუფიქსად გამონაწევრებას [ჩირიქვა 1996 : 72], ლიგვისტური საბუთიანობა აკლია.

საკმაოდ ბუნებრივი ჩანს სემანტიკური კორელაციაც – თევზი ~ ჭია.

ს.-ქართვ. ***ცოფ**- „დუჟი; ცოფი, გაცოფება“

ქართ. **ცოფ**-ი, გა-**ცოფ**-ებ-ა, პირიდან **ცოფ**-ს ყრის, **ცოფ**-მორეული

დასახელებული კონტექსტებიდან ბოლო ორი აშკარად მიუთითებს **ცოფ**- ფუძის ამოსავალ მნიშვნელობაზე; **ცოფ**-ის ყრა, **ცოფ**-მორეული (= დუჟ-მორეული) გულისხმობს პირვანდელ სემანტიკას – *დუჟს/ქაფს*, რაც, სამწუხაროდ, არ აისახა ქართულ ლექსიკონებში. ფაქტია, *ცოფი*, როგორც დაავადება, ვითარდება *ცოფის*, ანუ სითხის (ქაფის, დუჟის) გამოვლენის შემდგომ, და არასდროს პირიქით.

ს.-სინდ. ***ჩაფა**- „მიწებება, ჭედვა / კვერვა“

აბაზ. **ჩფა**-რა, აფხაზ. ა-**ჩაფა**-რა „შელესვა, მიწებება; ჭედვა / კვერვა“

თუ ფორმალური თვალსაზრისით **ცოფ**-/**ჩაფა**- მიმართებაში პრობლემები არ იკვეთება, მხოლოდ სათანადო ახსნას ითხოვს ფუძეთა სემანტიკური მხარე – *წებება/ჭედვა ~ ქაფი*. მათ შორის სიღრმისეული კავშირი კარგად ჩანს შესაბამისი რუსული სიტყვა **накип**-ის სემანტიკურ ველში: 1. ქაფი; 2. მინადული.

სხვა იბ.-კავკ. პარალელებიდან საყურადღებოა ნახურ ენათა **ჩჭოფა** / **ჩოფ** „ქაფი“, რაც სემანტიკით უფრო ქართულთან ავლენს სიახლოვეს.

ს.-ქართვ. ***ცოცო**- „ქონი; ქათმის ქონი“

ზან. (მეგრ.) **ცოცო**-ბ-ე „ქონიანი“; „ქათმის ქონი“

სიტყვა მხოლოდ მეგრულს შემორჩა. მის საერთოქართველურ წარმომავლობას მხარს უჭერს გარეენობრივი მონაცემები (იზოგლოსები).

ს.-სინდ. ***ცუტუტა**- „გასუქება“

აფხაზ. ა-**ჩუტუტ**-რა „გასუქება“

აშკარად იკვეთება აფხაზურ-მეგრული იზოგლოსების ფუძეენური ეტიმოლოგია. ისინი ერთმანეთამდე სესხების გზით არ დაიყვანება. -ბ- სუფიქსაცია მეგრულში მხოლოდ უძველესი (მკვიდრი) ლექსიკის წიაღში ფუნქციონირებს, შდრ. ტყა „ტყე“, მაგრამ ტყა-ბ-ი „ტყიური“, ტყა-ბ-თხირ-ი „ველური თხილი“.

სინდურ-ქართველური იზოგლოსების კანონზომიერი შესატყვისი გამოვლინდა დადესტნურ ენებშიც, შდრ.: ბეჟიტ. **ცოცო** „ქონი“, იქნებ, ანდ. **სოსი** (← ***ცოცი** (?)) „id“.

ს.-ქართვ. ***ცოხ**- „ძოვა, ცოხნა, სუქება“

ქართ. **ცოხ**-ნ-ა, მ-**ცოხ**-ნ-ელ-ი

ზან. (მეგრ.) **ჩეხ**-უ-ა // **ჩიხ**-უ-ა „მადიანად, დიდი ლუკმებით ჭამა“, **ჩეხ-გ** // **ჩიხ-უ** „ბურვაკი, ნასუქი“

სვან. **ჩეხუ**- // **ჩიხუ**- ← ***ჩოხ**- „ძოვა“, ი-**ჩიხუ** „ძოვს“, ლა-**ჩიხუ** „ბალახი; სამოვარი“

ფუძის ამოსავალი სახეობა, ვოკალიზმის თვალსაზრისით, ქართულშია დაცული, რომლის **ცოხ**-ნ- სახეობა ძველი სამწერლობო ქართულიდან არის ცნობილი. ზანურსა და სვანურში, შესაბამისად, იკვეთება ***უ** → **გ/ი** და **ო** → **უე** ფონეტიკური პროცესები [იხ. ქალდანი 1969 : 78; ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 599-600].

ს.-სინდ. ***ცაჭა**- „კბეჩა“

ადილ. მა-**ცაჭა**-ნ, ყაბ. (მა)-**ძაჭა**-ნ „კბეჩა“

აბაზ. **ცჭა**-რა, აფხაზ. -**ჭ**-**ცჭ**-რა „კბენა, კბეჩა“

ფარინგალური თანხმოვნის გემინაცია ადილურ ენებში შეიძლება, ისტორიული უ მონანტის გაუჩინარების საკომპენსაციო აღმოჩნდეს. ქართველური **ო**- გახმოვანება ამას მხარს დაუჭერდა, მაგრამ სანამ მონათესავე იბ.-კავკ. ენათა სათანადო მასალა არ გამოჩნდება ნახური ან დადესტნური ენებიდან, ***ცაჭა**-ს აღდგენისაგან თავს შევიკავებთ.

ს.-ქართვ. ***ცუგ**-ა „ფინია ძალლი“

ქართ. **ცუგა** „პატარა ძალლი, ფინია“, **ცუგ**-რ-ია / **ცუგ**-რ-იკ-ა „ცუგა“

სიტყვა მხოლოდ ქართულში დასტურდება, მაგრამ ამავდროულად გააჩნია წონადი გარე-
ნობრივი შესატყვისები.

ს.-სინდ. ***ცგუჷ**-ა „კატა“

აზაზ. **ცგუჷ**, აფხაზ. ა-**ცგუჷ** „კატა“

გვაკლია ჩერქეზული შესატყვისები. აფხაზურ-აზაზურში დადასტურებული **ცგ** უჩვეულო
კომპლექსი რედუქციის მომდევნო საფეხურს ასახავს.

აღწერილ ძირთა ხუნძური შესატყვისი **იციქო** „კატა, ფისო / ფისუნია“, რაზეც ა. აბდოკოვმა
მიუთითა [აბდოკოვი 1983 : 123], ქართველურთან ერთად ამოსავალი ძირის გახმოვანებაზე
მკაფიოდ მეტყველებს.

გასარკვევია ქართ. **ციბა** „კატა“ ფორმასთან მიმართების საკითხი – ***ციგუჷ** → **ციბა** (?).

ს.-ქართვ. ***ცუდ**- „ცუდი“

ქართ. **ცუდ**-ი, ძვ. ქართ. **ცუდ**-ად-ი, ქართლ. **ცუდ**-ა-ობ-ა „ავდარი“

ზან. (ლაზ.) **მცუდ**-ი „ტყუილი“, მ-**ცუდ**-ელ-აჟ-ე „მატყუარა, ცუდის მქნელი“, მეგრ. გომგ-
ცუდ-უ „მიმტყუნა“

არ ჩანს სვანური შესატყვისი. **ცუდ**- ძირი კარგად არის ცნობილი ძველი ქართული ძეგლები-
დან. თუ დამტკიცდება მისი კავშირი ქართულ **ცოდ**- (**ცოდ**-ვ-ა, **ცოდ**-ვ-ილ-ი), მაშინ შეიძლება **ო/უ**
ალტერნაციაზე საუბარი საერთოქართველურში.

ქართველურ ძირ-ფუძეთა შეპირისპირება ცნობილია [ჩიქობავა 1938 : 241].

ს.-სინდ. ***ცუგდ**-ა- „დაბინძურება“

ადილ. (ჭემგ.) **ცაღა**-ნ „დაბინძურება“

როგორც ეტყობა, ჭემგურში განხორციელდა **ცუგდ**- → **ცაღა**- დელაბიალიზაციის ისტო-
რიული პროცესი, რაზეც ქართველურ **ცოდ**- / **ცუდ**- ალომორფებთან შედარება მიგვითითებს. ამ
თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ჩანს დალესტნურ ენათა ჩვენებაც, სადაც ასევე უ-ხმოვნთან
ფორმები დადასტურდა, შდრ. დიდ. **ცუდ**-ი „მკვდარი“.

სემანტიკურად **ცუდი** ~ **ბინძური** ~ **მკვდარი** ნორმალურ ოპოზიციად გვესახება.

ს.-ქართვ. ***ცუჷ**- „pedere“

ქართ. **ცუგ**-ა „მავნეთ მიშვებლობა“ (საბა), **ცუ**-ილ-ი „ქვეშეთ ბერვა“ (საბა)

ზან. (ლაზ.) **ცურ**-, ო-**ცურ**-უ „pedere“

თითქოს მოულოდნელი ჩანს ლაზური **რ** ქართული **ვ**-ს შესატყვისად, მაგრამ არაერთი მაგა-
ლითი, როგორც მკვიდრი, ისე ნასესხები ლექსიკა, ამტკიცებს, რომ **უ** → **რ** ლაზურში გავრცელებუ-
ლი ფონეტიკური პროცესია, შდრ. ქართ. წიგ-ილ-ი : ლაზ. ო-წირ-უ „id“, ქართ. ყივ-ილ-ი : ლაზ. ო-
ყირ-უ „id“, ქართ. ამბავ-ი → ლაზ. ამბარ-ი, ქართ. ჭვავ-ი → ლაზ. ჭვარ-ი...

ს.-სინდ. ***ცუ**- „ფეკალიების გამოყოფა“

უზიხ. **ც**-, სგ-**ც**-ნ „ფეკალიების გამოყოფა“

სწორედ ამოსავალი ლაბიალიზებული **ცუ**- ძირის გამარტივების მომდევნო საფეხურად უნ-
და დავსახოთ უზიხურის ჩვენება. ამიტომაც ვერ დავეთანხმებით ფუძეენურ დონეზე ***ც**- ცალმორ-
ფემიანი ძირის რეკონსტრუქციის მცდელობას [იხ. კვახაძე 2014 : 271].

სინდურ-ქართველურ არქეტიპთა შესატყვისებს დალესტნურ ენებში ასევე მოსალოდნელი
ლაბიალიზაცია ახასიათებთ, შდრ.: ახვახ. **ცუა**-ფ, კარატ. **ცუჷ**-ლზ „pedere“...

ს.-ქართვ. *ცურ- „ცური“

ქართ. ცურ-ი „ძუმუსპირი“ (საბა)

ზან. (მეგრ.) ჩურ-ი, ლაზ. ჩურ-ი // ჩუ-ი „vulva“

ქართულ დიალექტებში გვხვდება იმავე მნიშვნელობის უფრო გართულებული ფორმებიც, შდრ. იმერხ. ცურნე → ლაზ. ცურნე [შდრ. ფენრიხი 2007 : 563], რაც შეიძლება, ნარიან მრავლობითს აღნიშნავდეს: ცურ-ნ-ე = ცურ-ებ-ი.

ს.-სინდ. *ჩურ- „ცური; რძე“

უბიხ. ჩა „რძე“

აბაზ. ჩგ, აფხაზ. ა-ჩრ-გ-გუ „ცური“

ადილურ ენებში შესაბამისი ძირი დაკარგული ჩანს. უბიხურში პალატალიზებული ჩ შეგვეძლო ჩუა → ჩა გარდაქმნის შედეგად მიგვეჩნია, გამომდინარე უბიხურში გავრცელებული ცუ → ც ტრანსფორმაციიდან, თუმცა აფხაზურ-აბაზურში ჩ უამისოდაც პალატალიზებულია, ამიტომაც რეკონსტრუქციისას ძირის ლაბიალიზაცია არ აისახა.

ს.-ქართვ. *ცუხ- „მცუხი; ფიჭის ნაწური“

ქართ. (იმერ., გურ.) ცუხ-ი „ფიჭის დაწურვის შემდეგ დარჩენილი წვენი, რომლისგანაც თაფლის სანთელს ამზადებენ“

ზან. (მეგრ.) ცუხ-ი „ცვილის ნარჩენი გადადნობის შემდეგ“

არ არის გამორიცხული, რომ ქართულში შემორჩენილი ფორმა ზანიზმი იყოს, ხოლო ფუძე-ენაში *ცახუ- ტიპის არქეტიპი იყო პოვნიერი. *ცახუ-იდან კი ზანურში ცუხ- განვითარდებოდა.

ს.-სინდ. *ცუხუ „ცვილი“; „თაფლის ფიტა“

ადილ. შაჰ-გ ← შახუ, ყაზ. შახუ „ცვილი“

აბაზ. ცხა, აფხაზ. ა-ცხა „თაფლი“

ცუამღა „ფიჭა“ მეტად რთული ფუძეა უბიხურში; რაც გახდა კიდევ საფუძველი იმისა, რომ ამ უბიხური სახელის კომპოზიტურ შედგენილობაზეც მსჯელობენ [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 589; იხ. აქვე, *ცუილ-].

ვფიქრობთ, სინდურ ენებში წარმოდგენილი ალომორფები არ ექვემდებარება შემდგომ სემანტიკას. ხოლო ს.-სინდ. *ცახუ- გ არქეტიპი საერთოქართველური ფუძე-ენისათვისაც *ცახუ- სტრუქტურის ძირს აღგვადგენინებს.

ს.-ქართვ. *ცუხ- „ცოდნა“

სვან. ცუხ-, ხ-ო-ცუხ „იცის“, ხ-ა-ცუხ-ენ-ა-ხ „სცოდნიათ“

სიტყვა განმარტოებით დგას სვანურში, მაგრამ, სავარაუდოდ, მას ფუძეენური წარმომავლობა ახასიათებს. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში სვანური ენის გ ნეიტრალური ხმოვანი ისტორიული უ-ს რეფლექსია – უ → გ.

ს.-სინდ. *ცუხუხ- „შენახვა“

აბაზ. ჯა-ჩუახ-რა, აფხაზ. ა-ცუახ-რა „შენახვა“

გვაკლია ჩერქეზული მონაცემები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საერთოსინდური არქეტიპის რეკონსტრუქცია პრობლემებს არ აწყდება.

მნიშვნელოვანი ჩანს შესატყვისობა სემანტიკურ დონეზე ს.-ქართვ. ცოდნა ~ ს.-სინდ. შენახვა. გარკვეულწილად ცოდნაც ხომ ინფორმაციის შენახვას უდრის. ასე რომ, ამგვარი მიმართება კანონზომიერებას ექვემდებარება.

სინდურ-ქართველური არქეტიპების შესაბამისი ზმნა უნდა იყოს შემორჩენილი ლეზგიურ ჩირგ-უნ „ცოდნა“ ფორმაში.

ს.-ქართვ. ***ცქან**- „განაზვა“

ქართ. **ცქნ**-აფ-ა „ჩბუნვა“ (საზა)

მართალია, საბასეულ **ცქნ**-აფ-ა ზმნას არ ეძებნება ქართველური პარალელები, მაგრამ მისი ფუძეენური წარმომავლობა რეალური ჩანს. ამაზე ჩერქეზულ ენათა ჩვენება მიუთითებს.

ს.-სინდ. ***ჩა-ნ**- „ძილი“

ადიდ. **ჩგ**-აზ-ნ, შაფს. **ჩგ**-აზ-ნ, ყაბ. **ჟე**-ნ, ბასლ. **ჯე**-ნ „ძილი“

აფხაზ. (ბზიფ.) ა-**ც** „ძილი“

როგორც ვნახეთ [იხ. ს.-ქართვ. ***ჩბ**- „განაზვა“], უბიხურსა და აფხაზურ-აბაზურში სხვა ძირე-ბია წარმოდგენილი ამავე მნიშვნელობით. ხოლო ამ შემთხვევაში მეტად მნიშვნელოვანია ს.-სინდ. **ჩ** : ს.-ქართვ. **ცქ** შესატყვისობა, როცა ვერალიზებულ თანხმოვანს ქართველურში ბიფონე-მური ჰარმონიულ-დეცესიური ჯგუფი შეეფარდება, ცხადია, ვვარაუდობთ წ.-ქართვ. ძ° ც° წ° ზ° ს° → ს.-ქართვ. ძგ ცქ წკ ზგ სქ ტრანსფორმაციას, ისევე, როგორც წ.-ქართვ. ჯ° ჩ° ჭ° ჟ° შ° → ს.-ქართვ. ჯგ ჩქ ჭგ შქ გარდაქმნას.

ს.-ქართვ. ***ცქრ**- „ციმციმი“

ქართ. **ცქრ**-იალ-ი, **ცქრ**-იალ-ა

ადვილი შესამღებელია **ცქრ**- ბგერწერითი სახეობა იყოს **წკრ**- ძირისა: გა-**წკრ**-იალ-ებ-ა, **წკრ**-იალ-ა. ქართველური პარალელებიდან საინტერესოა მეგრ. **ცქგ**-შონ-ურ-ი „ცქრიალა ვაზის ჯიში“.

ს.-სინდ. ***ცქა**- „სუფთა, წმინდა; გასუფთავება“

აბაზ. **ცქა**-რა „სისუფთავე“, **ცქა** „სუფთა, წმინდა“, აფხაზ. ა-**ცქა**-რა „სისუფთავე“, ა-**ცქა** „სუფთა, წმინდა; წმინდანი“

სინდურ-ქართველურ ძირთა ანალიზი წარმოაჩენს **ცქ/წკ** ჰარმონიულ-დეცესიურ კომპლექსებს ფუძეენურ დონეზე, რასაც ბუნებრივად ეხმიანება დალესტნური მონაცემიც, შდრ. უდ. **ოწკ**-სუნ „რეცხვა“.

ს.-ქართვ. ***ცხ**- „მატება, ზრდა“

სვან. **ცხ**-, ი-**ცხ**-ემ „მატულობს, იზრდება“, ლი-**ცხ**-ემ „მატება, გაზრდა“

ზმნური **ცხ**- ძირი განმარტოებით დგას სვანურში, სავარაუდოდ, მას ფუძეენური ეტიმოლოგია აქვს. მეტ საბუთიანობას მოითხოვს ქართ. **სხ**-, ი-**სხ**-ამ-ს ზმნასთან გენეტიკური ერთიანობის მტკიცება (ე. ოსიძე).

ს.-სინდ. ***ცახუ**- „მეტი“

უბიხ. **ცახუ** „მეტი“

სვანურ-უბიხური იზოგლოსია, სადაც უბიხური ფორმა ბევრად უფრო სრულად არის შემონახული. დასადგენია ხმოვნის რედუქციის და ძირეული თანხმოვნის დელაბიალიზაციის [ხუ] მექანიზმი ქართველურ ენებში.

დალესტნურ და ნახურ ენებში სათანადო ძირებს ამ ეტაპზე ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვ. ***ცხარ**- „თეთრი ზოლი“

სვან. **ჩხარ** // **შხარ** „შუბლზე თეთრიწინიანი საქონელი“

თუ სვანური მონაცემიდან ამოვალთ, ქართულისათვის **ცხარ**- სახეობის ფუძეს მოველოდით, რომელიც ჯერჯერობით არ ჩანს. გაურკვეველია მეგრული **ჩხორ**- „სხივი“ სიტყვის მიმართება სვანურ **ჩხარ** (ვ. აბაევი) ფორმასთან. ჩვენი დაკვირვებით, სხვადასხვა ძირებია. და მაინც, საკითხი დამატებით შესწავლას საჭიროებს.

ს.-სინდ. ***ცუარ**-ა „ლაქებიანი“

აბაზ. **ჩუარა**, აფხაზ. ა-**ჩუარა** „ლაქებიანი“

საერთოსინდური არქეტიპი აღდგება აფხაზურ-აბაზურ ენათა ჩვენების საფუძველზე, ვინა-
იდან დასახელებულ ენებში **ღ** მჟღერი სპირანტი გამოჩნდა, იქნებ, იყოს შესაძლებელი ქართული
სადარ-ა (←***ცადარ-ა**(?)) ფუძის აქვე განხილვა. ამგვარი ხედვა გამოიწვევდა ქართველური არქეტი-
პის (***ცხარ-**) რევიზიასაც. საკითხი დამატებით შესწავლას საჭიროებს.

სადავო არ უნდა იყოს, ჩეჩნურ **ჩუჰარა** „შუბლზე თეთრნიშნიანი საქონელი“ ლექსემასთან
სინდურ-ქართველურ ძირთა გენეტიკური ერთიანობა.

ს.-ქართვ. ***ცხარ-** „ცხელი, ცხარე, მწველი“

ქართ. **ცხარ-ე**, **ცხარ-ი** (საბა)

ზან. (მეგრ.) **ჩხორ-ია** „სხივი“

ამ ძირების დაკავშირება არალაბიალიზებულ **ცხ-** სახეობებთან დასაშვებია. მიუხედავად სე-
მანტიკური სხვაობისა, ისინი ერთმანეთისაგან არ უნდა გაიმიჯნოს, როგორც სხვადასხვა ეტიმო-
ლოგიის მქონე ერთეულები. პირიქით, სემანტიკურად ქართულ *სიცხარესა* და ზანურ *სხივს*
საფუძვლად *მწველის*, *მცხუნვარეს* გაგება დაედო, შდრ. ტოპ. **ჩხორ-ია** (ეტ. მზიანი) სამეგრელო.

ს.-სინდ. ***ცა-** „ცხელი, მწვარი“

ადიდ. **სთგ-ნ**, ყაბ. **სგ-ნ** „მწვარი“

უბიხ. **ცა** „მწვარი, ცხელი“

აფხაზ. **ა-ცა**, ბზიფ. **ა-ცა** „მწვარი“

ჩერქეზულ ენებიდან უბიხური აჩვენებს მეტ სიმკვლეს, რომელიც აფხაზურ-აბაზურს უახ-
ლოვდება. თუმცა ძირის ისტორიული **ც** სისინა აფრიკატ-სიბილანტს მოშლის მომდევნო
საფეხურზე ბიფონემური **სთ** კომპლექსი შეეფარდა ადიღურ ენებში.

განსახილველი ძირის ზუსტი შესატყვისები ფიქსირდება სხვა იბ.-კავკ. ენებშიც. ამოსავალი
თანხმოვნის ინტენსიურობას დადესტნური ენებიდან დარგული უჭერს მხარს – **უცა** – „მეწვა“, ანუ
ს.-კავკ. ***ცა** → **ცხ** ს.-ქართვ.-ში.

ს.-ქართვ. ***ცხემ-** „ისარი; ჩხირი“

ქართ. **ცხემ-ლ-ი** „წინდის ჩხირი“, **ცხემ-ლ-ა** „ხის პატარა საქსოვი ჩხირი“

სვან. **ცხჷი**, ლშხ. **ცხუ** „ისარი“

ფუძის ანალოგიური ცვეთა-გამარტივება სვანურიდან ცნობილი ფაქტია, შდრ. ქართ. თაფლ-
: სვან. **თჷი**, **თუ** „თაფლი“ [ჩუხუა 2000-2003 : 343].

ს.-სინდ. ***ხც-** „ისარი“

აბაზ. (აშხარ.) **ხცა** „ისარი“, ხრგ-**ხც** „მშვილდი, ისარი“, აფხაზ. **ა-ხც** „შვილდი“

ჩერქეზულ ენებში სათანადო ძირი დაკარგული ჩანს. საერთოსინდური არქეტიპის რეკონ-
სტრუქცია ხდება მხოლოდ აფხაზურ-აბაზური ენების საფუძველზე. ამ უკანასკნელთა ჩვენება არ
ემთხვევა ქართველური არქეტიპის ბგერით თანმიმდევრობას, შებრუნებული წყობისაა.

დადესტნურ და ნახურ ენებში სათანადო ძირებს ამ ეტაპზე ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვ. ***ცხემალ-** „რცხილა“

ქართ. **ცხემლ-ა** „რცხილა“

ზან. **ჩხამურ-**, ტოპონიმიში ო-**ჩხამურ-ი**

ნიკო მარიდან მოყოლებული ქართ. **ცხემლ-** ძირს შეუდარებენ მეგრ.-ლაზ. **ცხემურ-** / **ცხი-
მურ-** „ცხემლა“ ალომორფებს [იხ. სრულად ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 585]. ამგვარი კვალიფიკა-
ცია უადგილოდ გვეჩვენება, ვინაიდან მეგრულ-ლაზური ამ შემთხვევაში ქართულიდან შეთვისე-
ბული სიტყვის შემდგომ ადაპტაციას წარმოგვიდგენს. სინამდვილეში (კანონზომიერი) შესატყვი-
სი შემოუნახავს დასავლურ-ქართულ ტოპონიმს (ჰიდრონომს) ო-**ჩხამურ-ი**, რომელიც სა-**ცრემლ-**

ე-ს უდრის.

ს.-სინდ. *ცხტა „წაბლა“

ადიდ. (ჭემგ.) შხტჷ-მჩ „წაბლი“

სპეციალურ ლიტერატურაში -მჩ სუფიქსის გამოყოფის აუცილებლობაზე მიუთითებენ [კვახაძე 2014 : 62]. ძირად გამოყოფილი შხტჷ-, რომელიც ჭემგურ დიალექტს შემორჩა მხოლოდ, სპირანტიზებული ვარიანტი ჩანს არქაული ჩხტჷ- არქეფორმისა.

საერთოსინდურ არქეტიპში ხ-ს ლაბიალიზაცია (ხტ) ქართველური მ-ს შესატყვისად მიგვაჩნია. მეტად მნიშვნელოვანი ხდება ცხ : ჩხ კანონზომიერი ბგერათშესატყვისობა ჰარმონიულ-დეცესიურ კომპლექსთა დონეზე.

სინდურ-ქართველური არქეტიპების კანონზომიერ შესატყვისს ვხედავთ ს.-ნახ. *ნაჩხ-ი „ტყიური, ველის ჭყიმი“ სიტყვაში [ჩუხუა 2008 : 593].

ს.-ქართვ. *ცხტა „სხვა; განსხვავება“

ქართ. სხვა, გან-სხვ-ავ-ებ-ა

ზან. (ლაზ.) ჩქვა სხვა“, არ ჩქვა „კიდევ ერთხელ“, მეგრ. შხვა სხვა“, შხვა-დო „სხვაგან“, შხვა-შო „სხვისთვის“

სვან. ეშხუ „ერთი“, უშხუ-პრ-ს „ერთმანეთს“

ლაზურის აფრიკატულ ბუნებას ეხმიანება დიალექტური ცხო „სხვა“ ალომორფი, რაც, ალბათ, იმაზე მიუთითებს, რომ ც/ს მონაცვლეობა ფუძე-ენაშივე შეიმჩნეოდა. სვანური ეკვივალენტის სემანტიკა მეორეული ჩანს [ერთელიშვილი 1950 : 203; კლიმოვი 1964 : 178].

ს.-სინდ. *ხტაჯგ- „შეცვლა“

ადიდ. ხტაჟგ-ნ, ყაბ. ხტაჟგ-ნ „შეცვლა“

უბიხ. ხტაჟგ-ნ, ა-ს-ხტაჟგ-ნ „შეცვლა“

აბაზ. ჰტაჯგ-რა „შეცვლა“

ძირეული სიბილანტ-აფრიკატის გამყდრება საკუთრივ სინდური ინოვაცია ჩანს; ვინაიდან ყველა სხვა იბ.-კავკ. ენების ოჯახის ჯგუფში მხოლოდ ყრუ სიბილანტები დაჩნდება, შდრ. ნახ. ხიცი- / ხუტცი- „შეცვლა“, ხუნძ.-ანდ. ხის- / ხიც- „შეცვლა“...

სემანტიკურად კორელაცია შეცვლა ~ სხვა გაშუალებულია ქართ. განსხვავება სემანტემით, რომელიც ნახურ ენებშიც პოვნიერია.

ს.-ქართვ. *ცხტენტ- „ჭია; მატლი“

ზან. (მეგრ.) ცხვანტ-ი „წვრილი ჭია; ხორცის, ყველისა და ხორბლის მატლი“

სადიებელი ფუძე პოვნიერია მხოლოდ მეგრულში. თუ გავითვალისწინებთ ა გახმოვანებას ზანური ძირის ინლაუტში, ცხადია, ქართულ-ქართველურისათვის ე უნდა აღვადგინოთ, შდრ. ქართ. ე : ზან. ა, ს.-ქართვ. *ე.

ს.-სინდ. *ჩნდგ- „ხვლიკი“

ყაბ. ჩგნდგ-რ-ხტა → // შგნდგ-რ-ხო „ხვლიკი“

რთული შედგენილობის სიტყვაა, რომელიც მხოლოდ ყაბარდოულს შემორჩა. ლაბიალიზაცია, რაც ბუნებრივია ქართველურისთვის, აქ სავარაუდოდ დაიკარგა. მნიშვნელოვანია ს.-ქართვ. ცხ : ს.-სინდ. ჩ, რაც პალეოკავკასიური ც ინტენსიური აფრიკატ-სიბილანტის პორტულაციის შემთხვევაში არის მხოლოდ დასაშვები. ჰიპოთეტური ც რეალურად დასტურდება ხუნძურში, შდრ. ანწუხ. ცუტ, ლიტ. (ხუნძახ.) ჩუტ „ხვლიკი“.

შესატყვისობა სემანტიკურ დონეზე ჭია/მატლი ~ ხვლიკი კანონზომიერებას ექვემდებარება.

ს.-ქართვ. *ცხიმ- „ცხიმი“

ქართ. ცხიმ-ი „...ზოგადი სახელი არს ყოელთა ცხიმინთა“ (საბა)

ზან. (მეგრ.) ჩხომ-, სიტყვაში ჩხომ-ჰაბუ „ცხიმ-წებო“

სვან. მგ-ჩხიმ „ცხიმი, ქონი“, მგ-ჩხმ-წრ // მგ-ჩხმ-წრ „ქონიანი“

გარკვეულ სიმნელეს ქმნის ო გახმოვანება სვანურ-ქართული ი-ს წილ ზანურში, რაც ჩხომ-ი „თევზი“ სიტყვასთან კონტამინაციით უნდა იყოს შეპირობებული.

ქართული ვარიანტი ჯერჯერობით არ ჩანს ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 605].

ს.-სინდ. *ჩხუ- „ნაღები“

ადიდ. შხუ-გ, ყაბ. შხუ-გ „ნაღები“

ჩერქეზულ ენა-კილოებში განხორციელდა ჩხ → შხ სპირანტიზაციის დამახასიათებელი პროცესი, ხოლო მ → უ ჯერ კიდევ საერთოსინდურში მომხდარა.

საკითხი ისმის ნახურ ნაჩხ // ნეჩხ // ნეხჩ „ყველი“ ძირებთან ურთიერთმიმართების შესახებ.

ს.-ქართვ. *ცხ-ოჟ- „გადარჩენა; ხსნა“

ქართ. ცხოვ-ნ-ებ-ა „გადარჩენა“; „ხსნა“, მა-ცხოვ-არ-ი, მ-ცხოვ-ან-ი, ცხოვ-რ-ებ-ა „ხსნა“

ზან. (მეგრ.) ჩხონ-აფ-ა „გადარჩენა“, ვ-ო-ჩხონ-ე „გადავარჩინე“

სვანური შესატყვისი არ იძებნება. მეგრული შესატყვისი მყარად დგას, ხშირად გამოყენებადი სიტყვაა. ვფიქრობთ, ლაზური ეკვივალენტი ო-ჩხუნ-ი „იყავ, ცხოვნი“, რუძ ფორმაშია შემონახული [ქართულ-მეგრულისათვის იხ. როგავა 1946 : 12].

ს.-სინდ. *ცხ(ჟ)ა- „გადარჩენა“

აბაზ. ცხა-რა „გადარჩენა“

სინდურ არქეტიპზე მხოლოდ აბაზური ფორმიდან გამომდინარე შეიძლება მსჯელობა, თუმცა ქართველურ მონაცემებზე დაყრდნობით *ცხ(ჟ)ა- სახეობის არქეტიპის პოსტულაცია რეალობად მივიჩნიეთ.

ზემოთ აღწერილ შეპირისპირებაში მნიშვნელოვანი ჩანს ბგერათშესატყვისობათა ჩვენება ცხ : ცხ B ტიპის ჰარმონიულ-დეცესიურ კომპლექსთა დონეზე.

ასევე საყურადღებოდ გვესახება დადესტნური (დარგული) ბურ-ცაჟ-ეს // ვერ-ცაჟ-ეს // უ-ცაჟ-ეს „ხსნა“ სიტყვასთან მიმართების პრობლემა.

ს.-ქართვ. *ცხორ-(ო) „ციება; სიცივე“

ძვ. ქართ. ცხრ-ო „ციება“, ცხრ-ო „ცივების სუნი“

ზან. (ლაზ.) ჩხურ-, ჩე-ჩხურ-ი „ციებ-ცხელება“, მეგრ. ჩხურ-ი // ჩხურ-უ „სიცივე“, ქომრ-ჩხურ-ჟ „აცივდა“

ფუძე-ენაში *ცხორ- ძირი უფრო მეტი დისტრიბუციისა უნდა ყოფილიყო, იმაზეც მეტი, ვიდრე ეს მეგრულისათვის არის დამახასიათებელი [სხვაგვარი რეკონსტრუქციისათვის იხ. კლიმოვი 1964 : 231; ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 607].

ს.-სინდ. *ცჰა- „ცივი, ყინული“

აბაზ. ცჰა-, სიტყვაში ცჰა-შუგ „ყინული“

კომპოზიტი, რომელიც ფუძეენურ ცჰა- ძირს ინახავს, მნიშვნელობის გაძლიერებისათვის ცი-ვი + ყინული შედგენილობისაა, ვინაიდან აბაზურში შუგ- ყინვის გამომხატველი ზმნაა, შდრ. აძე შუგ-ტ „წყალი გაიყინა“.

აფხაზური ა-წა „ყინული“ სიტყვა სხვა ეტიმოლოგიას გულისხმობს და ს.-სინდ. *წჰა- არქეტიპისაგან გამომდინარეობს.

ს.-ქართვ. *ცხრ- „დაცხრომა, დალევა, დაკლება“

ქართ. ცხრ-ომ-ა, და-ცხრ-ომ-ა, მ-ცხრ-ალ-ი

ზან. (მეგრ.) რჩხ- მა-ჩხრ-ა „დამცხრალი, ნაკლები, მეჩხერი“

არ გამოვრიცხავთ სვანური ჩხ-ეფ-, ჩხ-ეფ-ენ-ი „ხდება, წონაში იკლებს“ ზმნის კავშირს ქართულ-მეგრულ ცხრ-/რჩხ- ძირებთან [ჩუხუა 2000-2003 : 333].

ს.-სინდ. *ცხ- „დაკლება“

აფხაზ. (ბზიფ.) ა-ცხ-რა „გამოკლება“

ზოგი ავტორი ამავე ძირს ხედავს აბჟურ ა-ცგხ-ტუტ „ნახარი“ რთული შედგენილობის სიტყვაშიც [ჩირიქა 1996 : 71], რაც საყურადღებო ჩანს.

ს.-ქართვ. *ცხრ- : ს.-სინდ. *ცხ- არქეტიპთა შედარება წარმოაჩენს შესატყვისობას ჰარმონიულ-დეცესიურ კომპლექსთა დონეზე. ამგვარი მიმართება საკმაოდ ხშირად დაჩნდება სინდურ-ქართველურ მასალაში.

ს.-ქართვ. *ცხრენ- „ნაგავი“

ძვ. ქართ. ნა-ცხრენ-ი „ნაგავი“

სხვა ქართველურ ენა-კილოებში ცხრენ- ძირის შესატყვისებს ვერ მივაკვლიეთ. ძველ ქართულ სამწერლობო ენაშიც მხოლოდ მიმდებარე ნა-ცხრენ- სახეობის ფუძე დასტრუდება: „ყრასა ცხრილისასა დაშთის ნ ა ც ხ რ ე ნ ი“ [აბულაძე 1973 : 324], თუმცა, ამავდროულად, არ გამოვრიცხავთ ცხრენ- ძირის ეტიმოლოგიურ კავშირს მძღრენ-/ძღნერ- მჟღერ ალომორფებთან.

ს.-სინდ. *ცხუჷ- „ფაღარათი; განავალი“

უზბიხ. ცხუ „განავალი“

აფხაზ. ა-ცხუჷ-რჷ „ფაღარათი“

როგორც მოსალოდნელი იყო, უზბიურში მოიშალა ძირეული თანხმოვნის ლაბიალიზაცია – ხუ → ხ; სამაგიეროდ, შენარჩუნდა ამოსავალი მოკლე ხმოვნის [ჷ] შედარებით ზუსტი რეფლექსი – *ჷ → გ, შდრ. აფხაზ. ა.

ს.-სინდ. *ცხუჷ- : ს.-ქართვ. *ცხრენ- არქეტიპთა შედარებითი ანალიზით ირკვევა, რომ აქაც რ → უ ლაბიალიზაციის პრეისტორიული პროცესი ფუძესინდურში განხორციელებულა.

ზემოთ აღწერილ ძირ-ფუძეთა საყურადღებო შესატყვისები ფიქსირდება დაღესტნურ ენებში, შდრ.: ლაკ. ციხ, თაბას. ციხ „ფაღარათი“ [უფრო მეტი იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 325].

ს.-ქართვ. *ცხურ- „შარდვა“

სვან. ჩხურ/ჩხურ „მოშარდვა, მოშარდვის ხმა“

შეიძლება, აქვე შემოვიდეს მეგრ. ჩხურ-უ-ა / ჩხურ-უ-ა „სითხის გადმოღვრა“ ზმნაც. გამომდინარე იბ.-კავკ. ენათა გენეტიკურად საერთო ძირებიდან, არ გამოვრიცხავთ მის ფუძეენურ წარმომავლობას. ს.-ქართვ. არქეტიპის რეკონსტრუქცია ეფუძნება ქართულსა და ზანურ-სვანურს შორის ფიქსირებულ ფონემურ შესატყვისობებს, შდრ. ქართ. ცხ : ზან./სვან. ჩხ, ს.-ქართვ. *ცხ.

ს.-სინდ. *ცხუჷ- „შარდვა“

აფხაზ. ა-ჩხუჷ-რა „მოშარდვა“

სვანურ-აფხაზური იზოგლოსა ჩანს, რომელსაც საყურადღებო (ანგარიშგასაწევი) პარალელური ემეზნება დაღესტნურ ენებშიც, შდრ.: ლეზგ. ჩუხ, თაბას. ჩუხ „შარდი“.

მეტ საბუთიანობას საჭიროებს ადილ. ჯე-შხგ-ნ, ყაბ. ჯე-შხგ-ნ „წვიმა“ ზმნასთან გენეტიკური ერთიანობის მტკიცება [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 340].

ძ

ს.-ქართვ. *-მა- „ყველა“

ზან. -ძო- „ყველა“, ლაზ. (არტ.) არ-წო, არ-წო-ი, არ-ძო // არ-ძო-ი, მეგრ. (სამურზ.) არ-წო, არ-ძო // არ-ძა „ყველა“, არ-ძო-ფერ-ი // არ-ძა-ფერ-ი „ყველაფერი“

ქართველურ ენა-კილოებს შორის თავჩენილი ხმოვნური ბგერათშესატყვისობიდან თუ ამოვალთ, ზანური ო საერთოქართველურისთვის ა ხმოვანს გულისხმობს. ო → ა, ისევე, როგორც ძ → წ გვიანდელი ჩანს ლაზურ-მეგრულში. გამოყოფილი არ- სეგმენტი კი იგივე ძირია, რაც არ-თ-ი // არ-(ი) „ერთი“ სიტყვაში, ანუ არ-ძო უდრის ერთიანად ყველა.

ს.-სინდ. *-მა „ყველა“

აბაზ. -ძა, აფხაზ. -ძა, სიტყვაში ზგ-ნ-ძა „ყველა“

როგორც ვხედავთ, ორივე ჯგუფის ენებში რთული შედგენილობის (თხზული) სიტყვა ფიქსირდება, ერთგვაროვანი შედგენილობით: ერთი + ყველა = ზგ-ნ-/არ- + -ძა// -ძო, რაც მეტად მნიშვნელოვანი ჩანს ენობრივი ტიპის განსასაზღვრავად.

მეგრულ-აფხაზურ იზოგლოსებზე პირველად პ. ჭარაიამ მიუთითა [ჭარაია 1912 : 38].

გარე გენეტიკური მიმართების თვალსაზრისით, შეიძლება, საყურადღებო იყოს ალულ. ჯალ-ლა „ყველა“ სიტყვა.

ს.-ქართვ. *ძაბ- „დაძაბულობა“

ქართ. ძაბ-, და-ძაბ-ვ-ა, ძაბ-უნ-ი, და-ძაბ-უნ-ებ-ა

ზან. ძგუფ-/ძგიფ- „დაჭიმვა“

სვანური შესატყვისი არ ჩანს. ზანური ეკვივალენტიც გურულმა დიალექტმა შემოგვინახა, სადაც ნასესხები ძგუფ-/ძგიფ- „დაჭიმვა“ სახეობის ძირებია პოვნური [ჩუხუა 2000-2003 : 345].

ს.-სინდ. *ძაბ- „ტრაური, უბედურება“

აბაზ. ჯაბა-რა, აფხაზ. ა-ჯაბა-რა „ტრაური, გლოვა, უბედურება“

გვაკლია ჩერქეზული მონაცემები. აფხაზურ-აბაზური ჯა, ალბათ, ფუძესინდური სისინ-ში-შინა ძ მჟღერი სიბილანტ-აფრიკატის ბუნებრივი რეფლექსია. ქართულ-სინდურ ძირთა ერთგვაროვანი სტრუქტურა CVC/CVCV და სემანტიკური კორელაცია დაძაბულობა ~ ტრაური, უბედურება იმაზე მიუთითებს, რომ გენეტიკურად საერთო ძირთან გვაქვს შეხება.

ნახური ან დაღესტნური ენების შესაბამისი მასალა ჯერჯერობით ვერ გამოვავლინეთ.

ს.-ქართვ. *ძაგ- ზიზღი; სიბინძურე“

ქართ. ძაგ-, მ-ძაგ-ს, სა-ძაგ-ელ-ი, ძაგ-ებ-ა, მო-ძაგ-ე

ზან. (ლაზ.) გო-ნჯოგ-უ „მოწყენა, შეზიზღება“, მეგრ. ბ-ჯოგ-გ „მძაგ“, გო-ჯოგ-აფ-ა „შემუღება; შეზიზღება“

სვან. ჟუგ-, ლგ-ჟაგ, ლგ-ჟაგ (ლშხ.) „ბინძური, წაბილწული“

ზანურ-ქართულ ძირთა ერთიანობა ცნობილი ფაქტია [სათან. ლიტ. იხ. კლიმოვი 1964 : 236]. სვანური შესატყვისი ჩვენ მიერ არის მოძიებული და, ვფიქრობთ, კანონზომიერად ასახავს ს.-ქართვ. *ძაგ- არქეტიპის სვანურ რეფლექსს, თუმცა არსებობს სხვა სვან. ჟაგ- „მოწამვლა“ ზმნასთან დაკავშირების ცდაც, რაც არ ჩანს მართებული [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 619].

ს.-სიმნდ. *ჯაგ- „უსიამოვნება“

აფხაზ. ა-ჟაგ-რა „უსიამოვნება, არასასიამოვნო შემთხვევა“

როგორც ირკვევა, აფხაზურში ადგილი ჰქონდა ჯ → ჟ სვანურისებური დეზაფრიკატიზაციასპირანტიზაციის ფონეტიკურ პროცესს – *ჯაგ- → ჟაგ-.

კანონზომიერია სემანტიკური კორელაცია ზიზღი ~ უსიამოვნება, რაც მხარდაჭერილია სტრუქტურულ-მატერიალური იგივეობით.

ს.-ქართვ. *მა-ე „თვითონ“

სვან. ჯი, ჯა-ე, ჯე-ე „თვითონ, თვით“

ქართველურ ენათაგან სვანური ერთადერთია, სადაც უკუქვეითობის გამოხატვა დამოუკიდებელი ძირეული ნაცვალსახელური ძირით ხდება. ჯა-ე // ჯე-ე // ჯი სვანურ ალომორფთა გამოყვანა ეჯი / ეჯა / აჯა ნაცვალსახელური ძირიდან საფუძველს არის მოკლებული [შდრ. მარტიროსოვი 1964 : 221].

ს.-სინდ. *აჯ- „თვითონ“

ადილ. ააჟ, ყაბ. ააზ-ე „თვითონ“

ჩერქეზულ მასალაზე დაყრდნობითაც შეიძლება ეცადათ -ზე „ერთი“ რიცხვითი სახელიდან გამოგვეყვანათ ს.-სინდ. *აჯ-, რაც იმთავითვე განწირულია მარცხისათვის, ვინაიდან ქართულ-ჩერქეზულ ძირებს სარწმუნო შესატყვისები მოეპოვებათ ნახურ და დაღესტნურ ენებში, სადაც, სხვათა შორის, ს.-ქართვ. *მა-ე : ს.-სინდ. *აჯ ტიპის სტრუქტურული მერყეობა წყობაში (თანმიმდევრობაში) ასევე საცნაური ხდება ნახურ-დაღესტნურ შესატყვისებში, შდრ. ნახ. შა/ჟა, შარ-ინ, ჟარ-შ; დაღ.: რუთულ. -იჯ, წახ. -იჯ, არჩიბ. ინჟ, კრიწ. იჯ, მაგრამ ხუნძ., ახვახ., ანდ. ჟი-, კარატ. ჟე-, ჭამალ. ზი- და ა.შ.

ს.-ქართვ. *მაკ- „ჭკუანაკლები“

ქართ. (ქართლ.) ძეკ-ი „გონებაჩლუნგი, ჭკუანაკლები“

ზან. (მეგრ.) ძოკ-ო „ნაკლოვანად განვითარებული, სუსტი“

ფუძის აუსლაუტი დამაფიქრებელია, ვინაიდან საპირისპირო შემთხვევები მეტია, შდრ. თუნდაც ღვინ-ო / ღვინ-ი, თუმცა სტრუქტურულ-სემანტიკური ერთიანობა ეჭვგარეშეა. ალბათ, უნდა გავითვალისწინოთ ძირთა სიმბოლიკური აგებულებაც.

ს.-სინდ. *გამ-ა „სულელი, ბრიყვი“

აფხაზ. ა-გამა „სულელი, ბრიყვი“

სინდური ენებიდან მხოლოდ აფხაზურს შემორჩა ქართველურთან გენეტიკურად საერთო ძირი, რომელიც მებრუნებული წყობისაა, რაც ამ ტიპის სიტყვებში ჩვეულებრივ შეინიშნება.

სინდური და ქართველური თანმიმდევრობა ასევე რეალიზდება მონათესავე დაღესტნურ ენებში, ზოგჯერ ერთი ენის ფარგლებშიც, შდრ. ალულ. გუჟალ/ჟიგალ, რუთულ. ჯუგალ, წახ. გჟჟუა ← *გჟჟლა „ჩერჩეტი; სულელი“...

ს.-ქართვ. *მალ- „ძალა; ძლევა“

ქართ. მალ-ი, მალ-ა, მალ-უმ-ი, ძლ-იერ-ი, ძლ-ივ-ს, მალ-ოვან-ი, მო-მალ-ად-ე, მ-ძლ-ე, ძლ-ევ-ა, მალ-უმ-ს

ზან. (მეგრ.) ნჯოლ- „ძლევა“, მო-ნჯოლ-უნ-ს „ძლევს“, მო-ნჯოლ-ირ-ი „ძლეული“, ჯოლო-კეტ-ი = ძალა-ყინ-ი (ვ. შენგელია)

სვანური ნაჟარ- „გაძლება“, ალბათ, ლაზურ მენჯელ-ი „ღონე, ძალა“ ფორმას უკავშირდება.

ს.-სინდ. *მა „ჯარი“

ადილ. მა, ყაბ. მა „ჯარი“

სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს ცდა სიტყვათა ამავე რიგში განიხილონ აფხაზ. ა-რ, აბაზ. რე „ჯარი“ ფორმებიც [დიაკონოვი, სტაროსტინი 1986 : 63-64], რაც ყოველად დაუშვებელია. ამას ეწინააღმდეგება როგორც სინდურ ენათა ფონეტიკა, ისე მონათესავე ენათა ჩვენება, სადაც მჟღერი სისინა სიბილანტები დაჩნდება შესატყვისად: წ-თუმ. ზორა-ადმრ „ძლიერად“, ზორ-ან „გულადი, მამაცი“..., ხვარშ. ეზჷ, ინხოყვ. ეზ, დიდ. ოზ, ჰუნზიბ. ჰაზ „ჯარი“...

ს.-ქართვ. *მალ- / *ძილ- „ნაწლავი“

ძვ. ქართ. მალ-ი „ნაწლავი, სიმი“, ძილ-ი „სიმი“

ზან. (ლაზ.) **ჯილ-**, სიტყვაში **ო-ჯილ-აშ-ე** „ბადე, ნაბადი ხილის შესაგროვებლად“

სვან. **ჯილ-**, **ჯილ-ად** „სიმი“

ქართველური ენებისათვის ამოსავალი ჩანს *ნაწლავის* ეტიმინური გაგება; სწორედ *ნაწლავი-საგან* მზადდება გახმოზა / გაშრობის სპეციალური წესით *სიმი* [აბულაძე 1960 : 219; ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 527; ჩუხუა 2008 : 596].

ს.-სინდ. ***მა-** „ნაღველი“

ადილ. **ზა-ზგ**, ყაბ. **ზა-ზ** ← ***ზა-ზა** (რედუპლ.) „ნაღველი“

უბიხ. **ზა-ზა** (რედუპლ.) „ნაღველი“

აბაზ. **აზ**, აფხაზ. **ა-ზ-**, ბზიფ. **ა-ზ-** „ნაღველი“

სპეციალისტები თანხმდებიან, რომ ჩერქეზულ ენა-კილოთა მონაცემები რედუპლიკაციის მომდევნო საფეხურს ასახავს [ტრუბეცკოი 1930 : 86; შაყრილი 1968 : 25; აბდოკოვი 1973 : 52].

ამასვე ამტკიცებს ნახურ ენათა **ჯიმ / ჟიმ / ჟი^ნ / ჯინ** „თირკმელი“ და ხუნძ. **ჟან** „ელენთა“ (→ არჩიბ. **ჟან** „id“) სიტყვებთან შედარებაც [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 1106; ჩუხუა 2008 : 596].

უბიხური წყა-ცა „ნაღველი“ რთული შედგენილობისაა და აქ არაფერი ესაქმება.

ს.-ქართვ. ***მამ-** „მარილი“

ზან. (ლაზ.) **ჯუმ-უ // ჯიმ-უ // ნჯიმ-უ** „მარილი“, მეგრ. **ჯგმ-უ // ჯიმ-უ** „მარილი“

სვან. **ჯგმ // ჯიმ** „მარილი“, მგ-**ჯიმ** „მარილიანი“

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს ცდა, რომ აქვე განიხილონ ქართული **მმ-არ-ი** სახელი, მაგრამ ამისგან ჩვენ თავს ვიკავებთ, ვინაიდან მივიჩნევთ, რომ ქარ. **მმარ-** : ზან. **ჯუმორ-** / **ჯიმორ-** „მმარი“ სხვა ფუძეა და დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულს წარმოადგენს [ამის შესახებ ლიტ. იხ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 631-632].

ს.-სინდ. ***ჯუგ-** „მარილი“

უბიხ. **ჯჯ** „მარილი“

ჩვენთვის საინტერესო უბიხურ ძირს განიხილავენ ადილ. **ჩღუგ / შგღუგ / შგღუგ** „მარილი“ ალომორფებთან კავშირში [მესაროში 1934 : 289; კვახაძე 2014 : 180]. ამგვარ მიდგომას რეალური საფუძველი არ გააჩნია, რადგანაც უფუნქციოდ რჩება **-ღუგ** სეგმენტი ადილურ ენებში. გარდა ამისა, უბიხურში მოსალოდნელი იყო შესატყვისად არა **ჯ** (**ჩ** → **ჯ** უბიხურმა არ იცის). ამიტომაც ვფიქრობთ, რომ ჩვენს შემთხვევაში უპრიანია ვისაუბროთ **ჯ** ფონემის გენეზისზე უბიხურში, რომელიც **ჯუ** ლაბიალიზებული მჟღერი შიშინა აფრიკატ-სიბილანტის შემდგომ რეფლექსად გვესახება – **ჯუ** → **ჯ**. ხოლო ს.-ქართვ. ***მამ-** : ს.-სინდ. ***ჯუგ-** ამ მხრივ, ყველა მოთხოვნას უპასუხებს და კანონზომიერ მიმართებად მიიჩნევა [ჭარაია 1912 : 23].

საყურადღებო ჩანს ზოგი დაღესტნური ენის მონაცემი, შდრ. დარგ. (ურახ.) **ძე // ძენ**, კუბაჩ. **ცე** (← ***ძენ**) „მარილი“).

ს.-ქართვ. ***მამ-ალ-** „ციყვი“

მგ. ქართ. **მამლ-**ი „ვირთაგვა“

ზან. (ლაზ.) **ძემურ-**ი „ვირთაგვა“ (მთის), **ძენურ-**ი „ციყვი“

სვან. **ჯინირ** „ციყვი“

საყურადღებო ჩანს **მ/ნ** სუბსტიტუცია ლაზურში, რაც გახდა მადიფერენცირებელი საშუალება (რელევანტურია) სემანტიკური თვალსაზრისით. სვანურისთვის სწორედ **ნ**-იანი ალომორფია ძირითადი, ამასთანავე, არქაული **ჯ**, რომელიც ლაზურში გასისინდა (**ჯ** → **ძ**) სვანურში არ მერყეობს [შდრ. გიგინეიშვილი 1982 : 122].

ს.-სინდ. ***ძუა** „მელია; ტურა“

ადილ. **-ს** „ტურა“, სიტყვაში **ბაჯა-ს** „მელია“

უბიხ. -შუ „ტურა“, სიტყვაში ბაგ-ა-შუ „ტურა“

აფხაზ. (ბზიფ.) -შუა- „მელა“, სიტყვაში ა-შუა-ბა „წითელი მელია“

აბსოლუტურად დამაჯერებელი ჩანს მსჯელობა იმის შესახებ, რომ -ს / -შუ- სეგმენტები და- მოუკიდებელი ძირიდან მომდინარეობენ და არ წარმოადგენენ დიმიწუტიური სუფიქსის ნაშთს [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 325, შდრ. შაგიროვი 1977 : 72].

ხუნძურ ცურ და ხვარშიულ ზარუ ალომორფებთან შედარებით ირკვევა, რომ არქიფონემა ქართველური ტიპისა, ანუ ძ მჟღერი სახეობა უნდა ყოფილიყო. აქვე საცნაური ხდება ძირეული თანხმობის ლაბიალიზაციის წყარო ძუ საერთოსინდურში - ძ სონორი, შდრ. ს.-ქართვ. *ძამ-ალ-.

ს.-ქართვ. *ძამ-არ- „ძმარი“

ქართ. ძმარ-ი

ზან. (ლაზ.) ჯუმ-ორ-ი // ნჯუმ-ორ-ი, მეგრ. ჯუმორ-ი „ძმარი“

სვან. ჯმარ-, ლგ-ჯმარ-ე „გადაზეული ყველი“

ქართველური მასალის შეპირიპირების ნიადაგზე *ძმარ- [კლიმოვი 1964 : 240], ან, მით უმეტეს *ძუმ- [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 631] არქტიპების აღდგენა უსაფუძვლოდ გვეჩვენება. სა- ინტერესო ჩანს ზანურ ჯიმ-/ჯუმ- და სვანურ ჯიმ/ჯემ „მარული“ ძირებთან ურთიერთმიმართების საკითხი; თუმცა შეიძლება, სხვადასხვა წარმომავლობის არქტიპებთან გვექონდეს შეხება.

წ.-სინდ. *ძიბ-ინ- „მჟავე“

ხათ. zibina „მჟავე“

თავკიდური zz ხათურში, ალბათ, მჟღერი სისინა სიბილანტის აფრიკატულ ბუნებაზე მიუ- თითებს. ხათურ-ქართველურ იზოგლოსებს ახასიათებთ ერთგვაროვანი სტრუქტურა და სემანტი- კა – ძმარი ~ მჟავე.

გარკვეულ ინტერესს აღძრავს ზოგი დადესტნური ენის მონაცემიც, შდრ.: დარგ. (ჩირგ.) მიჟ- ზე, ბულუხ. ემზირ, კრიწ. აშზურ-ა „მჟავე“, მაგრამ მათი შებრუნებული წყობის გამო უპრიანი ჩანს ქართულ მჟავ-ე სიტყვასთან გენეტიკური მიმართების შესაძლებლობაზე მსჯელობა.

ს.-ქართვ. *ძან- „მატლი, რკილი“

სვან. (ბქ.) ძენ „რკილი, მატლი“

ნეიტრალური გ ხმოვანი სვანურში ისტორიული ა-ს რეფლექსი ჩანს, რაც ხშირად დაჩნდება საერთო მასალაში, შდრ. ქართ. მატლ-ი : სვან. მეტ „მატლი“...

ქართულ-ზანურში შესაბამისი ძირ-ფუძეები არ იძებნება.

ს.-სინდ. *ძ- „რწყილი“

ადიდ. -ძ, სიტყვაში ბჟე-ძ, ყაბ. -ძ, სიტყვაში ბზე-ძ „რწყილი“

აბაზ. -ძ, სიტყვაში წე-ძ „რწყილი“, აფხაზ. ა-ძ „რწყილი“, შდრ. ა-წე-ძ „წილი“, гнида

უბიხური ძაძა „ფუტკარი“ ფორმაც ავტორთა მიერ აქვე განიხილება [როგავა 1956 : 13; სტა- როსტინი, ნიკოლაევი 1994 : 232], რასაც მეტი საბუთიანობა დასჭირდება.

ს.-ქართვ. *ძან- : ს.-სინდ. *ძ- არქტიპების შედარებითი ანალიზით ირკვევა, რომ ბოლოკი- დური ნ სონორი ჯერ კიდევ ფუძესინდურშია დაკარგული.

დადესტნურ და ნახურ ენებში კანონზომიერ შესატყვისებს ამ ეტაპზე ვერ ვხედავთ [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 231-232].

ს.-ქართვ. *ძარდა „წინა მხრის ძვალი“

სვან. ჯურღუ „წინა მხრის ძვალი“

სიტყვა პოვნიერია მხოლოდ სვანურში. აქაც დიდ ფონეტიკურ გარდაქმნებს ვხედავთ; უწი- ნარეს ყოვლისა, ბოლოკიდური ა → უ, რომლის მომდევნო საფეხურზე მივიღეთ ასიმილირებული

სახეობა: *ჯარლა → *ჯარლუ → ჯურლუ-

ს.-სინდ. *ძალა „ნეკნი“

ადილ. (შაფს.) ცალწ, ჭემგ. ცალწ, ყაბ. ძაჟა „ნეკნი“

უბიხ. ჯწლწ თემო; ბარკალი“

აფხაზურ-აბაზური ზა-/მა- „გვერდი“ სხვა სიტყვა ჩანს.

ჩერქეზულ ძირ-ფუძეთა ერთიანობა ეჭვს არ იწვევს, ამიტომაც შეუძლებელია მათი შემდგომი სეგმენტაცია [შდრ. შაგიროვი 1977, I : 164]. აშკარაა ლ → ჟ ფონეტიკური პროცესის მეორეულობა ყაბარდოულში.

ს.-ქართვ. *ძარლუ- „ძარღვი“

ქართ. ძარლუ-ი/ძარღვ-ი

ზან. (მეგრ.) ჯერღვ-ი „ძარღვი“

სვან. ჯწრლუ „ძარღვი“

ახსნას ითხოვს მეგრულის ე გახმოვანება ქართულ-სვანური ა-ს წილ. ამოსავალი მეგრულის-თვის ჯორღვ-ი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მისთვის დამახასიათებელი ო → ე (შდრ. ღორ-ი : ღეჯ-ი) გარდაქმნით ჯერღვ-ი მივიღეთ. სვანური შესატყვისი ფონეტიკური გადახრების გარეშე წარმოადგენს საკუთრივ-სვანურ ალომორფს, ასე რომ მეგრულიდან სესხებაზე საუბარი უადგილოა [იხ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 620-621].

ს.-სინდ. *წარლუ-ა „სპირალი; ხაზი“

ადილ. წერღვ „სპირალი, ხვია“

აფხაზ. ა-ჭუალუა „ხაზი“

როგორც ვხედავთ, ადიღეურში ლაბიალიზაცია მოიშალა, აფხაზურში პირიქით, თავკიდური თანხმოვნის ასიმილაციური ლაბიალიზაცია განხორციელდა.

ს.-სინდ. *წარლუ-ა „სპირალი; ხაზი“ : ს.-ქართვ. *ძარლუ- „ძარღვი“ ბუნებრივი სტრუქტურულ-სემანტიკური შესატყვისობა ჩანს.

ამავე ძირებს უკავშირდება, ალბათ, ნახ. ძორღ // ძორხ „კუჭი“. ცხადია, კუჭის გაგება ძარღვიანი / ხვეული შინაარსიდან განვითარდა.

ს.-ქართვ. *ძარცუ- „მოშორება; მოცილება“

ძვ. ქართ. გან-ძარცუ-ვ-ა // გან-ძუარცუ-ვ-ა „მოშორება, მოცილება, გაშიშვლება“, გან-ძარცულ-ი

ზან. (მეგრ.) რჩუ-ალ-ა „ძარცვა“, გო-რჩვ-ილ-ი „გაძარცული“, ლაზ. გო-ჩვ-ეს „გაძარცვეს“, გო-ჩვ-ერ-ი „გაძარცული“

შეიძლება ვიფიქროთ, ძველქართული ძუარცუ- ალომორფიდან გამომდინარე, რომ ფუძე-ენაში არსებობდა *ძუარცუ- დუბლეტური არქეტიპიც.

სვანური შესატყვისი ჯერაც არ ჩანს [ჩიქობავა 1938 : 372].

ს.-სინდ. *ძუადუა- „რეცხვა“

აბაზ. ჯუჯუა-რა, აფხაზ. ა-ჯუჯუა-რა „რეცხვა“

გვაკლია ადიღურ-უბიხური შესატყვისები [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 553]. აფხაზურ-აბაზური ალომორფების ნიადაგზე რეკონსტრუირებული არქეტიპი ასიმილირებული ვარიანტი ჩანს, ვინაიდან, გარდა ქართველურისა, ძირის ყრუ სიბილანტურ გახმოვანებაზე აშკარად მიუთითებს დადესტნური შესატყვისებიც, შდრ. ლაკ. შუში-, არჩიბ. ჩუჩგ-ბოს „რეცხვა“; ანუ აფხაზურ-ადიღურში პროგრესული, ხოლო დადესტნურ ენებში რეგრესული ასიმილაცია განხორციელდა.

სემანტიკური თვალსაზრისით, კორელაცია მოშორება / მოცილება ~ რეცხვა ბუნებრივად

გვესახება; ალბათ, რეცხვის სემა მოშორების შინაარსიდან განვითარდა.

ს.-ქართვ. ***ძარხუ**- „მოჭედილი“

ძვ. ქართ. **ზარხუ**-, **ზარხუ**-დ

ვინაიდან ძველ ქართულში ძ → ზ სპირანტიზაციის გავრცელებული ფონეტიკური პროცესი ჩანს, აქაც ვვარაუდობთ არქაულ **ძარხუ**- ფორმის არსებობას. სიტყვა ძველ ტექსტებში მხოლოდ ერთხელ გვხვდება: „ხატი... თეთროანად დახატული, ზ ა რ ხ უ დ“ [აბულაძე 1973 : 162].

ს.-სინდ. ***ძახუ**-გ „ლითონი; კალა, თუთია“

ადიდ. **ცაჰე** ← **ცაჰ** უგ, ყაბ. **ძახ** უგ „კალა, თუთია“

აბაზ. (აშხარ.) **ჟაჰ** უტა // **ჯაჰ** უტა, ტაპანთ. **ჟაჰ** უტა, აფხაზ. (აბჟ.) ა-**ჯაჰ** უტა, ბზიფ. ა-**ჟაჰ** უტა „რკინის ჩაქუჩი“

ადილური ენები ერთადერთია იბ.-კავკ. ოჯახში, სადაც ენდემური ძირი გამოჩნდება *კალის* აღსანიშნავად.

ს.-ქართვ. ***ძარხუ**- „მოჭედილი“ : ს.-სინდ. ***ძახუ**-გ „ლითონი; კალა, თუთია“ არქეტიპების შე-სატყვისი უნდა იყოს წ.-თუშ. **სტაჰ** ო „ჯაჰვი, ძეწვევი“ სიტყვა.

ს.-ქართვ. ***ძალუ**- „მწკლარტე, მომჟავო-მომწარო“

ძვ. ქართ. მ-**ძალ**-ე, სი-მ-**ძალ**-ე

ზან. (მეგრ.) **ძულ**-ე „მძალე“

სვან. **ძილ**-, მგ-**ძილ** „მძალე“

ზუსტი ჩანს ის რეკონსტრუქცია, რომელიც წარმოდგენილია ქართველურ ენათა ეტიმოლო-გიურ ლექსიკონში [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 609], ვინაიდან ამით იხსნება როგორც ზანური ***ძოლუ**- → **ძულ**-, ისე სვანური **ძილ** ← ***ძულ** ← ***ძალუ** (შდრ. ქართ. თაგუ- : სვან. შდუგ ← *შთაგუ „თაგვი“) ვოკალიზმი.

ს.-სინდ. ***ჯალუ**-გ „მარილი“

ადიდ. (შაფს.) **ჩ** გლუგ, ჭემგ., ბჟედ. **შ** გლუ, აბძახ. **შგლუ**, ყაბ. **შგლუგ** „მარილი“

ძნელია ვისაუბროთ **ჯ** → **ჩ** დაყრუების მექანიზმზე ადილური ძირის ანლაუტში (დისიმი-ლაციური დაყრუება?). არასპირანტიზებული ალომორფი შაფსულურ დიალექტს დაუცავს, რაც ხშირად ხდება კილოური არქაიზმიდან გამომდინარე.

ს.-ქართვ. ***ძალუ**- : ს.-სინდ. ***ჯგლუ**-გ კანონზომიერ სტრუქტურულ-ფონეტიკურ და სემანტი-კურ შესატყვისობებს აჩვენებს, შდრ. დალ. (ანდიური) **ცცონდოლ** „მლაშე“.

ს.-ქართვ. ***ძალუ**- „პატარა; მომცრო ტანისა“

ზან. (მეგრ.) **ძულ**-უ // **ძულ**-ულ-ა // **ძულ**-გლ-ა „პატარა (ბავშვზე იტყვიან)“

სვან. (ჩოლურ.) **ძალუ**-იტ „პატარა, მაგრამ ცბიერი კაცი“

გვაკლია ქართული შესატყვისი. სვანურ **ძალუ**-ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრუ-ლი **ძულ**- ფორმა, ბოლოკიდური -**უ** / -**ულ**-ა, ისევე, როგორც სვანური -**იტ**, კნინობითობის სუფიქ-სებია. **ძალუ**- / **ძულ**- იმავე რიგისაა, რაც **დათუ**- / **თუნთ**- „დათვი“ ტიპის შეფარდებაში გვაქვს.

ს.-სინდ. ***ძა**- „დაპატარავება“

აბაზ. **ძა**-, სიტყვაში ლ-**ძა**-რა „დაპატარავება“

ძა- ფორმა განმარტოებით დგას აბაზურ ენაში, მაგრამ ფუძეენურ წარმომავლობას ვარაუ-დობს. ამაში ს.-ქართვ. ***ძალუ**- გვარწმუნებს. ცხადია, **ძ** → **ღ** ქართველურში განხორციელდა, ვინაი-დან ფარინგალური ნაპრალოვნები ჯერ კიდევ საერთოქართველურ ფუძე-ენაში გაუჩინარდა.

სხვა იბ.-კავკ. ენებში შესაბამის ძირ-ფუძეებს ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვ. *ძალტ- „შეჯავრება, ჯავრი“

ძვ. ქართ. გ-ძალტ-ს „გეჯავრება“

ზმნური ძალტ- ძირი დასტურდება მხოლოდ ძველ ქართულ სამწერლობო ენაში. სავარაუდოდ, იგი ფუძეენური წარმომავლობისაა, რასაც გარეენობრივი მონაცემი ადასტურებს.

ს.-სინდ. *ძალტ- „სიძულვილი“

ადიდ. (აბძახ.) ჟალტ-ნ „სიძულვილი“

ძველქართულ-აბძახური იზოგლოსა წარმოაჩენს კანონზომიერ და რეგულარულ ფონემურ ოპოზიციას ს.-ქართვ. ძ : ს.-სინდ. *ძ. ცხადია, ძ → ჯ ჯერ ადიღურში განხორციელდა, რასაც მოჰყვა სპირანტიზაციის ჯ → ჟ საკუთრივ აბძახური პროცესი.

სემანტიკური კორელაცია შეჯავრება ~ სიძულვილი კანონზომიერი ჩანს.

ს.-ქართვ. *ძალტა „ზღვა“

ქართ. ზღვა-დ, ზღვა

ზან. (მეგრ.) {ზორღა-}, ჰიდრ. ზორღა-თ-ი, ლაზ. ზოღა // ზულა, მზოღა // მზულა „ზღვა“

სვან. ძულტა, ზულტა (ბქ.) „ზღვა“

ინტერკონსონანტური ა ხმოვნის ლაბიალიზაცია სვანურში გვიანდელი ჩანს, ასიმილაციით ძალტა → ძულტა. მეგრულში დაკარგული ძირი ჩვენ აღმოვაჩინეთ ჰიდრონიმ ზორღა-თ-ის შემადგენლობა. ზორღა-თ-ი მდინარეა ენგურთან გალ-ზუგდიდის საზღვარზე, სადაც ხშირად „ტბორდება ადგილი“, რის გამოც ზორღა-თ-ი (=ზღვეთ-ი) შეერქვა და ფუძეც ამით გადარჩა.

ს.-სინდ. *ძჷჷტა „ჭაობი; დიდი მდინარე“

აბაზ. ძეჷჷტ „დიდი მდინარე“, აფხაზ. ა-ძეჷჷტა „ჭაობი“

არსებობს წარუმატებელი ცდა ამ ფუძეთა შემდგომი სეგმენტაციის [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 683], როცა ძე „წყალი“ ცალკე გამოიყოფა, მაგრამ რალა არის ჷტა? – ასეთი ძირი აფხაზურ-აბაზურში არ ჩანს. ამიტომაც გვეჩვენება, რომ ამგვარი მიდგომა ხალხური ეტიმოლოგიის ფარგლებს ვერ სცილდება.

რაც შეეხება სემანტიკურ მხარეს, ზღვა ~ ჭაობი ბუნებრივია მეგრულისათვის, როცა არაერთ ადგილის სახელს ზღვათა ეწოდა. ასე მაგალითად, ზღვათა ჭაობთა ზუგდიდ-წალენჯიხის მიჯნაზე, საიდანაც სათავეს იღებს მდ. ჯუმი.

სარწმუნო ჩანს ს.-ნახ. *ჟალა „ქვიშა, ღორღი“ ძირთან კავშირიც.

ს.-ქართვ. *ძაყ- „ძირმაგარა“

სვან. ჟეყ „ძირმაგარა, ძირმაგარას ძირი“

ადრევე ვფიქრობდით ქართულ (ხევსურულ) ზატყ-ი „ძარღვბანი“ სიტყვის გენეტიკურ კავშირზე სვანურ ჟეყ ძირთან [ჩუხუა 2000-2003 : 187], მაგრამ ჩვენი ეს დაკვირვება არ იქნა გაზიარებული შემდგომ გამოცემულ ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკაონში [ფენრიხი 2007].

სავარაუდო ჩანს ჯ → ჟ დეზაფრიკატიზაცია-სპირანტიზაციის პროცესი სვანურში, ისევე, როგორც ჟელ(ჟ) : ძალ- და სხვ. ლექსემებში.

ს.-სინდ. *ძალ-ა „ბებერა, ძირმაგარა“

აბაზ. (ტაპანთ.) ცაღა „ბებერა; ძირმაგარა“, აფხაზ. ა-ძაღა, ბზიფ. ა-ძაღ „ბებერა, ბურცი“

აუხსნელია ძ → ც დაყრუების ფონეტიკური პროცესის მექანიზმი ტაპანთურში.

ვერ გავიაზრებთ აფხაზურ-აბაზურში ძე „წყალი“ სიტყვის გამოყოფის შესაძლებლობას [ჩირიქია 1996 : 65]. პირიქით, სვანურ-აფხაზურ-აბაზური იზოგლოსები ერთიან ძირს აჩვენებენ, რომელთა შესატყვისები შეიძლება იკითხებოდეს შებრუნებული წყობის დადესტურ ფორმებში, მდრ.: ხუნდ. შუჟ, ანდ. (რიქვან.) შანჯი, კარატ. (ტუკ.) შანჟი „ჭრილობა, იარა“.

ს.-ქართვ. ***ძამ**- „ვირთაგვა“

ქართ. **ზაზ**-უნ-ა „მინდვრის მომცრო მღრღნელი ცხოველი [Mesocricetus auratus], **ზაზ**-უნ-ი „ვირთაგვა“, *сyрок* (ჩუბინაშვილი)

სიტყვა მხოლოდ ქართულშია პოვნური, ისიც **ძამ** → **ზაზ**- სპირანტიზაციით გამორჩეული. -უნ-ა / -უნ- საკუთრივ-ქართულ სუფიქსაციად მიიჩნევა.

ს.-სინდ. ***ძამ-შ** „თრითინა; კვერნა“

ადილ. **ცეზნ** / **ცეზნ** „ციყვი, კვერნა“, ყაზ. **ძეძნ**

აზაზ. **ძეძე-ც** „თრითინა, დედოფალა“

უბიხური **ცეზა** „კვერნა“ ნამდვილად ადილური ნასესხობაა [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 360], ხოლო აფხაზური ა-ფშ-ძს „სინდიოფალა“ სხვაგვარ ეტიმოლოგიას გულისხმობს, შდრ. აფხაზ. ა-ფშ- „წითელი“. ცხადია, ძ → ც → //ც დაყრუების ისტორიული პროცესი ადილურში განხორციელდა, რასაც აზაზური ალომორფიც ამტკიცებს ყაზარდოულთან ერთად.

სემანტიკურად (და სტრუქტურულადაც) სინდურ-ქართველურ არქეტიპებს ეხმიანება ხუნძ. **ზაზი**-ჟუნკა, კარატ. **ჟუნ-ჟუნა** „ციყვი, თრია, თრითინა“, ბეჟიტ. **ჯაჯუ** „ზღარბი“.

ს.-ქართვ. ***ძახ**- „ძახვა“

ქართ. **ძახ**-ავ-ს „ორ და მეტ წვერ ძაფს ერთმანეთს შეაგრებს“, სა-**ძახ**-ავ-ი, ნა-**ძახ**-ი, ძვ. ქართ. **ძახ**-ვ-ა „შერთვა“, **ძახ**-ილ-ი „შერთული“

სვან. **ჯგრხ**- „შეკვრა“, ლგ-**ჯგრხ**-ან „შეკრული“

უძველესი ქართული სამწერლობო ტექსტებიდან ცნობილი **ძახ**- ზმნა შემდგომ სეგმენტაციას არ ექვემდებარება, რასაც სვანური შესატყვისიც ადასტურებს. სვანურის გ გახმოვანება ისტორიულ ა-ს ასახავს, შდრ. ქართ. მატლ : სვან. მგტ „id“. გვალკია ზანური შესატყვისი, რომელიც {**ჯორხ**- / **ჯობ**-} სახეობისა უნდა ყოფილიყო.

ს.-სინდ. ***ძახ**- „კერვა“

აზაზ. **ძახ**-რა, აფხაზ. ა-**ძახ**-რა „კერვა“

ჩერქეზულ ენებში შესატყვისები არ იძებნება. სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილი თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ აქ **ხ** გამოიყოფა, ხოლო ასე უმიზეზოდ გამონაწევრებული **ძა**- უკავშირდება უბიხურ -**დუგ**- და ადილ. **და**- „კერვა“ ძირებს, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს [იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 648]. პირიქით, ს.-ქართვ. ***ძახ**- : ს.-სინდ. ***ძახ**- შეპირისპირებაში სტრუქტურულ-ფონეტიკური იდენტურობა გამყარებულია სემანტიკური იგივეობა. შებრუნებული წყობის ზმნა დაღესტნურშიც გამოჩნდება, შდრ. არჩიბ. **კენზ**-ბოს „ძახვა“.

ს.-ქართვ. ***ძახ-ელ**- „სახელი“, ***ძახ**- „ძახება“

ქართ. **სახ-ელ**-ი ← ***ძახ-ელ**-ი, შდრ. მ-**ძახ**-ალ-ი, **ძახ**-ილ-ი, **ძახ**-ებ-ა

ზან. (ლაზ.) **ჯობ-ო** „სახელი“, ვ-უ-**ჯობ**-ი „ვუძახე, ვუწოდე“, **ჯობ**-ინ-ი „ძახილი“, მეგრ. **ჯობ-ო** „სახელი“, **ჯობ-ო**-ნ „ჰქვია“

სვან. **ჟახე** „სახელი“, ხ-ა-**ჟხ**-ა „ჰქვია“

ჯერ კიდევ ძველ ქართულშივე შეიმჩნევა ძ → ზ → ს სპირანტიზაციის პროცესი, შდრ. **ზახ**-ილ-ი, **სახ**-ელ-ი. სპირანტიზებული სახეობები ერთადერთია სვანურშიც – **ჯ** → **ჟ**.

ქართველურ ძირ-ფუძეთა ისტორიის კვლევა გამოიჩინა პროდუქტიულობით [ბროსე 1849 : 76; ჭარაია 1912 : 43; ჩიქობავა 1942 : 32; დეეტერსი 1930 : 96; კლიმოვი 1964 : 236-34].

ს.-სინდ. ***ხჰმ-გ** „სახელი“

აზაზ. (აშხარ.) **ხგზე**, ტაპანთ. **ხგზე**, აფხაზ. ა-**ხძე** „სახელი“

ჩერქეზული შესატყვისები არ ჩანს. აფხაზურ-აზაზურშიც ქართველურივით ხელშესახებია ძ → ზ სპირანტიზაციის პროცესი [ჭარაია 1912 : 43].

ქართველური ეკვივალენტი შებრუნებული წყობისაა, რასაც ნახური მასალა ამტკიცებს, შდრ. ს.-ნახ. *ხამ- „სმენა, გაგება“. ამ უკანასკნელის შიშინა შესატყვისი თვით ჰურიტულში დასტურდება – ხურიტ. ხაჟ- „გაგონება“.

ს.-ქართვ. *მაჭუელ- „მახველი; არყის ხე“

ძვ. ქართ. მაჭუელ-ი // ძავეელ-ი (საბა), ახ. ქართ. მახველ-ი

სვან. ჟაჭუზ, ჟაჭურ-ა (ბქ.), ჟაჭუტერ (ლშხ.) „არყის ხე“

ამოსავალი მნიშვნელობა ძ ა ხ ვ ე ლ ი ს ა უნდა ყოფილიყო [იხ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 622-23].

ს.-სინდ. *მაჭუ-ა „ვაზი; ჭანგა“

ადილ. ზაჭგ, ყაბ. ძახუ „ჭანგა“

აფხაზ. ა-მახუა „ვაზი“

აგებულებითა და მნიშვნელობით აფხაზური უფრო ქართველურთან დგას ახლოს, მაშინ, როდესაც ჩერქეზულ სიტყვებში ჯ-ს კვალს ვერ ვპოულობთ [შაგიროვი 1977, I : 167].

აფხაზურ-ქართველურ იზოგლოსებს კანონზომიერად შეესატყვისება საერთონახური *ჯახ-არ „ღანძილი“ ფორმა. განსხვავებული ეტიმოლოგია იხ. მაჭავარიანი 2015 : 85.

ს.-ქართვ. *დგიბ- „დაცობა; გავსება“

ქართ. დგიბ-ვ-ა „გავსება“, მო-დგიფ-ულ-ი „მოჭერილი; შემოტმასნილი“

ზან. (ლაზ.) ო-ნგიფ-უ „გავსება“, ბ-დგიბ-უმ „გავსებ“, მეგრ. დგიბ-უნ-ს „აცობს, ავსებს“, ო-დგიბ-ალ-ი „საცობი“, დგიბ-ილ-ი „გავსებული, გატენილი“

სვან. ძგუბ- (←*დგიბ-), ლი-ძგუბ-ე „გავსება“, ხ-ე-ძგუბ-ენ-ი „ევსება“

გაუგებარია სვანურში უ გახმოვანება; ალბათ, ბ-სთან ასიმილაციით მოხდა ი-ს ლაბიალიზაცია [ჩუხუა 2000-2003 : 346; ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 611].

ს.-სინდ. *ჯგუბ- „თავის დაცობა“

აფხაზ. ა-ჯგუბ-რა „თავის დაცობა“

საერთოსინდური არქექტივის რეკონსტრუქცია შესაძლებელი ხდება მხოლოდ აფხაზური ენის მონაცემზე დაყრდნობით. ამიტომაც არ გამოვრიცხავთ *ძგუბ- დუბლეტური ფორმის არსებობის შესაძლებლობას. სემანტიკური იგივეობა მხარდაჭერილია ბგერათშესატყვისობათა კანონზომიერი მიმართებით, თანაც A ტიპის ჰარმონიულ-დეცესიურ კომპლექსთა დონეზე ძგ : ჯგ / ძგ, რასაც ემატება ბ : უ ბილაბიალური ოპოზიცია, რომელიც (ბ → უ) ლაბიალიზაციის წყარო ხდება ჯერ კიდევ საერთოსინდური ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე.

ს.-ქართვ. *დგიფ- „გაყინვა“

ქართ. დგიფ-ი „მცირედ შეყინებული“ (საბა), გა-დგიფ-ვ-ა „მცირედ შეყინება“

ზან. (ლაზ.) ო-დგიფ-უ „მოყინვა“, დგიფ-ერ-ი „მოყინული“

სხვა ქართველურ ენა-კილოებში შესაბამისი მასალა არ დასტურდება. ყურადღებას მიიქცევს მესხური დიალექტის გა-დგიბ-ვ-ა „გაციება“ ლექსემა, რომელიც პროგრესული ასიმილაციით ჩანს მიღებული – დგიფ- → მესხ. დგიბ-, თუმცა შდრ. სვან. ბიძგ-, ა-ბძგ-ე „ოდნავ ყინავს“.

ს.-სინდ. *ჯუფ- „თრთვილი, ჭირხლი“

ადილ. ჩაფ, ყაბ. ჟაფ, ბასლ. ჯაფ „თრთვილი, ჭირხლი“

ერთ-ერთი იმ ფუძეთაგანია, სადაც ჯერ კიდევ ჩანს არსებობის კვალი უძველესი ველარიზებული (ე. წ. მაგარი) სიბილანტებისა. სწორედ ამ თანხმობანთა რეფლექსაციით არის ქართველურ ენებში ძგ/ჯგ, ცქ/ჩქ, წვ/ჩვ ტიპის ბიფონემური კომპლექსები დამკვიდრებული. ს.-სინდ. *ჯუფ- : ს.-ქართვ. *დგიფ- ამგვარი ტრანსფორმაციის (ჯ* → ძგ/ჯგ) ერთ-ერთ უნიკალურ

ნიმუშს წარმოადგენს.

ს.-ქართვ. *ძე „ვაჟიშვილი, მემკვიდრე“

ქართ. ძე „ვაჟიშვილი“ (საბა), ძე „მემკვიდრე“

ქართულ ძე ძირს შესატყვისები ჯერჯერობით არ უჩანს ქართველურ ენებში. მეგრულში პოვნური ნძე მხოლოდ მემკვიდრეს უდრის, უ-ნძე-ო „უმემკვიდრო“, შდრ. მო-ნძე „ერთადერთი ვაჟი“. ამავდროულად იგი ნასესხებია სამწერლობო ქართულიდან არაუგვიანეს რუსთველის ეპოქისა (სხვა ძე არ ესვა მეფესა...).

ს.-სინდ. *ჯჷ- „ძმა“

უბიხ. ჯჷ, სიტყვაში ჯჷ-ლჷ „ძმა“

სხვა სინდური ძირები აფხაზ.-აბაზ. აშა, ადიღ. შჷ „ძმა“ აქ არ შემოდის, ისინი უბიხური კომპოზიტის მეორე ნაწილს -ლჷ სეგმენტს შეეფარდებიან, ლჷ → შ ფონეტიკური გადაბგერებით.

რა თქმა უნდა, ისმის საკითხი ს.-ქართ. *ძე და ს.-ქართ. *ს-ძალ- „რძალი, და“ ძირთა ურთიერთმიმართების შესახებ [როგავა 1952 : 12]. ისინი საერთო ძირს შეიცავენ, რომელსაც მხოლოდ გრამატიკული კლასის ნიშანი (II გრამ. კლ. ნიშ. ს-) განასხვავებდა. გაგვახსენდება ს.-ნახ. *ტა-ჯალ „ძმა“ ~ *მა-ჯალ „და“ (ს.-ქართვ. *ს-ძალ- „რძალი, და“) და ა.შ.

ს.-ქართვ. *ძეგჷ- „ეკლიანი ჩირგვი; ძეძვი“

ქართ. ძეგვი-ი „ეკლიანი ჩირგვი“, იმერ. ძეგვი-ე „ეკალი“

ზან. (მეგრ.) ჯაგ-ი (← *ჯაგვი-ი) „ჩირგვი, ძეძვი“

თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ქართ. ჯაგ-ი // ჯაგვი-ი „წვრილი ჩირგვი“ (საბა) ინახავს ძეგჷ- ძირის ზანურ შესატყვისს [დანელია 1984 : 86], სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებულია [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 623]. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ სვანური ჟაგ „წამალი“ და ოთ-ჟაგ-არ „მოწამლა“ ფუძეებიც აქვე შემოდის, ვინაიდან როგორც ქართულში (წამალ-ი „ბალახი“ → უ-წამლებ-ს, წამალ-ი), ისე სხვა ენებშიც (რუს. трава → отравა, травить) ბალახი და წამალი საერთო ძირისაა ხოლმე.

ს.-სინდ. *ძარგჷ- „მახველი; საშუალო სიდიდის ბუჩქი“

ადიღ. (შაფს.) ზარგჷ, ჭემგ. ზარგჷ „მახველი“

ადიღურში, ისევე როგორც სვანურში, განხორციელდა ძირეული აფრიკატი სიბილანტის სპირანტიზაცია – ძ → ზ, ამიტომაც ფუძეეწური მდგომარეობისთვის ძარგჷ აღვადგინეთ.

ახლა ძნელი სათქმელია, იყო თუ არა გჷ ლაბიალიზებული საერთოსინდურში; საკუთრივ ადიღური მასალა გჷ-ს აღდგენის შესაძლებლობას არ იძლევა.

ს.-ქართვ. *ძეგჷ- „ფქვა; ცეხვა“

ძვ. ქართ. ძეგვი-, გამო-ძეგვი-ა-მ „გამოცეხვა“, ძეგვი-ა „მცირედ დანაყვა“ (საბა)

სვან. ძგ-, ხუ-ა-ლ-ძგ-გნ-ე „ფქვა; ვნაყავ“

ზანურ შესატყვისებს ჯერჯერობით ვერ ვხედავთ. ქართული ალომორფები ცნობილია ძველ-ქართული ტექსტებიდან, რომელსაც კანონზომიერად შეესატყვისება სვანური ძგ- (←*ძეგჷ-) ზმნა [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 611].

ს.-სინდ. *ძგჷ- „ფქვა“

უბიხ. ჩგჷ- // ჯგჷ- „ფქვა“

საერთოსინდური ძირის რეკონსტრუქცია გარკვეულ სიძნელეებს აწყდება იქიდან გამომდინარე, რომ არ გაგვაჩნია საკონტროლო მასალა ადიღური და აფხაზურ-აბაზური ენებიდან. დასაშვებად მივიჩნევთ ჯ → ჩ დაყრუების ფონეტიკურ პროცესს უბიხური სიტყვის ანლაუტში. სწორედ ამ დაშვებიდან ამოსვლით ხერხდება ფუძეეწური არქტიპის აღდგენა. სინდურ-ქართველურ

პროტოტიპთა სტრუქტურულ-სემანტიკური იგივეობა ეჭვს არ იწვევს.

ს.-ქართვ. ***ძეუ**- „დება; გდება“

ძვ. ქართ. **ძე**-ს, ს-**ძე**- „ძევხარ“, ახ. ქართ. **ძევ**-ს

ზან. **ძუ**-ნ „ძევს; აგდია“, გე-**ძუ**-ნ „ადევს“, მო-**ძუ**-ნ „მადევს“

სვან. **ზი/ზგ** „არის, ძევს“, ხ-ო-**ზ** „უძევს“, ხ-ა-**ზ** „ადევს“

ქართველურ ძირ-ფუძეთა ერთიანობა ეჭვს არ იწვევს [ჩიქობავა 1938 : 387-388]. ამავდროულად, გასაზიარებელი ჩანს გ. კლიმოვის მიერ შემოთავაზებული რეკონსტრუქცია ***ძეუ**- [კლიმოვი 1998 : 279].

ს.-სინდ. ***ძ** - „გდება“

ადილ. **ძგ**-, ყაბ. **ძგ**- „გდება“

უბიხ. **ძა**-, სიტყვაში **ძა**-და- „დაგდება“

ჩერქეზულ ენათა მასალა ჯერ კიდევ ი. მესაროშმა შეუპირისპირა ერთმანეთს [მესაროში 1934 : 262]. -**და**- სუფიქსი უბიხურ ზმნებში ხშირად დაჩნდება, თუმცა ძირთადი ფუნქცია მისი დღემდის გაურკვეველია [კვახაძე 2014 : 272].

ს.-ქართვ. ***ძეუ** - ს.-სინდ. ***ძ**- კანონზომიერ მიმართებას აჩვენებს. ბოლოკიდურა უ სონანტი ჯერ კიდევ ფუძესინდურშია დაკარგული, რითაც ძველ ქართულს ემსგავსება.

ს.-ქართვ. ***ძეუალ**- „სამეო კვერცხი; ჯილაგი“

ქართ. მ-**ძევალ**-ი // **ძევალ**-ი „სამეო კვერცხი“

ზან. (მეგრ.) **ჯალ**-ი „მძევალი“

სვან. **ჯელ**-აგ / **ჯილ**-აგ „ჯილაგი“

არ არის გამორიცხული სვანური შესატყვისი შემონახული იყოს **ჯილ**-აგ სიტყვაში, სადაც -აგ ცნობილი სვანური სუფიქსია, ხოლო **ჯელ**-/**ჯილ**- ასახავს ს.-ქართვ. ***ძეუალ**- არქეტიპს. ოსური **ძილაგ** სვანიზმი გამოდის.

ს.-სინდ. ***ჯუ**-ა „თესლი; გვარი; ხალხი“

ადილ. **ჯუ**ლ'ა, ყაბ. **ჯუ**ლ'ა „თესლი; გვარი; ხალხი“

უბიხ. **ჯგგ** ← ***ჯგ**ლ'გ „თესლი“

აბაზ. **ჯუ**ლა, აფხაზ. **ჯ**-**ჯუ**ლა „გვარი, კლანი“

სტრუქტურულ-სემანტიკური იგივეობა ეჭვს არ იწვევს. ამ მაგალითით კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ ზოგ შემთხვევაში ადილური **ჩ** მეორეულია ყაბარდოულ **ჯ/ჟ** მჟღერებთან მიმართებით.

გარენათესაობას უჭერს მხარს ურარტული **ზილიზ** „თესლი; შთამომავალი“ სიტყვა.

ს.-ქართვ. ***ძეუალ**- „მძევალი; ძირი“

ქართ. მ-**ძევალ**-ი // **ძევალ**-ი

სვან. **ჯუ**ლ'უ, **ჯა**ლ'უ (ბქ.) „ძირი, ძირ-ფესვი“, შდრ. **ჯა**ლ'უ-შ (ნათ. ბრ.)

დიდი ხანია ქართულ-ზანურ ფუძეთა ერთიანობა ცნობილია [ყიფშიძე 1914 : 411]. ძველქართულიდან დღემდის პოვნიერ **მძევალ**- სიტყვაში მ ფონეტიკური დანართი ჩანს – ძევალ- → მ-ძევალ-. ზანურში ვარაუდობენ ***მჯავოლ**- სახეობის გარდამავალი საფეხურის არსებობას, რაც დასაშვებია, ოღონდ, მ-ს გარეშე ანლაუტში [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 342].

ს.-სინდ. ***ჯუ**ლა „თესლი“

ყაბ. **ჯუ**ლ'ა „თესლი“

უბიხ. **ჯ**გგ (← ***ჯგ**ლ'გ) „თესლი“

აბაზ. **ჯუ**ლა, აფხაზ. **ჯ**-**ჯუ**ლა „თესლი“

ადილურში სათანადო ძირი დაკარგული ჩანს. ს.-ქართვ. ***მეტალ-** : ს.-სინდ. ***ჯგულა** კანონ-ზომიერ შესატყვისობად მიიჩნევა როგორც სტრუქტურულ-ფონეტიკური, ისე სემანტიკური თვალსაზრისითაც. ოპოზიცია მნიშვნელობები ძირი ~ თესლი ბუნებრივად ჩანს.

სინდურ-ქართველური არქეტიპის დალესტნური შესატყვისი იკითხება თაბასარანულ ჩიჟ / ჯუფ (დუბეკ.) „ძირი“ ალომორფებში. ეს უკანასკნელი ქართველურ შინაარსს ემთხვევა.

ს.-ქართვ. ***მელ-** „ხე“

ქართ. **მელ-**ი „ხე“

ზან. (ლაზ.) **ჯა** // **ნჯა**, **ჯალ-**ეფ-ე „ხეები“, მეგრ. **ჯა** // **ნჯა**, **ჯალ-**ონა „ხეივანი“, ო-**ჯალ-**ემ-ი = სა-**მელ-**ის-ი „ვაზის ჯიში“

სვანური შესატყვისი ჯერაც არ გამოვლენილა, თუმცა ქართულ-ზანურ ფუძეთა ერთობა ცნობილია ნ. მარის პერიოდიდან [კლიმოვი 1965 : 237].

ს.-სინდ. ***ჯტჷ** „ხე : ვერხვი, იფანი, ტირიფი“

უბიხ. **ჟტა** „ტირიფი“

აბაზ. **ჟა-ჟტე** „იფნის ხე“, აფხაზ. **ა-ჟა** „ვერხვი“

სინდურ ენებში სემანტიკური ვარიაცია (ვერხვი, იფანი, ტირიფი) იმაზე მიუთითებს, რომ ფუძე-ენაში ***ჯტა** არქეტიპი ზოგადად *ხის* აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. აქვე საყურადღებოა ს.-ქართვ. **ლ** : ს.-სინდ. **ტ** ბგერათმესატყვისობა, რაც **ლ** → **ტ** გარდაქმნით აიხსნება ფუძე-სინდურში.

ს.-ქართვ. ***მერძ-** „გადაგორება“

ზან. (მეგრ.) **ჯარჯ-**, მარქვალში **ჯარჯ-**უ-ა „კვერცხის გადაგორება“ (რიტუალი)

სავარაუდოდ, საერთოქართველური წარმომავლობის ზმნური ძირი შემორჩენილი ჩანს მხოლოდ მეგრულში.

ს.-სინდ. ***ძძძ-** „გორება“

ადილ. (შაფს.) **ჯჯჯ-**, **გ-ჯჯჯ-**დ „აგორება“

მეგრულ-შაფსულური იზოგლოსია. შაფსულურ დიალექტშიც ზმნური ფუძე მხოლოდ მესამე პირის ნამყო დროის ფორმით დასტურდება.

„ზედმეტი“ **რ** ქართველურ ენებში შეიძლება ფონეტიკური დანართი იყოს. საკითხი დამატებით კვლევას მოითხოვს.

ს.-ქართვ. ***მერძ-** „წვეტიანი საგანი“

ზან. (ლაზ.) **ძარძ-** „შესობა; წვეტიანი საგნის გაყრა“, „განგმირვა“

ფუძეენიდან მომდინარე ზმნური **ძარძ-** ძირი ლაზურს შემორჩა; აქვე ბუნებრივი უნდა ყოფილიყო **ძარძ-** „წვეტიანი საგანი“ სიტყვაც, მაგრამ ამ უკანასკნელის არსებობის კვალი მხოლოდ ნასახელარ ზმნაში შემოგვრჩა.

ს.-სინდ. ***ძც-ა** „შამფური“

ადილ. **ცაცა**, ყაბ. **ძასა** „შამფური“

უბიხ. **ცაცა** „შამფური“

ფუძის ანლაუტური სიმჟღერე ყაბარდოულს დაუცავს, თუმცა იქვე მოულოდნელი ჩანს **ც** → **ს** სპირანტიზაცია მსგავს პოზიციაში. ს.-ქართვ. ***მერძ-** „წვეტიანი საგანი“ : ს.-სინდ. ***ძაც-ა** „შამფური“ შეპირისპირება არქეტიპების დონეზე წარმოაჩენს პროგრესული ასიმილაციის პრეისტორიულ პროცესს ქართველურ ფუძე-ენაში - ***მერც-** → ***მერძ-**.

ს.-ქართვ. ***ძებტ**- „ეკლებიანი ბუჩქი“

ქართ. **ძებვ**-ი „ეკლებიანი ბუჩქი“, **ძებვ**-ნარ-ი

ზან. (ლაზ.) **დაძ**-ი // **დანძ**-ი ← ***ძაძვ**-ი „ძებვი; კვრინჩხი“, **დანძ**-ევ-უნ-ა „ძებვნარი“

დისიმილაციური დეზაფრიკატიზაცია ლაზურ დიალექტში სპორადულად ვლინდება (ტ. გუდავა), მასვე ერთვის **ტ**-ს მოკვეცის არაიშვიათი პროცესი [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 615].

მეგრული ვარიანტი დაკარგული ჩანს, სვანურში შესაბამისი მასალა ჯერჯერობით არ ჩანს გამოვლენილი.

ს.-სინდ. ***ძძ**- „სადგისი“

აფხაზ. ა-**ძაძ** // ა-**ძეძ** „სადგისი“

შესატყვისობა სემანტიკურ დონეზე ბუნებრივი ჩანს – *ეკალი ~ სადგისი*. ამოსავალი ვითარება ქართველურს დაუცავს, რასაც დადესტნური მასალაც ამტკიცებს, შდრ.: დარგ. **ძანძი**, თაბას. **ძაძ**, ლაზგ. **ცაძ** „ეკალი“. ასევე საყურადღებო ჩანს ნახურ ენათა ჩვენება – **ძეძ** „ნაძვი“.

ს.-ქართვ. ***ძებტ**- არქეტიპზე მსჯელობისას გ. კლიმოვი სამართლიანად მოიხმობდა დადესტნურ პარალელებს, მაგრამ იქვე უთითებდა ადილ. **ზნ** ძირსაც, რაც საქმის რეალური ვითარებიდან გამომდინარე, ჩვენთვის მიუღებელია [კლიმოვი 1964 : 234-235].

ს.-ქართვ. ***ძტალ**- „ძვალი“

ქართ. **ძტალ**-ი / **ძვალ**-ი, **ძტალ**-ედ-ი, პილოძს-**ძტალ**-ედ-ი

ძტალ- ფუძეს უკავშირებენ, ერთი მხრივ, სვანურ **ჯიჯტ** „ძვალი“ და, მეორე მხრივ, მეგრულ **ჯიჯგტ**- „მსხვილჯვლიანობა“ ფორმებს [სამეცნ. ლიტ. იხ. კლიმოვი 1964 : 241]. მიგვაჩნია, რომ ქართული **ძტალ**-ი / **ძვალ**-ი ალომორფები ფუძეეწერი წარმომავლობისაა; უბრალოდ, მისი შესატყვისები ქართველურ ენა-კილოებში ჯერჯერობით არ არის გამოვლენილი. შემთხვევითი არც ის ფაქტია, რომ ბოლოდროინდელ ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში **ძტალ**- / **ჯიჯტ** შეპირისპირება არც არის შეტანილი [ფენრიხი, სარჯველაძე 2000; ფენრიხი 2007].

ს.-სინდ. ***ძტა**- „ნეკნი“

აზაზ. (აშხარ.) ვა-რს, ტაპანთ. ძა, აფხაზ. ა-ვა-რა „ნეკნი“

ჩერქეზული მონაცემების არქონის პირობებშიც შესაძლებლად მივიჩნევთ ფუძეეწურ არქეტიპად ***ძტა**- ძირის რეკონსტრუქციას. საერთოქართველური ***ძტალ**- ფორმა ნათლად აჩვენებს, რომ ფუძესინდურში ბოლოკიდური **ლ** დაიკარგა [კლიმოვი 1969 : 289]. სინდურ-ქართველურ იზოგლოსებს ეხმიანება დადესტნური ინფორმაცია, სადაც კანონზომიერი ანდ. ენათა შესატყვისები გამოვლინდა, შდრ. კარატ. **ჟტალ**-ა, ბოთლიხ. **ჟოლ**-ა, ტინდ. **ჟტალ**-ა „ნეკნი, ძვალი“...

სემანტიკური ოპოზიცია *ძვალი ~ ნეკნი* ბუნებრივი ჩანს, რასაც დადესტნურ ენათა მნიშვნელობები ამტკიცებს.

ს.-ქართვ. ***ძტელ**- „ძველი“

ქართ. **ძტელ**-ი, და-**ძველ**-ებ-ა

ზან. (ლაზ.) **მჯვე**, **მჯვე**-შ-ი, მეგრ. **ჯვე**-შ-ი „ძველი“

სვან. **ჯტინელ** ← ***ჯტელ**-ინ „ძველი“

ამოსავალი ჩანს ქართული **ძველ**- ტიპის ფუძე, რომლის კანონზომიერი შესატყვისი ზანურში ლაზურ **მჯვე** ფორმაშია შემორჩენილი (**ლ**-ს მოკვეცით). მეგრ.-ლაზ. **ჯვე**-შ-ი იმავე ძირს შეიცავს, ოღონდ **-შ** (← **-იშ**) უფრობითი ხარისხის ფორმით, შდრ. **ჭიფე** „წვრილი“ და **ჭიფე-შ-ი** „წვრილთა შორის უფრო წვრილი“...

სვანური კი მეტათეზირებულ ფუძეს ინახავს, რაც **ჯტინ**-/**ჯტუნ**- *დაძველება* ძირის ზეგავლენით განხორციელდა. ამ უკანასკნელს ლაზური ო-**მჯვენ**-უ // ო-**მჯვინ**-უ „id“ ზმნა შეეფარდება და სხვა ფუძეს წარმოადგენს.

ს.-სინდ. *ძუჭ- „ძველი“
ადილ. ზუგ, ყაბ. ზუგ „ძველი“
უბიხ. ჟუგ „ძველი“
აზაზ. ა-ჟუგ, აფხაზ. ა-ჟუგ „ძველი“

როგორც ლაზურში (ჯველ- → მჯვე), ისე ჯერ კიდევ ფუძესინდურში გაუჩინარდა ლატერალური ლ, მაგრამ ამ შემთხვევაში უკვალოდ (სხვაგან ლ → უ).

ს.-ქართვ. *ძუელ- : ს.-სინდ. *ძუტე- არქეტიპების [ჭარაია 1912 : 24] უტყუარი შესატყვისი დასტურდება ნახურ ენათა კომპოზიტებში: ჩეჩნ. ჯორ-ა-ბაბა, ინგუშ. ჟერ-ნანა // ჟერ-ბაბი „მოხუცი ქალი, დედაბერი“ [განსხვავებული შესატყვისებისათვის იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 968-969].

ს.-ქართვ. *ძუელ- „ტომარა“
ქართ. ძველ-, სიტყვაში ძველ-მან-ი „ნახმარი ტანსაცმელი“
ზან. (ლაზ.) ჯვალ-ო „ტომარა“

აჭარულ დიალექტში პოვნიერი ჯვალ-ო ზანიზში ჩანს. უძველესი ქართული ძირი შემონახულია ძველ-მან- (შდრ. ქალა-მან-ი) ფორმაში, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ქართულ (ომონი-მურ) ძველ- ძირთან. ამ უკანასკნელს ზანურში მჯვე / ჯვე-ში ალომორფები შეესატყვისება.

ს.-სინდ. *ძუტა- „ტომარა“

ადილ. ძუტუ „ტომარა“

როგორც სამართლიანად აღნიშნავენ, ადიღური ფუძე არ შეიძლება ნასესხები იყოს თურქულიდან. ჩუვალ „ტომარა“ მართლაც შემოვიდა ადიღურში, მაგრამ დამკვიდრდა შაჟალ ფორმით [კვანაძე 2014 : 152]. იგივე ითქმის ქართველური ალომორფების შესახებაც. თურქულიდან შემოსულ ფორმებს ქართველური ფონოსისტემა ადეკვატურად ასახავდა და ჩუვალ-ი გვექნებოდა, მაგრამ ძველ-მან-ი / ჯვალ-ო სულ სხვა ვითარებას აჩვენებს.

ს.-ქართვ. *ძილ- „ძილი“

ძვ. ქართ. ძილ-ი, მო-ძილ-ი, მო-ძილ-ობ-ა-ფ

ზან. (მეგრ.) ნჯირ-ი „ძილი“, ნჯირ-ა „დაწოლა; ძილი“, ლაზ. ჯირ-ი „ძილი“, ჯირ-ომ-ა „დაძინება, დაწოლა“

სვანური ჟუ- „დაძინება“ შეიძლება, სხვა წარმომავლობისა იყოს [იხ. ჩიქობავა 1938 : 435]. ასევე განცალკევებით (დამოუკიდებლად) უნდა განვიხილოთ ქართ. ძინ- : ლაზ. ჯინ- // ნჯინ- „დაძინება“ ალომორფებიც [შდრ. კლიმოვი 1964 : 238; ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 627-628].

ს.-სინდ. *ჯუტ- „ძილი; დაძინება“

ადილ. ჩგა-ა „ძილი“, ჩგა-ან „დაძინება“, ყაბ. ჟეა „ძილი“, ჟეა-გნ „დაძინება“

ფუძის ბოლოს პოვნიერი ფ ასახავს მესამეულ საფეხურს – *ლ → უ → ფ, თუმცა ლ → უ უკვე ფუძესინდურში ჩანს განხორციელებული.

აფხაზურ-აბაზური ჩუა- „ძილი, დაძინება“ ძველ ქართულ ჩბ-უნ-ვ-ა ზმნას უკავშირდება და აქ ვერ შემოვა, შდრ. უბიხ. ცუა- „id“.

ს.-ქართვ. *ძილ-ილ- „ღელე“

ქართ. (ფერეიდნ.) ძილ-ილ-ა „ღელე ორ გორას შუა“

სიტყვა პოვნიერია მხოლოდ ფერეიდნულ დიალექტში, მაგრამ არ არის ნასესხები და, სავარაუდოდ, ს.-ქართვ. *ძილ-ილ- არქეტიპის რეფლექსი უნდა იყოს.

წ.-სინდ. *ძულ-ი „წყალი“

ხათ. **zuli** „წყალი“

აფხაზურ-აბაზურ ენებში მოსალოდნელი ***ძუღლ-გ** ან ***ზუღლ-გ** სახეობის ძირ-ფუძეები არ ჩანს. ვფიქრობთ, წ.-სინდ. ***ძულ-**ი „წყალი“ პროტოტიპის საერთოსინდური რეფლექსი ადრევე დაიკარგა.

გარკვეულ სირთულეს ქმნის კორესპონდენცია ხმოვნებში უ : ი. ამ შემთხვევაში არ გამოვრიცხავთ ფერეიდნულ დიალექტში ძუ → ძ დელაბიალიზაციის ფონეტიკურ პროცესსაც. თუ ჩვენი დაშვება ზუსტია, მაშინ ფუძეენური მდგომარეობისთვის უპრიანი ჩანს ს.-ქართვ. ***ძუილ-ილ-** „ღელე“ არქეტიპის რეკონსტრუქცია.

ს.-ქართვ. ***ძინ-** „დილა“

სვან. **ძინ-**არ (ლშხ.), **ძინ-**პრ „დილა“

სიტყვა განმარტოებით დგას სვანურში, მაგრამ, სავარაუდოდ, საერთოქართველური წარმომავლობისა ჩანს. ადიღური იზოგლოსები ამის დასტურია. რაც შეეხება -**არ/-პრ** სეგმენტს, იგი საკუთრივ სვანური მონაცემი უნდა იყოს.

ს.-სინდ. ***ძუ-** „ადრე“

ადიდ. **ჭუ**, ყაბ. **ზუ** „ადრე“

მსგავს პოზიციაში ძ → ჟ/ზ სპირანტიზაციის ფონეტიკური პროცესი ადიღური ენებისათვის თითქმის გარდაუვალი ჩანს. ბოლოვიდური ნ, რომელიც სვანურისათვის ძირის ნაწილია, საერთოსინდურში დაიკარგა. ამ უკანასკნელში შეინიშნება ი → გ ნაწილობრივი რედუქციის პროცესი.

სემანტიკურ დონეზე შესატყვისობა დილა ~ ადრე კანონზომიერებას ექვემდებარება.

დარგული (ურახ.) **ჯაუ-ლე** // **ჩაუ-ლე** (გაფშ.) „ადრე“ და კუბაჩური **ჩაუ-ალლა** „დილა“ ალომორფები, ალბათ, გენეტიკურად საერთო დადესტნურ ძირებს წარმოაჩენენ.

ს.-ქართვ. ***ძიქუე** „მარვალი“

ზან. (მეგრ.) **ძიქვა**, ლაზ. **ძიქვა** // **ძიკვა** „მარვალი“

ბოლოვიდური ა ზანურში საერთოქართველურ ე-ზე უნდა მიუთითებდეს. აჭარულში პოვნიერი **ძიქვა** „მარვალი“ ლაზურიდან მომდინარეობს. შესაბამისი ძირ-ფუძეები ქართულ-სვანურში არ იძებნება.

ს.-სინდ. ***ძკვ** „კაბა“

აფხაზ. ა-**წკვ**, ბზიფ. ა-**ცკვ** „კაბა“

ჩერქეზულ ენა-კილოთა მონაცემები ვერ გამოვავლინეთ. ბზიფურში პოვნიერი ც ანლაუტში იმაზე მიუთითებს, რომ ცკ → წკ გლოტალიზაცია აბჟურში განხორციელდა.

სემანტიკური კორელაცია მარვალი ~ კაბა კანონზომიერი ჩანს. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია დადესტნური ინფორმაცია, შდრ. ხინალ. **ჯუგარ** „კაბა, ქვედა ბოლო“.

სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს ასევე თვალსაზრისი ქართველურ ძირქვა // ძიქვა // ძიკვა-სთან ტანსაცმლის აღმნიშვნელი ხათური **zux-** ძირის დაკავშირების შესახებ [კოჭლამაზაშვილი 2017 : იხეჟდება].

ს.-ქართვ. ***ძიც-** „სიცილი“

ქართ. (დიალ.) და-**სიც-**ილ-ი „დაცინვა“

ზან. **ძიც-**ა → // **დიც-**ა „სიცილი“

ძ → ს ქართულში განხორციელდა, რაც სპორადული პროცესია და სხვაგანაც ვლინდება, შდრ. ქართ. სახელ-ი და ძახ-ილ-ი / მ-ძახ-ალ-ი, ზან. **ჯოხო**, სვან. **ჟახე** „სახელი“.

ს.-სინდ. *ჩუგა- „სიცილი“

უბიხ. შუაჩა- „სიცილი“

აბაზ. ჯგ-ჩჩა-რა, აფხაზ. ა-ჩჩა-რა „სიცილი“

ფეიქრობთ, უწინარესი ფორმა *ჯუაჩა- სახეობისა უნდა ყოფილიყო, მაგრამ რეგრესულ-ასიმილაციური $\chi - \beta \rightarrow \beta - \beta$ უკვე ფუძე-ენაში ჩანს განხორციელებული.

გასარკვევია ლაბიალიზაციის წყარო სინდურში. რის გამოვლენასაც ხელს უშლის ნახ.- დად. შესატყვისთა უქონლობა. ზოგან ძირთა აღდგენა თავისებურია [კლიმოვი 1969 : 253].

ს.-ქართვ. *ძიძილ- „ხორცი“

სვან. ძიძილ „ხორცი“

ფუძე განმარტოებით დგას სვანურში, მაგრამ, სავარაუდოდ, ფუძე-ენიდან მომდინარეობს. სვანური ძიძილ სახელის შესატყვისი ჩანს ლაკური ჩაჩაი ← *ჯიჯი „ხორცი“.

ს.-სინდ. *ძეძუა „ქორწილი“

უბიხ. ძუაძუა „ქორწილი“

ვვარაუდობთ ქორწილი სემანტიკის მეორეულობას უბიხურში, ვინაიდან მივიჩნევთ, რომ, ისევე, როგორც ქართულში პურობა „ქორწილი“ უკავშირდება პურს (შდრ. მეგრ. დიარა „ქორწილი, პურობა), ქორწილიც მეორეულია უბიხურში და ხორცის ჭამა/ხორციანობასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

ფორმოზომიერად ს.-ქართვ. *ძიძილ- : ს.-სინდ. *ძაძუა კანონზომიერებას ავლენს რეგულარული ლ : უ შესატყვისობით.

ს.-ქართვ. *ძიწ- „ძრწოლა, შიში, რყევა, კანკალი“

ძვ. ქართ. ძწ-ოლ-ა // ძრწ-ოლ-ა „რყევა, შიში, კანკალი“, ძწ-ოლ-ებ-ა // ძრწ-ოლ-ებ-ა, ძრწ-უნ-ება-ა, შე-ძრწ-უნ-ებ-ა „შეშინება, შეკრთობა, აცახცახება“

ზან. (მეგრ.) ჭიჭ-ოლ-ი „გნიასი“, ი-ჭიჭ-ოლ-უნ-ან „გნიასობენ, კინკლაობენ“

სვან. ჭენჭ- „დავა, კამათი“, ი-ჭენჭ-ალ დაობენ, კინკლაობენ“

ძველქართული ძ გახმოვანება ანლაუტში უძველესი ჩანს, ხოლო $\chi \rightarrow \beta$ მოგვიანებით მეგრულ-სვანურში განხორციელდა, თუმცა იგივე გლოტალიზებული ვარიანტი ძველ წერილობით ძეგლებშიცაა დამოწმებული, შდრ.: „ნუ ი წ ი წ ვ ი (შესძრწუნდები)“, ვინ არს მოშიში და წ ი წ ე - უ ლ ი“ [აბულაძე 1973 : 549].

ს.-სინდ. *ძეძა- „რხევა, თრთოლა“

აფხაზ. ა-ძეძა-რა, ბზიფ. ა-ძეძ-რა „რხევა, თრთოლა“

საერთოსინდური წარმომავლობის ზმნა მხოლოდ აფხაზურ დიალექტებში ჩანს პოვნიერი. ქართველურ ალომორფებთან შედარებით იკვეთება პროგრესული ასიმილაცია ძეწ → ძეძ ფუძე-ენის დონეზე, მაშინ, როდესაც ქართველურ ენა-კილოებში რეგრესული მიმართულებაა გაბატონებული – ძიწ → // წიწ-, *ჯიჭ → ჭიჭ- // ჭენჭ-.

შებრუნებული წყობისა, მაგრამ არქაული შედგენილობის (ძველქართულივით) ზმნა პოვნიერი ჩანს დადესტურშიც, შდრ. ხინალ. წიზა-ქირი „რხევა, თრთოლა, ცახცახი“.

ს.-ქართვ. *ძიჭუ- „ჯიხვი“

ქართ. ჯიჭუ-ი / ჯიხვი-ი / ჯიჭუ (საბა)

ზან. ჯიქ-ი ← *ჯიქვ-ი „Leopardus pardus“

სვან. {ძიფ-რა} „დომბა“

არ გამოირიცხება ჩეხური zubr ტიპის ინდოევროპული სახელებისთვის სვანური შესატყვისი იყოს ამოსავალი თავისი -რა დაბოლოებით [იხ. ჩუხუა 2000-2003 : 347].

ს.-სინდ. *წკჳა „ჯეირანი“

ყაბ. წაჳა „ჯეირანი, ანტილოპა“

შ. ნოდმას მიერ ფიქსირებული ყაბარდოული [ნოდმა 1956 : 217] სახელი მეტად მნიშვნელოვანი ჩანს, ვინაიდან სწორედ მასში ჩანს ს.-ქართვ. *ძიჳჳ- არქტიპის შესატყვისი. ცხადია, ყაბარდოულ ფორმაში ჳ-ს გემინაცია ფუძეენური ჴ-ს დაკარგვის საკომპენსაციაა.

ს.-ქართვ. *ძიჳ- „მუხა“

სვან. ჳიჳ-რა, ჳრ-რა (ლშხ.) „მუხა“

ერთ-ერთი იმ ძირთაგანია, სადაც შემორჩენილია იშვიათი დისტრიბუციის ჰ ლარინგალური ყრუ სპირანტი. სვანურში არქაული ჩანს ჳიჳ- სახეობის მორფემა, რომლის ჰ, გაუჩინარების გამო, გახდა ხმოვნის სიგრძის წყარო ლაშხურში: ჳიჳ-რა → ჳრ-რა. სხვა ქართველურ ენა-კილოებში ამ ძირის შესატყვისები არ იძებნება [შდრ. ჩუხუა 2000-2003 : 416].

ს.-სინდ. *ჩგლ-გ „ხე; მუხა“

ადილ. (შაფს.) ჩგლ გ, ჳემგ. ჩგლ გ, აბმახ. სგლ, ყაბ. ჟგლ „ხე“

გვაკლია აფხაზურ-აბაზური შესატყვისები. ამავდროულად ნათელი ხდება, რომ იმავე ჩგლ გ ძირის შემცველია მუხის აღმნიშვნელი სიტყვები ადილურ ენებში, შდრ. ადილ. ჩგლ-ად, ყაბ. ჟგლ-ჳდ „მუხა“

საყურადღებო ჩანს სიმყდერის მონაცვლეობა სინდურ-ქართველურ ფორმებს შორის. თუ ქართველურ არქტიპებში ანლაუტია მყდერი, სინდურში, პირიქით, სიტყვის აუსლაუტში ინარჩუნებს მყდრობას.

საგულისხმო ფაქტია ორივე ძირეული კონსონანტის მყდრობა ჰურიტულ აჟულგ „ნაძვი“ სიტყვაში [დიაკონოვი, სტაროსტინი 1986 : 41].

ს.-ქართვ. *ძოდ- „გრძელი; შორი“

სვან. ჳრდ-ი (ბზ., ლშხ.), ჳრედ-ი (ბქ.), ჳოდ-ი (ლნტ.) „გრძელი“, ჳრდ-ი-ჳშ, ჳრდი-ჳშ (ლშხ.) „შორეული“, ჳრდ-ი-ჳს „შორს“

სიტყვა განმარტოებით დგას სვანურში, მაგრამ, ამავდროულად, მას ფუძეენური ეტიმოლოგია ახასიათებს. ამაზე ცხადად მიუთითებენ როგორც სინდური, ისე დადესტნური შესატყვისები.

ს.-სინდ. *ჯრდ-ჳ „შორეული“

ადილ. ჩგჳჳ, ყაბ. ჟგჳჳ // ჟგჳჳ, ბასლენ. ჳგჳჳ „შორეული“

ადილური ფორმების შესატყვისად სამართლიანად არის მოხმობილი ბოთლიხ. ჳიდუ, ტინდ. ჳიდუ, კარატ. ჳიდა „შორს, შორეული“... ალომორფები, მაგრამ იქვე რატომღაც -ჳჳ/-ჳჳ ელემენტები ცალკე არის გამოყოფილი [აბდოკოვი 1983 : 151]. ჩვენი დაკვირვებით, ქართველურ-დადესტნური -დ- არის სწორედ სინდური ჳ/ზ/ჳ ალოფონების შესატყვისი, რაც გვაძლევს საფუძველს ისტორიულად ვივარაუდოთ აფრიკატიზაციის დ → ჳ/ჳ ზანურისებური ფონეტიკური პროცესი ადილურ ენებში.

ს.-ქართვ. *ძორ- „რბილობი, უძვლო ხორცი“

ქართ. მძორ-ი

სვან. ძურ, ძერ (ბქ.), ძორ (ლშხ.) „რბილობი“

თავკიდური მ ქართული ინოვაცია ჩანს; ამიტომაც ზუსტია სპეციალურ ლიტერატურაში შემოთავაზებული რეკონსტრუქცია [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 617-618], რომელსაც ჩვენც ვიზიარებთ. გასარკვევია მეგრული ძელ-ი „უძვლო ხორცი, რბილობი“ სიტყვის წარმომავლობა; ეს უკანასკნელი ფორმით ბალსქვემოურ ძერ ალომორფთან დგას ახლოს.

ს.-სინდ. *ძლ-გ „ღრმილი“

ადილ. ცაღ'გ, ყაბ. ძაღ „ღრძილი“

შემოთავაზებულია შემდგომი სეგმენტაცია ადილეური ფორმებისა: ძა-/ცა- „რძილი“ + ღ'გ „ხორცი“ [შაგიროვი 1977, I : 166], რაც ხალხურ ეტიმოლოგიას უფრო ჰგავს. ჩვენი დაკვირვებით, ს.-ქართვ. *ძორ- „რძილობი, უძვლო ხორცი“ ~ ს.-სინდ. *ძაღ-გ „ღრძილი“ კანონზომიერ შესატყვისობას აჩვენებს როგორც სტრუქტურული, ისე სემანტიკური კუთხით. წონადია ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. რ : ს.-სინდ. ღ', რაც რეგულარულ ხასიათს ატარებს.

შეიძლება სინდურ-ქართველურ არქეტიპთა დაღესტნურ შესატყვისის ინახავდეს ბუდუხური ჭილ (← *ჯილ ?) „ხორცი“ სიტყვაც.

ს.-ქართვ. *ძუტე „ძუ“

ძვ. ქართ. ძუტ-ი, ახ. ქართ. ძუ

ზან. (მეგრ.) ჯუა „ძუ“

სვან. ჯუტა „ძუკნა“

ზოგი ავტორი ფორმას ზანურიდან შესულად მიიჩნევს [ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 630]. ჩვენ ვიზიარებთ ს. ჟღენტის მოსაზრებას, რომელიც ნასესხობას გამორიცხავდა [ჟღენტი 1949: 130]. უფრო მეტიც, სვანურში პოვნიერია ჯუ ალომორფიც, ეს უკანასკნელი ახალქართული ძუ სახელის ტოლფარდი ჩანს.

ს.-სინდ. *ძუგ „ძროხა“

აბაზ. ჟუგ, აფხაზ. ა-ჟუტ, ბზიფ. ა-ზუტ „ძროხა“

უბიხური მგზუტღა „დეკეული“ ძირ-ფუძეთა ამ რიგში ვერ შემოვა [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 263], მეტად დიდია როგორც სტრუქტურული, ისე სემანტიკური სხვაობა.

ანდ. ზიჟუ, ახვახ. ჟინჟო..., კრიწ. ძარ „ძროხა“, წ.-თუშ. ჟაბრ- (კრებ.) „ფური“ ... ამტკიცებს, რომ საერთოსინდურშიც ძ-აფრიკატიანი ძირი იყო პოვნიერი, რასაც ქართველური იზოგლოსებიც ეთანადება.

ს.-ქართვ. *ძულძუმე- „საქონლის შიგნეული“

ზან. (მეგრ.) ჯურჯან-ი „კუჭმაჭი“

სვან. ჯურჯუმ-ა „საქონლის შიგნეული; კუჭმაჭი“

შესაბამისი ქართული ფუძის უქონლობის გამო, ჩვენი რეკონსტრუქცია გარკვეულწილად პირობით ხასიათს ატარებს. ვფიქრობთ, ამ ხარვეზს ავსებენ სინდური მონაცემები.

ს.-სინდ. *ძუენგმ-ა „ელენთა; მაჭიკი“

ადილ. ჯანაზ' „მაჭიკი, კვეთი, დვრიტა“

აბაზ. ძანგზა, აფხაზ. ა-ვანგზა „ელენთა“

დისიმილაციური ზეგავლენით აფხაზურში ანლაუტური ძ დაიკარგა, თუმცა მანვე შემოინახა ისტორიული ლაბიალიზაციის კვალი, რომელიც მეორდება ქართველურ მასალაში.

სინდური ძირები დაკავშირებულია დაღესტნურ მონაცემებთან, რაც რეალური ჩანს: თაბას. ჟუელერჟუტ, წაბ. ზგლზამ, უდ. ზიზამ „ელენთა“ [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 1099].

არ არის მთლად ნათელი ყაბ. ზანჭან „საქონლის შიგნეული“ სიტყვის ფორმოზრივი მიმართების საკითხი – ძანზუტან → ძანჭან ნაკლებ სავარაუდოდ გვეჩვენება.

ს.-ქართვ. *ძუმელ- „ისპანახი; ძირწითელა მხალი“

ქართ. ძუმელ-ა „წითელი ბალახი“

ზან. (ლაზ.) ჯუმენ-ი „ისპანახი“, მეგრ. ჯუმენ-ე // ჯუმენ-ია „ჯიჯლაყა, ძირწითელა ბალახი“

არ გამოვრიცხავთ -ელ/-ენ სეგმენტთა აფიქსურობასაც ქართველურ ენებში. მათი ერთმანეთ-ზე დაყვანა გამოირიცხება.

ს.-სინდ. ***ძუმჷმ**- „ერთგვარი მცენარე“
ყაბ. (ბასლ.) **ჟუმ-რ** // **ჟუმ** „ერთგვარი მცენარე“

ერთ-ერთი რთული შეპირისპირებაა, გამომდინარე იქიდან, რომ მხოლოდ ბასლენური მონაცემის მიხედვით გვიხდება საერთოსინდური არქექტივის რეკონსტრუქცია. ცხადია, აქ უ მეორეული ფორმაციისაა, მაგრამ არქაული ზე დიფთონგის არსებობას გულისხმობს ფუძე-ენაში. სტრუქტურულ-ფონეტიკურად ს.-ქართვ. ***ძუმელ**- : ს.-სინდ. ***ძუმჷმ**- იდეალურ მიმართებას ამჟღავნებს, მაგრამ ბასლენური მცენარის არასრული სემანტიკური აღწერილობის გამო კითხვის ნიშნები ჩნდება, საკითხავია, წითელია თუ არა ეს მცენარე ყაბარდოულში, რომელიც ძალიან ჰგავს ფორმით ქართველურს.

საკითხი დამატებით შესწავლას საჭიროებს.

ს.-ქართვ. ***ძუძ-უ** „ძუძუ“

ძვ. ქართ. **ძუძუ-ე**, **ძუძუ-მს-მტე**, მამა-მ-**ძუძ-ე-ე**, დედა-მ-**ძუძ-ე-ე**;

ზან. (მეგრ.) **ძუძუ** „ძუძუ“, **ძიმ-ა** // **ძიმ-ე** „ძიმა“

ზანური **ძიმ-ა** ძვ. ქართ. მ-**ძუძ-ე** დერივატის კანონზომიერი შესატყვისი ჩანს, შდრ. ბგერათ-შესატყვისობა ქართ. ე : ზან. ა, რასაც მეგრულში ინტერკონსონანტური უ → გ → ი ფონეტიკური პროცესი ემატება. ცხადია, ქართულში **ძიმა** ზანიზმად უნდა განვიხილოთ.

სიტყვა ასევე ცნობილია ძველი ქართული ენის წერილობითი ძეგლებიდან. თვალსაზრისი ქართველური **ძუძუ** სახელის რედუპლიკაციის შესახებ არ მართლდება [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 618].

ს.-სინდ. ***ძეძე** „ქალის მკერდი“

ყაბ. **ძაძე** „ქალის მკერდი“

აფხაზ. ა-**ძეძ-ქუა** „ქალის მკერდი“

ქართველური **ძუძუ**-ს შესატყვისად მოსალოდნელი იყო ძირეულ თანხმოვანთა ლაბიალიზაცია სინდურ ენებში, ანუ **ძუმჷმჷმ** სახეობის ფუძის არსებობა [შაყრილი 1968 : 70].

კავკასიური იზოგლოსებიდან ყურადღებას იქცევს ხუნძ. (დიალ.) **ზიზი** ← ***ძიძი** „ქალის მკერდი“, ოსური **ძიძი** „ქალის მკერდი“ ვაინახურ შესატყვისს ინახავს, შდრ. წ.-თუმ. **ძიმ** „id“.

ს.-ქართვ. ***ძლა**- „პატარა გოგონა“

ზან. (მეგრ.) **ძლა-ბ-ი** „გოგონა“, მიმართვისას **ძლა** „გოგო“

ბოლოკიდური **-ბ-** ზანურში ხშირად გამოიყოფა სადერივაციო აფიქსად, ანუ **ძლა-ბ-ი** სემგეტაცია რეალური ჩანს. მეგრული **ძლა-ბ-** ფუძის შესატყვისები სხვა ქართველურ ენა-კილოებში ჯერჯერობით არ არის გამოვლენილი.

ს.-სინდ. ***ძყ** „ჩვილი, თოთო (ბავშვი)“

აფხაზ. ა-**ძყ** „ჩვილი, თოთო (ბავშვი)“

სიტყვა განმარტოებით დგას აფხაზურში, მაგრამ საკმაო სიზუსტით ასახავს საერთოსინდური ფუძე-ენის ვითარებას. როგორც ეტყობა, ძირეული ხმოვანი მეგრულ-აფხაზურში რედუცირებულია – ***ძალა** → **ძლა**-, ***ძაყ** → **ძყ**-. ამას გვაფიქრებინებს დადესტნური შესატყვისები, რომელთა ლეზგიური სახეობები ორმარცვლიანია მხოლოდ, შდრ.: ბუღუბ. **ჯალა**, წახ. **ჩალა** // **ჭალა** (← ***ჯალა**) „თოთო ბავშვი“.

სინდური ყ, რომელიც აფხაზურმა უცვლელად შემოინახა, მეტ სიძველეს აჩვენებს; ყ → ლ ქართველურსა და დადესტნურ (ლეზგიურ) ენებში პროგრესული ასიმილაციით უნდა იყოს მიღებული.

ს.-ქართვ. ***ძღუამლ**- „ველური ვაზი“

ქართ. **ძღვამლ**-ი / **ძღუამლ**-ი „კრიკინა“ (საბა), ახ. ქართ. **ძღვამლ**-ი // **რძღვამლ**-ი „კრიკინა, მორცხულა“ (ჩუბინაშვილი)

დასავლურ-ქართულ დიალექტში დადასტურებულია სპირანტიზებული სახეობებიც, შდრ. ქვ.-იმერ. **ზღვამლ**-ი „უსურვაზი“. ზანური **ო-მცხვარ**-ო, ალბათ, სხვა ძირს შეიცავს, თუმცა მნიშვნელობა მისი ახლოსაა.

ს.-სინდ. ***ძღვრბ**- „უსურვაზი; ხურტკმელი“

ადიდ. (ჭემგ.) **ზღვრბ** „უსურვაზი“, ყაბ. **ძღვრბ** // **ზღვრბ** // **სხვრბ** „ხურტკმელი“

სპეციალურ ლიტერატურაში ფუძის სუფიქსურ ნაწილად **-რბ** აფიქსს გამოყოფენ [კვახაძე 2014 : 59], რაც ამ მაგალითში არ ჩანს მართებული. პირიქით, სინდური **რბ** ზუსტად ასახავს ქართველური **მლ** თანმიმდევრობას **ლ** → **რ** გადასვლითა და **რ**-ს მომდევნო ეტაპზე წინ გადასმით.

ჩერქეზულ ენებში **ძღ** → **ზღ** სპირანტიზაცია ემთხვევა ქართული ენის დასავლურ დიალექტში განხორციელებულ ფონეტიკურ პროცესს.

ს.-ქართვ. ***ძღუ**- „ძალიან; დიდი“

სვან. **ძღღ**-დ // **ძღგ**-დ // **ძღუ**-დ „ძალიან; დიდად“

გამოყოფილი **-დ** გარდაქცევითი (ვითარებითი) ბრუნვის ნიშანი ჩანს, რომელიც ხშირად დაჩნდება სვანურ ზმნისართებში. ქართულსა და მეგრულ-ლაზურში მოსალოდნელი **ძღუ**- სახელი (ფორმა) არ იძებნება.

ს.-სინდ. ***ძუგზ**- „ძალიან“

ადიდ. {**ზუგზ**}, ყაბ. **ვგზ** „ძალიან“

სპეციალურ ლიტერატურაში სავსებით სამართლიანად მიიჩნევენ დასავლურ-ადიღურში {**ზუგზ**} სახეობის ძირის არსებობის შესაძლებლობას, გამომდინარე ყაბარდოული **ზუგ** → **ვ** ფონეტიკური პროცესიდან, რასაც რეგულარული ხასიათი აქვს [კვახაძე 2014 : 224]. **უ** → **უგ** დიფთონგიზაციის პროცესი ფუძესინდურში ამოქმედდა, ხოლო **გ** → **ჰ**, ისევე, როგორც **ძ** → **ზ** სპირანტიზაცია საერთოადიღურ დონეზე განხორციელდა.

ს.-ქართვ. ***ძღუ**- : ს.-სინდ. ***ძუგზ**- კანონზომიერი ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისობაა, რომლის ნახური და დადესტნური პარალელები ჯერჯერობით არ ჩანს.

წ

ს.-ქართვ. ***წაბალ**- „ბალი; წაბლი“

ქართ. **წაბლ**-ი, მო-**წაბლ**-ე // **წაბლ**-ა „წაბლისფერი“

ზან. **ჭუბურ**-ი „წაბლი“, მეგრ. **ჭუბურ**-ო „წაბლა, წაბლისფერი“

სვან. **ჰებ** „ბალი“, **ჰებ**-რა „ბლის ხე“

შესაბამისი ფუძე ფონეტიკურად ყველაზე მეტად სვანურში იცვალა, რასაც განაპირობებს **ჭ** → **ჰ** და **ლ** → **უ** → **Ø** ფონეტიკური პროცესების მოქმედება ამ ენაში.

ს.-სინდ. ***წუა** „ვაშლი“

აბაზ. **ჭუა**, აფხაზ. ა-**წუა**, ბზიფ. ა-**წუა** „ვაშლი“

ჩერქეზულ ენებში შესატყვისი არ ჩანს, თუმცა, დადესტნური მონაცემების გათვალისწინებით, შესაძლებელი ჩანს აფხაზურ-აბაზური პროტოტიპის საერთოსინდურიდან მომდინარეობის დაშვება, შდრ. დად.: ხუნდ. **წიბილ**, კარატ. **წეიბილ**-ა „ყურძენი“, ლეზგ. **წფაზ** „მაცვალი“, რუთ. **წებ**, წახ. **წიბ** „ღვია“.

ს.-ქართვ. *წაჲ-(ლ) „სწავლა“

ქართ. ს-წავ-, ს-წავ-ლ-ა, მო-ს-წავ-ლ-ე

ზან. (ლაზ.) ო-წურ-უ, მეგრ. წურ-აფ-ა „სწავლება“, მე-წურ-აფ-ა „მისწავლება“, ო-წურ-უ-ან-ს „მისწავლის“

ამ შემთხვევაში მეგრულ-ლაზური წურ- ასახავს *წაჲ-ლ- სახეობის ზანურ შესატყვისს, ანუ აჲ → ოვ → უ და ლ → რ – წურ- ← *წოვრ- ← *წოჲ-ლ-.

ს.-სინდ. *წა- „სწავლა, ცოდნა“

უბიხ. წა-, ა-ს-წა-ნ „ცოდნა“

აფხაზ. ა-წა-რა „სწავლა“

ჩვენთვის საყურადღებო ზმნური ძირი ვერ გამოვავლინეთ აზაზურ ენაში, დაკარგული ჩანს. ს.-ქართვ. *წაჲ-(ლ) : ს.-სინდ. *წა- შეპირისპირება [ჭარაია 1912 : 46; ბლაჟბა 1948 : 41] ადასტურებს, რომ ამოსავალი ძირი სინდურ ენებში გამარტივებულია; სულ მცირე, აქ უ მინც არის უკვალოდ გაუჩინარებული, რომ არაფერი ვთქვათ ლ-ზე, შდრ. დაღესტნური: ხუნძ. წალ-იზე, ჭამალ. წალ-დილა „სწავლა, შესწავლა“...

ს.-ქართვ. *წათ- „წყევლა“

სვა. ჭათ-, ხ-ა-ჭათ-ე, ხ-ა-ჭათ-ე „წყევლის“, მგ-ჭათ-ე / ლგ-ჭათ-ე „წყეული, დაწყევლილი“

სიტყვა განმარტოებით დგას სვანურში. შიშინა გახმოვანების ჭათ- ძირი საერთოქართველურისათვის *წათ- სახეობის არქეტიპს გვაპარაუდებინებს, შდრ. ბგერათშესატყვისობა ქართ. წ : სვან. ჭ, ს.-ქართვ. *წ.

ს.-სინდ. *წათა- „დაფიცება“

აფხაზ. ა-ჭათა-რა „დაფიცება“

სადიებო ფორმაში ჭა „პირი“ სახელის გამოყოფა პრობლემური ჩანს [შდრ. ჩირიქბა 1996 : 83]. ვფიქრობთ აფხაზური ზმნა არ ექვემდებარება შემდგომ სეგმენტაციას. ჭათა- ერთიანი ძირია, რომელსაც კანონზომიერად შეესატყვისება სვანური ჭათ- ალომორფი.

სემანტიკური კორელაცია წყევლა ~ დაფიცება ბუნებრივად გვესახება.

ს.-ქართვ. *წაკ-ა „მარილიანი, მჟავე, მწუთხე“

ქართ. წაკ-ა, წაკ-ი „მწუთხე“, მ-წაკ-ე „მარილიანი, მლაშე“

სვან. წაკ „ძლიერ მჟავე; უმწიფარის სახელი“, წაკა-რ-ად „მწარე, მჟავე (ხილი)“

ზანური შესატყვისები გვაკლია. სვანური წაკარად სიტყვა ქართულ ალომორფებთან კანონზომიერ შესატყვისობას ავლენს [ფენრიხი 2007 : 614]. აქვე შემოვა სვანური წაკ ვარიანტიც, ეს უკანასკნელი *წაკა არქაული სახეობიდან მომდინარე ჩანს.

ს.-სინდ. *ძაკ-ა „მარილი“

აზაზ. (ტაპანთ.) ჯაკა // ჯკა, აფხაზ. ა-ჯაკა „მარილი“

არ გამოვრიცხავთ წ → ძ დისიმილაციური გამჟღერების შესაძლებლობას აფხაზურ-აზაზურში, მაგრამ, ჩერქეზული შესატყვისების არქონის გამო, გადაჭრით რამის თქმა გაჭირდება; დაღესტნური მონაცემები კი ქართველური ტიპის არქეტიპის რეკონსტრუქციას უჭერენ მხარს, შდრ.: ხუნძ. წაკა-ბ, ანდ. წაკუ, ახვახ. ჭაკუ-და, ჭამალ. სიკუ-ბ..., დარგ. (ახუმ.) წიკ-სი, ხარბ. წაკ-სე „მჟავე“, არჩიბ. წეკუ „მწარეობა, სიმწარე“.

ს.-ქართვ. *წალ- „პირის ღრუ“

ზან. (ლაზ.) ჭელ-ი „პირის ღრუ“

სიტყვა განმარტოებით დგას ლაზურში. აქ დამოწმებული ე გახმოვანება ისტორიულ ო ხმოვანს ასახავს, ანუ *ქოლ- → *ქელ-ი, შდრ. ქართ. ჯაჭვი-ი : ზან. ძეწვე-ი (← *ძოწვე-ი) „იდ“, ძარღვი-ი :

ჯერღვ-ი (← *ჯორღვ-ი) „id“...

ს.-სინდ. *ჰა „პირი; სახე“

უბიხ. ჰა „პირი“

აბაზ. ჰა, აფხაზ. ა-ჰჲ // ა-ჰა „პირი; სახე“

სპეციალურ ლიტერატურაში აქვე განიხილავენ ადილ. ჟა, ყაბ. ზა „პირი“ ალომორფებსაც, თუმცა აღნიშნავენ ჰ → ჟ/ზ დეგლოტალიზაციის უნიკალურობასაც ამ ნიმუშში [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 396]. მართლაც, არ ჩანს საფუძველი ამგვარი გარდაქმნისა ადილურში, ამიტომაც, ვფიქრობთ, ამ ეტაპზე უპრიანია საკითხის ღიად დატოვება.

დადესტნური პარლელებიდან მეტ ნდობას იმსახურებს უდიური ჩო ← *ჰო „სახე“ ფორმა, შდრ. ლაკ. ჰაუ „ლოყა“, ლეზგ. ჰუელ, თაბას, ჰუალ „საფეთქელი“.

ს.-ქართვე. *წალ- „ჩირქი“

ქართ. წალ-ა „ჩირქი“

სვან. წალ „ჩირქი; ნაღველი“

შესაბამისი ფუძე ზანური დიალექტებიდან ჯერაც არ არის ცნობილი. ბოლოკიდური -ა ქართულში, რომელიც ძველქართული ტექსტებიდან არის ცნობილი, ალბათ, სუფიქსური მონაცემია, შდრ. სვან. წალ [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 634].

ს.-სინდ. *წა „ჩირქი“

აფხაზ. ა-წა „ჩირქი, ბაყლი“

ფუძეენური რეფლექსაცია სინდური ენებიდან მხოლოდ აფხაზურშია თავჩენილი. როგორც მოსალოდნელი იყო, ბოლოკიდური ლ-ს შესატყვისი ნულოვანი ნაშთიღაა წარმოდგენილი. მიუთითებენ, ამავე კონტექსტიდან გამომდინარე, ოსურ წაძ „ჩირქი, ჟუჟღი“ ფორმის შესახებაც [აბაევი 1958, I : 331], რომელიც ქართულიდან ჩანს შეთვისებული.

ს.-ქართვე. *წალ- „წალო, განჯინა“

ქართ. წალ-ო „მთხრებლის სახეობა“ (საბა), ფშ., ქიზიყ. „განჯინა“

ზან. ჰა, ინ-ჰა „ჰა“

განსხვავებით ქართულისაგან, ზანურში ბოლოკიდური ლ დაკარგული ჩანს. და რომ ისტორიულად ზანური ძირის აუსლაუტი ლ (→ რ) სონორს შეიცავდა, ამაზე სვანურში ზანურიდან გასესხებული ფორმები მეტყველებენ თვალნათლივ, შდრ. სვან. (ბქ.) ჰარ-არ „ჭები“, რაც აშკარა ზანიზმია, ანუ ქართ. წალ- : ზან. ჰარ-. ზანურში ა → ო არ განხორციელდა ძირის ერთმარცვლიანობის გამო, ისევე როგორც ცა, და... სიტყვებში.

ს.-სინდ. *წუა „სახლი, ოთახი“

უბიხ. ცუგ-და „სახლი, ოთახი“

აფხაზ. (ბზიფ.) ა-ცუ // ა-ცუგ „სოფელი“

ადილური შესატყვისები გვაკლია, რაც ხელს უშლის ფუძის ზუსტ რეკონსტრუქციას, სრული სურათის აღდგენას, თუმცა წ → ც/ც დეგლოტალიზაციის პროცესი რეალური ჩანს ისტორიულ სინდურ ენებში. ამოსავალი წ-ს რეკონსტრუქციას, გარდა ქართველურისა, მხარს უჭერს დადესტნური (ლაკ. წა „სახლი“, დარგ. ჰა „ქობუკა“...) და ნახური (წა „სახლი, ოთახი“) იზოგლოსები.

სემანტიკურად ქართველური განჯინა / წალოს გაგებას აადვილებს ოთახის პოვნიერება უბიხურ, დადესტნურ და ნახურ ენებში.

ს.-ქართვ. *წალ-ამ- „წალამი; შხაპრი“

ქართ. წალამ-ი

სვან. წალამ // წილამ (ბქ.) „შხაპრი“ (მცენ.)

ზანური შესატყვისები არ იძებნება. სვანურში აქაც ა → გ → ი გამოვლინდა, რაც სულ უფრო მეტ მაგალითში იჩენს თავს. შეიძლება, აქვე საერთოქართველურ სუფიქსად გამოიყოს *-ამ.

ს.-სინდ. *წლა „ხე“

აბაზ. წლა, აფხაზ. ა-წლა „ხე“

საერთოსინდური არქეტიპი მხოლოდ აფხაზურ-აბაზური მაჩვენებლის მიხედვით აღდგება. არქეტიპის რეალურობა ეჭვგარეშეა, ქართველურს გარდა, სახეზეა მრავალრიცხოვანი შესატყვისე-ბი დადესტნური ენებიდან: ხუნდ. წალ „წკეპლა“ ..., კრიწ. წილი, ბუდუხ. წილე „ტოტი; ყლორტი“ [მეტი დად. იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 362]. ყაბარდოულ შესატყვისს შეიძლება ინახავდეს ოსური წვლენ // წილინ „ცოცხი“.

ქართველურ არქეტიპთან მეტად ახლოს დგას ჰურიტული წარმე „შემა, ხე-ტყე“, შდრ. ასევე ჩენ. ჟოლამ „მცირე ჩირგვი, ბუჩქნარი“.

ს.-ქართვ. *წამ- „მცნება“

ქართ. წამ-ებ-ა „მცნება, შეტყობინება“

ზან. (ლაზ.) წუმ-, დო-უ-წუმ-უ „დაუბარა“

ქართული ენის დიალექტებში (აჭარული, გურული) და-მო-წმ-ებ-ა ზმნა დაბარებას აღნიშნავს. ხოლო მეგრულში პოვნიერი შე-წამ-აფ-ა „შეტყობინება“ ქართულისთვის შე-წამ-ებ-ა ფორმის არსებობას გულისხმობს ისტორიულად.

წამ- ძირი დასტურდება უძველეს წერილობით ძეგლებში. სვანურში მისი შესატყვისი უცნობია [ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 635].

ს.-სინდ. *მწა „სახელი“

ადიდ. წა, ყაბ. წა „სახელი“

უბიხ. პწა ← *მწა „სახელი“

ფუძეენური არქეტიპის რეკონსტრუქცია უბიხური მონაცემის საფუძველზე ხდება, რომელშიც უკეთ არის სინდური არქეტიპის სტრუქტურა შემონახული. ცხადია, ს.-სინდ. *მწა- : ს.-ქართვ. *წამ- საერთო წარმომავლობის ძირებია, რომელთაც მატერიალურ სიახლოვესთან ერთად საინტერესო სემანტიკური ოპოზიცია სახელი ~ მცნება უდასტურდებათ.

სარწმუნო შესატყვისები ფიქსირდება ნახურ (წ.-თუშ. წე, ინგუშ. წი, ს.-ნახ. *წარ- „სახელი“) და დადესტნურ ენებში, შდრ. ხუნდ. წერ, ანდ. ენათა წერ-ი / წერ, ლაკ. წა-, ხინალ. წუ, არჩიბ. წორ... „სახელი“.

ს.-ქართვ. *წამ- „ხვალ, დილა“

ქართ. წამ-, რა-წამ-ს

ზან. (ლაზ.) ჭუმ-ე // ჭუმ-ენ „ხვალ“, მეგრ. ჭუმ-ე // ჭუმ-ან-ი „ხვალ“, ო-ჭუმ-არ-ე // ო-ჭუმ-არ-ე „დილა“, ლაზ. ო-ჭუმ-ე „id“.

სვან. ჰამ „დილა“, ჰამ-ს „დილას, დილით“

ქართველური ძირები ერთმანეთთან გ. როგავამ შეაკავშირა [როგავა 1977 : 90]. ზოგი ავტორი საერთოქართველურ არქეტიპად *ტამ- სახეობას აღადგენს, რაც უსაფუძვლოდ გვეჩვენება [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 739].

ს.-სინდ. *წუ-გ „ხვალ, დილა“

უბიხ. წუგ, სიტყვაში მა-წუგ „დილა“

აბაზ. უა-ჭუგ, აფხაზ. უა-წუგ „ხვალ“

გვაკვლია ადილური ენების მონაცემები, თუმცა უამისოდაც კარგად ჩანს, რომ მა- უბიხურში და ჭა- აფხაზურ-აბაზურში პრეფიქსებია, ხოლო წყ- / წყ- / ჭყ- – ძირები.

ს.-ქართვ. *წამ- : ს.-სინდ. *წყ-გ შეპირისპირება [ჭარაია 1912 : 48] კიდევ ერთხელ თვალნათლივ აჩვენებს თანხმოდანთა მეორეული ლაბიალიზაციის წყაროს სინდურ ენებში – წმ → წყ. როგორც ეტყობა, პროცესი ჯერ კიდევ ფუძე-ენაში მიმდინარეობდა.

ს.-ქართვ. *წამ- „ჭუჭყი; მომყოლი“

სვან. ჭამ „ძროხის მომყოლი; ჭუჭყი“

სიტყვა განმარტოებით დგას სვანურში, მაგრამ ფუძეენური წარმომავლობისა ჩანს. მას ანგარიშგასაწევი იზოგლოსები ეძებნება სინდურ (და არა მხოლოდ) ენებში.

ს.-სინდ. *წყა- „განავალი; ჭუჭყი“

ადილ. სყა-ფე, ყაბ. ჭე-ფ „განავალი; ჭუჭყი“

შეფარდება სტ : ჭ ამოსავალ ფონემად წყ-ს ვარაუდობს. უფრო მნიშვნელოვანი ჩანს თანხმოდანის ლაბიალიზაციის წყარო ფუძე-ენაში. ქართველურთან შედარებით ირკვევა, რომ ამგვარი თანხმოდანი წყვილბაგისმიერი მ უნდა ყოფილიყო. სხვათა შორის, მ სონორის უწინარესობას მხარს უჭერს დადესტნური მასალაც, შდრ.: ლეზგ. წიმ-ილ, ალულ. წიმ-ილ-არ „ნაკელი (ცხვრის)“, თაბას. წამ-ა „სპერმა“ [მეტი დად. მასალა იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 353].

ს.-ქართვ. *წამას-ა „ჭაპანი; ღვედი“

ზან. წამებემო „კამეჩის ტყავის დაწნული ღვედი“

სვან. წამაშუ (უშგ.), წამაშუ (ბქ., ლნტ.) „ჭაპანი“

ქართული ენის ლეჩხუმურ დიალექტში შემონახული წამებემო ზანიზმი ჩანს [შდრ. ფენრიხი 2007 : 620]. ზანურ-სვანურ ალომორფთა შეპირისპირებით შესაძლებელია საეთროქართველური არქეტიპის რეკონსტრუქცია, რომელიც *წამას-ა ტიპისა უნდა ყოფილიყო. ზანური ე აქ ისეთივე წარმონაქმნია, როგორც, მაგალითად, ჯერღვ-ი „ძარღვი“ სიტყვაში (ჯერღვ- : ძარღვ-ი), ანუ ო → ე ზანურშია საგულვებელი. ბ კი უბრალო ფონეტიკური დანართი ჩანს მ-ს მომდევნო პოზიციაში.

ს.-სინდ. *წამს-გ „თოკი“

ადილ. ჭაფშე, ყაბ. ჭაფშე „თოკი“

სინდური ეკვივალენტი რედუცირებულ სახეობას წარმოადგენს. სწორედ რედუქციის მომდევნო საფეხურზე მიღებული სახეობისგან განვითარდა ადილური ალომორფები მს → ფშ და წ → ჭ ფონეტიკური ტარნსფორმაციებით.

სემანტიკურ დონეზე ჭაპანი / ღვედი ~ თოკი ბუნებრივად გვესახება, მხოლოდ აქ ჩნდება კითხვა: აბძახური ცაფშე (← *ჭაფშე) „მათრახი“ ხომ არ არის ღვედის შემდგომი განვითარება? – ღვედი → მათრახი ლოგიკური ჩანს.

ს.-ქართვ. *წან-დ- „წმინდა, სუფთა“

ქართ. (ერწო-თიან.) წნდ- → წკნდ-, და-წნდ-ობ-ა / და-წკნდ-ობ-ა, და-წნდ-ებ-ა / და-წკნდ-ებ-ა „იწმინდება“, და-წკნდ-ა „კამკამა გახდა“

ზან. (ლაზ.) წკონდ-, დო-პ-წკონდ-ი „დავხვეწე / დავასუფთავე“, მეგრ. წკონდ-ა „სუფთა, წმინდა“, დო-წკონდ-უ / დი-წკინდ-ინ-უ „დაწკნდა“

არნ. ჩიქობავა, რომელმაც შეაპირისპირა ქართველური ძირები, -დ-ს აფიქსად გამოყოფდა [ჩიქობავა 1938 : 399], რაც, ჩვენი აზრით, ფუძეს შეხორცებული ვნებითი გვარის -დ- ნიშანი უნდა იყოს. წნ → წკნ ქართულში მოგვიანებით განხორციელდა, რაც მსგავს პოზიციებში ბუნებრივი ჩანს, შდრ. წნელ-ი → // წკნელ-ი.

ს.-სინდ. *წა- „ახალი, სუფთა“

ადილ. ჭა ყაბ. სა „ახალი, სუფთა“

უბიხ. წა „ახალგაზრდა“

აბაზ. ჭგ-ს, აფხაზ. ა-ჭგ-ს, ა-ჭგ-ც, ბზიფ. ა-წგ-ს „ახალი“

ადილური წკჷტ // წკჷტ „მცირე, პატარა“ ალომორფები სხვაგვარ ეტიმოლოგიას გულისხმობენ. მათი ძირ-ფუძეთა ამ რიგში შემოტანა არ ჩანს გამართლებული [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 358].

მეტად საგულისხმო შესატყვისები ცნობილია ნახური (წ.-თუმ. წინრ „ახალი“) და დაღესტნური ენებიდან (ანდ. ენებ. წინო // წინუ- „ახალი“). ზოგჯერ ქართველურით დ/ნ ერთდროულადაც გამოჩნდება: რუთულ. წინ-დგ, წახ. წედგნ „ახალი“.

ს.-ქართვ. *წარ- „გასწრება; სწრაფი“

ქართ. ს-წრ-აფ-ა, გა-ა-ს-წარ, ი-წრ-აფ-ე, მო-წრ-აფ-ე, ს-წრ-აფ-ი, მ-წრ-აფ-ლ

ზან. (მეგრ.) წორ-აფ-ა „გასწრება“, ვ-უ-წორ-ე „გავასწარი“, მა-წორ-აფ-ალ-ი „სწრაფი, გამსწრები“

სხვა ქართველურ ქვესისტემებში სათანადო ძირები არ ჩანს. ქართულ ფორმებში ს ზედმეტია, შეიძლება ისტორიულად ფუნქციონირებული აფიქსი იყოს, ან ფონეტიკურად განვითარდა, რაც ნაკლებსავარაუდო ჩანს [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 636].

ქართულ-ზანური მასალის დაკავშირება გ. როგავას ეკუთვნის [როგავა 1943 : 838].

ს.-სინდ. *წარ- „სისწრაფე; სწრაფი“

აბაზ. წარ-ა „სწრაფი“, აფხაზ. ა-წარ-გ „მარდი, ცქვიტი“

გვაკლია ჩერქეზული მონაცემები. თუმცა ფუძეენური არქექტიპის სარეკონსტრუქციოდ აფხაზურ-აბაზური მონაცემებიც საკმაოდ სრულ ინფორმაციას გვაწვდიან.

სინდურ-ქართველური სტრუქტურისა ჩანს ჭამალ. წარ- „რბენა“ ზმნაც, შდრ. კარატ. ჭუარ- „სირბილი; გაქცევა“.

ს.-ქართვ. *წარბ- „ნემსიყლაპია“

ზან. (მეგრ.) წებ-ი (სენაკ.), წერ-ი (ზუგდ., სამურზ.) „ნემსიყლაპია“

კილოკავური სხვაობა (სუბსტიტუცია) მეგრულში შეპირობებულია ფონეტიკური შეზღუდვით: ვინაიდან რბ ბგერითი ჯგუფი არაკანონიკურია მეგრულში, მისი დაძლევა ხორციელდება ორი მიმართულებით: 1. რბ → ბ, 2. რბ → რ. ამგვარი კვალიფიკაციის მართებულობას კარგად აჩვენებს ერთი ქართულიდან ნასესხები სიტყვის ადაპტაცია მეგრულში, შდრ. ქართ. ჯავრ-ი → ჯაბრ-ი → ჯაბ-ი / ჯარ-ი „ჯავრი“.

ს.-სინდ. *წაჷ- „ნემსიყლაპია“

ადილ. (ჭემგ.) წაჷ „ნემსიყლაპია“

მეგრულ-ჭემგური იზოგლოსი ჩანს, რომელთა ურთიერთშედარებამ შესაძლოა, კორექტივები შეიტანოს საერთოქართველური არქექტიპის რეკონსტრუქციაში. კერძოდ, შეიძლება, არ გამოირიცხოს *წარჷ- სახეობის ძირის არსებობა ფუძე-ენაში, ნაცვლად ზემოთ წარმოდგენილი *წარბ- არქექტიპისა.

ამ ეტაპზე ნახურ-დაღესტნური შესატყვისები ვერ გამოვლინდა.

ს.-ქართვ. *წარბ- „წარბი“

ქართ. წარბ-ი

ზან. (მეგრ.) ჭობ-ი „წარბი“

ძველი ქართულიდან დღემდის კარგად ცნობილ ქართულ წარბ- სახელს ზანურში (resp. მეგრულში) ჭობ- შეესატყვისება [ბროსე 1849 : 74]. მეგრული ჭობ-ი, ალბათ, სენაკური კილოკავის

ფაქტია, ვინაიდან ზუგდიდურსა და სამურზაყანოულში მსგავს პოზიციაში **ქორ**-ი იყო მოსალოდნელი, შდრ. ქართ. **ჯავრ**-ი → მეგრ. **ჯარბ**-ი → სენაკ. **ჯაბ**-ი / ზუგდ., სამურზ. **ჯარ**-ი „ჯავრი“.

ს.-სინდ. ***ჭაფ**- „შუბლზე შეჭრილი თმა“

ადიდ. (ქემგ.) -**ჭაფ**, სიტყვაში ნა-**ჭაფ** „შუბლზე შეჭრილი თმა“

სახელური **ჭაფ** დასტურდება მხოლოდ კომპოზიტის ნაწილში, როცა ნა- ცალკე გამოყოფილ სემანტს *თვალის* აღმნიშვნელ სიტყვად მიიჩნევენ [კვახაძე 2014 : 127].

ს.-ქართვ. ***წარბ** : ს.-სინდ. ***ჭაფ**- არქექტიპთა შესატყვისები უნდა ჩანდეს ნახურ ენებშიც, შდრ. ჩეჩნ. **ჭაბა** „დაღალი, ნაწნავი“.

ს.-ქართვ. ***წარ-ე** „კანი, გარეკანი“

ქართ. **წარ**-, ზე-**წარ**-ი, იმერ. **წერ**-ი „ნიგვზის კანი“

ზან. (მეგრ.) **ჭელ-ა** // **ჭილ-ა** „ნიგვზის (კაკლის) გარეკანი“

საერთოქართველური -ე სუფიქსის (რომელიც ქართულში დაიკარგა) შესატყვისი ზანური ა-ს ზეგავლენით მოხდა **რ** → **ლ** მეგრულში, რაც გავრცელებული პროცესია ხმოვნის წინა პოზიციაში, შდრ. ქართ. გარე : ზან. **გალე**...

ს.-სინდ. ***წარ-ა** „კანი, ქერქი“

ჩერქ. {**წარ** // **წარა**}

სინდური შესატყვისის პორტულაცია შესაძლებელი ჩანს მხოლოდ ოსური ენის ჩვენების მოხმობით, სადაც შემორჩენილია პალეოკავკასიური ძირის ჩერქეზული შესატყვისი **წარ** // **წარა** „კანი, ქერქი“ ალომორფების სახით.

ძირი რომ ოსურში ნამდვილად ჩერქეზულიდან შევიდა, მტკიცდება სათანადო ნახური და დაღესტნური მასალის მოხმობით, შდრ. ნახ. **ჭარ/ჭორ** „კანი, გარსი, ნიჟარა“, დაღ.: ხუნძ. **ჭირი**, კრიწ. **ჭერ**, არჩიბ. **ჭარგ** „id“...

ს.-ქართვ. ***წაფ**- „ერთგვარი ჭურჭელი“

ქართ. **წაფ**-ია „ერთგვარი ჭურჭელი“, ქართლ. **წაფ**-ურ-ი „ხის ჯამი, ღვინის სასმისი“

გვაკლია ზანურ-სვანური შესატყვისები; თუმცა ცხადია, რომ ქართული **წაფ**- არსაიდან არ არის ნასესხები და წარმოადგენს საერთოქართველურ რეფლექსს.

ს.-სინდ. ***წუაფ-ა** „აკვანი“

უბიხ. **ცუაფა** „აკვანი“

წ → **ც** დეგლოტალიზაციის ფონეტიკური პროცესი საკუთრივ უბიხური ინოვაცია უნდა იყოს. ამაზე მიუთითებს არამხოლოდ ქართული შესატყვისი; დაღესტნურ ენათა მასალაც ცალსახად აჩვენებს საძიებო ძირის გლოტალურ ხასიათს. დაღესტნური იმითაც არის საყურადღებო, რომ *აკვნის* სემა პოვნიერია *კალათის* შინაარსთან ერთად, შდრ. დარგ. (ახუმ.) **ჭაფ** „აკვანი; კალათა“. უბიხური ფუძის ლაბიალიზაციას ეხმიანება კარატაული **ჭოფე** „კალათი“ ფორმაც [სხვა დაღ. ძირ. იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 380].

ს.-ქართვ. ***წაქ**- „შრატი; წათხი“

ქართ. **წაქ**-ი „შრატი“, **წაქ-ა** „წათხი“

ზან. **წუქ**-ი „სველიდან ნადულის მოხდის შემდეგ დარჩენილი სითხე“

სვან. ხ-ა-**წექ**-უნ-ე „აწვეთებს“, **წიქუ** / **წაქუ** „წვეთი“

განსხვავებას ქმნის სვანური აუსლაუტის **უ**, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ ა → **უ** პროცესის რეალურობას, სვანური რედუქციის ბუნებიდან გამომდინარე, აქაც **წაქ-ა** სახეობის სახელი ჩანს საგულვებელი.

ს.-სინდ. ***წახუა** „ნაცრისფერი, რუხი“

ყაბ. ს^ხო „რუხი, ნაცრისფერი“, серый

ქართული ძირის სემანტიკა აიხსნება წაქის, როგორც განსხვავებული ფერის სითხის (серая жидкость), ბუნების გათვალისწინებით [აბაევი 1958, I : 391].

რაც შეეხება გუტურალური რიგის ფონემურ ოპოზიციას ს.-ქართვ. ქ : ს.-სინდ. ხ, აქ ამოსავლად უნდა დაისახოს ჰ. ფარინგალური სპირანტი (ყრუ), შდრ. ხუნდ. წაჰილ „რუხი; ცისფერი“, მაგრამ თაბას. წუხ „რუხი, ნაცრისფერი“.

ს.-ქართვ. *წად-ა „ჩაფულა; ფეხსაცმელი“

ქართ. წადა „მაღალყელიანი, ქუსლიანი ფეხსაცმელი“

ზან. (ლაზ.) წულა „ჩაფულა, ფეხსაცმელი“, მეგრ. წულა „უყელო ან დაბალყელიანი ფეხსაცმელი“

სვან. წადარ-ალ „წულეები“

ზედმეტი ჩანს რ სვანურში, რაც შეიძლება, საკუთრივ სვანური მონაცემი იყოს; შდრ. ქართ. ქადა : სვან. ქადარ [შდრ. ჩუხუა 2000-2003 : 355-356]. ყველა შემთხვევაში, წადარ-ალ pluralia tantum უნდა იყოს სვანური.

ს.-სინდ. *წაყ-ა „ფეხსაცმელი“

ადილ. (შაფს., ბუედ.) ცაყან, ჭემგ. ცაყან, ყაბ. ვაყ ← *ცაყან „ფეხსაცმელი“

უბიხ. ცაყა „ფეხსაცმელი“

ფონემური შეფარდება ჯ : ყ ადილეურსა და უბიხურს შორის იმაზე მიუთითებს, რომ არქაულია უბიხური ყ, რომელიც საყურადღებოდ მეორდება ყაბარდოულშიც, ანუ ზოგჯერ ყაბარდოული ყ, თითქოს, ძველ ვითარებას წარმოადგენს.

ს.-ქართვ. *წად-ა : ს.-სინდ. *ცაყ-ა არქეტიპების შესატყვისი ჩანს ბავვალ. წიკულა, კარატ. წეჟა-დელა „ფეხსაცმელი“, შდრ. ანდ. წიკა-დამი „id“.

ს.-ქართვ. *წაწ- „ღრღნა“

სვან. ჭაჭ, ლი-ჭაჭ-ალ „ღრღნა“, მე-ჭაჭ-ი „მღრღნელი“

ქართულში მოსალოდნელი წაწ- ზმნური ძირი არ ჩანს; ასევე უცნობია ჭოჭ- სახეობის ფუძე ზანური დიალექტებიდან, მაგრამ, თუ გავიზიარებთ სვანური ჭაჭ- ძირის ენდემურობას, საერთო-ქართველურში მასზე დაყრდნობით *წაწ- არქეტიპის რეკონსტრუქცია რეალური ხდება.

ს.-სინდ. *წაწა- „ღრღნა“

ადილ. წაწ-ნ „დაჭმუჭნა“

აბაზ. (ტაპანთ.) წწა-ჰა „ჭამის ხმა“, აშხარ. წწ- „ღრღნა“

ამოსავალი სინდური ენებისთვისაც აბაზური (resp. აშხარული) სემანტიკა ჩანს. ამას, გარდა ქართველურისა, მხარს უჭერს ნახურ ენათა ჩვენება, სადაც ჭაჭ → // ჭაჯ- // ჭაყ- ალომორფები ღრღნის მნიშვნელობით დასტურდება.

ს.-ქართვ. *წახ- „წინათ“

ქართ. (გურ.) წახ-ან-აი / წახ-ან-ე „წელან“

ზან. (მეგრ.) წოხ-ოლე // წოხ-გლე „წინ, წინათ“, ლაზ. წოხ-ლე „წინ“, წოხ-ლე-ნ-დო „წინ“

ძირად წახ- / წოხ- გამოიყოფა ქართველურ ენებში, რაც საერთოქართველური *წახ- არქეტიპის კანონზომიერი განაყარი ჩანს.

ს.-სინდ. *წახ-ჰ „წინ“

უბიხ. ჭაჰ-ა ← *წახ-ჰ-ა „წინ“

უბიხური ყრუ ფშვინვიერი ჰ სპირანტი აქაც მეორეული ჩანს, ამჯერად მისი წყარო ხ-ჰ კომპლექსი უნდა იყოს. ს.-ქართვ. *წახ- : ს.-სინდ. *წახ-ჰ- კანონზომიერ სტრუქტურულ-სემანტიკურ

შესატყვისობად გვესახება.

ამ ეტაპზე ნახურ-დაღესტნური შესატყვისები ვერ გამოვლინდა.

ს.-ქართვ. *წახტ- „ცხარე, მჟავა“

ზან. (ლაზ.) მჭუხ-, ელა-მჭუხ-ერ-ი „ცხარე“

სვან. მგ-ჭახტ-ი „ტკბილი“

ლაზურში უ გახმოვანების ადეკვატური კვალიფიკაცია სვანური მონაცემით არის გამყარებული, კერძოდ, მჭოხტ- გადავიდა მჭუხ-ში, როგორც ეს ზოგადად ხდება ზანურში. სემანტიკური ოპოზიცია ტკბილი ~ მჟავე ბუნებრივია და სხვაგანაც დაჩნდება, შდრ. ხუნძ. მიწა „ტკბილი“ – ხინალ. მიწ „მჟავე“.

ს.-სინდ. *ჭჷაჯა „მჟავე“

აბაზ. ჭჷჯა „მჟავე“

ჯერჯერობით მხოლოდ აბაზურში ფიქსირდება ს.-ქართვ. *წახტ- არქტიპის სინდური შესატყვისი; ამიტომაც ძნელდება ძირის ზუსტი რეკონსტრუქცია.

ამ ეტაპზე ნახურ-დაღესტნური შესატყვისები ვერ გამოვლინდა.

ს.-ქართვ. *წბერ- „პრესა, გმანვა“

ქართ. (ლექს., რაჭ.) წბერ-, სა-წბერ-ი „საპრესი“, წბერ-ვ-ა // წაერ-ვ-ა „პრესით გამოწურვა; ღვინის დაწურვა“, წბერ-ი „ჭაჭის საწური, ღვინის სახდელი“

სვან. ჭუბერ- / ჭუბერ- „გმანვა“, ლუ-ჭუბერ-ე // ლგ-ჭგბერ-ე „დაგმანული“

ამ ფუძეთა ზანური შესატყვისი ჯერაც არ ჩანს.

სვანურში ჭბ არაკანონიკური თანხმომიწერი ჯგუფი, როგორც ეტყობა, თავდაპირველად გ პროთეტური ხმოვნით გაითიშა, რომელიც შემდგომ ბ-სთან ასიმილაციით უ (→ უ) ში გადავიდა.

ს.-სინდ. *ბეწგ- „მოჭერა, დაპრესა, ჭყლეტა“

უბიხ. ბეწგ- „მოჭერა, დაპრესა“

აბაზ. რ-ბწ-რა, აფხაზ. ა-რ-ბეწ-რა „სრესა, ჭყლეტა“

შედარებითი ანალიზით ირკვევა, რომ აფხაზურ-აბაზურში თავკიდური რ- კაუზატივის ნიშანია. მატერიალური ერთიანობის მიუხედავად, მაინც დაჩნდება საკმაოდ დიდი სხვაობა, გამოწვეული შებრუნებული წყობით. საკონტროლო გარეენობრივი მასალის უქონლობის გამო ვერ კეთდება დასკვნა, სად განხორციელდა საურთიერთო მეტათეზისი: საერთოქართველურში თუ ფუძესინდურში.

ს.-ქართვ. *წე- „ქვე, ქვედა, ქვემო“

ქართ. წე-, სიტყვაში წე-ღან

ზან. (ლაზ.) წა-, წა-ლე „ქვე“, წა-ლე-ნ-ი „ქვემოთა“, მეგრ. წა-ლე-ნ, სიტყვაში წა-ლე-ნ-ჯიხა „ქვემო ციხე“

როგორც ცნობილია, წა-, წა-ლე, წა-ლე-ნ-ი მოქმედია მხოლოდ ლაზურში (არნ. ჩიქობავა). სავარაუდოდ მისი კანონზომიერი შესატყვისი შემონახული ჩანს ქართ. წე-ღან ფორმაში.

ს.-სინდ. *წა- „ქვედა, ქვემო“

ადილ. ჭა-, ყაბ. სჷა- „ძირი, ქვედა ნაწილი“

უბიხ. წა-, სიტყვებში ბა-წა „ქვედა ნაწილი“, შა-წა, შა-„თავი“ + წა „ქვემო, ქვედა“

აბაზ. წ-ჭჷა, აფხაზ. ა-წა „ფსკერი, ძირი“

ამ შემთხვევაში ამოსავალი წ- ფონემა ადილურში გაშიშინდა, ხოლო აფხაზურ-აბაზურში გასისინდა. ს.-ქართვ. *წე- : ს.-სინდ. *წა ცნობილი შეფარდებაა (გ. როგავა, ქ. ლომთათიძე...), თუმცა სხვა ჯგუფებში მათ შესატყვისებს ვერ ვხედავთ.

ამ ეტაპზე ნახურ-დაღესტნური შესატყვისები ვერ გამოვლინდა.

ს.-ქართვ. *წებ- „წებება“, „წებო“

ქართ. წებ-ავ-ს, წებ-ებ-ა, წებ-ო

ზან. (ლაზ.) მე-ჭაბ-უ „მიწებება“, ჭაბ-უ „წებო“, მეგრ. ჭაბ-უ-ა „წებება; თელვა“, გო-ჭაბ-უ „გა-აკრა“, ჭაბ-უ „წებო“

სვან. ი-ჭაბ-ი „იკვალავს (გზას თოვლში)“, ი-ჭბ-უნ-ე „მოიხვევს“

ამ შემთხვევაში ქართულ-ზანურ ძირ-ფუძეთა ერთიანობა დიდი ხნიდან არის ცნობილი და გაზიარებულიც [ჩიქობავა 1938 : 406; კლიმოვი 1964 : 248]. გარკვეულწილად ახსნას ითხოვდა სვანური ეკვივალენტები, მაგრამ მეგრულში თელვა / გაკვრა სემანტიკების პოვნისთვის ერთი ძირის ფარგლებში სვანური ზმნების მიკუთვნების საკითხსაც დადებითად წყვეტს, შდრ. აგრეთვე მეგრ. ჭაბ-ავ-ან-ს „ტკეპნის“ [ჩუხუა 2000-2003 : 374].

ს.-სინდ. *ზგჟ-ა „წებო“

ადილ. (აბძახ.) ჰჰჰ „წებო“

საერთოსინდური არქეტიპი აღდგება მხოლოდ აბძახური დიალექტის ჩვენების საფუძველზე. სამეცნიერო ლიტერატურაში რეკონსტრუირებულია საერთოჩერქეზული *ჰჰა „წებო“ სახელური ძირი [კვახაძე 2014 : 166]. ვფიქრობთ, ადრეულ ეტაპზე, უკვე ჩერქეზულ ქრონოლოგიურ დონეზე, განხორციელდა ინტერვოკალური გ ნეიტრალური ხმოვნის რედუქცია, რასაც კომბინატორული გამკვეთების პროცესი დაერთო თან.

ს.-ქართვ. *წებ- : ს.-სინდ. *ზგჟ-ა შეპირისპირება წარმოაჩენს შებრუნებული წყობის ძირს ქართველურში. საყურადღებოა, რომ საერთოსინდური თანმიმდევრობის სახელი თავჩენილია დაღესტნურ ენებშიც, შდრ. დარგ. (გაფშ.-შუქტ.) ფენწ „წებო“.

ს.-ქართვ. *წებ-არ- „ხოვერა“

ქართ. (გურ.) წებარ-ი „ხოვერა“ [Dalium tricolor]

ზან. (მეგრ.) ჭაფურ-ია „ტკბილი, ყუათიანი მთის ბალახი“, ლაზ. ჭაფურ-ია „ტკბილი, შაქარა, შაქრიანი“

სვანური ჭაფურ / ჭაფორ (უმგულ.), ჭაფხური (ბქ.) „ფამფარა“ [Tragopogon] მეგრულიდან ჩანს შეთვისებული [შდრ. ჩუხუა 2000-2003 : 372]. ინლაუტური ბ → ფ ზანურში განხორციელდა.

ს.-სინდ. *წაბ-გრ „ქონდარი“

აფხაზ. ა-წებ-რა, ბზიფ. ა-წებ-გრ „ქონდარი“ [Satureja hortensis]

არ ჩანს გამართლებული *წებგრა სახეობის რეკონსტრუქცია, რასაც გვთავაზობენ სპეციალურ ლიტერატურაში [ჩირიქვა 1996 : 79]. ამ სიგრძის არქეტიპები არ არის დამახასიათებელი საერთოსინდური ფუძეენისათვის.

ს.-ქართვ. *წებ-არ- „ხოვერა“ : ს.-სინდ. *წაბ-გრ „ქონდარი“ არქეტიპული შეფარდება კანონზომიერებას ექვემდებარება.

ს.-ქართვ. *წედ- „თეფში; ჭურჭელი“

ძვ. ქართ. წედ-ი „თეფში“, წედ-ა „ესე წ ე და არს ყოველივე ღვინის შესასმელი ჭურჭელი“ (საბა)

აქვე შეიძლება, მოვიხმოთ ძვ. ქართ. სა-წედ-ე, წედ-ევ-ა, მ-წედ-ე, მაგრამ მაინც მხარს ვუჭერთ (ამ ეტაპზე) მხოლოდ წედ- ძირის განხილვას.

სხვა ქართველურ ენა-კილოებში შესაბამის მასალას ვერ მივაკვლიეთ.

ს.-სინდ. *ჭაბ-ა „ხის მომცრო კასრი“

ადილ. (შაფს.) ჭაბდ „ხის მომცრო კასრი“

შაფსულური დიალექტის ჩვენება საკმაოდ ზუსტია და შედარებით სრულ ინფორმაციას იძლევა ფუძემდებური არქტიპის შესახებ. ბოლოკიდური -ა სინდურში სუფიქსური ჩანს. ამას მხოლოდ ქართველურთან შედარება არ ამტკიცებს, იგივე ვლინდება დაღესტნური მასალის მოხმობით, სადაც დამოუკიდებელი -უ სუფიქსი დაჩნდება ადილური ა-ს საპირისპიროდ, შდრ.: ტინდ. **ჭეთ-უ** „თეფში“, ჭამალ. **ჭეთ-უ** ← ***ჭეთ-უ** „id“, არჩიბ. **ჭეთ** ← ***ჭათ-უ** „თუნგი“... გასარკვევია ახვახ. **წად-აკე** „თეფში“ ფორმის წარმომავლობაც.

ს.-ქართვ. ***წუ-** „გაწევა, გამოწევა; დააწევა“

ქართ. ა-**წევ**-ს, გა-**წევ**-ს, და-ა-**წვ**-ა, ა-ს-**წი**-ა, და-ს-**წი**-ა

ზან. (მეგრ.) **წჷ-**, დო-უ-**წჷ**-ი „დასწიე, ჩასწიე“, ო-**წჷ**-უ-ნ „ეწევა“

სვანური შესატყვისი გვაკლია. **წევ**- ზმნის დისტრიბუცია ქართულში გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე მეგრულში. თავკიდური **წ** მეგრულში ფონეტიკური დანართი ჩანს.

ს.-სინდ. ***ჭ-** „გაწევა; დაწოლა; დრეკა, ღუნვა“

ადილ. **ჭ-**, სიტყვაში ზგთაღ-**ჭ-**ნ „დაწოლა, მიწოლა (მიაწევა)“, ყაბ. **სწ-**, სიტყვაში ზგთაღ-**სწ-**ნ „დაწოლა, მიწოლა“, შდრ. ადილ. ზაღ-**ჭგ**-ნ, ყაბ. ზელ-**სგ**-ნ „მიწოლა, მიყრდნობა“ „прислониться“

უბიხ. **ჭგ**- „ზნეკა, დრეკა, ღუნვა“

აფხაზ. ა-**ჭა**-რა „ზნეკა, დრეკა, ღუნვა (წნელზე იტყვიან კალათის წვნიასს)“

სინდურ ძირ-ფუძეთა ეტიმოლოგიური ურთიერთკავშირი ცნობილია [შაგიროვი 1977, I : 130]. ეტიმონური შინაარსი უტოლდება ქართველურ **გაწევ-გამოწევა, დაწოლა** სემანტიკებს, რაც ასევე ძირითადია სინდურ ენა-კილოებში.

სიბილანტური ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **წ** : ს.-სინდ. **ჭ** რეგულარულ-კანონზომიერია და ჯდება ამ რიგის ფონემათა სისტემურ ცვლელილებებში. ბოლოკიდური **უ** ჯერ კიდევ საერთო-სინდურ ფუძე-ენაში დაკარგულა.

ს.-ქართვ. ***წე(ულ-)** „ლამპარი“

ზან. (მეგრ.) **ჭაკ-ულ**-ა, ლაზ. **ჭაკ-ლ**-ა „ლამპარი, ჩირაღდანი“

ფუძე დასტურდება მხოლოდ ზანურ დიალექტებში. სავარაუდოდ, -ულ-სუფიქსიანი დერივაცია უნდა გვქონოდა წარსულში. ყოველ შემთხვევაში, ზანური **ჭაკ-ულ**- ფუძე-ენისათვის (და ქართულისთვისაც) ***წე(ულ-** სახეობის ძირ-ფუძეს ვარაუდობს.

ს.-სინდ. ***წაკ-** „მუგუზალი; მნათობი“

ადილ. ***წაკ-** → **წაჭ**, სიტყვაში ფხა-**წაჭ** „მუგუზალი“, ყაბ. ***მაკ-** → **მაჭ**, სიტყვაში ფხა-**მაჭ** „მუგუზალი“

უბიხ. **წჷანკ** „მნათობი“

ადილურ ენებში **ფხა** სეგმენტი *ხეს* უნდა ნიშნავდეს, ხოლო გამოყოფილი ***წაკ-** უდრის *ნა-კერწკალს, მნათობს*, საიდანაც განვითარდა *მუგუზლის* შინაარსი.

უბიხურში **უ** და **წ** ფონეტიკურ დანართად მიიჩნევა, რასაც ჭამალური ენის **წაქა** „ვარსკვლავი“ სიტყვაც ადასტურებს.

ს.-ქართვ. ***წე(ულ-)** : ს.-სინდ. ***წაკ-** კანონზომიერ შესატყვისობას გვიჩვენებს როგორც მატერიალური, ისე სემანტიკური თვალსაზრისით.

ს.-ქართვ. ***წელ-** „წელი“

ქართ. **წელ**-ი, **წელ**-ს

ზან. **წო / წგ / წი**, მეგრ. **წგ / წი** „წელს, წლეულს“, გო-**წო** // გო-**წო**-ს „შარშან“, ლაზ. ჰამ-**წო** „წელს, ამ წელს“, გო-**წო** / გო-**წო**-ს „შარშან“

გვაკლია სვანური შესატყვისი. ქართულ წელ- სახელს კანონზომიერად შეესატყვისება ზანური წი / წგ / წო ალომორფები [ჩიქობავა 1938 : 205].

ს.-სინდ. *წა- „დრო, სეზონი“

ადიდ. ჭგ- სიტყვაში ჭგ-მაჩ „ზამთარი“, ყაბ. სგ- სიტყვაში სგ-მახუჭ „ზამთარი“

ჩერქეზული კომპოზიტები ინახავენ ორ სხვადასხვა ძირს, რომლებიც დღეს ენაში დამოუკიდებლად არც იხმარება. კერძოდ, ჭგ- // სგ- დრო / სეზონის აღმნიშვნელი ფუძე ჩანს, რომელსაც კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. *წელ- „წელი“ არქეტიპი. რაც შეეხება მეორე - მაჩ // -მახუჭ სემენტს, მას არაფერი აქვს საერთო ომონიმურ დღის აღმნიშვნელ სიტყვასთან, იგი ძვ. ქართ. ნეფხუა „ყინვა“ სიტყვის კანონზომიერ შესატყვისად მიიჩნევა (იხ. აქვე).

ს.-ქართვ. *წელ- „ნაწლავი“

ძვ. ქართ. წელ-ი „ნაწლავი“, ნა-წლ-ევ-ი „id“, ახ. ქართ. ნა-წლ-ავ-ი

ზან. (ლაზ.) ჭუ // მჭუ „ნაწლავი“, მეგრ. ჭგ // ჭი „ნაწლავი“

სვანური ჭინჭილ „ნაწლავი“ სხვა ეტიმოლოგიის სიტყვად არის კვალიფიცირებული [ჩუხუა 2000-2003 : 379] და, ცხადია, აქ ვერ შემოვა [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 662].

ს.-სინდ. *წა- „ნაღველი“

უბიხ. წა-ცა „ნაღველი“

რთული შედგენილობის სიტყვაა, რომელიც განმარტოებით დგას უბიხურში. პირველ კომპონენტად წა- გამოიყოფა, რომელიც კანონზომიერად ასახავს ფუძეენურ მდგომარეობას ლ → უ სვანურისებური ტრანსფორმაციით, შდრ. ს.-ქართვ. *წელ- : ს.-სინდ. *წა-. მეორე -ცა სემენტი, ალბათ, „ნაღველის“ აღმნიშვნელ დადესტნურ ენათა ზუსტ სტრუქტურულ-სემანტიკურ შესატყვისს ინახავს, შდრ. ხუნძ. ცინ „ნაღველი“.

ს.-ქართვ. *წემ- „გაგზავნა“

სვან. ჭემ-/ჭმ-, ლი-ჭემ-ინ-ე / ლი-ჭემ-ინ-ე „გაგზავნა“

განმარტოებით მდგომი ჭემ-/ჭმ- ზმნა სვანურში. როგორც ეტყობა, საერთოქართველურ *წემ- არქეტიპს ასახავს. მოსალოდნელი წემ- ქართულში და ჭამ- ზანურში ჯერაც არ არის გამოვლენილი.

ს.-სინდ. *წაუგ- „გაშვება“

უბიხ. ჭაუგ- „გაგზავნა, გაშვება“

სვანურივით აქაც მხოლოდ უბიხურის ჩვენებას ვეყრდნობით. ყურადღებას მიიქცევს მ : უ შესატყვისობა, რომელიც ძირითადად თანხმომავნა ლაბიალიზაციის შემთხვევაში არის თავჩენილი სინდურ ენებში, ანუ **ცმ** → **ცუ**. აქ კი უამისოდაც ფიქსირდება.

სხვა იხ.-კავკ. ენებში შესაბამისი ძირები არ ჩანს.

ს.-ქართვ. *წემ- „მრწემი“

ძვ. ქართ. მ-წემ-ი → // მ-რწემ-ი „უმცროსი“, უ-მ-რწემ-ეს-ი; მრწემ-ში რ ფონეტიკური დანათი ჩანს, მ+წ არაკანონიკური თანმიმდევრობის დასაძლევად.

სხვა ქართველურ ენა-კილოებში შესატყვისი ფუძე ჯერჯერობით გამოვლენილი არ არის.

ს.-სინდ. *წბ-გ „უმცროსი“

აფხაზ. აი-წბგ „უმცროსი“

ქართველურ წემ ძირს აფხაზურ წბგ-სთან აკავშირებდნენ ქართველი მკვლევრები [ჭარაია 1912 : 26; ლომთათიძე 1980 : 56-58]; ვფიქრობთ, ეს ფუძე პალეოკავკასიური წარმომავლობისაა, ამიტომაც აქვე ვუთითებთ დადესტნურ პარალელებსაც: თაბას. წიბ, რუთულ. წამ „მცირე, ცოტა“.

ს.-ქართვ. *წემ- „წამალი; ბალახი“

ქართ. წამ-, წამ-ალ-ი

ზან. (ლაზ.) ჭამ-ი „წამალი“, მა-ნჭამ-ურ-ე „მეწამლე“

იგივე წამ- ძირი შეიძლება ჩანდეს ქართულ ლელ-წამ, მეგრ. ლარ-ჭემ ფორმებშიც [როგავა 1945 : 231-232].

ს.-სინდ. *წუამ-გ „სურო“

ადიდ. (შაფს.) სუამ-გ-ი „სურო“

შაფსულურ სუამ-გ-ი ფორმაში სამართლიანად გამოყოფენ -ი სემენტს, რომელიც ხისა და მცენარის აღმნიშვნელ სუფიქსად მიიჩნევა [კვახაძე 2014 : 56].

ს.-ქართვ. *წემ- : ს.-სინდ. *წუამ-გ არქეტიპთა შესატყვისი მასალა შეიძლება ჩანდეს ნახურ ჭიმ „ჭყიმი“ купир და დაღესტნურ (ახვახ. ჭამე „პიტნა“, ჭამალ. ჭამარა „ოროვანდი“...) სიტყვებში.

ს.-ქართვ. *წენ- „წელი; შარშან“

ქართ. (აჭარ.) წენ-ი „წელი“, წენ-ი (საბა)

ზან. (ლაზ.) წან-ა „წელი“, წან-ერ-ი „წლისა“, მეგრ. წან-ა „წელი“, წან-ას „მომავალ წელს“, წან-ერ-ი „ერთი წლისა“

სვან. ჰნ-, ლე-ჰნ-ა (ზს.), ნე-ჰნ-ა (ბქ.) „გასულ წელს“, „შარშან; შარშანწინ“

ქართველური მასალის შედარებითი ანალიზი არკვევს, რომ ნე--ა კონფიქსი სვანურში რეალურად გამოიყოფა, ისევე, როგორც სხვა ნაწარმოებ სახელებში: ნე-სგ-ა / ნე-სკ-ა „შუა“, ნე-შკ-ა „სხვენი“, ნე-ფხუნ-ა „ცხვირი“... ძირად დარჩენილი ჰნ არქაული ჰნ-დან მომდინარეობს დამახასიათებელი ჰ → ჰ სპირანტიზაციის გზით.

ს.-სინდ. *წნ- „დროის გასვლა“

ადიდ. სწ-ნ, ყაბ. სწ-ნ „დროის გასვლა“, შდრ. ადიდ. ლა-სწ „ცხოვრება“

უბიხ. წწ- „დროის გასვლა“

აბაზ. წ-რა, აფხაზ. ა-წ-რდ „დროის გასვლა“, წგ-ფხ „გასული წელი“

ჩერქეზული მონაცემები გარკვეულ სირთულეს უხსნიან რეკონსტრუქციის პროცედურას. ვინაიდან აფხაზურ-აბაზური ნიმუშებით არ ჩანს და ფუძე-ენისათვის ვერ აღდგება რომელიმე (ა/წ/გ) ხმოვანი. Vნ თანმიმდევრობა, რომელიც ქართველურში პოვნირია, ფუძესინდური მდგომარეობის აღსადგენად რელევანტურია განსაკუთრებით უბიხურის გათვალისწინება [ბლაჟბა 1948 : 40; ლომთათიძე 1953 : 96].

სინდური ენებისათვის ძირითადია დროის გასვლის შინაარსი, რომელიც სვანურის შარშან / გასული წლის სემანტიკაშიც იკითხება.

ს.-ქართვ. *წენწ- „ნაწლავი“

ქართ. (აჭარ.) წენწ-ულ-ი „ნაწლავი“

ზან. ჭინჭ-ა // ჭიმჭ-ა „ასფურცელა“

სვან. ჭინჭ-ილ „ნაწლავი“

სამეცნიერო ლიტერატურაში სვან. ჭინჭილ ფორმას ქართ. წელ- სიტყვის რედუპლიცირებულ შესატყვისად მიიჩნევენ [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 662]. მაგრამ აქვე მეტად უპრიანი ჩანს საუბარი მისი აჭარულ წენწულ- სიტყვასთან ნათესაობის შესახებ; ამ უკანასკნელს ზანური ჭინჭ-ა / ჭიმჭ-ა „ასფურცელა“ ლოგიკურად ეხმიანება.

ს.-სინდ. *წწწ-ა „თირკმელი“

ადიდ. ზაზა-გ-ი, ყაბ. ზაზა-ი „თირკმელი“, ს.-ადიდ. *ძაძ-

უბიხ. ჭაჭა „თირკმელი“

აბაზ. ჭაჭა, აფხაზ. ა-ჭაჭა „თირკმელი“

უბიხურ-აფხაზურ-აბაზური წარმომავლობის **ჭაჭა** იმავე მნიშვნელობით ნასესხებია მეგრულში, სვანურში, გურულსა და იმერულში, ხოლო ს.-სინდ. *წაწ-ა არქექტიპის ქართველური შესატყვისი შემორჩენილია *ნაწლავის* აღმნიშვნელ ფუძეებში.

დასახელებულ ძირთა უტყუარი შესატყვისი ჩანს დაღესტნურ ენებშიც, შდრ. ხინალულ. წი-წინ „თირკმელი“.

ს.-ქართვ. *წუ- „წვა“

ქართ. წუ-ა // წვ-ა, მ-წუ-ელ-ი, შე-მ-წვ-არ-ი

ზან. (ლაზ.) ბ-ჭვ-ი „ვწვი“, გე-ჭვ-ერ-ი „შემწვარი“, მეგრ. ბ-ჭვ-ი „ვწვი“, გე-ჭვ-ილ-ი „დამწვარი“, ჭუ-ალ-ა „წვა“

სვან. მე-ჭ-რ „მცხოველი“ ლი-ჭ-რ „ცხოვა, წვა“

სვანურ ფორმებში თანმდევი ხმოვნის სიგრძე დაკარგული უ სონანტის საკომპენსაციო ჩანს [მაჭავარიანი 1965 : 29].

ს.-სინდ. *წუა „წვა“

ადილ. მა-სუჷჷ, ყაბ. მა-ჷჷ ← *მა-სუჷჷ „ცეცხლი“

უბიხ. მე-ჯჷა „ცეცხლი“

მისაღები ჩანს გამოთქმული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ თავკიდური მა-/მე- ჩერქეზულ ენებში ძირს შეხორცებული ისტორიული აფიქსია [ბოლუდა 1948 : 185]. მწ- პრეფიქსი, მართლაც, ზმნიდან სახელურ ფორმებს აწარმოებს, შდრ. ადილ. ჟგ-ნ, ყაბ. ზგ-ნ „ვარცხნა“ → ადილ. მა-ჷჷ, ყაბ. მა-ზჷ „სავარცხელი“...

ძირად გამოყოფილი -წუა კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. *წუ- „წვა“ ზმნას, რომელსაც უფრო ადრე დაღესტნურ სახელებს უპირისპირებდნენ, შდრ.: ლაკ. წუ, არჩიბ. ოწ „ცეცხლი“... [კლიმოვი 1964 : 250]. რამდენადმე მოულოდნელია *წუ → ჭუ → ჯ უბიხურში, ყოველ შემთხვევაში დეგლოტალიზაცია-გამჟღერების მექანიზმი ჩვენთვის უცნობია.

ს.-ქართვ. *წუ- „ბრწყინვა, ბზინვა“

ზან. (მეგრ.) ჭვ-იაფ-ი „ჭიატი, ბრწყინვა, ბზინვა“, გე-ჭვ-იან-ს „ანათებს, ბრწყინავს“

მეგრულში ჭვ- შიშინა ვარიანტის არსებობა ავტომატურად გულისხმობს ფუძე-ენაში *წუ სინა სახეობის ძირის პოვნად. ცხადია, მსჯელობა ეფუძნება ქართ. წ : ზან. ჭ, ს.-ქართვ. *წ კორესპონდენციის შესაძლებლობას.

ს.-სინდ. *წუჷ- „ბრწყინვა, ბზინვა; კაშკაში“

ადილ. (ჭემგ.) წუჷ-გნ, ყაბ. წუჷ-გნ „ბრწყინვა, ბზინვა; კაშკაში“, წუ-ნ „ბრწყინვა“

ამკარად მეორეული ჩანს უ ხმოვანი ყაბარდოულში – ჟუგ → უ [შდრ. კვახაძე 2014 : 272].

საერთოსინდური წ სისინ-შიშინა სიბილანტის რეკონსტრუქცია ეფუძნება აფხაზურ ა-მა-წუა, აბაზ. მა-ჭუა „ვარსკვლავი“ სახელებთან ადილურ-ყაბარდოული ალომორფების ეტიმოლოგიური კავშირის შესაძლებლობას. თუ ჩვენი მსჯელობა ზუსტია, მაშინ აქვე შემოვიდოდა დაღესტნური *ვარსკვლავის* აღმნიშვნელი ლექსემები: ხუნძ. წუა, ბაგვალ. წუარა...

სემანტიკური კორელაცია *ბრწყინვა / კაშკაში* ~ *ვარსკვლავი* კანონზომიერებას ექვემდებარება, რასაც მხარს უჭერს აღწერილ ძირ-ფუძეთა სტრუქტურულ-ფონემური შედგენილობაც.

ს.-ქართვ. *წუან- „მწვანე, სიმწვანე“

ქართ. მ-წვან-ე „ბალახის ფერი“ (საბა), მ-წვან-ვ-ილ-ი // მ-წვან-ილ-ი // მ-წვან-ვ-ილ-ი „ბალახი“ (საბა)

ზან. (მეგრ.) ჭვენ-ურ-ობ-ა // ჭვენ-იერ-ობა „ამწვანების, მიწას მიბარებული თესლის გაღვივების ჟამი, რიტუალი“

მიგვაჩნია, რომ ქართ. **წვან-** ძირის კანონზომიერი შესატყვისი სწორედ ამ მეგრულ სიტყვაშია შემონახული, სადაც ***ჟვინ-** → **ჟვენ-** უმლაუტის ზანურში რეალურად არსებობის მაჩვენებელი პროცესი განხორციელდა.

ს.-სინდ. ***ა-წუა-** „მწვანე“

აბაზ. **ა-ჟუა**, აფხაზ. **ა-ა-წუა**, ბზიფ. **ა-ა-წუა** „მწვანე“

აა- პრეფიქსი საკუთრივ სინდურ ენათა მონაცემი ჩანს, გარდა ამისა ბოლოკიდური **ნ-ც** უკვე ფუძე-ენაში დაიკარგა [ჭარაია 1912 : 23].

გვაკლია როგორც ჩერქეზული, ისე ნახურ-დაღესტნური მაჩვენებლები.

ს.-ქართვ. ***წუედ-** „წვეთი; დვრიტა, კვეთი“

ქართ. **წუეთ-ი** // **წვეთ-ი**, **ნა-წუეთ-ი**, **წვეთ-ავ-ს**

ზან. (ლაზ.) **ჟვათ-** → **ჟოთ-**, **ო-ჟოთ-ურ-ა** „საწვეთური“, (მეგრ.) **ჟვათ-ი** // **წვათ-ი** „წვეთი“,

მო-**ჟვათ-ან-ს** → მო-**წვათ-ან-ს** „წვეთავს“

სვან. **უიდ**, **უედ** (ლშხ.) „ცვარი, წვეთი; დვრიტა, კვეთი“

სემანტიკურად **წვეთი** / **კვეთი** ერთი ძირის (სიტყვის) ფარგლებში შესაძლებელი ჩანს. ამას სვანური კარგად აჩვენებს. ვიცით სხვა შემთხვევებიც, როცა სვანური **წაქუ** „წვეთი“ ქართულში **წაქა** „შრატი“ შინაარს შეისატყვისებს.

ს.-სინდ. ***ჟათ-ა** „ნაღები“

ადიდ. **შათ**, ყაბ. **შათ** „ნაღები“

უბიხ. **ჩათ** „ნაღები“

აფხაზ. **ა-ხ-ჟათ** „ნაღები“

ჩერქეზულ ენებში საგრძნობია **ჟ** → **ჩ** → **შ** დეგლოტალიზაციის ფაკულტატიური პროცესი. აქვე ფუძე-ენის დონეზე განხორციელდა **ჟუ** → **ჟ** ძირეული თანხმოვნის დეგლოტალიზაცია.

ვფიქრბთ, რომ სარწმუნოა **წვეთი** ~ **დვრიტა** სემანტიკური კორელაცია, რითაც შესაძლებელი ხდება დაღესტნურ იზოგლოსებზე მსჯელობა, შდრ.: ხუნძ. **წად**, ახვაზ. **წარი** „წვიმა“...

ს.-ქართვ. ***წუედ-** „წოდება, მოწოდება; კითხვა“

ქართ. **წოდ-**, **წოდ-ებ-ა**, მო-**წოდ-ებ-ა**, ხ-უ-**წოდ-ა**

სვან. **ჟოდ-** // **ჟუედ-** // **ჟედ-**, ხ-ე-**ჟუედ-მელ-ნლ** // ხ-ე-**ჟუედ-იელ** „ეკითხება“, ლე-ხ-**ჟოდ-ნი** (ლშხ.) „შევეკითხები“

შესაბამისი ძირი ზანურში დაკარგული ჩანს. სვანურის დიალექტებში პოვნირი **ჟუედ-** გა-ხმოვანება, შეიძლება ამოსავალ ვითარებას ასახავდეს [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 672].

ს.-სინდ. ***წადა-** „დაძახება, შეძახილი“

აბაზ. (ტაპანთ.) **ჟთა-რა** „დაძახება“, **ჟეთ-რა** „შეძახილი“, აფხაზ. **ა-ჟეთ-რა** „დაძახება“, „თქმა, გამოთქმა“

პალეოკავკასიური ძირის ლაბიალიზაცია მეორეული მოვლენა ჩანს ქართველურში, ვინაიდან ასევე არალაბიალიზებული ალომორფები დასტურდება ნახურ ენებშიც, შდრ.: ჩეჩნ., ინგუშ. **წეთა** „სახელი“, **слага**, წ.-თუშ. **წეთა** „სახელი, დიდება“ [ჩუხუა 2008 : 624]. სამაგიეროდ, ამოსავალი მჟღერი **დ** თანხმოვანი ქართველურმა შემოინახა, მაშინ, როდესაც **დ** → **თ/ტ** ნახურსა და სინდურში რეალური ფაქტია.

ვერანაირად ვერ გავიზიარებთ თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ შესაძლოა აფხაზურ-აბაზურ-რი ზმნების შემდგომი სეგმენტაცია – **ჟა** „პირი“ + **თა-** „მიცემა“ [ჩირიქვა 1996 : 84].

ს.-ქართვ. *წუელ- „ღერო; ლერწამი“

ძვ. ქართ. წუელ-ი „ღერო; ლერწამი“, ახ. ქართ. წველ-ი

ზან. ჭვალ-ო „წველი“

მეგრულ-ლაზური შესატყვისი შემოგვინახა იმერულმა დიალექტმა ნასესხობის სახით [ჩუხუა 2000-2003 : 367]. თუ ზანური სიტყვის აუსლაუტის ჩვენებას გავითვალისწინებთ, ბოლოკიდური -ო ქართულში -ა სუფიქსაციას გვავარაუდებინებს – წველ-ა. სიტყვა ამ ფორმითაც გვხვდება უძველეს წერილობით ძეგლებში: „დაშთის მას შინა წუ ე ლ ი (ლელწამი pb)“; „ვითარცა წუ ე ლ ა დესე ჩალისად შეურაცხიეს“ [აბულაძე 1973 : 551].

ს.-სინდ. *წუჷ- „სარი, პალო“

აბაზ. ჭუ-ჭუან, აფხაზ. ა-წუ-ჭუან, ბზიფ. ა-წუ-ჭუან „სარი, პალო, მარგილი“

საფუძვლიანი ჩანს დადესტნური სახელების მოხმობაც. სპეციალისტთა აზრით, ხუნძ. წულ, ბოთლიხ., ღოდ. წული, ახვახ. ჭული „ჯოხი“ კანონზომიერად შეესატყვისება აფხაზურ-აბაზურ ალომორფებს [აბდოკოვი 1983 : 133], რასაც ჩვენც ვიზიარებთ და ვფიქრობთ, რომ იმავე ძირისაა ს.-ქართვ. *წუელ- და მისი ქართველური რეფლექსებიც.

ს.-ქართვ. *წუელ- „წველა“

ქართ. წველ-ა, მეწველ-ი

ზან. (ლაზ.) ჭვალ-უმ-ს „წველის“, ი-ნჭვალ-ს „იწველის, იწველება“, მა-ნჭვალ-უ „მეწველი“, მეგრ. ჭვალ-უ-ა „წველა“, ი-ჭვალ-ს „იწველის, იწველება“, მა-ჭვალ-ი/-უ „მეწველი“

ძველი ქართულიდან დღემდე მდიდრულად ილუსტრირებულ წველ- ზმნას კოლხურ დიალექტებში ჭვალ- // ნჭვალ- კანონზომიერად შეესატყვისება [ჯავახიშვილი 1913 : 6]. სვანური შესატყვისი ჯერჯერობით არ ჩანს.

ს.-სინდ. *წუჷ- „ტირილი“

უბიხ. წუა- „ტირილი“

ფუძეენური წარმომავლობის წუა- ზმნა მხოლოდ უბიხურში დასტურდება. აქაც თვალნათლივ გამოჩნდება ლ → უ//Ø ფონეტიკური პროცესის რეალურობა ფუძესინდურში. გასარკვევია აფხაზ. ა-წუტუა-რა „ტირილი“ ზმნასთან სტრუქტურული მიმართების საკითხი.

ს.-სინდ. *წუჷ- „ტირილი“ ~ ს.-ქართვ. *წუელ- „წველა“ არქეტიპებს აერთიანებთ იგივეობრივი ფონემური შედგენილობა/სტრუქტურა და კანონზომიერი სემანტიკური კორელაცია, რომელიც გაშუალებული ჩანს წვეთა / წვეთების შინაარსით.

ს.-ქართვ. *წუენ- „წვენი; ნადუღარი“

ძვ. ქართ. წუენ-ი „წვენი, ნახარში“, სა-წუენ-ე, წვენ-ი // წუენ-ი „სამარხო ნადუღარი“ (საბა)

ზან. (მეგრ.) წონ-უ-ა „წვენის გამოყვანა, წურვა“, სქას ბ-წონ-გნ-ქ „თაფლს ვიღებ სკიდან, ვწურავ“

შეიძლება ამავე წუე- ძირს შეიცავდეს სხვა ქართული სიტყვა წუნ-წუხ-ი. ყოველ შემთხვევაში, ქართულ-მეგრულ ძირთა საერთო გენეტიკური წარმომავლობა სარწმუნო ჩანს.

ს.-სინდ. *წუნ-ჷ „წვნიანი, ნედლი; სველი“

ადიდ. წუნჷ „სველი“, ყაბ. წუნჷ „წვნიანი, ნედლი; ნოტიო, უმი“

უბიხ. წუნჷ „წვნიანი, ნედლი“

სპეციალურ ლიტერატურაში გამოითქვა თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ უბიხური სახეობა ნასესხებია ადიღური ენებიდან [შაგიროვი 1977, II : 126], რაც შეიძლება მართალიც იყოს.

უფრო ადრე გ. როგავა ჩერქეზული ძირების მონათესავე ერთეულად მოიხმობდა ლეზგიურ იწი „სველი“ ფორმას [როგავა 1956 : 82], რასაც ავტორზე მიუთითებლად იმეორებს ა. აბდოკოვი [აბდოკოვი 1983 : 151].

წ სიბილანტის ლაბიალიზაციის მოშლა სავარაუდო ჩანს ჯერ კიდევ საერთოსინდურ ქრონოლოგიურ დონეზე.

ს.-ქართვ. *წტერ- „წვერი“, „кончик“

ქართ. წტერ-ი // წვერ-ი, მ-წვერ-ვ-ალ-ი

ზან. (მეგრ.) წვანჯ-ი // წვანდ-ი (←*ჭვანჯ-ი) „წვერი“

სვან. ტტერ-ე (← *ჭტერ-ე ← *ჭტერ-ე) „წვერი“

ფუძემდებურ მდგომარეობას ძველქართული ფორმა უახლოვდება, ყველაზე მეტი ცვალებადება სვანურში განხორციელდა, რასაც ჭ → ჰ → Ø ისტორიული პროცესის მოქმედება უწყობდა ხელს.

ს.-სინდ. *წტარ- „მახვილი“, „острый“

ადილ. სტა-ა, ყაბ. ჭა- (← *სტა-) „ლოკატიური პრეფიქსი, რადაცის წვერზე ყოფნა“

აბაზ. წარ-ა, აფხაზ. ა-წარ, ბზიფ. ა-წარ „მახვილი“

წვერის სემანტიკა ხელშესახებია ადილურ ენა-კილოებში, ხოლო ქართველურ არქეტიპთან შედარებით ირკვევა, რომ ბოლოკიდური რ, როგორც სხვა არაერთ შემთხვევაში, აქაც დაიკარგა, მაგრამ იგი უცვლელად შემოგვენახა აფხაზურ-აბაზურში.

ჩერქეზული მონაცემის წყალობით არ ჭირს იმის მტკიცება, რომ წ-ს ლაბიალიზაცია ს.-სინდ. ენისათვის დამახასიათებელი იყო, რასაც, ქართველურთან ერთად, დაღესტნური მასალაც უჭერს მხარს, შდრ.: ბეჟიტ. ანწო, თაბას. უჭრუ „მახვილი“.

აქვე საკითხი დგება ნახურ ენათა ჭან- „ნიკაპი“ ფორმასთან გენეტიკური მიმართებისა.

ს.-ქართვ. *წტინ- „ტკივილი“

ზან. (ლაზ.) ჭვინ-ა „ტკივილი“

ლაზურში ჭვინ- ძირის პოვნეირება, მაშინ, როდესაც სიტყვა არ არის ნასესხები, ბუნებრივად გულისხმობს საერთოქართველურ ფუძე-ენაში *წტინ- არქეტიპის არსებობას, შდრ. ბგერათმესატყვისობა ქართ. წ : ზან. ჭ, ს.-ქართვ. *წ.

ს.-სინდ. *წტე- „ტირილი“

აფხაზ. ა-წტე-ტა-რა „ტირილი; დატირება“, ა-წტე-ტა-ტუ „სატირალი“

ლაზურ-აფხაზური იზოგლოსებიდან ერთ-ერთია, რომელიც არ დაიყვანება ერთმანეთზე, ანუ სესხებას ნებისმიერი მიმართულებით გამოვრიცხავთ. აფხაზურში გამოყოფილი -ტა- სემენტის ფუნქცია ჩვენთვის უცნობია; შეიძლება, გვეფიქრა ლაზ. ნ : აფხაზ. ტ შესატყვისობაზეც. საკითხი დამატებით შესწავლას საჭიროებს.

სემანტიკური კორელაცია ტკივილი ~ ტირილი კანონზომიერი ჩანს.

ს.-ქართვ. *წტირ- „მიწა; ნაკელი“

ქართ. წვირ-ე // მ-წვირ-ე „მყრალი ლავი“ (საბა)

ზან. (მეგრ.) წვერ-ე „ნეხვი“

სვან. ტერ → // ტორ (ლშხ.) „მიწა, თიხა“

სვანურისთვის *ჭტერ → *ჭტერ ← ტერ პროცესი არის დასაშვები, შდრ. მსგავს პოზიციაში ქართ. წვერ-ი : სვან. ტერ-ე „წვერი“, სადაც ასევე ჭ → ჰ → Ø განხორციელდა.

ს.-სინდ. *წტერ- „მიწა; ნაკელი“

ადილ. -ჭტერ „მიწა“

აფხაზ. ა-რ-წტერ-ა „ნაკელი, პატივი“

ნეხვი ~ მიწა სემანტიკური სუბსტიტუცია ორივე ჯგუფის ენებში შეინიშნება, რაც ბუნებრივი ჩანს, შდრ. ქართ. მიწა ~ მეგრ. მინწა „ნეხვი, ნაკელი“.

საყურადღებო ალომორფები ჩანს მონათესავე დაღესტნურ ენებშიც, შდრ. წახ. **ჭირე** → // **ჭიდე** „მიწა“.

ს.-ქართვ. ***წჳირ-** „მოგრძო“

ზან. (მეგრ.) **წვირ-**ალ-ი „მოგრძო“, **წვირ-**აია „მოგრძო“

სიტყვა დასტურდება მხოლოდ მეგრულში, მაგრამ იგი ქართველური აგებულების ძირია, რაც გამორიცხავს მის ნასესხობას.

ს.-სინდ. ***წურგ** „გრძელი“

აბაზ. **ჭურგ**, აფხაზ. ა-**წურგ** „გრძელი“

არ გამოვრიცხავთ, აფხაზურ-აბაზური გ სიტყვის ბოლოში ზანურში ძირეული ი ხმოვნის შესატყვისი იყოს.

მეგრულ-აფხაზური იზოგლოსა ჩანს, რომელსაც სარწმუნო შესატყვისები უდასტურდება მონათესავე დაღესტნურ ენებში, შდრ.: ანდ. **ჭირწი**, ახვახ. **ჭერჭე**-დაბა, კარატ. (ტუკ.) **ჭერწ-**ებ, ტინდ., ჭამალ. **ჭეწუ**-ბ „გრძელი“...

სიგრძის შინაარსი ყველგან საგრძნობია (ძირითადია).

ს.-ქართვ. ***წჳის-** „გაზრდა; მოწვევა; მოზრდილი“

ძვ. ქართ. მ-**წჳის-**ი „დიდი, მოზრდილი“, სი-მ-**წჳის-**ე „მოწიფულობა, გაზრდა“, გან-მ-**წჳის-**ებ-ა „გაზრდა“

ზან. (მეგრ.) **ჭიმ-** „მოსწრება; დაწვევა“, მო-**ჭიმ-**ე „მოწეული, სიმწიფეში შესული“, ლაზ. მე-**ჭიმ-**უ „დაწვევა“

ზანურ-ქართული ალომორფების შედარებით ირკვევა, რომ ძირეული **ჴ** (ან **ვ**) მეგრულ-ლაზურში დაიკარგა [გიგინეიშვილი 1972 : 150-151]. აქვე შეიძლება, საკითხის დასმის წესით, ვისაუბროთ სვანურ **ჭუმ** (ლშხ.), **ჭუმ/ჭუიმ** (ბზ.) „ვაჭიშვილი“ სიტყვასთან მიმართების პრობლემაზეც – **წჳის-** : **ჭუიმ** მთლად უპერსპექტივო არ ჩანს.

ს.-სინდ. ***წეს-** „ახალგაზრდა (ცხოველებში)“

უბიხ. **წეს-**გ „პატარა“

აბაზ. -**ჭეს**, აფხაზ. ა-**ჭეს** „ახალგაზრდა (ცხოველებში)“

აშხარულ-ტაპანთურში -**ჭეს** ფორმა მხოლოდ შედგენილ სახელებში არის დამოწმებული [ჩირიქა 1996 : 84].

ძნელი სათქმელია, არის თუ არა ძველქართულისებური ძირეული თანხმოვნის ლაბიალიზაცია პალეოკავკასიურიდან მომდინარე. თუ ის პოვნის იყო ფუძე-ენაში, მაშინ **ჴ** ისევე დაკარგულა აფხაზურ-აბაზურში, როგორც მეგრულ-ლაზურ ფორმებში.

ს.-ქართვ. ***წიბ-** „წიბო; კიდე; გვერდი“

ქართ. **წიბ-**ო „გვერდი“, ნა-**წიბ-**ურ-ი „ნაპირი, კიდე რისამე“, „ლარის კიდეური“ (საბა)

ძირი ჯერჯერობით მხოლოდ ქართულში ფიქსირდება, არ ჩანს სხვა ქართველურ მასალაში. **წიბ-** ძირის საერთოქართველურობა ეჭვს არ იწვევს, ვინაიდან მას სერიოზული გარეენობრივი პარალელები უდასტურდება.

ს.-სინდ. ***ბწ-**ა „წვეტი, კიდე; მკვეთრი“

ადიდ. **პწ-**, სიტყვაში ფა-**პწ** „მკვეთრი“, ყაბ. **პწ-**, სიტყვაში ფა-**პწ** „მკვეთრი“

უბიხ. **ჭა-წა** ← ***ჭა-ბწა** „წვეტი, კიდე; ცხვირი“

სიტყვათა ამავე რიგში აფხაზურ-აბაზური **წარ-** „მახვილი“ ძირის შემოტანა არ იქნებოდა გამართლებული, ვინაიდან, როგორც უკვე ვნახეთ, მას სხვაგვარი ეტიმოლოგია აქვს (იხ. აქვე ს.-ქართვ. ***წჳერ-** „წვერი“).

საყურადღებო ქართველურისებური სტრუქტურის შესატყვისები დასტურდება დადესტნურ ენებში, შდრ. ახვახ. წებერ, კარატ. წებირ // წებერ „წვეტი, კიდე, ნაპირი“...

ს.-ქართვ. *წიგ- „ჭრელი, ფერადი“

ქართ. წიგ-, წიგ-ურა „ჭრელი, ფერადი“

ცალკე დგას ქართულში, მაგრამ, სავარაუდოდ, ფუძეენური ეტიმოლოგია აქვს; ამაზე გარეე-
ნობრივი შესატყვისები მიგვითითებენ.

ს.-სინდ. *წუგ- „დაწერტილი“

აბაზ. ჭუგ-რა „დაწერტილი“

ქართველურით აქაც მხოლოდ აბაზური მონაცემია ხელმისაწვდომი, თუმცა წ → ჭ გაშიში-
ნების ტენდენცია ამ ენაში რეგულარულად ვლინდება. სიტყვათა ამავე რიგში შემოაქვთ დადეს-
ტნური მასალაც, შდრ. თაბას. ჯიგერი „ნაყვავილარი“ [აბაევი 1958, I : 402].

ს.-ქართვ. *წიუ- „წივილი, კივილი“

ქართ. წივ-ი-ს, წივ-ილ-ი „წვლილი რამ ჳმაჲ“ (საბა)

ზან. (მეგრ.) ჳვ-, გე-ჳვ-ი-ან-ს „წივის“

გვაკლია სვანური მონაცემი. მეგრულში მოულოდნელი იყო ი-ს რედუქცია, მაგრამ აქ ხმოვ-
ნის ჩავარდნა განაპირობა სარედუქციო პოზიციამ. კერძოდ, ვინაიდან იქმნებოდა რედუქციის მო-
მდევნო საფეხურზე კანონიკური ჳვ- კომპლექსი, კუმშვა განხორციელდა, შდრ. ანალოგიურ
გარემოცვაში ქართ. ციქვ- : ზან. ჩქვ-აფ-ა ← *ჩიქვ-აფ-ა „გამშვება“

ს.-სინდ. *წუგ- „კივილი“

ადიდ. (ჭემგ.) სუტ-გ-ნ „კივილი“

სათანადო ზმნა ადიღურში გართულებულია **გვ-** ზმნური სუფიქსით. სამაგიეროდ, გახმო-
ვანება აქ უფრო არქაულ ჩანს.

არქეტიპული ს.-სინდ. *წუგ- „კივილი“ : ს.-ქართვ. *წიუ- „წივილი, კივილი“ კანონზომიერი
სტრუქტურულ-ფონეტიკური შესატყვისობა ჩანს, რასაც ზურგს უმაგრებს იგივეობრივი სემანტი-
კური მიმართება.

ს.-ქართვ. *წით- „წითლად ყოფნა“; *წით-ელ-

ძვ. ქართ. წით-ს, წით-ელ-ი, გან-წით-ნ-ი-ს, მ-წით-ურ „წითელი“

ზან. (ლაზ.) ჳით-ა „წითელი“, გო-ი-მ-ჳით-ან-უ „გაწითლდა“, მეგრ. ჳით-ა „წითელი“, ჳით-
ონ-დ-უ-ნ „წითლდება“

ზმნური და სახელური ფუძეების ერთიან წარმომავლობას პირველად არნ. ჩიქობავამ მიაქცია
ყურადღება [ჩიქობავა 2013 : 37, 121].

ს.-სინდ. *წუთ- „ბრწყინვა“

ადიდ. (ჭემგ.) სუთ-ნ „ბრწყინვა“

ძალიან მნიშვნელოვანია ჭემგურის დიალექტის ინფორმაცია, ვინაიდან საერთოსინდური
ზმნა მხოლოდ აქ არის შემორჩენილი.

ს.-სინდ. *წუთ- : ს.-ქართვ. *წით- / *წით-ელ- არქეტიპთა შედარებისას იკვეთება ხმოვნური
ოპოზიცია ა : ი. როგორც ჩანს ამ შემთხვევაში ქართველური ი გახმოვანება მეორეულია. ამ კუთხით
წონადია დადესტნური ინფორმაცია, სადაც სინდურივით ა ხმოვანი დაჩნდება, შდრ.: ანდ. წათ-
ორალო, ლოდ. წათ-ი „წვა“...

სემანტიკური კორელაცია სიწითლე ~ ბრწყინვა ~ წვა კანონზომიერებას ექვემდებარება.

ს.-ქართვ. *წიკ- „თიკანი“
ქართ. (ინგილ.) წიკ-ო-მ „თიკანი“
ზან. (ლაზ.) წიკ-ან-ი „თიკანი“

მეგრულ-სვანური ეკვივალენტი ვერ გამოვავლინეთ.

მიუხედავად განსხვავებული სუფიქსაციისა, და ეს მოსალოდნელი იყო, ვინაიდან ქართულ ოს ზანურში რეგულარულად ნული შეესატყვისება (ანუ წიკ-ო / წიკ-ან), ძირის აფიქსაცია ლაზურში სხვაგვარად წარიმართა.

ყოველი ცდა ინგილოურ-ლაზურ იზოგლოსთა თიკან- / ციკან-თან დაკავშირებისა განწირულია მარცხისათვის, სხვადასხვა ძირებია.

ს.-სინდ. *ქგწ- „თიკანი“
ადილ. ჩანწ-გ, ყაბ. ჩგწ „თიკანი“

სინდური არქეტიპი შებრუნებული წყობისაა, რასაც, ქართველური მონაცემების გარდა, დალესტნურიც მხარს უჭერს, შდრ.: ანდ. წიკ-ირ, ახვავ. ჭიკ-ე, ლოდ. წიკ-ირ..., დიდ. ციკ-ი, ჰინუხ. ციკ-ე „თიკანი“, ლაკ. წუქუ (← *წიქ-უ) „თხა“.

იბ.-კავკ. ენებიდან მხოლოდ ლაკურსა და ჩერქეზულში განხორციელდა კ → ქ დეგლოტალიზაციის ფონეტიკური პროცესი [მეტი დალ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 1094; ქომრი, ხალილოვი 2010 : 132-133].

ს.-ქართვ. *წიკუ- „პატარა, წვრილი, ნამცეცა; ბიჭი“
ქართ. (თუმ.) წიკუ-მ „მცირე, ნამცეცა“

ზან. (მეგრ.) ჭიკუ // ჭირკუ „პატარა, წვრილი“, ჭირკუ-ჭირკუ „წვრილ-წვრილი“, ჭიკო „პატარა ბიჭი“

თუმურში დამოწმებული წიკუ- ფუძე კანონზომიერად შეისატყვისებს ჭიკუ // ჭირკუ ალომრფებს ზანურში [იხ. აგრეთვე ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 670].

ს.-სინდ. *წგუ- „მცირე; ბიჭი“
ადი. წგუგ, ყაბ. წგუგ „პატარა, მცირე“
აზაზ. ჭკუ-გენ „პატარა; ბიჭი“, აფხაზ. ა-ჭკუ-გენ „ბიჭი“

არ არის გამორიცხული, რომ როგორც ქართველურ, ის სინდურ ენებში ერთმანეთში იყოს აღრეული პატარა / მცირე და ბიჭი სემანტემების გამომხატველი სხვადასხვა ძირები, თუმცა მათ ყველა შემთხვევაში ერთიანი ეტიმოლოგია ექნებოდათ, შდრ. მეგრ. ჭიკო „პატარა ბიჭი“, ჭიკუ „პატარა, წვრილი“ და ა.შ. დალესტნურიდან საინტერესოა ჭამალ. ჭიკუ-ბ „მცირე, ნამცეცა“ ფორმა.

ს.-ქართვ. *წილ- „ტილის კვერცხი“
ქართ. წილ-ი „ტილის კვერცხი“
ზან. {ჭილ-ი}

სპეციალურ ლიტერატურაში ქართ. წილ-ი ← *ჭილ-ი პროცესს ამ ძირის სიმბოლიკური აგებულებიდან გამომდინარე ვარაუდობდნენ. ჩვენი თვალსაზრისი განსხვავებულია; ქართ. წილ-ი ფუძე არ მომდინარეობს ჭილ-ისაგან, არამედ ფუძეენაში არსებობდა როგორც წილ-, ისე ჭილ- სახეობები. აქიდან ჭილ-ი საბაზს Cb რედუქციაში არის მოხმობილი: „ჭიკ-ი (მძრომ.)... ტილი (ჭილ-ი Cb) CD“. ანუ წილ-ს ზანურში ჭილ-ი შეეფარდება, ხოლო ქართ. ჭილ-ს კი - ჭკირ-ი / მჭკირ-ი „წილი“ [იხ. ჩუხუა 2000-2003 : 377; ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 685].

ს.-სინდ. *წგ- „წილი, ტილი“
ადილ. წა, ყაბ. წა „ტილი“
უზიხ. -წ-, სიტყვაში ტა-წ „წილი“, შდრ. დგმა-წ „კვერცხი“
აზაზ. წა, აფხაზ. წა „ტილი“

ფუძე-ენისათვის უბიხური წ სისინ-შიშინა სიბილანტისებური არქიფონემის რეკონსტრუქცია არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად, პირიქით, უბიხურისათვის ჩანს სავარაუდო გასისინების წ → წ მეორეული გარდაქმნა.

არქექტიპული ს.-ქართვ. *წილ- : ს.-სინდ. *წა მიმართება ნორმალური ჩანს [ჭარაია 1912 : 46].

სავარაუდოდ, სანდო შესატყვისი შეიძლება იკითხებოდეს ვაინახურ წიმერგ ← *წირ-ემ-გ „ბაღლინჯო“ სიტყვაში.

ს.-ქართვ. *წილ- „გამოჩეკა“

ზან. (ლაზ.) წილ-, გამა-წილ-უ „გამოჩეკა“, გამა-პ-წილ-უფ „გამოვჩეკ“, გამა-წილ-უფ-ს „გამოჩეკს“, გამა-წილ-ერ-ი „გამოჩეკილი“, გამა-წილ-ავ-ა „გამოჩეკა“

საერთოქართველური ეტიმოლოგიის მქონე წილ- ზმნა მხოლოდ ლაზურში შემოგვრჩა „გამოჩეკის“ მნიშვნელობით. ქართულსა და მეგრულშიცაა წილ- ზმნა, მაგრამ მას ოდენ კრეფის სემანტიკა ახასიათებს, ამიტომაც სხვა ძირად მიიჩნევა; ვინაიდან იგივე წილ- ლაზურშიც პოვნირია იმავე კრეფის მნიშვნელობით.

ს.-სინდ. *წგ- „კვერცხის დადება“

ადიდ. წგ-, ჭ-წგ-ნ, ყაბ. წგ-, ჭა-წგ-ნ „კვერცხის დადება“

აბაზ. წა-რა, აფხაზ. ა-წა-რწ „კვერცხის დება“

შესაბამისი ძირი უბიხურში არ დასტურდება. თუ ქართველურის ჩვენებას გავითვალისწინებთ, ვოკალიზმის საკითხი ადიღური გ ნეიტრალური ხმოვნის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს, რომელსაც აფხაზურ-აბაზურში ა მოუცია.

თუ სიტყვათა ამ რიგში შემოვიტანთ ალუღურ წა- „მიცემა“ ზმნას, მაშინ შეიძლებოდა საუბარი ლაზურ წილ-, ოკო-უ-წილ-უ „უწილადა“ (მდრ. ქართ. წილ-ი, ნა-წილ-ი, უ-წილ-ად-ა) და ლაზ. წილ- „გამოჩეკა“ ზმნათა ერთიან წარმომავლობაზე, რაც არ ჩანს უპერსპექტივო.

ს.-ქართვ. *წიმ- „სუფთა“

ქართ. წიმ-არ-ო „სუფთა, თავანკარა“, ფშ. წიმ-არ-ო წყალ-ი „სუფთა, თავანკარა წყალი“

სიტყვა დასტურდება მხოლოდ ქართულში. წიმ-არ-ო-ში სეგმენტი -არ-ო სუფიქსური ჩანს, წიმ- ძირია. ეს უკანასკნელი შეიძლება, ენათესავებოდეს სვანურ ჭმ-ინ- ზმნურ ფუძეს სიტყვებში ლი-ჭმ-ინ-ე „წმენდა, დაგვა, დასუფთავება“, მე-ჭმ-ინ-აღ „ვარსკვლავთმრიცხველი“ [ჩუხუა 2000-2003: 385].

ს.-სინდ. *წუტ- „კეთილი, კარგი“

ადიდ. სუტ, აბძახ. სუტ-, ყაბ. ჭტ (← *სუტ) „კეთილი“

უბიხ. ჭწ „კარგი“

გვაკლია აფხაზურ-აბაზური შესატყვისები; თვით უბიხურ ფორმასთან ნათესაობაც რამდენადმე პირობითია [შაგიროვი 1977, II : 102].

ს.-ქართვ. *წიმ- „სუფთა“ : ს.-სინდ. *წუტ- „კეთილი, კარგი“ კანონზომიერებას ავლენს როგორც სემანტიკის, ისე ფონეტიკური მიმართების თვალსაზრისით. აქვე კიდევ ერთხელ დასტურდება მ → უ ლაბიალიზაციის პროცესი საერთოსინდურში, რომ არაფერი ვთქვათ კანონზომიერი : გ ხმოვნურ კორელაციაზე.

ს.-ქართვ. *წინდ-ა „ნაქსოვი ფეხსაცმელი“

ქართ. წინდა „მოქსოვილი ფერჯის საცმელი“ (საბა)

სიტყვა მხოლოდ ქართულშია თავჩენილი, მისი კანონზომიერი ზანურ-სვანური შესატყვისები ჯერჯერობით არ არის გამოვლენილი. მიუხედავად ამისა, არ გამოვრიცხავთ ძირის ფუძე-ნურ წარმომავლობას.

ს.-სინდ. *წედ-ა „ზონარი; ბაწარი; სიმი“

აბაზ. (ტაპანთ.) წდა „ზონარი, თოკი; სიმი, ბაწარი“, აფხაზ. -წად, სიტყვაში ა-წეხტ-წად „სა-ძუე, ბალდუმი“

მართალია, გვაკლია ჩერქეზული მონაცემები, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ფუძე-ენაში გ ნე-იტრალურ ხმოვანს აღვადგენთ; ამ უკანასკნელმა აფხაზურ-აბაზურში სრული ა მოგვცა, ალბათ, ასიმილაციით სუფიქსურ ა-სთან, თუმცა გ → ა -(ან გ → ჯ → ა) უამისოდაც ხშირია დასახელებულ ენებში.

ს.-ქართვ. *წინდ-ა „ნაქსოვი ფეხსაცმელი“ ~ ს.-სინდ. *წედ-ა „ზონარი; ბაწარი; სიმი“ ნორმა-ლურ მიმართებას აჩვენებს როგორც სემანტიკური, ისე სტრუქტურულ-ფონეტიკური თვალსაზრისით.

ს.-ქართვ. *წინო- „თოლია (სახეობა)“

ზან. (ლაზ.) ჭინო „თოლია“

ლაზური ჭინო უთუოდ მიუთითებს მის ფუძეენურ არქეტიპად *წინ-ო-ს დასახვის შესაძლებლობაზე.

ს.-სინდ. *ჰნე „თოლია“

აფხაზ. ა-ჰნე-შ „თოლია“

როგორც ქართველურის შემთხვევაში, აქაც სინდური ფუძე მხოლოდ აფხაზურს შემორჩა – ა-ჰნე-შ, სადაც ბოლოკიდური -შ (← -ს) აფიქსური ჩანს, შდრ. ა-წე-ს „ჩიტი“ (მრავლ. რ. ა-წა-რა).

შებრუნებული წყობის ძირი შეიძლება, იკითხებოდეს დაღესტნური ენებიდან არჩიბულში ნოწ- „ყანჩა“. სემანტიკური ოპოზიცია ყანჩა ~ თოლია ბუნებრივი ჩანს.

ს.-ქართვ. *წიპ- „გამხდარი“

ქართ. წრიპ-ა / წრიპ-ი „გამხდარი“, გა-წრიპ-ულ-ი

ზან. (მეგრ.) ჭიპ-ე „პატარა“

რ სონორის არსებობა ქართულში მეორეული მოვლენა ჩანს, იგი გვიანდელი ჩანართია წრიფ-ი „გამხდარი“ სიტყვის ზეგავლენით გაჩენილი [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 672]. სვანური შესატყვისი შეიძლება ჩანდეს ჭრიპ-ი „პატარა სახის ადამიანი (გოგო ან მოხუცი ადამიანი)“ ფორმაში, სადაც -ი ზედსართაული სუფიქსია სვანურში.

ამავდროულად ვუშვებთ, რომ ქართველური ფუძეები სიმბოლიკური აგებულებისაა, ამიტომაც შეიმჩნევა ქართულში წრიპ-ი/ა, გა-წრიპ-ულ-ი, ხოლო მეგრულში ჭიპ-ა/ე „პაწაწუნა“ ფუძეებთან სუბსტიტუცია.

ს.-სინდ. *პეწ-ა „თხელი“

ადილ. პაჰან, ყაბ. პასჰ „თხელი“

უბიხ. პწა „თხელი“

აბაზ. წა, აფხაზ. ა-პა „თხელი“

ჩვენთვის საინტერესო ძირი ყველა ენობრივ ქვესისტემაში არის შემონახული, მეტ-ნაკლები სისრულით. აბაზური წ აფხაზური პ-ს საპირისპიროდ იმაზე მეტყველებს, რომ აქ ამოსავალი ფორმა უბიხური პწა ტიპისა უნდა ყოფილიყო, რომელიც ფონოტაქტიკური შეზღუდულობის გამო სხვადასხვა მიმართულებით გამარტივდა – პწა → წა / პა, შდრ. ს.-სინდ. *პაწ-გ „თხელი“.

ფუძის შებრუნებული წყობით რეალიზება (საურთიერთო მეტათეზისი) ადვილი დასანახია ფუძესინდურში, რასაც დაღესტნური და ნახური მასალაც ამოწმებს, შდრ.: ბოთლიხ. ჭაბ-ტი „ბრტყელი“, ჩეჩნ. ჭაფ-ა // ჭანფ-ან „ბრტყელი“, ჭანფ-დან „გაბრტყელება“.

ს.-ქართვ. *წირ- „კეტი; ხე“

ქართ. (გურ.) წირ-ი-თავ-ი „ხორბლის სანაყავი მოკაუჭებული ხე“, ზ.-აჭარ. წირ-ის-თავ-ი „ღომის საცეხავის ნაწილი“

სვან. წირ „კეტი; ურო“

გვაკლია ზანური მასალა. მიუხედავად ამისა, ქართულ-სვანურ ძირთა ერთიანობა ეჭვებს არ აღძრავს [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 644].

ს.-სინდ. *წურ- „ლატანი“

აბაზ. (ტაპანთ.) ჭურ-გ „ლატანი“, შდრ. აფხაზ. -წურ-, სიტყვაში წურ-მანფს-(მა) „არასასია-მოვნიოდ გრძელი“

ცხადია, აფხაზური სემანტიკა გარკვეულ წილად ახსნადია, თუ ამ კონტექსტში ჩავრთავთ ჰოკასავით გრძელი მყარ შესიტყვებას ქართულიდან.

ს.-სინდ. *წურ- : ს.-ქართვ. *წირ- არქეტიპთა შეპირისპირებით საცნაური ხდება დელაბილიზაციის რეალურობა ქართველური ძირის ანლაუტში.

ს.-ქართვ. *წის- „უასაკო, მცირე (ქალი)“

ქართ. წის-, მ-წის-ე „უასაკო ქალი მცირე“ (საბა)

სვან. წის-რ „მცირე, პატარა“

გაუგებარია რ-ს ფუნქცია სვანურში; იქნებ, -რა სუფიქსის ნაშთია (შდრ. კუიც-რა „კვიცი“). ზანური შესატყვისები ვერ გამოვავლინეთ.

ს.-სინდ. *წეს- „შვილი; ნაშიერი“

უბიხ. წეს-ჟ „ბარტყი, შვილი, ნაშიერი“

უბიხურ-ქართველური იზოგლოსი წარმოაჩენს ხმოვნურ ი : გ მიმართებას, რაც ი → გ პროცესის სასარგებლოდ მეტყველებს ფუძესინდურში. აქვე უცნაურად ემთხვევა ერთმანეთს სვან. რ : უბიხ. ჟ სიტყვის ბოლოში (აფიქსურია?).

სისინ-შიშინა სიბილანტების ფუძეენურობაში ბოლომდე დარწმუნებული არ ვართ. საკითხი დამატებით შესწავლას საჭიროებს.

ს.-ქართვ. *წიფ- „წრფელი, წმინდა“

ქართ. წიფ-ელ-ი, სი-წიფ-ო-ებ-ა-ფ, გულ-წიფ-ელ-ი

ზან. (ლაზ.) მ-ჭიფ-ა „წმინდა; სუფთა“

ვიზრანტი რ ქართულში ფონოტაქტიკური შეზღუდვის გამო განვითარდა რედუქციის მომდევნო საფეხურზე – წიფ- → წფ- → წრფ- [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 672].

ს.-სინდ. *წიფ- „ჭინკა“

აფხაზ. ა-ჭაფ „ჭინკა“

სემანტიკური კორელაცია წმინდა ~ ჭინკა ასახავს წარმართული პერიოდის მომდევნო რწმენა-წარმოდგენებს, ანუ წმინდა → ჭინკა მნიშვნელობის გადაწევა აფხაზურში განხორციელდა, რაზეც ნახური მასალაც თვალნათლივ მიუთითებს, შდრ. წ.-თუმ. წიფბ „ღმერთი, კერპი“.

ს.-ქართვ. *წიფხ- „წვრილი წნელი“

ქართ. წიფხ-ი „წვრილი წნელი“, „წვრილი და გრძელი ყლორტი“ (საბა)

ზან. (ლაზ.) ჭიფხ-ე „წნელი“

ლაზური აუსლაუტი განსხვავებულია, რაც ისტორიულად სახელობითი -ე-ნიშნის ალომორფის არსებობით აიხსნება. სწორედ ამ ე-სთან ასიმილაციით განვითარდა ი → ე ფონეტიკური გარდაქმნა – ჭიფხ-ე → ჭიფხ-ე.

სვანური შესატყვისი ჯერჯერობით არ ჩანს [შდრ. ჩუხუა 2000-2003 : 355].

ს.-სინდ. ***წფხ**-ა „გასაღები“

აბაზ. (ტაპანთ.) **წაფხა**, აფხაზ. ა-**წაფხა** „გასაღები“

გვაკვლია ჩერქეზული შესატყვისები, რაც ართულებს რეკონსტრუქციის პროცედურას როგორც სემანტიკური, ისე სტრუქტურული თვალსაზრისით. ცხადია, *გასაღების* შინაარსი გვიანდელია და იგი, ალბათ, *ჩხირ*- / *წნელის* ეტიმონური გაგებიდან განვითარდა.

სხვა მხრივ, ს.-ქართვ. ***წიფხ**- : ს.-სინდ. ***წაფხ**-ა კანონზომიერ მიმართებას აჩვენებს. მნიშვნელოვანია შესატყვისობა ჰარმონიულ-დეცესიურ კომპლექსთა დონეზე.

ს.-ქართვ. ***წიქა** „ჭიქა, ფინჯანი“

ქართ. {**წიქა**} „ჭიქა“

ზან. (ლაზ.) **ჭიქა** „ფინჯანი“, მეგრ. **ჭირქა** „ჭიქა“

სვან. **ჭიქ** „ჭიქა“, **ჭიქ-გლდ** „პატარა ჭიქა“

ვვარაუდობთ, რომ საკუთრივ ქართული შესატყვისი შემონახულია ბეჟიტურ ენაში ნასესხობის სახით, შდრ. ბეჟიტ. **წიქა** „სარკე“. საერთოდ, ბეჟიტური გამოირჩევა ქართულიდან ნასესხები ლექსიკის სიჭარბით. თუ ჩვენი დაკვირვება სწორია, ზან. **ჭიქა** / **ჭირქა** კანონზომიერი შესატყვისი გამოდის სვანურთან ერთად – ქართ. **წ** : ზან. **ჭ** : სვან. **ჭ**. როგორც მოსალოდნელი იყო, ბოლოკიდური ა სვანურში მოიკვეცა – **ჭიქ** ← ***ჭიქა**.

ს.-სინდ. ***წქჷ** „დოქი“

აბაზ. **წქჷ** „დოქი“

საერთოსინდური არქეტიპის რეკონსტრუქცია შესაძლებელი ხდება მხოლოდ აბაზური მონაცემის საფუძველზე. აქ ძირეული გუტურალის ლაბიალიზაცია საკუთრივ სინდური ინოვაცია ჩანს – ს.-ქართვ. **ქ** : ს.-სინდ. **ქჷ**, ხოლო სინდური ფორმის **გ** გახმოვანება კანონზომიერად ასახავს ს.-ქართვ. ი ხმოვნის შესატყვისს – ი : **გ**, რაც რეგულარულად ვლინდება.

დალესტნურ შესატყვისად ვთვლით შებრუნებული წყობის დარგ. **ქიქა** „ლამბაქი“ სიტყვას.

ს.-ქართვ. ***წიწმ**- „წიწმატი; ცხარე“

ქართ. **წიწმ**-ატ-ი, ლეჩხ. **წიწმ**-არ-ატ-ი, გურ. **წიწმ**-არ-იტ-ა „წიწმატი“, გა-**წიწმ**-ატ-დ-ა „გაცხარდა“

ზან. (ლაზ.) **ჭიჭამ**-ი „ოხრახუმი, პრასი/ა“, შდრ. **ჭიჭი**-კვერ-ი „ძალიან მარილიანი კვერი“

გასარკვევია -ემ სემენტის (შდრ. ლაზ. -ამ) რაობა ქართულში; ჩვენთვის ის ძირეულია, მაგრამ ქართულში **წიწ**-აკ-ისა და ლაზურში **ჭიჭი**-კვარ-ი „მარილიანი კვერი“ კომპოზიტის პოვნირება ბუნებრივად სვამს საკითხს მისი გამოყოფის შესახებ.

ს.-სინდ. ***ჭ (ჷ)გჭჷ**- „მჟავე“

აბაზ. **ჭაჭჷ**-რა, აფხაზ. ა-**ჭჷგჭჷგ** „მჟავე“

ცხადია, **ჭ**ს ლაბიალიზაცია მეორეულად უნდა მივიჩნიოთ აფხაზურ-აბაზურში, ანუ **მ** → **ჷ**. ამგვარ მიდგომას ამართლებს დალესტნური ინფორმაციაც, სადაც ამოსავალი **მ** მკვიდრადაა ზის: რუთულ. **ჭგრჭგმ**-დგ, წახ. **ჭგრჭგმ**-ან // **ჭურჭუმ**-ან // **ჭირჭიმ**-ან „მჟავე; მარილიანი“.

ს.-ქართვ. ***წიწილ**- „პატარა; წიწილა“

ქართ. **წიწილ**-ი „ქათმის მართვე“ (საბა), გურ. **წიწილ**-ი „წვრილი“, **წიწილ**-ა (ჩუბინაშვილი)

ზან. (ლაზ.) **ჭიჭა** „პატარა“, **ჭიჭ**-იტა „მეტად პატარა“, მეგრ. **ჭეჭე** „პატარა“, მაგრამ ცვა-**ჭიჭა** (= შუბლ-პატარა) „ბაყაყი“, შდრ. მეგრ. **ჭიჭი**-ბ-ი „ჭრიჭინა“

სვან. **ჭიჭჷ** // **ჭიჭჷ** „წიწილა“

ამოსავალი ჩანს *პატარას* ეტიმონური გაგება ქართველურ ენებში, *წიწილა* მისგან განვითარებული მნიშვნელობა უნდა იყოს. ამას მეგრულთან ერთად გურულის ჩვენებაც ამოწმებს.

ს.-სინდ. *წებუა „ხოჭო; წილი; რწყილი“

ადიდ. წებუტ-; ყაბ. წებ ← *წებუტ- „ხოჭო“, შდრ. აბაზ. (← ყაბ.) წებუტა „ბუზანკალი“

აბაზ. წებ „რწყილი“, აფხაზ. ა-წებ, ბზიფ. ა-წებ „წილი“

გვაკლია უბიხური შესატყვისი, რომელსაც შეეძლო მეტი ინფორმაციის მოცემა მჟღერ ძ/ძ/ჟ ალოფონთა წარმომავლობის გასარკვევად. თუმცა ისედაც ცხადია, რომ წვეწ → წებ დისიმილაციური გამჟღერების ფონეტიკური პროცესი ჯერ კიდევ საერთოსინდურ ფუძე-ენაში მოქმედებდა. ამასვე ამტკიცებს დალესტნური შესატყვისებიც, შდრ.: დარგ. წერწ „კუტკალია“, ანდ. წორწა „პეპელა“, ლეზგ., თაბას. წიწ რუთულ. წგწ, აღულ. წირწირ, ხინალ. წიწინ „კუტკალია“, კრიწ. (დიალ.) წგწწალ „კალია“, სადაც მჟღერი სიბილანტები ქართველურივით არ ფიქსირდება.

ეტიმოლოგიური შინაარსი პატარასი უნდა ყოფილიყო პროტოკავკასიურში, საიდანაც განვითარდა წილი, რწყილი, ხოჭო, წიწილა, კალია, კუტკალია სეგმენტები.

ს.-ქართვ. *წა(ლ-) „კურკა; თესლი“

ქართ. წა „გაუცხვავი ბრინჯი“

ზან. (მეგრ.) წა (მრავლ. რ. წალ-ეფ-ი) „კურკა“

სვან. წა „თესლი (კვახის, ნესვის, საზამთროს...)“

არ გამოვრიცხავთ, რომ ქართველური ძირის აუსლაუტი ყველაზე უკეთ მეგრულს ჰქონდეს მრ. რიცხვის ფორმაში შემონახული. არსებობს თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ სვანური ალომორფი მეგრულიდან იყოს ნასესხები, რაც ვერ მტკიცდება. სვანურის განსხვავებული სემანტიკა ამას მხარს არ უჭერს [იხ. ნადარეიშვილი 1974 : 144; ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 645].

ს.-სინდ. *წავუ- „კურკა“

უბიხ. წავ „კურკა“

მიუხედავად იმისა, რომ გვაკლია ადილური და აფხაზურ-აბაზური მონაცემები, მხოლოდ უბიხურზე დაყრდნობით შესაძლებელი ჩანს საერთოსინდური არქეტიპის საკმაო სიზუსტით რეკონსტრუქცია. ამის შესაძლებლობას იძლევა უბიხური სიტყვის აუსლაუტი, სადაც კ-ს პალატალიზაცია მხოლოდ თანხმოვნის ისტორიულ ლაბიალიზაციაზე მიუთითებს – უბიხ. წავ ← *წავუ. და ეს უ პროტოსინდური ენისა კანონზომიერი შესატყვისია მეგრულის მრავლობითში (resp. ფუძეენური) ლ სონორისა, ანუ ლ → უ აქაც საკუთრივ ფუძესინდური პროცესია.

ს.-ქართვ. *წკუან- „ნაპერწკალი“

სვან. წკუამ, წკუამ (ლზხ.) „ნაპერწკალი“

თუ რამენაირად სვანურ ალომორფებს უკავშირდება მეგრული რწკინ- „ბრწყინვა“, მა-რწკინ-აია „ციცინათელა“, მაშინ წ → მ სვანურში ჩანს სავარაუდო. თუმცა, წ → მ ფონეტიკური გარდაქმნა ისედაც პოვნირია სვანურ ვარიანტებში, ღოშგინ- / ღოშგიმ „უკან“, ღოგინ-ი : სვან. ღგრგიმ „გრძელი სკამი; დივანი“ [ჩუხუა 2000-2003: 21-22].

ს.-სინდ. *წუანკ- „ვარსკვლავი“

უბიხ. წუანკ // წუანკ „ვარსკვლავი“

საერთოსინდური არქეტიპის რეკონსტრუქცია საკმაო სიზუსტით ხერხდება ოდენ-უბიხური მონაცემის საფუძველზე. ამავდროულად მნიშვნელოვანია სინდური ინფორმაცია წკ კომპლექსის წარმოქმნის გზაზე ქართველურ ენებში, რომელიც მეორეული წარმონაქმნი ჩანს წარმოდგენილ მაგალითში. ამასვე ადასტურებენ დალესტნური ენებიც, სადაც ასევე მნიშვნელოვანია შიდა ვარსკვლავი ~ ნაპერწკალი სემანტიკური კორელაცია, შდრ.: კრიწ. წუკ, ტინდ. წაქუ-ა „ნაპერწკალი“ ~ ლაკ. წუქუ, ჭამალ. წაქა // წაქუა „ვარსკვლავი“.

ს.-ქართვ. *წკტარ-ამ- „სიბნელე“

ქართ. წკვარამ-ი „სიბნელე; უფსკრული“

ზან. (მეგრ.) წკურუმ-ი // წკურუმ-ია „სიბნელე, უფსკრული“

გვაკლია სვანური შესატყვისი. წკვარამ- / წკურუმ- კანონზომიერი შესატყვისობაა, სადაც *წკტარ- ძირად გამოიყოფა. უფსკრულის შინაარსი მეორეული ჩანს.

ქართულ-ზანურ ძირ-ფუძეთა შეპირისპირება გ. კლიმოვს ეკუთვნის [კლიმოვი 1998 : 299].

ს.-სინდ. *წტანკ- „ბნელი“

ადიდ. (ჭემგ., ბჟედ.) სტენჭ, აბძახ. სტენჩ „ბნელი“

ზუსტი ჩანს მსჯელობა იმის შესახებ, რომ ნჭ → ნჩ აბძახურში შიდაენობრივი ინოვაციაა, რომელიც დეგლოტილიზაციის იშვიათ ნიმუშს წარმოადგენს [კვახაძე 2014: 216]. უბიხურში მოსალოდნელი {წტენკ} არ არის ფიქსირებული.

სინდურ ენათა ჩვენება საყურადღებოა ქართველური წკ კომპლექსის წარმოქმნის შესაძლებლობათა თვალსაზრისითაც.

აღწერილი შეპირისპირება გამოავლენს კანონზომიერ სტრუქტურულ-ფონეტიკურ მიმართებას, რაც მხარდაჭერილია სემანტიკური იგივეობით.

ს.-ქართვ. *წოჲ- „წოვა“

ქართ. წოვ-ა, წოვ-ს, წოვ-ნ-ა, მ-წოვ-არ-ი, მ-წოვ-ელ-ი

ზან. (ლაზ.) წვ-ავ-ერ-ი „წოვებული“, ო-წვ-ავ-ამ-ს „აწოვებს“, მეგრ. წუ-ალ-ა „წოვა“, ო-წუ-ავ-უ-ან-ს „აწოვებს“

სვან. წობ-, ენ-წობ-ე „მოსრუტა; მოწრუპა“

ოდნავ განსხვავებულია სვანური ენის ჩვენება, რაც, ალბათ, ან წრუპ-ა ძირის შესატყვისია, ან მისი ზეგავლენის შედეგი, რაზეც ძირის სემანტიკაც მიუთითებს [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 649-650].

ს.-სინდ. *წტა- „წოვა“

აბაზ. წტა-რა, აფხაზ. ა-წტა-რა „წოვა“

გვაკლია ჩერქეზული მონაცემები. ვფიქრობთ, აფხაზურ-აბაზური წტა- სრულად ასახავს საერთოსინდურ მონაცემს; ამ უკანასკნელს ეპარალელუბა როგორც ქართველური, ისე დაღესტნური ნიმუშები, შდრ. ხუნძ. წუ-ზე // წუ-ზი, კარტ. წტან-..., კრიწ. ჭუჲ-, თაბას. ჭტუჲ- „წოვა“...

აფხაზურ-ქართველურ შესატყვისებზე ადრევე მიუთითებდნენ [ჭარაია 1912 : 46].

სვანურივით საფრთხილო ჩანს წოვ- და წრუპ- ძირების შესატყვისთა გარჩევა დაღესტნურ ენა-კილოებში.

ს.-ქართვ. *წონ- „დამახსოვრება; ხედვა“

ზან. (ლაზ.) წონ-, ო-წონ-უ „ხილვა, გონება“, მ-ა-წონ-ე-ნ „მეჩვენება“, მეგრ. გინა-წონ-უ „გადახედვა; გადასახედი“, მიკი-წონ-უ „დამახსოვრა“, შდრ. ლაზ. ო-ხო-წონ-უ „გაგება“

სვან. ლი-წუნენ-ე „ნახვა, ჩვენება“

თუ დავუშვებთ, რომ ქართ. მო-წონ-ებ-ა ზმნაც აქ შემოდის, მაშინ, ცხადია, სვანურში დასაშვებია წონ- → წუნენ- ტიპის უმლაუტი.

ს.-სინდ. *წუნ- „ცოდნა“

ადიდ. სუნ, ყაბ. სუნ „ცოდნა“

გვაკლია უბიხურ-აფხაზურ-აბაზური მონაცემები. საერთოსინდური არქეტიპის რეკონსტრუქცია ხერხდება წ → სუ სპირანტიზაციის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესის გათვალისწინებით ადილურ ენებში.

სათანადო ნახურ მასალას ვერ ვხედავთ. დაღესტნურიდან ამავე რიგისა ჩანს ანდიური წინ-

ნუ, რუთ. ჰა-წენ „ცოდნა“ ზმნური ფორმები.

ს.-ქართვ. *წოპ- „წვერი, კიდე“

ქართ. წოპ-ი „წვერი“

ზან. (მეგრ.) წკოპ-ი „წვეტი, წახნაგი, კიდე“

შეიძლება აქვე შემოდიოდეს სვანური ძგებ (←*ძგრბ) „წახნაგი“ და მეგრ. ძგოპ-ი „წახნაგი, წვეტი“ ალომორფებიც, უბრალოდ, გაუგებარი ხდება წკ → ძგ გადასვლის მექანიზმი სვანურ-მეგრულში [იხ. ჩუხუა 2000-2003 : 363].

ს.-სინდ. *წებ- „ზურგი; წვეტი, კიდე“

ადიდ. ჭებ, ყაბ. სებ „ზურგი“

უბიხ. ჭა-წა ←*ჭა-წბ „წვეტი, ნაპირი, კიდე“ (?)

თუ უბიხური მასალა აქ შემოდის საერთოდ, იგი ყველაზე მეტად გაცვეთილი სიტყვა ჩანს, რასაც, ალბათ, ფუძის შედგენილობამაც შეუწყო ხელი. გარკვეულ სირთულეს ქმნის სემანტიკური კორელაცია ჩერქეზულ ენებს შორის – ზურგი ~ წვეტი, კიდე.

ამ ეტაპზე ვერ გამოვავლინეთ ნახურ-დაღესტნური იზოგლოსები.

ს.-ქართვ. *წოპ-ე „ჭიპი“

ქართ. წოპ-ი „რომელ არს დედაკაცის ასოსა შიგან ენა“ (საბა)

ზან. (ლაზ.) წიპა, მეგრ. ჭიპ-ი „ჭიპი“

როცა სიტყვათა ამ რიგში საბასეული წოპ-ი შემოდის, ცხადია, ქართული ჭიპ-ი ზანიზმის კვალიფიკაციას იმსახურებს, ხოლო ლაზ. წიპა ← *ჭიპა აშკარად მეორეული გასისინების ფონეტიკურ პროცესს ვარაუდობს. სვან. ბიჭ „ჭიპი“, როგორც ვნახეთ, სხვა წარმომავლობის ძირია.

ს.-სინდ. *ჭაპუ- „ჭიპი“

ადი. ნე-ბეჯ, ყაბ. ბენჟა ← *ნა-ბეჯ „ჭიპი“

აფხაზ. ა-ჭაპ-ან „ჭიპი“

ძირეულ მასალად სინდურ ენებში ჭაპ- გამონაწევრდება, რომელსაც პ-ს მომდევნოდ, დისტრიბუციული შეუთავსებლობის გამო, უ დაეკარგა – ჭაპუ- → ჭაპ-. ეს უ კი, როგორც ვიცით, ისტორიული ოს დაშლით არის მიღებული: ო → უნა/ანუ-.

სხვა იბ.-კავკ. პარალელებიდან ყურადღებას იმსახურებს ს.-ნახ. *წომ-გ „ჭიპი“.

ს.-ქართვ. *წუთ-ულ- „თოვლის კენკრა“

ქართ. (ქვ.-რაჭ.) წუთულ-ი „ურთხელის თესლი“

ზან. (მეგრ.) წოთირ-ა „თოვლის კენკრა“

სვანური შესატყვისი ვერ გამოვლინდა. ხმოვნური შემადგენელი მეგრულში მეტ ცვლილებას დაექვემდებარა – უ → ო და უ → გ → ი, რაც ამ ტიპის ძირ-ფუძეებში ბუნებრივი ჩანს, თანაც ზანურის ორსავე დიალექტში.

ს.-სინდ. *წუთუ-გ „ბალახის სახეობა; ხავსი“

აფხაზ. ა-წუთუა, ბზიფ. ა-წუთუ „ბალახის სახეობა“; „ხავსი“

ჩერქეზული მონაცემები გვაკლია, ამიტომაც რთულდება სარეკონსტრუქციო არქექტივის სემანტიკის დაზუსტება, მცენარის სახეობის იდენტიფიკაცია.

ფორმობრივი მხარე საძიებო სიტყვებისა წარმოაჩენს კანონზომიერ მიმართებას, მაგრამ სიტყვების მნიშვნელობები საკმაოდ სხვაობენ ერთმანეთისაგან.

საკითხი დამატებით შესწავლას მოითხოვს.

ს.-ქართვ. *წუკ- „ქვაბი“

ქართ. წუკ-, წუკ-ალ-ა „სპილენძის პატარა ქვაბი“

ზან. (მეგრ.) ჭუკ-ი // ჭურკ-ი „ქვაბი საზოგადოდ“, ჭუკ-ან-ი „დიდი ქვაბი“...

ქართველურ ენა-კილოებში წუკ-/ჭუკ- ძირად გამოიყოფა, -ალ და -ან დამოუკიდებელი სუფიქსებია [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 673].

ს.-სინდ. *ჭკჳ „ვარცლი“

აზახ. ჭკჳჳ, აფხაზ. ა-ჭკჳჳ „ვარცლი“

ჩერქეზულ ენებში სათანადო ძირები დაკარგული ჩანს.

ს.-სინდ. *ჭკჳჳ : ს.-ქართვ. *წუკ- კანონზომიერი შესატყვისობის მკაფიო ნიმუშია. ამოსავალი უ ხმოვნის დაშლის შედეგად გვევლინება გ და უ ფონემები აფხაზურ-აზახურ ენებში. ქართველური უ გახმოვანების პრიმარობას მხარს უჭერს ნახურ ენათა მასალა, შდრ. წ.-თუმ. ჭუკ, ჩეჩნ. ჭუგ, ინგუმ. ჭუგ „ყანწი“.

დადესტნური ძირ-ფუძეებიდან, ალბათ, აქვე შემოვა დარგული კუწულ ← *წუკ-ულ „კოვზი“ სიტყვა.

ს.-ქართვ. *წულ- „მშობელი (ცოლისა)“

ქართ. წულ-, წულ-ებრივ-ი „მამაკაცი“

სვან. ჭულ-, სიტყვაში ნა-ჭულ-აშ „გადასახადი ცოლის მშობლებისათვის“

ჭულ- ძირი სვანურში ს.-ქართვ. *წულ- „მშობელი“ არქეტიპის რეფლექსს წარმოადგენს. არ მივიჩნევთ, რომ იგი სვან. ჭუმ- „ვაჟი“ სიტყვის ალომორფია, ვინაიდან სვან. ჭუმ ქართ. წულ-ის შესატყვისია და აბსოლუტურად სხვა ეტიმოლოგიას გულისხმობს, ლ : შ შეფარდებისათვის, შდრ. ქართ. ტილ-ი : სვან. ტიშ [როგავა 1951 : 636]. სვანური ჭულ-ის შესატყვისი შეიძლება, ჩანდეს ძვ. ქართ. წულ-ებრივ-ი „მამაკაცი“ სიტყვაში [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 674].

ს.-სინდ. *წუგ- „მშობლები (ცოლის)“

ადიდ. სუტგ- (← *წუტგ-), სიტყვაში: სუტგ-გუტამ „სიდედრი“, სუტგ-ფუტგ „სიმამრი“

ფუძეენური წარმომავლობის რეფლექსაცია საცნაურია მხოლოდ ადიღეურში. ს.-სინდ. *წუგ- : ს.-ქართვ. *წულ- არქეტიპთა შეპირისპირებითი ანალიზით ირკვევა, რომ ფუძესინდურში ს.-ქართვ. ლ სონორის შესატყვისი უ (←*ლ) ადრევე დაკარგულა.

არსებობს თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ს.-სინდ. *წუგ- გენეტიკურად უკავშირდება ანდ. ლერუ, ახვახ. ლუე „სიმამრი, სიდედრი“ სიტყვებს [აბდოკოვი 1983 : 88], რაც დამატებით საბუთიანობას მოითხოვს.

ს.-ქართვ. *წუპ- „წუპაკი, წუწკი, წუნკალი“

ქართ. წუპ-აკ-ი „უჯიშო, გათახსირებული“

სიტყვა პოვნიერია მხოლოდ ქართულში. გამომდინარე იქიდან, რომ მას გააჩნია გარეენობრივი შესატყვისები, შეიძლება, სიტყვა ჩაითვალოს ფუძეენურ რეფლექსად.

ს.-სინდ. *წუპ-ა „საზიზღარი, ბოროტი“

ადიდ. (შაფს.) წაპ, ჭემგ. წაპ, ყაბ. წაპპ „ბოროტი, საზიზღარი“

აქაც გვაკლია უბიხური და აფხაზურ-აზახური მონაცემები, რაც ართულებს რეკონსტრუქციის პროცედურას. გადაჭრით ვერ ვიტყვით, იყო თუ არა თავკიდურა წ სიბილანტი ლაბიალიზებული ფუძე-ენაში. ქართულის მიხედვით, ეს შესაძლებელია, მაგრამ ადიღეურში ამგვარად ფიქრს საფუძველი არ გააჩნია.

საკითხი დამატებით შესწავლას მოითხოვს.

ს.-ქართვ. *წუპ-ე „წუმპე; ჭაობი“

ქართ. წუმპე

სვან. ჭუბ „ჭაობი“

შესაბამისი სახელი ზანურ დიალექტებში დაკარგული ჩანს. ქართულშიც მ ფონეტიკური დანართია – *წუპე → წუმპე. რაც შეეხება სვანურ შესატყვისს, აქ ბოლოკიდური ზ დისიმილაციური გამჟღერებით გაჩნდა – *ჭუპ-ე → ჭუბ.

ს.-სინდ. *წგფ-ა „სკორე“

ყაბ. წგფა „სკორე“

უბიხ. წაფა „სკორე“

მეტად საყურადღებოდ გვეჩვენება სამიუბელ სიტყვებს შორის ფიქსირებული სემანტიკური სხვაობა წუმპე ~ სკორე, რომლის გარდამავალ საფეხურადაც ოსური წიჭა „ტალახი, ჭუჭყი“ მიიჩნევა [აბაევი 1958, I : 338].

სვანურ ჭაობს ეხმიანება, ალბათ, ამავე ძირის ურარტული წოფა „ზღვა“ (→ სომხ. գով- „ზღვა“) სიტყვა.

ს.-ქართვ. *წურ- „წვეთა“, *წუ-ა „წვენი“

ქართ. წუ-ა „წვენი“

ლაზ. (ზან.) ო-წურ-უ „სითხის დენა“, მე-წურ-უ „id“

სვან. წურ-, ხ-ო-წურ „სდის (ცრემლი, სისხლი)“, ხ-ო-წურ-ე / ხ-ო-წურ-ე „ადენს (ცრემლს, სისხლს)“

საკმაოდ ჭრელი სურათია ქართველურ მასალაში, განსაკუთრებით სხვაობს ქართული ლაზურ-სვანურისაგან. ერთი რამ ცხადია, წურ- ძირი სითხესთან არის კავშირში, სხვა დანარჩენი შეიძლება ფუძის შენების პრობლემა იყოს.

ს.-სინდ. *წუტგ- „ტირილი / ღვრა; დატირება“

აზაზ. ჭუტუ-რა // ჭუტგ-უა-რა, აფხაზ. ა-წუტგ-უა-რა „ტირილი, დატირება / ქვითინი, ღვრა“

აქაც, ისევე, როგორც ქართველურ ენებში, ძირი გართულებულია უა სემანტიკით, რომლის ფუნქციაც არ ჩანს. უბიხ. წ : აფხაზ.-აზაზ. ჭ ამოსავალ წ სისინ-შიშინა არქიფონემას ვარაუდობს.

სინდურ ძირებს უკავშირებენ ხუნძ. რ-ეწ- „ღვრა / სხმა, ტირილი“ ზმნას [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 864], ჩვენი დაკვირვებით ხუნძური და მისი შესატყვისები ქართვ. რწყევ-ა / რწყვ-ა დერივატებს შეესატყვისება, ანუ სხვა ძირია.

ს.-ქართვ. *წუხ- „დახურვა; დახუჭვა“

ძვ. ქართ. წუხ-, და-წუხ-ვ-ა, და-მ-წუხ-ვ-ელ-ი

სიტყვა განმარტოებით დგას ქართულში. წუხ- ძირი ცნობილია უძველესი ქართული წერილობითი ძეგლებიდან: „და გ ი წ უ ხ ნ ე ს თუაღნი თქუენნი“; „ნუმცა ხართ... ლოცვასა თ უ ა ლ - და წ უ ხ ვ ი ლ“ [აბულაძე 1973 : 135; 183].

ს.-სინდ. *წუტგხ- „დაფარვა, დამალვა“

აფხაზ. (ბზიფ.) ა-წუტგხ-რს „დაფარვა, შენახვა“, ა-წუტახ-გ „დაფარული, შენახული (რადაცა)“

ქართულ-აფხაზურ იზოგლოსებს აერთიანებთ როგორც ფორმალური, ისე სემანტიკური იგივეობა. აფხაზური ა ამ შემთხვევაში ფუძეენური გ არქიფონემას ასახავს – გ → წ → ა.

დადესტნური და ნახური შესატყვისები ამ ეტაპზე ვერ გამოვლინდა.

ს.-ქართვ. *წუხ- „ჩქარი; სასწრაფო“

ქართ. წუხ-, სულ-წუხ-ი „ჩქარი“, მუ-წუხ-ი „სასწრაფო, საჩქარო; საჭირო“

სვან. წუხ-ი „საჭიროება“, მა-წუხ, მგ-წუხ (ქს.) „საჭიროება“

სულ უფრო მეტ მასალაშია თავჩენილი მა-/მუ- პრეფიქსი, რაც მის საერთოქართველურ წარმოშობას ამტკიცებს. ჩვენს მასალაში წუხ- ძირს სწრაფი / ჩქარი / საჭირო / სასწრაფო მნიშვნელობები უდასტურდება.

ს.-სინდ. *წუხ- „მალე; ჩქარა“

ყაბ. სუხ-გუ „მალე; ჩქარა“

სპირანტიზაცია საკუთრივ ყაბარდოული ინოვაცია ჩანს. ქართველურთან შედარებით ირკვევა, რომ ყაბარდოულში ძირად სუხ- გამოიყოფა, ხოლო -გუ სადერივაციო სუფიქსია.

ს.-ქართვ. *წუხ- : ს.-სინდ. *წუხ- „არქეტიპები ავლენენ როგორც სემანტიკურ, ისე სტრუქტურულ-ფონეტიკურ იგივეობას.

იზოგლოსები სხვა იბ.-კავკ. ენებიდან ვერ გამოვავლინეთ.

ს.-ქართვ. *წუხ- „წოვა“

სვან. წუხ-/წუხ-, ლი-წუხ-ან / ლი-წუხ-ან „წოვა“

სავარაუდოდ, საერთოქართველური ეტიმოლოგიის მქონე ძირი სვანურში შემოგვრჩა. ამას გვაფიქრებინებს სინდური (და არა მხოლოდ) იზოგლოსები.

ს.-სინდ. *წუხ-ტუგ- „წოვა“

ადილ. ჭგსტუ-ნ, ყაბ. სუგტუ-ნ „წოვა“

ლაბიალიზებული ხ ტ კომპლექსის ორგვარი ტრანსფორმაცია დასტურდება ადილურ ენებში – სტ ← *ხ ტ → ტ; აქვე მეორდება კანონზომიერი ს.-ქართვ. უ : ს.-სინდ. გტ ხმოვნური შესატყვისობა.

საერთოქართველური უ გახმოვანების პირველადობას მხარს უჭერს დალესტნური ინფორმაცია, შდრ. ალულ. წუხ-ას „წოვა“.

ს.-ქართვ. *წუხ- „საღამო“

ძვ. ქართ. მ-წუხ-რ-ი „საღამო“, მი-მ-წუხ-რ-ად „საღამოს“, წუხ-ელ-ის „გუშინ საღამოს“

ქართულ ფორმათა ურთიერთშედარების საფუძველზე ადვილად გამოიყოფა წუხ- ძირი, რომელსაც საღამოს მნიშვნელობა ახასიათებს: „წ უ ხ ე ლ ი ს ვთქუთ მცურვალთათვს“; „მ წ უ ხ რ ი იყო ჟამი იგი“ [აბულაძე 1973 : 552; 311].

ს.-სინდ. *წუხუგ „ღამე“

აბაზ. წუგ, აფხაზ. ა-წუ // ა-წუგ „ღამე“

გვაკლია ჩერქეზული მონაცემები, ამიტომაც ძნელია იმ საფუძველზე საუბარი, რომლის გამოც მოხდა ძირეული წუხ თანხმოვნის დელაბიალიზაცია აფხაზურ-აბაზურ ენებში. წესით ს.-ქართვ. უ ხმოვნის შესატყვისად უგ კომპლექსი (დიფთონგი) იყო მოსალოდნელი.

ქართულ-აფხაზურ ძირ-ფუძეთა გენეტიკურ ერთიანობაზე ჯერ კიდევ ს. ჯანაშია მიუთითებდა [ჯანაშია 1959 : 15].

დალესტნური ალომორფებიდან შეიძლება, საინტერესო იყოს ჰინუხურ ჟუჰა „დილა“ ძირთან მიმართების საკითხიც.

ს.-ქართვ. *წყ- „ხედვა, ცოდნა“

ქართ. უ-წყ-ი-ს

ზან. (ლაზ.) ო-წყ-ე-ნ, მეგრ. ო-რწყ-ე-ნ „ხედავს“, ი-რწყ-ებ-ე-ნ „მოსჩანს“

სვან. სყ-ირ-, ხ-ო-მსყ-ირ-ი „ხედავს, უწყის“

დ. მაჭავარიანის მიერ შემოთავაზებული შეპირისპირება გაზიარებულია ქართველურ ენათმეცნიერებაში [იხ. კლიმოვი 1964 : 186-187]. აქვე ვამატებთ სვანურ ალომორფსაც, რომელიც -ირ სუფიქსითაა გართულებული.

განსხვავებით სხვა ავტორებისაგან, ჩვენთვის აქ ზმნურ ფუძეში უ-/ო- პრეფიქსების გამოყოფა პრობლემას არ წარმოადგენს, ვინაიდან მეგრულში ბუნებრივია სხვა პრეფიქსაციაც, შდრ. ი-რწყებ-ენ „მოხანს, იხედება“ [შდრ. კლიმოვი 1964 : 186].

ს.-სინდ. *წჷა- „კითხვა რაღაცის გაგების მიზნით“

უბიხ. ძღა- „კითხვა“

აბაზ. წჷა-რა, აფხაზ. ა-წა-რა ← *ა-წჷა-რა „კითხვა“

ადილურ ენათა მასალა გვაკლია. უბიხურში, ეტყობა, რეგრესული ასიმილაცია განხორციელდა – ძღა- ← *წღა.

ს.-ქართვ. ცოდნა ~ ს.-სინდ. კითხვა სემანტიკებს შორისმიმართებას აწესრიგებს დადესტნური ენების გამოკვლევა / გამოკითხვა შინაარსის არსებობა, შდრ. ხუნძ. წებ-ე, კარატ. წებ- „გამოკვლევა, გამოჩხრევა; კითხვა“.

დადესტნურ ენათა ჩვენება ძვირფასია ჰარმონიულ-დეცესიური წყ კომპლექსის გენეზისის დასადგენად ქართველურ ენებში.

ს.-ქართვ. *წყ- „გახსენება, ხსოვნა“

სვან. შყ-ედ- „გახსენება“, ხ-ე-შყ-ედ-ენ-ი „ახსენდება“, მ-ა-შყ-იდ „მახსოვს“

აქამდე კითხვებს აჩენდა შყ კომპლექსის არსებობა სვანურში, მაგრამ საერთოქართველურ მასალის ანალიზით, საბოლოოდ გაირკვა, რომ ყველგან სვან. შყ კომპლექსი მომდინარეობს ჰყ უწინარესი სახეობისაგან, ანუ ჰ → შ დეგლოტალიზაციის პროცესი სვანურშივე განხორციელდა, შდრ. ქართ. ჰედ- : ზან. ჰკად- : სვან. შკიდ- „ჰედვა“.. ასე რომ, მსგავსი ოპოზიციის შემთხვევებში აღსადგენია ფუძეეწური წყ მკვეთრი კომპლექსი.

ს.-სინდ. *წყა-

ადილ. (შაფს.) სყა-ნ „ცოდნა“

სპეციალურ ლიტერატურაში ხშირია შემთხვევები, როცა შაფსულურ ფორმას ურევენ სხვა ეტიმოლოგიის მქონე ადილ. სყა-, უბიხ. წა- „ცოდნა“ ძირებთან [იხ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 262; კვახაძე 2014 : 380]. ვფიქრობთ, ს.-ქართვ. *წყ- : სინდ. *წყა- ცალკე შესატყვისობაა, რომელიც დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულად უნდა განვიხილოთ [შდრ. ლომთათიძე 1972 : 130-133].

ს.-ქართვ. *წყ- „წყობა; აწყობა“

ქართ. და-წყ-ობ-ა, ა-წყ-ობ-ს, და-ა-წყ-ო

ზან. (მეგრ.) ო-წყ-უნ-ს „აწყობს, რთავს“, მო-წყ-ილ-ი „მოწყობილი“, ე-წყ-უ-ალ-ა „აწყობა“, ლაზ. მო-წყ-ენ-უ „შეწყობა, შეამხანაგება“, ი-წყ-ენ-ან „ეწყობიან“

სვანური ლუ-მ-და-წყ-ოლ-ონ-ხ „დაწყობილან“ აქ ვერ შემოვა, იგი ქართული ფორმაა სვანურში, რაზეც და- ზმნისწინიც მიუთითებს [შდრ. ფერნიხი, სარჯველაძე 2000 : 656].

ს.-სინდ. *წყა- „კეთება, შენება“

ადილ. (შაფს.) სყა-ნ, ჰემგ. სა-ნ, ყაბ. სა-ნ „კეთება, შენება“

სპეციალურ ლიტერატურაში სამართლიანად მიუთითებენ აფხაზურ-აბაზური -ყა-წა-რა „კეთება“ ზმნის განსხვავებულ ეტიმოლოგიაზე [საკითხის ისტორია იხ. შაგიროვი 1977, II : 153]. სამაგიეროდ, ს.-სინდ. *წყა- : ს.-ქართვ. წყ- არქეტიპთა გენეტიკური ერთიანობის მტკიცება საფუძვლიანი ჩანს.

სტრუქტურულ-ფონეტიკურ იგივეობას მხარს უმაგრებს ბუნებრივი სემანტიკური კორელაცია დაწყობა ~ შენება / კეთება.

ს.-ქართვ. *წყ-ათ- „მარილი; მარილიანი“

ქართ. (იმერ.) წყათ-ი „ყველის შესანახი მარილიანი წვენი“, ლეჩხ. ნა-მწყათ-ო „id“

ზან. (მეგრ.) წყეთ-ე // წყით-ე „მლაშე, მარილწყალი“, შდრ. წყეთ-წყარ-ი „მარილწყალი“

ისტორიულ ზანურში ს.-ქართვ. *წყათ- ფუძეს წყით- უნდა მოეცა; სწორედ აქიდან განვითარდა მეგრული ალომორფები ო → გ/ი ფონეტიკური პროცესის გავლით [იხ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 343]. საკითხი ისმის -ათ- სეგმენტის სუფიქსურობის შესახებ ქართველურ ენებში.

ს.-სინდ. *წა- „მარილიანი“

აბაზ. წა, აფხაზ. ა-წა // ბზიფ. ა-წა ← *აწა „მარილიანი“

ჩერქეზულ ენებში ძირი დაკარგული ჩანს, ვინაიდან ასეთად ვერ ჩავთვლით ოსურ ცანხ/ცანხნ „მარილი“ ალომორფებს. მას სხვაგვარი წარმომავლობა ახასიათებს.

ს.-სინდ. *წყა : ს.-ქართვ. *წყ-ათ- ფუძეთა მიმართებისას გასარკვევია თ-ს ზედმეტობა ქართველურში. ამ თვალსაზრისით საყურადღებო პარალელი ჩანს ბაგვალ., ბოთლიხ. წაწყი ← *წან-ყი; იქნებ, ს.-ქართვ. თ ამ ნ-ს შეეფარდებოდეს.

ს.-ქართ. *წყარ- „გაწყრომა, გაბრაზება“

ქართ. წყრ-ომ-ა, გან-წყრ-ა, გან-ვ-წყერ

ზან. (მეგრ.) ჭყორ-ინ-ი / გო-ნჭყორ-უ-ა „გაწყრომა“, გუ-მ-ა-ნჭორ-უ „გამიწყრა, გამიბრაზდა“, ჭყორ-ინჯა „მწყრალა“

სვან. ლი-ჭყარ „ავად გახდომა“, ხ-ა-ჭყარ-ნ-ე „ავად ხდება“

მეგრულ-სვანური (ო : ა) ვოკალიზმის მიხედვით აღდგება ს.-ქართვ. *ა ხმოვანი, *ა → ე საკუთრივ ქართული ინოვაცია ჩანს [ცაგარელი 1880 : 25]. სვანური ზმნაც ამავე რიგისა გვგონია.

ს.-სინდ. *წყ- „დამუქრება“

აბაზ. წყა-, ა-ზე-წყა-რა „დამუქრება“

უცნობია ყ-ს პალატალიზაციის მექანიზმი აბაზურში. შეიძლება, ეს განაპირობა ფუძე-ენაში წ (წყა-) ძირეული ვიწრო ხმოვნის პოვნიერებამ, რომელმაც ასიმილატორული კვალი დატოვა ყ-ს დარბილების სახით – ს.-სინდ. *წყ- → აბაზ. წყა-.

უფრო მნიშვნელოვანია ს.-ქართვ. *წყარ- : ს.-სინდ. *წყა- ზმნურ არქეტიპთა მიმართება, რომელიც ფონეტიკურ-სტრუქტურულ დონეზე კანონზომიერებას ექვემდებარება. ყოველივე ამას მხარს უჭერს შესატყვისობა როგორც სემანტიკურ დონეზე გაწყრომა / გაბრაზება ~ მუქრა (რაც ბუნებრივი ჩანს), ისე ჰარმონიულ-დეცესიურ კომპლექსთა [ს.-ქართ. წყ : ს.-სინდ. წყ] მიხედვით.

ს.-ქართვ. *წყენ- „მოშენება, გამრავლება; თესლი“

ზან. (ლაზ.) ჭკემ-ი „თესლი“, მეგრ. გემენა-წყან-ი „შთამომავალი, მისი თესლიდან გამოსული, მონაშენი, მონაგარი“, დო-წყან-აფ-ა „მოშენება“, „პირველი თესლის გამოყენება გასამრავლებლად; გათესლება“

ლაზურში მხოლოდ სახელური ძირი ფიქსირდება, მეგრული, პირიქით, მხოლოდ ზმნურ ფორმებს აჩვენებს. ვფიქრობთ, აქაც ზანური ტკებ-ი „ტყავი“, / მეგრ. *ტყაბ-არ-უა- ტიპის (ჭკემ-/წყან-) მიმართება გვაქვს, როცა ჭყ → ჭკ და წ → მ ფონეტიკურმა პროცესებმა მეტად ბუნდოვანი გახადეს თვით ლაზურ და მეგრულ ძირებს შორის ეტიმოლოგიური კავშირი, თუმცა თესლის შინაარსი ორივეგან ხელშესახებია.

ს.-სინდ. *წყან- „შთამომავლობა“

ადიდ. (ჭემგ.) ჭან „შთამომავლობა“

საერთოსინდური *წყან- ძირის მოკლე წ გახმოვანებამ შესაძლებელი გახადა ჭყნ → ჭყწ პალატალიზაციის მეორეული პროცესი ადიღურში. შაფსულურ დიალექტში მოსალოდნელი ჭყწნ

ალომორფი არ იძებნება.

ს.-სინდ. ჭყ : ს.-ქართვ. წყ იმაზე მიუთითებს, რომ პალეოკავკასიურში შეიძლება, ჰარმონიულ-დეცესიური კომპლექსები ბუნებრივი. ამის გარკვევა მხოლოდ სათანადო დალესტნური მასალის მოძიების შემდეგ გახდება საბოლოოდ შესაძლებელი.

ს.-ქართვ. *წყნ-/*წყინ- „მოწყენა, დაღლა“

ქართ. მო-წყენ-ა, მო-ი-წყინ-ა, მო-წყინ-არ-ი, მა-წყინ-არ-ი

ზან. (ლაზ.) ჭკინ- (← *ჭყინ-), დი-ჭკინ-დ-ინ-უ „დაიღალა“, დონო-ჭკინ-დ-ერ-ი „დანაღალი“, უ-დო-ჭკინ-დ-ინ-უ „დაუღლელი“

სვანურ-მეგრული ფორმები გვაკლია, თუმცა ქართულ-ლაზური ნიმუშებიც იძლევა წყ- კომპლექსიანი არქექტივის აღდგენის შესაძლებლობას. ცხადია, წყ → ჭყ → ჭკ ლაზურში განხორციელებული ინოვაცია ჩანს [ჩიქობავა 1938 : 414].

ს.-სინდ. *წყა- „გადაღლა“

აფხაზ. ა-წყა-რა „გადაღლა“

საერთოსინდური ფუძე-ენიდან მომდინარე ზმნური ძირი მხოლოდ აფხაზურმა შემოინახა. თუ ქართველურში შესაძლებელია (რადაც დონეზე) -ენ/-ინ სეგმენტთა სუფიქსურობაზე საუბარი, აფხაზურში ა (წყ-ა-) ძირეული ჩანს, რაც გვაფიქრებინებს ს.-სინდ. *წ : ს.-ქართვ. ე ბგერათმესატყვისობის არსებობაზე.

სტრუქტურულ-ფონეტიკურ იგივეობას მხარს უჭერს არქექტიპული შესატყვისობა სემანტიკურ დონეზე დაღლა ~ მოწყენა / დაღლა.

ს.-ქართვ. *წყერ- „მეწყერი“

ქართ. წყერ-, მე-წყერ-ი

სწორი უნდა იყოს ის თვალსაზრისი, რომელიც ამტკიცებს, რომ ზანური წყარ-ი „წყალი“ ქართული წყერ- ძირის შესატყვისია [აბაშია 2014 : 55], რითაც გამოირიცხება ქართ. წყალ-ი → ზან. წყარ-ი სესხების დაშვება. ამით, თითქოს, ყველაფერი თავის ადგილას ჯდება ქართ. წყალ- : ზან. წყუ, ქართ. წყერ- : ზან. წყარ- (სისტემური ცვლილება).

ს.-სინდ. *წყა „ყინული“

აბაზ. ცჰა-შუგ, აფხაზ. ა-წყა ← *ა-წყა „ყინული“

ჩერქეზული შესატყვისების უქონლობის გამო იძულებული ვართ მივმართოთ ნახურ და დალესტნურ მონაცემებს. ნახური ენებიდან ანგარიშგასაწევი ჩანს წ.-თუშ. ენის ჩვენება, სადაც ლამ-წყერ (= მთა + ყინული) „მყინვარი“ ამოსავალ ვითარებას გვიჩვენებს, ვინაიდან ვაინახურ ენებში ძირის ოდინდელი ფარინგალიზაცია დაკარგულია, შდრ. ინგუშ. წერ-კაგა „ყინულის დნობა“, თუმცა ვაინახურში დნობის (ყინულის დნობის) გაგება მნიშვნელოვანი ჩანს ქართ. მე-წყერ-ი : ზან. წყარ-ი „წყალი“ სემანტიკური ოპოზიციის გასააზრებლად.

ხუნძური წერ „ყინული“ კარგად აჩვენებს, ნახურთან ერთად, რ-ს ძირეულობას, რომელიც აფხაზურ-აბაზურში დაიკარგა.

ს.-ქართვ. *წყუ- „წყდომა, დაქცევა; მოსპობა“

ქართ. წყვ-, გა-წყვ-ა, გა-მ-წყვ-არ-ი „მომსპარი“

ზან. (მეგრ.) ნწყუ-ალ-ა „მოსპობა; დაქცევა“, დრ-ნწყვ-ი „ჩაიძირე“, დო-ბ-ნწყვ-ი „დავაქციე, მოვსპე; ჩავძირე“, მუკო-ნწყვ-ილ-ი „ჩამომლილი“

სვან. ნწყ-, ლი-ნწყუ-ე „განადგურება; მოსპობა“, ხ-ა-ნწყუ-ე „სპობს“

ამოსავალი ვითარება სემანტიკის მხრივ მეგრულს დაუცავს, ხოლო ფორმით იმერული დია-

ლექტის ჩვენება ყველაზე არქაული ჩანს. ანლაუტური ნ მეგრულ-სვანურში ფონეტიკური დანართია [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 658].

ს.-სინდ. *წყა- „მოშლა/მოწყვეტა (მუცლის)“

აბაზ. წყა-რა, აფხაზ. ა-წყა-რა „მუცლის მოშლა“

გვაკლია ჩერქეზული მონაცემები. აფხაზურ-აბაზურის მიხედვით აღდგენილი მოშლა/მოწყვეტის ეტიმონური გაგება ახლოს დგას ქართველურ მოწყდომა / დაქცევა / მოსპობა სემანტიკებთან, რასაც ამაგრებს ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. წყ : ს.-სინდ. წყ, ეს უკანასკნელი რეგულარულ-კანონზომიერ ხასიათს ატარებს.

შესაბამისი ალომორფები სხვა იბ.-კავკ. ენებში ვერ გამოვავლინეთ.

ს.-ქართვ. წყონ- „მუხა“

ქართ. {წყონ-}, წყნ-ეთ-ი, წყნ-ორ-ი (ტოპ.)

ზან. (ლაზ.) ჭყონ-ი, მეგრ. ჭყონ-ი „მუხა“

სვან. {ჭყორ-} „მუხა“, ლა-ჭყორ-ა „სამუხე; მუხები“

დიდი ხანია, გარკვეულია ქართულ-ზანური მუხის აღმნიშვნელი სიტყვების ერთიანი წარმომავლობა [ჩიქობავა 1938 : 128]. სვანურ შესატყვისს უნდა ინახავდეს რაჭული ლა-ჭყორ „მუხის სარები“ სიტყვა. ბოლოკიდურა სონორული შეფარდება ქართ.-ზან. წ : სვან. რ აიხსნება წ → რ ისტორიული ფონეტიკური პროცესის მოქმედებით სვანურში [ჩუხუა 2000-2003 : 390].

ს.-სინდ. წყყ- „უთხოვარი“

ადილ. (შაფს.) წყყ „უთხოვარი“

აბაზ. (ტაპანთ.) წყჷ „ფიჭვი“

ჩერქეზულ ენათა დიალექტური მასალის მოხმობით აღადგენენ ფუძეენურ წყყ- ძირს „უთხოვრის (ურთხელი)“ მნიშვნელობით [კვახაძე 2014 : 63]. ჩვენი აზრით, (ტაპანთ.) წყჷ „ფიჭვი“ ფორმასთან ერთად, მისი შესატყვისი ჩანს ს.-ქართვ. წყონ- „მუხა“.

სემანტიკური ოპოზიცია მუხა ~ ურთხელი ბუნებრივად გვესახება. ძირის ცვეთა სინდურში მაქსიმალურია, რომელიმე დეტერმინანტი (ან მისი არსებობის კვალი) აქ საერთოდ არ იკითხება.

ჭ

ს.-ქართვ. ჭალ- „მჭლე“

ძვ. ქართ. მ-ჭლ-ე, და-მ-ჭლ-ებ-ა

ზან. (მეგრ.) ჭკოლ-ა „მჭლე“

ცხადია, ძირად ჭლ- გამოიყოფა ქართულში, რომლის მეგრულ შესატყვისში წარმოდგენილი ო (ჭკოლ-ა) გახმოვანება საერთოქართველურ ა-ზე მიუთითებს. ამიტომაც ვიზიარებთ ჭალ- სახეობის არქეტიპის პოსტულაციას ფუძე-ენაში [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 680].

ს.-სინდ. ჭყა- „თხელი“

აბაზ. (ტაპანთ.) ა-ჭა, აფხაზ. ა-პა „თხელი“

აქ დამოწმებული ჭ : პ შესატყვისობა ნამდვილად წარმოადგენს ლაბიალიზებული ჭყა- არქეტიპის შემდგომ მოდიფიკაციას აფხაზურ-აბაზურ ენებში [ჩირიქა 1996 : 86]. წინარეენური ლ → უ ლაბიალიზაციის წყარო გამხდარა საერთოსინდურში.

სემანტიკური კორელაცია მჭლე ~ თხელი კანონზომიერებას ექვემდებარება.

სინდურ-ქართველურ იზოგლოსებს ეხმიანება დადესტნური ინფორმაციაც, შდრ. თაბას. ჭილ-უჷ, ჭილ-იბ (სამხრ.) „თხელი“.

ს.-ქართვ. *ჭარ- „ერთგვარი დოქი“

ქართ. (გურ.) ჭარ-ილ-ა „დიდი დოქი“, აჭარ. ჭარ-იკ-ა „ჩაფი“

სახელური ჭარ- ძირი დასტურდება მხოლოდ ქართული ენის დასავლურ დიალექტებში, რაც შეიძლება იმაზე მეტყველებს, რომ იგი ზანნიზმია. თუ ეს ვარაუდი სწორია, ცხადია, ფუძეენურ არ-ქეტიპად *წერ- გახდება აღსადგენი.

ს.-სინდ. *ჭა- „თასი“

აზნ. ჭა, აფხაზ. ა-ჭა „თასი“

ჩერქეზულ ენათა სათანადო ძირი დაკარგული ჩანს. აფხაზურ-აზნურ მონაცემების მიხედვით აღდგენილი *ჭა- არქეტიპის ქართველურ იზოგლოსთან შედარებით ირკვევა, რომ ბოლოკიდური სონორი რ (შდრ. ქართვ. *ჭარ-) ჯერ კიდევ საერთოსინდურ ფუძე-ენაში გაუჩინარდა, თანაც უკვალოდ.

სხვა იბ.-კავკ. ენებში სათანადო იზოგლოსები ვერ გამოვავლინეთ.

ს.-ქართვ. *ჭარ- „ჭრა; ჩეხვა; თიბვა“

ძვ. ქართ. და-ჭერ „დაჭერი“, და-ვ-ჭერ „დავჭერი“, ვ-ჭრ-ი, ნა-ჭერ-ი

ზან. (ლაზ.) ო-ჭკორ-უ // ო-ჭკირ-უ „ჭრა; თიბვა“, მეგრ. ჭკერ- // ჭკირ- „ჭრა“, ნო-ჭკერ-ი ← *ნო-ჭკორ-ი „ნაჭერი“

სვანური რ- „ჭრა“ (ლა-რ-ე „სათიბი“) სხვა ძირი ჩანს, აქ ვერ შემოვა [შდრ. კლიმოვი 1964 : 256; კლიმოვი 1998 : 321]. მეორეულია ა → ე ქართულში, ისევე როგორც ო → ე//ი და ო → ე ზანურში [გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965 : 160-169].

ს.-სინდ. *ჭა- „ჭრა; გაპობა“

აფხაზ. ა-ჭა-რს „ჭრა, კვეთა; პობა“

ზმნური ძირი მხოლოდ აფხაზურშია პოვნიერი, თანაც ჭ → ჭ ველარიზაციის მეორეული პროცესით გამორჩეული. ბერათმესატყვისობა ს.-ქართვ. ჭ : ს.-სინდ. ჭ ხასიათდება დაბალსიბშირული მაჩვენებლით. რ → Ø ფუძესინდურშიც მოქმედებდა, სწორედ ამიტომ, ამ მაგალითშიც რეფლექსაცია ნულოვანია.

ს.-სინდ. *ჭა- : ს.-ქართვ. *ჭარ- შეპირისპირებას ახასიათებს სტრუქტურულ-ფონეტიკური და სემანტიკური იგივეობა.

სიტყვა-ფორმათა ამავე რიგში ერთიანდება დიდ. რე-ჭა // რე-ჭუ-ა, ხვარშ. ლი-ჭა, ჰინუხ. რო-წა, ბეჟიტ. დუ-ჭ-ალ, ჰუნზიბ. ბუ-ჭა „ჭრა“ ალომორფები.

ს.-ქართვ. *ჭერქ- „ჩერქვა; ჭეჭვა“

ქართ. ჩერქ-ვ-ა, ჭეჭ-ვ-ა

ზან. (მეგრ.) ჩქანჩქ-უ-ა „ჩერქვა“, ჭკაჭკ-უ-ა „წვრილად ჭრა“, ლაზ. ო-ჭკაჭკ-უ „წვრილად ჭრა“

ქართველურ ძირთა შეპირისპირებით ირკვევა, რომ ორ ასიმილირებულ ალომორფთან გვაქვს საქმე. პირველ შემთხვევაში რეგრესული (*ჭერქ- → ჩერქ-), ხოლო მეორეგან პროგრესული (*ჭეჭ- → ჭეჭ-) ასიმილაცია განცხორციელდა [ფუძეთა ისტორია იხ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 562-563; 683-684].

ს.-სინდ. *ჭჩა- „მტვრევა, მსხვრევა“

უბიხ. ჭჩა- „მტვრევა, მსხვრევა“

აზნ. ჭჭა-რა, აფხაზ. ა-ჭჭა-რა „სკდომა, ბზარვა“

ადილური შესატყვისები ვერ გამოვავლინეთ [შდრ. შაგიროვი 1977, II : 127]. უბიხური და აფხაზურ-აზნური ალომორფების ურთიერთკავშირი ეჭვს არ იწვევს [აბდოკოვი 1973 : 74]. საყურადღებო ჩანს ჩ → ჭ ერთგვაროვანი (ასიმილაციური) პროცესები ქართველურსა და აფხაზურ-აზნ-

ზურში, რაც გარკვეულწილად ძირის ბგერწერითა აგებულებამაც განსაზღვრა. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ბგერათშესატყვისობა ს.-სინდ. *ჩ : ს.-ქართვ. ჩქ, რომელიც სისტემურ ხასიათს ატარებს და ჩ → ჩქ პრეისტორიულ გარდაქმნაზე მიუთითებს საერთოქართველურში.

ს.-ქართვ. *ჭუალ- „ლურსმანი, წკირი, სოლი“

ქართ. ჭუალ-, მა-ნ-ჭუალ-ი // მა-ნ-ჭვალ-ი „ჩასაყარი ლურსმანი“ (საბა), სა-მ-ს-ჭუალ-ი „ლურსმანი“, მ-ს-ჭვალ- // მ-შ-ჭვალ- // მ-რ-ჭვალ- // მ-ჭვალ-ვ-ა „ლურსმანით დაკვრა“, შდრ. მ-ჭვალ-ი // ჭვალ-ი „მჩხვლეტავი ტკივილი“

ზან. (ლაზ.) მ-წკულ-ი → // მ-წვილ-ი „წვეტიანი, წაწვეტებული; სოლი“

გვაკლია მეგრულ-სვანური ალომორფები. თუ გავითვალისწინებთ თ. გამყრელიძის კანონის მოქმედებას, ადვილად აიხსნება ქართ. ჭუ : ზან. წკუ ფონემური მიმართება, ანუ ზანურში ივარაუდება *წკუოლ- ← *ჭკუოლ- არქაულ ფორმათა არსებობა [კარტოზია 2005 : 194-194].

ს.-სინდ. *ჭუჭ- „სარჭობი; შამფური; შუბი“

აბაზ. ჭუჭ „სარჭობი; შუბი“, აფხაზ. ა-ჭუჭ „შამფური“

ჩერქეზული შესატყვისები ჯერაც არ არის გამოვლენილი [შდრ. აბდოკოვი 1983 : 133].

თუ გავითვალისწინებთ დიდოურ ენათა რიწუ „სოლი“ ფორმას, რომელსაც თაბას. წურ შეესატყვისება, ცხადი ხდება ამოსავალი ფონემის (არქიფონემის) რაგვარობა; იგი პალეოკავკასიური სისინ-შიშინა *წ უნდა ყოფილიყო. ამგვარ მსჯელობას მეტ არგუმენტაციას ჰმატებს ნახურ ენათა ჭუჭ // ჭუ // ჭუდ „შამფური, ხიშტი; საქსოვი ჩხირი“ ალომორფები, ვინაიდან ცნობილია, რომ ს.-ქართვ. ჭ : ს.-ნახ. ჭ თითქმის ყოველთვის წ ფონემისგან მომდინარეობს [ჩუხუა 2008 : 469].

ს.-ქართვ. *ჭიკ- „ჭრა; ჩეხა (მსუბუქად)“

ქართ. ჭიკ-ნ-ა გურ. „ჭრა, უხეიროდ ჩეხვა ბლაგვი დანით“, იმერ. „მსუბუქად ჩეხვა, ოდნავ კვალის დამჩნევა“

ზმნური ჭიკ- ძირი მხოლოდ დასავლურ (გურ., იმერ.) დიალექტებში დასტურდება, რაც, შეიძლება, იმის დასტური იყოს, რომ აქ წარმოდგენილი შიშინა გახმოვანების ფორმა ზანურიდან დამკვიდრდა. ამავედროულად ჭიკ- (ჭიკ-ონ-) ზანურ დიალექტებში ვერ მოვიძიეთ.

ს.-სინდ. *წკუჭა- „ჭრა; კაწვრა“

აბაზ. (აშხარ.) წკუჭა-რა „კაწვრა, ფხაჭნა“, ტაპანთ. წკუჭა-რა „ჭრა; ლესვა; ფხაჭნა“, აფხაზ. ა-წკუჭა-რა „ჭრა; დაჭრა; კაწვრა“

სინდურ მონაცემებთან შედარებით, ადვილად ირკვევა, რომ ძირის აუსლაუტი საერთოქართველურში გამარტივდა. გარდა ამისა, თუ ჭიკ- ზანიზმი არ არის, სავარაუდო ჩანს წინარექართველური *წ სისინ-შიშინა სიბილანტის გაშიშინება საერთოქართველურ ფუძე-ენაში – წ → ჭ.

ს.-ქართვ. *ჭინჭალ- „ღობემძვრალა“

ქართ. (გურ.) ჭინჭალ-ა „ღობემძვრალა, პატარა ჩიტი“

საერთოქართველური ფუძე-ენიდან მომდინარე ალომორფი მხოლოდ გურულ დიალექტში ჩანს შემორჩენილი. აქ გამოწვევებული ჭინჭალ- ძირის ჭინჭარ- ფუძესთან შეფარდება არ არის გამართლებული [ლომთათიძე 1974 : 97], ვინაიდან საკითხი დგება რ/ლ მონაცვლეობის შესახებ, რაც ქართულის ნიადაგზე ძნელად აიხსნება.

ს.-სინდ. *ჭენჭარ- „ტოროლა (ფრინ.)“

უბიხ. ჭენჭად „ტოროლა“

სინდურ არქეტიპზე მხოლოდ უბიხურის მიხედვით გვიწევს საუბარი. უბიხური ლ სიტყვის აუსლაუტში ნიშნავს ამოსავალ რ-ს ფუძე-ენაში, ვინაიდან რ → ლ უბიხურში ბუნებრივია, შდრ. ყაბ. გუარან : უბიხ. გუარდჷ „შემოღობილი ადგილი“ (ხუნძური გორენ „id“ ...).

ქართულ-უბიხურ სახელებზე მსჯელობისას ნებისმიერი მიმართულებით სიტყვათა სესხების დაშვება არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად [შდრ. ბუკია 2016 : 62].

ს.-ქართვ. *ჭირხლ- „ჭირხლი“

ძვ. ქართ. ჭირხლ-ი „ყინვა ხეზედ შეყინებული“, ახ. ქართ. ჭირხლ-ი „შეყინული ორთქლი“

სიტყვა განმარტოებით დგას ქართულში, მაგრამ, სავარაუდოდ, საერთოქართველური წარმომავლობისა ჩანს. ამას გვაფიქრებინებს მისი აფხაზური შესატყვისი, რომელიც სინდურში ასევე მხოლოდ ერთ ენობრივ ქვესისტემას შემორჩა.

ს.-სინდ. *ჭგხ- „ცივი ამინდი“

აფხაზ. ა-ჭგხ- „ცივი ამინდი“

ქართულ-აფხაზურ იზოგლოსთა შედარება არკვევს, რომ ფუძის ცვთა აფხაზურში საგრძნობია; არ ჩანს ქართული რ და ლ სონორების შესატყვისები, ალბათ, დაიკარგა. სარკვევია, თუ რომელ ეტაპზე მოხდა რ, ლ სონორთა გაუჩინარება. საკითხი დამატებით შესწავლას საჭიროებს.

ს.-ქართვ. *ჭრეთ- „ჭრა“

ქართ. ჭრეთ-ა „ტყავთ მოჭვრეთა“ (საბა), სა-ჭრეთ-ელ-ი „ხის ამოსაჭრელი სადურგლო იარაღი“

განცალკევებით დგას ქართულში ჭრეთ- ზმნური ძირი, რომელსაც სარწმუნო გარე ენობრივი იზოგლოსები მოეპოვება.

ს.-სინდ. *პჭათა- „ჭრა, დასერვა“

ადილ. უგ-პჭათა-ნ, ყაბ. უგ-პსათა-ნ „ჭრა, დასერვა“

ძირეულ მასალად ადვილად გამონაწევრდება ს.-სინდ. *პჭათა-, რომელსაც რეფლექსაცია მხოლოდ ადილურ ენა-კილოეში გააჩნია. უბიხური ჳჭპ- „ჭრა“ სხვა წარმომავლობის ძირი გვგონია [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 629].

სხვა იბ.-კავკ. ენებში მსგავსი სტრუქტურის სათანადო ძირი ჩანს არჩიბ. ჭეთ „სატეხი“.

ს.-ქართვ. *ჭყ(უ)ებ- „ჭყლეტა, წურვა“

ქართ. ჭყებ-ა, სა-ნა-ჭყებ-ო // სა-ნა-ჭყუებ-ო (საბა), ნა-ჭყუებ-ი „ყველის წვენი“ (საბა)

ზან. ო-ჭყებ-უ / ჭყებ-უ-ა „ჭყლეტა“

სვან. ლი-ჭყებ-ე „ჭყლეტა“

ვფიქრობთ, ქართ. ჭყლ-ეტ-ა / ჭყლ-ემ-ა : ზან. (მეგრ.) ჭყილ-იტ- / ჭყილ-ატ- ალომორფები სხვა ძირისაა და ქართ. წყალ- ძირის ბგერწერით ვარიანტებს შეიძლება ასახავდეს [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 689].

ს.-სინდ. *ყუაჭ- „ჭყლეტა, სრესა“

უბიხ. ყუაჭ-ა „ჭყლეტა, სრესა“

აბაზ. ყუჭ-რა, აფხაზ. ა-ყუჭ-რა „ჭყლეტა, სრესა, ზელა“

ბგერათშესატყვისობის თვალსაზრისით, პრობლემებს ვერ ვხედავთ, თუმცა სინდური ფუძეები აშკარად შებრუნებული (მეტათეზირებული) წყობისაა.

ქართველურისებური თანმიმდევრობა დაცული ჩანს დადესტნურ ენებშიც (ლეზგ. ჩუყუბე-, თაბას. ჭუყყ- „მოჭერა, სრესა, ჭყლეტა“), სადაც სინდური უს შესატყვისი ლეზგიურსდა შემორჩა; ქართველური პ-ს საპირისპიროდ, შდრ. ასევე ს.-ნახ. *ჰაჭყყ- „ჭყლეტა, დაწურვა“.

ს.-ქართვ. **ბ**- „ცოდნა; ხედვა“

ქართ. **ბ**-ილ-ვ-ა, ვ-ა-**ბ**-ელ

სვან. **ბ**-ალ-, მა-**ბ**-ალ „ცოდნა“

ქართველურ ენებში **ბ**- ძირი *ხედვა / ხილვა / ცოდნა* შინაარსით არის ცნობილი [ცერცვაძე 1956 : 339-343]. საკითხი დაისმის მეგრულ **ბ**-ალ-ა „გაჩენა“ ძირთან ურთიერთობის შესახებაც.

ს.-სინდ. ***ბ**-ა- „გაჩენა“

აბაზ. **ბ**-რა, აფხაზ. ა-**ბ**-რა „გაჩენა“

საერთოსინდური არქეტიპი აღდგება აფხაზურ-აბაზური ინფორმაციის საფუძველზე მხოლოდ.

ცოდნა / ხედვა ~ გაჩენა სემანტიკური კორელაცია მისაღები ჩანს. ამგვარ შესაძლებლობას კარგად აჩვენებს ქართ. თეჭ- „თევა“ : სვან. თაჭ- „გაჩენა“ ზმნათა ერთიანი წარმომავლობა [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 231].

ყაზარდოულ ლ-**ბ**ჴ-ნ „მშობიარობა“ ზმნას სხვა ეტიმოლოგია აქვს (იხ. აქვე) და აქ ვერ შემოვა [შდრ. ბუკია 2016 : 138].

სინდურ-ქართველურ არქეტიპთა შესატყვისი ჩანს ს.-ნახ. ***ბ**-ა- „ცოდნა“ ზმნაშიც. ასევე უდავო ნათესაობას ავლენენ დაღესტნური *შობის* აღმნიშვნელი შემდეგი ზმნები, შდრ. ბოთლ. ნა-**ბ**-ი, ლოდ. ბ-ა-**ბ**-ი^ნ, ჭამალ. ბ-ა-**ბ**ნ-ა... აღულ. **ბ**-ას / რუ-**ბ**-ას, წახ. ი-**ბ**-გზ.

ს.-ქართვ. ***ბ**-ა- „ქსოვილისებური მაერთებელი“

ქართ. **ბ**-ა-ო (საბა)

სხვა ქართველურ ქვესისტემებში სათანადო ძირებს ვერ ვპოულობთ, თუმცა, ამის მიუხედავად, **ბ**-ა-ო ფუძეში გამოყოფილი ***ბ**-ა- საერთოქართველური წარმომავლობისად მიიჩნევა. მას მეტად სარწმუნო იბ.-კავკ. შესატყვისები გააჩნია. სიტყვის მნიშვნელობის დასაზუსტებლად რელევანტური ჩანს სამედიცინო თუ ბიოლოგიური ტერმინოლოგია თანამედროვე ქართულში, სადაც ხელშესახები ხდება *ქსოვილის* შინაარსი.

ს.-სინდ. ***ბ**-ა- „ქსოვა, წვნა“

ადილ. **ბ**-ან, ყაბ. **ბ**-ან „ქსოვა“

უბიხ. **ბ**-ა-, ა-ს-**ბ**-ან „ქსოვა“

აბაზ. ჰა-რა, აფხაზ. ა-ჰა-რან „ქსოვა, წვნა“

სინდურ ენებს ფუძის აუსლაუტი გაუფორმებელი აქვთ. ეს მოვლენა ფუძეენური ჩანს. სავარაუდოდ, იგივე სურათი იკვეთება ჰინუხურ ენაში, სადაც **ბე** „მანტო, მოსასხამი“ სიტყვაში ბოლოკიდური სონორი ქართველურით არ ფიქსირდება, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით წახურ **ბანა** „საქსოვი დაზგა“ ფორმაზე.

სავარაუდოდ, აქვე შემოვა ჩეჩნ. **ხალ** „მაფის ნაგლეჯი“ სიტყვაც [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლავი 1994 : 645-646].

ს.-ქართვ. ***ხალ**- „ჭოკი; გრძელი ჯოხი“

ქართ. **ხალ**-ი, **ხალ**-ა „ჭოკი, გრძელი ჯოხი“

ზან. {**ხოლ**-ი} „ნიგვზის საბერტყი ჯოხი“

გვაკლია სვანური შესატყვისი [შდრ. ჩუხუა 2000-2003 : 399]. ზანურ დიალექტებში მოსალოდნელი **ხოლ**-ი სახეობაც მხოლოდ რაჭულ დიალექტშია პოვნირი ნასესხობის სახით, შდრ. ქართ. ა : ზან. **ო**.

ს.-სინდ. ***ხ**-ა- „ტოტებშეკვეცილი ჭიგო“

აბაზ. ხა, აფხაზ. ა-ხა „ტოტემშეკვეცილი ჭიგო“

აფხაზურში ასევე პოვნიერია ა-ხ-რა „ხე“ სიტყვა, მაგრამ მაინც ვერიდებით მის სიტყვა-ფორმათა ამ რიგში შემოტანას. შეიძლება, იგი სხვაგვარი ეტიმოლოგიის ძირი იყოს.

ს.-სინდ. *ხა- : ს.-ქართვ. *ხალ- არქეტიპთა შედარებით ირკვევა, რომ ბოლოკიდური ლ სონორი აქაც ჯერ კიდევ ფუძესინდური ერთიანობის პერიოდში უკვალოდ გაქრა.

ს.-ქართვ. *ხალ- „სახლობა“

ქართ. ხალ-, სიტყვაში *სა-ხალ-ი → სა-ხლ-ი

ზან. (ლაზ.) ო-ხორ-უ-ა „საცხოვრისი, დასახლება“, ო-ხორ-ამ-ტ-უ „სახლობდა“, მეგრ. ხორ-უ-ა „სახლობა“, ი-ხორ-უ(ნ) „სახლდება“, მა-ხორ-ობ-ა „სახლეული“, ო-ხორ-უ-ან-ს „ასახლებს“

ქართულში ხალ- სემენტის ძირად გამოყოფა მეტ დასაბუთებას საჭიროებს; თუმცა ლაზურ-მეგრულში ხორ- ზმნური ძირის დამოუკიდებლად არსებობა სავსებით რეალური ჩანს.

ს.-სინდ. *ხარ- „სახლობა, დარჩენა“

აბაზ. ნხა-რა „რჩენა“, აფხაზ. ა-ნხარ-რა // ა-ნხარ-ა „სახლობა, დარჩენა; რჩენა“

ჩერქეზული მონაცემები ვერ გამოვლინდა. აფხაზურ-აბაზური ფორმებიდან აფხაზური ნხარ- (პ. ჭარაია) უფრო სრული ჩანს, თუმცა აქ -ნ-ც ცალკე აფიქსად გამოიყოფა, ისევე, როგორც არაერთ სხვა ზმნაში.

ს.-ქართვ. *ხალ- : ს.-სინდ. *ხარ- კანონზომიერი ჩანს, როგორც სტრუქტურული, ისე ფონემური შედგენილობის თვალსაზრისით. ლ → რ → // Ø საკუთრივ სინდურ ინოვაციად გვესახება.

აფხაზურ-მეგრულ იზოგლოსზე ადრევე მიუთითებდნენ [ჭარაია 1912 : 30].

ს.-ქართვ. *ხამ- „მსხვილი ძაფი, მისი სამოსელი“

ქართ. (ქიზიყ.) ხამ-ი „ბამბის ქსოვილი მსხვილი ძაფისაგან“; ხამ-ი „სხვლი სამოსელი“ (საბა) მსხვილი ძაფის / ქსოვილის აღმნიშვნელი ხამ- სახელი იზოლირებულად დგას ქართულში, თუმცა წონადი (სანდო) პარალელები ეძებნება იბ.-კავკ. ენათა ოჯახის სხვადასხვა ჯგუფებში.

ს.-სინდ. *ხუა- „ძაფი; ძაფის ნაჭერი“

აბაზ. ხა-ც, აფხაზ. ა-ხა „ძაფი, ძაფის ნაჭერი“

რატომღაც აფხაზურ-აბაზურ ენებში უბიხურისთვის დამახასიათებელი დელაბიალიზებული შესატყვისი დამკვიდრდა. ყველა შემთხვევაში სავარაუდოა *ხუა → ხა გარდაქმნა. ამაზე მიგვითითებს როგორც დაღესტნური (ლავ. ხუმჷ ბაწარი“), ისე ნახური შებრუნებული წყობის ძირი, შდრ. ჩეჩნ. მდუხა „სასარაჯო ძაფი“.

ს.-ქართვ. *ხამ-ა „ღორი“

სვან. ხამ, ხამ (ლშხ.) „ღორი“, ხამ-რა, ხამრ-რა (ლშხ.), ხამო-რა (ლნტ.) „ღორეული, ღორის ხორცი“

სხვა ქართველურ ენა-კილოებში ეს ძირი (ხამ-) ღორის მნიშვნელობით არ ჩანს. ცხადია, უძველესი საერთოქართველური არქეტიპის გაგრძელებაა სვანური ალომორფები, რომელსაც უტყუარი იზოგლოსები ეძებნება იბ.-კავკ. ენებში.

ს.-სინდ. *ჟუა „ღორი“

ადილ. ჟუა, ყაბ. ჟუა „ღორი“

უბიხ. ხუა „ღორი“

აბაზ. ჰუა, აფხაზ. ა-ჰუა „ღორი“

სპირანტიზაციის პროცესი, რომელიც უბიხურში, შაფსულურსა (შაფს. ხუა) და აფხაზურ-აბაზურში შედარებით გვიანდელი მოვლენა ჩანს, საერთოქართველურში იგი ასევე განხორციელდა,

ამიტომაც გვაქვს სვანურში **ხჰმ/ხამ** და არა **ჯჰმ/ჯამ**. სვანური ხომ დღემდე უცვლელად ინახავს საერთოქართველური **ჯ** ფარინგალის შესატყვისებს.

აქვე შემოდის ნახური, წ.-თუშ. **ჯა** „ლორი“ სიტყვაც. გაუგებარია ვაინახურ **ჰა-ჰა** ალომორფში **ჰა-** პრეფიქსის ფუნქცია. მის ადექვატურ ძირად დადესტნურში ახვავ. **ახჰა-ლ**“ი „გარეული ტახი“ მიიჩნევა [აბდოკოვი 1983 : 118].

სვანურ-ჩერქეზულ კავშირზე პირველად ს. ჯანაშიამ მიუთითა [ჯანაშია 1959, III : 110].

ს.-ქართვ. ***ხან- / *ხენ-** „კეთება, ქმნა“

ზან. (ლაზ.) ო-**ხენ**-უ „კეთება“, ო-**ხენ**-აფ-უ „გაკეთებინება“, ო-**ხენ**-ონ-ი „გასაკეთებელი“

ზმნური **ხენ-** ძირი განმარტოებით დგას ლაზურში, მაგრამ, გამომდინარე იქიდან, რომ მას გააჩნია მეტად სანდო შესატყვისები სინდურ და დადესტნურ ენებში, მისი ფუძეენური წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს. **ხვენ-** ალომორფი გულისხმობს **ხენ-** → **ხვენ-** მეორეული ლაბიალიზაციის ფონეტიკურ პროცესს, რაც დამახასიათებელი მოვლენა ჩანს ლაზური ფონეტიკისთვის, შდრ. ლაზ. მგერ-ი → // მგვერ-ი „მგელი“...

ს.-სინდ. ***ნხჰ-** „კეთება; შესრულება“

ადიდ. -**ხჰ-**, სიტყვაში **ღჰ-ხჰ-ნ** „კეთება, შესრულება“

აბაზ. **ნხა-რა**, აფხაზ. ა-**ნხა-რა** „მეურნეობა, საქმიანობა“, შდრ. აფხაზ. ა-**ნხა-ჰტჰ** „გლეხი“

ს.-ქართვ. ***ხან- / *ხენ-** დუბლეტურ არქექტიპთა შედარება ს.-სინდ. ***ნხჰ-** ძირთან შებრუნებულ წყობას წარმოაჩენს. აქ ქართველურის ვითარება ჩანს მეორეული, ვინაიდან დადესტნური შესატყვისები სინდურს მიჰყვება, შდრ. ჭამალ. **მიხი**, ბოთლიხ., ლოდ. **მუხუ** „სამუშაო“, пабота [აბდოკოვი 1983 : 177].

ს.-ქართვ. ***ხარ-ე** „ხარო; ნალია“

ქართ. **ხარ**-ო „მარცვლეულის შესანახი“; „ნალია“; „პურის ორმო“

ზან. (მგერ.) **ხულ**-ა „ბეღელი“, მე-**ხულ**-ე (რ. ერისთავი), ლაზ. **ხულ**-ა „ხვრელი“, **ხულ**-ა „ხულო“ (ტოპ.)

ფუძის აუსლაუტში, ფორმოზრივი მიმართების თვალსაზრისით, **ხარო**-სა და **ხულა**-ს შორის ისეთივე სურათი იკვეთება, როგორც გვქონდა ქართ. რაბო : ზან. (ლაზ.) რუბა ნიმუშებში. ვფიქრობთ, იმავე ძირს შეიცავს ლაზური ტოპონიმი **ხულა / ხულო**.

ს.-სინდ. ***ხარ-** „გალია“

ადიდ. (ჭემგ.) **ხარ** „გალია“

შინაარსის (სემანტიკის) მიხედვით **ხარო** ~ **გალია** ერთი სემანტიკური ველის წევრებია. სინდურ-ქართველურ მნიშვნელობებთან ახლოს დგას ნახურ ენათა მონაცემები, შდრ. ინგუშ. **ხარა** „ფარდული, მიწაში ამოთხრილი“, ჩეჩნ. **ხარა** „თავდია კასრი მარცვლეულისათვის“.

ს.-ქართვ. ***ხას-** „თამამი საუბარი“

ქართ. **ხას**-ობ-ა, ვ-ჰ-**ხას**-ობ „თამამად ვეუბნები“ (ჩუბინაშვილი)

ზმნური **ხას-** ძირი ცნობილია რუსთაველის ეპოქიდან, დამოწმებულია „ვეფხისტყაოსანში“. იგი ვერ გამოვლინდა სხვა ქართველურ ენა-კილოებში, მაგრამ, სავარაუდოდ, საერთოქართველური ეტიმოლოგია აქვს.

ს.-სინდ. ***ხას-ჰ** „საფიხვნო“

ადიდ. **ხასჰ**, ყაბ. **ხასჰ** „საფიხვნო; ხასე“

ქართული **ხას-** ზმნის საფუძველზე შესაძლებელი ხდება ადილური **ხას-** ფორმის თავდაპირველი მნიშვნელობის დადგენა. თუ დაკავშირება სწორია, იგი ამოსავალში *სასაუბროს* უდრიდა, რაც არ არის მოულოდნელი, ადილე-ხასას ფუნქციიდან გამომდინარე.

ოსური ნი-ხას დერივატში იკითხება ჩერქეზული ხას- ძირის კვალი. თავის მხრივ, ოსური ნიხას- მოგვიანებით თავად ხდება გამსესხებელი წყარო ქართული (რაჭული) ნახშ-ობ-ა „ლაპარაკი, ბაასი“ ზმნისათვის.

ს.-ქართვ. *ხაქოლ- „წართხალი“

ქართ. (ფშ.) ხაქოლ-ი „წართხალი“ [Rolygonum alpinum]

მხოლოდ ფშაურ დიალექტში შემორჩენილი ხაქოლ- სახელი საერთოქართველური ფუძე-ენიდან მომდინარედ მიიჩნევა. შეიძლება, მისი არქაული სახეობა *ჯაქოლ- ყოფილიყო, შდრ. ნახ. ჰაქ- „ქლიავი“ [ჩუხუა 2008 : 640].

ს.-სინდ. *ხარქუჷ- ერთგვარი მწვანელი“

ადიდ. (შაფს.) ხარქუჷ „ერთგვარი მწვანელი“

როგორც სემანტიკის, ისე სტრუქტურის მიხედვით სინდური არქეტიპი უფრო ქართველურ-თან ავლენს სიახლოვეს. ვინაიდან დადესტნურ ენებში (ისევე, როგორც ნახურში) ქლიავი / ალუჩას შინაარსი ჩანს ძირითადი, შდრ. ხუნძ. ქოქან // ქოქამ, ანდ. ქოქომ, ლაკ. ქუქუჷჷჷჷ, დარგ. ქქქჷჷჷ „ალუჩა; ქლიავი“. თავკიდური ჰ. ნახურ ენებში უძველესი ჩანს, სწორედ აქიდან განვითარდა ხ სინდურ-ქართველურში – ჰ → ხ და ქ კიდევ ასიმილაციით დადესტნურ ენებში – ჰ → ქ.

სინდური ფუძის აუსლაუტში დაკარგულია (უკვალოდ) ქართველური ლ სონორის შესატყვისი.

ს.-ქართვ. *ხაშ-არ- „სარი“

ქართ. ხაშარ-ი „სარი“, ლეჩხ. „ლობიოს სარი“

ზან. (ლაზ.) ხოშკა „სარი, ბარჯი“

როგორც ეტყობა, ბოლოკიდური რ ლაზურში ადრევე დაიკარგა. სხვა მხრივ, ხაშ- / ხოშკ- მიმართება უნაკლო ჩანს.

ს.-სინდ. *ჯაშ- „ნიჩაბი; ციცხვი“

ყაბ. ჰანშ // ჰაშ „ციცხვი; ჩამჩა, კოვზი“

უბიხ. ხაშ „ნიჩაბი“

თავკიდურ პოზიციამი გამოვლენილი ჰ. ყაბარდოულში და ა-ს ფარინგალიზაცია უბიხურში აშკარად მიუთითებს ჯ პალატალიზებული ფარინგალური ფშვინვიერი აფრიკატის აღდგენის აუცილებლობაზე ფუძე-ენაში. ამგვარი კვალიფიკაცია სინდურისთვის ავტომატურად სვამს საკითხს ჯ → ხ სპირანტიზაციის შესაძლებლობაზე ჯერ კიდევ საერთოქართველურში, ანუ წ.-ქართვ. არქეტიპად *ჯაშ-არ- უნდა ვივარაუდოთ, რასაც ეხმიანება ყ ფარინგალური აფრიკატი დადესტნურ ენებში, შდრ. თაბას. ყურშ „ფიწალი; ორთითი“.

ს.-ქართვ. *ხაც- „კბილი“

ზან. (მეგრ.) ხოჩ-ი „გრძელი წინა კბილი“

ზანური ხოჩ-ის „შესატყვისად ქართულში ხაც უნდა გვექონოდა, რომელიც არ ჩანს, თუმცა ფუძე-ენაში მისი არსებობა დასაშვებია, ვინაიდან მყარი პარალელები იძებნება მონათესავე იბ.-კავკ. ენებში.

ს.-სინდ. *ხაც- „ისარი“

აბაზ. ხრი-ხაც „შვილდ-ისარი“, აშხარ. ხაც „ისარი“, აფხაზ. ა-ხაც „ისარი“

ჩერქეზულ ენებში სათანადო ძირი დაკარგული უნდა იყოს, აქაც ხაც ტიპის ძირი უნდა გვექონოდა, ვინაიდან, გარდა ქართველურისა, ამას მხარს უჭერს დადესტნური მონაცემიც, შდრ. ხინალ. ხაც-ალ / ჯაც-ოლ „კბილანა, ფოცხი“.

ს.-ქართვ. *ხაწ- „კაუჭი“

ზან. (მეგრ.) ხოწ-ი „კაუჭი“

სახელური ფუძე განმარტობით დგას მეგრულში, მაგრამ, სავარაუდოდ, საერთოქართველური რეფლექსი ჩანს. ქართული ენის რაჭულ დიალექტში პოვნიერი ხოწ-ი „კაუჭი“ წარმოშობით ზანიზმი უნდა იყოს.

ს.-სინდ. *ხაწ „კაუჭი“

აფხაზ. ად-ხაწ, ბზიფ. ად-ხაწ „კაუჭი“

სინდურ ენათაგან მხოლოდ აფხაზურის ჩვენებას ვეყრდნობით, სადაც ძირად -ხაწ // -ხაწ ალომორფები გამონაწევრდება. ად- პრეფიქსი კი საკუთრივ აფხაზური მონაცემი ჩანს.

სხვა იბ.-კავკ. ენებში შესატყვისი ძირ-ფუძეები ვერ გამოვავლინეთ.

ს.-ქართვ. *ხაჭო „ხაჭო“

ქართ. ხაჭო, ხაჭ-ა-პურ-ი, რაჭ. ხაჭვა „ხაჭო“

სახელი კარგად არის ცნობილი ძველქართული წერილობითი ძეგლებიდან: „განსრულებული იგი... მსგავსი ხ ა ქ ო ა ს ა ა“; „წუელდა მათგან სძესა და გამოსწურვიდა ხ ა ქ ო ს ა“ [აბულაძე 1973 : 561]. მიუხედავად ამისა, სხვა ქართველურ ენებში მოსალოდნელი ხუჭკ- / ხაჭკუ- სახეობის ალომორფები დღემდე არ არის გამოვლენილი.

ს.-სინდ. *ხარჭუჷ „მაწონი“

აბაზ. (ტაპანთ.) ხერჭუჷ, აფხაზ. ა-ხერჭუჷ, ბზიფ. ა-ხერწუჷ „მაწონი“

სპეციალურ ლიტერატურაში წარმოდგენილია ცდა აფხაზურ-აბაზური ფორმების შემდგომი სეგმენტაციისა [ჩირიქია 1996 : 101], რაც არ უნდა იყოს მართებული. პირიქით, აფხაზურ-აბაზური ალომორფები, ქართულთან ერთად, პალეოკავკასიურ წარმომავლობას ამჟღავნებენ.

სავარაუდოა, რომ ს.-ქართვ. *ხაჭო : ს.-სინდ. *ხარჭუჷ არქექტიპების კანონზომიერი შესატყვისი ჩანდეს დალესტურ ენებშიც, შდრ. ბუდუხ. ჰარაჯ „კარაქი“.

ს.-ქართვ. *ხე- „ხე; ძელი“

ქართ. ხე „ხე, ძელი“

ზან. (მეგრ.) ხა-ია „ისლურა“, -ხა, სიტყვაში დადა-ხა „დაბალი ხე“ (დადა „პატარა“)

არ გამოვრიცხავთ, რომ ძველი ქართულიდან დღემდე კარგად ცნობილ ქართულ ხე სიტყვის შესატყვისს შეიცავდეს მეგრული ხა-ია „ისლურა“ ალომორფი. ამ უკანასკნელში სიტყვის მნიშვნელობის დავიწროება ადვილი შესამჩნევია.

ს.-საინდ. *ხჷ- „ბოძი“

აფხაზ. ა-ხა „ტოტებშეკვეცილი ბოძი“

ა გახმოვანება აფხაზურში ხშირად საერთოსინდური ჰ ხმოვნის კანონზომიერ რეფლექსად წარმოჩნდება; ამასვე უჭერს მხარს ს.-ქართვ. ე, ვინაიდან ე : ჰ სინდურ-ქართველურ ენებს შორის რეგულარულად მჟღავნდება.

ვერ გავიზიარებთ გავრცელებულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ქართული ხე ნახური ენებიდან მომდინარეობს [ჩიქობავა 1938 : 120]. პირიქით, ქართულ-აფხაზური ხე/ხა ალომორფებს კანონზომიერად შეესატყვისება ნახურ ენათა ხე // ხენ // ხენ ფორმები.

ქართულ-აფხაზური ძირები პირველად პ. ჭარაიამ შეაპირისპირა [ჭარაია 1912 : 40].

ს.-ქართვ. *ხედ-ა „რომელი“

ზან. (მეგრ.) ხათ-ე „მაშინვე“

სვან. ხედ-ა/ი „რომელი“, ხედ-რა „რომელიმე“

ისევე, როგორც ქართული მაშინ ← *მას-შინ, მეგრული ხათ-ე ზმნისართიც ნაცვალსახელური

წარმომავლობისაა, რომელიც კანონზომიერად შეესატყვისება სვანურ ხედ-ა/ი „რომელი“ ნაცვალსახელს, შდრ. სვან. ე : ზან. ა, ს.-ქართვ. *ე. რაც შეეხება დ → თ დაყრუების პროცესს მეგრულში, იგი სიტყვის არაანლაუტში შედარებით უფრო ძლიერი ჩანს, შდრ. სვან. იმგუტიდ : ზან. შქვით-ი : ქართ. შვიდ-ი...

ს.-სინდ. *ხ-დ „ვინ“

ადიდ. ხათ „ვინ“

ყაბარდოულში მოსალოდნელი იყო ხაღ სახეობის ნაცვალსახელი, ვინაიდან თ/დ ნაცვალსახელებში ჩვეულებრივ დასტურდება, შდრ. სეთ/სგდ (ყაბ.) „რა“.., მაგრამ ჯერჯერობით არ არის გამოცემულ მასალებში დამოწმებული.

ზემოთ წარმოდგენილი შეპირისპირების საფუძველზე უნდა გამოირიცხოს სვან. ხედა ნაცვალსახელის ჩერქეზულიდან სესხების შესაძლებლობა [შდრ. ჯანაშია III, 1959 : 111]. მით უმეტეს, მაშინ, როდესაც გენეტიკურად საერთო ძირები იძებნება მონათესავე დაღესტნურ ენებშიც, შდრ. დიდ. (საჰად.) ჰედო „რომელი“.

ს.-ქართვ. *ხეუ- „ნახევარი“

ქართ. ნა-ხევ-არ-ი

სვან. ხენ-, ხენ-სგა, ხენ-სკა (ლნტ.) „ნახევარი“

ფუძის აუსლაუტი გამოირჩევა, ერთი შეხედვით, არაორდინალური ქართ. ვ : სვან. ნ შესატყვისობით, თუმცა სვანურში მეორეული ნაზალიზაციის (ვ → ნ) სასარგებლოდ მეტყველებს სხვა აღიარებული ფაქტიც, შდრ. ქართ. ვაკ-ე : სვან. ნაკ // ნაკ „id“.

ს.-სინდ. *აჯუ- „ნაწილი“

აბაზ. აჯუ-გ, აფხაზ. ახუ-თე „ნაწილი“

საერთოსინდური ა-ს სასარგებლოდ მეტყველებს ნახურ ენათა ჩვენებაც, როცა სამსავე ერთეულში ახ „ნახევარი“ სახეობა დასტურდება. სამაგიეროდ, ძირეული თანხმობის ლაბიალიზაციის თვალსაზრისით, ქართულ-სინდური ერთგვაროვნებაც ადვილი შესამჩნევია. ცხადია ჯ → ხ ფუძენახურსა და ქართველურში განხორციელდა.

აბაზური ჯუტე „ნაწილი“ სხვაგვარი წარმომავლობისა ჩანს.

ს.-ქართვ. *ხეუ-/*ხიუ- „ხევა; გაჭრა“

ქართ. ხევ-ს, გა-ხი-ა // გა-ხივ-ა

ზან. (მეგრ.) ხარ-უ-ა „გამოფატვრა, გამოშიგნვა“, ლაზ. ო-ხარ-უ „გამოფატვრა, ხევა“

სვან. ხუ-/ხიუ-, ა-ხუ-ორ-ე (ოთ-ხიუ-ერ, ად-ხიუ-ორ-ე) „სიგრძეზე ხევს“, ლი-ხი(უ)-ორ-ე „სიგრძეზე გახევა, გაჭრა“

ამოსავალი უ ფონემის შესატყვისად ზანური რ-ს პოვნეირება პრობლემური არ უნდა იყოს. აქ მოქმედებდა უ/ვ → რ სპორადული პროცესი, რომელიც ერთნაირად ახასიათებს როგორც ლაზურ, ისე მეგრულ დიალექტს, შდრ. ქართ. მშეუ-ა : ზან. მშქორ-ინ-ი / შქირ-ენ-ი, ტეუ-ა / ნტირ-...

ს.-სინდ. *ხუ- „ჭრა; ჭრილობა“

აბაზ. ხუგ-, სიტყვაში ხუგ-რ-თა „ჭრილობა“, აფხაზ. ა-ხუ-რა „ჭრილობა, ჭრა“, შდრ. ა-ხუ-თა „წილი“

ჩერქეზული მასალა ვერ გამოვლინდა, თუმცა აფხაზურ-აბაზური მონაცემი სრულ წარმოდგენას გვიქმნის საერთოსინდურ არქეტიპზე. ამ უკანასკნელის ნათესაობა ზემოთ აღწერილ ძირებთან ეჭვს არ იწვევს. სტრუქტურული მიმართება *ხეუ- / *ხიუ- : *ხუგ- არაერთ საერთო ძირში ვლინდება.

ს.-ქართვ. *ხეწ- „ფხეკა“

ქართ. ხეწ- „ფხეკა“, ა-ხეწ-ილ-ი „აფხეკილი“ (საბა)

ზან. (მეგრ.) ხაჭ-, ხაჭ-არ-უ-ა „ფხეკა“

მეგრულში -არ ზედმეტია, მაგრამ იგი სხვაგანაც დაჩნდება – ქართ. ფხეკა-ა : მეგრ. ხაკ-არ-უ-ა „id“ და ზმნური აფიქსი ჩანს. სხვა მხრივ, ხეწ- / ხაჭ- კანონზომიერ მიმართებებს ავლენს.

ს.-სინდ. *ხწწ- „მონიშვნა, შეჭრა“

აბაზ. (ტაპანთ.) ხწა-რა „ნიშნის დასმა“, ხწა-რას „ნიშანი“, აფხაზ. ა-ხწა-რა „ცხოველის ყურზე ნიშნის დასმა, შეჭრა“

ჩერქეზული მონაცემები გვაკლია. მიუხედავად ამისა, შესაძლებელი ხდება საერთოსინდური არქექტივის რეკონსტრუქცია, რაც აფხაზურ-აბაზურ მონაცემთა საფუძველზე ხერხდება.

ს.-ქართვ. *ხეწ- : ს.-სინდ. *ხწწ- არქექტიპთა კანონზომიერ დაღესტნურ შესატყვისებს ინახავს დიდ. ჯერიჭ, ინხოყვ., ხვარშ. ჯირიჭ „მაკრატელი“ სახელი (ეტ. მჭრელი).

ს.-ქართვ. *ხუ- „გაღება“

ქართ. ხუ, გან-ი-ხუ-ნ-ა „გაილო“, გან-ა-ხუ-ნ-ა „გაალო (კარები)“

ზანურ-სვანურში ძველქართული ხუ- „გაღება“ ძირის შესატყვისები დღემდე არ არის გამოვლენილი. ერთადერთი მეგრული ხუ-ალ-ა „რღვევა, დაშლა“ ფორმის მოხმობა შეიძლებოდა, რისგანაც მაინც შევიკავებთ თავს.

ს.-სინდ. *ჟუ- „გაღება (ფართოდ)“

ადილ. უგ-ჟ-ენ. ყაბ. უგ-ჟ-ენ „ფართოდ გაღება“

აქაც ჟუ → ჟ- თვალნათლივ გამოჩნდება, ანუ გემინაცია-გაინტენსივება მომდევნო უ სონანტის საკომპენსაციოა ჩერქეზულ ენებში.

ს.-ქართვ. *ხუ- : ს.-სინდ. *ჟუ- ოპოზიციამი ხ/ჟ სუბსტიტუცია პრობლემას ვერ ქმნის, ვინაიდან ივარაუდება ჟ → ხ დეზაფრიკატიზაციის პრეისტორიული პროცესი საერთოქართველურში.

სათანადო დაღესტნურ ალომორფებში ძირეული ფარინგალის ლაბიალიზაცია მოშლილია: ალულ. -აჯ- / არჩიბ. -აბ- „გაღება“.

ს.-ქართვ. *ხუეუ- „შეხვევა, გახვევა“

ქართ. მო-ხუევა-ა, სა-ხუევა-ელ-ი, ახ. ქართ. შე-ხვევა-ა

ზან. (მეგრ.) გო-ხუ-აფ-ა „გახვევა“, ხე გო-უ-ხე-ე „ხელი მოჰხვიე“, შდრ. გო-ხვა-ხე-აფ-ა „საგულდაგულოდ გახვევა“

აქამდე ქართ. ხუ-ეე- ძირის შესატყვისად მოჰყავდათ მეგრული ქიმშ-ა-ხუ „შეხვევა“ [ჩიქო-ბავა 1938 : 423], რაც, გარკვეული თვალსაზრისით, ომონიმურია. ვფიქრობთ, ხუ- ძირი ქართველურში ორგვარად იყო რეალიზებული ხუ- და ხუეუ-, რომელთაგან მეორემ მეგრულში ხვახე- მოგვცა. მსგავსი პროცესისათვის შდრ. ქართ. ლუიუ- : ზან. (მეგრ.) ლვიღ- „გაღვივება“.

ს.-სინდ. *ხუბ- „წვნა“

ადილ. ჭგ-ნ ← *ხუბ-ნ, ყაბ. ხუბ-ნ „წვნა“

უბიხ. შუბ- „წვნა“

ზოგჯერ აქვე მოხმობილი აბაზ. ჳ-შშ-რა, აფხაზ. შშ-რა „წვნა“ სხვაგვარ ეტიმოლოგიას გულისხმობს [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 1021].

ისტორიულ სინდურ ენა-კილოებში საცნაური ხდება ჳ- → გ ფონეტიკური პროცესის რეალურობა. ჳ-ს არქაულობას ეხმიანება ქართველურის ე (*ხუეუ-) ვოკალიზმი, რასაც [ს.-ქართვ. ე : ს.-სინდ. ჳ] რეგულარულ-კანონზომიერი ხასიათი აქვს.

ძირეული თანხმობის სუბსტიტუცია **ხ/შ** მეორდება დაღესტნურ ენებშიც: ხუნძ. რ-**უხნ**- / ანდ. რ-**ოშინ**- „შეკვრა, მიბმა“ [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 1021], მაგრამ ამოსავალი მაინც **ხ**-იანი ფორმა უნდა ყოფილიყო, შდრ. წახ. ი-**ხუა**- „კერვა“.

ს.-ქართვ. ***ხუ**- „რთმევა; ღება“

ძვ. ქართ. **ხუ**-, **ხუ**-მ-ა, მი-**ხუ**-მ-ა „წართმა“ (საბა)

ძირი პოვნიერია, სავარაუდოდ, მხოლოდ ძველ ქართულში, მაგრამ ამავდროულად სარწმუნო შესატყვისები უდასტურდება სინდურ ენა-კილოებში. ეს კი იმის საწინდარია, რომ **ხუ**-ზმნა ფუძეებიდან მომდინარეობს და მას პალეოკავკასიური ეტიმოლოგია ახასიათებს.

ს.-სინდ. ***ფხ** გ- „გამორთმევა, წართმევა“

ადილ. **ფხ** გ-ნ, ყაბ. **ფხ** გ-ნ „წართმევა“

აფხაზ. ა-**ახუა**-რა „აღება, მიღება“ (?)

ერთ-ერთი იმ შემთხვევათაგანია, როცა ს.-ქართვ. **ჩუ** ლაბიალიზებულ კომპლექსს ს.-სინდ. **ფხ B** ტიპის ჰარმონიული კომპლექსი შეეფარდება, შდრ. ს.-ქართვ. ***სულ**- : ს.-სინდ. ***ფს**ნ „სული“... მსგავს სიტუაციებში ივარაუდება **სუ** → **ფს** გარდაქმნა ფუძესინდურში. აფხაზური საეჭვოდ გვეჩვენება, გამომდინარე სტრუქტურული სხვაობიდან [შდრ. ჭარაია 1912 : 41].

ს.-ქართვ. ***ხუაუ**- ხვაჯი, სიუხვე“

ქართ. **ხუა**ვ-ი, **ხუა**ვ-რ-ელ-ი

ზან. (მეგრ.) **ხვე** „ხვაჯი“

სვან. **ხუა** / **ხუა** „ბევრი“

ბოლოკიდური **ღ** სვანურში ს.-ქართვ. **უ**-ს შემდგომი ტრანსფორმაცია ჩანს – **უ** → **ღ** [შდრ. კლიმოვი 1964 : 258; ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 697].

ს.-სინდ. ***ჟუ**გ- „საკმარისობა, სისავსე“

ადილ. მა-**ჟუ**გ-, ყაბ. ძგ-რი-**ჟუ**გ- „საკმარისობა“, შდრ. ადილ.-ყაბ. ძგ-**ჟუ**-ჰა „სავსე, ძალიან“

ბუნებრივია, რომ ქართველური ფუძე-ენისათვის დავუშვათ **ჟ** → **ხ** სპირანტიზაციის პროცესი. შემდგომ დაზუსტებას მოითხოვს ს.-ნახ. ***ღ-უჟა** „ბევრი“ და მის დაღესტნურ შესატყვის ძირ-ფუძეებთან მიმართების საკითხი.

ს.-ქართვ. ***ხუალ**- „ხვალ“

ქართ. **ხვალ**, **ხვალ**-ე, და-**ხვალ**-იებ-ა (საბა)

ზან. **ხოლ**-ო „კიდევ; კვლავ“

სემანტიკურად **ხვალ** ~ **კიდევ** კორელაციის შესაძლებლობა თვალნათლივ წარმოჩნდება ნა-ხურ მასალაში, სადაც ერთი ძირის ფარგლებში მსგავსი სემანტიკა დასტურდება, შდრ. ჩეჩნ. **ჟან**-ღე „ხვალ“ ~ **ჟან**-ურ „შემდგომ“.

ს.-სინდ. ***ხულ**ნ „სალამო“

აფხაზ. **ხულ**გ, გამოთქმაში **ხულ**გ-ბზია „სალამო მშვიდობისა“

როგორც ეტყობა, აფხაზური **-ხულ**გ- ძირი ინახავს ს.-ქართვ. ***ხუალ**- არქეტიპის კანონზომიერ სინდურ შესატყვისს. აფხაზური სიტყვა იმ უიშვიათეს შემთხვევებს წარმოგვიდგენს, როდესაც ძირის შემადგელობაში სონორი **ლ** უცვლელად არის შემორჩენილი.

აფხაზურ-ქართველურ იზოგლოსებს უეჭველად შეეთანადება დაღესტნური მასალაც, შდრ.: ადულ. **ჟანი** „შემდეგ“...

ს.-ქართვ. ***ხტალ**- „ხვლიკი“

ქართ. **ხელ**-იკ-ი

ზან. (მეგრ.) **ხოლ**-არ-ი → // **ხველ**-არ-ი → // **ხვილ**-არ-ი, ლაზ. **ხოლ**-ურ-ა „ხვლიკი“

სვანური **ფხელ** „გველის წიწილი; ხვლიკი“ : ლაზ. **ფხორ**-უ-ე „ხვლიკი“ სხვა საერთოქართველური ძირის ამსახველი, შეიძლება, იყოს [შდრ. ჩუხუა 2000-2003 : 247].

ს.-სინდ. ***ხტა**- „ჭია“

აბაზ. (ტაპანთ.) **ხტა**, აფხაზ. ა-**ხტა** „ჭია“

ჩერქეზული მონაცემები ვერ გამოვავლინეთ, ალბათ, დაიკარგა. აფხაზურ-აბაზურის საფუძველზე რეკონსტრუირდება ს.-სინდ. ***ხტა**- „ჭია“ არქეტიპი, რომლის აუსლაუტი უკვე ფუძე-ენაში გამარტივებულა, ანუ ***ხტალ**- → ***ხტა**- საერთოსინდური პროცესი ჩანს, რაც სხვა მასალებითაც დასტურდება.

მონათესავე იბ.-კავკ. ენებში სათანადო ძირ-ფუძეები ვერ გამოვავლინეთ.

ს.-ქართვ. ***ხტან**- „დიდი ქვა; ლოდი“

ზან. (მეგრ.) **ხუნ**-ი „დიდი ქვა; კლდე, ლოდი“

სვან. **ხტან** „დიდი ქვა, გადმოშვებული უზარმაზარი ქვა“

ქართული შესატყვისი შეიძლება შემონახული იყოს გეოგრაფიულ სახელში **ხვან**-ა, ისევე, როგორც ზანური **ხუნ**- ძირის კვალი ჩანს ტოპონიმ **ხუნ**-ევ-ში.

ს.-სინდ. ***ხტვ**- „მთა; გორაკი“

აბაზ. **ხტა** „მთა, ბორცვი“, აფხაზ. ა-**ხტე** „გორაკი, ბორცვი“

ბოლოკიდური **ნ**, რომელიც ქართველურში ძირეულია, ჯერ კიდევ საერთოსინდურში ჩანს დაკარგული. ამას, ქართველურის გარდა, დადესტნური შესატყვისებიც ნათლად აჩვენებენ, შდრ.: ხუნძ. **ხონ**-ლ'ი „ფერდობი“, ჰინუხ. **ხტ** „მთა“, არჩიბ. **ხტან** „მთის ჩრდილოეთის ფერდობი“.

ნახურ ენათა **ჰუნ** // **ჰუ** „ტყე“ სხვაგვარი ეტიმოლოგიის ძირი ჩანს [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 425].

ს.-ქართვ. ***ხტარ**- „წმინდა, სამსხვერპლო ცხოველი“

ქართ. **ხვარ**-, გურ. **ხვარ**-ად-ი „მიცვალებულისთვის შესაწირავი ცხოველი“

გურული **ხვარ**-ად-ი ერთადერთია, რომელიც **-ად** სუფიქსიანი დერივაციით **ხვარ**- ძირს წარმოაჩენს. სხვა ქართველურ ენა-კილოებში კანონზომიერი შესატყვისები არ ჩანს.

ს.-სინდ. ***ხტარ**-ან „წმინდა სისხლის ცხენი“

ადილ. **ჰარან** ← ***ხტარან**, ყაბ. **ხტარან** „წმინდა სისხლის ცხენი“

ქართულ-ჩერქეზულ შესატყვისებში აშკარად იგრძნობა *წმინდა ცხოველის* (ცხენის) შინაარსი, რაც აახლოვებს იგივეობრივი სტრუქტურის ამ ძირებს. არის მცდელობა აქვე განიხილონ აბაზ. **ჰგრ**, აფხაზ. ა-**ჰგრ**-ხაწა „გმირი“ სიტყვაც, რაც ამაღლებულ, მეტაფორულ მნიშვნელობას აძლიერებს [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 426].

ალბათ, ხვარშიულში თავჩენილი **ხარა**-ამ „კვიცი, ჩოჩორი“ ფუძე სიტყვათა ამავე რიგში უნდა განვიხილოთ [ხაიდაკოვი 1973 : 25].

ს.-ქართვ. ***ხტარ**-ე „ასო; სხეული, ტანი“

ქართ. **ხვარ**-ი „ასო“ (საბა)

ზან. (ლაზ.) **ხურ**-ა // **ხუ**-ა „სხეული, ტანი“

სვანური შესატყვისი ვერ გამოვავლინეთ. ლაზური ალომორფის ბოლოში ა ხმოვნის არსებობა იმაზე მიუთითებს, რომ ფუძეენაშიც ფუნქციონირებდა -ე სუფიქსიანი სიტყვა. ანალოგიური ძირ-მართების სხვა ნიმუშიც მოიძებნება, შდრ. ქართ. კტართ-ი : ზან. კურთ-ა „ნიფხავი“.

სემანტიკური ოპოზიცია *ასო ~ სხელი, ტანი* ახსნადია.

წ.-სინდ. ***ხურ**- „სხელის ნაწილი“

ხათ. **hur** „სხელის ნაწილი“

აფხაზურ-აბაზურ ენებში შესაბამის ძირ-ფუძეებს ვერ ვპოულობთ. მიუხედავად ამისა, წინარესინდური ენობრივი მდგომარეობისათვის აღდგება ***ხურ**- პროტოტიპი, რომელიც კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. ***ხურ**-ე ძირს. სემანტიკური თვალსაზრისით, ხათური *სხელის ნაწილი* უფრო ახლოს დგას ქართული *ასოს* შინაარსთან.

დადესტნურ ენებში ლაზური *სემანტიკის* კანონზომიერი ალომორფები დავადასტურეთ, შდრ.: ჰინუხ. **ხუ**, ჰუნზიბ. **ხო**, ბეჟიტ. **ხო** „სხელი, ხორცი“.

ს.-ქართვ. ***ხუამ**- „ცერცვი“

ქართ. (აჭარ.) **ხუანძ**-ა „ცერცველა“

ზან. (მეგრ.) **ხაჯ**-ი „ცერცვი“

აჭარულ **ხვანძ**-ა-ში **ნ** ფონეტიკური ჩანართი ჩანს. ამოსავალ ***ხუამ**-ს ზანურში ***ხოჯ**- ან ***ხუჯ**- უნდა მოეცა, მაგრამ სხვა (ხოჯ- „ხარი“, ხუჯ- „მხარე“) სიტყვებთან ომონიმის თავიდან ასაცილებლად ენამ ალტერნატიული ვა → ა შესაძლებლობა გამოიყენა, შდრ. ქართ. (ქიზიყ.) ფსვალ-ი : ზან. (მეგრ.) ფსალ-ი // სალ-ი „სოლი“.

ს.-სინდ. ***ჰუამ**- „ლომი“

აბაზ. **ჰუამ**-გ, აფხაზ. ა-**ხუამ**, ბზიფ. ა-**ხუამ** „ლომი“

ჩერქეზული შესატყვისობების უქონლობის გამო, სარეთოსინდური არქეტიპის რეკონსტრუქცია პირობით ხასიათს ატარებს. არ ვიცი, რამდენად მიზანშეწონილია დარგ. **ჰუჩ** „პური“ სიტყვის აქ მოხმობა. ან ამ ფუძეში **ჰ** და **ჩ** ინტენსიურ აფრიკატთა მჟღერი არქეფორმიდან მიმდინარეობის დაშვება – დარგ. **ჰუჩ** ← ***ჰუაჯ**- „პური“ (?).

ს.-ქართვ. ***ხუნ**- „შობა“

ზან. (მეგრ.) უ-**ხუნ**-ე „უშობელი, ორსული“, ლაზ. უ-**ხუნ**-ი // უ-**ხუნ**-ე / უ-**ხვენ**-ე „ორსული; უშობელი“

ზმნური ძირები *შობის* მნიშვნელობით მხოლოდ ზანურ დიალექტებში დასტურდება, მაგრამ ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ **ხუნ**- -- **ხ**- (**ხ**-ალ-ა „შობა“) ალომორფები, როგორც სხვადასხვა ეტიმოლოგიის ძირები. ცხადია, ამოსავალი **ხუნ**- უნდა გვექნოდა სხვა ქართველურ ქვესისტემებშიც, მაგრამ დროთა განმავლობაში ის დაიკარგა. სვან. **ღან**-აჟ // **ღან**-აჟ „ფეხმძიმე, ორსული“ ფორმების ძირ-ფუძეთა ამ რიგში შემოტანა იმთავითვე უნდა გამოირიცხოს.

ს.-სინდ. ***ხუნ**- „შობა, დაბადება, გამრავლება“

ადილ. ლ-**ჰუნ**-ან ← ***ლ-ხუნ**-ან, ყაბ. ლ-**ხუნ**-ან „შობა, დაბადება, გამრავლება“

აბაზ. ჰ-**შა**-რა / შან-**შა**-რა, აფხაზ. ა-**შა**-რა / ა-**ხ**-**შა**-რა „შექმნა, შობა, დაბადება“

სინდურ ენებში **ლ-ხ-ჰ-შან**- პრეფიქსებად გამოიყოფა, ძირად გვჩვენებს **ხუნ**- + **შა**-, რომელსაც ქართველური **ხუნ**- შეესატყვისება, შდრ. ს.-ქართვ. ე : ს.-სინდ. შ, რომელსაც რეგულარულ-კანონზომიერი ხასიათი აქვს.

სინდურ-ქართველურ ზმნურ ძირებთან უდავო ნათესაობას ავლენს დადესტნური ნიმუშებიც, შდრ. ლეზგ. **ხუნ**- „შობა“.

ს.-ქართვ. ***ხუნერც**-ინ- „დიდი კოვზი“

ზან. (მეგრ.) **ხვარჩინ**-ი „დიდი კოვზი, ქიტურა“

ინლაუტური **რ** ფონეტიკური ჩანართი შეიძლება იყოს მეგრულში. თუ გავითვალისწინებთ

ქართველურ ენებს შორის არსებულ ბგერათშესატყვისობათა ჩვენებას, ფუძემდებური მდგომარეობისათვის ***ხტეც-ინ-** არქეტიპის აღდგენა ხდება შესაძლებელი, შდრ.: ქართ. **ც** -: ზან. **ჩ**, ს.-ქართვ. ***ც**; ქართ. **ე** : ზან. **ა**, ს.-ქართვ. ***ე**.

ს.-სინდ. ***ხტა**- „გობი, გობურა“

აფხაზ. ა-**ხტაჩ** „ხის პატარა გობი“

მეგრულ-აფხაზური იზოგლოსები კანონზომიერი შესატყვისით არის წარმოდგენილი და-
ლესტურშიც, შდრ. ლაკ. **ჰარჩა** „დოქი“...

სვანური **ღტარჩინ** „ვარცლი“ სიტყვის მსგავსება შემთხვევითია, ვინაიდან აქ თავკიდური **ღ**
ფონეტიკური დანართი ჩანს – ***ტარჩინ** → **ღტარჩინ**, შდრ. ქართ. **ვარცლი**-ი [ფენრიხი, სარჯველაძე
2000 : 194-195].

ს.-ქართვ. ***ხტეწ**- „თლა“

ძვ. ქართ. **ხტეწ**-, **ხტეწ**-ა, მო-**ხტეწ**-ილ-ი, გამო-**ხტეწ**-ა

ზან. (მეგრ.) **ხვაწ**- „თლა“, ნა-**ხვაწ**-ა „ლომის ამოღების შემდეგ ქვების ფსკერზე წარმოქმნილი
ქერქი“, **ხვაწ**-ი „საფხეკი“, **ხვაწ**-უ-ა „მოთლა, მოფხეკა“

აქვე შემოვა ქიზიყური **ხვეწ**-ა „ნართისათვის ბეწვების მოცილება“. ამავდროულად ქართუ-
ლი ენის დასავლურ დიალექტებში პოვნად **ხვაწ**- ზმნური ძირი მეგრულიდან ჩანს ნასესხები
[ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 699].

ს.-სინდ. ***ხტა**- „შემოჭრა, წაჭრა“

აფხაზ. ა-**ხტა**-რა „შემოჭრა, წაჭრა“ *инрезать*

საერთოსინდური ფუძემდებური ეტიმოლოგიის აფხაზური **ხტა**- ზმნა კანონზომიერად ასა-
ხავს ქართველური ***ხტეწ**- არქეტიპის კანონზომიერ შესატყვისს. გარკვევას ითხოვს ამ
შეპირისპირებაში უბიხური **ჯტა**- „ჭრა“ ზმნის ადგილი - **ჯტა** ← ***ჯტა** (?).

ს.-სინდ. ***ხტა**- „შემოჭრა; წაჭრა“ : ს.-ქართვ. ***ხტეწ**- „თლა“ ნორმალური სტრუქტურულ-სე-
მანტიკური ოპოზიცია ჩანს; სხვაობა, მართლაცდა, მინიმალურია.

ს.-ქართვ. ***ხტეწ**- „ხვეწა“

ქართ. **ხვეწ**-, ე-**ხვეწ**-ებ-ა, სა-**ხვეწ**-არ-ი

ამ ფუძის შესატყვისებს სხვა ქართველურ ენა-კილოებში ვერ ვპოულობთ, მაგრამ ამავდრო-
ულად მას გააჩნია საყურადღებო პარალელები როგორც სინდურ, ისე დალესტურ ენებში; ამიტო-
მაც რეკონსტრუირდება ფუძემდებური დონეზე.

ს.-სინდ. ***ხტა**- „ჩივილი, ფიცი“

ადილ. **ხტეს**-ან, ყაბ. **ხტეს**-ან „ჩივილი, ფიცი“

უბიხ. **ხტეწ**-ა / **ხტა**-ა „აღზნება, აღელვება“

ქართულ-ჩერქეზული სტრუქტურული იგივეობა ამ ძირის საერთო წარმომავლობის საწინ-
დარია, რასაც სემანტიკური კორელაცია **ხვეწა** ~ **ჩივილი** / **ფიცი** ამყარებს.

საყურადღებო პარალელები იძებნება დალესტურ ენებში: ხუნდ. ლაკ. **წუხ** / **წუხ**-, არჩიბ. **წიხ**-
, რომელთა მნიშვნელობა *კითხვით* (спрашивать) შემოიფარგლება. *კითხვა* ~ **ხვეწა** გაგვახსენებს
ინგლისურში to ask ზმნას ორივე მნიშვნელობით.

ს.-ქართვ. ***ხტეწ**- „მოხრილი რკინა, რითაც ითლება კოვზი, თეფში“...

ქართ. (ხევს.) **ხვეწ**-ი „მოთხრილი რკინა, რომლითაც იხვეწება (იფხეკება) თეფშები, სინები“

ზან. {**ხვაწ**-ა} შდრ. რაჭ. (←მეგრ.) **ხვაწ**-ა „ხის კოვზის სათლელი დანა“

ქართველური მიმართება **ხვეწ**- / **ხვაწ**- კანონზომიერ შესატყვისობად მიიჩნევა [ფენრიხი, სა-
რჯველაძე 2000 : 698-699]

ს.-სინდ. *ხაწუ- „რკინის შამფური“

აფხაზ. აი-ხაწუ „რკინის შამფური“

სინდური ენებიდან სათანადო მასალა მხოლოდ აფხაზურს შემორჩა; ამ უკანასკნელის ფუძე-
ენურ წარმომავლობას, ქართველურთან ერთად, ხაზს უსვამს დადესტურული პარალელები, შდრ.:
ბაგვალ. ჰეწუ, ჰინუხ. ხარწუ, ჰუნზიბ. ხაწუ „მარწუხი, გაზი“...

საკითხი დაისმის ს.-ქართვ. *ხუეწ- „თლა“ : ს.-სინდ. *ხწუა- „შემოჭრა, წაჭრა“ არქეტიპებთან
სიღრმისეული ეტიმოლოგიური კავშირის შესახებაც.

ს.-ქართვ. *ხუი- „შეხვედრა; ხვედრი; წილი“

ზან. (ლაზ.) ხე-, ქოდო-მ-ო-ხე-ი „შემხვდი“, მო-ხე-ერ-ი „მოხვედრილი“

სვან. ხუი-, ლი-ხუი-ე, „შეხვედრა“, ლე-ხუი-ე „წილი, წილხვედრი“; „შეხვედრილი“, ი-ხუი-ე
„იხვედრებს“

ქართული შესატყვისი გვაკლია, თუმცა არ გამოვრიცხავთ ხე-ედ- ზმნაში ხე- სეგმენტის ძი-
რად გამოყოფის შესაძლებლობას. ამ თვალსაზრისით, მართებული ჩანს გ. კლიმოვის რეკონ-
სტრუქცია, რომელიც სვანურ ხუი- სრულხმოვნთან სახეობას ეფუძნება [კლიმოვი 1964 : 258].

ს.-სინდ. *ჟუე- „წილი; ხვედრი; ნაწილი“

აბაზ. ჟუე „წილი, ხვედრი, ნაწილი“, აფხაზ. ა-ხუე „წილი, ხვედრი“

ჩერქეზული შესატყვისები ვერ გამოვავლინეთ. ქართული ხუედრ- სიტყვას აფხაზური ა-ხუე
სახელთან ადრევე აკავშირებდნენ [ჭარაია 1912 : 40].

ანლაუტური ს.-ქართვ. ხ : ს.-სინდ. ჯ იმის საილუსტრაციოდ გამოდგება, რომ ჯ → ხ (resp. ჟუ
→ ხუ) სპირანტიზაციის ფონეტიკური პროცესი ჯერ კიდევ საერთოქართველურ ფუძე-ენაში
ნაწლობრივ ამოქმედდა.

დადესტურ ენათაგან ლაკური ჯუნა ბაყინ „შეხვედრა“ ზმნური ძირიც ჯ ფშვინვიერ ფარინ-
გალურ აფრიკატს აჩვენებს.

ს.-ქართვ. *ხუირ- „დიდი და მრგვალი“

ზან. (მეგრ.) ხეირ-ალ-ი „დიდი და მრგვალი“

ზედსართაული ხეირ- ძირი განმარტოებით დგას მეგრულში. სავარაუდოდ, იგი საერთოქარ-
თველური *ხუირ- არქეტიპის რეფლექსს წარმოადგენს. ამაში იბ.-კავკ. ენათა სათანადო ძირები
გვარწმუნებენ.

ს.-სინდ. *ხუერა- „მრგვალი“

ადილ. ხუერა-დგ, ყაბ. ხურე-დ „მრგვალი“

უბიხური ხუერად „მრგვალი“ ნასესხები ჩანს ადილეურიდან. მაგრამ სწორედ ეს უკანასკნელი
ინახავს ყველაზე სრულად ფუძეენურ მდგომარეობას. ადილურ ენათა -დგ/-დ მარკერები ზედსარ-
თაული ფუნქციის აფიქსაციას წარმოადგენს.

ს.-ქართვ. *ხუირ- : ს.-სინდ. *ხუერა- ზედსართავების კანონზომიერ შესატყვისს ვხედავთ
ხუნძურ ხარა-დ-და „მრგვალი“ სიტყვაში.

ს.-ქართვ. *ხუირ- „ხვადი, მამრი“

ქართ. (ლეჩხ.) ხეირ-ა „ხვადი (კატაზე)“

ზან. (მეგრ.) ხვანჯ-ა „მამალი ღორი დაუკოდავი“

სვან. ხუირ „ხვადი“

ლაზურში, სამიებელი ფუძის დისტრიბუციის შეზღუდვიდან გამომდინარე, მოსალოდნელი
ხვინჯ- დაიკარგა. ბოლოკიდური -ა ქართულ-მეგრულში გვიანდელი ჩანს. სწორედ მისი დამსა-
ხურებით მოხდა ხვინჯ-ა → ხვანჯა ასიმილაციური გარდაქმნა მეგრულში.

ს.-სინდ. ***ხუგ**- „მამრი“

ადილ. **ხუგ**, ყაბ. **ხუგ** „მამრი“

უბიხ. **ხუგ** „მამრი“

აბაზ. ჰუგ-ს (მრავლ. რ. ჰუგა-რა), აფხაზ. ა-ჰუგ-ს (მრავლ. რ. ა-ჰუგა-რა) „მოზვერი“

სინდურ ენებს შორის მოქმედი ბგერათშესატყვისობის მიხედვით უბიხურში **ხ²გ** ალომორფს მოველოდით, რაც არ ფიქსირდება. ამიტომაც შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგი ადილური ენა-კილოებიდან არის ნასესხები, ამის ალბათობა დიდია.

მეტად საყურადღებო ჩანს ახვახური **ხუტე** (მრავლ. რ. **ხუტერ-არ**) „ქმარი“ სიტყვის ჩვენება, რომელიც ფუძის ბოლოკიდური **რ**-ს არსებობას ამტკიცებს.

ს.-ქართვ. ***ხურიკილ**- „ნაყოფი (მცენარისა)“

ქართ. **ხვირკლ**-ი

ზან. (მეგრ.) **ხვირკილ**-ი/ა „თხმელის / მურყნის ნაყოფი“

იმერულსა და გურულში პოვნიერი **ხვირკილ-ა** / **კვირხილ-ა** ზანურ ალომორფებს წარმოაჩენს. სვანური შესატყვისი ამ ჯერზე ვერ გამოვავლინეთ.

ს.-სინდ. ***ხუგნკუ** „მარცვალი“

უბიხ. **ხუანკუ** „მარცვალი“

ფუძის აუსლაუტი (პალატალიზებული **კ²**) უბიხურში იმას ამტკიცებს, რომ საერთოსინდური არქეტიპი ორმაგი ლაბიალიზაციის შემცველი ფუძე იყო – **ხუ**, **კუ**. სპეციალურ ლიტერატურაში ინლაუტურ **ნ**-ს ფონეტიკურ დანართად მიიჩნევენ [კვახაძე 2014 : 76], რაც მოცემულ შემთხვევაში არ უნდა იყოს მართებული. პირიქით, ვფიქრობთ, უბიხური **ნ** ქართველური **რ** ვიზრანტის ნაზალიზებული შესატყვისია.

ს.-ქართვ. ***ხუციცა** ან ***ჰუციცა** „ხალიჩიანი ტახტი“

ზან. (მეგრ.) **ხვიცა** „ხალიჩიანი ტახტი (ქორწილში)“

ვინაიდან საერთოქართველური არქეტიპი აღდგება მეგრული ნიმუშის (რეფლექსის) მიხედვით, რეკონსტრუქციის პროცედურა პრობლემური ხდება. ცნობილია, რომ ზანურში ადრეულ ეტაპზევე მოიშალა **ჰ ~ ხ** კორელაცია და **ჰ/ხ** ფონემათა რეფლექსები ერთმანეთს ემთხვევა, თუმცა სინდური და დალესტური მონაცემები **ჰ**-იანი პროტოტიპის აღდგენას უჭერენ მხარს.

ს.-სინდ. ***ჰეჩა** „ბალიში“

აბაზ. **ჰეგ**, აფხაზ. ა-**ხჩგ** „ბალიში“

სინდურ-ქართველური ფუძეების შეპირისპირებით ირკვევა, რომ მეგრულში **გ** (ლაბიალიზაცია) „ზედმეტი“. თუ მოვიშველიებთ დალესტურ მონაცემებს, ძირეული თანხმობის ლაბიალიზაციის კვალი იქაც შეინიშნება, შდრ. ლეზგ. **ჰუცუ**-გან „ბალიში“, რაც ქართველურის სასარგებლოდ მეტყველებს, მაგრამ სხვა ენებში იგივე ფუძე ლაბიალიზაციის გარეშე წარმოდგენილი, შდრ. ჰინუხ. **ჰეცა**., ხინალ. **ხიჩი**-კან „ბალიში“.

ყველა შემთხვევაში, ფაქტია, რომ პალეოკავკასიური წარმომავლობის ძირთან გვაქვს შეხება და ს.-ქართვ. **ც** : ს.-სინდ. **ჩ** რეგულარულ-კანონზომიერი ბგერათშესატყვისობა აქაც თავჩენილია.

ს.-ქართვ. ***ხი** „ზოგი, ვინმე“

ზან. (მეგრ.) -**ხი**, სიტყვაში არ-**ხი** „ზოგი“, მარ-**ხი** „ზოგიერთი“, არ-**ხი**-მარ-**ხი** „ზოგ-ზოგიერთი“

სვან. ერ-**ხი**, ეერ-**ხი** , ეერე-**ხი** (ლნტ.) „ზოგი, ზოგიერთი“

ქართულში -**ხი** სეგმენტი არ ჩანს, დაკარგულია.

აქ გამოყოფილი ზანურ-სვანური არ-/ერ- ნაწილაკის შესატყვისები უნდა იყოს ქართ. ერ-თ-

ი / ერ-გ-ას-ი სიტყვებში შემონახული; სხვა კონტექსტში ერ- ძირს ქართულში ცალკე გამოყოფდა ქ. ლომთათიძე [ლომთათიძე 1952 : 69-80].

ს.-სინდ. *ხ^ვ- „ვინ“

უბიხ. შ^ვ „ვინ“

ნ. ტრუბეცკოი უბიხურ შ^ვ „ვინ“ ნაცვალსახელს აკავშირებდა შაფსულურ ს^ვ-დ „რა“ ნაცვალ-სახელთან, რაც სამართლიანად არის უარყოფილი მომდევნო თაობის მკვლევართა ნაშრომებში [იხ. ტრუბეცკოი 1930 : 80; აბდოკოვი 1973 : 23; შაგიროვი, 1977, II : 104; სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 1063]. აქვე საცნაურია ხ^ვ → შ^ვ ფონეტიკური პროცესი უბიხურში.

ს.-ქართვ. *ხი : ს.-სინდ. *ხ^ვ- ნაცვალსახელურ მონაცემებს ეხმიანება ნახური (ჩეჩნ.) მუ-ხა „რომელიც“ ნაცვალსახელი.

ს.-ქართვ. *ხიმს-ელ- „ხის ანახეთქი“

ქართ. (რაჭ.) ხიმსლ-ი „ხის ძლიერ წვრილი ნაწილი, ანახეთქი“

ზან. (მეგრ.) ხიმსა „ხის ქერქი, ხავსი“

ბოლოკიდური -ლ : -ა შესატყვისობა საერთოქართველური *ხიმს-ელ- არქეტიპის სასარგებლოდ მეტყველებს.

აღბათ, აქვე შემოდის მეგრ. ხვიცა „სახმილი“, რომელიც მს → ც პოზიციური გარდაქმნით ემსგავსება ქართ ხემს-ი – მეგრ. ხეც-ა შეპირისპირებას.

ს.-სინდ. *ხუგს-უ „თივა; წამალი“

ჩერქ. [ხუგს-ჰ] „თივა“

აბაზ. ა-ხუგშუ, აფხაზ. ა-ხუგშუ „წამალი“

როგორც ეტყობა, ჩერქეზული ალომორფი გარკვეული სხვაობებით ოსურ ენაში შემონახულა. ამ უკანასკნელში განხორციელდა ს^ვ → ს ან შ^ვ → ს დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესი.

ს.-სინდ. *ხუგს-უ არქეტიპში ხ-ს ლაბიალიზაცია შეესატყვისება ქართველურ მ ბილაბიალს, ხოლო ბოლოკიდური უ საერთოქართველური ლ-ს ფარდი ჩანს.

სხვა იბ.-კავკ. ენებში გენეტიკურად საერთო მასალას ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვ. *ხინწ- „გაცრილი მარცვლეულის გარჩევა / გაწმენდა“

ქართ. (იმერ.) გა-ხინწ-ვა „გაცხვილი ღომის მტვრისაგან გაწმენდა“

ზან. (ლაზ.) ო-ხინწ-უ „წმენდა, ბრინჯის გაცრა“, ხინწ-ერ-ი „გაცრილი ბრინჯი“, მეგრ. ხინწ-უ-ა „დარჩევა გაცრილი მარცვლეულისა“, ხინწ-ი „ანაცერი“

გვაკლია სვანური შესატყვისი. ძირის დისტრიბუცია მეტად მაღალი კოეფიციენტით ხასიათდება ლაზურ-მეგრულში, რასაც იმერულში კანონზომიერი ხინწ- შეესატყვისება [ჩიქობავა 1938 : 427; ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 700].

ს.-სინდ. *ხუგნწ- „გაცრა“

ყაბ. უგ-ხუანსუგ-ნ „გაცრა“

ზმნური ფუძე განმარტოვებით დგას ყაბარდოულში, მაგრამ მისი საერთოსინდურობა ეჭვგარეშეა. ამაში ქართველური შესატყვისები გვარწმუნებენ. ამოსავალი წ^ვ სისინ-შიშინა აფრიკატის სპირანტიზაცია დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესია ყაბარდოულში.

უნდა ვაღიაროთ, რომ უბიხური ხა- და აფხაზურ-აბაზური ხუ- „გაცრა“ სხვა წარმომავლობის ზმნებია და აქ ვერ შემოვა.

ს.-ქართვ. *ხოფ- „ნიჩაბი“

ქართ. ხოფ-ი „ნავის მოსასმელი ნიჩაბი“ (ქეგლ), „ნავის ნიჩაბი“ (საბა)

ზან. (მეგრ.) ხეიფ-ია „ერთგვარი ნიჩაბი; ჩაღრმავება“

ცხადია, მეგრულში **ხუფ**-ია უნდა გვექონოდა, მაგრამ მომდევნო -ია სუფიქსის ასიმილაციური ზეგავლენით დამკვიდრდა **ხვიფ**-ია ალომორფი.

ს.-სინდ. **ხუფ**- „ხის კოვზი“

ყაბ. **ხუფ** ერთგვარი ხის კოვზი“

სახელური ძირი განმარტოებით დგას ყაბარდოულში, მაგრამ, სავარაუდოდ, მას საერთოსინდური ეტიმოლოგია ახასიათებს. ამავდროულად მრავლისმეტყველი ჩანს ის ფაქტი, რომ სხვა იბ.-კავკ. ენებში ჯერ-ჯერობით სანდო იზოგლოსები არ არის გამოვლენილი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ხვარშიულში ფიქსირებულ **ხუფა** „კოვზი“ სიტყვას, რომლის ქართულიდან სესხების შესაძლებლობას გამოვრიცხავთ.

საკითხი დამატებით შესწავლას საჭიროებს.

ს.-ქართვ. ***ხოხ**- „ქვა (რიყის)“

ქართ. **ხოხ**-ი „რიყის ქვა“, თუშ., მოხ., ხევს. „სალესავი ქვა“

ზან. (მეგრ.) **ხოხ**-ულ-ია „ქვიანი მიწა“

მეგრულში ს.-ქართვ. **ხოხ**- ძირი გართულებულია -ულ სუფიქსით, რაც ქართული -ეულ სუფიქსის ტოლფარდია. ალბათ, მეგრულიდან სესხებით თუ აიხსნება იმერულში **ხოხულა** „მოუსავლიანი, მწირი ნიადაგი“ სიტყვის არსებობა.

ს.-სინდ. ***ჰაჰუ-გ** „ქვა“

აბაზ. **ჰაჰუგ**, აფხაზ. ა-**ხჰუ** „ქვა“

ქართველურ ძირებთან შედარებით აქაც ირკვევა, რომ ამოსავალი სინდური **ო** დიფთონგი-ზაციით (გ. როგავა) დაშლილია, რომელთაგან **უ** სეგმენტი მეორე თანხმოვნის ლაბიალიზაციას ახდენს ფუძეში. აქვე საცნაური ხდება, რომ ს.-ქართვ. ***ხოხ**- წინარექართველურ ***ჰოგ**- ძირის სპირანტიზებულ-ასიმილირებული ვარიანტია.

ოსურში დამოწმებული **ხოხ** „მთა“ შეიძლება ნახური სუბსტრატი იყოს, შდრ. ასევე არჩიბ. **ხოხ** „დიდი ქვა“.

ქართ. (თუშ.) **ჰეჰ**-ი „ქვა, ღორღი“ : ზან. (ლაზ.) **ხიხ**-ი „ქვის სახეობა“, ეტყობა, სხვაგვარ ეტიმოლოგიას გულისხმობს.

ს.-ქართვ. ***ხოხ**- „ხოხვა“

ქართ. **ხოხ**-, **ხოხ**-ავ-ს, მ-**ხოხ**-ავ-ი

ზან. (მეგრ.) **ხოხ**-უ-ა „ხოხვა“, **ხოხ**-უ „მხოხავი“, ლაზ. ო-**ხოხ**-უ „ხოხვა“, **ხოხ**-უმ-ს // **ხოხ**-უფ-ს „ხოხავს“

სვანურში შესაბამისი ძირები არ ჩანს. ზანურში მოსალოდენი იყო **უ** (**ხუხ**-) გახმოვანება, თუმცა მისი არქონის მიუხედავად **ხოხ**- ზმნის სესხების შესაძლებლობას გამოვრიცხავთ.

ს.-სინდ. ***ხუგხუ**- „ხოხვა“

უბიხ. ***ხუგხუ**-და „ხოხვა“

სინდური ენებიდან მხოლოდ უბიხურმა შემოგვინახა ფუძეწერი წარმომავლობის ზმნა. ალბათ, ფუძის სიმბოლიკური აგებულების გამო არ განხორციელდა უბიხურისთვის ესოდენ დამახასიათებელი **ხუ** → **ხ** პალატალიზაციის რეგულარული პროცესი. -და- სეგმენტს სპეციალისტები ზმნურ დაბოლოებად მიიჩნევენ უბიხურში, შდრ. ადიღ. **ძე**-, ყაბ. **ძე**- „დაგდება“ : უბიხ. **ძე-და**- „დაგდება“ [კვახაძე 2014: 272].

ს.-ქართვ. *ხოხ-ე „მაღალი“

ქართ. (ჯავახ.) ხოხე-ი „უშნოდ მაღალი“

ჯერჯერობით ხოხე სახელს ქართველურ ენა-კილოებში სანდო შესატყვისები არ უჩანს, თუმცა დასაშვებად მიგვაჩნია მისი ფუძეენური წარმომავლობა. ამგვარ მიდგომას ამყარებს ჩერქეზულ ენათა სარწმუნო მონაცემები.

ს.-სინდ. *ხახტე- „გრძელი, მაღალი; ზრდა“

ადიდ. ხახტე-, ყაბ. ხახტე- „ზრდა“

უბიხ. ხახტე- „ზრდა“

აბაზ. ხუხუა, აფხაზ. ა-ხუხუა „გრძელი, მაღალი“

ძირეული თანხმოვნის ლაბიალიზაცია სინდურ ენებში კანონზომიერად ასახავს ს.-ქართვ. ო ბგერას, რომელმაც რეფლექსაციის დონეზე, ალბათ, უა კომპლექსი მოგვცა, ხოლო შემდგომ ლაბიალური ელემენტი მეორე თანხმოვანს მიეკედლა. უბიხურში, როგორც მოსალოდნელი იყო, *ხახტე- → ხახტე-, ხოლო ბოლოს ასიმილაციით ხახტე-.

საინტერესო პარალელია დაღესტნური (რუთულ.) ჰახა-ს „მაღლა ყოფნა“ ზმნა.

ს.-ქართვ. *ხრამ- „ღრმა ხევი“

ქართ. ხრამ-ი „ღრმა ჳევი კლდიანი“ (საბა)

სიტყვა პოვნიერია მხოლოდ ქართულში. ლაზური ხრამ-ი „კვალი ნათესებში“ ქართულიდან ჩანს ნასესხები. ხრამ- სახელის ფუძეენურ მონაცემად მიიჩნევა მისი სემანტიკისა და აფხაზურ-ადიღური იზოგლოსების გამო.

ს.-სინდ. *ხრამ- „ღრმა ხევი“

ადიდ. (ჳემგ.) ხრამ-ჳ „ღრმა ხევი“

უბიხ. -ხრამ, სიტყვაში თუა-ხრამ „მდინარე“

გვაკვლია აფხაზურ-აბაზური მონაცემები. უბიხურში თუა- მორფემას ცალკე გამოყოფენ სიტყვის მნიშვნელობით, ხოლო -ხრამ ხევის აღმნიშვნელად მიიჩნევა [კვახაძე 2014: 34]. ჳემგურში ასევე გამოსაყოფია -ჳ სეგმენტი, რომელიც სადერივაციო აფიქსი უნდა იყოს.

სხვა მხრივ, სინდურ-ქართველურ არქეტიპთა მიმართება უნაკლოა, რასაც სემანტიკური თანხვედენაც ამყარებს, ძირითადად ღრმა ხევის შინაარსი. აქაც მ → ჳ ფუძესინდურში განხორციელდა, ამოსავალ ვითარებას ქართველური ფორმა აჩვენებს.

ს.-ქართვ. *ხუზ-ალ „უფხო პური“

ქართ. (რაჳ.) ხუზალ-ა „უფხო“

ზან. (მეგრ.) ხოზო- „მსხვილმარცვლიანი უფხო პური“

სვანური შესატყვისი ვერ გამოვავლინეთ. რაც შეეხება ბგერათფარდობას ქართ. უ : ჳან. ო (შდრ. ქართ. ხუფ-ი : ჳან. (მეგრ.) ო-ხოფ-ან-ი, იხ. აქვე), ის საკმაოდ ხშირად დასტურდება. ახსნას ექვემდებარება მეგრული აუსლაუტის ო გახმოვანებაც, აქაც პროგრესული ასიმილაციით უ → ო განხორციელდა, ანუ ამოსავალი ჳანური სახეობის ფუძე *ხოზო უნდა ყოფილიყო. ქვემოძიერული ხოზო, რომელიც მეგრულის სემანტიკას იმეორებს, ჳანიზმად გვესახება.

ს.-სინდ. *ხუზ-ჳ „მარცვლეული (პური)“

ადიდ. (შაფს.) ჳჳჳჳჳ „პურის მარცვლეული“, ყაბ. ჳჳჳჳჳ ← *ჳჳჳჳჳ „მარცვლეულის მოსავალი“

ადიღურ ალომორფთა შემდგომი სეგმენტაცია ჳჳ „წელი“ + ჳჳჳჳჳ „ხვნა“ [შაგიროვი 1977, I : 129] ხალხურ ეტიმოლოგიას ემსგავსება. პირიქით, ვფიქრობთ, ანლაუტში, რეგრესული ასიმილაციით, ხ → ჳ ფონეტიკური პროცესი განხორციელდა. ქართველური უ ხმოვნის შესატყვისად ჳჳ

უნდა ყოფილიყო ჩერქეზულში, გვაქვს კიდევაც, ოლონდ, მოხდა უ სონანტის მეტათეზისი ფუძის ბოლოში – *ხტეზ-ა → ღეზტჷ.

იზოგლოსები სხვა იბ.-კავკ. ენებიდან ამ ეტაპზე ვერ გამოვლინდა.

ს.-ქართვ. *ხუთ- „ხუთვა, ხრჩობა“

ქართ. ხუთ-ვ-ა, ი-ხუთ-ებ-ა

ცდა იმისა, რომ ზმნური ხუთ- შეიცავს რიცხვით სახელურ ხუთ-ს (ა. ჭინჭარაული) მეტ არ-გუმენტაციას საჭიროებს.

ს.-სინდ. *თჷა- „ხრჩობა“

ადიდ. თჷა-ლ'ჷ „ხრჩობა“

ქართულ-ჩერქეზული ძირები შებრუნებულ წყობას აჩვენებენ, რაც, სავარაუდოდ, ქართველურ ფუძეენაში განხორციელდა.

ს.-ქართვ. *ხულ- „ცხვარი (სახეობა)“

ქართ. (ხევს.) ხულ-ია „ურქო ცხვარი“, ხულ-ა „მოკლე ყურიანი ან უყურო ცხვარი“ (ქეგლ)

სახელური ხულ- ძირი მხოლოდ ქართულის ნიადაგზე გამოიყოფა. იგი წარმოადგენს ერთ-ერთ არქაულ ფორმას, რომელიც ცხვრის მნიშვნელობით გამოიყენებოდა.

ს.-სინდ. *ხტე- „ცხვარი“

ადიდ. ხტე-, სიტყვაში ხტე-რესუტ, ყაბ. ხტე- სიტყვაში ხტე-რეჷა „ცხვრის ტყავი“, შდრ. ყაბ. ხტე-რეტ „ცხვრის გასადევნი შეძახილი“

მხოლოდ კომპოზიტებში შემორჩენილი ადიღური ხტე- ძირი ცხვრის აღმნიშვნელი არქაული სიტყვა ჩანს, რომელიც ფუძეენურ ვითარებას ასახავს. ფაქტია. რომ ბოლოკიდური ლ ჯერ კიდევ პროტოსინდურში დაიკარგა უკვალოდ.

ანდიური იხო „ცხვარი“ და მისი დადესტნური შესატყვისები, შეიძლება, სხვა ეტიმოლოგიას გულისხმობენ [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 248].

ს.-ქართვ. *ხუმარ- „ხუმრობა; ხუმარა; თამაში“

ქართ. ხუმარ-ი „მასხარა“ (საბა), ხუმრ-ობ-ა [აბულაძე 1973 : 564], მესხ. ხუმარ-ი „თამაშია“

სვან. ხუმარ-/ხტმარ-, ლი-ხტმარ-ალ „ხუმრობა“

გვაკლია ზანური შესატყვისები; ალბათ, დაიკარგა. ხუმრ-ობ-ა ზოგ ავტორთან განიმარტება როგორც „მასხრობა, სასაცილო საქმე“ [ჩუბინაშვილი 1887 : 1759], რაც თამაშთან ასოცირდება.

ს.-სინდ. *ჷტამალ'- „თამაში, ცეკვა, გართობა“

უბიხ. ჷტამალ'-ა „თამაში, ცეკვა“

აბაზ. ჷტმარ-რა „თამაში“, ჷტმარ-გა „სათამაშო“, აფხაზ. ა-ხტმარ-რა „თამაში“, ა-ყჩერ-ხტმარ-რა „ჯირითობა“

ადიღური შესატყვისები გვაკლია. სინდურ-ქართველური მასალა შეკრიბა მ. ბუკიამ, მაგრამ ავტორი ქართველურიდან სესხებას უჭერს მხარს [ბუკია 2016 : 66-67]. სესხების თეორიას ვერ გავიზიარებთ, თუნდაც იმიტომ, რომ სინდურ მასალაში ვლინდება კანონზომიერი და რეგულარული უბიხ. ლ' : აფხაზ.-აბაზ. რ (შდრ. უბიხ. ლ'ა : აფხაზ. რ-რ, აბაზ. რე „ჯარი“ ~ ს.-ქართვ. *ერ-, ქართ. ერ-ი „ჯარი“...) ბგერათშესატყვისობა. გარდა ამისა, სესხების დაშვებით ვერ აიხსნება ჷ აფრიკატის პოვნეირება აბაზურსა და უბიხურში.

ს.-ქართვ. ***ხუპ**- „კრეფა, შეგროვება / შექუჩება; ხვრეპა“
ქართ. (იმერ.) **ხუპ**-, მო-**ხუპ**-ვ-ა „ბადის კრეფა მებადურის მიერ“
ზან. (მეგრ.) **ხუპ**-უ-ა „ხვრეპა“, ფ-**ხუპ**-უნქ „ხარბად ვსვამ“
სვან. **ხუპ**-/ხუპ-, ა-**ხუპ**-ე / ა-**ხუპ**-ე „აგროვებს, აქუჩებს“

უფრო ზოგადი მნიშვნელობა სვანურ ერთეულს ახასიათებს, კერძოდ, თუ მეგრულში ეს სიტყვის ხარბად მოგროვება / ხვრეპა ქართულში – ბადის კრეფა / მოგროვება, ხოლო სვანურში – გროვება / მოქუჩება.

ს.-სინდ. ***ხუგ**- „პირსავსეობა, ყლაპვა / ყლუპი“

ადიდ. მა-**ხუგ**მ-ა-ლჷ „პირსავსე; ყლუპი“, ყაბ. **ხუგ**გ-ენ „ყლაპვა“

ფონეტიკური სახესხვაობა ერთი ძირის ფარგლებში მკ/ფ იმაზე მიუთითებს, რომ ეს ძირები ბგერწერით პრინციპზეა აგებული. ქართველურ ენა-კილოებში **ხუპ**- სტაბილურია მის ნებისმიერ გამოვლინებაში.

მეტი სტაბილურობა ახასიათებთ დადესტურ შესატყვისებსაც, შდრ.: ლაკ. **ხუპ**, თაბას. **ხუმ**, ლეზგ. **ხუპ**, ხინალ. **ხოზ**, რუთ. **ხუპ** „პირსავსე / გატენილი“, *შეგროვება / შექუჩება / პირსავსეობა / ყლაპვა* საერთო რიგის სემანტიმებია [იხ. მეტი დად. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 1082].

ს.-ქართვ. ***ხურს**-ა „დამჟავებული შრატი“

ქართ. (მოხ.) **ხურსა** „დამჟავებული შრატი“ (ს. მაკალათია)

სიტყვა დასტურდება მხოლოდ მოხეურში, მაგრამ შესაძლოა, ინახავდეს საერთოქართველურ ფუძეს, რომელიც სხვა ქართველურ ენა-კილოებში დაიკარგა.

ს.-სინდ. ***ხუმ**-ჰ „რძე“

აბაზ. **ხუმ**, აფხაზ. **ჰ-ხუმ** „რძე“

ჩერქეზულ ენებში შესაბამისი ძირ-ფუძე დაკარგული ჩანს. არ გამოვრიცხავთ, რომ ოსური **ჰ-ხსგ**-რ „რძე“ ადილური ენებიდან იყოს შეთვისებული, რაზეც ძირის აუსლაუტიც მიუთითებს.

ს.-ქართვ. ***ხურს**-ა : ს.-სინდ. ***ხუმ**-ჰ კანონზომიერ სტრუქტურულ-სემანტიკურ შესატყვისობას წარმოადგენს.

სხვა იბ.-კავკ. ენებში გენეტიკურად საერთო მასალა ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვ. ***ხუსთ**- „ხუთი“

ქართ. **ხუთ**- „ხუთი“, მე-**ხუთ**-ე

ზან. **ხუთ**-ი, მა-**ხუთ**-ა „მეხუთე“

სვან. ჟო-**ხუმ**დ / ჟო-**ხუმი**დ „ხუთი“

ხუთის აღმნიშვნელი სახელები თითქმის იდენტურია ქართველურ ენებში. სხვაობას ქმნის ჟო- თანმიმდევრობა სვანური ალომორფის ანლაუტში, რასაც ემატება სვანურშივე შდ კომპლექსი ქართულ-ზანური თ-ს ნაცვლად. სვანური მონაცემის საფუძველზე ***ხუსთ**- არქეტიპის აღგენა უპრიანი ჩანს [კლიმოვი 1964 : 262].

ს.-სინდ. ***შთხუგ** „ხუთი“

ადიდ. თჷგ ← ***თხ**ჷგ, ყაბ. **თხუგ** „ხუთი“

უზბიხ. **შხგ** „ხუთი“

აბაზ. **ხჷ**-ბა, აფხაზ. **ხჷ**-ბა „ხუთი“

მეტად საყურადღებოდ გვეჩვენება ს.-სინდ. არქეტიპზე მსჯელობის დროს უზბიხური შ ნაცვლად ადილური თ^სი. მიგვაჩნია, რომ ზოგ შემთხვევაში ეს ეხმიანება ქართ.-ზან. თ : სვან. შთ → შდ/ტ შესატყვისობას, ანუ სინდურ ენებშიც უზბიხურში შთ უნდა გვექონოდა ადილური თ-ს წილ სვანურივით, რომლის გამარტივებითაც მივიღეთ თ : შ ოპოზიცია. ამიტომაც ვარჩიეთ ს.-სინდ.

პროტოტიპად ***შითხტე**- სახეობის რეკონსტრუქცია, რომელიც ს.ქართვ. ***ხუსთ**- არქეტიპის შებრუნებული წყობის კანონზომიერი შესატყვისია [ჭარაია 1912 : 40].

ს.-ქართვ. ***ხუმ**- „ფურთხი“

ქართ. (მობ.) **ხუმ**-ი „ფურთხი“

ზან. (ლაზ.) **ხუმე**-ი „საქონლის განავალი“

სვანური შესატყვისი არ ჩანს. ლაზური **ხუმე**- (← ***ხუმე**-) სახელი კანონზომიერად შეესატყვიება ქართულ **ხუმ**- ძირს, შდრ. ქართ. შ : ზან. შქ → // შკ.

ს.-სინდ. ***ხუმე**- „ჟღვინტი“

აზაზ. (ტაპანთ.) **ხუმე** „ჟღვინტი“

ჩერქეზული მონაცემების უქონლობის გამო ძნელდება საერთოსინდური არქეტიპის რეკონსტრუქცია ხმოვნურ ნაწილში. ჩვენი ვარაუდით, ფუძეენურ **გ** ხმოვანს შუალედურ (გარდამავალ) ვარიანტად **ჰ** უნდა მოეცა, საიდანაც ხშირად ვითარდება ხოლმე აფხაზურ-აზაზური **ა** სადა ხმოვანი – **გ** → **ჰ** → **ა**.

მონათესავე იბ.-კავკ. ენებში სათანადო ძირებს ამ ეტაპზე ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვ. ***ხუნ**- „ვიწრო“

ზან. (ლაზ.) **ხუნ**-, ო-**ხუნ**-უ „დავიწროება“, **ხუნ**-ერ-ი „ვიწრო“, შდრ. მეგრ. ტოპ. **ხუნ**-ი

სვან. **ხუნ**-, ნა-**ხუნ**-ი „ვიწრო“, ხ-ო-ნ-**ხუნ**-ა „უვიწროესი“, ნა-**ხუნ**-მ-არა „id“

საჭიროა, ერთმანეთისაგან მკაცრად გაიმიჯნოს ქართ. **ვიწრო** (ძვ. ქართ. **იწრო**) და სვან. ნა-**ხუნ**-ი „ვიწრო“ სიტყვები; მათ შორის საერთო (გარდა სემანტიკისა) არაფერია. ამდენად, **ხუნ**- ძირი, რომელსაც საერთოქართველური ეტიმოლოგია ახასიათებს, დამოუკიდებელი ოდენობაა; ლაზურ-სვანური იზოგლოსის შესატყვისი ჯერ კიდევ არ ჩანს ქართულში.

ს.-სინდ. ***ხუნე**- „პატარა, მცირე“

აფხაზ. ა-**ხუნე** // ა-**ხუნე** „პატარა, მცირე“, ა-**ხუნე**-გ-მგჟ „წვრილმანი რამ“, ა-**ხუნე**-ხა-რა „დაპატარავება“

საერთოსინდური არქეტიპის რეკონსტრუქციას ართულებს ის ფაქტი, რომ არ გვაქვს სხვა აფხაზურ-ადილური შესატყვისები. აზაზური **ხუნე**- „პატარა“, ალბათ, განსხვავებულ წარმომავლობას ვარაუდობს.

სემანტიკური თვალსაზრისით, ოპოზიცია **ვიწრო** ~ **პატარა** შუა რგოლად (ეტიმონად) **წვრილის** შინაარსს გულისხმობს, რაც პოვნირია კიდევ აფხაზურში.

შეიძლება სვანურ-აფხაზური იზოგლოსების შესატყვისი იკითხებოდეს ლეზგ. **ლუნე**-ი „პატარა“ სიტყვაში.

ს.-ქართვ. ***ჯაბ-ო** „ხახა, პირის ღრუ“

სვან. **ჯაფ(უ)**, **ჯაფ** (ლშხ.) „პირის ღრუ, ხახა; პირი“

უფრო ძველი სახეობა სვანური ძირისა უნდა იყოს შემორჩენილი **ჯაბუ** // **ჯაბუ** „პირადმა“ ზმნისართში. ცხადია, სწორედ რომ **ო** → **უ** არის ასახული ამ სიტყვის აუსლაუტში, თორემ **ფუ/ბუ** კომპლექსები ქართველური ფუძეენის წიაღში არც იყო პოვნირი. ფიქრობენ ქართულ (დიალ.) ყაპო „ღაბაბი“ სიტყვასთან სვანური ალომორფების ეტიმოლოგიურ კავშირზეც (ნ. მაჭავარიანი).

ს.-სინდ. ***ჯაბ-გრ** „ყელი“

უზბეკ. **ჯემბერ** „ყელი“, топио

ფუძეენური წარმომავლობის სიტყვა მხოლოდ უზბეკურ ენაში ფიქსირდება. ამ უკანასკნელში **ა** → **გ** რედუქცია-ასიმილაციის ნამდვილი კვალი ჩანს, ისევე, როგორც **ბ** → **მბ** საკუთრივ უზბეკური ინოვაცია.

სინდურ-ქართველურ ენებს შორის ურთიერთსესხების შესაძლებლობა გამოირიცხება, ვინაიდან ანგარიშგასაწევი შესატყვისები მონათესავე დადესტურ ენებშიც დასტურდება, შდრ. ხვარშ. ყირბ-ად „ყელი“.

ს.-ქართვ. *ჯად-ე „მთა; ციცაბო კლდე“
ქართ. ჯდე „მთა სტეფანწმინდაში“, შდრ. ჯადო
ზან. (მეგრ.) ხენდა „ციცაბო კლდე“

სვანური შესატყვისი ვერ გამოვლინდა. ინლაუტური გ მეგრულში ფონეტიკური ჩანართია, ხოლო ნეტრალური გ ხმოვანი ისტორიული ო-ს რეფლექსია – ო → გ. საყურადღებო ჩანს ბოლოკვიდური ქართ. ე : ზან. ა ბგერათშესატყვისობა.

ს.-სინდ. *ჯად-ჰ „კლდე; ნაპირი“
აბაზ. (ტაპანთ.) ჯათა „ნაპირი, კლდე“

სიტყვა შემონახულია მხოლოდ აბაზური ენის ტაპანთურ დიალექტში, თუმცა, ამავდროულად, ასახავს ფუძეენურ რეფლექსს. ანლაუტური დ → თ დაყრუების ფონეტიკური პროცესი საკუთრივ აბაზური ინოვაცია ჩანს.

აბაზურ-ქართველური იზოგლოსების კანონზომიერი შესატყვისი შეიძლება, ჩანდეს დადესტურშიც, შდრ. კარატ. ყედა „მთა“.

ს.-ქართვ. *ჯალთ-ა „ტყავის ტომარა, გუდა“
ქართ. ხალთა „გუდის ვაშკარანი“ (საბა)
სვან. ხალთ // ხალთა „გუდა“

მეგრული ხართა „გუდა“ ნასესხებია ქართულიდან ლთ → რთ დამახასიათებელი ფონეტიკური გარდაქმნით. დასაშვები ჩანს ჯ → ხ სპირანტიზაციის პროცესი ჯერ კიდევ საერთოქართველურში, რომელიც ჯ/ხ სუბსტიტუციას ნიშნავს პროცესის საწყის ეტაპზე, შდრ. ჯარო / ხარო ძველ ქართულში და სხვ.

ს.-სინდ. *ჯათ-ჰ „ტყავის ტომარა, გუდა“
უბიხ. ჯათჰ „ტყავის ტომარა“
აბაზ. ხათგ „ტყავის ტომარა“, აფხაზ. ა-ხათ-რა „გუდა“

გვაკლია ადილური ალომორფები. აფხაზურშივე აფიქსირებენ ა-ჰათა „ხალთა“ ლექსემას, რომელიც სამართლიანად არის მიჩნეული ქართველიზმად [ჭარაია 1912 : 15]. ამავდროულად აფხაზური ა-ხათ-რა და ყველა სხვა სინდური მონაცემი დაკავშირებულია ქართულ ხალთა სიტყვასთან სესხების დაშვებით [ბუკია 2016 : 63], რასაც ვერ დავეთანხმებით, ვინაიდან ქართულ-ჩერქეზულ იზოგლოსებთან გვაქვს შეხება. სხვა რომ არაფერი იყოს, ახსნას ითხოვს ხ → ჯ ადაპტაციის პროცესი, რაც სესხების თეორიით ვერ აიხსნებოდა უბიხურში.

ს.-ქართვ. *ჯამ- „ტყავი“
ძვ. ქართ. ჯამ-ლ-ი „ფერჯთსაცმელი“ (საბა), ჯამ-იერ-ი „ფეხსაცმლიანი“, უ-ჯამ-ურ-ი „უფეხსაცმლო, ფეხშიშველი“, მე-ჯამ-ლ-ე, სა-ჯამ-რ-ობ-ელ-ი „წინდა-პაიჭი“ (საბა)
სვან. ჯამ-ირ (ბზ.), ჯემ-ურ / ჯემ-გრ (ლშხ.) „საქონლის ფეხების ტყავი“

გ. კლიმოვი ქართულ-სვანური ძირების გვერდით მოიხმობდა ზან. (მეგრ.) ხვემურ-ი „არაგამჭოლი ნახვრეტი“ ფორმასაც, რომლის სემანტიკა ვერანაირად ვერ ჩაჯდება განხილულ ფუძეთა შინაარსში [კლიმოვი 1964 : 263].

აქამდე პრობლემას ქმნიდა ფუძის აუსლაუტური მიმართება ქართ. ლ : სვან. რ, მაგრამ ქართულში სა-ჯამ-რ-ობ-ელ-ი დერივატის პოვნირება ცხადყოფს, რომ -ლ-/Vr- არაპირეული სეგმენტი შეიძლება იყოს.

ს.-სინდ. ***ჯამ-გ** „ტყავი / ბეწვი“
უბიხ. **თ-ხამგ** ← ***დ-ჯამგ** „ტყავი / ბეწვი“
აბაზ. **ჯამგ**, აფხაზ. **ა-ხამგ** „ქურქი“

როგორც ეტყობა, ჩერქეზულ ენებში ძირი **დ-** კლასნიშნით იყო ანლაუტში გართულებული, რასაც უბიხურ ფორმაში **ჯ-**ს დეზაფრიკატიზაცია მოჰყვა შედეგად.

საერთოქართველურ ფუძეთა საერთო წარმომავლობის თაობაზე ადრეც მიუთითებდნენ [კლიმოვი 1964 : 263].

სპირანტიზებული შესატყვისები იძებნება დადესტნურ ენებშიც, შდრ.: ლეზგ., თაბას., ალულ. **ხამ** „ტყავი, კანი“.

ს.-ქართვ. ***ჯან-** „ძალა, შეძლება“
ქართ. **ჯნ-**, **მ-ჯნ-**ე „შემძლებელი“ (საბა), სი-**მ-ჯნ-**ე „ძალა და შეძლება“
სვან. **ჯამ-**, **ჯამ-შა**, **ჯამ-აშ-ა** „ძალა, ღონე, შეძლება“

თუ სვანურში **-აშ-ა** სუფიქსად გამოიყოფა [ჩუბუა 2000-2003 : 402], მაშინ, ცხადია, სვანური **ჯამ-** რედუცირებული ქართული ***მ-ჯან-**ე → **მ-ჯნ-**ე ალომორფის კანონზომიერი შესატყვისი გამოდის, ვინაიდან **ნ** → **მ** ბილაბიალიზაციის ფონეტიკური პროცესი სვანურში ბუნებრივი ჩანს: სვან. **ღგრგიმ** / ქართ. (← ზან.) **ლოგინ-**ი, სვან. **ღოშგინ** → // **ღოშგიმ** „უკან“...

ს.-სინდ. ***ჯარ-** „ძლიერება“
ადიდ. **ჯარ-გნ** „ძლიერება, სიმძლავრე“

სპეციალურ ლიტერატურაში საკითხს სვამენ სესხების მიმართულების თაობაზე [ბუკია 2016 : 138]. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ ადიღური **ჯარ-გნ** შეიცავს ს.-ქართვ. ***ჯან-** არქეტიპის შესატყვის ძირს. ***ჯან-*/ჯარ-** პალეოკავკასიური ეტიმოლოგიის მასალას წარმოაჩენენ.

შემდგომი კვლევა-ძიება უნდა გაგრძელდეს ამ არქეტიპთა დადესტნური და ნახური შესატყვისების გამოსავლენად.

ს.-ქართვ. ***ჯაპ-** „გოგრა, კვახი“
ქართ. **ხაპ-**ი „მწარე გოგრა“ (ჩუბინაშვილი), **ხაპ-ერ-**ი „გოგორის სახეობა“, **ხაპ-ერ-ა-ე** „id“
ზან. (მეგრ.) **ხოპ-**ორ-ო „ხაპერა; გოგორის სახეობა“

გვაკლია სვანური შესატყვისი. მეგრული ალომორფიც მხოლოდ ქართ. **ხაპ-ერ-** დერივატის შესატყვისობას ასახავს. არ ჩანს ძირეული **ხაპ-** ფორმის შესაბამისი **ხოპ-** ვარიანტი.

ს.-სინდ. ***ჯაბ-** „გოგრა“
ადიდ. (ჰემგ.) **ჯაბ**, აბძახ. **ყაბ** „საზამთრო“, ბჟედ. **ჯაბ** „გოგრა“

მნიშვნელობის გადაწევა **გოგრა** → **საზამთრო** აბძახურში ჩანს მომხდარი. ალბათ, მას შემდგომ, რაც **საზამთრო** გამოჩნდა რეგიონში.

ს.-სინდ. ***ჯაბ-** : ს.-ქართვ. ***ჯაპ-** კანონზომიერ შესატყვისობად მიიჩნევა. **პ** → **ბ** სინდური ინოვაცია უნდა იყოს, რაც ბუნებრივიცაა. ვინაიდან არ გაგვაჩნია ძველქართული და სვანური ინფორმაციები სამიებელი ძირის შესახებ, საერთოქართველური არქეტიპის რეკონსტრუქცია დაეყრდნო სინდურ ფორმათა ჩვენებას, სადაც **ჯ/პ** ალომორფები მყარად ზის და ქართულ-ზანურივით არ განიცდის სპირანტიზაციას.

ს.-ქართვ. ***ჯაპ-ა** „მუწუკის ქერქი; აქერცვლა“
ზან. (მეგრ.) **ხოპ-ო** „იარის, მუწუკის ქერქი“, ლაზ. **დე-ხოპ-**უ „კანის აფრქვევა, აქერცვლა“

ვინაიდან ძირი მხოლოდ მეგრულ-ლაზურიდან არის ცნობილი, ჩვენი წარმოდგენა საერთოქართველური არქეტიპის შესახებ ვერ იქნება სრული; გამომდინარე იქიდან, რომ ზანურს არ შემო-

რჩა ფარინგალური რიგის ყრუ ფშვინვიერი **ჯ** აფრიკატი. დამხმარე საშუალებად გამოდგება მონათესავე სინდურ ენათა ჩვენება, სადაც **ჯ** ფარინგალი უფრო სტაბილურია.

ს.-სინდ. ***ჯაპ-ა** „ქერტლი“

ადიდ. (ჭემგ.) **ჯამპ**, ყაბ. **ჯაპპ** „ქერტლი“

სწორად არის შემჩნეული ის ფაქტი, რომ ადიღეურში **პ**-ს წინ წყვილბაგისმიერი **მ** ფონეტიკურად არის განვითარებული [კვახაძე 2014 : 143]. იმავე ადიღეურში ბოლოკიდური **ა-ც** ჩავარდნილა, ასე რომ ყაბარდოელების ჩვენება ბევრად უფრო არქაული ჩანს.

ს.-ქართვ. ***ჯაპ-ა** : ს.-სინდ. ***ჯაპ-ა** აჩვენებს კანონზომიერ მიმართებას, რასაც სემანტიკური მხარეც ეხმიანება. *ქერქი / ქერცლი ~ ქერტლი* საერთო რიგის სემანტიკებია.

ს.-ქართვ. ***ჯაფ**- „ქარქაში“

ქართ. (მესხ.) **ხაფ**-ი „ქარქაში“

ვინაიდან **ჯ** არქიფონემა მესხურ დიალექტში შეერწყო **ხ** სპირანტს, ანუ **ჯ-ხ → ხ-ხ** (მოიშალა **ჯ ~ ხ** კორელაცია), სავსებით ბუნებრივი ჩანს ფუძეენური მდგომარეობისათვის **ჯ** აფრიკატ-ფარინგალის დაშვება.

სავარაუდოდ, ფუძეენური წარმომავლობის სიტყვა მხოლოდ ქართული ენის მესხურ დიალექტებში შემოგვრჩა.

ს.-სინდ. ***ჯარფ-ა** „სახური; საფარი“

აბაზ. (ტაპანთ.) **ჯარფა** „სახური“, **ჯარფა-რა** „დაფარვა“

სემანტიკურად *დაფარვა // საფარი ~ ქარქაში* ახლომდგომი სემანტიკებია, რასაც ზურგს უმაგრებს ერთგვაროვანი სტრუქტურული და ფონემური შედგენილობა.

პერსპექტიული ჩანს ჰინუხ. **ყეფ-ე** ქურა „დაფარვა“ ზმნასთან გენეტიკური მიმართების მტკიცება. თუმცა ძნელი სათქმელია, რამდენად მართებულია დარგ. **ყაპ- // კაპ**-ბირეს „დაფარვა“ ძირ-ფუძეთა ამ რიგში შემტანა. საკითხი დამატებით შესწავლას საჭიროებს.

ს.-ქართვ. ***ჯაფრ**- „ხავერდა“

ქართ. (გურ.) **ხაფრ-ან-ა** „ხავერდა“ (მცენ.)

ვინაიდან გურულ დიალექტში მოიშალა **ჯ ~ ხ** კორელაცია, ვვარაუდობთ, ***ჯაფრ**- არქეტიპის არსებობას საერთოქართველურში. ცხადია, რეკონსტრუქციის პროცედურაში გავითვალისწინეთ სინდურ ენა-კილოთა მონაცემებთა ჩვენება.

ს.-სინდ. ***ჯ(უ)არფ**- „სოკო; ბაბუაწვერა“

ადიდ. (ჭემგ.) **ჯარაზ** „ბაბუაწვერა“, ყაბ.(ბასლ.) **ჯუარფ** „სოკო“

გარკვეული კითხვის ნიშნებით ვარაუდობენ ამ ფუძეთა ერთიან წარმომავლობას [კვახაძე 2014 : 57], რასაც ჩვენც ვიზიარებთ. უფრო მეტიც, ვუშვებთ ჩერქეზულ ალომორფთა ფუძესინდურ წარმომავლობას, რომელსაც ს.-ქართვ. ***ჯაფრ**- შეესატყვისება.

სამიეზო პარალელები არ ჩანს ნახურ და დაღესტნურ ენებში. საკითხი დამატებით შესწავლას საჭიროებს.

ს.-ქართვ. ***ჯეუ**- „ხევი; ხეობა“

ძვ. ქართ. **ჯევ-ი**, **ჯევ-ნ-ებ-ი**, **ჯევ-ის-ბერ-ი**, **ჯევ-ის-უფალ-ი**, ახ. ქართ. **ხევ-ი**

ზან. (მეგრ.) **ხაზ-ო** „ხევი“; „ფლატე“

სვან. **ჯეუ** „ხევი; ხეობა“, ჩუბე-**ჯეუ** (ტოპ.)

ზუსტი ჩანს მსჯელობა იმის შესახებ, რომ იმერული **ხაზო** „მდინარის ნაპირი“ ზანიზმია [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 712]. და მაინც, გასარკვევია **ნ-ს** (ძვ. ქართ. **ჯევ-ნ-ებ-ი**) და **-ო**-ს ფუნქცია

ქართველურ მასალაში (მეგრ. ხაბ-ო).

ს.-სინდ. *ჭუჷ „ხეობა; ველი“

ადილ. ჭუჷა, ყაბ. ჭუჷა „ხევი, ხეობა; ველი“

უბიხ. ჭუჷა „ველი“

ქართველურ-სინდური ფუძეების ერთიანი წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს. სახეზეა როგორც სტრუქტურული, ისე სემანტიკური იგივეობა.

შეიძლება დაგვევა საკითხი დაღესტნურ ძირებთან გენეტიკური მიმართების შესახებაც, შდრ. არჩიბ. ჯარ „ღრმა ხეობა; ვიწრო ხევი“, ოღონდ გადასამოწმებელია ვ → რ ფონეტიკური პროცესის ალბათობა არჩიბულში.

ს.-ქართვ. *ჯემ-ალ- „დანა, ხმალი“

ძვ. ქართ. ჯრმალ-ი // ჯმალ-ი, ახ. ქართ. ხმალ-ი

ზან. (მეგრ.) ხამუ, ლაზ. ხამ-ი // ხამუ (ათინ.) „დანა“

შესაბამისი ძირი სვანურიდან ვერ მოვიძინთ. ქართულ-ზანურ შესატყვისობაში ვლინდება - ალ-/-უ ფინალური შეფარდება, რაც იმეორებს ქართ. წყალ-ი : ზან. წყუ „წყალი“ შეპირისპირების უცილობელ პრაქტიკას.

ს.-სინდ. *ჯაბ-ა „სახნისი“

აბაზ. ჯაბა „სახნისი“

სინდურ ქვესისტემებში არსად ჩანს აბაზურის შესატყვისი ალომორფი, რაც ვერ იქცევა დამბრკოლებლად, ვინაიდან აბაზურ-ქართველურ იზოგლოსებს პარალელები უჩანს ნახურ ენებში, შდრ. წ.-თუმ. მაუჯუ (← ს.-ნახ. *მაჯუ) „სამართებელი“.

ფიქსირებული სემანტიკური ოპოზიცია დანა / ხმალი ~ სახნისი ~ სამართებელი ეტიმონად მჭრელის შინაარსს ვარაუდობს.

ს.-ქართვ. *ჯერ- „გაშტერება, გაშეშება“

ქართ. (მოხ., თუმ.) გა-ჯერ-ებ-ა-ე „გაშტერება, გაშეშება“, ფშ. გა-ხერ-ებ-ა „გაშეშება“

სიტყვა პოვნიერია მხოლოდ ქართულ ენის დიალექტებში. მიუხედავად ამისა, შესაძლებელი ჩანს მისი რეკონსტრუქცია ფუძეენაში, რასაც გარეენობრივი მასალა გვეკარნახობს.

ს.-სინდ. *ჯ- „გაშტერება; გაქვავება“

ადილ. (შაფს.) ჯგ-ნ „გამაგრება, გაქვავება“, ჭემგ., ბჟედ. ჯგ-ნ „გაშტერება“, ყაბ. ჯგ-ნ „გაშტერება, დარეტიანება“

უბიხ. ჯგ-, სგ-ჯგ-ნ „გაშტერება“

როგორც მრავალ სხვა შემთხვევაში, აქაც ბოლოკიდური რ დაიკარგა ჯერ კიდევ სინდური ფუძეენური ერთობის პერიოდში.

სხვა კონტექსტში ს.-სინდ. *ჯ- არქეტაპის მონათესავედ მიიჩნევენ დაღესტნური სიცივის აღმნიშვნელ ძირ-ფუძეებს, შდრ. ხინალ. ჯი, დარგ. დარჯუ „სიცივე“... [აბდოკოვი 1983 : 175], რაც შეიძლება სადაო იყოს.

ს.-ქართვ. *ჯერ- „რტო, შტო, შვერილი“

ქართ. ჯერ-ი „რტო“, შვიდ-ჯერ-ი „შვიდრტოული“ (საბა)

სვან. ჯერ/ჯერ „სახელური“

ქართველურ ენებს შორის მნიშვნელოვანი ჩანს შესატყვისობა სემანტიკურ დონეზე რტო ~ სახელური, რომლისთვისაც ეტიმონურია გამოშვერილის შინაარსი [ჩუხუა 2000-2003 : 406].

ს.-სინდ. *ჯუჷ- „რქა“

ადილ. ბზა-ჯუჷ, ყაბ. ბზა-ჯუჷ „რქა“

უბიხ. **ჯა** ← ***ჯტა** „რქა“

ვფიქრობთ, აბაზ. **ჭტუჭტა**, აფხაზ. **ს-ტუტჭტა** „რქა“ სხვა ძირია და აქ არ უნდა განვიხილოთ [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 903].

გარე ენობრივი მონაცემებიდან ახლომდგომი ჩანს ხუნძ. (ქად.) **ჭტარ** „მამლის ბიბილო“, ლაკ. **ჯი**, დარგ. **ჯე** „რქა“ ლექსემები.

ს.-ქართვ. ***ვერც**- „გრძელტარა იარაღი, თოხი“

ქართ. (თუშ.) **ვერცო** „გრძელტარა იარაღი, რომლითაც იღებენ საკოდე ხის გულს“

ზან. (მეგრ.) **ქარჩ**-ი „ქვიანი, უყი მიწის დასამუშავებელი ცალპირა იარაღი; თოხი“, **ქარჩ**-უ-ა „ერთგვარი თოხნა“

ისტორიული **ო**-ს შესატყვისი მეგრულში დაკარგული ჩანს, იგი რეგულარულად უჩინარდება ხოლმე, შდრ. ქართ. ღვინ-**ო** : ზან. ღვინ-**ი**... ფონემური მიმართება **ჯ** : **ქ** ბუნებრივად გვესახება – ქართ. მჯცე : ზან. (ლაზ.) ქქე „თეთრი“...

ს.-სინდ. ***ჰანც**-ჰ „ხის ნიჩაბი“

ადილ. **ჰანც**, ყაბ. **ჰანცჰ** „ხის ნიჩაბი“

პროტოსინდურში, ალბათ, პოვნიერი იყო ***ჰანც**-ჰ არქექტიპი, რომელმაც სპირანტიზაცია განიცადა საერთოსინდურში, შდრ. ლაკ. ჯუსა „კოვზი“.

საგრძნობია სხვაობა მნიშვნელობის მხრივ სინდურ-ქართველურში, აქაც დადესტნური ინფორმაცია დაგვეხმარება, ვინაიდან ადილურ სახელებს, ერთი მხრივ, ლეზგ. **ყუსუ** „ნიჩაბი“ სიტყვასთან უკავშირებენ, ხოლო, მეორე მხრივ, იქვე მოხმობილია კრიწ. **ყუსუ** „ცული“ [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 941], რაც ამყარებს ჩვენი შეპირისპირების რეალურობას.

ს.-ქართვ. ***ვეფ**- „კბენა“

სვან. **ვეფ**- „კბენა“, **ვეფ**-ი „იკბინება“, ხ-ე-**ვეფ**-ი „კბენს“, მგ-**ვეფ**-ია (ლნტ.) // მგ-**ვეფ**-ია „კბენია“

ადრე ვფიქრობდით და დღესაც არ გამოირიცხება ქართულ **ვეფ**-ა ზმნასთან ეტიმოლოგიური კავშირი, მაგრამ სხვა კავკასიურ მასალასთან შედარებითი ანალიზი უფრო სვანურ გახმოვანებას უჭერს მხარს. დადესტნური და სინდური შესატყვისები **ჯ/ჰ** ფშვინვიერ ფარინგალებს წარმოაჩენენ სვანურივით. ასე რომ აქ **ყ** → **ჯ** ნაკლებსავარაუდო ხდება [შდრ. ჩუხუა 2000-2003 : 406].

ს.-სინდ. ***ჯტჰ**- „ყეფა, ყმულილი“

ადილ. **ჯტჰ**, ჰა-**ჯტჰ**-ნ „ყეფა“

უბიხ. **ჯტჰ**-ღ „ძაღლის ყმულილი“

აბაზ. **ჯტა**-ჰჰ-რა, აფხაზ. **ს-ხტა**-ა-რა (← **ს-ხტა**-ჰა-რა) „ყმულილი, ყვირილი“

აქაც უკვე საერთოსინდურ ფუძე-ენაში **ფ/ზ** გამხდარა წყარო ძირეული თანხმოვნის ლაბიალიზაციისათვის – **ვეფ/ვეზ** → **ჯტჰ**. ამას ამტკიცებს როგორც ქართველური, ისე დადესტნური მასალა, შდრ.: ხუნძ. **ჰაფ**-, კარატ., ტინდ., ბაგვალ. **ჰაბ**-, დარგ. ღამფ- „ყეფა“...

და მაინც, თუ ქართული **ვეფ**- გლოტალიზებული ვარიანტი გენეტიკურად ახლოა ზემოთ აღწერილ ზმნურ ძირებთან, მაშინ მეგრული **კაფ**-ურ-ი (← ***ყაფ**-ურ-ი) „ძაღლების გნისასი“ ქართ. **ვეფ**-ძირს ვერ დასცილდება.

ს.-ქართვ. ***ჯტაბ**-ა „ჩირგვი; შემობარდული“

ზან. (მეგრ.) **ხიბა** „ლერწმითა და იელით შემობარდული“

სვან. **ჯტამ(ა)** „ბუჩქი, ჩირგვი“, ნათ. ბრ. **ჯტამჰ**-შ

ქართული შესატყვისი არ არის გამოვლენილი [შდრ. ჩუხუა 2000-2003 : 409]. ზანურში უნდა გვეკონოდა **ხუბა** ტიპის ალომორფი, რომელმაც **უ** → **გ** → **ი** ფონეტიკური ტრანსფორმაციით **ხიბა** ვარიანტი მოგვცა. ზან. **ბ** : სვან. **მ** ოპოზიციაში უპირატესობა მეგრულ მონაცემს მიენიჭა, რასაც სხვა

იბ.-კავკ. ენათა ჩვენებაც მხარს უჭერს.

ს.-სინდ. *ჯაბ-ა „მნათა, კონათა ზვინული“
უბიხ. ჯაბუ „მნათა და კონათა ზვინი, გროვა“

სიტყვა განმარტოებით დგას უბიხურში, მაგრამ, სავარაუდოდ, სარწმუნო შესატყვისები ეძებნება ქართველურ (და არამხოლოდ) ენებში.

ძნელია იმის დაშვება, რომ საერთოსინდური არქეტიპი ძირეული თანხმომცემის ლაბიალიზაციის გარეშე იყო წარმოდგენილი, მით უმეტეს მაშინ, როდესაც დალესტნურ მასალაშიც ლაბიალიზაცია მკვიდრია, შდრ. არჩიბ. ჯუაბ „მნა; კონა“.

ხუნძ. (ჭად.) ლობ „ზვინი“ და მისი შესატყვისები აქ ვერ შემოვა, სხვა ეტიმოლოგიისა ჩანს [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 470].

ს.-ქართვ. *ჯუამ- „ლოცვა; ხმა“

ქართ. ჯმ-ა, ჯმ-ობ-ა, ჯმ-ევ-ა „დახმარება“, სა-ჯმ-არ-ი „შესაწევნელი“ (საბა)

ზან. ხომ-ა / ხუმ-ა „ხმა“, ო-ხომ-ინ-უ „გახმობა, ძახილი“, ო-ხვამ-ე „სალოცავი, ეკლესია“, ო-ხომ-ალ-ა „სალოცავი“

სვან. ჯუამ- / ჯუამ- / ჯუამ- „ლოცვა, ლა-ჯუამ- / ლა-ჯუამ- „ეკლესია, სალოცავი“

ცხადია, ლოცვა / დალოცვა, სალოცავი = ეკლესია სემანტიკებს საფუძვლად ხმა / ხმობა სემა დაედო; შდრ. ლათ. orare „თხოვნა, თქმა, ლოცვა“ → oraculum „ღმერთების მისამართი ადგილი“, რუს. орать „ძახილი, ყვირილი“.

უგულებელყოფენ რა ხომ → ხვამ (ო → ვა) გადასვლის შესაძლებლობას, სპეციალურ ლიტერატურაში მსჯელობენ მეგრულ-ლაზური ხვამ- ზმნური ძირის ქართულიდან სესხებაზე [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 716], რაც აბსურდია.

ს.-სინდ. *მაჯუ-ა „ხმა, ბგერა“

ადილ. მჯა, ყაბ. მჯა ხმა, ბგერა“

როგორც სხვა შემთხვევები, აქაც ჯუ კომპლექსში ლაბიალიზაციის მოშლით მიიღწევა ჯს გემინაცია ადილურ ენა-კილოებში – ჯუ → ჯა. სხვა მხრივ, ს.-სინდ. *მაჯუ-ა : ს.-ქართვ. *ჯუამ- მებრუნებული წყობის არქეტიპია. ქართველური არქეტიპი მეორეული ჩანს, რასაც ნახური (შდრ. წ.-თუშ. მოჯ „სიმღერა, ზღაპარი“) შესატყვისებიც ერთხმად ამტკიცებენ.

ს.-ქართვ. *ჯუამ- „დარაჯობა, დაცვა“

ძვ. ქართ. ჯუმ-ილ-ვა „ცვა, მცველობა, ყარაულობა“, სა-ჯუმ-ილ-ავ-ი, მ-ჯმ-ილ-ავ-ი (საბა)

სხვა ქართველურ ენა-კილოებში შესაბამისი ძირ-ფუძეები დღემდე არ არის გამოვლენილი, თუმცა ეჭვგარეშეა, რომ ქართული ჯუმილ- ფუძეენური წარმომავლობისაა.

ს.-სინდ. *ხუემგ- „დაცვა, შენახვა“

ადილ. ხუემგ-, ყუ-ხუემგ-ნ „დაცვა“, უგ-ხუემგ-ნ „შენახვა“, ყაბ. ხუემგ-ნ „დაცვა“

აქ გამონაწევრებული ხუემგ- ძირი, რა თქმა უნდა, აქაც ფუძეენური წარმომავლობისაა. თუმცა საერთოქართველურ *ჯუამ- არქეტიპთან შედარებით იკვეთება ჯ : ხ ოპოზიცია, რაც სპირანტიზაციის იშვიათი ჯ → ხ პროცესით უნდა აიხსნას ფუძესინდურში.

სხვა მხრივ, *ჯუამ- / *ხუემგ- იზოგლოსები უეჭველ სტრუქტურულ-სემანტიკურ იგივეობას წარმოაჩენენ.

ს.-ქართვ. *ჯუანც-ე „ასხმა, კონა“

ზან. (ლაზ.) ხუნჩა „ასხმა, კონა“

ქართულ-სვანური შესატყვისის უქონლობის გამო, მხოლოდ ჩვენს ენებს შორის ფიქსირებული ბგერათშესატყვისობათა ჩვენების საფუძველზე ვცდილობთ საერთოქართველური არქეტიპის

რეკონსტრუქციას. ცხადია, მესხური **ხუნჩა** ზანურ წარმომავლობას გულისხმობს.

ს.-სინდ. ***ჯაცუ-ე** „ნაწნავი“

აბაზ. **ჯეჩუ** „ფრინველის ბიბილო“, აფხაზ. (ბზიფ.) ა-**ხცუტე** „ნაწნავი“

დიდია აბაზურისა და აფხაზურის სემანტიკური სხვაობა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, ვინაიდან ლაკური შესატყვისის შინაარსი ორივე მნიშვნელობას იტევს, შდრ. **ჯუნჩუ** „ქოჩორი; თმის ბლუჯა შუბლზე“, შდრ. ბაგვალ. **ყამჩა** „ფაფარი“...

ქართველური გაგება მეორდება ჩეჩნურში **ჯანჩა** „ბალახის კონა, ერთი მოსმით მოჭრილ/მოთიბული“.

ს.-ქართვ. ***ჯტარდ**- „გამაგრებული ხორცი“

ქართ. (ფშ.) **ხორდ**-ი „ღმურძლი, გამაგრებული და დამრგვალებული ხორცი კანქვეშ“

ფშაური ფორმა, გარკვეული ტრანსფორმაციების გათვალისწინებით ასახავს საერთოქართველურ არქეტიპს.

ზანურ-სვანურში შესაბამისი სახელური ფორმები არ ჩანს.

ს.-სინდ. ***ჯტად**- „გვამი, მიცვალებული“

ადიდ. **ჰად-ჰ**, ყაბ. **ჰად-ჰ** „გვამი, მიცვალებული“

აბაზ. **ჯტად**-ი „მიცვალებული, გვამი“

საერთოსინდურ არქეტიპთან უფრო ახლოს დგას აბაზური ალომორფი. ს.-სინდ. ***ჯტად**- : ს.-ქართვ. ***ჯტარდ**- არქეტიპთან სტრუქტურულ იგივეობას მხარს უჭერს კანონზომიერი სემანტიკური ოპოზიცია – *გამაგრებული ხორცი ~ მიცვალებული*.

სხვა ჯგუფის იბ.-კავკ. ენებში შესაბამისი იზოგლოსები არ არის გამოვლენილი [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 635-636].

ს.-ქართვ. ***ჯტეზ**-ა „პურის კვერი; ღვეზელი“

ძვ. ქართ. **ჯტეზა**-ა „პურის კვერი“, **ჯტეზა** „მრგვალი პური“ (საბა)

ზან. (მეგრ.) **ხვაჟა** // **ხვაჟ**-ია „კონუსისებრი რიტაულური კვერი“

სპეციალურ ლიტერატურაში ძველქართულ **ჯტეზა**-ა ფორმას აკავშირებენ მეგრულ **ხოზო** „მოხარშული კვერი“ სიტყვასთან [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 714-715], რასაც ვერ დავეთანხმებით. ჯერ ერთი, ქართულ ვე თანმიმდევრობას ზანურში ვა უნდა მოეცა, მეორეცა და მეგრული **ხოზო** უპრიანია ქართულ **ღტეზელ**- ფუძეს დაუკავშირდეს.

ს.-სინდ. ***ჯტჰზ**-ა „ყველიანი ნამცხვარი“

უბიხ. **ჯჰზა** „ყველიანი ნამცხვარი“

ფუძესინდური წარმომავლობის სიტყვა მხოლოდ უბიხურში ჩანს შემორჩენილი, დამახასიათებელი დელაბიალიზაციის გავლით – ***ჯტჰზა** → **ჯჰზა**. აფხაზური ა-**ხტაჟტა** „კონუსისებური კვერი“ სწორად არის შეფასებული როგორც მეგრელიზმი [ჭარაია 1912 : 15]. მეტად ღირებულია უბიხური **ჯჰზა**-ვარიანტის სიტყვათა ამ რიგში შემოტანა, მაგრამ მის ქართველურობას ვერ დავეთანხმებით [ბუკია 2016 : 65], ვინაიდან საერთოსინდური წარმომავლობის რეფლექსად მიგვაჩნია, რომელსაც, ქართველურის გარდა, შესატყვისები ეძებნება მონათესავე ნახურ ენებშიც, შდრ. წ.-თუშ. **ჯაჩჟ** „საგზალი“.

ს.-ქართვ. ***ჯტელ**- „ხველა, ხველება“

ძვ. ქართ. ი-**ჯტელ**-დ-ა, **ჯტელ**-ა-ა

ზან. (ლაზ.) **ხვალ**-ი „ნახველი“, ო-**ხვალ**-უ „ხველა, ხველება“, მეგრ. **ხვალ**-ი „ხველა, ნახველი“, ფირტ-**ხვალ**-ი „ჭლექი“, **ხვალ**-უ-ა „ხველება“

სვან. ჯტუმ-ა // ჯტუმ-ა „ხველა“

ძველი ქართული იმეორებს უძველეს ენობრივ მდგომარეობას, ლ → მ საკუთრივ სვანური პროცესი ჩანს (გ. როგავა).

ს.-სინდ. *ჯტჳ- „ხველა“

უბიხ. ჯა „ხველა“

აბაზ. ა-მჰ.ჟა-რა, აფხაზ. აჰ-მჰ.ჟა-რა „ხველა“

თავკიდული მ აფხაზურში ფონეტიკური დანართია, აქვე თავჩენილია ჯტ → ჰტ სპირანტიზაციის ისტორიული პროცესი, ხოლო უბიხურში ლაბიალიზაციის მოშლა განხორციელდა პალატალიზაციის თანხლებით – *ჯტა → ჯა.

ს.-ქართვ. *ჯტერც-ა „მუნი; ქეცი“

ზან. (მეგრ.) ხვარც-ა „მუნი, ქეცი“

ფუძემეწური წარმომავლობის რეფლექსი მხოლოდ მეგრულში ჩანს შემორჩენილი. თუ მეგრული გახმოვანებიდან ამოვალთ და გავითვალისწინებთ ქართ. ე : ზან. ა ბგერათშესატყვისობას, შესაძლებელი ხდება საერთოქართველური არქექტიპის რეკონსტრუქცია.

სვანური ხტარც → // ხტარს ალომორფები მეგრულიდან ჩანს შეთვისებული.

ს.-სინდ. *ცტჳჳ- „მუნი, ქეცი“

აბაზ. ჩტაჳ-რა „მუნი, ქეცი“

თუ მხედველობაში მივიღებთ ც → ჩ გაშიშინების რეგულარულ ტენდენციას აბაზურში, მაშინ ფუძემეწისთვის სისინ-შიშინა სახეობის *ცტაჳ- ზმნა უნდა აღვადგინოთ.

სინდურ-ქართველური არქექტიპები შეზღუდულ წყობას გვიჩვენებენ. მესამე ჯგუფის ენებიდან საკონტროლო შესატყვისის არქონის გამო, რამის თქმა გადაჭრით ვერ ხერხდება.

ს.-ქართვ. *ჯირ- „ქვა“

ქართ. ხირ-, სიტყვაში ხირ-ატ-ი „ქვანარი მიწა“ (საბა)

ფუძე-ენაში ჯირ- არქექტიპის არსებობას ვვარაუდობთ, გამომდინარე იბ.-კავკ. ენათა ჩვენებიდან, შდრ. ნახ. ჯერ „ქვა; კლდე“. სამწუხაროდ, გვაკლია სვანური შესატყვისი. ისე კი უნდა ითქვას ყრუ ფარინგალური აფრიკატი ჯ ყველაზე უკეთ სვანურში არის ხოლმე შემონახული.

ს.-სინდ. *ჯერ- „კლდე“

ყაბ. ყერ „კლდე“

საერთოსინდური არქექტიპი აღდგენილია ყაბარდოული ძირის ჩვენების მიხედვით. ამავე დროულად ვითვალისწინებთ ჯ → ყ მეორეულ ფონეტიკურ პროცესს ყაბარდოულში, რაც იძლევა შესაძლებლობას დაიმეზნოს ნახური ჯერ- „ქვა, კლდე“ და ქართველურ *ჯირ- „ქვა“ ძირ-ფუძეთა სინდური შესატყვისი.

სავარაუდოდ, სიტყვა-ფორმათა ამავე რიგში შემოვა დაღესტნური (ლოდობ.) ჯერუ „ქვიშაქვა“, песчаник ფორმაც.

ს.-ქართვ. *ჯიფ- „შულო; დართვა“

ქართ. ჯიფ-ი „მაფის შულო“, „მაფი დაქსელილი მოკლედ“ (საბა), ახ. ქართ. ხიფ-ი

ზან. (მეგრ.) ხიფ-ი „შულო“, ხიფ-უ-ა „შულოს დართვა“

სიტყვა არ არის გამოვლენილი ძველ ქართულში, მაგრამ ფიქსირდება საბას ლექსიკონში. მეგრული ხიფ- სახელური და ზმნური ძირი კანონზომიერად მიემართება ქართულ ჯიფ- ფუძეს. აღსანიშნავია ჯ → ხ სპირანტიზაციის ერთგვაროვანი პროცესი მეგრულსა და ახალ ქართულში.

ს.-სინდ. *ჯეფ-ა „დაწვნა“

აბაზ. (ტაპანთ.) ჯაფა-რა „დაწვნა“, აფხაზ. ა-ხ^აჯა „მოქსოვილი ფეხსაცმლის წინდები“

გვაკლია ჩერქეზული შესატყვისები, თუმცა ტაპანთური მონაცემი ავსებს ამ ნაკლს. ეს უკანასკნელი სწორად ასახავს ფუძეენურ ვითარებას. აქვე ახსნას ითხოვს ხ^ა პალატალიზებული ალომორფის პოვნიერება აფხაზურში.

ს.-სინდ. *ჯეფა- : ს.-ქართვ. *ჯიფ- „კანონზომიერ მიმართებას აჩვენებს როგორც ფონემური შედგენილობის, ისე სემანტიკური ოპოზიციის თვალსაზრისით. დართვა ~ დაწვნა კორელაცია ლოგიკური ჩანს. გ → ჯ → ა გარდაქმნა ასიმილაციურია აფხაზურ-აბაზურში.

ს.-ქართვ. *ჯიც- „ცომი“

სვან. ჯიც „ცომი“

ნაკლებ შესაძლებლად მივიჩნევთ სვანურ ჯიც- ძირის შესატყვისობას ლაზურ ქც-ალ-ა // ხც-ალ-ა „ლპობა“ (ქც-აფ-ერ-ი // ხც-აფ-ერ-ი „დამპალი“) ზმნასთან. ამავდროულად ძნელად წარმოსადგენია ი-ს რედუქცია ზანურში, რომ არაფერი ვთქვათ სიტყვათა სემანტიკურ სხვაობაზე.

ს.-სინდ. *ჯეცუ-გ „ცომი“

ადიდ. თჰაჯუტუ, ბჟედ. თჰაჯუტუ „ცომი“, ყაბ. თჰაჯუ „ცომი“

როგორც ვხედავთ, ყაბარდოულში მეორეული ვ არის წარმოდგენილი, რაც ცუ → ვ გამარტივების ტენდენციით აიხსნება. გაცილებით უფრო ადრე, საერთოჩერქეზული ენობრივი ერთობის დონეზე ფუძეენური დ+ჯ თანმიმდევრობა რეგრესული ასიმილაციისა და სპირანტიზაციის კომბინირებული ფონეტიკური პროცესების მოქმედებით თჰ. B ჯგუფის ჰარმონიულ-დეცესიურ კომპლექსში გადავიდა.

აღწერილ ძირთა ნახური შესატყვისი შემონახული ჩანს ოსური ენის ირონულ დიალექტში ხგსა „ცომი“ სპირანტიზებული სახეობით.

ს.-ქართვ. *ჯმარ- „მოხმარება, შეწევნა“

ძვ. ქართ. ჯმარ-ებ-ა, სა-ჯმარ-ი, უ-ჯმარ-ი, ახ. ქართ. ხმარ-ებ-ა

ზმნური ძირი ცნობილია ძველი ქართულიდან დღემდის, თუმცა კანონზომიერი შესატყვისები არ ვლინდება ახლომონათესავე ქართველურ ენა-კილოებში. მეგრულ-ლაზური ხვარ- / ხმარ-ნასესხებია ქართულიდან.

ს.-სინდ. *ჯუა- „დახმარება“

აბაზ. ჯუა-რა „დახმარება“, აფხაზ. ა-ხ^აუა-რა „დახმარება“

ჩერქეზული მონაცემები გვაკლია, თუმცა აფხაზური და აბაზური ავსებს ამ ნაკლს [ჭარაია 1912 : 41]. ამ უკანასკნელში ამოსავალი ფარინგალური რიგის ყრუ აფრიკატი უცვლელად არის შემონახული. აფხაზურსა და ახალ ქართულში ჯ → ხ სპირანტიზაცია ფიქსირდება, რაც ჯ ფონემის მოშლის ტენდენციით არის შეპირობებული.

საინტერესო ჩანს Cმ → Cუ ერთგვაროვანი ტრანსფორმაცია მეგრულსა და აფხაზურ-აბაზურში, რომლის საფუძველიც განსხვავებული ჩანს: მეგრულში Cმ → Cუ თანხმოვნის ლაბიალიზაცია განხორციელდა ფონოტაქტიკური შეზღუდვის გამო, აკრძალულია ნებისმიერი თანხმოვანი + მ სონორი, როგორც მზარდი ლიაობის არაჰარმონიულ-დეცესიური კომპლექსი, ხოლო სინდურ ენებში მ ბ ფ საზოგადოდ ერთ-ერთი წყაროა ლაბიალიზებულ თანხმოვანთა ჩამოყალიბების გზაზე ო და უ ხმოვანთა ბიფურკაციასთან ერთად.

ქართველური რ ვიზრანტის შესატყვისი აუსლაუტში ჯერ კიდევ ფუძესინდური პერიოდის ჩანს დაკარგული.

ს.-ქართვ. *ჯორ-ე „მელოტი“

ზან. (მეგრ.) ხორა // ხვარა „მელოტი“

მეგრულში ხვარა ალომორფი ზუგდიდურ-ჯვარული და სამურზაყანოული მეტყველების ფაქტია და მეორეულ ვითარებას ასახავს. სენაკური ხორა არქაული ჩანს, შდრ. ქართ. გორა : ზან. გოლა → // გვალა; ასიმილაციური პროცესია. ივარაუდება ჯ → ხ სპირანტიზაციის პროცესი ზანურში, რაც წმინდად ჰიპოთეტური ხასიათისაა.

ს.-სინდ. *ჯუზ- „მელოტი“

ადილ. ჯუგ-ფგ, ყაბ. ყუი-ფ (← *ყუგ-ფ) „მელოტი“

სპეციალურ ლიტერატურაში ფიქსირდება მცდელობა სიტყვათა ამავე რიგში აბაზ. ჯუგ და აფხაზ. ა-ხუგ „თმა, ღინღლი“ ალომორფების შემოტანისა [შაგიროვი 1977, I : 232], დაშვება მიუღებელია როგორც ფორმალური, ისე სემანტიკური თვალსაზრისით.

ს.-ქართვ. *ჯორ-ე : ს.-სინდ. *ჯუზ- კანონზომიერ ფონეტიკურ და სემანტიკურ შესატყვისობას წარმოაჩენს. ჯ → ყ გლოტალიზაცია საკუთრივ ყაბარდოულ ინოვაციად გვესახება.

გენეტიკური მიმართების თვალსაზრისით, შეიძლება საინტერესო იყოს კარატ. ჰულო „მელოტი“ ფორმასთან მიმართება.

ს.-ქართვ. *ჯორც- „ჭვრეტა“

ზან. (ლაზ.) ხორც-არ // ხოს-არ „ჭვრეტა“, ნ-ო-ხორს-არ-ს „უჭვრეტს“, მეშ-ი-ხორს-არ-ს „უთვალთვალებს“

მსგავს პოზიციაში ც → ს სპირანტიზაციის ფონეტიკური პროცესი ლაზურისათვის ბუნებრივი ჩანს, შდრ. ქართ. ჯოც- „მოხოცვა“. ზან. (ლაზ.) ხოს- (← *ხოც-) „წმენდა (ხილის)“ [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 719]. ამ უკანასკნელში ერთროულად ვლინდება როგორც ც → ს, ისე ჯ → ხ. ამ ფაქტის გათვალისწინებით ვცადეთ სწორედ ს.-ქართვ. *ჯორც- არქეტიპის რეკონსტრუქცია, ვინაიდან -არ (ხორს-არ-) ზმნური სუფიქსი ჩანს ლაზურ-მეგრულში.

ს.-სინდ. *ჯუზც- „ფიქრი“

აბაზ. (ტაპანთ.) ჯუგც-რა, აფხაზ. ა-ხუგც-რა, ბზიფ. ა-ხუგც-რა „ფიქრი“

ჩერქეზული მონაცემები ვერ გამოვლინდა. მიუხედავად ამისა, ვერ გავიზიარებთ აფხაზურ-აბაზური ალომორფების შემდგომი სეგმენტაციის შესაძლებლობას; ჯუგც- / ხუგც- ერთიანი ძირია [ჩირიქა 1996 : 59], რომელიც კანონზომიერად შეესატყვისება ს.-ქართვ. *ჯორც- ზმნას. სემანტიკური კორელაციის თვალსაზრისით, ჯვრეტა ~ ფიქრი ოპოზიცია ბუნებრივი ჩანს, შდრ. ქართ. გან-ჭვრეტა / ჯვრეტა.

სინდურ-ქართველურ იზოგლოსებს ბუნებრივად ეხმიანება დადესტნური ინფორმაცია, შდრ. ლაკ. ჰუჩა-ა „ფიქრი; იდეა; გაგება“.

ს.-ქართვ. *ჯოჯო- „ხოხობი“

ქართ. ჯოჯო-ბ-ი (ფრინ.) „ხოხობი“ (საბა)

ფრინველთა დასახელებაში ხშირად მეორდება -ბ- დაბოლოება, რაც მის აფიქსურობაზე უნდა მეტყველებდეს, შდრ.: კაკა-ბ-ი, ქარქა-ბ-ი „შურთხი“, ტარ-ბ-ი „სელეგვო“ (საბა)...

ს.-სინდ. *ჰუარჯუა „მტრედი“

ადილ. თ-ჰარჯუა, ყაბ. თ-ჰარჯუა „მტრედი“

აბაზ. ჰუგჰუ, აფხაზ. ა-ჰუგჰუ „მტრედი“

ისტორიულ ჩერქეზულ ენებში თავკიდური თ- წარმოშობით, გრამატიკული კლასის ნიშანი (დ → თ) უნდა ყოფილიყო.

მონათესავე ფუძეები დასტურდება როგორც დადესტნურ (რუთულ.) ჰუჯუა „вяхирь, витютень“, ისე ნახურ ენებში: ჩეჩნ. ჰუგჰა, ინგუშ. ჯოჯ „მტრედი“, მაგრამ ანდიურ ენათა ლულუ //

ღუნღუ სულ სხვა წარმომავლობის სიტყვაა და აქ არაფერი ესაქმება [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 471].

ს.-ქართვ. ***ჯულ**- „ხორბლის თავთავი“

ძვ. ქართ. **ჯუტილ**-ი „თაველი“, „ყანის თავთავი“ (საბა)

სვან. **ჯულ** „თავხუა“

ზანური შესატყვისი არ იძებნება [შდრ. ჩუხუა 2000-2003 : 408]. სვანური ალომორფი არქაულ ვითარებას აჩვენებს. ვფიქრობთ, ძველ ქართულშიც ამოსავალი ვარიანტი ***ჯულ**-ი^ტ-ი სახეობის ფუძე იყო. ამ უკანასკნელში -ი^ტ- იმავე რიგის მონაცემია, რაც ძვ. ქართ. ყულ-ივ-ი „მხრის ძვალი“ სიტყვაში.

ს.-სინდ. ***ჯუგ** „ქერი; ფეტვი“

ადილ. ჰა, ყაბ. ჰა „ფეტვი“

უზბიხ. ხუა „ქერი“

ჩერქეზულ ენებს შორის თავჩენილი ჰ : ხ ოპოზიცია იმაზე მეტყველებს, რომ ამოსავალი ფონემა აფრიკატული ბუნების ფარინგალური ჯ ყოფილა. ამ უკანასკნელმა სპირანტიზაციის გზით ჰ/ხ ალოფონები მოგვცა.

აფხაზური ა-ხუგმ და აბაზური ჯუძმ „ქერი“ სხვაგვარ ეტიმოლოგიას გულისხმობენ, ამიტომაც აქ არ განიხილება [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 503].

ს.-ქართვ. ***ჯუნჩ**- „კუნძი (ძირფესვიანად)“

ქართ. (ქიზიყ.) **ჯუნჩ**-ი „კუნძი, მიწიდან ძირფესვიანად ამოღებული“

სიტყვა მხოლოდ ქართული ენის ქიზიყურ დიალექტში დასტურდება. სავარაუდოდ, გამომდინარე გარეენობრივი შესატყვისობიდან, საერთოქართველური წარმომავლობისაა.

ს.-სინდ. ***ჯემჯ**- „კუნძი, ჯირკი“

აბაზ. (ტაპანთ.) **ჯემჯ**, აფხაზ.(ბზიფ.) ა-ხემჯ /ა-ხემჯ „კუნძი, ჯირკი“

ჩერქეზული შესატყვისები ვერ გამოვლინდა. აფხაზური ა-ხემჯ ალომორფი კარგად აჩვენებს, რომ ტაპანთურსა და ბზიფურში მ სონორის შესაბამისი ფონემა დაკარგულია; ე.ი. ქართველურშიც მ ძირეულია და არ წარმოადგენს ფონეტიკურ ჩანართს.

ნახური და დაღესტნური იზოგლოსები ამ ეტაპზე ვერ გამოვლინდა.

ს.-ქართვ. ***ჯუფ**- „ხუფი, სარქველი; სახურავი“

ქართ. **ხუფ**-ი „სარქველი“ крыша (котлов, мисок) (ჩუბინაშვილი), სა-**ხუფ**-ი

ზან. (მეგრ.) **ხოფ**-, ო-**ხოფ**-ან-ი „მჭიდროდ წნული სახურავიანი კალათი“

სვანური შესატყვისი გვაკლია. ქართული უ : ზან. ო იშვიათად გამოჩნდება საერთო ეტიმოლოგიის მასალაში, შდრ. ქართ. უწყ-ი-ს : ზან. ორწყ-ე-ნ, ოწკ-ე-ნ „ხედავს“. ვინაიდან საილუსტრაციო მასალა არ ჩანს არც ძველქართულში, აღარც საბას ლექსიკონში, ჯ არქიფონემის რეკონსტრუქცია აქ პირობით ხასიათს ატარებს.

ს.-სინდ. ***ჯებუ**- „სახურავი“

აბაზ. **ჯებ**, აფხაზ. ა-**ხებ** „სახურავი“

ჩერქეზულ მონაცემებს ვერ ვპოულობთ, თუმცა ძირის რეკონსტრუქცია ფუძემენის დონეზე აფხაზურ-აბაზური ალომორფებითაც საკმაო სიზუსტით ხერხდება. არ ჩანს ქართველური უ-ს შესატყვისი უ სეგმენტი, შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. უ : ს.-სინდ. უგ. სავარაუდოდ გვესახება ***ჯებუ**- სახეობის არქეტიპის აღდგენა, ვინაიდან ბუ არაკანონიკურია, აფხაზურ-აბაზურ ენებში იგი გამარტივდა – ბუ → ბ.

ვერ გავიზიარებთ ხებ- ძირში ჯა „თავი“ სიტყვის გამოყოფის შესაძლებლობას, მით უფრო მის

ქართულ **თხემ**-თან კავშირს [შდრ. ლომთათიძე 1980 : 571].

ს.-ქართვ. ***ჰროლ**- „ხროლვა“

ქართ. **ხროლ**-ვ-ა, ხევს. **ჰროლ**-ვ-ა, შდრ. ხევს. **ჰროლ**-ი „ბოლი, კვამლი“

არ გამოვრცხავთ ძირის ისტორიულ სრულხმოვნობას – **ჰVR**, მაგრამ სათანადო ზანურ-სვანური ეკვივალენტის უქონლობის გამო, ძნელია ამოსავალი ხმოვნის რაგვარობაზე საუბარი (ო(?)).

ს.-სინდ. ***ჰტარ**- „ხროლვა“

აბაზ. (ტაპანთ.) **ჰტარ**-რა, აფხაზ. (ბზიფ.) **ა-ხტარ**-რა, აბჟ. **ა-ხტარ**-რა „ხროლვა“

ჩერქეზული შესატყვისები არ ჩანს. აფხაზურ-აბაზურისთვის არქაულ ფორმად აღადგენენ ***ჰტარჰ** სახეობის ფუძეს [ჩირიქა 1996 : 58], თუმცა საფუძველი ამგვარი რეკონსტრუქციისთვის მთლად ნათელი ჩვენთვის არ არის.

ქართულ-სინდურ ძირ-ფუძეებს მარჯვედ შეეფარდება დაღესტნური მასალა, შდრ. დარგ. **ხტასა** // **ხტაცა**, ყუბარ. **ხტისა** „ფერფლი“.

ს.-ქართვ. ***ჰც**- „ლპობა; გახრწნა“

ზან. (ლაზ.) **ჰც/ხც**, **ჰც**-ალ-ა // **ხც**-ალ-ა „დალპობა“, **ჰც**-აფ-ერ-ი // **ხც**-აფ-ერ-ი „დამპალი“, **ო-ჰც**-ინ-უ / **ო-ხც**-ინ-უ „დალპობა“, მეგრ. **რც**-ი-ებ-ა „მიხრწნა; გამოფიტვა“

ფონეტიკური ოპოზიცია **ჰც/ხც/რც** იმეორებს **ჰჩე / ხჩე / რჩე** „თეთრი“ ზედსართავ სახელში დამოწმებულ **ჰ/ხ/რ** მონაცვლეობას, რომელიც ამოსავლად ძველქართულისებურ **ჰც**-ე / **მ-ჰც**-ოვ-ან-სიტყვებში გამოყოფილ **ჰც**- კომპლექსს ვარაუდობს.

შესაბამისი ძირ-ფუძეები ქართულსა და სვანურში ვერ მოვიპოვეთ.

ს.-სინდ. ***ჰტარ**- „დამპალი“

აფხაზ. **ა-ხტარ**, ბზიფ. **ა-ხტარ** „დამპალი“ (ჩვეულებრივ ხეებზე ითქმის)

აფხაზურ-ზანური იზოგლოსა ჩანს, რომელსაც ერთგვაროვანი სემანტიკა და სტრუქტურა ახასიათებს. მნიშვნელოვანია შესატყვისობა სიბილანტ-აფრიკატებშიც – ს.-ქართვ. **ც** : ს.-სინდ. **ჩ**.

ძირის გახმოვანების თვალსაზრისით, ძნელი წარმოსადგენია ***ჰოც**- ან ***ჰუც**- სახეობის არქეტიპის რედუქცია ზანურში, მით უფრო, მაშინ, როდესაც რედუქციის მომდევნო საფეხურზე იქმნებოდა აქცესიური ტიპის არაკანონიკური კომპლექსი.

ჯ

ს.-ქართვ. ***ჯარ**- „ვიწროდ ყოფნა; მიჯრა“

ქართ. **ჯრ**-ა „მრავალ კაცთა ვიწროდ ყოფნა“ (საბა), ახ. ქართ. მი-**ჯრ**-ა, მი-**ჯრ**-ით, უ-**ჯრ**-ა

ზან. (მეგრ.) **ჯგორ**-, **ჯგორ**-უ-ა „ჯგუფად შეყრა“

სვანური შესატყვისი გვაკლია. მეგრული **ჯგორ**- კანონზომიერად ასახავს ფუჟენური ***ჯარ**- არქეტიპის კოლხურ რეფლექსაციას [კელაურაძე 2016 : 39].

ს.-სინდ. ***ჯა**- „შეკუმშვა“

აბაზ. (ტაპანთ.) **აფ-ჯა** „შეკუმშული“, ჩ-რ-**აფ-ჯა**-რა „შეკუმშვა“, აფხაზ. (აბჟ., ბზიფ.) **ა-ჩ-რ-აფ-ჯა**-რა „შეკუმშვა“

ჩერქეზულ შესატყვისებს ვერ მივაგენით; თუმცა აფხაზურ-აბაზურის ნიადაგზე აღდგენილი ***ჯა**- არქეტიპიც სათანადოდ ასახავს საერთოქართველური ***ჯარ**- ძირის კანონზომიერ შესატყვისს. ამ ნიმუშშიც ბოლოკიდური **რ** ჯერ კიდევ ფუძესინდურში ჩანს მოკვეცილი.

ამ ეტაპზე სხვა იბ.-კავკ. ენების შესახებ გამოქვეყნებულ მასალებში ჩვენთვის საინტერესო ძირ-ფუძეებს ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვ. *ჯგარ-ო „ჯგუფი, გუნდი“

ქართ. ჯგრ-ო „გუნდი, ჯგუფი“

ზან. (მეგრ.) ჯორგ-უ-(ნ) „ჯგროდ არის“, აკი-ჯორგ-ეს „შეჯგუფდნენ“, ი-ჯორგ-უ-ნ-ან „ჯგუფ-დებიან, ჯგროდ არიან“, ჯორგ-უ-ა „ჯგროდ, ბევრის ერთად, ჯგუფად ყრა

მეგრულის ო გახმოვანება ქართულისათვის ა-ს გვავარაუდებინებს. ალბათ, აქაც ზანური *ჯგორ- სახეობის ძირი ფუნქციონირებდა ისტორიულად, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო ომონიმურ ჯგორ- ზმნურ ძირთან; მეტათეზისიცი ამის გამო განხორციელდა - ომონიმური სუპერაცია. ყველა შემთხვევაში ქართ. ჯგრ-ო და ზან. ჯორგ- საერთო წარმომავლობის ძირებად გვესახება.

ს.-სინდ. *ჯუგურ-ა „ხალხი, გვარი, სოფელი“

ადიდ. ჩუღლ'ა // ჯუღლ'ა „სოფელი, ხალხი, გვარი / საზოგადოება“

აბაზ. ჟუღლა-რა „ხალხი, სოფელი, საზოგადოება“, აფხაზ. ა-ჟუღლა „ჯიში, გვარი“

ერთ-ერთი იმ იშვიათ ძირთაგანია, რომელიც ველარიზებული (მაგარი) ჯუ ფონემის აღდგენის შესაძლებლობას იძლევა საერთოსინდურ ფუძეენაში. აბაზური ალომორფის ჩვენება ძვირფასია, ვინაიდან მხოლოდ აქ ჩანს ამოსავალი რ-ს კვალი, ანუ აბაზ. ჟუღლა-რა ← *ჟუღრალა. სინდურ ფუძეთა სტრუქტურის ტრანსფორმაცია და თანამედროვე სახე დიდად არის შეპირობებული თესლის აღმნიშვნელი სიტყვის ძლიერი ზეგავლენით.

ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. ჯგ : ს.-სინდ. ჯუ კარგად აჩვენებს საერთოქართველური ჯგ ჩქ ჰქ ტიპის ჰარმონიულ-დეცესიურ კომპლექსთა წარმოქმნის წყაროს ფუძე-ენაში, ივარაუდება ჯუ ჩქ → ჯგ ჩქ ჰქ ფონეტიკური პრეისტორიული პროცესის მოქმედება.

ს.-ქართვ. *ჯერ- „ამდენჯერ, იმდევჯერ“, раз

ქართ. ჯერ, ორ-ჯერ, სამ-ჯერ, ას-ჯერ...

ზანურ-სვანურში ჯერობის წარმოება სულ სხვაგვარად მიმდინარეობს, შდრ. შესაბამისად: - იშ-ა, -ინ. მიუხედავად ამისა, -ჯერ აფიქსი ფუძეენური წარმომავლობისა გვგონია.

ს.-სინდ. *ჯარ-ა „ერთ ადგილას“

აფხაზ. ჯარ-ს „ერთ ადგილას“, ჯარ-ს-ჯარ-ა „ზოგგან, ალაგ-ალაგ, აქა-იქ“, ჯარ-გ-გ „არსად, ვერსად“

სიტყვა განმარტოებით დგას აფხაზურში; ჯერობის შინაარსზე მიუთითებდა პ. ჭარაია აფხაზურში, რასაც ჩვენც ვიზიარებთ. ავტორის აზრით, ქართ. ჯერ და აფხაზ. ჯარ-ს ერთიანი წარმომავლობისაა [ჭარაია 1912 : 23].

დამატებითი არგუმენტაციის საჭიროება მოიხსნება, თუ მოვიძიებთ კანონზომიერ შესატყვისობებს მონათესავე იბ.-კავკ. ენებიდან.

ს.-ქართვ. *ჯერ- „თავიდან; დასაწყისიდან“

ქართ. ჯერ-, ჯერ-ე

ჯერ- ძირი განმარტოებით დგას ქართულში, მაგრამ იგი შეიძლება, ფუძეენური ეტიმოლოგიისა იყოს. ამაზე სინდური (და არამხოლოდ) იზოგლოსები მეტყველებენ.

ს.-სინდ. *ძ- „ადრე, დილა“

აბაზ. ჟ-ე, შა-ჟ-ე „ადრე“, აფხაზ. ჟ-ე, ა-შე-ჟ-ე „დილა“

საკითხი ისმის აფხაზურ ა-შე-ჟ-ე // ა-შე-ჟ-ე „დილა“ სიტყვასთან გენეტიკური მიმართებისა, თუმცა აქვე აუხსნელი გვრჩება -შე-/-შე- სეგმენტთა ფუნქცია-წარმომავლობა.

სპეციალურ ლიტერატურაში ამავე კონტექსტში მოიხმობენ ჩეჩნ. ჯდერ-აჰ. → // ჟდერ-აჰ., ინ-გუმ. ჯდერ-აჰ. „ადრე (დილა, სადამო)“ ალომორფებსაც, რაც რეალური ჩანს [ვაგაპოვი 2011 : 289]. ქართულ-ნაზური რ-ს შესატყვისი ალოფონი ფუძესინდურში უკვალოდ დაიკარგა.

ს.-ქართვ. **ჯ** : ს.-სინდ. ძ მიგვანიშნებს (კიდევ ერთხელ) ძ → **ჯ** გაშიშინების ფონეტიკურ პროცესზე წინარექართველურიდან საერთოქართველურისკენ.

ს.-ქართვ. ***ჯტ**- „caccare“

ქართ. **ჯტ**-ამ-ს, მო-**ჯვ**-ა, ამო-ა-**ჯვ**-ამ-ს

ზან. **ძგვ**-/ნძგვ-, (ლაზ.) ბ-**ძგვ**-ი „მოვჯვი“, **ძგვ**-ერ-ი „ჯმული“, მეგრ. ბ-**ნძგვ**-ი „მოვჯვი“, ემა-**ნძგვ**-ი „ამოაჯვი“, ნა-**ნძგვ**-ია „მონაჯვამი“

სვან. **სგ**-, ხ-ა-**სგ**-ენ-ი „ეჯმება“, ლა-**სგ**-არ „საპირფარემო“

საერთოქართველური **ჯტ** → ზან. **ძგტ** → სვან. **სგტ** // **სგ**- გასისინების პროცესი თ. გამყრელიძის კანონს მიჰყვება [გამყრელიძე 1959 : 27]. ქართველური ფუძეები არნ. ჩიქობავამ შეაპირისპირა [ჩიქობავა 1938 : 388]. არის ცდა, ფუძეთა ამ რიგში (შდრ. სვან. **სგ-ენ**) შემოიტანონ ძვ. ქართ. **ჯმნ**-ა „მოშორება, მოცილება“ [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 726-727].

ს.-სინდ. ***ჯტა**- „რწყევა“

ადილ. ჯა-**ჟგ**-, ჟა-**ტა**-, ყაბ. ჯა-**ზგ**- „რწყევა“

უბიხ. **ჯგ**-, სგ-**ჯგ**-ნ „რწყევა“

აბაზ. (ტაპ.) **ჯტა**-რა, აშხარ. ძტა-რა, აფხაზ. (ბზიფ.) ა-ძტა-რა „რწყევა“

ზმნური ძირები სრულად არის წარმოდგენილი აფხაზურ-ადილურ ენა-კილოებში, რომელთა შედარებითი ანალიზის საფუძველზე ***ჯტა**- „რწყევა“ არქეტიპი აღდგება. *რწყევის* გაგება დამახასიათებელი ჩანს ქართულშიც, შდრ. ამო-ა-**ჯვ**-ამ-ს „ამოარწყევს, ამოაბლოყინებს“.

სემანტიკური თვალსაზრისით, *caccare*, *გარეთ გასვლა* ~ *რწყევა*, *ნთხევა* / *ღვრა* მნიშვნელობათა შემდგომი განვითარება უნდა იყოს. დადესტნური ენები ამას თვალნათლივ აჩვენებენ, შდრ. მაგალითად, დიდ. **ჟჩ-ნ**- „რწყევა, ნთხევა“.

ბგერათშესატყვისობის კუთხით **ჯ** : **ჯ** მიმართება უნაკლოა, ამას ეხმიანება ნახური თა. ს.-ქართვ. ***ჯტ** : ს.-სინდ. ***ჯტა**- ძირებს ასევე შეესატყვისება ნახური **ე-თა**- „რწყევა“ ზმნაც, შდრ. ამ უკანასკნელში **ჯტ** → **თა**, რაც საერთო მასალაში რეგულარულად ვლინდება – ქართვ. მ-**არჯტ** : ნახ. ***ათა**- „მარჯვენა“...

ს.-ქართვ. ***ჯიმტა** „ლაჟო“

ქართ. **ჯიმტა** // **ჯინჯვა** „ლაჟო“

ორივე ალომორფი საბასთან არის ფიქსირებული, როცა დიდი ლექსიკოგრაფი განმარტავს ლ ა ჟ ო სიტყვას წერს ლაჟო (ფრინ.) **ჯინჯვა**, **ჯიმჯვა** Ca. სხვა ქართველურ ენა-კილოებში გენეტიკურად საერთო ძირ-ფუძეები ჯერაც არ არის გამოვლენილი.

ს.-სინდ. ***მძგვ** „მწყერმარხილა, ღალღა“

აფხაზ. ა-**მჯ** აზ ა „მწყერმარხილა, ღალღა“

ქართულ-აფხაზური იზოგლოსები ხასიათდებიან ერთგვაროვანი აგებულებით; გასარკვევია მ სონორის მეტათეზისის მექანიზმი დასახელებულ ენებში; სხვა საკონტროლო საშუალების უქონლობის პირობებში გადაჭრით რაიმეს თქმა გაჭირდება. ცხადია, მ → ნ საკუთრივ ქართული პროცესია. აფხაზური **ჯ** → **ჯ** და **ხ** → **ხ** პალატალიზაციის ფონეტიკური გარდაქმნები პოზიციური ჩანს, მომდევნო *ღ/წ* ხმოვანთა ასიმილაციური ზემოქმედების შედეგი.

3

ს.-ქართვ. ***ჰან**-ე „ბებია“

ქართ. **ჰან**-ი „მამა-დედათ მშობელი, ბებია“ (საბა)

ზან. (ლაზ.) **ონ**-ა, სიტყვაში **ონ**-ა-დიდა „დიდფრთიანი ჭიანჭველა“, შდრ. **ონა**-შვილ-ი

საბასთან პოვნიერი ჰან-ი „ბებია“ სიტყვი შესატყვისი ზანურში (ლაზურში) ონ-ა ფორმით უნდა იყოს წარმოდგენილი, რთული შედგენილობის სიტყვაში ონ-ა-დიდა = ონ-ა-დიდი. აქ თავად ონ-ა მშობლის / დედის მნიშვნელობით ჩანს გამოყენებული, ანუ დედა-დიდი მიემართება დიდ ჭიანჭველას.

ს.-სინდ. *ან-ჲ „დედა“

ყაბ. ანჲ „დედა“

აბაზ. ანგ, აფხაზ. ან ← *ა-ანგ „დედა“

საერთოსინდური ორმარცვლიანი ძირის აღდგენა რეალური ჩანს, მით უმეტეს, ამას მხარს დაუჭერენ ყაბარდოული და აბაზური მონაცემები. გარდა ამისა, თუ ლაზური ონ-ა მართლა აქ შემოდის, მაშინ საერთოქართველურისთვისაც დაისმის საკითხი *ჰან-ე (შდრ. ქართ. ე : ზან. ა) არქტიპის რეკონსტრუქციის თაობაზე.

მეტად საყურადღებოა სემანტიკური მიმართება არქტიპების დონეზე დედა ~ ბებია. ამგვარ სემანტიკურ კორელაციას მონათესავე (ამავე) ძირებში ვხედავთ დალესტნის ერთი ქვეჯგუფის ახლომონათესავე ენებს შორისაც კი – თაბას. ანა „დედა“ : წაზ. ანა-ე „ბებია“.

ს.-ქართვ. *ჰას-ე „სინათლე“ სიტყვაში

სვან. ჰაშ-ი „სინათლე/შუქი“

საერთოქართველური არქტიპის რეფლექსი მხოლოდ სვანურს შემორჩა.

წ.-სინდ. *ჰაშა „ელ-ჭექი“

ხათ. Haša, სიტყვაში Haša-mil „ელ-ჭექის ღმერთი“

ხათურ-სვანურ იზოგლოსებს დალ. ენებიდან მხოლოდ უდ. ხაშ „მთვარე“ შესატყვისება.

ს.-ქართვ. *ჰაწუალ- „ზვინი“

ზან. (მეგრ.) უნწა „ნაგავი; მიწაზე დაყრილი ფუჩეჩი“

სვან. ჰაწუალ // ჰანწუალ (ზს.), აწუალ (ლშხ.), აწოლ (ლნტ.) „ხეზე დადგმული ზვინი“

